თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკის კათედრა

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის
რედაქციით და შენიშვნებით

თბილისი 1970

სარედაქციო კოლეგია

შ. ბახტაძე, ი. გოცვაძე, ქ. ბურჯანაძე, დ. გამეზარდაშვილი (მთავარი რედაქტორი), ვ. გამყრელიძე, ლ. გორგილაძე, მ. ეგრალიძე, თ. მაჭავარიანი, მ. შადური, გ. ჯავახიშვილი.

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი მეექვსე

VI–XI, 1878


1878

რედაქტორისაგან

ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეექვსე ტომში შეეიდა ის წერილები, რომლებიც ავტორს დაუწერია და გამოუქვეყნებია 1878 წლის ივლის-ნოემბერში. ამდენად, იგი მოიცავს ქრონოლოგიურად ყველაზე მოკლე პერიოდს სხვა ტომებთან შედარებით. ამასთან ერთად, მეექვსე ტომში, განსხვავებით ყველა წინა ტომისაგან, წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ ერთ გაზეთში («ობზორი») დაბეჭდილი მასალა.

ასეთი დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა და მხოლოდ ერთ გაზეთში თანამშრომლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ნ. ნიკოლაძე თვითონ იყო «ობზორის» რედაქტორი და წამყვანი პუბლიცისტიც; გაზეთის ავტორიტეტი და მისი იდეურ-პოლიტიკური ინტერესები კი რედაქტორისაგან მოითხოვდნენ გაასკეცებულ მუშობასა და ამოუწურავ ენერგიას. ნ. ნიკოლაძის ჟურნალისტური სტიქიაც სწორედ ამგვარი ვითარების შესატყვისი იყო. იგი მხოლოდ ცენზურასა და ცენზორებს უჩიოდა, თორემ შემოქმედებით შრომაში გატარებული ღამეები მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებდა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო: პატრიოტ მოღვაწესა და დიდ მოაზროვნეს კარგად ესმოდა თავისი დანიშნულება და სწორად ჰქონდა გათვალისწინებული ამ მძიმე შრომის შედეგებიც.

ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემა არა მხოლოდ საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა, არამედ უადრესად შრომატევადიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ეპოქის არც-ერთი ჩვენი მოღვაწის შემოქმედებითი მემკვიდრეობის თავმოყრა და გამოცემა არ არის დაკავშირებული ისეთ სირთულეებთან, როგორთანაც ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემის განხორციელება. საზღვარგარეთის, რუსეთისა და საქართველოს უამრავ პერიოდულ გამოცემაში არის გაფანტული ამ ნიჭიერი და მეტად ნაყოფიერი მოაზროვნის ნაწერები. ამასთან, მისი დიდი უმეტესობა ხელმოუწერელია, რაც აძნელებს ჩვენს მუშაობას. საქმეში ჩახედული მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ, მესამე ტომიდან დაწყებული, ნ. ნიკოლაძის თხზულებათა ყოველ ტომში მოთავსებული წერილების ორი მესამედი პირველად ხდება ავტორის ცნობილ მემკვიდრეობად. ძნელი არ არის იმის წარმოდგენაც, თუ როგორი ფაქიზი და ბეჯითი მუშაობა არის საჭირო თითოეული ასეთი სტატიის ავტორობის გასარკვევად და დასადგენად. ყოველივე ამას ემატება ის დიდი სირთულე, რომელიც დაკავშირებულია ნ. ნიკოლაძის ფრანგულ და რუსულ ენებზე დაწერილი წერილების ქართულ ენაზე თარგმნასთან. წინამდებარე ტომში მოთავსებული ყველა წერილი, მაგალითად, თარგმნილია რუსული ენიდან. ასე რომ, საჭირო ხდება არა მხოლოდ დედნის, არამედ თარგმანის რედაქციის გაკეთებაც, რაც კიდევ უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაგებია, თუ რატომ ვერ ხერხდება ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემის უფრო სწრაფი ტემპით განხორციელება. მაგრამ მიღებულია ყველა ზომა დაჩქარდეს შემდეგი ტომების გამოსვლა. ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მიწოდებას მკითხველისათვის კი დიდი კულტურულ-ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ნ. ნიკოლაძე — პუბლიცისტი და კრიტიკოსი—თავისი ეპოქის ცოცხალი მემატიანეა,

რომელიც უკეთესი მომავლის ინტერესების შუქზე არკვევს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით მხარეებს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზრის მკვლევარს არ შეუძლია გვერდი აუაროს ნ. ნიკოლაძის. ჭდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობას, რომელიც ფასდაუდებელ მასალას აძლევს ისტორიკოსებს, ლიტერატორებს, ეკონომისტებს, სოციოლოგებს და სხვ.

ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა ძვირფასი და საინტერესოა არა მხოლოდ ქართული, არამედ რუსული და ევროპული საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსებისათვის. მის მნიშვნელობას აპირობებს ის გარემოება, რომ ავტორი უშუალო მოწმე და მონაწილეა თითქმის ყველა იმ მთავარი საზოგადოებრივი მოვლენისა, რომელთა გაშუქება-შეფასებასაც ისახავს იგი მიზნად.

შთამაგონებელი და მიმზიდველია ის ოსტატობაც, რომელსაც ნ. ნიკოლაძე იჩენს მისთვის საინტერესო თემების გაშუქებისას. დახვეწილი ლოგიკურობა, ფაქტობრივი მასალის ღრმა ცოდნა, არსებითის წინ წამოწევის უნარი, ძლიერი პოლემისტური პათოსი, პარალელებისა და ანალოგიების ოსტატური მომარჯვებისათვის საჭირო დიდი ერუდიცია, მდიდარი ლექსიკური მარაგი და ურყევი რწმენა თავის დებულებათა ჭეშმარიტობისა — აი, ის ფაქტორები, რომლებიც ნ. ნიკოლაძეს პუბლიცისტ-კლასიკოსად ხდიან და მის ნაწერებს შემეცნებით და ესთეტიკურ მნიშვნელობას უნარჩუნებენ.

ნუ დავიიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ გაზეთი «ობზორი», რომელშიც დაიბეჭდა წინამდებარე ტომში შესული ყველა წერილი, ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულ-დემოკრატიული ორგანო იყო ყველა იმდროინდელ გამოცემათა შორის.

მეექვსე ტომში შესული სტატიები თარგმნილია გიორგი მაღულარიასა და ქეთევან ბურჯანაძის მიერ.

1. ერთხელ კიდევ ქალბატონ ბლავატსკაიაზე

მკითხველები ქეევით ნახავენ ქ-ნ ბლავატსკაიას შეპასუხებას ჩვენი ერთ-ერთი ფელეტონის [1] რამდენიმე სტრიქონის გამო. მე დავას არ დავიწყებ მის სტატიაზე, არც მის წიგნს დავესხმები თავს, შემოვიფარგლები მხოლოდ ორიოდე წვრილმანით. ჩემს ფელეტონში მაქვს ასეთი ფრაზა: „მე არ წამიკითხავს „თანამედროვე აზრის გამომხატველი მისი დიდებული თხზულება", მაგრამ ვნახე ეს ორი ტომი და გადავათვალიერე"...

ქ-ნ ბლავატსკაიას რატომღაც სურს დაამტკიცოს, რომ მე მართალს არ ვამბობ, რომ არ შემეძლო მენახა მისი წიგნი. ის წერს: „გავეცანი რა საოცრად ღრმააზროვან რეცენზიას ჩემს წიგნზე „შიშველი იზოლდა", რომელიც არც რუსეთს, არც თბილისს, არც თვით „ობზორის" [2] ღრმამოაზროვნე რედაქტორს არასოდეს თვალით არ უნახავთ, უნდა გამოვტყდე, ჩავფიქრდი".

ამავე ხერხს მიმართა „ტიფლისკი ვესტნიკში" [3] ქ-ნ ჟელიხოვსკაიამ, რომელიც ამტკიცებდა [4], რომ მე არ შემეძლო მენახა მისი დის წიგნი.

მე მესმის, რომ ქ-ნ ბლავატსკაიას, რომელიც თავისი არშინით ზომავს ყველაფერს, ეჭვი შეაქვს ჩემს სიმართლეში. ამიტომ იძულებული ვარ ვთქვა, სად და როდის ვნახე და გადავათვალიერე (მაგრამ არ წამიკითხავს) მისი წიგნი. კავკასიის საცენზურო კომიტეტში (ჩემი იქ ყოფნის დროს) მიიღეს ქ-ნ ბლავატსკაიას თხზულების ეგზემპლარი ქ-ნ ჟელიხოვსკაიას სახელზე. მე ხშირად მიხდება იქ ჯდომა თითქმის მთელი საათობით. დრო რომ მომეკლა, ავიღე ქ-ნ ბლავატსკაიას წიგნი და დავიწყე თვალიერება, რამდენიმე თავი კიდეც წავიკითხე. აი რატომ მქონდა სრული საფუძველი მეთქვა ის, რაც ვთქვი. ახლა მკითხველებმა განსაჯონ, თუ ვინ ლაპარაკობს სიმართლეს, მე თუ ქალბატონი ბლავატსკაია, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთს და თბილისს თვალით არ უნახავს მისი წიგნი.

მეორე გარემოება: ქ-ნი ბლავატსკაია ეჭიდება ლონდონის გაზეთის „Public Opinion"-ის ავტორიტეტსა და შეფასებას. სა-

ნამ ის იმოწმებს ამერიკულ გაზეთებს, უნდა გავჩუმდეთ, რადგან იმათგან ძალიან ცოტას ვართ გაცნობილი, მაგრამ ლონდონის გაზეთებზე ნებას არ მივცემთ მას, რომ იცრუოს.

მან მოიტანოს შეფასებები — და არა რეკლამები — ისეთი ავტორიტეტული გამოცემებისა, როგორც „Examiner", „Athenaeum", „Académie" და ა. შ., მაშინ ჩვენ დავთანხმდებით „წავიკითხოთ" მისი წიგნი. „Public Opinion"-ზე დაყრდნობა კი ისევე უბადრუკია, როგორც უარყოფა იმისა, რომ მე შემეძლო მენახა მისი წიგნი. ჩვენ თვითონ ვღებულობთ გაზეთ „Public Opinion"-ს, მაგრამ, საუბედუროდ, მხოლოდ ამა წლის 1 იანვრიდან. 29 დეკემბრის ნომერი არა გვაქვს. მაგრამ ვთხოვთ ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი პაექრობით, გადახედონ ამ გაზეთს. აქ შეხვდებით მხოლოდ ევროპისა და ამერიკის ცნობილი გაზეთებიდან გადმონაბეჭდ მასალას მორიგ საკითხებზე. საკუთარი გაზეთს არაფერი გააჩნია, გარდა ახალი წიგნების სათაურებისა და მათი მოკლე შინაარსისა. ეს საცნობარო გამოცემაა. დაე მკითხველებმა თვითონ გადახედონ გაზეთს და დარწმუნდებიან ჩვენ მიერ გამოთქმული აზრის საფუძვლიანობაში. და აი ასეთი გამოცემის შესახებ ქ-ნ ბლავატსკაიას ყოფნის კადნიერება ამტკიცოს, რომ „ყველა ავტორს ეშინია, როგორც ცეცხლის, მისი მიუდგომლობისა და სიმკაცრის გამო". ვიმეორებ, ხელთ რომ არ გვქონდა ეს გაზეთი, არ ვყოფილიყავით გაცნობილი ინგლისის ჟურნალისტიკას, ქ-ნი ბლავატსკაია მართლაც გაიმარჯვებდა თავისი ტყუილით ასეთ უსამართლო საქმეში.

იმის შესახებ კი, რა ღირს რეკლამები, რომლებიც თავსდება ამერიკულ გაზეთებში და როგორი ადვილია „განცხადების სააგენტოების" მეშვეობით მოათავსო თავისქება არა თუ 63, არამედ 633 გაზეთშიც, ჩვენ ქ-ნ ბლავატსკაიას ვურჩევდით გადაეკითხა ფრიად ცნობილი და საინტერესო თხზულება ბ-ნ კიუშევალ-კლარინისა — „La presse aux. Etats-Unis". რეკლამის სტრიქონი ამერიკაში ღირს 10 ცენტი საშუალოდ. მაშასადამე, არ არის საჭირო დიდი მოხერხებულობა იმისათვის, რომ რეკლამა გაუკეთო საკუთარ ნაწარმოებებს ამერიკულ გაზეთებში.

როგორი გულუბრყვილო იქნებოდა ქ-ნი ბლავატსკაია, მისთვის ასე იაფად ღირებულ თვალთმაქცობაზე რომ უარი ეთქვა.

2. კალმის ჭირვეულობანი

განვლილი კვირა მდიდარი იყო სასცენო სიახლეებითა და მოვლენებითაც კი. თბილისმა იხილა ო'კარინი და ქ-ნი ჩიბურინა, მოისმინა უფ. კრეიჟანოვსკის სიმღერა და უფ. იაკუბოვიჩის სტვენა, გაძღა „საუკუნის დევგმირის“ [5], „მშვენიერი ელენესა“ [6] და „რევიზორის“ [7] ცქერით. ყველაფერი ეს „პირველად, აღდგენისთანავე“. მეტი რაღა გინდათ, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონისათვის?

სიმღერის შეფასებას ხელს არ ვკიდებ. მაგრამ ჩვენში ერთდროულად სამი ისეთი ნაწარმოების დადგმაში, როგორიც არის „საუკუნის დევგმირი“, „მშვენიერი ელენე“ და „რევიზორი“, მე ვხედავ არა მხოლოდ უბრალო „დროების ნიშანს“, არამედ, რაც უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია, განგების ნაკარნახევ მოვლენას ჩვენი ანტრეპრენიორებისა და თეატრის კრიტიკოსების ჭკუის სასწავლებლად. ცერცეტა ადამიანებს შეუძლიათ, რასაკვირველია, ამ სამ პიესაში დაინახონ მხოლოდ სამი პიესა და სხვა არაფერი. მაგრამ, ვისაც თვალნი აქვს ხედვად, მისთვის ეს მთელი სამი ციკლია. მათი შემთხვევითი დაპირისპირება ჩვენ ყველას მომაკვდინებელ გაკვეთილს გვაძლევს, რომელიც, ჩანს, უნდა მარადსახსოვრად დარჩეს...

ჩვენი ლიტერატურა საერთოდ, და დრამატიული კერძოდ, ახლა „დაცემის პერიოდს“ განიცდის, სწორედ ისეთს, როგორიც მის მიერ იყო განცდილი 1848—1856 წლებში. ჩვენ რომ დრო და ჟურნალების კოლექცია გვქონდეს, შეგვეძლო დაგვედგინა გასაოცარი პარალელი იმ ეპოქასა და ჩვენ დროს შორის, რათა შეგვედარებინა ამ ორი პერიოდის ლიტერატურული მოღვაწეობის თითქმის ყველა დარგი, რომელთაც, როგორცა ჩანს, არაფერი საერთო არ გააჩნიათ. მაგრამ, საერთო მითითებებით შეზღუდულნიც კი ვიკითხავთ: განა უფ. უფ. უტინების, იაზიკოვების, ევგ. მარკოვების, სკაბიჩევსკების, მიხაილოვსკებისა და მისთანათა კრიტიკული წერილები არ გვაგონებენ ანენკოვის, დუდიშკინის, ოდელსონის, კატკოვისა და სხვა კრიტიკოსთა ეტიუდებს, რომელნიც მეფობ-

დნენ რუსეთში „სინამდვილესთან ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულების“ [8] გამოჩენამდე? განა ყველა თანამედროვე ბელეტრისტის ცდა, ვინც ხალხში მიდიოდა და მის ყოფასა და მსოფლმხედველობას თავისი ტენდენციის ფერით ღებავდა, საოცრად არა ჰგავს უფ. უფ. ა. პოტეხინის, დ. გრიგოროვიჩის, ი. ტურგენევისა და მისთანათა ანალოგიურ მოღვაწეობას, რომელნიც სრულიად რუსეთის „პეიზაჟებს“ ხატავდნენ და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჰქონდათ კურიოზული წარმატება სწორედ თავის თხზულებათა ტენდენციურობის წყალობით? განა „რუსკი არხივის“ [9], „რუსკაია სტარინას“ [10], „დრევნაია ი ნოვაია როსიას“ [11] ყველა ეს ნედლეულობა და საზოგადოებაში წარმატება არ შეესაბამება სწორედ ამგვარსავე ნედლეულობის სიუხვეს მაშინდელ „აქტებსა“ და „შრომებში“ და მათ წარმატებას?! თანამედროვე პუბლიცისტთა მსჯელობანი კი „სოფელში“ ჩაყურყუმალავების, ხალხთან დაახლოვების, მასთან მიჯაჭვის შესახებ იგივე არ არის (ოღონდ ახალი შეფერადებით), რასაც იმ დროს ქადაგებდნენ ჩვენი „ნიადაგიდან მოწყვეტისა“ და „ჩვენი ლიტერატურის არახალხურობის“ შესახებ?! მთელი განსხვავება, მაგრამ იგი მხოლოდ გარეგნულია, მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მაშინ ყველაფერი ეს გამოითქმოდა რეტროგრადების მიერ, ახლა კი პროგრესისტების მიერ არის პროპაგანდირებული... მაშინ ამის წინააღმდეგ იბრძოდნენ რადიკალები, ახლა კი თავს იტეხენ მათი მოწინააღმდეგენი...

ერთი სიტყვით, რასაც არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რა დარგიც არ უნდა ავიღოთ, ყველგან დავინახავთ იმ ეპოქის ანალოგიურობას ჩვენ ეპოქასთან. ძირითადში, მთავარ ხაზებში ეს ანალოგიურობა მდგომარეობს, რაც არა ერთხელ შეგვინიშნავს, საერთო სახელმძღვანელო იდეებზე, ფილოსოფიურ განზოგადოებაზე, ძირითად მიზეზთა გამოძიებასა და საფუძვლიან ღონისძიებებზე უარის თქმაში... წარსული პერიოდის ლიტერატურული ლაშქარი მიდიოდა დარაზმული, გარკვეული მიზნისაკენ, მკვეთრად დასახული მიმართულებით. მან განვლო გარკვეული მანძილი, გააკეთა თავისი საქმე. მაგრამ იმ ხალხისათვის, რომელთაც სურთ, შემწვარი მწყერები თვითონ უცვივოდნენ პირში, და მიზანი, რომელიც მხოლოდ მთელი თაობების ძალღონეს შეეფერება, პირველივე გამოსვლით იქნეს მიღწეული, პირველივე ცდის შემდეგ გაემართნენ მისკენ, ამ მიზნის სიშორე უბრალოდ იქცა მისი მიუწვდომლობის დამადასტურებლად. რაკი დაინახეს, რომ იგი წინა პერიოდის ლიტერატურის მიერაც არ იყო მთლიანად მიღწეული, ახ-

ლანდელმა სულმოკლეებმა და ბეცებმა წყალში გადაყარეს ადრინდელი დისციპლინა, დატოვეს ძველი გზები და წარმოიდგინეს, რომ საჭიროა დაფანტული სვლა პარტიზანულ რაზმებად, უდროშოდ და უპაროლოდ, ვისაც როგორ ჩააგონებს ღმერთი... და გასწიეს... ლიტერატურული ლაშქარი დაიქსაქსა, დაიწყო ბაბილონის ახალი აღრევა, რომელმაც დიდი ენერგია და მსხვერპლი შეიწირა.

ზოგი ჭირი მარგებელია, და ამ „უთავბოლოდ სვლამ", ამ საერთო სისტემისა და საერთო მიმართულების დავიწყებამაც თავისებური სიკეთე მოიტანა. გაფანტული და გაცალკევებული მოღვაწეების დიდმა ნაწილმა დაიწყო ერთი ადგილის ტკეპნა, თითოეულმა მათგანმა რამდენიმე ვერსი გაიარა. საერთო ბრძოლა მიჩუმდა. მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ცალკეულ გასროლათა ხმა, რომლის გაგონებაზეც არავინ გარბოდა და არც თუ ვინმე უპასუხებდა. დაიწყო თარეში, თავისიანების რბევა, მტრის წაქეზება და ა. შ. მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ყველა მოიღალა და დარწმუნდა, რომ ამგვარი უსისტემობა არავითარ სარგებლობას არ მოიტანს, რომ მიზანი მაინც შორსაა, გაფანტულთა შორის ძლიერნი და საუკეთესონი გამოფხიზლდნენ. მათ მიმოიხედეს, გახედეს ველს, დაინახეს, თუ საით მიდიან გზები და საითაა ხრამები. დაცემულთა გვამები მათთვის იყო გეზის შეცვლის ნიშანი, ხოლო მთელი ბრბოს ხეტიალი — მოქმედების ველის მთლიანი დაზვერვა. დაინახეს რა ყველაფერი, ასწონეს და განსაჯეს რა ყველა მონაცემი, ისინი დარწმუნდნენ, რომ საჭიროა თავიდან დაწყება და ძველი გზით სიარული. და ახლადჩამოყალიბებული ლაშქარი მთლიანად დაიძრა ძველი გზით, იმ წერტილიდან, სადაც სულმოკლე და ბეცი მებრძოლების მიერ მიტოვებული იყო მათი წინანდელი ხელმძღვანელი...

ახალ მოძრაობას, ისე როგორც ყოველგვარ მოძრაობას ამ ქვეყანაზე, ჰქონდა ბედნიერი და უამინდო დღეები. ვიდრე გზა გატკეპნილი იყო, ვიდრე მზე აშუქებდა და ირგვლივ ბუნება იღიმებოდა, — ლაშქარი მწყობრად მიდიოდა, სიმღერებითა და მუსიკით. მაგრამ დადგა შემოდგომა, დაიწყო წვიმები, გაჩნდა სნეულებანი, ჩამოვარდა შიმშილობა, მოწინააღმდეგეთა დარტყმებისაგან დაიწყეს ძირს ცვენა... ზღვები და მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ... მართალია, მოწინააღმდეგეს ბევრი სიმაგრე წაართვეს ბრძოლით, მაგრამ სრულ ზეიმამდე, მთავარ მიზნამდე მაინც შორს, ძლიერ შორს იყვნენ. ბოლოს თოვლიც მოვიდა. სულ-

მოკლეობა თავის ძალაში შევიდა, სიბეცემ კვლავ თავი წამოყო და ლაშქარი ისევ დაიფანტა...

აი, ამას განიცდიან ახლა ჩვენი ლიტერატურული თანამოძმენი.

...როცა ჩვენ პირველად გამოვთქვით სამდურავი ჩვენი ლიტერატურის დაქსაქსვისა და დაცემის შესახებ, ყველა სხვადასხვაგვარად გამოეხმაურა მას: ზოგს ჩვენი შენიშვნები დროულად ეჩვენათ, მეორენი პირიქით — ამტკიცებდნენ, რომ ლიტერატურა არასოდეს არ მდგარა ისე მაღლა, როგორც ახლა, მესამენი კი, ბოლოს, ამტკიცებდნენ, რომ ლიტერატურის დაცემაში დამნაშავეა არა თვით ლიტერატურა, არამედ თანამედროვე საზოგადოება. განსაკუთრებით ცხარობდა უფ. სუვორინი. იგი მიუთითებდა ჩვენი გაზეთების გავრცელებაზე (ცალობით ვაჭრობაში), იმაზე, რომ საზოგადოება ახლა პოლიტიკით არის გატაცებული და ა. შ. ეს, ჭეშმარიტად, მართალია. — არასოდეს რუს საზოგადოებას იმდენი არ წაუკითხავს, არ უკითხავს ისე ხარბად, როგორც ახლა და არასოდეს წინათ იგი არ დაინტერესებულა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებით, როგორითაც დაინტერესებულია ახლა. მაგრამ ამაშია საქმე? ამაშია ლიტერატურის დანიშნულება? ყოველ ჭორიკანას, სკანდალური ახალი ამბების ყოველ მომთხრობს შეუძლია ირგვლივ შემოიკრიბოს აუარებელი მსმენელი, დააინტერესოს და გაიტაცოს ისინი. გამოდით ბულვარზე სატკაცუნებლით, ან გაისროლეთ რევოლვერი, თუნდაც ცარიელი ვაზნა, რომ თქვენ ბრბო შემოგეხვევათ, თქვენზე დაიწყებენ ლაპარაკს, თქვენს გასროლაზე შეიქმნება მსჯელობა, მაგრამ, როგორი იქნება ყველა ამისი შედეგი? ისეთს რას ეტყოდით თქვენით დაინტერესებულ ამ ბრბოს, რომ ცალკეული პიროვნებები გაერთიანებულიყვნენ, რომ ყველა მათში ერთი და იგივე გრძნობა, ერთი და იგივე მისწრაფება აღმოცენებულიყო, რომ „ბრბო“ „ხალხად“ გადაქცეულიყო? რით გამოკეთდა ან რით გაკეთილშობილდა, თუნდაც ერთი ბეწოთი, თქვენით აღტაცებული ეს ბრბო იმის შემდეგ, რაც თქვენ მისი ყურადღება მიიქციეთ გასროლითა თუ ხმაურით? შეარხიეთ თუ არა სამოქმედოდ ის სიმი, რომელიც ყველა პიროვნებისათვის საერთოა? დაუსახეთ თუ არა თქვენ მათ გზა, რომლითაც ყველა გაეშურებოდა? აღმოცენდა თუ არა მათში ურთიერთ ახლონათესაობის, საერთო მიზნის, უწყვეტი კავშირის შეგნება? ეს არ გაგიკეთებიათ, რადგან თქვენ ხელი შეახეთ მხოლოდ თითოეული მათგანის ინდივიდუალურ გატაცებას და არა იმ მხარეებს, რომელნიც აკავშირებენ მათ და ერთ მთლიან, კომპაქტურ მასად შეადუღებენ. თქვენ შიშველი ფაქტი მიაწოდეთ, უამბეთ მისი ისეთი მხარეების შესახებ, რაც თითოე-

ული ცალკე ადამიანის ფუჭ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს და ამით მიაძინეთ გონება. მან ახალი ამბავით გაიგო და, რაკი იფიქრა, საქმე ამით დამთავრდაო, წავიდა სახლში. სულ სხვა რაე მოხდებოდა, თუ იმ ახალი ამბის იმ მხარეებს შეეხებოდით, რომელთაც თქვენი მსმენელების ცხოვრებასთან კავშირი ექნებოდათ და, ააღელვებდა რა მათ გონებას, წააქეზებდა ერთიანობისაკენ, შეაერთებდა მათ ცდებს საქმის გამორკვევისათვის, დაამყარებდა მათ შორის კავშირს საყოველთაო სოლიდარობისათვის... რომელნიც მათში დაფიქრებას გამოიწვევდა.

დიახ, მკითხველი ახლა ბევრია, მაგრამ ეს გარემოება კი არ ამართლებს თანამედროვე ლიტერატურას, არამედ მას ადანაშაულებს. მით უარესი თქვენთვის, თუ ამდენი მკითხველი გყავთ და ვერ შესძელით მათი შთაგონება. თუ ძველად, როცა საზოგადოება აპატიური იყო; როცა ლიტერატურას არ შეეძლო შეხებოდა ამ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებს და, მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდა მისი მისწრაფებები და მისი იდეალები გაეკეთილშობილებინა, რაღა უნდა თქვას თანამედროვე ლიტერატურამ თავის გასამართლებლად, რომელიც არაფერს ამის მსგავსს არ აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მის სიტყვას ყურად იღებს არც თუ ისე ხარბად მკითხველი ბრბო?

მეორენი ამტკიცებენ, რომ ლიტერატურის თანამედროვე დაცემულობა მომდინარეობს ახლანდელი საზოგადოების ზნეობის გაფუჭებისაგან, რომ ახლა დადგა „მჩქეფარე ეპოქა", რომ ახლა მადლი მალაყს გადადის და ამის გამო ლიტერატურას არაფრის თავი არა აქვს. ეს ძველი ჰანგი ჩვენ მოყირჭებული გვაქვს დედაქალაქის გაზეთებშიც, სადაც რამდენიმე წლის წინათ ცრემლნარევად გამოითქმოდა სხვადასხვა დაცემული მწერლების მიერ, რომელთაც ამით თავისი დაცემულობა და უნიჭობა უნდოდათ გაემართლებინათ. ახლა ეს სიმღერა ჩვენში „ტიფლისკი ვესტნიკმა" წამოიწყო. მაგრამ „საზოგადოება", ბატონებო, სრულიადაც არ დაცემულა. შეადარეთ თანამედროვე საზოგადოება ორმოციანი თუ ორმოცდაათიანი წლების საზოგადოებას და დაინახავთ განსხვავებას თანამედროვეთა სასარგებლოდ. წინათ საზოგადოება ჩაფლული იყო გარყვნილებაში; წინათაც ჰყავდათ საყვარლები, წინათაც იღებდნენ ქრთამებს, წინათაც იღუნებოდა ბევრის წელი, წინათაც მიმდინარეობდა დიდი თანხების წაგლეჯა, მაგრამ იმ დროს ყოველივე ეს იყო არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ საზოგადოების ზნეობაში განმტკიცებული მოვლენა. წინათ, გარდა ორი-სამი „უმოწინავესისა", ამგვარი საქციელის სირცხვილს არც არავინ „ჯრანაშ-

და. მოხელე, რომლის ცოლიც აშკარად ასრულებდა ბობოლა კაცის პომპადურის მოვალეობას, გულწმინდად ამაყობდა თავისი „ბედნიერებით". გადაეშვით ოცნებით მხოლოდ ოცი წლის წინა დროში და გაიხსენებთ ყველა ჩვენთვის ნაცნობ თვისებას... წინათ ფავორიტი დაუფარავად ძარცვავდა ხაზინასა და ხალხს, თანაც მთელი საზოგადოების პატივისცემით, სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა. აბა გაიხსენეთ ანდრეევსკი... წინათ ქრთამს აშკარად იღებდნენ, როგორც აშკარად იღებთ ახლა თქვენ ჯამაგირს, და სწორედ ისე როგორც არასოდეს თქვენ თავში ფიქრი არ მოგივათ იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერია აიღოთ თქვენს „შრომაში" ისეთი დიდი თანხა, რომლისთვისაც გაყიდულია გლეხის უკანასკნელი პირუტყვი, ასევე არასოდეს არ ჰქენჯნიდათ სინდისი მიეღოთ „ძღვენი" თანამდებობის შესაფერისად. ვხედავთ ახლა ამას? ახლა არა მხოლოდ მექრთამენი, საყვარლებიც კი ჩრდილს ეფარებიან... ახლა „მადლობის" თქმისასაც ხალხი კედელს ეკვრის თავისი „პატიოსნების" დასამტკიცებლად. ახლა თვით მოიჯარადრე — ბალალაიკინები თავის მოვალეობად თვლიან ყველას და ცალკეულს თავის ამაღლებულ „მისიაში" უცქერდნენ, და განა ეს არ ადასტურებს, რომ საზოგადოება უზნეო საქმიანობას ძველებურად აღარ ეკიდება? ახლა ბანკირებიც კი აღარ ბანკირობენ! საჭიროდ თვლიან დაამტკიცონ, რომ ისინი უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწენი არიან! აბა დაწერეთ „სახალხო სალაროს გამსესხებელზე", რომ ის მევახშეა და ნახავთ როგორ მიგაბრძანებს სისხლის სასამართლოში და დაგიმტკიცებს, რომ იგი წელიწადში მხოლოდ 6 პროცენტს იღებს („შენახვის" გადასახადზე არაფერს იტყვის) და თქვენ იძულებული იქნებით პოლიციის სისხლის სამართლის არქივი გადაქექოთ გასამართლებელი საბუთების მოსაძებნად შესახებ იმისა, რომ 30 წლის წინ იგივე „ბანკირი" („S'il vous plait"[12]) საჯაროდ იქნა გაროზგილი და ციმბირში გაგზავნილი სხვისი ქონებისადმი უცერემონიო დამოკიდებულებისათვის...

არა, ბატონებო, ცოდვაა საზოგადოების ცილის დაწამება, ცოდვაა მით უფრო, რომ ამ საზოგადოების ზურგს უკან დგას ხალხი, თითქმის სრულიად უცოდველი იმ ზნეობრივ დაცემაში, რომელიც საზოგადოებას შეეხო ისტორიული და სხვა მიზეზების გამო. თუ თქვენ ნამდვილად ხელი ჩაიქნიეთ საზოგადოების გარყვნილების გამო, მაშინ მოვალე ხართ მისი განახლება იქადაგოთ გაურყვნელი ხალხისათვის ფართო ასპარეზის გახსნის გზით. თქვენ მოვალე ხართ დააჩქაროთ აღმოცენება და გამარჯვება ახალი საზოგადოებრივი

ფენებისა, რომელნიც ხალხის ხელუხლებელი წიაღიდან გამოდიან. სხვაგვარად მთელი თქვენი იერემიადა სხვა არაფერი იქნება, თუ არა გიჟის დანაშაულის ჭკვიანზე ფარისევლური გადაბრალება...

თუმცა, ამას რას ვამბობთ? საუბარი დავიწყეთ სათეატრო კვირაზე და ღმერთმა იცის საით გადავუხვიეთ. საჩქაროდ უნდა დავუბრუნდეთ თეატრს.

„საუკუნის დევ-გმირი" ჩვენთვის არის ტიპიური წარმომადგენელი იმ ურიცხვი ნაწარმოებებისა, რომელნიც შობა „უთანხმოების ეპოქის" დრამატულმა ლიტერატურამ. სხვა პიესები შეიძლება მეტ-ნაკლები ნიჭიერებითაც იყვნენ დაწერილნი, ვიდრე ეს პიესა, მაგრამ რომელიც არ უნდა აიღოთ, საერთო ნიშნები იგივე იქნება, რაც „საუკუნის დევგმირშია". ჩვენ არაფერი გვესაქმება მასთან, ეს პიესა სხვისაგან არის გადმოღებული თუ ორიგინალურია. ჩვენთვის ეს წვრილმანია. როგორც ტიპიური ეგზემპლარი, ჩვენ თვალში იგი ყველასაგან არის გადმოწერილი და ყველა მისგანაა გადაწერილი. რას წარმოადგენს იგი?

ავტორი უთავბოლოდ დაეხეტება. მას არ აფიქრებს ლიტერატურის საერთო პრინციპები, მისი ფილოსოფიური აზრი და დანიშნულება. იგი განზე გადგა და თავისთვის საქმიანობს „Chacun pour soi"[13] და აი, იმ მიყრუებულ ადგილზე, სადაც მარტო შეეხეტა, იგი ხედავს ფაქტს: პატიოსან ფაქტორს უყვარს მდიდარი ქალიშვილი (500.000 მანეთის მზითვით). გამოჩნდება მოხერხებული მატყუარა, საყვარელი უფროსი დისა, რომელსაც მზითევი არა აქვს. ეს მატყუარა საქმეს აკვარახჭინებს. მოაჯადოებს მდიდარ საპატარძლოს და შეირთავს ცოლად. იგი გაფცქვნის ქალის მამას, ძმას ვალებში ჩასვამს, დედას უკლავს და ა. შ. ამის შესახებ ეუბნებიან ქალს, მაგრამ მას არა ესმის რა, — მას უყვარს და საკუთარ თვალებსაც არ უჯერებს. ბოლოს იგი „გამოფხიზლდა" და ჭკუიდან შეცდა. საქმეც დამთავრდა.

ფაქტი, როგორცა ხედავთ, არაფერ საერთოს, არაფერ ტიპიურს არ შეიცავს. განა ცოტაა ქვეყანაზე სულელი ქალიშვილი, ცოტაა გაიძვერა მატყუარა, განა ცოტა ვინმე ცდება ჭკუიდან და განა ცოტა ვინმე ვარდება ციხეში! მაგრამ, განა ცხოვრებაში გაგიჟებაც, გაღარიბებაც ამისთანა წმინდა შემთხვევითი მიზეზებიდან გამომდინარეობს და არ გააჩნიათ უფრო მეტი საერთო ფესვები? იმ ქალს რომ 500000 მანეთი არა ჰქონოდა, ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა: მატყუარა მეორეს შეირთავდა, ის კი ექიმს გაჰყვებოდა, დედა ცოცხალი იქნებოდა, მამა ისევ მემამულედ დარჩებოდა, ძმა — მოქეიფედ და ა. შ. ეს უბრალო „ანეკდოტია" და სხვ. არა-

ფერი. იგი ნაამბობია გაბედულად და ბრბოც დაინტერესებულია ამით. შემდეგ ფარდა დაეშვება, ხალხი იშლება და ფიქრობს: „რა უცნაური შემთხვევაა“ და ამით ყველაფერი მთავრდება. მის გონებაში არ დარჩება არც ერთი სიცოცხლისუნარიანი ტიპი, არც ერთი ძირითადი აზრი, არც ერთი ცოცხალი შთაბეჭდილება, სულის გამკეთილშობილებელი. ეს იგივე გახლავთ, რაც ქუჩაში ცარიელი ვაზნის გასროლა.

ბრბო მოვიდა, ამთქნარა და წავიდა. ანტრეპრენიორს (აქ არ ვგულისხმობთ უფ. პალმს, არამედ საერთოდ ყველა ანტრეპრენიორს) შეუძლია, რასაკვირველია, უფ. სუვორინის სიტყვებით თქვას: „ნახეთ, რამდენი მაყურებელი გვყავდა. ამდენი მაყურებელი ხომ არ ყოფილა თბილისში თუ ვორონეჟში 1857 წელს „კრეჩინსკის ქორწინების“[14] წარმოდგენაზე“. მართალია, მაგრამ დადგამენ იმავე „საუკუნის დევ-გმირს“ მეორედ თუ მესამედ და თეატრი ცარიელი აღმოჩნდება, ხალხი პირს იბრუნებს. თეატრალური კრიტიკოსი პირველსავე წარმოდგენისას დააკვირდება ხალხის ფიზიონომიას და რადგან შთაგონებას, გატაცებას, აღტაცებას ვერ შეამჩნევს, წავა და თავისას დაწერს: „ხელოვნება იღუპება, სერიოზული ნაწარმოებები საზოგადოებას ვერ იზიდავს, იგი მხოლოდ ოპერეტებით არის გატაცებული!“ აი, წაბრძანდით და დაარწმუნეთ იგი, რომ მისი იერემიადა ავბედითი და უაზროა, რომ ხელოვნება უკვდავია და არ შეიძლება დაიღუპოს; რომ იღუპება მხოლოდ სიყალბე, მხოლოდ ჭორი, მხოლოდ ის, რაც ყალბ ხელოვნებაში კერძო, ინდივიდუალური და წვრილმანია.

მერე რა, დავდგათ ჩვენში ოპერეტები. ჩავარდა „მწვანე კუნძული“[15], დაიღუპა „ფაუსტი უკუღმა“[16], ჩაიშალა „ჟიროფლე“[17]. განა მათში არ იყო „ცოცხალი კასკადური მუსიკა“, განა მცირე იყო მათში უწმაწურობა და შიშველი ქალები? მაგრამ საზოგადოება ვერ მოიხიბლა მით, არ მისცა დღეგრძელობა მათ... შემდეგ დადგეს „მშვენიერი ელენე“, რომელსაც საერთო აღიარება აქვს, დადგეს „მგალობელი ჩიტები“[18], რომელსაც ცნობილი სარჩული უდევს. საზოგადოებამაც აღტაცებით მიიღო ეს ნაწარმოებები, მიუხედავად მათი აღმაშფოთებელი გაფორმებისა, მიუხედავად მსახიობთა ცუდი თამაშისა... რაო! ვერ გაიგო თამაშის ნაკლოვანებანი!? არა, ამ მხრივ იგი განებივრებულია. მის წინაშე ამავე პიესებში თამაშობენ ისეთი ნიჭის მქონენი, როგორც ილოვაისკი, სოკოლოვი, პრავდინი, აბარინოვი და მისთანანი. და მაინც ახლა შინაარსმა გაიტანა დადგმა... მაგრამ ეს მაგალითი მაინც არაა დამაჯერებელი, მაინც შეუძლია შემოგვეპასუხონ: ამ პიე-

სებს წარმატება ხვდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ოფენბახის კანკანურმა მუსიკამ იხსნა ისინი...

კარგით, მაგრამ „რევიზორში" ხომ არაა კანკანური მუსიკა. „რევიზორი" განეკუთვნება სერიოზულ ხელოვნებას, „რევიზორი" ძველია, „რევიზორი" გრძელია, „რევიზორი" გონებას ამოძრავებს, „რევიზორი" ავხორცობას არ ურტყამს, მაშასადამე, თქვენის აზრით, იგი უნდა ჩავარდნილიყო. მას წმინდა ხელოვნების ორი-სამი ქურუმი უნდა მიეზიდა და თანამედროვე საზოგადოებას, გატაცებულს კანკანებითა და გარყვნილს სატურნალიებით, პირი უნდა ებრუნებია მისგან? მაგრამ, ასეა? მაშ პარასკევს თეატრი რად იყო ისე სავსე, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა, რატომ უსმენდა მთელი საზოგადოება ასეთი გულისყურით პიესის თითოეულ ფრაზას, რაც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ზეპირად იცის? რატომაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „რევიზორში" ისეთი მსახიობების თამაში ნახა, როგორიც ვინოგრადოვი, სოკოლოვი, ნილსკი და სხვები არიან, იგი წარმოდგენით კმაყოფილი დარჩა.

იმიტომ, ბატონებო, რომ „რევიზორში" არა არის რა კერძო, ანეკდოტური, შემთხვევითი, ადგილობრივი; თვით ანეკდოტი, გაშოყენებული კომედიის ფაბულად, ქრება და წინა პლანზე დგება ჩვენი სინამდვილის ისეთი მხარეები, ჩვენი ცხოვრების ისეთი ფარული ძალები, რომელთაც რუსი მოქალაქისათვის, რომელ წოდებასაც და რომელ კუთხესაც არ უნდა ეკუთვნოდეს, საერთო მნიშვნელობა გააჩნია. ეს არაა ეპიზოდური შემთხვევის უაზრო შეფარდება, არაა ჟანრული სურათი, არაა ტენდენციური ქადაგება თემაზე: „თუ გინდა მდიდარი ქალი შეირთო — იყავი სათნო", არაა ფოტოგრაფიული სურათი სინამდვილის გარეგნული მხარისა, არამედ მთელი სინამდვილის, მისი მამოძრავებელი ძალებით, ერთ ფოკუსში ჭკვიანური გამოფენაა, განაჩენია ამ სინამდვილის მიმართ. ვუცქერით ამ გამოფენას და უნებურად ვგრძნობთ, რომ იგი ეხება ჩვენ სულს, ჩვენ გულს, იმიტომ, რომ იგი ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი ვითარებაა გამოსახული ჩვენს წინ. და, რადგან პიესაში ჩვენი ცხოვრების საკითხთა გამოძახილს ვნახულობთ, ძალაუნებურად გვიტაცებს, გვზრდის, გვაფიქრებს და ვიწყებთ მახლობელთან ჩვენი კავშირის შეგრძნებას...

აბა სცადეთ ასეთივე ჭკუითა და ასეთივე სიმართლით შეეხოთ ცხოვრების თანამედროვე საკითხებს, სცადეთ ერთი ნაწარმოების ფოკუსში მოაქციოთ ყოველმხრივი და გააზრებული სურათი ჩვენი სინამდვილისა, სცადეთ გადახსნათ ჩვენი იარები, წარმოსთქვათ აზრიანი განაჩენი ჩვენს მდგომარეობაზე და ნახავთ — მომკვდარა თუ

არა ჩვენი საზოგადოება და უდაბნოში ღაღადია თუ არა თქვენი ხმა. მაშინ მთელი საზოგადოება, როგორც ერთი ადამიანი, ისე შეტოკ-დება, ყველას ერთი და იგივე გრძნობა დაეუფლება, და თქვენ დარ-წმუნდებით, რომ ჩვენი დროისათვისაც შესაძლებელია ისეთივე წარ-მატება, რაც ოცდაათიან წლებში ხვდა წილად კომედიას „ვაი ჭკუი-საგან“, ორმოციან წლებში — „რევიზორს“, ორმოცდაათიან წლებ-ში—„საგუბერნიო ნარკვევებს“, ხოლო სამოციანში... ბაგრამ, კმარა.

აქედან — ზნეობრივი სწავლა: „საუკუნის დევ-გმირისა“ და მი-სი მსგავსი ქმნილებების წარმომშობ ლიტერატურას უფლება არა აქვს უსაყვედუროს საზოგადოებას, რომელიც ამისთანა უაზრო-ბით გატაცებაზე უარს ამბობს. თუ ლიტერატურას ღონე არ შეს-წევს საზოგადოებას მისცეს რაიმე აზრიანი და გამძლე, ამაში დამ-ნაშავეა არა საზოგადოება, არამედ უნიჭობა თვით ლიტერატურისა. რომლის თანამედროვე წარმომადგენლები თუ დაბლა არა, ძლიერ მაღლა მაინც არ დგანან თავის საზოგადოებებზე. ხოლო „მდგომა-რეობასა“ და „შეეიწროებაზე“ ჩივილი საჭირო არაა. ამის მსგავსი სიძნელენი მხოლოდ უნიჭოებას აფერხებენ. ლიტერატურის ისტო-რია აქ სახეზეა: რომელ სერიოზულ ტალანტს უშლიდა ხელს ეს „შეზღუდვანი“? პუშკინსა თუ გოგოლს ბელინსკისთან ერთად. შჩედრინსა თუ ოსტროვსკის დობროლუბოვთან ერთად? ვისაც რაი-მე აქვს სათქმელი, ასე თუ ისე, თავისას მაინც იტყვის. განსვენებუ-ლი კუზმა პრუტკოვი სრულიად მართალი იყო, როცა თავის საუც-ხოო აფორიზმს გამოთქვამდა: „ცუდს ვუწოდებ იმ მწერალს, რომ-ლის ნაწარმოებები მოუხერხებელია დაბეჭდვისათვისო“.

3. პასუხი გამოწვევაზე

დღეს „ტიფლისკი ვესტნიკში“ [3] (№ 141) დაბეჭდილია შემდეგი დოკუმენტი, რომელიც გადმომაქვს „ობზორის“ [2] სვეტებზე ყოველგვარი ცვლილების გარეშე:

„ღია წერილი გაზეთ „ობზორის“ რედაქტორ ნიკოლაძეს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენ დაბეჭდეთ „ობზორში“ რიგი წერილებისა (№№ 75, 96. 100, 108. 121. 126, 130, 131, 132, 134), რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩემს სახელს. თქვენ რომ მოგცეთ სრული გასაქანი დამიმტკიცოთ ჩემს წინააღმდეგ მომართული ბრალდებები, გიწვევთ ღირსების სამსჯავროში. მან გადაწყვიტოს, თუ რაოდენ საფუძვლიანია ეს ბრალდებები, რა მოტივით არიან ისინი გამოწვეული, განსაზღვროს ყველა აღნიშნული სტატიის ხასიათი ერთობლივად და გამოიტანოს განაჩენი. და თვითეული ჩვენგანის საქციელს დამსახურებულად დაარქვას თავისი სახელი. ჩვენ ორთავე უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ განაჩენს, რომელიც უნდა დაიბეჭდოს „ობზორშიც“. სამედიატორო მოსამართლეებად ვასახელებ შემდეგ პირებს: ვ. ნ. აბულაძე, თავ. ი. ა. ანდრონიკაშვილი, ე. გ. ჰეიდენბაუმი, ნ. ი. ეორონოვი, გ. ვ. ევანგულოვი, გ. ნ. მელეგი, ნ. ი. მელიქ-კარაკოზოვი და დ. ი. ყიფიანი. თქვენ შეგიძლიათ, თუ საჭიროთ სცნობთ, შეამციროთ მათი რიცხვი.

ბ. ღოლობერიძე“.

ამ „ღია წერილმა“ შესაძლოა მკითხველ საზოგადოებაში დიდი გაუგებრობა გამოიწვიოს, მაგრამ ჩემთვის იგი ნათელია, როგორც მზიანი ცისმარე დღე. ეს უკან დახევის შენიღბული ცდაა, თუ ღირსეულად არა, ყოველ შემთხვევაში, მისდაგვარად მაინც. მე საერთოდ დიდად არ ვაფასებ ბ. ღოლობერიძის გონებრივ უნარს. მაგრამ მაინც არ შემიძლია დავუშვა, რომ ის იყოს ისეთი, როგორც გვაჩვენებს თავს ამ წერილში. „სამედიატორო სასამართლო“ არ არის ისეთი ბხალი რამ, რომელზედაც არ ჰქონდეს მას ოდნავი წარმოდგენა, როცა ეაჭარმა ბიჭუნებმაც კი იციან, როგორ სდგება ის. უნდა იყო გიჟი, ასეთად აღიარებული საგუბერნიო საერთო საკრებულოს სამმართველოს მიერ, რომ სამედიატორო სასამართლოს სთვლიდე ისეთად, რომელიც შესდგება მხოლოდ ერთი მხარის მიერ მოკრებილი წევრებისაგან, მეორე მხარეს კი ეძლევა უფლება მხოლოდ „შეამციროს ეს რიცხვი“ მოსამართლეთა. მაგრამ ასე-

თი სიგიჟეც არ არის საკმარისი, რომ შთააგონო საკუთარ თავს სამედიატორო სასამართლოს, ღირსების სამსჯავროს გადაქცევა ცალმხრივ სამსჯავროდ ჩვენი წერილების საფუძვლიანობის დასადგენად და მსჯავრის დასადებად.

ბ-ნი ღოღობერიძე ბავშვი არ არის, არ ესმოდეს, რომ სამედიატორო სასამართლოზე ორთავე მხარე თანასწორუფლებიანია, ორთავე ასამართლებს, ორთავე ამტკიცებს თავის სიმართლეს. ბ-ნ ღოღობერიძეს კი სურს დარჩეს როგორც მაყურებელი, სურს, რომ ჩვენ ვამტკიცოთ ჩვენი სიმართლე, რომ სასამართლომ „განსაზღვროს აღნიშნული წერილების ხასიათი". ხოლო იმაზე, რომ სასამართლომ დაადგინოს ბანკის წესდების შედგენის ხასიათი, მისი საქმეების წარმართვა და სხვა, ის შეგნებულად სდუმს.

საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე რომ ვთარგმნოთ. უფ. ღოღობერიძის წინადადებები ასეთია: „მე შევარჩიე ჩემი მეგობრები, შევადგინე მათგან ტრიბუნალი, მობრძანდით, გაიმართლეთ ძის წინაშე თავი და მოისმინეთ როგორ განაჩენს გამოიტანს ის თქვენზე".

ვიმეორებ, ბ-ნი ღოღობერიძე არც ისე სულელია, რომ იმედი ჰქონებოდა ასეთ მზაკვრულ ხაფანგში ჩემი შეტყუებისა. მან კარგად იცის, ჩემთვის რომ მოეცა უფლება სასამართლოს წევრების შეკრებისა, ჩემს მიერ შედგენილი სასამართლო გამოიტანდა განაჩენს, რომ ბ-ნ ღოღობერიძეს, სულ მცირე, ეკუთვნის ჩამოხრჩობა, შემდეგ კი „განსაკუთრებული გაწკეპვლა".

მაშასადამე, ბ-ნმა ღოღობერიძემ მომცა წინადადება ჩემი უარის ვარაუდით. ის მსჯელობდა ასე: ორიდან — ერთი: ან ნიკოლაძე დათანხმდება სულელურად და ჩემი მსაჯულები დაადებენ მსჯავრს, ანდა ის იტყვის, რომ ეს მახეა, და მაშინ მე ამშორდება შემდგომი უსიამოვნებები, დავიწყებ მტკიცებას — ნიკოლაძემ ვერ გაბედა გამოწვევის მიღებათქო.

როგორც ხედავთ, გაანგარიშება არ არის სულელური: მეზურნეები დაიყვირებენ „გამარჯვების" საყვირებს, ბანკის საქმეები კი დარჩება ისევ სიბნელეში...

მართლაც, საჭირო გახდა ორ თვეზე მეტი იმისათვის, რომ მას ასეთი სიმახინჯე მოეფიქრებინა. მაგრამ ყოველივე ეს როგორ კარგად გვიხატავს ბ-ნ ღოღობერიძის ჭკუასა და გულს!

საწყალი, იგი ფიქრობს, რომ მსგავსი ოინებით შეიძლება ღირსების აღდგენა და მოწინააღმდეგის განადგურება. ის ფიქრობს, რომ პრესაში, საჯარო ბეჭდვით სიტყვაში, მთელი საზოგადოების

წინაშე, ჭორაობისათვის შესაფერი ხერხებით მიაღწიოს სიმართლეს.

ძე შემეძლო გულისწყრომით უკუმეგდო ეს ულირსი გამოწვევა, შემეძლო მეთქვა: ბ-ნი ღოღობერიძე ან სულ მთლად ისე უმეცარია, რომ ვერ ხედავს თავის მდგომარეობის მთელ უხამსობას და ამ შემთხვევაში შეიძლება ჩემი მხილებები ჩავთვალოთ სავსებით დამტკიცებულად, ანდა მას კარგად აქვს შეგნებული ამ პირობების მნიშვნელობა და პატიოსან ბრძოლას განზრახ აქცევს უპატიოსნო მახედ. საზოგადოებაც, რომელიც ტაშს უკრავდა „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორს, როდესაც მან მსგავსი მოსაზრების საფუძველზე უარყო ერთ-ერთი თავისი მოწინააღმდეგის გამოწვევა, დაასკვნიდა, რომ მე სრულიად მართალი ვარ. მაგრამ არ მინდა ბ-ნ ღოღობერიძეს მივცე თუნდაც პატარა ხელჩასაკიდი თავის დასაძვრენად და ვღებულობ მის გამოწვევას, ზოგიერთი შეზღუდვით. დაე საზოგადოებამ შეადაროს ჩემი პირობები ბ-ნ ღოღობერიძის პირობებს და თქვას ვის მხარეზეა პატიოსნება, ურომლისოდაც ყოველგვარი ბრძოლა სამარცხვინოა.

მე ვასწავლი ბ. ღოღობერიძეს, თუ მან არ იცის, როგორ სდგება სამედიატორო სასამართლო.

უპირველეს ყოვლისა, ორთავე მხარეს აქვს თანაბარი უფლება ერთი და იმავე რაოდენობით აირჩიოს სასამართლოს წევრები 2, 3 და მეტი რაოდენობით თვითეული მხარიდან. ორივე მხარის მიერ არჩეული წევრები ირჩევენ თავიანთ თავმჯდომარეს. მსაჯულების არჩევასთან ერთად, სანამ დაიწყებოდეს მათი მუშაობა. სდგება მხარეთა შორის სამედიატორო ჩანაწერი, რომელშიც დაწერილებით უნდა გაირკვეს: სახელდობრ რა საკითხების გადაწყვეტა ექვემდებარება სასამართლოს, ვის რაში ედება ბრალი, რა წესით ხდება სასამართლო, სად, როდის, ვისი თანდასწრებით, და ექვემდებარება თუ არა მისი განაჩენი გასაჩივრებას ან საჯაროდ გამოტანას?

ბ-ნი ღოღობერიძე ვალდებული იყო, სანამ ჩამოაყალიბებდა თავის წერილში სასამართლოს პროგრამას და დაასახელებდა მის შემადგენლობას, თუ გულწრფელად სურდა ღირსების სამსჯავრო, გამოეგზავნა რწმუნებული, რომელიც ჩემთან, ან ჩემ რწმუნებულთან ერთად, გამოიმუშავებდა მსგავს სამედიატორო ჩანაწერს.

ამასთან, მე თუ წარმოვადგენდი რაიმე გადამეტებულ მოთხოვნას, ბ-ნ ღოღობერიძეს ექნებოდა უფლება მიემართა საზოგადოებისათვის და ეთქვა, რომ ჩემი მოთხოვნილების გადაჭარბება და მეძიებლობა მიმართულია სასამართლოს აცილებისაკენ.

ბ-ნმა ღოღობერიძემ არაფერი ამგვარი არ გააკეთა. კეთილინებოს, შეიწუხოს თავი და დაიწყოს თავიდან.

ჩემი მოთხოვნები შემიძლია გამოვთქვა ახლავე, ისინი იქნება სავსებით ზომიერი, ამასთანავე ისეთი, რომელთა საფუძვლიანობაზე მთელი საზოგადოება მოაწერს ხელს.

მე მოვითხოვ, მაგალითად: რომ ყველა მსაჯული იყოს სრულიად კომპეტენტური პირი, სახელგანთქმული (რომ მათი განაჩენი რაიმედ ღირდეს საზოგადოების თვალში), რომ თვითეულ მხარეს უფლება ჰქონდეს აცილება მისცეს მოპირდაპირე მხარის მსაჯულს (იმ შემთხვევაში, ვთქვათ, თუ მე, დაცინვის მიზნით, ვიფიქრე დამესახელებინა სასამართლოს შემადგენლობაში ჩემი მსახური); რადგან ბ-ნ ღოღობერიძესთან ჩვენ ვაწარმოებთ არა ფულად ანგარიშსწორებას, მსაჯულთა პიროვნება, ვფიქრობ, უნდა იდგეს დავის საგნისა და მოდავეთა ღირსების დონეზე. მოვითხოვ, რომ მე მომეცეს უფლება ვქექო მიხაილოვის ბანკის საქმეები და წამოვიღო იქიდან ასლები ყველა საჭირო ქაღალდისა. მოვითხოვ აგრეთვე, რომ სასამართლოს სხდომაზე დაშვებულ იქნას საზოგადოება, რომ მხარეთა კამათი იწერებოდეს და იბეჭდებოდეს საერთო ცნობარში და სხვა. დასასრულ ერთი განმარტება, რომლის საფუძვლიანობასაც არ შეხვდება რაიმე წინააღმდეგობა: მე ვთხოულობ, რომ ამ სასამართლოს განაჩენს ექვემდებარებოდეს საკითხების სამი ჯგუფი: 1. საკითხები, რომლებიც შეეხება პერიოდს მიხაილოვის სამიწათმოქმედო ბანკის დაარსებამდე და მის საქმის წარმოებას; 2. ბ-ნ ღოღობერიძისა და მისი ხროვის საქმიანობის შეფასება ჩემს მიერ და 3. ჩემი შეფასება ღოღობერიძისა და მისი ხროვის მიერ, ბ. ქუთაისელის სტატიის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს წმინდა წყლის ცილისწამებას. თუ სასამართლოს ექვემდებარება ჩემი გულმართალი მხილება, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს იმავე სასამართლოს ექვემდებარებოდეს ის ცილისწამებაც, რომელიც ვრცელდებოდა და უკვე რამდენიმე წელია ვრცელდება ჩემზე. თუმცა, მე დაჟინებით არ მოვითხოვ ამ მოთხოვნების შეუცვლელობას. შეუცვლელად მინდა დარჩეს ერთი რამ: დაუშვან სასამართლოს სხდომათა სრული საჯარობა. დანარჩენი მოთხოვნების შესახებ შეგვიძლია შევთანხმდეთ და პირობას ვიძლევი ვიყო დამთმობი, რამდენადაც ამის ნებას იძლევა დავის ღირსება და ინტერესი.

გადავდივარ რა სასამართლოს შემადგენლობასა და არჩევაზე, რაც წინასწარ გააკეთა ბ. ღოღობერიძემ, ახლავე უნდა განვაცხადო უცნაურობა ამ შემადგენლობისა. დავის გადასაჭრელად, რომელშიც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის აგრარული მდგომარე-

ობა, მდგომარეობა ძისი მიწათმფლობელი წოდებისა, საბანკო საქ-ძის ფინანსიური მხარე, მოსახლეობის მოთხოვნილებანი, საჭირო-ებანი და სხვა, ბ-ნი ღოღობერიძე გვთავაზობს პირებს, რომელ-თათვისაც უცხოა ყველა ეს საკითხი. რით და როდის გამოიჩინეს თავი ბ. ბ. აბულაძემ, ევანგულოვმა, მელეგიმ და მელიქ-კარაკო-ზოვმა, ეს არ ვიცი და, ვფიქრობ, „ობზორის“ [2] მკითხველებმა პირ-ველად გაიგონეს ეს სახელები, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა. თუ რა ფასი ექნება მათ განაჩენს ჩემსა და საზოგადოების თვალში. ამასთანავე, „კავკაზის“[19] რედაქტორ ბ-ნ ვორონოვის „ობზორის“ რე-დაქტორის მსჯულად დანიშვნა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უც-ნაურობაა. ბ-ნი ვეიდენბაუმი ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდაა და ძა-ლიან მოხარული ვიქნები ვიხილო ის ჩემს მსჯულთა შორის, მაგ-რამ, ვფიქრობ, ის თვითონ უხერხულად იგრძნობს თავს, მიიღოს მონაწილეობა არაკომპეტენტურ მსჯულთა სხდომებში. თავად ი. ანდრონიკაშვილის შესახებ არაფერი მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ ის არის თბილისის საადგილმამულო ბანკის სამეთ-ვალყურეო კომიტეტის წევრი და მისთვის უხერხული იქ-ნება მსჯავრის დადება ქუთაისის ბანკზე მსგავსი მოქმედებისათვის. თუმცა სრულ თანხმობას ვაცხადებ მის მონაწილეობაზე სასამარ-თლოში, როგორც დ. ი. ყიფიანისა, მიუხედავად იმისა, რომ ის ნა-თესავია en chef-ის მეზურნეთა ხროვიდან.

ჩემის აზრით, აუცილებელია სასამართლოზე დასწრება ისეთი პირებისა, რომელთა სპეციალობა უზრუნველყოფს მათი განაჩენის საფუძვლიანობას. აგრარული საკითხები და მასთან თანმხლები სა-იპოტეკო საკითხი, როგორც ცნობილია, კარგად ესმის ბ-ნ კუჩა-ევს; სამეჯნაო საქმის მდგომარეობა არანაკლებ ესმის ე. პ. სტარიც-კის; საფინანსო საკითხები შეადგენს ბ-ნ კაიდანოვის სპეციალობას; ლიტერატურული პოლემიკის ადათ-წესები ცნობილია ბ-ნ ვეი-დენბაუმისათვის; იმერეთის მიწათმფლობელობის მდგომარეობა ესმის დ. დ. ჯორჯაძეს და ა. შ. მე არ მოვითხოვ დაბეჯითებით სწო-რედ დასახელებული პირების არჩევას (შეამოწმეთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ ბევრი მათგანი თვალით არ მინახავს, ზოგს კი ვიცნობ მხოლოდ სალმით და არც ერთ მათგანთან მეგობრულ და ნათესაურ კავშირში არ ვარ). მაგრამ მე მივუთითებ წესზე, რომ-ლითაც უნდა ჩამოყალიბდეს ღირსების სასამართლო, რომელმაც უნდა გაარჩიოს სერიოზული დავა. თქვენ თუ იცნობთ უკეთეს სპეციალისტებს დაასახელეთ, სიამოვნებით მივიღებ მათ.

ერთი სიტყვით, დაიწყეთ თავიდან, რწმუნებულის გამოგზავ-

ნით. უპირველეს ყოვლისა, შევადგინოთ ჩანაწერები და შევჩერ-
დეთ მსაჯულების არჩევაზე.

ამასთან, ბ-ნი ღოღობერიძე ნუ კარგავს ზედმეტ დროს თავისი
გამოწვევების გზავნით „ტიფლისკი ვესტნიკში“. ვფიქრობ, მას შე-
ეძლო დარწმუნებულიყო, რომ არ მეშინია მისი წერილებისა და
არ ვმალავ მათ ჩემი მკითხველებისაგან. განა არ აჯობებს, რომ ისინი
პირდაპირ ჩემთან გამოგზავნოს „ობზორში“?

4. საკვირაო საუბარი

და მეც კონგრესის შესახებ. — მისი მნიშვნელობა. — რით შეიძლება მიიგონოს ის მომავალმა საუკუნეებმა? — ჩამოხრჩობილი, გამოცხადებული ჩამოხრჩობის წარმომადგენლად.—არგუმენტაცია კონგრესზე და „მტკიცება კონგრესისაგან".—ორიგინალური, მაგრამ უცილობელი მოსაზრებები.—როგორ მართავენ ციფრები აამყაროს.—ძლიერთან უძლური ყოველთვის დამნაშავეა.—გენერალი ფალკენგაგენი — რიონის დუნიაზე გამცველი. — როგორ დგამდა ის ბარაკებს. —„თქვენო აღმატებულებავ, თქვენ გეკუთვნით ჩამოხრჩობა". ადამიანების ჩამოხრჩობის ახალი ხერხი, ახალი გარიგებების მიცემით.—ჩემ მიერ აღმოჩენილი ახალი კანონები.—თავადი ი. ორბელიანის გმირობა—ბედშაკი ბედისწერა ბ-ნ გუდიმ-ლევკოვიჩისა. „რის გულისათვის?". — გრძელი მსჯელობა თემაზე: ტყუილებრალდ არ სცემენ. —გაფრთხილება. რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება მიღებული. — დღეს და ხვალ. — ხალხის ვალი.

ბერლინის კონგრესი[29] ბევრს აინტერესებს სხვადასხვა თვალსაზრისით. ერთნი გულის ფანცქალით ელიან მისგან საბედისწერო საკითხების გადაწყვეტას: „იქნება თუ არა ომი". მეორენი არანაკლები დაძაბულობით ეკითხებიან საკუთარ თავს — გაანთავისუფლებს თუ არა ეს კონგრესი მათ სამშობლოს ან ეროვნებას...

ცოდვილ კაცს, მე არ დამიყენებია და არც შემიძლია დავაყენო მსგავსი საკითხები. მე ვეკუთვნი იმ პირთა რიცხვს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, ბისმარკის მსგავსად, რომ დიდმნიშვნელოვანი საკითხები წყდება „კონგრესის გარეშე"; ამიტომ მჯერა, რომ რაც მოსახდენია იმას ვერ ავშორდებით კონგრესის გამო. ამიტომ, როცა მინდა გადავწყვიტო ანდა გამოვიცნო ჩემთვის საკითხი ზავისა და ომის შესახებ, მე თვალს ვაპყრობ სრულიადაც არა კონგრესს... მეორე მხრივ, კარგად ვიცი, რომ კონგრესზე არასოდეს არ იქნება ლაპარაკი ჩემი სამშობლოს ან ჩემი ერის განთავისუფლების შესახებ და, უნდა გამოვტყდე, არც ვთვლი საჭიროდ და საპატიოდ „კონგრესის გზით" განთავისუფლებას... სამაგიეროდ, ის იტაცებს მთელ ჩემს ყურადღებას თავისი მოღვაწეობის ერთი ისეთი მხარით, რაც სხვებს ნაკლებად აინტერესებთ, მიუხედავად მისი სიახლისა და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისა.

გავა წლები. კაცობრიობა დაივიწყებს ყველა ამ კორტებისა და

ვადინგტონების, უბრიების და ბიკონსფილდების არსებობას. ბერლინის კონგრესზე ჩვენს შთამომავლობას ემახსოვრება იმდენივე, რამდენიც, მკითხველო, ჩვენ გვახსოვს ლაიბახსზე. კეთილი გერმანელები მომავალი საუკუნეებისა ბუნდოვნად მოიგონებენ ბისმარკს — გერმანიის ერთიანობის შემქმნელს. ისტორიული კურიოზების მოყვარულები მოუთხრობენ ერთიმეორეს ანდრაშის უცნაურ ბედისწერას, რომელსაც 1849 წელს, იმპერატორ ფრანც იოსების მიერ, მისჯილი ჰქონდა ჩამოხრჩობა და 30 წლის შემდეგ გამოცხადდა კონგრესზე იმავე იმპერატორის სრულუფლებიან წარმომადგენლად... არავითარი სხვა მოგონებები ხალხის მახსოვრობაში. მაგრამ ფილოსოფიის ისტორიკოსებს და ლოგიკის უკანასკნელ მოგიკანებს ემახსოვრებათ იგი, ვიდრე სამყარო არსებობს. მომავალი საუკუნეების სემინარისტები დაიწყებენ მისი დადგენილებების ზუთხვას და ლოგიკის პროფესორები უკუნისიდან-უკუნისამდე მიუძღვიან მას ლექციებისა და ჩანაწერების საუკეთესო ფურცლებს.

საქმე ისაა, რომ ამ კონგრესმა საქმისათვის თითქმის პირველად გამოიყენა, წმინდა ბისმარკული გულახდილობით, არგუმენტაციისა და ლოგიკური მტკიცებების სრულიად ახალი ხერხი. ხუთი წლის უკან, როცა შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ზრუნვა ყველა საერთაშორისო საკითხის სამედიატორო სასამართლოს სამშვიდობო ასპარეზზე გადატანისათვის, ჩემმა ფანტაზიამ წარმომიდგინა სურათი ამ სასამართლოს მომავალი სხდომებისა. მე არ ვფიქრობდი, რომ ფანტასტიკური სურათი, დახატული მაშინ ჩემს მიერ [21] გაზეთ „დროებაში“ [22], ასე მალე გადაიქცეოდა სინამდვილედ. მაგრამ ახლა, როდესაც მოვლენებმა განახორციელეს ფანტაზია, საჭიროა მ̣ისთვის კვლავ ხელის მოკიდება.

აქამდე არსებობდა არგუმენტაციისა და მტკიცების სხვადასხვა ხერხები. რა არის „მტკიცება საწინააღმდეგოთი“, „მტკიცება შედარებებით“ და სხვ., ეს ცნობილია ყველასათვის, განსაკუთრებით კი სემინარიის მოსწავლეთათვის. ბერლინის კონგრესმა გააშუქა ახლა ახალი რიგი მტკიცებებისა, რომლებსაც მომავალი გოგოცკების „ლოგიკაში“ უნდა გამოეყოს ცალკე თავი რუბრიკით „მტკიცებები კონგრესისაგან“.

იცით თუ არა, როგორი ლოგიკური მოსაზრებებით და დასკვნებით წყდება დავა და საკითხები კონგრესზე?

დგება თავადი გორჩაკოვი რუსეთის სახელით და წარმოთქვამს დაახლოებით ასეთ სიტყვას: პატივცემულო კოლეგებო, რუსეთმა შეისმინა თურქეთის მიერ დაჩაგრული ხალხის გოდება და იშიშვლა თავისი ხმალი მათ გასათავისუფლებლათ. მან შესწირა

ასეული მილიონი მანეთი, — რომელთა შოვნა ასე ძნელია, — და მის მოქალაქეთა ასეული ათასობით სიცოცხლე. ომის ღმერთმა მისი მხარე დაიჭირა. მან დაამარცხა მოწინააღმდეგე. ახლა, გამომდინარე დამონებული ხალხის ინტერესებიდან და სამღვთო სამართლისადმი ყურადღებიდან, თქვენ უნდა სცნოთ და დაადგინოთ ჩვენი მსხვერპლის შედეგები.

ამგვარმა სიტყვამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა თვალთახედვიდან გამომდინარე ბევრი შეპასუხება... მაგრამ არავინ ხმას არ იღებს... მხოლოდ ბიკონსფილდი დგება, რათა თქვას: რუსეთი დაიღალა შარშანდელი ომით, მას ფული ცოტა აქვს. ინგლისს კი შესაძლებლობა აქვს არ შეჩერდეს, ისე ჩაატაროს რამდენიმე კომპანია. ინგლისი არ სცნობს მომხდარ ამბებს.

და ის წყნარად დაჯდება თავის ადგილზე.

„პატიოსანი მაკლერი", რომელიც კონგრესს თავმჯდომარეობს, გახსნის მაშინ თავის პორტფელს და წარმოთქვამს, დაახლოებით, ასეთ სიტყვას:

— ევროპის ხალხებო, ანუ მათო მმართველებო! პატივცემულმა პრეოპინანტმა სწორად დააყენა საკითხი. მართლაც, გავეცანით რა ციფრებს, დავინახეთ, რომ რუსეთს ძალიან ცოტა ჰყავს ახალი დივიზიები. ინგლისს, როგორც ჩანს „Almanach Eotha"-დან და სხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან, შეუძლია გამოიყვანოს 400 ათასამდე ვარგისი მეომარი. მოკავშირეებთან ერთად, რომლებიც მას შეუძლია იყიდოს, ადვილად შეუძლია თავისი არგუმენტაციის რაოდენობა აიყვანოს ერთ მილიონ ხიშტსა და ხმალამდე. აქედან ნათელია, რომ რუსეთმა უნდა დათმოს...

დამსწრენი — კორტები და უბრები, ვადინგტონები და ანდრაშები და სხვები და სხვები — თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ აქნევენ თავებს.

სურათი მეორე. შემოდიან რუმინეთის წარმომადგენლები, მჭევრმეტყველური საჩივრით...

რუმინეთს არ უნდა დობრუჯი, განაცხადებენ ისინი. ის იცავს თავის ბესარაბიას. თქვენ გამოდიხართ ტრაქტატებისადმი პატივისცემის პრინციპიდან. ამავე დროს, ბესარაბია ჩვენ გვეკუთვნის პარიზის საზავო ხელშეკრულებით[23]. მის მოსახლეობას ჩვენთან უნდა ცხოვრება. ჩვენ არავითარი ცოდვა არა გვაქვს რუსეთის მიმართ. ვემსახურებოდით მას რწმენით და სიმართლით. ის ჩვენ არ გვეომებოდა. ტრაქტატების, ეროვნული პრინციპებისა და სამართლიანობის სახელით გეევედრებით საქმე გადაწყვიტეთ ჩვენს სასარგებლოდ, დაგვიფარეთ ჩვენ...

გრაფი შუვალოვი გაიმეორებს ბიკონსფილდის არგუმენტაციას, ხოლო ბისმარკი წარმოთქვამს შემდეგი შინაარსის სიტყვებს:

„ვითვალისწინებთ რა:

1. რომ რუსეთის მოსახლეობა არ აღემატება 5.073000 სულს, რომელთაგან მხოლოდ 2454864 ეკუთვნის მამრობით სქესს;

2. რომ მისი სამხედრო შეიარაღებული ძალა არ აღემატება 144668 კაცს და 288 ქვემეხს;

3. რომ რუსეთი, პირიქით, ფლობს ძალებს, რომლებიც ათჯერ აჭარბებს ზემოაღნიშნულს;

ბერლინის კონგრესი ადგენს: „უარი ეთქვას რუმინეთს მაძიებლობაში, დაეკისროს მას სამხედრო ხარჯები“.

ყველა დამსწრის ერთსულოვანი თანხმობა ადასტურებს და ამტკიცებს ამ განაჩენს.

ზუსტად იგივე მოხდება ავსტრიასა და სერბიას შორის, ავსტრიასა და საბერძნეთს შორის. აი რატომ მივიღებთ დღევანდელის მსგავს დეპეშებს:

„ბისმარკი ფიქრობს ბოლოს და ბოლოს დაუთმოს ავსტრიას, მაგრამ საბერძნეთს კი არა“.

არ ვიცი წავიკითხე ეს ახალი ამბავი სადმე, თუ უბრალოდ დაშესიზმრა. მაგრამ არსებითად საქმე იმაშია, რომ ბერლინის კონგრესის ავტოგრაფების ალბომში ჩვენმა გონებამახვილმა კანცლერმა თავისი ჩვეულებრივი გესლიანობით ჩაწერა პირველსავე გვერდზე კრილოვის ცნობილი აფორიზმი: „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი!“ რა დასანანია, რომ ეს გამოთქმა არ არის გამოკრული კონგრესის შენობის ფასადზე... როგორ მოუხდებოდა ის დიდი დიპლომატების საყუდელს, რომლებიც „მშვიდობის გზით“ „სამართლიანად“ წყვეტენ საერთაშორისო დავებს, ვითომდა უხეში ძალის ასალაგმავად!

* * *

გადავიდეთ საშინაო საქმეებზე. გუშინ წავიკითხე ცნობა იმის შესახებ. რომ გრეგრის, კოგანის და კომპანიის ამხანაგობაში მომხდარი ბოროტმოქმედების გამო, მოქმედი არმიის სურსათით მომარაგება დაკისრებული აქვს ახალ კომპანიას, რომელიც ჩამოაყალიბა ბ-მა ფალკენგაგენმა.

დუნაის არმიის ერთ-ერთმა „მომმარაგებელმა“ ამასწინათ გულჩუყებულმა მიამბო ისტორია ერთი შესანიშნავი მომარაგებისა, რომელიც გასულ წელს ბ-ნ ფალკენგანგენს დაეკისრა. შემოდგომა აბ-

ლოვდებოდა, ჯარი კი უკარვებოდ და უბარაკებოდ იყო. აუცილებელი იყო ჯარისკაცებისათვის თავშესაფარის მიჩნევა. გამოცხადდა ფალკენგაგენი. მან იკისრა რკინის ბარაკების ჩამოტანა ინგლისიდან. მისცეს უამრავი ფული და გაამგზავრეს. გადის ვადა, ბარაკები არ ჩანს. ბოლოს გამოჩნდა ბ-ნი ფალკენგაგენი, რასაკვირველია, ბარაკების გარეშე. ინგლისმა ბარაკები არ გასცა შურისა და ხრიკების გამოო. გენერალმა, რომელიც განაგებდა საქმეს, თავი ვეღარ შეიკავა და ბრაზმორეულმა პირდაპირ მიახალა ბ-ნ ფალკენგაგენს: ამ დანაშაულისათვის თქვენთვის უმცირესი სასჯელი იქნებოდა ჩამოხრჩობა.

ერთი კვირის შემდეგ ბ-ნ ფალკენგაგენს გამოუძახეს შტაბში. მოსალოდნელი იყო სამხედრო სასამართლოს კომისიის დანიშვნა 24 საათში. გავიდა ეს დროც და ბ-ნი ფალკენგაგენი ნაცნობებს გამოეცხადა ლურჯი ქაღალდით. მაგრამ ის იყო არა განაჩენი, არამედ ხელშეკრულება რამდენიმე ასეული ათასი ცალი ჯუბაჩის მიწოდებაზე. რას იზამ, ბარაკების უქონლობისას შეიძლება შეურიგდე ჯუბაჩებსაც. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ჯუბაჩებიც არ მოიტანეს და...

განა საკვირველი იქნებოდა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ბ-ნ ფალკენგაგენს იჯარა მიეღო მთელი მოქმედი არმიის სურსათით მომარაგებისა?

ოდესღაც მეც მივსდევდი დიდ აღმოჩენებს და გამოგონებებს მეცნიერებათა სფეროში. ჩემი ახალგაზრდობის დროს, როდესაც გატაცებული ვიყავი სოციალური ეკონომიით, აღმოვაჩინე და დავამტკიცე კანონი, რომ „გასამრჯელო შრომის უკუპროპორციულია". ჩემ მიერ აღმოჩენილ ბევრ მსგავს კანონთა რიცხვს ახლა უნდა დაემატოს უკანასკნელი აღმოჩენა: რაც უფრო უწესოა მოიჯარადრე, მით უფრო ადვილია მისთვის ახალი იჯარების მიღება.

რასაკვირველია, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს პარადოქსია. ცდებით! წარმოიდგინეთ მხოლოდ: რა ძალა აღგია წესიერ მოიჯარადრეს თავისი მოგება გაუნაწილოს სხვას, ვინც არ უნდა იყოს ის? აქედან გამომდინარე, ვის რა სურვილი უნდა ქონდეს საქმე დაიჭიროს წესიერ მოიჯარადრესთან?

* * *

არ იფიქროთ ღვთის გულისათვის, რომ წერას დავიწყებ სიღნაღის მღელვარებაზე. ღმერთმა დამიფაროს, მინდა ვესაუბრო „ობზორის"[2] მკითხველებს და არა მარტო მის კორექტორს, რაც

მე არაიშვიათად მემართება... ამიტომ მთელი ამ ისტორიიდან შევ-ჩერდები მხოლოდ ერთ წვრილმანზე. ჩემი ტვინის ყოვლად უცნაუ-რი ხასიათის გამო ეს წვრილმანი, რომელსაც ვერავინ ამჩნევს, მე, მეჩვენება სიღნაღის მთელი საქმის დიდ და მნიშვნელოვან მხარედ...

თქვენ გახსოვთ ალბათ ერთ-ერთი დამსწრის მშვენიერი მოთხ-რობა, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. იცით, ყველაზე უფრო რამ იმოქმედა ჩემს ნერვებზე მთელი ამ მოთხრო-ბიდან?

ალბათ ფიქრობთ — გმირულმა საქმემ თავად ი. ორბელიანისა, რომელიც უკრძალავს თავის ადიუტანტს გამოიყენოს იარაღი, იცის-რა, რომ პირველი გასროლისთანავე დაიღვრება სისხლი, და რომ-ელიც ამჯობინებს გაშმაგებული ბრბოს მსხვერპლი გახდეს? არა-უდავოდ საგმირო საქმეა, სასწაულებრივია, მაგრამ მე ამას შეჩვე-ული ვარ, საგმირო საქმეები ჩვენთან იშვიათი არაა...

გამაოცა ორმა სიტყვამ, რომელიც წამოიძახა თბილისის საოლ-ქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა ბ-ნმა გუდიმ-ლევკოვიჩ-მა, როცა ის სტუმრად იყო ჩასული ბაკურციხეში და სულითა და ხორცით უდანაშაულო იყო სიღნაღის საქმეებში: „რის გულისათ-ვის“ შეშფოთებით ეკითხებოდა ის დამსწრეთ, როდესაც ნაცემი და გასისხლიანებული მიიყვანეს სადგურში.

აი ეს „რის გულისათვის“ მეჩვენა საქმის მნიშვნელოვან მხა-რედ და ყველაზე უფრო იმოქმედა ჩემზე.

მართლაც, რაში იყო დამნაშავე ბ. გუდიმ-ლევკოვიჩი და „რის გულისთვის“ სცემეს მას ასე სასტიკად? განა მან მიიღო მონაწი-ლეობა მილიციის მოგროვებაში, განა ურჩევდა სოფლის მამასახ-ლისებს ტყავი გაეძროთ ხალხისათვის? იგი პროკურორის ამხანა-გია. ხალხი, რომელიც მას იცნობს, გვარწმუნებს, რომ ის პატიო-სანი და წესიერი კაცია. კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მო-ვალეობას, საზოგადოების სათნო წევრია, განათლებული და ჰუმა-ნური ადამიანია; არავისათვის არასოდეს არ უწყენინებია, არავინ გაუქურდავს, არავის აგდებულად არ მოქცევია თავის ცხოვრებაში. პირიქით, ის ყოველთვის მხურვალედ თანაუგრძნობდა ხალხს და სულით და გულით სურდა ეხილა ადამიანთა ტანჯვის დასასრული. ერთი სიტყვით, ეს ისეთი კაცია, როგორებიც ცოტანი არიან...

ასე ამბობენ ბ-ნ გუდიმ-ლევკოვიჩის მეგობრები და ჩვენც მზა-და ვართ დავუჯეროთ მათ.

და ასეთი სათნო კაცი წარმოიდგინეთ ხალხმა ცემა და სიკვდი-ლის პირამდე მიიყვანა. დაიღვარა მისი უდანაშაულო სისხლი, გა-

დატყდა მისი უდანაშაულო ლავიწი... „რის გულისათვის“, სად არის სამართალი?

„რის გულისათვის“? მე თქვენ გეტყვით „რის გულისათვის“, ბატონო სათნო ადამიანებო.

თქვენ სწავლობდით ყოველგვარ სიბრძნეს და საკმარისი ოდენობით გაამდიდრეთ თქვენი გონება, გააკეთილშობილეთ თქვენი გული. თქვენთვის მისაწვდომი იყო მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. თქვენ შეგეძლოთ გაგეგოთ რა არის კეთილი და რა — ბოროტი. თქვენ ეს კიდეც გაიგეთ. ყოველივე ამის შემდეგ თქვენ გამოცხადდით საზოგადოებაში... აქ თქვენ ნახეთ სურათები, რომლებიც შორსაა ლიტერატურის წმინდა იდეალებისაგან, რომ ძლიერები და მდიდრები სიცოცხლეს უმწარებენ უღონოებს და ღარიბებს; რომ უკანონობას, ძალმომრეობას, ექსპლოატაციას არ აქვს საზღვარი! მთელი თქვენი ახალგაზრდული და კეთილშობილური გრძნობა აღშფოთდა ამ სურათების დანახვისას. მაგრამ ცხოვრება თქვენ გიხმობდათ თავისკენ. შეგეშინდათ შრომის, განზე გადექით და ამოეფარეთ მოლოტოვის[24] დეევიზს: „ჩვენ თვითონ ვიყვეთ წმინდა და პატიოსნები, ნუ გავისვრებით ჭუჭყში, დანარჩენი ჩვენი საქმე არაა“. და თქვენ შეუდექით თქვენი ოცნების განხორციელებას — აიღოთ ცხოვრებიდან საკუთრად თქვენთვის ყველაფერი ის, რაც სასარგებლო და კარგია თქვენთვის, თანაც ისე, რომ სახელი არ გაიტეხოთ, მაგრამ მყუდროების და კეთილდღეობის დაურღვევლად, რისკის გარეშე. თქვენ დაიმალეთ „პირადი სიმშვიდის“ ნაჭუჭში, უარი თქვით მეცნიერების დასკვნებსა და ლიტერატურის გაკვეთილებზე და დაწყნარდით. ცხოვრება კი თავის გზით მიდიოდა — უძლურთა ჭყლეტით, ექსპლოატატორთა ზეიმით... მხოლოდ იშვიათად, როდესაც ცხოვრების აღმაშფოთებელი ფაქტები თვითონ გეჩრებოდნენ თვალებში, ჩუმად იმეორებდით ჰეინეს კითხვებს:

„რატომ ცურავს სისხლის ტბაში
ქედმოხრილი სამართალი?
რად ნებივრობს განცხრომაში
ბოროტების ავი თვალი?“

ამას იქით არ მიდიოდა თქვენი თანაგრძნობა, საკუთარი ცხოვრებითა და მაგალითით ფრთები დააჭერით თქვენს მემკვიდრეებს, რომლებიც, გიცქერდნენ რა თქვენ, მიდიოდნენ შემდეგ დასკვნამდე:

„...და იყო ჩვენზე ენამზე ხალხი
მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა კალმით“.

ან სხვა რაიმე იარაღით. და ისინი თავდახრილები, ზრდიდნენ თქვენს რიგებს...

დრო მიდიოდა. საკუთარ ნაჭუჭში ივიწყებდით ყველაფერს, რაც მოგცათ მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. თანდათან გადაიქეცით კანცელარისტებად და თქვენი მაგალითი უკარგავდა ხალხს და მოზარდ თაობას მეცნიერებისადმი რწმენას... იგი 2000 მანეთისა და უფრო მეტი ჯამაგირის მიღწევის საშუალებად იქცა... ხალხი შიმშილით იხოცებოდა, თქვენ კი თავს კვლავ „პატიოსან ადამიანებად" თვლიდით მხოლოდ იმისათვის, რომ 2000 მან. ჯამაგირი, რომელსაც თქვენ იღებდით, ღმერთმა იცის რა შრომისათვის, გაძლევდათ შესაძლებლობას არ გასვრილიყავით ტალახში, გეცხოვრათ თქვენთვის და საკუთარი აზრები გამოგეთქვათ კეთილმოწყობილ ბინებში იმ ადამიანების უნამუსობაზე, რომლებიც, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, პურს იპარავდნენ... დიახ, მთელი თქვენი პატიოსნება ისეთივე ფუჭია, როგორც 80 წლის დედაბრის უბიწოება, რომელსაც უკვე აღარ აქვს არავითარი ლტოლვა ცოდვისაკენ და რომელსაც არავინ ხელყოფს... ნუ ყოყოჩობთ ასეთი სათნოებით... თუ უპატიოსნოა ბიჭუნა, რომელმაც შიმშილის გამო მოიპარა წყვილი ნალი, თუ ის ღირსია დაპატიმრების, მაშ ბრძანეთ, უფრო დიდი რაოდენობით არ მოიპარეთ თქვენ თვითონ ნალები და პირუტყვი ხალხისაგან? გიმნაზია, რომელშიც თქვენ სწავლობდით 8 — 10 წელი, განა სახელმწიფოს ხარჯზე, ე. ი. ამ ხალხის ფულებით არ ინახება? განა უნივერსიტეტი, სადაც გაეცანით კაცობრიობის საუკეთესო აზრებს და იდეებს, იმავე ხალხის ფულებით არ ინახება? განა სტიპენდია, რომელსაც ღებულობდით, და ჯამაგირი, რომელსაც ახლა ღებულობთ, ზეციდან ჩამოფრინდა და იმ ხალხიდან არ არის ამოკრეფილი?

რით გადაუხადეთ თქვენ ამ ხალხს ყოველივე ის, რაც თქვენთვის გააკეთა? გულზე ხელის დადებით უნდა განაცხადოთ — „არაფრით!"

მე უკვე ვთქვი, რომ თქვენ დაივიწყეთ თქვენი მეცნიერება და ლიტერატურაც კი. დაგიმტკიცოთ? თქვენ რომ გხსომებოდათ ისტორიის გაკვეთილი, განა არ გეცოდინებოდათ, რომ ხალხის მღელვარების დროს თქვენებრ ცრუ „უდანაშაულოთა" ცემა არც ისე იშვიათია? განა მსგავსი ტრაგიკული შემთხვევების მაგალითები ცოტა წარმოგვიდგინა ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ? ეს რომ გცოდნოდათ, არ იკითხავდით — „რის გულისათვის". უბედურებაში, რომელიც შეგემთხვათ, დაინახავდით ბედს, რომელიც გსჯით

არამარტო თქვენი საკუთარი დანაშაულისათვის, არამედ ჩვენი მამების ცოდვებისათვისაც.

ბ-ნ გუდიმ-ლევკოვიჩის ბედი სწორედ იმით არის ტრაგიკული, რომ მასში არაფერია შემთხვევითი, უაზრო, კერძო, აცილებადი. რადგან დამყარდა გარკვეული დამოკიდებულება, უპატიოსნოთა ცოდვებისათვის „პატიოსანი ხალხის“ ცემის ფაქტები გარდაუვალია. სულ დიდი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს ისაა, რომ ბ-ნ გუდიმ-ლევკოვიჩის მაგივრად ეცემნათ ბ-ნ ლევკო-გუდიმიჩისათვის. უმაღლესი ტრაგიზმი აქ შეიძლება გამოვხატოთ შილერის ცნობილი გამონათქვამით, რომელიც სწორედ ამ ამბავს შეეფერება:

„ახლა წილი ხვდა ტროეს,
ხვალ შეხვდება სხვებს!“

და ასე, იცოდეთ მაინც, ჩემო მეგობრებო. კეთილო მოლოტოვებო, „რის გულისათვის“ გცემეს თქვენ ბ-ნ გუდიმ-ლევკოვიჩის სახით. თქვენ გცემეს იმიტომ, რომ დამარხეთ სამარეში თქვენი ნიჭი და ცოდნა. თქვენ არ ემსახურებოდით ხალხისათვის სასარგებლო საქმეს, იოტისოდენად არ გაგინათლებიათ მისი გონება, ერთი წუთითაც არ შეგიმსუბუქებიათ მისი მძიმე ხვედრი. არ შებრძოლებიხართ არც ერთ მის ექსპლოატატორს, არ აგილაგმავთ მისი არც ერთი მტერი. თქვენ კი ვალდებული იყავით გაგეკეთებინათ ყველაფერი ეს. რადგან რაც კი გაგაჩნიათ,—ცოდნა, ძალღონე, მოცალება, — ხალხის ოფლითა გაქვთ მიღებული. თქვენ აღმოჩნდით უმადურები! თქვენი გულგრილობით, თქვენ აკურთხეთ ხალხის ჩაგვრა. მაშ ნუ გიკვირთ, რომ მან აღმართა თავისი ტლანქი ხელები და დაგწყევლათ, როგორც უღირსი შვილები, უგულოდ და ზიზღით შემყურე მშობლების უბედურებისა და უძლურებისა...

იმედი მაქვს, ახლა იცით — „რის გულისათვის?“

5. პასუხი გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტის“

დღეს ფოსტამ მოგვიტანა „ბირჟევიე ვედომოსტი“ [25], რომლის რედაქცია ჩვენი მისამართით ასე უცნაურად აცხადებს:

„მაშინ, როდესაც ყველა ელის ბერლინის კონგრესის დამთავრებას და ევროპაში დროებითი მშვიდობის დამყარებას მაინც, გაზეთი „ობზორი“ აღმოსავლეთის საკითხების გადაწყვეტას ასეთი სრული უიმედობით გამოხატავს:

„დიპლომატიური ხრიკები და საიდუმლოებანი, — ამბობს გაზეთი,—უძლურია, როცა საკითხი დგას რუსეთის ან ინგლისის მიერ გაბატონებული მდგომარეობის მიღწევაზე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ვინ ითამაშებს მთავარ როლს კონსტანტინოპოლში: ინგლისი, რომელიც დაგვიხურავს ჩვენ ხმელთაშუა ზღვის აუზში გასასვლელს და გვამყოფებს შავი ზღვის მთელი სანაპიროს განადგურების შიშის ქვეშ, თუ რუსეთი, რომელიც, დაადგენს რა სრუტეების შეუვალობას, მიიღებს შესაძლებლობას განავითაროს ზღვაოსნობა შავ ზღვაზე, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ მხარეების და კავკასიის ეკონომიურ კეთილდღეობას? ინგლისს ეს არ სურს. რუსეთი უამისოდ ვერ მიაღწევს საშინაო ეკონომიურ კეთილდღეობას. მაშასადამე, აქ დათმობა რუსეთის მხრიდან შეუძლებელია. დაუთმოს ინგლისმა ამ მუხლში, ეს ნიშნავს უარის თქმას საკუთარ პრესტიჟზე აღმოსავლეთში, რაც საფრთხეს შეუქმნის ინდოეთის იმპერიის არსებობას და ინგლისს ელოდება ჩამოქვეითება ჰოლანდიის მდგომარეობამდე. ასეთია ურთიერთდამოკიდებულება ორი მეტოქისა თურქეთის არსებობისა და ბალკანეთის სლავების დამოუკიდებლობის საკითხებში, და რამდენჯერაც არ უნდა შეიკრიბონ რუსეთისა და ინგლისის სახელგანთქმული დიპლომატები, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ საიდუმლოდ და აშკარად, მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩაყენებულია ორივე სახელმწიფო ისტორიულ მოვლენათა მსვლელობით“.

„მაშასადამე, ასეთი განწირული ვითარების დროს რუსეთს არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ გამოუცხადოს ინგლისს დაუსრუ-

ლებელი ომი და ებრძოლოს მანამ, სანამ არც ერთ და არც მეორე სახელმწიფოში არ დარჩება არც ერთი ცოცხალი ადამიანი.

„კმარა, ბატონო შეომრებო!

„გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა კონსტანტინოპოლში არის ფიქცია, სასარგებლო დიპლომატიური მოხელეებისათვის, მაგრამ გამოუსადეგარი ყოველივე სხვისათვის. ვისაც არ უნდა ჰქონდეს გაბატონებული მდგომარეობა კონსტანტინოპოლში, სრუტეები მაინც დარჩება მსოფლიო სავაჭრო გზად, ყველასათვის თანაბრად თავისუფალი, და როგორც რუსეთი ვერ შეძლებს მის დაკეტვას ინგლისისათვის, ისე ინგლისიც ვერ დაუხშობს მას რუსეთს. ამიტომ ომი სრუტეებისათვის იქნებოდა წმინდა უგუნურება“.

„ბირჟევიე ვედომოსტის“ ამ შენიშვნამ უკვე გამოიწვია „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ [74] შემდეგი საკადრისი პასუხი:

„ბირჟევიე ვედომოსტი“, პასუხობს რა გაზეთ „ობზორს“, რომელიც სამართლიანად ასაბუთებს, რომ აღმოსავლეთის საკითხის კვანძი იმაში მდგომარეობს, თუ ვის (ინგლისის თუ რუსეთის) განკარგულებაში იქნება დროთა განმავლობაში სრუტეები, ამბობს:

„გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა კონსტანტინოპოლში არის ფიქცია, სასარგებლო დიპლომატიური მოხელეებისათვის, მაგრამ გამოუსადეგარი ყოველივე სხვისთვის. ვისაც არ უნდა ჰქონდეს გაბატონებული მდგომარეობა კონსტანტინოპოლში, სრუტეები მაინც დარჩება მსოფლიოს სავაჭრო გზად, ყველასათვის თანაბრად თავისუფალი, და როგორც რუსეთი ვერ შეძლებს მის დაკეტვას ინგლისისათვის, ისე ინგლისიც ვერ დაუხშობს მას რუსეთს. ამიტომ ომი სრუტეებისათვის იქნებოდა წმინდა უგუნურება“.

„ამის თქმა ნიშნავს აშკარა ფაქტების წინააღმდეგ ლაპარაკს, რადგან ამჟამად სრუტეები უკვე დაკეტილია ინგლისელების მიერ მსოფლიო ვაჭრობისათვის. მაგრამ „ბირჟევიე ვედომოსტის“ რატომღაც ესაჭიროება ასე ლაპარაკი“.

ჩვენ არ გვაქვს ჩვეულება სატახტო გაზეთების პოლემიკაში ჩარევისა „ობზორზე“ [2] მათ მიერ გამოთქმული აზრის გამო. მაგრამ, ამ შემთხვევაში, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ მათი შეცდომები ჩვენი გაზეთის მიმართ. ისინი გვზომავენ თავისი სატახტო არშინით და ფიქრობენ, რომ მოწინავე პოლიტიკური სტატიებით ჩვენ გვსურს გავლენა ვიქონიოთ მორიგი პოლიტიკური საკითხების ამა თუ იმ გადაწყვეტაზე.

ვთვლით რა ასეთ ამოცანას სავალდებულოდ სატახტო პრესისათვის, ხოლო შეუძლებლად პროვინციული პრესისათვის, ამასზედ ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ჩვენ არა ვართ „მე-

ომრები“ და არც „მშვიდობისმოყვარულები“. ჩვენ მაყურებლები ვართ და გონივრულად ვარკვევთ, ჩვენთვის და ჩვენი მკითხველებისათვის, ჭეშმარიტ მამოძრავებელ ძალას თანამედროვე მოვლენებისას, რამდენადაც შესაძლებელია მათი დანახვა ჩვენი არამშვენიერი სიშორიდან.

ჩვენ რომ „მეომრები“ არა ვართ, ეს იქიდანაც სჩანს, მაგალითად, რომ ამ სტრიქონების დამწერმა გაცილებით ადრე „ბირჟევიე ვედომოსტისა“ და „ვესტნიკ ევროპისა“[26] მიაქცია მკითხველთა ყურადღება შინაური საკითხების უმთავრეს მნიშვნელობაზე და გარე თანამოძმეების ინტერესთა მათთვის დამორჩილების აუცილებლობაზე. მაგრამ მშვიდობის ქადაგება თვით 1875 წლის ნახევრიდან სრულებით არ უშლიდა მას ხელს თვალი ედევნებინა მოვლენებისათვის და მკითხველისათვის გაერკვია როგორც მათი მეომრული სულისკვეთება, ისე წყარო ამგვარი განწყობილებისა...

ვიმეორებ, ჩვენ, პროვინციალურ გამოცემებს, სრულებით არ შეგვფერის პოლიტიკურ მოვლენათა ხელმძღვანელის როლის მოპოვება. ჩვენ სად შეგვიძლია პრეტენზია განვაცხადოთ ისეთ მნიშვნელობაზე, რომელიც მოიპოვა, მაგალითად, „გოლოს“[27]-მა, რომელმაც, საერთაშორისო სატელეგრაფო სააგენტოს მტკიცებით, თავისი სტატიებით შეძლო გადატრიალება მოეხდინა ინგლისის წარმომადგენელთა გონებაში კონგრესზე. მეორე მხრივ, რათ გვინდა ჩვენ მოვლენების გადახრა ჩვენი აზრებისა და მიზეზების სასარგებლოდ? სავსებით ბედნიერი ვართ უფრო უბრალო როლითაც: ფხიზლად ვადევნოთ თვალი მოვლენებს და გულწრფელად გავაცნოთ ისინი ჩვენს მკითხველებს.

6. ადგილობრივი მიმოხილვა

გაზეთმა „დროებამ“ [22] ბათუმის საკითხს დღეს უძღვნა მთელი მოწინავე სტატია, რომელიც, სამწუხაროდ, მთლიანად აგებულია საკმაოდ უცნაურ შეცდომაზე. იმის გამო, რომ ყველაფერი, რაც ბათუმს ეხება, ძლიერ აინტერესებს ჩვენს ადგილობრივ საზოგადოებას და არავისათვის სასურველი არ არის მცდარი ცნებების გავრცელება, ვალად ვრაცხთ გავასწოროთ პატივცემული რედაქციის შეცდომა.

უხსნის რა თავის მკითხველებს სიტყვა პორტო-ფრანკოს, ბ-ნი მესხი წერს: „პორტო-ფრანკო ანუ თავისუფალი ნავსადგური იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს თავისუფლად შეეძლებათ ამ ნავსადგურში მიყენება მხოლოდ თავიანთ სავაჭრო, და არა სამხედრო, ხომალდებისა. მართალია, ბათუმი რუსეთის საკუთრება იქნება, მაგრამ იმას არ შეეძლება თავის სამხედრო ფლოტი გაარეროს იქ, ციხეებითა და სხვა სიმაგრეებით გაამაგროს ეს ქალაქი“.

ყველაფერი ეს — შეცდომაა. საერთაშორისო სამართლით თავისუფალი ნავსადგური ანუ პორტო-ფრანკო ეწოდება ისეთ პორტს, სადაც ყველა სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს ყოველგვარი საქონელი უბაჟოთ. პორტო-ფრანკო შეიძლება იყოს სამხედრო ფლოტის სადგომიც და ჰქონდეს სიმაგრეები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება რომელიმე სხვა ხელშეკრულებას. ხოლო ყველა სახელმწიფოს კომერციულ გემებს უფლება აქვთ შევიდნენ და გაჩერდნენ ყოველი ევროპული სახელმწიფოს პორტებში. ბ-ნ მესხის განსაზღვრიდან გამომდინარე, არ არის ისეთი ზღვისპირა ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდეს უფლება იწოდებოდეს პორტო-ფრანკოდ.

ჩვენ კვლავ რისკსა ვწევთ ჩაგვთვალონ ადგილობრივი პრესის მტრად. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ასეთი ელემენტარული ცოდნის უქონლობა იმ პუბლიცისტისათვის, რომელიც მედიდურად მსჯელობს საერთაშორისო საქმეებზე, საეჭვოა ხელს უწყობდეს ადგილობრივი პრესის განვითარებას...

* * *

ამას წინათ, ჩვენს ადგილობრივ საზოგადოებაში ცოტა ხმაური კი არ ატეხა საგაზეთო ცნობამ იმის შესახებ, რომ გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი ბერლინის კონგრესზე[20] გამოცხადდა სომხების დელეგატად. მიუხედავად ამ ცნობის სრული უაზრობისა, ბევრმა დაუჯერა ამ ოხუნჯობას. ბ-ნ ტერ-აბრამიანის „დონსკაია პჩელამ“ იჩქარა კიდეც თავისი აღტაცება გამოეთქვა შემდეგი სიტყვებით:

„მიხეილ ტარიელის ძის ახლო ნაცნობობა თურქი სომხების გაჭირვებასთან, აგრეთვე მისი ცნობილი ერთგულება სომხეთისადმი ახალი თავდებია იმისა, რომ კონგრესზე სომხეთის ბედი გადაწყდება მთელი ერის და პერიოდული პრესის სურვილის შესაბამისად“.

როგორი დასანანიც არ უნდა იყოს იმ ადამიანთა კეთილშობილური ილუზიის ჩაფუშვა, რომელთაც სწამთ კონგრესის განმათავისუფლებელი მისია, შეუძლებელია შეუსწორებლად დავტოვოთ მსგავსი ბავშვური ტიტინი. საქმე იმაშია, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“[28] ცნობით, გრაფი ლორის-მელიქოვი ბერლინში ჩავიდა როგორც „რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალურად (?) დანიშნული სამხედრო დელეგატი სომხეთის საქმეებზე“. ჩვენ გვაქვს ზოგი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ცნობა, ამ სახითაც, არ არის საფუძვლიანი. გრაფი ლორის-მელიქოვი საზღვარგარეთ წავიდა როგორც კერძო პირი, თავისი ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად. მაგრამ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ცნობის უდავო სიზუსტეც რომ დაეუშვათ, მაშინაც უნდა გვახსოვდეს, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს დავალებული აქვს იზრუნოს რუსეთის სამხედრო ინტერესებზე სომხეთში (ჯარების გამოყვანა, საზღვრების საბოლოო დადგენა და სხვ.) და არა პოლიტიკური მოწყობა თურქეთის სომხებისა. ანდა რა მნიშვნელობა ექნება კონგრესისათვის რუსეთის გენერლის შუამდგომლობას სომხებზე? ასეთი შუამდგომლობა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ეჭვი აღუძრას დიპლომატიას და ამით მხოლოდ ავნოს სომხების საქმეს. არც რუსეთის მთავრობა, არც თვით გრაფი ლორის-მელიქოვი და, ბოლოს, თურქეთის, სომხეთის ხელმძღვანელები არ არიან იმდენად უტაქტონი და გონებაშეზღუდულნი, რომ მსგავსი დაუკვირვებლობა გამოიჩინონ...

* * *

ზაქათალა, 26 ივნისი („ობზორის“[2] კორესპონდენცია). ჩვენთან ყველაფერი რიგზეა; ფარა მშვიდობიანად ბალახობს საძოვრებზე, მგლები წყნარად წვანან იქვე ახლოს და არ ეკარებიან ცხვრებს... მხოლოდ აი, ამ დღეებში როცა ზაქათალას მცხოვრები

ბრუნდებოდა ლაგოდეხიდან, უეცრად რომელიღაცა როყიო ტყვია გამოფრინდა და პირდაპირ ფეხში მოხვდა; ახლა ის კვლავ ძლიერ ავად არის, მკურნალობენ მედიკი და ექიმბაშიც. და კვლავ, რამოდენიმე დღის წინათ, ბელაქანში მოკლეს მედუქნე და ნოქარი. ბოროტმოქმედების ადგილზე გაემგზავრნენ მედიკი და საგამომძიებლო საქმეების ჩინოვნიკი. ისინი დარწმუნდნენ, რომ მკვლელობა ნამდვილადაა ჩადენილი, მაშასადამე შეიძლება გვამები მიწას მიაბარონ, რაც შესრულებულ იქნა. და ბოლოს, არა უფრო შორს. ეიდრე ამა თვის 23 რიცხვისა, ბრუნდებოდა ზაქათალისვე მცხოვრები მახლობელი მთის სოფლიდან და ზაქათალადან ხუთი ვერსის დაშორებით შეეგება ორი ტყვია: ერთი მოხვდა ქამარზე ჩამოკიდებულ ხანჯალს და ასხლტა; მეორე კი, ზიანის მიუყენებლად, შეეხო ტანისამოსს. საბრალო გადაარჩინა მხოლოდ შემთხვევამ: მისი ცხენი განზე გახტა და მასთან ერთად ჩავარდა თხრილში. მსროლელებმა, გადაწყვიტეს რა, რომ ის მკვდარია, დაბრუნდნენ უკან. მან კი სული მოითქვა, გაიმართა წელში, ააყენა ცხენი, მიეიდა საბლში და წავიდა უფროსთან საჩივრით. — სად უნდა ვეძებო ისინი ახლა? სხვა საქმეა, დაგეჭირა ისინი და მოგეყვანა. აი, მაშინ ისინი ვერ წავიდოდნენ; თუმცა შესაძლოა, მაშინაც საჭირო იქნებოდა კიდევ მათთან ერთად მოწმეების წარმოდგენა! — უპასუხეს მას. ისე კი ჩვენთან ყველაფერი რიგზეა.

მართლა, კიდევ რამდენიმე თვის უკან იყო რაღაც შემთხვევები ზაქათალას ახლოს: ჭაურის სადგურიდან ლაგოდეხამდე მიმავალ გზაზე საღამოს რვა საათზე უკვე საშიში იყო მგზავრობა. მარტის შუა რიცხვებში თბილისიდან გამოემგზავრა პრაპორჩიკი ნუროვი, რომელიც, არ დაუჯერა რა სადგურის უფროსის რჩევას, წავიდა, როცა უკვე დაბნელებული იყო; ვერ მოასწრო სამი ვერსის გავლა, რომ ტყიდან დაისტვინა ტყვიამ. მეეტლე არ იყო მშიშარა: გააჭენა ცხენები, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და გადარჩნენ უვნებლად. იქვე რამდენჯერმე გაძარცვეს ქართველი მუშები, რომლებიც ღამეს ათევდნენ ტყეში; მათ წაართვეს არამარტო ხელსაწყო იარაღები, არამედ ფეხსაცმელებიც; საბრალონი მოვიდნენ სადგურში და ითხოვეს თავშესაფარი. ამბობენ, რომ ტყეში იმალებიან ლტოლვილი დაღესტნელები.

ჩვენთან ყველაფერი რიგზეა: ისეთი სიწყნარე, მყუდროება და ღვთის მადლია, რომ გადავწყვიტეთ ზაფხულისთვის დაგვეკეტა მომრიგებელი მოსამართლის კამერა. თვითონ მოსამართლემ კი გადაწყვიტა: სხვა არაფერია საჭირო ასეთ სანეტარო ადგილას, გარდა ოჯახური ბედნიერებით განცხრომისა, და, რადგან ის მარტოხელა

კაცია, უნდა გაემგზავროს ბედნიერების საძებნელად; ასეც მოიქცა: აიღო შვებულება და გაემგზავრა ხარკოვის გუბერნიაში. თუმცა კი, ჯერ კიდევ მის მოსვლამდე, მისი წინამორბედის არყოფნის გამო, საქმეები ბევრი დაგროვდა და ახალი საქმეების გადადება მოუხდათ ძველების გარჩევამდე, მაგრამ ყველაფერი ეს კერძოობითი, წვრილმანებია, საერთოდ კი ყველაფერი რიგზეა და ჩვენი საქმოსანი — ჰერკულესები, მოწყენილობისა და ტანვარჯიშისადმი პატივისცემის გამო, ავარჯიშებენ თავიანთ დევგმირულ ხელ-ფეხს შინამოსამსახურეების ცემა-ტყეპისა და თავპირის მტვრევაში. და მარტო მათი? არა, ისინი უსწორდებიან აგრეთვე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, მაგალითად, ღალატში ეჭვის შემთხვევაში. თუმცა ეს ხდება ჩუმად, დახურულ კარებში; და საქმეც წარსულს ეკუთვნის, ხოლო ვინც ძველს გაიხსენებს, ის თვალს დაკარგავს.

მარსის ჰეშმარიტო შვილებო! წადით ბრძოლის ველზე, თუ ასე გულით გსურთ ჩხუბი, მაგრამ რაც თქვენი საქმე არ არის, ხელს ნუ კიდებთ. მართლაც უცნაურია, რატომ სხედან ეს საქმოსანი დევგმირები აქ. მათი ადგილია საბრძოლო არმიაში, სადაც ისინი სასარგებლონი იქნებოდნენ. აქ კი მხოლოდ შემფერხებლები არიან. მათი დევიზია: „ვაკეთებ იმას, რაც მინდა“, იშვიათად: „ვაკეთებ იმას, რაც ვიცი“, მაგრამ რადგან მათი ცოდნა შეზღუდულია, მათი მოქმედების შედეგიც ნულის ტოლია. რა არის მათთვის მომრიგებელი სასამართლო და საზოგადოების აზრი, როდესაც მშრალად შეუძლიათ ამოვიდნენ წყლიდან?

ხელი ხელს ბანს, ამბობს რუსული ანდაზა, და აი, ამის საფუძველზე როგორც კი ახალი საქმოსანი, ახალი მითოლოგიური პატარა კერპი განმტკიცდება ოლიმპოზე, ის, ბუნებრივია, აწარმოებს თავისი ნათესავების შეგროვებას. დაუძახებს დევგმირული ხმით; „მოდით, ყველა გაუმაძღარო მწყურვალო, გაინაწილეთ ჩემი სუფრა“, და მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოაწყდებიან გაუმაძღრები და მწყურვალები, რომლებიც ქმნიან მაგარ გალავანს ახალი საქმისათვის. ხედავ, ასეთივე დევგმირი, გაიგონებს რა მიმზიდველ ძახილს, ტოვებს თავის ძველ ადგილს და ჩქარობს გაიყოს სუფრა პატრონთან. არ გავა ერთი წელიც, დევგმირს ევიწროება თავისი საცხოვრებელი და აგებს დარბაზებს. ეყრდნობიან რა ასეთ ციხესიმაგრეს, დევგმირი პატრონები რაც უნდათ იმას აკეთებენ, ასე რომ კონტროლიც, შემოწმებისას, ვერაფერზე შეედავება. პატივი და დიდება თქვენ, დევგმირებო! თქვენ შესძელით ისეთი კოლექციის შერჩევა, რომლის მსგავსს, ძალიანაც რომ ეძებო, ვერ შეარჩევ. დაე, მითხრან მე, რომ ეს სიცრუე და ცილისწამებაა, მე დავასახელებ თვითეულის სახელს და მათ ნამოქმედარს.

მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს!

თბილისი, 1 ივლისი

იმ დროს, როცა ჩვენი პრესის მოსკოვისა და პეტერბურგის ყველა ორგანო სავსეა მოწინავე სტატიებით, კორესპონდენციებით და შენიშვნებით, რომლებიც ერთნაირად გამსჭვალულია ერთი საერთო გაუგებრობით — რატომ მოხდა, რომ ბრწყინვალე ომი, რომელიც ევროპის თანხმობით დაიწყო, უნდა დამთავრდეს, იმავე ევროპის სურვილის თანახმად, ს. სტეფანოს ხელშეკრულების ანულირებით, ერთი გაზეთი, კერძოდ „ბირჟევიე ვედომოსტი" [3] მეტისმეტად მკვეთრად გამოირჩევა ამ საერთო გუნდიდან. აღიარებს რა უფრო ცხადად, ვიდრე ყველაზე თავგამოდებული შოვინისტთაგანი. როგორც თვითონ ამბობს, ნაციონალური გრძნობისათვის შეურაცხმყოფლად სამშვიდობო ტრაქტატის დიპლომატიურ გადაკეთებას. „ბირჟევიე ვედომოსტი" ქადაგებს მხოლოდ მშვიდობას, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, რადგან, მისი აზრით, ჩვენ არ შეგვიძლია ახალი ომი ვაწარმოოთ. რა თქმა უნდა, პრესის ყოველ ორგანოს შეუძლია გამოთქვას თავისი რწმენა, ხოლო ყოველი რწმენა, თუ იგი სწორი და გულწრფელია, პატივისცემას ითხოვს, მაგრამ ბატ. პოლეტიკას ორგანოს ქადაგებას სწორედ სიმართლე აკლია და ამიტომ, მიუხედავად სხვისი აზრისადმი პატივისცემისა, პრესის იმ ორგანოსათვის, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, მიუტევებელი დანაშაული იქნება, თუ იგი არ უარყოფს დიდად პატივცემული ვასილ აპოლონოვიჩის ნააზრევს.

არავინ, ვისაც კი საღი აზრი და კარგი მახსოვრობა აქვს, არ იფიქრებს, რომ რუსეთს სჭირდება ომი და არა მშვიდობა, ომი, რომელიც ყველასა და თითოეულის საუბედუროდ, მოსპობს არსებულ კეთილდღეობას, დააბრკოლებს ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიურ განვითარებას, გამოიწვევს ხარჯების ზრდას და გაფლანგავს ქვეყნის მომავალ სახსრებს სხვადასხვა საგარეო და საშინაო, პროცენტიანი და უპროცენტო სესხების სახით, რაც გარდუვალია საომარი ოპერაციების გადაუდებელი ხარჯების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ომის გამოცხადება ან ზა-

ვის დადება დამოკიდებულია არა რუსეთის ნებაზე ან ინგლისის ავისმსურველობაზე, არამედ გარეშე პირობებზე, რომელთაც წარ-ჰოშობს, კერძო პირის სურვილისაგან დამოუკიდებლად, მოვლენა-ია ისტორიული მსვლელობა. ამიტომ რუსეთს მხოლოდ მაშინ შე-იძლება სარგებლობა მოუტანოს მშვიდობამ, როცა ეს ეთანხმება მის ინტერესებსა და ღირსებას. ამ პირობების გარეშე ომი ხდება გარ-დაუვალ ბოროტებად, რაც ყველასათვის გასაგებია, რაც არავის არ სურს, მაგრამ აუცილებელია როგორც შინაგანი კეთილდღეო-ბისა და საგარეო პოლიტიკური არსებობის აუცილებელი პირობა-თაგანი. შეიძლება ბატ. პოლეტიკა და მისი მსგავსი ფილოსოფოსე-ბი ღრმა წინააღმდეგობას აღმოაჩენენ ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრში. მართლაც, ისე გამოდის, რომ სახელმწიფოსათვის უდიდესი ბოროტება აუცილებელი პირობათაგანია მისი კეთილდღეობისათ-ვის, მაგრამ ისტორიულად და ეკონომიურად ეს აზრი სწორია. რო-გორც ყოველი პატარა ორგანიზმის განვითარებისათვის საჭიროა ხელშემწყობი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არანორმა-ლურად ვითარდება, მთელი სიცოცხლის მანძილზე იტანჯება და ბოლოს მაინც იღუპება, ასევე სჭირდება შესაბამი ხელშემწყობი საგარეო პირობები ისეთ კოლოსალურ ორგანიზმს, როგორიც სა-ხელმწიფოა, შინაგანი ძალების ნორმალური და სწრაფი განვითა-რებისათვის. ამ გარეშე პირობებს ადამიანები კი არ იგონებენ, დიპ-ლომატიურ კაბინეტებში კი არ განსაზღვრავენ, არამედ გამომდი-ნარეობენ ქვეყნის წინა ისტორიული ცხოვრებიდან, განპირობებუ-ლია იმ როლით, რომელიც ამ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მსოფლიო ასპარეზზე და უმჯობესდება ანდა უარესდება ამა თუ იმ თაობის მიერ იმის მიხედვით, თუ რამდენად ესმის ხალხის ცხოვრების არსებული მომენტი დიპლომატიისა და სახელმწიფო ძალების იმ წარმომადგენლებს, რომელთაც წილად ხვდათ ხალხის მოთხოვნილებებისა და მის ინტერესთა დაცვა. რუსეთის ისტორია საიდუმლო არ არის: მას ფართოდ ასწავლიან ყველა სკოლაში და რუსი და უცხოელი მეცნიერების კვლევის საგანია. ეს ისტორია კი გვასწავლის, თუ რას წარმოადგენდა მოსკოვის სამეფო პეტრე I-მდე და რა ცვლილება მოხდა რუსეთის როგორც საშინაო ვითარე-ბაში. ასევე საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაში, როცა გენია-ლურმა რეფორმატორმა მოსკოვის სამეფო რუსეთის იმპერიად აქცია, გასწია მისი საზღვრები შავი, ბალტიის და კასპიის ზღვე-ბამდე და სამუდამოდ დაუკავშირა სახელმწიფო თავის მეზობლებსა და ევროპას მეცნიერების, ვაჭრობის და მოხერხებული საზღვაო გზების მეშვეობით. ყველაფერი ეს მიღწეული იქნა გამანადგურე-

ბელი ომებით და ისეთი მსხვერპლის გაღებით, რომელიც აღემატებოდა იმდროინდელი რუსეთის სახსრებს, მაგრამ ამგვარმა მსხვერპლმა რუსეთი შინაგანად განამტკიცა და საპატიო ადგილი მოუპოვა ევროპის ისეთ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მანამდე არ ცნობდნენ მოსკოვის სამეფოს, მთელი მისი ხელუხლებელი ეკონომიური და სახალხო პოტენციალით. პეტრე I-ის შემდეგ, ეკატერინე II-ის გამეფებამდე, 37 წლის განმავლობაში, რუსეთი, თუ კი აწარმოებდა ომებს, მხოლოდ დინასტიური და დიპლომატიური მიზნებისათვის, და ამ შედარებით მშვიდობიანმა პერიოდმა რუსეთს ვერც კეთილდღეობა მოუტანა და ვერც მისი საგარეო მნიშვნელობა გაზარდა. ეკატერინე II-ის ბრწყინვალე მეფობა რუსეთს ძვირად დაუჯდა, მაგრამ ამით მისი შინაგანი მწარმოებლური ძალები არ განადგურებულა, პირიქით, ამან შესაძლებლობა მისცა ალექსანდრე პირველს, მთელ ევროპას გამკლავებოდა. თუმცა ამ ომში რუსეთმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ომის შემდეგ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა უკეთესი გახდა, ვიდრე მანამდე იყო. სამწუხაროდ, რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებები დასრულდა 1815 წლის ვენის კონგრესით [102] და წმინდა კავშირით [76], რომელმაც რუსეთს თავს მოახვია ევროპის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რაც მისთვის უცხო იყო და რამაც იგი უნგრეთის ომში ჩაითრია. ამ ომს კი შედეგად რუსეთისადმი მთელი ევროპის სიძულვილი მოჰყვა, ამ სიძულვილმა კი გამოიწვია ყირიმის ომი [103], რომელიც პარიზის ტრაქტატით [29] დამთავრდა.

იმ დროს ძთელი ევროპა ერთსულოვნად მზად იყო რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და რუსეთი იძულებული შეიქნა მიეღო ძძიმე პირობები... რუსეთს უნდოდა ომი აეცილებინა თავიდან. კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე იგი თმობდა და თმობდა მანამდე, სანამ ინგლისის დიპლომატიამ ოტომანთა კონსტიტუციის მეშვეობით ზედმეტი არ გახდა კონსტანტინოპოლში შეკრებილ დელეგატთა ზრუნვა და მსჯელობა. დიპლომატები წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო აღმოსავლეთის საკითხი ისევ გადაუწყვეტელი დარჩა, როგორც პარიზის ტრაქტატის შემდეგ. ომი დაიწყო ევროპის ბედის გამგებელთა უნებურად და დამთავრდა მათი სურვილის წინააღმდეგ. ევროპის დიპლომატიამ კონსტანტინოპოლის და გალიპოლის აღება ომის დაწყების მუქარითა და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე მოლაპარაკებით შეაჩერა. ჩვენი არმია ბრძოლის ველზე დარჩა და ისეთივე ხარჯებს მოითხოვდა, როგორსაც ომის დროს. გარდა ამისა საჭირო გახდა ჯარის ახალი ნაწილების შექმნა მოქმედი არმიის დანაკლისის შესავსებად, რასაც ისეთი

ეკონომიური და ფინანსიური ხარჯები მოჰყვა, როგორც ომის გაგრძელების შემთხვევაში დასჭირდებოდა.

დავუშვათ, რომ ბერლინის კონგრესი[20] ქაღალდზე რადიკალურად გადაჭრის ევროპელი ხალხების თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების მთელ კომპლექსს, რომელსაც იწვევს აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა. ასეთი ვარაუდი უაზროა, მაგრამ ბატ. პოლეტიკას სასარგებლოდ ჩვენ ასეთ რამესაც ვუშვებთ. განა ამის შემდეგ რუსეთს შეუძლია დაუყოვნებლივ გამოიწვიოს ჯარები ბრძოლის ველიდან, გაუშვას ზედმეტი სამხედრო მოსამსახურეები უვადო შვებულებაში, მიაღწიოს, ბიუჯეტის მიხედვით, ნორმალურ ხარჯებს ჯარებისათვის, ჩააბას მილიონობით ადამიანი მწარმოებლურ შრომაში და შეუდგეს ეკონომიკის მშვიდობიან განვითარებას? ამგვარი აზრის განხორციელება უფრო ძნელია, ვიდრე ვარაუდი იმისა, რომ ბერლინის კონგრესი გადაწყვეტს ყველა იმ პუნქტს, რომელიც აღმოსავლეთის საკითხიდან გამომდინარეობს; როგორი ბრძნულიც არ უნდა იყოს კონგრესის გადაწყვეტილებანი, ისინი მხოლოდ ფარატინა ქაღალდები იქნებიან, რაც ნამდვილ მატერიალურ ფაქტებად უნდა აქციოს მთელი ევროპის ძეცადინეობამ, თურქეთის ჩათვლით, — განა რუსეთს შეუძლია აარიდოს თავი ამ საერთო სამუშაოს? პირიქით, დართო რა ნება მთელ ევროპას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრაში და განაცხადა რა უარი იმ სარგებლობაზე, რასაც იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით მიაღწია, ახლა რუსეთი იძულებულია მტკიცედ დაიცვას ის პირობები, რაზედაც დასთანხმდა და ამავე დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ის მტრული განწყობილება, რაც ბერლინის კონგრესზე ერთხმად გამოამჟღავნეს. ასე რომ, ბერლინში თავმოყრილი დიპლომატების შეთანხმება ხელსაყრელიც რომ იყოს, ჩვენი ჯარების ბრძოლის ველიდან გამოწვევაზე ლაპარაკი მაინც ზედმეტია. ზედმეტია აგრეთვე არმიის რიცხობრივ შემცირებაზე ლაპარაკიც, რადგან თურქეთი ხელახლა იარაღდება, ინგლისმა ინდოეთიდან ჯარები გადმოიყვანა, ხოლო ავსტრია-უნგრეთის ლეგიონები ბოსნიისა და სერბიის საზღვრებზე დგანან. ნასადილევს, ლორდმა ბიკონსფილდმა, ჯენტლმენური გულახდილობით განაცხადა — აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის ხარჯზე გადაიჭრებაო. გრაფმა ანდრაშიმ ასევე პირდაპირ განაცხადა, წინააღმდეგობას გავუწევთ რუსეთის ყოველგვარ გავლენას ბალკანეთის ნახევარკუნძულზეო, ხოლო თურქეთის დელეგატებმა დაუფარავად თქვეს, არ დავემორჩილებით კონგრესის გადაწყვეტილებებსო. როცა ასეთი გულახდილობის დროს ყველასაგან

ხელმოწერილ დიპლომატიურ ოქმს გვაწვდის პატიოსანი მაკლერი, ოქმს, რომელიც შეიცავს ბერლინში შეკრებილი დიპლომატების მიერ ყველა გაუგებარი საკითხის უბრძნულეს გადაწყვეტას — რუსეთს თავის საომარი ძალების შესუსტებაზე ფიქრი კი არ მოუწევს, არამედ მის გაძლიერებაზე, რადგან ომი მოსალოდნელია და ახლა არა მარტო თურქეთის, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მაინც. საიდანღა უნდა ველოდებოდეთ სამხედრო ხარჯების შემცირებას, ჩვენი ჯარების იდილიურ დაბრუნებას სამშობლოში და ქვეყნის ეკონომიური, მწარმოებლობის ყველადარგის კულტივირებას? Vouloir c'est pouvoir[31], შეუძლია თქვას ცალკეულმა პიროვნებამ ყველაფერზე, რაც მის ზნეობრივ სფეროს შეეხება, მაგრამ, რა ძლიერადაც არ უნდა სურდეს მას ეს, ბალახის ზრდას ანდა სიმძიმის ძალის მოქმედებას ვერავინ შეაჩერებს. რუსეთს სურს მშვიდობა, და ეს მისთვის აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგეები, რომელთაც ესმით ეს ამბავი, იმით არ კმაყოფილდებიან, რომ ჩაითრიეს რუსეთი ომში, არამედ უარესი უნდათ მისთვის, კერძოდ ისეთი მდგომარეობა, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით ამა წლის 19 იანვრიდან. ჩვენ დავკარგეთ ყველა უპირატესობა, რასაც საომარი მოქმედების წყალობით მივაღწიეთ. და ახლა უფრო სერიოზულად ვზარალდებით, ვიდრე ომის დროს. ლორდმა ბიკონსფილდმა დიდი ხანია, რაც აღიარა, რომ შედგენილი აქვს რუსეთის ერთდროულად ორმხრივი გაღატაკების გეგმა: ომის დროს გააღებინოს მას რაც შეიძლება დიდი ხარჯები და არ მისცეს არავითარი საშუალება აინაზღაუროს გაღებული ხარჯები კონტრიბუციით ან მისი ტოლფასი სახელმწიფო ინტერესებით. ასეთი მდგომარეობა გარდუვალი შედეგია პოლიტიკისა — მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. რა თქმა უნდა, საჭირო არაა იყო მეომარი, საკმარისია იყო ეკონომისტი, რომ ამჯობინო ომი გარდაუვალ გაღატაკებას ზნეობრივი პრინციპებისა და სამართლიანობის ლოდინში იმ ადამიანებისაგან, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ, რომ იცავენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს და ყოველთვის შეეცდებიან შეძლებისდაგვარად ზიანი მიაყენონ რუსეთს, ისარგებლონ მისი მშვიდობისმოყვარეობისა და უანგაროობის პოლიტიკით. ჩვენი სურვილია, ბატ. პოლეტიკამ გამოიანგარიშოს, რა დაუჯდა რუსეთს სამხედრო ძალების მშვიდობიანი გადაადგილება პარიზის ტრაქტატის შემდეგ, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა რუსეთის ინტერესები და რუსი ხალხის გრძნობა. რა დაუჯდა რუსეთს 4½ თვის ლოდინი, როცა დიპლომატიურ მოლაპარაკებას და კონგრესის მეშვეობით ამ საკითხების გადაჭრას ელოდა.

შეადარებს რა ამ ციფრებს საომარი მოქმედებისათვის გაწეულ ხარჯებს ომის დაწყებიდან ჯარების ს. სტეფანოსთან გაჩერებამდე, ბატ. პოლეტიკა, არითმეტიკის საშუალებით დაუმტკიცებს თავის თავს, რომ ომი მშვიდობაზე იაფი ჯდება... ნუთუ იმ აბსტრაქტული აქსიომის გამო, რომ ომი მშვიდობას ჯობია, რაშიც არავის ეპარება ეჭვი, შეიძლება ისეთ უაზრო დასკვნამდე მისვლა, რომ „მშვიდობა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“ თანამედროვე რუსეთისათვის უდიდესი სიკეთეა? აბსტრაქტულ აზრებს თავისი ღირსებები აქვს, მაგრამ მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრება იმით ვერ დაკმაყოფილდება, არამედ თავისი ინტერესების მორალურ და მატერიალურ დაკმაყოფილებას ეძებს. „მშვიდობა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“ არა მარტო იმიტომ ვერ აკმაყოფილებს რუსეთის ინტერესებს, რომ არ ეკადრება ძლიერი სახელმწიფოს ღირსებასა და პატიოსნებას, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ასეთი მშვიდობა არ იძლევა ხალხის ეკონომიური ცხოვრების მშვიდად განვითარების საშუალებას. პრინციპის — „მშვიდობა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“—გამარჯვების შემდეგ რუსეთის მდგომარეობა სამხრეთით ისეთივე იქნება, როგორიც ეკატერინე II-ის დროს იყო.

აი ჩვენი თვალსაზრისი ომზე და პოლიტიკაზე „მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“, რომელსაც ბატ. პოლეტიკა ქადაგებს. ჩვენს აზრს გამოვთქვამთ გაბედულად, რადგან მის სისწორეს ამტკიცებს არა მარტო რუსეთის ისტორია, არამედ ყველა სხვა სახელმწიფოს ისტორიაც. ომი არის ყველაზე დიდი უბედურება, მაგრამ თუ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო ინტერესებს, მაშინ მისი დამთავრების შემდეგ ადვილად ხერხდება ქვეყნის ეკონომიური ძალების აღდგენა. ხოლო თუ ომის შიშით სახელმწიფო უარს იტყვის თავის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მაშინ მშვიდობა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და ხელს უწყობს მის გაღატაკებას. შეიარაღებული მსოფლიო, რომელმაც, მოყოლებული ნაპოლეონ III-ის დროიდან, მთელი ევროპის კეთილდღეობა შეარყია, ყველა გამანადგურებელ მდგომარეობაზე უფრო გამანადგურებელია. თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში ბერლინის კონგრესს მხოლოდ ასეთი მშვიდობა შეუძლია მოგვცეს. ასეთი მშვიდობა კი ომზე უარესი და არასასურველია, მაგრამ არა შოვინისტური ან საომარი აზარტის გამო, არამედ არითმეტიკული ანგარიშის მიხედვით, რაც იმას ამტკიცებს, რომ ასეთი მშვიდობა ყველაზე არახელსაყრელ ომზე უფრო გამაღატაკებელია.

8. ბათუმის საკითხისათვის

მივუთითეთ რა იმ შეცდომაზე, რომელიც გაზეთმა „დროებამ“ დაუშვა, ბათუმის თავისუფალ პორტად (ანუ პორტო-ფრანკოდ, როგორც ჩვენში მიღებულია იტალიურად წოდება, ოდესის თავისუფალი პორტის არსებობის დროიდან) დაწესების თაობაზე, — ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ინგლისის ინტერესებისათვის იმ დათმობათა ზომების შესახებ, რაც გარდუვალია იმ შემთხვევაში თუ რუსეთი ბათუმს თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისი მონდომებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ამიერკავკასიის ბაზრები და ამ გზით თავისი საქონელი გაესაღებინა სპარსეთსა და შუა აზიაში. 1830 წლამდე ინგლისი თავის საქონელს მნიშვნელოვანი რაოდენობით ასაღებდა, მაგრამ ამიერკავკასიაში მფარველობითი გადასახადების შემოღებამ იგი იძულებული გახადა თავის სატრანზიტო პუნქტებად ტრაპიზონი და ერზრუმი აერჩია, სადაც თურქეთის მთავრობის შესაძლებელი მფარველობით სარგებლობდა. ყირიმის ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გაიყვანეს რკინიგზა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და ყირიმისა და ამიერკავკასიის სანაპიროებს შორის რეგულარული სანაოსნო მიმოსვლა დაწესდა, ამიერკავკასიაში უცხო საქონლის შემოზიდვა თანდათან შემცირდა, ხოლო რუსეთის საქონლის შემოტანა გაიზარდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გაძლიერდა საქონლის კონტრაბანდული გზით შემოზიდვა, თურქეთთან ჩვენი ტყიანი და მთა-გორიანი სასაზღვრო რაიონებიდან, რომელთა საბაჟო ზედამხედველობა იმდენად ძნელია, რომ მისი განხორციელება შეუძლებლად მიგვაჩნია. სარგებლობენ რა ბათუმით, სადაც კონტრაბანდული საქონლის შემოზიდვა შეიძლება უხიფათოდ და სასურველი რაოდენობით, აგრეთვე საზღვარზე მცხოვრებლაზებსა და გურულებთან ნათესაობით, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებულნი არიან კონტრაბანდული ვაჭრობის წარმატებით, ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით იჭრება უცხოური, განსაკუთრებით ინგლისური საქონელი. ამიტომ გასაგებია,

რომ თუ ბათუმი რუსეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი გახდება და თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდება, კონტრაბანდული ვაჭრობა კიდევ უფრო გაადვილდება, რადგან საკმარისია კონტრაბანდული საქონელი პორტო-ფრანკოს საზღვრებს გასცდეს. რათა აღმოჩნდეს რუსეთში და დაუბრკოლებლად გავრცელდეს მთელს ამიერკავკასიაში. ამიტომ ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება, აღადგენს ინგლისის საქონლის ბატონობას ჩვენს მხარეში, ე. ი. გააქარწყლებს ყველა იმ ხელსაყრელ შედეგებს, რაც რუსეთის ვაჭრობამ მოიპოვა მთავრობის მიერ ნაოსნობის შექმნისათვის გაღებული თანხებისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე რკინიგზის გაყვანის გზით.

ახლა განვიხილოთ ამ საკითხის მეორე მხარე, კერძოდ — ჩვენი შესასვლელები თურქეთისათვის ჩამორთმეულ პროვინციებში, რომელთაც ჯერ არავითარი კავშირი და არავითარი სავაჭრო ურთიერთობა არა აქვს რუსეთთან და მოწყვეტილნი არიან მისგან უგზოობის გამო. აქამდე მათ საქონლით ამარაგებდა ევროპა, ბათუმის მეშვეობითა და ინგლისის ხელშეწყობით. ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების შემთხვევაში, ასეთივე მდგომარეობა შეიქმნება ყარსშიც, ბაიაზეთშიც და ინგლისური საქონელი, ბათუმის, არდაგანის, ყარსის და ბაიაზეთის გზით, დიდი რაოდენობით შეიჭრება სპარსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და წაგვართმევს ამ მნიშვნელოვან ბაზარს, სადაც ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ჩვენი საქონელი, ვოლგისა და კასპიის ზღვის მეშვეობით, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროების სპარსულ ქალაქებში.

ამრიგად, ლორდი ბიკონსფილდი, რომელიც ინგლისის მერკანტილური პოლიტიკის წარმომადგენელია, თავის პროექტით ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების შესახებ, ართმევს რუსეთს საუკეთესო სასაზღვრო სამხედრო ნავსადგურებს; უსპობს ყოველგვარ საშუალებას აღმოფხვრას საქონლის კონტრაბანდული გზით შემოზიდვა, თავისი მანუფაქტურული საქონლით იპყრობს ჩვენს ბაზარ ახლახან შეძენილ ოლქებს და ვარაუდობს — გადააქციოს ბათუმი ინგლისური საქონლის საიმედო პუნქტად, რომლის დაცვა, შენახვა და გაფართოება რუსეთის ხარჯზე უნდა მოხდეს. ინგლისს კი ექმნება იმის შესაძლებლობა, რომ გააძლიეროს თავისი საქონლის დიდი რაოდენობით გასაღება და ყველაფერი ეს განახორციელოს რუსეთის ვაჭრობის საზიანოდ და მის ხარჯზე.

9. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲝᲬᲘᲚᲕᲐ

ასეც ვიცოდით, რომ ჩვენი გაბედული ცდა — რბილად შეგვეს-წორებინა პატივცემული გაზეთის „დროების“ [22] შეცდომა სიტყვა „პორტო-ფრანკოს“ განსაზღვრასთან დაკავშირებით — არ შეგვრჩებოდა! დღეს ამის გამო „დროებამ“ ისეთი შავი დღე დაგვაყენა, რომ საჭიროდ ვთვლით ეს ამბავი „ობზორის“[2] მკითხველებსაც გავაცნოთ.

„როგორ გაეხარდა საწყალ „ობზორს“ და მის მამაც რედაქტორს ბატ. ნიკოლაძეს, როცა ჩვენი გაზეთის ერთ სტატიაში, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა გამო დამახინჯებულია, შეცდომა აღმოაჩინა. სად წავა ბატ. ნიკოლაძე, ჩვენ რომ მოვინდომოთ და სამაგიერო იმავე გზით გადავუხადოთ, გამოვააშკარავოთ ყველა ის შეცდომა და ცდომილება, რომელიც მის გაზეთში გვხვდება? ამ შეცდომათა სიას ჩვენი პატარა გაზეთი ვერც დაიტევს!

„თბილისში ცხოვრობს ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება, რომელიც მუდამ ებუზღუნება ყველას და ყველას ბრიყვსა და უსინდისოს ეძახის, სულერთია ვინც არ უნდა იყოს იგი. ამ პიროვნების მიზანი ისაა, რომ ყველასი და თითოეულის ლანძღვით საკუთარი უარყოფითი მხარეები დაფაროს.

„ასეთი ხასიათის გამო ამ პიროვნებას ყველამ სობაკევიჩი შეარქვა. ბატ. სობაკევიჩმა ამგვარი ქცევით ერთ დროს რამდენიმე კაცის თვალში პატიოსანი და ჭკვიანი კაცის რეპუტაცია მოიპოვა.

„იგი ყველას ლანძღავს და ამიტომ თვითონ უნდა იყოს რითიმე განსაკუთრებული, ამბობდნენ მის შესახებ. მაგრამ მალე ყველამ გაიგო რა ჩიტიც არის. იქნებ თქვენც ამ ვაუბატონის კვალზე გინდათ იაროთ ბატ. ნიკოლაძე?..“

ბატ. მესხს ჩვენ კეთილსინდისიერ კაცად ვთვლით, მაგრამ იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ ამგვარ წერილებს იგი მხოლოდ იმიტომ წერს და ბეჭდავს, რომ არ ესმის მათი მნიშვნელობა და არ იცნობს ლიტერატურული პოლემიკის წესებს. ამიტომ ვეცდებით ავუხსნათ მას, რაც შეიძლება დელიკატურად, მისი პასუხის მთელი უცნაურობა. იქნება ამგვარი ახსნა დაეხმაროს მას

იმაში, რომ შემდგომ აღარ ჩაიდინოს მსგავსი შეცდომა და არ წარუდგეს მკითხველ საზოგადოებას ისეთი ულამაზო სახით, როგორითაც იგი მისმა უკანასკნელმა წერილმა წარმოგვიდგინა.

ჯერ ერთი, ყოველი კეთილსინდისიერი მწერლის უპირველესი მოვალეობა ისაა, რომ გულახდილად აღიაროს საკუთარი შეცდომა, რათა მისი მკითხველები არ დარჩნენ შემცდარნი და შეცდომა მეცნიერულ ჭეშმარიტებად არ აღიარონ. მეორეც, ბატ. მესხს უფლება არა აქვს გვედაოს ჩვენ იმის გამო, რომ შესწორება სამართლიანია. ახლა მან იცის, რას ნიშნავს „პორტო-ფრანკო" და ამიტომ ვალდებულია გაუფანტოს „დროების" მკითხველებს ის მცდარი აზრი, რომელიც თავს მოახვია. ხოლო არ შეასრულო საკუთარი მოვალეობა, არაფერი თქვა შეცდომაზე და სტატიის დამახინჯება დააბრალო „სხვადასხვა გარემოებას" იმ დროს, როცა ცენზურას არ შეეძლო თავს მოეხვია ბატ. მესხისათვის „პორტო-ფრანკოს" მცდარი გაგება, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მოატყუო მკითხველი. ეს კი არ ეკადრება მწერალს, რომელიც ცოტათი მაინც აფასებს საკუთარ საქმიანობას და თავის მკითხველისათვის სიკეთე სურს.

შემდეგ: არ გამოასწორო საკუთარი შეცდომა და თავი იმართლო იმით, რომ „ობზორი" მდიდარია შეცდომებითა და შეცოდებებით — ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურა გადააქციო ლანძღვის ასპარეზად განუვითარებელი ადამიანებისათვის. „შენ ასეთი და ასეთი ხარ!" „შენ კი ასეთი, ასეთი და კიდევ ასეთი!.. შეიძლება საწყალი „ობზორი" და მისი მხდალი რედაქტორი პატ. ნიკოლაძე ნამდვილად და თავიდან ბოლომდე უმეცრები არიან. მაგრამ განა ამის გამო შეიძლება თავისუფალ ნავსადგურად ჩათვალოთ გაუმაგრებელი პორტი? მეორეც, განაცხადო — „ობზორი" სავსეა შეცდომებით და არ მოიყვანო არც ერთი ამის დამადასტურებელი ფაქტი, ჩვენს მიერ რომელიმე ტერმინის მცდარად განსაზღვრის მაგალითი, ეს უკვე ინსინუაციებში ვარჯიშს ნიშნავს, ე. ი. პატიოსანი მწერლისათვის უღირს საქმეში მონაწილეობას. წარმოგვიდგინეთ ფაქტი და ამის შემდეგ თუ გინდათ დამსაჯეთ, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ „დროებამ" „ობზორში" ამგვარი ელემენტარული ამბის უცოდინარობის ერთი მაგალითი მაინც აღმოაჩინოს. ყოველ შემთხვევაში, გვსურს რა გავანთავისუფლოთ „ობზორის" მკითხველები იმ მცდარი აზრისაგან, რომელიც შეგვეძლო თავზე მოგვეხვია მათთვის, ჩვენ ვთხოვთ „დროების" პატივცემულ რედაქციას, დაგვანახოს ჩვენი შეცდომები და იგი თვით დაინახავს, რომ მათ ჩვენს მკითხველებს არ დავუმალავთ.

სობაკევიჩის მაგალითი კიდევ არაფერია. კიდევ უფრო უარესია,

ვესმოდეს მწერლისაგან ის თეორიის ქადაგება, რომ კაცი, რომელიც სხვის შეცდომებს ააშკარავებს, ამით საკუთარი შეცდომების დაფარვას ფიქრობსო. ხომ შეიძლება მკითხველებმა იფიქრონ, რომ ბატ. მესხი, რომელსაც არ სჩვევია სხვისი შეცდომებისა და უარყოფითი მხარეების დაფარვა, თავის ზნეობრივი თვისებებით სობაკევიჩს გავს. მეორეც, კეთილსინდისიერ პუბლიცისტს მართლაც არ ეკადრება დააეჭვოს მკითხველები მოწინააღმდეგის პატიოსნებაში, როცა არ შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი ფაქტი და განსაკუთრებით მაშინ, როცა იცის, რომ პარალელურად მიმავალ ორ პიროვნებას შორის საერთო არაფერია. მესამეც, ძალზე სარისკოა შეადარო ადამიანი, რომელსაც პირდაპირ და საჯაროდ არავისთვის დაუდვია ბრალი და ყოველთვის ბნელი კუთხიდან მოქმედებდა და ხმამაღლა ილანძღებოდა დაუმტკიცებელი ინსინუაციებით, ისეთ კაცს, როგორიც სობაკევიჩია, ე. ი. ბატ. მესხის ვიერ აღწერილ მწერალს, რომელიც არავის არ შეხებია ისე, რომ ხელთ არ ჰქონოდა კონკრეტული ფაქტები და არგუმენტები.

დაე, ბატ. მესხი კარგად ჩაუკვირდეს ლიტერატურული პოლემიკის ამ საერთო კანონს, რაზედაც ბევრს წერდნენ ერთ დროს მის გაზეთში. ყოველთვის, როცა მწერალს არაფერი აქვს სათქმელი, როცა ვერაფრით უარყოფს მოწინააღმდეგის მოსაზრებებს, როცა არ სურს სცნოს საკუთარი სისუსტე, იგი მისდაუნებურად ეტანება ინსინუაციებს, ძირს უთხრის მოწინააღმდეგის ზნეობრივ სიწმინდეს, მიმართავს ცილისწამებას და ლანძღვა-გინებას. ეს საერთო კანონია. მხოლოდ ისეთ რედაქციას და ისეთ წმინდა პიროვნებას არ ეშინია საკუთარი შეცდომის აღიარებისა და დამარცხებისა, რომელმაც საზოგადოებისათვის გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც შეეძლო და უნდა გაეკეთებინა... უმეტეს შემთხვევაში კი დამარცხებულნი ცდილობენ ცილისწამებითა და ლანძღვა-გინებით გადაირჩინონ თავი. ბატ. მესხმა თავის ტყავზე გამოსცადა ამ კანონის მთელი სისწორე, როცა ბატ. ა. ფურცელაძეს ეკამათებოდა. რაც უფრო სამართლიან დარტყმებს აყენებდა იგი მოწინააღმდეგეს. რაც უფრო ხშირად ამხელდა მის შეცდომებსა და დაუმთავრებელ აზრებს, მით უფრო საძაგლად და ხმამაღლა ილანძღებოდა ბატ. ფურცელაძე, მით უფრო მეტ ცილს წამებდა. რისთვის ჭირდება ახლა მას, დაადგეს ამგვარი მოწინააღმდეგის კვალს. განა ბატ. მესხმა არ იცის, რომ ვერც ინსინუაციებმა, ვერც ცილისწამებამ და ვერც ლანძღვა-გინებამ ვერ გადაარჩინა ბატ. ფურცელაძე ქართველი მკითხველი საზოგადოების თვალში ყოველგვარი ნდობი-

სა და მნიშვნელობის დაკარგვისაგან? ან იქნებ ბატ. მესხს აუცილებლად უნდა მისი ხვედრი გაიზიაროს?

ჩვენთვის ეს დიდად სამწუხარო იქნებოდა, რადგან გულწრფელად ვაღიარებთ, რომ ბატ. მესხი არ არის იმის ღირსი, რომ თავისი მოღვაწეობა ასე დაამთავროს. მაგრამ იგი თავს ვერ დააღწევს ამას. თუ ჯიუტად ეცდება გამოიყენოს ისეთი ულამაზო საშუალებები, რომელთა შესახებაც ჩვენს მკითხველებს უკვე შეეძლოთ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ. ჩვენ ეს გრძელი და, როგორც ხედავთ, მშვიდი, დელიკატური შენიშვნა იმიტომ მივუძღვენით მას, რომ გულწრფელად გვსურს დავანახოთ ასეთი საშუალებების გამოყენების საშიშროება და ულამაზობა.

10. შავი ზღვის მნიშვნელობა რუსეთისათვის და ბათუმის ფლობისა — შავი ზღვისათვის

1

თბილისი, 3 ივლისი

სამხედრო ხელოვნება, სხვა ძირითად წესებს შორის, შემდეგ რჩევასაც იძლევა: არასოდეს არ გააკეთოთ ის, რაც მტრისათვის სასურველია. და რადგან ბერლინის კონგრესის თავმჯდომარე მებრძოლი გენერალია და ასეთივე სამხედრო გენერალია რუსეთის წარმომადგენელიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მართებული იქნება გამოვიყენოთ ზემომოყვანილი სამხედრო ხელოვნების წესი იმ დიპლომატიური საუბრებისათვის, რომელიც ახლა ბერლინში მიმდინარეობს.

ლორდმა ბიკონსფილდმა მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაგვანახა, რომ იგი რუსეთის ყოველგვარი წარმატების დაუძინებელი მტერია. ამიტომ, თუ ლორდ ბიკონსფილდს ძლიერ სურს, რომ ბათუმი თურქების ხელში დარჩეს, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს, გააქარწყლოს მისი სასარგებლო მნიშვნელობა და მისი ფლობა საზიანოც კი გახადოს რუსეთისათვის, აქ თავისუფალი ნავსადგურის დაწესების შემწეობით. რუსეთი ვალდებულია აღიაროს ბათუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა და შეინარჩუნოს იგი, როგორც საკუთარი სიძლიერის განვითარების მძლავრი საშუალება. შეიძლება ასეთი დასკვნა ბევრს თვითნებური მოეჩვენოს, ამიტომ ვეცდებით შეძლებისდაგვარად განვმარტოთ ეს საკითხი: მართლა მნიშვნელოვანია ბათუმის დასაკუთრება რუსეთისათვის, თუ ეს შენაძენი არაფერია იმასთან შედარებით, რაც დავთმეთ და ამიტომ მისი გულისათვის არ ღირს ლორდ ბიკონსფილდის კაბინეტის უკმაყოფილება გამოვიწვიოთ? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ჩვენი პირადი, ადგილობრივი საკითხიცაა, რადგან შავი ზღვის სანაპიროების სიგრძის ნახევარი კავკასიის საშეფისნაცვლოზე მოდის და ჩვენთვის შავი ზღვა უმთავრესი გზაა რუსეთთან და ევროპასთან დასაკავშირებლად, საიდანაც ყოველგვარ სიკეთესა და დახმარებას ველით, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის. ამიტომ ჩვენ ჩვენს მოვალეობად

ვთვლით, ახლავე დავაჯგუფოთ ყველა ფაქტი, რათა გავერკვეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შავ ზღვას რუსეთისათვის და ბათუმის შემოერთებას — ჩვენი მდგომარეობისათვის შავ ზღვაზე. ამ საკითხს ჩვენთვის დიდი აქტუალური მნიშვნლობა აქვს და ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მკითხველები არ გაგვიწყრებიან ბევრი ისეთი რამის განმეორებისათვის, რაც გამოთქმული იყო ჩვენი გაზეთის მოწინავე სტატიებში: იმის განმეორება, რაც ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, არაფერს გვავნებს, თუმცა ჩვენ ვეცდებით, რაც შეიძლება მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხი.

რუსეთის ახლანდელი ეკონომიური და ფინანსიური სიძნელეების საფუძვლიანად შესწავლა მიგვითითებს სახელმწიფოს სავაჭრო და ეკონომიური კეთილდღეობის ერთ-ერთი დავიწყებული ფაქტორის, სახელდობრ ზღვაოსნობის განვითარებაზე. საკუთარი სავაჭრო ფლოტის უქონლობა უსპობს ჩვენს საფაბრიკო მრეწველობას იაფი ნედლეულით მომარაგების საშუალებას. აბრკოლებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის რაციონალურად გასაღებას, ძირს უთხრის ჩვენი საგარეო ვაჭრობის ყოველგვარ დამოუკიდებლობას და თავზე გვახვევს უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ დამოკიდებულებას, საიდანაც ბუნებრივად გამომდინარეობს ის ფინანსიური სიძნელეები, რასაც ჩვენ ახლა განვიცდით. ამ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია მარტო ფინანსიური და პოლიტიკური ღონისძიებებით, ამისთვის აუცილებელია რუსეთის სახელმწიფოებრივი მეურნეობის საერთო გაუმჯობესება იმ ფაქტორების შექმნით, რაც აკლია შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ჩვენს სოფლის მეურნეობას, ასევე საფაბრიკო მრეწველობასა და ვაჭრობას. მაგრამ ზღვაოსნობის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ძნელი ამოცანაა მთავრობისათვის, რადგან მისი უშუალოდ განხორციელება შეუძლებელია და ითხოვს ხანგრძლივსა და მრავალფეროვან ღონისძიებებს, ზღვისპირა მოსახლეობის, კაბოტაჟისა და თევზჭერის შექმნის საქმეში, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება შორ ქვეყნებში ცურვა, რაც, შესაბამისი განვითარების შემთხვევაში, მარტო გადასწყვეტს რუსეთის სახელმწიფო მეურნეობის და ფინანსიური მდგომარეობის რთულ ამოცანას.

სავაჭრო ფლოტის შექმნის ამოცანის სიძნელე, სირთულე და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, ისეთი მრავალგვარი ელემენტების შესაბამისად, რომელთაგანაც შესდგება სავაჭრო ზღვაოსნობა, მიგვითითებს სისტემის აუცილებლობაზე, ე. ი. მოქმედების ერთი საერთო აზრის, ერთი საერთო გეგმის აუცილებლობაზე. მხოლოდ ასეთ საერთო გეგმას შეუძლია ნაყოფიერი გა-

ხადოს სახელმწიფოსა და კერძო პირთა ცალკეული მეცადინეობა სახელმწიფო მეურნეობის ასეთ ფართო დარგში. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ რუსეთს ბევრი ზღვა აკრავს. და რადგან თითოეული მათგანი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მდებარეობს, თავის გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი სიმდიდრითა და ეთნოგრაფიული პირობებით მათ არ შეუძლიათ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების განვითარების საერთო მწყობრში თანაბარი მნიშვნელობა ქონდეთ და, ამიტომ, არ შეიძლება მათ მიმართ თანაბარი, ერთნაირი ღონისძიებების განხორციელებაც.

ყველა ზღვას შორის, რომლებიც ევროპული რუსეთის საზღვრებს აკრავს, პეტრე I-ის დროიდან, საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ბალტიის ზღვა იყო. ამავე ზღვაზეა თავმოყრილი რუსეთის უმთავრესი სამხედრო-საზღვაო ძალებიც. მაგრამ კლიმატური პირობების გამო პეტერბურგამდე ცურვა წელიწადში 6—7 თვით წყდება. გარდა ამისა, ამ ზღვიდან გასასვლელი არასოდეს არ იქნება ჩვენს ხელში. ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებმა ჩვენ მთელი საუკუნით გაგვასწრეს ზღვაოსნობისა და საზღვაო ძალების განვითარებით, ამიტომ ბალტიის ზღვაზე ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს თავდაცვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობას პასიური ხასიათი, ე. ი. მთლიანად დამოკიდებული უნდა იყოს ლონდონზე, ამსტერდამზე, ჰამბურგზე და ა. შ., რადგან ჩვენმა საქონელმა უნდა გაიაროს კოლონიური საქონლით ვაჭრობის მთავარი დეპოები, სანკტ-პეტერბურგამდე რომ მოაღწიოს. ამ. ასე ვთქვათ, ფიზიკური მიზეზების აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის ჩვენი ზღვაოსნობის განვითარებას, მთავრობის არავითარ ღონისძიებებს არ შეუძლია. ერთადერთი გზა, რომლისკენაც რუსეთი ვაჭრობის საერთაშორისო ინტერესებისათვის უნდა ისწრაფოდეს, ისაა. რომ ბალტიის ზღვაზე საქონლის გადაზიდვის პერიოდულად შეწყვეტა აღმოფხვრას რკინიგზის ქსელის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული ევროპის რკინიგზასთან. მაგრამ, როგორც გამოცდილებამ დაგვანახა. ასეთი ქსელი, ამცირებს რა პეტერბურგის როგორც მთავარი გამშვები პუნქტის მნიშვნელობას, ვერ ათავისუფლებს ჩვენს ვაჭრობას უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან. რომელიც წარმოებს კენიგსბერგში, დანციგში და სხვ. იმავე პასიურ საფუძველზე, როგორც ეს პეტერბურგში ხდებოდა.

თეთრი ზღვა, მის გვერდით მდებარე ყინულოვან ოკეანესთან ერთად, ამ უკანასკნელ დროს ნორვეგიის საზღვრებთან აღმოჩენილი გაუყინავი ნავსადგურების წყალობით, საშუალებას გვაძლევს ჩამო-

ვაყალიბოთ საზღვაო ძალები, რომელიც ყოველთვის, ყოველგვარი შემთხვევითობის დროს, მზად იქნება გავიდეს ყველა ოკეანეში. ამას წინათ აღმოჩენილი საზღვაო გზები ენისეის შესართავიდან კარის ზღვისა და ციმბირის მდინარეების გავლით რომ მიედინებიან, შესაძლებლობას გვაძლევენ — ამ მხარეში განვითარდეს საზღვაო ვაჭრობა. მაგრამ თეთრი ზღვისა და ყინულოვანი ოკეანის სანაპიროების უკიდურესად მეჩხერი დასახლება და მკაცრი ჰავა, იმდენად აბრკოლებს ამ მხარის პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებას, რომ საფიქრებელია — ახლო მომავალში ამ ორ ზღვას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება.

კასპიის ზღვას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო არ გააჩნია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობისათვის, მაგრამ ხივის დაკავების შემდეგ იგი დიდ მნიშვნელობას იძენს რუსეთის ვაჭრობისათვის შუა აზიასთან და სპარსეთთან, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ გაიყვანენ მოხერხებულ გზას ამუ-დარიის ძველ კალაპოტში და აღმოფხვრიან მდ. ვოლგის შესართავთან არსებულ ბუნებრივ დაბრკოლებებს, რაც ნაოსნობას აფერხებს. ორივე ეს ღონისძიება მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკლებად შესწავლისა, ზუსტი ტექნიკური მონაცემების ნაკლებობისა და თვით საწარმოოს კოლოსალურობის გამო საფიქრებელია, რომ მათი განხორციელება ახლო მომავალში სათუოა.

შავმა ზღვამ კი, თავის ყურესთან — აზოვის ზღვასთან ერთად, რომელიც სამხრეთით რუსეთის ყველაზე ნაყოფიერ ოლქებს ეკვრის, ხოლო აღმოსავლეთით—კავკასიას, რომელიც კიდევ უფრო შესანიშნავია თავის ჰავითა და ბუნებრივი ნაწარმის სიმდიდრით, სუეცის არხის გათხრის შემდეგ, რუსეთისათვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა. ცნობილია, რომ სუეცის არხის გათხრის შემდეგ საზღვაო გზის სიგრძე ინდოეთიდან ევროპამდე ციფრებში ასე გამოიხატება:

კუნძულ ცეილონიდან	
სევასტოპოლამდე	5,020 მილი
ოდესამდე	5,080
მარსელამდე	5,490
ჰავრამდე	7,090
ლონდონამდე	7,300
ჰამბურგამდე	7,610
პეტერბურგამდე	8,630

ამგვარად, შორეული აღმოსავლეთის კოლონიური საქონლის მისაღებად უახლოესი ნავსადგურები სევასტოპოლი და ოდესაა. ამიტომ საქონლის ამ ნავსადგურ'ში გადმოზიდვა უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე იმ ნავსადგურებში, სადაც ახლა ეს საქონელი ჩაქვეთ — რუსეთში გადმოსაგზავნად. და რადგან ეს საქონელი, გარდა უშუალო მოხმარების საგნებისა (როგორიცაა ჩაი, ყავა, შაქარი, სანელებლები), ჩვენი ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულსაც შეიცავს (როგორიცაა საღებავები, ბამბა, აბრეშუმი და სხვა) და ამიტომ ამ საქონლის გაიაფება მოსახლეობის აუცილებელ მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში, ხელს შეუწყობს მისი კეთილდღეობის ზრდას და, ამავე დროს, შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მწარმოებლებს — მეტი კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ფაბრიკებს, რაც ახლა ჩვენთვის შეუძლებელია იმის გამო, რომ ნედლეულს ძვირად ვყიდულობთ უცხოელებისაგან. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ აღმოსავლეთიდან პირდაპირი კავშირის დამყარება, ე. ი. შავ ზღვაზე შორეულ ზღვაოსნობის განვითარება, რუსეთს მოუპოვებს იმ დამოუკიდებლობას, რის უფლებაც მას აქვს თავისი სიძლიერისა და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო.

გარდა ამისა, ინდოეთისაკენ კონტინენტალური რკინიგზის გაყვანით დაინტერესებულია მთელი ევროპა, რადგან ამ ღონისძიების განხორციელება ხელსაყრელი და აუცილებელია მსოფლიოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის. ამიტომ ამ გეგმის განხორციელებაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები გვიკარნახებს, რომ კონტინენტალური რკინიგზის გაყვანა აჯობებს კონსტანტინოპოლზე, სკუტაირზე, თავრიზზე, ერზრუმზე, კანდაგარზე და სხვა ქალაქებზე გაელით, სადაც იგი შეუერთდება ინდოეთის რკინიგზის ქსელს. ცხადია, ამ გზის გაყვანის შემდეგაც, საქონლის დიდ ნაწილს ჩრდილოეთ ევროპიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან კონტინენტალური რკინიგზით მაინც არ გადაზიდავენ, რადგან ძვირი დაჯდება. ამიტომ ტვირთს უფრო იაფი ორთქლის გემებით და უფრო მოკლე გზით ჯერ სკუტაირამდე ან ფოთამდე მიიტანენ და შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ გაგზავნიან, რაც უფრო შეამცირებს ტვირთის რკინიგზით გადაზიდვას მთელს მთაგორიან მცირე აზიაში. ამიტომ, ინდოეთის რკინიგზის მოსალოდნელ გაყვანასთან დაკავშირებით, ჩვენი გზები. კავკასიის ყელზე რომ მიედინებიან, დიდ მნიშვნელობას მოიპოვებენ საერთაშორისო ვაჭრობაში. ამიტომ შავი ზღვა, რომელიც დევს ორი დიდი გზის ჯვარედინზე, ერთი მხრივ, საზღვაო გზისა — სუე-

ცის არხის გავლით და მეორე მხრივ — სახმელეთო გზისა—კავკასიის ყელის გავლით, მოიპოვებს უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, რომლის მთელი სარგებლიანობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთისათვის, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ იგი დროზე მოემზადება ისეთი დიდი მომავლისათვის, როგორიც მას ელის.

ამგვარად, რუსეთის თანამედროვე შინაგანი სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება, ე. ი. შავი ზღვის ნაპირა ჩვენი ოლქების კეთილდღეობა, ისევე როგორც მსოფლიოს საერთაშორისო ვაჭრობის აუცილებელი შემდგომი მოთხოვნილება, შავი ზღვის მნიშვნელობას ყველა იმ ზღვის მნიშვნელობაზე მაღლა აყენებს, რომლებიც რუსეთის სამფლობელოებს ეკვრიან, ხოლო შავი ზღვის აუზის კეთილმოწყობა, სახელმწიფოს თანამედროვე აუცილებელი საჭიროებებისა და ამ საერთაშორისო გზის მომავალი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რუსეთის უპირველეს და გადაუდებელ სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს.

2

თბილისი, 4 ივლისი

წინა სტატიაში ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ოლქების განვითარება და მსოფლიო ვაჭრობის მოთხოვნილება, თუ კი რუსეთს სურს მონაწილეობა მიიღოს ამგვარ ვაჭრობაში, შავ ზღვას ყველა იმ ზღვებზე მაღლა აყენებს, რომლებიც რუსეთის სამფლობელოებს აკრავს. ხოლო შავი ზღვის აუზის კეთილმოწყობა, თანამედროვე მეცნიერებისა და მომავალი საერთაშორისო ვაჭრობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ჩვენი დროის ერთერთი გადაუდებელი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა.

მაგრამ რა გვაქვს ახლა ჩვენ შავ ზღვაზე?

სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ იმის ჩამოთვლა შეგვიძლია, თუ რა გვქონდა აქ და როგორ არ გამოვიდა ამ ამბიდან არაფერი.

ყირიმის ომის დაწყებამდე, დუნაის შესართავთან ჩვენ გვქონდა სიმაგრეები: იზმაილი, კილია და სხვა. გვქონდა აგრეთვე პოტიომკინის მიერ შერჩეული, ძლიერი სამხედრო ნავსადგური — სევასტოპოლი. გვქონდა ბრწყინვალე საბრძოლო ფლოტი, გვქონდა რამდენიმე სიმაგრე აღმოსავლეთ კავკასიის სანაპიროზე, რასაც შავი ზღვის სანაპირო ხაზი ეწოდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ყირიმის ომის დროს განადგურდა. მართალია, სევასტოპოლის კედლებთან

ინგლისმა დაჰკარგა ველინგტონის გამარჯვებებით მოპოვებული სამხედრო პრესტიჟი, მაგრამ ამგვარი მორალური მარცხი ვერ შეედრება იმ მორალურ და მატერიალურ ზარალს, რაც რუსეთმა მიიღო ყველაფერი, რაც შექმნა პეტრე I-ის, ეკატერინე II-ის, დიდი სუვოროვის, სახელგანთქმული პოტიომკინის, გრეიგის, ლაზარევის და სხვათა გენიამ, ამ გენიალური რუსი პატრიოტების ყველა დიდი პროექტი, რომელთა განხორციელებასაც, აზოვის ლაშქრობიდან ყირიმის ომის გამოცხადებამდე, ე. ი. 130 წლის მანძილზე, ხალხის ძალებისა და სახსრების კოლოსალური მსხვერპლი დასჭირდა, უკვალოდ გაქრა, ე. ი. შეეწირა რუსეთის უნაყოფო გაღატაკებას...

ყირიმის ომის შემდეგ, მეტად არახელსაყრელ პირობებში, დავიწყეთ შავ ზღვაზე ყველაფრის თავიდან შექმნა. პარიზის ტრაქტატი ჩვენ უმთავრესი სახელმწიფო მოთხოვნილებების აშკარად დაკმაყოფილების უფლებასაც კი არ გვაძლევდა. არ შეგვეძლო ისე უზრუნველგვეყო შავი ზღვის სანაპირო, როგორც საჭიროება მოითხოვდა, არ გვქონდა უფლება აღგვედგინა სამხედრო ფლოტი. დანაშაულად ეთვლებოდა რუსეთს სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების შექმნა, როგორც ფარული სურვილი სამხედრო ფლოტის ყოლისა მომავალში. მიუხედავად ამისა, ცხოვრება ბუნებრივ წინსვლას თხოულობდა; ჩვენ ნელ-ნელა აღვადგინეთ განადგურებული სანაპირო ქალაქები. ქერჩი სიმაგრედ იქცა, ხოლო სევასტოპოლი — რუსეთის გემების მფლობელთა საზოგადოების გემთსაამშენებლო საქმიანობის ცენტრად. კავკასიის სანაპირო ხელახლად და საბოლოოდ იქნა დაპყრობილი. ნოვოროსიისკმა, ანაპამ, სოხუმმა და ფოთმა განვითარება იწყეს და პატარა ქალაქებს დაემსგავსნენ. მაგრამ ისევ დაიწყო თურქეთთან ომი და ყველაფერი, რაც კავკასიის სანაპიროზე გაკეთდა, კვლავ განადგურდა და უკვალოდ გაქრა...

ახლა კი, მთავრობის 150 წლის მეცადინეობისა და ხალხის მიერ ათასგვარი მატერიალური მსხვერპლის გაღების შემდეგ, ჩვენ თავიდან უნდა შევუდგეთ შავი ზღვის სანაპიროს მოწყობას. რასაკვირველია, ამის თქმა სამწუხაროა, მაგრამ ცოდვა იქნება იმის დამალვაც, რომ რუსეთის ყოველი მეცადინეობა და მის მიერ გაღებული მსხვერპლი შეიძლება გარკვეული წლების შემდეგ ისევ განადგურდეს. არ დატოვოს კვლავ არავითარი კვალი გარდა მოგონებებისა და აუნაზღაურებლად დაკარგული მილიარდებისა, ათი ათასობით გაღატაკებული ოჯახისა და ათასობით დაღუპული ადამიანისა.

ჩვენ არ ვდაობთ, რომ ინგლისი დაინტერესებულია თავს მოგვახვიოს სიზიფოსის შრომა, რომელიც პერიოდულად ანადგურებს სახალხო ძალებსა და სახსრებს. გარდა ამისა, ლორდ ბი-

კონსფილდს კარგად ესმის, რომ რუსეთის განვითარების შესაჩერებლად ყველაზე უკეთესი გზა ისაა, რომ გამოიწვიოს რუსეთი, რათა მან გაიღოს განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი საზღვაო ძალების შესაქმნელად, ამავე დროს, შექმნას ისეთი პოლიტიკური ვითარება, რომლის დროსაც, რაც უფრო მეტ ძალღონეს დახარჯავს საკუთარი განვითარებისათვის, მით უფრო მეტად განადგურდება მისი სახალხო ძალები და სახსრები. განა მოიძებნება ისეთი უბრალო, საღად მოაზროვნე ადამიანი, არაფერს ვამბობ სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომელიც ხალხის ცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის ასეთ ხელოვნურ მდგომარეობას ნორმალურად ჩათვლ ის? რატომ თვლიან ბერლინელი დიპლომატები ასეთ არასასიხარულო მოვლენას ევროპის ინტერესების სამართლიან დაკმაყოფილებად და რუსეთის მშვიდად არსებობის აუცილებელ პირობად? ეს ისეთი აღმაშფოთებელი უაზრობაა, რომ გონებას არ შეუძლია მისი განსჯა. გაუგებარია, რატომაა აუცილებელი, რომ როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს სისტემატურად ნადგურდებოდეს ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფო? ხოლო თუ რუსეთს წილად ხვდა დაბალი ღობის როლი, მაშინ სრულიად ბუნებრივი იქნება მისი მხრიდან უარი თქვას ევროპის საერთო ინტერესებზე და პირველ პლანზე დააყენოს საკუთარი ინტერესები, ინტერესები 80 მილიონიანი ხალხისა, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს ცხოვრებას და უფლება აქვს მოითხოვოს ერთგვარი პატივისცემა საკუთარი არსებობისა და მშვიდობიანად განვითარების უფლებების დაცვისადმი.

აი, ჩვენის ღრმა რწმენით, ერთ-ერთი თვალსაზრისი, რომლითაც ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი უნდა მიუდგეს რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ შავი ზღვის საკითხის თანამედროვე გადაწყვეტას. ვხელმძღვანელობთ რა ამ რწმენით, ახლა განვიხილოთ შავი ზღვის სანაპიროს პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობა.

არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ საჭირო იყო კონსტანტინოპოლის დაკავება. იგი ჩვენთვის არც ისე აუცილებელია, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. ჩვენთვის აუცილებელია გადავჭრათ სრუტეების საკითხი იმდაგვარად, რომ ჩვენი შავი ზღვის სანაპიროები პერიოდულად არ ნადგურდებოდეს. დაე, სრუტეები დარჩეს ისევ თურქეთს. მაგრამ რუსეთი გარანტირებული უნდა იყოს იმისაგან, რომ შავ ზღვაში არ შემოვა და კონსტანტინოპოლის კედლებს არ გამოსცდება ინგლისის ან სხვა სახელმწიფოს სამხედრო ფლოტი. ასეთი გარანტიის გარეშე არც ერთი კერძო პირი არ ისურვებს

კვლავ დასახლდეს გაპარტახებულ სანაპირო ქალაქებში, ხოლო ხელისუფლება, რომელიც დიდ თანხას ხარჯავს ამ დანგრეული ქალაქების აღდგენისათვის, სულ იმის შიშში იქნება, რომ მესამედაც განმეორდება ის, რაც უკვე ორჯერ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სრუტეები თურქეთის ხელში რჩება, სამხედრო ფლოტის სათანადო მასშტაბით განვითარება რუსეთს მისცემს იმის საშუალებას, რომ არ ეშინოდეს ამ სახელმწიფოთა მხრიდან შავი ზღვის სანაპიროების გაჩანაგების.

თუ სევასტოპოლს და ოჩაკოვოს სათანადოდ გავამაგრებთ, შავი ზღვის ახლანდელი საზღვარი, დაწყებული დუნაის შესართავთან აგებული სიმაგრეებიდან, ქერჩის სიმაგრემდე, შეგვიძლია საკვანძოდ დაცულ საზღვრად ჩავთვალოთ. სამაგიეროდ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ჰაერში ჰკიდია. ეს საზღვარი ჭაობიანია და თავდება იქ, სადაც მდინარეები — ნატანები და ჭოლოკი მიედინებიან. იგი გეოგრაფიული ერთეულია, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ვერც-ერთ იმ პირობას, რომელსაც სახელმწიფო საზღვარს უყენებენ. ეს გამომჟღავნდა ყირიმის ომის დროს, რომელიც იმით დაიწყო, რომ თურქებმა გადმოლახეს ნატანები და ამოწყვიტეს ნიკოლაევსკის პოსტის გარნიზონი. იგივე განმეორდა ახლანდელ ომშიც. რიონის რაზმს არც კი უფიქრია საზღვარზე გაჩერება. იგი წინ, ნიკოლაევსკის პოსტისაკენ კი არ დაიძრა, არამედ საფლანგო პოზიცია დაიკავა, რათა ხელი შეეშალა თურქებისათვის ზღვის სანაპიროდან გურიაში შეჭრილიყვნენ. აქაური ადგილები იმდენად მოუხერხებელია, ხოლო ჰავა იმდენად მავნებელი, რომ ყირიმის ომის შემდეგ ნიკოლაევსკის პოსტზე ჯარის ნაწილი არ დაუყენებიათ. საზღვრის ამ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება. ამიტომ იგი რომ მართლა საზღვარი იყოს და არა ფიქცია, ჩვენ მას მტკიცე სტრატეგიული სახე უნდა მივცეთ. ასეთი საზღვარი გაყვანილია და ჩვენ იგი დაგვითმო თურქეთმა, ს.-სტეფანოს ხელშეკრულებით. როგორც ცნობილია, ეს საზღვარი მიჰყვება ბათუმის წინ აღმართულ მთაგორიან ქედს, რაც საზღვრისათვის საიმედო დასაყრდენი პუნქტია და მოხერხებულია როგორც დასაკავებლად, ასევე გასამაგრებლად. ასეთი საზღვრის გარეშე არა მარტო ჩვენი სამხედრო მდგომარეობა იქნება არაბუნებრივი, არამედ ეკონომიურ პირობებსაც სრულიად არანორმალური ხასიათი ექნება. მაგალითად, ისეთი საზღვრის არსებობის დროს, როგორიც ადრიანოპოლის ტრაქტატის მიხედვით გაიყვანეს, საბაჟო ზედამხედველობის არსებობა შეუძლებელია. თუ ბათუმი ჩვენს მფლობელობაში არ იქნება, ამ ღია სანაპიროზე კაბოტაჟის განვითარება შეუძლებელია.

ამიტომ ბათუმი არც თურქეთს უნდა ეკუთვნოდეს, არც თავისუფალი ქალაქი უნდა იყოს და არც პორტო-ფრანკო. იგი უნდა წარმოადგენდეს ისეთსავე ბოლო პუნქტს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხრეთით, როგორიც ქერჩია მის ჩრდილოეთ კიდეზე. ბათუმის გარეშე აღმოსავლეთ სანაპირო სრულყოფილი ვერ იქნება: იგი ვერ მოემსახურება მდიდარი სანაპიროს ზღვაოსნობის, ვაჭრობისა და კულტურის განვითარების ერთ საერთო იდეას. აღმოსავლეთი სანაპირო ყოვლად უსაფუძვლოდ და არაბუნებრივად წყდება არა ჭოროხთან, არამედ ჭოლოკთან, რაც მზაკვრული მოსყიდვის ბრალია; იგი ჰაერშია ჩამოკიდებული და მოითხოვს ხელოვნურ საყრდენს, რომელიც ვერც ვერსად შეიქმნება და არც საჭიროა, რადგან აქ ცხოვრება შეუძლებელია.

ვთქვათ, ჩვენი მოსაზრებები სანაპირო საზღვრების შესახებ სწორია, მაშინ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ ამ საზღვრებზე და ამ საზღვრებში?

ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ გამოვთქვამთ აზრს, რომ რუსეთმა აქ ინტენსიურად უნდა დაიწყოს ზღვაოსნობის განვითარება. სწორედ ეს იყო პეტრე პირველის, ეკატერინე მეორის, პოტიომკინის, სუვოროვის, ციციანოვის, ერმოლოვის, რაევსკის, ველიამინოვის და სხვათა აზრი. ესაა გარდაუვალი ეკონომიური მოთხოვნილება, რომელიც საჭიროა თვით სანაპიროსა და მისი მოსაზღვრე რუსეთის ოლქების აყვავებისათვის, იმ სახელმწიფო ამოცანისათვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დამოუკიდებლობა მიანიჭოს მანუფაქტურულ მრეწველობას და განავითაროს საგარეო ვაჭრობა. შესაძლოა ამ აზრს არ დაეთანხმოს მხოლოდ ბატ. პოლეტიკა, რომელიც მზადაა დათმოს ბათუმიც, დუნაიც და ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ხელი მოაწერონ სამშვიდობო შეთანხმებას და აღარ დასჭირდეს ზრუნვა რუსეთის უიმედო ფინანსიური მდგომარეობის გამო. გარდა ბატ. პოლეტიკასი, შეიძლება არ დაგვეთანხმოს კიდევ ბატ. ვოლდემარი, რომელმაც ვერავითარი ღირსებები ვერ აღმოაჩინა შავი ზღვის მეზღვაურებში, ზურგი შეაქცია მათ და რუსეთის საზღვაო ძლიერების მთელი მომავალი დაუკავშირა გაინაუსკის საზღვაო სკოლას, რომელიც შეიქმნა მისი პატრიოტული მეცადინეობის შედეგად, ბატ. დალის დახმარებით. მაგრამ ეს ორი ადამიანი ვერ დაგვავიწყებს იმ დიდი ადამიანების პლეადას, რომელთაც შეიგნეს რუსეთის საზღვაო ძლიერების მნიშვნელობა და ჩვენ უსიტყვოდ ვიზიარებთ მათ თვალსაზრისს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენთვის აუცილებელია ახლავე შევქმნათ ნაოსნობა შავ ზღვაზე.

3

თბილისი, 5 ივლისი

წინა სტატიაში ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებელია ახლავე შევქმნათ ნაოსნობა შავ ზღვაზე...

შევქმნათ ნაოსნობა! ეს ამოცანა ზოგს ადვილი ჰგონია, ზოგს განუხორციელებელი, ზოგს კი ამაზე ზრუნვა ზედმეტად მიაჩნია, რადგან დროთა განმავლობაში, მოსახლეობისა და ვაჭრობის მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად, ნაოსნობა თავისთავად შეიქმნება ბუნებრივი გზითო. ჩვენ ცალ-ცალკე არც განვიხილავთ და არც უარვყოფთ ყველა ამ თვალსაზრისს, შევეცდებით სამი თვალსაზრისი გავაერთიანოთ და ერთი საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ.

ეჭვი არაა, რომ რუსეთი ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანა, რომელიც ზღვის სანაპიროებს ფლობს, რა დაბრკოლებაც არ უნდა შეხვდეს ბუნების, პოლიტიკური და ეკონომიური პირობების გამო, დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოიყენებს ზღვებს და საზღვაო გზებს. მაგრამ როცა ასეთი შედეგების მიღებას ჟამთა სვლას ვუთმობთ, ჩვენ უარს ვამბობთ ყოველი ცალკეული პირის, ყოველი საზოგადოების, ყოველი სახელმწიფოს ძირითად მოვალეობაზე, — აღმოფხვრას საკუთარი კეთილდღეობისათვის ხელშემშლელი პირობები და მათ მაგივრად შექმნას ძლიერებისა და სიმდიდრის ახალი წყაროები გონების. მეცნიერების, ენერგიის და სხვა მსგავსი ღონისძიებების საშუალებით. დავაკისროთ ყველაფერი მომავალ თაობას — ეს იმას ნიშნავს. რომ ჩვენს თაობას და მის წარმომადგენლებს მივცეთ აპატიის ატესტატი, ვცნოთ მათი გონებრივი და ზნეობრივი უძლურება. მაგრამ როცა ლაპარაკია მთელ სახელმწიფოზე და ხალხზე, ამის გაკეთების უფლება არავის არა აქვს. ამიტომ, დაე დრო თავისი გზით მიედინებოდეს, ემსახურებოდეს მთელი კაცობრიობის პროგრესულ განვითარებას, მაგრამ ეს ჩვენ არ გვანთავისუფლებს აუცილებელი შრომისა და იმ საქმისაგან, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გავაკეთოთ ახლავე, რათა უკეთესი მომავალი გვქონდეს. და თუ ჩვენ ცხადად გვაქვს შეგნებული შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარების აუცილებლობა, ამ ამოცანის გადაჭრის სიძნელე და სიადვილე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ცოდნას, ენერგიას და გონიერებას გამოვიჩენთ.

შავ ზღვაზე მომავალი ნაოსნობის შექმნისას რომ გონივრულად ვიმოქმედოთ, ჩვენ ცხადად უნდა შევიგნოთ თუ რა არის ნაოსნობა, როგორი ნაოსნობა გვჭირდება და რას უნდა ველოდოთ ნაოსნობისაგან. ყველამ, ვისთვისაც სიტყვა „ნაოსნობა“ გარკვეული რა-

ოდენობის ასოთაგან შემდგარი უბრალო სიტყვა კი არაა, არამედ გემების ფაქტიური არსებობა და ცურვა, კარგად იცის რამდენი სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებების, რამდენი ეკონომიური, სავაჭრო, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ტექნიკური ამოცანების და პირობების დაკმაყოფილებაა საჭირო იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარება. ნაოსნობის მთელი მნიშვნელობა არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ იგი ტვირთის გადაზიდვის ყველაზე იაფი საშუალებაა. მაშასადამე, ნაოსნობის განვითარებისათვის საკმარისი არაა გემების აგება, მათი ცურვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სანაპიროს მოწყობა. ამისათვის აუცილებელია ქვეყნის შიდა რაიონებიდან გამოიტანონ საკმაო რაოდენობის საქონელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ზღვის სანაპიროს ირგვლივ მდებარე ქვეყნების ეკონომიური განვითარება და მათი მრეწველობისა და ვაჭრობის გაძლიერება. ამგვარად, ნაოსნობა განვითარდება არა თავისთავად, არამედ სახელმწიფოს შიდა რაიონების ეკონომიურ განვითარებასთან ერთად. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ართულებს ნაოსნობის შექმნის ამოცანას და ამიტომ გასაგებია, — გზა რომ არ აგვებნეს სხვადასხვაგვარ და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა ლაბირინთში, — ნაოსნობის შექმნის დროს ყველაზე აუცილებელია მკაცრად დაცული სისტემა, ფაქტების დახვეწილი კლასიფიკაცია, ერთი საერთო, ძირითადი სახელმძღვანელო აზრის საფუძველზე.

ასეთი სახელმძღვანელო აზრის გამონახვა არც ისე ძნელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, თუმცა მის საბოლოოდ დამუშავებას, პრაქტიკულ ფორმაში ჩამოყალიბებას, ერთი ადამიანი ვერ შესძლებს. ჩვენ მხოლოდ იმ ვარაუდით გამოვთქვამთ აზრს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვან საკითხს უფრო კომპეტენტური პირები გამოიკვლევენ და განგვიმარტავენ.

არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში შავ ზღვაზე ჩვენ აუცილებლად უნდა გვყავდეს ძლიერი სამხედრო და დიდი სავაჭრო ფლოტი.

სამხედრო ფლოტის შექმნა, როგორც საზღვრების დაცვისა და სტრატეგიული მიზნების დაკმაყოფილების საშუალებისა, გაცილებით უფრო ადვილი ამოცანაა, ვიდრე სავაჭრო ფლოტის შექმნა. სამხედრო ფლოტს ჰქმნიან ყველგან და მას უშუალოდ ქმნის მთავრობა, რომლისთვისაც, მეტად თუ ნაკლებად, ცხადია სახელმწიფოს რომელიმე განაპირა კუთხის მომავალი სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნები. ამ ამოცანის გადაწყვეტა გაცილებით უფ-

რო იოლია იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ჰყავს ძლიერი სავაჭრო ფლოტი, აქვს მოხერხებული ნავსადგურები, კერძო ნავსაშენები, ისეთი ქარხნები და ფაბრიკები, რომლებსაც გემების ყველაფრით აღჭურვა შეუძლიათ. მაგრამ, როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია ისეთ მთავრობასაც, რომელსაც არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნია და იძულებულია ყველაფერი უშუალოდ სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე შექმნას. მაგალითად, ერთი ზამთრის მანძილზე ასე შექმნეს სამხედრო ფლოტი, რომლის მეშვეობითაც პეტრე I-მა 1696 წელს აზოვი აიღო და ეს იმ დროს, როცა რუსეთში არა თუ არავინ არ ეწეოდა ნაოსნობას, არამედ იშვიათი იყო კაცი, რომელსაც ზღვა ენახა. ასევე შეიქმნა შავი ზღვის სამხედრო ფლოტი, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფო — გემთსაამშენებლო დოკები, ქარხნები და მისი არსებობისათვის საჭირო ყველა დაწესებულება. ამის გამო შავი ზღვის სამხედრო ფლოტი, რომელიც იალქნიანი გემებისაგან შედგებოდა, სანიმუშო ფლოტი იყო ევროპაში. შავი ზღვის სავაჭრო ფლოტი კი ამ დროს შედგებოდა უშნო, უხეირო ნავებისაგან, რომელთაც უწიგნური შკიპერები მართავდნენ და რომელთა კომპასები ჩრდილოეთს იქ უჩვენებდნენ, სადაც მათ უნდოდათ.

ამგვარად, შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის სასურველი მოცულობით ორგანიზაცია, გარდა თავისუფალი ფინანსიური რესურსების საჭიროებისა, სხვა დაბრკოლებას არ შეიძლება წააწყდეს. როგორც კი დაზუსტდება, რამდენი და რა ტიპის გემია საჭირო შავი ზღვის ესკადრისათვის, დასადგენი იქნება მხოლოდ ოდენობა იმ თანხისა, რომელიც საჭიროა მათი აგებისა და შენახვისათვის, შემდეგ კი — ამ თანხის განაწილება წლების მიხედვით, ახალი ეკიპაჟების ფორმირება და მათი მეთაურების დანიშვნა. რამდენიმე წლის შემდეგ შავი ზღვის ესკადრას ეყოლება გარკვეული რაოდენობის გემები, ყოჩაღი, კარგად გაწრთვნილი ეკიპაჟით და ექნება ისეთი ძალა, როგორსაც მთავრობა საკმარისად ჩათვლის სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნებისათვის.

მაგრამ ასე ადვილი არაა სავაჭრო ფლოტის შექმნა, რადგან იგი არ იქმნება უშუალოდ მთავრობის განკარგულებით. რა კოლოსალური თანხაც არ უნდა გავიღოთ სავაჭრო ფლოტის შესაქმნელად, მას მაინც ვერ შეექმნით, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია განვსაზღვროთ გემების რაოდენობა და ზომა, რასაც არსებულ ისტორიულ მომენტში სახელმწიფოს სავაჭრო მიმოქცევა მოითხოვს. გარდა ამისა, შეუძლებელია ამ გემებისათვის ეკიპაჟის დაკომპლექტება, რადგან არა გვყავს ზღვას შეჩვეული და საზღვაო

სარეწაოებისათვის მომზადებული ადამიანები. სავაჭრო ფლოტის შექმნა შეიძლება მხოლოდ თანდათანობით, პირადი ინიციატივის, გემების ყოველი მეპატრონის ინტერესების შესაბამისად, ე. ი. საზღვაო სარეწაოთა სარგებლიანობის მიხედვით.

საზღვაო სარეწაო იწყება კაბოტაჟით და თევზჭერით, რაც აყალიბებს მეზღვაურებს. მრავალრიცხოვანი კაბოტაჟის გარეშე შეუძლებელია შორეული ნაოსნობის შექმნა, აქტიური ვაჭრობა და აქედან გამომდინარე საზღვაო ძლიერება. მაგრამ იმ პირობებში, როგორიც ახლა შავი ზღვის სანაპიროზეა, ვერც კაბოტაჟი განვითარდება ხეირიანად და ვერც თევზჭერა.

ყოველი სარეწაო მხოლოდ მაშინაა ხელსაყრელი, როცა სწორად წარმოებს, როცა წარმოების იარაღი დაცულია შემთხვევითი განადგურებისაგან და გააჩნია კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს მწარმოებელს იმ დრომდე, სანამ იარაღის ბუნებრივად მოძველებით გამოწვეულ დანაკარგს გადაჭარბებით არ დაფარავს მისი პატრონის ჭარბი შემოსავალი. ამიტომ, როცა საზღვაო ქალაქი ზღვის ღია ნაპირზეა გაშენებული, როგორი მდიდრებიც არ უნდა იყვნენ მისი მცხოვრებლები და რა სარგებლობაც არ უნდა მოქონდეს მათთვის თევზჭერასა და კაბოტაჟს, არცერთი სოლიდური ადამიანი არ დახარჯავს კაპიტალს გემების შესაძენად, რადგან მათი რეისები არ იქნება რეგულარული, უამინდობის დროს ვერ შესძლებენ მათ დატვირთვას და გადმოტვირთვას. ისინი არა მხოლოდ მაშინ ვერ გაჩერდებიან რეიდზე, როცა ეს საჭიროა, არამედ მთლიანად დამოკიდებულნი იქნებიან ამინდზე, რის გამოც პატრონი ვერ შესძლებს მათ სწორად გამოყენებას, ვერ განსაზღვრავს რა ზარალსა და რა სარგებლობას მოუტანს რისკი. როცა დაწესებულების ან საწარმოს ბედი მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მაშინ, ბუნებრივად, მას ისეთი ადამიანები ჰკიდებენ ხელს, რომლებიც გაურბიან შრომას, რომელთაც არ გააჩნიათ ფული და ცოდნა, რის გამო ვერ ქმნიან რაციონალურ ნაოსნობას და ხელს ვერ უწყობენ მის სწრაფ განვითარებას. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ უსაფრთხო პორტების მოწყობამდე, შავი ზღვის ღია სანაპიროზე შეუძლებელია შეიქმნას კაბოტაჟი და თევზჭერა.

არის კიდევ სხვა, ზემოთ მოყვანილ მიზეზებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ჩვენში ნაოსნობის განვითარებას: ნაოსნობა, როგორც ზემოთ ვთქვით, არსებითად ტვირთის გადაზიდვის ყველაზე იაფი საშუალებაა, და იქ, სადაც იგი ძვირია, ისპობა ნაოსნობის Raison d' etre[32]. იმისათვის, რომ გემის დაქირავება იაფი დაჯდეს, აუცილებელია დატვირთული იყოს

ორივე გზაზე და არ უხდებოდეს ბალასტის გადაზიდვა, რის გამოც გემის დაქირავება ორჯერ უფრო ძვირი ჯდება. მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული პირობების შექმნა, გემმა უნდა იმოძრაოს ორ ისეთ პუნქტს შორის, რომელთაც სხვადასხვა-გვარი წარმოება აქვთ, რათა მათ შორის ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა ხდებოდეს, რაც აპირობებს ტვირთის გადაზიდვას ორივე მიმართულებით. მაგრამ მთელ ჩვენს ჩრდილოეთ სანაპიროზე დაახლოებით თანაბარი ჰავა და ნიადაგია. ეს რაიონები ერთსადა-იმავე საქონელს აწარმოებენ და ერთნაირად გააქვთ საზღვარგა-რეთ უცხოეთის გემებით. ამიტომ ჩვენს გემებს, რომლებიც ჩრდი-ლოეთის ნავსადგურებს შორის დაცურავენ, ძალიან უჭირთ უკან წამოსაღები ტვირთის შოვნა და მათი ცურვაც ნაკლებ მომგებია-ნია. ამიტომ მთელი ჩვენი კაბოტაჟის საქმიანობა უმთავრესად იქეთკენაა მიმართული, რომ დატვირთონ უცხოეთის გემები, რომ-ლებიც წყლის სიმცირის გამო ვერ ადგებიან ნავსადგურებს, გან-საკუთრებით აზოვის ზღვაში. მაგრამ, საბუქსირო გემებისა და ორ-თქლის კარჭაპების რიცხვის გაზრდასთან ერთად, კლებულობს მათი ეს შემოსავალიც, ხოლო სამხრეთის ეკონომიური განვითარე-ბა მათ ვერ უზრუნველყოფს ახალი გადასატანი ტვირთით. დონბა-სის აუზში ჩვენ გვაქვს ქვანახშირი, მაგრამ დონბასი სანაპიროდან 100 ვერსითაა დაშორებული და ქვანახშირის გადაზიდვა ამ მან-ძილზე ისეთ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რომ ოდესაში ჩა-მოტანილი ინგლისის ქვანახშირი აქამდე უწევს კონკურენციას ჩვენს ქვანახშირს, რომელსაც აზოვის ზღვის ნავსადგურებიდან ჩვენი გემებით ეზიდებიან.

შავი ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის სანაპიროზე სულ სხვაგვა-რი ჰავა და ნიადაგია, ვიდრე ჩრდილოეთის სანაპიროზე, ამიტომ მთელი მისი მრეწველობა სულ სხვაგვარია. ის, რაც არა აქვთ ჩრდი-ლოეთ სანაპიროზე, უხვად მოიპოვება აღმოსავლეთ სანაპიროზე და პირიქით. ჩრდილოეთ სანაპიროზე არ არის ტყე, მაგრამ ბევრია მარილი და პურის პროდუქტები. აღმოსავლეთ სანაპიროზე კი არც პური მოჰყავთ და არც მარილის მოპოებას ეწევიან, სამაგიეროდ მოჰყავთ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები; აქ არსე-ბობს ბუნებრივი პირობები ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის, ღვინის საწარმოებლად. ამგვარად, ეს ორი ნაპირი ერთმანეთს ავსებს და ამიტომ აუცილებელნი არიან ერთმანეთის განვითარებისა და კე-თილდღეობისათვის. ასე რომ, რაკი ვფლობთ შავი ზღვის ორივე ნაპირს, კაბოტაჟის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობებიც ოთქოს შექმნილია, მაგრამ სინამდვილეში აღმოსავლეთ სანაპი-

რო სრულიად მიუდგომელია, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ზღვა ღელავს და ნაოსნობის არავითარ შესაძლებლობას არ გვაძ-ლევს. ზამთარში ქერჩის სრუტე იყინება, იყინება აგრეთვე ანაპის გემთმისადგომიც. გარდა ამისა, ეს ნავსადგური ღიაა ჩრდილოეთის ქარებისათვის, რაც ზამთარში რეიდზე დგომის საშუალებასაც კი არ აძლევს გემებს. ნოვოროსიისკს და გელენჯიკს თავს ატყდება ქარიშხლები. ფოთის მახლობლად კი რიონმა მეჩეჩი შექმნა და ძლიერი ღელვის დროს გემების გაჩერება საშიშია. ამგვარად, დაწ-ყებული ფეოდოსიიდან ბათუმამდე არ არის ადგილი, სადაც საკა-ბოტაჟო გემებს, მშვიდად შეეძლოთ დგომა, რადგან სოხუმის რე-იდი ზამთრობით სახიფათოა ჩვენი პატარა და ცუდად აღჭურვილი საკაბოტაჟო გემებისათვის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმს თანამედროვე ნაოსნობის განვი-თარებისათვის მანამდე, სანამ არ აშენდება აღმოსავლეთ სანაპი-როზე ხელოვნური ნავსადგურები.

ჩვენი იმ საკაბოტაჟო გემების არახელსაყრელ მდგომარეობას, რომლებიც აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ცურვას ბედავენ და რომელთაც დაღუპვის უშუალო საფრთხე ემუქრებათ, ართულებს კიდევ ის, რომ არსებულ ვითარებაში გემებისა და ტვირთის დაზ-ღვევა შეუძლებელი ხდება, და რადგან ყოველი გემისა და საქონ-ლის პატრონს შეუძლია დაკარგოს თავის კაპიტალი აუნაზღაურებ-ლად, ამ მხარეში ნაოსნობა ჭირს. ასე რომ, ჩვენი შკიპერების სი-მამაცე და გამოცდილება ტყუილად იკარგება, რადგან მათ არავინ ანდობს არც გემს და არც საქონელს.

ზემონათქვამიდან, ვფიქრობ, ძნელი არაა დავასკვნათ, რომ შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარება უნდა დაიწყოს ჩვენი სანაპი-როს, უპირატესად კავკასიის სანაპიროს კეთილმოწყობაზე ზრუნ-ვით. ამ სანაპიროს ზამთარში ვერაფრით ვერ უდგება საკაბოტაჟო გემები. დიდი ხელოვნური ნავსადგურების შექმნა სავაჭრო მიმოქ-ცევის გაფართოებისათვის, ამ ნავსადგურებს შორის მცირე ნავ-სადგურების აშენება, რომელთაც უამინდობის დროს საკაბოტაჟო და თევზსაჭერი გემები თავს შეაფარებენ, არის უმნიშვნელოვანე-სი და გადაუდებელი ღონისძიება კერძო კაპიტალისა და საზღვაო სარეწაოთა საქმიანობის მოსაზიდად, ე. ი. უნდა შეიქმნას კაბოტაჟი და თევზჭერა, რომლის ფართოდ გაშლის გარეშე უაზრობაა შორს ცურვა.

11. სანავსადგურო ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობა

თბილისი, 6 ივლისი

წინა სტატიაში ჩვენ მივუთითეთ შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარების ორ მთავარ დაბრკოლებაზე: ნავსადგურების უქონლობა და აღმოსავლეთ სანაპიროს მოუწყობლობა ხელს უშლიან საზღვაო წარმოების განვითარებას. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ ნაოსნობის განვითარების ყველა ხელშემშლელი პირობა, მაგრამ ზოგიერთს მაინც დავასახელებთ, რათა წარმოდგენა შეგვექმნას იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება აუცილებელია შავ ზღვაზე ნაოსნობის შესაქმნელად.

ჩვენ განვიხილეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნავსადგურებს ნაოსნობისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. ნავსადგური არა მარტო იღებს და ტვირთავს გემებს, არამედ ნაწარმის გასაღებისა და გარკვეული რაიონის მომარაგების ცენტრიცაა. იმის გამო, რომ ჩვენში უყურადღებობას იჩენენ ნაოსნობის საჭიროებისა და მისი მდგომარეობის შესწავლისადმი, სანავსადგურო ქალაქების მნიშვნელობაზე არასწორი წარმოდგენა აქვთ. სანავსადგურო ქალაქს ჩვენში უყურებენ, როგორც რაღაც განსაკუთრებულს, რომელსაც სხვა არაფერთან კავშირი არა აქვს, და ეს მაშინ, როცა სინამდვილეში ნავსადგურები წარმოადგენენ ბოლო სადგურებს, დიდ ვაგზლებს, სადაც მთავრდება ქვეყნის შიდა გზები და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს საქონლის უფრო შორს გადაზიდვა. იქ, სადაც შიდა გზები არ მთავრდება კეთილმოწყობილი ნავსადგურებით, ისინი ისევე დაუმთავრებელია, როგორც რკინიგზა, რომელიც შუა მინდორში ბარიერით მთავრდება. ამა თუ იმ ქვეყნის მთელი ტვირთი, რომელიც საგარეო ვაჭრობისათვისაა განკუთვნილი, თავს იყრის სანავსადგურო ქალაქში, საიდანაც ზღვით უნდა გაიტანონ და ამიტომ უაზრობაა ტვირთის მიზიდვა ღია ნაპირთან, სადაც გემებს გადმოტვირთვის ლოდინში არ შეუძლიათ მშვიდად დგომა და სადაც არ ხერხდება ამ ოპერაციების სწრაფად და იაფად შესრულება. ამიტომ ნავსადგურებს ისე უნდა ვუყურებდეთ, როგორც შიდა

გზების განუყრელ ნაწილს და, მაშასადამე, სანავსადგურო ქალაქების განვითარება მათი კეთილმოწყობის გზით, რითაც ისინი გემებს მოიზიდავენ. საქმის მხოლოდ ერთი მხარეა და მიზანს მანამდე ვერ მიაღწევს, სანამ ნავსადგურებიდან არ გავიყვანთ მოხერხებულ გზებს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გასაძლიერებლად, ე. ი. სანამ ნავსადგურებში არ შემოზიდავენ პროგრესულად მზარდ ტვირთს, რომელიც გაიგზავნება ზღვით საზღვარგარეთ და ზღვის ნაპირიდან ქვეყნის შიგნით. ამგვარად, ნაოსნობის განვითარება უშუალოდ და ბუნებრივადაა დაკავშირებული ქვეყნის მთელ ეკონომიურ განვითარებასთან და, რა თქმა უნდა, ამაოა ზრუნვა ამა თუ იმ სხვა ფაქტორის შექმნაზე, როცა ისინი თვით საქმის არსის მიხედვით ურთიერთმოქმედებისთვისაა გაპირობებული. ნავსადგურის აშენება ქვეყნის შიდა ტერიტორიებთან კავშირის გაუმჯობესების გარეშე, ანდა პირიქით — გზების გაუმჯობესება ნავსადგურის მოწყობის გარეშე, თანაბრად არარაციონალურია, ნახევრად გაკეთებული საქმეა და არასოდეს არ მოგვცემს იმ შედეგებს, რაც ჩაფიქრებული გვქონდა.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების მნიშვნელობა.

როგორც უკვე ვთქვით, რუსეთისათვის აუცილებელია უშუალო მონაწილეობა მიიღოს შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში, ე. ი. ეგვიპტესთან, ინდოეთთან, ჩინეთთან და მათ მახლობლად მდებარე ქვეყნებთან. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივაღწიოთ დამოუკიდებლობას ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამგვარი ამოცანა თხოულობს შავ ზღვაზე შორეული ნაოსნობის შექმნას, რაც კაბოტაჟის ან ადგილობრივი ნაოსნობის განვითარების შედეგად იქმნება. ეს უკანასკნელი კი ხელს შეუწყობს მეზღვაურების წარმოშობასა და ადგილობრივი გემთმშენებლობის განვითარებას, რომელიც ამ მეზღვაურებს ზღვაოსნობის იარაღით მოამარაგებს. ნაყიდი გემებით ცურვა, რომელთაც ვერსად შეაკეთებ, ისევე მოუხერხებელი და არახელსაყრელია, როგორც უცხოელებისაგან შემდგარი ეკიპაჟის ყოლა, რომლის შევსების ან შეცვლის შესაძლებლობა ჩვენ არა გვაქვს. ამგვარად, კაბოტაჟი (თევზსაჭერი ფლოტის ჩათვლით), ადგილობრივი გემთმშენებლობა და შორეული ნაოსნობა ისე უშუალოდაა ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ რაიმე ზომების მიღება ერთ-ერთი ამ ფაქტორის განვითარებისათვის დანარჩენი ორი ფაქტორის განვითარების გაუთვალისწინებლად, — ეს იგივე იქნებოდა, რაც სახლს, რომელსაც ოთხი კედელი სჭირდება, ერთი კედელი აუშენო.

შავ ზღვაზე ჩვენ არც შორეული ნაოსნობა გვაქვს, არც კაბოტაჟი და არც გემთმშენებლობა. არის მხოლოდ „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოება“, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოთ აღნიშნული ამოცანა. მაგრამ 22 წლის არსებობის მანძილზე ამ საზოგადოებამ 50 მილიონ მანეთზე მეტი შთანთქა და მხოლოდ თავის აქციონერები გაამდიდრა. ასე რომ, ჩვენ არც გვიფიქრია ნაოსნობის ზემოთ ჩამოთვლილი სამი მხარის განვითარებაზე, ამიტომ ჩვენ მოგვიწევს აწმყოსათვის გვერდის ავლა და მომავლის გეგმების შედგენა.

დავიწყოთ შორეული ნაოსნობიდან.

ეგვიპტესთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა ხელსაყრელი იქნება მხოლოდ შავი ზღვისა და სუეცის არხის მეშვეობით და ამიტომ ტვირთი რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსაკენ უნდა გადაზიდონ; ასე რომ, საჭიროა ამ სანაპიროზე შეირჩეს ადგილი და აშენდეს მთავარი ნავსადგური შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობისათვის. ცხადია, შერჩეულ და მოწყობილ უნდა იქნეს მთავარი ცენტრალური ნავსადგური შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის. ეს ნავსადგური უნდა იყოს მეტად დიდი და გამოსადეგი მთელი წლის განმავლობაში შორეული ნაოსნობის გემების მისაღებად და ყველაზე ახლო უნდა იყოს სამრეწველო ოლქების ცენტრიდან, — მოსკოვიდან — სუეცის არხამდე. შორეული ვაჭრობის დანაწევრება ყველა ნავსადგურისათვის არაა ელსაყრელი იქნება. საბითუმო ვაჭრობა თხოულობს ერთ მთავარ ბაზარს, ისეთს, როგორიცაა ლონდონი, ამსტერდამი, ჰამბურგი და სხვა, სადაც განლაგებულია კეთილმოწყობილი საწყობები, აუზები და მოწყობილობები, ყოველგვარი საქონლის მისაღებად. ყველაფერი ეს კი მილიონები ჯდება. ამდენი თანხა გარკვეული დროის მანძილზე შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ რომელიმე ერთ პუნქტზე, მაგრამ ყველა ნავსადგურის ასე მოწყობა ისეთ უზრუნველყოფილ და მდიდარ სახელმწიფოსაც კი არ შეუძლია, როგორიც ინგლისია. რაც შეეხება რუსეთს, რომელიც ახლა იწყებს ნაოსნობის განვითარებას, ამგვარი ღონისძიების განხორციელება არ ძალუძს.

ყველა პირობას, რაც ცენტრალურ ნავსადგურს მოეთხოვება, აკმაყოფილებს სევასტოპოლი. ათეული მილიონობით მანეთი უნდა დაიხარჯოს ოდესის, ან რომელიმე სხვა პუნქტის ისე მოსაწყობად, რომ ეს ხელოვნური ნავსადგური ცოტათი მაინც გაუტოლდეს სევასტოპოლის იმ ბუნებრივ უპირატესობებს, რომელიც მას გააჩნია. სევასტოპოლი გაშენებულია ნაოსნობისათვის ერთ-

ერთ ყველაზე მოხერხებული ყურის სიღრმეში, რომელსაც აქვს მთელი რიგი ღრმა და ფართო უბეები. ეს უბეები ქმნიან ასევე მოხერხებულ ბუნებრივ აუზებს ყველაზე დიდი გემების დასადგომად. ხოლო კარგი ჰავა და ნავსადგურის ირგვლივ მდებარე ნოყიერი მიწები სევასტოპოლს ჩრდილოეთის სანაპიროს ყველა სხვა ქალაქზე მაღლა აყენებს. გარდა ამისა, სევასტოპოლი ახლოა სუეცის არხთან, ახლოა დონეცკის აუზთანაც, სადაც ქვანახშირის უმდიდრესი საბადოა. ამ სიახლოვის გამო, ქვანახშირი სევასტოპოლში უფრო იაფი იქნება, ვიდრე ოდესაში. სევასტოპოლი აგრეთვე დაკავშირებულია რკინიგზით რუსეთის ცენტრალურ ოლქებთან, მაგრამ კონცესიონერთა სტრატეგიის გამო ეს გზა ლაზოვაიასაკენ უხვევს და არა პირდაპირ პერეკოპისა, ბერისლავისა და კრემენჩუგისაკენ, რაც უნდა გამოსწორდეს უახლოეს მომავალში. მაშინ სევასტოპოლი ადვილად დაუკავშირდება ხერსონსა და ნიკოლაევს, შიდა ნავსადგურებს (სადაც საფრთხის გარეშე და დაუბრკოლებლად შეიძლება განვითარდეს გემთმშენებლობა და გემების მომარაგებისათვის საჭირო ყველა საგნის წარმოება), რაც აუცილებლად დასჭირდება სევასტოპოლს, ფართო ნაოსნობის განვითარებასთან დაკავშირებით.

ცენტრალური ნავსადგურისათვის ადგილის შერჩევა და მისი მოწყობა სრულიად არ შეცვლის შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ქალაქების დღევანდელ მნიშვნელობას. მათ არსებობას უზრუნველყოფს ადგილობრივი პირობები და ჩვენი ნაწარმის ევროპაში გატანის აუცილებლობა, ამიტომ სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს ამოცანას — დავამყაროთ პირდაპირი კავშირი შორეულ აღმოსავლეთთან. ყოველ შემთხვევაში, ყველა ეს ქალაქი თხოულობს ისეთივე ხელოვნურ ნავსადგურებს და კეთილმოწყობას, როგორიც მოითხოვა ოდესამ და არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს რკინიგზის შესაბამისი ქსელის გარეშე; ყოველ მათგანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა — პროგრესიულად გაზარდოს გასატანი და შემოსატანი ტვირთის ოდენობა.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, თავისი ახლანდელი მდგომარეობის გამო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საგარეო ვაჭრობისათვის. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას. რომ იგი მომავალშიც ჩრდილოეთ სანაპიროს დამატება იქნება კაბოტაჟისა და თევზჭერის განვითარების საქმეში. მდიდარი პროვინციები, რომლებიც ამ სანაპიროს აკრავს, აწარმოებენ მრავალ ისეთ ნაწარმს, რომლებიც ამჟამად ევროპასთან ვაჭრობის საგნებს წარმოადგენენ. მიუხედავად არახელსაყრელი პი-

რობებისა, ამ სანაპიროს ერთადერთი და მოუწყობელი ნავსადგურია ფოთი, რომელიც ხმელეთთან რკინიგზითაა დაკავშირებული, მაინც აწარმოებს საგარეო ვაჭრობას, რამაც ასეთ ოდენობას მიაღწია:

	შემოზიდულია	გატანილია	წლიური ჯამი
1873	1.141.338	3.640.166	4.781.504
1874	763.304	4.636.263	5.399.567
1875	675.769	4.694.850	5.370.619
1876	1.208.733	4.557.174	5.765.907

რუსეთის საქონლის გადმოზიდვა აღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთ ციფრებში გამოიხატება:

შემოზიდულია	1874 წ.	1875 წ.	1876 წ.
ანაპაში	200.269	201.307	284.664
ნოვოროსიისკში	364.353	449.773	383.003
ტუაფსეში	170.972	109.866	133.267
პოსტოიანი პოსტებში	80.176	94.409	99.279
გუდაუთაში	63.448	41.579	24.004
სოხუმში	459.970	524.758	608.316
ოჩამჩირეში	96.283	64.981	35.446
ფ ო თ ი	7.426.282	7.807.421	10.262.478
ნიკოლაევსკში	72.517	84.082	103.373
ს უ ლ	8.935.270	9.378.176	11.933.830

თუ ამ ციფრებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უცხოეთიდან საქონლის შემოზიდვა, გატანასთან შედარებით, მაინც-დამაინც დიდი არაა: რუსეთიდან შემოზიდვა კი ბევრად აღემატება უცხოეთიდან შემოზიდვას და პროგრესული ზრდის შემდეგ, 1876 წ. მიაღწია მნიშვნელოვან ციფრს, თითქმის 12 მილიონ მანეთს. ამ ციფრს ჩვენი ვაჭრობისათვის უკვე აქვს ერთგვარი მნიშვნელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ სანაპიროს ვაჭრობა ჯერ კიდევ ემბრიოლოგიურ მდგომარეობაშია. ეს ჯერ კიდევ ვაჭრობის დასაწყისია, რომელიც წარმოებს მიუხედავად ყველა სიძნელისა, რასაც იწვევს არსებული მდგომარეობა და რაც გამოიხატება აღმოსავლეთ სანაპიროს მოწყობილობაში. აღარაფერს ვამბობთ ყველა ამ სიძნელის აღმოფხვრაზე, მაგრამ უმთავრესი სიძნელეების აღმოფხვრა, თუნდაც ერთი მოხერხებული ნავსადგურის შექმნა საზღვაო ვაჭრობისათვის, ორჯერ და სამჯერ გაზრდიდა სავაჭრო მიმოქცევას.

გარდა აღნიშნული სავაჭრო მნიშვნელობისა მომავალში, ინდოეთისაკენ რკინიგზის გაყვანის შემთხვევაში ამიერკავკასიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიო ვაჭრობაში. ამ მონაწილეობის მასშტაბის სავარაუდო განსაზღვრაც კი მეტისმეტად ძნელია, რად-

გან მთლიანად დამოკიდებულია იმ ღონისძიებებზე, რომელთაც ამიერკავკასიის მომავლისათვის მოსამზადებლად აირჩევენ. რაც უფრო ხელსაყრელს გავხდით სავაჭრო მიმოქცევას, იმდენად უფრო ვისარგებლებთ მით.

იგივე შეიძლება ითქვას გემთმშენებლობაზეც, რომლის განვითარებასაც აღმოსავლეთ სანაპირო, რომელიც მდიდარია გემთმშენებლობისათვის საჭირო ძვირფასი ჯიშის ტყეებით, არაჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს უქმნის. მართალია, რკინის დამუშავების გაუმჯობესებისა და რკინის გემების მშენებლობის შემდეგ ხის გემებმა დაკარგა თავისი ფასი, მაგრამ მცირე კაბოტაჟისათვის ხის გემები ჯერ კიდევ უფრო იაფი და უფრო მოხერხებულია, და რადგან ჩვენ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, ე. ი. მცირე კაბოტაჟითა და თევზსაჭერი გემებით, ამიტომ აღმოსავლეთ სანაპიროს ჯერ კიდევ გაუნადგურებელ ტყეებს ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან დიდ შესაძლებლობას იძლევა კაბოტაჟის რაციონალურად განვითარებისათვის.

ბათუმის შემოერთებამ, გარდა ხის მასალისა, ჩვენ შეგვძინა მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა და თურქული ტიპის საკაბოტაჟო გემების მშენებელთა ბევრი გამოცდილი ოსტატი. ასეთი ტიპის გემები ყველაზე გამოსადეგია კაბოტაჟისა და თევზჭერისათვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ხელოვნური ნავსადგურების აშენებამდე. ჩვენს აზრს ყველაზე უკეთ ადასტურებს ასობით პატარა ნავი, რომლებიც ომამდე ზამთრობით ყოველდღე მოდიოდნენ ფოთში, დელფინების დასაჭერად და თევზის ქონის გამოსადნობად. ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა შემთხვევა და ვაცნობეთ მკითხველებს, ჩვენი გაზეთის მეშვეობით, ბატ. თუმანოვის გრანდიოზული ჩანაფიქრი, აფხაზეთის საუკეთესო ტყეების არენდით აღების შესახებ. ჩვენ არ ვიცით, მოახერხა თუ არა მან ეს პატრიოტული ძარცვა მთელი მხარისა, რადგან ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხი არც არავის უარუყვია და არც არავის დაუდასტურებია. მაგრამ დიდად სამწუხარო იქნება, თუ აღმოსავლეთ სანაპიროს გემებისათვის გამოსადეგი ტყეები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ 1803 წელს თავადმა ციციანოვმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინა მთავრობას, ამ სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ, როცა ეს ტყეები მართლაც საჭიროა, საქმოსანი კონცესიონერის ხელში აღმოჩნდება, რომელიც გამოიყენებს მათ საცობებისა და სალტეების დასამზადებლად და ყველაფერ ამას გადაგზავნის მარსელში.

შემდეგ სტატიაში ჩვენ გადმოგცემთ საერთო თვალსაზრისს შავი ზღვის სანაპიროზე გემთმშენებლობის შესახებ.

12. გემთმშენებლობა და შავი ზღვის კოლონიზაცია

თბილისი, 7 იელისი

ყირიმის ომამდე [28], როცა იალქნიანი სამხედრო ფლოტი ჯერ კიდევ მთავარ როლს ასრულებდა და ორთქლის ძრავა გზას იკაფავდა მონოპოლიისაკენ, გემთმშენებლობამ ნიკოლაევში სრულყოფის მაღალ საფეხურს მიაღწია და ჩვენი აქ აშენებული გემები მიბაძვის საგანიც კი გახდა, ხოლო აქ აშენებული კანჯოები თავის მოხდენილობით ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ. მაგრამ, პარიზის ტრაქტატის ძალით, შავი ზღვის ფლოტმა არსებობა შეწყვიტა. დაიხურა წლების მანძილზე ორგანიზებული და ნიკოლაევის სახელოსნოებისა და გემსაშენების შრომით შექმნილი საწარმო და ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ მოგვიხდა შავ ზღვაზე აგვეწყო მრგვალი, ჯავშნოსანი გემები, რომლებიც ადრე პეტერბურგში დაამზადეს და ნიკოლაევში რკინიგზით ჩამოიტანეს. ამჟამად გემთმშენებლობის მთელ ჩვენ თანამედროვე საშუალებებს წარმოადგენს სევასტოპოლის სახელოსნოები და ნაოსნობის რუსეთის საზოგადოება, რომელმაც ამ ომის დროს თითქმის ორი კატარღა ჩაუშვა წყალში. დროთა განმავლობაში, თუ სახსრებს არ დავზოგავთ, შესაძლებელი იქნება იმ შენობისა და სახელოსნოების რეორგანიზაცია, რომლებიც ნიკოლაევში საიალქნო ფლოტისათვის ააშენეს; მაგრამ ყველაფერი ეს მომავალი შრომისა და ხარჯვების საქმეა. ამჟამად კი, ჩემის აზრით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გარდა ხერსონისა და დონის როსტოვის სახელოსნოებისა, სადაც უხეირო ნავებს აშენებენ, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი გემთსაამშენებლო საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ უშუალოდ და დამაკმაყოფილებლად მოემსახურონ სამხედრო და კომერციული გემების მშენებლობის გადაუდებელ საქმეს. ამგვარად, ჩვენ მოგვიწევს ყველაფრის თავიდან შექმნა და შექმნა ფართო მასშტაბით.

შავ ზღვაზე გემთმშენებლობის შესაქმნელად და ყველაზე მკაცრი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჩვენ რეალური შემოქმედებითი ნიადაგი გვაქვს. გარდა შავი ზღვის სანაპიროსი, რუსეთში

არ არის ისეთი ოლქი, სადაც ასე უხვად მოიპოვებოდეს და ასე მოხერხებულად იყოს განლაგებული ხისა და რკინის მასალა სამხედრო და კომერციული გემების მშენებლობისათვის. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა შავი ზღვის სანაპირო; ხოლო პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის გენიალურმა შორსმჭვრეტელობამ დაგვანახა, როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ სიმდიდრით. ჩვენში, ისტორიულად, გემთმშენებლობის სამი ცენტრი შეიქმნა, ასე ვთქვათ, სანაპირო ქალაქების მეორე ხაზი, რომელიც ღრმადაა შეჭრილი კონტინენტში და გვიქმნის სასურველ ხელშემწყობ პირობებს მასალის უსაფრთხო დეპოზიტისა და გემთმშენებლობის ფართო მასშტაბით განვითარებისათვის. ეს პუნქტებია: ნიკოლაევი — სამხედრო გემებისათვის, ხერსონი—ხის გემებისათვის და დონის როსტოვი—რკინის გემებისათვის. როსტოვი ეკვრის დონეცკის ქვანახშირის აუზს, სადაც ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება ქვანახშირის მოპოვება, თუჯის გამოდნობა, რკინის დამუშავება. ქვანახშირის, რკინისა და თუჯის წარმოების მახლობლად რკინის გემებისა და მათთვის საჭირო მანქანების მშენებლობა იაფი დაჯდება, რაც წარმოადგენს რკინისაგან აგებული ორთქლის გემების ღირებულების ძირითად ფაქტორს. ყველამ იცის, თუ რა მდიდარია დნეპრისა და მისი შენაკადების მიდამოები ტყით. ამ ადგილებიდან ტყე საზღვარგარეთაც კი გააქვთ. ძალზე მოხერხებულია ტყის დაცურება ამ ადგილებიდან ხერსონისა და ნიკოლაევისაკენ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ეს პუნქტები ახლო მდებარეობენ კიევისა და პოდოლსკის გუბერნიების მუხის ხის ტყეებიდან და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, სადაც კავკასიის ქედის ფერდობები დაფარულია შავი მუხის ხის ტყეებით, რომლის ტრანსპორტირება ადვილია. ამგვარად, შავ ზღვაზე გემთმშენებლობისათვის მოხერხებული პუნქტების და მასალის ნაკლებობა არ იგრძნობა და ამიტომ ჩვენი გემთმშენებლობის წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენი განზრახვისა და მათი ენერგიის გონივრულად გამოყენებაზე, ვისაც ამ საქმის განხორციელებას დაავალებენ. ბუნებამ ჩვენ ყველაფერი მოგვცა, ხოლო მისი გამოყენების უნარი დაბადებიდან არავის დაჰყოლია და ბრძანებით კი არ შეიძინება, არამედ დიდი სურვილით — მიაღწიო დასახულ მიზანს საერთო პატრიოტული შრომით, მეცნიერებით და ენერგიით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ყველაფერი ეს გაგვაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ოცნებაც კი არ ღირდა რაიმე ეკონომიურ განვითარებაზე.

ცხადია, როდესაც თავიდან ვიწყებთ, უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი ღონისძიებებით შორეული

ნაოსნობის, სამხედრო გემებისა და ხომალდების მშენებლობის საქმეში, მაგრამ საკაბოტაჟო და თევზსაჭერი გემების აგებას მაშინვე შეგვიძლია შევუდგეთ. ბათუმის სანაპიროს შემოერთების შემდეგ, აღმოსავლეთ სანაპიროს ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს. მხოლოდ აქ ნახავთ თვალუწვდენელ ტყეებს, რომელიც ყველაზე მეტად გამოდგება კაბოტაჟისა და თევზჭერის საქმეში; და ავაშენებთ ორანძიან ნავებსა და ფელუკებს იმ დროს, როცა არავითარი პირობები არა გვაქვს ზღვაოსნობისათვის, ამ ჩვენს ფარლალალა, პირქუშ და მოუწყობელ სანაპიროზე! მაგრამ ჩვენ აქ წინ გვეღობება ახალი და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი: რა უნდა აკეთონ ამ ახალაშენებულმა საკაბოტაჟო და თევზსაჭერმა გემებმა ზღვაში, როცა სანაპიროს გასწვრივ არ არის მოსახლეობა, და ამიტომ არც გადასატანი ტვირთი არსებობს, არ არის მოთხოვნილება თევზზე და თევზის დამუშავების ისეთი საშუალებები, რომ შესძლონ მისი შორეულ ადგილებში გადაზიდვა? სოხუმი მთლიანად დანგრეულია; განადგურებულია აგრეთვე ტუაფსე, ოჩამჩირე, გუდაუთა და გუდავა. ნოვოროსიისკი და გელენჯიკი ომისაგან დაზარალდნენ. ფოთი მისმა მცხოვრებლებმა მიატოვეს და სახლები, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, განადგურდნენ. ასე რომ, კაბოტაჟი და თევზჭერა, რომელთა შესაქმნელადაც ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს, კვლავ თხოულობენ მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარებას, ანუ ყველა ადრე არსებული სანაპირო ქალაქისა და სოფლის აღდგენას, რისთვისაც აუცილებელია მთიელების თურქეთში გადასახლების შემდეგ კოლონიზირებული სანაპიროს რეკოლონიზაცია. როდის მოხდება ეს? რომ გავიხსენოთ ის, რაც გამოვცადეთ და ავწონ-დავწონოთ სანაპიროს გაშენებისათვის გაწეული შრომის მნიშვნელობა, მისი პროდუქტულობა, შეგვიძლია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ათეული წლებია საჭირო, რათა ვიგრძნოთ სერიოზული კაბოტაჟისა და ფართო თევზჭერის საჭიროება. ამიტომ ჩვენი ზრუნვა — ახლავე შევქმნათ, ავაშენოთ საკაბოტაჟო და თევზსაჭერი გემები, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მოღვაწე, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ეკონომიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს მითითებების წყალობით, ჩვენს დასკვნას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, ეყოფა ძალა, რათა ამ დასკვნის შედეგად განახორციელოს მის წინაშე მდგომი ამოცანა—დაიცადოს. ჩვენ კიდევ უფრო ნაკლებად გვეპარება ეჭვი იმაში, რომ აღმოჩნდებიან მოღვაწეები, რომლებიც არ შეუშინდებიან შრომას და ჩვენი დასკვნის მაგივრად გამოიტანენ თავიანთ დასკვნას, რომელიც ასე იქნება ფორმირებული: თუ წარსულმა დაგვანახა, რომ კოლონი-

ზაციისათვის ადრე გაწეული შრომა მცირეპროდუქტიულია, ეს მიგვითითებს ან მოქმედების სისტემის არარაციონალურობაზე, ან სახსრების სიმცირეზე, ანდა უახლოესი შემსრულებლების უუნარობაზე და არაენერგიულობაზე. და რადგან ყველა ეს მოვლენა შემთხვევითია და შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს, ამიტომ საჭიროა წინამდებარე ღონისძიებების გაგრძელების ნაცვლად, მათი სხვა ღონისძიებებით შეცვლა. ასეთი დასკვნა, ჩვენის აზრით, ყველაზე სწორი იქნება. კოლონიზაცია ათასი წელია, რაც პრაქტიკაშია.

ამ ხნის განმავლობაში იგი სასარგებლო იყო და ისტორიამ დატოვა ბევრი უტყუარი საბუთი, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ, სად და რის გამო ვერ მოიპოვა კოლონიზაციამ წარმატება, სად და როდის განხორციელდა, როგორც განზრახული ღონისძიებების გარდუვალი შედეგი. ასე მაგალითად, კოლონიზაცია ყველგან და ყოველთვის განიცდიდა წარუმატებლობას, თუ იგი ხდებოდა მთავრობის უშუალო განკარგულების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ასეთი კოლონიები ყოველთვის უბედურ დღეში ვარდებოდნენ, მეტროპოლიებს ძალიან დიდხანს ამძიმებდნენ ზედმეტი ხარჯებით, არ ვითარდებოდნენ და მათი ხსნა დაღუპვისაგან მხოლოდ განსაკუთრებული სიმტკიცის წყალობით ხერხდებოდა; თუ ადგილობრივი პირობები არ ქმნიდა მოთხოვნილებას თავისუფალ შრომაზე, თუ ეს არ განაპირობებდა არავალდებული კოლონისტების მოზიდვას, რომელთა მამობრივი ხელმძღვანელობით პირველი ახალმოსახლენი ბოლოსდაბოლოს შესძლებდნენ თავი დაეღწიათ სავალალო მდგომარეობისაგან და ხელი მოეკიდათ ისეთი შრომისათვის, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფდა მათ საარსებო მოთხოვნილებებს, ვიდრე ის ამოცანები, რომლებიც ქვეყნის დაკავების დროს დააკანონეს ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიური ძალების გამოსაყენებლად. ჩვენში, აღმოსავლეთ სანაპიროზე აქამდე ადმინისტრაციული კოლონიზაციის პრაქტიკა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდებოდა და იგი ბუნებრივად დიდ მსხვერპლს თხოულობდა, რომლის გამოსყიდვაც მოვლენათა სწორად მსვლელობის დროსაც კი შეუძლებელია. მაგრამ სისტემის ამ საერთო ნაკლს დაემატა აგრეთვე უკიდურესად არახელსაყრელი პოლიტიკური პირობებიც, კერძოდ — ორი ომი, ყოველი ოცი წლის შემდეგ, რომელთაც თან ახლდა იმ მცირე შედეგების განადგურება, რომელთა მიღწევაც ადმინისტრაციულმა კოლონიზაციამ შესძლო. საქმის ასეთი მსვლელობის დროს, თუ ჩვენ გვსურს სწრაფი და ნამდვილი წარმატება, საჭიროა სისტემის შეცვლა. ჩვენ ვიცით,

რომ კოლონიზაციის განხორციელება ყოველთვის ხერხდებოდა, როცა ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ამიტომ კოლონიზაციის წარმატებისათვის აუცილებელია ეს ხელშემწყობი პირობები, ხოლო თუ ამგვარი პირობები არ არსებობს, მთავრობის მთელი ზრუნვა უნდა იყოს მიმართული ამგვარი პირობების შესაქმნელად, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, კოლონიზაციისათვის არახელსაყრელი პირობების აღმოსაფხვრელად. ჩვენში არსებობს კოლონიზაციისათვის არახელსაყრელი პირობები და ეს ყველასათვის ცნობილია, კერძოდ: ა) ღია, გემებისათვის მიუდგომელი ზღვის ნაპირი; ბ) სანაპირო გზების უქონლობა. ამ პირობებიდან პირველის აღმოფხვრა შეიძლება კაბოტაჟისა და თევზჭერის დაუყოვნებლივ შექმნით, რითაც ჩვენ მივიღებთ მძლავრ საშუალებას ზღვისპირა კოლონიების ხელსაყრელი არსებობისათვის. მეორე პირობის აღმოფხვრით კი ჩვენ შევქმნით კაბოტაჟისა და თევზჭერისათვის ხელსაყრელ პირობებს. ამგვარად, პირობათა ორივე რიგის ცალ-ცალკე განხორციელება თხოულობს მთავრობის მიერ მსხვერპლის გაღებას და დიდ შრომას. ხოლო მათი ერთმანეთთან კავშირში განხორციელება ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ გაღებული მსხვერპლისა და შრომის შემსუბუქებას ყოველი რიგისათვის ცალ-ცალკე. ბუნებაში რაიმე მოძრაობა იშვიათად ხდება ერთი ძალის მოქმედების შედეგად, იგი უფრო მრავალი ძალების ერთდროულად მოქმედების შედეგია და მათ თანამოქმედებას გამოხატავს. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს, თუ გვინდა ხელოვნურად ავამოძრაოთ ჩვენი ეკონომიური ძალები. ამიტომ არ უნდა ვეცადოთ ძალების გათიშვას და რაიმე ისეთი ამოცანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას, რომელიც ჩვენ უფრო ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია. ამავე დროს უნდა ვისწრაფოდეთ იმისაკენ, რომ შევაფასოთ ყველა იმ ფაქტორის მნიშვნელობა, რომლებიც სასურველი საქმის არსებობას მოემსახურება, განსაზღვრავს მის შედარებით მოქმედებას და გააერთიანებს მათ ერთი საერთო აზრით ერთი საერთო შედეგის მისაღწევად. შეიძლება მათემატიკოსებმა ჩვენს მიერ გადმოცემული მოგონებები მათემატიკური კანონების შესახებ არასწორად მიიჩნიონ, ხოლო სხვებმა—ზედმეტ განზოგადოებად, რომელიც განხილულ საკითხს არ შეესაბამება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ სწორად წარმართული ერთი საერთო აზრის მეშვეობით შეიძლება რომელიმე სახელმწიფო ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელების დროს თავი აარიდო იმ შეცდომებს, რომლებიც გარდუვალია იმ შემთხვევაში, თუ ეს ღონისძიება რიგრიგობით არ

იქნება გაშუქებული სხვადასხვა მხრიდან და არ გამოიწვევს საერთო ძალების სხვადასხვა მიმართულებითა და განსხვავებულად გამოყენებას.

ამის საფუძველზე ჩვენ გვგონია, რომ ზღვაოსნობის შექმნა და კოლონიზაცია უნდა ხდებოდეს ისევე ერთდროულად, როგორც ნავსადგურების აშენება და ამ ნავსადგურამდე გზების გაყვანა, ზღვაოსნობის დაწესება და საზღვაო ქალაქების გაშენება და ა. შ. ერთ-ერთი დიდი ძალა, რომელიც განაპირობებს სწრაფი შედეგების მიღებას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, კოოპერატიულობაა. არავითარი გონივრული მიზეზი არ არსებობს იმისა, რომ უარი ვთქვათ კოოპერატივით სარგებლობაზე. პირიქით, ძალზე სასარგებლოა დავეხმაროთ მას და გავაძლიეროთ საკუთარი მეცადინეობით. მიუხედავად ღონისძიებათა ისეთი თვალსაჩინო სხვაობისა, როგორიცაა სამხედრო ფლოტის შექმნა, ქვანახშირის საბადოების დამუშავება, გზების გაყვანა, თუჯისა და რკინის გამოდნობა, თევზჭერა, კოლონიზაცია, კაბოტაჟის შექმნა კავკასიის სანაპიროზე, მთავარი გემთსაამშენებლო ცენტრების მოწყობა ნიკოლაევში, ხერსონში, დონის როსტოვში და ა. შ. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ჩვენი დროის ეს დანაწევრებული ეკონომიური ამოცანები ერთ საერთო აზრს და მივაღწიოთ ერთ მიზანს: შავ ზღვაზე ვაჭრობის განვითარებას და საზღვაო ძლიერების შექმნას, რაც მოხდება სამხრეთისა, კავკასიის პროვინციებისა და რუსეთის მთელი მეურნეობის ეკონომიური განვითარების შედეგად.

ჩვენ ეს მით უფრო აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ამ მიზანს მრავალი მსხვერპლი შევწირეთ. გავიხსენოთ, მაგალითად, რკინიგზის გაყვანა ოდესამდე, სევასტოპოლამდე, როსტოვამდე, **რკინის დამმუშავებელი ქარხნების** შექმნა დონეცკის აუზში, რკინიგზის გაყვანა ქვანახშირის გასაზიდად, რომელიც მალე უნდა გაიხსნას, დნეპრის შენაკადების გაღრმავება, ოდესის ნავსადგურის გაფართოება და სხვა მრავალი ღონისძიება და სავარაუდო მშენებლობა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. კავკასიის უწყებათა მონდომებით უნდა აშენდეს ნავსადგური ფოთში, გაყვანილ იქნეს რკინიგზები და სხვა. ნუთუ ყველა ეს განზრახვა უნდა არსებობდეს ცალ-ცალკე, თავისთავად, საერთო კავშირისა და ურთიერთმოქმედების გარეშე. ჩვენის აზრით, ეს არის საქმისადმი კონცესიური და არა სახელმწიფო თვალსაზრისით მიდგომა. როგორც ცნობილია, კონცესიონერისათვის ყველაზე სტრატეგიული, პოლიტიკურ-ეკონომიური და გადაუდებელია იმ რკინიგზის აგება, რომლის აშენებისათვისაც იგი იღწვის; ის ნავსადგური განაპირობებს რუსეთის შემდგომ განვითა-

რებას, რომელიც დამატებით ასიგნებას ითხოვს; ის იჯარაა მთავ-
რობისათვის საჭირო, რომელსაც დიდი ფასი უნდა დაედოს.
მაგრამ იმ ადამიანებმა, რომელთაც წილად ხვდათ განსაზ-
ღვრონ, ყველა ამ ამოცანის მნიშვნელობა და საჭიროება, არ
შეიძლება არ იცოდნენ მათი შეფარდებითი მნიშვნელობა სა-
ხელმწიფოს საერთო ეკონომიურ ცხოვრებაში და იმ მსხვერპლის
უკიდურესი მასშტაბები, რის გაღებაც მას შეუძლია ისე, რომ ზია-
ნი არ მიაყენოს ქვეყნის საერთო განვითარებას. მათ აუცილებლად
უნდა ქონდეთ საერთო წარმოდგენა სახელმწიფოს საჭიროებასა
და მოთხოვნილებებზე. ამგვარად, მათი დაკმაყოფილების საერთო
გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის რეალურ საშუალე-
ბებს. ასე რომ, ჩვენი სურვილია ერთმანეთთან დავაკავშიროთ ყვე-
ლა ის ცალკეული ამოცანა, რომელთაც კავშირი აქვთ შავ ზღვაზე
ნაოსნობის განვითარებასთან, რადგან ერთ საერთო გეგმას სერიო-
ზული პრაქტიკული საფუძველი გააჩნია. ვიტყვით უფრო მეტსაც,
იგი ბუნებრივი და სრულიად აუცილებელია.

13. საზღვაო კანონმდებლობა, სკოლები და სუბსიდიები

თბილისი, 8 ივლისი

ამ სტატიაში ჩვენ ვილაპარაკებთ იმ სიძნელეების აღმოფხვრაზე და იმ ღონისძიებათა დაპროექტებაზე, რომლებიც, ასე ვთქვათ, თვით ზღვაოსნობის პროცესს ეხება და რომელთა ფორმულირებისათვის საჭიროა საზღვაო საქმის პრაქტიკული ცოდნა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამგვარად, ამ სტატიის მთელი ამოცანა ისაა, რომ გამოიწვიოს კომპეტენტური პირები, რათა მათ შემოიტანონ შესწორებები, უარყონ ან დაამუშავონ ის საკითხები, რომელთაც დიდი ყურადღება და ზრუნვა უნდა მიაპყრონ მათ, ვისაც შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარება სურთ.

დავიწყოთ ჩვენი საზღვაო კანონმდებლობით. იგი იმდენად არადამაკმაყოფილებელია, რომ კომპეტენტური პირების სიტყვით, კანონების ზუსტად შესრულება, ხშირად, ზღვაოსნობის შეწყვეტას უდრის. ეს სრულიად ბუნებრივად აიხსნება იმით, რომ ჩვენი საზღვაო ვაჭრობის კანონმდებლობას ყოველთვის ამუშავებდნენ ფინანსთა სამინისტროს მოხელეები, რომლებიც ზღვას ერმიტაჟში გამოფენილი სურათების მიხედვით იცნობდნენ. ძირითად მასალას მათთვის წარმოადგენდა უცხო სახელმწიფოებთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები, რომელთაც ისევ მოხელეები ადგენდნენ, მაგრამ სხვა უწყებისა და ამ გზით, მათ მიიღეს რუსეთის საზღვაო ვაჭრობის კანონმდებლობა, რომელიც უცხოელ შკიპერებს, გემის პატრონებს, რუსეთთან ვაჭრობას უადვილებდა, ხოლო რუს შკიპერებსა და გემის პატრონებს უხერხულობასა და სიძნელეებს უქმნიდა. თუ რამდენად არაბუნებრივი და გაუგებარია ყოველივე ეს, ნათლად ჩანს განსვენებული მ. ნ. ოკუნევის სტატიაში — რუსეთის საზღვაო ვაჭრობის კანონმდებლობის შესახებ, რომელიც „რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოების“ ორგანოში დაიბეჭდა. აქვე დაიბეჭდა მრავალი სხვა საგაზეთო სტატიაც. ყოველივე ეს რომ მაგალითის მეშვეობით უფრო

ცხადი გავხადოთ, ავიღოთ შემდეგი ფაქტი: ჩვენს ნავსადგურში შემოსული ყოველი გემი იხდის სალასტო გადასახადს, რომელიც შუქურების განათებას ხმარდება. სამამულო ზღვაოსნობის განვითარების თვალსაზრისით ეს გადასახადი დიდი არაა, ხოლო სავაჭრო ტრაქტატების ვითომდა სამართლიანობის თვალსაზრისით ამ გადასახადს უცხოურ გემებსაც ახდევინებენ. 1873 წ. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მოადგა და ეს სანაპირო დასტოვა საზღვაო გემებმა, რომელთა საერთო მოცულობა 1.404.235 ლასტს შეადგენდა. მათ რიცხვში რუსეთის ალმით — 1.048 გემი, რომელთა საერთო მოცულობა 236.075 ლასტს უდრიდა. ჩვენ გვჭირდება შედარებითი დასკვნა და ამიტომ გადასახადის ზუსტი ციფრის ცოდნა აუცილებელი არაა, ჩვენ ნებისმიერად ყოველ ლასტზე 10 კაპიკს ვიანგარიშებთ. ამ შემთხვევაში ლასტის გადასახადს 1873 წელს უნდა შეედგინა 140.423 მან. და 50 კაპიკი. აქედან:

უცხოურმა გემებმა გადაიხადეს	— 116.816 მან.
რუსეთის გემებმა	— 23.607 მან. 50 კაპ.
	სულ — 140. 423 მან. 50 კაპ.

მაგრამ თუ ამ გადასახადს გავაორკეცებთ, ასეთ შედეგებს მივიღებთ:

უცხოური გემები გადაიხდიდნენ	— 233.632 მან.
რუსეთის გემები	— 47. 215 მან.
	სულ — 280.847 მან.

ამგვარად, თუ ჩავთვლით, რომ შუქურების განათება ჯდება 140.423 მან. და 50 კაპ., რასაც არსებული გადასახადის მეშვეობით ვღებულობთ, და თუ ამ თანხას გამოვაკლებთ მეორეს, ჩვენ დაგვრჩება 140.423 მან. და 50 კაპ., ხოლო თუ ამ თანხას გამოვაკლებთ 47.215 მანეთს, რაც რუსეთის გემებმა გადაიხადეს და რაც შეიძლება უკან დაგვებრუნებია მათთვის პრემიის სახით, რის საბაბიც ყოველთვის შეიძლება გამოინახოს, მაშინ ცხადია, რომ გადასახადის გაორკეცების შემთხვევაში ჩვენ შუქურებსაც უკეთ გავანათებდით, რადგან ყოველწლიურად გვექნებოდა დამატებითი შემოსავალი 93.208 მან. და 50 კაპ. რაოდენობით და ამავე დროს შეგვეძლო უკან დაგვებრუნებია, ე. ი. გაგვენთავისუფლებია გადასახადისაგან რუსეთის გემები ანუ გაგვეფართოვებინა ზღვაოსნობა უცხოელების ხარჯზე. ჩვენ კი პირიქით გამოგვდის. 140.423 მან. თურმე სანაპიროს ხეირიანად განათებისათვისაც კი არ კმარა და თხოულობს დამატებით ხარჯებს, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფარავენ. რო-

გორც გემების რაოდენობამ დაგვანახა, სანაპიროს განათება უმთავრესად უცხოურ გემებს ემსახურება, მაგრამ უხერხულობის ასაცილებლად მათ უთანაბრებენ რუსეთის გემებსაც და ამ უკანასკნელთაც ახდევინებენ გადასახადს. გარდა ამისა უცხოური გემებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და რუსეთის ზღვაოსნობის გასანადგურებლად, რუს გლეხებს საკმაოდ დიდ თანხას ახდევინებენ. დიპლომატიური თვალსაზრისით ყველა ეს სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობა და უკიდურესად მძიმე წესები, რაც რუსეთის ზღვაოსნობას კლავს, დაუყოვნებლივ და ძალზე გულმოდგინე გადასინჯვას და რუსეთის სავაჭრო ფლოტის ინტერესების შესაბამისად შეცვლას თხოულობს.

ახლა შევეხოთ ზღვაოსნობის მეორე, უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს — საზღვაო სკოლებს. შავი ზღვის ფლოტის აყვავების პერიოდში სახელგანთქმული გრეიგი და ლაზარევი ყოველთვის ინიციატივას იჩენდნენ ისეთ საქმეში, რაც ზღვაოსნობას ეხებოდა. უპირველეს ყოვლისა, ისინი ზრუნავდნენ უმაღლესი ტექნიკური საზღვაო სკოლების დაარსებისათვის და იმისათვის, რომ ყოლოდათ თანამედროვე საზღვაო მეცნიერების დონეზე მდგარი ღირსეული სპეციალისტები, რისთვისაც არ ერიდებოდნენ არავითარ მსხვერპლს. ყოველწლიურად გზავნიდნენ საზღვარგარეთ და ყველგან, სადაც კი რაიმეს სწავლა შეიძლებოდა, ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას და მოხელეს. ამიტომ ჩვენ გვყავდა ისეთი გემთმშენებლები, როგორებიც იყვნენ განსვენებული მ. ნ. ოკუნევი, დმიტრიევი და ა. შ. ასევე ზრუნავდნენ ისინი სავაჭრო ფლოტის განვითარებისათვისაც. ჩვენში არსებობდა სავაჭრო ზღვაოსნობის სკოლები ხერსონში და კრონშტადტში. მაგრამ, საუბედუროდ, ფინანსიური მეცნიერების უცნაურად გაგების გამო, ვაჭრობას ჩვენში ფინანსთა სამინისტრო განაგებს და რადგან საზღვაო ვაჭრობაც ვაჭრობას ემსახურება, იმავე ახირებული გაგების გამო, სავაჭრო ზღვაოსნობის შესწავლის საქმეც ამავე ფინანსთა სამინისტროს ხელში აღმოჩნდა. ამ ანომალიამ ჩვენში კონცესიური ზღვაოსნობის შექმნა გამოიწვია, მაგრამ ვერაფრით ვერ შეუწყო ხელი საზღვაო სკოლებისა და საზღვაო ცოდნის გავრცელებას. ამგვარად, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, უმაღლესმა საზღვაო სკოლებმა ძალზე მცირე სარგებლობა მოუტანა ზღვაოსნობას. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. ყოველივე ეს ძალზე რელიეფურად გამოხატა კრილოვმა არაკში ლომის აღზრდის შესახებ [33]. მკითხველმა იცის, რომ იგი არწივს მიაბარეს აღსაზრდელად და, როცა მეცნიერების კურსი ბრწყინვალედ განვლო, მამასვე დაუბრუნეს უკან.

საჯარო გამოცდაზე, როცა მამამ კითხა რის გაკეთებას აპირებს იგი მხეცების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მან უპასუხა, რომ ასწავლის მათ ჩიტის ბუდეების გაკეთებას. სამწუხაროდ, რაღაც ასეთი ხდება ჩვენშიც სავაჭრო ზღვაოსნობის სწავლების საქმეში. ეს სკოლები ვერაფრით ვერ აღმოჩნდა მეზღვაურთა ხელში, ყველა მათი მზრუნველი მხოლოდ სახმელეთო პროფესიათა წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ბატ. ვალდემარს. ბატ. ვალდემარის დამსახურება ისაა, რომ რუსეთის ზღვაოსნობა უყვარს, ჩოლო შეცდომა ის, რომ მასზე ზრუნავს და თავის საუკეთესო სურვილების გამო დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის ზღვაოსნობას. ეყრდნობოდა რა არსებული უმაღლესი საზღვაო სასწავლებლების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და ითვალისწინებდა რა იმ დიდ ხარჯებს, რასაც ისინი მოითხოვდნენ, ბატ. ვალდემარმა დაიწყო კომპანია მათ მოსასპობად. ამისათვის მან დიდი ენერგია დახარჯა. მთავრობისაგან ბევრი ფული მიიღო იმისათვის, რომ ემოგზაურა და სკოლები და სავაჭრო ზღვაოსნობა შეესწავლა, მაგრამ მან მხოლოდ თავის მოღვაწეობის ანგარიშები და საკუთარი მოსაზრებებით აღსავსე ბროშურები გამოაქვეყნა. რუსეთის ზღვაოსნობის საუბედუროდ, ბატ. ვალდემარის შრომებს წარმატება ხვდა წილად: სავაჭრო ზღვაოსნობის სკოლები მოსპეს და მათ მაგივრად შექმნეს ასეთი საზღვაოსნო სკოლები, რომლებიც სახელმწიფო სუფსიდიების ხარჯზე არსებობს ყველგან, სადაც კი ეს ადგილობრივმა მოსახლეობამ მოითხოვა და სურვილი გამოთქვა შეიტანოს შესაწირი ამ სკოლების არსებობისათვის. ასეთი სოფლური, ღატაკი სკოლები სანაპირო სოფლებში და ქალაქებში, რა თქმა უნდა, აუცილებელი და სასარგებლოა და უთუოდ სასურველია მათი რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება, მაგრამ მათ ის მავნებლობა მოაქვთ, რომ, ბატ. ვალდემარის სურვილის თანახმად, ამ სკოლებმა შეცვალეს უმაღლესი სკოლები და ახლა სავაჭრო ფლოტის შკიპერებს განათლება ვერსად მიუღიათ. ნცდარია ის აზრიც, რომ საზღვაო სკოლებში შეიძლება გაიზარდოს პრაქტიკოსი შკიპერები და გემთმშენებლები, რომლებიც თითქოს უკან ჩამოიტოვებენ სამხედრო და კომერციული ფლოტის სწავლულ თეორეტიკოსებს. ბატ. ვალდემარის მოსაზრებათა უგუნურობა პირველ ცდისთანავე გამომჟღავნდა, სახელდობრ მაშინ, როცა რუსეთის სავაჭრო ზღვაოსნობის ხელშემწყობმა საზოგადოებამ ექსპედიცია მოაწყო კარის ზღვაში. ბატ. ვალდემარის იდეის ყველაზე გენიალური წარმომადგენელი, ვიზედაც ბატ. ვალდემარი თავის ბროშურებში უსაზღვრო ნაირფეროვნებით წერდა, კერძოდ

ბატ. დალი ენისეის პირას ჩავიდა სანდალის ასაგებად და ააშენა ყბადაღებული „მოსკოვი", რომელიც არაფრად არ ვარგოდა და მაშინვე დაიღუპა. სხვა შედეგებს არც უნდა ველოდეთ საყველპურო განათლებისაგან, რასაც შეიძლება მიაღწიო არსებული ტიპის საზღვაო კლასებში. ამგვარი განათლების შედეგად ადამიანებს, მუდამ და ყველგან, დიდი წარმოდგენა ექმნებათ თავიანთ თავზე. მათ ჰგონიათ, რომ ამ საკმაოდ შეზღუდული საშუალებებით მიაღწევენ იმ შედეგებს, რომელსაც სრული თეორიული და პრაქტიკული განათლება იძლევა. არსებულ საზღვაო სკოლებს ის მავნებლობა მოაქვთ, რომ ჯერჯერობით მათ შეუძლიათ აღზარდონ მხოლოდ მეზღვაურები, ხოლო სავაჭრო ფლოტი უშკიპერებოდ დასტოვონ; მეორეც, მათ განაგებენ ადამიანები, რომელთაც ეს საქმე ცუდად ესმით, და სახმელეთო საქმეთა ბობოლების უშუალო კონტროლის ქვეშ არიან; ეკუთვნიან სახმელეთო სამინისტროს, რომელსაც სახელმწიფო რესურსების გამო თვლა ევალებათ და არა მათი შექმნა. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ამოცანა, რის შესახებაც დიდი ხანია ქმნიან პროექტებს და წინადადებებს, რასაც მთელი მრეწველობა და ვაჭრობა ასე დაძაბულად ელის.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება, რაც ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის ზღვაოსნობას დაატყდა თავს, კონცესიური ზღვაოსნობაა, ე. ი. სახელმწიფოს სუბსიდიების მეშვეობით შექმნილი ზღვაოსნობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სადაც გინდათ და რითაც გინდათ. ეს უბრალო ბოროტება კი არაა, არამედ — ბოროტება კვადრატში. სახელმწიფო სუფსიდიები უშუალოდ ანადგურებს სახელმწიფო რესურსებს და მათ მხოლოდ იმისათვის ხარჯავენ, რომ ჩაკლან კონკურენცია, ე. ი. კერძო სავაჭრო ფლოტის განვითარების საფუძველი. ყველაზე საწყენი კი ისაა, რომ ქვეყნის სიძლიერისა და აყვავების ასეთი დიდი ფაქტორის ხელაღებით მოსპობას სახელმწიფო ინტერესებისადმი პატრიოტული სამსახურის მნიშვნელობას ანიჭებენ. უბრალო საღი აზრითა და ლოგიკით აუხსნელი ამ ცნების დამახინჯება ადვილად აიხსნება კონცესიური მაგიით, რომელმაც რუსეთს არგუნა ფინანსიური გაჩანაგება და ისეთ მარადუკვდავ პირთა სახელები, როგორიცაა: პატრიოტი პოლიაკოვი, სწავლული სტატისტიკოსი ბლიოხი; საზოგადოებრივ ინტერესთა ქომაგნი: როზენტალი, სუშჩევი, კოკორევი და მისთანანი; რუსეთის არმიის ქველმოქმედნი: ვარშავსკი, მალკიელი, გორვიცი, კოგანი, მირზოევი და ყველა ისინი, რომელთა სახელებიც ჯერ კიდევ კანცელარიის კედლებში იმალება და ალბათ სულ მალე მოიპოვებენ სათანადო აღია-

რებას, როდესაც ოდესის საქმიანი კომისია ჩვენი არმიის უკანასკნელ საომარ მოქმედებათა მომარაგების ანგარიშებსა და ხარჯთაღრიცხვას შეიმუშავებს.

სუფსიდიები საერთოდ ისეთი მოვლენაა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობას და სამართლიანობას, ხოლო პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი ყველაზე მცდარი და მავნებელი პროცესია. თანასწორუფლებიანობა ის ძირითადი დოგმატია, რომელიც აღიარა ევროპულმა ცივილიზაციამ და ამ საერთო კანონის დარღვევა მხოლოდ ბოროტმოქმედებას იწვევს. სუფსიდიები განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებენ მათ, ვინც ამ სუფსიდიებს იღებენ, არღვევენ ყველა დანარჩენთა თანასწორუფლებიანობას და ახდევინებენ მათ ხარკს სუფსიდირებულთა სასარგებლოდ. ეს ხდება იმისათვის, რომ ცხოვრებაში ხელოვნურად გამოიწვიონ ცნობილი ეკონომიური მოვლენა გადაუდებელი სახელმწიფო მიზნების დასაკმაყოფილებლად. ამგვარი ამოცანის განხორციელება, რა თქმა უნდა, მსხვერპლის გარეშე არ ხდება, რასაც ყოველი ადამიანი დაეთანხმება, მაგრამ ეს მსხვერპლი, როგორც ამბობენ, უნდა მივიტანოთ სამშობლოს სამსხვერპლოზე და საერთო კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. სუფსიდიები კი ქმნიან მონოპოლიებს, ე. ი. ძალას, რომელიც თავისი არსით საერთო კეთილდღეობას ეწინააღმდეგება, ხოლო მისი რეგულირება იმას ნიშნავს, რომ ყველა ადმინისტრაციული ღონისძიება უძლური და უვნებელი გავხადოთ. ეკონომიური თვალსაზრისით კი სუბსიდიები იმისათვის ეძლევათ, რომ განვითარდეს ძნელად მისაღწევი, მაგრამ ქვეყნის საერთო პროგრესისათვის აუცილებელი საქმე, კერძო წარმოება. კერძო საწარმო მხოლოდ მაშინ იქნება კერძო, როცა „გი კერძო პირთა სახსრებით იქმნება. სუფსიდიების დახმარებით კი იქმნება კერძო საწარმოთა ახალი სახე, რომელიც ემყარება სახელმწიფო სახსრებით კერძო პირთა უზრუნველყოფას. ამგვარად, მთავრობა ხარჯავს ფულს, ხოლო კერძო პირი ღებულობს მას და ხდება საწარმოს მესაკუთრე. ამაზე უფრო მავნებელი რა უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიისათვის? მთავრობა იღებს მსხვერპლს, ხოლო ამ მსხვერპლით სარგებლობს არა მთელი ქვეყანა, არამედ რამდენიმე კერძო პირი, რომლებიც კონცესიური მაგიის მეშვეობით გვარწმუნებენ, რომ ხალხს შეიძლება დავაკისროთ როგორიც გნებავთ გადასახადი, მაგრამ აუცილებლად უნდა გავამდიდროთ რამდენიმე სანდო, რჩეული ადამიანი. მსოფლიო პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ასეთი პირები ბოლოსდაბოლოს არასანდონი აღმოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ ისე მტკიცედ იკიდებენ

ფეხს სახელმწიფო სკივრის მახლობლად, რომ შეუძლებელი ხდება მათი თავიდან მოცილება და სხვებით შეცვლა. სხვათაშორის, საჭირო არაა მაინცადამაინც შორეულ წარსულს ჩავწვდეთ; ჩვენთვის ისედაც კარგ მაგალითს გვაძლევენ ჩვენი სანდო გმირები: პოლიაკოვი, ბლიოხე, გორვიცი და სხვები, რომელთა ეშმაკური ხრიკები პრესამ ამხილა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის განემტკიცებინათ თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობა.

საუბედუროდ, კონცესიურმა ზღვაოსნობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა შავ ზღვაზე და შესაფერისი ნაყოფიც გამოიღო. შავ ზღვაზე არ არსებობს ისეთი კაბოტაჟი და თევზჭერა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „რუსეთის საზოგადოებას“ და ყველას საკეთილდღეოდ გააფართოვოს ტვირთის გადაზიდვის ფრახტი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, მიუხედავად მანძილის დიდი სხვაობისა, ტვირთის გადაზიდვა ოდესიდან ფოთამდე ზოგჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმავე ტვირთის შემოტანა მარსელიდან და ლონდონიდან. იყო იმის იმედები, რომ „საზოგადოების“ არსებობის ოცი წლის ვადის გასვლის შემდეგ, მისი პრივილეგიები შეიკვეცებოდა და მთავრობა მიიღებდა საჭირო ზომებს იმისათვის, რომ მფარველობა გაეწია მთელ ზღვაოსნობაზე, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. მიუხედავად უამრავი ქაღალდისა, რაც დაბეჭდილი და დაწერილი პროტესტებისათვის დახარჯეს, მიუხედავად დისპუტებისა, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ხელშემწყობი საზოგადოების მიმართვებისა, ყველაზე სასარგებლო „რუსეთის საზოგადოების“ კონცესიური წერილი აღმოჩნდა, რაც სუფსიდიების კიდევ თორმეტი წლით გაგრძელების საფუძველი გახდა და, ამასთან ერთად, შემცირდა გრძელი, სავალდებულო რეისები. ახლა კი ომსა და კონცესიურად სავალდებულო საზოგადოებრივ სამსახურს შეუძლია კიდევ და კიდევ გაახანგრძლივოს მათი მონოპოლია, კიდევ და კიდევ მეტი უფლება მისცეს ამოიღოს სახელმწიფო სკივრიდან სახსრები შავი ზღვის სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარების დასაბრკოლებლად. ამგვარად, არავითარი იმედი არაა იმისა, რომ შავ ზღვაზე სავაჭრო ზღვაოსნობის მონოპოლიას ბოლო მოეღება, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მთავარი დაბრკოლებაა შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებისათვის.

ამ „საზოგადოების“ მთელი დამსახურება ისაა, რომ იგი 100-მდე გემს ფლობს და ამასთანავე სამგზავრო-საფოსტო რეისებიც აქვს. მაგრამ რუსეთს ეს 50 მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდა, ხოლო თუ ამ ციფრს 100-ზე გავყოფთ, მივიღებთ, რომ რუსეთს თითეუ-

ლი გემი 500.000 მანეთი დაუჯდა და ისიც როგორი გემები: „გოლუბჩიკი“, „ბაბუშკა“, „რიონი“ და ა. შ. არა, ეს ძალზე ძვირი საშუალებაა ზღვაოსნობის განვითარებისათვის! მთავრობას რომ ეს გემები ეყიდა და ისინი ეჩუქებია საზოგადოებისათვის იმ ვალდებულებით, რომ შავსა და ხმელთაშუა ზღვებზე ტვირთის საზიდად გამოეყენებია, ახლა აქ 200-ზე მეტი რუსეთის გემი იცურებდა, 250.000 მან. ღირებულების, ე. ი. ყველაზე დიდი რანგის გემები. აი სახელმწიფო სუფსიდიების ნაყოფიერი გამოყენება შავი ზღვის ნაოსნობისათვის!

არ შეიძლება ამავე დროს მხედველობაში არ მივიღოთ ერთი კონცესიური თაღლითობა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა და, ალბათ, კვლავაც შეუქმნის შავი ზღვის ნაოსნობას. სახელდობრ, „საიალქნოგემთსაამშენებლო-საზღვაო-ტყისგამანადგურებელი საზოგადოების“ პროექტი, რომელსაც არ ვიცი ვინ უჭერს მხარს. ამ საქმის წარმატებისათვის უნდა გაანადგურონ კავკასიის ნიჩბიანი ფლოტილია, ხოლო 70.000 მანეთი, რაც მის შესანახავად იხარჯება, საჩუქრად მისცენ ამ საზოგადოების მომავალ გემებს, ამას დაემატება აღმოსავლეთ სანაპიროს ყველაზე საუკეთესო ხარისხის ტყე. ამ საქმის მოსაგვარებლად პატრიოტული შრომა გასწია ბატ. ვალდემარმა. იგი ესტუმრა აღმოსავლეთ სანაპიროს და მისთვის დამახასიათებელი აპლომბით განაცხადა: „კავკასიის ნიჩბოსან ფლოტილიას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ამიტომ საჭიროა მისი მოსპობა და მომავალი „საზოგადოების“ ხეირიანი გემებით შეცვლა. უმაღლეს სფეროებში რომ მეცნიერული ავტორიტეტი შეექმნა თავისი გადაწყვეტილებისათვის, მან კავკასიის ნიჩბოსანი ფლოტილიის მოსპობის საკითხი რუსეთის უნივერსიტეტების პოლიტიკური ეკონომიის პროფესორებს მიანდო. გაურკვეველია რატომ მოიქცა ასე ბატ. ვალდემარი. პროფესორებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ გაეცათ გონივრული პასუხი მათთვის უცნობ საკითხებზე; ეს იყო კონცესიური მაგიის სპეციალური მანევრი, რომელიც, საბედნიეროდ, დღემდე რჩება უშედეგოდ. და, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ბატ. ვალდემარის პატრიოტული მეცადინეობა საერთოდ არ განხორციელდეს.

14. ბიბლიოგრაფია

(საბა-სულხან ორბელიანის „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. თარგმანი და განმარტებანი ალ. ცაგარელისა. სპბ 1878)

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორმა უფ. ალ. ცაგარელმა კეთილშობილური მიზანი დაისახა: გააცნოს თავის მსმენელებსა და მათთან ერთად განათლებულ საზოგადოებასაც მშობლიური ლიტერატურის საუნჯე. მისი აზრით, რომელიც საფუძვლიანია, თუმცა მაინცადამაინც ახალი არ არის, ძველი ქართული ლიტერატურის გაცნობა „არ იქნება უსარგებლო მსოფლიო ლიტერატურისათვისაც: მისი გამოკვლევა ხელს შეუწყობდა ზოგიერთი აქამდე ბნელი და დახლართული საკითხის გარკვევას, როგორც, მაგალითად, საკითხი აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტურ თქმულებათა და გადმოცემათა ურთიერთკავშირისა, — საკითხისა, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად იზიდავს მეცნიერებს“.

როგორცა ხედავთ მიზანი კეთილია, კეთილშობილური, ღირსი მეცნიერების ღონისძიებისა. მაგრამ, მიზნის დასახვა, მით უფრო, როცა იგი ყველასათვის ნათელია, და მისი მიღწევა — ორი სხვადასხვა ამბავია, და ბატ. ცაგარელმა წარმოგვიდგინა ამ გაცვეთილი ჭეშმარიტების ახალი დადასტურება.

„საკითხი, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად იზიდავს მეცნიერებას“, საკითხი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადმოცემათა, ლეგენდების, საგალობლებისა და ლიტერატურათა კავშირისა და ურთიერთობისა იმდენად გამოიკვეთა ზოგად ხაზებში, რომ ზოგადი პასუხებით ახლა ვეღარავინ დაკმაყოფილდება. ვფიქრობ, ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგნაირად პასუხის გაცემაში მდგომარეობს: — ესა და ეს თხზულება ორიგინალურია, ხოლო ეს — აი ამ უცხოურიდან არის გადმოწერილი; ეს ნიშნავს, რომ ეჭვიც არ არის კაცობრიობის კულტურის ისტორიის ძირითად მოთხოვნილებათა არსებობაში. ძველად, მართლაც, სწავლულები თავებს იმტვრევდნენ იმ საერთო პროტოტიპის ძიებაში, საიდანაც სათავეს იღებდნენ დედამიწის მრავალნაირი ხალხების თქმულებები, აზ-

რები, ფიქრები და ცნობანი. საკითხი, იყო თუ არა როდისმე ასეთი პროტოტიპი, თუ სხვადასხვა ხალხთაგან თითოეული დამოუკიდებლად ვითარდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში ორ ბანაკად ჰყოფდა სწავლულებს. იგი არსებითად ქვეგანაყოფი იყო უფრო ზოგადი საკითხისა, რასაც ცოტა მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია სწავლულთა სამყაროში — საკითხი „ადამიანთა მოდგმის ერთიანობისა", მაგრამ, — „უკანასკნელ ხანს", მასალების უკმარისობის გამო, ამისთანა ვრცელი საკითხების გადაწყვეტასა და ასეთი საკითხების დაყენების უსარგებლობაში მეცნიერთა ღონისძიებამ სხვა დანიშნულება მიიღო. უკვე ცოტა მონაცემი არაა მიღებული იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ერთი და იგივე მდგომარეობა და ერთი და იგივე მოთხოვნილებები ორ ხალხში, რომელთაც სრულიად არავითარი ურთიერთობა არ მოეპოვებათ, წარმოშობენ ერთგვარ ცნებას, პოეტურ სახეებს, აზრებს, ლეგენდებს, ბგერებსა და სიტყვებს. ვიდრე ასეთ სახეთა, სიტყვათა და ა. შ. წარმოშობის საერთო კანონებს გამოვიყვანდით, და ადრე, ვიდრე მათ შედარებითი ემბრიოლოგიის საკითხებს ჩავუღრმავდებოდით, აუცილებელი აღმოჩნდა ჯერ თითოეულ ცალკე ხალხში გაგვერკვია ასეთი მოვლენების კერძო ემბრიოლოგია. მხოლოდ ასეთი სამუშაოს შესრულების შემდეგ გახდება შესაძლებელი ცდა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი განზოგადებისა...

მაგრამ, რა არის ხალხის აზრის კერძო ემბრიოლოგია? მისი წერილობითი ძეგლების მარტივი გადაბეჭდვა, ან მისი ზეპირი თქმულებებისა და სიმღერების თუთიყუშებივით ჩაწერა? ყველა ხალისით დამეთანხმება, რომ — არა. ამგვარი სამუშაო ხვედრია გაუნათლებელი შავი მუშებისა, რომელთაც სხვით არაფრით შეუძლიათ ემსახურონ ხალხმცოდნეობის მეცნიერებას. მეცნიერი, რომელიც ამ მასალას ეხება, მოვალეა აგვიხსნას, თუ რა პირობების გავლენით, რა საჭიროებისა და მოთხოვნილების ძალით იბადებოდა, ვითარდებოდა და სახეს იცვლიდა ხალხის ესა თუ ის აზრი, რა პირობებს შეეფერებოდა იგი, ხალხის ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ძალით რომელ ეპოქაში ხდებოდა იგი პოპულარული და როდის ქრებოდა, მუნჯდებოდა, დავიწყებას ეძლეოდა... შემდეგ. ხალხური თქმულებები და ლიტერატურული ნაწარმოებები ნამდვილ მეცნიერთა ხელში იქცევიან კუვიეს იმ კურკად, რაზედაც შეიძლება წარმოიქმნას ცოტად თუ ბევრად ზუსტი და მთლიანი სახე ხალხის ცხოვრებისა და ხალხური მსოფლმხედველობისა გარკვეულ პერიოდში. როგორ არის წარმოსახული ამ თქმულებებში მათი თანამედროვე ცხოვრე-

ბა, როგორ ჩნდება მათში იმ დროის ხალხის აზრი, — აი მთავარი საკითხები, „რომელიც ამ ბოლო ხანებში მეტად იზიდავს მეცნიერებს“.

ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ ბატ. ცაგარელის შრომას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერს ჯერ არ დაუყენებია თავის წინაშე ასეთი ამოცანები. იგი იფარგლება მთარგმნელისა და კომენტატორის მოკრძალებული მოღვაწეობით.

მაშასადამე, მოვალენი ვართ ასეთი საკითხი დავუსვათ თავს: რამდენად მიზანშეწონილია ასეთი მუშაობა?

მეცნიერს, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ლიტერატურისა და ისტორიისათვის შეუწირავს, შეიძლება ორი დამოუკიდებელი ამოცანა ჰქონდეს: დაამუშაოს წყაროების მიხედვით ქართველი ხალხის ლიტერატურის ისტორია და ცხოვრება, ან გააცნოს უცხოელებს სწორედ ეს ისტორია და სიმდიდრე ამ ლიტერატურისა, მაგრამ მიზანშეწონილია სხვებს გააცნო ის, რაც შენ თითონ ჯერ კიდევ კარგად არ იცი? საქართველოს ისტორია ხომ არ აგებს იმით, რომ ჯერ კიდევ დაუინტერესებელ პირთ მას აცნობენ მის პრიმიტულ მდგომარეობაში, ყველა მთავარი მხარის საკმაოდ გაუშუქებლად? რამდენად შეუძლიათ უცხოელებს დაინტერესდნენ ჩვენი მარტივი მეცნიერული ულუფით, როცა მათ მადლობა ეთქმით იმისათვისაც, რომ დათანხმდებიან გაეცნონ ჩვენი წარსული ცხოვრების საბოლოო დასკვნებსა და დასრულებულ სურათებს? აი საკითხები, რომელთა მხოლოდ დაყენებაც კი უკვე იძლევა დადებით პასუხს აუცილებლად უარყოფითი აზრით:...

ამასობაში, არც ჩვენს ისტორიას, არც ჩვენს ლიტერატურას აქამდე თითიც არ მიჰკარებია, თუ სიტყვა „თითში“ ამ საქმისადმი ნამდვილი მეცნიერის გააზრებით დამოკიდებულებას ვიგულისხმებთ.

უფ. ცაგარელი, მაგალითად, ამბობს:

„აგრეთვე მრავალრიცხოვანი და მრავალნაირი არიან ქართული ხალხური ზეპირი თქმულებები, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ახლახანს მიაპყრეს მათ ყურადღება და დაიწყეს მათი შეგროვება. ამ მხრივ განსაკუთრებული გულმოდგინებითა და საქმისადმი სიყვარულით გამოირჩევიან უფ. უფ. უმიკაშვილი და გოგებაშვილი“.

მაგრამ ეს ამონაწერი უკვე მოწმობს უფ. ცაგარელის ზერელე დამოკიდებულებაზე ხალხურ თქმულებათა შეკრების საქმისადმი. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არიან თუ არა ისინი, ამის გადაწყვეტა არავის შეუძლია უბრალოდ იმიტომ, რომ ჯერ არ დაბადებულა ქართველი კარაჯიჩი და ხალხური თქმულებები ჯერ

არავის შეუკრებია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ვადევნებდით თვალს ამ საქმეს და ვიცით უკვე შეკრებილი და ჯერ გამოუცემელი კოლექციების მდგომარეობა, უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ კომპლიმენტად შეიძლება მათ კოლექცია ეწოდოს... **უნდა შევნიშნოთ**, რომ ყველას არ შეუძლია გასწიოს კარაჯიჩობა. ხალხური პოეტური თქმულებებისა და სიმღერების შესაკრებად სულ მცირე — პოეტური ალღო მაინცაა საჭირო. მაგალითად, ყველა სიმღერა, შეკრებილი უფ. უმიკაშვილის მიერ და უფ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოში დაბეჭდილი (ამ უკანასკნელს, რამდენადაც ვიცით, არავითარი თქმულებები არ შეუკრებია), სრულიად ვერ გადასწონის იმ ორიოდ —სამი ხალხური სიმღერის ღირსებას, თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს რომ ჩაუწერია დუშეთში და დაბეჭდილია მის მიერ ჟურნალ „კრებულში". და ეს იმიტომ, რომ თავ. ჭავჭავაძემ იცის, თუ როგორ გაარჩიოს ერთმანეთისაგან ძველი და ხალხური ახლისა და მწერლურისაგან, პოეტური—გამოკოპიტებულისაგან, დამახასიათებელი — უფერულისაგან. როცა შემკრებლებს ასეთი კრიტერიუმი არ გააჩნიათ, გამოდის არა კარაჯიჩის კოლექცია, არამედ რაღაც დომხალი, რომელიც უფრო აბნელებს, ვიდრე გამოიკვლევდეს ამ ხალხის პოეტურ შემოქმედებას...

გარდა ხალხური თქმულებებისა, ქართველი ხალხის განვითარების ისტორიის წყაროდ შეიძლება გამოდგეს მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომელნიც უამრავია რუსეთისა და ევროპის კერძო და საჯარო ბიბლიოთეკებში. მეცნიერი, რომელიც მიზნად დაისახავს თავისი სამშობლოს წარსულის შესწავლას, ძვირფას საბუთებს იპოვნიდა მრავალრიცხოვანი ელჩების, კონსულების, მისიონერებისა და ვაჭრების პატაკებსა და ჩანაწერებში, რომელთაც გაუვლიათ ან უცხოვრიათ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ თვითონ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, British museum-ში და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მრავალი ამგვარი საბუთის ცქერით დავმტკბარიყავით. უფ. ნ. ყაზბეგმა რომში ნახა არა ნაკლებ ძვირფასი საბუთები, შემდეგ მის მიერ „კავკაზში" [19] აღწერილი, ქართველი ხალხის გადმოცემებზე, სამართალზე, წეს-ჩვეულებაზე და ყოფაცხოვრებაზე მათში მრავალი ცნობაა. და, ბოლოს, ჩვენს ბიბლიოთეკაში დასტობით აწყვია ჯერ კიდევ აქამდე გამოუცემელი ქართული თხზულებანი. ვფიქრობთ, რომ მეცნიერი სპეციალისტებისათვის ეს წარმოადგენს სრულიად საკმაო ასპარეზს მიზანშეწონილი მოღვაწეობისათვის, თუ კი კეთილი სურვილი იქნება...

მაგრამ, ჩვენ გადავუხვიეთ უახლოესი ამოცანისაგან — გავარჩიოთ უფ. ცაგარელის თარგმანი. ვეჭვობ, რომ „ობზორის“ [2] მკითხველებისათვის აუცილებელია შევნიშნოთ — „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ განსაკუთრებულად ორიგინალური ქმნილებაა საბა-სულხან ორბელიანისა, შედგენილი ზნეობრივი სენტენციების საფუძველზე. საქართველოში ეს წიგნი გავრცელებულია და მას იცნობს თითქმის ყველა ოჯახი, თუნდაც ნაწყვეტებით. უფ. ცაგარელს მიზნად დაუსახავს მისი თარგმნა. თხზულების შემადგენელი ნაწილების სხვა ლიტერატურათა ანალოგიური ნაწარმოებებისათვის შედარებით, იგი მიდის დასკვნამდე, რომ წიგნი უმეტესად სრულიად ორიგინალურია და არსაიდან არ არის გადმოღებული. მთარგმნელს წიგნისათვის დაურთავს მცირეოდენი ბიოგრაფიული ცნობები, მეტწილად სრულიად მწირი. აი ის, რაც შეიძლება ითქვას მისი ნაშრომის არსზე.

რაც შეეხება მის გარეგნულ მხარეს, უნდა ვთქვათ, რომ თარგმანი ცუდადაა შესრულებული. იმისათვის, რომ იგი გასაგები იყოს, აუცილებელია ქართული ენის ცოდნა და ისევ უკან თარგმნა რუსული ფრაზებისა. მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები მათი აზრი. წერილი რომ არ დავტვირთოთ ბევრი ამონაწერით, მოვიტანთ ხელში მოხვედრილ პირველსავე ადგილს: „Одна кошка ходила туда-сюда, нашла одну мертвую львицу, у которой остался в живых (один?) львенок“ და ა. შ. (стр. 159).

საეჭვოა, რომ ამისთანა თარგმანებმა საზოგადოება ქართული ლიტერატურის გაცნობისათვის წაახალისოს. მართალია, მთარგმნელი თარგმნის ნაკლს აბრალებს სურვილს, რომ ორიგინალთან ახლოს იდგეს, მაგრამ თვით მისი განმარტება აჩვენებს, რომ ჯერ საკმაოდ არა აქვს შეგნებული ამგვარი თარგმნებისადმი წაყენებული თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილება. ვერც საზოგადოებისათვის ამ ენის იდიომატიზმის გაცნობის სურვილი, ვერც მსმენელთათვის გაადვილების მოსაზრება ვერ გაამართლებს ორიგინალის გაფუჭებასა და მისი აზრის დაბნელებას. ეს ხომ იმასა ჰგავს, რომ დაკანონდეს აუცილებლობა ასეთი თარგმანისა: „Слова на крышу не бросай“.

ერთი სიტყვით, ჩვენ უფრო საბუთიანი ახსნა მოგვეპოება თარგმნის ნაკლოვანებებისა. უფ. ცაგარელი, უბრალოდ, მეტად სუსტად იცნობს რუსულ მეტყველებასა და ცუდად იცის იგი. იგი, მაგალითად წერს: „Чтобы всякий из них... взял бы“ (стр. 2), „Чтобы сказанное или понравилось бы всем“ (стр. 5). აღარ გვინდა ამ სიის გაგრძელება. გამოვთქვამთ მხოლოდ სურვილს, რომ უფ. ცა-

გარელმა შემდეგი თარგმანები შესამოწმებლად აძლიოს ხოლმე რომელიმე თავის პატივცემულ თანამოძმეს პროფესურიდან.

კიდევ ერთი მცირე შენიშვნა:

თავისი ქართული ენის „გრამატიკული ლიტერატურის შენიშვნებში“ უფ. ცაგარელი წერდა (გვ. 100): „ამ წიგნის სათაურს „სიბრძნე სიცრუისა“ მე ვთარგმნი სიტყვებით—„Мудрость вымысла“ და არა „Мудрость и ложь“ როგორც სხვადასხვა მთარგმნელები სჩადიან. ჯერ-ერთი, ამ სიტყვებს შორის (ქართულ ენაზე) არ არსებობს არავითარი დამაკავშირებელი ნაწილაკი, მეორეც, მეორე არსებითი სახელი დგას ნათესაობით ბრუნვაში, მესამეც“ და სხვ. და სხვ.

ახლა კი, თავისი თარგმანი, ყოველგვარი მიზეზის აუხსნელად, დაუსათაურებია — „Книга Мудрости лжи“. სწავლულთაგან, რომელნიც მეცნიერების არსს ასოებისა და ნაწილაკების მესაფლავეობაში და გათხრებში ხედავენ, საკუთარ დებულებათა ასეთი მსხვრევა, უფრო მნიშვნელოვან დებულებათა მოუტანლად, ვიდრე ეს „ნათესაობითი ბრუნვა პირველ სიტყვაში“, ვაი, თუ სიწმინდის შებღალვად მოეჩვენოთ.

15. ზღვაოსნობის მოთხოვნები

1

თბილისი, 8 ივლისი

თუ გამოვყოფთ იმ ძირითად აზრებს, რომელთაც ჩვენ ვანვითარებდით წინა სტატიებში, როცა ვმსჯელობდით რუსეთის სავაჭრო ზღვაოსნობის აწმყოსა და მომავალზე, საერთოდ და განსაკუთრებით კი შავი ზღვის ნაოსნობის შესახებ, მივალთ შემდეგ დასკვნამდე:

ამჟამად სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარება წარმოადგენს ძირითად საშუალებას რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

აქამდე ჩვენი სავაჭრო ზღვაოსნობა ისეთი ადამიანების და დაწესებულებების ხელში იყო, რომლებიც ცუდად იცნობდნენ ზღვაოსნობას და ამიტომ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ იმისათვის, რომ მტკიცედ დაემკვიდრებინათ იგი რუსეთში. ზღვაოსნობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელს წარმოადგენს საზღვაო კანონმდებლობა. უცხო ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებებს თითქოს იმიტომ ვდებთ, რომ მფარველობა გავუწიოთ მათ იალქნებს. ჩვენში არ არსებობს საზღვაო სკოლები. გვაქვს მხოლოდ ჰათი დაარსების ფართო გეგმა, რომლის დიდი წარმატებით განვითარების შემთხვევაშიც კი ჩვენს ფლოტს ეყოლება კარგი მეზღვაურები და ძალიან ცუდი შკიპერები და გემთმშენებლები. საზღვაო საქმიანობის წახალისება პრემიებითა და სუფსიდიებით კონცესიური წესით ხდება, რაც ამდიდრებს სანდო პირებს და იმ პატრიოტულ საზოგადოებებს, რომელთა საფუძველი ყალბი ეკონომიური პრინციპები და გაანგარიშებებია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ანადგურებს. სინამდვილეში ზღვაოსნობა, ე. ი. პატარა გემების მფლობელები, შკიპერები და მეზღვაურები ვერაფრით ვერ სარგებლობენ, რადგან არც კი იციან, ვის მიმართონ დასახმარებლად. ფინანსთა სამინისტრო, სადაც თავი მოიყარა ზღვაოსნობის ძირითადმა ძალებმა, პეტერბურგში იმყოფება, სადაც არხანგელსკის, შავი და კასპიის ზღვის მეზღვაურები ყოველთვის ვერ ახერხებენ ჩასვლას, ხოლო კიდევ უფრო ძნელია ჩასვლისთანავე ფრაკისა და ფერადი ხელთათმანების

ჩაცმა, თეთრი ყელსახვევის გაკეთება, ე. ი. ისეთი ტანსაცმელის შოვნა, რომლის დანიშნულებაც მათ არ ესმით, და ასე გამოცხადება კანცელარიაში ან დეპარტამენტში თავიანთი გაჭირვების მოსახსენებლად და ბატ. სუშევის, ნოვოსელსკის, ჩიხაჩევის, პოლიაკოვის, ბლიოხისა და სხვების კონკურენციის გასაწევად... შეიძლება აღმოჩნდეს კიდეც ისეთი გაბედული მეზღვაური, რომელიც დაძლევს ამ ძნელ ევოლუციას, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ვერ მიაგნოს კანცელარიას ან სამინისტროს, რადგან ზღვაოსნობის ბევრ საკითხს წყვეტს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტრო, სხვა საკითხებს — საზღვაო სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ზოგჯერ სამხედრო სამინისტროც კი, რომელიც აგრეთვე დაინტერესებულია სავაჭრო ზღვაოსნობით. მაგალითად, აშენებს სავაჭრო ნავსადგურს ფოთში. სავაჭრო ზღვაოსნობის საქმის ასე დანაწევრების დროს სხვადასხვა სამინისტროებს შორის, რაიმეს მიღწევა, ჩანს, მხოლოდ კონცესიონერებს შეუძლიათ...

რაც შეეხება უბრალო მკიპერებს ან გემის პატრონებს, მათ ამაზე ფიქრიც კი არ შეუძლიათ. მაშასადამე, მათ ისევ ადგილობრივი ადმინისტრაციის იმედი აქვთ, რომელსაც აგრეთვე ეკისრება საზღვაო რაიონებში იზრუნოს მშობლიური ქვეყნის ისეთი სასარგებლო საქმის განვითარებისათვის, როგორიც სავაჭრო ზღვაოსნობაა. მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაციის მზრუნველობა პარალიზებულია იმით, რომ არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ისე, თუ არ წარუდგინა გეგმა და არ შეუთანხმდა თითქმის ყველა სამინისტროს. გარდა ამისა, მათ არც საშუალება აქვთ იმისათვის, რომ მზრუნველობა გამოიჩინონ: განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეები, რომლებიც ან ჰუსარები იყვნენ ან მართლმსაჯულების მსახურნი, ანდა უბრალო ადამიანები, ადგენდნენ უამრავ პროექტებს და წერილებს იმის შესახებ თუ როგორ უნდა განვითარდეს სავაჭრო ფლოტი. საბედნიეროდ, ყველა ეს ღირსეული ნაშრომი უყურადღებოდ ჩააკერეს საქმეში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ შავზღველები. წარსულის მოგონებათა მორევში რომ არ ჩავეშვათ, საკმარისია გავიხსენოთ ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი, თავადი ვორონცოვი, რომელიც ოდესადმი სიყვარულისა და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფის გამო სისტემატურად უშლიდა ხელს ჩრდილოეთ სანაპიროს დანარჩენი ქალაქების განვითარებას, განსაკუთრებით კი აზოვის ზღვის სანაპიროს. გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმებასთან ერთად შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის ინტერესების დაც-

ვის მოვალეობაც გაიყო. ახლა ოდესის ქალაქის თავს და ქერჩის პოლიციმეისტერს თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვთ სავაჭრო ზღვაოსნობის ბედის გადაწყვეტაში. ხოლო მათ პროექტებს და წინადადებებს კიდევ უფრო მეტად შეუძლიათ დააფრთხონ ზღვაოსნობის ყველა ბუნებრივი ინტერესი, განსაკუთრებით თუ ბატ. ვალდემარი, რომელიც სხვადასხვა საზღვაო სკოლების დასაარსებლად ჩამოვიდა, მხარს დაუჭერს ამ პროექტებს უნივერსიტეტის პროფესორის ყოვლისშემძლე ავტორიტეტით და ხელოვნებით. ასე რომ, ყველაფერი, რაც შეიძლება ვუსურვოთ სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარებას, ისაა, რომ ვითხოვოთ შეამცირონ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მოწოდებულნი არიან იზრუნონ ზღვაოსნობის განვითარებისათვის და, ამასთან, შექმნან ზღვაოსნობისათვის რაიმე სპეციალური საზღვაო დაწესებულება, რომელსაც ჩააბარებენ სახელმწიფო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს და რუსეთის ეკონომიური ცხოვრების პროგრესის ამ უძლიერესი იარაღის ბედს.

2

თბილისი, 10 იელისი

შავ ზღვას რუსეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყველა სხვა ზღვებს. მაგრამ სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარებისათვის ყველაზე არახელსაყრელი პირობები სწორედ შავ ზღვაზე გვაქვს. აქ არა მარტო ყველაფერი თავიდან უნდა შეიქმნას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიშალოს მთელი ქსელი, რაც ადგილობრივი ადმინისტრაციის მზრუნველობის წარმოუდგენელი შედეგების გამო შეიქმნა. ამისათვის საჭიროა ყველა იმ პირის კოლოსალური კოლექტიური შრომა, რომელთაც ესმით სავაჭრო ზღვაოსნობის მნიშვნელობა და იცნობენ მისი სწრაფი განვითარების საშუალებებს. პირველი ადგილი ამ საქმეში ეკუთვნით შავი ზღვის მეზღვაურებს, რომლებიც, საყვედურით არ ვამბობთ, აქამდე კმაყოფილდებოდნენ ბატ. ვალდემართან ბულვარებზე ბრძოლით, რამდენიმე სტატიით „ნიკოლაევსკი ვესტნიკში“ და ლექსებით, რომლებშიც შექებულია სახმელეთო მეზღვაურების გმირობა, რომელთაც თავიანთი ენერგია რუსეთში საზღვაო ცოდნის გავრცელებას მოანდომეს. ყველაფერი ეს არასოლიდურია და ჩვენ ასეთ რამეს არ მოველით შავი ზღვის მეზღვაურებისაგან, რომლებიც ვალდებულნი არიან მეტი ყურადღებით მოექცნენ და მეტი სარგებლობა მოუტანონ შავი ზღვის ყველასაგან დავიწყებულ სავაჭრო ზღვაოსნობას!

ამგვარად, ვიხილავთ რა ზღვაოსნობის საკითხს ამ მხრივ, იმ დას-

კვნამდე მივდიეართ, რომ აუცილებელია ერთი იდეა, ერთი საერთო ხელმძღვანელობა სავაჭრო ზღვაოსნობის წარმატებით განვითარებისათვის. სად და როგორ ვეძებოთ იგი?!

ჩვენ შეგნებული გვაქვს ყველა სიძნელე, რომელთაც შავ ზღვაზე სავაჭრო ზღვაოსნობის რაციონალური განვითარება წააწყდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობთ, რომ სწორედ ესაა უდიდესი სტიმული იმისა, რამაც უნდა გაიტაცოს ჭეშმარიტად ენერგიული ადამიანები, რათა შავი ზღვის დიად საქმეს ემსახურონ: à vaincre sans péril, on triomphe sans gloire![34]

როგორი დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი საინტენდანტო სამსახურის ცოდვები და პატრიოტული ზრუნვა იმისათვის, რომ მომარაგების მეშვეობით მოეტყუებინა და ეშიმშილებინა ქრისტესმოყვარე ჯარი, მაგრამ ყოველივე ამას არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჩვენს საზოგადოებას უნარი არ შესწევს ემსახუროს იდეალურ მიზნებს. ამიტომ ჩვენ თავისუფლებას ვანიჭებთ ჩვენს ფანტაზიას და დარწმუნებული ვართ, რომ მოიძებნებიან მსურველები, რომლებიც დაინახავენ ჩვენს იდეალურ ვარაუდში სერიოზულ პრაქტიკულ სარჩულს და თავიანთი მეცადინეობით დაგვეხმარებიან მივაღწიოთ ამ საკითხის ისეთ განმარტებას, რომ შეიქმნას საერთო გეგმა შავ ზღვაზე ზღვაოსნობის განვითარებისათვის.

ამისათვის ჩვენ არ გვყოფნის ნავსადგურები, სადაც გემებს უშიშრად შეეძლებათ დგომა, არა გვაქვს ტვირთი, რომლის გადაზიდვაც მათ შეეძლოთ, არ გაგვაჩნია ტექნიკური საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შევძლებდით აგვეგო და აღგვეჭურვა სავაჭრო ფლოტი და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია, რაც საჭიროა ამგვარი მიზნისათვის და ამიტომ ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ, განუხორციელებელი ჩანს. მაგრამ ყოველ მსხვილ ეკონომიურ მოვლენას გააჩნია ისეთი მხარე, რომელიც თვალსაჩინოა და მეორე, რომელიც, თუმცა არ სჩანს, მაგრამ მაინც არსებობს და ხშირად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველს. ჩვენ რომ არ გაგვაჩნია არც გემები, არც ნავსადგურები და არც ტექნიკური დაწესებულებები საზღვაო სარეწაოთა შესაქმნელად, ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ საზღვაო სარეწაო აუცილებლად გვჭირდება, მის შესაქმნელად გვაქვს ყველა საშუალება, მაგრამ ყველაფერი ეს არაორგანიზებული, არარეალიზებულია და ამიტომ არ ჩანს. ასე რომ, საჭიროა ეს საშუალებანი თვალსაჩინო გავწადოთ და თავის ადგილი მივუჩინოთ! ამისათვის კი საჭიროა ბევრი ფული, ბევრი დრო, კიდევ უფრო მეტი ენერგია, რათა ამ წარმატების ელემენტების შედარებითი მნიშვნელობა განვ-

საზღვროთ სუვოროვის სიტყვებით: დაკარგე ფული — არაფერი დაგიკარგავს, დაკარგე დრო — ბევრი დაგიკარგავს, დაკარგე ენერგია — ყველაფერი დაგიკარგავს!

ამიტომ, ვანიჭებთ რა ფულს ყველაზე მცირე მნიშვნელობას, ჩვენ მას დავითვლით მილიონობით და ყოველ ისეთ მილიონს, რომელიც რაციონალურად დაიხარჯება სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარებისათვის, მივანიჭებთ ერთი იმ ქვის მნიშვნელობას, რომელთაგანაც უნდა შეიქმნას ჩვენი საზღვაო ძლიერების შენობის ბალავარი.

ჩვენ უფლებას ვიტოვებთ რა შემდეგში წარმოგიდგინოთ გასავლის დაწვრილებითი ანგარიში, ახლა ავიღოთ ყველაზე დიდი თანხა, რაც შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებისათვის დაგვჭირდება. მაგალითად, სევასტოპოლში ცენტრალური ნავსადგურის მოსაწყობად, დუნაისა და სევასტოპოლს შორის ნავსადგურის, სევასტოპოლის აღმოსავლეთით დონის შესართავამდე და ქერჩის სრუტემდე საჭირო ნავსადგურების ასაშენებლად, ამ ნავსადგურებამდე რკინიგზის გასაყვანად, რათა სანაპირო ქვეყნის შიდა რაიონებს დაუკავშირდეს, აგრეთვე სანაპიროს განათება, ვთქვათ, ერთდროულად დაჯდება 100.000.000 მან.

გემთსაამშენებლო საშუალებათა ორგანიზაციისა და მის შესაქმნელად დონეცკის აუზში, დონის-როსტოვში, ხერსონში, ნიკოლაევში, ფოთში და ბათუმში ერთდროული ხარჯი, ვთქვათ, იქნება 50.000.000 მან.

შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს კეთილმოსაწყობად, ე. ი. ოთხი დიდი და შვიდი პატარა ნავსადგურის ასაგებად, ქვეყნის შიდა რაიონებიდან ამ ნავსადგურამდე რკინიგზის გასაყვანად, მომავალი დასახლებების ერთმანეთთან, სანავსადგურო ქალაქებთან და რკინიგზებთან დასაკავშირებლად ვივარაუდოთ, ერთდროული დანახარჯი 100.000.000 მან.

მთლიანად ჩვენ მივიღებთ 250.000.000 მანეთს, ანდა ერთ მილიარდ ფრანკს, ე. ი. ისეთ კოლოსალურ თანხას, რომელიც ბევრს იძულებულს გახდის ხელები გაასავსავოს და ჩვენი ვარაუდი ქიმერად მიიჩნიოს. როგორ, გვეტყვიან ჩვენ, „იმ დროს, როცა რუსეთი ფინანსიურ გადატრიალებას განიცდის“, „იმ დროს, როცა ომმა აუნაზღაურებლად შთანთქა მილიონობით მანეთი და ქვეყნის საწარმოო ძალებს უდიდესი ზიანი მიაყენა“. იმ დროს, როცა ლორდმა ბიკონსფილდმა ასე ცხადად დაამტკიცა, რომ რუსეთს ფინანსიური რესურსების ნაკლებობის გამო არ შეუძლია ომის გაგრძელება, იმ დროს, როცა ბატ. პოლეტიკა ყოველ დღე ამტკიცებს,

რომ სწორია ლორდ ბიკონსფილდის შეხედულება და უკიდურესი შოვინისტია ყველა, ვინც კი ფიქრობს, რომ რუსეთის სახსრები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ამოწურულაო; იმ დროს, როცა პოლიტიკური მდგომარეობა და ა. შ. და ა. შ. — როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთ არარეალურ ხარჯებზე ზღვაოსნობის განვითარებისათვის. ჩვენ კი პირიქით ვფიქრობთ: სწორედ ამ დროსაა ყველაზე მეტად საჭირო ქვეყნის სამრეწველო ძალების განვითარებაზე ფიქრი და ლაპარაკი და, ნაცვლად იმისა, რომ კონცესიონერებს გადავცეთ თანხა სპეკულანტების მიერ გაკოტრებული შუისკო-ივანოვსკის გზის ვიატკამდე გასაგრძელებლად, რათა უკანონოდ გვერდი აუარონ მისი უმაღლესობის მიერ დამტკიცებულ ციმბირის გზის სამხრეთ მიმართულებას, ჩვენ ყველაზე პატრიოტულ და სასარგებლო საქმედ ვთვლით იმის დამტკიცებას, რომ აუცილებელი და შესაძლებელია ყველაზე დიდი თანხა დაიხარჯოს შავ ზღვაზე სავაჭრო ზღვაოსნობის განვითარებისათვის.

ცალკეული პირებისათვის, თუნდაც ეს ბატ. სუშევი, ბლიოხი, პოლიაკოვი და სტრუსბერგიც კი იყოს, რამდენიმე ასეული მილიონი წარმოუდგენელი თანხაა. მაგრამ უკანასკნელი 22 წლის მანძილზე რუსეთმა მილიარდები დახარჯა რკინიგზების ქსელის გასაყვანად, მილიარდები მშვიდობიანი დროის შეიარაღებაზე, მილიარდი სამხედრო ფლოტის შესანახად და ა. შ., როცა წლიური შემოსავალი 500 მილიონიდან 11 მილიარდამდე იყო, ვალების ჩაუთვლელად. ამ თანხასთან შედარებით რამდენიმე ასეული მილიონი სახელმწიფო ამოცანის შესრულებისათვის არ უნდა მოგვეჩვენოს შეუძლებელ ხარჯად. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ რკინიგზის ხაზი ვარშავა-პეტერბურგი-მოსკოვი-ნიჟნი-ნოვგოროდი 256 მილიონი დაჯდა, ე. ი. არა ნაკლები იმ ფანტასტური ციფრისა, რასაც ჩვენ საკმარისად ვთვლით შავ ზღვაზე ნაოსნობის შესაქმნელად. ახლა შევადაროთ მიუკერძოებლად ამ ხაზის მნიშვნელობა ყველა სამხრეთის ოლქისა და კავკასიის სამეფისნაცვლოს კეთილმოწყობის მნიშვნელობას, აქტიურ საზღვაო ვაჭრობის შექმნასა და მთელი ჩვენი მანუფაქტურული მრეწველობის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას, ფაქტიურ საზღვაო ძლიერებას და მაშინ 250 მილიონი შავი ზღვის კეთილმოსაწყობად წარმოუდგენელ თანხად აღარ მოგვეჩვენება.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: თურქეთთან ომის დაწყებამდე უკანასკნელი წლების სამხედრო ბიუჯეტმა ყოველწლიურად 175.000.000 მანეთს მიაღწია, ე. ი. ყოველ 2 წელიწადში არმიის შესანახად იხარჯებოდა 350.000.000 მანეთი. რატომ არ უნდა დავხარ-

ჯოთ ომის დამთავრების შემდეგ 250 მილიონი საზღვაო ძლიერების შესაქმნელად, როცა სახმელეთო ძლიერებისათვის ყოველ 2 წელიწადში 350 მილიონი იხარჯება? განსხვავებას ამ ორ ამოცანას შორის ჩვენ ვერ ვხედავთ და ამიტომ ვერც ორივე ამ სახელმწიფო ამოცანისათვის გაწეული ხარჯების კანონიერებასა და მიზანშეწონილებას შორის ვხედავთ სხვაობას.

მაგრამ ჩვენ გვეტყვიან: ყოველივე ამის გამო თანამედროვე ფინანსური კრიზისი დაგვატყდება თავს. მაგრამ ეს სრულებითაც არაა მართალი. ფინანსური კრიზისი გამოიწვია ჩვენმა ფინანსურმა სისტემამ, კერძოდ მრეწველობის განვითარებისათვის უცხოური კაპიტალის შემოტანამ. როგორც ცნობილია, ეს სისტემა გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო ფულს სესხულობდა და კერძო მწარმოებლებს აძლევდა. სახელმწიფო თვლიდა, რომ ეს საწარმოები მას არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც პატიოსნად იხდიდა საწარმოთა ვალს. ამ პროცედურის შედეგად იცეკების, შლემოკების და შმულეებისაგან წარმოიქმნენ პირველხარისხოვანი ფინანსიური ვარსკვლავები, რადგან ყოველი მათხოვარი, რომელსაც სახელმწიფო წარმოებისათვის რამდენიმე მილიონ მანეთს აძლევდა, მთელი ამ თანხის პატრონი და კაპიტალისტი ხდებოდა. თითქოსდა, მეტი რაღა უნდოდათ? მაგრამ ჩვენი დიდად პატივცემული მშენებლები და მწარმოებლები ბატ. სამუელ სამუელოვიჩი, ბატ. ბლიახი, ვარშავსკი და სხვანი არ დაკმაყოფილდნენ ამით: მათ, ასე ვთქვათ, კიდევ გადამალეს დიდი თანხები და, ალბათ, იმავე პროპორციით, როგორიც გააჩნია მათი საწარმოების პროდუქტიულობას გარანტიის ანაზღაურებისა და ვალის გადახდის საქმეში. რა თქმა უნდა, რკინიგზები და საწარმოთა ადგილობრივი სიძნელეები აქ არაფერ შუაშია, — უმთავრესი სხვისი საკუთრების მითვისებაა, რასაც, მდგომარეობის მიხედვით, ან ძარცვა და ქურდობა ჰქვია, ან კონცესიური წესი, ანდა კერძო მრეწველობისათვის უცხოური კაპიტალის მოზიდვა. მაგრამ ხომ არ შეიძლება რუსეთის ამ დამღუპველმა სისტემამ მარადიულად იარსებოს? აქამდე მისი შენიღბვა შეიძლებოდა თანხის ერთი ბალანსიდან მეორეზე გადარიცხვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ღებულობდნენ ახალ უცხოურ სესხს და, ამიტომ ყველაფერი წესიერად გამოიყურებოდა. მაგრამ დაიწყო ომი, დასჭირდათ ფული, არა ანგარიშიდან ანგარიშზე გადასარიცხი, არამედ ნაღდი ფული. ბუხჰალტერიას თავის ციფრებით არ შეეძლო შეევსო ცარიელი სკივრი და ამიტომ კრიზისის მიზეზად ომი გამოაცხადეს. რას იზამ? როგორც ცნობილია, ომი უბედურებაა, და გამოუსწორებელი უბედურება ისეთი საიმედო მოიჯარადრეების წყალობით, როგორებიც

არიან გორვიცი, კოგანი, ვარშავსკი, ფალკენგაგენი და სხვები, რომელთაც ფულიც ბევრი აიღეს და ჯარიც საომარ მდგომარეობაში ჰყავდათ, ასეთ დროს კი, როგორც ცნობილია, არ შეიძლება ყველაფერი თავის დროზე, კარგი ხარისხისა და საკმაო რაოდენობით ჰქონდეთ. მაგრამ რა შუაშია აქ ომი? ყველა ეს მოღვაწე შვა ჩვენმა ფინანსიურმა სისტემამ, თითოეულ მათგანს ასწავლეს კაპიტალის ისეთი ხარჯვა, როგორიც გამოამჟღავნეს და მათ მიერ არმიის მომარაგების შედეგები დაჯდა არა ნაკლები, ვიდრე რკინიგზების ქსელის გაყვანა... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რკინიგზებს ტიფი არ ემართებათ, შიმშილით არ კვდებიან და იძლევიან შემოსავალს, რომლითაც მათი მშენებლობის გაგრძელება შეიძლება. ჯარისკაცებს კი, როცა ცუდად კვებავენ, ჩვევად აქვთ ავად გახდომა და ისე კვდებიან ჰოსპიტალებში, რომ არაკითარ შემოსავალს არ იძლევიან, ამიტომ მომმარაგებელს შეუძლია მას ცოტა რამ ჩამოაჭრას, მაგრამ იმის დაბრუნება, რაც არ მიუცია, არაფრით არ შეუძლია, რადგან ჯარისკაცი ერთხელ კვდება, სიიდან ირიცხება და მწარმოებლისათვის უსარგებლოა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვთქვათ აზრი, რომ ფინანსიური კრიზისი, რომელიც თავს დაგვატყდა, სახელმწიფოს ღონისძიებათა განსახორციელებლად უგუნურად გაღებული ხარჯების ბრალია და არა იმის შედეგი, რომ ეს ღონისძიებები გააზრებული და განხორციელებული იქნა. ისინი რომ ისე განეხორციელებიათ, როგორც ჩაფიქრებული იყო, მაშინ ხელს შეუწყობდნენ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, აანაზღაურებდნენ გაღებულ ხარჯებს და არ გაანადგურებდნენ სახელმწიფო ხაზინის მთელ რესურსებს. მაგრამ სანდო კონცესიონერებმა და მათმა ხელშემწყობმა პირებმა ეს საკითხი სხვაგვარად გადასწყვიტეს. შედეგი კი სწორედ ისეთი მივიღეთ, რომელიც არითმეტიკის ენაზე ასე გამოითქმის: ბატ. X-ს ქონდა ფული, მაგრამ იგი მას გამოართვეს, მაშასადამე მას არაფერი დარჩა!

ამიტომ, ჩვენის ღრმა რწმენით, ზღვაოსნობის განვითარებისათვის რაციონალურად და განსაზღვრული გეგმით დახარჯულ 250 მილიონს უნდა მოჰყვეს საზღვაო ძლიერება და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ყველა ოლქის კეთილდღეობა. მაგრამ 500 მილიონის ნაწილნაწილ დახარჯვა, კონცესიური ჩანაწერების მიხედვით, რასაც კანცელარული საიდუმლოების საფარ ქვეშ შოულობენ თავიანთთვის ისეთი მოგვები და პატრიოტები, როგორებიც არიან სამუელ სამუელოვიჩი, სუშევი, ბლიოხი, ვარშავსკი, ნოვოსელსკი, ჩიხაჩევი და სხვები, ემსახურებოდნენ ქვეყნის გაკოტრებას და სახელმწიფო ხაზინის სახსრების უნაყოფო განადგურებას.

16. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲝᲬᲘᲚᲕᲐ

ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝ

ᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲑᲐᲢ. ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ, ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ, „ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡᲙᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲨᲘ“ [3] ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

„ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ [2]“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲡ“

„ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡᲙᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲨᲘ“ (№ 148) ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲐ, ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲗ. ᲐᲡᲔᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲒᲐᲓᲐᲭᲧᲕᲔᲢᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ — ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲔ ᲛᲘᲕᲚᲔᲜ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ — ᲗᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲘᲐᲜ „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲘᲒᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ — ᲣᲓᲐᲕᲝᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲐᲚᲓᲔᲑᲔᲚᲝ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲑᲐᲢ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲐᲠᲘᲓᲝᲡ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ.

Ბ. ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ“.

ᲩᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲘᲓᲔᲗ ᲙᲐᲚᲐᲛᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲤᲐᲡᲝᲗ ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ: 1. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲑᲐᲢ. ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲑᲐᲑᲘᲡ �გᲐᲨᲝ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲐ; 2. ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲝ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕᲐᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ; 3. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲛᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲡᲪᲜᲝᲑᲝᲓᲐ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲡ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ

სამსჯავროში; 4. რადგან ჩვენ ჩვენს ულტიმატუმში განვაცხადეთ, რომ თუ ბატ. ღოღობერიძე სამშაბათამდე, 11 ივლისამდე, არ გამოგვიგზავნის თავის რწმუნებულებს, ჩვენ უარს ვიტყვით ღირსების სამსჯავროზე, — ახლა არ შეგვიძლია უკან წავიღოთ ჩვენი დაპირება, და თუ ბატ. ღოღობერიძეს მართლაც სურს აღიდგინოს საკუთარი ღირსება, დე მან მიმართოს საჩივრით ჩვეულებრივ სასამართლოს, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავს ვერ ავარიდებთ.

მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს როგორი ტონით და რა დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული ყველა ეს დებულება. რადგან ვფიქრობდით, რომ ბატ. ღოღობერიძემ ღირსების სამსჯავროს თავი აარიდა, ჩვენ დაუზოგავად ვურტყამდით...

ჩვენი სტატია დაწერილი და ნაწილობრივ აწყობილიც კი იყო, როცა 2 საათზე უკვე თვით ბატ. ღოღობერიძის ასეთი წერილი მივიღეთ:

„თბილისი, 11 ივლისი, 1 საათი და 30 წუთი
მოწყალეო ხელმწიფევ
ნიკოლოზ იაკობის-ძევ!

დღეს, საღამოს 9 საათზე, ჩემი რწმუნებულები გამოცხადდებიან „ობზორის“ რედაქციაში, რათა შეგითანხმდნენ სამედიატორო ჩანაწერის შესახებ.

ბ. ღოღობერიძე“.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ იგი მიხვდა გამოესწორებინა თავისი პირველი შეცდომა და მოასწრო ამის გაკეთება მანამდე, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო. ამგვარად, ახლა უკვე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს ღირსების სამსჯავროს საქმე. ჩვენ სრული მზადყოფნით მივიღებთ ბატ. ღოღობერიძის რწმუნებულებს, რათა დავაკმაყოფილოთ ყველა მათი სამართლიანი მოთხოვნა და იმედი გვაქვს, ისინიც ასევე მოიქცევიან. ვიმედოვნებთ, ბატ. რწმუნებულები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მათ არ წავუყენებთ არცერთ უნიადაგო და უსაფუძვლო მოთხოვნას. უთანხმოების შემთხვევაში საზოგადოებას მიეცემა იმის საშუალება, რომ განსაჯოს — ვის მხარეზეა სიმართლე. მაგრამ საზოგადოების განაჩენი ძნელი გამოსამჟღავნებელია და ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ წამოვაყენოთ წინადადება: ყოველგვარი უთანხმოება ჩემსა და ბატ. ღოღობერიძეს რწმუნებულებს შორის, უაპელაციო განაჩენით უნდა გადაწყვიტოს რომელიმე პირმა (ანდა პირებმა) ურთიერთთანხმობით და ისე, რომ ორივე მხარემ იკისროს პატიოსნად აიღოს ხელი ისეთ მოთხოვნებზე, რომელთაც ამორჩეული პირები არასაფუძვლიანად ჩათვლიან.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი პირობის დროს ღირსების სამსჯავროს

ორგანიზაცია არ შეიძლება წააწყდეს ჩვენგან გამომდინარე რაიმე სიძნელეს.

* * *

რაც შეეხება „ქუთაისელს“, მან თავის თავზე არავითარი ცნობა არ მოგვაწოდა. იგი უბრალოდ გაქრა. მის მაგივრად „ტიფლისკი ვესტნიკში“ დღეს გამოჩნდა „ქუთაისელი № 2“, რომელსაც, ალბათ, შეშურდა ბრწყინვალე გვირგვინი, რომელიც მისმა წინაპარმა, № 1-მა „ქუთაისელმა“ თავზე დაიდგა... ყოველ შემთხვევაში „ქუთაისელი № 2“ ჯერჯერობით იმეორებს „ობზორის“ ადრინდელ აზრს, რომელიც ილაშქრებდა სასახლის ასაშენებლად ქალაქის საკუთრების გაყიდვის წინააღმდეგ მაშინ, როცა ქალაქის ქუჩებში სიარული შეუძლებელია. სავალალო მხოლოდ ისაა, რომ ბატ. „ქუთაისელი“ ამის შესახებ არაფერს წერდა იმ დროს, როცა საჭირო იყო, ე. ი. მაშინ, როცა საბჭოში ბანკის დამაარსებელთა საერთო თათბირის საქმე წყდებოდა. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

სხვათაშორის, ბევრს იცინებს თავადი ბებუთოვი მოვლენათა „საბედისწერო გარდუვალობის“ გამო, როცა თავის გაზეთში დაინახავს ხელმოწერას „№ 2“. რა მწარედ დასცინოდა იგი „ნოვოე ვრემიას“ [35] თანამშრომლებს, რომლებმაც ლაქიებისაგან გადმოიღეს ჩვევა ხალხის წინაშე წარმომდგარიყვნენ არა საკუთარი გვარით, არამედ — „ნომრით“. ნუ ჩავაფურთხებთ ჭაში, საყვარელო თავადო! „ტიფლისკი ვესტნიკსაც“ დაჭირდა დანომრილ... კორესპონდენტთა თანამშრომლობა.

* * *

„ბაკინსკი იზვესტიას“ [36] განცხადების თანახმად, „მთხზველებმა“, რომლებიც ნავთისმწარმოებლებმა დაიქირავეს თავიანთი ინტერესების დასაცავად ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით, მუშაობა დაიწყეს. პრესაში დადგა არა მარტო ნავთის სუნი, არამედ ყოველგვარი სისაძაგლის. დღევანდელმა ფოსტამ მოგვიტანა „სოვრემენნაია იზვესტია“ [37], რომელშიც აბისინიასთან კავშირის ზამოსკვარეჩიელმა მქადაგებელმა, ბატ. გილიაროვ-პლატონოვმა დაბეჭდა ერთ-ერთი ასეთი „მთხზველის“ ნაწარმოები. ამ სტატიის კითხვის დროს ზამოსკვარეჩიეს თაიგულის სურნელებას თქვენ მთელ ვერსზე იგრძნობთ. „ობზორის“ მკითხველებს ჩვენ მხოლოდ მის ბოლო ნაწილს გავაცნობთ:

„ჩვენში რუსების მაგივრადაც — არარუსები ლაპარაკობენ. რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე, რომელიც ამა წლის 5 მაისს შედგა, გაისმა ხმა ბატ. ტვედლის

წინადადების წინააღმდეგ, მაგრამ ვაი რომ ეს ხმა ეკუთვნოდა ინჟინერს ბატ. შტეიმანს, არარუსული გვარის კაცს. რაც შეეხება ჩვენებს, ბატ. გერსევანოვს და შავროვს, მათ ბატ. ტვედლის წინადადება სრულიად რაციონალურად და ჩვენთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ, თუმცა თხოულობენ მცირედი შესწორების შეტანას.

შეიძლება ბატ. შავროვი და გერსევანოვი, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან ნავთობის საქმით, ინდიფერენტულად მოეკიდონ ბატ. ტვედლის წინადადებას, მაგრამ აი რა არის შესანიშნავი: როგორც გავიგეთ, ბატ. ნავთისმწარმოებლები, რომელთა ჯიბესაც საფრთხე ელის, დაკმაყოფილდნენ იმით, რომ სამი ტელეგრამა გაუგზავნეს იმ პირებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ამ საქმის მსვლელობა. ბატ. ტვედლს არ სძინავს. გავრცელებული ხმების თანახმად, მისმა საქმემ, გაიარა რა ყველა ინსტანცია, განსახილველად გადაეცა კავკასიის მეფისნაცვალს და ელის სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებას და, ალბათ, დამთავრდება იმით, რომ მიიღებენ იმავე მწარმოებლების წინადადებას, რომლებიც ითხოვდნენ, და რატომღაც აქამდე ვერ მიიღეს თანხმობა, გაეყვანათ რკინიგზა ნავთის სარეწაოებიდან ზღვამდე, გზა, რომლის სიგრძე სულ რაღაც 10—15 ვერსი იქნება და მათ მისცემდა შესაძლებლობას შეემცირებიათ ნავთის ფასი, რადგან ამჟამად არსებულ გზაზე ნავთის გადაზიდვა დამოკიდებულია მეურმეებზე, რომლებიც ამ ოპერაციას ადამისდროინდელი საშუალებებით აწარმოებენ, რასაც ბევრი დრო და ფული მიაქვს. მართალია, ბატ. ნობელსა და მირზოევს (კვლავ არარუსული გვარები!) ნება დართეს ამ მონაკვეთზე გაიყვანონ ნავთსადენი, მაგრამ საფიქრებელია ისიც, რომ თუ ეს საქმე მთლიანად არ დაბრკოლდა, განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა ბატ. ტვედლი და К° განახორციელებენ თავიანთ მტაცებლურ ჩანაფიქრს. თუმცა ბატ. ნობელსა და მირზოევს, არარუსული გვარები აქვთ, მაგრამ არც რუსები არიან ამერიკელები და არც მათი ინტერესებია ამერიკული. დაე, ინებოს დიდი რუსეთის ღმერთმა, რომ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდეს...“

ბატ. შავროვს და გერსევანოვს ბრალს დებენ რუსეთის ინტერესების ღალატში, მაგრამ განა შეიძლება ამაზე უფრო შორს წავიდეს მოსკოველთა ისტერიულობა! — „ძირს ტვედლი, ძირს ყველა, მიეცით ყველაფერი ვ. ა. კოკორევს! ასე ითარგმნება მოსკოვის სულელური გაზეთის პატრიოტულ სიტყვათა ამოფრქვევა. მაგრამ ბატ. გერსევანოვები, შავროვები და მისთანანი სწორედ იმით ამჟღავნებენ თავიანთ ქმედით სიყვარულს რუსეთისადმი, რომ არ სურთ მისცენ იგი მონოპოლიურ მფლობელობაში არც კოკორევს, არც

მირზოევს და არც ტვედლს. მათ მხოლოდ რუსეთის ძალების განვითარება სურთ, სულერთია ვისი ხელითაც არ უნდა ხდებოდეს ეს...

მაგრამ ამ სტატიაში არის ერთი მარგალიტი, რომელიც ნავთისმწარმოებლებს გვინდა მივართვათ. როგორც ცნობილია, პირველად მათ დააყენეს საკითხი მჟავე ნაციონალურ ნიადაგზე და ბატ. ტვედლის წინააღმდეგ, როგორც ძირითადი იარაღი, წამოაყენეს ის აზრი, რომ იგი ამერიკელია და არა რუსი. ამ აზრს მსვლელობა მიეცა. ახლა ხომ ხედავთ მის ეფექტს? თქვენვე ბატ. ნობელო, მირზოევო და სხვ. ახლა თქვენივე იარაღით გებრძვიან, ცდილობენ თქვენვე ჩამოგაცილონ საქმეს ბატ. კოკორევისა და K°-ს სასარგებლოდ. გაიგეთ ახლა სახარების წინასწარმეტყველების მთელი სიბრძნე — „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითამცა წარწყმდეს!“.

თუმცა ჯობია ეს საკითხი საღი აზრის ეკონომიურ ნიადაგზე გადავიტანოთ. ვინ არ იცის, რომ კაპიტალისტებს სამშობლო არ გააჩნიათ, და ინგლისი რომ დათანხმდეს მისცეს ბატ. კოკორევს (მაგალითად) იჯარა იარაღისა და მარაგის მიწოდებაზე, იგი სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს. იგი მხოლოდ ორ გარემოებას შეეძლო შეეჩერებინა: პირველი იმას, რომ ინგლისში გაბერილი თამასუქებითა და ყალბი ამხანაგობებით (როგორიც ბაქოს ნავთობის საზოგადოებაა) შორის ვერ წახვალ... ხოლო მეორე, ინგლისთან არც ისე ადვილია საქმის გაჩარხვა... პატრიოტიზმი კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ერთი წამითაც არ შეაჩერებდა მას.

კარგად აქვს საქმე, სხვათაშორის, „პატრიოტს“: ძარცვავს ყველას და ყველაფერს, შიმშილით კლავს მუშებს, როგორც ბუზებს, სისტემატურად ანადგურებს მთელ საწარმოებს, საკუთარ ქვეყანას დინამიტის ისეთ ნაღმს უდებს ქვეშ, როგორიც ვოლგა-კამის ბანკია; ყველაფრით ხელს უწყობს სამშობლოს სამრეწველო და ფინანსიურ დაკნინებას, ქვეყნის გაკოტრებას და, ამავე დროს, თვლიან მაღალხარისხოვან პატრიოტად და თითქმის სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლს, ხოლო თუ მწერალი ან ორატორი მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას გაბედავს და დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მის ექსპლოატაციას ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის, მაშინ მას მოღალატედ მონათლავენ და განდგომას დააბრალებენ. ამიტომ რაშიღა აინტერესებთ ბატ. გერსევანოვს და შავროვს დაიცვან სწორი მიმართულება და საქმის სწორად წარმოება? განა არ ჯობია თავი მდაბლად დაუკრან ბატ. კოკორევს? ყოველშემთხვევაში, მაშინ მათ პატრიოტობაში ეჭვი აღარავის შეეპარება.

17. ჩვენი საადგილმამულო კრედიტის მომავალი

1

თბილისი, 13 იელისი

დამშვიდდით მკითხველო: ამ სტატიაში არ იქნება არც ბატ. ღოლობერიძის და არც ბატ. ჭავჭავაძის თუნდაც მცირეოდენი ლანძღვა. ასევე არ იქნება არც ქარაგმები, არც მამხილებელი სიტყვები და არც პოლემიკური გამოხდომები. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი ეს მოგბეზრდათ. და რადგან მომავალი ღირსების სამსჯავროს გამო თქვენ კიდევ ერთხელ, დიდი დოზით მოგიხდებათ მთელი ამ მშვენიერების მოსმენა, ჩვენ ვალდებული ვართ დავინდოთ თქვენი მოთმინება. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, სტატიაში შევეხებით საკითხის მხოლოდ სერიოზულ მხარეს, საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო, რომელიც ჩვენს ჰორიზონტზე გამოჩნდა.

საქმე ისაა, რომ საადგილმამულო კრედიტის ოპერაციების არადამაკმაყოფილებლად წარმართვამ და საადგილმამულო ბანკის დამაარსებლების მიერ ადგილობრივი მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის უმთავრესი მოთხოვნილებების დავიწყებამ რამდენიმე საქმოსანს შთაუნერგა აზრი — ამიერკავკასიაში დააარსონ კერძო საადგილმამულო ბანკი აქციონერულ საწყისებზე. ჩვენ გავიგეთ, რომ ამ პირებმა უკვე შეადგინეს თავიანთი წესდების პროექტი და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინეს სათანადო ინსტანციას. როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ამ წესდებას უკვე იხილავს სათანადო ინსტანცია. ამავე დროს, ადგილობრივი საადგილმამულო ბანკების მმართველებსა და დირექტორებს ნება არ დართეს მონაწილეობა მიიღონ წესდების განხილვასა და კამათში, და არა იმდენად მათი არაკომპეტენტურობის გამო, რამდენადაც იმ მიზეზით, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან ამ საკითხის უარყოფითი გადაწყვეტით.

როგორც გვარწმუნებენ, ამ წამოწყებას ხელმძღვანელობენ საკმაოდ გავლენიანი პირები, რომლებიც მარტო ფინანსურ წრეებში არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. დამაარსებელთა შორის ასახელებენ მაგალითად მოქალაქე ადლერბერგს, თ-დ მინგრელსკი-

სა და სხვ. დაწესებულება, რომელიც ასეთი პატრონების მფარველობით იწყებს არსებობას, დიდ ყურადღებას და უაღრესად გულდასმით შესწავლას მოითხოვს, რადგან წარმატების შანსების დიდი ნაწილი და მათი განხორციელების შესაძლებლობა მის მხარეზეა...

სამწუხაროდ, ამჯერად ჩვენ არ შეგვიძლია გულდასმით გამოვიძიოთ ეს საქმე, რადგან ვერ შევძელით გავცნობოდით პროექტს. ამიტომ მის შესახებ მხოლოდ გავრცელებული ხმების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. მაგრამ ჯერჯერობით არც ისე საჭიროა მისი გულდასმით განხილვა. უპირველეს ყოვლისა, საკმარისია აღვნიშნოთ საქმის ძირითადი კვანძები, მხოლოდ საერთო პრინციპები, გამოვიკვლიოთ მისი ძირითადი მიზნები. მხოლოდ ამის შემდეგაა სასარგებლო და აუცილებელი მისი ვრცლად განხილვა, რათა დავინახოთ, თუ რამდენად ეგუება იგი საერთო გეგმას და მდგომარეობას.

როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ნავარაუდევი ბანკი გამოჭრილია რუსეთში არსებული საადგილმამულო ბანკების ქარგის მიხედვით და არსებით სხვაობას მხოლოდ ის ჰქმნის, რომ ამ ბანკს საფუძვლად უდევს აზრი ჩვენს მხარეში სესხისა და გამოსყიდვის ოპერაციების შერწყმის აუცილებლობის შესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს 1873 წლის პოლემიკას, რაც ამ სტრიქონების აეტორმა წამოიწყო ჩვენი საადგილმამულო ბანკების დამაარსებელთა წინააღმდეგ, კარგად იცან, რომ სწორედ ეს აზრი ედო საფუძვლად მთელს ჩვენს მოღვაწეობას ამ საკითხში. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ „ობზორის“ მკითხველები კარგად იცნობენ ამ პოლემიკას და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მათ ზოგადად ამ აზრის ძირითადი ღებულებები. ამისათვის ჩვენ ვისარგებლებთ ერთ-ერთი ჩვენი სტატიით, რომელიც დაიბეჭდა ნაკლებად ცნობილ „კავკაზსკი ალმანახში“ 1877 წელს. ალმანახი გამოდიოდა შახტახტინსკის რედაქციით *.

აი ყველა არსებითი ამონაწერები ამ სტატიიდან:

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ორი მისი გუბერნიისა, თბილისისა და ქუთაისისა, ჩვენი საადგილმამულო ბანკებისათვის სრულიად განსაკუთრებულ პირობებს ქმნიდა, რაც მათ ანიჭებდა უაღრესად ორიგინალურ და ნაყოფიერ როლს. კრედიტს თავისთავად არსად არ შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ

---

* სტატიას, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეწოდება „ჩვენი წელი (ადგილობრივი მიმოხილვა)“.

მას არ იყენებენ წარმოების გაზრდის და გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებელ საშუალებად. ამიტომ, კრედიტით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ნამდვილ მწარმოებლებს და საქმის წამომწყებთ. ხოლო როცა კრედიტის მიღებას უადვილებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ, ამით მათ სწრაფი ბობილიზაციის და უძრავი ქონების ასევე სწრაფად გაბრავების საფეხეთესო საშუალებას აძლევთ, თუმცა თავისთავად ცხადია, რომ ამ მოსაზრებას არ უნდა შეეჩერებია ჩვენში ისეთი საადგილმამულო ბანკების დაარსება, რომელთა მიზანი იქნებოდა მიწისმფლობელთათვის კრედიტის მიცემა. ცხადია, ბანკებს არ უნდა ეზრუნა იმაზე, თუ როგორ და რისთვის გამოიყენებდნენ სესხის ამღებლები სესხს. მაგრამ არსებობს სხვა საზრუნავიც, რაზედაც აუცილებლად უნდა ეფიქრათ ბანკებს, ან უფრო სწორად, მათ დამაარსებლებს. კერძოდ, თავადაზნაურობას. რომლის სახსრებითაც დააარსეს ბანკი, უნდა ცოდნოდათ მართლა ექნებოდა თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ მიეღოთ მათგან სესხი და, სესხის მიღების შემთხვევაში. რით უზრუნველეყო იმ დაგირავებული მამულის სარგებლიანად გაყიდვა, რომელთა გადასახადი აუცილებლად ვადაგადაცილებული იქნება.

...მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ჩვენი მემამულეების უზრუნველობა თავიანთ მეურნეობაზე, ბოლოს და ბოლოს დაგირავებული მამულების საჯაროდ გაყიდვას იწვევს. შეიძლება პირველი წლის მანძილზე მემამულეებმა წესიერად გადაიხადონ ვალი სხვა კრედიტის წყალობით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება და დროთა განმავლობაში ჩვენ მოწმე ვიქნებით დაგირავებული მამულების ხშირი და ერთდროული გაყიდვისა. ვინ იყიდის ბანკის მიერ გასაყიდ მამულებს, როცა ჩვენი თავადაზნაურობა მთლიანად უფულოდაა დარჩენილი, როცა ჩვენში ძალზე მცირერიცხოვანია საშუალო ფენა და როცა მას არ სურს გასცვალოს ქალაქში ვაჭრობის სარგებლიანობა სოფლის წამგებიან საქმიანობაზე და, ბოლოს, როცა ჩვენი გლეხები უბედურ დღეში არიან?

აი, კითხვების რიგი, რომლებიც უნდა წარმოიშვას იმ ადამიანების გონებაში. ვინც ხელი მოჰკიდა ჩვენში აღგილობრივ თავადაზნაურთა სახსრებით საადგილმამულო ბანკების დაარსებას.

ახლა ვეცდებით თვალი შევავლოთ საქმის მეორე მხარეს: ვნახოთ, რა სარგებლობა ნახეს არსებული მდგომარეობის გამოყენებით საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობის სამართლიანად მოწყობის მომხრეებმა, ხალხის კეთილდღეობის მომხრეებმა.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი თავად-აზნაურობის ხასიათს.

ძალიან კარგად იცის, რომ ახლო მომავალში საკუთარი მიწების დიდი ნაწილი ხელიდან გამოეცლება ამ წოდებას და გადავა ბურჟუაზიისა და ხალხის ხელში. თუ საქმე ბუნებრივად წარიმართა, გადასვლა მოხდება ნელ-ნელა, მამულები ჯერ ვაჭრობით გამდიდრებული მოქალაქეების ხელში გადავა, ხოლო შემდეგ მათგან წელმომაგრებულ მესაკუთრე გლეხების ხელში. მაგრამ გამოსყიდვის შესახებ დადგენილებისა და, ამასთან ერთად, საადგილმამულო წესდების წყალობით, რომლის თანახმად ბანკმა უნდა დაიგირავოს თავად-აზნაურთა მამულები, ამ ბუნებრივ და აუცილებელ პროცესს შეიძლებოდა მისცემოდა მიწის მეურნეებისათვის უფრო გარკვეული და საარგებლო მსვლელობა. საკმარისი იყო შეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს და მაშინვე გაუადვილებდნენ თავადაზნაურობას კრედიტის მიღებას, ეცდებოდნენ შეეერთებიათ საბანკო ოპერაციები გამოსყიდვის ოპერაციებთან და გლეხთა საზოგადოებებს გაუადვილებდნენ ვადაგადაცილებული მამულების შესყიდვას ბანკისათვის გადასახდელი თანხის განაწილადების და ნაწილ-ნაწილ გადახდევინების მეშვეობით. ამ საქმის ცოტა ენერგიულად და რაციონალურად წარმოების შემთხვევაში, ორი-სამი ათწლეულის შემდეგ, ჩვენი მიწის საკუთრების დიდი ნაწილი დაიყოფოდა და მიწის მეურნეთა ხელში გადავიდოდა, და ამით ყოველგვარი ზიანის გარეშე მიღწეული იქნებოდა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი რეფორმის განხორციელება...

სამწუხაროდ, ჩვენი საადგილმამულო ბანკების დამაარსებლები ძალზე ზერელედ იყვნენ მომზადებულნი სოციალურ-ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებში იმისათვის, რომ ამგვარი მიზანი დაესახათ".

ზემომოყვანილი ამონაწერებიდან მკითხველს შეუძლია დაინახოს, თუ რამდენად ძვირფასია ჩვენთვის ის აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ განხილულ წამოწყებას. ამიტომ თუ ჩვენს შემდგომ თვალსაზრისში მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენ ამ წამოწყების წინააღმდეგი ვართ, არ ვცნობთ მის მომავალს და არ ვამყარებთ დიდ იმედს მის განხორციელებაზე, აქედან მან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ ჩვენ წინასწარ ვხედავთ, თუ რა საფრთხე ელოდება ჩვენს აზრს მისი არასრული და ცალმხრივი განხორციელების შემთხვევაში.

საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაადვილდეს მიწის საკუთრების თანდათანობითი გადასვლა იმ ფენის ხელში, რომელიც მიწის დამუშავებით ცხოვრობს და მიწა მისთვის შრომის მთავარი იარაღია, უდავოდ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია და ყველაზე

მეტად სწორედ სახელმწიფოს აინტერესებს, ე. ი. მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. ამ საკითხის გადაწყვეტას ვერც შესძლებენ და არც უნდა მიენდოს კერძო პირებს, რადგან თვით სახელმწიფოს კომპეტენციის და მოვალეობის საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. თუ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ცივილიზაციის იმ საფეხურს, როცა არავითარი სახით არ შეიძლება ნება დაერთოს კერძო პირებს გამოისყიდონ სახალხო მოხმარების და წარმოების სხვადასხვა დარგები ანდა სხვადასხვა გადასახადების საქმეები, მაშინ რატომ უნდა ჩავუგდოთ ხელში კერძო პირებს გაურკვეველი დროით ისეთი ოპერაციები, რომლებიც ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია ყოველგვარ გამოსყიდვაზე და შემოსავლის ყველა სხვა პუნქტზე? ამ ოპერაციის სწორად განხორციელებაზე, იმ სარგებლობაზე, რასაც იგი მოუტანს მიწათმოქმედ ფენას, და მათ სამართლიან გამოყენებაზე თვით მიწის მფლობელთა მიმართ, დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის სიმშვიდე, არამედ მთელი მისი მოსახლეობის კეთილდღეობაც და ამ მოსახლეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალის მოხდაც. პროფესორ იანსონის ღირსეულმა ნაშრომმა ცხადად დაგვანახა ის ღია უფსკრული, რომელიც ჩვენ სახელმწიფოს შეუქმნა გლეხთა ნადელების საკითხის არადამაკმაყოფილებელმა გადაწყვეტამ. შემდგომში ამ გზით სიარული შეუძლებელია...

ამ მდგომარეობის გამო, მიწების გადასვლა მიწათმოქმედი ფენის ხელში უპირველესი და ძირითადი საშუალებაა სახელმწიფოს თანამედროვე სიძნელეთა გადასაჭრელად. ამასთანავე ეს საკითხი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გადაჭრას მოითხოვს, რადგან სწორედ სახელმწიფოს აქვს სახსრებიც და საშუალებაც მის უკეთ გადასაჭრელად.

დაწესებულება, რომელმაც ამგვარი ამოცანა იკისრა, თუ კერძო პირთა ხელში დავტოვებთ, იძულებული იქნება იმოქმედოს მიკროსკოპიული დოზით, დღეს ერთ გლეხს გაუუმჯობესოს მდგომარეობა, სვალ მეორეს და ა. შ. სანამ ასეთი დაწესებულება რადიკალურად გააუმჯობესებს მთელი ქვეყნის აგრარულ მდგომარეობას, მთელი საუკუნე გავა და განა ცოტა რამ შეიძლება მოხდეს მთელი საუკუნის, ან თუნდაც ათეული წლების მანძილზე? გარდა ამისა, სანამდე შეიძლება მივიდეს გლეხთა ის ნაწილი, რომელიც ვეღარ შესძლებს ისარგებლოს კრედიტის სიკეთით და ვეღარ დაკმაყოფილდება გამოყოფილი ნადელით? უზრუნველყოფის კიდევ რა საშუალება შეუძლია გამონახოს კერძო ბანკმა, გარდა თავისი ძირითადი კაპიტალისა, რომელიც ასეთ ოპერაციებს კიდებს ხელს? რა შეუძლია გააკეთოს ასეთი რთული და ფართო ოპერაციის განსახორციელებლად

ათ მილიონიან კაპიტალს? ეს არის წვეთი იმასთან შედარებით, რაც ამგვარ საქმეს ჭირდება.

კი მაგრამ, გვეტყვიან ჩვენ, მაშინ რაღა საჭიროა საგირაო ფურცლები? როცა ბანკი უზრუნველყოფილია დაგირავებული მამულებით, შეუძლია იმდენი საგირაო ფურცლები გამოუშვას, რამდენიც სურს და ამით კაპიტალს არაფერი დააკლდება. მაგრამ ერთია საგირაო ფურცლების გამოშვება, ხოლო მეორე — მათი დაბანდება. ამის საუკეთესო დამადასტურებელი მაგალითი ჩვენი საადგილმამულო ბანკებია. გარდა ამისა, კერძო ბანკის მიერ საგირაო ფურცლების დაბანდების მეთოდი ისეთ შედეგებს იწვევს, რომ მიწის ნამდვილ მწარმოებლებს არავითარ საშუალებას არ აძლევს ისარგებლონ ბანკის კრედიტით. ფული, რომელსაც შოულობს მოვალე საგირაო ფურცლების კერძო ბანკისათვის მიყიდვის გზით, 8-10 პროცენტზე უფრო იაფი არ ჯდება. ხოლო ზოგჯერ კიდევ უფრო ძვირიც. რაც შეეხება აქციონერთა ბანკს, რომლის მიზანიც რაც შეიძლება ბევრი ფულის მოგებაა, მის მოვალეს ფული 12 პროცენტზე მეტი უჯდება.

ამავე დროს ცნობილია, რომ მიწათმოქმედება ამ პროცენტის თითქმის ნახევარს იძლევა. რენტის საშუალო ნორმა, რომელსაც სინამდვილეში მიწა იძლევა, შეიძლება 4—5—6 პროცენტით განისაზღვროს. მხოლოდ მწარმოებელ-მიწათმოქმედის ხელში, ისიც კეთილსასურველ პირობებში, მიწა იძლევა კაპიტალზე 7, 8 და 11 პროცენტს მოგებას, რომელშიც მიწის ღირებულებაც შედის. მაგრამ ცხოვრება ხომ მწარმოებელსაც უნდა, გარდა ამისა მან უნდა გადაიხადოს ბეგარა, იხადოს იქით-აქეთ. ამიტომ სად უნდა იშოვოს პროცენტები კაპიტალისათვის, ან მის დასაფარავად?

2

თბილისი, 17 ივლისი

მხოლოდ სახელმწიფოს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ როცა უზრუნველყოფს მსგავსი დაწესებულების ოპერაციებს საკუთარი გარანტიით, მისცეს მას იაფი, ოთხნახევრიანი ან ხუთპროცენტიანი კრედიტი. მეორეს მხრივ, მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაიცვას გლეხთა საზოგადოებების ინტერესები ბანკის სისტემატური ექსპლოატაციისაგან, გადავადების შესახებ სპეციალური წესების გამოცემითა და ბანკისა და გლეხთა იმ საზოგადოებების ურთიერთობის განსაზღვრით, რომლებიც მიწის გამოსყიდვას აწარმოე-

ბენ. მაგრამ საქმის ამ მხარეებისაგან დამოუკიდებლად, ასეთი რთული ოპერაციების სწორად წარმოება თხოულობს მათ მიმართ საერობოთა მიწათმფლობელობის ბევრი არსებითი ჩვევის გამოყენებას. როცა გლეხთა საზოგადოება ვადაგასულ მამულს გამოისყიდის, ამით გარკვეულ სავალდებულო ურთიერთობას ამყარებს ბანკთან. ამ მოვალეობის სწორად შესრულებისათვის კი საჭიროა თითოეული გლეხის ოჯახის ამ წევრის პროპორციული მონაწილეობა საქმეებში და ამავე დროს შესაბამისი სარგებლობა გამოსყიდული მამულით. მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება ისეთი მამულის ან მამულის ისეთი განუყოფელი ნაწილის გაყოფა, როგორიც ტყიანი საძოვრებია. საბოლოო გაყოფას კიდევ ის ართულებს, რომ გლეხი მამულს ვერ დაიმტკიცებს გამოსასყიდი თანხის უკანასკნელი ნაწილის შეტანამდე. მანამდე ეს მამული ბანკის საკუთრებად ითვლება. მეორეს მხრივ, შეიძლება ზოგიერთმა გლეხმა ვადის გასვლამდე უარი თქვას მისი წილი გადასახადის გადახდაზე და ა. შ. ყველა ეს გარემოება თხოულობს წინასწარ დამუშავებას, კანონმდებლობის წესით, გამოსყიდვისა და გამოსყიდული მამულით სარგებლობის საერთო საქმეში ცალკეული ოჯახების მონაწილეობის წესისა და პირობების, ე. ი. მოითხოვს სათემო მეურნეობის კანონების კოდიფიკაციას. საკმარისია ამ სასწრაფოდ გადასაწყვეტი ამოცანის თუნდაც ასეთი ზოგადი მოხაზვა, რათა მაშინვე დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი ეს კერძო ბანკის კომპეტენტურობასა და ძალას აღემატება.

ჩვენ უმიზნოდ და უადგილოდ მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოსათვის მეტისმეტად ადვილია ასეთი ოპერაციების თავისთავზე აღება. ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატიაში „ძნელია თუ არა მიწის გამოსყიდვა?“ („სოვრემენიკი“, 1859 № 1), საკითხი მიწის გამოსყიდვის სიადვილის შესახებ დამტკიცებულია ეპვმიუტანელი სიცხადითა და უცილობლად. საკმარისია დავსძინოთ, რომ ოპერაციის ფინანსური ანუ საბანკო მხარე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ოპერაციის ამ ნაწილს საფუძვლად დაედება იმ საგირაო ქაღალდების (ანდა საგირაო მოწმობების) გამოსყიდვა, რომლებიც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფილია გამოსასყიდი მამულით. ასეთი ფურცლების გამოშვება, რა რაოდენობითაც არ უნდა გამოუშვან ისინი, ერთი ბეწოთი არ დაამძიმებს სახელმწიფო ხაზინას და არ შეამცირებს მის კრედიტს. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო გამოუშვებს ახალ სესხს და მიუთითებს ძათი შემოსავლისა და უზრუნველყოფის ისეთ წყაროებზე, რომლებიც არ ეკუთვნიან ჩვეულებრივი სახელმწიფო რეგალიების რიცხვს,

როგორიცაა, მაგალითად, რკინიგზები, არხები, კერძო საწარმოები, კერძო ან სათემო მამულები და ა. შ., მაშინ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი უზრუნველყოფის საფუძველზე აიღოს იმდენი სესხი, რამდენიც სურს და ამავე დროს არავითარი ზიანი არ მიაყენოს თვით სახელმწიფოს კრედიტს, რაც მიმდინარე ბიუჯეტს ემყარება. ამ კრედიტის ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაშიც კი, სახელმწიფოს შეუძლია სპეციალური უზრუნველყოფის საფუძველზე ისესხოს ფული მეტისმეტად ხელსაყრელი პირობით. მაგალითად, ავსტრია, ჩვეულებრივ სესხულობს თანხას 7-8 პროცენტის ანგარიშში, მისი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფინანსების მერყევი მდგომარეობის გამო. ხოლო რკინიგზებით სპეციალური უზრუნველყოფისათვის იგი წამდაუწუმ სესხულობს ფულს ხუთი და ექვსი პროცენტის ანგარიშში. სწორედ ამის მოწმენი ვიყავით ჩვენ 1875 წელს, როცა საზღვარგარეთმა ჩვენი რკინიგზების ობლიგაციები გამოისყიდა...

კერძო ბანკს, რომელიც უზრუნველყოფილი არაა სახელმწიფოს მიერ, არა მარტო ჩვენში არ შეუძლია იშოვოს ფული 6-7 პროცენტზე უფრო იაფად, არამედ საზღვარგარეთაც. ამავე დროს, სახელმწიფო, თუ იგი ხელს მოჰკიდებს ამგვარ ოპერაციებს, ადვილად იშოვის საზღვარგარეთ ამ საქმისათვის იმდენ ფულს, რამდენიც სურს, 4 ან 5 პროცენტად. რადგან რუსეთში შეუძლებელია სესხის აღება 6 პროცენტზე უფრო იაფად, ამიტომ იძულებული ვართ ფული საზღვარგარეთ ვეძებოთ, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს კერძო ბანკების საწინააღმდეგოდ და სახელმწიფოს სასარგებლოდ. საზღვარგარეთ არც სურთ და არც მონდომებული არიან სცნონ კერძო ბანკი. მხოლოდ სახელმწიფოს სანქციას — რასაც აძლიერებს თვით ოპერაციის სოლიდურობა და ზურგს უმაგრებს სახელმწიფო, შეუძლია ამ გადაუჭრელი საკითხის გადაჭრა, ანუ ბევრი ფულის შოვნა ხანგრძლივი ვადითა და უმნიშვნელო პროცენტით.

ჩვენ ვერასოდეს ვერ დავამთავრებდით ამ სტატიას, ყველა ის მოსაზრება რომ ჩამოგვეთვალა, რომლებიც ადასტურებს ჩვენს აზრს — ასეთ ოპერაციებს უნდა აწარმოებდეს სახელმწიფო და არა კერძო დაწესებულებები. ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, დანარჩენებს კი გვერდი ავუარეთ იმ შემთხვევისათვის, თუ ზოგიერთ პირს, რომელიც ასეთი საქმის განხორციელებითაა დაინტერესებული, როგორზედაც ჩვენ ვწერთ, აზრად მოუვა გამოგვედაოს. ხოლო მანამდე, სანამ არავინ გამოგვდავებია, ჩვენს მიერ მოყვანილი მოსაზრებებიც საკმარისია.

კი მაგრამ, გვეტყვიან მკითხველები, თქვენს სტატიებში ამ საკითხის შესახებ ჩვენ რადიკალურ წინააღმდეგობას ვხედავთ. 1873

წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა ცდილობდნენ შეედგინათ ჩვენი საადგილმამულო ბანკების პირველი წესდება, თქვენ გაიძახოდით და ამტკიცებდით, რომ საადგილმამულო ბანკებს საფუძვლად უნდა დაედოს სესხისა და გამოსყიდვის ოპერაციების შერწყმა. ახლა კი ამტკიცებთ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ამ ოპერაციების დამაკმაყოფილებლად გადაჭრაო.

ამაზე ჩვენ გიპასუხებთ: წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. იმ დღეებში, როცა ჩვენ ვოცნებობდით გრანდიოზული და საარსებო ამოცანის გადაწყვეტაზე საადგილმამულო ბანკების მეშვეობით, ჩვენ იმედი გვქონდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ მათი წესდება შედგენილი იქნებოდა სახელმწიფო დაწესებულების თვალსაზრისით. ბანკის დამაარსებლებსა და წესდების შემდგენლებს რომ აეხსნათ მთავრობისათვის მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების ნამდვილი მოთხოვნილებები, მაშინ მთავრობას ადვილად შეეძლო ხელში აეღო ამ ბანკის საქმე, ანდა ნდობით მოკიდებოდა აზნაურთა საღ აზრს და მიეცა მათი დაწესებულებისათვის საკუთარი სანქცია გარანტიასთან ერთად... მაგრამ ეს არ მოხდა იმ გარემოებათა გამო, რომლებიც დამოკიდებული იყო წესდების შემდგენლებზე...

ჩვენ იმდენად დარწმუნებული ვართ ამაში, რომ ახლაც კი ვფიქრობთ — ჩვენთვის საინტერესო საკითხის ყველაზე უკეთესი გადაჭრა შეიძლება საადგილმამულო ბანკების წესდების გადასინჯვით, მათი ოპერაციების შერწყმით, სახელმწიფო გარანტიის მოპოებით და მათი დანიშნულების შეცვლით, — სესხება-გამოსყიდვის ოპერაციის აზრით... ეს აზრი ერთხელ უკვე წარმოიშვა ჩვენს უმაღლეს ადმინისტრაციულ სფეროებში. წლინახევრის წინათ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმა სამმართველომ ჩვენი საადგილმამულო ბანკების მმართველობას კითხა—რის საფუძველზე და რა პირობებით მოკიდებდნენ ხელს გამოსყიდვის ოპერაციებს ჩვენს მხარეში. ეს საკითხი უნდა გაფართოვდეს, განვითარდეს და კვლავ უნდა დაისვას როგორც ძირითადი ღონისძიება და მაშინ მისი გონივრულად და კეთილნაყოფიერად გადაჭრა არავითარ დაბრკოლებას არ წააწყდება...

18. ბერლინის ტრაქტატი

თბილისი, 16 ივლისი

ახლა ძნელიცაა და უმიზნოც იმის განსაზღვრა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ექნება ბერლინის ტრაქტატს [20], რომელიც ევროპის დიპლომატიას ამდენ შრომად დაუჯდა. ძნელია იმის თქმა, დიდ ხანს და ნამდვილად დაამშვიდებს იგი ევროპას, რომელსაც კინაღამ მოედო ომის ხანძარი, თუ გაიზიარებს ბერლინის მემორანდუმის, კონსტანტინოპოლის დეკლარაციის და 1876 და 1877 წლების ლონდონის ოქმის ხვედრს? შეიძენს იგი ვენისა და პარიზის ტრაქტატების ტოლფასოვან მნიშვნელობას, თუ მალე იქცევა ქაღალდის ნაგლეჯად, მსგავსად 1859 წლის ციურიხის ტრაქტატისა [38], რომელიც „მომხდარმა ამბავმა“ იმსხვერპლა? ყოველივე ამაზე მხოლოდ მომავალი გაგვცემს პასუხს, მანამდე კი ამაო კითხვებია.

მაგრამ ამაო არ იქნება, თუ ჩაუკვირდებით ახლავე იმას, რაც რეალურია ევროპული დიპლომატიის ამ ყბადაღებულ ნაწარმოებში და ავწონდაეწონოთ დაინტერესებული მხარეების რა არსებით ინტერესებს აკმაყოფილებს. და თუ ამ დაკვირვების დროს აღმოჩნდება, რომ იგი ასეთ ინტერესებთაგან ყველას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მთავარს მაინც აკმაყოფილებს, მაშინ არავითარი საფუძველი არ გვექნება იმისა, რომ ეჭვი შევიტანოთ ამ ტრაქტატის მნიშვნელობის სიმტკიცესა და ხანგრძლივობაში...

„ობზორის“ [2] პირველივე ნომრებში ჩვენ შევახსენეთ მკითხველებს, რომ ახლანდელ ომს ისე კი არ უნდა ვუყურეთ, როგორც აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის ცდას, არამედ — ასეთი გადაწყვეტისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს. ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითმა ორგანომ „Journal de St-Peterburg“-მა თავის უკანასკნელ ნომერში პირდაპირ განაცხადა, რომ მთელი რუსეთის საზოგადოება, რომელიც 1877—1878 წლების ომს ისე უყურებდა, როგორც აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის საშუალებას, ბერლინის კონგრესის შედეგებით სერიოზულად იმედგაცრუებული დარჩა. მაგრამ ის პირები, ვინც ამ ომ-

ში აღმოსავლეთის საკითხის ერთი სტადიის განვითარებას, შორეულ მომავალში მის გადასაჭრელად წინ გადადგმულ ნაბიჯს ხედავდნენ. ბერლინის ტრაქტატით კმაყოფილი დარჩნენ. ძნელია ამ თვალსაზრისს არ დაეთანხმო. ვინ დაიწყებს დავას იმ აზრის წინააღმდეგაც, რომ თურქეთ-სერბიის ზავი, რომელიც 1876 წლის საბედისწერო ომის შემდეგ დაიდო, არ იყო წინ გადადგმული ნაბიჯი აღმოსავლეთის საკითხის მომავალი გადაწყვეტის გზაზე? რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ადრეა შევადაროთ ამ ნაბიჯის გრანდიოზულობა და მნიშვნელობა იმ მსხვერპლს და დახარჯულ ძალას, რაც მის გადასადგმელად დაიხარჯა; ჯერ კიდევ ძალიან ადრეა იმის განსაზღვრა, ღირდა ჩიტი ბდღვნად თუ არა, და ასეთი კითხვის დასმა: უკეთესი ხომ არ იქნებოდა ეს ნაბიჯი გადაგვედგა სხვა, უფრო ხელსაყრელი პირობების დროს... ყოველივე ამას მომავალი გაარკვევს. ახლა კი ჩვენ არ გაგვაჩნია საბუთები ასეთი თავსამტვრევი კითხვების გადასაწყვეტად...

ახლა, როცა ჩვენ გადავდივართ იმის განხილვაზე, რასაც ტრაქტატი შეიცავს, ბევრ საინტერესო რამეს დავინახავთ. თუ მკითხველს ახსოვს, ჩვენ ამა წლის იანვარში ვამბობდით, ინგლისის ენერგიული წინააღმდეგობის უმთავრესი და ძირითადი მიზეზი ისაა, რომ არ სურს სრუტეებს ელოდეს რუსეთის მიერ ხელში ჩაგდების საფრთხე. მაშინ ჩვენ ვწერდით, რომ ბულგარეთის დამოუკიდებლობის შექმნა, რომელსაც რუსეთმა დიდად შეუწყო ხელი, ევროპელ დიპლომატებს სწორედ ასეთ საფრთხედ მოეჩვენებათ. ბულგარეთს ჩათვლიან რუსეთის ავანგარდად და თუ რუსეთსა და სრუტეებს შორის არ იქნება არა თუ მარტო დუნაი თავის სიმაგრეებით, არამედ ბალკანებიც, მაშინ, ევროპელების აზრით, რუსეთს არაფრად ულირს — ერთი ნახტომით აღმოჩნდეს სრუტეებთან და დაიკავოს ჭალიპოლი და კონსტანტინოპოლი. ამას კი, განვაგრძობდით ჩვენ, არ დაუშვებს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ევროპის დიპლომატია. ამიტომ უდავოა, რომ ბულგარეთს და ბალკანებს იქეთ არ გაგვიშვებს...

მეორეს მხრივ, ცნობილია, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის იმავე სრუტეებს. შავი ზღვის მთელი აუზი და მასზე გარსშემოკრული ყველა ოლქი პირდაპირ დამოკიდებულია ამ სრუტეებზე. გასულ წელს ჩვენ ყველამ საკუთარი თვალით დავინახეთ ამ დამოკიდებულების ფაქტიური გამოვლინება და თვითეულ ჩვენგანს საკუთარი ჯიბიდან მოუხდა ამის გამო გადახდა... ამ ორი მდგომარეობისა და ორივე დაინტერესებული მხარის მისწრაფებათა შედარებისას ჩვენ ვნახავთ, რომ ამ სიძნელის არსებითი და ეშმარიტი გადაჭრა უომრად წარმოუდგენელია.

და მართლაც, ეს საკითხი კომპრომისის გზით გადაიჭრა. ახალი ბულგარეთის საზღვრები, უკეთ რომ ვთქვათ, ბულგარეთის ახალი საზღვრები ბერლინის ტრაქტატის მიერ ისეა გადაკეთებული, რომ ამ საკითხის მიმართ ს.-სტეფანოს ხელშეკრულების დებულებათა კვალიც აღარ დარჩა. დამოუკიდებელ ბულგარეთს ეგეოსის ზღვა არა თუ არ ეკვრის, არა თუ არ არის დაშორებული გალიპოლიდან ერთი გადასასვლელის მანძილზე, არამედ იკეტება რუსეთისაგან ბალკანეთის ქედით, რომლის გასასვლელთა დაცვა თურქეთს ევალება. რუსეთის მომავალ ავანგარდს, ბულგარეთს, ბერლინის ტრაქტატმა წინ დაუყენა ინგლისის ავანგარდი — თურქეთი. მაგრამ ნაბიჯი მაინც გადაიდგა წინ: დუნაი თავისი სიმაგრეებით, სრუტეების ეს პირველი თავდაცვითი ხაზი, ეტყობა აღიგავა პირისაგან მიწისა. მაგრამ, მეორეს მხრივ, შეცდომა იქნებოდა, უყურადღებოდ დაგვეტოვებინა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ნაბიჯი წინ ჩვენდამი მტრულად განწყობილმა ელემენტმაც გადადგა: ამავე ტრაქტატის მიხედვით, ავსტრია-უნგრეთმა დაიკავა ბოსნია და ჰერცოგოვინა, რითაც შესაძლებლობა მიეცა შეზღუდოს ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა, რადგან ახლა მისთვის ორჯერ უფრო ადვილია არა მარტო მოსჭრას შეტევაზე გადასულთა ზურგი, არამედ ფლანგებიდანაც მიუახლოვდეს მათ და დაძრას თავისი ჯარები ჰერცოგოვინიდან, სოფიის გავლით, ბალკანეთის დასაცავად.

რაც შეეხება თვით სრუტეებს, ბერლინის ტრაქტატის ერთი თითქმის შეუმჩნეველი მუხლი, მუხლი 63, აი რას ამბობს:

„1856 წლის 30 მარტის პარიზის ტრაქტატი, ისევე, როგორც 1871 წლის 13 მარტის ლონდონის ტრაქტატი. იგივე რჩება იმ დადგენილებათა მიმართ, რომელთაც არ აუქმებს და არ ცვლის ზემოაღნიშნული მუხლი“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სრუტეების მიმართ ყველაფერი ძველებურად რჩება...

აი ყველაფერი, რისი თქმაც გვინდოდა აღმოსავლეთის საკითხის ძირითადი მხარეების შესახებ.

ტრაქტატის დეტალური და პლატონური მხარეები რომ განვიხილოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მხრივ მივაღწიეთ შეუდარებლად უფრო დამაკმაყოფილებელ შედეგებს. სარწმუნოების თავისუფლება და ქვეშევრდომთა მოქალაქეობრივი თანასწორობა, ერთხელ კიდევ ხმამაღლა აღიარა ევროპამ და კიდევ ერთხელ სცნო პორტამ. ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად დეკლარაციას პრაქტიკულად განახორციელებენ და ცხოვრებაში გაატარებენ, თუმცა ბერლინის ტრაქტატში არაფერი არაა ნათქვამი ამ დეკლა-

რაციის განხორციელების ისეთ „გარანტიებზე“, როგორსაც შეიცავდა 1876 წლის ბერლინის მემორანდუმი... მეორეს მხრივ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სარწმუნოების თავისუფლების დეკლარაციას, რომელსაც ბერლინის ტრაქტატი შეიცავს, ორმხრივი მნიშვნელობა აქვს და თუ ვინმე აღაფრთოვანა ამ დეკლარაციამ, პირველ რიგში ებრაელები, რომელთა უფლებასა და თავისუფლებას აქამდე მხოლოდ სერბიაში და რუმინეთში სცნობდნენ... მხოლოდ მათ აქვთ უფლება სიხარულისა და იმის მტკიცების, რომ 1877 — 1878 წლების ომმა მათ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სრული თავისუფლება და თანასწორობა მოუტანა.

თურქეთში და თურქებზე პროტექტორატის საკითხი უცვლელად დარჩა, ხოლო პარიზისა და ლონდონის ხელშეკრულების თანახმად ყველა ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას, თანაბარი უფლება აქვს ქრისტიანთა პროტექტორატისა და თანაბრადვე არიან ვალდებულნი თურქეთი დაიცვან... სამწუხაროდ, ჩვენთვის ერთი ხელსაყრელი დებულება, რომელიც გააუქმეს პარიზის ტრაქტატის ძალით, ბერლინში არ აღადგინეს. მაგრამ ბერლინის ტრაქტატისაგან დამოუკიდებლად, ინგლისმა, პორტასთან დადებული ცალკე ხელშეკრულებით მოიპოვა განსაკუთრებული უფლება მფარველობა გაუწიოს აზიას, და კიდევ უფრო მეტი, მოიპოვა შეუზღუდველი უფლებები აზიის ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩარევისა...

ბულგარეთი განთავისუფლებულია, სერბიის, რუმინეთისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა, რაც ფაქტიურად ომამდეც არსებობდა, პორტამ სცნო როგორც De jnre. ბალკანეთის სამხრეთით მდებარე ბულგარეთმა მოიპოვა ავტონომია, მაგრამ მაინც თურქეთის სამხედრო და ფაქტიური ბატონობის ქვეშ რჩება. ყველა ამ შენაძენს უფრო ადგილობრივი, კერძო ხასიათი აქვს, ვიდრე საერთაშორისო... ყოველ შემთხვევაში, უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენმა ძმებმა, სლავებმა რაღაც მაინც მოიგეს ამ ომის შედეგად და ძველ წესწყობილებას თავი დააღწიეს... იმ პირთათვის, ვინც გასული წლის ომისაგან უმთავრესად სლავების განთავისუფლებას მოელოდა, ამ შედეგებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მართალია, ამ შედეგებიდან იმ მიზნებამდე, რომელთაც ამ პირებს აწერენ, ზესლავიანური აზრის განხორციელების საქმეში, ისევე შორი მანძილია, როგორც ვარსკვლავებამდე, მაგრამ მაინც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადგილობრივი თვალსაზრისით ამ შედეგებს საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა აქვთ....

ჩვენ არ გვინდა მომავლისათვის გადავდოთ საუბარი ბერლინის ტრაქტატის მნიშვნელობაზე ისეთი ერებისათვის, როგორიც არიან ბერძნები, სომხები და საერთოდ მთელი აზია. ვაკეთებთ რა უნებურ ნახტომს, გვინდა „ბოლოდან დავიწყოთ", ე. ი. გამოვთქვათ ერთი საერთო შენიშვნა, რომელიც ამ ტრაქტატის გაცნობამ შთაგვინერგა.

ჩვენი დამოკიდებულება აღმოსავლეთის საკითხისადმი მალე უნდა გაირკვეს. თუ ჩვენთვის მართლაც ძვირფასია სლავების ინტერესები, და თუ ჩვენი მომავალი მეცადინეობის მიზანი მათი განთავისუფლებაა, მაშინ უდავოა, რომ ჩვენ ინგლისს უნდა მოვეშვათ, ვიცხოვროთ მასთან მშვიდობიანად, თანხმობით, რათა წარმატებით ვიბრძოლოთ ავსტრიის წინააღმდეგ... მაგრამ თუ უყურადღებოდ დავტოვებთ სლავებს და ჩვენს ძალღონეს თვით რუსეთის ინტერესებს მოვახმართ, შავი ზღვის სანაპიროებისა და აღმოსავლეთის განვითარების მიზნით, მაშინ უნდა დავუპირისპირდეთ ავსტრიას და უნდა დავუპირისპირდეთ ინგლისს. ჩვენ, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ გვაქვს, როგორ წავა საქმე და რა გზას აირჩევენ მომავალში. მაგრამ ამ დაპირისპირებიდან ერთი საერთო აზრი გამომდინარეობს: შეუძლებელია მომავალში ამ ორი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვაგვარი ამოცანების დაკავშირება. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ეს შეუძლებლობა იყო იმის მიზეზი, რამაც დაუძლეველი დაბრკოლება შეუქმნა აღმოსავლეთის საკითხის ჩვენთვის დამაკმაყოფილებლად გადაჭრას...

საერთოდ, თუ 1875—1878 წლების ომის შესახებ ჩვენს მიერ აქამდე გამოთქმულ ყველა შენიშვნას ერთი ნიშნით გავაერთიანებთ, უნდა ვთქვათ, და უფლებაც გვაქვს ვთქვათ, რომ მოძრაობა, რომელიც 1875 წელს ჰერცოგოვინაში დაიწყო, ცოტა ნაადრევი იყო. ამ მოძრაობამ ომში ჩაითრია ჯერ სერბია, შემდეგ კი რუსეთი. მკითხველებს ახსოვთ, რა გულმოდგინედ ვამტკიცებდით მაშინ, რომ ნაადრევია ეს მოძრაობაც და საქმისადმი ისეთი დამოკიდებულებაც, როგორსაც გვირჩევდა ბატ. სუვორინი... მაგრამ რადგან ომში ჩავებით, იმის იმედიც უნდა გვქონოდა, რომ მისი წარმატებით დამთავრებისათვის ყველა შესაძლებლობას გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, ევროპულმა სახელმწიფოებმა უფრო დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ვიდრე ამას აღმოსავლეთის საკითხის რადიკალურად გადაჭრის მომხრეები ელოდნენ... თუ ბერლინის ტრაქტატს რაიმე სერიოზული მნიშვნელობა აქვს, რაშიც ჯერ კიდევ შეიძლება დაეჭვება, იგი უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, როგორც ეს „Journal de St. Petersbourg"-მა შენიშნა, რომ არ შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში უფრო დამაკმაყოფილებელი ნაბიჯის წინ გადადგმა. ჩვენ,

რა თქმა უნდა, დიდი ხნით არ შევჩერებულვართ, მაგრამ ამ დაყოვნებისათვის იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთაც იგი გამოიწვიეს, ზედგამოჭრილია ჩვენი კანცლერის თავად გორჩაკოვის ცნობილი სიტყვები: „La Russie se récueille“[29]. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ყურადღება და საკუთარ თავზე ამგვარი მუშაობა მას სასიკეთო შედეგებამდე მიიყვანს. აქამდე ჩვენ ცუდად გვესმოდა, რომ გარეშე ძალის შეძენა ხდება შინაგანი მუშაობის ხარჯზე და რომ საგარეო საკითხების გადაჭრა, არსებითად, შინ ხდება. საკუთარი თავის სრულყოფისათვის მხოლოდ ამგვარი შრომა იძლევა შესაძლებლობას სასურველი მდგომარეობა გქონდეს გარეთაც.

19. ღირსების სამსჯავრო

ჩვენი მკითხველების განუწყვეტელი და უამრავი შეკითხვა ღირსების სამსჯავროს საქმეთა მიმდინარეობის შესახებ, რომელმაც უნდა განიხილოს ჩვენი და ბატ. ღოღობერიძის დავა, მოვალედ გვხდის გავაცნოთ „ობზორის"[2] მკითხველებს საქმის ნამდვილი ვითარება.

11 ივლისს, საღამოს, ბატ. ღოღობერიძის სურვილის თანახმად, „ობზორის" რედაქციაში გამოცხადნენ მისი რწმუნებულები პ. გ. მელიქ-კარაკოზოვი და ნ. ნ. სიგუნოვი. მათ მოგვახსენეს, რომ ბატ. ღოღობერიძემ ვერ მოასწრო აეხსნა მათთვის თავისი შეხედულებები ამ საქმეზე და ამიტომ გადასცა შავად დაწერილი სია იმ საკითხებისა, რომლებიც ღირსების სამსჯავრომ უნდა განიხილოს. ჩვენ გადავხედეთ ამ სიას და ბატ. რწმუნებულებს დავანახეთ მთელი მისი ცალმხრივობა. სიაში შეტანილი იყო წვრილმანი საკითხები, ჩვენი სტატიების ამა თუ იმ ფრაზის გამო; და ყველა ამ საკითხის საერთო ხასიათი შეიძლება ასე გამოიხატოს: „განა კეთილსინდისიერად იქცეოდა ბატ. ნიკოლაძე, როცა ამბობდა „... ამავე დროს უყურადღებოდ არის დატოვებული ყველა ჩვენი ძირითადი აზრი, ე. ი. ყველაფერი, რაც ეხება საერთო საკითხებს, საერთო ბრალდებებს და ა. შ. ერთი სიტყვით, როცა ამ სიას ვკითხულობდით, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბატ. ღოღობერიძეს შეურაცხყოფს მხოლოდ წვრილმანები და უყურადღებოდ ტოვებს ყველაფერს, რაც ჩვენს სტატიებში ძირითადი და მთავარია.

ჩვენ შევთავაზეთ ბატ. რწმუნებულებს განუხილველად გადავდოთ ეს სია გვერდზე და წესად მივიღოთ, რომ საკითხებს, რომელიც სამსჯავრომ უნდა განიხილოს, თვით სამსჯავრო წამოაყენებს და ჩამოაყალიბებს. ხოლო ჩვენ უნდა დავადგინოთ საკითხების უმთავრესი კატეგორიები, კატეგორიები, რომელთა განხილვა, სავალდებულო იქნება ღირსების სამსჯავროსათვის. ჩვენი ეს წინადადება ბატონმა რწმუნებულებმა მიიღეს.

კიდევ უფრო ადრე ჩვენ მათ შევთავაზეთ, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშობა რაიმე გაუგებრობა ჩანაწერის შედგენის გამო, გარდა იმ პუნქტებისა, რომელთა შესახებ უკვე მიღწეულია

შეთანხმება დაბეჭდილ განცხადებათა გაცვლის გზით, დავემორჩილოთ სპეციალურად ამ მიზნით და ურთიერთთანხმობით არჩეული არბიტრის უაპელაციო გადაწყვეტილებას. ბატ. რწმუნებულებმა, რომელთაც ეს წინადადება გონივრულად სცნეს, განაცხადეს, რომ ამ საკითხზე არავითარი ინსტრუქცია არ მიუღიათ ბატ. ღოღობერიძისაგან.

მომავალი ღირსების სამსჯავროს ხასიათის შესახებ აზრთა გაცვლის შემდეგ, ბატ. რწმუნებულებმა მიიღეს ჩვენი წინადადება, რაც შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ ვკისრულობთ ჩანაწერის პროექტის შედგენას, რომელსაც შემდეგ წარვუდგენთ ბატ. რწმუნებულებსა და ბატ. ღოღობერიძეს. ეს პროექტი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მის შესწორებაზე ჩვენი საერთო მუშაობისა. ბატ. რწმუნებულებმა ეს წინადადებაც მიიღეს.

თანახმად ამ მოლაპარაკებისა, დილით, 13 ივლისს, ბატ. მელიქ-კარაკოზოვს ჩვენ გადავეცით ჩანაწერის პროექტი.

15 ივნისს, საღამოს, ბატ. რწმუნებულები გამოცხადდენ „ობზორის“ რედაქციაში და წარმოგვიდგინეს ბატ. ღოღობერიძის მიერ გადაკეთებული ჩანაწერის პროექტი. საჭიროდ მიგვაჩნია ამ ორი პროექტის პარალელურად დაბეჭდვა. აი ისიც:

ბატ. ნიკოლაძის პროექტი:

ფორმალურობათა შემდეგ...

I. ესა და ეს რწმუნებულები შეთანხმდნენ...

II. სამსჯავროს შემადგენლობა...

III. ღირსების სამსჯავროს უფლება ეძლევა გამოიტანოს ორივე მხარისათვის სავალდებულო, უაპელაციო განაჩენი ბატ. ნიკოლაძის ლიტერატურული აზრის სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებაზე, რომელიც გამოთქმულია ბატ. ღოღობერიძის მოღვაწეობის შესახებ და, ასევე, ამ უკანასკნელის მიერ იმ საზოგადოებრივი საქმეების გონივრულად და კეთილსინდისიერად წარ-

ბატ. ღოღობერიძის პროექტი:

ფორმალურობათა შემდეგ...

I. ესა და ეს რწმუნებულები შეთანხმდნენ...

II. სამსჯავროს შემადგენლობა...

III. ღირსების სამსჯავროს უფლება ეძლევა გამოიტანოს ორივე მხარისათვის სავალდებულო, უაპელაციო განაჩენი ბატ. ნიკოლაძის აზრის სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებაზე, რაც მან გამოსთქვა „ობზორის“ ფურცლებზე ბატ. ღოღობერიძისა და მისი მოღვაწეობის შესახებ.

მოების შესახებ. რომელთაც მან ხელი მოჰკიდა და რომელთა მსვლელობამაც გამოიწვია ბატ. ნიკოლაძის მიერ აზრის გამოთქმა.

IV. ღირსების სამსჯავრომ უნდა გადაწყვიტოს საკითხების სამი კატეგორია:

1. არის თუ არა ბატ. ნიკოლაძის წერილებში ბატ. ღოღობერიძეზე — როგორც პატიოსან კაცზე თავდასხმა და, საერთოდ, აქვს თუ არა მას რაიმე პირადული სარჩული, ან პირადი ანგარიშის გასწორების მიზანი ბატ. ღოღობერიძესთან?

2. შეიცავს თუ არა ბატ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული აზრი ბატ. ღოღობერიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ცილისწამების, ანდა ჭეშმარიტების არაკეთილსინდისიერ დამახინჯებას?

3. იძლევა თუ არა ბატ. ღოღობერიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ გამოიწვიოს კეთილსინდისიერი პუბლიცისტის საქმიანობისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიც საზოგადოდ ამ პოლემიკის დროს გამოამჟღავნა ბატ. ნიკოლაძემ. ყველა აღნიშნული კატეგორიის ფარგლებში სამსჯავრო, თავის შეხედულების მიხედვით, აყალიბებს საკითხებს პუნქტებად, ანდა ფაქტთა და ბრალდებათა ჯგუფებად.

IV. ღირსების სამსჯავრომ უნდა გადაწყვიტოს საკითხების სამი კატეგორია:

1. შეიცავს თუ არა „ობზორის“ სტატიები ბატ. ღოღობერიძის პიროვნებაზე და მის პატიოსან სახელზე თავდასხმას?

2. შეიცავს თუ არა ბატ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული აზრი ბატ. ღოღობერიძის მოღვაწეობაზე ცილისწამებას, ანდა ჭეშმარიტების არაკეთილსინდისიერ დამახინჯებას?

3. იძლევა თუ არა ბატ. ღოღობერიძის მოღვაწეობა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ გამოიწვიოს კეთილსინდისიერი პუბლიცისტის ისეთი დამოკიდებულება ბატ. ღოღობერიძისადმი, წვრილმანებსა და საერთო ფარგლებში, როგორიც ბატ. ნიკოლაძის სტატიებში გამომჟღავნდა.

4. ყოველი აღნიშნული კატეგორიის ფარგლებში სამსჯავრო, თვითონ აყალიბებს საკითხებს პუნქტებად, ანდა ფაქტთა და ბრალდებათა ჯგუფებად, თავისი შეხედულებისამებრ.

V. გარდა საკითხთა იმ სამი კატეგორიისა, რომლებიც ნახსენებია აღნიშნული ჩანაწერის მეოთხე პუნქტში, ბატ. ნიკოლაძეს უფლება ეძლევა დაამტკიცოს სამსჯავროზე ბატ. ღოღობერიძის „ხროვის“ არსებობის სინამდვილე და საკუთარი აზრის სამართლიანობა მის შესახებ, ხოლო ბატ. ღოღობერიძეს უფლება აქვს შეეხოს ბატ. ნიკოლაძის კერძო ცხოვრების და მოღვაწეობის ყველა მხარეს. ასევე, სამსჯავროს უფლება ეძლევა, თავისი შეხედულების მიხედვით, დაუსვას მათ ისეთი კითხვები, ან საკითხთა კატეგორიები, რომელთაც აღნიშნული ჩანაწერები სრულიად არ ითვალისწინებს.

VI. საქმის სრული გამორკვევისათვის, ორივე მხარეს უფლება ეძლევა საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად წარუდგინოს ღირსების სამსჯავროს ყოველგვარი წერილობითი, დაბეჭდილი და სიტყვიერი საბუთები. ასევე სიტყვიერი ახსნა-განმარტებანი როგორც პირადად, ასევე დამცველი რწმუნებულის მეშვეობით. ორივე მხარის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი საბუთები და ახსნა-განმარტებანი დავას, ან რამდენად სცდებიან ისინი ფარგლებს, დამოკიდე-

V. გარდა საკითხების იმ სამი კატეგორიისა, რომლებიც ნახსენებია აღნიშნული ჩანაწერის მეოთხე პუნქტში, ღირსების სამსჯავროს უფლება აქვს. თავის შეხედულების მიხედვით. დაუსვას მათ ისეთი კითხვები, ან საკითხთა კატეგორიები, რომელთაც აღნიშნული ჩანაწერები სრულიად არ ითვალისწინებს.

VI. საქმის მთლიანი გარკვევისათვის, ორივე მხარეს უფლება ეძლევა საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსჯავროს ყოველგვარი წერილობითი, დაბეჭდილი და სიტყვიერი საბუთები. ასევე სიტყვიერი ახსნა განმარტებანი. ორივე მხარის მიერ სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვა და იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად შეეხება საქმეს წარმოდგენილი საბუთები და ახსნა-განმარტებანი, ან რამდენად სცდება მის ფარგლებს, დამოკიდებულია სამსჯავროს თვალსაზრისზე.

ბულია სამსჯავროს თვალსაზრისზე.

VII. სამსჯავროს სხდომები ღია და საჯარო იქნება. ბატ. ნიკოლაძე ვალდებულებას კისრულობს დაბეჭდოს თავის გაზეთში ამ სხდომების სრული ანგარიში და ღირსების სამსჯავროს სრული განაჩენი ყოველგვარი შეცვლის გარეშე და, ასევე, მომრიგებელთა ჩანაწერები. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში სწორი არ იქნება, მხარეებს უფლება ეძლევათ მიმართონ ღირსების სამსჯავროს შემადგენლობას და ამ შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი რედაქცია ორივე მხარემ უნდა სცნოს საბოლოოდ და უდავოდ. ანგარიშის შედგენა ევალება ორივე მხარეს.

VIII. ბატ. ნიკოლაძეს უფლება ეძლევა გადახედოს მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ყველა წიგნებს, ანგარიშებს, საქმეებს და ამოიწეროს ამ წიგნებიდან ის ადგილები, რომელთაც საჭიროდ მიიჩნევს. ამოწერილი ადგილების ასლის სისწორე უნდა დაადასტუროს ბანკის სამდივნომ.

VII. სამსჯავროს სხდომები ღია და საჯარო იქნება. ამასთან. სხდომის საჯარობის რეგულირების უფლება ენიჭება სამსჯავროს. ბატ. ნიკოლაძე თავისთავზე ვალდებულებას იღებს დაბეჭდოს თავის გაზეთში მომრიგებელთა ჩანაწერები და სრული ანგარიში სამსჯავროს სხდომებისა და ღირსების სამსჯავროს სრული განაჩენი ყოველგვარი შეცვლისა და ახსნა-განმარტებების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში ზუსტი არ იქნება, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ ღირსების სამსჯავროს შემადგენლობას და ამ შემადგენლობის მიერ შესწორებული და ხელმოწერილი რედაქცია ორივე მხარემ უნდა სცნოს უდავოდ. ანგარიშის შედგენა ევალება ორივე მხარეს.

VIII. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს ახალ მტკიცებით საბუთებს, რომელთაც არ იცნობს მეორე მხარე, ამ უკანასკნელს უფლება ეძლევა სთხოვოს ღირსების სამსჯავროს სხდომის გადადება უარმყოფელი საბუთების წარმოსადგენად. ღირსების სამსჯავროზეა დამოკიდებული: განაგრძოს საქმის განხილვა თუ დათანხმდეს მის გადადებას და განსაზღვროს ვადა.

IX. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს ახალ მტკიცებით საბუთებს, რომელთაც არ იცნობს მეორე მხარე, ამ უკანასკნელს უფლება ეძლევა სთხოვოს ღირსების სამსჯავროს სხდომის გადადება უარმყოფელი საბუთების წარმოსადგენად. ღირსების სამსჯავროზეა დამოკიდებული: დათანხმდება გადადებას, თუ განაგრძობს საქმის განხილვას.

X. ორივე მხარე პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ: 1. იმ შემთხვევაში, თუ სამსჯავრო გადაწყვეტს, რომ ბატ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული აზრი არაკეთილსინდისიერი და უსაფუძვლო იყო, ბატ. ნიკოლაძემ სამუდამოდ უნდა თქვას უარი ყოველგვარ პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე; 2. ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგივე სამსჯავრო დარწმუნდება, რომ ბატ. ღოღობერიძემ ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეებს, რომელთაც არ იცნობდა და წარმართავდა უგუნურად, საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ, მაშინ მან სამუდამოდ უარი უნდა სთქვას ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე და როლზე.

XI. ყველა იმ შემთხვევითობისა და საკითხების გადაწყვეტა, რომელთაც არ ითვალისწინებს აღნიშნული ჩანაწერი, ევალება ღირსების სამსჯავროს.

IX. ყველა იმ შემთხვევითობისა და საკითხების გადაწყვეტა, რომელთაც არ ითვალისწინებს აღნიშნული ჩანაწერი, ევალება ღირსების სამსჯავროს.

ამ ორი პროექტის შეპირისპირებით მკითხველს ადვილად შეუძლია გამოიტანოს შემდეგი საერთო დასკვნა: ბატ. ღოღობერიძე ჩვენს დავას თვლის თითქმის კერძო საქმედ, რომელიც მხოლოდ მის „პატიოსან სახელს“ ეხება. ჩვენ კი ღირსების სამსჯავროს ვუყურებთ როგორც საშუალებას, რომელსაც შეუძლია გააშუქოს საზოგადოებრივი საქმეების მსვლელობა. ჩვენ არც იმაზე ვამბობთ უარს, რომ დავაკმაყოფილოთ ბატ. ღოღობერიძის ის სურვილიც, რომელიც მას აინტერესებს. ჩვენ მზად ვართ პასუხი ვაგოთ ყოველ ჩვენს სტრიქონზე. მაგრამ, რადგან ჩვენს მიერ გამოთქმული აზრები ბატ. ღოღობერიძეზე განუყოფელია და რადგან ისინი ერთმანეთს ხსნიან და ადასტურებენ, ამიტომ ჩვენ ვერ დავთანხმდებით იმას, რომ გამოჰყონ მხოლოდ ის აზრები, რომლებიც ბატონ ღოღობერიძეს მკვახედ და „პირადულად“ მიაჩნია და უყურადღებოდ დასტოვონ სხვა აზრები. მთლიანობაში, ერთად აღებულს, ერთი საერთო აზრით გაშუქებულს, ჩვენს შეხედულებებს აქვთ ერთი მნიშვნელობა. მაგრამ ამოიღეთ ერთი ასეთი აზრი, დუმილით გვერდი აუარეთ სხვებს და ჩვენი შეხედულებები ისეთ მნიშვნელობას მიიღებს, რასაც არავითარი კავშირი არ ექნება აზრთა საერთო ციკლთან. აი რატომ ვითხოვდით და ვითხოვთ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრების ერთობლივობაში განხილვას. ჩვენი მხრივ, ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ, პასუხი ვაგოთ ყველა ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრზე.

მეორე განსხვავება ჩვენს პოზიციებს შორის, რომელიც დაიჩრდილა ბატ. რწმუნებულთა განცხადებებით, მდგომარეობს შემდეგში: ბატ. ღოღობერიძეს არ სურს დაისვას საკითხი ჩვენს მიერ გამოთქმული აზრების საფუძვლიანობის შესახებ, მას მხოლოდ ის სურს, რომ ეს აზრი აღიარებულ იქნეს როგორც არაკეთილსინდისიერი. ჩვენ არ უარვყოფთ მის უფლებას დაამტკიცოს ჩვენი არაკეთილსინდისიერება, მაგრამ არც ჩვენ ვამბობთ უარს ჩვენს უფლებაზე — დავამტკიცოთ ჩვენი აზრის საფუძვლიანობა. გარდა ამისა, ბატ. ღოღობერიძე ფიქრობს, რომ ღირსების სამსჯავროს უფლება არა აქვს განიხილოს ბანკის საქმეები; რომ ბატ. ღოღობერიძე სამსჯავროში გამოცხადდება როგორც კერძო პირი და არა როგორც ბანკის მმართველი (რაც ერთხელ მოგვახსენეს მისმა რწმუნებულებმა). ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ბატ. ღოღობერიძესთან, როგორც კერძო პირთან, არავითარი საქმე და არაფერი სადავო არა გვაქვს. ჩვენ მის შესახებ ისე ვლაპარაკობდით, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, როგორც ბანკის მმართველზე და ამიტომ დაბეჯითებით ვიცავთ ჩვენს უფლებას — დავამტკიცოთ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრის საფუძვლია-

ნობა და სამართლიანობა; დავამტკიცოთ, რომ ქუთაისის ბანკის საქმეებს კეთილსინდისიერად ვიხილავდით.

ეს არსებითი განსხვავება შეხედულებებში არ შეიძლებოდა ჩვენი მოლაპარაკებით გადაწყვეტილიყო. ვინაიდან ჩვენი შეხედულება გამოთქმული იყო პრესაში ჩვენს პირველსავე პასუხში ბატ. ღოღობერიძის გამოწვევაზე, („ობზორი" № 167) და რადგან ბატ. ღოღობერიძემ თავის მეორე წერილში („ობზორი" № 177) სცნო ეს თვალსაზრისი, ამიტომ ჩვენ არ მივეცით უფლება ბატ. რწმუნებულებს — შეეცვალათ ერთხელ უკვე მიღწეული თანხმობა. ამის გამო, ჩვენ შევთანხმდით (ბატ. ღოღობერიძემ მოიწონა ეს შეთანხმება, მაგრამ დაურთო შენიშვნა) და მივიღეთ მესამე პუნქტის უკანასკნელი ნაწილის ასეთი საბოლოო რედაქცია:

(ღირსების სამსჯავროს გამოაქვს განაჩენი)... „და თანაბრად ამისა, ამ უკანასკნელის (ბ-ნ ღოღობერიძის) მიერ იმ საზოგადოებრივ საქმეთა წარმოების ს ი ს წ ო რ ი ს ა (ნაცვლად სიტყვისა გ ო ნ ი ვ რ უ ლ ი ს ა) და კეთილსინდისიერების ხარისხისა, რომელთაც მან ხელი მოჰკიდა, იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება შეეხოს იმ ბრალდებებს, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით ბატ. ნიკოლაძემ ბატ. ღოღობერიძეს წაუყენა".

უთანხმოების სხვა პუნქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი მოთხოვნა, მოეცათ უფლება გადაგვეხედა ბანკის ანგარიშებისა და წიგნებისათვის. ბატ. რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ ბატ. ღოღობერიძეს არ შეუძლია პასუხი აგოს ბანკის მთელ მმართველობაზე, რომლის წევრებმაც შეიძლება ბატ. ნიკოლაძეს უარი უთხრან საქმეებისა და წიგნების ჩვენებაზე. მაგრამ ბატ. ღოღობერიძის ამგვარი განცხადება უსაფუძვლოა, რადგან ყველა ქუთაისელისათვის ცნობილია, თუ რამდენად შეუძლიათ მმართველობის წევრებს წინ აღუდგნენ ბატ. ღოღობერიძის გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, ბატ. ღოღობერიძის მოსაზრების გარეგნული და მოჩვენებითი საფუძვლიანობის პატივისცემიდან გამომდინარე, თანხმობა განვაცხადეთ ჩვენი პროექტის მერვე პუნქტის რედაქციის შეცვლაზე და შევთავაზეთ ასეთი ფორმულა:

„ბატ. ღოღობერიძე სცნობს ბატ. ნიკოლაძის უფლებას შეამოწმოს მიხეილის საადგილ-მამულო წიგნები, საქმეები და სხვა... მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ბატ. ნიკოლაძეს ამის უფლებას არ მისცემენ აღნიშნული ბანკის მმართველობის წევრები, მაშინ საჭირო იქნება ამ უფლების მოპოვება ჩვეულებრივი სასამართლოს მეშვეობით. ამის გამო ღირსების სამსჯავრო უნდა გადაიდოს მანამდე, სანამ ბატ. ნი-

კოლაძე არ მოიპოვებს ბანკის წიგნებისა და საქმეების შემოწმების უფლებას“.

ბატ. რწმუნებულებმა ეს მოთხოვნაც კატეგორიულად უარყვეს. მათი განცხადების თანახმად, ბატ. ღოღობერიძემ მათ უთხრა, რომ „ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“. ჩვენ, ჩვენის მხრივ, განვაცხადეთ, რომ უცნაურია მოგვთხოვონ ჩვენი აზრის დამტკიცება და ამავე დროს დაგვიკეტონ იმ დაწესებულების კარები, სადაც უამრავი დამამტკიცებელი საბუთია (ჩვენ აქ არ მოგვყავს იმის დამამტკიცებელი არგუმენტები, რომ უფლება გვაქვს გავეცნოთ ბანკის საქმეებს). გარდა ამისა, ჩვენ განვაცხადეთ, რომ თუ ამის უფლებას არ მოგვცემენ, ჩვენ ღირსების სამსჯავროზე არ გამოვცხადდებით. მაგრამ დავრწმუნდით რა იმაში, რომ ჩვენმა განცხადებამ ვერ შესცვალა ბატ. რწმუნებულების გადაწყვეტილება, ჩვენ მათ შევთავაზეთ — მივანდოთ ამ საკითხის გადაწყვეტა შუამავალს, თუმცა ამ პუნქტს ჩვენ ვთვლით ღირსების სამსჯავროში ჩვენი მონაწილეობის „Conditio sine qua non“[40]-ად. ვანდობთ რა ამ პუნქტის გადაწყვეტას შუამავალს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით დავამტკიცეთ, თუ რა უკიდურეს ზომამდე მიდის ჩვენი სურვილი — გავარკვიოთ საქმე ღირსების სამსჯავროს მეშვეობით.

ჩვენ დიდად გაგვაკვირვა ბატ. სიგუნოვის განცხადებამ, რომ რწმუნებულები ვერც ამ პუნქტს მიიღებენ, რადგან ბატ. ღოღობერიძემ მათ კატეგორიულად უთხრა — „ამაზე ლაპარაკი ზედმეტიაო“ და ამიტომ ჩვენი წინადადება კვლავ უნდა გადასცენ ბატ. ღოღობერიძეს განსახილველად.

რადგან ჩვენ განვაცხადეთ, რომ უთანხმოების ყველა სხვა პუნქტში დავემორჩილებით შუამავალთა გადაწყვეტილებას, ამიტომ ჯერჯერობით დანარჩენ პუნქტებს არ შევხებივართ. ბატ. რწმუნებულები წავიდნენ და დაგვპირდნენ, რომ სადავო პუნქტზე — ბანკის საქმეების განხილვის შესახებ — პასუხს გაგვცემენ ბატ. ღოღობერიძის ქუთაისიდან ჩამოსვლის შემდეგ.

ჯერჯერობით საქმე ამაზე შეჩერდა.

20. პასკევიჩი ჩვენი ზღვაოსნობის შესახებ

თბილისი, 18 იელისი

ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველებს ამიერკავკასიის არქეოგრაფიული კომისიის[41] ოქმების III ტომის გამოსვლა და აღტაცებული ვიყავით ამ შესანიშნავი გამოცემის გარეგნული სიმდიდრითა და სტამბური გაფორმებით. ახლა შეეეცდებით ვისარგებლოთ პატივცემული ა. პ. ბირჟეს შრომით, რათა გავარკვიოთ ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ამოცანის ისტორიული მსვლელობა ჩვენს მხარეში და დავაყენოთ საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე საკითხად ითვლება, კერძოდ — საბუთებით ხელში განვიხილოთ, როგორ უყურებდა კავკასიის ერთ-ერთი ცნობილი ადმინისტრატორი, თავადი პასკევიჩ-ერევანსკი ზღვაოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას შავსა და კასპიის ზღვებზე.

ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს გენერალ პასკევიჩის მიმართვა № 257, რომელიც 1829 წლის 25 აპრილს გენერალ-ადიუტანტ კანკრინს გაუგზავნა. ეს მიმართვა დაწერილია ადრიანოპოლის ბრწყინვალე ზავის[42] შემდეგ, რომლის მიხედვითაც დაგვითმეს მდინარე რიონის შესართავი ფოთის სიმაგრითურთ და შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო — მდინარე ყუბანის შესართავამდე, ანაპის სიმაგრით. საჭირო იყო დაესახათ ჩვენი ადმინისტრაციისათვის ამ ახლად შემომტკიცებული მიწების კეთილმოწყობისა და განვითარების მომავალი ამოცანები, რათა, რაც შეიძლება სასარგებლოდ გამოეყენებიათ ეს მიწები რუსეთისათვის, რაც პეტერბურგში განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. ამ ზრუნვის შედეგად დაიბადა აზრი — დაეარსებინათ ნაოსნობა შავსა და კასპიის ზღვაზე, რაზედაც თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა თავისი მოსაზრებები ისე გაგზავნა, რომ კორპუსის სარდლისთვის არაფერი უკითხავს, რაც კანცელარული თვალსაზრისით სწორი არ იყო. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამით იცვლებოდა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ამოცანის მნიშვნელობა. მაგრამ ამ უმნიშვნელო შეცდომამ, ანუ კანცელარუ-

ლი წესის დარღვევამ, დაღუპა შავსა და კასპიის ზღვაზე ნაოსნობის დაარსების საქმე.

„უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია განგიმარტოთ, იუწყებოდა გრაფი პასკევიჩი, გენერალ სიპიაგინის წინადადება ჩემი თანხმობის გარეშეა გამოგზავნილი პეტერბურგში, მაგრამ რომ ეთხოვათ კიდეც ჩემი თანხმობა და ეკითხათ აზრი, მე ვუპასუხებდი: ნაოსნობის შემოღება შავსა და კასპიის ზღვაზე საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვაო მიმოსელისათვის ჯერჯერობით ნაადრევად მიმაჩნია“.

ასეთი განცხადების წინაშე ძალაუნებურად ჩერდები! რუსეთმა შემოიმტკიცა ახალი მხარე, რომელიც მეტროპოლიასთან უნდა დაეკავშირებინათ. ამის საუკეთესო საშუალება ვაჭრობაა. ვაჭრობის განვითარების მიზნით პეტერბურგიდან წინადადებას იძლევიან — დავაარსოთ ნაოსნობა, მაგრამ გრაფ პასკევიჩს მიაჩნია, რომ ჯერ ეს ნაადრევია. რა მოტივებით იყო დასაბუთებული ეს ნაადრეობა? გრაფი პასკევიჩი აღიარებს, რომ ნაოსნობას შეუძლია ძალზე დიდი სარგებლობა მოგვიტანოს, თუ: 1. ამიერკავკასიაში სახმელეთო გზებს წესრიგში მოიყვანენ; 2. თუ რუსეთისა და მთელი ევროპის ვაჭრობას აქაურ მხარესთან და მის მოსაზღვრე სპარსეთისა და თურქეთის პროვინციებთან სწორი, სისტემატური ხასიათი ექნება და განუწყვეტლივ იწარმოებს.

ამ არგუმენტის თანახმად, ნაოსნობის შექმნა ყირიმის ომის შემდეგაც ნაადრევი იყო და ამაზე ფიქრი ახლაც ნაადრევია, რადგან ამიერკავკასიაში სახმელეთო გზები ჯერ კიდევ წესრიგში არაა, ვაჭრობას არა აქვს სისტემატური ხასიათი და არ წარმოებს განუწყვეტლივ. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ვაჭრობას ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და განუწყვეტლივ წარმოებდეს, შავ ზღვაზე შეიქმნა ნაოსნობა და ახლა ძნელი არაა იმის დამტკიცება ციფრებით, რომ მისი დაარსებით რუსეთიდან შემოზიდული საქონლის რაოდენობა დიდი პროგრესით იზრდება და, ამავე დროს, მცირდება უცხოური საქონლის შემოზიდვა ამიერკავკასიაში, ე. ი. მივიღეთ სწორედ ის შედეგები, როგორიც უნდა მიგვეღო და რომელიც არ შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო 1829 წელს.

„მე წინააღმდეგი არა ვარ იმის, — წერდა გენერალი პასკევიჩი, — რომ გზა თბილისიდან ფოთამდე უნდა შეკეთდეს და იმდენად გაუმჯობესდეს, რომ ამ გზით ტვირთის გადაზიდვას არაფერი აბრკოლებდეს, მაგრამ ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი თანხა და რამდენიმე წელი“.

აქედან პირდაპირ გამომდინარეობს დასკვნა, რომ თითქოს სი-

ჭიროა ამ გზის გაყვანა და მოწყობა, მაგრამ გრაფი პასკევიჩი სხვაგვარად წერდა:

— „აქაური ვაჭრობის დღევანდელი მდგომარეობისათვის სრულიად საკმარისია გემმა გააკეთოს ორი ან სამი რეისი, რომ გადაზიდოს მთელი საქონელი, რომელიც ოდესიდან აქეთ მოაქვთ. ამ მიზეზის გამო, ორი გემის გამოყოფა ოდესასა და სამეგრელოს ნაპირებს შორის მხოლოდ ვაჭრობისათვის, მე დიდ ამბად არ მიმაჩნია“.

„შავი ზღვის მეშვეობით სამეგრელოს სანაპიროებთან, იმერეთსა და სამეგრელოში დაბანაკებული ჩვენი ჯარებისათვის მოაქვთ პროვიანტი და საარტილერიო ყუმბარები, ამავე გზით შეიძლება გადმოზიდონ ამუნიციაც, რაც დიდად ხელსაყრელი იქნება ხაზინისათვის, მაგრამ პროვიანტი აქამდე არ ჩამოგვაქვს რედუტ-კალეში ყირიმის ნავსადგურებიდან. ხოლო საარტილერიო ყუმბარები, რკინისა და თუჯის სხვადასხვა საგნები ჩვეულებრივ ტაგანროგიდან მოაქვთ. ასევე მოხერხებულია ამუნიციის გადმოზიდვა როსტოვიდან“.

„მაგრამ გემებს დიდ ზარალს ის მიაყენებს, რომ სამეგრელოდან ისინი ცარიელი უნდა დაბრუნდნენ უკან. ამჟამად ამ მხარეს არ გააჩნია არავითარი პროდუქცია რუსეთში გასატანად, გარდა ტყის მცირე რაოდენობისა, რომლით ვაჭრობა მხოლოდ მაშინ იქნება საარგებლო, როცა ტყით ვაჭრობა განვითარდება“.

„წერილებისა და ამანათების გადასაზიდად და მგზავრების გადასაყვანად გემების გამოყოფა როგორც შავ, ასევე კასპიის ზღვაზე სრულიად ზედმეტია. თბილისსა და ოდესას შორის კორესპონდენციების გაცვლა ახლაც უმნიშვნელოა, ხოლო როცა ამ მხარის პრივილეგიები გაუქმდება (ე. ი. უცხოური საქონლის თავისუფლად შემოტანის უფლება, რისთვისაც მხოლოდ საბაჟო გადასახადის 5 პროცენტს იხდიან), იგი სრულიად უმნიშვნელო გახდება. ასტრახანიდან კავკასიაში წერილებისა და ამანათების გამოგზავნა და უკან გაგზავნა ასეთივე წარმატებით შეიძლება სახმელეთო გზითაც“.

როცა ყოველივე ამას ერთბაშად გადაიკითხავ, ვერ გებულობ, რის დამტკიცება უნდათ. ნაოსნობას შეუძლია მოგვიტანოს ძალზე დიდი სარგებლობა და, ამავე დროს, ორი გემის გამოყოფა ზედმეტად მიაჩნიათ. გაყვანილი უნდა იქნეს გზები, მაგრამ სახსრების გამოყოფა იმისათვის, რომ გადაზიდონ ტვირთი ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე, ნაადრევად მიაჩნიათ. პროვიანტის, საარტილერიო ყუმბარებისა და ამუნიციის ზღვით გადაზიდვა მოხერხებულია, მაგრამ როსტოვიდან მათი გადმოზიდვა კიდევ უფრო მოხერხებულია. ტყით ვაჭრობას შეუძლია სარგებლობა მოგვიტანოს, მაგრამ

მისი დაწყება არ ღირს! კორესპონდენციები ახლა უმნიშვნელო რაოდენობითაა, დროთა განმავლობაში კი, გაზრდის ნაცვლად, კიდეე უფრო შემცირდება. მგზავრები თუმცა არიან, მაგრამ ყველას იმ სახმელეთო გზით ურჩევნია მგზავრობა, რომელიც ჯერ არ გაუყვანიათ!

იმავე მე-7 ტომის 119 გვერდზე ჩვენ შემდეგ საბუთს * ვპოულობთ:

„საქართველოში, საფოსტო განყოფილების დაარსების დღიდან, კორესპონდენციების უმნიშვნელო რაოდენობის გამო, ფოსტის გაგზავნა კაზაკთა პოსტის, შიკრიკთა მეშვეობით ხდებოდა, რაშიც გადატანის ფულს მათ არავინ უხდიდა. შემდეგ, საფოსტო სამმართველოს ყველგან გახსნასთან დაკავშირებით, კორესპონდენციათა რაოდენობა დიდად გაიზარდა, განსაკუთრებით სახელმწიფო კორესპონდენციებისა, კაზაკთა პოსტები კი ვალდებულნი იყვნენ ეს მძიმე მოვალეობა შეესრულებინათ. მარტო თბილისის პოსტი ყოველ დღე აუნაზღაურებლად უშვებდა 15-დან 20-მდე ცხენს“.

ამგვარად, აზრს კორესპონდენციების უმნიშვნელო რაოდენობის შესახებ გრაფ პასკევიჩის ხელქვეითი პირები ფაქტებით უარყოფენ. წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენ მიმართვა № 257-ში აღმოვაჩინეთ, ნათელია და არ შეიძლება მივაწეროთ ისეთი ადმინისტრატორის უვიცობას, როგორიც გრაფი პასკევიჩი იყო. გარდა ამისა, მას თან ახლდა ერმოლოვის თანამებრძოლთა მთელი ფალანგა, აღზრდილნი მოვალეობის ბეჯითად აღსრულების საფუძველზე და, ამიტომ, სერიოზულად უყურებდნენ ჩვენი მხარის მოთხოვნილებებს. ამიტომ იმ მიზეზთა შორის, რის გამოც შავ ზღვაზე 1829 წელს არ დაარსდა ნაოსნობა, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ის, რომელზედაც თვით გრაფი პასკევიჩი მიგვითითებს: უპირველესად ყოვლისა, ამ საკითხის შესახებ მიმართვა ისე იგზავნებოდა, რომ მან არაფერი იცოდა, მეორეც, იგზავნებოდა მისი ინიციატივის გარეშე. ეს ყველაფერი კარგად ჩანს გენერალ კანკრინისადმი გაგზავნილი წერილის დასკვნაში:

„თუ, ღმერთის წყალობით, ახლანდელი ომი ბედნიერად დამთავრდება, ჩვენ განსაკუთრებით ვიზრუნებთ იმისათვის, რომ გავიყვანოთ გზები თბილისიდან ბაქომდე და ფოთამდე და მაშინ ეს ორი გზა საიმედოდ შეერთდება. ხოლო თუ ამ გზებზე მოეწყობა ქარვასლები, ფუნდუკები და სხვა დამხმარე სადგომები საქონლის

---

* გენერალ-ადიუტანტ პანკრატოვის მიმართვა თავად გოლიცინისადმი 1831 წ. 8 ივლისი, № 384.

გადასაზიდად, მაშინ, რა თქმა უნდა, ნაოსნობის დაარსება ამ მხარის დასაკავშირებლად რუსეთთან, დიდ სარგებლიანობას მოგვიტანს".

ასე რომ, გრაფი პასკევიჩი აღიარებდა ნაოსნობის დაარსების აუცილებლობას, მაგრამ, ასე რომ ვთქვათ, იწყებს თავისებურად, სხვა ბოლოდან, და არა ისე, როგორც ვარაუდობდა გენერალი სიპიაგინი. მას ისიც კი საჭიროდ მიაჩნია, რომ მოეწყოს ქარავასლები, ფუნდუკები და სხვა დამხმარე სადგომები საქონლის სახმელეთო გზით გადასაზიდად და მხოლოდ ამის შემდეგ ფიქრობს ზღვით გადაზიდვაზე. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ყველა იმ საზღვაო სახელმწიფოს განვითარების ისტორიას, რომელთა ნაპირებსაც ვერ ადგებოდა უცხო ხელმწიფეთა გემები და ამიტომ ზღვასთან მიჰქონდათ მხოლოდ ახლომდებარე რაიონების ტვირთი, შემდეგ კი, გემების რაოდენობისა და საქონელზე მოთხოვნილებების ზრდასთან დაკავშირებით, ვაჭრებმა თვითონ, ან თავიანთი კომისიონერების დახმარებით, დაიწყეს საქონლის უფრო შორი რაიონებიდან გადმოზიდვა, რამაც გზების გაყვანა და მიმოსვლის არსებულ საშუალებათა გაუმჯობესება გამოიწვია. მაგრამ გრაფ პასკევიჩს სურდა ვაჭრობა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის იმთავითვე სრულიად აღჭურვილი ყოფილიყო და როცა ზღვამდე მიაღწევდა, მხოლოდ მაშინ მოეთხოვათ ოდესიდან და ისეთი ადგილებიდან გემების გამოგზავნა, რომელთა არსებობა ამიერკავკასიაში სავაჭრო ურთიერთობის დაწყებამდე, ალბათ, არც კი იცოდნენ. ძნელია, რა თქმა უნდა, იმის აღიარება, რომ ადამიანს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს იცავდა, შეეძლო წვრილმანი ფორმალობის დარღვევა საკუთარი თავისადმი უპატივცემლობად მიეღო და, ამის გამო, გადაეწყვიტა ხელი შეეშალა მთელი მხარის განვითარებისათვის.

21. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 24 ივლისი

ამჟამად ჩვენი სატახტო ქალაქის გაზეთები და მთელი ევროპის პრესა კომენტარს უკეთებს ბერლინის ტრაქტატს [20], და იმ დიპლომატების, იურისტების და მორალისტების აზრით, რომლებიც მას განმარტავენ, არ არსებობს ამოცანა, ისეთი პოლიტიკური შედეგი, რომელიც, შესაბამისი გაშუქების შემდეგ, ამ დოკუმენტიდან არ გამომდინარეობდეს. ამავე დროს არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ამ შესანიშნავი დიპლომატიური ოქმის ავტორებმა უარი თქვეს მის პრაქტიკულ განხორციელებაზე და ეს ამბავი დროს, ჰუმანიურ გრძნობებს და თითოეულის პირად ზრუნვას გადაულოცეს. სხვაგვარი გადაწყვეტილება მათ, რა თქმა უნდა, არც შეეძლოთ მიეღოთ, რადგან შეთანხმება ს.-სტეფანოს სამშვიდობო ტრაქტატის საბოლოო შეცვლის შესახებ უეცრად დამთავრდა 4 ივლისს ინგლისსა და თურქეთს შორის საიდუმლო შეთანხმების დადებით, რაც მთლიანად აცლის საფუძველს იმ ძირითად აზრს, რითაც ხელმძღვანელობდა პატივცემული ბერლინის კონგრესი, სახელდობრ: განეხილათ თურქეთის მოწყობის ყველა საკითხი ევროპის ინტერესების შესაბამისად. სინამდვილეში კი, როცა ყველამ დამაკმაყოფილებლად სცნო საერთო ევროპული ინტერესები, ინგლისმა თურქეთი სულ სხვაგვარად მოაწყო და მისი ერთადერთი მიზანი ისაა, რომ შეაჩეროს რუსეთის განვითარება და ინგლისის წინსვლისათვის საჭირო პირობები შეჰქმნას. ამ შეთანხმებას ხელი არ შეუშლია მისი წარმომადგენლებისათვის, ხელი მოეწერათ ბერლინის ტრაქტატზე და 64-ე მუხლზეც, რომელიც ადგენს, რომ ტრაქტატის რატიფიკაცია 10 ივლისიდან (ახალი სტილით) სამი კვირის მანძილზე უნდა მოხდეს. ეს ვადა უკვე დამთავრდა ჩვენი სტილით 22 ივლისს, მაგრამ ტელეგრაფს ჩვენთვის არ უცნობებია ყველა სახელმწიფოს მიერ ამ ცნობილი დიპლომატიური დოკუმენტის საბოლოო რატიფიკაცია.

სამაგიეროდ ტელეგრაფი, ყველა გაზეთის კორესპონდენტები, ორატორები და პუბლიცისტები თანაბარი გულუხვობით იუწყე-

ბიან ავსტრია-უნგრეთ-თურქეთის ტრაქტატის გამოქვეყნების ვადას, რომელიც როგორც ინგლის-თურქეთის ტრაქტატის დამატება, ბუნებრივი და აუცილებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ორივე მოწინააღმდეგის ერთობლივ მოქმედებას არავითარი პრაქტიკული შედეგები არ მოჰყვება. ამის შემდეგ სარწმუნოა ისიც, რომ დაიდება თურქეთ-საბერძნეთის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ბერძნებს, თურქეთისათვის დათმობების ასანაზღაურებლად, უფლებას მისცემენ ავსტრია-უნგრეთთან ერთად ჩაატაროს ექსპერიმენტები თურქეთის იმპერიის სლავების ავტონომიურ ოლქებში, წმინდა მამის მონაწილეობით, რომელმაც თავისი არმია უკვე გაგზავნა ლოცვა-კურთხევით ავსტრია-უნგრეთის დასახმარებლად და ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დასაკავებლად.

ყველაფერი ეს ისე მარტივი და ბუნებრივია, რომ არ შეიძლება არ დაიჯერო. მაგრამ ამ შემთხვევაში უნებურად ისმება კითხვა: სადაა რუსეთის მიერ გაღებული მსხვერპლისა და დათმობების შედეგი; სადაა ბერლინში გამოთქმულ თვალსაზრისთა შედეგები და გადაწყვეტილებანი აღმოსავლეთის საკითხის სიძნელეთა შესახებ? უკანასკნელ ომამდე ევროპის საგარეო ძალების დაჯგუფება ასეთი იყო:

თურქეთი აღიარებულ იქნა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავის ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის მშვიდობისა და უსაფრთხოების მიცემისათვის უნარმოკლებულ სახელმწიფოდ. ამით განაჩენი გამოუტანეს კონსტანტინოპოლის კონფერენციას[30], რამაც ხელები გაუხსნა რუსეთს და შესაძლებლობა მისცა იარაღით გაეთავისუფლებინა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანი ხალხები.

მაგრამ რუსეთის წარმატება საფრთხეს უქმნიდა ინგლისსა და მის ინტერესებს. ამიტომ ინგლისი არა მარტო აშკარად ამარაგებდა თურქეთს ფულით, იარაღით, ოფიცრებითა და სხვ., არამედ დიპლომატიური გზებითაც იცავდა თურქეთის ბატონობის ყველა ინტერესს.

მაგრამ ინგლისი მარტო თავის მრავალრიცხოვან საშუალებებს არ ეყრდნობოდა და ავსტრიასთან ერთად ხელჩაკიდებული მიდიოდა. და თუ ეს უკანასკნელი არ მიიყვანა რუსეთისათვის ომის გამოცხადებამდე, იმის შესაძლებლობა მაინც მისცა, რომ მუდამ მზად ჰყოლოდა ჯარი რუსეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. სამი იმპერატორის კავშირი ამ აშკარა მტრობას მხოლოდ ნიღბავდა მშვიდობის მისაღწევი დიპლომატიური მეცადინეობით.

ამასთან ერთად, ინგლისმა მუქარითა და დაპირებებით შეაჩერა ბერძენი ხალხი და საბერძნეთის მთავრობა — განეახლებინა, და

მონაწილეობა მიეღო თურქეთის წინააღმდეგ ომში. ამგვარად, ომის წინ, თუმცა ომი მხოლოდ თურქეთს გამოუცხადეს, ყველას და ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა ომის შესაძლებლობა — რუსეთისა არა მარტო თურქეთთან, არამედ ინგლისის, ავსტრია-უნგრეთისა და საბერძნეთის წინააღმდეგ ერთდროულად.

სწორედ ამგვარი ევროპული შეჯახების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ჯერ კიდევ iu spe იყო, ფიქციისა და ვარაუდის სახით, და რომელსაც არავითარი იურიდიული საფუძველი არა ჰქონდა, შეიკრიბა ბერლინში კონგრესი და მიიღო თავისი გადაწყვეტილებანი, რის შედეგადაც გამომეღავნდა ის, რომ ინგლისსა და თურქეთს შორის შეტევითი და თავდაცვითი კავშირი არსებობს.

თითქმის უდავოა ასეთი კავშირის არსებობა ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთს შორის და სავსებით შესაძლებელია საბერძნეთსა და თურქეთს შორისაც.

ასე რომ, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფება, რომლის არსებობასაც ომამდე მხოლოდ ვარაუდობდნენ, ბერლინის ტრაქტატის შემდეგ ცხადად გამოვლინდა და მალე, ალბათ, ფაქტებითაც დადასტურდება. ამიტომ ჩვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავთ აღმოსავლეთის საკითხის თანამედროვე პოლიტიკური სიძნელეების გადაჭრაში — ბერლინის ტრაქტატისა და კონსტანტინოპოლის კონფერენციის შემდეგ. დიპლომატიაში ჩვენ ჩქარი ნაბიჯით დავრბოდით ერთ ადგილას და ამით ვარაუდს შესაძლებლობა მივეცით ფაქტებად გადაქცეულიყვნენ. ასე რომ, ჩვენს დიპლომატებს ჭკუის სასწავლებლად შეუძლიათ გაიხსენონ ჯარისკაცთა სიმღერა Слышу, вижу — Сам я догадался!

მაგრამ ისტორია ამტკიცებს, რომ დიპლომატების კეთილმომქმედი და მცდარი მეცადინეობა ვერ შესცვლის მოვლენათა ლოგიკას. მოვლენები თავის რიგით ვითარდება და, მიუხედავად ლორდ ბიკონსფილდის მსგავსი პატივმოყვარე ადამიანების ეშმაკური გამოგონებებისა, გონებამახვილური ლაპარაკისა და დაწერილი ხელშეკრულებებისა, ადამიანებისა, რომელთაც სურთ შეაჩერონ კაცობრიობის პროგრესული განვითარება, ისინი მაინც თავის რიგზე განვითარდებიან.

დაე, რაც უნდა ის წერონ, მაგრამ რუსეთის არმიამ ფაქტიურად გადალახა ბალკანეთი, მიადგა კონსტანტინოპოლს და გაანთავისუფლა სლავები თურქეთის უღლისაგან. სულ ერთია, ცნობს თუ არა ამ ფაქტს ბერლინის ტრაქტატი, ქრისტიანებმა მოიპოვეს იარაღის ტარების უფლება და, ცხადია, გამოიყენებენ მას საკუთარი კეთილ-

დღეობის დასაცავად. რა დაჩაგრულნიც არ უნდა იყვნენ ბულგარელები, როგორც არ უნდა ჰქონდეთ დაკარგული წინაპართა საბრძოლო სულისკვეთება, არ შეიძლება მთელი ერი მხოლოდ ნაძირალებისაგან შესდგებოდეს. დაე, ავსტრია-უნგრეთმა წმინდა მამის ლოცვა-კურთხევით იქადაგოს კათოლიციზმი, როგორც ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საშუალება, დაე, მოვიდნენ ბერძნები თავიანთი ენით და შეეცადნონ შეზღუდონ ბულგარელები, დაე, ინგლისმა გააფართოვოს თავის ფაბრიკატების შეტანა და ნედლი მასალის გატანა ბულგარეთიდან, ამ ქვეყნის ეკონომიური მოთხოვნილებების გასავითარებლად, ერთი სიტყვით დაინტერესებული მთავრობების ყველა ეგოისტურმა მისწრაფებამ შეიძლება ხალხს მოსწყვიტოს ცალკეული პირები, მაგრამ მთელი მისი შემადგენლობის დემორალიზაციას ვერ შესძლებენ. ხალხს ყოველთვის ექნება კეთილშობილური ინსტინქტი, ყოველთვის გამოამჟღავნებს პატრიოტიზმსა და თავგანწირვას და ეს მით უფრო აღვილია, რაც უფრო უეჭველია ის, რომ თურქეთში მცხოვრებ ქრისტიანებს აქვთ თავიანთი ისტორია და გეოგრაფია და მათ თავისუფლად შეუძლიათ იპოვონ საყრდენი წერტილი, სოლიდარობა დამოუკიდებელ, ნახევრად დამოუკიდებელ და დაპყრობილ ხალხებთან და მიიღონ დიპლომატიური და ფაქტიური დახმარება გარედან, რაზედაც მათ რუსეთი არასოდეს არ ეუბნებოდა უარს იმ დროიდან, რაც სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა გვაგონდება, თუ რა არაკეთილსინდისიერება გამოიჩინეს ინგლისმა, ავსტრია-უნგრეთმა და თურქეთმა, თავიანთი მოვალეობის აღსრულების დროს, უცნაური იქნება ვეცადოთ ბერლინის ტრაქტატის სწრაფ რატიფიკაციას. რუსეთმა ჯერჯერობით მხოლოდ შუმლუ დაიკავა. ვარნა და ბათუმი ჯერჯერობით თურქეთის ხელში რჩება და სანამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება, სანამ რუსეთი არ დაიკავებს იმ მცირე ტერიტორიებს, რაზედაც ბერლინში დათანხმდა, მანამდე, რა თქმა უნდა, ჩვენ უფლება გვაქვს ბერლინის ტრაქტატი უმოქმედო დოკუმენტად მივიჩნიოთ, ხოლო ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა ისეთივეა, როგორც კონსტანტინოპოლის კონფერენციამდე იყო. განსხვავება მხოლოდ სტრატეგიულ მდგომარეობაშია: მაშინ ჩვენ პრუტთან ვიდექით და ევროპაში ომის დაწყებას ველოდით, ახლა კი კონსტანტინოპოლთან ვდგავართ და სრულიად არა ვართ დაცულნი ასეთივე ომისაგან. თუ ჩვენი მდგომარეობა აზიაში, ყარსისა და ერზრუმის აღების შემდეგ, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე 1877 წელს იყო, სამაგიეროდ ინგლისის ფლოტის ყოფნა კონსტან-

ტინოპოლში, ინდოეთის ჯარების გადმოყვანა კვიპროსის კუნძულზე და ავსტრია-უნგრეთის შესვლა ჰერცოგოვინასა და ბოსნიაში, ბევრად ართულებს ჩვენს მდგომარეობას ევროპის ბრძოლის ველზე. თუმცა მომავალი ამჟამადაც ისევე გაურკვეველია, როგორც გასული წლის გაზაფხულზე იყო და ყოველგვარ ვარაუდსა და მოსაზრებებს შეიძლება ალბათობის თანაბარი ხარისხით მხარი დაუჭირონ დიპლომატებმა და მხედართმთავრებმა. მხოლოდ ერთი ფაქტია ჯიუტი: მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო ტრაქტატს ხელი მოვაწერეთ, მშვიდობას ჯერჯერობით მაინც ვერ მივაღწიეთ.

22. კულტურული ბრძოლა აზიაში

თბილისი, 25 ივლისი

„გოლოსმა“ [27], სატახტო ქალაქის დიპლომატიურ გაზეთებს შორის ყველაზე უფრო დიპლომატიურმა გაზეთმა, საკმარისად ინუგეშა თავი პატრიოტული ოხვრა-კვნესით ბერლინის კონგრესზე ინგლისის დიპლომატიის გამარჯვების გამო. თითქოს დაავიწყდა ყველაფერი, რასაც ასეთი პათოსით ქადაგებდა, და სრულიად მოულოდნელად ინგლისთან კავშირის მომხრე გახდა.

შევუთანხმდეთ ინგლისს იმისთვის, როგორც ეს იმპერატორ ნიკოლოზს სურდა, რომ გაგვიადვილდეს ავსტრია-უნგრეთთან ბრძოლა, — აი ესაა რუსეთის დიპლომატიის უახლოესი და უდიდესი ამოცანა, ქადაგებს „გოლოსი“ ჩვენს მიერ მიღებულ უკანასკნელ ნომერში და შემდეგ ასეთ განმარტებას იძლევა:

თუ რუსეთის დიპლომატია მტკიცედ იდგომება რუსი ხალხის რეალური ინტერესების საფუძველზე, ამჟამად მას შეუძლია უდიდესი სამსახური გაუწიოს სამშობლოს. ჩვენს დიპლომატიას, თუ-რომ სახელმწიფო სიბრძნეზე დაყრდნობით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს მიზნებიდან გამოდის, შეაფასებს ინგლისის კულტურული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებს აზიაში, შეუძლია ბევრი უმტკივნეულო შეხების წერტილი იპოვოს რუსეთისა და ინგლისის ინტერესებს შორის.

წავიკითხე რა ეს დიპლომატიური მოსაზრებები, დავრწმუნდი, რომ ენა არა მარტო აზრების დასაფარავად მოუცია ღმერთს, არამედ თავგზის ასაბნევადაც. კულტურული ბრძოლა აზიაში — როგორი მაღალფარდოვანი ფრაზა და როგორი უაზრობაა, თუ გავიხსენებთ, რომ ინდოეთი, ინგლისელი ვაჭრების მიერ მის კულტურულ დამუშავებამდე, მთელ აღმოსავლეთს და ევროპას ამარაგებდა მრეწველობის სანიმუშო ნაწარმით, ახლა კი კმაყოფილდება ინგლისის ფაბრიკების ისეთი ნაწარმით, როგორსაც მიაწოდებენ. ეს საყოველთაოდ ცნობილი შედეგი აზიასთან ევროპის კულტურული ბრძოლისა, იძულებულს გვხდის მივიღოთ ევროპის

მიერ ასეთივე მერკანტილური ექსპლოატაცია აზიის მოსახლეობისა და სიმდიდრისა. კულტურული ბრძოლა ინგლისსა და რუსეთს შორის აზიაში ჯერჯერობით იმაში გამოიხატება, რომ ინგლისელები და ინგლისის მთავრობა დიდ ძალას ხარჯავენ, რათა შესაძლებლობა მისცენ ინგლისის საქონელს შეაღწიოს აზიის ყველა იმ ბაზარზე, სადაც კი რუსეთი ვაჭრობს, ან თავის გეოგრაფიული მდგომარეობით შეუძლია ივაჭროს. ინგლისის მთელი სიძულვილი რუსეთის ბატონობისადმი იმით კი არაა გამოწვეული, რომ რუსები ბარბაროსულად ექცევიან დაპყრობილ ხალხებს, აფერხებენ მათ ცივილიზაციასა და კეთილდღეობას, არამედ იმით, რომ რუსეთის მთავრობა მცირე სარგებლობას იღებს დაპყრობილი ოლქებიდან და ძალზე ბევრ ფულს ხარჯავს მათ განვითარებაზე, რის გამოც რუსეთის სახელი ამ ქვეყნებში უფრო პოპულარულია, ვიდრე ინგლისისა. განათლებული მეზღვაურები ამ ამბავს როგორმე შეურიგდებოდნენ, მაგრამ როცა აზიის რომელიმე სახანო რუსეთს უერთდება, მაშინვე წესდება საბაჟო საზღვარი და ინგლისის საქონლის გასაღება ჭირს... სწორედ ამგვარი წყენა ვერ უპატიებიათ ჩვენთვის ინგლისელებს და როგორც არ უნდა ზრუნავდნენ გაანათლონ ჩვენი საზოგადოება იმის ქადაგებით, რომ საჭიროა თავისუფალი, უბაჟო ვაჭრობა, რუსეთის მეფაბრიკეების მფარველი და მხსნელი მაინც საბაჟო ტარიფია და ამიტომ აუცილებელია მისი დაწესება აზიაში, ყოველი ახალი საზღვრის გაყვანასთან ერთად. ამგვარად, ის, რასაც დიპლომატიით გატაცებული „გოლოსი“ აზიაში კულტურულ ბრძოლას ეძახის, სინამდვილეში ჩვეულებრივი სავაჭრო მეტოქეობა და აზიის ბაზრების მონოპოლიისათვის ბრძოლაა. ამ შემთხვევაში განა სასურველი არ იქნებოდა დაგვენახა ის სიბრძნე, რომელიც მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს იცავს და რომელიც გამონახავდა შესაძლებლობას აზიაში მოეწყოს ვაჭრობა იმდაგვარად, რომ ინგლისისა და რუსეთის საქონელი ერთმანეთს კონკურენციას არ უწევდეს, თანაც ამდიდრებდეს რუსებსაც და ინგლისელებსაც და ხელს უწყობდეს აზიაში ცივილიზაციის განვითარებას. მართლაც და, სრულიად არაფერი არ უნდა იცოდე, რომ დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი უბადრუკი საფაბრიკო ნაწარმი, რომლის ყოველი ფუთის გაზიდვა 5-დან 10 მანეთამდე ჯდება, კონკურენციას გაუწევს აზიის ბაზარზე ინგლისის საქონელს, რომლის ყოველი ფუთის გადაზიდვა იაფფასიანი საზღვაო გზით 40 და 50 კაპ. ჯდება! საერთოდ, არ უნდა იცნობდე რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი მის მანუფაქტურულ მრეწველობას, რათა იფიქრო, რომ უცხოურ საქონელზე

ტარიფის გაუქმებით, ჩვენ შეეძლებთ რაიმე გავყიდოთ ჩვენს აზიურ სამფლობელოებში, როცა მთელი ინგლისის ვაჭრობა, თავის ყველაზე საქმიანი წარმომადგენლების ერთობლივი მეცადინეობით, დღე და ღამე იღწვის, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაიტანოს ტრანზიტით — სპარსეთის, მცირე აზიისა და თვით ინდოეთის გზით. იმ არასრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების თანახმად, რომლებიც პრესამდე აღწევენ, ცნობილია, რომ ინგლისური საქონელი ჩვენს შუა აზიის სამფლობელოებში უხვადაა და უფრო იაფი ღირს. აი, რუსეთისა და ინგლისის ინტერესების უმტკივნეულო შეხების ერთი წერტილი, რომელზედაც მიუთითებს დიპლომატიური „გოლოსი". მაგრამ საეჭვოა მას დაეთანხმოს ის, ვინც რუსეთს ფაქტებით იცნობს... დიპლომატები ეყრდნობიან პრინციპებს და კომპრომისებს. ლორდ ბიკონსფილდისათვის და მათთვის, ვისაც მასთან მეგობრობა სურს, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი სამართლიანობისა და ჰუმანიურობის მაღალი გამოვლინებაა აზიის კულტურული განვითარების საქმეში. ხოლო თუ ეს პრინციპი დიამეტრიულად ეწინააღმდეგება რუსეთის სამრეწველო ინტერესებს, შეიძლება კომპრომისზე წავიდეთ (როგორც ამას გვთავაზობს დიპლომატიური „გოლოსი"), კერძოდ: დავტოვოთ ევროპაში მფარველობითი ტარიფი, სადაც იგი უკვე ფეხმოკიდებულია და ნუ დავაწესებთ მას აზიის ჩვენ სამფლობელოებში. განა მართალი არ არის, რომ აქ ცხადად სჩანს ინგლისის სიმტკიცე, ხოლო ამგვარი კომპრომისები რუსეთს მიუკერძოებელს და დიდსულოვანს ხდის? სწორედ ასეთი დიდსულოვანი სურვილებით აიხსნება 1811 წელს ინგლისთან ტრაქტატის[43] დადებაც, რომლის შედეგადაც დიპლომატებმა კალმის ერთი მოსმით წაშალეს პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის მიერ გაწეული შრომა რუსეთის სავაჭრო ფლოტის შესაქმნელად. ამჟამად ფლოტი არ გვყავს და ჩვენ ვფიქრობთ მის ხელახლა შექმნას, რასაც უკვე გამოეხმაურა მთელი რუსეთი, და ახლა ისღა გვაკლდა, რომ გამოგვეგონებინა ამგვარიე ტრაქტატი მანუფაქტურული მრეწველობის ურთიერთობის შესახებ, რაც უთუოდ შეუშლის ხელს ჩვენს მანუფაქტურულ და საქარხნო მრეწველობას. მე მგონი უკვე ყველა დარწმუნდა, რომ რუსეთის მეფაბრიკეებს უცხოელ მეფაბრიკეებთან ბრძოლა შიდა ბაზრებზეც უჭირთ, რასაც უნდა ვუმადლოდეთ იმ რკინიგზის ხაზებს, რომლებიც სტრატეგიული მოსაზრებების გამო ებრაელ-გერმანელმა ბანკირებმა ააშენეს. ევროპაში ჩვენ თითქმის ვერაფერს ვყიდით, ხოლო თუ ამ ბოლო დროს დიდი რაოდენობით გვქონდა რამე, მაგალითად შაქარი, ეს შემთხვევითი მიზეზებით აიხსნება: საერთოდ, ევროპაში

ჩვენ გვაქვს მხოლოდ ნედლი მასალა, რადგან ევროპას სხვა რამ, არ სჭირდება. ამგვარად, ერთადერთი ბაზარი ჩვენი საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმისათვის ეს არის საერთოდ აზიის, კერძოდ კი აზიის ჩვენი სამფლობელოების ბაზრები, რაც უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მანუფაქტურული მრეწველობის გასავითარებლად. აქიტომ ჩვენ ეს ბაზრები ისევე გულმოდგინედ და მტკიცედ უნდა დავიცვათ, როგორც ინგლისი იცავს თავის ინტერესებს, რის შედეგადაც ჩვენ, ბუნებრივად ვხდებით ინგლისის ინტერესების მტრები. გავყიდით ჩვენს საქონელს აზიის ბაზრებზე თვითონ ჩვენ, თუ დავუშვებთ იმას, რომ ინგლისელებმა გამოგვდევნონ ამ ბაზრებიდან — აი მარტივი და ბუნებრივი საკითხი, რომელიც გამოხატავს რუსეთსა და ინგლისს შორის კულტურულ ბრძოლას აზიაში. დიპლომატებს არ მოსწონთ საკითხის ასე ნათლად დაყენება: ასე უბრალოდ დასმული კითხვა არ საჭიროებს განსჯას, ცნობების მოყვანას უწინდელი ტრაქტატებიდან, აზრის გამოთქმას სხვა ევროპულ და აზიურ სახელმწიფოებზე გავლენის შესახებ. იგი უბრალოდ, თხოულობს ჩვენი საზოგადოებისა და მთავრობის განსაკუთრებულ ზრუნვას აზიის ბაზრებზე ჩვენი საქონლის შეზიდვის გასაფართოებლად, რაც ინგლისთან კავშირისა და მასთან უმტკივნეულო შეხების წერტილების ძებნით კი არ მიიღწევა, არამედ — მოსკოვიდან აღმოსავლეთამდე გზების გაუმჯობესებით. მიუხედავად მისი უმაღლესობის ბრძანებისა, ამას მაინც ვერ მივაღწიეთ. მთელი ჩვენი სარკინიგზო ქსელი მოსკოვიდან დასავლეთით ფართოვდება და ჯერჯერობით ციმბირის რკინიგზაც კი ვერ გავიყვანეთ, რომლის გაყვანა პირველ ამოცანად იქცა ყირიმის ომის შემდეგ, მაგრამ პროექტი, მთლიანად, აქამდე არაა შედგენილი. ამიტომ, ჩვენის აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ დიპლომატები ინგლისთან მეგობრობის ძიებას მოეშვან და ხელი არ შეუშალონ საკუთრივ ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის რუსეთის ეკონომიური ამოცანების განვითარებას.

23. ინგლისთან კავშირი

1

თბილისი, 29 იელისი

კავშირი ინგლისთან!.. იყო დრო, როცა ეს კავშირი მთელი ჩვენი ხალხის გულწრფელ სურვილს წარმოადგენდა და დედამიწის მოსახლეობის თითქმის 1/4 ნაწილის კეთილდღეობაზე საუკეთესო ოცნებების საბაბს იძლეოდა. რა არ დაწერილა, რა არ თქმულა ყველაზე გულწრფელი, თბილი სიტყვებით — ორი უძლიერესი სახელმწიფოს ინტერესების სოლიდარობაზე და მათი „დიდი ცივილიზატორული მისიის შესახებ აზიაში!“ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლორდი ბიკონსფილდი იტყოდა — აზიაში ადგილი ინგლისისთვისაც საკმარისია და რუსეთისთვისაცაო, ყველასთვის ცხადი იყო, რომ ინგლისმა და რუსეთმა, რომლებიც დაპყრობის ისტორიულ გზას გაჰყვნენ და უკიდურესად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოების ბუნებრივი საზღვრები, ერთმანეთს ხელი უნდა მისცენ, დასდონ მეგობრული, გულწრფელი კავშირი და თავიანთი სიძლიერე, მთელი ევროპული მეცნიერება და ტექნიკა გამოიყენონ აზიის ნახევრად ველური და ველური ხალხების ცივილიზირებისათვის, ინგლისი — ამბობდნენ მაშინ, როგორც ჩანს ძალზე საფუძვლიანად, — ვერ გაჩერდა ინდოეთში მანამ, სანამ ჰინდიკუშამდე არ მიაღწია და აზიის ველური ურდოებისაგან თავის დასაცავად ჰიმალაის ქედის ფერდობებს არ ამოეფარა; რუსეთი, აგრეთვე საფუძვლიანად ამბობდნენ, ვერ გაჩერდებოდა ქვიშიან ველზე, საიდანაც მას არ ასვენებდნენ მომთაბარე ურდოები და გარდა ამისა, ღარიბი და გამოუსადეგარი ქვეყანა ვერ ანაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს და, ბუნებრივია, დაპყრობა ინდოეთისაკენ უნდა განეგრძო. მაგრამ როცა დაიპყრო ტაშკენტი, სამარყანდი, დაიკავა კოკანი, ხივა და ბუხარა, რუსეთს აღარ სჭირდებოდა სამფლობელოების შემდგომი გაფართოება. ახლა მას არავითარი საბაბი არა აქვს — ეშინოდეს ინგლისთან შეჯახებისა და ამიტომ უნდა ისწრაფოდეს იმისაკენ, რომ შეუერთოს ინგლისს თავისი ძალა, რათა გაავრცელონ თავიანთი ზნეობრივი გავლენა აზიის ტომებზე და ურთიერთ მეგობრობის ძალით წაართვან მათ ერთი სა-

ხელმწიფოს საზიანოდ მეორესთან მეგობრობისაგან ყოველგვარი სარგებლობის იმედი. თუ კი ინგლისს არ სჯერა რუსეთის გულწრფელობა, ეს უნდობლობა შეიძლება აღმოიფხვრას ზოგიერთი მსხვერპლის გაღებით. მაგალითად, უზრუნველვყოთ მისი სამფლობელოების სიმშვიდე ავღანეთის ემირის სამფლობელოების ეგრეთ წოდებული ნეიტრალური ზონით...

ინგლისთან მეგობრობა იმდენად სასურველი იყო, რომ ჩვენში არავინ არ აქცევდა ყურადღებას, თუ როგორ პატივში ყავდა ავღანეთის ემირი ინგლისს და ის, რაც ჩვენ ნეიტრალური მიწები გვეგონა, სინამდვილეში ინგლისის ვასალური სამფლობელო ყოფილა. და აი ჩვენ მივეცით ავღანეთის ემირს ბარხანი, ბადახშანი, ადკუი, მეიმანი, რაც მას არასოდეს არ ეკუთვნოდა. ჩვენ უარი ვთქვით სირდარიის სათავეების დაკავებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისელებს შევყვარებოდით და დაგვედო მასთან კავშირი, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ და სასიხარულოდ.

როგორც ცნობილია, ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა გრაფმა შუვალოვმა: რუსეთისა და ინგლისის სამფლობელოების გამიჯვნა ურთიერთთანხმობით მოხდა და ყველამ დაინახა, რომ მალე დაიდება სასურველი კავშირი, რისი თავდებიც იყო ჩვენი ხელმწიფის ქალიშვილის ქორწილი დედოფალ ვიქტორიას შვილთან[44]. ვინც იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა, მან თვითონ დაინახა, ხოლო ვინც რუსეთის სხვა ქალაქებში იმყოფებოდა, მან გაიგონა, წაიკითხა და ლაპარაკობდა მთელი საზოგადოების გულწრფელ სიხარულზე ამ ამბის გამო; ყველა თვლიდა, რომ დაიწყო ახალი ერა, უახლოესი ეკონომიური და ზნეობრივი ურთიერთობის ერა ორ ისეთ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ერთმანეთს პატივს სცემენ. ფრანგულმა ენამ დაკარგა პირველობა, დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა და გაბატონება. რუსეთში ისე გულმოდგინედ სწავლობდნენ ამ ენას, რომ ომის შემთხვევაში ჩვენ უცხოელი მთარგმნელები აღარ დაგვჭირდება, ხოლო თუ რამდენი შამპანური დაილია ინგლისის კავშირის სიმტკიცისა და დღეგრძელობისათვის, ამის დადგენა შეუძლებელია სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო, რადგან სვამდნენ ყველგან, ოფიციალურად და კონფიდენციალურად... მაგრამ ჩვენი საუკეთესო სურვილების განხორციელება ბედმა არ ინება...

ხივინის ლაშქრობამ, ხივინის ხანის დატყვევებამ დაარღვია მეგობრული კავშირი და ჩვენი სულგრძელი დათმობა—ეღიარებინათ ნეიტრალური ზონა, რომელიც დაიკავდა ინგლისის სამფლობელებს, ინგლისის პრესამ მიიჩნია ხაფანგად, რაც თითქოს ჩვენ გულუბრყვილო ინგლისელებს დავუგეთ. მაგრამ ამავე დროს ეს გულუბრყვი-

ლობა საკმაოდ გარკვეულად გამოიხატა აზიისა და აფრიკის ტერიტორიებისა და იმ კუნძულების დაპყრობაში, რომლებიც ახლო არიან სუეცის არხის გამოსასვლელთან; გამოიხატა ინდოეთის ჩრდილოეთ ოლქების სამხედრო საშუალებების გაძლიერებაში; აბისინიის ომში, რომლის მთავარი მიზანი იყო ინგლისის პრესტიჟის ამაღლება მეზობელ ქვეყნებში, რადგან ბატ. კამერონი, რომელსაც კარგად იცნობენ ჩვენი კავკასიელები, როგორც ვიცე-კონსულს ფოთში და რომელიც აბისინიის პეგასმა ციხეში ჩასვა, მხოლოდ საბაბი გახდა ინგლისის სიძლიერის დემონსტრირებისა ინდოეთთან ახლო მცხოვრები აზიელი და აფრიკელი ტომების წინაშე; და ბოლოს გამოიხატა აგრეთვე იმ გაცხარებულ წინააღმდეგობაში, რომელსაც რუსეთის პოლიტიკას უწევს კონსტანტინოპოლში. ახლა ინგლისი ამარაგებს სულთანს ფულით, რათა მან შეჰქმნას ძლიერი ფლოტი და სახმელეთო არმია, ამავე დროს აწყობს ყოველგვარ ინტრიგებს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანებს შორის იმ მიზნით, რომ შეაძულოს მათ რუსეთი და გეზი ააღებინოს ავსტრიასა და ინგლისზე...

სულთანის სატახტო ქალაქში, რა თქმა უნდა, ინტრიგები, მემორიები და დიპლომატიური ბრძოლა თავისი რიგით მიდიოდა, ხოლო ბალკანეთის ხალხთა ცხოვრება, რასაც ჩვენში ასე კარგად ადევნებდნენ თვალყურს, იმუშავებდა სხვა, პრაქტიკულ საკითხებსა და დასკვნებს. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის აჯანყებამ, ჩერნოგორიისა და სერბიის ომებმა ეს საკითხები წინ წამოსწიეს და დიპლომატიას მისდაუნებურად მოუხდა ამ საკითხების განხილვა. ამას მოჰყვა რუსეთის ულტიმატუმი, რამაც შეაჩერა სერბიის საბოლოო დამარცხება. კონსტანტინოპოლში მოეწყო კონფერენცია, ბერლინის კონგრესის წინამორბედი კონფერენცია, რომელზედაც, მსგავსად ამ უკანასკნელისა, უეცრად გამოცხადდა ოტომანთა იმპერიის კონსტიტუცია, რამაც ზედმეტი გახადა ევროპული დიპლომატიის მზრუნველობა პორტას ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის ზოგიერთი უფლებების მინიჭების შესახებ. ამ დროს კი სულთანმა მათ მიანიჭა ისეთი უფლებები, როგორითაც ევროპის კონსტიტუციური სახელმწიფოების ქვეშევრდომები იშვიათად სარგებლობდნენ. ასევე ზედმეტი აღმოჩნდა ახლა ევროპის სახელმწიფოების მეცადინეობა ბერლინის კონგრესზე — გადაეწყვიტათ თურქეთის პოლიტიკური ბედი, რადგან ინგლისმა უკვე თავისებურად მოაგვარა იგი და ვალდებულება იკისრა დაიცვას ეს წყობა მთელი თავისი მატერიალური საშუალებებით.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე ჩვენ მოწმენი ვიყავით რუსეთის წარმომადგენლის, გენერალ იგნატიევისა და ინგლისის წარმომადგენლის, მარკიზ სოლსბერის გულითადი მე-

გობრობისა. ეს სწორედ ის მარკიზია, რომელიც ბერლინის კონგრესზე ლორდ ბიკონსფილდისა და მისი რუსეთისადმი, ჩვენი ქვეყნის წარმატებისადმი სიძულვილის განსახიერება იყო... მაგრამ ამავე დროს ლორდი ელიოტი თავისი გზით მიდიოდა: მის განმანათლებლურ მისიას უნდა უმადლონ აბდულ-აზიზის სიკვდილი, მურად მე-5-ის მიერ ტახტის დაკარგვა, აბდულ-ჰამიდის ტახტზე ასვლა და, ბოლოს, მთელი თურქეთი მადლიერი უნდა იყოს იმისა, რომ მას მიენიჭა ახალი ტიტული და კონსტიტუციური იმპერიის წოდება, რაც სულთანის უფლებებს ზღუდავს და განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებს დიდ ვაზირს. ამგვარად, ინგლისელებისათვის მეგობრობა მეგობრობის გზით მიდიოდა, სამსახური კი სამსახურის გზით, და რადგან ამ ორი ცნების გაერთიანება შეუძლებელი იყო, მახვილი გონების პატრონმა მისტერმა დიზრაელმა ეს ორი მოვაღლეობა ორ თანაბრად უფლებამოსილ ორ რწმუნებულს გაუყო. ამას ყველა ხედავდა და ყველას ესმოდა. მიუხედავად ამისა, რუსეთში არავინ არაა ინგლისთან ომის მომხრე, ყველა გულწრფელად ესწრაფვის მასთან მშვიდობასა და მეგობრობას. რა თქმა უნდა, საწყენია ის ამბავი, რომ მთელი ჩვენი ავანსი, თავაზიანობა, მსხვერპლის გაღება ინგლისის სასარგებლოდ, ინგლისელებს ჩვენი გულკეთილობით არ აუხსნიათ და მათში ეს გარემოება სულ უფრო მეტ და მეტ უნდობლობას იწვევს. მაგრამ ჩვენ ვცდილობდით არ შეგვემჩნია ეს და კვლავ ვუმღეროდით საერთაშორისო ურთიერთმოქმედებით გამოწვეულ სიმშვიდეს აზიაში და ევროპასთან კავშირს აღმოსავლეთის საკითხში...

იყვნენ ისეთი პუბლიცისტები, რომლებიც ცდილობდნენ ინგლისის შეშინებას ამერიკასთან მეგობრობით; მაგრამ მათი ხმები გაიბნა იმ ხმათა მასაში, რომლებიც ინგლისთან კავშირის კეთილმყოფელობას უმღეროდნენ.

ინგლისი კი თავისი გზით მიდიოდა და საკუთარ ინტერესებს ემსახურებოდა. კონსტანტინოპოლის კონფერენცია მან, კონსტიტუციური პროკლამაციების მეშვეობით, უსარგებლო გახადა, ეს დრო გამოიყენა თურქეთის არმიის საბოლოოდ მომზადებისათვის და რუსეთი ჩაითრია თურქეთთან მარტო ომში იმის იმედით, რომ თურქეთის ძლიერი ფლოტი გაანადგურებს ჩვენ სანაპირო ქალაქებს, ყველა საზღვაო წამოწყებას, სახმელეთო არმიასა და, თუ თანდათან მომაგრდება და სათანადო ხელმძღვანელობა ეყოლება, დიდი ხნით შეაჩერებს ჩვენს ჯარებს...

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც აღტაცებულნი ვიყავით გლადსტონის, ფარლეის და სხვათა სიტყვებით აღშფოთების გამომხატველ

მიტინგებზე და აქაც, ამ ფრაზებშიც ხედავდნენ ინგლისელი ხალხის გულწრფელ გრძნობას ჩვენდამი. „Oriental Star“[45] რუსეთშიც აღმოჩნდა და ჩვენ იძულებული ვიყავით გვეღიარებინა, რომ რუს პუბლიცისტებს არ შეუძლიათ ასე ფაქიზად, კარგად ეგრძნოთ და გადმოეცათ ჩვენი ახლანდელი დამოკიდებულება ბალკანელი სლავებისა და აღმოსავლეთის საკითხებისადმი. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ხელებს ვასავსავებდით! ინგლისელებმა გვაჯობეს ჩვენი საკუთარი განცდებისა და მოქმედების გადმოცემაში. ამბობენ, სიყვარული სასწაულებს ახდენსო! მაგრამ აქ გამომჟღავნდა ზოგიერთი ახალი ვითარება, რაზედაც შემდეგ სტატიაში ვილაპარაკებთ...

2

თბილისი, 31 ივლისი

აღშფოთების გამომხატველმა მიტინგებმა, რომლებიც ასე აცთუნებდა ჩვენი ხალხის თავმოყვარეობას და ინგლისელებს ყველაზე კეთილშობილ და სამართლიან ხალხად მიგვაჩნევინებდა, გვაიძულა მოუთმენლად დავლოდებოდით ინგლისის პარლამენტის სხდომის გახსნას. ჩვენში ყველა დარწმუნებული იყო, რომ მისტერ დიზრაელი პირველივე სხდომის შემდეგ გადმოყირავდებოდა თავის ეგოისტური, რუსეთისათვის მავნე და თურქეთისათვის ხელსაყრელი პოლიტიკით, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა, პირიქით, გლადსტონმა, სლავების და რუსების თანაგრძნობისათვის დაკარგა ყოველგვარი პოპულარობა და ინგლისელი ხალხისაგან მას შეურაცხმყოფელი დემონსტრაციები ჰხვდა წილად. ხალხისაგან, რომლის ნაზი გრძნობებიც ჩვენდამი თითქმის გვწამდა. როცა სამინისტრომ „ინგლისის ინტერესებზე“ დაიწყო ლაპარაკი, ოპოზიციამ ხმის ამოღებაც ვერ გაბედა. იმის მაგივრად, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკისათვის, პალატამ ხმა მისცა სამხედრო მზადებისათვის გამოყოფილი კრედიტის სასარგებლოდ.

ჩვენც კი მივხვდით, რომ მეგობრობის ამგვარი გამოხატვა სიყვარულს არა ჰგავს და ღრმად ჩავფიქრდით: როგორ მივაღწიოთ ინგლისთან კავშირს აღმოსავლეთის საკითხების საფუძველზე, აზიის ცივილიზაციის საქმეში ურთიერთ მხარის დასაჭერად. ჩვენთვის გაუგებარი იყო ასეთი დამოკიდებულება რადგან მზად ვიყავით დაგვეთმო ყველაფერი მეგობრის გულისთვის. გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება შემოწირულების მიღებაზე უპასუხო არა უარით, როგორც ეს მიღებულია სამართლიანობის გულისათვის, არამედ მო-

ითხოვო მოგცენ ის დაუყოვნებლივ და კიდევ მეტი დაუმატონ; და თანაც ბევრ რამეს იმათგან ხელი არ ახლო, რათა ინგლისს შეუნახო მომავლისათვის...

მაგრამ, როცა ყოველივე ეს უდავო ფაქტებით დადასტურდა, ჩვენ ჩვენდა უნებურად მიეხვდით, რომ ვცდებით. საჩუქრებით მეგობრობის დამყარება მხოლოდ კერძო პირთა შორის შეიძლება, საერთაშორისო ურთიერთობაში კი არც ერთი ხალხი და არც ერთი სახელმწიფო არ ზრუნავს საკუთარ სიმპათიებზე, არ კმაყოფილდება შეთავაზებულით, ანგარიშს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს უწევს და იღებს ყველაფერს, რაც ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ესაჭიროება. მართალია, ჩვენ ეს გავიგეთ, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ასეთი საქციელი არაკეთილშობილურია; ინგლისელები რომ ასე იქცევიან, ეს ძალიან ცუდია და ჩვენ მათ არ უნდა მივბაძოთ. ჯობია კიდევ მოვითმინოთ და ინგლისელებს თვინიერებით ვძლიოთ. დე დაინახონ როგორი კარგი ხალხი ვართ; მაშინ ისინი შეგვიყვარებენ, დაგვიმეგობრდებიან და, აზიის ხალხის საკეთილდღეოდ, სამუდამო ზავს დასდებენ ჩვენთან.

მოვლენები კი თავისი გზით ვითარდებოდა. მათ იძულებული გაგვხადეს შევსულიყავით რუმინეთში, გადაგველახა დუნაი, აგველო ნიკოპოლი, და პლევნასთან გავჩერებულიყავით. ყოველი ჩვენი წარმატება ინგლისის პრესაში იწვევდა კვნესასა და სასოწარკვეთილებას, ხოლო მთავრობა აშკარად ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენთვის. ყოველი ჩვენი წარუმატებლობა გულწრფელ კმაყოფილებას აღვივებდა, ხოლო ლორდი ბიკონსფილდი ახალ-ახალ საშუალებებს მიმართავდა იმისათვის, რომ ომი ,ყველაზე გამანადგურებელი ჩვენთვის ყოფილიყო. ნოემბერში ჩვენ ,ყარსი და პლევნა ავიღეთ, გავანადგურეთ და ტყვედ ჩავიგდეთ მთელი არმიები, ინგლისი კი თავს არ იზოგავდა და ცდილობდა მთელი ევროპა ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინა. არ ყოფილა ისეთი ცილისწამება რუს ხალხზე და რუსეთის არმიაზე, რომელიც ინგლისის სამინისტროს ოფიციალურ დოკუმენტებში არ ასახულიყო. საკმარისია გავიხსენოთ ინგლისის დიპლომატიური აგენტების მიერ პარლამენტში წარდგენილი მოხსენება, თითქოს რუსები სასტიკად ექცეოდნენ მუსულმანებს, რაც შემდგომში ლორდ ბიკონსფილდის მითითებით შედგენილი წმინდა წყლის გამონაგონი აღმოჩნდა. მაგრამ, ზამთარმა ბალკანეთის მთები თოვლით დაფარა და ლორდი ბიკონსფილდის სულსწრაფობა დააცხრო. ის ვარაუდობდა გაზაფხულამდე დაეყოვნებინა გადამწყვეტი მოქმედებები და დიპლომატიური ფოკუსებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა სწორედ ზამთარში გადალახეს ბალკანეთი,

თურქეთის არმიები გაანადგურეს და გაუმაგრებელ ჰალიპოლსა და კონსტანტინოპოლს მიადგნენ... საჭირო იყო მოქმედება და „ვერაგი ალბიონი“ ამოქმედდა მეტად ვერაგულად. ინგლისის ფლოტი საკუთარი ინტერესების დასაცავად დარდანელში შევიდა.

მიმართეს რა ამასობაში გამარჯვებულის სულგრძელობას, განუმარტეს მას საბოლოო წარმატების ხელიდან გაშვების დიდი მნიშვნელობა, ევროპის საერთო სიმშვიდის დაცვისათვის, და მთელი სარგებლიანობა დაყოვნებისა, ვიდრე ინგლისი საკმაო ძალებს მოაგროვებდა, რათა შემდეგ აშკარად გამოსულიყო რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენ გვსურდა ევროპას ჩვენს შესახებ კეთილი აზრი შერჩენოდა და მზად ვიყავით ყველაფერი დაგვეთმო, ოღონდ არ დაეჭვებულიყვნენ, თითქოს ჩვენ მხოლოდ ეგოისტური მიზნებისათვის ვიღწვით. ამიტომ ჩვენი გამარჯვებული ჯარი ჰალიპოლისა და კონსტანტინოპოლის წინ შეჩერდა, რომელთა გამაგრება თურქებმა მაშინვე დაიწყეს ინგლისელი ინჟინრების ხელმძღვანელობით. მისტერ ლეიარდმა სულთანი დაარწმუნა, რომ დროის მოგების მიზნით შესაძლოა ზავის დადება და ტრაქტატის შედგენა, რომელსაც შემდეგ მთელი ევროპის დიპლომატიური ძალდატანებით შეცვლიდნენ. ბრწყინვალე ომი ჩვენ ს.-სტეფანოს ზავით [46] დავამთავრეთ და სწორედ აქედან დაიწყო ინგლისმა რუსეთისადმი გულწრფელი დამოკიდებულების გამომჟღავნება, დამოკიდებულებისა, რომელიც გამოიწვია ორი სახელმწიფოს ყოფის ისტორიულმა განვითარებამ და არა კერძო პირთა ურთიერთობის განმსაზღვრელმა სიმპათიებმა და ანტიპათიებმა, რაც საერთაშორისო ურთიერთობაში ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს.

ინგლისმა აღიარა, რომ რუსეთის ძლიერების ზრდა მის ინტერესებს ვნებს, მტკიცედ განაცხადა ამის შესახებ და ცხადჰყო ფაქტებით. საერთაშორისო სიმართლის თვალსაზრისით იგი სრულიად მართალია, რადგან ყოველი მთავრობის ძირითადი მოვალეობა საკუთარი ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვაა. ამაღლებული გრძნობები, დიდსულოვნება, თვინიერება კერძო პირის პატივისცემის შემთხვევაში დიდი უფლებაა, მაგრამ ხალხს, რომელსაც მატერიალურად არ აკმაყოფილებენ, კეთილ ყოფას უსპობენ და მშიერ მასად აქცევენ, არ შეუძლია მშვიდად ისარგებლოს ცივილიზაციის ზნეობრივი სიკეთით. მშიერი ველური და მშიერი ევროპელი ერთნაირად უბედურია, რომელთაც ჯერ საკვები უნდა მისცე, რადგან სხვა არაფრის მოთხოვნა არ შეუძლიათ და სანამ არ გაძღებიან, არც შრომის უნარი ექნებათ. ხოლო ისეთი დიდი და კომფორტს მიჩვეული ხალხის გამოკვებაზე ზრუნვა, როგორიც ინგლი-

სელებია, საკმაოდ მძიმე ტვირთია. ინგლისი საქარხნო და მანუფაქტურული წარმოებით ფართოდ განვითარებული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწით კი არ ირჩენს თავს, არამედ ნედლეულის გადამუშავებით. სახალხო შრომის ასეთი ფორმა, როგორც ცნობილია, თითოეულ მუშას მეტ შემოსავალს აძლევს, ვიდრე სამიწათმოქმედო კულტურა; ამდიდრებს სახელმწიფოს ფულით, მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობა დამოკიდებული ხდება ფაბრიკების მწარმოებლობის ფარგლებზე, რაც, თავის მხრივ, მთლიანად ფაბრიკატების გასაღებაზეა დამოკიდებული. ამგვარად, ისტორიული განვითარების მსვლელობამ ინგლისი იძულებული გახადა თავისი ძლიერება ფაბრიკატების გასაღების პროგრესულ ზრდაზე დაემყარებინა. საქონლის გასაღების შემცირება და ფაბრიკების მწარმოებლობის დაქვეითება ინგლისისათვის ისეთივე საშინელი და დაუძლეველი უბედურებაა, როგორც გვალვა ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც იგი მილიონობით ადამიანს სრულიად უმწეოს ხდის და შიმშილით სიკვდილისაგან მათ ვერაფერი იხსნის, თუ არა ძველი მარაგი, ძველი დანაზოგი და სასიცოცხლო პროდუქტების გარედან შემოტანა. ამიტომ ის, რასაც „ვერაგ ალბიონს" უსაყვედურებენ — საგარეო პოლიტიკაში იდეალური მიზნების უქონლობას—საკუთარი ხალხის წინაშე ინგლისის მთავრობის დიდი დამსახურებაა. მართლაცდა, რა ესაქმება მანჩესტერის ფაბრიკის მუშას, რომში პაპი ბატონობს, თუ იგი გარიბალდიმ შესცვალა, ანდა რომელიღაც ნაპოლეონმა, წმინდა მამისადმი პატივისცემისა და საფრანგეთის ღირსების დასამტკიცებლად, რომის დასაპყრობად თავისი ჯარები გაგზავნა თუ არა? მას მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებს — როდის გაიყიდება უფრო მეტი ინგლისური საქონელი: რომის პაპის ბატონობის, გარიბალდის მმართველობის, თუ რომში ფრანგების გარნიზონის დგომის დროს? მაგრამ თუ იქ არაფერი გამოდის? მაშინ, ბუნებრივია, უნდა მოინახოს სხვა ადგილი, სადაც გაიყიდება ის, რაც არ გაიყიდა რომში. აი, ინგლისის პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხი, აი, ინგლისის ყოველი მთავრობის მისწრაფების მიზანი, სულერთია ეს მთავრობა ვიგებისაგან შესდგება თუ ტორებისაგან, მის სათავეში ლორდი ბიკონსფილდი იდგომება, თუ მისტერ გლადსტონი. შეინარჩუნოს არსებული ბაზრები და შეიძინოს ახალი, — აი, ინგლისის დიპლომატიის ალფა და ომეგა, ინგლისის კეთილდღეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის საძაგელი ციინიზმი, რომლითაც ინგლისს მთავრობა აიძულებდა ინდოელებს დაღუპულიყვნენ ოპიუმის მოყვანისას, ხოლო ჩინელებს ზარბაზნების წყალობით იძუ-

ლებულს ხდიდა მოწამლულიყვნენ ევროპული კულტურის ამ ინდუ-
რი პროდუქტით. ცხადია, საძაგლობაა უყურებდე, როგორ ნთქავს
მგელი ბატკანს, მაგრამ მგლისათვის ეს არსებობის აუცილებელი
პირობაა, ამიტომ იქონიო იმედი, თითქოს ზნეობრივი პრინციპების
საჭირო შეგონებით მგელს დაარწმუნებ, რომ თივითა და თალგამით
კვება უფრო კეთილშობილურია, — იმდენადვე უნაყოფო შრომაა,
რამდენადაც უაზრო... ამიტომ უაზრობად მიმაჩნია ყოველი ცდა,
შევაგონოთ ინგლისს, უარი თქვას საკუთარი ინტერესების დაკმა-
ყოფილებაზე საერთო კეთილდღეობის სახელით. ინგლისს შეუძლია
ძლიერი სახელმწიფო იყოს მხოლოდ თავისი ტრადიციული პოლი-
ტიკის დაცვით, რომლის უმაღლეს განსახიერებას წარმოადგენს
ლორდ ბიკონსფილდის ახლანდელი პოლიტიკა რუსეთისადმი. ჩვენი
ფაბულის აზრით, მიუხედავად გრანდიოზული შესაძლებლობისა,
რუსეთი იმ ბატკნის როლს ასრულებს, რომელსაც ინგლისი ნთქავს,
მაგრამ ამ როლის გამო ტირილი ან მასზე უარის თქმა, მთლიანად
მის სურვილზეა დამოკიდებული.

3

თბილისი, 1 აგვისტო

როდესაც რუსეთის არმიები ჰალიპოლსა და კონსტანტინოპოლს
მიადგნენ, ევროპული თურქეთის გადაყლაპვა რუსეთისათვის არავი-
თარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ინგლისი ხედებოდა, რომ ეს უმ-
წეო მხეცი მის ხალხს საკვებად გამოადგება. რუსეთს იგი ხელს ვერ
შეუშლიდა, საჭირო იყო მისი მოტყუება და ინგლისი ამ მოსაზრების
წინაშე არც შეჩერებულა. მისი ყვირილი ცამდე აღწევდა, ევროპის
ინტერესებს საფრთხე მოელისო. რუსეთს კი წინადადება მისცა მოემ-
ზადებინა თურქეთი, როგორი საკმაზითაც უნდოდა, ოღონდ ევროპის
კურთხევის გარეშე ამ კერძისათვის ხელი არ ეხლო. რუსეთი, რომე-
ლიც „აღიარებდა საერთაშორისო ხელშეკრულების სიწმინდეს და
სურდა სამართლისა და კანონიერების უმაღლესი იდეალებისადმი
პატივისცემის ისტორიული მაგალითი ეჩვენებინა“, ადვილად და-
თანხმდა ამ წინადადებას და მიმართა დიპლომატიური წარმომადგენ-
ლების ბერლინის არეოპაგს, რომელსაც საბოლოო განაჩენის გამო-
ტანა მიანდო.

როცა ჩვენ ამ განაჩენს დავემორჩილეთ, მხედველობაში ისევ ინ-
გლისთან მეგობრობა გვქონდა, რასაც ვერავითარი მეცადინეობით
ვერ მივაღწიეთ. ჩვენ მაინც გვჯეროდა, რომ ინგლისელი და რუსი-

ხალხის ინტერესების შეთანხმება შეიძლება ორივეს სასარგებლოდ და სასიამოვნოდ. ლორდ ბიკონსფილდი და მისი ჩვენდამი შეურაცხმყოფელი პოლიტიკა ინგლისელი ხალხის მისწრაფებებისა და გრძნობებისაგან გამოვყავით და დარწმუნებული ვიყავით, რომ კონგრესზე, სადაც უამრავი ინტერესები შეეჯახებოდა ერთმანეთს, ინგლისის პრემიერის პირადი სიძულვილი და არაკეთილმოსურნეობა ვერ გაიმარჯვებდა. სწორედ ამ რწმენიდან გამომდინარეობს ის ლმობიერება და დათმობა, რომელიც წინასწარ შეთანხმებაში გამოიხატა და ასე კადნიერად გამოაქვეყნა გაზეთმა „Globë"-მ, შემდეგ კი, იმავე ბერლინის კონგრესზე ლორდ ბიკონსფილდმა საჭიროდ აღარ ცნო თავის თავი ევროპის საერთო ინტერესების დამცველად წარმოედგინა და საკითხი კატეგორიულად დააყენა: ინგლისის პრემიერი მხოლოდ ინგლისელ ხალხზე უნდა ფიქრობდესო.

და ბიკონსფილდმა შესძლო შესრულება en maître[47]-ის როლის. დაივიწყა რა ყოველგვარი ფარისევლობა და დიპლომატიური ზრდილობაც კი, რუსეთის ზრახვებისა და პატივმოყვარეობის მიმართ უამრავი საყვედური და ეჭვი გამოსთქვა, ბევრი დათმობა გამოსტყუა და ს.-სტეფანოს პრელიმინარული, საზავო ხელშეკრულება ბერლინის ტრაქტადად [20] აქცია. კონგრესზე იგი ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლორდმა ბიკონსფილდმა წინასწარ იცოდა რისთვის ჩამოვიდა ამ კონგრესზე და რა გამოვა ამ კონგრესიდან. იცოდა, რომ ს.-სტეფანოს ხელშეკრულება ანადგურებდა თურქეთს და დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ გამოენახა საშუალება, მხარი დაეჭირა თურქეთისათვის. საჭირო იყო დროის მოგება და აი იგი დიპლომატების ბრწყინვალე საკრებულოში გამოცხადდა, რათა საუბრით შეექცია ისინი, ვიდრე თურქეთი ჰალიპოლსა და კონსტანტინოპოლს ბიუღწეველს არ გახდიდა, სანამ არ შეაგროვებდა და შეაიარაღებდა ახალ არმიებს, ინგლისის ფულითა და ინგლისელი ოფიცრების დახმარებით, სანამ თვით ინგლისი არ დაამთავრებდა საკუთარ სამზადისს, ინდოეთიდან ჯარებს არ გადმოიყვანდა და ავსტრიასა და საფრანგეთს არ გადაიბირებდა.

ამგვარად, აუცილებელი დრო მოგებული იყო და თუ ბერლინის ტრაქტატი მაინც შესდგა, კეთილშობილმა ლორდმა კარგად იცოდა, რომ მასში ყოველივე ისე ჩაიწერებოდა, როგორც თვითონ მოახსენა თავის დიპლომატ კოლეგებს, რომ ყველაფერი ეს ერთსულოვნად იქნებოდა ხელმოწერილი, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ არქივს ჩაბარდებოდა. ხოლო ინგლის-თურქეთის მნიშვნელოვანი საბრძოლო ძალა ამასობაში მტკიცედ გან-

ილაგდებოდა ჰალიპოლისა და კონსტანტინოპოლის გარშემო, ძლევამოსილი ფლოტი შავ ზღვაში შესასვლელს დაიცავდა, რის შემდეგაც ამ ზღვას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა რუსეთის ამომავალი სამხედრო მოქმედებისათვის. თურქეთის სულთანი იძულებული გახდება წმიდად შეასრულოს ბერლინის ხელშეკრულება, მაგრამ ასევე ვალდებული იქნება უნაკლოდ შეასრულოს 4 ივლისს დადებული ინგლის-თურქეთის ხელშეკრულებაც და მაშასადამე, თუ ერთის შესრულებით მეორეს დაარღვევს, ამით მხოლოდ ინგლისის სასარგებლოდ იმოქმედებს.

ჩვენი ხალხის თავმოყვარეობისათვის მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო ლორდ ბიკონსფილდის ცდა—გამარჯვებულნი მსჯავრდადებულის როლში გამოვეყვანეთ და ეს მაშინ, როცა, ჩვენი კანონების მიხედვით, გამარჯვებულს არ სჯიან. საჭიროა გავიხსენოთ ყოველივე, რაც ჩვენში ბერლინის კონგრესის დროს იბეჭდებოდა, მთელი ის ტირილი და კბილთა ღრჭენა, რამაც ხალხი და საზოგადოება აღაგზნო და გააძლიერა მათი მზადყოფნა, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღოთ. მაგრამ ყოველგვარ ბოროტებას თავის დადებითი მხარეც აქვს: ლორდ ბიკონსფილდის დაუფარავმა სიძულვილმა ჩვენდამი, რისთვისაც იგი ინგლისელმა ხალხმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეფურად მიიღო, და, ბოლოს, პარლამენტში წარმოთქმულმა ბრწყინვალე სიტყვამ, რომელიც რუსეთის საუკეთესო მისწრაფებებისადმი ღრმა სიძულვილით, ღვარძლითა და ირონიით იყო გამსჭვალული, რუსეთი, ალბათ, განკურნა ინგლისთან მეგობრობის ძიებისაგან, რაც ახლა იურიდიულადაც შეუძლებელია. ინგლისმა ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე განაცხადა, შემდეგ კი 4 ივლისის ხელშეკრულებაში აღიარა, რომ აღუდგება რუსეთის განვითარებას და წინ არ გაუშვებს. განცხადება, რა თქმა უნდა, თამამია, რადგან ყველანი მოკვდავნი ვართ და ყველას შეუძლია საკუთარი ძალების შეფასებაში შეცდეს. თუ როგორ შეასრულებს ინგლისი ამ მუქარას, მოვლენათა შემდგომი განვითარება დაგვანახებს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ყველა ჩვენმა დიპლომატმა დაინახა, „ტელეგრაფსა“ [48], და „პეტერბურგსკი ლისტოკშიც“ [49] კი, რომ ინგლისთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყოველმა რუსმა გაიგო, თუ რამდენი ბოროტება მოუტანა რუსეთს ინგლისის ინტერესების დაცვამ, მიხვდა იმასაც, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესები ჩვენს მოთხოვნილებასა და საჭიროებას. ინგლისი რუსეთის აშკარა მტერი გახდა და ამისათვის

ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ: მტრული დამოკიდებულება სიფრთხილეს გვასწავლის, მიგვითითებს საფრთხეზე, იძულებულს გვხდის მის წინააღმდეგ საჭირო ზომები მივიღოთ. იეზუიტურ მეგობრობას, თავისი სიყვარულის ფიცითა და ხვევნა-კოცნით, მოულოდნელად მივყავართ უფსკრულის პირამდე. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რას უნდა ველოდეთ ინგლისისაგან და მოვემზადებით. და თუ დინჯად ვიმსჯელებთ ჩვენი და მოწინააღმდეგის სახსრების შესახებ, შეიძლება იმ დასკვნამდეც მივიდეთ, რომ ლორდ ბიკონსფილდს არც იმდენი მოუგია, რამდენიც გვეჩვენება.

24. ომის გაკვეთილებიდან

თბილისი, 29 ივლისი

როგორიც არ უნდა იყოს ბერლინის ტრაქტატის[20] შედეგები რუსეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისათვის ევროპაში, იგი სრულიად არ ამცირებს უკანასკნელი ომის დიდ მნიშვნელობას ჩვენი საშინაო ცხოვრებისათვის. როგორც ცნობილია, ომი იმ პერიოდის შინაგანი ქმედების მკაცრი კონტროლია, რომელიც მას წინ უძღოდა. რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ამბობს ანდაზა. თესვის დრო ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდ ხანს გაგრძელდა: მთელი ოცდაორი წელიწადი. ომი გამოცხადდა 1877 წლის 12 აპრილს და დამთავრდა 1878 წლის 19 თებერვალს, ს.-სტეფანოს ზავით[40]. ასე რომ, მხოლოდ 10 თვეს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში მოპოვებულია ისეთი ბრწყინვალე სამხედრო წარმატებები როგორიც არ მოუცია არც ერთ წინა ომს თურქეთთან. ამგვარად, კონტროლი ამტკიცებს, რომ 22 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ისეთი, რამაც გაზარდა რუსეთის ძალა, შემატა მას ძლიერება, აამაღლა იგი მატერიალურად და ზნეობრივად. ჩვენ არ დაგვჭირდება ამ მრავალი მიზეზის დიდ ხანს ძიება, თუ გავიხსენებთ, რით გამოირჩეოდა ჩვენი სამხედრო ოპერაციები უკანასკნელ ომში. რუსეთის არმია ყოველთვის ცნობილი იყო თავისი დისციპლინითა და გმირობით. მაგრამ ასე ძლიერად არასოდეს გამოვლინებულა არმიაში ჯარისკაცის მაღალი ინდივიდუალური თვისებები, ყოველი ახალწვეულისა და ყოველი მილიციელის მიერ თავისი მოვალეობის შეგნებულად შესრულება და პირადი ჰეროიზმი. როცა იგონებ განცდილსა და გადატანილს, არ იცი რა უფრო მეტ გაოცებას იწვევს და რომელ გმირობას მიანიჭო უპირატესობა. ჩვენი ჯარისკაცები ერთნაირი სიმშვიდით კვდებოდნენ მცხუნვარე მზისა და წყურვილისაგან, ყინვისა და შიმშილისაგან სადღაც ავლიარში თუ შიბკასთან, ბალკანების გადალახვისა და დევე-ბოინში დგომის დროს. გმირულად კვდებოდნენ მტრის იარაღით ყარსისა და ნიკოპოლის იერიშისას, პლევნის ალყის დროს, თუ ჰოსპიტალში—ტიფისა და ჭრილო-

ბებისაგან, ჰოსპიტალში გამეფებული წესებისა და ცუდი მომარაგების გამო. რუსეთის არმიის ჯარისკაცთა თარეშის, ძარცვისა და ძალადობის შესახებ ჩვენ ვკითხულობდით მხოლოდ ინგლისის, თურქეთისა და მადიართა გაზეთებში, მაგრამ სინამდვილეში მსგავსი არაფერი ყოფილა, და დისციპლინის დარღვევის და კერძო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მშვიდობიან დროს ხდება. სამაგიეროდ, რუსეთისა და ევროპის ყველა გაზეთი ერთხმად აღიარებს რუსი ჯარისკაცის გულკეთილობას, მის თანაგრძნობას ომისაგან დაზარალებული მოსახლეობის მიმართ, მტრისადმი შემწყნარებლობას, მომთმენიანობას და ვაჟკაცობას. ერთი სიტყვით, როცა ვიგონებთ ყველაფერს, რაც თითოეულ ჩვენგანს წაუკითხავს, გაუგონია და უნახავს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯარისკაცის ზნეობრივი და მორალური დონე ამ ომში იმ სიმაღლეზე ავიდა, როგორზედაც არასოდეს არ ყოფილა და ეს იმას ნიშნავს, რომ მშვიდობიანი ოცდაორი წელი ემსახურებოდა იმ ფენის პროგრესს და ცივილიზაციას, რომელსაც რუსი ჯარისკაცი ეკუთვნის. და ეს სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, როცა მოვიგონებთ, თუ რა მოხდა ყირიმის ომის [28] შემდეგ: მოისპო ბატონყმური ურთიერთობა და ყველამ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და თანასწოროობა კანონის წინაშე. გაუქმდა ადამიანისათვის სამარცხვინო ფიზიკური დასჯა და სასჯელის ზომის თვითნებურად დაწესება შეცვლილია საჯარო სასამართლოთი, რომელიც საქმეს სწრაფად არჩევს და შემწყნარებლობას იჩენს. შემოღებულია საყოველთაო გაწვევა და გაწვევისაგან განთავისუფლება ახლა სასჯელად ითვლება, — უწინ კი კარისკაცად გამწესება ითვლებოდა სასჯელად.

ჯარში ყველგან შემოღებულია წერა-კითხვის სწავლება და, ნებით გამწესებულთა და იუნკერთა სასწავლებლების რეორგანიზაციის წყალობით, ყველას აქვს საშუალება დაწინაურდეს სამსახურში.

ამ სახელმწიფო ღონისძიებებს, თითოეულს თუ ყველას, ერთი მიზანი ჰქონდა: აემაღლებინა არმიის ზნეობრივი და ვონებრივი დონე და ეს მიზანი მთლიანად მიღწეულია. ჩვენი არმიების ბრწყინვალე ოპერაციები და თითოეული ჯარისკაცის ქცევა მტკიცე პასუხია სიბნელის ყველა მოყვარულთათვის, ისეთებისათვის, როგორიც თავადი მეშჩერსკი და კომპანიაა. ისინი ვითომ ტახტისადმი ერთგულებისა და სამშობლოსადმი სიყვარულის სახელით დითირამბებს უმღეროდნენ ბატონყმობას, იფიცებოდნენ, რომ მკაცრი სასჯელისა და თავად-აზნაურთა წინამძღოლობის გარეშე რუსი ხალხი გზას ასცდე-

ბა და ველურ, აულაგმავ ჯოგად გადაიქცევა. ისინი რომ მართალნი არ არიან, ამაზე მათ თურქეთთან უკანასკნელმა ომმა გასცა პასუხი: რაც უფრო მაღალია მთავრობის ზნეობრივი იდეალები, მით უფრო მტკიცედ იყრის ხალხი თავს მის ირგვლივ...

მაგრამ ამ სასიხარულო დასკვნებთან ერთად, რაც ყოველი ფილოსოფოსისა და ჰუმანისტისათვის სამხედრო ოპერაციების ბრწყინვალებასა და ჩვენი არმიების გმირობას ჩრდილავს, უკანასკნელმა ომმა ჩვენი თანამედროვე სინამდვილიდან დაგვანახა მთელი რიგი ისეთი მოვლენებისა, რომლებიც ყოველი პატიოსანი ადამიანის უნებურ აღშფოთებას იწვევს.

ავადმყოფობისა და იმის გამო, რომ დაჭრილებს არ მივხედეთ, ჩვენ ბევრად უფრო მეტი ჯარისკაცი დაკარგეთ, ვიდრე მტრის ტყვიებისაგან. ჩვენ კოლოსალური თანხა დავხარჯეთ იმისათვის, რომ მოქმედი არმიისათვის ხელსაყრელი და მოხერხებული პირობები შეგვექმნა და მთელი ეს თანხა, რაც ასეული მილიონობით აღირიცხებოდა, რითაც ყოველი ჯარისკაცი ოფიცრის მდგომარეობაში შეგვეძლო გვყოლოდა, უკვალოდ გაქრა, ჯარისკაცები კი ისევ დამპალი ორცხობილას ამარა დატოვეს; მათ ხშირად არ ჰქონდათ არც ცხელი კერძი და არც თბილი, შეძლებისდაგვარად ვარგისი ტანსაცმელი. ბრძოლის ველზე არ ჰყოფნიდათ სახვევი მასალა, ჰოსპიტლებში საჭირო დახმარებას არ უწევდნენ დაჭრილებს, მიუხედავად წითელი ჯვრის მოღვაწეობისა და მთელს რუსეთში დაჭოილებისა და ავადმყოფების სასარგებლოდ დიდი შეწირულობის შეგროვებისა. ამას, რა თქმა უნდა, ვერ დავაბრალებთ იმას, რომ ბრძოლის ველზე სპეციფიური პირობები არსებობდა, ვერ დავაბრალებთ ლორდ ბიკონსფილდის ინტრიგებს და გრაფ ანდრაშის არაკეთილმოსურნეობას.

ჩვენ განვახორციელეთ ხივინის ექსპედიცია, სადაც სამხედრო ოპერაციების წარმოება გვიხდებოდა ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ უდაბნოში, რომლის მხოლოდ გადალახვამ დერვიშად გადაცმულ ბატ. ვამბერს მთელ ევროპაში სახელი მოუპოვა. და მაინც ბრძოლის ველის ამ სპეციფიურმა არახელსაყრელობამ ვერ გაანადგურა ჩვენი რაზმი. ამ წარმოუდგენელი ლაშქრობის დროს ჯარისკაცთა ავადმყოფობა ნორმალურ ფარგლებს არ გასცდენია, რის დამამტკიცებელ საბუთებს არა მარტო ოფიციალურ დოკუმენტებში ვპოულობთ, არამედ მაკ-გახანისა და პრუსიის სამხედრო აგენტის შტურმის კორესპონდენციებშიც.

მაშასადამე, არ არსებულა არავითარი გარეშე მიზეზები, არ არსებულა ბრძოლის მოედნის არავითარი თავისებურებანი, რო-

მელთა მიზეზითაც, თუკი არ ვიცრუეთ, შეიძლებოდეს ჭრილობებისა და ავადმყოფობის მიზეზით ახსნა ჩვენი უზომო დანაკარგის, რისი მსხვერპლიც ჩვენი არმიაა ამ უკანასკნელ ომში. რჩება მხოლოდ ერთი რამ: ამ ბნელი მხარის ახსნა უნდა ვეძებოთ იმავე საიდუმლოებაში, საიდანაც მივიღეთ ზემოთ აღნიშნული ბრწყინვალე შედეგები, სწორედ ჩვენს შინაგან ცხოვრებაში.

ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ ჩვენი შინაგანი ცხოვრების ყველა პირობას, რომელთაც გავლენა მოახდინეს აღნიშნულ საგალალო შედეგებზე; შევეხებით მხოლოდ ფაქტებს, სახელდობრ ფინანსურ კრიზისს, რასაც ახლა განვიცდით.

იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც ყირიმის ომს წინ უსწრებდა, ჩვენი ფინანსიური ადმინისტრაცია მუდამ გაუმჯობესებისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ როგორც კი ერთ ნაბიჯს წინ გადასდგამდა, მაშინვე უკან იხევდა რამდენიმე ნაბიჯით, რადგან საქმის არსი ჩვენ მაინცდამაინც არ გვაინტერესებდა და უმთავრესად ფიქციით ვკმაყოფილდებოდით.

ყირიმის ომმა დაგვანახა, რომ ჩვენში არ არსებობს კერძო თაოსნობა და სახელმწიფოს ყველა ეკონომიურ ამოცანას სახაზინო ხარჯებით აკმაყოფილებენ. სახელმწიფო მიწათმოქმედება, სამხედრო დასახლებების მეშვეობით, ჯარს ამარაგებდა ფურაჟითა და სურსათით; სახელმწიფოს სამთამადნო, მინის, ფაიფურის ქარხნებს, მაუდის, ტილოს ფაბრიკებს და, საერთოდ, ჩვენს მანუფაქტურულ წარმოებას, ფრონტელი ოფიცრებისა და კანცელარიის ჩინოვნიკების მეშვეობით აუმჯობესებდნენ. სახელმწიფო ბანკები აძლევდნენ კრედიტს გარკვეული პირობებით და გარკვეულ ფენებს და ა. შ.

ამგვარად, ყოველ კერძო თაოსნობას, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინებულიყო იგი, ფინანსიური ადმინისტრაცია ისე უყურებდა, როგორც მავნე კონკურენციას, სახელმწიფო ინტერესების ხელყოფას და ამიტომ, ბუნებრივია, იგი შეზღუდეს ფორმალურობით, რაც კლავდა მრეწველობის თავისუფალი, ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობას.

მავნებლობა, რომელსაც ასეთი მდგომარეობა იწვევს, მთლიანად გამომჟღავნდა ყირიმის ომის დროს: როცა დადგა იმის საჭიროება, რომ საკუთარი საშუალებებით დაკმაყოფილებულიყავით, რუსეთი თითქმის უძლური აღმოჩნდა. არ არსებობდა რკინიგზები, არ გვქონდა ფაბრიკები, არ გვქონდა საწვავი, თუჯი, რკინა და ა. შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თავზე საყრელად გვქონდა, როგორც ახლა, მაგრამ ისეთ მიუდგომელ ადგილას იყო, რომ ყველაზე იაფ-

ფასიანი საქონლის გადაზიდვაც კი უზომო ხარჯებს იწვევდა. გავიხსენოთ თუნდაც სამხედრო გემების მშენებლობა პეტერბურგში, სადაც ამისათვის არავითარი საშუალება არ არსებობდა და, უპირველეს ყოვლისა, ამგვარი პირობების შექმნა მოგვიხდა, შემდეგ კი, ბატ. პოლეტიკასა და კომპანიის პატრიოტული მეცადინეობის წყალობით, აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

პარიზის ტრაქტატის[29] დადების შემდეგ კერძო თაოსნობის განვითარებას ყველამ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო კაპიტალი, რაც არ გაგვაჩნდა. საჭირო გახდა კერძო კრედიტი, მაგრამ არც კერძო კრედიტი გვქონდა: და აი დაიწყეს როგორც ერთის, ისე მეორის შექმნა ყველაზე უბრალო გზით; ჩვენ ვისესხეთ კაპიტალი, ავიღეთ კრედიტი და ყველაფერი ეს კერძო მწარმოებლებს გადავეცით.

მაგრამ ამ დროს მოხდა ორი პატარა გაუგებრობა. ჯერ ერთი, ამ იდეების წარმომადგენლები ჩვენ მივიღეთ როგორც თვით იდეები; მაგრამ რადგან იმ დროს ჩვენში არც შეიძლებოდა არსებულიყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მართლა შეეძლოთ წამოეყენებინათ იდეები, ამიტომ ყველას, ვინც კი უბის წიგნაკში ჩაწერილი იდეებით მოდიოდა, მაშინვე იდეურ ადამიანად ვღებულობდით. ამ დროს ადგილი ჰქონდა კურიოზულ მოვლენებსაც. მაგალითად, ცნობილმა ვ. ლ. კოკორევმა უეცრად დაიწყო თავისი იდეების გამოხატვა სუფთა ფრანგული ენით და არავის არ მოსვლია აზრად ეკითხა პატივცემული მოიჯარადრისათვის, რომელმაც თავისი სპეციალობის ყველა ადმინისტრაციული კიბე გაიარა, სად და როდის ისწავლა ასე კარგად უცხო ენები. ისევე, როგორც ახლა, არავინ არ ეკითხება ბატ. ბლიოხს,—საიდან გაჩნდა მისი შესანიშნავი შრომები სტატისტიკის დარგში? ჩვენთვის საკმარისი იყო ისიც, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც მოიტანეს დაწერილი და დაუწერელი იდეების მთელი გროვა, ჩვენი ქვეყნის ყველა სახელმწიფო და ეკონომიური მოტივების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანები ისე მიიღეს, როგორც მთელი რუსეთი, და როცა ამ ხალხს გამდიდრების ყველა საშუალებას აძლევდა, ჩვენს ფინანსიურ სამმართველოს იმედი ჰქონდა, რომ საზოგადოების ყველა ფენასა და მრავალეროვან სახელმწიფოს გაამდიდრებდა.

მეორე გაუგებრობა მოხდა იმის გამო, რომ ცუდად ვიცნობთ არითმეტიკას და ცხოვრების სინამდვილეს. არითმეტიკის მიხედვით, რომლითაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ, ცნობილია, რომ რაკი ისესხე ფული, იგი კიდეც უნდა დააბრუნო პროცენტებით. მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებმა იძულებული

გაგვხადა შეგვენარჩუნებინა ცნებები: „კაპიტალი“, „სესხი“, „პროცენტი“ და, ამავე დროს, შეგვეცვალა მათი ის შეფარდებითი მდგომარეობის სახე, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში უჭირავთ. სესხი უნდა გაცემულიყო კერძო თაოსნობის განვითარების მიზნით, რომელსაც სჭირდებოდა კაპიტალი, მაგრამ ამისთვის პროცენტები უნდა გადაეხადა. ჩვენმა ფინანსიურმა სამმართველომ კი გადაწყვიტა სესხი აეღო სახელმწიფოს ხარჯზე, პროცენტებიც სახელმწიფოს ხარჯზე გადაეხადა, ხოლო კაპიტალი მიეცა კერძო პირთათვის, რათა ამ უკანასკნელთ სახელმწიფოში შეექმნათ კერძო თაოსნობა. ასეთი გადამწყვეტი ღონისძიებების შედეგად არ შეიძლებოდა არ განვითარებულიყო კერძო თაოსნობა ხაზინის მიერ გაცემული სესხის პროპორციულად და ამიტომ, რაც უფრო ფართოდ ვითარდებოდა კერძო თაოსნობა, მით უფრო რადიკალურად ცარიელდებოდა სახელმწიფოს სალარო. მაგრამ ეს გარემოება არავის არ აწუხებდა.

სიმდიდრე ფულში კი არაა, არამედ მოღვაწეობის განვითარებაში. ეს, რა თქმა უნდა, სწორი გამოთქმაა, როცა საქმე მთელი ხალხის მოქმედებას ეხება. მაგრამ ყველა ჩვენი სესხი დაიხარჯა ისე, რომ ვერაფრით ვერ მიაღწია ხალხამდე და მხოლოდ ცნობილი მონოპოლისტების ხროვას შერჩა ხელში. ამიტომ, ბუნებრივია, სესხმა ხალხი ვერ გაამდიდრა, ხოლო მონოპოლისტებს შესაძლებლობა მისცა დაეჩაგრა ხალხი და გაენადგურებინა ხალხის ნაშრომი და კეთილდღეობა. ამგვარად, კონცესიონერებმა ათი და ასი ათასობით ადამიანები გაძარცვეს და დამარხეს რკინიგზის ხაზების გასწვრივ, რომლებიც სპეციალურად გაიყვანეს მიწათმოქმედი მოსახლეობის გამდიდრებისა და კეთილდღეობის მიზნით, ისევე როგორც ახლა ჯარისათვის სახელმწიფო იჯარის მეტისმეტმა სიძვირემ საშუალება მისცა ბატ. ვარშავსკისა და კომპანიას მოესპო და გაეკოტრებინა ათი ათასობით სამხრეულიანი. რა კერძო მრეწველობის შექმნას უნდა ველოდეთ სპეკულანტებისაგან, რომელთაც მიიღეს სხვისი კაპიტალი და რომელთა ერთადერთი მისწრაფება ისაა, რომ ყოველგვარი ხრიკებით შეინარჩუნონ ამ კაპიტალის დიდი ნაწილი თავის სასარგებლოდ.

ასეთმა თაოსნობამ ფართოდ მოიცვა ყველაფერი, რასაც კი რუსეთში შესაძლებლობა ჰქონდა გამოეგონებინა და დაექირავებინა ვინმე ისეთი, ვინც შესძლებდა წამოეყენებინა საერთო სახელმწიფოებრივი სარგებლიანობის მქონე წარმოების იდეა. ბედნიერ მოწინავე საქმოსნებს გაუჩნდათ ბევრი ისეთი კონკურენტი, რომელთა დახრჩობა მხოლოდ ფულით შეიძლებოდა და ამიტომ კერ-

ძო წარმოების ყველა ნასვრეტში ღრმად გაიდგა ფესვები მოქრთამ-
ვის ყველაზე აღვირახსნილმა ფორმამ — კონცესიური მა-
გიის პრაქტიკის ფორმამ. ყველა ბოიცვა ყველაფრის ყიდვის სურ-
ვილმა და გასასყიდ საქონელზე მოთხოვნილებამ გამოიწვია ის სა-
შინელი დემორალიზაცია, რაც მთელი თავისი დაუფარავი სიშიშვ-
ლით გამომჟღავნდა უკანასკნელ საჯარო კონცესიურ ოპერაციებ-
ში არმიის საკვებითა და სხვა საქონლით მომარაგების დროს. ეს
ფაქტი ახლა ცნობილია. მასთან ბრძოლა სახელმწიფო ამოცანაა,
რაც გამოიხატა მრავალრიცხოვან შემოწმებებში და სხვა გამა-
კონტროლებელ საქმიანობაში; ამ ამბავმა იმდენად შეაშინა ყველა
პატრიოტი-ებრაელი, რომ მათ დაიწყეს უცხოელთა სახელზე გა-
დატანა მთელი უკანონოდ შეძენილი კაპიტალისა, რომელიც მათ
მოიპოვეს იმ ჯარისკაცთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე,
რომლებიც პატიოსნად ეწირებოდნენ თავიანთი წმინდა მოვალეო-
ბის შესრულებას.

25. „გოლოსი“ ქართული ენის შესახებ

„გოლოსში“ [27] (№ 191) წავიკითხეთ შემდეგი მოწინავე სტატია, რომელსაც ჩვენმა მკითხველებმა არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციონ:

„ქართული გაზეთი „დროება“ [22] იუწყება, რომ კათოლიკე პატერმა ხარისჩაროვმა კონსტანტინოპოლში გახსნა ქართული სტამბა, სადაც მოკლე დროის მანძილზე დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი ქართულ ენაზე და ბეჭდვა მხოლოდ ომის დროს შეწყდა. პატერი ხარისჩაროვი დიდი ხანი წვალობდა რომში, რომ კათოლიკე პატერებს ნება დართონ ღვთისმსახურება საქართველოში ქართულ ენაზე აწარმოონ. აქამდე სომეხი კათოლიკების წინამძღვარი ნებას არ აძლევდა სასულიერო პირებს — ეწარმოებინათ ღვთისმსახურება საქართველოს რომელიმე კუთხეში ქართულად. გარდა მწუხრის წირვისა. ახლა ღვთისმსახურება კონსტანტინოპოლშიც კი ქართულ ენაზე წარმოებს. იმავე პატერმა ხარისჩაროვმა კონსტანტინოპოლში გახსნა სკოლა, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობენ, უმთავრესად ახალციხის მაზრიდან. ამ სკოლაში საღვთო წერილს ქართულ ენაზე ასწავლიან.

„ამას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ამას წინათ, საქართველოს ეგზარხოსად უწმინდესი იოანიკის დანიშნვამდე, კავკასიის მართლმადიდებლური ეკლესია ხელს უშლიდა ქართველებს რელიგიური წეს-ადათების ქართულ ენაზე შესრულებაში, * რასაც უკვე ვიუწყებოდით... ამავე დროს, არა მარტო ქართულ სოფლებში, არამედ ქალაქებშიც ქართველი კათოლიკები იძულებულნი არიან მართლმადიდებელთა ეკლესიაში იარონ, რადგან არა აქვთ თავიანთი ეკლესიები, ხოლო მართლმადიდებელთა ეკლესიაში ღვთისმსახურება მართლმადიდებლური წესის მიხედვით წარმოებს. ჩვენი სამღვდელოება კი არა თუ არავითარ ზომებს არ მიმარ-

* სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადოთ, რომ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებაში ქართველ სასულიერო პირებს არასოდეს არ უშლიდნენ ხელს და ქართული ენის უფლებას არავინ ზღუდავდა... რედ.

თავს მათ დასაბრუნებლად მართლმადიდებლურ ეკლესიაში, არამედ განათლების დარგის მესვეურნი განუწყვეტლივ დევნიან ქართულ ენას სკოლებიდან.

„სხვათაშორის, არეულობის ერთ-ერთი მიზეზი ამიერკავკასიაში ისაა, რომ ქართველებს უშლიან ქართული ენის შესწავლას.

„ყველა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს საქმის ვითარებას, ერთხმად აღიარებს, რომ არეულობა ხდება პოლიციის წვრილი მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, ამას ისინი ხალხისათვის ყველაზე სასიკეთო სიახლის შემოღების დროსაც კი აკეთებენ. ეს მოხელეები, რომელთა სურვილი მხოლოდ ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია გაუწიონ ხალხს. მთარგმნელების მეშვეობით არასწორად უმარტავენ მათ უმაღლესი ხელისუფლების ახალ განკარგულებებს და ამავე დროს თავი მოსახლეობის კეთილისმყოფელად მოაქვთ. მოსახლეობა ხედავს ამას. გებულობს, თუმცა გვიან, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ხელისუფლების განკარგულება, და იგი ბრაზდება, მაგრამ არა უმაღლესი ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ მამასახლისების, ბოქაულების და ხელისუფლების სხვა წვრილი მოხელეების წინააღმდეგ. და როგორც კი შეამჩნევს თანამდებობის თუნდაც უმნიშვნელო ბოროტად გამოყენებას, მთელი მოსახლეობა ფეხზე დგება და მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როცა მათ გაუსწორდება. ასე მოხდა ორი წლის წინათ სვანეთში, ასე მოხდა სიღნაღის მაზრაში, და, ალბათ, ასევე მოხდა ახალციხის მაზრაშიც. ცნობა ამ მაზრაში მომხდარი არეულობის შესახებ ახლახან გადმოგვცა ტელეგრაფმა *.

„სადავო არაა, რომ განკარგულებების ასეთი არასწორი განმარტებების შესაძლო მიზეზები ისაა, რომ ქართველებმა არ იციან რუსული ენა. მარტო ქართული ენის ცოდნა კი არ კმარა. ყოველგვარი საქმის წარმოება კავკასიაში რუსულ ენაზე ხდება, ხოლო მთარგმნელები თუ განგებ არა, უცოდინარობის გამო მაინც ამახინჯებენ თარგმნის დროს ტექსტსაც და განკარგულების შინაარსსაც. ამას ისიც ამტკიცებს, რომ არეულობასა და ჯანყს ადგილი აქვს მხოლოდ ქართველებს შორის და არასოდეს არ მომხდარა სომხებსა ან თათრებს შორის, რომლებიც ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან: სომხებს გიმნაზიაში, კურსის დამთავრებამდე, ასწავლიან

---

* ცნობები ამ არეულობის შესახებ მეტისმეტად გაჯეიადეს სატახტო ქალაქის გაზეთებმა. საბედნიეროდ აქ საქმე სერიოზულ მასშტაბებამდე არ მისულა. „ობზორის" რედაქცია.

საღვთო წერილს სომხურ ენაზე, ზუსტად ისე, როგორც მოლა გიმნაზიის დამთავრებამდე ასწავლის თათრებს ყურანს. გარდა ამისა, სომხებს თითქმის ყველა ეკლესიასთან სკოლა აქვთ გახსნილი, სადაც ბავშვები მშობლიურ და რუსულ ენას სწავლობენ, აქვთ აგრეთვე სასულიერო სემინარიებიც, სადაც, მართალია, სწავლა სომხურ ენაზე წარმოებს, მაგრამ რუსული ენის პროგრამა ისეთივე მოცულობისაა, როგორც გიმნაზიაში. თათრებს კი თავიანთი სოფლის სკოლები აქვთ, სადაც რუსულ ენასაც ასწავლიან.

„ნუთუ არც ის ქართველებია მომზადებული იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, რომელთაც გიმნაზიის კურსი დაამთავრეს? ნუთუ ქართველებს სოფლის სკოლები არ გააჩნიათ? ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია. რომ ქართველებმა, რომელთაც გიმნაზიის კურსი დაამთავრეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კარგად იციან რუსული ენა და თითქმის მთლიანად დავიწყებული აქვთ მშობლიური. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სოფლის სკოლები გვაქვს, ამ სკოლებს მოწაფეები არ ჰყავთ. არ შეიძლება ეს დავაბრალოთ იმ ამბავს, რომ ქართველებს სწავლა არ უნდათ, არა: ამ სკოლების გვერდით, რომელთაც მოწაფეები არ ჰყავთ, არსებობს საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლები, რომელთაც ადგილები არ ჰყოფნით ყველა მსურველისათვის! ჩვენ ამას ვაწერთ იმ ამბავს, რომ განათლების დარგის მესვეურები სოფლის სკოლებში ისეთ ადამიანებს გზავნიან მასწავლებლად, რომელთაც არა თუ ცუდად იციან ქართული ენა, არამედ სრულიად არ იციან, რადგან პედაგოგიურ სემინარიებში ადგილობრივი ენის შესწავლა სავალდებულო არაა, ხოლო როგორ შეიძლება კარგად მიდიოდეს სწავლა იქ, სადაც მოსწავლეებს მასწავლებლის არ ესმის?

უფრო ცხადად რომ დავახასიათოთ პოლიციის მახლობელი მოხელის დამოკიდებულება ხალხისადმი, ვიტყვით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი დღესასწაულის წინ საჩუქრები მიუტანოს უფროსს, რათა, ყოველი შემთხვევისათვის, მისი გული მოიგოს. გარდა ამისა, ხშირად უფროსები თვითონ ართმევენ მოსახლეობას პროდუქტებს. ამას წინათ სურამში, თბილის-ფოთის რკინიგზის პირას მდებარე საკმაოდ დიდ სოფელში, მოხდა ასეთი ამბავი: ვიღაც მხითაროვმა, რომელმაც ორი მოწმე და თანამზრახველი იშოვა, თავი ბოქაულად გამოაცხადა, მოსახლეობას საკმაო რაოდენობით ქათმები და ყველი წაართვა და მიიმალა. სოფლელებმა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ გამოგზავნეს ამ ამბის შესახებ „დროებაში“ კოლექტიური წერილი, რომ ზემოხსენებული მხითაროვი ცრუ ბოქაული აღმოჩნდა.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ იმის სურვილი, რომ ქართული ენის შესწავლას ყურადღება მიექცეს".

ეს სტატია ეკუთვნის მთელ რიგ იმ მოწინავე სტატიებს, რომლებიც ამ ბოლო დროს „გოლოსმა" ჩვენს მხარეს მიუძღვნა. ამ სტატიის ნაკლი მისი ძირითადი აზრის ერთგვარი ბუნდოვანობა და არათანამიმდევრობაა...

უნდა ითქვას, რომ როგორც მეცნიერული, ასევე პედაგოგიური თვალსაზრისით, ქართული ენა, ისევე როგორც ყველა მშობლიური ენა, სახალხო განათლების ძირითადი საფუძველია. სანამ ბავშვს უცხო ენას ან მეცნიერებას შეასწავლიან, უნდა ასწავლონ მშობლიური ენა და მხოლოდ მშობლიური ენის მეშვეობით უნდა აუხსნან ის მეცნიერული ან ფილოლოგიური მოძღვრებები, რაც აუცილებელია მისი გონების განსავითარებლად. მნიშვნელობა მარტო იმას კი არა აქვს, რომ სასოფლო სკოლებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც ერთი სიტყვა არ იციან იმ ენისა, რომელიც მოწაფეებს ესმით, არამედ ისიც, რომ სასწავლო ინვენტარი და მთელი პროცესი იმ ენის საფუძველზეა აგებული, რომელიც სრულიად არ ესმით სოფლის მცხოვრებლებს. მაგრამ იმ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც „გოლოსმა" ეს საკითხი წამოაყენა, საქმის ეს მხარეც კი მეორეხარისხოვანია...

თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კანონის დარღვევა, რასაც სოფლის წვრილი მოხელეები ეწევიან, სრულიად შეუძლებელი, ანდა შემთხვევითი და იშვიათი იქნებოდა, ჩვენს ხალხს რომ წარმოდგენა ჰქონდეს თუ რას თხოულობს მისგან კანონი, რა უნდა გააკეთოს ნამდვილად, რამდენი გადაიხადოს და რას ართმევს უკანონოდ სოფლის მამასახლისი, მოსამართლე, ბოქაული და ა. შ. მაგრამ მას არ შეუძლია ეს იცოდეს, რადგან ათეული წლების მანძილზე არ გვექნება შესაძლებლობა ისე გავავრცელოთ ხალხში რუსული ენა, რომ იგი დედანშივე გაეცნოს არსებულ კანონებს, წესებს და უმაღლესი ხელისუფლების მოთხოვნილებებს. ხოლო როცა ამ მოთხოვნილებებსა და იმ ხალხს შორის, რომელსაც ეს მოთხოვნილებები არ ესმის და პირადად არ ღებულობს, დგანან ხარბი და გაუნათლებელი აღმსრულებლები, არ შეიძლება ექსპლოატაციამ არ მიიღოს ფართო გაქანება, არ შეიძლება რომ მან ღრმა ფესვები არ გაიდგას...

ამიერკავკასიის სასამართლო უწყებამ თითქოს გადასწყვიტა აღმოეფხვრა ეს სიძნელე, დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ სასამართლო ხელისუფლების ყოველგვარი მოთხოვნა, უწყებათა ან განცხადება-

თა სახით, დაინტერესებულ პირებს დაგზავნოდათ ერთდროულად ქართულ და რუსულ ენებზე. მაგრამ ეს კარგი აზრი მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. საქმე უწყებათა იქეთ არ წასულა. რაც შეეხება სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვან ფუნქციებს, მისი წარმოება იმ ენაზე ხდება, რომელიც მოსახლეობას არ ესმის...

სურვილი იმისა, რომ რომელიმე ენა ხელოვნურად გაავრცელო, იძულებითი გზით, მმართველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, სხვა არაფერია, თუ არა შეცდომა, რაც ცხადად დაამტკიცა მთელმა რიგმა ისტორიულმა ფაქტებმა... მეორე შეცდომა ისაა, რომ ენა აღიარო სახელმწიფო კავშირის იარაღად, რაც აგრეთვე დაამტკიცა გამოცდილებამ. ელზასელები გერმანულად ლაპარაკობენ, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის უყვარდეთ საფრანგეთი და სძულდეთ გერმანია. შვეიცარიელები სამ ენაზე ლაპარაკობენ და სამივე ენაზე მართავენ სახელმწიფოს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოს მთლიანობა... და, ბოლოს, ჩვენმა წინაპრებმა, ქართველებმა, ერთი რუსული სიტყვა არ იცოდნენ, როცა რუსეთისაკენ სწრაფვა დაიწყეს; ზუსტად ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ახლაც არ იცის რუსული ენა, რაც სრულიად არ უშლის მას ხელს — ერთგულად დაიცვას რუსეთი ყოველთვის, როცა ამას უმაღლესი ხელისუფლება მოითხოვს... აქ ენა კი არაა მთავარი, არამედ ისტორიული ვითარება, რაც გამოიმუშავებს ამ კავშირს, და ამით შექმნის მის სიმტკიცეს...

„ობზორის“ [2] მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ენისა და ეროვნების საკითხებში არავინ მოძველებულ თვალსაზრისზე არ ვდგავართ. ჩვენ ყოველთვის ვიზიარებდით და ვიზიარებთ იმ აზრს, რომელიც საქმის არსს რეალურ, არსებით დამოკიდებულებაში და ძალებში ხედავს. ამიტომ, როცა ჩვენ დაჟინებით ვთხოულობთ ადმინისტრაციული საქმეების წარმოების დროს ადგილი დაუთმონ ჩვენი მხარის ამა თუ იმ ენას, ჩვენ ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რომ ამას თხოულობს მოსახლეობის გადაუდებელი და არსებითი ინტერესები და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამას თხოულობს მთელი სახელმწიფოს ინტერესები, სახელმწიფოსი, რომელიც თანაბრადაა დაინტერესებული ყველა მისი ქვეშევრდომის კეთილდღეობითა და სიმშვიდით, სულერთია რა ენაზედაც არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი და რომელ ღმერთსაც არ უნდა სცემდნენ თაყვანს.

უარი თქვა ამგვარ შეხედულებებზე — რაც უხსოვარი დროიდან საფუძვლად დაედო რუსეთის სახელმწიფო კანონმდებლობას

და რუსი ხალხის ზნეჩვეულებებს, იმის გამო, რომ განახორციელო ისეთი უბადრუკი გონების პატრონთა ნაბოდვარი და უაზრობა, როგორებიც არიან ბატ. გილიაროვ-პლატონოვები, სუვორინები, მილერები და სხვები, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენა არ გქონდეს რუსეთის ძალებზე და ინტერესებზე. მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მეცნიერება და საღი აზრი დიდხანს ცოცხლობს რუსეთის მოაზროვნე ადამიანებში, არის „გოლოსის“ ის სტატიები, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით...

26. ინგლისთან ბრძოლა

თბილისი, 2 აგვისტო

არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს bon mot[50], რომელმაც მთელი რუსეთისა და ევროპის პრესა მოიარა: „ომი რუსეთსა და ინგლისს შორის სპილოსა და ვეშაპის ბრძოლას ჰგავსო“. კაცმა სრულიად არ უნდა იცოდეს ისტორია, გეოგრაფია და ამ ორი სახელმწიფოს თანამედროვე მდგომარეობა, რომ ასეთი აფორიზმი გამოთქვას. ეს შედარება საკითხის მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს ეხება, მაგრამ ვერ სწვდება იმ გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური ძალების მთელ მასას, რომელსაც ორი ხალხი თავისი არსებით მოიცავს და, ამიტომ, როგორც ფრანგები ამბობენ il n'a pas raison[51]...

მართლაც, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ომი რუსეთსა და ინგლისს შორის შეუძლებელია, თუმცა უდავოდ ვაღიარებთ ინგლისის კოლოსალურ უპირატესობას ზღვაზე და ფინანსიურ საქმეებში, ხოლო ხმელეთზე — რუსეთისას პროპორციულად. ამ საუკუნის დასაწყისში, როცა შუა აზიის მიწების დასაკუთრებაზე არავინ ფიქრობდა, როცა კავკასია მრავალრიცხოვანი მეომარი ტომებით დასახლებული ოლქი იყო, რომელიც რუსეთს ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა და როცა ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ მოიპოვებოდა, ხოლო სხვადასხვაგვარი სამეფოები და სახანოები დამოუკიდებელ „სახელმწიფოებს“ წარმოადგენდნენ — საფრანგეთის უდიდესი სამხედრო გენია რუსეთში გალაშქრებაზე ფიქრობდა და მისი ჩანაფიქრის შესაძლო განხორციელებას ის ინტრიგები ამტკიცებს, რომელთაც პეტერბურგში ინგლისელები პავლე I-ის მიერ გადაწყვეტილ რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მოსასპობად იყენებდნენ. ახლა ჩვენ ინგლისელებს შუა აზიაში ვესაზღვრებით და რუსეთსა და ინგლისს შორის შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობისათვის მხოლოდ ეს ფაქტიც კმარა. გარდა ამისა, კავკასიის სამფლობელოები, ახალი ოლქების შემოერთების შემდეგ, ღრმად შეიჭრა წინა აზიაში და, ცხადია, ჩვენ უფრო მალე მივაღწევთ დიარბეკირამდე და სპარსეთის ყურემდე, ვიდრე ინგლისი. ჩვენთვის

უფრო იოლია ბრძოლა სამხედრო მოქმედებათა ამ თეატრზე, რადგან, თუ მთელ ჩვენს ტერიტორიას ყარსამდე რკინიგზით დავსერავთ, ყოველგვარი შესაძლებლობა გვექნება შეეკრიბოთ და დავძრათ აქეთ ნებისმიერი რაოდენობის არმია, როდესაც მოგვესურვება, რაც ინგლისს, საზღვაო გზებსა და თვით საერთაშორისო რკინიგზაზე დაყრდნობითაც კი არ შეუძლია. მთელი მათი გონებამახვილობა და ფინანსიური ძლევამოსილება უძლურია იმისათვის, რომ დაგვაკარგვინონ ჩვენი გეოგრაფიული და ტერიტორიული უპირატესობა, ხოლო ამის არცოდნა ჩვენ არ შეგვიძლია. ამ გეოგრაფიულ მდგომარეობას თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობაც ერთვის, დაწყებული 1878 წლიდან, მას შემდეგ, რაც ინგლისმა თურქეთთან შეტევითი და თავდაცვითი ხელშეკრულება დასდო და ინგლისი უკვე ჩვენი მტერი გახდა არა შორეულ ქვეყნებში, არა ჰიმალაის ძირას, არამედ ჩვენს მახლობლად, ჩვენი კავკასიის საზღვრებთან. ამგვარად, შეტაკების მიზეზთა რიცხვი კიდევაც რომ არ გაზრდილიყო, ინგლისთან სამხედრო შეტაკების შანსები ისედაც გაიზარდა, მისი ჩვენს საზღვრებთან მოახლოებით. ხოლო ბერლინის ტრაქტატის შემდეგ, რომელმაც ევროპა დაამშვიდა და უზრუნველყო ყველა, ვინც მასში მონაწილეობდა, არა მარტო გაზარდა შეიარაღებული შეტაკების საბაბი, არამედ გარდუვალიც გახადა.

ლორდ ბიკონსფილდის ზეიმი თვითეული რუსისათვის შეურაცხმყოფელია, რადგან ინგლისის პრემიერმა არაფერი არ დაიშურა იმისათვის, რომ ს.-სტეფანოს ზავის[46] ყოველი ცვლილება და დათმობა კონგრესისათვის აეხსნა რუსი ხალხის თავმოყვარეობისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი სახით. რუსეთი არასოდეს არ ყოფილა ისე მტრულად განწყობილი ინგლისისადმი, როგორც ახლაა და ეს განწყობილება მანამდე არ აღმოიფხვრება, სანამ ხალხს თავმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება არ მიეცემა, ე. ი. ბრწყინვალე დასასრულით დაგვირგვინებული ახალი ომით.

როდის დაიწყება ომი და შეიძლება თუ არა მისი ბრწყინვალე დამთავრება — ამ კითხვაზე უამრავი პასუხი არსებობს ერთნაირად შესაძლებელიც და შეუძლებელიც, მაგრამ ამ საკითხის ახლა გადაწყვეტა უნაყოფოა და „მოცდას“ საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ახლა ჩვენ არც იმას ვიტყვით და არც ამას, მაგრამ მომავალში ინგლისთან სამხედრო შეტაკების შესაძლებლობა გვჯერა, რადგან ყოველი ფაქტი, რაც აქამდე მოხდა, ჩვენი და ინგლისის ინტერესების ურთიერთ წინააღმდეგობაზე მეტყველებს და მათი შეთანხმება ერთ-ერთი ჩვენგანის დაუზარებლად შეუძლებელია. ვფიქრობთ რა იმასაც, რომ ამ საერთო აზრის უარყოფაც ისე-

ვე შეიძლება, როგორც ჩვენი საკუთარი მოსაზრებების, ჩვენ დავდგებით ინგლის-თურქეთის უკანასკნელი შეთანხმების თვალსაზრისზე, რომელიც ჩვენც და ჩვენმა მტრებმაც ისე გავიგეთ, როგორც ინგლისის სანუკვარი ოცნება — შეაჩეროს რუსეთის შემდგომი განვითარება. რაც ვერ შესძლო პალმერსტონმა, შესძლო ბიკონსფილდმა, ამბობს მისი ერგული პარტია. პარიზის ტრაქტატის[29] შემდეგ შექმნილი მდგომარეობა, რაც მთელი ევროპის წინააღმდეგ ომის გაგრძელების შეუძლებლობამ გამოიწვია, ნაკლებ შეურაცხმყოფელი იყო რუსი ხალხისათვის, ვიდრე ბიკონსფილდის ზეიმი ბერლინის კონგრესზე, რომელმაც ყველაფერი განიხილა, არაფერი არ გადასწყვიტა და მხოლოდ რუსეთის მიერ გაღებული მსხვერპლი გახადა უნაყოფოდ, სწერენ ჩვენი სატახტო ქალაქის გაზეთები. მიუხედავად ტრადიციული პატივისცემისა უცხოელი ავტორიტეტებისადმი ჩვენში, ჩვენ უდავოდ მხარს ვუჭერთ სატახტო ქალაქის გაზეთებს.

პარიზის ტრაქტატის მიხედვით უცხო სახელმწიფოების ფლოტის მარმარილოს ზღვაში შესვლა ამ ტრაქტატის დარღვევად ითვლებოდა. ინგლისმა თავისი ფლოტი მარმარილოს ზღვაში შეიყვანა, პრინცის კუნძულებთან, ე. ი. სულთანის სასახლის წინ დააყენა, ხოლო ბერლინის კონგრესსზე[20] პარიზის ტრაქტატის დადგენილებების უცვლელად დატოვება მოითხოვა, რაც განახორციელეს კიდეც ბერლინის ტრაქტატში 63-ე მუხლის შეტანით. ეს მუხლი ამბობს, რომ „პარიზის 1856 წლის 30 მარტის ტრაქტატისა და 1871 წლის 13 მარტის ლონდონის ოქმის ყველა მუხლი ინარჩუნებს თავის ძალას ყველა იმ დადგენილებებში, რომლებიც ბერლინის ტრაქტატის მიხედვით არ გაუქმებულა და არ შეცვლილა“. მაგრამ ვერც ამ ტრაქტატმა აიძულა ინგლისი გაეყვანა თავისი ფლოტი მარმარილოს ზღვიდან, სადაც აქამდე დგას და აგონებს ყველას, რომ თვით ინგლისმა თავი არ შეიზღუდა ტრაქტატით და მის შესრულებას მხოლოდ რუსეთისაგან მოითხოვს. ასე იქცევა ყოველთვის ძლიერი სუსტის მიმართ. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხედავს იმ მიზეზს, რომელიც იძულებულს ხდიდეს რუსეთს პატივისცემით განეწყოს ინგლისის კაბინეტის ცინიზმს, რომელიც ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპს და საერთაშორისო სამართლის დადგენილებებს დასცინის.

ვერავის ვერ გაუგია, რატომ მოხდა რომ ინგლისსა და თურქეთს შორის ჩუმად დადებული სეპარატიული შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ინგლისის ძლიერების განმტკიცებას ემსახურება, ევროპის სახელმწიფოების განხილვის საგანი არაა და აღიარებული

უნდა იქნეს, როგორც ევროპის სიმშვიდის გარანტია, მაშინ, როცა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ დადებული ს.-სტეფანოს ზავი, რომელმაც ბალკანეთის ქრისტიან მოსახლეობას ადამიანური უფლებები მიანიჭა, ისეთ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომელმაც არა მარტო დაარღვია მთელი ევროპის სიმშვიდე და არა მარტო განხილვას საჭიროებს, არამედ უნდა შეიცვალოს კიდეც ინგლისისა. და მისი ფარული მოკავშირის ავსტრიის სასარგებლოდ, და ამას მსხვერპლად უნდა შეეწიროს რუსეთის მთელი ისტორიული ერთგულება?

საგანთა ბუნებრივი ძალა ადამიანთა ყოველგვარ ეშმაკობაზე უფრო ძლიერია და რუსეთის განვითარებას ვერც მეტერნიხების წმინდა კავშირი შეაჩერებს და ვერც პარიზის ტრაქტატი, პალმერსტონთან ერთად. რუსეთი თავის გზით სვლას განაგრძობს და ყირიმის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც ამ ომმა დაამტკიცა. ამიტომ ბერლინის ტრაქტატსა და ლორდ ბიკონსფილდის არნასულ დიპლომატიურ წარმატებას, ყოველი ჩვენგანის რწმენით, ჭკუის სასწავლებელი მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ უკეთ შევიცნობთ ჩვენს თავს და გამოვასწორებთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ომმა დაგვანახა...

27. საიდუმლოება. საადგილმამულო ბანკებში

თბილისი, 3 მარტი

ღირსების სამსჯავროსათვის, რომელსაც მე და ბატ. ღოღობერიძე უნდა განვესაჯეთ, ჩანაწერების შესადგენად წარმოებულმა წინასწარმა მოლაპარაკებამ პირველ პლანზე ერთი საკმაოდ საინტერესო საკითხი წამოაყენა — საადგილმამულო ბანკების საქმიანობის სახალხოდ გამოტანის საჭიროება. ბანკის მმართველებთან ჩემი დავისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც აქ სრულიად არ შევეხები, ამ საკითხს ბევრი საინტერესო მხარე აქვს და სახალხოდ განხილვას მოითხოვს. ამიტომ არ ვეხები რა ამჯერად არც ღოღობერიძეს, არც ღირსების სამსჯავროს და არც ჩვენს საბანკო პოლემიკას, მინდა ამ საკითხის პრინციპულ მხარეს შევეხო. რამდენად აშკარად და საჯაროდ უნდა ხდებოდეს საქმის წარმოება ყველა საადგილმამულო ბანკში?

საერთოდ, აღიარებულია, რომ როგორც კომერციულ, ასევე ბანკის საქმეებს საიდუმლოება სჭირდება, ურომლისოდაც თითქოს სახელი უტყდება ზოგიერთი ოპერაციის წარმატებას. ეს თვალსაზრისი რუსულ პრესაში პირველად ბატ. კოკორევმა გამოთქვა. ეს იყო მაშინ, როცა იგი „რუსკი ვესტნიკში“ [52] „თანამშრომლობდა“ და „უანგარო საზოგადო მოღვაწედ“ ითვლებოდა, როცა მას გერცენი ხოტბას ასხამდა „კოლოკოლში“... მაგრამ ცნობილია ისიც, თუ რა უწყალოდ დასცინა ასეთ პრეტენზიებს აწ განსვენებულმა ნ. ა. დობროლუბოვმა „სვისტოკში“ [53] და რა ულმობლად დაამტკიცა, რომ კომერციულ საქმეებში საიდუმლოება მხოლოდ იმას სჭირდება, ვინც გაკოტრებისა ან ქურდობისათვის ემზადება... ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ სულ ახლახან, როცა რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომერციული ბანკის მმართველობამ ხელი მიჰყო კომერციულ და საბანკო საქმეებში საიდუმლოების პრინციპის გამოყენებას ერთ-ერთი აქციონერის, პოლკოვნიკ ვისოცკის მოთხოვნათა წინააღმდეგ, პეტერბურგის სასამართლო პალატამ ცნო და დაადგინა ბანკის საქმეების სახალხოდ გამოტანის

საჭიროება და აიძულა მმართველობა გაეცნოთ ბ-ნ ვისოცკისათვის ბანკის მთელი დავთრები და საქმეები... ამგვარად, როგორც ლიტერატურა, ასევე იურისპრუდენცია ცხადად და მტკიცედ დაადგა ბანკის საქმიანობის სახალხოდ გამოტანის გზას და უარყო იმ ადამიანთა პრეტენზიები, რომელთაც სურდათ ბანკის, ე. ი. საზოგადოებრივი საქმე ალაფებისა და წვრილი მევახშეების დარად ეწარმოებინათ.

თუმცა, ამავე დროს, კომერციული ბანკის საქმიანობას უეჭველად გააჩნია ისეთი მხარეები, რაც საიდუმლოების დაცვას მოითხოვს. მაგალითად, ყველას როდი სურს ბანკში ანაბრის სახით, ან პირად ანგარიშზე შეტანილი თანხა უცხო პირთათვისაც იყოს ცნობილი. მოხელეები, ოფიცრები და ა. შ. დაინტერესებულნი არიან თავიანთი დანაზოგის დაფარვით, რადგან მათ უფროსს და უცხო პირსაც შეუძლია იკითხოს: „საიდან გაქვთ ამდენი დანაზოგი, როცა წელიწადში მხოლოდ იმდენს ღებულობთ, რომ საცხოვრებლად ძლივს გყოფნით?" განა ცოტაა ფულის მსესხებლებისაგან თავმობეზრებული კერძო პირი, რომელიც ქრისტე-ღმერთს ფიცულობს— თავისუფალი თანხა არ გამაჩნიაო. წარმოიდგინეთ ამ კაცის მდგომარეობა, როცა ნაცნობებს შესაძლებლობა ექნებათ უთხრან: „თქვენ ამა და ამ ბანკში ამდენი და ამდენი თავისუფალი ფული გიდევთ". გარდა ამისა, ის პირები, რომლებიც ბანკიდან სესხულობენ ფულს, დაინტერესებულნი არიან ნასესხები თანხის რაოდენობის დამალვით, რადგან საიდუმლოების გამომჟღავნებით მათი კრედიტი და მისი კომერციული მნიშვნელობა ეცემა. ამ მიზეზების გამო კომერციული ბანკები უშუალოდ არიან დაინტერესებული საიდუმლოების შენარჩუნებით, რადგან რაც უფრო ნაკლებად დაიცავს ბანკი საიდუმლოებას, მით უფრო ნაკლები კლიენტი ეყოლება, ნაკლები ანაბრები, ანგარიშები და თამასუქები ექნება...

მაგრამ არც ლიტერატურამ და არც იურისპრუდენციამ არ შეიწყნარა ეს გარემოება არა იმიტომ, რომ ამ მხარეს არ იცნობს, არამედ იმიტომ, რომ სახალხოდ გამოტანის საჭიროება საერთო და უფრო მნიშვნელოვან ამბად მიაჩნიათ. ამ უკანასკნელ მიზეზებთან შედარებით ჩვენს მიერ მოტანილი გარემოება მხოლოდ წვრილმანია და მსხვერპლად უნდა შეეწიროს საზოგადოებრივი მოთხოვნილების სარგებლიანობას — ბანკის საქმეების საჯაროობას, როგორც საზოგადოებრივი საქმეების პატიოსნად წარმოების ერთადერთ საშუალებას...

საადგილმამულო ბანკის საქმეებში არაფერია ისეთი, რაც საიდუმლოებას მოითხოვდეს ან რისი სახალხოდ გამოტანაც შეუძლე-

ბელი იყოს. უკლებლივ ყველა საადგილმამულო ბანკის ოპერაციებს მათივე წესდება ზღუდავს. მათ სესხის გაცემა შეუძლიათ მხოლოდ უძრავი საკუთრების დაგირავების საფუძველზე. ვერავითარ ახალ ოპერაციას საადგილმამულო ბანკი ვერ აწარმოებს, თუ წესდება არ დაარღვია. საკუთარი საგირავნო ფურცელიც კი ამ ბანკმა კომისიაზე უნდა მიიღოს და ისე გადაგზავნოს სხვა ბანკში გასაყიდად... ბანკს უფლება არა აქვს საიდუმლოდ აწარმოოს ანაბრების, მიმდინარე ანგარიშის, თამასუქების აღრიცხვისა და „მოძრავი კრედიტის" სხვა ოპერაციები. მათი საქმეა მხოლოდ უძრავი ქონების დაგირავება, სესხის გაცემა, პროცენტების მიღება და ამით სესხის დაფარვა და აგრეთვე საგირავნო ფურცლების მიხედვით ფულის გადახდევინება...

რად ჭირდება ასეთ ოპერაციებს საიდუმლოება და ვისთვისაა ასეთი საიდუმლოება აუცილებელი? საადგილმამულო ბანკში დაგირავებული ყოველგვარი ქონება კანონის ძალით მაშინვე უნდა აიკრძალოს და, კანონის შესატყვისად, ამკრძალავი მუხლი ყოველგვარი დაგირავებული ქონების შესახებ „სენატის უწყებებში" უნდა გამოქვეყნდეს. გაცემული სესხის რაოდენობა აგრეთვე არ შეიძლება დაიმალოს, რადგან, კანონის მიხედვით, სესხის რაოდენობა დაგირავებულმა ქონებამ უნდა განაპირობოს, ხოლო ბანკი ვალდებულია რეგულარულად გამოაქვეყნოს საადგილმამულო სესხის რაოდენობა. მისი სახელი და გვარი, რომელმაც დააგვიანა გადასახადის შეტანა, ბანკის წესდების მიხედვით. „მთავრობის უწყებებში" და ადგილობრივ გაზეთებში უნდა გამოქვეყნდეს, ქონების გაყიდვის გამოცხადების შემთხვევაში. ახლა ვიკითხოთ: საადგილმამულო ბანკის რომელი ოპერაცია მოითხოვს საიდუმლოებას? ამ კითხვაზე დადებითად ვერავინ უპასუხებს. არა, არ შეიძლება საადგილმამულო ბანკში წარმოებდეს ისეთი ოპერაციები, რომელთა სახალხოდ გამოტანა ყოველ წუთში არ შეიძლებოდეს.

ამ დასკვნამდე მიდის ყველა, ვინც ამ საკითხს A priori იხილავს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გაგვაჩნია პრეცენდენტები, რომლებიც ადასტურებს ჩვენს შეხედულებას A posteriori. როდესაც ორი წლის წინათ ამ სტატიის ავტორი „ტიფლისკი ვესტნიკში" საადგილმამულო ბანკის პრაქტიკას შეეხო, ამ ბანკის მმართველმა თავადმა ი. გ. ჭავჭავაძემ პირდაპირ და მტკიცედ შემომთავაზა მივსულიყავი ბანკში, გადამეშალა ყველა დავთარი და საქმე, რათა პირადად დავრწმუნებულიყავი, რომ მათში უკანონო და საძრახისი არაფერია. თავადი ჭავჭავაძე იმავე განცხადებაში წერდა. რომ დავთრები და საქმეები ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც

თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეთა წარმოების გაცნობა სურს. ცხადია, საქმეების სახალხოდ გამოტანას რომ ბანკისათვის ვნების მოტანა შესძლებოდა, თავადი ჭავჭავაძე ვერ გაბედავდა ასე ანგარიშმიუცემლად ეღიარებინა სახალხოდ გამოტანის უფლება...

ყველა ამ ძოსაზრების საფუძველზე შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ საადგილმამულო ბანკების საქმიანობის სახალხოდ გამოტანაზე უარის თქმა და საიდუმლოების სამარადისოდ დაკანონების ცდა ბანკის ინტერესების დაცვას კი არ ემსახურება, რომელიც მთლიანად შეესაბამება სახალხოდ გამოტანის საჭიროებას, არამედ — მხოლოდ შიშს, რომ გამომჟღავნდება რაღაც ისეთი, რაც სახიფათოა არა საზოგადოებისათვის, არამედ ბანკის ხელმძღვანელობისათვის. ამ შემთხვევაში საზოგადოების ან ბანკის ინტერესები და ბანკის ხელმძღვანელთა სარგებელი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. როგორც დავინახეთ, ბანკის საქმიანობის სახალხოდ გამოტანა არა თუ არავითარ ზიანს არ აყენებს ბანკს, არამედ პირიქით, ხელს უწყობს საქმის სწორად წარმართვას, ე. ი. ამტკიცებს მის კრედიტსა და მომავალს, მაგრამ, ამასთან ერთად, მას შეუძლია ბანკის რომელიმე მოღვაწეს სახელიც გაუტეხოს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ალტერნატივის გადაწყვეტის დროს ჩვეულებრივი საზომით უნდა ვისარგებლოთ: ვინც საზოგადოების, ანდა ბანკის ინტერესებს წვრილმან თავმოყვარეობაზე და ბანკის მოღვაწეთა სარგებლიანობაზე მაღლა აყენებს, მან უნდა ცნოს სახალხოდ გამოტანის საჭიროება და დაიცვას იგი. ხოლო ვისთვისაც პატივმოყვარეობა და ცალკეულ პირთა სარგებლიანობა საზოგადო საქმეზე და ბანკზე ძვირფასია, მან სახალხოდ გამოტანის საჭიროება უნდა უარყოს და იყვიროს: „არის საქმეები, სადაც საიდუმლოება საჭიროა". მაგრამ ჩვენ ვთხოვთ ამ უკანასკნელი კატეგორიის ადამიანებს, ყურადღება მიაქციონ შემდეგ გარემოებას: როცა ყვირიან საიდუმლოების დაცვაზე და უარყოფენ მის სახალხოდ გამოტანის საჭიროებას, ამით ისინი ხელს აწერენ ყოველივე იმაზე რასაც ჩვენი ბანკის მოღვაწეებზე წერდნენ და ლაპარაკობდნენ. თუ მათი საქმეები დღის სინათლესავით ნათელია, მაშინ რატომ უნდა აშინებდეთ საქმის სახალხოდ გამოტანა, რატომ არ უნდა გამოფინონ საქვეყნოდ?! საიდუმლოება და დამალვა ასეთ გარემოებაში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ საკუთარ ცოდვებს აღიარებ და იცი, რომ მათი დამალვა დავთრებსა და ბანკის საქმეებში არ მოხერხდება. ბანკის მოღვაწეებს იმედი აქვთ, რომ საფრთხეს ბანკის კარების ამოქოლვით დააღწევენ თავს, მაგრამ, ბატონებო, საქმის სახალხოდ გამოტანა სინათლეს წააგავს და როგორც არ უნდა დაგ-

მანოთ კარი და დარაბები, იგი რომელიმე ჭუჭრუტანიდან მაინც შემოვა. ამის შემდეგ ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ასეთი ამოქოლვა ყოველი მოწმისათვის იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ამ სახლის შიგნით რაღაც ბოროტი საქმეები ხდება...

ასეთ „მოღვაწეებს“ არ ავნებთ დღე და ღამ ახსოვდეთ აწ განსვენებული ვ. ს. კუროჩკინის ცნობილი ლექსის ოთხტაეპიანი სტროფი:

«Если гласность им страшна —
Значит, рушатся обломки,
Значит, тайна им нужна,
Как мошенникам — потемки!»

28. ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი

ბატ. ქუთაისელი (ბალთა № 1) კვლავ გამოვიდა სცენაზე. ქვემოთ მკითხველი იხილავს მის უკანასკნელ სტატიას, რომელიც მთლიანად გადმოვბეჭდეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] 175-ე ნომრიდან (4 აგვისტო). ამ სტატიაში საკმაოდ ბევრია ჩვენი მოწინააღმდეგის ზნე-ჩვეულებებისა და წესიერების დამახასიათებელი მარგალიტები. ამიტომ ჩვენ ამოვკრეფთ ამ მარგალიტებს, ჩვენი კოლექციის გასამდიდრებლად, რომელსაც „ობზორის“ [2] მკითხველი ნაწილობრივ უკვე იცნობს.

ბატ. ქუთაისელი „ტიფლისკი ვესტნიკის“ მკითხველებს არწმუნებს, რომ მასთან „კამათში ბატ. ნიკოლაძემ ფიასკო განიცადა“. დე, ინუგეშოს თავი საბრალო მოკამათემ. ჩვენ მას ცდომილებიდან არ გამოვიყვანთ. მაგრამ მკითხველები რომ ამაში დარწმუნდნენ, საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ მათ არა მარტო ჩვენი საკუთარი სტატიები, არამედ მოწინააღმდეგის უმთავრესი მოსაზრებებიც, თუნდაც ეს იყოს მხოლოდ რეზიუმე. ადვილია შეაცდინო მკითხველი, თუ მას ყველაფერს დაუმალავ. რასაც მოწინააღმდეგე ამბობს, ანდა მის ნაწერებს თუ გადაასხვაფერებ. ბატ. ქუთაისელს კი ჯიპი აქვს მოჭრილი ამ საქმეში. მაგრამ ჩვენს დროში, როცა ცოტაა ისეთი მკითხველი, რომელიც ორ-სამ გაზეთს მაინც არ კითხულობდეს, ასეთი საქციელი ნაკლებ მოსახერხებელია. ადრე, ბატ. ქუთაისელის ახალგაზრდობაში, როცა ერთი გაზეთის „ხელისმომწერი“ სხვა გაზეთების ნომრებს თვალით ვერ ხედავდა, მოკამათეს შეეძლო თავისი წარმატება კამათის ცალმხრივ სისტემაზე დაემყარებინა. საკმარისი იყო დაგვეწერა მკვახედ, რიხიანად და საქმე გაჩარხული იყო. თითოეული გაზეთის მკითხველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი გაზეთის ფალავანმა გაიმარჯვა. მაგრამ ეს დრო დიდი ხანია წავიდა და აღარ დაბრუნდება. ახლა საზოგადოების დიდი ნაწილი მოკამათეთა სტატიებს ერთმანეთს ადარებს და მოწადინებულია ორივე მხარის მოსაზრებებს გაეცნოს. ახლა ქვეყანაზე აღარ არსებობენ ათანასე ივანოვიჩები [54] და თუ მოკამათისათვის საქმით დაინტერესება პირად პატივმოყვარეობაზე ძვირფასია, ის ვალ-

დებულია ხელი შეუწყოს მკითხველებს შეადარონ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები. მაგრამ არც ბატ. ქუთაისელს და არც „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციას ერთხელაც არ გახსენებიათ ეს მოვალეობა. თუ სადმე, მიყრუებულ კუთხეში კიდევ არსებობს „ტიფლისკი ვესტნიკის“ ისეთი მკითხველი, რომელსაც თვალით არ უნახავს „ობზორი“, მისთვის, უბრალოდ, გაუგებარი იქნება, რის გამო კამათობენ მოწინააღმდეგენი. მას, ალბათ, მოეჩვენება, რომ „ობზორიც“ და მისი რედაქტორიც დიდი ხანია სასტიკად დაამარცხეს, სრულიად გაანადგურეს და უეცრად განადგურებულ მტერს ხელახლა ებრძვიან, ისევ ანადგურებენ, რათა ერთი კვირის შემდეგ კვლავ შეებრძოლონ. ახლა ის რელაციებიც კი არ კმარა მიზნის მისაღწევად, რომელთაც უწინ ამ თარგზე ჭრიდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოფენბახმა ამ სისტემის სიბრიყვე უკვდავყო ოპერეტა „ყაჩაღებში“ მანტუელი კარაბინერების კაპიტნის დახატვით. როგორც ვიცით, მამაცი კაპიტანი პირადად ყაჩაღ ფალსკაპს არწმუნებს, რომ მან გუშინ იგი ნაკუწებად აქცია... ანდა, გარდიგარდმო დაჩეხა, ანდა, ბოლოს, თუ არ დაუჩეხავს, პირველ შეხვედრისთანავე აკუწავს. აქ ფანტაზიის სიცხოველე და სიფიცხე მოქმედებს. ადვილი წარმოსადგენია ის, რისი განხორციელებაც სულითა და გულით გსურს. აბა დაუკვირდეს ბატონი ქუთაისელი ოპერეტა „ყაჩაღების“ ამ ნაწილს და დარწმუნდება, თუ როგორი სასაცილო და უბადრუკობაა ამგვარი რწმენა.

ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ბატ. ქუთაისელს ვაწყენინოთ. ჩვენთვის სულერთია გამარჯვებულად თვლის იგი თავს თუ დამარცხებულად. ამასთანავე, ჩვენ არც ისე გულუბრყვილო ვართ, რომ დამარცხებულის თვითშეგნების იმედი ვიქონიოთ. წაიკითხეთ მუხტარ-ფაშას რელაციები და დაინახავთ, რომ იგი ერზრუმში დაბრუნების შემდეგაც კი არ ცნობდა თავს დამარცხებულად... მაგრამ ჩვენი მიზანი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებების შეცვლაა. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივ პრესაში პატიოსნური კამათის ჩვევა დამკვიდრდეს. ამ თვალსაზრისით კი ეს შემთხვევა ძალზე დამახასიათებელია. ხოლო ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება — ამის შესახებ საჭიროა ვკითხოთ „ობზორის“ მკითხველებს, რომელთაც ორივე მოკამათის მოსაზრებები თვალწინ აქვთ.

გვერდს ავუვლით აგრეთვე ბატ. ქუთაისელის მტკიცებას, თითქოს მისი ფსევდონიმისა პანიკურად გვეშინია, კარაბინერების კაპიტანიც დარწმუნებული იყო, რომ ფალსკაპს მისი საყვირებისა ეშინოდა... მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მამაც კაპიტანს ფალსკაპს სარდაფებში დამალვოდა, ისევე როგორც ახლა ხელს არაფერი უშ-

ლის ბატ. ქუთაისელს დაგვემალოს „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციის ზურგს უკან. მაგრამ ვერსად დაგვემალება. მისივე ფანდის წყალობით ჩვენ თავიდანვე გამოვიცანით, ვინ არის იგი: კავკასიის ლიტერატურაში არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ორი დონ-ბაზილიო. იმ იეზუიტური ჩვევების მიხედვით, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგემ დედის რძესთან ერთად შეითვისა და რომელმაც სრული გამოხატულება ჰპოვა ბატ. ქუთაისელის სტატიებში, ჩვენ კარგა ხანია მივხვდით ვინ იმალება ამ ფსევდონიმის უკან. ჩვენ არ ვართ დაინტერესებული გამოვამჟღავნოთ იგი პირადი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გვინდა მკითხველთა საზოგადოებამ იცოდეს იმ რაინდის ნამდვილი სახელი, რომელმაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ თავმდაბლობა უადგილოა. გამარჯვებულმა თავი დაფნის გვირგვინებით უნდა დაიმშვენოს. გვირგვინი ბევრი დაგროვდა. აბა, გვეჩვენეთ ბატ. ქუთაისელო, რათა ღირსების მიხედვით შეგამკოთ, მაგრამ რადგან იმალებით, ასეთ ვითარებაში, ამით საზოგადოებას იმას უმტკიცებთ, რომ თქვენი როლის გრცხვენიათ...

ბატ. ქუთაისელი იმედოვნებს, რომ საყვედურებს, ნიღაბის ტარებისათვის, ფსევდონიმის გამოყენების ჩვენი მაგალითით დააღწევს თავს. მართალია, ჩვენ წლების მანძილზე ვატარებდით ფსევდონიმს „სკანდელი“, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ერთნაირი არაა. ყველამ იცოდა, ვინ იმალებოდა ამ ფსევდონიმის ქვეშ. გარდა ამისა ბევრმა ისიც იცოდა, რომ ფსევდონიმი, ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელმა გარემოებამ მოგვახვია თავს. რცხვენოდეს ბატ. ქუთაისელს, რომ ამ ამბავს საზოგადოებას უმალავს. მან კარგად იცის, ვინ იყო დაინტერესებული და ვისი მეშვეობით უნდოდათ ბატ. ნიკოლაძე ადგილობრივი პრესისათვის ჩამოეცილებინათ... წლების მანძილზე ის ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა იმ პირთან, რომელზეც დამოკიდებული იყო ასეთი მოთხოვნის წამოყენება... მაგრამ ერთი ამბავია დაემალო საზოგადოებას რამდენიმე გამშვირვალე ფსევდონიმის ქვეშ და მეორე — მიეჩვიო რედაქციაში შუაღამისას მალულად სიარულს, რომ შენსავე თანამშრომელზე პირადი ხასიათის პასკვილი გამოაქვეყნო, თანამშრომელზე, რომელსაც დღისით ხელს ართმევ... აი, ბატ. ქუთაისელო, მთელი განსხვავება ჩვენს ფსევდონიმსა და თქვენს ანონიმს შორის...

ბატ. ქუთაისელს არ შეუძლია პატიოსნად აწარმოოს კამათი, რადგან ფსევდონიმის ქვეშ იმალება და რედაქციაში ღამღამობით დაიარება. ასე რომ არ იყოს, მას არ შეეშინდებოდა ნიღაბის ჩამოხ-

სნის და საკუთარი გვარის დასახელების. მაგრამ როგორ უნდა მოიხსნას ნიღაბი კაცმა, რომელსაც ტყუილი და ცილისწამება კამათის ერთადერთ საშუალებად და პრინციპად გაუხდია? ამის რელიეფური დადასტურება მისი ახალი სტატიაა.

ბატ. ქუთაისელი გვიამბობს ეპიზოდს, რომლითაც ბატ. ნიკოლაძისა და ერთი ქართველი „ლიტერატორის" კამათი დაგვირგვინდა. საქმე ასე იყო: ბატ. ნიკოლაძე „კრებულში" ერთ ქართველ ლიტერატორს ეკამათებოდა. მაგრამ მის ამ წერილებში დღემდე ვერავინ შეძლო აღმოეჩინა თუნდაც ერთი სალანძღავი გამოთქმა. დე, ბატ. ქუთაისელმა თავად აირჩიოს და გადმობეჭდოს ბატ. ნიკოლაძის სტატიებიდან რამდენიმე გვერდი და შეადაროს იგი „ჭკვიანი" ლიტერატორის ამდენივე გვერდს. მხოლოდ მაშინ დარწმუნდებიან „ტიფლისკი ვესტნიკის" მკითხველები, ვინ გამოირჩევა ლანძღვა-გინებითა და ვინ არგუმენტაციით. ბატ. ქუთაისელი მკითხველებს არწმუნებს: „ბატ. ნიკოლაძემ იცოდა, რომ ვერ შეძლებდა მოწინააღმდეგის მოსაზრებათა უარყოფას, ამიტომ მისთვის ჩვეული პოლემიკური ფანდები გამოიყენა და მოწინააღმდეგეს განსაცვიფრებლად ლამაზი სიტყვების თაიგული მიართვა". ეს მტკნარი სიცრუეა. ჩვენ ბატ. ქუთაისელს წინადადებას ვაძლევთ დაამტკიცოს საკუთარი სიტყვების სამართლიანობა ამ „თაიგულის" გადმობეჭდვით. ლექსში ჩასმული სიტყვა „ვირობა" „სახედრობას" კი არ ნიშნავს, არამედ სიბრიყვეს, უმეცრებას და ა. შ. საერთოდ, მაშინდელი ჩვენი მოწინააღმდეგის ნაწერებიდან ჩვენ შეგვიძლია ამოვკრიფოთ გაცილებით უფრო მკვახე სიტყვები. ვიდრე „ვირობაა". მაგრამ ამის ძიებას აქ არ შეუდგებით. ერთხელ, დილით, ჩვენი მოწინააღმდეგე სტამბაში გამოცხადდა, სადაც ჩვენ „დროების" კორექტურას ვკითხულობდით. ჩვენს შორის არავითარი შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. მშვიდი საუბრის დროს, უეცრად მოწინააღმდეგე ბატ. ნიკოლაძესთან მივიდა, გულზე რევოლვერის ლულა მიაბჯინა და ჩახმახს ფეხი გამოუშალა. ბატ. ნიკოლაძემ ხელის სწრაფი მოძრაობით ლულა განზე გასწია და ტყვიამ მხოლოდ ხელი გაუკაწრა. როცა, ბატ. ნიკოლაძემ სიცილით ჰკითხა მოწინააღმდეგეს „ხომ არ გაგიჟებულხარო", „ჭკვიანმა ლიტერატორმა" ჩახმახი ისევ ფეხზე შეაყენა. მაშინ ბატ. ნიკოლაძე მივარდა მოწინააღმდეგეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც თხუთმეტ წუთს გრძელდებოდა და რომელსაც მეორე გასროლაც მოჰყვა, რევოლვერი აართვა. ბატ. თულაევმა, რომელიც ჩვენს ბრძოლას თავიდან ესწრებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ მოიხმო სტამბიდან ასოთამწყობები. ასოთამწყობები კანტორაში შე-

მოცვივდნენ და მოწინააღმდეგე გარეთ გაიყვანეს. ამ სცენის დროს ჩვენ არც ყვირილი აგვიტეხია და არც მოწინააღმდეგის დასჯა მოგვითხოვია, მაგრამ ახლა, როცა ეს ამბავი „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე ჩვენს სამხილებლად გამოიყენეს, როცა მკითხველებს არწმუნებდნენ, რომ ჩვენ ძალა არ გვეყო გონებით მოვრეოდით მოწინააღმდეგეს, როცა დამნაშავედ გვთვლიან იმ კაცთან ჩხუბში, რომელიც სტამბაში „შემოგვივარდა“ და „თავს დაგვესხა“, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვუამბოთ ამ შემთხვევის შესახებ მკითხველებს, რაც მაინცდამაინც დიდად სასახელო არაა „ჭკვიანი ლიტერატორისათვის“, რომელიც ლიტერატურულ შრომებს, ალბათ, იმიტომ აუმხედრდა, რომ ჩვენთან კამათში მოპოვებულმა გამარჯვების დაფნის გვირგვინებმა დაამძიმა.

ასეთივე მტკნარი სიცრუეა ბატ. ქუთაისელის მთელი ნაამბობი იმაზე, რომ ჩვენი სტატია „პალატის სხდომის ფიზიონომია“ (ქალაქის საავადმყოფოს გამო) თითქოს ისე დაიბეჭდა, რომ ბატ. ბებუთოვმა არ იცოდა და არც ნება დაურთავს. ბატ. ბებუთოვმა ამ სტატიის ხელნაწერი წაიკითხა და გვთხოვა ხელი მოგვეწერა, რაზედაც დავთანხმდით. სტატიაში, გარდა მისთვის მოსაწონი ამბებისა იყო უსიამოვნოც. მაგრამ ჩვენი აზრი მაშინდელ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციაზე გულწრფელად გამოვხატეთ და არ გვაინტერესებდა კმაყოფილი დარჩა ამით ბებუთოვი თუ არა. არც მას ეჭირა თავი ისე, რომ მის გაზეთში სტატიების ბეჭდვა საიდუმლოდ დაგვჭირვებოდა... ხოლო რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს ამით „მოახლეობას ჩვეული თანამშრომელი თავის პატრონს ეპირფერებოდა(ე. ი. თითქოს ბატ. ნიკოლაძე ეპირფერებოდა თავის პატრონს, ბატ. ბებუთოვს), ცხადია, ახლა „ტიფლისკი ვესტნიკს“ შეუძლია ბეჭდოს ამგვარი ამბები თავის ყოფილ თანამშრომელზე, რომელსაც მასში თანამშრომლობისათვის, როგორც ცნობილია, ბევრი ჰონორარი მიუღია. ეს ჩვენ უზადო ზრდილობად მიგვაჩნია რედაქციის მხრიდან. რომელიც თავის ყოფილ და ახლანდელ თანამშრომლებსაც კი „პატრონ-რედაქტორის“ მოახლედ აცხადებს.

ყოველივე ეს სიცრუის ნიმუში იყო, ახლა გადავიდეთ ცილისწამების ნიმუშებზე.

ბატ. ქუთაისელი წერს: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მე თავ. ბებუთოვის ზურგს არ ამოვეფარები (აბა, გაიხსენეთ რამდენჯერ ამოფარებიხართ), როგორც ეს თბილისის საქალაქო საავადმყოფში უწესრიგობის შესახებ დაწერილი სტატიის ავტორმა გაკეთაო“. ან ამ სტრიქონებს არავითარი აზრი არა აქვს, ანდა იმას ნიშნავს, რომ ეს სტატია დაწერა ბატ. ბებუთოვის ზურგს ამოფა-

რებულმა ბატ. ნიკოლაძემ. სხვათა შორის აღნიშნული სტატია თვით თავ. ბებუთოვის დაწერილია, რაც დანამდვილებით იცის „ტიფ-ლისკი ვესტნიკის" დროებითმა რედაქტორმა თავ. ერისთავმა. ჩვენ ვიცით, რომ ახლა თბილისში არც თავ. ბებუთოვია და არც თავ. ერისთავი და ამიტომ ზემოთ აღნიშნული სტრიქონების გამოქვეყ-ნებას ასე ვხსნით: ბატ. ქუთაისელმა კარგად იცის ვინ დაწერა ეს სტატია, მაგრამ სარგებლობს „ტიფლისკი ვესტნიკის" ახლანდელ მესვეურთა უცოდნელობით, რათა კიდევ ერთი ცილისწამება გა-ავრცელოს. მაგრამ რა საცოდავია დონ-ბაზილიო, რომელიც აქამ-დე მივიდა.

გადავდივართ რა ამგვარი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებების ნიმუშებიდან, რომლებიც ჩვენს პრესაში შემოიტანეს პირადი და სამსახურებრივი სარგებლიანობის მიზნით, ლიტერატურის მოი-ეზუიტე ექსპლოატატორები უნდა შევეხოთ ბატ. ქუთაისელის ღირსების სამსჯავროში მიცემის საკითხსაც.

ბატ. ქუთაისელი მიმართავს მანევრს და ფიქრობს, რომ თავს დააღწევს საქმის არსს. მოგაგონებთ: როცა ჩვენ ბატ. ღოღობერი-ძეს შევთავაზეთ ღირსების სამსჯავროს უწყისში შეგვეტანა ბატ. ქუთაისელის ცილისწამების საფუძვლიანობის საკითხი, ბატ. ღო-ღობერიძემ უარი განაცხადა თავის უანგარო დამცველთან სოლიდა-რობაზე. ჩვენ მაშინ განვაცხადეთ, რომ ბატ. ქუთაისელის ადგილზე „ყოველი პატიოსანი კაცი" თვით წარსდგებოდა ღირსების სამს-ჯავროს წინაშე და დაამტკიცებდა თავის ბრალდების საფუძვლია-ნობას. ჩვენ სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ ბატ. ქუთაისელი. ამის შემდეგ ბატ. ქუთაისელმა განაცხადა, რომ იგი მხოლოდ იმ შემთხ-ვევაში წარსდგება ღირსების სამსჯავროს წინაშე, თუ ამას თვით სამსჯავრო მოითხოვს. ჩვენ ვუპასუხეთ: არავითარ სამედიატორო სამსჯავროს არა აქვს უფლება პასუხისგებაში მისცეს მესამე პირი. საქმე ამაზე შეჩერდა. დღეს ბატ. ქუთაისელი აცხადებს: თუ ჩვენ პირადად მას გამოვიწვევთ სამსჯავროში და რწმუნებულებს გავუგ-ზავნით, იგი მათთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

ბატ. ქუთაისელის სურვილის შესრულება დიდი პატივი იქნება მისთვის. იგი ჯერ არ მომძლავრებულა ისე, რომ ვინმემ მის გამო განსაკუთრებული ღირსების სამსჯავრო დანიშნოს, ან ჩვეულებრივ სასამართლოში გამოიძახოს. მან ცილი დაგვწამა და ჩვენ საშუა-ლება მივეცით დაემტკიცებინა ცილისწამება. თუ იგი ამას არ გა-აკეთებს, ყოველგვარი ახალი გამოწვევის გარეშე, ჩვენ ძალას არ დავატანთ. მაგრამ მივეცით რა საშუალება გამოცხადებულიყო ღირსების სამსჯავროს წინაშე, ჩვენ ჩვენი ვალი პატიოსანი მეომრი-

სა, მოვიხადეთ. ხოლო რადგანაც იგი გაურბის ჩვენს გამოწვევას, მომავალში ნუღარაფერს დაგვაბრალებს...

კიდევ ერთი შენიშვნა: ბატ. ქუთაისელი მოითხოვს ჩვენგან იმ ფრაზის დამამტკიცებელ საბუთებს, სადაც ვაცხადებთ, რომ იგი „დაქირავებული ცილისმწამებლის როლს ასრულებს". „ობზორის" მკითხველებმა იციან, რომ არა ერთგზის დავამტკიცეთ ბატ. ქუთაისელის ცილისმწამებლობა, ხოლო მისი, როგორც „დაქირავებულის", როლის განსაზღვრა, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ნიღაბს ჩამოიხსნის და მისი ნამდვილი გვარი გვეცოდინება. ჩვენ არ ვთვლით ჩვენს თავს ვალდებულად დამამტკიცებელი საბუთები წარვუდგინოთ ბატ. ქუთაისელს მანამდე, სანამ ჩვენს ვალშია და სანამ არ დაამტკიცებს ცილისწამებას, რომლის შესახებ ამაოდ ვთხოვდით დამამტკიცებელ საბუთებს და კონკრეტული ფაქტების დასახელებას.

P. S. ვთხოვ „ობზორის კორექტორებს გაუშვან კიდევ რამდენიმე შეცდომა: როგორიცაა „присерьезно" და სხვა ამდაგვარი, რათა ბატ. ქუთაისელს შესაძლებლობა მიეცეს გაამხიარულოს საზოგადოება ორთოგრაფიაში ვარჯიშით, როგორც ამას ჩვენი ყოფილი მოწინააღმდეგეები ბ. ერიწოვი, სტალინსკი და სხვები აკეთებდნენ.

29. ბერლინის ტრაქტატი მცირე აზიის შესახებ

თბილისი, 4 აგვისტო

როცა „ობზორის“ [2] № 188-ში ბერლინის კონგრესის [29] შედეგები განვიხილეთ, ჩვენ არ შევხებივართ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა შეგვიქმნა ამ კონგრესმა მცირე აზიაში. ეს საკითხი ჩვენი მკითხველებისათვის თითქმის ყველაზე მთავარია და ამიტომ მას აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ.

ბერლინის ტრაქტატით რუსეთს მხოლოდ იმ ტერიტორიის ნაწილი დაუბრუნეს, რომელიც მას ნეტარხსენებულმა ს.-სტეფანოს „პრელიმინარულმა“ ხელშეკრულებამ მიაკუთვნა. თუ ამ უკანასკნელი ხელშეკრულების დადგენილებებს დავუკვირდებით მცირე აზიაში ტერიტორიული დათმობების თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ რუსეთის მოთხოვნები ამ საკითხში მიმართული იყო სრულიად გარკვეული და რეალური მიზნისაკენ, რომელსაც ორი პარალელური და ერთნაირად მნიშვნელოვანი მხარე გააჩნდა. სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთი მოითხოვდა ისეთ საზღვრებს. რომელიც მთლიანად დაიცავს ამიერკავკასიის სამფლობელოებს თურქეთის შემოსევისაგან. კომერციული თვალსაზრისით კი — იმ ტერიტორიის დათმობას, რომელზედაც შავი ზღვიდან თავრიზისაკენ მიმავალი პირდაპირი სატრანზიტო გზა გადის. ამ გზას, რომელიც მიდის ბათუმიდან, არდაგანის, ყარსისა და ბაიაზეთის გავლით სპარსეთის საზღვრებისაკენ, მოწესრიგების შემთხვევაში შეუძლია თავისკენ გადაიბიროს ევროპული ტრანზიტი, რომელიც სპარსეთში ტრაპეზუნდიდან ერზრუმზე გავლით მიემართება. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად და ტრაპეზუნდ-ერზრუმის სატრანზიტო გზის დასასუსტებლად ითხოვდა რუსეთი ეგრეთ წოდებულ ალაშქერთის ველს, რომელზედაც გადის ერზრუმის ამ გზის ნაწილი სან-სტეფანოს ხელშეკრულების [16] თანახმად, თურქეთი დასთანხმდა ყველა ამ დათმობას, რის წყალობითაც რუსეთი ისაკუთრებდა მთლიანად ბათუმ-თავრიზის სატრანზიტო გზასა და ტრაპეზუნდ-ერზრუმისა და თავრიზის სატრანზიტო გზის ერთ ნაწილს...

ვაჭრობის თვალსაზრისით შეუძლებელი იყო მცირე აზიაში უკეთესი და უფრო ხელსაყრელი შედეგების მიღწევა. ევროპის მთელი ვაჭრობა სპარსეთის სამი მეოთხედით, ხოლო ამის შედეგად, შუა აზიაც რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდა...

ბერლინის კონგრესმა სრულიად საწინააღმდეგო მიმართულება მისცა ამ ბრწყინვალე მდგომარეობას. იგი საქმის სტრატეგიულ მხარეს არც კი შეხებია. იცოდა რა, რომ რუსეთზე თავდასხმა თურქეთის საზრუნავი აღარ იქნებოდა, კონგრესმა რუსეთს საკმაოდ ძლიერი სტრატეგიული საზღვარი დაუთმო. ჩვენს ხელში გადმოვიდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ყველა ქედი და პუნქტი... მაგრამ სატრანზიტო გზების საქმე კი აღარ მოგვარდა ასევე კეთილად ჩვენთვის. ალაშქერთის ველი თურქეთს დაუბრუნეს, რითაც ერზრუმის სატრანზიტო გზა რუსეთის ზედამხედველობისა და ჩარევისაგან დააზღვიეს. მაგრამ ბერლინის კონგრესმა არც ეს იკმარა. საჭირო იყო რუსეთისათვის არ მიეცათ არც პარალელურად დამოუკიდებელი გზა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა ერზრუმის გზას. ამ მიზნით ბათუმ-თავრიზის გზას (ბაიაზეთი) ერთი ნაწილი ჩამოაჭრეს და თურქეთს დაუბრუნეს... ასე რომ, ბათუმიდან სპარსეთში მიმავალმა რუსეთის ტრანზიტმა, უნდა თუ არა, თურქეთის ტერიტორია უნდა გაიაროს... უნდა ვაღიაროთ, რომ რეალური ინტერესების თვალსაზრისით სასურველი იყო ამ გზის შენარჩუნება, თუნდაც „სტრატეგიული“ საზღვრების საზიანოდ...

ახლა საქმის რეალური მხრიდან გადავიდეთ საკითხის სენტიმენტალურ, ანუ ამაღლებულ მხარეზე, გამოვარკვიოთ, რამდენად გაუმჯობესდება თურქეთის ქრისტიანთა ყოფა მცირე აზიაში. ამ მხრივაც ბერლინის კონგრესის შედეგები ვერ შეედრება იმას, რაც სულთანის ევროპული სამფლობელოებისათვის გაკეთდა. მაგალითად, სომხეთის შესახებ ბერლინის ტრაქტატში სიტყვაც არ არის ნათქვამი, თითქმის ისევე, როგორც სან-სტეფანოში. თუმცა ეს უკანასკნელი ჰპირდებოდა სომხებს რაღაც რეფორმების ჩატარებას, რომლებიც შესაძლებელი იქნება „ადგილობრივ ვითარებათა“ პირობებში. ამ განსაზღვრების ელასტიურობამ და „გარანტიათა“ სრულმა უქონლობამ, რომელიც აუცილებელი იყო თურქეთის დაპირებათათვის რეალური ღირსების მისანიჭებლად, ამ პუნქტს გამოაცალა ყოველგვარი სერიოზული მნიშვნელობა. სომხეთის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, სულ რაღაც 75.000 კაცი გადმოვიდა რუსეთის საზღვრებში ბერლინის ტრაქტატის მიხედვით. თურქეთში მცხოვრები დანარჩენი სომხური მოსახლეობა პორტას უკონტროლო მორჩილების ქვეშ დარჩა... ვფიქრობთ, თვით გაზეთი

„მშაკი“ [55], რომელიც უზღვავ წყალობასა და სიმდიდრეს ჰპირდებოდა თურქეთინ სომხებს, იძულებული იქნება აღიაროს, რომ მოლოდინი გაუცრუვდა...

სამაგიეროდ, მომავლის თვალსაზრისით, თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობა მცირე აზიაში რადიკალურად და საბოლოოდ შეიცვალა. ინგლისმა დაიკიწყა სულთანის ბალკანეთის სამფლობელოები და სრულიად სამართლიანად აღიარა, რომ საქმის არსი დუნაი და რუმელია კი არ არის, არამედ მცირე აზიის სრუტეები და სატრანზიტო გზებია. სწორედ ამ შეხედულებათა შესაბამისად ინგლისი პორტას ჰპირდებოდა მისთვის აუცილებელ საარსებო და სასიცოცხლო წყაროებს, იმ ერთადერთ მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებისკენაც უნდა მიემართა რუსეთს მთელი თავისი ძალა და ცდა... ამიერიდან მცირე აზიაში ჩვენ თურქეთთან კი არ ვიბრძოლებთ, არამედ დიდ ბრიტანეთთან, რომელმაც აშკარად გამოგვიცხადა თავისი ცნობილი გამოთქმა: „აქამდე და არა უშორეს“. ცხადია, ეს ვერ შეაფერხებს ჩვენს სვლას წინ, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ათჯერ მეტი ძალა და ხარჯი გვჭირდება, ვიდრე შარშან...

თუ რუსეთის ყველა დათმობებს მცირე აზიაში ერთ მნიშვნელამდე დავიყვანთ, დავინახავთ, რომ ჩვენ მივიღეთ სტრატეგიული საზღვარი იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც, ალბათ, ვერც იოცნებებს ჩვენს საზღვრებში შემოჭრაზე, მივიღეთ ბათუმის „ყურე“, სატრანზიტო გზის ერთი ნაგლეჯი და 250,000 ადამიანით დასახლებული ტერიტორია... მთელი ეს მონაპოვარი იმ მსხვერპლის ერთ მეათედსაც ვერ ფარავს, რომელიც რუსეთმა ამ მიზნის მისაღწევად გაიღო... თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მეტის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს „მთავრობის ცნობა“, რომელიც ჩვენ „პროვიტელსტვენი ვესტნიკიდან“ [56] „ობზორის“ ბუშინდელ ნომერში გადმოვბეჭდეთ. ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ შეიძლება უარესიც მომხდარიყო, შეიძლება სულ არაფერი არ მიგვეღო, ვერაფრისათვის ვერ მიგვეღწია. საკითხს თუ ამ მხრიდან მივუდგებით, რა თქმა უნდა, ადვილად დავიმშვიდებთ თავს და ასეც უნდა მოვიქცეთ...

კიდევ ერთი შენიშვნა ბათუმის შესახებ. „ობზორის“ მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ჩვენ თავიდანვე უარვყოფდით ამ პორტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ახლა კი, როცა თურქეთისათვის ბაიაზეთის დაბრუნება მას ართმევს სატრანზიტო გზისათვის „tête de ligc“-[57] ის მნიშვნელობას და ჩვენ ახალი სა-

ბაბი მოგვეცა იმის დასამტკიცებლად, რომ საჭიროა ჩვენი მხარის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებისათვის ზრუნვა და ამიტომ სხვა ნავსადგურების შეძენა ანუ მოწყობა. ბათუმის შესახებ ჩვენი შეხედულების საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ბიკონსფილდისა და ინგლისის საადმირალო უწყების განცხადება, რომელიც ბათუმს თვლის უმნიშვნელო ნავსადგურად, რომელშიც სამი ჯავშნოსანი თუ დაეტევა... თვით გობართ-ფაშას აზრითაც კი, რომელიც ბათუმის მნიშვნელობას აზვიადებდა, ამ ნავსადგურში მხოლოდ თორმეტამდე გემი დაეტევა, თანაც ისე გამოივსება ეს ყურე, რომ ნემსიც კი ვეღარსად ჩავარდება. განა საჭიროა იმის დამატება, რომ ასეთი ნავსადგური საკმარისი არ არის ისეთი მხარისათვის, რომლის ვაჭრობასაც ორჯერ და სამჯერ მეტი გემი ესაჭიროება?

30. ინგლისთან ომი

თბილისი, 4 აგვისტო

ბერლინის ტრაქტატი[20] და მისი დამატება, 4 ივლისის ინგლის-თურქეთის ტრაქტატი ინგლისთან საბრძოლველად გვწირავს და თავის მოტყუება იმის იმედით, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება და დროული დათმობები შესაძლებლობას მოგვცემს ავცდეთ ამ ისტორიულ ამოცანას, საღ აზრს მოკლებულია და არ შეეფერება რუსეთის ღირსებას. დიპლომატია, როგორც ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი გარე გამოვლენა, კვლავინდებურად იარსებებს, დაუღალავად შეადგენს ნოტებს, წერილებს, მემორიალებს და სხვა ამდაგვარს, რომლებიც საოცრად ღრმააზროვნად და ჭკვიანურად იქნება შეკოწიწებული, მაგრამ რომლებიც გაგზავნისა და მიღების დროს თანდათან დახარისხდება და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში გადავა. ამასობაში ხალხის რეალური ცხოვრება, სახელმწიფო უშიშროების მოთხოვნილებათა ყოველდღიური დაცვა, დაკმაყოფილება და განვითარება, ჩვენს მთავრობას თანდათან იქამდე მიიყვანს, რომ იგი გვერდზე გადასდებს ყოველგვარ დიპლომატიას და მტკიცედ განაცხადებს, თუ რა სურს რუსეთს და რისი დაშვება არ შეუძლია. ამის შედეგად ინგლისმა ან უნდა დაგვითმოს, რაც მის კეთილდღეობას შელახავს, ანდა ომი უნდა გამოგვიცხადოს, რაც დროებით ხელს შეუშლის როგორც ინგლისის, აგრეთვე რუსეთის კეთილდღეობას, მაგრამ, სამაგიეროდ, აგრძნობინებს ინგლისს, რომ ხელი უნდა აიღოს გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და დაგვითმოს გარკვეულ საკითხებში. ასე რომ. ომი ინგლისსა და რუსეთს შორის მხოლოდ დროის საკითხია.

ჩვენ წესად შემოვიღეთ არავის არაფერი მივუთითოთ და არაფერი არ ვიწინასწარმეტყველოთ იმ პოლიტიკური საკითხების შესახებ, რომელთაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიხილავთ და დავკმაყოფილდებით პროვინციელი პუბლიცისტის უპრეტენზიო მოვალეობით — ჩვენს მკითხველს წარვუდგინოთ ნარკვევი თანამედროვე პოლიტიკური ამბების შესახებ, არსებული ფაქტების ფარგლებში.

ამ ფაქტების მიუკერძოებელმა შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ რუსეთი მუდამ ესწრაფოდა ინგლისთან დამეგობრებას, მაგრამ, მათი უკიდურესად საპირისპირო ინტერესების გამო, ასეთი კავშირი არ შეიძლებოდა დამყარებულიყო: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ქრისტიანების უკანასკნელი აჯანყების შემდეგ ინგლისი ყველაფერში გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რუსეთს და ბოლოს, pour sûr, ინგლის-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, იგი რუსეთის აშკარა მტერი გახდა და განაცხადა, რომ რუსეთის შემდგომი განვითარების შესაჩერებლად ყოველგვარ ღონეს იხმარს. ყოველივე ეს გამორიცხავს შეთანხმების ყოველგვარ შესაძლებლობას და მომავალში ომს გვპირდება. შეიძლება ომი დიდი უბედურება იყოს, მაგრამ არც-ერთ მხარეს არ შეუძლია თავი დააღწიოს მას და ამიტომ საჭიროა ახლავე მიუკერძოებლად გამოვიკვლიოთ რუსეთსა და ინგლისს შორის ომის საკითხი. ჩვენ ამას ვნებების გასაღვივებლად და შოვინისტური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად არ ვაკეთებთ. ჩვენ გვინდა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს ომი.

საბრძოლველად გამზადებული ინგლისისა და რუსეთის ჯარები ახლა ერთმანეთის პირისპირ დგანან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ამიერკავკასიის საზღვრებთან, ჰინდიკუშის მთისწინეთთანა და ჰიმალაის მთებთან. ინგლისელების აზრით, ეს სამი სტრატეგიული პოზიცია მხოლოდ ერთ მიზანს აკმაყოფილებს—დაიფაროს დიდი ბრიტანეთის დედოფლის ინდოეთის იმპერია. ასე რომ, სადაც არ უნდა დაიწყოს ომი ინგლისის წინააღმდეგ, მოქმედების მიზანი მხოლოდ ინდოეთი და მუდამ ინდოეთი იქნება, რომელსაც ინგლისი ყველა ზნეობრივ პრინციპსა და საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს. რუსეთი, როგორც ინგლისის მტერი, ხედავს რა ინგლისის ზეადამიანურ ღონისძიებებს ჩაკეტოს ინდოეთი, არავინ არ მიუშვას ინდოეთამდე, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ინდოეთი ინგლისისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე სუსტი ნაწილია. ამიტომ რუსეთმა სწორედ აქეთკენ უნდა მიმართოს მთელი თავისი ძალღონე.

ჩვენ ვიკვლევთ თანამედროვე status quo-ს: რუსეთმა ხელი მოაწერა ბერლინის ტრაქტატს და პირნათლად შეასრულებს მას. თურქეთი უნდა დაემორჩილოს ევროპის განაჩენს, მაგრამ ინგლისისა და ავსტრიის წყალობით, რომელთაც ვალდებულება იკისრეს თვალყური ედევნებინათ ბოსნიის, ჰერცოგოვინისა და

ბალკანეთს იქეთა პროვინციების დაშოშმინებისათვის, იქ, სადაც ჩვენი არმია დგას ბალკანეთის მთების გადაღმა და სადაც ქრისტიანი მოსახლეობის საერთო მღელვარებაა, აქ ომის შესაძლებლობა კვლავ რჩება. იქ რუსეთის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიდნენ ინგლისი, თურქეთი, საბერძნეთი და ავსტრია-უნგრეთი. ჩვენს მხარეზე იქნება ქრისტიანი მოსახლეობისა და ავსტრია-უნგრეთის ბევრი ოლქის თანაგრძნობა. დედაქალაქის გაზეთები, რომლებიც ჩვენს სტრატეგიულ მდგომარეობაზე მსჯელობენ, ასეთ დასკვნამდე მიდიან: ინგლისი და თურქეთი, ალბათ, ფრონტით დაგვიპირისპირდება, ავსტრია კი ფლანგიდან, რაც, რუმინეთზე გავლით, შესაძლებლობას მისცემს მას ჩვენი არმია რუსეთს მოსწყვიტოს. მაგრამ აქვეა წამალიც. გარდა იმიერბალკანეთში მყოფი არმიისა ჩვენ გვყავს კიდევ მეორე არმია გალიციის საზღვარზე, რომელსაც შეუძლია დაიძრას ავსტრიისაკენ, თანახმად გრაფ პასკევიჩის ანდერძად დატოვებული იდეისა — ჩვენი გზა კონსტანტინოპოლისაკენ ვენაზე გადის. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ზურგში მოვექცეთ ავსტრიის იმ ძალებს, რომლებიც ჩვენს არმიას ფლანგიდან დაემუქრება. შეგვიძლია უსასრულოდ დავუახლოვოთ და დავაშოროთ ერთმანეთს ჩვენი არმიები, მაგრამ სტრატეგიული ამოცანების გადაჭრას სპეციალისტებს ვუთმობთ, ჩვენთვის კი ვიტოვებთ უფლებას გამოვთქვათ არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური მოსაზრებები.

ბერლინის ტრაქტატმა ცნო რუმინეთის, სერბიის და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა, ბულგარეთის სამთავროს ვასალური დამოკიდებულება (პარ. I) ბალკანეთამდე, ხოლო რუმელიამ, ბოსნიამ და ჰერცოგოვინამ მოიპოვეს ავტონომიის ფიქტიური უფლება თურქეთისი და ავსტრია-უნგრეთის ბატონობის ქვეშ. შეუძლებელია მომავალში არ წარმოიშვას ზნეობრივი და პოლიტიკური სოლიდარობა დამოუკიდებელ და ავტონომიურ პროვინციებს შორის, ხოლო ახლა არ იყოს გულწრფელი მისწრაფება იმისაკენ, რომ გაერთიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჯგუფებად.

სანამ ამ მისწრაფებებს არ დააკმაყოფილებენ, რუსეთს შეუძლია ამ ქვეყნების მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი იქონიოს. ასე რომ, სადაც არ უნდა გადიოდეს ჩვენი ფრონტი, ფლანგი და ზურგი, შეგვიძლია დავეყრდნოთ ადგილობრივ მოსახლეობას. ამიტომ, თუ რუსეთთან საზღვაო კავშირი შევინარჩუნეთ, ბალკანებს იქეთ მყოფი არმიის მდგომარეობა უსაფრთხო და ხელსაყრელიც კია. მაგრამ შავ ზღვაში ინგლისის ფლოტის ყოფნა ძირს უთხრის ამ შესაძლებლობას. ამგვარად, იმიერბალკანეთში მყოფ არმიას რომ ხელ-

საყრელი პირობები შევუქმნათ, საჭიროა ინგლისის ფლოტის ყურადღება ბალკანეთის ომის თეატრს ჩამოვაცილოთ.

ჩანს, ამიერკავკასიის საზღვარზე ინგლისი საბრძოლო არმიას ვერ დაგვიპირისპირებს. მას შეუძლია მხოლოდ ვილიამსების, კემბელების და კომპანიის მეშვეობით ორგანიზაცია გაუწიოს და წარმართოს თურქეთის სამხედრო ოპერაციები. ყარსის, არდაგანის და ბათუმის აღების შემდეგ, მას შემდეგ რაც ახალი საზღვარი მივიღეთ, ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობა წინანდელთან შედარებით ბევრად გაუმჯობესდა. თუ რკინიგზის ხაზი ამიერკავკასიას რუსეთს განუწყვეტლივ დაუკავშირებს და ეს ხაზი ყარსამდე და ბათუმამდე მივა, ამასთან გვეყოლება მზად ყოფნაში მყოფი მნიშვნელოვანი საბრძოლო ძალები, რომელიც აუცილებლად გაიზრდება ახალი პროვინციების დაკავებასთან დაკავშირებით, მაშინ, ცხადია, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება მოვამზადოთ ბრძოლის თეატრი სამხედრო მოქმედებისათვის ყოველგვარი სიძნელეების გარეშე და გადმოვიყვანოთ აქ ჯარის ის რაოდენობა, რაც საჭირო იქნება. ყველაფერი ეს შეიძლება გაკეთდეს შინაურულად, უხმაუროდ და სწრაფად. ამგვარად, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ: ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობა ამ საზღვარზე ხელსაყრელია. შესაძლებელია თუ არა დესანტის გადმოსხმა ქუთაისის გუბერნიაში ან აღმოსავლეთ სანაპიროებზე? მიმდინარე ომის გამოცდილების შედეგად და ერთ-ერთი მოხერხებული ნავსადგურის ბათუმის შემოერთების შემდეგ, რომელსაც მტერი საყრდენ პუნქტად გამოიყენებდა, დესანტის გადმოსხმის საკითხი შეიძლება მივაწეროთ იმ კატეგორიის ღონისძიებას, რომლის განხორციელება თითქმის შეუძლებელია. ხოლო ნაპირის ტორპედოებით და ბატარეებით გამაგრების შემდეგ, ამ ღონისძიებას არ შეიძლება რაიმე თვალსაჩინო მიზანი ქონდეს, რადგან მტერს არაფერს მიცემს და არც ღირსშესანიშნავი წარმატება მოჰყვება. მით უმეტეს მაშინ, თუ შავ ზღვაში რუსეთის ფლოტი იარსებებს.

ჩვენი მესამე პოზიცია, რომელიც სირ-დარიის სათავეებთან და ჰიმალაისა და ჰინდიკუშის ძირას გადის, უდავოდ სუსტია: სუსტია ჯარის სიმცირის გამო, სუსტია გზების უქონლობის გამო, რომლებიც ბრძოლის თეატრს რუსეთთან დააკავშირებდა. აქამდე ეს ამბავი არ შეიმჩნეოდა, ჩვენ მხოლოდ შუა აზიის სახანოებთან და მომთაბარე ტომებთან შეტაკება გვქონდა გათვალისწინებული, სადაც ერთი ბატალიონი და ორიოდე ქვემეხი ისეთი დიდი სამხედრო ძალაა, რომლის წინაშეც ისინი უძლურნი არიან. როგორც ცნობილია, ჩვენ არ გვსურდა ამ მდგომარეობის შეცვლა და თანხმობა განვაცხადეთ ავღანეთის სამფლობელოების ცენტრალური ზოლის

შექმნაზე. რომელიც ინდოეთისაგან გვთიშავს. სამაგიეროდ, ინგლისმაც იტვირთა ზნეობრივი მოვალეობა, რომ არ გადმოვიდოდა ჰიმალაის ჩრდილოეთ ფერდობებზე და არ დაიკავებდა ინდოეთიდან შუა აზიაში გამავალ გადასასვლელებს, მაგრამ ინგლისმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება კვეტისა და დოლანის გადასასვლელების დაკავებით და ბელუჯისტანში და ავღანეთში რეზიდენტის დანიშვნით. ასე რომ, თუ ფაქტებს პირდაპირ შევხედავთ, ახლა აღარ შეიძლება იმის თქმა, თითქოს რუსეთისა და ინგლისის სამფლობელოებს უმაღლესი ქედი ჰყოფს, რომ ამ ორი სახელმწიფოსათვის საკმარისი ადგილია აზიაში. დაპყრობილი სამფლობელოები თუ უშუალოდ ინგლისის კუთვნილება არაა, მისი მოკავშირეები ან ვასალები მაინც არიან და შუა აზიის სამფლობელოებს ეკვრიან. ასე რომ, ჩვენ ინგლისის მეზობლები ვართ და, მიუხედავად დიპლომატების თვალსაზრისისა, ჩვენს შორის მუდამ არსებობს მზა ბრძოლის ველი. წინააღმდეგ ჩვენი სურვილის, მოვლენათა განვითარების შედეგად და ინგლისის ინტრიგების წყალობით ჩვენ შეიძლება შეტაკება მოგვიხდეს ინგლისის სახმელეთო ჯარებთან და არა დესანტთან, როგორც ეს შეიძლება მოხდეს ყველა დანარჩენი ბრძოლის ველზე. ინგლისთან ომის შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ბრძოლის ეს თეატრი იქნება, რადგან იგი ეკვრის ინგლისის სუსტ და ყველაზე მნიშვნელოვან სამფლობელოს, რომლის დაცვის მიზეზით ინგლისი რუსეთის აშკარა მტერი გახდა. ახლა მთელი ძალ-ღონე შუა აზიის ბრძოლის თეატრისაკენ უნდა მივმართოთ და ავიყვანოთ იგი თანამედროვე პოლიტიკური ვითარების დონემდე. აუცილებლად უნდა გავზარდოთ, სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც, იქ მყოფი ჯარის რაოდენობა, შევქმნათ სირ-დარიაზე გამაგრებული პუნქტები და სამხედრო მასალათა საწყობები, გავაუმჯობესოთ კავშირი რკინიგზების გაყვანით. ჩვენი ჯარების შუა აზიიდან ინდოეთში გადასვლა, სამხედრო თვალსაზრისით შესაძლებელი ღონისძიებაა. ინდოეთში და კვეტის საზღვრებთან ჩვენი ჯარების გამოჩენა, ან რომელიმე ბრძოლაში მათი წარმატება, თვით ინგლისელების აზრით, ინდოეთში აჯანყების დაწყების ნიშანი იქნება. და თუ ეს ასე მოხდა, ინგლისი, ცხადია, უარს იტყვის დაეხმაროს სულთანს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მთელ თავის ჯარს, უკანასკნელ კაცამდე, თავს მოუყრის და აჯანყების ჩასაქრობად ინდოეთში გადაიყვანს. ინგლისის მდგომარეობას ინდოეთში ვერც კვიპროსის კუნძული და მესოპოტამიის სანაპიროები განამტკიცებს, მხოლოდ სიძნელეებს შეუქმნის, რადგან სწორედ იმ დროს მოითხოვს დამატებით სამხედრო ძალებს, როცა ინგლისის კეთილდღეობის ძი-

რითადი ინტერესების შეულახავად მათი დანაწევრება არ მოხერხდება. ჩვენი ჯარების მოქმედებასთან დაკავშირებით ინგლისის მთელი სამხედრო ძალების გაყვანა ბალკანეთის და ამიერკავკასიის ბრძოლის ველიდან ისეთივე გარდუვალი აუცილებლობაა, როგორც საფუძველგამოცლილი ქვის ჩამოვარდნა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი საერთო რწმენა, რომ ჩვენი ჯარები პირველად ინგლისელებს უსათუოდ ინდოეთის მახლობლად უნდა შეხვდნენ და წარმატებაც უზრუნველყოფილი იქნება, თუკი, რა თქმა უნდა, ჩვენი სამხედრო მდგომარეობა შუა აზიაში იქ რუსეთის თანამედროვე ამოცანების დონეზე მომზადდება.

31. ადგილობრივ თავადაზნაურთა სამსახური

თბილისი, 7 აგვისტო

ჩვენი არმიის მომავალი დემობილიზაცია პირველ რიგში აყენებს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა ასე თუ ისე გადაჭრა გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ადგილობრივი თავადაზნაურობის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდა და, ამასთან დაკავშირებით, ომის დროს ჩამოყალიბებული ე. წ. თავადაზნაურთა რაზმებისა და პოლკების დაშლა. სინამდვილეში ეს საკითხი უფრო დიდი და საერთო საკითხის ქვეგანაყოფს, ანდა ნაწილს წარმოადგენს... მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ არ შეგვიძლია შევეხოთ ახლა ამ დიდ საკითხს და იმ ქვეგანაყოფის ყველა მხარესაც კი, რომელზედაც ვსაუბრობდით. იგივე მიზეზები გვაიძულებენ შევეხოთ საკითხის მხოლოდ ერთ, წმინდა „სამოქალაქო“ მხარეს...

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის გუბერნიებს, თავადაზნაურთა ოჯახების რაოდენობის მხრივ, თითქმის პირველი ადგილი უჭირავთ რუსეთის იმპერიაში. თავადაზნაურთა და პრივილეგირებული ფენების პროცენტული შეფარდება ხარკის გადამხდელ წოდებასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთის რომელიმე გუბერნიაში. არის ისეთი გუბერნიებიც, მაგალითად, ქუთაისის, სადაც 1000 კაცზე პრივილეგირებული ფენის 105 წარმომადგენელი მოდის, ე. ი. 10½ პროცენტი! ასეთი დიდი პროცენტი ბატონყმობის დროსაც კი ძალზე დამამძიმებელი და არანორმალურია: ხოლო ვალდებულთა შრომის შემთხვევაშიც პრივილეგირებული ფენა, რომელიც ასეთ დიდ კონტინგენტს შეიცავს, ძალზე ემსგავსება პროლეტარიატს. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კი ჩვენი პრივილეგირებული ფენა შეუძლებელიც იყო პროლეტარიატის მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. პრივილეგირებულ ფენას იქ, სადაც იგი მთელი მოსახლეობის მეათედზე მეტია, არ შეიძლება ეწოდოს მიწათმოქმედი, რადგან ყოველ მის წევრს შეიძლება მხოლოდ მიწის უმნიშვნელო ნაგლეჯი ერგოს... „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] ფურცლებზე ჩვენ არაერთხელ მიგვიქცევია მკითხველთა ყურადღება ამ გარემოები-

სათვის. მაშინ[58] ჩვენ ვამბობდით: როცა პრივილეგირებული ფენა ასე იზრდება რიცხობრივად, ცოდვაა მის მიმართ უყურადღებობა გამოვიჩინოთ, თუნდაც მხოლოდ მრავალრიცხოვნებამ, რაც მას პროლეტარიატის მდგომარეობაში აყენებს, მისდამი ლიტერატურის დაინტერესება უნდა გამოიწვიოს...

არსებითად, ასეთი მრავალრიცხოვანი კლასის უმეთვალყურეოდ და დახმარების გარეშე დატოვებამ, არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და ზნეობრივ განვითარებას. არ უნდა გვაკვირვებდეს სამოქალაქო პროცესების ზრდა და თანასოფლელთა ჩხუბი და კინკლაობა, როცა მოსახლეობის მეათედი ნაწილი ისტორიულმა ყოფამ ვერ მოამზადა ფიზიკური შრომისათვის და არც აქვთ შესაძლებლობა თანმიმდევრულად და თანდათანობით შეეჩვიონ მას...

სამხედრო მოქმედების დაწყებამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში დროებითი გამოსავალი მისცა ამ მრავალრიცხოვან კლასს... ბევრი თავადი და აზნაური ჯარში ჩაეწერა, ბევრი პირველად მიეტმასნა სავაჭრო და საიჯარო ოპერაციებს და შემოსავლის წყარო გაიჩინა, ხოლო ზოგი სამხედრო ორგანიზაციის დარგებსა და ადმინისტრაციას მიეძალა. თავადაზნაურობამ ხელი მოჰკიდა ყოველგვარ საქმიანობას, სადაც კი თავის გამოკვება შეიძლებოდა, დაწყებული „მოწყალების ძმობიდან", დამთავრებული მოანგარიშისა და მწერლის მოღვაწეობით, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ნაწილი ირეგულარულ ცხენოსან და ფეხოსან რაზმებში ჩაერიცხა, რის შედეგადაც ზოგ ადგილას მთელი რაზმები და პოლკები ჩამოყალიბდა.

იმ მზადყოფნას, რომელიც ადგილობრივმა თავადაზნაურობამ ამ რაზმებში ჩაწერის დროს გამოიჩინა. ორი ერთნაირად რაციონალური და შეუმცდარი ახსნა აქვს: ერთია—საუკუნეების მანძილზე მემკვიდრეობით ჩამოყალიბებული ადგილობრივი თავადაზნაურობის ხასიათი, რომელსაც სამხედრო ქმედება იზიდავს და ეს მიზიდულობა მას ჯერ კიდევ კარგა ხანს გაჰყვება. ეს მათ სისხლში აქვთ გამჯდარი და ჩვენი თავადაზნაურები ინსტინქტურად არაფრისაკენ არ ისწრაფვიან ისე ძლიერ, როგორც სამხედრო სამსახურისაკენ... მეორეს მხრივ კი, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს ეკონომიური მდგომარეობა: ჯამაგირი თავადაზნაურობას ლუკმა-პურით ასე თუ ისე უზრუნველყოფილი არსებობის საშუალებას აძლევდა. თავის გამოჩენის და დაწინაურების შესაძლებლობაზე, ანუ უფრო უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. რა თქმა უნდა, მათზე ამ გარემოებასაც უნდა მოეხდინა გავლენა, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც წინა ორ პირობას...

ჩვენ არ ვეკუთვნით ირეგულარული ნაწილების თაყვანისმცემელთა რიცხვს... მაგრამ საქმე ამაში როდია. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ირეგულარულ ნაწილთან სუსტი მონაწილეობა, რომლის დროსაც განსაკუთრებით გამოსადეგია ადგილობრივი თავად-აზნაურობა, საშუალებას არ გვაძლევს სარწმუნოდ განვსაზღვროთ ადგილობრივი თავადაზნაურობის სამსახურის გამოსადეგობის ხარისხი. მაგრამ სამაგიეროდ ამ სარგებლიანობის განსაზღვრისათვის ჩვენ უფრო ზუსტი საზომი მოგვეპოვება.

კავკასიის არმიაში, მისი ჩამოყალიბების დღიდან, ოფიცერთა კონტინგენტის დიდ ნაწილს ადგილობრივი თავადაზნაურობა შეადგენდა. ამავე დროს ცნობილია, როგორ აღაფრთოვანებდნენ ეს ოფიცრები ჯარისკაცებს პირადი მამაცობით და ამტანიანობით, რა შესანიშნავ გავლენას ახდენდნენ მათზე. ყველასათვის ცნობილია ადგილობრივი თავადაზნაურობის ხასიათის ერთი უმთავრესი თვისება. ესაა უანგარობა, რომელიც ზოგჯერ უანგარიშობამდე მიდის... ჯარისკაცები დიდად აფასებენ ამ თვისებას, როცა ხედავენ, რომ ბრძოლაში მამაკაცი და ფიცხი ოფიცრები მშვიდობიანობის დროს ექსპლოატაციას არ უწევენ ჯარისკაცებს, არ ატყუებენ, არაფერს პარავენ და, თუ ღმერთმა რამე მისცათ, მათაც უზიარებენ. ასეთ ოფიცრებს ჯარისკაცები წყალში და ცეცხლში გაჰყვებიან. ჩვენ არ ვიცით საბრძოლო თვისებების ისეთი ბრწყინვალე შერწყმის მაგალითი, როგორიც მამაცი ოფიცრების წინამძღოლობით რუსი ჯარისკაცის თავგანწირვაა.

ცხადია, ამ სტრიქონებით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ჩვენი ოფიცრების სხვა რომელიმე კატეგორია დავამციროთ. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის ფაქტი, რომელიც ყველამ შეამჩნია. ადგილობრივი თავადაზნაურობის წრიდან გამოსული ოფიცრები და მოხალისეები თავიანთ თავში აერთიანებდნენ ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც ყველა და ყველაზე საუკეთესო არმიებისათვის სასურველია. არმიისათვის ასეთი ძვირფასი თვისებები ადგილობრივი თავად-აზნაურობისა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ორმხრივი მიზნით: თვით არმიის საკეთილდღეოდ და ჩვენი ქვეყნისათვის მეტისმეტად მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობისათვის ადგილის მისაჩენად. ამიტომ სასურველია, ისიც, რომ მშვიდობიან დროს, რომელიც ახლა დგება, ჩვენი ქვეყნის თავადაზნაურობას ფართო გზა გაუხსნან სამხედრო სამსახურისაკენ. ამის შედეგად ომის დროს ჩვენ მზად გვეყოლება შესანიშნავ სამხედრო მოღვაწეთა უზარმაზარი კონტინგენტი. ამ მხრივ საუკეთესო საშუალება იქნებოდა ადგილობრივი თავადაზნაურობის რომელიმე რეგულარუ-

ლი, უმთავრესად ჩვენს დრაგუნთა ტიპის პოლკებში ჩარიცხვა. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება დავკმაყოფილდეთ ცხენოსანთა არსებული ტიპის ირეგულარული პოლკებით. მაგრამ ომის დროს მათი გამოყენება ნაკლებად მოხერხებულია, ვიდრე რეგულარული ჯარისა, რადგან რეგულარული ჯარის ოფიცრებთან შედარებით ისინი უმნიშვნელო განათლებას იღებენ... თუმცა ასეთი ღონისძიებების განხორციელება არც ამით ამოიწურება. სასურველია ჩვენს ქვეყანაში გაიზარდოს სამხედრო პროგიმნაზიების და გიმნაზიების რიცხვი და კურსდამთავრებულებს ხელი შევუწყოთ ჩაირიცხონ არა მარტო კავკასიის არმიაში, არამედ სხვა არმიებშიც. ჩვენში არსებული სამხედრო სასწავლებელი ძლივს ავსებს კავკასიის არმიის კონტინგენტს. ჩვენი ქვეყნის მკვიდრნი კი დაამშვენებდნენ რუსეთის არმიის სხვა დივიზიების რიგებსაც. ხოლო ამ შესანიშნავი მასალით რომ ჯარი დავაკომპლექტოთ, საჭიროა შესაფერისი განათლება მივცეთ...

ვიმეორებ, ამ ღონისძიების განხორციელებით ერთნაირად დაინტერესებულია არმიაც და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაც. გაერემოებათა ასეთი ბედნიერი შერწყმა იმის თავდებია, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, ნაწილობრივ თუ სრულად, ახლო მომავალში განხორციელდება.

32. „გადახალისების“ საჭიროება

1

თბილისი, 8 აგვისტო

თვით ჩვენმა მთავრობამ განაცხადა თავის „ცნობებში“, რომ ბერლინის კონგრესის[20] მიერ ბოძებული ზავი სხვა არაფერია, თუ არა „შესვენება“... ძლივს მოვესწარით ერთი ომის დამთავრებას, რომელიც, ჯერ კიდევ ღმერთმა იცის, დამთავრებულია თუ არა, და ხელახლა გვიხდება კიდევ უფრო მძიმე და ხანგრძლივი ომისათვის მზადება. ცხადია ისიც, რომ მზადებისათვის, ძირითადად, ახლახან დამთავრებული ომის გაკვეთილები და გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ შეჯამებული არაა.

თუმცა წარსული ომი რამდენიმე და უმთავრესი გაკვეთილისათვის ახლაც გვაძლევს საკმარის მასალას. რა თქმა უნდა, საქმის ისეთი სტრატეგიული მხარეები, როგორიცაა სამხედრო-ორგანიზაცია და სამხედრო-ადმინისტრაცია ჯერ კიდევ არაა გამორკვეული. გაივლის წლები, სანამ ამ საკითხებზე საბოლოო სიტყვას იტყოდნენ. ამისათვის საჭიროა არა მარტო უამრავი კერძო მემუარების, არამედ ორივე მოწინააღმდეგე არმიის მთავარი შტაბებიდან გამოსული დოკუმენტებისა და ცნობების გამოქვეყნებაც. მაგრამ საეჭვოა ამგვარი დოკუმენტების შეგროვება და კლასიფიკაცია დაიწყოს. სამაგიეროდ, არის სხვა, უფრო საერთო დარგები, რომლებიც ასეთი დოკუმენტების გამოქვეყნებას არ მოითხოვს. ზოგიერთი საკითხი პირველი დღიდანვე გაშუქებულია და მათზე აზრის გამოთქმა შეიძლება.

დიდი ხანია, რაც ისტორია თავის ერთადერთ მონაპოვრად აღარ თვლის ამა ქვეყნის ძლიერთა მოქმედების არეს, სიტყვებს და ჟესტებს. შესაბამისად ამისა, ომების ისტორიაც გამოვიდა თავისი განვითარების იმ პერიოდიდან, როცა მთავარსარდლების ცხოვრების აღწერით და მათი მიზანდასახულობით იფარგლებოდა. საზოგადოების როლსა და ხასიათს, მის განწყობილებას და ქცევას, ძალებს, რომლებიც მასზე მოქმედებენ და მაშინვე ვლინდებიან, დიდი ხანია პირველი ადგილი უჭირავთ როგორც სამხედრო, ასევე

პოლიტიკურ ისტორიაში. თუმცა ზერელედ, მაგრამ ჩვენ მაინც ამ თვალსაზრისით ვიხილავთ საქმის არსს და ბევრს დავინახავთ ისეთ საინტერესო რამეს, რაც ახლახან გადატანილი მდგომარეობის განმეორების დროს გამოგვადგება...

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ სერბია-თურქეთის ომის დასაწყისი და მოვიგონოთ ჩვენი საზოგადოების მაშინდელი განწყობილება. ვის არ ახსოვს როგორ დარწმუნებული იყო ყველა, რომ ჩერნიაევის მოხალისეები არა მარტო აიღებენ კონსტანტინოპოლს, არამედ ოტომანთა მთელ იმპერიასაც გაანადგურებენ. ასე ფიქრობდნენ და ამას ამტკიცებდნენ არა მარტო ბნელი და უმეცარი ადამიანები, „გაუნათლებელი ბრბო", არამედ რუსეთის პუბლიცისტიკის ყველაზე მოწინავე წარმომადგენელნიც. ამ საერთო „რწმენისადმი" უმცირესი ეჭვი და უმნიშვნელო კრიტიკა თითქმის სამშობლოს ღალატად ითვლებოდა. იმ დროს ჯერ ნასახიც კი არსად იყო საკუთარი ძალების რწმენისა, მოქმედებდა მხოლოდ დარწმუნებულობა მტრის უსაზღვრო უძლურებაში. თურქეთი მარტო სერბიასაც კი უნდა დაემარცხებია — ასეთი იყო დოგმატი... ამაში მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვან ოპოზიციონერებს ეპარებოდათ ეჭვი. ხოლო უმრავლესობას, იმათაც კი ვინც საერთო გატაცებას არ იზიარებდა, საჭიროდ მიაჩნდათ სერბებისათვის მხოლოდ ფულით დახმარება... „რაც უფრო ჩქარა და ყველა დავეხმარებით სერბებს ფულით, — წერდა „გოლოსი" [27], რომელიც ახალი დროის გატაცებებს არ იზიარებდა, — მით უფრო ნაკლებად დასჭირდებათ მათ ჩვენი სამხედრო დახმარება"... ხოლო, როცა სამხედრო დახმარების აუცილებლობაზე დაიწყო ლაპარაკი, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ომი თურქეთთან სხვა არაფერია, თუ არა კონსტანტინოპოლისაკენ სამხედრო აღლუმით გასეირნება. ამაში არავის ეპარებოდა ეჭვი. რწმენა იმისა, რომ მტერი უძლურია, საკუთარი ძალებისადმი უდავო რწმენამ შეცვალა უეცრად.

ჩვენი საზოგადოება სერიოზულად ვარაუდობდა, თუ რომელ დღეს და რომელ დღესასწაულთან დაკავშირებთ შესცვლიდნენ ჩვენი ჯარები ნახევარმთვარეს ჯვრით წმინდა სოფიას ტაძრის გუმბათზე. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ პერიოდული გამოცემანი, რომლებიც ნამდვილად სწუხდნენ იმის გამო, რომ 15 თუ 16 აგვისტომდე ჩვენს ეკლესიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი დღესასწაული, როდესაც დაინიშნებოდა ასეთი ზეიმი. და რაღა უნდა ითქვას საზოგადოებასა და ჟურნალისტებზე! სპეციალისტებსაც კი არ სწამდათ ბრძოლების შესაძლებლობა, მტრის სიმაგრეთა არარსებობის გამო.

ჩვენი საზოგადოების მაშინდელი გატაცება იმისათვის კი არ გავიხსენეთ, რომ დავცინოთ მას: საკუთარი ძალებისადმი რწმენა როცა საქმისადმი რწმენასთან ხელჩაკიდებული მიდის, მაშინ მას ბევრი კარგი და სასარგებლო თვისება აქვს, განსაკუთრებით, როცა მას რაიმე გონივრული საფუძველი აქვს... მაგრამ განწყობილებამ, რომელმაც ეს რწმენა შესცვალა, სულ სხვა ხასიათი მისცა მას...

ჯერ იმ ჩექმების გაცვეთა ვერ მოვასწარით, რომლითაც თავი მოგვწონდა, ჯერ კიდევ ველოლიავებოდით საკუთარი ძალებისადმი რწმენას და, სწორედ ამ დროს, დაიწყო ჩვენი პირველი სამხედრო წარუმატებლობა, რამაც საქმის მსვლელობა შეაჩერა... ამ წარუმატებლობამ არა მარტო გაგვაკვირვა და დაგვაღონა, არამედ ჩვენი საზოგადოების სულისკვეთებაც საგრძნობლად დასცა. ადრინდელი გატაცება იმ წამსვე სულიერმა დაცემულობამ შესცვალა, საზოგადოების ყველა წევრს წარმოუდგენელი დაღლილობა დაეუფლა. შესამჩნევად შეირყა საკუთარი ძალებისადმი რწმენა, მტერს სულ სხვა თვალით დაუწყეთ ცქერა და მშვიდობა მოგვეენატრა, მშვიდობა რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა. შოვინისტების en chef-ებმაც კი, რომლებიც სისტემატურად აღვივებდნენ ჩვენი საზოგადოების საომარ ინსტინქტებს, მაშინვე შეწყვიტეს დოლის ბრახუნი და საზოგადოებას სულმოკლეობის პირველი მაგალითი მისცეს. „ჩვენ მხოლოდ ლოცვა და ცრემლის ღვრა დაგვრჩა", — წერდა „მოსკოვსკიე ვედომოსტი" [28]. ახალბედა შოვინისტებზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

მხოლოდ რამდენიმე ახალმა და მოულოდნელმა გამარჯვებამ, მხოლოდ თურქეთის უდიდესი მხედართმთავრების არმიების დამარცხებამ, მხოლოდ ისეთი „უძლეველი" ფაშების განადგურებამ, როგორიცაა მუხტარი, ოსმანი, სოლეიმანი, ხელახლა აღგვიძრა ნაწილი იმედისა. მაგრამ ზაფხულში განცდილი გრძნობების შთაბეჭდილება ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი მზადაა უარი თქვას ამ ძვირად ღირებული გამარჯვებების შედეგებზე... მხოლოდ მოლაპარაკების დასასრულს, როცა ინგლისის ქედმაღლობამ შეურაცხგვყო, როცა ჯერ კიდევ გვჯეროდა, რომ ინგლისი ომს არ დაიწყებს, ჩვენ ხელახლა გავიმართეთ წელში. ისევ ვიწამეთ ჩვენი საქმე, ისევ ვუთხარით ჩვენს თავს, მაგრამ ამჯერად ჩუმად:

Иль мало нас? Иль от Алтая
До стен недвижного Кремля
Стальной щетиною сверкая,
Не встанет русская земля?...[59]

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უსუსტეს მხარეს ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივი აზრის ასეთ უცნაურ მერყეობაში, ერთი განწყობილების მუდამ მეორით შეცვლაში. ეტყობა, ჩვენი საზოგადოება ჯერ არ გაზრდილა იმდენად, რომ საკუთარი ძალებისადმი და საქმისადმი მყარი რწმენა იქონიოს... ეს გარემოება მხოლოდ ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: ან საზოგადოების არა საკმარისი ზნეობრივი განვითარებით, ანდა იმ საქმის ნაკლები მიზანშეწონილობით, რომელზედაც ლაპარაკი გვქონდა...

ამ მიზეზის დაწვრილებითმა განხილვამ შეიძლება საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანოს მაგრამ ამაზე საუბარი კვლავ მოგველის.

2

თბილისი, 9 აგვისტო

დედაქალაქის თითქმის ყველა გაზეთი შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს და, რაც ყველაზე მეტად მოულოდნელია, თითქმის ყველა ერთიდაიგივე დასკვნამდე მივიდა: თანამედროვე საზოგადოების „ზნეობრივი გადახალისების“ აუცილებლობამდე. „ნოვოე ვრემიაც“ [35] კი, რომელიც ომის წინა წლის მთელს მანძილზე ამტკიცებდა, რომ გარყვნილების გზაზე დამდგარი საზოგადოების „გადასახალისებლად“ აუცილებელია ომი, ახლა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამგვარი გადახალისებისათვის მხოლოდ მშვიდობა და თავის თავზე შინაგანი მუშაობაა საჭირო...

უდავოა ისიც, რომ ამ გაზეთების მსჯელობაში სიმართლის ნიშან-წყალი მოიპოვება. მართლაც, თანამედროვე საზოგადოების გარკვეული ნაწილი ოქროს კერპის თაყვანისმცემელი გახდა და მოურიდებლად ილტვის სწრაფი და იოლი გზით გამდიდრებისაკენ. ამ ლტოლვას მსხვერპლად მიუტანეს ლიტერატურისა და მეცნიერების ზნეობრივი იდეალი. ახალი თაობა წინაპრებზე უფრო მალე იდრიკება „გარემოს“ სიმძიმის ქვეშ და სიხარულით ამბობს უარს უწმინდეს ოცნებებზე. მართლაც, რკინიგზებმა, ბირჟამ, დამფუძნებლობამ, კონცესიერობამ და სხვა მსგავსმა მოვლენამ, ძლიერ დაამდაბლა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ზნეობრივი ხასიათი... აღარას ვამბობთ იმაზე, თუ რა ძლიერ დასცა საზოგადოების თვალში ზნეობრივი იდეალების მნიშვნელობა ჟურნალისტიკამ. ჟურნალისტიკა მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე დევნიდა და ლანძღავდა ყოველგვარ იდეალს, რათა კონცენსიური სისტემის „უანგარო საზოგადო მოღვაწეები“ აღემაღლებია. იყო აგრეთვე სხვა, უფრო ღრმა მიზეზები, რომელთაც ძლიერ შეუწყვეს ხელი

იდეალების დაცემას. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ თვით ჩვენი ყოფა, რომელიც ბიუროკრატიულ ფორმებში ჩამოყალიბდა. ამგვარი ყოფა ძალზე მცირე საკვებს იძლევა იდეალური ტენდენციების განვითარებისათვის. ოჯახში, სასწავლებელში, მოღვაწეობის დროს, მუდამ გარს გვარტყია საყოველთაო რწმენა იმისა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცხოვროს, იმოქმედოს და იმსახუროს ცალ-ცალკე... საერთო საქმის სიყვარული, ერთმანეთთან დამაკავშირებელი მისწრაფებები, ჩვენი ძალა და ფიქრები ჩვენთვის არც ოჯახურ მომზადებას მოუცია და არც სასწავლებელს... ჩვენი ძალები ცხოვრებაში ვერ პოულობდნენ ვერავითარ გამოყენებას საერთო საქმის სასარგებლოდ, რომლის შესრულების დროსაც შეიძლება ჩვენშიც განმტკიცებულიყო საზოგადო ინსტინქტები და იდეალები. პირიქით, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა თითქოს განგებ უთხრიდა ძირს ასეთ ინსტინქტებსა და მისწრაფებებს, გვთიშავდა ერთმანეთისაგან და იძულებულს გვხდიდა არეულდარეულად გვევლო უცნობი მიზნისაკენ. ჩვენ შეგვეძლო გვემსახურა რკინიგზის სამმართველოებში, კერძო ბანკებში, სატრანსპორტო კანტორებში, სხვადასხვა კანცელარიებში და ა. შ. და ა. შ., მაგრამ ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვგრძნობდით, რომ ვმუშაობთ არა პირადი გატაცებით, არა იმ სარგებლიანობის შეგნებით, რომელიც ცალკეული ადამიანების შრომას საერთო საქმისათვის მოაქვს, არამედ ლუკმა-პურისათვის, გაჭირვების გამო. ასეთ ვითარებაში არ ისახება საზოგადო მოღვაწის იდეალი... კეთილშობილური ემულაციის, საერთო მიზნის უკეთ განხორციელებისათვის შეჯიბრების ნაცვლად მასში ისახება ყველას და ყველაფრის გამრყვნელი მეტოქეობა, მხოლოდ უღირსი ბრძოლა იმის გამო, თუ ვის დარჩება გასახრავად ბედნიერთა სუფრიდან გადმოგდებული ძვალი...

ახლა ვიკითხოთ: საზოგადოების რომელი ფენა და ახალგაზრდობის რა რაოდენობა გაიტაცა იოლად და სწრაფად გამდიდრების სურვილმა? ამ კითხვაზე ყველა ასეთ პასუხს გასცემს: იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც გამდიდრების სურვილით არიან გატაცებულნი, უმნიშვნელოა იმათთან შედარებით, ვისშიც ასეთმა გატაცებამ ფეხი ვერ მოიკიდა. იოლად და სწრაფად გამდიდრების სურვილმა, ცხადია, დედაქალაქის ახალგაზრდობა გაიტაცა, და ისიც მცირე ნაწილი: ახალგაზრდობის ეს ნაწილი გარყვნა კონცესიონერებთან ახლო მდგომმა ადამიანებმა და მათმა მფარველებმა პირადი მაგალითით. მაგრამ არ შეიძლება რომ ამგვარი გარყვნილება რუსი ახალგაზრდობის მასას, მთელ საზოგადოებას შეხებოდა. მაგ-

რამ, როგორც ცნობილია, იდეების უქონლობა მათშიც შეიჭრნევა. სხვა რით უნდა აიხსნას ასეთი საერთო მოვლენა, თუ არა ასეთივე საერთო მიზეზების არსებობით?

ჩვენ ნაწილობრივ უკვე მივუთითეთ ერთ-ერთ ასეთ მიზეზზე: ჩვენი ცხოვრება იდეალების განვითარებისათვის არც საკვებს იძლევა და არც გასაქანს. ლიტერატურასა და მეცნიერებას არ შეუძლია განავითაროს საზოგადოებაში მათი იდეალების არავითარი მისწრაფება. მათ შეუძლიათ მხოლოდ იდეალების ელემენტების დათესვა, რომელთა ზრდა და განვითარება დამოკიდებულია თვით ცხოვრებაზე და იმ პირობებზე, რომელიც შეიქმნა... მაგრამ ჩვენში სწორედ ეს ცხოვრება და ეს პირობები ძალზე ცუდად ეგუება იმ ძვირფასი საზოგადოებრივი ძალების წარმატებით ზრდას, რომლის არქონას ასე მწარედ და ერთსულოვნად დასტირის მთელი ჩვენი თანამედროვე პრესა.

ესაა საკითხის მხოლოდ ერთი მხარე: მაგრამ როგორ ნათლადაც არ უნდა გავაშუქოთ ეს საკითხი, მკითხველი მაინც გაიგებს, რომ საზოგადოებას არ გააჩნდა ძირეული პირობები და ამიტომ მოუმზადებელი აღმოჩნდა საზოგადო როლისათვის. საკითხის მეორე მხარე კი ისაა, რომ თვით ეს საზოგადოებრივი როლი, რომელიც ამ როლისათვის მოუმზადებელ საზოგადოებას წილად ერგო, წარმოუდგა მას ცალმხრივად, რის გამოც იმ ძალების გამოყენებაც კი ვერ შესძლო, რომელიც მასშია დაფარული.

როგორც მოგეხსენებათ, საუბარი ომს შეეხებოდა. რომელიც ჰუმანური, გამანთავისუფლებელი მიზნით დაიწყო... მაგრამ ისტორიული მიზეზების გამო, ჩვენს საზოგადოებას. რომელიც ახლოს იდგა ამ ომთან, არ შეიძლებოდა არ გასჩენოდა საკითხები მისი მიზნისა და მსვლელობის შესახებ. ყველაზე წმინდა საქმის აღმსრულებელთა შორისაც კი მუდამ აღმოჩნდება ამ საქმისათვის შეუფერებელი რამდენიმე კაცი, ხოლო, მეორეს მხრივ, ყოველ ისტორიულ ძოძრაობას, უშუალო აღმსრულებელთან ერთად, როგორიც ამ შემთხვევაში ჩვენი ჯარია, ყოველთვის ჰყავს თეორეტიკოსები, იდეოლოგები, ზოგჯერ არა ოფიციალური, მაგრამ აღმსრულებელთან ლოგიკურად დაკავშირებული პირები, ასეთებია ამჯერად სლავიანოფილები, რომელთაც არავითარი ოფიციალური როლი არ გააჩნიათ, მაგრამ ჩვენი საზოგადოება მათ მართებულად თუ უმართებულოდ თანამედროვე მოძრაობას უკავშირებს... ამასთან, თავიანთ თეორიულ საფუძველში სლავიანოფილებმა ჩვენი საზოგადოების წინაშე გამოამჟღავნეს შეუწყნარებელი ორპირობა. გამოდიოდნენ რა სლავების თავისუფლებისა და საზოგადოებრივი წყობის

ფორმაია გაუმჯობესების მქადაგებლად, ისინი, შინა ცხოვრების საკითხებში, მუდამ რეტროგრადული თვალსაზრისის მომხრეებად რჩებოდნენ. ცნობილია, რომ სწორედ ისინი, თავიანთ გამოცემებში, ქადაგებდნენ საზოგადოებრივი უუფლებობის თეორიასა და მასთან დაკავშირებულ თეორიას — თავადაზნაურებისათვის სოფლებში სამამულო პოლიციის უფლების შესახებ, როზგების შენარჩუნების შესახებ და ა. შ. ისიც ცნობილია, თუ როგორი საზოგადოებრივი იდეალის დაბრუნებას უსურვებდნენ რუსეთს, ეს რომ მათზე იყოს დამოკიდებული. გასაგებია, რომ ამ ორჭოფულმა როლმა — თავისუფლების მოთხოვნამ სამშობლოს გარეთ და ყმობისა — სახლში, ჩვენს ინტელიგენციას გული აუცრუა იმ საქმისადმი, რომლის წამომწყებად სლავიანოფილებს თვლის მრავალი... ყოველ შემთხვევაში, ასეთმა ორჭოფობამ გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზე და სკეპტიკური დამოკიდებულება გამოიწვია იმ „განმათავისუფლებელი მისიისადმი", რომლის შესახებაც ყველაზე მეტად ის ხალხი ყვიროდა, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნამდვილი თავისუფლების მომხრენი ყოფილიყვნენ...

ზემოთ ნათქვამი ცხადყოფს, რომ ჩვენი საკუთარი ცხოვრების ვითარებას ძალზე სუსტი შესაძლებლობა ჰქონდა გამოემუშავებინა საზოგადოებაში არსებითად მყარი „საზოგადოებრივი ძალები" და რომ თანამედროვე საზოგადოების მოუმზადებლობა მხოლოდ ამ ვითარების შეცვლით შეიძლება აღმოვფხვრათ... მეორეს მხრივ, მოძრაობის თეორეტიკოსთა „ორჭოფობამ" მიმზიდველობა წაართვა თვით საქმეს, რისთვისაც „საზოგადოებრივ ძალებს" თხოულობდნენ, ყოველივე ეს გარკვევით მიგვითითებს, საით უნდა წარიმართოს ჩვენი ძალები, თუ გვინდა, რომ, გასული წლის მდგომარეობის განმეორების შემთხვევაში, პირისპირ არ შევეჯახოთ როგორც ამ უძლურებას, ასევე მის გამო გამოწვეულ მიმზიდველობის დაკარგვას.

ვიმეორებ, რომ შემდეგ სტატიაში ჩვენ შევძლებთ შევეხოთ ამ უკანასკნელ საკითხსაც.

3

თბილისი, 10 აგვისტო

„გადახალისება", რასაც ჩვენი გაზეთები ქადაგებენ, აღნიშნულ გარემოებათა გამო, სულ სხვა მიმართულებით უნდა წარიმართოს, ვიდრე მოგვიწოდებენ. დროა შევიგნოთ საყოველთაო ისტორიული კანონი, რომ საზოგადოების ზნეობრივი განვითარება საზოგადო-

ებრივი ცხოვრების განვითარებასთან და მისი პირობების ცვლასთან ერთად მიიწევს წინ და არა პირუკუ. თავისთავად გაუმჯობესებული ჩვენები კი არ იწვევს საზოგადოებრივი წყობის უკეთეს ფორმებს, არამედ პირიქით, ამ ფორმათა გაუმჯობესება სრულყოფს საზოგადოების ზნეობას... დააარსეთ როგორი სკოლებიც გნებავთ, იქადაგეთ როგორი იდეებიც გინდათ, ბეჭდეთ ჟურნალებსა და გაზეთებში თუნდაც უსათნოესი შეგონებები — ამით თქვენ ერთი ბეწოთიც ვერ წასწევთ წინ საზოგადოებრივ ზნეობას, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა პირობები ძველებურად დარჩა, არ შეიცვალა... ამით თქვენ მხოლოდ მეტ სიყალბესა და მეტად აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას მიაღწევთ საქმესა და სიტყვას შორის. ამავე დროს, როდესაც თქვენ, თქვენი უაღრესად საქმიანი სიტყვებით ღრუბლებს მისწვდებით, თქვენს ირგვლივ გამეფებული უსულგულო ეგოიზმი და ინდიფერენტულობა ყოველ თქვენს წამოწყებას ძირს გამოუთხრის...

ასე რომ, პირველი რაც ჩვენი პრესის მიერ ნაქადაგებ „გადახალისებაში“ უნდა ვიგულისხმოთ, ესაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა გადახალისება და გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისათვის მეტი გასაქანის მინიჭების თვალსაზრისით... ასეთი გაუმჯობესების მოთხოვნილება მით უფრო თვალსაჩინოა, რომ იგი აუცილებელია არა მარტო თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი გადახალისებისათვის, არამედ საზოგადოებრივი ძალებისა და სახსრების უფრო გონივრულად და მიზანშეწონილად ხარჯვისათვისაც. საზოგადოებიდან მთელი იმ შეძლებისა და შეწირულობის ამოსაღებად, რისი მოცემაც მას შეუძლია, საჭიროა მას სწამდეს, რომ მის სახსრებს არ გაფანტავენ და ბოროტად არ გამოიყენებენ... წარსული ომისათვის ჩვენ ცოტა როდი გავიღეთ, მაგრამ სთქვით — განა ათჯერ და ასჯერ მეტს არ გავიღებდით, რომ ყოველი ჩვენგანი დარწმუნებული ყოფილიყო შეწირული კაპიკი ტყუილად არ დაიკარგებოდა და თავის მიზანს მიაღწევდა? განა ჩვენ ათჯერ მეტს არ გავიღებდით, რომ თითოეული ჩვენგანის წარმოდგენაში არ მოჩანდეს შემწირველთა და მათ შორის, ვისაც ამგვარი შეწირვა ხელს უწყობს, ჰოსპიტალების პერსონალის, ინტენდანტების და სხვათა თაღლითობა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება?

ის, რაც სამართლიანია ჭველმოქმედების ცალკეული დარგების მიმართ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საერთო საქმის ყველა დარგისათვის. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ღრმად იქნებიან დარ-

წმუნებულნი, რომ საზოგადოებრივი ძალები გონივრულად და ფრთხილად დაიხარჯება, მით უფრო უხვად მოედინება ეს ძალები საერთო საქმისათვის. ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ რწმენა პროპორციულად იზრდება საზოგადოების მიერ ამ ძალებისა და სახსრების ხარჯვაზე კონტროლის ზრდასთან და განვითარებასთან ერთად...

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენი თვალსაზრისის დაწვრილებით განვითარება საგაზეთო სტატიის ფარგლებს გაგვაცილებდა. ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლეთ მთავარი პუნქტების ზერელე მოხაზვით... ამის საფუძველზე, ვთვლით რა საქმის ამ მხარეს ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გამორკვეულად, ვიჩქარით სხვა საკითხებზე გადასვლას...

გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით იმ გულაცრუებაზე, რომელიც უკანასკნელი მოძრაობის თეორეტიკოსთა მისწრაფებების ორჭოფობამ გამოიწვია. ჯერ კიდევ ადრე, „ობზორის“ [2] ფურცლებზე ჩვენ მივუთითებდით იმავ ორჭოფობის არამომგებიან შედეგზე, როდესაც ვამბობდით ჩვენი სიტყვისადმი ევროპის საზოგადოებრივი აზრის უნდობლობის შესახებ, რომელიც სწორედ ამავე ორჭოფობაზე მიუთითებდა. ჩვენს სლავიანოფილებს და მათ მიმდევრებს, სულერთია რომელ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ნაკლებად ესმით, რომ „როლი გავალდებულებს“, რომ არ შეიძლება, ერთდაიმავე დროს, შინ რეტროგრადი იყო, სტუმრად კი — პროგრესის მომხრე... რუსეთმაც და ევროპამაც რომ სლავიანოფილთა სიტყვების მნიშვნელობა იწამონ, სლავიანოფილები აუცილებლად უნდა გახდნენ იგივე პროგრესული თვალსაზრისის მომხრეები თავიანთ საშინაო საქმეებშიც, რის გავრცელებასაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცდილობენ. ცხადია, ბელგრადში ან აგრამში, დრავაზე ან სავაზე სლავიანოფილებს არავითარი წარმატება არ ექნებოდათ, თუ რომ სამემკვიდრეო მამულის პოლიციის შექმნისა და როზგების თეორიას იქადაგებდნენ... ამიტომ „სლავი ძმებისათვის“ ისინი ხალხის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი წყობის ფორმების გაუმჯობესების მომხრენი არიან. აქ ისინი არა მარტო ეგუებიან ხალხის საზოგადოებრივ უუფლებობას, არა მარტო ეგუებიან საზოგადოებრივ კონტროლს, არამედ ცხოვლად უჭერენ მხარს ხალხის თანამედროვე ცხოვრების ამ საარსებო საფუძველს. მაგრამ მათ სიტყვებს რომ წარმატება ჰქონდეს, არავის არ უნდა შეეძლოს მისცეს მათ ამგვარი კითხვა: „როგორ ღონისძიებებსა და რა თვალსაზრის ეგზრობით თქვენ საკუთარ სახლში?“ ასეთი კითხვა ხშირად მიუციათ მათთვის და სწორედ მასშია მოკალათებული

ის ყოვლისმხვრელი მატლი, რომელიც დღემდე ძირს უთხრის ჩვენი საქმის საუკეთესო მსარეს...

მართლაცდა, რატომ არ უნდა შევასრულოთ ეს პროგრამა და რატომ არ უნდა გავხდეთ საკუთარ სახლშიც პროგრესისტები მაშინ, როცა ამ როლში არაფერია საზიანო და მიუღებელი? ყოველივე ის, რასაც ჩვენი სლავიანოფილები სიტყვიერად ქადაგებენ სტუმრად, დიდი ხანია ევროპული ყოფის რეალური მონაპოვარია. რატომ ვჯიუტობთ და ვცდილობთ შევინარჩუნოთ საზოგადოების ისეთი ფორმები, რომლებიც პეტრეს წინანდელ პერიოდს შეეფერებოდნენ და რომლებიც თანამედროვე წყობისა და ცხოვრებისათვის შეუფერებელია? ამით, როგორც აღვნიშნეთ, სლავიანოფილების მეგობრები არა თუ არაფერს არ დაკარგავენ, არამედ ბევრსაც მოიგებენ, რადგან მათი საქმის ზნეობრივი კრედიტი ასჯერ მაინც გაიზრდება.

აი, უპირველეს ყოვლისა, რა უნდა გააკეთონ სლავიანოფილების მეგობრებმა, რომელთაც სურთ, რომ რუსეთი სლავიანური სამყაროს ძლიერი და დაუმარცხებელი გამანთავისუფლებელი გახდეს.. „გადახალისება“, რომელსაც ისინი თანამედროვე საზოგადოებისაგან მოითხოვენ, ალბათ, ისეთივე ცარიელი და უშედეგო იქნება, როგორიც მათი ადრინდელი ქადაგება, რომელმაც ვერავინ ვერ გაიტაცა და ვერავინ ვერ მიიზიდა სერიოზულად. ქადაგებას რომ შედეგი მოჰყვეს საჭიროა ორი პირობა: ჯერ ერთი — ქადაგება თვით მქადაგებელს უნდა სწამდეს, მეორეც — შესძლოს დაარწმუნოს მსმენელები პირადი მაგალითით და არა სიტყვებით. და ეს მაშინ, როცა იშვიათია სლავიანრფოლი, რომელსაც თავისივე ქადაგებისა სწამს. ამის მიზეზი იგივე ორპოფობაა... ამიტომ, ჩვენი საზოგადოების გადახალისების მოსურნეთ, რომელთაც სურთ გამოგვასწორონ ყველასათვის ცნობილი დარიგებებით და ცარიელი ქადაგებით, ჩვენ ვეტყვით: „ექიმო, ჯერ თავად განიკურნეთ და შემდეგ შეუდექით სხვების მკურნალობას“.

33. ბათუმის შემოერთება

თბილისი, 11 აგვისტო

როგორც კონსტანტინოპოლის საერთაშორისო სატელეგრაფო სააგენტო, ასევე კავკასია-თურქეთის საზღვრიდან კერძო გზით მოსული ცნობები გვაუწყებენ, რომ მალე ბათუმი და თურქეთში შემავალი საქართველოს ნაწილი ჩვენს ხელში გადმოვა. ამბობენ, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე თავადი სვიატოპოლკ-მირსკი ბორჯომიდან ოზურგეთში გაემგზავრა, რომ ადგილზე უხელმძღვანელოს ჯარებს, რომელთაც ახლად შემოერთებული ოლქი უნდა დაიკავონ. როგორც იმ ცნობებიდან ჩანს, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, ჩვენმა სამხედრო ხელმძღვანელობამ მიიღო ყველა გამაფრთხილებელი ზომა, რაც მის განკარგულებაში იყო. ყოველგვარი შემთხვევითობების თავიდან ასაცილებლად.

ცდა იმისა, რომ იწინასწარმეტყველო წარმოიშობა რაიმე შესაძლო „გაუგებრობანი", უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობაა. ჩვენ არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია მოსახლეობის განწყობილებასა და თურქეთის ხელისუფლების განზრახვაზე სწორი აზრის შესამუშავებლად. გვიმზადებენ თუ არა ლაზისტანში ისეთსავე სურპრიზს, როგორიც ავსტრიამ ბოსნიაში მოგვართვა, თუ საქმე ყოველგვარი შეტაკებების გარეშე დამთავრდება — ეს ძალზე ცოტა ჩვენთაგანმა იცის... ჩვენთვის ისიც კი არაა ნათელი, თუ რა სახის მოვლენები წარმოიშობა ვნებების გაღვივების შემთხვევაში. ეს მხოლოდ ღმერთმა იცის.

მაგრამ რა წინააღმდეგობასაც არ უნდა გვიმზადებდეს თურქეთის ხელისუფლება, საქმის დაბოლოება საეჭვო აღარაა. ასე თუ ისე, საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც რუსეთს უნდა გადმოსცენ, ჩვენი ჯარები ან დაიკავებენ, ან დაიპყრობენ. ცხადია, ყოველი ჩვენთაგანის სურვილია ამ დაკავების დროს სისხლი არ დაიღვაროს... მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სამწუხარო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მარტო სურვილი არ კმარა.

შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორ

მოვექცევით ჩვენ აჭარას, ჩვენი ჯარების მიერ მისი უეშველი და აუცილებელი დაკავების შემდეგ. ძალზე კომპეტენტური კაპიტალისტები ამტკიცებენ, რომ ფულის შოვნა არც ისე ძნელია, ათასჯერ უფრო ძნელია იმისი ცოდნა, თუ როგორ შეინახო იგი. ჩვენ არ ვიცით, რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, მაგრამ ისტორიული მოვლენებისათვის უკვე დამკვიდრდა სრულიად საფუძვლიანი თვალსაზრისი: გაცილებით უფრო ადვილია ოლქების დაკავება, ვიდრე მათი შენარჩუნება.

როცა რომელიმე ხალხი ისეთ სახელმწიფოს უერთდება, რომლის შემადგენლობაშიც არ შედიოდა, მისი დამშვიდების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა და მისი დამაგრების უმთავრესი იარაღი ისაა, რომ ახალი წყობა და ახალი მდგომარეობა წინანდელზე ბევრად ხელსაყრელი მოეჩვენოს. როცა ხალხი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდება, რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომ სახელმწიფო კანონიერებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფს, რომ ყოველი მოქალაქის ცხოვრება დაცულია კანონის დარღვევისა და თვითნებობისაგან, რომ არავინ არ ფიქრობს შეურაცხყოს მისი სარწმუნოება, დააძალოს მას უცხო ჩვეულები და აზრები, რომ მას შესაძლებლობა ექნება გონებრივად განვითარდეს რამდენიც სურს — ცხადია, იგი არა მარტო შეეგუება ახალ წესწყობილებას, არამედ დააფასებს კიდეც... როგორ მტრულადაც არ უნდა იყოს თავიდან განწყობილი დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა, ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ მისი განწყობილება ჯერ სიმშვიდეში გადაიზრდება, შემდეგ კი — სიყვარულში...

მოვიყვანთ ერთ საოცარ მაგალითს: ფრანგებმა ელზასი დაიპყრეს იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი დამპყრობლისადმი და მათთან შეერთება არ სურდა. მას შემდეგ მხოლოდ ერთი საუკუნე გავიდა და ელზასელთაგან საფრანგეთის ყველაზე დიდი პატრიოტები გაიზარდნენ. ცნობილია ისიც, თუ როგორ ხსნიან ამ უცნაურ მეტამორფოზას. ჰაინემ და ბერნმა შესანიშნავად აუხსნეს ეს თავიანთ გერმანელ თანამოქალაქეებს: „თქვენ უუფლებონი იყავით, მუდამ ტირანიის მჩაგვრელობას განიცდიდით, — სწერდნენ ისინი გერმანელებს, — ამასობაში ელზასელებმა ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლება მოიპოვეს, რაც მონას ადამიანად ხდის. თანასწორუფლებიანობამ, მსაჯულთა სასამართლომ, ფეოდალური პრივილეგიების გაუქმებამ, მიწის მიღების შესაძლებლობამ, თვითმმართველობამ და ა. შ. ელზასელებს დაანახა, რომ ისინი მხოლოდ მას შემდეგ გახდნენ ადამიანები, რაც ასეთი უფლებები მიეცათ. გიჟები ხომ არ

არიან, რომ ასეთი მდგომარეობა თქვენს მონობაზე და უუფლებობაზე გაცვალონ".

აი რატომ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას საქმის ორგანიზაციულ მხარეზე სწორედ იმ დროს, როცა საყოველთაო ყურადღება დაპყრობისაკენ არის მიქცეული... რა თქმა უნდა, პირველი ნაბიჯები ძნელი გადასადგმელია, მაგრამ ხალხის შეგნებაში არაფერი არ ტოვებს ისეთ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, როგორც სწორედ ეს ნაბიჯები. აუცილებელია, რომ პირველივე შერჩევა ადმინისტრაციულ მოღვაწეთა და, საერთოდ, მთელი პერსონალისა, რომელმაც ახლად შეძენილ ოლქში რუსეთი უნდა წარმოადგინოს, შეესაბამებოდეს საქმის დიდმნიშვნელოვნებას... ჩვენ არა ერთხელ გვინახავს, თუ როგორ ხშირად იწვევდა მეტად სერიოზულ გართულებებს დაბალი ჩინის ადმინისტრატორთა უვიცობა და უტაქტობა... თურქული საქართველოს ნიადაგი კი ჯერ კიდევ მეტად მერყევი და ცხელია იმისათვის, რომ ეს დავივიწყოთ... ამ თვალსაზრისით სასურველია იმედი გვქონდეს, რომ ტაქტსა და შორსმჭვრეტელობას პირველი ადგილი დაეთმობა...

34. პოლიტიკური მიმოხილვა

თბილისი, 12 აგვისტო

ბერლინის ტრაქტატს[*] აღმოსავლეთში მშვიდობა და სიწყნარე უნდა დაემყარებია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ომი გამოიწვია. როგორც ცნობილია, ევროპის არეოპაგმა ავსტრია-უნგრეთს მიანდო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ცივილიზაციის შეტანა. სლავების განმათავისუფლებელი ავსტრიის პოლკები ბოსნიაში შეევიდნენ, როგორც ყოველთვის, „განთავისუფლების" შესახებ ხმამაღალი განცხადებით. მაგრამ განთავისუფლებულნი ეტყობა, არ იზიარებდნენ მათ აღტაცებას, რადგან განმათავისუფლებლებს ხელგაშლილად მიღების ნაცვლად თოფების სროლით დახვდნენ. წინააღმდეგობა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ავსტრიელთა დივიზია იძულებული გახდა ნამდვილი ბრძოლა გაემართა ინსურგენტებთან. ბრძოლა ზოგჯერ ცხრა საათს და მეტ ხანსაც გრძელდებოდა. რომ აღარაფერი ვთქვათ გამაგრებულ პუნქტებზე, ღია ქალაქების ასაღებადაც კი იერიში იყო საჭირო.

მეორეს მხრივ, ბერლინის ტრაქტატის გადაწყვეტილებამ ჩერნოგორიის შესახებ უკვე გამოიწვია შეტაკება ჩერნოგორიელებსა და თურქებს შორის. „ბრძოლა" უკვე დაიწყო...

მესამეც, დადის ხმები, თითქოს საბერძნეთისა და თურქეთის საზღვარზე უკვე შეტაკებისათვის ემზადება ორი დაინტერესებული მხარე. ორივე მოწინააღმდეგე თანაბარი გულახდილობით აცხადებს, რომ საქმე უსისხლოდ არ დამთავრდება.

აღარას ვამბობთ საქმის სხვა მხარეებზე, სადაც აგრეთვე შემზადებულია ადვილად ფეთქადი ძალებისა და ვნებათა საკმაო მარაგი, ღრმააზროვანი ევროპული დიპლომატიის მიერ პერგამენტის ქაღალდგადაფარებული მარაგი...

„მშვიდობა" ამგვარ პირობებში საეჭვოა მტკიცე იყოს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ყველას შეუძლია იმის დანახვა, თუ რამდენად წინდახედული და ბრძნულია დიპლომატია... ბერლინის არეოპაგის კომბინაციების წყალობით არც „ევროპის მშვიდობაა" მაინცდა-

მაინც უზრუნველყოფილი და არც იმ ხალხის ინტერესები, რომელთა განთავისუფლებაც უნდოდათ. ამგვარი კომბინაციები, რომ ბოსნიის და ჰერცოგოვინის ხალხების ინტერესებს შეესაბამებოდეს, მაშინ ჩვენამდე არ მოაღწევდა ხმები ავსტრიის საოკუპაციო ჯარების „ბრძოლებზე“ და გამარჯვებებზე. ეს კომბინაციები, რომ ჩერნოგორიას და საბერძნეთს აკმაყოფილებდეს, მაშინ არ დაიწყებდნენ ახალი ომისათვის მზადებას, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, გაცილებით უკეთ ემზადებიან, ვიდრე ოდესმე ემზადებოდნენ...

დავუშვათ, რომ „ევროპის წონასწორობა“ დამყარებულია. თუმცა უცნაური ამბავია ეს „წონასწორობა“. ავსტრიას არც ბოსნია ეკუთვნოდა და არც ჰერცოგოვინა, ევროპის წონასწორობა კი უზრუნველყოფილად ითვლებოდა. ახლა, როცა ავსტრიამ მოზრდილი პროვინციები მიიკუთვნა, იგივე წონასწორობა კვლავ უზრუნველყოფილად მიაჩნიათ. ნუთუ ორი ასეთი პროვინციის მოპოვება ოდნავ მაინც არ გადახრიდა სასწორს, რომლითაც „ევროპის წონასწორობა“ იზომება? ამჯერად გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიისათვის დამატებით არაფერი დაუწონიათ, ამიტომ, როგორც ჩანს, მომატებას ერთი ქვეყნის უბადალებული ევროპული წონასწორობა უნდა დაერღვია. ორში ერთია: ან ევროპის წონასწორობა საერთოდ არ არსებობდა, სანამ ავსტრიამ ბოსნია არ მიიღო, და თუ ეს ასეა, მაშინ დიპლომატები (სულ ცოტათი მაინც) ცდებიან, როცა წლების მანძილზე წონასწორობის ხარჯზე არსებობენ, ანდა წონასწორობა მართლაც არსებობდა და ავსტრიის ხელში ბოსნიის გადასვლის შემდეგ დაირღვა. და თუ ეს ასეა, დიპლომატები კვლავ ცდებიან, როცა ევროპის წონასწორობის შენარჩუნებას ბერლინის ტრაქტატს უმადლიან...

მაგრამ, როგორც ცნობილია, დიპლომატიას ამგვარი წინააღმდეგობები ვერ აჩერებს. დიპლომატია თავს კმაყოფილად გრძნობს, როცა მზერას სიდუხჭირისა და საფრთხის დაფარვით ატყუებს, თუნდაც ეს თავისმოტყუება მხოლოდ რამდენიმე კვირას გრძელდებოდეს. სწორედ ესაა ევროპული დიპლომატიის მთელი სიბრძნე...

ჩვენ არ ვკითხულობთ რამდენ თვეს ან რამდენ წელს იარსებებს ის საერთაშორისო აქტი, რომელიც ბერლინის კონგრესზე შეიმუშავეს. ამას მომავალი გადასწყვეტს. თუმცა ახლაც ყველას შეუძლია დაინახოს, რომ ეს ფაქტი ვერ ფარავს ევროპის პოლიტიკური ორგანიზმის ზოგიერთი ნაწილის სიშიშვლეს... თუმცა, დიპლომატებს ეს სრულიად არ უშლის ხელს ზაფხულის არდადეგების

შემდეგ კვლავ შეუდგნენ ახალი კომბინაციების მომზადებას, რაშიც ისინი ძლიერ დახელოვნებულნი არიან...

არსებითად, დიპლომატია მხოლოდ ამ როლს თამაშობდა მუდამ. ხოლო ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ხალხთა ინტერესებს აკმაყოფილებდა, სერიოზულად და რეალურად შეცვალა „მომხდარმა ფაქტებმა" და არა დიპლომატიამ. ასე მოხდა, მაგალითად, იტალიაში, როცა „მომხდარმა ფაქტებმა" დიპლომატები იძულებული გახადეს ეცნოთ ამ ქვეყნის მთლიანობა და დამოუკიდებლობა. ასეთ შემთხვევებში ევროპის მბრძანებელი დიპლომატია ოქმის შემდგენლის როლს ასრულებს და მისდაუნებურად შეაქვს მომხდარი ამბები ევროპის პოლიტიკური ისტორიის მატიანეში...

დაუდგება თუ არა ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობას ისეთი დრო, როცა ხალხი ანგარიშს აღარ გაუწევს ტრაქტატებს და „მომხდარი ფაქტების" გვერდით საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნის საქმის ახალ ვითარებას? ამაზე მსჯელობა ახლა ძნელია. მაგრამ სანამ ამგვარი დრო არ დამდგარა, დიპლომატთა ოქმებს და ტრაქტატებს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

მანამდე ყოველგვარი მშვიდობა მხოლოდ „შესვენება" იქნება...

35. ინგლისთან ომის შემთხვევაში

თბილისი, 14 აგვისტო

ამბობენ, რომ ომის შემთხვევაში ინგლისს იმდენი ფულის დახარჯვა შეუძლია, რამდენიც დასჭირდება. რუსეთი კი, გვარწმუნებს ყველა, — გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობაშია და ხანგრძლივ ომს ვერ გაუძლებს. ჩვენ ორივე აზრი სარწმუნოდ მიგვაჩნია. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება ინგლისსა და რუსეთს შორის ომს ვერ დააბრკოლებს. ინგლისის სახელმწიფო ხაზინა, ზუსტად ისევე, როგორც რუსეთისა, მუდამ ცარიელია. ბიუჯეტის წლიური შემოსავალი მაშინვე ხმარდება ამავე ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. ამ გზით, ცხადია, ომისათვის საჭირო კაპიტალის მარაგს ვერ დააგროვებ. ასეთი კაპიტალი მხოლოდ გერმანიას აქვს, რომელმაც საფრანგეთისგან ხუთი მილიარდი ფრანკი მიიღო. 1870—1871 წლების ომის ხარჯი მთლიანად დაფარა და ცოტაოდენი, გაუთვალისწინებელი ფონდის სახით, შესაძლო ომისათვის შემოინახა.

ამიტომ ინგლისიც და რუსეთიც, ომის დროს, იძულებული იქნება ექსტრაორდინალური რესურსები გამოიყენოს: შეამციროს ნორმალური ბიუჯეტი, გაზარდოს გადასახადები, აიღოს სესხი. მართალია, ინგლისი ამას უფრო ადვილად შესძლებს, ვიდრე რუსეთი, მაგრამ ამ საკითხში ორივე სახელმწიფო ერთმანეთს ემსგავსება: გადასახადების ზრდა და სესხის აღება გაპირობებულია იმით, რომ ომის შემდეგ სახალხო მწარმოებლობა მძლაერად განვითარდება. მაგრამ ეს მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ეს კარგადაა მოფიქრებული და სასურველ წარმატებამდე მიგვიყვანს, ხოლო თუ ეს ასე არ არის? მაშინ რა თქმა უნდა, ომი ქვეყნის გამანადგურებელია და მის ეკონომიურ საფუძვლებს, ომის დროსაც და ომის შემდეგაც, შეარყევს.

სულ სხვადასხვაგვარად შეიცვლება ომის დროს რუსეთისა და ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა. ინგლისის მთელი სიმდიდრის საფუძველი მანუფაქტურული მრეწველობის განვითარებაა.

ასე რომ, მისთვის მთავარია ნედლი პროდუქტების შემოტანა და დამუშავებული ფაბრიკატების გატანა. ინგლისი თავის ნაწარმს საკუთარ ტერიტორიაზე ვერ მოიხმარს. ფაბრიკების ნახევარზე მეტი გაჩერდება, ე. ი. ასი ათასობით მუშის ოჯახს ქუჩაში გამოჰყრიან. მეორეს მხრივ, ინგლისს არ ყოფნის საკუთარ მიწაზე მოწეული პური, სჭირდება ხორბლის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოტანა სხვა ქვეყნებიდან. ამიტომ ნავსადგურების ბლოკადა ომის დროს ინგლისს მოუსპობს საარსებო საშუალებას´და, ამასთან ერთად საქონლის ფასი გაიზრდება, ე. ი. ორ მხრივ გამოუთხრის ძირს სახელმწიფო შემოსავლის ყველა წყაროს და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას შეარყევს.

რუსეთი კი კონტინენტალური სახელმწიფოა და აქამდე, ძირითადად, მიწათმოქმედი. მთელი ჩვენი საგარეო ვაჭრობა უმთავრესად პურისა და ნედლი პროდუქტებისაგან შედგება. უფრო ხშირ შემთხვევაში ნედლეულს ფაბრიკული წარმოების პროდუქტებზე ვცვლით. საკრედიტო მანეთის ფასის დაცემის გამო, პროდუქტების გაყიდვით ჩვენ ვზარალობთ. ევროპას იაფი პურით ვამარაგებთ, ჩვენი ბევრი ოლქი კი შიმშილობს, ე. ი. ვერ ვფარავთ ერთი ოლქის მოსავლიანობით მეორის მოუსავლიანობას. ცხადია, ნავსადგურების ბლოკადა ხელს შეუშლის ჩვენი ქვეყნიდან ნედლეულის გატანას, განსაკუთრებით სამხრეთის ნავსადგურებიდან, მაგრამ მთელი დასავლეთის საზღვარი, რომელიც რკინიგზებითაა დასერილი, შესაძლებლობას მოგვცემს შეუწყვეტლივ განვაგრძოთ ნაწარმის გატანა, რაც მხოლოდ მათ გადაზიდვას გააძვირებს, ე. ი. გააიაფებს პროდუქტების ღირებულებას ადგილზე. მწარმოებელი, რა თქმა უნდა, კარგავს იმ თანხას, რასაც ზღვით და რკინიგზით გადაზიდვის ღირებულების სხვაობა შეადგენს, მაგრამ საერთო ეკონომიური ბრუნვის დროს ამ გაიაფებით შეუძლია ისარგებლოს არა მარტო უცხოელმა, არამედ ყველა შინა მომხმარებელმაც. ამგვარად, მომავალში საქონლის საზღვარგარეთ გატანის შემცირება არც ისე მოშაკვდინებელია რუსეთისათვის, როგორც ინგლისისათვის.

მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ ნაკლები პროდუქტების გატანა და მათი ადგილზე გაიაფება, საკრედიტო მანეთის აუცილებელი დაცემის დროს, უცხო პროდუქტების შემოტანას შეზღუდავს და იძულებულს გაგვხდის დავკმაყოფილდეთ საკუთარით, თუმცა უფრო ძვირით, მაგრამ ჩვენი საკრედიტო მანეთით ნაყიდი ნაწარმით, ე. ი. სართის დაუმატებლად, რაც დაბალი კურსის დროს მყიდველის ხარჯს აწონასწორებს. ამგვარად, უცხო საქონლის შემოზიდვის შემცირება აუცილებლად გაზრდის მოთხოვნილებას რუსულ ფაბრი-

კატებზე, გააძლიერებს ფაბრიკების მუშაობას და გამოაცოცხლებს შინა ვაჭრობას.

რუსეთისათვის ომი ინგლისთან გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსთან. ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ომი სამხედრო ხელოვნების ყველა წესის შესაბამისად იწარმოებს, ე. ი. მოწინააღმდეგეს მოვუნახავთ ყველაზე სუსტ ადგილს და მთელ ძალას იქითკენ მივმართავთ. ინგლისის სუსტი ადგილი ინდოეთია. რა თქმა უნდა, ინგლისი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად კარგად მართავს ამ ქვეყანას, მაგრამ ზნეობრივ მხარეებს გვერდს უვლის. ინდოეთისათვის ინგლისელებმა ბევრი გააკეთეს, მაგრამ მათი ზრუნვა და საქმიანობა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — ისარგებლონ ამ უმდიდრესი ქვეყნის მფლობელობით. ინდოელი ხალხის გრძნობებს, შეხედულებებს, მისწრაფებებს ბოჭავენ, ბოჭავენ მაგრად და ცალმხრივად, ეგოისტურად. ინდოეთში არსებობს ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი არმია, მაგრამ ადგილობრივ ოფიცრებს დაწინაურების საშუალებას არ აძლევენ და, ამის გამო, ისინი მუდამ პორუჩიკებად რჩებიან. ინდოეთში არიან მთავრები, რომელთაც უფლება აქვთ საკუთარი არმია იყოლიონ, მაგრამ ყველა ზომას ხმარობენ, რომ ეს არმია ცუდად შეიარაღებული და გაუწვრთნელი დარჩეს. ინდოეთში არსებობს პრესა, მაგრამ, მიუხედავად ინგლისის დედოფლის სამფლობელოებში ბეჭდვის თავისუფლებისა, მასზე მკაცრი ცენზურაა დაწესებული. ამგვარი პარალელების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ შედეგი იგივე დარჩება: ინგლისი ყოველნაირად ცდილობს ექსპლოატაცია გაუწიოს ინდოეთს და ყოველ ღონეს ხმარობს დამორჩილებული ხალხები მუშა ძალის დონეზე იყოლიოს. შეუძლებელია, რომ ხალხს, თუნდაც ინდოელებს, ამგვარი მდგომარეობა მოსწონდეთ. ამიტომ ბუნებრივად ისახება მათში ინგლისის უღლისადმი სიძულვილი და ინდოელები მუდამ მზად არიან აჯანყებისათვის. მათ მხოლოდ ის აკავებს, რომ დარწმუნებულნი არიან ინგლისელების უძლეველობაში. თუ ეს რწმენა შესუსტდება, ანდა თვალსაჩინო ფაქტით იქნება უარყოფილი, აჯანყება მაშინვე იფეთქებს. ამიტომ ინგლისი ყველა ზომას მიმართავს შეანარჩუნოს თავისი prestige აღმოსავლეთში და ყოველნაირად ეხმარება თურქეთს ჯერ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი მცირე აზიაში. ინგლისელები ცდილობენ ჩვენი დიპლომატების ყურადღება ამ მოვლენებზე მიაქციონ, რის გამო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კუნძულ კიპროსს, ეფრატის ველზე გაყვანილ რკინიგზას და გახმაურებულ განზრახვებს, რომლითაც შეიძ-

ლება სხვათა ყურადღება ააცილო ინდოეთს. მაგრამ ომის დროს მოწინააღმდეგე იქ კი არ გირტყამს, საითაც მის ყურადღებას იქცევ, არამედ სწორედ იქ, სადაც მტკივნეული ადგილია და მეტ ზიანს მოგაყენებს. ინგლისსა და რუსეთს შორის შესაძლებელი ომის შესახებ ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი „ობზორში"[2] და მიგვაჩნია რომ ბრძოლის ერთადერთი ველი, სადაც შეიძლება მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარებთან შეხვედრა, შუა აზიის სამფლობელოები და ინდოეთია.

ბრძოლის ამ ველზე ინგლისს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ის ძალა, რაც ჰყავს, ე. ი. სამოც ათასიანი არმია და ინდოეთის ჯარის მეტ-ნაკლები რაოდენობა, რომელთა ერთგულების იმედიც ევროპაში შეიძლება იქონიო, სადაც გასაქცევი არსაითაა, მაგრამ მათზე დანდობა ინდოეთში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამის მიზეზი ის რთული და გადამწყვეტი პირობებია, რაც ინგლისელებისადმი უკმაყოფილებამ შექმნა და ისტორიულად ჩამოყალიბდა მათ მიერ ამ მარგალიტის ფლობის შედეგად. ასე რომ, ომის შემთხვევაში რუსეთს ინგლისელების წინააღმდეგ დასჭირდებათ არა უმეტეს 100.000 ჯარისკაცისა, შეტევითი მოქმედებისათვის და, გარდა ამისა, საჭირო იქნება კიდევ 100.000 კაცისაგან შემდგარი რეზერვი შუა აზიის სამფლობელოებში. უფრო დიდ არმიას ვერც გამოვიყენებთ და არცაა საჭირო. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა სხვა ევროპულ სახელმწიფოსთან ომი რეზერვითურთ მილიონიან ჯარს მოითხოვს, ამდენად, ინგლისთან ომი ხუთჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსთან. ცხადია, ზღვაზე ინგლისი ყველაზე ძლიერი ქვეყანაა და ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მის ფლოტს. ჩვენ ინგლისელებს ვერ დავუპირისპირებთ რამდენიმე შესაბამის საზღვაო ძალას. ამიტომ თავდაცვით უნდა დავკმაყოფილდეთ. ინგლისი გამოკეტავს ჩვენს ნავსადგურებს, მაგრამ თავის დაცვა შეგვიძლია ნაღმებითა და ბატარეებით. ინგლისთან ომში ჩვენი ამოცანა კრეისერების აღჭურვით ამოიწურება. ამ ამოცანის შესრულების შესაძლებლობა გამოცდილებამ დაამტკიცა. მოკლე ვადაში ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ათამდე კრეისერი, ხოლო დროის მსვლელობაში მათი რიცხვი ოცამდე და ოცდაათამდე გავზარდოთ: ჩვენი მეზღვაურების თავდადება წარსულმა ომმა დაამტკიცა. ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი კრეისერები გაბედულად იმოქმედებენ, ისინი ვერ შეებმებიან ჯავშნოსან ესკადრას, მაგრამ ინგლისის სავაჭრო ფლოტს მუდმივ საფრთხეს შეუქმნიან. ამაში არც ინგლისელებს ეპარებათ ეჭვი. თუ მათ, ამავე დროს, ინდოეთის

ჯარების გაძლიერება დასჭირდათ, თუ აუცილებელი შეიქნა საჭურ-
ველისა და რეზერვის სწრაფად გადასროლა ინდოეთში, მაშინ ჩვენი
კრეისერების გამოჩენა ინდოეთის ოკეანეში ძალზე გაართულებს
ინდოეთის არმიის გაძლიერების შესაძლებლობას. ცალკეული გე-
მების გაგზავნას ვერ გაბედავენ, მოუხდებათ მათი თავშეყრა და
სამხედრო ესკადრის თანხლებით გაგზავნა. ვინც კი გაიხსენებს
1857 წლის ინდოელების უკანასკნელ აჯანყებას[60] და ინგლისის
მთავრობის ყველა იმ აჩქარებულ და უაღრესად მნიშვნელოვან ღო-
ნისძიებებს აჯანყების ჩასაქრობად, დარწმუნდება, თუ რამდენად
გაართულებს ინგლისის მდგომარეობას ჩვენი ჯარების ინდოეთში
ან მის მახლობლად გამოჩენა. და თუ ჩვენ კარგი კრეისერები გვეყო-
ლა, ინგლისის მდგომარეობა გართულდება, ხოლო ამის პროპორ-
ციულადვე გაიზრდება ომის პერიოდის ხარჯები.

36. ბათუმი და ფოთი

თბილისი, 19 აგვისტო

ამას წინათ ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე კორესპონდენცია ქ. ფოთიდან, სადაც აღწერილი იყო მის მკვიდრთა მღელვარება ამ ახალი პორტო-ფრანკოს კონკურენციის გამო.

უნდა ითქვას, რომ მათი თვალსაზრისით ამ მღელვარებას აქვს კიდეც ერთგვარი საფუძველი. ქ. ფოთი ნავსადგურად 1856 წლიდან გამოცხადდა, ე. ი. მას შემდეგ ოცდაორი წელი გავიდა. მართალია, ფოთი ნელა ვითარდებოდა, მაგრამ ომის წინა წლებში ქალაქი საცხოვრებლად უკვე ვარგოდა. თურქეთთან ომმა გაანადგურა ყველაფერი, რაც ფოთელებმა დიდძალი შრომით შექმნეს. მიტოვებული სახლები დაინგრა, ღობეები განადგურდა, ბაღები გაითელა. ახლა კი ყოველივე ამის აღსადგენად ისევ ოცდაორი წლის დაძაბული შრომაა საჭირო. ყირიმის ომის შემდეგ ამიერკავკასიის ერთადერთი ნავსადგური ფოთი იყო. ახლა მწყობრში კიდევ ორი პორტი დგება. ბათუმი, თავისუფალი ნავსადგურითა, და სოხუმი, რომელსაც მოხერხებული რეიდი აქვს. ასე რომ, ფოთის გაბატონებული მდგომარეობა ამიერკავკასიაში შესამჩნევად სუსტდება და სათანადოდ იკლებს კერძო პირთა სურვილიც დააბანდონ ამ ქალაქში თავიანთი შრომა და სახსრები.

მაგრამ ფოთელების პესიმისტურ განწყობილებას ჩვენ არ ვიზიარებთ. ამ საკითხზე ჩვენ რამდენიმე სტატია დავწერეთ, რომლებიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. სტატიებში ვიხილავდით ფოთის უპირატესობას იმ ნავსადგურებთან შედარებით, რომლებიც მას კონკურენციას უწევენ და მხოლოდ გეოგრაფიულ და ისტორიულ ფაქტებს ვეყრდნობოდით. ამჟამად ფოთის განვითარებას ნავსადგურის უქონლობა აბრკოლებს, მაგრამ სიძნელეებისა და მერყეობის დაძლევის შემდეგ სამუშაოთა წარმოება იმდენად გაირკვა, რომ ამ საქმის კეთილად დამთავრებაში დაეჭვება შეუძლებელია. 1872 წელს სამხედრო უწყებამ შეარჩია პროექტი, რომელიც გზათა სამინისტროს მიერ მოწონებულ პროექტზე იაფი ჯდებოდა, მაგრამ

ახლა პროექტი გადაკეთებულია და დაემატა ის თანხაც, რაც გზათა სამინისტროს პროექტთან შედარებით აკლდა. თუმცა ეს არ წარმოადგენს ფოთის ნავსადგურის მშენებლობისათვის ბუნებრივ დამაბრკოლებელ მიზეზს, არამედ გარდაუვალი შედეგია საქმის შესახებ არასწორი ეკონომიკური შეხედულებებისა, რაც არ ვარაუდობს ეკონომიას. ერთი და იგივე ფაქტი ყველგან მეორდება და არა მარტო ზღვაზე, არამედ ხმელეთზეც. იაფი პროექტი შეიძლება დააჯილდოვონ სახელმწიფო სახსრების დაზოგვისათვის, მაგრამ მშენებლობის დროს მთავარი მისი ღირებულება კი არაა, არამედ — მოხერხებულობა. უკვე გაღებული თანხით ფოთის ნავსადგური ჯერ კიდევ არ არის მოხერხებული და, ამიტომ, უეჭველად მოითხოვს კიდევ მნიშვნელოვანი თანხის დამატებას და, მთელი ამიერკავკასიის ვაჭრობის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, სასურველია, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს მიღებული პროექტის გადასინჯვა, დროის დაკარგვისა და ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, რომელსაც მერე გადაკეთება მოითხოვს. უეჭველია, რომ დამთავრების შემდეგ, ნავსადგური გზათა სამინისტროს ხელში გადავა, რომელიც, სამხედრო-საინჟინრო უწყების მსგავსად, არ არის შეზღუდული ადრინდელი გადაწყვეტილებებით და მოსაზრებებით, რომელთა სისწორე ფაქტებმა არ დაადასტურა, და ე. ი. შეუძლია მიღებულ პროექტში შეიტანოს ის ცვლილებანი, რომელთაც საქმის არსი მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ეჭვი არაა, რომ ფოთში მოხერხებული ნავსადგურის აშენება შეიძლება, ხოლო ახლანდელი მშენებლობის დროს კიდევ უფრო ნაკლებად უნდა გვეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ მთავრობა ყველა ზომებს მიიღებს ნავსადგურის მშენებლობის მალე დასამთავრებლად, რასაც მუშაობის ახლანდელი მსვლელობის მიხედვით, სამი წელი დასჭირდება; მაგრამ ფოთში მოხერხებული ნავსადგურის აშენებით ბათუმისა და სოხუმის უპირატესობა გაქრება, რადგანაც არსებობს რკინიგზის ყველაზე უმოკლესი ხაზი, მთელი ამიერკავკასიის ტვირთი ფოთისაკენ უნდა წავიდეს და არა სოხუმისაკენ. ბათუმი ჯერ კიდევ შეინარჩუნებს პორტო-ფრანკოს ხელსაყრელ მდგომარეობას, მაგრამ სოხუმს, რომელიც თურქებისაგან განადგურებული აფხაზეთის ცენტრშია, ფოთთან კონკურენციისათვის დიდხანს არ ექნება არავითარი უპირატესობა.

ბათუმის პორტო-ფრანკო, რასაც ასე გაცხოველებით მიესწრაფოდა ლორდი ბიკონსფილდი ბერლინის კონგრესზე[20], რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს რუსეთისათვის განსაკუთრებულ უხერხულობას. ოდესაში პორტო-ფრანკოს ხანგრძლივმა არსებობამ ვერ შე-

აჩერა რუსეთის მანუფაქტურული მრეწველობის განვითარება. ბათუმი, როგორც გეოგრაფიულად, ასევე მცირე დასახლებით და გზების უქონლობით, შინა ვაჭრობისათვის თითქმის მიუწვდომელი ოლქია. ბათუმს ნაკლებად ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს, ვიდრე ოდესას ჰქონდა და ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი უცებ გახდეს დიდი ქალაქი.

როცა ინგლისელი მინისტრები ბათუმს საბაჟო გადასახადისაგან ანთავისუფლებდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის გზით ინგლისის საქონლის კონტრაბანდით გატანას სპარსეთსა და შუა აზიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბათუმში თავისუფალ ვაჭრობას მანამდე არ დაუშვებენ, სანამ საბაჟო უწყება ყველა ზომას არ მიიღებს ამიერკავკასიაში კონტრაბანდის გაძლიერებული შემოტანის აღმოსაფხვრელად. ახლა ამ ზომების განხორციელებას ის აადვილებს, რომ ნაცვლად ადრინდელი, მთიანი, ტყით დაფარული გრძელი სასაზღვრო ხაზისა, სადაც ფხიზელი საბაჟო ზედამხედველობა თითქმის შეუძლებელია, საკმარისია ბათუმის შემოღობვა მისი გარეუბნებით და ზღვის ნაპირისათვის თვალყურის დევნება. ბათუმამდე ტვირთის გადაზიდვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ გაძლიერდეს, როცა ახალი, შემოერთებული ოლქების გზები გაუმჯობესდება, რაც, ცხადია, არანაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე ნავსადგურის მშენებლობა. ნაწილობრივ მართალია ვარაუდი, რომ საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებულ ნავსადგურში ცხოვრება უფრო იაფი იქნება, ვიდრე ფოთში, მაგრამ ვაჭრობა ბათუმში დიდი მასშტაბებით ვერ იწარმოებს. რა თქმა უნდა, უცხოური საქონლის შემოზიდვა დიდი იქნება, მაგრამ ქვეყნის შიდა რაიონებიდან ბათუმამდე ტვირთის მიტანა მნიშვნელოვან და დამაკმაყოფილებელ რაოდენობას ვერ მიაღწევს. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ კონცესიურმა მაგიამ სტრატეგიული, პოლიტიკურ-ეკონომიური და პატრიოტული მოსაზრებები გამოიყენა და შესძლო იმის დამტკიცება, რომ ჯობია უყურადღებოდ დასტოვონ შინა ვაჭრობის მოთხოვნილებები და მთელი ყურადღება ამიერკავკასიაში უცხოეთის ტრანზიტის მოზიდვას მიაქციონ, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენმა კონცესიერებმა ფოთის ნავსადგურის მშენებლობისათვის ძალღონის დაძაბვისა და თბილისბაქ.ს რკინიგზის რაც შეიძლება მალე გაყვანის ნაცვლად, ახალსენაკიდან ან მიხაილოვიდან ბათუმამდე რკინიგზის გაყვანის უფლება მიიღონ და შემოწირულებით მოპოებული თანხა ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობას მოახმარონ, ინგლისის ვაჭრობის

სასარგებლოდ. მაგრამ იმ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოაქვეყნა ბერლინის ტრაქტატის განახლების შემდეგ, ჩვენთვის ცხადი გახდა, თუ რა სწორად ესმით ჩვენში თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და, მიუხედავად კონცენსიონერი მაგების მთელი გამჭრიახობის და მოხერხებულობისა, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათი მეცადინეობა—რუსეთის ინტერესები ინგლისის ინტერესების სასარგებლოდ შესცვალონ, უშედეგოდ დარჩება.

იმის დასამტკიცებლად, რომ ბათუმს არავითარი უპირატესობა არა აქვს ფოთთან შედარებით როგორც შინა, ასევე საგარეო ვაჭრობაში, მოგვყავს ყველაზე ძვირი, გარე გასატანი საქონლის — აბრეშუმისა და ყველაზე იაფი პროდუქტის — სიმინდის მაგალითი. შეუძლებელია, რომ გასასყიდი აბრეშუმის სამტრედიაში ჩატანა და იქიდან საპალნეებით ან ურმებით ბათუმში გადაზიდვა ხელსაყრელი იყოს: მატარებელი გაცილებით უფრო მოხერხებული, იაფი და ნაკლებ სახიფათო ტრანსპორტია აბრეშუმის ფოთში ჩასატანად და იქიდან რუსეთის საზოგადოების გემებით ბათუმში გადასაზიდად. კიდევ უფრო ნაკლებ ხელსაყრელია სურამიდან ან გორიდან სიმინდის სამტრედიაში ჩატანა და იქიდან ბათუმში გადატანა. სატრანსპორტო საშუალებანი ამ მხარეში ძალზე უმნიშვნელოა და მარტო ოზურგეთის გზით შეუძლებელია საქონლის დიდი რაოდენობით გადაზიდვა. გადაზიდვა ყოველთვის ძვირი დაჯდება და ამიტომ გაცილებით იაფი და ხელსაყრელია სიმინდის ფოთში ჩატანა და იქიდან იალქნიანი ნავებით ბათუმში გადატანა, სადაც დიდ გემებზე გადატვირთავენ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, ფოთის მნიშვნელობა, როგორც საგარეო ვაჭრობისათვის გამოსადეგი ნავსადგურისა იმ პერიოდშიც კი არ მცირდება, როცა ნავსადგური აუშენებელია, და როცა უცხო გემები ღია რეიდზე დგომას ბათუმის ნავსადგურში შესვლას ამჯობინებენ. ადგილობრივ მოსახლეობას ისეთივე დამოკიდებულება ექნება საგარეო ვაჭრობასთან, როგორიც აქამდე ჰქონდა, ე. ი. იქნებიან კომისიონერებად უცხოეთის სავაჭრო სახლებთან და ისარგებლებენ ყველა იმ უპირატესობით, რითაც აქამდე სარგებლობდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სიმინდით დატვირთული იალქნიანი ნავები ტვირთს რეიდზე კი არ მიიტანენ, არამედ ბათუმში გადაზიდავენ. ამასთანავე, ქირა არც კი იზრდება. ფოთში ადრევეც იმდენივე ღირდა ტვირთის რეიდზე მიტანა, რამდენიც რედუტში ან ბათუმში გადაზიდვა. ასე რომ, მიუხედავად ლორდ ბიკონსფილდის ფანდებისა, ჩვენ გვჯერა, რომ ამიერკავკასიის ვაჭრობა გზების გაყ-

ვანამდე უცვლელი დარჩება, ხოლო სანამ ბათუმამდე გზას გაიყვანდნენ, ფოთის ნავსადგურის მშენებლობაც დამთავრდება და მაშინ ამ პორტიდან საქონლის გატანის სარგებლიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ვარაუდი სწორია, ძნელია შეშინებული ფოთელებისაგანაც ფოთის მნიშვნელობის შესახებ ისეთსავე სიმშვიდესა და მიუკერძოებლობას მოველოდეთ, როგორც კერძო პირთაგან. უპირველეს ყოვლისა, მათ არ სჯერათ ფოთის ნავსადგურის მშენებლობის მალე დამთავრება. ამავე დროს, დარწმუნებული არიან, რომ სრულიად გაღატაკდნენ და ამ სიღატაკეს ისე ვერ დააღწევენ თავს, თუ ისეთივე გამაღატაკებელი და ხანგრძლივი შრომა არ გასწიეს, როგორსაც ოცდაორი წლის მანძილზე ეწეოდნენ, ცხადია, მათი ამგვარი რწმენის აღმოფხვრა შეუძლებელია. მატერიალური დანაკარგი, როცა მისი შევსება შეუძლებელია, ხელს უშლის იმის შეგნებას, რომ მომავალში ყველაფერი გამოსწორდება უკეთესისაკენ, მაშინ, როცა აწმყო გვახსენებს მხოლოდ დანაკარგებს, გასაჭირს და სხვ. ამ აზრის შეცვლა არ შეუძლია არავითარ მჭევრმეტყველებას. ამისთვის საჭიროა ფაქტები და ჩვენ დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს, რადგან, როგორც კი სამხედრო მოქმედება დამთავრდება, ადმინისტრაცია მხოლოდ იმისთვის იზრუნებს, რომ გამოასწოროს ზიანი, რაც თურქეთთან ომმა ჩვენს მხარეს მიაყენა.

37. ექსტრა-ლიტერატურული კამათი

„ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] დღევანდელი ნომერი, თითქმის მთლიანად, ჩემდამია მოძღვნილი. მკითხველი ქვემოთ იხილავს ყველა სტატიას, რომელიც ამ გაზეთში ჩემი მისამართით დაიბეჭდა. მე მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ ცოტა რამ დავუმატო მათ.

ბატ. ქუთაისელმა ყველას დასანახად გამოაჩინა საკუთარი ზნეობრივი სახე „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციის მიმართ გამოთქმულ საყვედურში იმის შესახებ, რომ იგი „მონდომებით იცავდა ბატ. ნიკოლაძის კეთილ სახელს“. ბატ. ქუთაისელის დოგმატების მიხედვით, ჭეშმარიტება, სამართლიანობა თუნდაც უკიდურესად შეილახოს, სიმართლე თუნდაც ტყუილმა შესცვალოს, ოღონდ მოწინააღმდეგის კეთილ სახელს დაუმსახურებელი ტალახი შერჩეს... ამ საყვედურში სრულად მოჩანს, თუ რა კაცია იგი...

გარდა იმისა, რომ დაბეზღებას მაბრალებს, მისი წერილი სხვა არაფერია, თუ არა იმის ცდა, რომ როგორმე თავი დაიძვრინოს. იგი ამტკიცებს, თითქოს ჩემთვის არ დაუბრალებია საავადმყოფოს შესახებ დაწერილი სტატიის ავტორობა. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ სთქვა ბატ. ქუთაისელმა, რომ ვიღაცამ, თავ. ბებუთოვის მხრებს ამოფარებულმა, (ვთქვათ მე არა) დაწერა ეს სტატია და, ამავე დროს, კარგად იცოდა, რომ სტატიის ავტორი თვით თავ. ბებუთოვია. ეს იყო ცილისწამება, დონ-ბაზილიოსებრი ცილისწამება, რომელიც პირდაპირ არაფერს ამტკიცებს, მაგრამ ეჭვს ბადებს. ბატ. ქუთაისელი მახეში გაება და ახლა თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, მკითხველებო, თუ როგორ ცდილობს იგი თავი დაიძვრინოს... და ამგვარ ხალხს კიდევ აქვს უფლება მწერლობას ხელი მოჰკიდოს!...

ბატ. ქუთაისელი ჩემი სტატიის „სასამართლოს ფიზიონომია“ შესახებ წერდა, რომ თავ. ბებუთოვს ეს სტატია თითქოს არც კი წაუკითხავს, ხოლო მე ბოროტად გამოვიყენე მისი ნდობა და სტატია ისე დავბეჭდე, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ტყუილი აქაც გამომჟღავნდა და ახლა იგი ამტკიცებს, თითქოს თავის პირველი პროცესით დაკავებულმა ბებუთოვმა სტატიას ზერელედ

გადახედაო. არა, არაა მართალი! „სასამართლოს ფიზიონომიის“ პირველი ნაწილი პროცესიდან ხუთი დღის შემდეგ დაიბეჭდა და თავ. ბებუთოვმა ყურადღებით წაიკითხა. არაფერი სასირცხვილო ამ სტატიაში არ იყო, ხოლო თავ. ბებუთოვი სწუხდა, რომ მასში საუბარი იყო რედაქტორის პიროვნებაზე. არსებითად მეორე ნახევარმა, რომელიც პირველის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა, ბევრი გააკვირვა ჩემი არაადამიანური დამოკიდებულებით ბატ. სცეპურასადმი, მაგრამ ბატ. ბებუთოვს არა თუ არ უნანია ამ მეორე ნახევრის დაბეჭდვა, არამედ თვითონ წავიდა საცენზურო განყოფილებაში ნებართვის სათხოვნელად. თავ. ბებუთოვმა ეს სტატია დაბეჭდვამდე ხუთჯერ მაინც წაიკითხა და, ამიტომ, თვალის ზერელე გადავლებაზე ლაპარაკი ზედმეტია...

თუმცა რა უნდა ითქვას იმ ახალი ტყუილის შესახებ, რომელმაც უარყოფილი ტყუილის პირველი რედაქცია შესცვალა. ანდა რაღა დარჩენია ბატ. ქუთაისელს, თუ არა ტყუილების ლაპარაკი... მას მაინც არ ესმის ის ამბავი, რომ ერთხელ მოტყუებული მკითხველი მის ახალ ჩვენებასაც აღარ დაიჯერებს. ხოლო რაც შეეხება დაბეზღებას — მე მაკვირვებს ბატ. ქუთაისელის სითამამე. მე მასზე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ხშირად იცვლიდა ფსევდონიმებს და თავისსავე ამხანაგებზე პასკვილებს წერდა. ეს ამბავი ყველა მისმა ამხანაგმა იცოდა და თვით ბატ. ქუთაისელიც არა ერთხელ გამომტყდარა, რომ საიდუმლო მიმოსვლამ იგი ბრალდებისაგან ვერ იხსნა. ბოლოს და ბოლოს ამხანაგებზე პასკვილების წერა სახელმწიფო დანაშაული არაა. ამგვარი საქმიანობისათვის მხოლოდ 100 მანეთით აჯარიმებენ. და თუ ეს დაბეზღებაა, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ პოლემიკაზე. განა მე შემიძლია ვუწოდო ბატ. ქუთაისელს დამბეზღებელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორაზროვნად ამტკიცებდა, თითქოს სტატია საავადმყოფოს შესახებ ჩემი დაწერილია? ხოლო ამ სტატიამ გაცილებით მეტი ხმაური გამოიწვია, ვიდრე ბატ. ქუთაისელის ერთად აღებულმა ყველა პასკვილმა.

ტყუილად მოაქვს ბატ. ქუთაისელს თავი უსაფუძვლოდ დაჩაგრულ და უცოდველ კაცად. რამდენიც არ უნდა უმტკიცოს მკითხველებს, თითქოს ფსევდონიმს იმიტომ ამოეფარა, რომ ლიბერალობდა, მაინც ვერავის დააჯერებს... იგი რომ ლიბერალი ყოფილიყო. ერთხელ მაინც იტყოდა რაიმეს ამის შესახებ ჩვენს შორის გამართულ ხანგრძლივი პოლემიკის მანძილზე... მაგრამ ტყუილისა და ცილისწამების მეტი ბატ. ქუთაისელს არაფერი არ გამოუმჟღავნებია. ასეთი არის ის ყველა დანარჩენ საქმეშიც. ასე რომ, ვინ უნდა სდევნოს იგი სერიოზულად, ვინ გაისვრის ხელს მისი დაბეზღებით?

ხოლო პასკვილიანტს რომ პასკვილიანტი უწოდეს, დაბეზღება კი არა, კაცის დახასიათებაა. მიუხედავად ჩემი ვითომ დაბეზღებისა, ბატ. ქუთაისელი ახლაც ცოცხალია და ჯანმრთელი. პასკვილებისათვის იგი ჯერ კიდევ მომრიგებელ მოსამართლესთანაც კი არ გამოუძახებიათ და სიტყვას ვიძლევი, რომ არც გამოიძახებენ. ამგვარად, ნუ ეძებს ბატ. ქუთაისელი მსხვერპლად შეწირულის იაფფასიან გვირგვინს. მისი სარგო მოსასხამი არაა...

ბატ. ქუთაისელზე მეტს აღარაფერს ვიტყვით. გადავდივართ „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქციის გამგეზე. იგი აცხადებს, რომ სულ სხვაა გამომაქღაენო ვინ დასწერა „ობზორის"[2] მოწინავე სტატია და სულ სხვაა ვინაა „ქუთაისელის" მიერ ხელმოწერილი სტატიის ავტორი. იგი ამტკიცებს: არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას ბატ. შავროვის მონაწილეობა „ობზორში". ჯერ ერთი მკითხველთა უმრავლესობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა, და არავის არა აქვს უფლება იყვიროს ამაზე მანამდე, სანამ თვით რედაქცია ან ავტორი არ გააკეთებს ამას. მეორეც, ფსევდონიმი და ანონიმი ერთი და იგივეა და ერთნაირად სარგებლობენ კანონისა და ზნეჩვეულებების მფარველობით. მაგრამ, სამწუხაროა, როცა დაღეჭილი და გადაღეჭილი ჭეშმარიტებების ხელახლა მტკიცება გიხდება. სულ-ერთია, ერთ კაცს ერთ გარკვეულ სტატიას მიაწერენ თუ უამრავ სტატიებს. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდი უდიერობაა, მიაწერო ბატ. შავროვს ის, რაც დაუწერია და ისიც, რაც არ დაუწერია. საქმე ის კი არაა ჩვენ გვრცხვენია ბატონ შავროვთან თანამშრომლობა, თუ მას რცხვენია ჩვენთან თანამშრომლობა, ამგვარი ქარაგმები უბრალოდ ულამაზოა... საქმე პრინციპულობაა. მეტი დამაჯერებლობისათვის ჩვენ მოგვყავს ერთი საკმაოდ მრავალმეტყველი შემთხვევა: „სოვრემენიკის"[61] რედაქციამ განაცხადა, რომ მის გამოცემებში მონაწილეობას ღებულობს „ნ. ა. დობროლუბოვი", მაგრამ როცა ამ განცხადების საფუძველზე, ბატ. დროგომონოვმა დობროლუბოვს მიაწერა სტატია „სრულიადრუსეთის ილუზიები", რომელიც ხელმოწერილი იყო „ნ. ა. — ბოვ"-ის მიერ, მაშინ დობროლუბოვმა დროგომონოვს შემდეგი შინაარსის დასამახსოვრებელი გაკვეთილი მისცა:

„(ბატ. დროგომონოვს) არ აწყენს გაიგოს ზოგი რამ ლიტერატურული ზრდილობის შესახებ. ცხადია, ჩვენ ყველას გვსურს საზოგადო საქმეების სრული და კატეგორიული დაუფარაობა და ამის შესახებ ჩვეული ყველა თავმოყვარე კაცისათვის შეურაცხმყოფელია, მაგრამ თავის გამოდება კერძო, ოჯახური და პირადი საქმეების საჯაშკარაოზე გამოსატანად, მორიდების ერთგვარმა გრძნობამ უნდა

შეაფერხოს. თუ ბატ. პიროგოვის მომხრეებმა ჩვენს სიტყვებში სიტ-ხლის სამართლის დანაშაული აღმოაჩინეს, აღძრან საქმე სასამართ-ლოში და მე არ ამოვეფარები ჩემს ნახევრადხელწერას, გამოვ-ცხადდები სასამართლოში და წინააღმდეგი არ ვიქნები პროცესის სახალხოდ წარმოებისა, სადაც გამოცხადებული იქნება ჩემი ნამ-დვილი გვარი. თუ ამავე ბატონების აზრით, ჩემი საქციელის კანონ-ნით დასჯა შეუძლებელია, და მათ მაინც აღმაშფოთებლად და აუ-ტანლად მიაჩნიათ, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ჩემგან ნებისმი-ერი პირადი დაკმაყოფილება, მე არც ამ შემთხვევაში ვიტყვი უარს ჩემი გვარისა და მისამართის გამოაშკარავებაზე. მაგრამ სანამ საქმე ლიტერატურული კამათის ფარგლებში რჩება, მე ვერ ვაღიარებ ჩე-მი მოწინააღმდეგეების უფლებას, მიწოდონ ის, რაც მოესურვებათ. გარდა ამისა, ეს ბრეტორული ჩვევა თავისთავადაც უვარგი-სია, როგორც ინკოგნიტოსადმი პოლიციური უპატივცემუ-ლობა, ხოლო პირადად ჩემთვის იგი შემდეგ უხერხულობას შეი-ცავს: სანამ თქვენ „ბოვ"-ზე, მის სტატიაზე და იმაზე ლაპარაკობთ. თუ რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ სტატიიდან, მე თქვენი არ მეშინია. შეგიძლიათ არ გამიგოთ, დაამახინჯოთ ჩემი აზრები, ცილი დამწამოთ — თუმცა ეს თქვენთვისვეა უარესი — საზოგადოებას წინ ჩემი სტატია უდევს, ჩვენ გვასამართლებენ ღიად და საჯაროდ, ჩვენი შესაძლებლობანი თანაბარია. მაგრამ, როცა თქვენ ჩემი ხელ-მოწერის ნაცვლად ჩემს გვარს ასახელებთ (სულერთია სწორად თუ არასწორად) საზოგადოება ფიქრობს, რომ გარდა იმ მონაცემები-სა, რაც პრესის მეშვეობით ყველასათვის ცნობილია, თქვენ ავტორ-ზე რაღაც კერძო მონაცემები მოგეპოვებათ და როცა თქვენ — „ბოვ"-ის სტატიაზე ლაპარაკის დროს ამტკიცებთ. რომ დობრო-ლუბოვი ჭკვიანი კაცია, ოღონდ ლიბერალური დესპოტიზმის დამ-ცველია, ხოლო შემდეგ ყველას ეუბნებით, რომ იგი ქარაფშუტა და არასანდოა, მკითხველს უფლება აქვს იფიქროს, რომ თქვენ ამას მხოლოდ იმიტომ ამბობთ, რომ ან ახლოს იცნობთ დობროლუბოვს. ანდა ხელთ უტყუარი კერძო მონაცემები გაქვთ. ამიტომ, მკით-ხველს შეუძლია დაასკვნას: მართალია, „ბოვ"-ის სტატიაში ვერ და-ინახავთ იმას, რასაც ავტორზე ბატ. დროგომონოვი ლაპარაკობს, მაგრამ ეტყობა ბატ. დობროლუბოვის დასახასიათებლად მას სხვა მონაცემებიც ჰქონდა და ამიტომ უნდა დავუჯეროთ. ნუთუ არ შეგრცხვებოდათ, ბატონო დროგომონოვ, ამ გზით რომ მკითხველთა ნდობა მოგეპოვებინათ?" (ნ. ა. დობროლუბოვი, თხზულებანი, 1862, ტომ. 1., გვ. 280).

აი, როგორი აზრისა არიან ლიტერატურულ ფსევდონიმებზე და

ანონიმებზე ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეები. აი, რა შესცოდა „ტიფლისკი ვესტნიკმა“ და შესცოდა არა ერთხელ...

ჩვენ ვიცით. „ტიფლისკი ვესტნიკს“ ეს შეცდომა მოუვიდა იმის გამო, რომ დროებითი რედაქტორი თავ. დ. ერისთავი აქ არ იყო. გაზეთის თანამშრომლებმა ვერ შეამჩნიეს ავბედითი ნაწყვეტი. მაგრამ რატომ უნდა გადაქცეულიყო უბრალო შეცდომა პრინციპად?

ახლა ბატ. ანტონ ფურცელაძის ჯერია. მკითხველები ხედავენ, თუ რა ძნელია ჭეშმარიტების აღდგენა ისეთი კონკრეტული და წერილობითი საბუთების არსებობის დროსაც კი, როგორიცაა სტატია სასამართლოს ფიზიონომიაზე თუ საავადმყოფოს შესახებ. მართლაც, ისინი მიხვდებიან, როგორ ძნელია ყოველი წვრილმანის აღდგენა, რომელიც ხუთი წლის წინათ მოხდა, როცა ერთ-ერთ მხარეს სჭირდება ჭეშმარიტების დამახინჯება. მე არ გამაჩნია ბატ. ფურცელაძის მიუწვდომელი მეხსიერება, რომელმაც გასაოცარი ბულმოდგინეობით თითქოს დაიმახსოვრა ჩვენი საუბრის ცალკეული გამოთქმები. ასეთი მახსოვრობა მე ზებუნებრივ ნიჭად მიმაჩნია და პრეტენზიას მასზე არ ვაცხადებ.

ჩემს სტატიაში მე გულწრფელად და უბრალოდ მოგიყევით ყველაფერი, რაც კი ჩვენს შორის არსებითი მოხდა. ბატ. ფურცელაძეს ახლა შეუძლია შეთხზას რომანტიული საუბარი და მოწმედ თავის მეგობარი ბატ. თულაევი მოიყვანოს, რომელმაც მხოლოდ მაშინ მოუხმო ხმამაღლა მშველელს (როგორც ვწერდით), როცა ბატ. ფურცელაძეს რევოლვერი ავართვი. ქართველებს გვაქვს ამ ამბის დამახასიათებელი ერთი კარგი ანდაზა: „მელამ თავის კუდი იმოწმაო“. მაგრამ მთავარი ეს არ არის, საქმე იმაშია, რომ ბატ. ფურცელაძე საკუთარ მონათხრობშიც კი ღალატობს თავის თავს. იგი ამტკიცებს, რომ სილა გამაწნა, რომ მე შემდეგ მივვარდი მას და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი, და როცა ჩემი აღმართული ხელი დაინახა, დამიმიზნა ამ ხელში და დამჭრა. თუმცა თან დასძენს, რომ მე, როცა სილა გამაწნა, „დავრეტიანდი და როცა გონს მოვედი, განიზრახა თავს დამსხმოდა და გაველახე (ან. ფურცელაძე)“. დაიმახსოვრეთ, თავბრუ დამეხვა. შეუძლებელი ჩემს დარეტიანებაში არაფერია, მაგრამ ჩემს გონზე მოსვლამდე ბატ. ფურცელაძეს ხომ არ შეეძლო ცოდნოდა დავესხმოდი თავს თუ არა. იქნებ ბოდიშს მოვუხდიდი, ან ავტირდებოდი, ან იქნებ სამარცხვინოდ გავიქცეოდი. ამგვარად, იგი ჩემს განზრახვას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა მე დარეტიანებამ გამიარა, „მაშინ მან დაინახა, რომ მე მასზე თავდასხმას ვაპირებდი“. და მხო-

ლოდ მაშინ ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი. ამგვარად, იმ მომენტიდან, როცა თავს დავესხი ბატ. ფურცელაძეს, (სხვაგვარად შეუძლებელია, რომ მას მართლაც ამოეკითხა ჩემს გულში თავდასხმის განზრახვა), მან მოასწრო მოემოქმედა შემდეგი: ამოეღო ჯიბიდან რევოლვერი, შეეყენებინა ჩახმახი (სხვაგვარად რევოლვერი არ ისვრის), დაემიზნებინა აღმართულ ხელში და ესროლა. ხოლო ამ ხნის განმავლობაში საბრალო ხელმა ერთხელ შემოკვრაც კი ვერ მოასწრო. არა, ბატ. ფურცელაძევ, რომანების წერაში ვერ ყოფილხართ დახელოვნებული. გამოიგონეთ რამე უფრო დამაჯერებელი.

ბატ. ფურცელაძის ჯიბრზე, გარემოება მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: ყველა ჩემმა ნაცნობმა იცის, რომ მე ცაცია არა ვარ და როგორც ბევრმა ნახა, და როგორც ნაჭრილობევი ამტკიცებს დაჭრილი ვარ სწორედ მარცხენა ხელში.

ბატ. ფურცელაძე მოითხოვს ვუამბო ყველას საიდუმლოება, თუ როგორ შეიძლება ხელის აკვრით ნასროლი ტყვიის აცილება. ჯერ ერთი, მე ვწერდი, რომ ნასროლი ტყვია კი არ ამიცილებია, არამედ რევოლვერის ლულა, რაც ერთი და იგივე არაა. თუმცა ამ გარემოების დამახინჯებაც საკმარისად ახასიათებს ბატ. ფურცელაძის მართლმოყვარეობას. მეორეც, ჩაატაროს ყველა მკითხველმა თავის თავზე ასეთი ცდა: სთხოვოს ვინმეს მიაბჯინოს მკერდზე რაიმე რევოლვერის მაგვარი. თავდამსხმელი მოქმედებს მარჯვენა ხელით და ამ შემთხვევაში იარაღს აუცილებლად მკერდის მარცხენა მხარეს მიადებს, ხოლო თავდამცველის ბუნებრივი და წამიერი მოქმედება იქნება მარცხენა ხელი აიქნიოს და რევოლვერის ლულა განზე გასწიოს. მეც სწორედ ამის გაკეთება მოვასწარი და რადგან იმ წამსვე გაისმა სროლა, სწორედ იმ ხელში დავიჭერი, რომლითაც ლულა გავწიე.

შეადარეთ ეს ამბავი ბატ. ფურცელაძის მონაყოლს და ადვილად დარწმუნდებით სადაა სიმართლე და სად მონაგონი.

ჩემთვის სილა არავის გაუწნავს. მე არც ისე ბრიყვი ვარ, რომ შემრცხვეს რევოლვერით შეიარაღებული კაცისაგან გაწნული სილისა... ხოლო თუ როგორი მხდალი ვარ და დავემალე თუ არა ბატ. ფურცელაძეს ქუჩაში, ისეთ შეუვალ ბრუსტვერებს ამოფარებული, როგორიც უცნობი ქალიშვილებია — ეს ყველამ იცის და საჭიროდ არ მიმაჩნია ვედავო ბატ. ფურცელაძეს. დაე, „შეთხზას“ ისეთი ზღაპრები, როგორიც მოესურვება. მკითხველს ბევრი შესაძლებლობა აქვს დაინახოს, ვინაა ჩვენს შორის მართალი. მაგრამ ბატ. ფურცელაძე რომ სრულყოფილად დავახასიათო, ყურადღება მიაქციეთ ერთ ფაქტს, საიდანაც ჩანს, თუ რა მოურიდებლად ამახინ-

ჯებს იგი დაბეჭდილ დოკუმენტებსაც კი. იგი წერს, თითქოს არდაგანის ამბების აღწერის დროს მე ჩემი თავი უფრო დიდ გმირად გამოვიყენე, ვიდრე გენერალი ჰეიმანი. ვთხოვ „ტიფლისკი ვესტნიკის“ პატივცემულ რედაქციას გადახედოს კორესპონდენციას და დაინახავს, რომ მე აღვწერე ბატ. ჰეიმანის გამბედაობა, ხოლო ორი სვეტი ჩემი შეგრძნებების „გულშემოწოლილი გრძნობების და სიკვდილის შიშის“ აღწერას დავუთმე. ბოლოს კი ამგვარი სიტყვებით ვამთავრებ: — „როგორც გნებავთ, მაგრამ ეს მამაცობა არაა“. სთქვით, განა შეიძლება დაუჯერო კაცს, რომელმაც ასე დაამახინჯა დაბეჭდილი დოკუმენტი? თუ მას არ ეშინია იმის, რომ შემიძლია ამ დოკუმენტიდან ნაწყვეტის გადმობეჭვდა და მის მიერ დამახინჯებული ჭეშმარიტების გამოაშკარავება, მაშინ იგი არც იმ ფაქტის დამახინჯებას მოერიდება. რომლის მოწმე მხოლოდ ერთი კაცი იყო და ისიც მისი მეგობარი და თანამოაზრე.

კიდევ ერთი კურიოზული ფაქტი, რაც შუქს ჰფენს ბატ. ფურცელაძის სიმართლისმოყვარეობას. იგი წერს, თითქოს მე იმ დღესვე შიკრიკები დავგზავნე არა მარტო მთელ თბილისში, არამედ მთელ საქართველოშიც. ვფიქრობ, მე რომ ყოველ წუთს ამდენი შიკრიკი მყავდეს ჩემს განკარგულებაში, შევძლებდი რამე უფრო გონივრული დავალება მიმეცა მათთვის. მაგრამ — ეს მეტაფორაა. მე ნამდვილად ვერიდებოდი, არ მინდოდა შემეტყობინებინა სხვებისათვის ეს ამბავი... მაგრამ თუ შიკრიკები არა, ცირკულარული წერილები მაინც დაიგზავნა ამ ამბის შესახებ, და დავგზავნე არა მე, არამედ ბატ. ფურცელაძემ. თითქოს განგებ, ერთ-ერთ ასეთ წერილზე მიამბო მაშინ „ტიფლისკი ვესტნიკის“ ახლანდელმა დროებითმა რედაქტორმა, თავ. დ. ერისთავმა, რომელსაც შეუძლია დამიდასტუროს, რომ არც მისთვის და არც რომელიმე მისი ნაცნობისათვის მე ბატ. ფურცელაძის საქციელის შესახებ არავითარი წერილი არ გამიგზავნია.

ბატონი ფურცელაძის ნატიფი მართლმოყვარეობის დასამტკიცებლად ეს დასაბუთებაც კმარა.

ყოველივე ეს ლიტერატურისაგან შორს დგას და მე არ ვარ დამნაშავე, თუ ასეთ კინკლაობაში მომიხდა მონაწილეობის მიღება. მკითხველს ახსოვს, როგორ დაამახინჯა ბატ. ქუთაისელმა ეს ამბავი და იძულებული გამხადა აღმედგინა ფაქტები. ახლა ბატ. ფურცელაძე ცდილობს სხვაგვარად წარმართოს საქმე და მისი ნაამბობის უარყოფა მე მხოლოდ და მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთით შემეძლო, რომელიც ხელთ მაქვს, ე. ი. ბატ. ფურცელაძის სიტყვის ლოგიკური ანალიზით, მისი ნაამბობის უსაფუძვლობით.

საჩქარო სამუშაოს გამო მხედველობიდან გამომრჩა ბატ. ფურცელაძის სიცრუის კიდევ ერთი დამამტკიცებელი ფაქტი. იგი ამტკიცებს, რომ ბატ. უფროსი პოლიცმეისტერის ყურამდე მივიტანე მე მისი გმირობის ამბავი. ამ ცილისწამების უარყოფა კი მოწმეთა საშუალებით შეიძლება.

საქმე ასე იყო: ბატ. ფურცელაძის გმირობის რამდენიმე დღის შემდეგ, მე მივიღე ყოფილი თბილისის გუბერნატორის, აწ განსვენებულ გენერალ კ. ი. ორლოვსკის მიწვევა გამოვცხადებულიყავი მასთან. გუბერნატორმა მკითხა — მართალია თუ არა, რომ ბატ. ფურცელაძე მოკვლას გიპირებდაო და მთხოვა საჩივარი შემეტანა.

მე კატეგორიული უარი განვაცხადე და ვარწმუნებდი გუბერნატორს, ყურადღება არ მიექცია ამ ამბავისათვის, ვამბობდი, რომ ეს მხოლოდ წუთიერი აფეთქება იყო. მაგრამ სანამ ბატ. ფურცელაძის ოჯახი არ შევაბრალე, იგი მაინც თავისას მოითხოვდა. არც ცოლი და არც შვილები მის სიფიცხეში დამნაშავენი არ არიან, ხოლო ყველაზე მეტად სწორედ ისინი დაიტანჯებიანთქო. მაშინ გუბერნატორმა განკარგულება გასცა გამოეძახებინათ უფროსი პოლიცმეისტერი პოლკ. ბელიკოვი და დაავალა მას მკაცრად გაეფრთხილებინა ბატ. ფურცელაძე. რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, რომ ბატ. ფურცელაძე პოლიცმეისტერთან გამოეძახებინათ და მთელ ქალაქში ხმა დაირხა, თითქოს მე დავაბეზღე. მე წავედი ბატ. პოლიცმეისტერთან და ვკითხე, რა საუბარი ქონდა ბატ. ფურცელაძესთან და, რადგან ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ბატ. ფურცელაძე შეცდომაში შეიყვანეს, მე ვთხოვე ბატ. პოლიცმეისტერს დაერწმუნებინა ბატ. ფურცელაძე, რომ იგი ჩემი ჩივილის გამო არ დაუბარებიათ, პოლიცმეისტერმა ჯერ უარი განაცხადა. თქვა, რომ ბატ. ფურცელაძემ (სასამართლოს ყოფილმა მოხელემ) უნდა იცოდეს: თქვენ რომ საჩივარი შემოგეტანათ, თუნდაც ეს საჩივარი უსაფუძვლო ყოფილიყო, კანონის ძალით ჩვენ ვალდებული ვიქნებოდით საქმე გამომძიებლისათვის გადაგვეცა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულიო. ბოლოს ბატ. პოლიცმეისტერი დამპირდა, ეამბნა ყველაფერი ბატ. ფურცელაძისათვის და შეასრულა კიდეც...

ახლა კი, ყოველივე ამის შემდეგ, ბატ. ფურცელაძე პრესაში ამტკიცებს, თითქოს მასზე საჩივარი შევიტანე! ღმერთო ჩემო, აი ადამიანები და ამ ადამიანებთან კამათი უნდა აწარმოო, მათი მტკიცებების უარსაყოფად საკუთარი სიტყვების სამართლიანობა უნდა ამტკიცოთ.

ბატ. ბელიკოვი ცოცხალია. მე დაბეჯითებით ვთხოვ მას, დამიდასტუროს რაც ვთქვი. ხოლო თუ ბატ. ფურცელაძეს დასჭირდება,

ამასვე დაადასტურებენ თავ. ი. ნ. ჭავჭავაძე და გ. ა. ჩიქოვანი, რომელთაც ვთხოვე ეშუამდგომლათ ბატ. ორლოვსკისთან, რომ ამ საქმისათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ხასიათი არ მიეცათ.

ბატ. ფურცელაძის მტკიცების სისწორის დამამტკიცებელი ყოველივე ამ საბუთების შემდეგ მკითხველს შეუძლია მთელი სულითა და გულით შემიცოდოს მე, რომ ბედმა ასეთი მოწინააღმდეგე მარგუნა. გასაგებია, ეს ხალხი რომ სხვა ზნეობრივი მოდგმისა იყოს, მე მათ არც გამოვედევნებოდი, და, იმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგენი ყოფილიყვნენ, ისინი ჩემი მეგობრები იქნებოდნენ...

განა გასაკვირია, რომ ბატ. ფურცელაძის მსგავსი „მწერლები“, რომელნიც ჭეშმარიტებას ამახინჯებენ და ამაში არაერთხელ არიან მხილებულნი თვით მათ მიერ, ვისაც ახლა „ბატ. ნიკოლაძის ხროვას“ უწოდებენ, თვითონ ჰკარგავენ ქართველი მკითხველი საზოგადოების თვალში მთელს თავის მწერლურ კრედიტს? მაგრამ განა მე ვარ ამაში დამნაშავე და არა თვითონ იგი?

მაგრამ, ისმის კითხვა, როცა მე ვხედავდი ადამიანებს, რომლებიც ასე უბოდიშოდ ექცეოდნენ ჭეშმარიტებებს, და რომელთაც ხელში მწერლის კალამი უჭირავთ, განა ვალდებული არ ვიყავი მათთვის გამეგდებინებინა კალამი? ბატ. ფურცელაძის მიმართ, მე მგონი ამას მივაღწიე, იმედი მაქვს, რომ იგივეს მივაღწევ მალე ბატ. ქუთაისელის მიმართაც. დაე, სხვებმა გადაწყვიტონ, კარგად მოვიქეცი თუ არა, როცა ამ შედეგისათვის ვიბრძოდი. მაგრამ ახლა მკითხველი, ყოველ შემთხვევაში, ხედავს, თუ რა სიბინძურეში მიხდებოდა ხელის გასვრა ამ მიზნისაკენ სწრაფვის დროს.

38. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები

თბილისი, 24 აგვისტო

თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებზე ბევრი რამ ითქვა; ითქვა, თუ როგორ მიმდინარეობს სახალხო განათლება ამ სკოლებში, მაგრამ, ვფიქრობ, ცოტა რამ იყო ნათქვამი ამავე საგნის შესახებ, ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სახალხო განათლება ქუთაისის გუბერნიის სკოლებში.

ალბათ, არც ერთ მაზრის უფროსს არ მიუღია იმდენი მადლობა თავისი უახლოესი ხელმძღვანელობისაგან, რამდენიც შორაპნის მაზრის უფროსმა მიიღო თავის მაზრაში სახალხო სკოლების მოწყობისა და გლეხთა შორის წერაკითხვის გავრცელების საქმეში მონაწილეობისათვის. ამიტომ ჩვენ სწორედ შორაპნის მაზრის სახალხო განათლების სკოლებზე გვექნება საუბარი.

სამრევლო სკოლები უკვე არსებობდა, მაგრამ სახალხო სკოლების ინსპექტორი ჯერ კიდევ არ გვყავდა. სამრევლო სკოლები მღვდლებმა და დიაკვნებმა დააარსეს, რომელთაც საშუალო ან დაბალი განათლება ჰქონდათ მიღებული. თუმცა ამ სკოლებში სწავლების არავითარი ახალი მეთოდი არ არსებობდა, მაგრამ ბავშვები ცუდად არ სწავლობდნენ. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის დანიშვნას სკოლებისათვის ბედნიერება არ მოუტანია, მაგრამ მათი რიცხვი მაინც გაიზარდა. სამრევლო სკოლები მუდამ გადატვირთული იყო მოწაფეებით, სახალხო სკოლებში კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა შეიქმნა. ასეთი მდგომარეობა როგორღაც არ მოეწონა ინსპექტორს და ერთ-ერთ საანგარიშო მოხსენებაში გუბერნატორს პირდაპირ სთხოვა დაეხურა ყველა სამრევლო სკოლა იმერეთის ეპარქიაში. გუბერნატორმა ამ მოხსენებითი ბარათისა და ინსპექტორის თხოვნის საფუძველზე წინადადება მისცა იმერეთის ეპისკოპოზს, გაბრიელს, დაეხურა ყველა სამრევლო სკოლა იმერეთის ეპარქიაში. ამავე დროს გუბერნატორმა წერილობითი მითითება მისცა ყველა მაზრის უფროსს მისი

თანხმობის გარეშე არავის გაებედა სკოლის გახსნა. როგორც ცირკულარში იყო აღნიშნული, ამ განკარგულებას საფუძვლად დაედო აზრი, თითქოსდა სწავლამ სკოლებში მავნე ხასიათი მიიღო. იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა, რომელიც მუდამ სამრევლო სკოლების რიცხვის გაზრდას ცდილობდა, გუბერნატორის განკარგულების შესრულებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ მაზრის უფროსებს უბრძანეს დაეხურათ სამრევლო სკოლები. გუბერნატორსა და ეპისკოპოზს შორის ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ საქმე მოგვარდა და სამრევლო სკოლები დახურვას გადარჩა. სამაგიეროდ მკაცრი კონტროლი დააწესეს სახალხო სკოლების ინსპექტორზე.

სასულიერო კონსისტორიის წესდების ერთ-ერთ პარაგრაფში ნათქვამია: ეპარქიის ხელმძღვანელებს ევალებათ განაგონ და ხელი შეუწყონ სასულიერო პირების მიერ ეკლესიასთან მარტივი, ადგილობრივ ყოფასთან შეფარდებული სამრევლო სკოლების დაარსებასა და შენახვას, სადაც გლეხთა ბავშვები წერა-კითხვას, ლოცვანს, კატეხიზისის დასაწყისს და სხვა ამდაგვარს ისწავლიან. სადაც კი სოფლის საზოგადოებამ სკოლის გახსნა მოისურვა მისგან მოითხოვეს საუკეთესო სასკოლო შენობის მოწყობა, ბაღის გასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მასწავლებლისათვის 200-300 მან. ხელფასის დაწესება, უფასო ბინა, გათბობა, განათება და დარაჯის დანიშვნა. ასეთი განკარგულების შემდეგ ბევრი სკოლა დაიხურა.

სწორედ ამ დროს მაზრის უფროსებმა ითხოვეს საზოგადოებების შემცირება მათი გაერთიანების ხარჯზე, რათა სამაზრო სამმართველოებში მიმოწერა შემცირებულიყო. საჭირო უფლება გამოითხოვეს საიდანაც ჯერ არს და საზოგადოებათა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში მკვეთრად შემცირდა. შორაპნის მაზრის 68 საზოგადოებიდან მხოლოდ 28 შეიქმნა. რამდენიმე საზოგადოების ასეთი გაერთიანების შემდეგ, ცხადია, საზოგადოებას უფრო ადვილად შეეძლო სკოლის გახსნა. 1874 წელს თითქმის ყველა საზოგადოებამ ითხოვა სკოლა. შეადგინეს სკოლის შენობათა გეგმებიც და მასწავლებლის ხელფასის ასანაზღაურებლად თითოეულ კომლს 50 კაპ. შეაწერეს. ყველგან ხალისიანად დაიწყო სკოლების მშენებლობა, მაგრამ ამ გეგმებით აშენებული სასკოლო შენობები სრულიად არ შეესაბამებოდნენ გუბერნატორის წერილობით მითითებას, რადგან გეგმა სპეციალისტებმა კი არ შეადგინეს, არამედ ისეთმა ხალხმა, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ სკოლის შენობაზე.

ბოლოს საჭირო გახდა სკოლებისათვის მასწავლებლების მოძებნა. საქმე ღრმად და ამომწურავად განიხილეს და სახალხო სკოლების ინსპექტორი და მაზრის უფროსი იმ დასკვნამდე მივიდნენ,

რომ საჭიროა ერთმა პირმა შეასრულოს როგორც მასწავლებლის. ასევე სოფლის კანცელარიის მწერლის მოვალეობაც, რაშიც 200-დან 380 მან. ხელფასს მიიღებს, ექნება უფასო ბინა, გათბობა და ეყოლება დარაჯი... ამ თანამდებობის მაძიებელთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა. ყოველი მხრიდან გამოჩნდა ყოველგვარი განათლების მქონე ხალხი, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებიდან უნიჭობისა და უსაქციელობის გამო გამორიცხეს. ამ ხალხს ხელგაშლილად სთავაზობდნენ სოფლის მასწავლებლისა და სოფლის მწერლის ადგილს. მაგრამ ჩქარა დარწმუნდნენ, რომ ამ ორი ადგილის შეთავსება შეუძლებელია. ხშირად მასწავლებელს მოუმზადებლობისათვის ხსნიდნენ, მაგრამ ზოგჯერ იგი კარგი მწერალი იყო და პირიქით. ადმინისტრაციასა და ინსპექტორს შორის რომ გაუგებრობა აღმოფხვრილიყო, გადაწყვიტეს მასწავლებელი მასწავლებლად დაეტოვებიათ და არავითარ შემთხვევაში არ დავშვათ სოფლის კანცელარიაში მწერლად.

ბევრმა მასწავლებელმა მწერლად დარჩენა ისურვა, მაგრამ მასწავლებლის ადგილს მაინც ბევრი პრეტენდენტი გამოუჩნდა. 1874 წელს თითქმის ყველა სასკოლო შენობა მზად იყო და მასწავლებლის ყველა ადგილი დაკავებული. სახალხო სკოლები ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა.

სასწავლებლებს გლეხთა ბავშვები მიაწყდნენ. ზოგ სკოლაში მათ უარსაც კი ეუბნებოდნენ უადგილობის გამო. სკოლების მომარაგება ხდებოდა რუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებით. სახალხო სკოლების საქმე კარგად მიდიოდა. ამ სკოლების ინსპექტორი დირექტორი გახადეს და მოადგილედ ძალზე წყნარი კაცი დაუნიშნეს. ყოველი გლეხი ხალისით გზავნიდა შვილს სკოლაში და წესიერად იხდიდა სკოლისა და მასწავლებლის შესანახ თანხას. თავისი სკოლა ყველას მოსწონდა და ბევრს მოელოდნენ მისგან. სამწუხაროდ, სამი წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. იქ, სადაც 60 მოწაფე ირიცხებოდა, ახლა მხოლოდ 5-6-ღა დარჩა. გლეხს აღარ ეხალისებოდა სკოლისა და მასწავლებლის შესანახი ფულის გადახდა. ბევრმა საზოგადოებამ სკოლის დახურვა გადაწყვიტა. მათი აზრით, სკოლას არავითარი სარგებლობა არ მოქონდა მათთვის.

ზოგიერთი სკოლა სრულიად დაცარიელდა, თუმცა მასწავლებელი ჩვეულებრივად ღებულობდა ხელფასს გლეხებისაგან. დროთა მსვლელობაში გლეხები კიდევ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ სკოლას მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა და მოითხოვეს ზოგიერთი სკოლის დახურვა. მასწავლებელთა მდგომარეობა შეირყა. ზოგიერთი მასწავლებელი იმდენად უუნარო აღმოჩნდა, რომ

მედავითნის ადგილიც კი ვერ მიიღო, ხოლო პედაგოგებად ხომ იმ-თავითვე არ ვარგოდნენ. მაგრამ მათ, ვისაც, სახალხო სკოლების სწრაფი გავრცელების დროს თავის გამოჩენა უნდოდათ, ძალაუნებურად უნდა დაეთმოთ მასწავლებლის ადგილი მისთვის, ვინც მას ითხოვდა. მასწავლებლებისათვის აუცილებელი იყო ადგილისა და ხელფასის შენარჩუნება, ხოლო ზრუნვა იმაზე, რომ სკოლები დაცარიელდა და მოწაფეები აღარ ჰყავდათ, მათ არ შეეძლოთ, რადგან ამის უნარი არ შესწევდათ. საანგარიშო მოხსენებებში მასწავლებლებს ყოველთვის შექონდათ მოსწავლეთა გრძელი სია*, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოწაფეები კურსს გადიან და წესდების თანახმად ერთი განყოფილებიდან მეორეში გადადიან. როგორც ამბობენ, სწავლა-განათლება დუღდა და გადმოდუღდა!.. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ქაღალდზე ხდებოდა, სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო...

ცხადია, მასწავლებლები ამ სამწუხარო მოვლენისა და სკოლისადმი გლეხების გულაცრუების მიზეზად, საკუთარ უვიცობას და სასწავლო მეთოდიკის უქონლობას ვერ დაასახელებდნენ. დანაშაული რომ სხვებისათვის გადაებრალებიათ, რაიმე უნდა მოეგონათ. და აი გაავრცელეს ხმები და უფროსებთან ამბავი მიქონდათ, თითქოს საიდანღაც გამოჩნდნენ ბოროტმზრახველები, რომლებიც გლეხებს შორის ცრუ ხმებს ავრცელებენო.

ეს ხალხი თითქოს გლეხებს იმით აშინებენ, რომ ეუბნებიან ყველა სკოლადამთავრებულ ბავშვს ჯარში წაიყვანენო. მაზრის უფროსმა და ინსპექტორმა ყველა ზომა იხმარეს ბოროტმზრახველთა გამოსავლინებლად, მაგრამ მთელ გუბერნიაში ასეთი კაცი არ აღმოჩნდა. რაც უფრო მტკიცედ მოითხოვდნენ გლეხები უვიცი მასწავლებლის მოხსნას და სკოლის დახურვას, მით უფრო ჯიუტად ეუბნებოდნენ უარს. საზოგადოება ზოგიერთი სკოლის უსარგებლობას ამტკიცებდა და მაგალითისათვის უთითებდნენ მოწაფეებზე, რომელთაც ორი-სამი წლის მანძილზე ვერც ერთი რუსული სიტყვა ვერ ისწავლეს და საკუთარი ენაც დაივიწყეს. მაგრამ უფროსები ამას უწყისების მეშვეობით უარყოფდნენ. ამიტომ ბევრმა საზოგადოებამ გუბერნატორს თხოვნაც კი გაუგზავნა. მასწავლებლის ხელფასს ენერგიულად აგროვებდა და აგროვებს მამასახლისი... ხოლო სოფლის მასწავლებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ საშტატო ადგილი უკავიათ, რადგან დამტკიცებულნი არიან სახალხო

---

* რასაც ამტკიცებს სახალხო სასწავლებლების დირექტორის მოადგილის მიერ 1878 წელს ჩატარებული რევიზია.

სკოლების ინსპექტორის მიერ და რადგან საზოგადოებამ ერთხელ უკვე დაადგინა სკოლის დაარსება, მას უკვე უფლება აღარა აქვს დახუროს სკოლა საკუთარი სურვილის მიხედვით და მასწავლებელს უარი უთხრას ხელფასის გადახდაზე. ამ საქმეს ამჟამად გუბერნატორი იხილავს.

მე მგონი, დირექტორის მოადგილის მიერ უკანასკნელად ჩატარებულმა რევიზიამ დირექტორიც და თვით რევიზორიც დაარწმუნა გლეხთა საჩივრების სამართლიანობაში. დარწმუნდნენ, რომ შორაპნის მაზრაში არის ცარიელი სკოლები და მასწავლებლები ტყვილად იღებენ ჯამაგირს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ სამწუხარო მოვლენის გამომწვევი მიზეზები სულ სხვაა და ამის შესახებ მკითხველებს შემდეგ მოვახსენებთ...

39. საკვირაო საუბრები

ლიტერატურული ფვრილმანები

მიმართეა სულმოკლეებისადმი. — მოულოდნელი „ზეიმი სათნოებისა“. ბატ. „ეს მე არ ვარ“-ის სტატია. — ლიტერატურული სინდისის შესახებ. — მწერლის სიფაქიზე. — ახალი ვარიაციები თემაზე: „სხვის თვალში ბეწვს ხედავს, საკუთარში — დირესაც ვერაო“. — ჰელვეციუსის შენიშვნა. — „ცხვირების მოკრის სარგებლიანობა“. — გაკვეთილი ბაშიბუზუკებს. ჩემს მიერ აღმოჩენილი საშუალება პრესაში ლიტერატურული ზნეობის დასამყარებლად. — ბერნეს მაგალითი. — სინდისის ქეჯნის გარეშე ეხდები ჯალათი. — დასკვნითი სიტყვა, რომელზე ყურადღების მიქცევა არ აწყენთ პორიკანა ლიტერატორებს.

„რცხვენოდეთ სულმოკლეებს, რამეთუ არა სწამთ სიმართლისა და სიკეთის საბოლოო გამარჯვება!“...

მინდოდა ამგვარი საზეიმო და მაღალფარდოვანი სიტყვებით დამეწყო დღევანდელი საუბარი, მაგრამ მაღალფარდოვანი და გაცვეთილი სიტყვებისადმი სიძულვილი დაბადებიდან დამყვა და ეს გარემოება საშუალებას არ მომცემს ბოლომდე შევინარჩუნო ამგვარი ტონი. ამიტომ, გონივრული მოსაზრებების თანახმად, გადავწყვიტე ვილაპარაკო უბრალოდ, გულწრფელად, ყოველგვარი ფრაზების გარეშე. ასე უფრო ჩქარა ვიტყვით იმას, რაც „ყველასთვის სასარგებლოა“.

საქმე ისაა, რომ ბედმა და სამწუხარო გარემოებამ „ტიფლისკი ვესტნიკი“ [3] იძულებული გახადა ფართოდ გაეღო ლიტერატურის კარი „ლიტერატურული ჰორიკნების“ უკანასკნელი მოჰიკანებისათვის, რომლებისაგანაც ადრე ამ გაზეთს საპატიო მანძილზე ეჭირა თავი. მოჰიკანების ვარაუდით, „ობზორთან“ [2] ბრძოლის შედეგად „ტიფლისკი ვესტნიკი“ მათი მომხრე გახდებოდა და აი, გამოძვრნენ ხვრელებიდან და ჯურღმულებიდან, სადაც აქამდე იმალებოდნენ... მათი ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა და ჩვენს პრესაში დადგა ყველაფერის სუნი, სამზარეულოსი, სამოახლო ოთახის, გარდა ლიტერატურისა. მე უბედურს კი თავს დამატყდა არალიტერატურული ქარაგმები, ჭორები, ბრალდებები და გინება. ყოველივე ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ჩემს ლიტერატურულ მოღვა-

შეობასთან, არ ეხებოდა იმ აზრებსა და შეხედულებებს, რომლებიც „ობზორის“ ფურცლებზე გამომითქვამს. მოურიდებლად მცხებდნენ ჩირქს, მკიცხავდნენ უსაბუთოდ, ფაქტების დაუსახელებლად, მყვირალა ინსინუაციებით. ჩემს მეგობრებსა და თანამშრომლებს ჟრუანტელს გვრიდა მათი ხრიკები.

— ეს რა ლიტერატურაა!—ლიტერატურა კი არა ბაზარია, პირდაპირ კალამი გვივარდება ხელიდან, — წამდაუწუმ ამბობდნენ ისინი.

— მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ, სიმართლე თავისას გაიტანს, — ვეუბნებოდი მე.

მაგრამ ისინი მაინც თავისას იმეორებდნენ:

— ეს როგორი ზნეა, როგორი დრო და რა გარემოა. ხელები გვიჩერდება!..

მეგობრებსა და თანამშრომლებს თუმცა ვამშვიდებდი, მაგრამ არ მეგონა გარემოება თუ ასე ჩქარა გაამართლებდა ჩემს უსაზღვრო — და, ღმერთმანი, არ ვიცი, რაზე დაფუძნებულ — რწმენას სიმართლისა და სიკეთის ძალებისადმი. მაგრამ ზეიმი ჩემს ქუჩაზეც დადგა. აი, რატომ დავიწყე საუბარი ამგვარი სიტყვებით:

— „რცწვენოდეთ სულმოკლეებს, რამეთუ არა სწამთ სიმართლისა და სიკეთის საბოლოო გამარჯვება!“.

წმინდა ზნეობრივი გამარჯვება კვლავ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ მომიტანა თავისი ფელეტონისტის ბატ. „ეს მე არ ვარ“-ის“ წყალობით. „ტიფლისკი ვესტნიკის“ 195-ე ნომერში დაბეჭდილია ამ ფელეტონისტის საკმაოდ საინტერესო სტატია, ლიტერატურულ-პოლემიკური ფარსი, სამოსშეცვლილი ვოდევილი. მე არ ვეკამათები „ტიფლისკი ვესტნიკს“, მაგრამ უნდა ვისარგებლო ამ სტატიის მითითებითა და მონაცემებით იმ ლიტერატურული გაკვეთილის გამო, რომელიც მან ადგილობრივ ლიტერატურას მისცა. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შევეხები მე ამ ფელეტონს.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ ბატ. „ეს მე არ ვარ“ სტატიაში ანტილიტერატურული ვერაფერი ვიპოვე. სტატიის ტონი, მისი მიზანი და მისი შინაარსი სრულ მოწონებას იმსახურებს. კამათი სწორედ ასეთ მოწინააღმდეგესთანაა სასიამოვნო და სასარგებლო, რადგან მისი საყრდენი მხოლოდ მოსაზრებები და ლოგიკაა. სამწუხაროდ, არც ამ ტონით და არც ამგვარად არ იწერებოდა ის სტატიები, რომელთაც „ტიფლისკი ვესტნიკი“ მე მიძღვნიდა...

ამგვარად, სტატიის ავტორმა, — ბატ. „ეს მე არ ვარ“, თურმე იცის, რას ჰქვია ლიტერატურული ზრდილობა, წარმოდგენა აქვს ნებადართულსა და ნებადაურთველს შორის არსებულ ზღვარზე,

ესმის სად იწყება პიროვნება და სად თავდება საზოგადო მოღვაწე. მე ეს გულწრფელად მიხარია, მაგრამ მაინც მინდა ვკითხო მას: მხოლოდ ახლა შეიგნო ყოველივე ეს, თუ მთელი 1878 წლის მანძილზე იცოდა? ამ საქმისათვის ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია.

„ობზორის“ ფურცლებზე ჩვენ დიდი ხანია ვქადაგებთ, რომ მწერლები, რომელთაც ჰგონიათ, თითქოს მკითხველებს ქათმის მახსოვრობა აქვთ, არა მარტო თავიანთ პირად ავტორიტეტს ანადგურებენ, რაც ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, არამედ ძირს უთხრიან საზოგადოების ნდობას პრესისადმი და ლიტერატურისადმი. მე ვშიშობ, რომ შეიძლება ამ ჭეშმარიტების წინაშე სტატიის ავტორი ბატ. „ეს მე არ ვარ“ ცოდავს. მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა შევახსენო მას ზოგიერთი ლიტერატურული ფაქტი, რომლებიც. ეტყობა, მან სრულიად დაივიწყა.

მართლაცდა, რის გამო დაიწყო მთელი ეს კამათი, რომელმაც ახლა ბატ. „ეს მე არ ვარ“ აღაშფოთა? როგორც ჩემს მკითხველებს ახსოვთ, „ობზორის“ 75-ე ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში მე დავაყენე სრულიად ჩვეულებრივი საკითხი იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც არსებობს ბატ. ბ. დავით ჩქოტუას პიროვნებაზე სასამართლოსათვის მიცემულ ბატ. ა. ღოღობერიძის ჩვენებასა და მის მიერვე ჩქოტუას „„ივერიის“ [63] თანარედაქტორად არჩევას შორის. საფუძვლიანი იყო თუ არა საკითხის ასე დაყენება — ეს სხვა საქმეა. ამას ახლო მომავალში ღირსების სამსჯავრო განსჯის. მაგრამ ამავე საკითხზე „ტიფლისკი ვესტნიკის“ 79-ე ნომერში დაბეჭდილია სტატია (გახსოვდეთ, პირველ პლანზე, — როგორც მოწინავე) ბატ. ქუთაისელისა, რომელიც პირდაპირ მიმართავდა ბატ. ნიკოლაძეს, თუმცა ჩემი ფელეტონი ხელმოწერილი არ ყოფილა. სტატია სავსეა განსაკუთრებული ჭუჭყიანი ინსინუაციებით, რაც უშუალოდ ჩემს პიროვნებას შეეხებოდა. სტატიაში ისეთ საგნებზეა ლაპარაკი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვთ არა მარტო აღნიშნულ საკითხთან, არამედ მთელს ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობასთან საერთოდ. სტატიაში ნახსენებია „ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები“, ბატ. ხოფერია, და ეშმაკმა იცის კიდევ რა*. ეს ხომ ყოველივე ლიტერატურული ზრდილობის, ლიტერატურული ბრძოლის ყველა პატიოსანი წესის დარღვევა იყო. მე მეგონა, „ლიტერატორები“, რომლებიც „ტიფლისკი ვესტნიკში“ თანამშრომლობდნენ და თავიანთ ლიტერატურულ სახელს პატივს სცემდნენ (როგორც ბატ. დ. ერისთავი, ბატ. „ეს მე არ ვარ“ და სხვები), წინ

* სტატია მთლიანად გადმოვბეჭდე „ობზორის“ 96-ე ნომერში.

აღუდგებოდნენ ამგვარ მოქმედებას და ხმამაღლა გამოსთქვამდნენ თავიანთ „პროტესტს“, მაგრამ ამგვარი არაფერი მომხდარა. ბატ. „ეს მე არ ვარ“ განაგრძობდა ფელეტონების წერას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს მის სტატიას იქვე გვერდს არ უმშვენებდა ანტილიტერატურული უსაქციელობის ნაყოფი...

მე პროტესტი არ გამომითქვამს იმის გამო, რომ ჩემი ანონიმი გამოამჟღავნეს, არ მიმიმართავს პრესის მეშვეობით „ტიფლისკი ვესტნიკის“ „ლიტერატორთა“ სინდისისადმი. მე ყველაზე მეტად მაინტერესებდა როგორ მოიქცეოდა ერთი ლიტერატორი, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემდი არა მარტო „ტიფლისკი ვესტნიკის“ თანამშრომლებს შორის, არამედ თანამედროვე რუსეთის ყველა მწერალთა შორისაც. სამწუხაროდ, დიდი ხანია აღარ შევხვედრივარ მის სტატიას „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე. ხოლო დანარჩენებს არ გააჩნდათ ის ლიტერატურული სიფაქიზე, რაც ადამიანს სიბინძურესთან ურთიერთობას უკრძალავს...

ჩვენი პოლემიკის მსვლელობას კიდევ უფრო მეტი სიბინძურე მოჰყვა. ვერ ვასწრებდი ერთი ჭორის მოსპობას, ერთი ცილისწამების უარყოფას და ბატ. „ქუთაისელს“ „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე კვლავ გამოჰქონდა ლიტერატურული უსაქციელობის ახალი ნიმუშები. თუ გულწრფელნი ბრძანდებით, მიმითითეთ თუნდაც ერთ ლიტერატურულ უსაქციელობაზე, რომელიც მე მთელი პოლემიკის მანძილზე ჩავიდინე. სად ან როდის შევხებივარ მე კერძო პირის პირად ცხოვრებას, ან შინაურ საქმეებს? მიმიზღავს თვალი თვალის წილ? არა, მე განვაგრძობდი ინსინუაციების უარყოფას და ვამხელდი მათ უხამსობას. მე მხოლოდ თავს ვიცავდი, რადგან მოწინააღმდეგე იმდენად ბინძურ იარაღს იყენებდა, რომ თავს ნებას არ ვაძლევდი იგივე იარაღი მეხმარა.

„ობზორის“ მკითხველები ამ პოლემიკის მოწმენი იყვნენ. ჩვენი სტატიები საიდუმლო არ არის, და გვითხრან, სად გამოვიჩინეთ ლიტერატურული უზრდელობა. და თუ არ გამოგვიჩენია, და თუ ბრძოლა ამგვარ ვითარებაში მიმდინარეობდა, სად იმალებოდა მაშინ და რას აკეთებდა ბატ. „ეს მე არ ვარ“ ლიტერატურული სინდისი, სად იმალებოდა მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე ანტილიტერატურული პოლემიკა მიმდინარეობდა.

ბოლოს მე ვეღარ გაუძელი ყოველივე ამას. ვხედავდი, რომ ასეთ ხალხთან მორიდებით მორს ვერ წახვალ და ერთი-ორჯერ მათ მიმართ მათივე იარაღი გამოვიყენე. ბატ. „ქუთაისელი“ ბატ. შავ-

·როვის· ანონიმის გამომეღავნებაში დავიჭირე და მასაც ავხადე ნიღაბი, თუმცა ამგვარი საქციელისათვის წინასწარ მოვიხადე ბოდიში და აღვნიშნე ყველა მისი უარყოფითი მხარე. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღვიძა ბატ. „ეს მე არ ვარ"-ის ლიტერატურულმა სინდისმა, მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა ეთქვა პრესაში „ახ, რა ცუდია ყოველივე ეს!".

მეტყვიან: თქვენ კი ბატ. „ქუთაისელზე" მიანიშნებდით, რომ ღამღამობით ჩუმად დადის „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქციაშიო. უცნაური ამბავია! ბატ. „ქუთაისელი" ბრალს მდებს, რომ მე ოდესღაც ფსევდონიმ „სკანდელს" ვიყენებდი. ცდილობს ლიტერატურული ფსევდონიმი იმ კაცის ფსევდონიმს გაუტოლოს, რომელიც კედლის უკან დამალულა და ნიღაბაფარებული სხვების გაშავებას ცდილობს. მე მინდა ბატ. „ქუთაისელის" მიერ დამახინჯებული ლიტერატურული უფლებების ჭეშმარიტი ცნება აღვადგინო და ვამტკიცებ: ერთია ის ლიტერატურული ფსევდონიმი, როცა ყველამ იცის ვინ იმალება მის ქვეშ, როცა მას მიმართავენ მხოლოდ თავმდაბლობის გამო, გარემოებათაგან დამოუკიდებლად, ხოლო მეორე — როცა ფსევდონიმს ნიღაბად იყენებს არამზადა, რათა კედელს ამოფარებულმა ტალახით გასვაროს სხვები. ჩემი აზრის დასასაბუთებლად მე მოვიყვანე იმ პასკვილიანტის მაგალითი, რომელიც ღამღამობით იმიტომ აკეთებდა რეისებს, რომ ამხანაგები და თანამშრომლები გაეჭუჭყიანებია. ახლა კი მე მიმითითებენ ბატ. შჩედრინზე, რომელიც ფსევდონიმებს იყენებდა. ღმერთისა მაინც გეშინოდეთ! თუ კი ბატ. შჩედრინს უფლება ქონდა ფსევდონიმები გამოეყენებინა, რატომ არ აუხსენით ეს ამბავი ბატ. „ქუთაისელს", როცა ქვეყანას მოჰფინა, რომ მე „სკანდალის" ფსევდონიმით ვწერდი. განა ცოდვას არ სჩადის „ლიტერატორი", როცა შჩედრინის ფსევდონიმს იმ ხალხის ფსევდონიმს უტოლებს, რომლებიც დღის სინათლეს სიმხდალისა და თავიანთი სიმყრალის გამო ემალებიან? ყოველივე იმის ქადაგება, რასაც თქვენ წერთ, შჩედრინის მაგალითით პასკვილიანტელთა დაფარვა, ლიტერატურის ყველაზე უბადრუკ მასკარადად გადაქცევას ნიშნავს.

რატომ მოხდა, რომ ის, რაც ბატ. „ქუთაისელის" სტატიაში „ტიფლისკი ვესტნიკის" „ლიტერატორებს" სათაკილოდ არ მიაჩნდათ. ჩემს სტატიაში ნერვიულ შოკს გგვრით? მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჰელვეციუსი დამაჯერებლად განმარტავს, ხალხი ყველაფერს პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით უყურებს. თუ რომელიმე ფაქტი ჩვენთვის სასარგებლოა — სასიამოვნოცაა.

ჩვენ მის ნაკლს ვეღარ ვამჩნევთ. ჩვენთვის, მაგალითად, სასარგებლოა, თუ მოწინააღმდეგეს ჭუჭყს ცხებენ და, ამიტომ, ვერ ვამჩნევთ ამ ოპერაციის ცალმხრივობას. მაგრამ ჩვენთვის უსიამოვნოა, როცა მეგობარს სვრიან და ვიწყებთ აღშფოთებას, ვიმსჭვალებით გულისწყრომით, გვაგონდება პრინციპების არსებობა...

ადამიანი ყველგან ადამიანია, ჰელვეციუსი კი დიდი გულთამხილავი იყო... არავის არ ახსოვს პრინციპები, რომლებიც ყველასთვის თანაბრად სავალდებულოა... ჰელვეციუსის შენიშვნა არსად არ ვლინდება ისე რელიეფურად, როგორც ომში. მაგალითად. თურქები წელებს აყრევინებდნენ ბულგარელებსა და ჰერცეგოვინელებს და ამ ოპერაციის სისაძაგლეს ვერ ამჩნევდნენ. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ თურქები ბრმები არიან დაბადებიდანვე. ველურ ზნეჩვეულებათა გამო, არ ესმოდათ და არ შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ რა საშინელებასაც სჩადიოდნენ. მართლაც, ევროპიელთა ყოველ აღშფოთებაზე ისინი პასუხობდნენ: „à la guerre comme à la guerre!“ [64] — რას იზამ, ომი მსხვერპლისა და გააფთრების გარეშე შეუძლებელია!“ მაგრამ ჩერნოგორელებმა გამარჯვება მოიპოვეს და თურქებს ცხვირები და ყურები დააჭრეს, უნდა გენახათ, რა გულისწყრომით მოითხოვეს მაშინ თურქებმა საერთაშორისო პრინციპების დაცვა. გაიხსენეს ჰუგო ჰროცის გაკვეთილები, ბლუნჩლის შეგონებანი, 1864 წ. ჟენევის კონვენციის [65] დადგენილებანი, 1875 წ. ბრიუსელის კონგრესის [66] ოქმები. ჩანს, სცოდნიათ ყველაფერი, მაგრამ კანონის დარღვევამ მხოლოდ მაშინ აღაშფოთა ისინი, როცა ეს მათ საკუთარ ტყავს შეეხო.

სწორედ ამ დღეშია ახლა ბატ. „ეს მე არ ვარ“, მაგრამ იცით რა პასუხი გასცა თურქებს ევროპულმა პრესამ?

— აჰ, თქვენ ხომ აბუჩად იგდებდით სამართლისა და ჰუმანიზმის პრინციპებს, არ სცნობდით ადამიანის პიროვნების უფლებას, დაარღვიეთ ყველა წესი, ახლა კი როცა იმავე ოპერაციებს თქვენს ტყავზე ატარებენ, აქებთ პრინციპებს, გაჰყვირით მათ წმინდა ძალაზე, დასტირით მათ დაცემას. იტირეთ რამდენიც გსურთ, ეს ხომ ნიანგის ცრემლებია, მაგრამ რაც უფრო ბევრს იტირებთ, მით უფრო მალე დარწმუნდებით, რომ ომში პრინციპები და ჩვევები რაღაც ღირს! ჩვენ, ევროპელები, სწორედ ამ გზით მივედით საერთაშორისო პრინციპების გამომუშავებამდე. ცოტა კიდევ ისწავლეთ ჭკუა. რა მოხდა, დაგაჭრან ცხვირები და ყურები. მიუხედავად სიასაძაგლისა, ამ ბარბაროსულ ოპერაციას ერთი კარგი მხარე აქვს:

იძულებულს გხდით გაიხსენოთ პრინციპები და საკუთარი პირით თქვათ ის, რასაც ხშირად, მაგრამ ამაოდ გიქადაგებდნენ.

რას ფიქრობს ბატ. „ეს მე არ ვარ", უდგება თუ არა მასაც ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა?

— მაგრამ ჩვენ მხარს არ ვუჭერდით ბატ. „ქუთაისელს", — გვეტყვის ჩვენ ბატ. „ეს მე არ ვარ" და კომპანია. ჩვენ მის სტატიებს მხოლოდ იმიტომ ვბეჭდავდით, რომ გვინდოდა ადგილი მიგვეცა...

ძალიან კარგი, მაგრამ მეც ხომ დავბეჭდე ერთხელ ბატ. პოლტორაცკის წერილი, რომელსაც შენიშვნები დავურთე. მაშინ „ტიფლისკი ვესტნიკის" „ლიტერატორებმა" შემაჩვენეს და რენეგატი მიწოდეს იმის გამო, რომ ბატ. პოლტორაცკი ამ წერილში ბოგაჩოვს შეეხო. სად იყო მაშინ თქვენი სინდისი? რას იტყოდით თქვენ, მიპასუხეთ, ფსევდო-მიუკერძოებელო ნიანგებო, ახლა რომ ლიტერატურული ზრდილობის დაკარგვას დასტირით, მე რომ „ტიფლისკი ვესტნიკით" უკმაყოფილო ყველა ბატ. ნესტეროვები და კომპანია შემეგროვებინა და თავი ისე დამეჭირა, თითქოს „ტიფლისკი ვესტნიკთან" პოლემიკა არ მსურს, ხოლო „ობზორის" ყველა განყოფილებაში შემეშვა ისინი და მებეჭდა თქვენზე ყოველგვარი უსაქციელობის ნიმუშები და პასკვილები? თუ გნებავთ ამასაც გავაკეთებ, მაგრამ მაშინ თქვენვე შემომედავებით და დამიწყებთ მტკიცებას, რომ ჩემს მხრივ ეს დიდი უხამსობაა...

ნუ თვალთმაქცობთ, მეგობრებო. მე რომ ბატ. „ქუთაისელს" დავემარცხებიე, თქვენ მას ცამდე აიყვანდით და კერპად გაიხდიდით. ასე ხდება მუდამ. მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია, თქვენ კი ტალახით გაგსვარათ და ახლა ცდილობთ გაემიჯნოთ მას. მაგრამ, როცა მთლიანად არ ემიჯნებით, ეს იმას ნიშნავს, რომ მაინც სარგებლობთ მისი პოლემიკის იმ ნაწილით, რომელსაც.არ მინდოდა შევხებოდი. მაგალითად, თქვენ იმეორებთ მის სიტყვებს, თითქოს მე უწიგნური ვარ. თუ გნებავთ, თქვენს იმავე ფელეტონში მე აღმოვაჩენ უამრავ კორექტორულ შეცდომას? მაგალითისათვის მივუთითებ თუნდაც ყველაზე. მაგრამ მე რომ გონებამახვილობის გამოჩენით და თქვენი უწიგნურობის მტკიცებით თავი დამემცირებინა და დამეწერა ბატ. „ეს მე არ ვარ" უწიგნურია, სიტყვებს „Ъ"-ით წერს, მაშინ თქვენვე ყველაზე ადრე იტყოდით რომ ამგვარი უბადრუკი საქციელი არ ეკადრება მწერალს, რომელიც ცოტათი მაინც პატივს სცემს საკუთარ თავსო. გინდათ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ შეუდგებოდით ამის მტკიცებას? თუმცა რა საჭიროა ახალი დამამტკიცებელი საბუთების მოტანა, როცა თქვენ უნდა გახსოვდეთ, თუ

რა ქარიშხალი ატყდა იმის გამო, რომ მე „ტიფლისკი ვესტნიკიდან“ ერთი ნაწყვეტი გადმოვბეჭდე და სიტყვაში „Геологическим“ შეცდომა ვერ დავინახე და გაუსწორებელი დავტოვე?

არა, ბატონებო, როგორც გვასწავლიან, — ეშმაკს მთლიანად უნდა განუდგე. უნდა განუდგე „ყველა მის საქმეს და მის ყოველგვარ მაბეზღრობას“. მაგრამ, როცა თქვენ სიტყვიერად უარყოფთ მას და ამავე დროს მისსავე სიტყვებს იმეორებთ, მაშინ მე უფლება მაქვს ვთქვა: თქვენ მას უარყოფთ იძულებით, ფიქტიურად, მხოლოდ ფორმალური მხრით.

ერთი სიტყვით, მე გამოვნახე საიმედო საშუალება იმისათვის, რომ ჩვენს პრესაში პატიოსნური ჩვევები დავამკვიდრო. მინდა ეს საშუალება გამოვიყენო და, ამიტომ, ვაფრთხილებ ყველას, რამდენიც არ უნდა მაგინოთ, რამდენიც არ უნდა იტიროთ, რა „მრისხანეც“ არ უნდა მიწოდოთ, მე მაინც მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ჩემი ახალი სისტემა გამოვიყენო. როგორც კი ჩვენში ვინმე ლიტერატურულ ზრდილობას დაარღვევს, მე მაშინვე დავანახებ მას მისსავე მაგალითზე მთელი მისი საქციელის ულამაზობას. ვიტვირთე რა ლიტერატურული ჯალათის უსიამოვნო როლი, მე მას ბოლომდე გავყვები და მის ეფექტურობას თანდათან გავაძლიერებ. ჯერ ბევრს ვითმენდი, შემდეგ რბილად გადავკარი ზოგიერთს, აწი კი სასტიკად დავარტყამ ყველას და მართლაც „მრისხანე ნიკოლაძე“ გავხდები. მხოლოდ მაშინ გაიგებთ, ბატონებო, რას ჰქვია სასტიკე. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება საფლავში სცეპურას ჩრდილი, მე კი ბერნეს ჩრდილი დამიფარავს თავის ავტორიტეტით...

— რა შუაშია აქ ბერნე, — მკითხავთ თქვენ. მოგახსენებთ, რისთვისაა საჭირო. ბერნემ კარგად იცოდა, რომ ლანძღვა-გინება ლიტერატურაში კარგი საქმე არაა, რომ აუცილებელია ლიტერატურული ზრდილობის დაცვა. მაგრამ, როცა მას მოსწყინდა უბადრუკი მოწინააღმდეგეთაგან ლანძღვა-გინება, მან დაამტკიცა, რომ გინებაც მათზე უკეთ შეუძლია. მან ჯერ საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა, შემდეგ კი მთელ გვერდზე ისეთი ლანძღვა-გინება გადმოანთხია, რომლის მსგავსი პრესას არასოდეს უნახავს. მისი მოწინააღმდეგეები მაშინვე გაჩუმდნენ.

თუ ამის გაკეთება ეპატია ისეთ პუბლიცისტს, როგორიც ბერნეა და ისეთ ლიტერატურაში, როგორიც გერმანულია, მით უფრო ეს საქციელი ეპატიება ისეთ ფელეტონისტს, როგორიც მე ვარ და ისეთ ლიტერატურაში, როგორიც კავკასიურია.

როცა მე ქვეყანას დავანახებ ფსევდო-ლიტერატურული ცოდვილებისადმი ანგარიშის გასწორების მაგალითს, მაშინ იგივე ლიტერატორები დაიწყებენ მტკიცებას, რომ ლანძღვა, გინება და პირადი ცხოვრების პრესაში გამოტანა არ შეიძლება...

რა ვქნა! ჩანს, ასეთია ჩემი ბედი! ბედი, რომელიც როგორც ქართულ, ასევე ადგილობრივ რუსულ ლიტერატურაში ყველგან თან მსდევს. ჩემი ცხოვრების მანძილზე ათასხუთასამდე სტატია მაინც მექნება დაბეჭდილი. ერთი ლიტერატურული კრიტიკა მაინც მაჩვენეთ ამ სტატიების შესახებ. დამიწერია თითქმის ყველაფერზე, დაწყებული სამხედრო დარგიდან და გათავებული ტექნიკით. ერთხელ მაინც აღდგომია ვინმე წინ ჩემს აზრებსა და იდეებს? ამხედრებულა ვინმე ჩემი მიმართულების წინააღმდეგ? სამაგიეროდ, მე შემიძლია ასობით სტატიის დასახელება, სადაც მხოლოდ ჩემს პიროვნებას, ე. ი. ჩემს პირად ცხოვრებას, ჩემს ფინანსიურ მდგომარეობას და ჩემს სამეჯნურო საქმეებს ეხებიან. განა ეს ლიტერატურაა? ახლა კი გაჩოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გულუბრყვილო, მიუკერძოებელი გამომეტყველებით მეევ მადანაშაულებენ, თითქოს კერძო და პირადი ცხოვრების ელემენტები მე შემოვიტანე ლიტერატურაში. აი, ასეთია ადამიანების სამართლიანობა. მაგრამ მე მათ ვაჩვენებ, რას ქვია ლიტერატურაში ამგვარი ელემენტების შემოტანა და მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ისინი, თუ რამდენად უცოდველი ვიყავი აქამდე.

მაშინ ეს ბატონები ძალაუნებურად გაითამაშებენ იმ გერმანელი ქალის როლს, რომელზედაც ამას წინათ ვწერდი და რომელიც გულუბრყვილობის გამო ვერ ხვდებოდა, რომ ხელის მოჭერა სრულებით არ ნიშნავს „თავაშვებულ ენებათღელვას“...

40. ემელიუშკინის სიბრძნე

1

თბილისი, 1878 წ. 6 სექტემბერი

„ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] რედაქცია, 198-ე ნომერში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საანგარიშო მოხსენებიდან გადმობეჭდილ სტატიას ასეთ შენიშვნას ურთავს:

„ბოლო დროს ჩვენს პრესაში ხშირად შეხვდებით იაფასიანი ლიბერალიზმის ჩივილს სიძვირეზე და მის გამომწვევ მიზეზებზე. შინ გამოზრდილი პუბლიცისტ-ეკონომისტები, რომლებიც საკუთარ ცხვირს იქეთ ვერაფერს ხედავენ, მხოლოდ შემსყიდველებისა და გადამყიდველების მხილებით არიან გართულნი და აეწყუდებათ ჩვენს ბაზრებზე ფასების ზრდის ჭეშმარიტი მიზეზები. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელ საანგარიშო მოხსენებაში, სხვათა შორის, ჩვენ აღმოვაჩინეთ სტატია, რომელიც ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით იხილავს, და რადგან სპეციალურ გამოცემებს ცოტა კითხულობს, ჩვენ ნება მივეცით თავს ეს სტატია ჩვენს გაზეთში გადმოგვებეჭდა“.

თანამემამულეთა განათლება, თუნდაც ეს გადმონაბეჭდი წერილებით ხდებოდეს, პუბლიცისტთა საქმეა; მაგრამ სასურველია ისიც, რომ ამ ფუნქციის შესრულების დროს არ იბნეოდნენ და სხვებსაც გზიდან არ აცდენდნენ. შენიშვნა საყვედურებით მიმართავს შინგამოზრდილ პუბლიცისტ-ეკონომისტებს, რომლებიც საკუთარი ცხვირის იქეთ ვერაფერს ხედავენ, და სანიმუშოდ ასახელებენ ბატ. ღამბაროვის სახლს გარეთ გაზრდილ ავტორიტეტს, რის გამოც ამ სწავლული პოლიტ-ეკონომისტი პუბლიცისტის სტატია იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და უნდა დაგვანახოს ჭეშმარიტება, გაგვინათოს უმეცრებით შექმნილი სიბნელე. ამ აზრებით შევუდექით ჩვენ ბატ. ღამბაროვის სტატიის კითხვას. ბატ. ღამბაროვი სრულიად მართალია, როცა ამბობს:

„სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჩვენში არ მოიპოვება მცოდნე ხალხი იმ დარგისა, რასაც შეიძლება სავაჭრო-სამრეწველო სტატისტიკა ეწოდოს, ჩვენს შენიშვნებს ვერ ექნება ის დეტალურობა, რომელიც ვისურვებდი ჰქონოდა მას“.

ამგვარად, თვით სწავლული ავტორი აღიარებს, რომ მას არ გაჩნია ის მასალა, რაც აუცილებელია სწორი დასკვნების გამოსატანად და ამიტომ არც უნდა ველოდოთ მისგან ამგვარ დასკვნებს, მით უმეტეს მაშინ, როცა „კვლევის ერთადერთ გზად რჩება კერძო პირთა გამოკითხვა და პირადი დაკვირვებები“, გზა, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია დააბნიოს ადამიანი, რადგან დაკითხულ პირთა ცნობების დამტკიცება შეუძლებელია. ამ საქმის გასარკვევად რჩება „კორესპონდენციები, რომლებიც იხილავენ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. ამგვარ საინტერესო კორესპონდენციებს უკვე მიაქცია ყურადღება რუსეთის პრესამ, — ამბობს ავტორი. ჩვენ რომ ჩვენს საანგარიშო მოხსენებებში კორესპონდენციების განყოფილების გაფართოება შეგვეძლოს, მაშინ ჩვენ დაგვიგროვდებოდა საკმაოდ უხვი მონაცემები, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისათვის მდიდარ მასალას ამოვკრეფდით“.

ყოველივე ეს. როგორც ჩანს, მომავლის საქმეა; მაგრამ ამის აღიარებით ბატ. ღამბაროვი თავის თავს აცლის უკანასკნელ საყრდენს, რომელზეც შეიძლებოდა დამყარებულიყო სწორი მეცნიერული დასკვნა. ასე რომ, დასმულ კითხვებზე ბატ. ღამბაროვის შრომაში პასუხს ვერ იპოვით. რადგან, თუ ნახევარ სტატიას მოანდომებთ იმის განმეორებას, რასაც ათი სხვადასხვა ადგილიდან ათი სხვადასხვა კორესპონდენტი წერს, ხოლო სხვა ათასი ადგილიდან არავითარი ცნობა არ მოგეპოვებათ, საერთო დასკვნა უკიდურესად საეჭვოდ იქნება.

ამის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი ტირადა წარმოადგენს ავტორისეული განზოგადოების ბუნებრივ გამოხატულებას:

„ფასების მერყეობის მიზეზის კვლევა, განხილული პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ზოგიერთი ელემენტი, რომელიც ფასებზე მოქმედებს, უფრო სრულად გამოიხატა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. ამგვარი ელემენტები ჩვეულებრივ დროსაც მოქმედებენ, მაგრამ ნაკლებ ინტენსიურად და, ამიტომ, სხვა ელემენტთა გავლენა ნაკლებად ჩანს“.

მშვენივრადაა დაწერილი: ელემენტები, ინტენსიურობა... თითქმის ყველაფერია. მაგრამ მეორე ფრაზა პირველის განმეორებაა, ოღონდ სხვა სიტყვებით. რა საჭიროა ასე გრძლად ლაპარაკი ფასების მერყეობის კვლევაზე, როცა ასეთი კვლევა არ არსებობს და მონაცემების უქონლობის გამო არც იარსებებს?

მაგრამ ბატ. ღამბაროვის, როგორც სწავლულის სტატია, როგორც ჩანს, არ დაიწერებოდა უბრალო სიტყვებით, ამისთვის სა-

ჭირო იყო ამაღლებული ფილოსოფიურ-მისტიკური ენა... მაგალითად, ბატ. ღამბაროვი აცხადებს, რომ ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალინის მაზრებში, მიუხედავად უხვი მოსავლისა, ფასები ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო ალექსანდრეპოლში დასაწყისიდანვე თითქის გაორკეცდა.

რატომ?

„ამგვარი მოვლენის ახსნა, — გვეუბნება ბატ. ღამბაროვი, — უნდა ვეძიოთ მოთხოვნილების ზრდის ინტენსიურობაში, რადგან მას სწორედ ეს ზრდა აპირობებს“.

ამგვარი ახსნა, გადათარგმნილი უბრალო ენაზე, ნიშნავს: სხვადასხვა შედეგებს სხვადასხვა მიზეზები იწვევენ. მაგრამ ეს აქსიომაა და არა რაიმეს ახსნა, იტყვის ყველა: ეს იმ ფაქტის უბრალო განმეორებაა, რომ ფასები სხვადასხვაგვარად გაიზარდა. თუ ახლოდან შევხედავთ, მართლაც ასეა, მაგრამ თუ შორს გავიხედავთ, სადაც ყველაფერი ბურუსშია გახვეული, მაშინ მივხვდებით, რომ სწორედ ეს ხვეული ფრაზა ხსნის იმას, თუ რატომ გაიზარდა ერევანში ფასები ხუთჯერ, ხოლო ალექსანდროპოლში ორჯერ.

თუმცა არ მსურს აზრით შორეულ ბურუსში ცურვა, როცა საქმე ეხება უბრალო ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც ციფრებით გადაწყდება და არა მეტაფიზიკით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ დიდ სიამოვნებას მივიღებთ, თუ ბატ. ღამბაროვის სტატიიდან მოვიტანთ ენამზეობის კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც ცუდი არაფერია:

„თუ გადაზიდვის ღირებულების ზრდის გამო ზოგიერთი ბაზარი დაიხურება, მაშინ შეიძლება გადაზიდვის ფასი 20 კაპიკით გაიზარდოს, საქონლის ფასი კი 40-ით. ფასების ამგვარი ზრდის დროს ჩვეულებრივ შეიმჩნევა, რომ სადაც პროდუქტებს აწარმოებენ, იქ მისი ფასი არ იზრდება, პირიქით, კლებულობს. და ეს ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან როცა გადაზიდვა გაძნელებულია, ადგილზე საქონლის გამოტანა იზრდება, მოთხოვნილება კი კლებულობს“.

ჩვენ ჩავუფიქრდით ამ ხვეულ, ბუნდოვან ფრაზას! პირველ ნაწილში გამოთქმულია აზრი, რომ ზოგიერთი ბაზრის დახურვის შემთხვევაში პროდუქტების ფასების ზრდა შეიძლება არ შეესაბამებოდეს გადაზიდვის ღირებულების ზრდას. ეს გასაგებიცაა, რადგან თუ პროდუქტების შემოზიდვა აღარ ხდება, მცირდება მათი რაოდენობაც ბაზარზე, აშკარაა, იწევს ფასიც, რაც, უმთავრესად, დამოკიდებულია პროდუქტების რაოდენობასა და მოთხოვნილებაზე. მეორე და მესამე ნაწილი კი, მიუხედავად ღრმა აზრისა, გამოხატავს უბრალო აქსიომას: დახურულ ბაზრებზე პროდუქტების

ფასი არა თუ არ მატულობს, არამედ იმის გამო რომ ბევრი გამო-აქვთ, ხოლო მოთხოვნილება ცოტაა, კლებულობს კიდეც.

მაგრამ მოვეშვათ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელზედაც ბატ. ლამბაროვს ბევრი უფიქრია, მაგრამ ნაკლებად შეუსწავლია, რადგან არ შეუძლია საკუთარი აზრის ნათლად გამოთქმაც. ახლა შეეხოთ ბატ. ლამბაროვის ფინანსიურ სიბრძნეს და როგორც ფრანგები ამ-ბობენ, est impayable.

„იმ მიზეზებთან ერთად, რომელთა მოქმედება შეიძლება მხოლოდ ომს დაბრალდეს, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გავლენა, რაც ქაღალდის ფულის უხვად მოჭრამ გამოიწვია. 1877 წლის დასაწყისიდან, ბრუნვაში მყოფი ფულის რაოდენობა თით-ქმის 300 მილიონი მანეთით გაიზარდა. ამან, ცხადია, დასწია სათა-მასუქო კურსი და ოქროს ფასი გაზარდა. თუ ნახევარიმპერიალი 1876 წელს 6 მან. ღირდა, ხოლო 1877 წლის დასაწყისში — 7 მა-ნეთამდე, შემდეგ იგი თანდათან გაიზარდა და ბოლოს 8 მან. და 60 კაპიკს მიაღწია.

ლაჟის ამგვარ ზრდას, ცხადია, ოქროთი შეფასებული საკრედი-ტო მანეთის დაცემა უნდა გამოეწვია (რა სწორი აზრია! რა ღრმა-ცოდნაა!).

ამგვარი მდგომარეობა საკრედიტო მანეთის ფასისა, რომლი-თაც ყოველგვარი საქონელი ფასდება და რომელიც ყველა სხვა ფასეულობის საზომია, ვერ გადაურჩებოდა საქონლის ფასის ზრდის ზეგავლენას. თუმცა ბევრს ეს ზეგავლენა სადავოდ მიაჩნია, ბოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ოქროს ფასი აქ არაფერ შუ-აშია, რომ საკრედიტო მანეთს დამოუკიდებელი ღირებულება აქვს. ლაჟის ზრდასთან ერთად რომ ჩვენი ქაღალდის ვალუტის გაუფასურება ხდებოდეს, მაშინ ყველა საქონელი ერთ და იმავე დროს ერთნაირად გაძვირდებოდა, რაც სინამდვილეში არ ხდება“.

აჰ, ბატ. ლამბაროვო, განა ღირს დიდი ხნის წინათ უარყოფილი იდეების კვლავ უარყოფა, თუმცა პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი ბანკების პრაქტიკაში, ამგვარ იდეებს ღრმა ფესვები აქვს გად-გმული!? არავითარი აზრი არა აქვს ფინანსიური საკითხების ახსნა-განმარტებას იმათთვის, ვისაც არ ესმის, ან არ უნდა გაიგოს, თუ რა განსხვავებაა ლითონის მანეთსა და საკრედიტო მანეთს შორის.

მაგრამ აი, რა გახლავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი:

„ფულის გაუფასურება არასოდეს არ ეხება ყველა საქონელს ერთდროულად, არამედ ნელ-ნელა, ჯერ ერთს, მერე მეორეს, იმისდა-

მიხედვით, თუ რა გზებით, რომელი არხებით შედის ფულის ახალი მარაგი ბრუნვაში".

დასმულ საკითხს, თუ ბ-ნ ღამბაროვისებურად გავაშუქებთ, აღმოჩნდება, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას გადაიხდი, მთავარია — რა გზით მოგიხდება ფულის გადახდა. გაუფასურება თურმე ყველგან არ იგრძნობა. კმარა, ბატ. ღამბაროვ, ნუთუ მართლაც ასეა? სად ნახეთ თქვენ დარტყმის ისეთი გადაცემა ფულის ბრუნვაში, როგორსაც ფიზიკის სწავლის პროცესში აჩვენებენ ძვლის ბურთების მაგალითზე? გაუფასურება მანეთის, რომელიც, თქვენივე სიტყვებით, სხვა ფასეულობათა საზომია, ბუნებრივად იჩენს თავს ფასეულობათა ყოველი სავაჭრო გარიგების დროს. თანდათანობა, ამ შემთხვევაში, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ხალხის უმეცრებით. უმრავლესობა ზარალს ნახულობს საკრედიტო მანეთის გაუფასურებით და ვერ შეუგნია მისი მიზეზი. როგორც მოლიერის Le bourgeois gentilhomme ვერ შეიგნო სანამ არ აუხსნეს, რომ ლაპარაკობენ პროზით. მაგრამ სწავლულ ეკონომისტს ამის ახსნა არ უნდა სჭირდებოდეს.

უკეთესი არაა ბატ. ღამბაროვის სტატიის ყველაზე უფრო დამოუკიდებელი და მეცნიერულად გამოსარჩევი ადგილებიც. მოგვყავს ერთი მათგანი:

„განხილულ პერიოდში ახლადვამოშვებული ფული, უპირველეს ყოვლისა, მოიჯარადრეების და ფურაჟით, ტანსაცმლით, პროვიანტითა და იარაღით მომმარაგებელთა ჯიბეში მიდიოდა. ფულის ეს ახალი გამოშვება ისეთი საგნების მოთხოვნილებას ზრდიდა, რაც ომის წარმოებისათვის იყო აუცილებელი".

რა სიღრმე, აზრის რა სითამამე და შორსმჭვრეტელობაა! ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ საკრედიტო ბილეთების გაძლიერებული გამოშვება აძლიერებს მოთხოვნილებას იმ საგნებზე, რაც უშუალოდ ომისათვისაა საჭირო, ე. ი. საკრედიტო ბილეთების მოჭრა ომის დროს არმიის მომარაგების აუცილებლობამ კი არ გამოიწვია, არამედ, პირიქით, საკრედიტო ბილეთების მოჭრამ გამოიწვია არმიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობა. თითქოს ომი აქ არაფერ შუაშია. ჩვენი დიპლომატები თურმე ვერ მიხვდნენ რაშია საქმე. ემსახურებოდნენ საგარეო პოლიტიკას, თხზავდნენ სხვადასხვა ხელშეკრულებებს ევროპის ქვეყნებთან დასადებად, რომ წინ აღსდგომოდნენ თურქეთთან ომს და, თურმე, ყოველივე ეს არ ყოფილა საჭირო. საკმარისი იყო საკრედიტო ბილეთები არ მოეჭრათ, არ გადაეცათ ეს ბილეთები მოიჯარადრეებისათვის, სა-

ჭირო არ იქნებოდა არც ფურაჟი, არც პროვიანტი, არც ტანსაცმელი და არც იარაღი. და ყოველივე ამას ჩვენ გვთავაზობენ. როგორც მეცნიერულ დასკვნებს; სწორედ ეს სტატია გადმობეჭდეს პრესისათვის ჭკუის სასწავლებლად, საპროპაგანდოდ თავისებური მოსაზრებებისა, რომელთა უკანაც იმალება არა მარტო უცოდინარობა, არამედ თვით საღი აზრის უქონლობა.

ბატ. ღამბაროვის პოლიტიკურ-ეკონომიური, ფინანსიურ-ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური სტატიის ზერელე მიმოხილვა მისივე დასკვნით დავამთავროთ:

„საეჭვო არაა, რომ, ომის საწარმოებლად საჭირო ფონდი რომ გადასახადებისაგან და სესხებისაგან შეედგინათ, ომისათვის საჭირო საგნები მაინც გაძვირდებოდა, მაგრამ არა ამდენად, ყოველ შემთხვევაში ამავე დროს არ გაიზრდებოდა ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობა, რაც შემდეგ სულ სხვა არხებით შედის ბრუნვაში და ისეთ საგნებზე ქმნის მოთხოვნილებას, რაც ომისათვის საჭირო აღარაა“.

საკრედიტო ბილეთები რომ არ გამოეშვათ, ასკვნის ბატ. ღამბაროვი, ბრუნვაშიც არ აღმოჩნდებოდაო. და ამბობს, თითქოს

Немец так глубокомыслен,
Что провалишься в него!

ვინაა გერმანელი, ჩვენ ფინანსისტთან, ბატ. ღამბაროვთან შედარებით? ნამცეცი, ნამცეცზე პატარა! ვინც უნდა განიხილოს მიმოქცევის სხვა არხები, რომელთა მეშვეობითაც ქაღალდის ფულის ნიშნები წარმოშობენ მოთხოვნილებას ომისათვის უცხო საგნებზე იმ დროს, როცა თვით ომი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანთა უბედურებამ, თურქეთის გახრწნამ და ინგლისის მეშურნეობამ კი არ განაპირობა, არამედ საკრედიტო ბილეთების გამოშვებამ და მოიჯარადრის ჯიბეში გადასვლამ.

ბატ. ღამბაროვის სტატიის მეორე ნაწილზე შემდეგ ვილაპარაკებთ. ჯერჯერობით კმარა გაცნობა იმ სიბრძნისა, რითაც პირველი ნაწილია სავსე.

2

თბილისი. 1878 წ. 7 სექტემბერი

მოაზროვნეებთან, რომელთაც ფონდის უკმარობის გამო, აზრის გამოსათქმელად მთელი ძალღონის დაძაბვა უხდებათ, ორი უმთავრესი ნაკლი შეიმჩნევა. პირველი იმაში მდგომარეობს,

რომ, ფაქტების განსაზოგადებლად საჭირო სხვადასხვაგვარი ნიშნების შეგროვებისას, მათ ავიწყდებათ თვითონ ფაქტები და თვითნებურ დასკვნებს აკეთებენ „La forêt leur empêche de voir les arbres“[67] — როგორც ერთ ფრანგ მწერალს უთქვამს. მეორე კი, ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დატყვევებული აზრის გაღიზიანებაა“, რომელიც შეიძლება გამართული ფრაზით იყოს გამოხატული, მაგრამ ეს ფრაზა ვერ გადმოგვცემს აზრს ნათლად და სრულად, როგორც ეს ემართებათ იმ ადამიანებს, რომელთაც აზროვნებისათვის საკმარისი ფონდი გააჩნიათ. ძალდატანებითი აზროვნების დროს ერუდიცია კარგავს დამხმარე ძალის როლს და დაბრკოლებად ხდება. ამგვარ მოაზროვნეებს უჭირთ საკუთარი შეხედულებების მოხაზვა და მუდამ იქითკენ იხედებიან, რაც სასკოლო რვეულებში ამოუკითხავთ და, თუ საკუთარი გონებით მეცნიერების რომელიმე საკითხის გარკვევას შეეცდებიან, ხალხური გამოთქმისა არ იყოს, „სადღეგრძელოთი იწყებენ და შესანდობრით ამთავრებენ“.

ეს თვისებები განსაკუთრებით მკვეთრად ახასიათებს ბატ. ღამბაროვის სტატიის მეორე ნაწილს, სადაც გაურბის რა იაფფასიან ლიბერალიზმს, ე. ი. გაურბის ბრალდებას თბილისის ვაჭართა წრის მიმართ ვაჭრობის ბოროტად გამოყენების საქმეში, იგი დგება პატრიოტულ-კონსერვატორულ თვალსაზრისზე და ამ გზით ცდილობს ბუნებრივი მიზეზებით ახსნას ჩვენი ვაჭრების არაბუნებრივი ოინები. დაწყნარდეთ იმის რწმენით, რომ სიძვირე ღვთის ნებაა და მას უნდა დავემორჩილოთ, სრულებით არ ნიშნავს იყო კონსერვატორი, ღრმა მოაზროვნე ეკონომისტი და რელიგიური ფანატიკოსი. ჩვენი ქრისტიანული რელიგიის დოგმატების თანახმად, ადამიანი იმისათვისაა დაჯილდოებული ნებისყოფით, რომ ბოროტებას ებრძოლოს, საერთო სიკეთისათვის იზრუნოს და საკუთარი ზნეობრივი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ექსპლოატატორთადმი მხარდაჭერა შესაძლებელია მხოლოდ იმ ინტერესთადმი სოლიდარობის შემთხვევაში, რომლებიც იძულებულს გხდიან მცდარი ეკონომიური შეხედულებები გაავრცელოთ... მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ბატ. ღამბაროვის გატაცების მიზეზი არც ერთი იყო, არც მეორე და არც მესამე. მას უბრალოდ ცოდნით თავის გამოჩენა უნდოდა და ბრწყინვალედაც შეძლო!

„სამწუხაროდ, — ამბობს იგი, — სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა ჩვენში მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს და სწორედ მისი ამ უსუსურობის შედეგია ის უცნაური პროექტები, რომელთაც ჩვენი პრესა შარშან და წელს საქონლის გაიაფების მიზნით გვთავაზობს.

პროექტის შემდგენლები ძირითადად შემსყიდველებს ადანაშაულებენ და ყველა ისარი შემსყიდველების წინააღმდეგაა მიმართული... მაპატიონ, მაგრამ ამ საკითხში მე მათ არ ვეთანხმები.

—„ამ ბოლო დროის სიძვირეს საერთო არაფერი აქვს შემსყიდველების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან. სიძვირე მხოლოდ ომმა გამოიწვია. მე ვამტკიცებ: შემსყიდველები რომ არა, პროდუქტები, ქალაქში კიდევ უფრო ძვირი იქნებოდა, შემსყიდველები ხელს უწყობენ პროდუქტების გაიაფებას. ომის დროსაც ისინი იმასვე აკეთებდნენ, რასაც ყოველთვის: პროდუქტებს მაშინ ყიდულობდნენ, როცა იაფი იყო და ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა. წლების მანძილზე, როცა მოხმარება ნაკლები იყო, ზრდიდნენ მოთხოვნილებას, მნიშვნელოვნად ზრდიდნენ პროდუქტების ფასს და ამით სარგებლობა მოჰქონდათ მწარმოებელთათვის.

„შესყიდული პროდუქტი შემსყიდველს მანამდე არ გამოაქვს ბაზარზე, სანამ არ გაძვირდება.

„ხოლო, როცა სიძვირე ჩამოვარდება პროდუქტი ბაზარზე გამოაქვს და მათი მიწოდების გაზრდით ხელს უწყობს მათ გაიაფებას. ისინი მწარმოებლებს უწევენ სამსახურს, მათ კი — მყიდველები, თუმცა ორივე შემთხვევაში თვითონვე მდიდრდებიან“.

დაუპირისპირეთ ერთმანეთს აზრები, რომლებიც ნათლადაა გამოთქმული მოყვანილ ნაწყვეტებში:

ა) ამ ბოლო დროს ჩამოვარდნილ სიძვირეს არავითარი კავშირი არა აქვს შემსყიდველების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან. სიძვირე ომმა გამოიწვია და, ამიტომ, საქონლის გაძვირება მხოლოდ ომის ბრალია.

ბ) მთელი ამ ხნის განმავლობაში შემსყიდველები იმასვე აკეთებენ, რასაც ყოველთვის: პროდუქტებს მხოლოდ მაშინ ყიდულობდნენ, როცა იაფი იყო და ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა, რითაც ზრდიდნენ პროდუქტების ფასს და ამით მნიშვნელოვანი სარგებლობა მოქონდათ მწარმოებელთათვის, ე. ი. ომს არაფერი შეუცვლია. როგორც ამას თვით ბატ. ღამბაროვი გვიმოწმებს, შემსყიდველები ხელოვნურად ქმნიდნენ მოთხოვნილებას, ზრდიდნენ ფასებს. რა ლოგიკური პროცესის მეშვეობით მიდის იგი იმ დასკვნამდე, რომ თუ არა შემსყიდველები, პროდუქტები კიდევ უფრო ძვირი იქნებოდა, რომ ისინი ხელს უწყობენ მათ გაიაფებას. აი, რას ნიშნავს თავში ხელოვნურად შეჭრილი აზრების გაღიზია-

ნება: აზრი ავტორს არ ემორჩილება და ისეთ ფორმას იღებს, რომელიც მისსავე დებულებას უარყოფს.

ქვევით კიდევ უარესია:

შემსყიდველი შესყიდულ პროდუქტს მანამდე ინახავს, სანამ არ გაძვირდება. ხოლო როცა გაძვირდება, შენახული პროდუქტი ბაზარზე გამოაქვს და დამატებითი პროდუქტების შემოზიდვით ხელს უწყობს ფასების შემცირებას.

ვისაც პოლიტიკური ეკონომია უსწავლია, კარგად იცის, რომ ეს ორი დებულება ყველა სასკოლო რვეულშია ჩაწერილი, მაგრამ სხვადასხვა გვერდზე და სულ სხვადასხვაგვარ პირობებთან დაკავშირებით. ჩვენმა სწავლულმა ეკონომისტმა კი ისინი უშუალოდ შეაერთა, რაც ხშირად მოსდით იმ მოწაფეებს, რომელთაც ტრიგონომეტრიული ფორმულის ამოწერა სურთ, მაგრამ ნიშნების აზრი არ ესმით...

პროდუქტების ბითუმად შესყიდვა და მათი ცალ-ცალკე გაყიდვა მეწარმისა და მომხმარებლის შუამავლობის ყველაზე ჩვეულებრივ ხერხს წარმოადგენს. მომხმარებელი ხალისით უხდის შუამავალს ერთგვარ პრემიას სამსახურის გაწევისათვის. წესიერად მიმდინარეობს თუ არა ვაჭრობა — განისაზღვრება ამ პრემიის რაოდენობით, რაც კანონმდებლობაში განსაზღვრული არაა და პრაქტიკულად მას მხოლოდ კონკურენცია განაპირობებს, რაზედაც სიტყვას არ ძრავს ბატ. ღამბაროვი. თუ რომ კონკურენცია არ არსებობს, ხოლო შემსყიდველი კი, დადებული შეთანხმების თანახმად. ყიდულობს პროდუქტებს და ინახავს მანამდე, სანამ არ გაძვირდება, მაშინ შემსყიდველი შუამავლობას კი არ ეწევა, არამედ მონოპოლისტი ხდება, რაც, ეკონომისტების აზრით, ბოროტებაა და კანონით იდევნება. მიზეზი გასაგებია: შემსყიდველი ბაზარზე პროდუქტების რაოდენობას ამცირებს და ხელოვნურად ზრდის ფასებს. და თუ, ბატ. ღამბაროვის თეორიის მიხედვით, შესყიდვისას ფასების აწევით იგი მწარმოებლის სასარგებლოდ მოქმედებს, თითქოსდა საწარმოო ძალთა განვითარების ხელისშეწყობით, მაშინ, მეორედ პროდუქტის ფასის აწევისას, ბაზარზე მისი რაოდენობის შემცირებით, შემსყიდველი, რა თქმა უნდა, მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იღწვის, მყიდველის კეთილდღეობის საზიანოდ. იგი გაიაფებისათვის არ ზრუნავს, რადგან პროდუქტი მის ხელშია და მხოლოდ იმდენი გამოაქვს ბაზარზე, რამდენიც ბაზრის ფასს ვერ დაწევს...

თბილისში საქონლის სიძვირის შესახებ დაწერილ სტატიებში,

რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, ჩვენ მივუთითეთ იმ ბოროტებაზე. რომელიც ვაჭრობაში არსებობს, შემსყიდველთა მუდმივი პირის შეკვრის გამო, რის შედეგადაც ნებისმიერად ადგენენ ფასებს. და იმის გამო, რომ არ არსებობს არავითარი კონკურენცია, რაც ამ ვაჭრობის რეგულირებას მოახდენდა. ამ დებულების უარყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ თბილისში კონკურენცია არსებობს, ხოლო გაფიცვა კი — არა. ვთქვათ, ჩვენი აზრი შორს არ მიდის: ჩვენ სიამოვნებით ვიტყოდით მასზე უარს შორსმჭვრეტელ ეკონომისტებს რომ მისი მცდარობა დაამტკიცებინათ. ანდა საწინააღმდეგო ფაქტები წამოეყენებინათ. მაგრამ როგორ უნდა ირწმუნო მათი უცოდველობა, როცა ამგვარ აზრებს გამოთქვამენ:

„შემსყიდველები მწარმოებლებს სამსახურს უწევენ შესყიდვის დროს, ხოლო მყიდველებს—გაყიდვის დროს, თუმცა ორივე შემთხვევაში თვითონვე მდიდრდებიან“.

ასე რომ, ბატ. ღამბაროვისათვის პლიუსი და მინუსი ერთი და იგივეა. ჯობია მისივე სიტყვებით ვთქვათ:

— შემსყიდველი, მოთხოვნილების გაზრდით ზრდის პროდუქტების ფასს მწარმოებელთა სასარგებლოდ, ე. ი. იხდის იმაზე მეტს, რაც ღირს, ანუ ხარჯავს ზედმეტ ფულს, უბრალოდ რომ ვთქვათ— ზარალობს. ახლა ვიკითხოთ, როგორ ამდიდრებს მას წაგება?

სულ სხვაა, როცა იგი ხელოვნურად ზრდის ფასებს და გაცილებით მეტს ღებულობს პროდუქტებში, ვიდრე გადაიხადა. ამ შემთხვევაში, ცხადია, დიდ ხეირს ნახულობს და მდიდრდება.

ბატ. ღამბაროვი კი გვარწმუნებს: შემსყიდველი მაშინაც მდიდრდება, როცა ყიდულობს და მაშინაც, როცა ყიდის... არა, ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი მეცნიერული აბდაუბდისაგან.

ასე ამთავრებს ბატ. ღამბაროვი შემსყიდველთა დაცვას და განსაზღვრავს იმ სარგებლიანობას, რაც მათ მწარმოებელთათვის ფასების ზრდით და მყიდველთათვის ფასების შემცირებით მოაქვთ. ეს აზრი რომ ნათლად და ლოგიკურად განვითარებულიყო, შეიძლება მკითხველს არ მოჩვენებოდა ისე უაზრო, როგორიც ბატ. ღამბაროვის კალამმა შექმნა. მაშინ არ შეიქმნებოდა სტატიის ბოლოში კონტრასტი, სადაც ბატ. ღამბაროვი თავს ესხმის შემსყიდველებს მავნებლობისათვის და იმეორებს იმასვე, რასაც ამბობდნენ „იმ უცნაურ პროექტებში“, რომელთაც შარშან და წელს გვთავაზობენ პროდუქტების გაიაფების უზრუნველსაყოფად. სტატიის დასაწყისში იგი აცხადებს, რომ სრულიად არ იზიარებს მათ აზრს,

ვინც ფასების ზრდას შემსყიდველებს აბრალებს და ამავე დროს აი, რას წერს:

„რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის უშუალო კავშირი არსებობდეს და არავითარი საკომისიო თანხის გადახდა არ იყოს საჭირო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ პირველს ხშირად უჭირს, ხოლო მეორეს ყოველთვის არა აქვს დრო გასასყიდად. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ უმეტეს შემთხვევაში შემსყიდველებს პირადი სარგებლიანობის მეტი არაფერი აინტერესებთ, მათი ფიქრები მხოლოდ იქითკენაა მიმართული, თუ როგორ მოატყუონ მყიდველიც და გამყიდველიც. ცხადია. ისიც, რომ შემსყიდველს გამოძალვა უყვარს და ხშირად ამგვარი სიყვარული ტყუილში და თაღლითობაში გადადის. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, შეიძლება კანონის გამოყენება და მათი დასჯა. თუმცა შესყიდვა და გადაყიდვა — ჯერ კიდევ არ წარმოადგენს უბედურებას. მართალია, მასში, როგორც ბევრ სხვა რამეში. მოსალოდნელია ბოროტმოქმედება, მაგრამ ყველა ზომა, რომელთაც მათ აღსაკვეთად იყენებენ, კიდევ უფრო მეტ ბოროტებას იწვევს. ამიტომ, ჯობია, ნაკლები ბოროტება ავირჩიოთ“.

ჩვენ არ ვიზიარებთ ბატ. ღამბაროვის პესიმიზმს, რომელსაც იგი მოჰყავს შემსყიდველთადმი „ზემოთმინებამდე“, თუმცა გამოძალვისადმი სიყვარული მათში ხშირად თაღლითობაში გადადის. ვაჭრებისათვის ყველგან არსებობს სადამსჯელო ღონისძიებები. მაგრამ ყველას როდი აქვს დრო და საშუალება სასამართლოში უჩივლოს მათ მითვისებული ყოველი კაპიკისათვის. ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რა მფარველობით ზომებზე ლაპარაკობს ბატ. ღამბაროვი, მაგრამ ერთი რამ ჩვენთვის ცხადია: ევროპაში ბევრი გამაფრთხილებელი ზომა არსებობს, რაც დიდად უშლის ხელს ფასების ხელოვნურად ზრდას და გამყიდველებისაგან მყიდველის ექსპლოატაციას.

ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძოლა იმ ბოროტების წინააღმდეგ, რასაც შემსყიდველების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იწვევს, უიმედო არაა და განზე გადგომა იმის შიშით, რომ უფრო ცუდ დღეში ჩავცვივდებით. მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ საფუძველს. იმ პროექტებს შორის, რომელთაც ბატ. ღამბაროვი უცნაურს არქმევს, რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, არ არსებობს არც ერთი, რომელიც შემსყიდველთა მოსპობას მოითხოვდეს, რაც ვაჭრობის შეჩერებას ნიშნავს; მათ ავტორებს სურდათ რაიმე ზღვარი დაედოთ შემსყიდველების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამო-

ყენებისათვის, რამაც აუტანელი მონოპოლია შექმნა პროდუქტებზე ერთი და იგივე ფასების დაწესებით. თვითონ ბატ. ღამბაროვი ამბობს:

„შემსყიდველები ხშირად პირს კრავენ და გაფიცვებს აწყობენ. ეს, რა თქმა უნდა, მავნებელია, მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ კონკურენციით შეიძლება და არა შესყიდვისა და გადაყიდვის აკრძალვით".

ამგვარად, იგიც იმასვე ამბობს, რასაც ჩვენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბატ. ღამბაროვი არ გვიხსნის, როგორ განვავითაროთ კონკურენცია თბილისში, არსებული გაფიცვების პირობებში, რასაც უცნაური პროექტები მოითხოვენ, და აკეთებს სწორ დასკვნას, რომ არ შეიძლება აიკრძალოს შესყიდვა და გადაყიდვა, ე. ი. ვაჭრობის წარმოება. აქ ჩვენ მას ვეთანხმებით.

თუმცა ბატ. ღამბაროვი დროზე ვერ შეჩერდა და დასკვნით ნაწილშიც ყალბი აკორდი აიღო.

„ჩვენ შემსყიდველებს კი არ უნდა ვებრძოდეთ, არამედ საკუთარ უმეცრებასა და უცოდინარობას. ჩვენ რომ კარგად ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პირობები, მათ შესწავლაზე რომ შრომა დაგვეხარჯა, მაშინ ჩვენ მშვიდად ვიდგებოდით თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე და იმდენად შევებრძოლებოდით სიძვირეს, რამდენადაც შესაძლებელია ამგვარ სტიქიურ მოვლენასთან ბრძოლა".

ავხსნით ამას მაგალითით: ჩვენ ვიცით, რომ კასპში გირვანქა ყურძენი 5 კაპ. ღირს, ხოლო თბილისში — 12 კაპ. და ჩვენ მაინც იძულებული ვართ გადავიხადოთ სხვაობა, რადგან არცერთი ვაჭარი არ გაყიდის უფრო იაფად. რას დაგეხმარება ამ ამბავში ცოდნა? უკეთესია უმეცარნი დავრჩეთ და ვფიქრობდეთ, მოუსავლიანი წელი იყო და შემსყიდველები ყურძნის გაიაფებაში დიდ სამსახურს გვიწევენ როგორც მყიდველებს, ასევე მწარმოებლებს. რას ცვლის ის ამბავი, ვიცით თუ არა ჩვენ რა ღირს ყურძენი ელისაბედპოლში. ან დერბენტში, თბილისელი ვაჭრები ხომ ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ორმაგ ფასს გვახდევინებენ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარტო ცოდნა არ კმარა: საჭიროა ცოდნის მეშვეობით ვიპოვოთ და გამოვავლინოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც ფასების შემცირებაში დაგვეხმარება, ხოლო შემდეგ მივიღოთ ზომები ფასების ხელოვნურად გაზრდის წინააღმდეგ, რაც ვაჭრების გამოძალვისადმი სიყვარულით ხდება და ტყუილსა და თაღლითობას

41. ჟუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები

თბილისი, 1878 წ. 8 სექტემბერი

ამას წინათ დაგპირდით[69] მეჩვენებინა თქვენოვის ის მიზეზები, რის გამოც ჩვენს გლეხებს სკოლაზე გული აუცრუვდათ. როგორც მოგახსენეთ, სახალხო სკოლების ადგილობრივი ხელმძღვანელები სკოლების დაცარიელებასა და მათდამი გლეხობის გულაცრუების მიზეზად ავის მზრახველ ადამიანებს ასახელებენ, რომლებიც თითქოს სკოლებზე ცუდ ხმებს ავრცელებენ. მეორე მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ გლეხებს არ ესმით სწავლის სარგებლიანობა და, ბოლოს, ისინი ღატაკნი არიან. ეს უკანასკნელი მიზეზი აშკარადაა წარმოდგენილი კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის ანგარიშშიც. ჩვენი გლეხები, რომ მდიდრები არ არიან, ეს, რა თქმა უნდა, უდავოა. მაგრამ სრულიად მცდარია აზრი, თითქოს გლეხებს აშინებთ იმ ბავშვების ჯარში წაყვანა, რომელთაც სკოლაში შეიყვანენ. მცდარია აგრეთვე აზრი, თითქოს ჩვენი გლეხები ძუნწობენ სკოლის მოწყობასა და შენახვაზე ისევე, როგორც მცდარია ის აზრი, თითქოს მათ ვერ შეუგნიათ სწავლის სარგებლიანობა და ინდიფერენტულად არიან განწყობილი სკოლისადმი.

მილიციელთა შარშანდელმა არჩევნებმა, რომელთა შორის მოხალისენი გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე „გაწვეულნი", ცხადყო, რომ ჩვენს გლეხებს სამხედრო სამსახური არც ისე აშინებთ, როგორც ზოგიერთს გონია... უფრო მეტად მათ მძიმე გადასახადების. მამასახლისთა და მოხელეების უსამართლობის ეშინიათ, რასაც ამგვარი არჩევნები ჩვეულებრივ დიდ გასაქანს აძლევს...

მოხერხებულ და კომფორტულ კაბინეტში ადვილია გლეხებზე ამგვარ ცილისწამებათა მოფიქრება. მაგრამ თუ ამ საქმეს ახლო გაეცნობით გაგიკვირდებათ კიდეც, თუ რა ხალისით აბარებენ გლეხები ბავშვებს სკოლაში. ამ საქმისათვის არაფერს არ ზოგავენ. ამის დასამტკიცებლად მარტო სკოლის შენობებიც კმარა, რაც თითოეული მაზრის გლეხობას დაუჯდა არა ნაკლებ 40.000 მანეთისა. 1876 წ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შორაპნის მაზრის

ზოგიერთ საზოგადოებას განუცხადა: თუ მიწას შეიძენთ და შენობას ააგებთ, ორკლასიან ნორმალურ სკოლას გაგიხსნითო. საზოგადოებამ მაშინვე მოაგროვა 4.000 მანეთი ვერცხლით და მშენებლობაზე მუშაობა და საშენი მასალის მიზიდვა იტვირთა. ერთი წლის შემდეგ შენობა მზად იყო. თუ ყველაფერს ფულზე გადაკიყვანთ, ეს შენობა გლეხებს 10.000 მანეთი დაუჯდათ ვერცხლით. სწავლა 8 ნოემბერს დაიწყო და 7 დღეში სკოლაში 60 ბავშვი მოვიდა, მაგრამ უადგილობის გამო ზოგიერთს აქამდე ეუბნებიან უარს მიღებაზე. ამის შემდეგ განა შეცდომა არაა სკოლისადმი გლეხების სიძუნწეზე ლაპარაკი? თუმცა ჩვენი გლეხი მართლაც ღარიბია, მაგრამ ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ ისინი არაფერს არ იშურებენ თავიანთი ბავშვების გასანათლებლად.

არის შორაპნის მაზრაში სკოლები, რომლებიც დადგენილების გარეშეა გახსნილი და ამ სკოლების მასწავლებლები ჯამაგირს იღებენ პოლიციის დახმარების გარეშე. ამ სკოლებში თითოეული ბავშვი სწავლის ქირად 10-15 მანეთს იხდის. გლეხებს ბავშვები გამოჰყავთ იმ სახალხო სკოლებიდან, სადაც სწავლა უფასოა, და სამრეველო სკოლებში აბარებენ.

თუ უსაფუძვლო აზრთა უარსაყოფად მოყვანილი ფაქტები არ კმარა, მაშინ მათ ავტორებს ჩვენ ასეთ რჩევას მივცემთ: გაჰერდნენ 25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ქუთაისის სასწავლებლის კარებთან, სადაც, თავადაზნაურთა და სასულიერო წრეების წარმომადგენლებთან ერთად, დაინახავენ ბევრ გლეხს, რომლებიც ცრემლმორეული ეეედრებიან უფროსებს მიიღონ მათი ბავშვები სასწავლებელში. მაგრამ მათ მუდამ ერთი და იგივე საბედისწერო სიტყვები ესმით: „თავისუფალი ადგილი არაა“. ამ სტრიქონების ავტორი თვითონ იყო ამგვარი ამბის მოწმე: ერთხელ რამდენიმე ბავშვმა, რომელთაც უარი უთხრეს სასწაელებელში მიღებაზე, დიღი ხნის ტირილის შემდეგ განაცხადეს რიონში დავიხრჩობთ თავს და სახლში არ დავბრუნდებითო. საკვირველია, მაგრამ მათი თხოვნა ყურად იღეს და ბავშვები გადარჩნენ. ამის შემდეგ განა ცოდვას არ სჩადიან ისინი, ვინც გლეხებს ცილს სწამებენ, თითქოს სწავლის სარგებლიანობა არ ესმით და თითქოს ეშინიათ ხმების, რომელთაც ავისმზრახველნი ავრცელებენ?

ყველაფერი, რაც ჩვენ ვთქვით, ნათლად ადასტურებს, რომ როგორც მოქალაქე, ასევე გლეხი დიდად მოწადინებული არიან განათლება მისცენ თავიანთ ბავშვებს, თითოეული სახალხო სკოლა გახსნისთანავე მოსწავლეებითაა გაჭედილი, მაგრამ რამდენიმე ხნის

შემდეგ ცარიელდება. თუმცა ეს არ ხდება იმ სკოლებში, სადაც მომზადებული მასწავლებელია... ახლა ვიკითხოთ, რაა ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი?

ჩვენის აზრით, ძირითადი და უმთავრესი მიზეზი სასწავლო პროგრამაა. პროგრამამ, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ, ჩვენი სკოლებისათვის არ ვარგა. ამ პროგრამის წყალობით ბევრი გლეხის ბავშვი ჩლუნგდება, რადგან მათ გონებას შეუფერებელ საკვებს აწვდიან... ამის გამო, სკოლა მალე სძულდებათ და მშობლებთან გარბიან. თუ კი უვარგისი საკვები ადამიანის ჯანმრთელობას არღვევს, მაშინ რაღას უნდა ველოდეთ უვარგისი გონებრივი საკვებისაგან?... საჭიროა ეს საკითხი ყურადღებით, მიუკერძოებლად და აკვიატებული იდეების გარეშე განიხილოს ყველა დირექტორმა და მასწავლებელმა.

მეორე მიზეზი მასწავლებელთა მოუმზადებლობაა.

მესამე — სახალხო სკოლების გახსნა მოუხერხებელ, მოშორებულ ადგილას.

მეოთხე კი ისაა, რომ გლეხები სწავლების ვერავითარ ნაყოფს ვერ ხედავენ და განათლების საქმე მათთვის ბნელითაა მოცული. ხშირად მასწავლებლები ცნობისმოყვარე გლეხებს მათ მოწმობებზე დარტყმულ სხვადასხვა ფერის ბეჭდებს უჩვენებენ, მაგრამ გლეხებს ამ ბეჭდისა არაფერი ესმით *.

სახალხო სკოლებს კიდევ ბევრი მიზეზი აბრკოლებს, მაგრამ ყველა მიზეზზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა. ისიც, რაც უკვე ვთქვით, სრულიად საკმარისია შემდეგი დასკვნების გამოსატანად:

1. აუცილებელია არსებული პროგრამის შეცვლა და სახალხო განათლების წარმართვა ადგილობრივი პირობების, მოთხოვნილების და, რაც მთავარია, საღი აზრის შესაბამისად.

2. თუ არ გვეყოლა მომზადებული მასწავლებლები, მარტო სკოლის შენობები ხალხს განათლებას ვერ მოუტანს.

3. ძალადობა კარგი არსად არაა, მაგრამ საგანმანათლებლო საქ-

---

* შემოწმებისას დირექტორი მასწავლებლებს ართმევს მათ მოწმობებს. რომელთაც, რევიზიის დამთავრებისას, ლუქის ბეჭდებს ასვამს. ლუქის ფერი უჩვენებს შემოწმების შედეგს. წითელი ფერი ნიშნავს — სწავლება კარგად მიდის (განსაკუთრებით რუსულად), მწვანე — სწავლება დუნედ მიდის, შავი — სწავლება ცუდად მიდის. წლის ბოლოს ამ ბეჭდების მიხედვით ხდება ანგარიშგება. რამოდენიმე დღის წინ შემთხვევით ვნახეთ სახალხო მასწავლებელთა ყველა მოწმობა და ლუქის ბეჭდების ფერებს თუ დავაკვირდებით, განათლების საქმე ჩვენთან ჭრელადაა.

ა ვ ტ ო რ ი.

მეში სრულიად არ ვარგა. გლეხების ბავშვები სკოლამ თავისი წარ-მატებით უნდა მიიზიდოს და არა მათრახითა და ბოქაულის დახმა-რებით მირეკოს სკოლაში. ნათქვამია: „ძალდატანებით მიმზიდვე-ლი ვერ გახდები“.

4. გლეხებს სრული უფლება აქვთ იჩივლონ და სკოლების და-ხურვა მოითხოვონ, რადგან წლების განმავლობაში ბევრი ფული დახარჯეს მათ მშენებლობაზე და ვერც-ერთ წერა-კითხვის მცოდნე ბავშვს ვერ ხედავენ.

5. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც სკოლების საკით-ხია, მუდამ ყოველმხრივ უნდა განიხილებოდეს და საკითხის გადაწ-ყვეტისას უნდა მოიწვიონ ის ადამიანები, რომელთაც ესმით გლე-ხების მდგომარეობა და იციან, რა სჭირდებათ მათ.

6. ყოველთვის, როცა პრესაში რაიმე ნაკლზე უთითებენ, საჭი-როა განვიხილოთ ის და სწრაფად აღმოვფხვრათ დადასტურებუ-ლი ნაკლოვანებანი.

42. რუსული ნაკეთობა უცხოური ალომგბით

თბილისი, 1878 წ. 12 სექტემბერი

სახარებაში გამოთქმული ჭეშმარიტება — ძნელია წინასწარმეტყველი იყო საკუთარ ქვეყანაში — არსად არ პოულობს ისეთ ფართო და საყოველთაო გავრცელებას და გამოყენებას, როგორც ჩვენთან, რუსეთში. რუსი ადამიანის ყოველი აზრი, ყოველი შრომა გაწეული მეცნიერული ან პატრიოტული მიზნით, უცხოეთის სანქციაზეა დამოკიდებული; მათ არა თუ ყურადღებას არ აქცევენ, არამედ ეშინიათ კიდეც წამოცდეთ, რომ ამ საქმეს ჩვენში ესა და ეს მოქალაქე, ან სწავლულთა ესა და ეს საზოგადოება ეწეოდა. ევროპაში იოლია სახელის მოხვეჭა და სწავლულ მოღვაწეთა შორის მოხვედრა. პრესა და მეცნიერების ყოველი მუშაკი თავის მოვალეობად თვლის წაახალისოს ახლად გამოჩენილი მოღვაწე, გამოაქვეყნოს მისი შრომები, მიუთითოს შეცდომებზე და ღირსებებზე. ჩვენს პრესაში და ცხოვრებაში არსებობს თავისებური პრინციპი, რომელსაც განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰქონდა ძველი დროის პოლიციის მოხელეთა საქმიანობაში თავის ცნობისმოყვარე და დაწინაურებულ თანამოქალაქეთა მიმართ, რაც გამოიხატებოდა ასეთი უბრალო კითხვით: „სად მიძვრები?". და ამას მოჰყვებოდა მკაცრი შეგონება. პრესაში და ლიტერატურაში ყველა ხელს იკვრევინება: ისიც, ვინც საქმეში ერკვევა და ისიც, ვინც ვერ ერკვევა, მაგრამ ხელს გკრავს იმ პრინციპით, რომ არ შეუძლია არ გკრას, ანდა არ იკითხოს — სად მიძვრები? მაგრამ კიდევ უფრო მავნებელია ჩვენი პრესის მიერ იმ ადამიანების სრული, შეგნებული იგნორირება, რომლებსაც საშობლოს კეთილდღეობისათვის სურთ მოღვაწეობა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა განვითარების მიზნით სხვადასხვა საკითხებს აყენებენ; განზრახ იგნორირება ყველაფრისა, რაც რუსეთში კეთდება და ქედის მოდრეკა უცხო სახელების წინაშე. ჩვენ არ გვესმის თვითდამცირების ამგვარი მოთხოვნილება, მაგრამ ასეთ მოვლენას ვთვლით არა მარტო საკუთარი თავისადმი უპატივცემულობად, არამედ მთელი იმ ხალხისა, რომელსაც ვეკუთვნით. დაუზ-

ვებელია, 85 მილიონიან ხალხში არ გაიღვიძოს იმის შეგნებამ, რომ საჭიროა ქვეყნისათვის ზრუნვა, არ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მთელ თავიანთ საუკეთესო ძალებს ქვეყნის საჭიროების შესწავლასა და მათი დასაკმაყოფილებელი საშუალებების ძიებას მოახმარენ. მაგრამ ჩვენში, განსაკუთრებით კი დედაქალაქის პრესაში, სწორედ ეს არ მოხდება. გრიბოედოვის მიერ სასაცილოდ აგდებული რწმენა, თითქოს გერმანელების გარეშე ჩვენთვის ხსნა არ არსებობს, დღემდე ურყევი დოგმატია, რომელიც ძალზე შეურაცხყოფს ჩვენი ხალხის თავმოყვარეობას და უაღრესად მცდარია.

ეს აზრი ჩვენ მხოლოდ მაშინ დაგვებადა, როცა გაზეთ „ტელეგრაფში“ [48] წავიკითხეთ სტატია, შუა აზიის რკინიგზის აშენების დიდი მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ, ამბობს ზემოთ დასახელებული გაზეთი, არც ერთი შემთხვევა არ გაგვიშვია ხელიდან, რომ მკითხველისათვის არ შეგვეხსენებინა ამ პროექტის შესახებ. მკითხველი უკვე იცნობს ლესეპსის კომპანიონის, ინჟინერ კოტარის მიერ შუა აზიის რკინიგზის საკითხისადმი მიძღვნილ პარიზის კონგრესზე წაკითხულ მოხსენებას. კოტარმა გზის ორ მიმართულებაზე მიუთითა: ერთი ინგლისური,— ევფრატის ველისა და სპარსეთის გავლით, მეორე ლესეპსისა, — ორენბურგიდან პეშავერამდე.

„ტელეგრაფს“, რომ მართლაც არ გაეშვა ხელიდან შემთხვევა და ყოველთვის შეეხსენებინა მკითხველისათვის ამ გზის შესახებ, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ისიც განემარტა, რომ კოტარისა და ლესეპსის პროექტები არაა პირველი ორიგინალური ნაშრომი. სახელგანთქმული მეწარმის ლესეპსის სახელი მიაწერეს იმ ნაშრომს, რომელიც საფუძვლიანად დაამუშავა ჩვენმა, ამიერკავკასიის ტექნიკური საზოგადოების განყოფილებამ, განსაკუთრებით კი პეტერბურგის ვაჭრობისა და მრეწველობის ხელშემწყობმა საზოგადოებამ, რომელმაც ცალკე კომისია გამოყო და კომისიამ ამ საკითხის კვლევას მთელი წელი მოანდომა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ შუა აზიის ისეთი მცოდნეები, როგორებიცაა: ვენიუკოვი, მაევი. ბუშინი, პროცენკო, კაულბარსი, პავლინოვი, ბეზნოსიკოვი და სხვები, სულ 39 კაცი, რომელთაგან თითოეული ძირფესვიანად და პრაქტიკულად იცნობდა ქვეყნის იმ ნაწილს, რომელზედაც რკინიგზა უნდა გაყვანილიყო. ჩვენმა პრესამ ამ შრომას ყურადღება არ მიაქცია და ზერელედ შეეხო მხოლოდ იმ ძიებებს, რომელიც გენერალმა ბეზნოსიკოვმა მაშინ ჩაატარა სახელმწიფო ხარჯზე, როცა კოტარს ფიქრადაც არ მოსვლია ლესეპსის მოწვევა, რათა მისი დრო-

შის ქვეშ შეეყარა თაყვანისმცემელთა ლეგიონი რუსეთში და მიეღო კონვენცია რუსულ რკინიგზათა შორის ყველაზე ეროვნული რკინიგზის მშენებლობაზე. კოტარის ერთ-ერთი წარმომადგენელი პეტერბურგში, ინჟინერი იანიცკი, სარგებლობდა რუსი ადამიანების მთელი შრომებით და ამიტომ სახელგანთქმული Central asiatique, ე. ი. კოტარის მოხსენება გეოგრაფთა პარიზის კონგრესზე რუსების გამოკვლევებიდან ნასესხებია ჩვეულებრივი კონცესიური გზით და არც ორიგინალურ აზრს შეიცავს და არც ორიგინალური ნაშრომია. მიუხედავად ამისა, „ტელეგრაფი“ მოხიბლულია ლესეპსისა და კოტარის დიდი ნაშრომით, რაც სინამდვილეში სხვისი შრომების უბადრუკი კომპილაციაა, და საქმეს ასე განმარტავს:

მომხსენებლის გამოანგარიშებით, ამ გზის მშენებლობა, თუ მას რვა წლის პროცენტსაც დაეუმატებთ, დაახლოებით ერთი მილიარდი ფრანკი დაჯდება. ასეთი დიდი თანხის გაგონებაზე, რომლის დაფარვა ძნელია და თან მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ არსებობს საზღვაო გზა ინდოეთისაკენ, სუეცის არხის გავლით, სადაც როგორც მგზავრობა, ასევე ტვირთის გადაზიდვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ლესეპსის მიერ დაპროექტებული შუა აზიის რკინიგზით. უცხოელებმა, მიუხედავად კოტარის მტკიცებისა, რომ უმრავლესობას ზღვით მგზავრობას ურჩევნია მატარებლით, მაინც უნდობლად მიიღეს შუა აზიის რკინიგზის პროექტი და მისი განხორციელება შეუძლებლად მიიჩნიეს. მათ ჩვენი ეკონომისტებიც შეუერთდნენ და, პანიკური შიშის ზეგავლენით, პროექტის მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადავიდნენ.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ გაზეთ „ტელეგრაფის“ გამოგონებებისა და ცილისწამების წინააღმდეგ. შეიძლება ჩვენს პრესაში მართლაც გაიპარა საქმეში გაუთვითცნობიერებელი კაცის ორი-სამი კორესპონდენცია, მაგრამ ჩვენი სწავლული საზოგადოება და სერიოზული ადამიანები განუწყვეტლივ ბეჭდავდნენ და ქადაგებდნენ რკინიგზის გაყვანის აუცილებლობას არა დასავლეთისა და არა აღმოსავლეთისაკენ, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჩვენი ბუნებრივი ბაზრებისაკენ აზიაში. ისეთი ეკონომისტები, რომლებიც პანიკური შიშის ზეგავლენით პროექტის მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადავიდნენ, მაშინ სრულიად არ არსებობდნენ. პანიკური შიში, რაც მარადმოსაგონარმა კოლინიონმა და რუსეთის რკინიგზების საფრანგეთის მთავარმა საზოგადოებამ გამოიწვია, რომელმაც თითქმის ათჯერ დააბრკოლა რუსეთის რკინიგზების მშენებლობა და

სახელი გაუტეხა მას საზღვარგარეთ, სრულიად ბუნებრივი და ნაცნობი საშიშროებაა. მაგრამ ამგვარი საშიშროება ეხება რუსეთის ექსპლოატაციის ფრანგულ სისტემას, რომელიც წარმოდგენილია კოტარისა და ლესეპსის სახით და არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება საქმეზე, რომლის აუცილებლობა ყირიმის ომის დროიდან მოყოლებული მრავალჯერ დაამტკიცეს და რამაც გამოხატულება ჰპოვა მოსკოველი ვაჭრების მიმართვასა და შუამდგომლობაში. მას შემდეგ რაც ნათლად გამოჩნდა, თუ რა მავნე და შეუფერებელია ფრანგული სისტემა რუსეთის მოთხოვნილებებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად, გზის მშენებლობის კონცესიის კოტარისა და ლესეპსისათვის გადაცემა, იმის გამო თითქოს ჩვენ არ გვსურდეს გზის გაყვანა, როგორც ამას „ტელეგრაფი“ ამტკიცებს, ერთი და იგივე არაა. პირიქით, გზის მშენებლობას გაცილებით მეტი წარმატება ექნება, თუ მას გაიყვანენ თვით რუსები, საკუთარი ძალებით და არა უცხო კაპიტალის მოზიდვით, ე. ი. თუ ბატ. ლესეპსს ან კოტარს, ან რომელიმე სხვა უცხოელს, რომელთა წარმომადგენლები ჩვენი პოლიაკოვები და ბლიოხები არიან, სახელმწიფო მისცემს ერთი მილიარდი ფრანკის გარანტიას, რაც მათი ხარჯთაღრიცხვისა და ჩანაფიქრის მიხედვით გზის მშენებლობას დასჭირდება. ასეთი ფინანსიური ოპერაციისათვის სულერთია ვინ იქნება, ლესეპსი თუ კოტარი, კოლინიონი თუ პოლიაკოვი, საქმის არსი ამით არ შეიცვლება. სახელმწიფოს გარანტიით მიღებული კაპიტალი, როგორც ეს დაამტკიცა ჩვენმა და სხვა სახელმწიფოების სავალალო გამოცდილებამ, მთლიანად დაიხარჯება, გზის დამთავრება კი მოგვიწევს საექსპლოატაციო ხარჯების მეშვეობით. ყოველივე ეს ცხადადაა დამტკიცებული ფაქტებით და არ იწვევს გაურკვეველ პანიკურ შიშს, რითაც „ტელეგრაფი“ რუს ეკონომისტებს აფრთხობს. „ტელეგრაფის“ სტატიის ავტორის ინდივიდუალობას რომ უცხო ავტორიტეტებისადმი მოწიწება არ ანადგურებდეს და მის აზროვნებას არ ზღუდავდეს, არ ავიწყებდეს ყოველივე იმას, რაც გარს ახვევია, მაშინ იგი ვერ გაბედავდა დაჟინებით ექადაგა კოტარისა და ლესეპსის პროექტის მიღება, რომელიც სინამდვილეში პროექტი კი არა, უბრალო კონცესიური თვალთმაქცობაა და რუსეთის კეთილდღეობის ამგვარი მოამაგენი თავის თავს აწერენ იმას, რაც მათზე ადრე რუსებმა გააკეთეს და რაც განმტკიცებულია რუსეთის მთავრობის გამოკვლევებით. რუსეთის კეთილდღეობისათვის უცხოელების ზრუნვის დაწვრილებითი ისტორია საკმაოდ საინტერესოა, და როდესმე ვუამბობთ ჩვენს მკითხველს დაწვრილებით.

43. პოლიტიკური ვითარება

თბილისი, 1878 წ. 13 სექტემბერი

დიპლომატთა აზრითა და მტკიცებით, ბერლინის ტრაქტატმა[22] არა მარტო რუსეთ-თურქეთის ომს მოუღო ბოლო, არამედ დაამშვიდა ევროპის ყველა სახელმწიფო და განამტკიცა ევროპის ყბადაღებული წონასწორობა, რასაც დიდი საფრთხე ელოდა ოტომანთა კონსტიტუციური იმპერიის დამცირების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, მშვიდობა და მისი კეთილმომქმედი შედეგები ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა მეტად უნდობლად მიიღო. დიპლომატთა მტკიცებამ ვერ დაფარა ის ფაქტი, რომ თუმცა საერთაშორისო არეოპაგიტმა გადაწყვეტილებები მიიღო, მაგრამ მასში მონაწილე ქვეყნებს, არც ერთად და არც ცალ-ცალკე, არ გამოუთქვამთ სურვილი სისრულეში მოეყვანათ ეს გადაწყვეტილებები. გულისამაჩუყებელი ურთიერთშეთანხმების ცენტრში, რასაც დიპლომატებმა და დიპლომატიამ მიაღწია, ამ საერთო კონცერტში შეიქმნა მძაფრი დისონანსი: ინგლისმა, რომელმაც საიდუმლო შეთანხმება დასდო თურქეთთან და, მცირე აზიის პროტექტორატისა და თურქეთის შემდგომი პოლიტიკური არსებობის გარანტიის სანაცვლოდ, კუნძული კვიპროსი მიიღო, შეუნიღბავად დაგვანახა, რომ საკუთარ ინტერესებს მთლიანად გამოყოფს საერთო ევროპული ინტერესებისაგან და არ ეშინია ევროპის წონასწორობის შერყევისა, რასაც იწვევს სამხრეთ-ევროპული სახელმწიფოების უპირატესობის ჩამოცილება ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, სადაც მას მხოლოდ მომცრო კუნძული მალტა ეკუთვნოდა. ლორდ ბიკონსფილდის ღონისძიებები ეგვიპტის დამოუკიდებლობის ჩასანთქავად, სუეცის არხის აქციების ყიდვისა და ეგვიპტის ფინანსების მართვაზე ინგლისის ადმინისტრაციის დაწესების საშუალებით, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ აძლევდა უფლებას ინგლისს, თავი ფარაონთა ქვეყნის მფლობელად ეღიარებინა; არ აძლევდა უფლებას თავი ჩაეთვალა ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე სახელმწიფოდ და ბერლინის კონგრესზე წამოეყენებინა ამ ზღვაზე ბატონობის პრეტენზია, დაეყენებინა თავი მთელი ხალხების ცხოვრებასა და კეთილ-

დღეობაზე მაღლა. მაგრამ ინგლისი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნავს. ამიტომ მას არც უფლება სჭირდებოდა და არც ლოგიკა. მისთვის საჭირო იყო რუსეთის განვითარების შეჩერება და, ისწრაფოდა რა ამ სანუკვარი მიზნისაკენ, ივიწყებდა ყოველგვარ ზნეობრივ ცნებასა და ისტორიის გაკვეთილს.

მაგრამ საერთაშორისო, ან კერძო ურთიერთობაში უფლების ყოველგვარი შელახვა შეიძლება იმ წუთში აკმაყოფილებდეს მოთხოვნილებას, მაგრამ ყოველთვის არ იწვევს სასარგებლო შედეგებს. გაბედულმა მოტყუებამ და შეუფერებელი ძალებით შეტევამ შეიძლება ყველა დააბნიოს, მაგრამ დროებით, მანამდე, სანამ ირგვლივ არ მიმოიხედავენ და არ დარწმუნდებიან, რომ საშიში არაფერია. ამის შემდეგ კი მომტყუებელს და შემშინებელს სამაგიეროს უხდიან, თუმცა ლორდ ბიკონსფილდის კაბინეტისათვის ასეთი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, მაგრამ, ბუნებრივი კანონის თანახმად, ეს დრო მოტყუებასთან ერთად იწყება და ჯერჯერობით წერილმან წარუმატებლობებში მეღავნდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მომავალი პოლიტიკისათვის. ინგლისის ფულით ნაყიდი პროტესტი ლაზებისა და რუსეთთან შემოერთებული სხვა პროვინციების მოსახლეობისა. მათი მზადყოფნა ამ შეერთების წინააღმდეგ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლისათვის, სინამდვილეში ევროპის საზოგადოებრივი აზრის სასაცილო მოტყუება აღმოჩნდა და ჩვენ ზნეობრივი გამარჯვება მოგვანიჭა. ფანტასტიური გამოძიება, რასაც მისტერ ფაუსეტი ეწეოდა აჯანყების ნამდვილი მიზეზების გამოძიების ნაცვლად, თითქოს რუსეთის ჯარი როდოპსის მთებში სიმხეცეს ჩადიოდა. ინგლისელთა თავდაჯერებულობის კიდევ უფრო კომიკური ფარსი აღმოჩნდა. თუ ავსტრიის აგენტმაც კი უარი განაცხადა ხელი მოეწერა ბატ. ფაუსეტის მიერ გამოგონილ ამბავზე, ხოლო რუსეთის ელჩმა თავ. ლობანოვ-როსტოვსკიმ, როგორც დედაქალაქის გაზეთები წერენ, პირდაპირ განაცხადა, რომ ბატ. ფაუსეტი ძალზე უხეიროდ ცდილობს მოისყიდოს მოწმეები რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ფულს რუსეთის ერთგულ აგენტებს ურიგებს, ცხადია, ინგლისელი დიპლომატის მოგონილი ამბავი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ფარდა ახადოს მათვე უუნარობას, ანდა გამოამეღავნოს ინგლისელთა ზედმეტი თვითდარწმუნებულობა მათდამი ევროპის ნდობაში. ვთქვათ, სხვა მოვლენებთან შედარებით, რაც ახლა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, ეს ამბავი უმნიშვნელოა, დავუშვათ, ინგლისი არაფერს არ დაკარგავს იმის გამო, რომ მისი პოლიტიკა უზნეოდ იქნება აღიარებული და მისი დიპლომატიური აგენტები ჩაითვლებიან ყველაფრის მკადრებლებად,

გაბედული ტყუილი და მტკიცე შეტევა, რაც ლორდმა ბიკონსფილდმა ბერლინის კონგრესსზე გამოამჟღავნა, ინგლისს სულ სხვა სიძნელეებს უმზადებს.

მიმნდობი ავსტრია-უნგრეთი, რომელსაც ინგლისის მონაპოვარით უნდოდა ესარგებლა, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ საქმე ინსურგენტ-ქრისტიანთა სუსტ რაზმებთან ჰქონოდა. იგი თურქეთის რეგულიარულ ჯარს შეეტაკა; მოხდა წარმოუდგენელი რამ: მუსულმანური ფანატიზმისა და ქრისტიანთა უცხო უღლისადმი სიძულვილის შეერთებამ ისეთი წინააღმდეგობა გამოიწვია, რომ შესანიშნავად გაწვრთნილი ავსტრია-უნგრეთის არმია, რომელსაც აქამდე პატივისცემით უყურებდნენ, სასტიკად დამარცხდა. მთავრობა იძულებული გახდა მოქმედებაში მოეყვანა მთელი სამხედრო ძალების ნახევარი. ახლა საქმე ეხება არა ოკუპაციას ბერლინის კონგრესის მითითებათა შესატყვისად, არამედ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხელახლა დაპყრობას, რომელსაც ისეთივე საშინელება და მსხვერპლი ახლავს როგორიც სარაევოს აღებას მოჰყვა. ევროპიელები ხედავენ მას, რაც არასოდეს არ მომხდარა ისტორიაში: სისხლი იღვრება, ადამიანებს მხეცურად კლავენ; ჯარები მარცხდებიან, გამარჯვებებს იუწყებიან და არც-ერთ დიპლომატს არ შეუძლია განსაზღვროს თურქეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის ომია, თუ ერთმანეთის ჟლეტა არის ნიშანი ორი მეგობრული სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებისა, რომლებიც ერთმანეთს კეთილდღეობას უსურვებენ? ყოველივე ეს ბერლინის სამშვიდობო ტრაქტატის მშვიდობიანი გამოყენების შედეგია, თუ ახალი ომია. რომელიც წარმოიშვა ბალკანეთის პროვინციების პოლიტიკური ცხოვრების უცოდინარობის შედეგად, რაც ამტკიცებს დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და ფანტაზიების უნაყოფობას, როცა საქმე ხალხის ისტორიული ცხოვრების ძირითად საკითხებს ეხება?

საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ბერლინის კონგრესზე ლორდ ბიკონსფილდის მიერ მოხერხებულად გაბმული ფანტაზიების ქსელში გაებნენ, თავი მეტად უხერხულად იგრძნეს, როცა საკუთარი მისიის შესახებ საანგარიშო მოხსენებები წარმოადგინეს. როგორი მეცნიერული და მაღალფარდოვანი სიტყვებითაც არ ფარავდნენ ისინი თავიანთ დამარცხებას, ფაქტია, რომ არც საფრანგეთსა და არც იტალიას საერთაშორისო შეთანხმებით არაფერი მოუგია, პირიქით, პერსპექტივაში ელოდებათ ბრძოლა ძლიერ მეტოქესთან ზღვაზე, რომელსაც თავიანთ საკუთარ სამფლობელოდ თვლიდნენ. ამ ფაქტს ყველა ხედავს და ყველასათვის

გასაგებია. ფრანგებსა და იტალიელებს, საკუთარი თავმოყვარეობის დასაცავად, უხდებათ წყალწაღებულებივით ხავსზე მოჭიდება, ამგვარ ხავსად კი მათ საბერძნეთი გამოუჩნდათ, ეს ოდესღაც სახელმოხვეჭილი ელადა, რომელიც დღეს მათზე არანაკლებად არის დაბნეული ბიზანტიური დიპლომატიის წვრილმანებით. მაგრამ იქ კვლავ იჩენს თავს ისეთი საერთაშორისო და დიპლომატიური არეულობა, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს: ვის წინააღმდეგ იბრძოლებს საფრანგეთი და იტალია? იქნებ თურქეთის წინააღმდეგ, რომელსაც სურს შეავიწროვოს ელინთა დიდი კულტურის მატარებელნი? მაგრამ თურქეთი მოკავშირეა ინგლისის, რომელმაც მისი არსებობის დაცვა იტვირთა. ხოლო ბერლინის კონგრესზე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებოდა, მაშ რისთვისღა უნდა იომონ ერთმანეთის წინააღმდეგ? იტალია რეზერვებს აგროვებს და ჩრდილოეთ იტალიაში, ავსტრიის საზღვართან, თავს უყრის მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს. ნუთუ მთელი ეს მზადება ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგაა მიმართული? ავსტრია ეომება თურქეთს, იტალია კი საბერძნეთს იცავს, ამიტომ იძულებულია საკუთარი ძალები თურქეთის წინააღმდეგ წარმართოს, როგორღა უნდა მოხდეს მათ შორის ომი? იტალია შეებრძოლება თურქეთს, ავსტრია-უნგრეთიც შეებრძოლება თურქეთს, და, ამავე დროს, როგორც ვითომ თურქეთის მოკავშირეები ერთმანეთს შეებრძოლებიან! მაგრამ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია რას მოიმოქმედებენ? ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოლებს მეგობრობის გამო და ვინ ვის წინააღმდეგ — სიძულვილის გამო? ყოველივე ეს იმდენად შეუსაბამო საკითხებია, რომ ლოგიკურ პასუხს ვერ მოუნახავ, ამავე დროს, თითოეულ ამ საკითხს იხილავენ როგორც ჩვენს, ასევე ევროპულ პრესაში და ცდილობენ პასუხი მოუნახონ... მაგრამ რისთვის? განა ყველაფერი არ გადაწყდა დიპლომატთა სახელგანთქმულ ბერლინის კონგრესზე, სადაც ევროპის წარმომადგენელთა ურთიერთდათმობამ და განმარტებებმა, ბოლოს და ბოლოს, შეგნებულ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა ყველა გაუგებრობა, რომლითაც საერთო სიმშვიდეს ემუქრებოდა ე. წ. აღმოსავლეთის საკითხი?! და თუ ეს საკითხი კვლავ აირდაირია კონსტანტინოპოლის კონფერენციის [30] დაწყებამდე, რამდენად ნათელი და მარტივი გახდა ახლა იგი?

მთელ ამ საერთო არეულდარეულობაში, ლორდ ბიკონსფილდის წყალობით, მხოლოდ რუსეთმა მოიპოვა გარკვეული მდგომარეობა: თურქეთთან ომი დამთავრებულია; რუსეთის ჯარმა ახალ-ახალი გმირობით გაითქვა სახელი და ნელ-ნელა სახლში ბრუნდება, სადაც მას

ხალხი დამსახურებული ზეიმით ხვდება. ქვეყანა მშვიდობიან ყოფას დაუბრუნდა. პროვინციები, რომლებიც ბერლინის ტრაქტატის მიხედვით გვერგო, მშვიდობიანად დავიკავეთ, ნახევრად განვაიარაღეთ და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მოვამზადეთ. სახელმწიფო ხაზინა ისვენებს გაძლიერებული ხარჯებისაგან; სამშობლოში დაბრუნებულ ჯარისკაცებს, გადატანილი ტანჯვის შემდეგ, შეუძლიათ დაისვენონ მშვიდად, ოჯახურ გარემოში. ნებაყოფლობით მიღებულ ზავს თავისი ნაყოფი მოაქვს, მაგრამ რუსეთის ისტორიული ამოცანა მის წინაშე წინანდებურად ნათელია, როგორც ეს გამოსახულია მთავრობის ცნობაში ბერლინის ტრაქტატის გამოცხადებასთან დაკავშირებით. რუსეთი ისევ იზრუნებს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და, თუ არ შეასრულეს ბერლინის ტრაქტატის გადაწყვეტილებები, რუსები მსხვერპლს არ მოერიდებიან. მაგრამ სანამ არ გაირკვევა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა, შეგვიძლია მშვიდად შევუდგეთ სახელმწიფოს შინა ელემენტების განვითარებას და ველოდოთ. როდის გამოიწვევს გარეშე მოვლენები რუსეთის ჯარს საომრად...

44. საქალაქო არჩევნები თბილისში

თბილისი, 1878 წ. 14 სექტემბერი

ამ წლის ბოლოს უნდა დაიწყოს ქალაქის საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები. ჩვენში, 1870 წლის საქალაქო დებულების გატარების შემდეგ, ესაა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მეორე არჩევნები. ამგვარად, იმედი უნდა ვიქონიოთ და უნდა ვეცადოთ, რომ პირველი არჩევნების გაკვეთილი უშედეგო არ აღმოჩნდეს ამ პირთათვის, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს.

1874 წლის არჩევნების ძირითადი ნაკლი მისი ცალმხრივობა იყო. ქალაქს, რომელსაც უჩვეულოდ სხვადასხვაგვარი ინტერესები გააჩნია და რომლის მოსახლეობა სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგება, უნდა ჰყავდეს ყველა ამ ინტერესის, ყველა ამ ელემენტის გამომხატველი და კომპეტენტური ორგანოებისაგან შემდგარი შემადგენლობა. სინამდვილეში კი სულ სხვა რამ მოხდა. ჩვენი პირველი საბჭო თითქმის მთლიანად კაპიტალის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, ხოლო პლუტოკრატიულ საბჭოზე რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს, საკმარისია გადავხედოთ ჩვენი ქალაქის წარმომადგენლობის შემადგენლობასა და მოქმედებას...

ჩვენს დროში კაპიტალი ისეთ თვალსაჩინო და მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომ შეუძლებელია მოვითხოვოთ მისი მთლიანი განდევნა საზოგადოებრივი წარმომადგენლობიდან. ჩვენ არც კი გვიფიქრია გამოგვეთქვა ამგვარი ოცნება. ქალაქის წარმომადგენლობაში კაპიტალსაც უნდა ჰყავდეს რწმუნებით აღჭურვილი დამცველი. მაგრამ ამის გამო საზოგადოების ყველა სხვა ფენებისა და ძალების წარმომადგენელთა ჩამოცილება ნიშნავს დაუშვა უხეში შეცდომა, რაც უცილობელ გავლენას მოახდენს ქალაქის საზოგადოებრივ განვითარებაზე...

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ადამიანებს, რომელთაც წარმატებით მოაგვარეს პირადი საქმეები და საკუთარი ცხოვრება უზრუნველყვეს, მეტი უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ საზოგადო საქმეებსაც, რადგან მათ თითქოს პრაქტიკულად უკვე დაამტკიცეს

თავიანთი პრაქტიკულობა და უნარი... მაგრამ ამ თვალსაზრისის სიყალბე ყველაზე მეტად მაშინ მჟღავნდება, როცა ასეთ პირთა წარმატების მთავარ მიზეზებს გავეცნობით. მათ მხოლოდ იმიტომ მოიპოვეს „წარმატება“ და მხოლოდ იმიტომ გამდიდრდნენ, რომ მარტო საკუთარ ინტერესებს ემსახურებოდნენ და ამ ინტერესებს მსხვერპლად სწირავდნენ ყველა სხვა მისწრაფებებსა და მოსაზრებებს. ასეთმა ჩვევამ ისინი გულგრილი გახადა ყოველივე იმის მიმართ, რაც მათ პირად ინტერესებში არ შედის და არც მათ პირად სარგებლიანობას არ ეთანხმება. ეს ემართებათ უკეთესებს მათ შორის, ხოლო ამგვართა მასას ერთგვარი მტრული დამოკიდებულებაც კი გამოუმუშავდა ყოველივე „სხვისის“ მიმართ, თუნდაც ეს საერთო საქმე იყოს. ამგვარად, რაც უფრო „მოხერხებულად“ წარმართა საკუთარი საქმეები ამ კატეგორიის ამა თუ იმ წარმომადგენელმა, მით უფრო შორს დგას ყოველივე იმისაგან, რაც მის ინტერესებში არ შედის და მას არ ეხება, მით უფრო მტრულად, ან გულგრილადაა განწყობილი სხვისი ან საერთო საქმისადმი. ასეთი კაცისათვის საზოგადოებრივი საქმის ხელმძღვანელობის მინდობა ნიშნავს ჩააგდო იგი ცდუნებაში — მან ან პირადი ინტერესებისათვის უნდა გამოიყენოს ხელისუფლება, ანდა გულგრილობა გამოიჩინოს მისდამი...

წარსული ოთხი წლის პრაქტიკა ყველაზე მეტად ასაბუთებს ჩვენს აზრს. ძნელია მონახო ჩვენს იმპერიაში უფრო ცალმხრივი საბჭო, რომელიც თითქმის მთლიანად კაპიტალის წარმომადგენლებისაგან შედგებოდეს. თითქმის ასევე ძნელია უფრო ინერტული და გულგრილი საბჭოს აღმოჩენა, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე სრულიად არაფერი გაუკეთებია.

ჩვენს საბჭოს საქალაქო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა გადაეჭრა, მაგრამ არ არსებობს რამდენადმე სერიოზული საკითხი, რომელიც მან გადაჭრა. რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ გაცვეთილ საკითხებზე, როგორიც განათება და წყლით მომარაგებაა, რაც დღემდე პირველყოფილ მდგომარეობაშია. აიღეთ საქალაქო მეურნეობის ნებისმიერი საკითხი და დარწმუნდებით, რომ ჩვენში არაფერი გაუკეთებიათ მათ გადასაწყვეტად. განა სამარცხვინო არაა, ისეთ მდიდარ და სამრეწველო ქალაქს, რომელსაც შეუძლია სამ დღეში 2.008.000 მან. სესხზე მოაწეროს ხელი და რომელსაც ბანკებში შესანახად ორჯერ მეტი თანხა უდევს, ერთი საქალაქო სკოლაც არ გააჩნდეს! ამავე დროს, თბილისი კავკასიის დედაქალაქია, იმ ქვეყნის დედაქალაქი, რომლის ფართობი საფრანგეთისას არ ჩამოუვარდება და უფრო

შეიდროდაა დასახლებული, ვიდრე ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო. და ამ დედაქალაქს არა თუ სკოლები და ბიბლიოთეკები არ გააჩნია, არამედ საზოგადოებრივი მზრუნველობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობა. ქალაქის საავადმყოფო, რომელიც საზოგადოების ხარჯზე არსებობს, ისევე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, როგორც მოქალაქეების შეწირული თანხით გახსნილი სამკურნალო. მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაშია, ხოლო კეთილმოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი სიტყვით, თბილისის მოსახლეობა მოკლებულია არა მარტო სამედიცინო დახმარებას, არა მარტო საქალაქო ცხოვრების ჰიგიენურ პირობებს, არა მარტო გონებრივ საზრდოს, არამედ არ აქვს წყალი და სინათლე, საზოგადოებრივი ყოფის ეს ელემენტარული მოთხოვნილებებიც...

იმის თქმა, რომ ქალაქის საბჭომ ვერაფრით ვერ შეუმსუბუქა მოსახლეობას არაჩვეულებრივი სიძვირის მძიმე ტვირთი, ოდნავადაც კი ვერ გამოიყენა ის საშუალებები, რასაც ყოველი კეთილმოწყობილი ქალაქი იყენებს მოსახლეობის უმეტესობის ინტერესების დასაცავად — ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტების განმეორება იქნებოდა.

საკმარისია დასწრებოდით ქალაქის საბჭოს სხდომას, რომ მაშინვე დაგენახათ, თუ რა საოცრად მოუმზადებელნი არიან ჩვენი ხმოსნები. უბრალო საკითხებს, რაც სხვა ქვეყნებში დიდი ხანია გადაწყვეტილია, ჩიხში შეჰყავდა ჩვენი ყველაზე კომპეტენტური წარმომადგენლებიც კი და უწესრიგო კამათს იწვევდა, რაც, ცხადია, უშედეგოდ მთავრდებოდა. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ხმოსანთა უმეტესობა იშვიათად ესწრებოდა საბჭოს სხდომებს, და თუ ესწრებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე არაფერი ჰქონდა. ასე რომ, ქალაქის თავი, ან მისი მოადგილე, რომელთაც საბჭოს სხდომის მოწყობა ქანცს აცლიდათ, ხოლო სხდომა, ამორჩეულთა დადგენილი რაოდენობის გამოუცხადებლობის გამო, იფუშებოდა, იძულებული ხდებოდა ენერგიულად შეეხსენებია ამორჩეულებისათვის მოვალეობის გრძნობა და ზრდილობა. მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა. იმ დროს, როცა ცირკი და კლუბი ხმოსნებს ვერ იტევდა, საბჭოს დარბაზი კვლავ ცარიელი იყო...

რა თქმა უნდა, ჩვენი საბჭოც გულგრილად ეკიდებოდა ბევრ საკითხს... საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრას, ქალაქის თვითმმართველობის საჭირო სიმაღლეზე დაყენებას საკუთარი უფლებებისა და მოქმედების ფარგლების დასაცავად და გასაფართოებლად, ენერგია და უნარი სჭირდება, რაც არ ჰყოფნის ზემოხსე-

ნებული ელემენტებისაგან შემდგარ საბჭოს... სწორედ ამ კეთილი მიზნებისათვის უნდა ვიზრუნოთ და უნდა ვეცადოთ, რომ ქალაქის მომავალი საბჭოს უკეთესი და უფრო შესაფერისი შემადგენლობა ავირჩიოთ.

ჩვენს ქალაქში ცოტა როდია ცოდნის სხვადასხვა დარგისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპარეზის წარმომადგენელი ინტელიგენცია. რატომ არ შედიან ჩვენს საბჭოში მოსახლეობის იმ ფენის წარმომადგენლები, რომელთაც ყველაზე მეტად შესწევთ უნარი იზრუნონ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და კეთილმოწყობაზე. რატომ არ შედის ქალაქის საბჭოში, მაგალითად, არც ერთი პედაგოგი, რომ ქალაქის წარმომადგენლობაში წელიწადში ერთხელ მაინც გაისმას ხმა მოსახლეობის უფლებათა დასაცავად? ჩვენ ყველა სფეროს არ ჩამოვთვლით, მაგალითისათვის ეს სპეციალობაც კმარა...

ჩვენი თვითმმართველობის პირველი პური კუტი გამოვიდა. საჭიროა ვეცადოთ, რომ მეორეს მაინც არ ეწიოს ასეთი ბედი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ არჩევნებში, გარდა ვაჭრებისა, სხვა დარგის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მანამ, სანამ მასწავლებლები, მოხელეები, სახლის მეპატრონენი და ქალაქის მოსახლეობის სხვა ელემენტები განზე განუდგებიან არჩევნებს, გასაკვირიც არაა, თუ არჩეული ხმოსნები იქნებიან მხოლოდ უსაქმურნი და უვიცი „კაპიტალისტები", რომლებიც ყმად გაიხდიან მათზე დამოკიდებულ ვაჭრებს, ამომრჩეველთა უმრავლესობას...

განა საკვირველი არაა, რომ თბილისის საქალაქო წარმომადგენლობა შედგება ისეთი ადამიანებისაგან, რომელთა შესახებაც ათი წლის შემდეგ არავის არაფერი ემახსოვრება, რომელთაც ამჟამად მხოლოდ დაბახანისათვის აქვთ მნიშვნელობა და ისიც მანამდე, სანამ არ გაკოტრდებიან. ხოლო, ამავე დროს, საბჭოში ადგილი არა აქვთ ცოდნით, ტალანტითა და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ერთგულების გრძნობით გამორჩეულ ადამიანებს, რომელთა სიტყვას ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ასევე ლიტერატურისათვის? განა საოცარი არაა, რომ, მაგალითად არც თავ. კ. ა. ბებუთოვი, არც თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, არც ა. ვ. სტეპანოვი და არც ბევრი სხვა ამგვარი ადამიანები არ შედიან ქალაქის საბჭოში, როცა ამორჩეულთა შორის ბრწყინავს ისეთი არაფრის მთქმელი და უცნობი სახელები, რომელთაც არ ვასახელებთ მხოლოდ იმიტომ, რომ არარაობას წარმოადგენენ... არის შემთხვევები, ხოლო მომავალ ოთხწლედში ამგვარი შემთხვევები კიდევ უფრო მეტი იქნება, ვიდრე

წარსულ წლებში იყო, როცა საბჭოს სჭირდება ავტორიტეტი, როგორც ადგილობრივი, ასევე რუსეთის საზოგადოებისათვის... საბჭოს კი მხოლოდ მაშინ ექნება ავტორიტეტული ხმა, როცა მასში რაც შეიძლება მეტი ავტორიტეტული ადამიანები შევლენ, ადამიანები, რომელთაც გულწრფელად ეყვარებათ საერთო საქმე, და ამ საქმეს თავდაუზოგავად მოემსახურებიან და მიუკერძოებლად დაიცავენ.

45. ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ

გუშინ ტელეგრაფმა კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი მოგვიტანა იმისა, რომ ფანტაზიის სიმდიდრე პოლიტიკური მოქმედების წარმატებას ვერ უზრუნველყოფს. როგორც „Times"-მა კალკუტიდან გვაცნობა, ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკამ ახალი მარცხი განიცადა. ინგლისის მეფის ნაცვალმა ინდოეთში ავღანეთის ემირთან გაგზავნილ საელჩოს უკან დაბრუნება უბრძანა და გონივრულადაც მოიქცა, რადგან ალიმოსფილდში, ავღანთა ჯარის უფროსი იმუქრებოდა, რომ შეიარაღებული ძალით შეაჩერებდა მათ წინსვლას. ზომიერების გრძნობა და შემწყნარებლობა ემირის უმეცრებისადმი სწორედ დროზე გამოვლინდა. ინგლისის საელჩო გადარჩა, იძულებითი საბაბი ემირისათვის ომის გამოცხადებისა არ არსებობს და აწი ინდოეთის მმართველთა სიბრძნეზეა დამოკიდებული დასჯიან ემირს ომით თუ არა.

ინგლისის კაბინეტის პოლიტიკა ინდოეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე აქამდე ხელმძღვანელობდა საკუთარ სამხედრო ძლიერებაზე ხმების გავრცელებითა და მცირე ძალებით გადამწყვეტი შეტევით. ამ პოლიტიკას განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა ევროპაში ლორდი ბიკონსფილდი, თურქეთთან ომის უკანასკნელ დღეებშიც. ყველას ახსოვს ათიათასობით ვოლონტერი და რეგულარული არმია, რომელსაც, ინგლისის პრესის რწმუნებით, სწყუროდათ თურქეთის ღირსების დაცვა და მისი სახით მთელი მუსულმანობისა, მაგრამ ზავის დადების შემდეგ ინდოეთიდან გადმოყვანილი ჯარი მხოლოდ შვიდი ათასი კაცისაგან შესდგებოდა, ესე იგი, არ წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომელიც რაიმე გავლენას მოახდენდა მეტოქეთა ოპერაციებზე, რადგან მათ განკარგულებაში რამდენიმე ასიათასიანი არმია იყო. მცირერიცხოვნობა შენიღბეს ინდოეთიდან ჯარების გადმოყვანისა და მიღების მრავალრიცხოვანი მზადებით, რაც, ცხადია, უფრო იაფი დაჯდა, ვიდრე ჯარის რაოდენობის გაზრდა დაჯდებოდა. ინგლისმა მიზანს მიაღწია: ტყუილმა სასურველი შედეგი გამოიღო. გაზეთები ახმაურდნენ ინგლისის საომარ ძლიერებაზე, სადაც, მართალია, სავალდებულო გაწვევა არ არსებობს და საკუ-

თარ ტერიტორიაზე არმიების ჩამოყალიბება არ შეუძლიათ, მაგრამ ინდოეთის 240 მილიონიანი ქვეშევრდომნი ამოუწურავი მარაგია, საჭიროების შემთხვევაში არმიების გასაძლიერებლად. მაგრამ ზავის დადებამ და ინდოეთის ჯარების გადაყვანამ კვიპროსში დაგვანახა ამ არმიის ნამდვილი რიცხვი და მისი საომარი მნიშვნელობა. აწი ძნელად შეაშინებ ევროპაში ვინმეს ინდოეთის ჯარით.

ავღანეთის ე. წ. ვასალმა ტომებმა ინგლისელების წინააღმდეგ იარაღი აღმართეს. ინგლისმა ამ ტომებს ომი გაუმართა და სწრაფად გაუსწორდა. ემირი მშვიდად ელოდა რა მოხდებოდა. აფრიდიების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ინგლისელებმა ემირს ბრალი დასდეს, რომ მან ვასალების დამორჩილება ვერ შესძლო და სუბსიდიები შეუწყვიტეს, ხოლო აჯანყებულთა დასაშინებლად და თავზარდასაცემად ბოლანის გადასასელელი გადალახეს და 1000 კაცით კვეტა დაიკავეს. ინგლისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ავღანეთის ემირი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ტყავის ეშინოდა, ინგლისის მეფისნაცვალს ელჩს გაუგზავნიდა. პატიებას სთხოვდა, სუბსიდიას მიიღებდა და რეზიდენტის მიღებაზეც დათანხმდებოდა. ე. ი. ინგლისის ვასალი გახდებოდა, როგორც ეს მთელს ინდოეთში ხდებოდა და ხდება. მაგრამ ავღანეთის ემირმა, ეტყობა, საიდანღაც გაიგო, რომ თავ. ბისმარკს ძეგლი დაუდგეს შემდეგი სიტყვებისათვის: „ჩვენ მეტს აღარ წავალთ კანოსში“, და მან არ ისურვა კალკუტაში წასვლა. თურქეთთან ომმა, ამ ომში ინგლისელების მონაწილეობამ და ჩვენი ჯარების მოძრაობამ ამუ-დარიის სათავეებისაკენ ემირს დაანახა, რომ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ინგლისის თვითნებობის პარალიზება. წინააღმდეგ ინგლისელების მოლოდინისა, ემირმა არა თუ ქედი არ მოიხარა, არამედ ქედმაღლობა დაიწყო ოსტ-ინდოეთის ხელისუფლების მიმართ. ინგლისში მიხვდნენ ოსტ-ინდოეთის მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომას და ავღანეთის ემირისათვის სუბსიდიის შეწყვეტა მთელი ინგლისის პრესამ დაგმო, მაგრამ საქმის გამოსწორება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ადრე ხდებოდა, იმ დროს, როცა ინგლისი ევროპის სამხედრო ხელოვნების ერთადერთი წარმომადგენელი იყო სამხრეთ აზიაში. ინგლისის საელჩოს გამოდევნა ამტკიცებს, რომ ავღანეთის ემირს სრულიად არ ეშინია ინგლისის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვისა. ემირის მოქმედება ინგლისისათვის შეურაცხმყოფელია, რის ქვეშაც სერიოზული შედეგები იმალება, ამბობს „Times“-ი, როგორც ამას ტელეგრაფი გვაუწყებს. არ შეიძლება ამას არ დავეთანხმოთ. მაგრამ რას იღონებს ინგლისის მთავრობა? გამოუცხადებს ავღანეთს ომს? მაგრამ ბრძოლის ველი ძალზე ახლოა ჩვენს შუა-

აზიის სამფლობელოებთან, ხოლო რუსეთის ინტერესები მის ნეიტ-
რალიზაციას მოითხოვს. რუსეთს არ შეუძლია დაუშვას ავღანეთის
დამოუკიდებლობის მოსპობა, იმავე მიზეზებით რის გამოც ინგლისს
არ შეუძლია დაუშვას რუსეთი ფლობდეს შავი ზღვისა და ხმელ-
თაშუა ზღვის სრუტეებს. ამიტომ ემირისათვის ომის გამოცხადება
არ შეიძლება ისე მოუფიქრებლად, როგორც ეს მიღებულია ჰიმა-
ლაის სამხრეთ ფერდობებზე. „Times"-ის ვარაუდს, შირ-ალის
რუსეთთან კავშირის შესახებ ბევრი შესაძლებლობა გააჩნია და
ასეთ შემთხვევაში ავღანეთთან ომმა შეიძლება რუსეთთან შეტაკე-
ბა გამოიწვიოს. ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს ღრმა რწმენა,
რომ ასეთი შეტაკება რუსეთისათვის ყოველმხრივ ხელსაყ-
რელია. ჩვენთვის ეს ყველაზე იაფი ომი და ყველაზე ძლიერი სა-
შუალება იქნება იძულებული გავხადოთ ინგლისი საკუთარ საქმე-
ებს მიხედოს და ნუ ეწევა ევროპის პოლიტიკური ცხოვრების არევ-
დარევას იმ მიზნით, რომ ჩაითრიოს ყველა სახელმწიფო თუ აშკა-
რა ომში არა, შეიარაღებულ მშვიდობაში მაინც, რაც მძიმე ტვირ-
თად აწვება ყველა სახელმწიფოს ეკონომიკას, აბრკოლებს მთელი
კონტინენტის მრეწველობას და ვაჭრობას და გზას უხსნის მხო-
ლოდ მანუფაქტურულ წარმოებას. კუნძულის განათლებულმა
მცხოვრებლებმა, დიდი ხანია შეიგნეს ეს ჭეშმარიტება, რომ რაც
უფრო ცუდია პოლიტიკური მდგომარეობა კონტინენტზე, მით უფ-
რო ხელსაყრელია ეს მათთვის. ამიტომ ინგლისის ინტერესებმა,
რომლის გამოც ამ ბოლო დროს ინგლისის სამინისტრო წარმოუდგე-
ნელ საქმეებს სჩადის ევროპის კონტინენტზე, ისეთი ფართო მნიშვნე-
ლობა მოიპოვა, რომ კონტინენტის ევროპული სახელმწიფოების
პოლიტიკურ ცხოვრებაში არც ერთი უმნიშვნელო მოვლენაც კი არ
ხდება მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი შეხების გარეშე. ამიტომ
ავღანეთთან ომი, თუ იგი რუსეთსაც ჩაითრევს, მთელი ევროპისათ-
ვის ფრიად სასიკეთო მოვლენა იქნება. ომი აიძულებს ინგლისს
უარი თქვას ევროპაში ინტრიგებზე და მთელი ძალღონე და ფიქრი
ინდოეთის შენარჩუნებას მოახმაროს. ამიტომ, ინგლისელების წა-
რუმატებლობამ ომში უნდა შეარყიოს მთელი მისი ძლიერება ინ-
დოეთში. 1857 წლის აჯანყების[71] გამეორება, ინგლისელებზე შირ-
ალის გამარჯვების შემდეგ, ისეთ ვითარებაში მოხდება, რომ მისი
ჩახშობა თითქმის შეუძლებელი იქნება.

46. გერმანიის რაიხსტაგში სოციალიზმის შესახებ კამათის გამო

თბილისი, 16 სექტემბერი

ამ ბოლო დროს ევროპული პრესის დიდმა ნაწილმა მთელი ძალ-ღონე უბადაღებული სოციალური საკითხის „გამორკვევის", „შესწავლის", „გაშუქების" და „გამოკვლევისაკენ" მიმართა. გერმანიის იმპერატორზე ბერლინში ორგზის თავდასხმამ [77] ამ საკითხს თანამედროვეობის წმინდა სენსაციური ხასიათი მისცა.

ძნელია დააჯერო საკუთარი თავი, რომ პრესის მიერ წარმოებული გამოკვლევები სრული და ყოველმხრივი იქნება, მაგრამ არ შეიძლება სიხარულით არ შევხვდეთ მოგვიანებულ ცდას, რომელიც საზოგადოების ყურადღებას „მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე" ამახვილებს. უკეთესი იქნებოდა ასეთი გამოკვლევა პრესას ორი წლით ადრე დაეწყო. მაშინ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართებოდა და შეიძლება არ ვყოფილიყავით იმ უკიდურესობათა მოწმე, რაზედაც დღეს მთელი პრესა ლაპარაკობს... მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ჩვენ სრულიად არ გვიკვირს, რომ ევროპის მთავრობათა წარმომადგენლებმა მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება სოციალური საკითხის „მავნე მხარეებს". თავისი ამოცანის არსის მიხედვით, ყოველ მთავრობას საქმე აქვს მხოლოდ ცხოვრების ფაქტიურ გამოვლენასთან და არა ფილოსოფიურ მოძღვრებასთან და აზრებთან. საღი აზრისა და კანონმდებლობის მიხედვით, არც-ერთ მთავრობას არა აქვს არც უფლება და არც შესაძლებლობა სულში ჩაუძვრეს მოქალაქეებს და აღმოფხვრას მათში აზრი, ფიქრები, რწმენა და მრწამსი. მთავრობის კონტროლი და ზეგავლენა მხოლოდ მაშინ იწყებს მოქმედებას, როცა აზრი განხორციელებას იწყებს, როცა ფაქტად იქცევა. მაშასადამე, გასაგებია, რომ ყველა მთავრობას არამც თუ შეეძლო, არამედ ყურადღება უნდა მიექცია სოციალიზმისათვის ძალიან გვიან მაინც, როცა „მოძღვრებამ" „მოქმედებაში" გადასვლა დაიწყო.

მაგრამ პრესის როლი და მოვალეობა სულ სხვაგვარი იყო. როგორც კი მოძღვრება წარმოიშვა პრესა ვალდებული იყო გასცნობოდა მას და შეესწავლა მისი კარგი და ცუდი მხარეები... მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა—პრესამ არა თუ დროზე არ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს, არამედ დღესაც არაფერს აკეთებს. და ეს იმ დროს, როცა მის ურთიერთობაში სოციალურ საკითხთან არის ჩამარხული თითქმის მთავარი მიზეზი იმ სამწუხარო უკიდურესობებისა, რომელიც ახლა საყოველთაო ყურადღებას იქცევს...

რას წარმოადგენს სინამდვილეში სოციალური საკითხი, რომელიც ბევრს ასე აშინებს?

ეს საკითხი მთლიანად იმ „საბედისწერო საკითხების" გადაწყვეტამდე დაიყვანება, რომელთაც ჰაინე თავის ცნობილ ლექსში აყენებდა:

«Отчего под ношей крестной,
Весь в крови, влачится правый?
Отчего всегда безчестный
Встречен почестью и славой?»

ეს საკითხები ისევე ძველია, როგორც სამყარო და ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებიან ისეთ საკითხებად, რომელთა გადაწყვეტას ბევრი პოეტი და მოაზროვნე შეასხამს ტვინს... მაგრამ ჭკუის კოლოფთაგან შეშინებულ და „პრაქტიკული გონების" მასის გვერდით, რომელთაც ხელი ჩაიქნიეს და გადაწყვიტეს „ალბათ, ასეც უნდა იყოსო", ზოგჯერ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ რომ „შეიძლება ეს ასე არც ყოფილიყო". მათ შორის იყვნენ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებიც. მაგალითად, სახელგანთქმული მარშალი ვობანი, ან ინგლისის კანცლერი თომას მური, „უტოპიაში მოგზაურობის" ავტორი. მაგრამ ამ კეთილისმოსურნე ადამიანების ოცნებამ ფართო გავრცელება მხოლოდ მას შემდეგ ჰპოვა, როცა ისეთმა უდავო გენიოსებმა, როგორიცაა ფურიე, სენ-სიმონი, ბენტამი და რობერტ ოუენი, მთელი სიცოცხლე ამ საკითხების მეცნიერულ გადაწყვეტას შესწირეს. ესენი რომ არც რევოლუციონერები იყვნენ და არც ნგრევის მომხრენი, მათი ბიოგრაფიიდან ჩანს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სარგებლობა მოაქვთ განსაკუთრებით თავის თანამედროვე მთავრობებისათვის და ამ მთავრობებს ეძღვნებოდა მათი თხზულებანი და პროექტები. ცნობილია აგრეთვე ზოგი მათგანის, მაგალითად რობერტ ოუენისა და ბენტამის, პირადი ურთიერთობა იმპერატორ ალექსანდრე I-თან...

ამ ნოვატორების მთელი ძალ-ღონე მიმართული იყო წმინდა ეკონომიური საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტისაკენ. ვერც ერთ მათ ნაწარმოებში ვერ იპოვით ვერც ერთ ისეთ სტრიქონს, რომელსაც თუნდაც შორეული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. მათი და მათი უახლოესი მოწაფეების გავლენის შედეგად წარმოიშვა მთელი სკოლები. ყველა ამ სკოლას ერთი და იგივე ლოზუნგი და ერთი და იგივე მიმართულება ქონდა: ჩამოცილებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და უარი ეთქვათ ყოველგვარი პოლიტიკური როლის შესრულებაზე. „ჩვენთვის სულერთია ხელისუფლების როგორი ფორმები იარსებებენ", ამტკიცებდა ყველა სკოლა. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ეკონომიური თვალსაზრისით უკეთ მოვაწყოთ კაცობრიობის რაც შეიძლება დიდი ნაწილის ცხოვრება. ჰკითხეთ თუნდაც ახლა რომელ სოციალისტსაც გინდათ, სადაურიც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი და ყოველი მათგანი გეტყვით, რომ ესაა ყველა სოციალური მოძღვრების ერთ-ერთი ელემენტარული დოგმატი...

ჩანს, მოძღვრებას, რომელიც ასეთ დოგმატს ემყარებოდა, უნდა ესარგებლა თავისუფლებისა და დაუბრკოლებლობის გარანტიით. თავიდან ევროპის თითქმის ყველა მთავრობა მართლაც ასე უყურებდა მას. და ამით მათ არაფერიც არ წაუგიათ.

ინგლისში, იმ ქვეყანაში, სადაც რიცხობრივად მუშები ყველაზე მეტია და ყველაზე დიდ როლს თამაშობენ. სადაც აღმაშფოთებელი სხვაობა უმცირესობის წარმოუდგენელ სიმდიდრესა და უმრავლესობის საშინელ სიღატაკეს შორის ყველაზე მეტადაა გაბატონებული, ახალ მოძღვრებას ხელს არაფერი უშლიდა დაემტკიცებია, როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით და ცდის მეშვეობით, საკუთარი საფუძვლიანობა. სოციალისტური გამოცემები ინგლისში თავისუფლად ვრცელდება და არც მიტინგებია აკრძალული. როგორც ცნობილია, არსად არ გავრცელებულა მუშათა კავშირები ისე, როგორც ინგლისში და ამას წინათ ჩვენ მოწმენი ვიყავით მიწის მუშების უზარმაზარი კავშირის ორგანიზებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჯოზეფ არჩი, და ისე უძღვება ასი ათასობით მუშას, როგორც ჯარს. მაგრამ მთელი საუკუნის მანძილზე ინგლისში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ისეთი უკიდურესობებისა, რომელიც სხვა ქვეყანაში მთავრობებს სიმშვიდეს დაუკარგავდა... ზუსტად ასეთსავე მოვლენებს ვხედავთ შვეიცარიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციალური პარტიების თავისუფლება არა თუ არ არყევს ამ ქვეყნებში ხელისუფლებას, არამედ არც კი აწუხებს მათ...

დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობას წარმოგვიდგენს ისტორია იმ ქვეყნებში, რომელთა მთავრობები ბურჟუაზიამ მოხერხებულად მოატყუა.

ხედავდნენ რა, რომ სოციალური მოძღვრების განხორციელება და მუშათა არტელების შექმნა მუშათა მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო მეპატრონეთა შემოსავალს ამცირებს და მათ თვითნებობას ზღუდავს, ბურჟუაზიულმა ორატორებმა და მწერლებმა, უპირატესად საფრანგეთში, დაიწყეს არა იმდენად ახალ მოძღვრებასთან აშკარა ბრძოლა, არამედ — მთავრობის გაღიზიანება ახალი მოძღვრების მომხრეთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიულმა პრესამ დაიწყო მათი დასმენა მთავრობასთან, თითქოსდა არტელები გამსჭვალულია მთავრობის საწინააღმდეგო იდეებით, თითქოსდა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი ბარიკადებს აღმართავენ და ხელში იარაღს აიღებენ. ერთი მხრივ, მთავრობას ეს ამბავი აწუხებდა, რადგან არ შეეძლო ჩაწვდომოდა სულში არტელის ყოველ წევრს, მეორეს მხრივ, უკიდურესად აღიზიანებდა არტელის ნაკლებად სოლიდურ წევრებს... არტელის ბევრი წევრი და არტელისადმი თანაგრძნობით განწყობილი ბევრი ადამიანი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო ბარიკადების აგება და ყვირილი სისხლის ღვრაზე... ცხადია, არტელის შეგნებულ წევრებზე ამგვარ წაქეზებას გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ სუსტნი და მოუმზადებელნი გაიტაცა...

ბურჟუაზიული პრესა ყველა შემთხვევას იყენებდა და მოხერხებულად სარგებლობდა სოციალისტების შეცდომებით. როცა რომელიმე მოთმინებადაკარგული პიროვნება, რომელსაც არავითარი გავლენა არ ჰქონდა და არავითარ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა სოციალურ პარტიაში, დანაშაულს ჩადიოდა — ბურჟუაზიული პრესა ამგვარ დანაშაულს ისე ეჭიდებოდა, როგორც მხსნელ იმედს, აზვიადებდა ფაქტს და გამოუცდელ და გაუთვითცნობიერებელ ხალხს აშინებდა. მაგალითად, როცა უბადრუკმა ჰედელმა, რომელიც გერმანიის სოციალური პარტიის მიერ ადრევე დისკრიმინირებული და შერცხვენილი იყო, გერმანიის იმპერატორს ესროლა, რათა, როგორც ეს პროცესმა აჩვენა, მსოფლიოს ყურადღება მიექცია, ბურჟუაზიულმა პრესამ ეს ამბავი იმგვარად გააზვიადა, რომ სოციალიზმის დამახასიათებელ მოვლენად გამოაცხადა. საკმარისია ოდნავ ჩავუკვირდეთ ამ ამბავს და მაშინვე მივხვდებით, რომ სოციალიზმს, ისეთ სოციალიზმსაც კი, როგორიც გერმანულია, არაფერს მოუტანდა იმპერატორის მკვლელობა, ერთი წუთითაც კი ვერ დააჩქარებდა ამ მოძღვრების წარმატებას, პირიქით, უფრო შეანელებდა, რადგან ხალხის შეგნებაში მკვლელობა სოცი-

ალიზმთან გაერთიანდებოდა. მაგრამ ბურჟუაზიულ პრესას ამგვარი მოსაზრებები არ აინტერესებს. საჭირო იყო ხალხისა და მთავრობის დაშინება. მიუხედავად გერმანიის სოციალისტური პარტიის ყველა წარმომადგენელისა და გავლენიანი წევრების ენერგიული პროტესტისა, ჰედელის კერძო საქმეს პარტიული ხასიათი მისცეს...

მაგრამ დიდი თანამდებობის პირებზე თავდასხმა ახალი ამბავი არაა. ქვეყნად ჯერ არც სოციალური პარტია არსებობდა და არც სოციალიზმის ცნება, როცა დამიენები და რაველიაკები ამგვარ თავდასხმებს აწყობდნენ. შორს წასვლა საჭირო არაა. რატომ მოხდა, რომ 1861 წელს, როცა რესპუბლიკელი ოსკარ ბეკერი თავს დაესხა ამავე იმპერატორს, მაშინდელ პრუსიის მეფეს, გერმანიის ბურჟუაზიულმა პრესამ რესპუბლიკანელების გაწყვეტა არ მოითხოვა? რატომ მოხდა, რომ 1866 წელს როცა ბლინდი, ცნობილი გერმანელი რესპუბლიკანელის კარლ ბლინდის შვილი, თავს დაესხა ბერლინში ბისმარკს, ამ საქმეს არავინ არ მისცა პარტიული ხასიათი და არავის არ განუცხადებია, რომ გერმანელი რესპუბლიკელები მკვლელობას ქადაგებენ და მკვლელობის გზით მოქმედებენო? რატომ მოხდა, რომ 1874 წელს, როცა იეზუიტების და კლერიკალების აღზრდილი კულმანი კისინგენში თავს დაესხა გერმანიის კანცლერს, არავის არ უფიქრია ბრალი დაედო ამ ამბვის გამო მთელი კლერიკალური პარტიისათვის. პასუხი მარტივი და ნათელია: იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ პრესას და ბურჟუაზიულ ორატორებს ხელს არ აძლევდათ კლერიკალებისა და რესპუბლიკელების დასუსტება. ერთიცა და მეორეც ბურჟუაზიის თანამზრახველი იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, სოციალისტები ხშირად ყოფილან მთავრობის მოკავშირეები ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. ბურჟუაზიას ხელისუფლების სარგებლიანობა არ აინტერესებს. აქ ვლინდება ბურჟუაზიული პრესის დამოკიდებულების საიდუმლოება ოთხ სრულიად ერთგვაროვან დანაშაულისადმი — ოსკარ ბეკერის, ჰედელის, ბლინდის და კულმანის თავდასხმებისადმი.

ამასთანავე, თუ რაიმე მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხელისუფალის პიროვნებას პარტიისათვის, და თუ რომელიმე პარტია მართლა დაინტერესებულია ამ ხელისუფალის სიკვდილით, ეს გახლავთ არა სოციალური, არამედ კლერიკალური, ანდა მონარქისტული პარტია... მართლაცდა, რას ნიშნავს სოციალიზმის წარმატებისათვის ბისმარკის ან იმპერატორ ვილჰელმის მოკვლა? განა ამის შედეგად ოდნავ მაინც გაიზრდება მუშათა ხელფასი? განა მუშათა გათვითცნობიერება ამით წავა წინ? განა ამის გამო ქარხნებსა და ფაბრიკებს არტელების საკუთრებად გახდიან? განა ერთი არტე-

ლით მაინც გაიზრდება მუშათა კავშირების რიცხვი? სულ სხვაა კლერიკალთა საქმე. მათთვის დიდი მიღწევაა თუ ვოლტერიანელ მმართველს ფარისეველი მმართველით შეცვლიან. მონარქისტული პარტიისათვის უნარიანი, პოპულარული მმართველის სუსტი და უნებისყოფო მმართველით შეცვალა, დინასტიის შეცვლის შესაძლებლობის გაზრდაა... აი, რატომ აღსდგნენ, და აღსდგებიან ახლაც, ერთხმად ყველა სოციალური მოძღვრებისა და პარტიების ცნობილი ბელადები და ხელმძღვანელები ამგვარი თავდასხმების წინააღმდეგ, თავდასხმებისა, რომელთაც არავითარი სოციალური მნიშვნელობა არა აქვთ და მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ...

47. საკვირაო საუბრები

ბატ. ღამბაროვი, გამოცდილი ფინანსისტის როლში, გესლს სხვისგან სესხულობს. — ნიკოლკა-ფინანსისტი და მიკოლკა-პუბლიცისტი. — რით თავდება ზოგჯერ მოწინააღმდეგის გულის მოსაკლავი საშუალების განურჩევლობა. — რატომ არ ემუქრება არავითარი საფრთხე ბატ. ღამბაროვის სიცოცხლეს. — ბატ. ღამბაროვის მარჯვე ჰოლემიკური ფანდები. — მისი სურვილი სახელი გაითქვას, როგორც სომეხი ერის დამცველმა. — წმინდა ცეცხლის - ექსპლოატატორები. — ჩემი მკაცრი პასუხი მათ. — მართლა შესწევთ უნარი იყვნენ ერის დამცველნი და მართლა შეუძლიათ სამსახური გაუწიონ მას? — ტაკიმასხარები ცირკში და ტაკიმასხარები ბანკებში. — ბანკირთა ფოკუსები. — სოლოლაკელი ბასტია.

სათაურით „ნიკოლკა — ფინანსისტი“, ბატ. ღამბაროვმა რომელსაც „ობზორის“ [2] მკითხველები იცნობენ, როგორც ფასების მერყეობის საკითხების „მეცნიერული“ გამოკვლევის ავტორს, „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] დღევანდელ ნომერში (№ 206) გამოაქვეყნა თავისი დაგვიანებული პასუხი ორ მოწინავე სტატიაზე, რომლებიც „ობზორმა“ მის „მეცნიერულ“ შრომას მიუძღვნა. როგორც მოსალოდნელი იყო გაბერილი რეპუტაციისაგან, რომელიც გაბერილ იდეებს ემსახურება და გაბერილ ოპერაციებს უმღერის, „სწავლულმა“ ავტორმა კრიტიკის უარსაყოფად ასეთივე გაბერილი საშუალებები იპოვა. უპირველეს ყოვლისა, „ობზორის“ სტატიები მე მომაწერა, რათა უფლება ქონოდა ჩემთვის გული ეტკინა თავისი გამოხდომებით. რისთვის დაჭირდა ამგვარი გამოხდომა წმინდა ეკონომიურ საკითხებზე კამათის დროს—ამას ვერც ერთი ნამდვილად მოაზროვნე ადამიანი ვერ გაიგებს, მაგრამ გაბერილ „სწავლულებს“ სხვაგვარად არ შეუძლიათ, რაც ყველაზე უკეთ ამტკიცებს, რომ მეცნიერული ფონდი მათ არ გააჩნიათ...

საბედნიეროდ, სწავლული ფინანსისტის პასუხის მთელი გესლი მხოლოდ სტატიის სათაურშია ჩაქსოვილი... „ნიკოლკა — ფინანსისტი“ მინიშნებაა ბ-ნ ა. სერნო-სოლოვიევიჩის (ცოდვა იქნება იგი განსვენებულ ნ.ა. სერნო-სოლოვიევიჩში აგვერიოს) ბროშურაზე— „მიკოლკა — პუბლიცისტი“, რომელიც ჩემს წინააღმდეგ გამოიცა ათი წლის წინათ. საქმე იმაშია, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროს

მე მომიხდა უარყოფითი აზრის გამოთქმა იმდროინდელი ემიგრანტების უმრავლესობაზე, რომლებიც, ჩემის გულწრფელი რწმენით, სუსტად იყვნენ მომზადებულნი პოლიტიკური როლის შესასრულებლად. ამ შეხედულების გამო, ბატ. სოლოვიევიჩმა გადაწყვიტა გამოეცა ბროშურა, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, გამოცხადებული ვარ რუსეთის მთავრობის აგენტად, ჯაშუშად, არამზადად და ა. შ. ამასთან ერთად, ბროშურაში გადაკვრითაა ნათქვამი, თითქოს მე ემიგრანტთა სალარო გავძარცვე, რომელშიც 25 მანეთზე (69 ფრანკ.) მეტი არ მოიპოვებოდა. იმ წრეების საზოგადოებრივმა აზრმა, რომელთა დაცვასაც სერნო-სოლოვიევიჩი ცდილობდა, ისე მკაცრად დაგმო მისი საქციელი, როგორც წესიერ საზოგადოებას შეეფერება. ბატ. სერნო-სოლოვიევიჩი უარყო თითქმის ყველა ემიგრანტმა, რომელთაგან მხოლოდ ერთმა კაცმა შეინარჩუნა მასთან ადრინდელი ურთიერთობა[2]. ერთი წელი არც გასულა, სერნო-სოლოვიევიჩს სიცოცხლის ფასად დაუჯდა თავისი ჩვეული თვისება — მისდამი ყოველგვარი უთანხმოება ჯაშუშობად და არამზადობად გამოეცხადებია, — იგი იძულებული შეიქმნა თავი მოეკლა.

ნუ შეშინდება ბატ. ღამბაროვი, მის სიცოცხლეს სრულიად არ ემუქრება ამგვარი საფრთხე. რაც არ უნდა იყოს, ბატ. სერნო-სოლოვიევიჩი იდეებით გატაცებული, გრძნობითა და გულწრფელობით აღვსილი კაცი იყო. მას მხოლოდ ეჩვენებოდა, რომ ყველა, ვინც ემიგრანტებს არ „აღმერთებს", ალბათ ჯაშუში და არამზადაა. აი, ეს იყო მისი გამოხდომების საფუძველი. იგი პატივს სცემდა საკუთარ ღირსებას და არ შეეძლო გადაეხარშა პატიოსანი ადამიანების ზიზღი თუ გულგრილობა. ბატ. ღამბაროვს არ მოელის საფრთხე იმისა, რომ ამგვარმა „ცრურწმენამ" შეიპყროს. კაცი, რომელმაც „meaculpa" წარმოთქვა და ისევ ემსახურება კულაკებს, რომელთაც პრესაში, საკუთარი ხელმოწერით, ისეთი ადამიანები უწოდა, „რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ რაა ღირსება", ასეთი კაცი, ვაცხადებ მე, არ მოიკლავს თავს იმის გამო, რომ ვიღაცამ ამხილა, ამხილა იმაში, რომ პატიოსან კაცს ჯაშუში და ქურდი უწოდა... თანაც ჩვენთან სხვა გარემოა... „ტიფლისკი ვესტნიკის" ახლანდელმა ხელმძღვანელებმა დიდი ხანია იციან ბროშურის — „მიკოლკა-პუბლიცისტის" არსებობა. ის ამბავი, რომ მათ ღირსებად მიაჩნდათ ჩემთან ერთად თანამშრომლობა, ცხადად ამტკიცებს, თუ როგორ უმნიშვნელო მოვლენად მიაჩნდათ მათ ბროშურა. ხოლო ის გარემოება, რომ ისინი ახლა ცდილობენ ამ ბ რ ო შ უ რ ი თ მ ე და „ ო ბ ზ ო რ ი" გაგვამწარონ, ყველაზე კარგად ამტკიცებს, თუ ზნე-

ობრიეი სიფაქიზის რა ფონდი გააჩნიათ მათ... არა, ბატ. ღამბაროვო, თქვენ სიცოცხლეს საფრთხე არ ელის, თბილისში იგი დიდი ხნითაა დაზღვეული...

სწავლულები, ჩვეულებრივ, გვსაყვედურობენ გადაჭარბებული უკმეხობის გამო, იმის გამო, თითქოს „ვიგინებით", „პიროვნებას" ვეხებით და სხვა ამგვარ დანაშაულს ჩავდივართ. ღმერთო ჩემო, რა ყალბია ამგვარი საყვედურები! „ობზორის" მკითხველებს ახსოვთ ბატ. ღამბაროვის შრომისადმი მიძღვნილი სტატიები. განა იყო მასში თუნდაც ერთი გინება, თუნდაც ერთი გამოთქმა, რომელიც შეედრება ბატ. ღამბაროვის ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს:

„ცხადია, ყველას ვერ აიძულებ იყოს წესიერი, ამასთან გინება არავის არ ეკრძალება, ამიტომ ამ სტატიებს მე ყურადღებასაც არ მივაქცევდი, მათი ლიტერატურული ხერხები რომ განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს და არ გვიჩვენებდეს, თუ რა სასაცილო ტაკიმასხარობამდე შეიძლება მივიდეს მწერალი, რომელსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და თუმცა ცუდად იცნობს მსჯელობის საგანს, მაინც რატომღაც წარმოუდგენია. რომ ყველაფერის მცოდნეა და შეუძლია სხვებსაც ჭკუა ასწავლოს".

ანდა ეს:

„ამგვარი ფარსები, ნიშანდობლივი მხოლოდ ოინბაზებისათვის, ლიტერატურისათვის აუტანელი უნდა იყოს".

„რა ხმაურს ასტეხდით მეგობრებო, ყოველივე ეს რომ მე გამეკეთებია" — ვეკითხები მე სწავლულებს! გინება და ლანძღვა მათ ენაზე აკერიათ, როცა თავდაცვის სხვა საშუალება არ გააჩნიათ. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ მათი ლანძღვაც უკბილო და გაბერილია...

თავისთავად ბატ. ღამბაროვის „პასუხი" არავითარ რეპლიკას არ იმსახურებს. იგი ცდილობს დაამტკიცოს. თითქოს „ობზორმა" მისი სტატიის აქა-იქ ამოგლეჯილი ნაწყვეტები არასწორად გააშუქა. მაგრამ „ობზორში" გადმობეჭდილი იყო თითქმის მთელი სტატია და ამავე დროს ბატ. ღამბაროვის არცერთი აზრი არ იყო შემოკლებული და დამახინჯებული. ასე რომ „ობზორის" მკითხველებს შეუძლიათ სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ კამათის არსზე. მაგრამ ბატ. ღამბაროვის პრესაში საყურადღებო ისაა, რომ ცდილობს დაამახინჯოს ჩვენი პოლემიკა, ამიტომ გვინდა სწავლული ფინანსისტის ამგვარ ცდას რამდენიმე სიტყვით შევეხოთ.

პირველი ცდა ასეთია: „ობზორის" 239 ნომრის მოწინავე სტატიის ავტორმა თითქოს წინდაწინ ამოწერა ყველა საჭირო ნაწყვეტი ბატ. ღამბაროვის სტატიიდან, შემდეგ კი შეუდგა განხილვას და

ამოწერილი ნაწყვეტები თავისებურად დაალაგა. მკითხველმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ბატ. ღამბაროვის დედანიც და ჩვენი კრიტიკოსის თარგმანიც, დაინახა, რომ „ობზორს“ არავითარი ხრიკები არ გამოუყენებია. ხოლო ბატ. ღამბაროვმა, რომელიც ფიქრობს, რომ ლიტერატურაშიც შეიძლება გაბერილი ოპერაციებით თავის გატანა. გრძელი ტირადის დაწერა ინება იმის შესახებ, თითქოს ჩვენ სხვის აზრებს „ვამახინჯებთ“. კაცი, რომელიც წერილობით კამათში ასეთ თაღლითობას სჩადის, ბედავს სხვებს ოინბაზები უწოდოს!..

ბატ. ღამბაროვის მეორე გამოხდომა კიდევ უფრო ეპიურია. მას მოჰყავს „ობზორის“ სტატიებიდან შემდეგი სიტყვები:

„...გაურბის რა იაფფასიან ლიბერალიზმს, ე. ი. გაურბის ბრალდებას თბილისის ვაჭართა წრის მიმართ ვაჭრობის ბოროტად გამოყენების საქმეში, იგი (ღამბაროვი) დგება პატრიოტულ-კონსერვატორულ თვალსაზრისზე და ამ გზით ცდილობს ბუნებრივი მიზეზებით ახსნას ჩვენი ვაჭრების არაბუნებრივი ოინები. დაწყნარდეთ იმის რწმენით, რომ სიძვირე ღვთის ნებაა და მას უნდა დავემორჩილოთ, სრულიად არ ნიშნავს იყო კონსერვატორი, ღრმა მოაზროვნე ეკონომისტი და რელიგიური ფანატიკოსი. ჩვენი ქრისტიანული რელიგიის დოგმატების მიხედვით, ადამიანი იმისთვისაა დაჯილდოებული ნებისყოფით, რომ ებრძოლოს ბოროტებას, საერთო კეთილდღეობისათვის იზრუნოს და პირადი ზნეობრივი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ექსპლოატატორებისათვის მხარდაჭერა შესაძლებელია მხოლოდ იმ ინტერესებისადმი სოლიდარობის შემთხვევაში, როცა იძულებული ხართ ცრუ ეკონომიური შეხედულებები გაავრცელოთ... მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ბ-ნ ღამბაროვის გატაცების მიზეზი არც ერთი იყო, არც მეორე და არც მესამე. მას უბრალოდ ცოდნით თავის გამოჩენა უნდოდა, რაც ბრწყინვალედ შესძლო!“

იცით, როგორ უარყოფს იგი ამ სტრიქონებს? აი, თვითონვე დასტკბით:

„რა ნასიამოვნებიც არ უნდა ვიყო „ობზორის“ ქათინაურებით, რასაც სტატიის დასასრულს მიმართავს, არ შემიძლია არ აღვშფოთდე იმ ინსინუაციებით, რომელთაც პირველი სტრიქონები შეიცავს. ჩვენთან, კავკასიაში სადაც ნაციონალური შუღლი ჯერ კიდევ არ გამქრალა, სადაც ყოველი პატიოსანი კაცის ძალ-ღონე მიმართული უნდა იყოს ერთა ინტერესების შესარიგებლად, ამგვარი ინსინუაციები ყველაზე საზიზღარ ხასიათს ატარებს“.

რა შუაშია აქ ნაციონალური საკითხი, რა ინსინუაციებზეა ლაპარაკი? თქვენ, გულუბრყვილო მკითხველებო, ამას სიკვდილამდე ვერ მიხვდებით. მაგრამ ბატ. ღამბაროვი რომ გულუბრყვილო

ადამიანი იყოს არ დაწერდა სტატიას ფასების მერყეობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, იგი პრაქტიკული ადამიანია და მარტო წერის პრინციპის გამო კი არ წერს. მან დაინახა, რომ „ობზორის“ სტატიებმა შეარყია მისი მეცნიერული რეპუტაცია. იგი არც კი ცდილობს დაიცვას საკუთარი რეპუტაცია, რადგან დაცვა კარგს არაფერს მოუტანს. თუმცა მას არ სჭირდება იმ რეპუტაციის დაცვა, რომელმაც საკმარისი სამსახური გაუწია. იგი საკუთარ ქედგომარეობაზე ზრუნავს. და აი, მან ხელი მიჰყო წმინდა ეკონომიური დავის „ნაციონალურ საკითხებში“ არევას. მისთვის აუცილებელი იყო ადგილობრივი ვაჭრების მომადლიერება, რადგან, როგორც თბილისის კომერციული ბანკის მმართველი, მთლიანად მათზეა დამოკიდებული. მას ყველაზე მეტად შემსყიდველ-ვაჭართა და კულაკთა დამცველის რეპუტაცია სჭირდება. ამგვარი რეპუტაცია მან უკვე მოიპოვა, ახლა კი ცდილობს დაარწმუნოს ადგილობრივი სომეხი საზოგადოებრიობა, თითქოსდა იგი სომეხი ერის დამცველიცაა! მოფიქრებული ხრიკია... აი, რა მიზნისაკენაა მიმართული ზედმოყვანილი ფრაზები „ნაციონალური შუღლის“ შესახებ.

არა, ბატ. ღამბაროვ, ჩვენთან ასეთი ფანდები არ გაგივათ! სხვა თუ არა, მე ხომ კარგად ვხედავ თქვენი და თქვენი მსგავსი ბატონების გაქნილობას. თქვენ ფარისეველურად გვთავაზობთ „ერთა ინტერესების“ შერიგებას და ამავე დროს თქვენზე მეტად არავინ არ აღვივებს ერებს შორის შუღლსა და მტრობას. თქვენ ამას იმიტომ აკეთებთ, რომ მთელი საზოგადოების სამსახურისათვის არც ძალა შეგწევთ და არც უნარი, ამიტომ თქვენ და თქვენი მსგავსი ბატონები ცდილობთ დაეყრდნოთ ყველაზე მსუბუქ საყრდენს, საყრდენს, რასაც ეროვნული შუღლის გაღვივება ქმნის. თქვენ ამ შუღლის გაღვივებით იკვებებით. სხვაგვარად არარაობა იქნებოდით, და წაბორძიკებული ახლაც სწორედ ამ შუღლს, როგორც ხავსს ისე ეჭიდებით. თქვენ არც კი ნაღვლობთ, რომ ამგვარი საქციელით აცხვენთ სწორედ იმ ერს, რომელსაც თითქოსდა იცავთ. საბედნიეროდ, მას არ სჭირდება ასეთი ბინძური დაცვა. გარდა თქვენი შეურაცხყოფისა, მას ისედაც ბევრი უბედურება სჭირს, რაც მისი ისტორიული ხვედრით აიხსნება; მას ჰყავს რამდენიმე ასი თუ ათასი კაცი, რომლებიც მემკვიდრეობით ვაჭრობენ და რომელთაც ექსპლოატატორული ინსტინქტები შეიძინეს. სხვა ერის წარმომადგენელთა თვალში, რომელთაც სომხური სოფლის მცხოვრებლები არ უნახავთ, სიტყვა „სომეხი“, საუბედუროდ, „ექსპლოატატორთან“ არის გაიგივებული. ამიტომ ყველა პატიოსანი სომხის ვალია

დაუმტკიცოს სხვებს, რომ სხვაა სომეხი, სხვაა — მეწვრილმანე ვაჭარი. თქვენ კი, ეშმაკმა იცის, რა წვრილმანი მიზნების გამო, დიამეტრალურად საწინააღმდეგოს აკეთებთ. ჩვენ ვებრძვით მეწვრილმანე ვაჭრებს და შემსყიდველებს, რომელთა შორის ბევრია ქართველიც, რუსიც და თათარიც, თქვენ კი ცდილობთ დაარწმუნოთ ყველა, თითქოს ჩვენ სომხებს ვესხმით თავს!..

არა, ნაციონალური გრძნობის ექსპლოატატორებო, ამით თქვენ ფონს ვერ გახვალთ. მე რომ ნაციონალური შუღლის გაღვივება მდომოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ადვილად და სარფიანად გავაკეთებდი კიდეც. ჩემთვის, ვინაიდან კარგად ვიცი თბილისელი მეწვრილმანეებისა და იმ ხროვის აქილევსის ქუსლი, რომელთაც ხელში ჩაიგდეს თბილისის სავაჭრო სამრეწველო ასპარეზი, საკმარისი იყო დამეწერა ორი-სამი სტატია, რომლებშიც ამ მეწვრილმანეებისა და ამ ხროვის ცოდვებს ნაციონალური შეფერილობა ექნებოდა და „ობზორი“ მაშინვე გახდებოდა ჩვენი მხარის რუსი, ქართველი, მთიული და თათარი მოსახლეობის კერპი. რას დავკარგავდით ან მე ან „ობზორი“ ამის გამო? სრულიად არაფერს. აიღეთ ჩვენს მხარეში გამომავალი რომელი რუსული გაზეთის ხელისმომწერთა სიაც გინდათ და დარწმუნდებით, რომ სომხები შეადგენენ ხელისმომწერთა ერთ მეათედს ან მეოცედს საერთო რიცხვისას. აიღეთ განცხადებები და თქვენ დაინახავთ, რომ სომეხი-განმცხადებლები საერთოდ განმცხადებელთა ერთ მეხუთედსაც კი არ შეადგენენ. „ობზორის“ სომეხ-მეპაიეთა რიცხვი (მაგალითად) მეპაიეთა საერთო რიცხვის ნახევარზე და მგონი ერთ მესამედზეც ნაკლებია. რაც შეეხება ადგილობრივი სომეხი საზოგადოების გამოჩენილ ადამიანებს, — მთელმა თბილისმა იცის, თუ რა გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ ისინი „ობზორის“ დაარსებას და რა ენერგიულად ცდილობენ ახლაც ხელი შეუშალონ მის წარმატებას ხმების გავრცელებით მისი თითქოსდა დახურვის შესახებ. ასე რომ, არაფერი ისეთი, რასაც მატერიალური ანგარიშიანობა ჰქვია, ხელს არ მიშლის გავაღვივო ვნებები და ეფექტიურად გამოვიყენო მთელს ჩვენს მხარეში გაბატონებული სიძულვილი მეწვრილმანე-ექსპლოატატორთა მიმართ, რომლებშიც არა მარტო ბრბო, არამედ განათლებულთა უმრავლესობაც კი მთელ სომეხ ერს ხედავს. ახლა საკითხავია, რატომ არ ვაკეთებ მე ამას, რატომ ვანსხვავებ ყოველთვის სომეხ ერს, მის უფლებებს წინსვლაზე და მომავალზე. იმ ბინძური ჩვევებისა და ექსპლოატატორული ინსტინქტების მქონე ერთეულებისაგან, რომლებიც, სომეხი ერის საუბედუროდ, სომხურ გვარს ატარებენ?

მე მხოლოდ იმიტომ არ გავყევი ამ გზას, რომ სიმართლის, სამართლიანობის და ჩვენი მხარის საერთო სარგებლიანობის საწინააღმდეგო იქნებოდა... თქვენ არ შეგიძლიათ გაიგოთ ეს, მაგრამ მე არ მეშინია თქვენი მიუხვედრელობის. შეუძლებელია, რომ მთელ „ერს“ ჭირდეს იმგვარი ზნეობრივი სიბრმავე, როგორითაც თქვენ, ბატონებო, მას ამკობთ საკუთარი სარგებლიანობის მიზნით. მე სულ-მოკლე არა ვარ. დადგება დრო, როცა თქვენივე ერის შვილები აღიმაღლებენ ხმას თქვენს წინააღმდეგ, როცა წამოიზრდება თაობა, რომელიც მიხვდება თქვენს თამაშს და გაიგებს, რომ თქვენთან ბრძოლის დროს „ობზორი“ პატიოსნად ემსახურებოდა ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებს და იმ ერის ჭეშმარიტ ინტერესებსაც, რომელსაც, მისდა სამწუხაროდ, თქვენ ეკუთვნით.

და იცით რას გეტყვიან თქვენ ეს ადამიანები და ეს თაობა?

სხვათაშორის, აი რას:

ორ-სამ წელიწადში ერთხელ სომეხი ხალხის დამცველად მოგქონდათ თავი. მთელი ცხოვრების მანძილზე კი მხოლოდ საკუთარ კუჭს ემსახურებოდით. იყო დრო, როცა ერს ენერგიული დამცველები სჭირდებოდა, როცა, მაგალითად, ლაპარაკობდნენ სკოლების მოწყობაზე, სომეხი გლეხების მდგომარეობაზე, მათ ურთიერთობაზე მემამულეებთან და ა. შ. იყო დრო, როცა რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში გაისმოდა ცოფმორეული და უსამართლო ცილისწამება სომეხ ხალხზე. რატომ არ იღებდით ხმას მაშინ, თითიც კი არ გაგინძრევიათ შეურაცხყოფილი ღირსების და შელახული სამართლიანობის დასაცავად? ამგვარი უსამართლობა თქვენ ხელს არ გიშლიდათ გეჭამათ, გეძინათ, მიგეღოთ მოზრდილი ხელფასი... თქვენ იტყვით ყველას არ შეეძლო დაეწერა, რომ თქვენ მწერლები არა ხართ. მაგრამ თქვენ, ბატ. ღამბაროვ, ხომ აიღეთ ხელში კალამი, როცა ლაპარაკი იყო თქვენს დანიშვნაზე ბანკის მმართველად, ანდა როცა ნათესავებს მხარში ამოუდექით, ანდა როცა „ობზორის“ კრიტიკოსის უარყოფა განიზრახეთ. რატომ არ აგაღელვათ არც ერთმა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანმა საკითხმა, არც ერთმა კაპიტალურმა მოვლენამ ისე, როგორც, მაგალითად, ი. ი. პოლტორაცკის წერილმა? რატომ მოხდა, რომ პირადად თქვენკენ მომართულმა ისრებმა იძულებული გაგხადათ პრესაში გამოჩენილიყავით, ხოლო საერთო საქმის მარცხს გულგრილად უყურებდით? იმიტომ, რომ თქვენ მხოლოდ საკუთარი თავს და საკუთარ კუჭს ემსახურებით და არა საერთო საქმეს. აი, რატომ არა გაქვთ უფლება სომეხი ხალხის დამცველად მოგქონდეთ თავი...

ხედავთ თუ არა, ბატ. ღამბაროვო, რას ნიშნავს საკამათო საკით-

ხიდან გადახვევა. თქვენ გაწყობდათ „ობზორის“ მოწინავე სტატიების უკან მდგომი ავტორი გეპოვათ და განგეგმირათ, თქვენ გაწყობდათ გაგეხსენებიათ მიკოლკა-პუბლიცისტი, თქვენ მოისურვეთ ეკონომიურ საკითხებზე კამათი გადაგეტანათ ნაციონალურ ნიადაგზე — და აი, ახლა კი მოინელეთ ჩემი გადახვევაც დავის საგნიდან და ჩემი პირადი გამოსვლაც თქვენს წინააღმდეგ.

მაგრამ ბატ. ღამბაროვთან დავა ჯერ არ დამიმთავრებია. დავპირდი და უნდა მივუზღა კიდეც სამაგიერო სიტყვებისათვის—„ტაკიმასხარა“, „ოინბაზი“, რითაც ბან შეამკო ჩემი თანამშრომელი, რომელსაც მის მიმართ ერთი არალიტერატურული გამოთქმაც კი არ უხმარია.

მე არა მგონია, რომ „ტაკიმასხარა“, რომელიც ლუკმა-პურს საკუთარი ძვლების მტვრევით შოულობს, ნაკლებ ღირსეული იყოს, ვიდრე ტაკიმასხარა, რომელიც ფოკუსებს აკეთებს არა თავის, არამედ უცნობი ქვრივების და ობლების ჯიბეებზე. არა მგონია, კაცს, რომელიც უსინდისოდ ეწევა სხვების ექსპლოატაციას უფლება ქონდეს ზიზღით ილაპარაკოს რომელიმე ტაკიმასხარაზე. ასეთ კაცს არც იმის უფლება აქვს, რომ დასცინოს ფოკუსებს, რადგან წლების მანძილზე თვითონ, აი, როგორ ფოკუსებს აკეთებს:

არის საზოგადოება, რომელსაც უმნიშვნელო ნაკლოვანებანი გააჩნია. არსებობს ორი-სამი ათეული მეწვრილმანე ვაჭარი, რომელსაც გაბერილი მდგომარეობის მეტი არაფერი აქვს. საკითხავია, როგორ გადავიყვანოთ პირველთა ქონება ამ უკანასკნელთა ჯიბეში ისე, რომ ყველა კმაყოფილი იყოს.

დამეთანხმეთ რომ თავსატეხი ფოკუსია. მაგრამ მოხერხებულმა ადამიანებმა ძალზე მარტივად გადაჭრეს იგი; ამისათვის საკმარისია ბანკის გახსნა; ბანკი მოქალაქეებისაგან ანაბრებს მიიღებს და ვაჭრებსა და ექსპლოატატორებზე გასცემს თამასუქით, გაბერილი თამასუქით. გარკვეული დროის შემდეგ თამასუქები პროცენტების დარიცხვით იცვლება, ახალი ანაბრებით ძველს ფარავენ და ასე იქცევიან უსასრულოდ, ანდა „მოულოდნელ შემთხვევამდე“, როცა ყველა მეანაბრე ერთდროულად მოითხოვს ანგარიშის გასწორებას. მაშინ მათი გაბერილი თამასუქებით მეანაბრეთა დაკმაყოფილება შეუძლებელია. თუმცა ამ ხიფათის საწინააღმდეგო საშუალებებიც მოიპოვება. ჯერ ერთი, უვადო ანაბრების ხარჯზე მოკლევადიანი თამასუქების ხელოვნური გაზრდა, მეორეც არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომლის კრედიტი ყველა ბანკისათვის ღიაა... და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც წარმოიშობა კრახი და უბედური მეანაბრეები დაკარგავენ ყველაფერს „სამწუხაროდ“ კაპიტალისტებისა, რომელთაც

არა ერთხელ შეუჭამიათ არა მარტო თავიანთი გაბერილი თამასუ-ქები, არამედ ნამდვილი თამასუქებიც, მაშინ მოხერხებული ფინან-სისტები იტყვიან: „რა გაეწყობა, ყველაფერი ღვთის ნებაა“.

ბატ. ღამბაროვს, ამგვარი ფინანსისტების მეთაურს, შეუძლია ახლა რამდენიც უნდა იმდენი გვეძახოს „ნიკოლკა-ფინანსისტი“ და „ოინბაზი“. დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ მისი მსგავსი „ფი-ნანსისტი“ და „ფოკუსნიკი“ ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ და არც არასოდეს ვიქნებით.

მთელ ამ ისტორიაში ბატ. ღამბაროვის ტრაქტატისა, რომელიც „ტიფლისკი ვესტნიკმა“ გადმობეჭდა და მეცნიერული შრომის რეკ-ლამა მიაწება, და რომელსაც ახლა რეფერატი დაარქვეს, ორი გა-რემოებაა სასაცილო: ბატ. ღამბაროვს თავი მეცნიერული ჭეშმარი-ტების ქომაგად მოაქვს, რასაც თითქოს „ობზორი“ ფეხ-ქვეშ თელავს, ამასთანავე „ობზორის“ სტატიას მე მომაწერს. მე წავიკითხე მისი რეფერატი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საანგარიშო მოხსე-ნებებში და რადგან ვიცოდი ამგვარი გამოცემები უმნიშვნელო რა-ოდენობით ვრცელდება, გადავწყვიტე დუმილით ამევლო გვერდი გაბერილი სწავლულის უბადრუკი ლუღლუღისათვის.

მაგრამ როცა „ტიფლისკი ვესტნიკმა“, ალალმართლობით, ეს რეფერატი გადმობეჭდა და მეცნიერების უკანასკნელ სიტ-ყვად გამოაცხადა, „ობზორს“ აღარ შეეძლო ბატ. ღამბაროვის ცოდ-ვების დამალვა. მისი სტატიის განხილვა ისეთ თანამშრომელს და-ვავალე, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ახასიათებს პოლემიკური სიფიცხე. „ობზორის“ მკითხველებმა იციან, რომ განხილვა იყო დინჯი, შესაფერისი ყველა მეცნიერული გამოცემისათვის, ყოველ-გვარი პიროვნული ანტიპატიისა და გინების გარეშე. და თუ ის იყო შხამნარევი, ამაში თვით სიუჟეტია დამნაშავე და არა ავტორი. ახ-ლა კი ბატ. ღამბაროვი ჩივის, თითქოს გალანძღეს და მეცნიერული აფორიზმები მოჰყავს! მეტი საქმე არა მაქვს, ვარწმუნო ის, თუ რო-გორ ცუდად ერკვევა საკუთარ სპეციალობაში, რომ „ობზორის“ სტა-ტიაში უხეშობა არ იყო, რომ ტყუილად მომაწერა მისი ავტორო-ბა[73]. როცა მოვიცლი, მე მას წავაკითხებ მისი რეფერატის ჩემს სა-კუთარ განხილვას, საგანგებო სტატიას, შესატყვისი სათაურით: სო-ლოლაკელი ბასტია.

48. ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები

თბილისი, 17 სექტემბერი

ამა წლის დასაწყისში ჩვენ პირობა დავდეთ, რომ თავს შევიკავებდით „ტიფლისკი ვესტნიკთან“ [3] ყოველგვარი კამათისაგან. როგორც მკითხველებს ახსოვთ, პირობის საფუძველი, ამ გაზეთის რედაქციასთან ჩვენი ადრინდელი ურთიერთობა იყო. ჩვენ მაშინ ვწერდით (იხ. „ობზორი“ № 7)[70]:

„რადგან არ ვეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ახალი მტრობის გასაღვივებლად ძველი მეგობრობით სარგებლობენ, ოდესღაც მეგობრულად შეკრული ოჯახის ინტიმურ ნაცნობობაში არ ვეძებთ საიმედო მასალას მის შესარცხვენად. საკუთარი თავისა და მკითხველების პატივისცემის გამო არასოდეს არ შევეკამათებით „ტიფლისკი ვესტნიკს“.

მაგრამ ახლა „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციაში აღარ არიან „ოდესღაც მეგობრული ოჯახის“ წევრები, რომელთა შესახებ მე იანვარში ვწერდი. როგორც ცნობილია, თავ. ბებუთოვი პეტერბურგში ცხოვრობს და ექვსი თვის მანძილზე „ტიფლისკი ვესტნიკში“ მისი პროზაული ნაწარმოების ერთი სტრიქონიც არ დაბეჭდილა. თავ. დ. ერისთავი თბილისში არაა და, როგორც თვითონ განაცხადა, რედაქციის საქმეებში ნაკლებად მონაწილეობს ვინემ თავ. ბებუთოვი, რომელიც ახლა „მართავს“ რედაქციას და წარმატებით მიყვება თავ. ერისთავის კვალს... სარგებლობენ რა ამ მდგომარეობით, ვიღაც მოუმწიფებელნი, რომელთაც ლიტერატურული განათლება მხოლოდ „პეტერბურგსკი ლისტოკის“ [49] რედაქციასა და პეტერბურგის თეატრალურ ჭაობში მიიღეს, გაზეთს ბავშვური აჭია-ბაჭიებითა და მოჩმახული ლექსებით ავსებენ. როცა ცდილობენ წაახალისონ ისეთი ბავშვური გამოცემებიც, როგორიც კერძო პროგიმნაზიის მესამე კლასის მოწაფეთა „პირველი ნაბიჯია“, ჩვენ, ცხადია, არც იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ლიტერატურაში ივარჯიშონ ყველა ჯურის მოწაფეებმა, რომლებიც, სკოლაში გამომუშავებული ჩვევის მიხედვით, თავის ნაწერს შენიშვნას ურთავენ: „Пи-

сал это не я". მაგრამ დროდადრო ეს ხანშიშესული მოწაფეები მოკლე მოსაზრების გამო ისეთ ოინებს მიმართავენ, რომელთაც დაუსჯელად არც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი ლიტერატურა არ ტოვებს. ერთი ასეთი ოინი ჩაიდინა დღეს ბატონმა „ეს მე არ ვარ" [62]. ჩვენ უნდა ვაიძულოთ იგი ალოკოს საკუთარი სისაზიზღრე, თუნდაც ამისთვის, მისივე გაძოთქმა რომ გამოვიყენოთ, სამაგიეროს გადახდა მოგვიხდეს არა პრინციპით — კბილი კბილის წილ, არამედ მანერით — მთელი ყბა ერთი კბილისთვის.

ჯერ ერთი, თითქმის სასაცილო ლექსში, რომელსაც „პირველი ნაბიჯიც" კი დაიწუნებდა, ბატ. „ეს მე არ ვარ" წერს·

«Напрасно полной самомнения
Для думы жаждет обновления,
Заговорит про избрания
«Обзор», сей орган порицания,
Во всех вселяющий сомнения
И возбуждающий волнения.
Теперь у всех такая мания
Бранить с плеча все начинания
И без причин, без убеждения
Поить всех ядом озлобления.
Но не имеют основания
Печати злобной поругания
И ради самоуважения
Такие дикие суждения
Оставить думы без внимания,
Как праздных помыслов скитания».

ალარაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რა მოხდებოდა ჩვენ რომ ამის მესამედი სისაძაგლე დაგვეწერა. „ტიფლისკი ვესტნიკი" იმ წამსვე აყვირდებოდა — დაგვაბეზღესო... ჩვენ დაბეზღებისა არ გვეშინია, რადგან კარგა ხანია შევეჩვიეთ... გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის ინსინუაცია, თითქოს „ობზორს" საკუთარი მრწამსი არ გააჩნია და ყველას ხელაღებით ლანძღავს. ლექსთმჩხაპნელ მოსწავლეს, ალბათ, არც ამ ინსინუაციების მნიშვნელობა ესმის და არც სიტყვა „მრწამსისა". სხვის სულში ჩაძრომისა და მისი წაკითხვის უფლება, თუ რამდენად მყარი და მერყეევია მრწამსი, პირველსავე შემხვედრ აკრობატს არა აქვს. მხოლოდ მას შეუძლია წარმოსთქვას წმინდა სიტყვა „მრწამსი", ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ მიჰყვებოდა ერთსა და იმავე იდეალებს, ვინც მათ განხორციელებას ძალ-ღონე, ჭკუა და პირადი ინტერესები მიუტანა მსხვერპლად. მაგრამ ასეთი პრეტენზიები სრულიად არ შეეფერება ისეთ კაცს, რო-

მელმაც შესძლო მამხილებელი-ფელეტონისტის რეპუტაციის შერწყმა კეთილგანწყობილი მოხელის კარიერასთან... ბატ. „ეს მე არ ვარ“-მა უნდა იცოდეს შეხედულებათა სწრაფად გამოცვლის მაგალითები, რომელსაც ღირსეულად შეასხა ხოტბა თავ. ბებუთოვმა „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე. რომელიღაც მოსწავლემ ამ გაზეთში ხელმოუწერელი რაღაც ფელეტონი დაბეჭდა, რამაც რომელიღაც ფენა ააფორიაქა... აღნიშნული ფენა გაჯავრდა და მოსწავლეს მობოდიშება მოუხდა. და აი, მოსწავლემ, რომელიც წრის ესტრადაზე წარსდგა, სახალხოდ ესროლა გაზეთს ერთ-ერთი იმ უშვერი კუპლეტთაგანი, რომელთაც დედაქალაქის კანკანის საცეკვაო დარბაზებში ჟითხულობენ და რომელზედაც თვით მოსწავლე გაიზარდა... მოსწავლეს თავზე ხელი გადაუსვეს... და თუ ასეთ უმნიშვნელო საქმეში მოსწავლე ამდენად „პრაქტიკული“ აღმოჩნდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა სიმტკიცით მოუხდებოდა მას საკუთარი „მრწამსის“ დაცვა, ამისთვის რომ სერიოზული მსხვერპლის გაღება ყოფილიყო საჭირო. მოსწავლე, რომელზედაც მოგახსენეთ, სხვა არავინაა, თუ არა ბატ. „ეს მე არ ვარ“. აი, რატომ არ უნდა დასწეროს მან არაფერი „მრწამსის“ შესახებ.

თავისი ფელეტონის სხვა ადგილას, ბატ. „ეს მე არ ვარ“ „ობზორის“ შესახებ წერს:

„ცხადია, მას („ობზორს“) ეშინია თავის შინაური სარედაქციო საქმეები მკითხველებს გადაუშალოს“.

ბატ. „ეს მე არ ვარ“ „ობზორზე“, რასაკვირველია, საკუთარი თავის მიხედვით და საკუთარი საზომით მსჯელობს, მაგრამ საქმე ეს კი არაა, არამედ ის ინსინუაციები, რომლებიც აქ იმალება.

იცოდეს ბატ. „ეს მე არ ვარ“, რომ „ობზორის“ შინაურ საქმეებში ისეთი არაფერია, რის გამოტანაც მკითხველი საზოგადოების წინაშე საშიში იყოს. კაცი, რომელიც ამგვარ გადაკარგულ სიტყვას ამბობს, თუ მას სინდისის ნატამალი გააჩნია, ვალდებულია ბრალდება ან სახალხოდ დაამტკიცოს ანდა უკან წაიღოს თავისი სიტყვა. ჩვენ გვინდა ბატ. „ეს მე არ ვარ“-ს მივცეთ სრული შესაძლებლობა თავისი მოვალეობის შესასრულებლად. „ობზორის“ რედაქცია პირადად მას და საერთოდ ყველას, ვის გამოგზავნასაც იგი მოისურვებს, აძლევს უფლებას შეამოწმოს დავთრები, ანგარიშწარმოება, საქმეები, ამოიწეროს რაც უნდა, ამოიღოს ციფრები და ყველაფერი ეს დაბეჭდოს სადაც უნდა, თუნდაც „ობზორის“ ფურცლებზე. მაშინ გამოჩნდება აქვს თუ არა რედაქციის, ან ადმინისტრაციის საქმიანობას ისეთი ბნელი მხარეები, რომლის დაფარვა საჭიროა უცხო თვალისაგან.

ამგვარ გადაკრულ სიტყვებს დიდი ხანია უკვე მიმართავენ ბატ. „ეს მე არ ვარ“-ის მსგავსი პირები, რომლებიც ინსინუაციების მეშვეობით იბრძვიან და მე მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა შემემოწმებინა და უარმეყო მთელი ის სიცრუე, რომელსაც მოხერხებულად იყენებენ ცილისმწამებლები „ობზორის“ მიერ მოპოვებული მნიშვნელობის შესარყევად.

თუ ბატ. „ეს მე არ ვარ“ ჩვენს წინადადებას არ მიიღებს და უკან არ წაიღებს თავის უბადრუკ გადაკრულ სიტყვებს, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვიძენთ უფლებას, ჯერ ერთი, მივიჩნიოთ იგი უბადრუკ ცილისმწამებლად, მეორეც, უგულებელვყოთ ყოველგვარი ინსინუაციები, საიდანაც არ უნდა მოდიოდნენ ისინი: პირადი ცილისწამების, ლიტერატორებისადმი საიდუმლო წერილების მიწერის, თუ, დასასრულ, ფარდაჩამოფარებული ლიტერატურული ქარაგმების გზით...

49. სადღეისო საკითხები

თბილისი, 19 სექტემბერი

არიან ადამიანები, რომელთაც არასოდეს არ უჭირთ ურთულესი საკითხების გადაჭრა და იოლადაც ახერხებენ ამას, რადგან ყველაფერს საკუთარი გულის კარნახის თანახმად წყვეტენ და სრულიადაც არ საჭიროებენ ცოდნას ფაქტებისას და იმ მოსაზრებებისას, რომლებიც ამ ფაქტებს აპირობებს, მათთვის გამბედაობაც საკმარისია. სწორედ ასეთი გამბედავი კორესპონდენტი შეიძინა „გოლოსმა“ [27] ქ. ფოთში. ბათუმის შემოერთების შემდეგ, იგი მოითხოვს მივატოვოთ ყველაფერი, რაც დავიწყეთ ფოთში და ბათუმში გადავბარგდეთ. რა შეიძლება ამაზე უფრო მარტივი და იოლი განსახორციელებელი იყოს? ვიცხოვრეთ, ვიმუშავეთ ფოთში, ახლა გვაქვს ბათუმი, წავიდეთ ბათუმში, ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ იქ, შემდეგ ისიც მივატოვოთ და გადავიდეთ რომელიმე სანაპირო ქალაქში, რომელიც, რაიმე მოსაზრებების გამო, მოდაში შემოვა. ასე ადვილად, ცხადია, ისეთ მოყიალე ადამიანებს შეუძლიათ მსჯელობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ცხოვრებაში ბრძნული პრინციპით: „როგორმე დღე — საღამომდე მივიტანოთ!“ თუ არის ფოთში სამუშაო, რჩებიან საღამომდე, თუ მობეზრდებათ, მიდიან; ჩინეთის საზღვრამდეც კი ივლიან, მზე ხომ იქაც ანათებს! მაგრამ მკვიდრი მოსახლეობა ამ საკითხს ასე არ უდგება; მოსახლეობა, რომელიც მომავლისათვის იღწვის და ყველაფერს იკლებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს შვილები, ხოლო თუ შვილი არ ჰყავს საკუთარი მოხუცებულობა. ამ საკითხს არც სახელმწიფო უდგება გულგრილად, რადგან არ შეუძლია ყოველ ოც წელიწადში შესცვალოს ეკონომიური ამოცანები, რომელთა განხორციელებაზე მილიონები იხარჯება და ბოლოს ვათგან მხოლოდ მოგონებები დარჩეს: აქა და აქ მუშაობა წარმოებდაო. მიზანი, რომელიც დაისახა მთავრობამ, ააშენოს ფოთის ნავსადგური და გაიყვანოს ფოთი-თბილისის რკინიგზა, სავსებით სწორია როგორც პოლიტიკურად, ასევე სტრატეგიული და ეკონომიური თვალსაზრისითაც. როგორი გზებიც არ უნდა გაიყვანონ შავი ზღვის სანაპიროს ამა თუ იმ პუნქტის გასანვითარებლად, ყველაზე მოკლე გზა თბილისიდან შავ ზღვამდე მუდამ გა-

დიოდა და გაივლის მდ. რიონის ხეობაზე. ფოთი, ცხადია, არ იქნება ამიერკავკასიაში ვაჭრობისათვის ხელმისაწვდომი ერთადერთი პუნქტი და რაც უფრო მეტი იქნება ასეთი პუნქტები მით უკეთესი, მაგრამ რამდენიც არ უნდა იყოს, ერთ-ერთი მათგანი მაინც სხვებზე მნიშვნელოვანი იქნება, დანარჩენები კი თავიანთ ადგილს დაიჭერენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებული მდებარეობა ან ხელსაყრელი დამხმარე ნაგებობები გააჩნიათ, რითაც შეიძლება გავზარდოთ უმნიშვნელო პუნქტის მნიშვნელობაც კი. მაგრამ ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ დროებით, მანამ, სანამ არ მოსწყინდებათ იმის გამაგრება, რასაც ფეხზე დგომა არ შეუძლია. შავი ზღვის ნავსადგურების განვითარების ისტორიის საფუძველზე შეგვიძლია ამ დარგისათვის ჭკუის სასწავლებელი გაკეთილები გამოვიტანოთ. მაგალითად, რამდენი ძალ-ღონე დაიხარჯა იმისათვის, რომ თავისუფალი ვაჭრობისათვის დაესუსტებინათ აზოვის ზღვის ნავსადგურების მნიშვნელობა, ოდესის მნიშვნელობის გასაზრდელად. რამდენი დავიდარაბა დასჭირდა იმას, რომ სევასტოპოლი ურკინიგზოდ დაეტოვებინათ, რათა კონკურენცია არ გაეწია იმავე ოდესისათვის. აზოვის ზღვაზე ახლაც არ არსებობს ზღვაოსნობისათვის რამდენადმე გამოსადეგი ნავსადგური, სამაგიეროდ გვაქვს ისეთი ნავსადგურები, როგორიც მსოფლიოს ჯერ არ უნახავს, ნავსადგურები, სადაც გემები 20 ვერსის დაშორებით უშვებენ ღუზას. მერე რა? მიუხედავად ბუნებრივი დაბრკოლებებისა და მათი აღმოფხვრისადმი ხელოვნური უგულებელყოფისა, ასეთი ნავსადგური ბევრ ისეთ ქალაქს აქვს, რომელსაც მილიონობით ფუთი პური გააქვს. ეს ფაქტი კი ცხადყოფს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო პუნქტის გეოგრაფიულ მდებარეობას მისი განვითარებისათვის. ასე რომ, ძლიერ კონტრბალანსს იწვევს ტოპოგრაფიული მოუხერხებლობა, ე. ი. ქალაქის არახელსაყრელი მდებარეობა ზღვის მიმართ. რა ჯობია იმას, თუ ერთისა და მეორის შეერთებას შევძლებთ და მხოლოდ სასარგებლო მხარეებს მივიღებთ, მაგრამ ამის შესაძლებლობა ყველგან არ არსებობს და ჩვენს დროში, როცა საინჟინრო მეცნიერებას ზღვისა და ხმელეთის დაბრკოლებათა წინააღმდეგ საბრძოლველად ძლიერი საშუალებები გააჩნია, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შავ ზღვაზე არის ერთი მოჯადოებული ადგილი — ფოთი, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა საშუალება უძლური აღმოჩნდა და ამიტომ დაგვრჩა მხოლოდ ერთი გზა: მივატოვოთ ფოთი და სხვაგან გადავიდეთ, სწორედ ასე ფიქრობს ის მოაზროვნე, რომელმაც „გოლოსში" კორესპონდენცია გაგზავნა. ფოთს თავისი ისტორია

აქვს, სადაც სწერია, რომ 1866 წლიდან, როცა ვერ შესძლეს შესასვლელი უძრავი ყორეების მოწყობა, 1872 წლამდე, როცა დამტკიცდა არსებული პროექტი, მთელი დრო სხვადასხვა პროექტების ძიებაში, შედგენასა და დამტკიცებაში დაიხარჯა. ამიტომ ზღვაზე მუშაობა არ წარმოებდა. 1872-დან 1878 წლამდე სამუშაოები ერთი პროექტის მიხედვით წარმოებს და ერთი მიმართულებით. ეს მუდმივი მოძრაობა 400 საჟენი ქვის ყორის აგებით გამოიხატა. თავიდან მათი აგება არ ვარგოდა და სამხრეთის ყორის ნაწილი ქარმა დაანგრია. მაგრამ ამას მოჰყვა მისი შესწორება და ახლა თავისუფლად გაუძლებს ქარიშხალს. ასე რომ, მეორე ექვსწლეული უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. აწი კიდევ დაგვჭირდება ერთი ექვსწლეული ნავსადგურის მოხაზულობის საბოლოო გაუმჯობესებისა და დამთავრებისათვის. ამიტომ შეგიძლიათ გააკრიტიკოთ ნავსადგურის არსებული პროექტი, მიიჩნიოთ მოუხერხებლად, საყვედური გამოთქვათ იმის გამო, რომ მშენებლობა ყოვნდება, გალანძღოთ მშენებლები, მოიჯარადრეები და სხვები, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საჭიროა ფოთი მივატოვოთ, რადგან თითქოს არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ფოთში სწორედ იმიტომ უნდა ავაშენოთ ნავსადგური, რომ ბუნებას იგი არ მოუწყვია, სწორედ ეს ამოცანა იდგა ჩვენი მთავრობის წინაშე — ბათუმის შემოერთებამდე და დგას ახლაც, როცა ბათუმი რუსეთის ქალაქი გახდა, და რომელიც ისეთსავე ყურადღებას მოითხოვს, როგორც რუსეთის ყველა სხვა ქალაქი. მაგრამ ჩვენში ხშირად იგონებენ ერთი არტილერისტის სიტყვებს: ქვემეხი თავისთვისაა, მარტორქა — თავისთვის, ხოლო ცხოვრებაში ჩვენ არასგზით არც გვინდა წარმოვიდგინოთ ქვემეხისა და მარტორქის ერთად არსებობა. თანმიმდევრული რომ გამოჩნდნენ, ჩვენში ან ერთს ქადაგებენ, ან მეორეს. არის ისეთი შემთხვევები, როცა მრავალთაგან ერთის ამორჩევა ლოგიკურად მართლდება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ საჭიროა ერთით დავკმაყოფილდეთ, თუ გვსურს გვქონდეს ყველაფერი, რაც გვჭირდება. განსაკუთრებით ძნელი გამოსაყენებელია ასეთი შეზღუდული სურვილები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომური განვითარების საკითხებში, რაც წარმოადგენს გორდიას კვანძის მეთოდით გასახსნელ ძალზე რთულ და გადაუწყვეტელ ამოცანას. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო ნაკლებ გამოდგება სპეციალური ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტად, მაგალითად ისეთისა, როგორიცაა — ნედლეულის გატანის გაძლიერება და ზღვაოსნობის განვითარება, რომლებიც შავ ზღვაზე ჩვენი მოღვაწეობის დღის წესრიგში დგანან. ყველასათვის

გასაგებია: რაც უფრო ბევრი იქნება სანავსადგურო ქალაქები, მით უფრო იოლი და იაფი იქნება ნედლეულის გადაზიდვა, რაც უფრო ბევრი იქნება ნავსადგურები, მით უფრო ადვილი და უხიფათო იქნება ნაპირის გასწვრივ ცურვა. ქერჩიდან მოყოლებული ბათუმამდე ბუნებამ არ შექმნა არც ერთი მოხერხებული ყურე სავაჭრო ნავსადგურის გასაშენებლად და არა მხოლოდ ბათუმს, არამედ ბათუმსა და ქერჩს ერთადაც კი არ შეუძლიათ უზრუნველყონ ზღვაოსნობა და ვაჭრობის განვითარება აღმოსავლეთის 600 ვერსიან სანაპიროზე. ასეთი დიდი მანძილის უნავსადგუროდ დატოვება არ შეიძლება; ეს აუცილებელი ღონისძიება შეიძლება გადაიდოს. დავიწყებას მიეცეს, მაგრამ იმის იმედით, რომ გვაქვს ერთი კარგი ნავსადგური ბათუმი, ხოლო 600 ვერსის მოშორებით მეორე — ქერჩი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ კავკასიის განვითარებასა და სავაჭრო ფლოტის განვითარებაზე. ჭკუაში არავის მოუვა უარყოს, რომ ვაჭრობისა და ზღვაოსნობისათვის ორივე ნავსადგური მოხერხებულია, მაგრამ ბუნებრივი მიზეზების გამო, რასაც ვერ აღმოფხვრის ვერავითარი პოლიტიკური, სტრატეგიული და სხვა ამგვარი მოსაზრებები, მთელი ვაჭრობა ამ ორ ნავსადგურში ვერ მოიყრის თავს. გრძელი სანაპირო ზოლი, რომელიც დაჯილდოვებულია ბუნებრივი სიმდიდრით და საუცხოო კლიმატით, ვერ დაკმაყოფილდება ბოლოებში მდებარე ორი ნავსადგურით, საიდანაც საქონლის გატანა შეიძლება. ნავსადგური უნდა ჰქონდეს სანაპირო ზოლის ყოველ რაიონს და ისინი უნდა აშენდეს სწორედ იმიტომ, რომ ბუნებრივი ნავსადგურები არ არსებობს. ფოთში ნავსადგური შენდება და უკვე ღრმად შეიჭრა ზღვაში. რისთვისღა უნდა მივატოვოთ იგი? თუ არ ვარგა, უნდა ვთქვათ რატომ და გამოვასწოროთ ის, რაც კეთდება გონებრივი საშუალებებისა და ტექნიკურ მიღწევათა შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ ასეთი საკითხები მხოლოდ იმ ადამიანს აწუხებს, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მხარის ინტერესები და გულმოდგინედ სწავლობს მათ. ხოლო იმ ადამიანისათვის, ვინც ეგოისტური შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს და არგუმენტებს გულიდან მომდინარე რწმენაში პოულობს, ყოველივე ეს უმნიშვნელო ამბავია. რა საჭიროა გარჯა, ფიქრობენ ისინი, მიატოვეთ ყველაფერი! მაგრამ მთავრობა ასე არ ფიქრობს: ორი მილიონი მანეთი, რაც დამატებით გამოყვეს ნავსადგურის პროფილის გასაძლიერებლად, იმას ამტკიცებს, რომ რუსეთი ვერ შემოიფარგლება მარტო ფოთით ან მარტო ბათუმით, რადგან ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისათვის საჭიროა შავ ზღვაზე ათობით კეთილმოწყობილი ნავსადგურის აშენება.

50. კუდის ლიტერატურული ქიცინი

ბატ. „ეს მე არ ვარ“.[62] ბოლოს და ბოლოს გამოეხმაურა ჩემს გამოწვევას. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს რა პასუხია! დიდი ხანია ლიტერატურაში არ გვინახავს ამგვარი კუდის ქიცინი. გეფიცებით, მრცხვენია, როცა ვხედავ ლიტერატორის ღირსების ასეთ დამცირებას თუნდაც მოწინააღმდეგეში...

„ტიფლისკი ვესტნიკის“[3] ფელეტონისტი ამბობს, რომ „ტელემაქიდა“, საიდანაც ჩვენ გრძელი ამონაწერი გავაკეთეთ, სხვა არაფერია თუ არა „ირონია“. თქვენ გახსოვთ ჰაინეს „Reisebilder“-ი? პოეტი გონებამახვილურად ამბობს „ადრე სიბრიყვეს სიბრიყვე ერქვა, ახლა კი, როცა ვინმეს სიბრიყვეში დაიჭერ, იგი გეტყვით, რომ ეს მისი მხრით ირონია იყო და ღირსება გადარჩენილია“. სწორედ ისე, როგორც ბატ. „ეს მე არ ვარ“ აცხადებს. ლექსი, რომელიც მან „ობზორის“[2] იმ სტატიის შესახებ დასწერა, სადაც მკითხველ საზოგადოებას მოვუწოდებდი ყურადღება მიექცია ქალაქის საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის, მარტო ჩვენ არ წაგვიკითხავს. ბატ. „ეს მე არ ვარ“ აბუჩად იგდებდა ამ სტატიას და აცხადებდა: „ობზორის“ საქათმის მამლებმა ნაადრევად მორთეს ყივილიო“. ახლა კი წერს: „თითქოს განგებ, „ობზორის“ სტატია ქალაქის საბჭოს მომავალი არჩევნების შესახებ პირადად მე ძალიანაც მომეწონაო“. მითხარით, გეთაყვა, ნუთუ ვერ მონახეთ სხვა მანერა, რომ გამოგეხატათ თქვენი თანაგრძნობა ამ სტატიის მიზნების მიმართ, გარდა ტელემაქიდური ლექსისა, რითაც ინსინუაციების ნაკადი გადმოაფრქვიეთ „ობზორს“ და, ამავე დროს, არაფერი სთქვით იმ საბჭოს უმსგავსოებაზე, რომელზედაც ვლაპარაკობდით? საზოგადოების ან საბჭოს რომელმა წევრმა მიიღო თქვენი „ტელემაქიდა“ ირონიად? ლექსში ყველამ ის დაინახა, რაც ნამდვილად არის მასში, — ე. ი. უხამსი გამოხდომა „ობზორის“ წინააღმდეგ არსებული საბჭოს შემადგენლობის დასაცავად. ირონიის მომიზეზება უკვე გვიანაა, მით უმეტეს ახლა, როცა საბჭოს წევრების დაცვის ცდა საზოგადოებამ შესაფერისად მიიღო და საკადრისი პასუ-

ხიც გასცა. აი, რატომ მივეცით ჩვენს თავს უფლება თქვენს მიმართ გამოგვეყენებინა ჰაინეს ზემომოყვანილი გამონათქვამი.

თუმცა კუდის ეს ქნევა მხოლოდ ყვავილია. ნაყოფი კი ის ხერხია, რომლის მეშვეობითაც ბატ. „ეს მე არ ვარ"-ს უკან მიაქვს თავისი ინსინუაციები „ობზორის" „შინაური საქმეების" შესახებ. საჭიროდ ვთვლით ამოვწეროთ ყველა ის ადგილი ბატ. „ეს მე არ ვარ"-ის პასუხიდან, რომელიც ამ საკითხს ეხება:

„სამწუხაროდ, არ შემიძლია ბოდიში მოვიხადო „ობზორის" წინაშე, რადგან ჩემს მიერ გამოთქმულ წინადადებაში არც ცილისწამებაა და არც უბადრუკი ქარაგმა (?). უპირველეს ყოვლისა, მინდა შევნიშნო, რომ ჩემს ფრაზაში „რედაქციის შინაური საქმეები" ადმინისტრაციაზე, მეპაიეებზე, სალაროზე და ფინანსებზე არაფერია ნათქვამი. ამიტომ „ობზორის" მიერ მოყვანილი ტირადიდან უნდა ამოაგდონ ყველაფერი, რაც დავთრებს, ანგარიშსწორებას, ციფრებს და ადმინისტრაციას შეეხება. ამის შემდეგ კი მოვითხოვ მიაქციონ ყურადღება იმ გარემოებას, რომ მე ვამბობ „შეეშინდება" და არა „შეეშინდა". ასე რომ, ეს ფრაზა ჩემს პირად ვარაუდს გამოხატავს მომავალზე, ისეთ ფაქტზე, რომელიც ჯერ არ მომხდარა და ამიტომ ვთხოვ ბატ. ნიკოლაძეს სიტყვა „ცილისწამება" ამოაგდოს. რაც შეეხება ინსინუაციებს, ამაზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე გამოვთქვამდი ვარაუდს, ბატ. ნიკოლაძე მომავალში ისეთ რამეს ჩაიდენს, რასაც ჩადის კაცი, რომელსაც რამდენიმე ან რაიმე სამარცხვინო თვისება ახასიათებს. მაგალითად, ვარაუდი იმისა, რომ ესა და ეს კაცი სიუჟეტს მოიპარავს, სხვის ფსევდონიმს გამოამჟღავნებს და ა. შ. შეიძლება ჩაითვალოს ინსინუაციად, მაგრამ თუ მე ვიტყვი ესა და ეს კაცი ეტლით ან ფეხით გაისეირნებს, ვერ გაბედავს გული გადაუშალოს სხვას— ასეთი ვარაუდი არც საწყენია და არც შეურაცხმყოფელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს მცდარია. ვარაუდი იმისა, რომ რედაქტორს მომავალში შეეშინდება გადაუშალოს მკითხველებს საკუთარი გაზეთის შინაური საქმეები, არა თუ არაფერ საწყენს არ შეიცავს, არამედ, პირიქით, რედაქტორის კარგ თვისებაზე მიუთითებს. ამას კარგად გაიგებს ყველა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ლიტერატურულ საქმეებს. რედაქცია ვალდებულია საკუთარი საიდუმლო შეინახოს, და „ობზორი" ცუდად იქცევა, როცა აცხადებს, რომ „შინაურ საქმეებში ისეთი არაფერი გვაქვს, რისი სააშკარაოზე გამოტანაც არ შეიძლებოდესო". ამ მაღალფარდოვან სიტყვაზე შეიძლება ბევრი გვეცინა, მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ, რადგან ვიცი, რომ ეს წინადადება მოუცლელობის გამო წამოც-

დათ. ასე რომ, ბატ. ნიკოლაძის საყვარელი გამოთქმა „ინსინუაციები“ ისევე მისი ფანტაზიის ნაყოფია, როგორც ჩემს ფელეტონში ცილისწამებისა და დაბეზღების აღმოჩენა. ამგვარად, რჩება მხოლოდ ძალზე გაურკვეველი „უბადრუკი ქარაგმა“. „ობზორის“ რედაქცია, ალბათ, ფიქრობს, რომ ქარაგმა ჩაქსოვილია სიტყვაში „შეეშინდება“. უგანათლებულესი გაზეთი ფიქრობს, რომ რადგან არ მითქვამს — „არ მოისურვებს გადაუშალოს“ და ვთქვი — „შეეშინდება გადაუშალოს“, ამით მკითხველს ვაგრძნობინე, რომ „ობზორის“ შინაური საქმეები Lიბნელითა და სიბინძურითაა სავსე. ქარაგმა — ფართო ცნებაა და ყველას აქვს უფლება სტრიქონებს შორის რაც უნდა ის წაიკითხოს, ავტორი კი მხოლოდ საკუთარ სიტყვებზე აგებს პასუხს და არა იმ ხარვეზების შევსებაზე, რომელთაც ავადმყოფური ფანტაზიის წყალობით აკეთებენ. მე თუ ვიტყვი ივან ივანიჩს ეშინია ვინმეს საკუთარი გულის საიდუმლოება გადაუშალოს — ამაში არავითარი ქარაგმა არაა და სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ივან ივანიჩი კანონიერ ქორწინებაზე არ ფიქრობს. აქაც ზუსტად ასეა. თუ მე ვამბობ რედაქტორს შეეშინდება საკუთარი საიდუმლოება, ანუ რედაქციის შინაური საქმეები გაამჟღავნოს, — ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე გადაკვრით ვლაპარაკობ ამ საიდუმლოებათა ჭუჭყიან მხარეებზე. ყველა პატიოსანი რედაქტორი ვალდებულია დაიცვას რედაქციის საიდუმლოებანი და ამიტომ ყველა პატიოსან რედაქტორს ეშინია მათი გამომჟღავნება. ბოლოს და ბოლოს, რა ვთქვი გადაკრულად?.. გადაკრულად ნათქვამი ჩემს სიტყვებში „ობზორის“ რედაქციამ აღმოაჩინა... ამიტომ მანვე აგვიხსნას, — „ობზორის“ რომელ შინაურ საქმეებზე ვლაპარაკობდი, მისი აზრით, ჩემს ფელეტონში ქარაგმულად?“

უფრო დახლართულ საშუალებებს დონ ბაზილიოც კი ვერ მოიგონებდა თავის დასაძვრენად. თუ თქვენ მხედველობაში გქონდათ მხოლოდ ის „შინაური სარედაქციო საქმეები“, რომელთა შესახებ ახლა ვრცლად ლაპარაკობთ, მაშინ რაღა საჭირო იყო იმაზე ლუღლუღი და იმის მტკიცება, რომ „ობზორის“ რედაქციას შეეშინდება მათი სააშკარაოზე გამოტანა? გარდა ინსინუაციისა, სხვა კიდევ რა აზრი უნდა ჰქონოდა თქვენ ფრაზას? ანდა რატომ არ სთქვით „ტიფლისკი ვესტნიკზე“, ან რომელიმე სხვა გაზეთზე, რომ მას შეეშინდება საზოგადოებას თავისი კორესპონდენტების სია გააცნოს? ამის მსგავსი თქვენ არასოდეს არაფერი გაგიკეთებიათ, ამიტომ როცა „ობზორის“ შინაურ საქმეებზე“ დაიწყეთ ლაპარაკი — თქვენი სიტყვები ჩვენ ან გადაკრულ სიტყვად უნდა მიგვეღო, ანდა გიჟად უნ-

და ჩაგვეთვალეთ, და რადგან ამის უფლება არ გვაქვს, ამიტომ ძალაუნებურად პირველ აზრს დავადექით.

ბატ. „ეს მე არ ვარ“ კითხულობს:

„თუ ამგვარი მოქმედება (თითქოს „ობზორი“ განუკითხავად ლანძღავს ყოველგვარ წამოწყებას და საკუთარი მრწამსი არ გააჩნია) რომელიმე გაზეთის მიმართ დაბეზღება და ინსინუაციებია, მაშინ რაღა უნდა ეწოდოს ბატ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმულ აზრს ბატ. ქუთაისელზე, ბ. ღოღობერიძეზე, ანტონ ფურცელაძეზე, ღამბაროვზე, დოქტორ სცეპურაზე და პიროვნებათა მთელს მასაზე. რომელთაც ჩვენმა კავკასიელმა ბერნემ ქუჩური მჭევრმეტყველების მარგალიტები გადმოაფრქვია?“

მაგრამ იცით თუ არა, ბატ. „ეს მე არ ვარ“, რომ თქვენს გადაკრულ სიტყვებსა და ჩემს მიერ გამოთქმულ აზრს შორის, სულერთია ვისაც არ უნდა ეხებოდეს იგი, გაუვალი უფსკრულია. მე არავის არ შევხებივარ და არავიზე არ მითქვამს გადაკრული სიტყვა ისე, რომ ხელთ არ ჰქონოდა კონკრეტული ფაქტების მთელი არსენალი და ბრალდებები. როცა ასეთ ფაქტებს მოვიმარაგებდი, მე მხოლოდ მაშინ ვაძლევდი ჩემს თავს უფლებას გამომეთქვა ჩემი აზრი, რომელიც დაფუძნებული იყო ამა თუ იმ ფაქტზე. და თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ჩემს მიერ გამოთქმული აზრი უსამართლო, არასწორია და ასე შემდეგ — მე ნაწილ-ნაწილ ან ერთად გამომქონდა სახალხოდ ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები. არასოდეს არ დავმალვივარ მოწინააღმდეგეს და ყოველ ჩემს აზრს უკან ყველა ხედავდა არა მარტო არგუმენტებისა და დამამტკიცებელი საბუთების მთელ არსენალს, არამედ ცოცხალ ადამიანსაც, რომელიც მზად იყო საკუთარი თავისუფლება და სისხლი გაეღო უსამართლობის წინააღმდეგ და საკუთარი აზრის მიუკერძოებლობისათვის. სულ სხვა იქნებოდა მე რომ შეუღწეველ ნიღაბს ამოვფარებოდი და უფლება მიმეცა ჩემი თავისათვის დროდადრო ქარის მოტანილი უნიადაგო ქარაგმები მეხმარა. მაშინ ასეთი ქარაგმებისათვის გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენებდნენ და განმარტებებსა და დამამტკიცებელ საბუთებს მომთხოვდნენ, მე კი იძულებული ვიქნებოდი კუდის ქიცინი დამეწყო და შემტკიცებინა: ეს მე არ ვარ დამწერი, რომ ამაში არავითარი ქარაგმა არაა, ეს მხოლოდ მარტივი, არაფრის მთქმელი ფრაზა ან ირონიაა, მე რომ ზმნა წარსულ დროში მეხმარა, მაშინ ჩემს სიტყვებს სხვა აზრი ექნებოდა, მაგრამ რადგან მომავალ დროში ვიხმარე, სულ სხვა აზრი აქვს და ასე შემდეგ. აი, სწორედ ამას ჰქვია „ინსინუაციები“, ხოლო ჩემი ჩვეულებრივი ხერხები, რაც ფაქტებს, დამამტკიცებელ საბუთებს და მოსაზრებებს ემყარება, არ შეიძ-

ლება ინსინუაციებად ჩაითვალოს. ისინი წარმოადგენენ სახალხო ბრალდებას, სახალხოდ მსჯელობას საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობაზე და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამგვარი ბრალდება და მსჯელობა ყველა წესიერ ლიტერატურაშია მოსათმენი. ხოლო ინსინუაციები არა მარტო წესიერ ლიტერატურაში, არამედ წესიერ საზოგადოებაშიც კი ზიზღისა და სიძულვილის მეტს არაფერს იწვევს...

ნუთუ თქვენ არ გესმით ასეთი მარტივი ამბები? მე ეს უკვე ავუხსენი თქვენს ბატ. „ქუთაისელს". ხოლო თქვენ თუ ასეთი ელემენტარული და ანბანური ჭეშმარიტებების სწავლა გჭირდებათ, მაშინ რა სინდისით იღებთ ხელში კალამს?

ქვემოთ ბატ. „ეს მე არ ვარ" წერს:

„თქვენ ხომ მატყუარების და ცილისმწამებლების მასასთან არა გაქვთ საქმე? რატომ მხოლოდ თქვენა გყავთ ამდენი მტერი, რომლებიც მუდამ მზად არიან თქვენს წინააღმდეგ ყოველგვარი სიბინძურე ჩაიდინონ. რატომაა, რომ არ არის არც ერთი ადამიანი, რომელსაც თქვენ ეკამათებით, თვლიდეთ წესიერ კაცადაც, არ მიგაჩნდეთ პირად მტრად, რომლებსაც თქვენ ასე ბევრს ითვლით?..."

ეს სხვა არაფერია თუ არა ლიტერატურული თაღლითობა. დაგვანახეთ სად და როდის გამოაცხადა ბატ. ნიკოლაძემ ვინმე პირად მტრად? ვინ მიაწერა პირადი მტრების რიცხვს? იქნებ ბ. ღოღობერიძე ან „ქუთაისელი", იქნებ თქვენ ბატ. „ეს მე არ ვარ". თქვენთვის ეს დიდი პატივი იქნება!

ბევრ მწერალთან გვქონია ჩვენ კამათი, მაგრამ პირად მტრად, მატყუარად და ცილისმწამებლად მანამდე არავინ გამოგვიცხადებია, სანამ მკითხველებს არ დავუმტკიცებდით, რომელიმე მათგანის მატყუარობას და ცილისმწამებლობას. როგორ გგონიათ, ჩვენ არ გვქონდა უფლება ბატ. „ქუთაისელისათვის" მატყუარა და ცილისმწამებელი გვეწოდებინა, როცა თვით „ტიფლისკი ვესტნიკი" გახდა იძულებული ემხილა იგი, როგორც მატყუარა და ცილისმწამებელი. როცა საქმე გვაქვს ლიტერატურულად უმწიფარ ხალხთან და ისეთ ადამიანებთან, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ ლიტერატურული წესიერების ძირითად ცნებებზე, მწერალი მუდამ ასეთ შედეგამდე მივა. როცა შეეჩეხება სიცრუის, ცილისწამების და ინსინუაციების მთელ კედელს, მწერალი მისდაუნებურად იტყვის, რომ ეს სიცრუე, ცილისწამება და ინსინუაციაა. გაგერჩიათ ჩვენი აზრი, უარგეყოთ ისინი ლიტერატურული იარაღით, არ შემოგეტანათ მასში ინსინუაციები, სიცრუე და ცილისწამება, და მაშინ ჩვენ თქვენთანაც ისეთი კამათი გვექნებოდა, როგორიც სხვა პატიოსან და გონიერ ოპონენტებთან გვაქვს. მაგრამ თქვენ იმდენად უმართებულო ხართ,

რომ ბედავთ ამტკიცოთ, თითქოს „არ არსებობს არც ერთი კაცი, ვისთანაც მე კამათი მქონია, რომ პირად მტრად არ მეღიარებინა იგი“. პატიოსანმა ადამიანებმა, როცა მათთან კამათი გვქონია, ჩვენი პოლემიკის შესახებ დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნა გამოიტანეს. და რადგანაც აუცილებელია ყველაფერი დაგიმტკიცოთ, ამიტომ ვიღებთ „რუსსკაია გაზეტას“ [75] უკანასკნელ ნომერს (30 აგვისტო, № 163) და გაწვდით მისი ფელეტონისტის აზრს „ობზორთან“ პოლემიკის შესახებ:

„ძნელია ამგვარი ლიტერატურული მოღვაწეობა: ლიტერატურულმა მეწარმეებმა ლიტერატურა ხელობამდე და იმ საფეხურამდე დაიყვანეს, სადაც მხოლოდ დედაკაცური თავაშვებული ჭორიკობა და უსირცხვილო მხილება ისმის, რაც საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მოსწონს და ამით ამრავლებენ და ამკვიდრებენ გარკვეული თვისების სავაჭრო, სამრეწველო ბეჭდვით სიტყვას. სავაჭრო ბეჭდვით სიტყვაზე მე არა ერთხელ მილაპარაკია, მაგრამ ბოროტების დევნა მუდმივადაა საჭირო. სანამ ამ საკითხზე გადავიდოდე, მინდა დავუპირისპირო მას ლიტერატურული ურთიერთობის ისეთი პატიოსნების მაგალითი, როგორიც, უმეტეს შემთხვევაში, კარგა ხანია დაკარგა დედაქალაქის პრესამ. ამგვარი პატიოსნება, როგორც მსხნელი შტო, შემორჩა მხოლოდ პროვინციულ გაზეთს სადღაც იქ, კავკასიაში, თითქმის არარატის მთაზე, რომელმაც ოდესღაც კაცთა მოდგმა და ნოე იხსნა.

„ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ჩემს ფელეტონში მომიხდა შემენიშნა შეცდომა, რომელიც უნებლიეთ დაუშვა „ობზორის“ რედაქციამ საკუთარი მოსკოველი რეპორტიორის წყალობით. როგორც მკითხველს ახსოვს, შეცდომა აღვნიშნე მკვახედ და მოურიდებლად. და მერე რა?!.. ჩვენი დედაქალაქის პრესა, რომელიც გაიცვითა კამათით ისეთ თემაზე, როგორიცაა — „ცხვირპირი თუმცა დავისისხლიანეთ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ“, — ასეთ შემთხვევებში არაფრის გულისთვის არ სცნობს საკუთარ შეცდომას, პირიქით, ჩვენი სატახტო ქალაქის პრესის ორგანოები, გამომუშავებული თვისებების წყალობით, ასეთ შემთხვევებში თავის დაძვრენის სხვადასხვა ხრიკებისა და ახალ-ახალი თავდასხმების საშუალებით მკითხველის გამოუცდელი თვალის მოტყუებას და სხვა ამდაგვარს მიმართავენ. მაგრამ ასე არ მოიქცა პატიოსანი და წმინდა ლიტერატურული მიზნების დამცველი პროვინციული გაზეთის „ობზორის“ რედაქცია. ჩვენი ახსნა-განმარტება გაზეთმა სიტყვასიტყვით გადაბეჭდა და ამგვარი განცხადება წაუმძღვარა:

„სამართლიანობა მოვალედ გვხდის გავაცნოთ „ობზორის“

მკითხველებს „რუსსკაია გაზეტას“ ქვემომოტანილი ახსნა-განმარტება, რაც გამოიწვია ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტის წერილმა ამ გაზეთის გამომცემლობის შესახებ. ჩვენ პრინციპად გვაქვს დასახული არაფერი არ დავუმალოთ „ობზორის“ მკითხველებს, არც ჩვენი შეცდომები და არც ოპონენტების უარყოფა და მოსაზრებები. ამიტომ ჩვენ დღეს მეტი სიამოვნებით ვაძლევთ მათ სიტყვას, რადგან, ამჯერად, ჩვენ მართალნი არა ვართ“ და სხვა.

„როცა ასე გულწრფელად, პატიოსნად აღიარებენ საკუთარ დანაშაულს და აქვე მოჰყავთ მოწინააღმდეგის ძირითადი მოსაზრებები და დამამტკიცებელი საბუთები — მადლობის მეტს მე ვერაფერს შევუთვლი — „ობზორს“ პასუხად... როგორც ზოგიერთი ფილოსოფოსი ამბობს, მადლობა პატიოსნებისათვის... დიახ, ჩვენს თაღლითურ საუკუნეში, როგორც სიტყვით, ისე საქმით, პატიოსან ადამიანს ხვდები, სიხარულისაგან ჭკუას კარგავ და მზადა ხარ მადლობა გადაუხადო არა მარტო პატიოსნებისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ ადამიანია, ე. ი. მეტყველ არსებებს განეკუთვნება და არა უტყვს.

„ამჯერად თვითონ ჩვენ ვცდებით“, „ჩვენ შეეცდებით აგიხსნათ ყველაფერი, მაგრამ ამით ჩვენი დანაშაულის შემსუბუქებას არ ეფიქრობთ“, ამბობს „ობზორი“ და, ამასთან ერთად, ჩვენ მკვახე წერილს, სადაც მის შეცდომაზე ვუთითებთ, საკუთარ ფურცლებზე ბეჭდავს. განა ბევრი გაბედავს ჩვენი დედაქალაქის ეგრეთ წოდებული მნიშვნელოვანი პრესის ორგანოებიდან ასე პირდაპირ აღიაროს საკუთარი შეცდომა, განა იტყვის რომელიმე მათგანი გულახდილად, ყოველგვარი ხრიკების გარეშე, რომ „ამჯერად თვითონ ჩვენ ვცდებითო?“... როგორ გეკადრებათ, პოლემიკისას აღიარო ის, რომ მართალი არა ხარ, რომ შეცდომა დაუშვი, — დიახ, გაცვეთილი პრესის საერთო აზრით, რომლის დევიზია — „ცხვირპირი თუმცა დავისისხლიანეთ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ“, — იმას ნიშნავს, რომ აღიარო საკუთარი უძლურება, სცნო მოწინააღმდეგის უპირატესობა, დაამცირო საკუთარი ღირსება და თვისებები, დაამხო საკუთარი თავი და ძირი გამოუთხარო საკუთარ მოღვაწეობას და ასე შემდეგ“.

აი, როგორ ვეკამათებით ჩვენ პატიოსან მოწინააღმდეგეს. იმ მოწინააღმდეგეებთანაც, რომელთაც არც ზნეობრივი სიფაქიზე გაიჩნიათ და არც ჭკუა, ჩვენ ჩვენი პოლემიკური ხერხების გამოყენება ვცადეთ. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. „დედაკაცურ ჭორიკნობას“ ინსინუაციებსა და ცილისწამებას ბოლო არ უჩანდა. მაშინ ჩვენ მათ წინააღმდეგ მათივე იარაღი გამოვიყენეთ, ამის შემდეგ

კი ატირდნენ და ჩვენ ავკაცობა და არაადამიანური ქცევა გვისაყვედურეს. იტირონ რამდენიც უნდათ, მთავარი ისაა, რომ ამ საშუალებებმა იმოქმედა: ბატ. „ქუთაისელი“ გაჩუმდა. ბატ. „ეს მე არ ვარ“ აცხადებს, რომ აწი ჩვენს პირადულ გამოხდომებს აღარ უპასუხებს. ამასვე აცხადებს ბატ. ღამბაროვიც. დიახ, ჩემო ძვირფასებო, ჩვენ სწორედ იმას ვესწრაფოდით, რომ უარი გეთქვათ ინსინუაციებსა და პირადულ გამოხდომებზე, რომ ლიტერატურული კამათი ლიტერატურულ კამათად დარჩენილიყო. თუკი ამას მივაღწევთ, და ისიც ასე იოლად, მაშინ ჩვენ არ ვნანობთ, რომ ხელები გავისვარეთ. მოვეჭიდეთ თქვენსავე იარაღს და აღმოვფხვერით თქვენში არალიტერატურული კამათისაკენ მიდრეკილება. ამით ჩვენ მხოლოდ ის დავამტკიცეთ, რომ ყოველ ჯოხს, ჭუჭყიანსაც კი, ორი ბოლო აქვს. ხოლო ჩვენი მკითხველები, რომელთაც ჩვენი სუფთა ხელები ადრე უნახავთ, და კვლავაც ნახავენ მომავალში, ხალისით გვაპატიებენ წუთიერ გაჭუჭყიანებას, რაც ამ იძულებითი ოპერაციის ჩატარების პროცესში მოგვიხდა. მაგრამ თუ, როგორი გამოცხადდებით თქვენ თქვენი მკითხველების წინაშე უიმჯობოდ, რომელიც თქვენი ერთადერთი ძალა და ორიგინალობაა, ამას ჩვენ დავინახავთ. ამის დანახვა. ყველასათვის დიდად და დიდად საინტერესო იქნება...

51. პასუხი ბატონ ღამბაროვს

თბილისი, 22 სექტემბერი

დღეს ხელახლა გადავიკითხეთ ყურადღებით „ტიფლისკი ვესტნიკის“[3] 206-ე და 209-ე ნომრებში დაბეჭდილი ბატ. ღამბაროვის სტატიები, რომლებიც დაწერილია ჩვენს მიერ მისი რეფერატის — „შენიშვნები 1877 წლის მოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების მერყეობის შესახებ“ გარჩევის პასუხად. გარჩევა დავწერეთ არა ბინძური ინსინუაციებისა და მახინჯი მხარეების მისათითებლად, როგორც ამას ბრძნულად გამოთქვამს ავტორი, არამედ ერთადერთი მიზნით — გაგვერკვია რეფერატის მეცნიერული ღირსება. ცხადია, ჩვენ არ ვიცით რას ფიქრობდა ბატ. ღამბაროვი, როცა ამ რეფერატს წერდა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რაც მან გამოთქვა და მის გამონათქვამში უნდა ვეძიოთ—თუ რა აზრისაა იგი ამ საკითხებზე, აზრები მცდარად იყო გამოხატული და ჩვენი ბრალი არ არის, რომ მივუთითეთ ამ შეცდომებზე. მაგალითად, ბატ. ღამბაროვი წერს:

„ახალმოჭრილი ფული ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში უპირველეს ყოვლისა მოიჯარადრეების და პროვიანტით, ფურაჟით, ტანსაცმლითა და იარაღით მომმარაგებლების ხელში გადადიოდა. ეს ფული იწვევდა გაძლიერებულ მოთხოვნილებას ისეთ საგნებზე, რაც უშუალოდ ომისათვის იყო აუცილებელი“.

ეს ნაწყვეტი სიტყვასიტყვით ამოწერილია ბატ. ღამბაროვის რეფერატიდან. რამდენმა ასეულმა კაცმაც არ უნდა წაიკითხოს ეს სტრიქონები და თუნდაც 70 სწავლულმა განგვიმარტოს იგი, არ შეიძლება მათში სხვა რამის დანახვა, გარდა იმისა, რაც წერია: ახლად მოჭრილი საკრედიტო ბილეთები მოიჯარადრეების ხელში მიდიოდა და ზრდიდა მოთხოვნილებას ისეთ საგნებზე, რაც უშუალოდ ომს სჭირდებოდა. ასე რომ, აზრის მცდარად გამოთქმამ გამოიწვია ის აბდაუბდა, რაზედაც მივუთითებთ; სახელდობრ: თითქოსდა ახალი საკრედიტო ბილეთების მოჭრა იყოს ომისათვის აუცილებელ საგნებზე მოთხოვნილების გაზრდის მიზეზი. სწორედ ამ აზრს შეიცავს

ბატ. ღამბაროვის მიერ დაბეჭდილი ფრაზა. თუ იგი მეცნიერულ გამოკვლევას წერს, მისი მოვალეობაა შეასწოროს აღნიშნული შეცდომა, განგვიმარტოს, რის თქმა უნდოდა და რატომ სხვა არაფერი თქვა, გარდა არეულ-დარეული დებულებისა. თუმცა, აღიარებდა იგი თუ არა საკუთარ შეცდომას, ეს მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას არავითარი უფლება არ ჰქონდა დაებრალებინა ჩვენთვის, თითქოსდა მისი აბუჩად აგდების მიზნით განგებ დავამახინჯეთ მისი აზრები, ხოლო ჩვენ, ჩვენის მხრივ, არაფრად არ გვჭირდებოდა მისი აზრების დამახინჯება, რადგან ბატ. ღამბაროვის რეფერატი თავისთავად წარმოადგენს ელემენტარული ეკონომიური ცნების დამახინჯებას.

შეცდომის ცნობასა და გასწორებას ბატ. ღამბაროვმა ამჯობინა ჩვენთვის ღრმა უმეცრების დაბრალება.

„ობზორის“ ² კრიტიკოსს რომ მოესურვებია და ცოტათი მაინც გასცნობოდა იმას, რასაც ქაღალდის ფულზე სწერდნენ, ანდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი რომელმე ტრაქტატი გადაეკითხა. — ამბობს ღამბაროვი, — მაშინ მისთვის უცნობი არ იქნებოდა პოლიტიკური ეკონომიის მიერ დადგენილი ამგვარი ელემენტარული დებულება. და ამის შემდეგ კი ბატ. ღამბაროვს მოჰყავს მთელი რიგი აფორიზმებისა, რომელთაგან ყველაზე სწორი ისაა, რომ:

ქაღალდის ფულის გამოშვება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ომის საჭიროებისათვის, არამედ საწარმოო მიზნებით — როგორიცაა, მაგალითად, თხრილების გათხრა, რკინიგზების გაყვანა.

ამ აზრის უარყოფა არასოდეს არავის არ უფიქრია, მაგრამ რისთვისღა გახდა ეს საჭირო ბატ. ღამბაროვის მიერ გამოთქმული მცდარი აზრის დასადასტურებლად—საკრედიტო ბილეთების გამოშვების მნიშვნელობაზე ომისათვის საჭირო საგნებზე მოთხოვნილების გაზრდაში? როცა საკრედიტო ბილეთებს გამოუშვებ, იმით, რა თქმა უნდა, დენთისა და ტყვიის ყიდვაც შეიძლება, ბარისა და სახნისისაც. შეიძლება მწარმოებლურადაც გამოიყენო, ე. ი. იმ მიზანს, იმ განვითარებას მიაღწიო, რაც თავიდან იყო გათვალისწინებული, ანდა შეიძლება ისე დახარჯო, რომ გარდა ხარჯისა არაფერი მოხდეს... მაგრამ წაუკითხავს თუ არ წაუკითხავს კრიტიკოსს მეცნიერული ტრაქტატი, მას უფლება აქვს და მოვალეა გაიგოს განხილული სტატია მისი პირდაპირი მნიშვნელობის მიხედვით და არა ისე, როგორც ფიქრობდა, მაგრამ ვერ დასწერა მისმა ავტორმა. ბატ. ღამბაროვო, დასწერეთ იმგვარი ჭეშმარიტებანი, რომლებიც ასე მართებულად გამოხატეთ უკანასკნელ ამონაწერში და არავინ არ აგიგდებთ მასხრად. ყველაზე დიდი უსიამოვნება თქვენთვის შეიძ-

ლება ის იყოს, რომ თქვენი ნაწერები არავის არ დააინტერესებს და არავინ არ წაიკითხავს თქვენს რეფერატს, მაგრამ თქვენ ეს აღარ გეხებათ! თქვენ თქვენი საქმე კარგად გააკეთეთ!

სხვისი გამოთქმების თვითნებურად გაგება — ცუდია! ჩვენ ვიხმარეთ გამოთქმა კონსერვატულ-პატრიოტული ნიადაგი, რომლის გამო ბატ. ღამბაროვი ფრჩხილებში შენიშნავს: „წაიკითხეთ — სომხური“... რატომ „სომხური“ და არა „რუსული“, „ქართული“, „თათრული“ და ა. შ. რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ კონსერვატორები, მაინც კონსერვატორებად დარჩებიან და, რადგან წინსვლა არ სურთ პირადად მათ, ზოგჯერ ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვისაა ასე საჭირო. ამ შემთხვევაში, ეს, რა თქმა უნდა, ფარისევლობაა: რომელიმე ცნობილი ხროვის პირად თვალსაზრისსა და სახელმწიფოს საერთო ინტერესებს შორის ყოველთვის როდია სოლიდარობა. აი, რატომაა, რომ გამოთქმა კონსერვატორულ-პატრიოტული ნიადაგი — ყოველთვის არ გამოხატავს პატრიოტიზმს, მაგრამ ეს სრულიადაც არაა სომეხი ტომის განსაკუთრებული მონოპოლია და თანაბრად ვრცელდება ყველა სხვა ხალხზეც. ამ გამოთქმის ჩათვლა ინსინუაციად, და ისიც ბინძურ ინსინუაციად, სომეხი ხალხის ან პირად ბატ. ღამბაროვის წინააღმდეგ. შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ბინძური ფრაზის თქმა გინდა და არც კი იცი, დროულია ეს ფრაზა თუ არა. ამიტომ, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი გამოთქმის ქარაგმულ სიტყვად მიღება შეუძლია მხოლოდ ავადმყოფურად თავმოყვარე ადამიანს, როცა, გოგოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოთქმა — „ქალაქში სულელია“—უკვე პიროვნებას ნიშნავს *. მე ამ ქალაქის მცხოვრები ვარ, იტყვის ზოგიერთი, გამოდის რომ მეც სულელი ვარ, ე. ი. იმ წამსვე მიხვდება, რაშია საქმე. არა, ბატ. ღამბაროვო, როცა თბილისში არსებულ სიძვირეზე ვწერთ, ჩვენ კალამს ვიღებთ ხელში არა ამგვარი პირების გამო და არა ინსინუაციებისათვის, არამედ გულწრფელად გვსურს რამდენადმე მაინც ავხსნათ და შევასუსტოთ ბოროტება, რომლისგანაც ჩვენ ყველა, თბილისის მოქალაქეები, ვიტანჯებით. ჩვენ შორის არიან მდიდარი ადამიანებიც, რომელთაც შეუძლიათ თვეში ათასი მანეთი დახარჯონ, მაგრამ უფრო მეტია ისეთი, რომელიც მთელი წლის თავაუღებელი შრომითაც ვერ მიიღებს ამდენს.

---

* საუკეთესო დამამტკიცებელი ამისა — ამავე კრიტიკოსის სტატიაა ზღვაოსნობისა და ფინანსების შესახებ, სადაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება გამოთქმა — „პატრიოტულ-კონსერვატორული წამოძახილები“, გვხვდება მაშინ, როცა ლაპარაკია ბატ. კოკორევზე, პოლიაკოვსა და ვოლდემარზე. იქნებ ისინიც სომხები არიან?

როგორ უნდა იცხოვრონ და არჩინონ ოჯახი ასეთმა ადამიანებმა, როცა 10 გირვანქა ხორცი 1 მან. 50 კაპ. ღირს. ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც საზღვარი შეშის, ბინის, მოხმარების ყველა საგნის სიძვირეს? ომი, რასაც აქამდე იმიზეზებდნენ, დამთავრდა. ჯარი უკან ბრუნდება. მათი რიცხვი ამიერკავკასიაში შემცირდა. ფასები კი არა თუ კლებულობს, პირიქით, იზრდება. ფასების ზრდა ქაღალდის ფულის კურსის დაცემის პროპორციულად კი არ მატულობს, არამედ ბევრად წინ უსწრებს ამ მატებას. არ არსებობს შედეგი უმიზეზოდ, სიძვირესაც აქვს თავისი მიზეზი, მაგრამ ეს მიზეზი ომი კი არაა, რომელიც უკვე დამთავრდა, არამედ რაღაც სხვა, დაუსრულებელი, რასაც სიძვირე და ტანჯვა ნოაქვს. თუ რვეულებიდან პოლიტიკურ-ეკონომიურ აფორიზმებს კი არ ამოვწერთ, არამედ ბაზარში გავალთ სავაჭროდ, მაშინ ჩვენ უცბად წავაწყდებით ერთსა და იმავე ფასს ერთსა და იმავე საქონელზე, ე. ი. ვაჭრების შეფიცვას. რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისში არავითარი კონკურენცია არ არსებობს. თუ ამ ერთნაირი ფასების კვალს გავყვებით, მეორე მოვლენას, — მონოპოლიას, აღმოვაჩენთ, რასაც ცალკეული პირები ან მთელი კომპანიები სხვადასხვა საგნების შესყიდვით ქმნიან. მაგრამ თბილისის ბაზარში ვერ შევხვდებით იმას, რაც ყველა ევროპულ ქალაქში არსებობს: პირველი მოხმარების საგნების არჩევის შესაძლებლობას უშუალოდ მწარმოებელთან. პირველი ხელიდან. მხოლოდ შემოდგომაზე ჩამოაქეთ ახლომდებარე სოფლებიდან ურმებით კომბოსტო. კარტოფილი და სხვა. მაგრამ მწარმოებელი მუდმივად არ ვაჭრობს ამ პროდუქტებით თბილისში. ყველაფერი შეისყიდება და ნაწილდება ვაჭართა შორის არა იმ თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე. რასაც ეკონომიური მეცნიერება ქადაგებს, არამედ მთელი მოსახლეობის ექსპლოატაციის გზით, რამდენიმე კაცის მონოპოლიის წყალობით. აი, ამ ბოროტების აღმოფხვრაა საჭირო და პოლიტიკური ეკონომიის ჭეშმარიტებანი აქ არაფერში გამოგვადგება: საჭიროა ადმინისტრაციული ღონისძიება, ენერგია, მოქმედება. უნდა შეიქმნას ის, რაც თბილისში არ არსებობს, ე. ი. თავისუფალი ვაჭრობა. ამისთვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეფიცვის აღმოფხვრა. დაწყებული თუნდაც თულუხჩებიდან, რომელთაც ქალაქი დაინაწილეს და მთელ მოსახლეობას იჯარას ახდევინებენ. მაგრამ ძნელია ამას მოველოდეთ ჩვენი ახალგაზრდა თვითმმართველობისაგან, რომელმაც ჯერ მხოლოდ ორატორები შექმნა, მაგრამ საზოგადო მოღვაწეები ვერ მოგვცა. ასე რომ, როგორც შჩედრინი გვირჩევს, „უნდა მოვიცადოთ“.

პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 23 სექტემბერი

როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო ლორდ ბიკონსფილდის დიპლომატიური წარმატება ბერლინის კონგრესზე [20], მან მაინც ვერ შესძლო შეეცვალა მოვლენათა ისტორიული მსვლელობა. ეს უკანასკნელი აგრძელებდა განვითარებას ხალხის ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად, იმ ჩარჩოებისაგან დამოუკიდებლად, რომელში მომწყვდევაც გადაუწყვიტა საერთაშორისო ცხოვრებას ევროპულმა დიპლომატიამ. ამასთანავე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოვლენები სულ სხვა მიმდევრობით განვითარდა, ვიდრე ამას სახელგანთქმული დიპლომატები ითვალისწინებდნენ, და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის სიძნელეები სულაც იმ ადგილებში არ აღმოჩნდა, სადაც ისინი ითვალისწინებდნენ. ევროპას არც ეგონა, თუ რუსეთის ჯარი ასე მალე დასტოვებდა ბალკანეთს, მაგრამ როგორც კი ბერლინის ტრაქტატის რატიფიკაცია მოხდა, ჩვენი ჯარები მაშინვე დაიძრნენ რუსეთისაკენ. დიპლომატიური მონაცემების თანახმად, ლაზები და ქობულეთელები მოკვდებოდნენ და ბათუმის ოლქს რუსეთს არ დაუთმობდნენ, სინამდვილეში კი ამ მეომარმა ტომებმა და ყარსის მოსახლეობამ ნებაყოფლობით ჩააბარა იარაღი, რის წართმევაც თურქეთმა ძალითაც ვერ შესძლო. რუმინელები იფიცებოდნენ — ბესარაბიას რუსეთს არ დავუთმობთო, მაგრამ წინააღმდეგობის გაუწევლად დათმეს. სამაგიეროდ ავსტრია-უნგრეთი, რომელიც, გასართობი გასეირნების ნაცვლად, ბოსნიაში ძლიერ ბრძოლებსა და წინააღმდეგობას წააწყდა, იძულებული შეიქმნა მთელი თავისი ძალების ნახევარის მობილიზაცია მოეხდინა და ჯერ არც კი იცის, ვის ებრძვის: ინსურგენტ-მუსულმანებს, აჯანყებულ ქრისტიანებს, თუ თვით თურქეთს? კუნძულ კვიპროსის დაპყრობა იაფი დაჯდა და დროც ცოტა დასჭირდა, მაგრამ იქ დარჩენა მეტად გაჭირდა გაგზავნილი ჯარის საშინელი ავადმყოფობის გამო, და კუნძულის მტკიცედ შენარჩუნებისათვის გაწეული ხარჯების სიდიდე, როგორც ჩანს, სულაც არ ნაზღაურდება მოპოვებული მდგომარეობის სარგებლიანო-

ბით. ინგლისელების ბატონობა მცირე აზიაში, 4 ივლისის ხელშეკრულების წყალობით, ისეთი სურვილი აღმოჩნდა, რაზედაც თურქები სულაც არ თანხმდებიან. ჩვენ შეგვეძლო გაგვეგრძელებინა დიპლომატიურ იმედგაცრუების ჩამოთვლა, მაგრამ ესეც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საუკეთესო რომანიც კი არ გამოდგება პოლიტიკური სისტემის საფუძვლად.

მისტერ დიზრაელის მართლაც იშვიათი შემთხვევა ხვდა წილად: დასწერა ფანტასტიკური რომანი, რომელშიც საკუთარი ქვეყნის ღირსების იდეალიზაციას ეწევა, და ბედმა ისეთი მტკიცე მდგომარეობა შეუქმნა, რომ თავისი პრაქტიკული ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით, შეეძლო ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ფურცელ-ფურცელ განეხორციელებინა საკუთარ წიგნში დახატული სურათები და ამავე დროს დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ლორდ ბიკონსფილდი შესძლებდა წარემართა საერთაშორისო ცხოვრება და მისი მოთხოვნილებები ისევე უბრალოდ და იოლად, როგორც პარლამენტის ოპოზიციას აიძულებდა გაჩუმებულიყო და მის ნებას დამორჩილებოდა. მაგრამ სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწის შესაძლებლობა ძალზე სუსტი აღმოჩნდა და იმის მაგივრად, რომ მოვლენებისათვის გაეწია ხელმძღვანელობა, იგი თვით გაიტაცეს მოვლენებმა იქითკენ, სადაც ყველაზე ნაკლებად შეიძლება წინსვლა, თურომ ინგლისის დიდებაზე და კეთილდღეობაზე ფიქრობ. ასეთი დრამატული მდგომარეობა ეგრეთ წოდებული ისტორიული მოღვაწეების, რომელთაც სურთ მთელი მსოფლიო საკუთარ ნებას დაუმორჩილონ, გამონაკლისი არაა და შეიძლება ითქვას, რომ სრულიად ნორმალური მოვლენაა. საჭირო არაა შორეულ წარსულს გადავწვდეთ. მოვიგონოთ თუნდაც ნაპოლეონ I, უდიდესი ადამიანი ყველა გენიალურ მხედართმთავართა და მმართველთა შორის, რომელიც ისე გატაცებული იყო თავისივე წამოწყებული ომებით, რომ ცხოვრება წმინდა ელენეს კუნძულზე დაამთავრა. ნაპოლეონ I-მა ბევრი დიდება, სიმდიდრე და სახელი მოუპოვა საფრანგეთს, მაგრამ როცა 1814 წელს ფონტენბლოში უარი თქვა ტახტზე, საფრანგეთი ისეთივე მოშლილ მდგომარეობაში დასტოვა ეკონომიურად და პოლიტიკურად, როგორიც მიიღო 18 ბრიუმერის დირექტორიისაგან 1799 წელს. მისი დიადი სამხედრო და პოლიტიკური კომბინაციები მხოლოდ წმინდა კავშირის [76] შესაქმნელად გამოიყენეს, კომბინაციები, რომელთა გათვალისწინება, ცხადია, არ შეეძლო საფრანგეთის იმპერიის შემქმნელს, პატარა კაპრალის ავსტრიის ერცჰერცოგინიაზე დაქორწინებამაც კი ვერ განუმტკიცა მემკვიდრეებს მის მიერ შექმნილი ტახტი. და

რამდენი მსხვერპლი დასჭირდა ყოველივე ამას, დაწყებული ენგიენის (duc d' Enghien) ჰერცოგის სიკვდილიდან.

როგორც არ უნდა აზვიადებდნენ ლორდ ბიკონსფილდის ძლევამოსილებასა და გენიალობას, დიდად პატივცემულ პრემიერს მაინც არ შესწევს უნარი წარმართოს საკუთარი ძლევამოსილება ისე, როგორც ნაპოლეონ პირველი განაგებდა ევროპას ასიათასიანი არმიის მეშვეობით, რომელიც თვითონ ჩამოაყალიბა და გამოზარდა. ყველა ბატალიონი და ესკადრონი, ერთად და ცალ-ცალკე მზად იყო მომკვდარიყო გენიალური ადამიანის პირველსავე სიტყვაზე, ოღონდ შეესრულებია მისი ნება. ლორდ ბიკონსფილდი მხედართმთავარი არაა, მას აქვს ბევრი პოლიტიკური პროექტი, მაგრამ სრულიად არ გააჩნია მებრძოლი ძალა, რომელიც ამ პროექტებს სისრულეში მოიყვანს. მის ნებას ასრულებენ, ისიც მხოლოდ მანამდე სანამ არ შეუცვლიათ, სამინისტროების სხვადასხვა კანცელარიები და დიპლომატიური აგენტები, რომლებიც თავიანთი გულმოდგინებით მას ხშირად დათვურ სამსახურს უწევენ. და აი, ამ საშუალებების უქონლობის დროს ლორდი ბიკონსფილდი მაინც ცდილობს განახორციელოს ისეთი პროექტი, რომელთანაც ნაპოლეონ I-ის ამოცანებიც კი ახლოს ვერ მივა. ნაპოლეონს გაცილებით ნაკლები სურდა: გადაეკეთებინა ევროპის კონტინენტალური სახელმწიფოების საზღვრები, განემტკიცებია საფრანგეთის ტახტი და მხარდაჭერა აღმოეჩინა ნათესავებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოების ტახტზე აიყვანა, სახელმწიფოებისა, რომლებიც მათთვის შექმნა პოლიტიკურად განადგურებული ქვეყნების სხვადასხვაგვარი ნაგლეჯებიდან. მიუხედავად კოლოსალური ზნეობრივი და მატერიალური საშუალებებისა, დასახული მიზნების განხორციელება ვერც ნაპოლეონ I-მა შესძლო და მათი განხორციელების პროცესში დაიღუპა. ლორდ ბიკონსფილდისათვის ცოტაა ნაპოლეონ I-ის წამოწყება: მას სურს ევროპის კონტინენტალური სახელმწიფოები ასევე გამოჭრას და გამოკეროს, მაგრამ ეს სხვათაშორის, უმთავრეს მიზნად კი ის დაუნახავს, რომ ინგლისელი რეზიდენტებისა და ინსტრუქტორების დახმარებით აზიის მთელი მუსულმანური სამყარო გარდაქმნას და ეს ძალა დიდი ბრიტანეთის დედოფალს დაუმორჩილოს, რათა მისი დახმარებით შეაჩეროს რუსეთისა და მასთან ერთად ევროპის ცივილიზაციის წინსვლა. მუსულმანთა უმთავრესი ძალა, — როცა იგი ევროპას შეესია, ბიზანტიის იმპერია გაანადგურა და თავის დამპყრობლურ გზაზე ვენამდე მივიდა, — რელიგიურ ფანატიზმში იყო, რის გარეშე, ჩვენს დროშიც კი, არ ხერხდება ძლიერი მუსულმანური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თუმცა ლორდი ბიკონსფილდი, რომელ-

მაც ერთხელ უკვე შეიცვალა სარწმუნოება, ალბათ, შეეძლო მეორედაც გამოეცვალა იგი, მაგრამ ის არც წინასწარმეტყველია და არც წმინდანი, არამედ, უბრალოდ, ძალზე მოხუცი ადამიანია, რომელსაც გაუჭირდება ველური ხალხის გაყოლიება, და ამიტომ მუსულმანური ფანატიზმით მართვას ის ვერ შესძლებს. ასე რომ, აზიაში ძლიერი მუსულმანური სახელმწიფოს შექმნით იგი ვერ მოიპოვებს საკუთარი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საშუალებებს და ინგლისისადმი ისეთივე მტრულად განწყობილ ძალას წააწყდება, როგორიც რუსეთისადმი. თუმცა რომანის შემთხზველ დიზრაელის რა ენაღვლება? მას იტაცებს დიდებამოსილი ინგლისის პოეტური სახე, რომელიც მთელ მუსულმანურ სამყაროს დაეპატრონება აზიაში, მთელი მსოფლიოს ვაჭრობას ხელში ჩაიგდებს და ყველას მბრძანებელი შეიქმნება. ამ გეგმების განსახორციელებლად ლორდ ბიკონსფილდს საჭირო საშუალებები უნდა გამოეძებნა — და იგიც პოულობს. ოსტ-ინდოეთი იმპერიად გამოაცხადა და, ამ არაფრადღირებული დეკორაციის მეშვეობით, ინგლისის დედოფალს იმპერატორის ტიტული მოუპოვა, თუმცა პარლამენტი მხოლოდ პირადად ინგლისის დედოფლის პატივისცემის გამო დათანხმდა ამგვარ წინადადებას და კარგად ესმოდა ამგვარი ცვლილების უსარგებლობა და არაკონსტიტუციურობა. მაგრამ ამ დეკორატიულ წარმატებას მაშინვე მოჰყვა პრაქტიკული წარუმატებლობა. იმპერატორის ნაცვალი ინდოეთში კიდევ უფრო ქედმაღალი გახდა ყოფილ ვიცე-მეფეზე და ავღანეთის ემირი იმით დასაჯა, რომ სუბსიდიაზე უარი უთხრა. წარმოიშვა ინდოეთის არმიის გაძლიერებისა და ომის დაწყების აუცილებლობა...

ინდოეთის მუსულმანთა იმპერატრიცას არ შეუძლია დაუშვას ბალკანეთის ნახევარკუნძულის მუსულმანთა დაღუპვა... იწყება ომი, რომელიც ინგლისის სამინისტროს იმედებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავრდება. ლორდი ბიკონსფილდი მიმართავს ინდოეთის დიდებულ იმპერატრიცას, რომელსაც ორმოცი მილიონი მუსულმანი ევედრება ნება დართოს მოკვდნენ, მაგრამ დაიცვან ევროპაში მუსულმანები, ეწევა უჩვეულო მზადებას ომისათვის, მაგრამ მიზანს აღწევს ომის გარეშე, ბერლინის კონგრესზე [29] დიპლომატიური გამარჯვებით. მაგრამ ეს წარმატება მოპოვებულია მცირე აზიაში სულთანის სამფლობელოების დაცვის ვალდებულების ფასად, თუ ყარსსა და ბათუმს რუსები დაეპატრონებიან. სულთანმა ეს წინადადება სარწმუნო ჭეშმარიტებად მიიღო: იგი წინააღმდეგობას უწევს ბერლინის კონგრესის დადგენილებების განხორციელებას, მაგრამ ყარსსა და ბათუმს რუსებს უთმობს, ინგლისი რომ გამოესარ-

ჩლოს მას, რუსებმა ყარსი და ბათუმი დაიკავეს, ლორდ ბიკონსფილდს კი თურქეთის დასახმარებლად არ სცალია. რუსეთი ვარაუდობდა, რომ შეიძლება ბერლინის კონგრესს წარმატება არ მოჰყვეს და დაიწყო მოხალისე ფლოტის შექმნა და ჯარების გადაყვანა ამუ-დარიის სათავეებთან, აფღანეთის საზღვრის მახლობლად. აფღანეთის ემირი მეგობრულად იღებს გენერალ სტოლეტოვს და, ამავე დროს, უარს ეუბნება მიღებაზე ბატონ ჩემბერლენს, ინდოეთის იმპერატრიცის ძლევამოსილ ელჩს, რომლის ამალა თითქმის არმიას უდრის. სადაა ის მომხიბვლელობა (prestige), რასაც მისტერ დიზრაელის აზრით იმპერატრიცის ტიტული მოახდენდა აზიის ნახევრადველურ მთავრებზე? ინგლისი ჯერ არასოდეს ყოფილა ასე მძიმედ შეურაცხყოფილი და ლორდ ბიკონსფილდს მთელი ძალღონის დაძაბვა უხდება იმისათვის, რომ როგორმე გაზაფხულამდე მიატანოს, როცა შესაძლებელი იქნება ინგლისის ჯარების თავმოყრა და კომპანიის დაწყება. მაგრამ მისი უდიდებულესობის ინდოეთის იმპერატრიცის მინისტრის ნებასურვილის წინააღმდეგ, მის წინაშე სხვა იმპერიის სახე წარმოსდგა, იმპერიისა, რომლის სამფლობელოები ჩრდილოეთიდან ავღანისტანს მიადგა... ლორდ ბიკონსფილდმა, რომანისტ დიზრაელის პროექტის განხორციელებისას, სურდა რა შეეჩერებინა ამ იმპერიის წინსვლა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იძულებული გახადა რუსეთი გადაეყვანა ჯარები იქითკენ, სადაც ყველაზე ნაკლებად სასურველია. მოუწყო რა თავის თავს ასეთი სურპრიზი, ლორდმა ბიკონსფილდმა მიმართა მისტერ დიზრაელის იდეებს და ცდილობს პრაქტიკული შეცდომა პოეტური გამონაგონით გამოასწოროს. ბიკონსფილდმა, რომელმაც ბერლინის კონგრესზე სასაცილოდ აიგდო ხელშეკრულებების მნიშვნელობა, გაიხსენა რუსეთსა და ინგლისს შორის დადებული კერძო შეთანხმება ჰინდიკუშის მთის ძირში ნეიტრალური ზოლის შექმნის შესახებ, რომელიც დიდი ხანია დაარღვია ინგლისმა დოლანისა და კვეტის გადასასვლელების დაკავებით. თუმცა ლორდ ბიკონსფილდს რა საქმე აქვს ამ ამბავთან? მან ეფექტი უნდა მოახდინოს, უსისხლოდ უნდა მოიპოვოს გამარჯვება ინგლისის იდეალური გავლენის დასაცავად და მან, პეტერბურგში მყოფი საკუთარი წარმომადგენლის მეშვეობით, ჩვენს მთავრობას გამოუგზავნა ოფიციალური ნოტა, სადაც კითხულობს: რისთვისაა გაგზავნილი ქაბულში გენერალი სტოლეტოვი? ჩვენი მთავრობის პასუხი მკითხველებმა უკვე წაიკითხეს გუშინდელ ტელეგრამაში. პასუხი დაწერილია დიპლომატიური ხელოვნების ყველა წესის მიხედვით, თუმცა დიპლომატიურად უსიამო შეკითხვა ამის მოვალედ არ გვხდიდა. სხვათა შორის, თავაზიანობას არასოდეს

არ მოაქვს ვნება. რა ქნას ლორდმა ბიკონსფილდმა ამის შემდეგ? საკითხს, რომელიც შეიძლებოდა ინგლისის სასარგებლოდ მოგვარებულიყო შინაურულად, მისი წყალობით მთელმა ევროპამ მიაქცია ყურადღება. ახლა ჩვენს მხრივ ყოველგვარი დათმობა გაძნელებულია ურთიერთობის იმ ფორმის გამო, რომელიც ლორდმა ბიკონსფილდმა აირჩია. ჩვენი ოჯახური საკითხი საერთაშორისო დიპლომატიის კუთვნილება გახდა. ამგვარად, ლორდმა ბიკონსფილდმა ინდოეთის ჯარების ევროპაში გადმოსროლით იძულებული გაგვხადა ჩვენი ჯარები ინდოეთისაკენ დაგვეძრა და ახლა ავღანეთის საკითხს ისეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორსაც აღმოსავლეთის საკითხს 4 ივლისს დადებულ ინგლის-თურქეთის კავშირის შემდეგ.

გაიტაცა რა მისტერ დიზრაელის რომანტიულმა წარმოდგენებმა. ლორდი ბიკონსფილდი პრაქტიკულად იახლოვებს საბედისწერო დასასრულს იმ საკითხისას, თუ ვინ იქნება აზიის ბატონ-პატრონი. განა უცნაური არაა იმ ისტორიული მოღვაწის ბედი, რომელიც ყოველგვარი საშუალებით ფიქრობს კეთილდღეობა მოუტანოს სამშობლოს, მაგრამ ისეთ შედეგებს აღწევს, რომელთაც ყველაზე ნაკლებად მოაქვს კეთილდღეობა.

ჩვენ არ დავიწყებთ იმ საკითხის წინასწარ განხილვას, თუ რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი, ჩვენ მხოლოდ სატახტო ქალაქის გაზეთების აზრს გადმოგცემთ:

ჩვენთვის არავის გაუნდვია რუსეთის დიპლომატიის საიდუმლოებანი, წერს „გოლოსი“ [27], მაგრამ გვგონია არ შევცდებით, თუ ახლავე განესაზღვრავთ ზოგადად იმ პასუხს, რომელსაც მიიღებს პეტერბურგიდან ლორდი სალისბიური იმ შემთხვევაში, თუ მართლა მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას იმ კითხვებით, რომლებზედაც ხმები დადის. კეთილშობილი მარკიზი ალბათ გაიგებს: ჯერ ერთი, პეტერბურგის კაბინეტს სრულიად არ მიაჩნია საჭიროდ განუმარტოს ვინმეს ის მიზნები, რომელთა გამოც იგი გზავნის ექსტრა-ორდინალურ საელჩოს ამა თუ იმ მეფესთან, ევროპასა თუ აზიაში. მეორეც, — ინგლის-ავღანეთის ომში რუსეთს განზრახული აქვს დაიცვას სწორედ ისეთი „მკაცრი“ ნეიტრალიტეტი, როგორიც დაიცვა ინგლისმა რუსეთ-თურქეთის ომში. ყველაფერს, რასაც უკრძალავდა ინგლისის მთავრობა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ და თურქეთისადმი მეგობრულად განწყობილ ქვეშევრდომებს, ცხადია, რუსეთიც მკაცრად აუკრძალავს თავის ქვეშევრდომებს. ჩვენ არ ჩამოვრჩებით ინგლისს კანონებისა და საერთაშორისო დადგენილებების მკაცრად დაცვაში და ამ მხრივ გავუსწრებთ კიდეც. დასაშვებსა და დაუშვებელს შორის გავლებული ზღვარი, რაც „მკაც-

რი“ ნეიტრალიტეტის მიხედვით ამ უკანასკნელ ომში ინგლისის მთავრობამ დააწესა, ჩვენი ზღვარიც იქნება.

გრაფმა ბიკონსფილდმა და მარკიზმა სალისბიურიმ კარგად იციან, რას უნდა მოელოდნენ ამგვარი გამიჯვნისაგან. მათთვის ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ლონდონში აშკარად მოქმედებდა, და ახლაც მოქმედებს, გავლენიანი წევრების მდგომარეობითა და ფულადი სახსრებით ძლევამოსილი თურქოფილური ასოციაცია, რომელსაც ეწოდება „Statford House Relief Found.“ მათ კარგად იციან, რომ თურქეთის არმიის რიგებში მსახურობდა და მსახურობს ბევრი გადამდგარი ინგლისელი ოფიცერი, ხოლო ინგლისიდან გამოდევნილ ბეკერ-ფაშასთან, რომელმაც წინანდელი მუნდირი მხოლოდ იმიტომ გაიხადა, რომ წითელი ფესკა დაეხურა და თურქული „ფერიკების“, „დივების“ და „მირალაების“ შავი ნახევარქურთუკი ჩაეცვა, ათობით ინგლისელი პოლკოვნიკი და კაპიტანი ირიცხება. მათ არც ის დავიწყნიათ, თუ რა როლი ითამაშა მცირე აზიაში მუხტარ-ფაშას დროს ინგლისის სამხედრო აგენტმა გენერალმა კემბალმა, რომელიც ერთხელ კინაღამ ჩაუვარდა ხელთ ჩვენს კაზაკებს, რადგან ჩვენი ჯარის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. ყველაფერი ეს ინგლისის მთავრობამ სცნო როგორც სავსებით დასაშვები მოქმედება მის მიერ გამოცხადებული „მკაცრი“ ნეიტრალიტეტის თანახმად. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებთ, რომ ყველაფერ ამას გაიმეორებს რუსეთი ავღანელების სასარგებლოდ, რომელთაც თითქმის არ ვიცნობთ და რომელთათვისაც არასოდეს გაგვიწევია ექსპლოატაცია ჩვენი სამრეწველო და პოლიტიკური მიზნების სასარგებლოდ, მაგრამ არც ის უნდა გამოუშვათ მხედველობიდან, რომ გარეგნულად ისეთ არანორმალურ მოვლენებში, როგორიც ინგლისელების თურქოფილობაა, მთავარ როლს მუდამ სხვა გრძნობა თამაშობს, სახელდობრ, მეორე მეომარი მხარის სიძულვილი. ინგლისელ თურქოფილთა დიდი ნაწილი სინამდვილეში სხვა არაფერია თუ არა რუსოფობები.

ჩვენ დავინახეთ, რომ მარკიზ სალისბიურიმ კითხვით მიმართა რუსეთის კაბინეტს, თუ რა განზრახვა აქვს რუსეთის მთავრობას და როგორ მოიქცევა ავღანისტანის მიმართ. იმედი გვაქვს, რომ პასუხი საკადრისი იქნება. შეგვიძლია ახსნა-განმარტებას მთლიანად ავარიდოთ თავი და ვთქვათ: „მოვიქცევით ისე, როგორც გარემოება გვიკარნახებს. „შეიძლება ახსნა-განმარტების ისე პერეფრაზირებაც, როგორც ამას ბრიტანეთის კაბინეტი აკეთებდა ომის წინ და მთელი

ომის მანძილზე. სახელდობრ, ჩვენ მანამდე დავრჩებითო გულგრილნი, „სანამ ჩვენ ინტერესებს არ შეეხებიან“. შეგვიძლია აგრეთვე ვუთხრათ მარკიზ სალისბიურის: „ავღანეთის მეფის დამოუკიდებლობა და ავღანეთის იმპერიის ღირსება ჩვენთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თურქეთის დამოუკიდებლობა ბრიტანეთის დედოფლისათვის“. სამართლიანი იქნებოდა არა მარტო სიტყვების განმეორება, არამედ ინგლისის კაბინეტის მოქმედებისაც. ჩვენი ჯარები ავღანეთის საზღვარზე შეესაბამება ინგლისის ფლოტის ყოფნას ბეზიკის ყურეში. ინგლისის პირველსავე მოძრაობაზე აუცილებელია ჩვენი ჯარები ავღანეთის ემირის სამფლობელოში შევიყვანოთ, მსგავსად ინისა, როგორც ინგლისის ფლოტი დაიძრა მარმარილოს ზღვისაკენ, როცა ჩვენი ჯარები კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ. განსხვავება ის იქნება მხოლოდ, რომ ჩვენ სხვის სამფლობელოში მფლობელის სურვილის წინააღმდეგ კი არ შევალთ, როგორც ეს ზღვისგაღმელმა მეგობრებმა გააკეთეს, არამედ მისდა სასიხარულოდ და მისი მიწვევით. ლორდ ბიკონსფილდის მთელი პოლიტიკის აყირავება მხოლოდ ამ ერთ ნაბიჯს შეუძლია და ვერც მისი კაბინეტი გადარჩება. ჩვენ კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ აღმოსავლეთის საკითხი ბოსფორზე კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ ინდზე და მცირე-აღმოსავლეთის საკითხის საკეტს თვით დიდი-აღმოსავლეთის (ინდოეთის) საკითხის გასაღები გააღებს.

53. საკვირაო საუბრები

მოწინააღმდეგეებთან ჩვენი კამათის ხასიათის გულწრფელი ახსნა მკითხველებისთვის. ჩვენი „პრივილეგირებული მდგომარეობა". — საჭიროა კი იაფფასიანი გამარჯვებით საკუთარი თავის ცდუნება? — მოწინააღმდეგის დუმილი ყოველთვის არაა თანხმობის ნიშანი, ზოგჯერ ეს მის დროებით უძლურებაზე მეტყველებს. — ცილისწამების მნიშვნელობა ახლადჩასახული ლიტერატურისათვის. — რაზეა დამყარებული ცილისწამების ფილოსოფია. — ბონაპარტისტის ცინიკური აღსარება. — ლესინგის მაგალითი და ნ. გ. ჩერნიშევსკის აზრი. — განა ნაკლებად მხურვალედ ვიცავდი მე ბატ. წერეთელსა და ბებუთოვს? — მწერლის როლი ჩვენში. — პატივისცემა, რომლითაც ის, მსგავსად ცეზარის ცოლისა, უნდა ეკიდებოდეს საკუთარ პოსტს. — ადგილობრივი პრესის განვითარებაში ახალი ფაზის ნიშნები. — ბატ. დამბაროვი პირველი მერცხლის პოეტურ სახეში მომავალი გაზაუხული. — რა ხასიათისა იქნება მისი ქარიშხლები?

მე ძალიან კარგად მესმის, რომ პოლემიკა, რომელიც „ობზორმა"[2] გადაიტანა, დიდი ხანია უნდა მოსწყენოდა ჩვენი გაზეთის მკითხველთა უმრავლესობას. რაც უფრო მიმზიდველია მკითხველი საზოგადოებისათვის მტრულად განწყობილი იდეებითა და მიმართულებებით გამოწვეული პოლემიკა, მით უფრო დამღლელია რომელიმე კერძო პირის ირგვლივ წარმოშობილი კამათი. სულერთია ვინც არ უნდა იყოს იგი. სამწუხაროდ, ჩვენს პოლემიკას ძალზე ცოტა გააჩნდა ისეთი მხარეები, რომელთაც შეეძლოთ გაეტაცნა, აემოძრავებინა და დაეინტერესებინა მთელი მკითხველი საზოგადოება. ამ პოლემიკის მთელი ინტერესი, ნებით თუ უნებლიეთ, ჩემი ბედუკულმართი პიროვნებით შემოიფარგლა, რომელსაც ბატონი ანტ. ფურცელაძის გულის მოსაკლავად, შეუძლია დააინტერესოს მხოლოდ ორი-სამი ქალიშვილი და არა მკითხველი საზოგადოება, როგორც „ობზორის" მკითხველებს ახსოვთ, მე, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი პასუხები ჩემი და მოწინააღმდეგეების იდეურ და პრინციპულ უთანხმოებათა გამოხატვით შემეკაზმა. ცნობილია ისიც, რომ ჩემი პოლემიკური სტატიების სწორედ ეს მხარე დასტოვეს პასუხის გაუცემლად და კამათი კვლავ ჩემს პიროვნებაზე გადადიოდა. მკითხველო, თუ ოდესმე გქონიათ ვინმესთან დიდი დავა, განსაკუთრებით კი გაცხარებული ლანძღვა-გინება, ბუნების რომელიმე პირველ-

ყოფილ შვილთან, მაშინ თქვენ უნდა გამოგეცადათ ამგვარი მდგომარეობის მთელი სიამოვნება.

თუმცა რად გინდათ გაუთლელ მოწინააღმდეგესთან კინკლაობა, რისთვის იმცირებთ თავს და ცდილობთ მათ რაღაც აუხსნათ. ჯობია მიაფურთხოთ ყოველივე ამას!

ვაფურთხებდი, მამაო, ვაფურთხებდი, და საკმაოდ დიდხანსაც, მივყვებოდი რა შჩედრინის ბრძნულ რჩევას: „აფურთხე, აფურთხე, აფურთხე, ამ ფურთხებამ ეგების სადმე მიგიყვანოს!“. მაგრამ საქმე ისაა, რომ არსად არ მიმიყვანა. დღეს კი მინდა განგიმარტოთ ის მიზეზები, რომელთაც მაიძულეს მსვლელობა მიმეცა მთელი ამ პოლემიკისათვის. მომისმინეთ მშვიდად, შედით ჩემს მდგომარეობაში, ასწონ-დასწონეთ ჩემი მოსაზრებები და თუ ამის შემდეგ ინებებთ და გადასწყვეტთ, რომ მე ვცდებოდი, რომ სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი, მე მზად ვარ არა მარტო ვაღიარო ჩემი დანაშაული, არამედ — ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვა ამგვარ პოლემიკაზე.

ჩემის აზრით, ყველა საღად მოაზროვნე მკითხველი პირველივე ნაბიჯის გადადგმისთანავე დაეთანხმება იმ დებულებას, რომ ყველა პატიოსანი მწერალი, რომელიც ისწრაფვის იმ იდეებისა და მიმართულების გამარჯვებისაკენ, რომელთაც ემსახურება, ვალდებულია უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაიცვას ეს იდეები და მიმართულება, მოიგერიოს მოწინააღმდეგის ყველა დარტყმა. ეს წმიდათაწმიდა მოვალეობა, საერთო ყველა მწერლისა და ლიტერატორისათვის, არსად და არავისში არ აწყდება გამკიცხავს. ასე არ არის?

მაგრამ მკითხველი გვიპასუხებს: რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, ჯერ ჩვენში არავის უფიქრია თავს დასხმოდა იმ იდეებსა და მიმართულებას, რომელთაც თქვენ ემსახურებით. ჩვენს პრესაში ჯერ არავითარ მოწინააღმდეგე მხარეს არ უცდია წინ აღსდგომოდა თქვენს მიმართულებას და გაჯიბრებოდა მას. არავის უარუყვია თქვენი იდეები და პრინციპები, არავის დაუმცირებია მათი მნიშვნელობა, არავის დაუმტკიცებია მათი უსაფუძვლობა... რაღა გინდათ მეტი? განა შეიძლება უკეთესი მდგომარეობა ისურვოთ ლიტერატურაში? თქვენ, თქვენი „ობზორით“, უბრალოდ, „მონოპოლისტი“ ხართ... და თქვენ კიდევ უკმაყოფილებას გამოთქვამთ!...

ყველაფერი ეს, უდავოდ, სწორია. მაგრამ ჩვენც სწორედ ამას ვწუხვართ. დამიჯერეთ, მკითხველო, რომ მე სხვაზე ნაკლებ ვარ დაბრმავებული ამ, როგორც ჩანს, სასიამოვნო, შურის აღმძვრელი ლიტერატურული მდგომარეობით. ლიტერატურული მიმართულების გამარჯვება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ისე ადვილი მისაღწევი

არაა, როგორც ჩვენ გვერგო ჩვენი „პრივილეგირებული მდგომარეობა". იოლად და მუქთად მოპოვებული დიდხანს ვერ ძლებს ამ ქვეყნად... ო, მე რომ ვფიქრობდე ან ვიმედოვნებდე, რომ ჩვენი მიმართულების გამარჯვება მისი ძალისა და საფუძვლიანობის ყველასაგან უხმოდ აღიარების შედეგია, რომ ჩვენ და ჩვენმა მომხრეებმა იგი ყველა მოწინააღმდეგე მიმართულებასთან ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლით მოვიპოვეთ, მაშინ მე უფლება მექნებოდა მეცქირა ქვეყნისა და ლიტერატურული მოღვაწეობისათვის გულკეთილობის ვარდისფერი სათვალეებით... მაგრამ ფიქრობდე ასე — იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებას არ იცნობ; ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცხოვრების ერთადერთ საზომად უმწიფარი ადამიანების მიერ დაბეჭდილი ფურცლები აღიარო; ეს იმას ნიშნავს, რომ თავი დაიმშვიდო და საკუთარი მიმართულება ახლო მომავალში დიდი ზეიმით დამარცხებისათვის მოამზადო. მაგრამ მაქვს კი უფლება ასე დავბრმავდე? თქვენ თვითონ რას მიწოდებდით, წინააღმდეგ მოლოდინისა, მართლაც რომ დავმარცხდე? პირველი ხომ თქვენვე მესვრით ქვას, ყველაზე ადრე თქვენ იტყვით: „იგი ედგა ამ საქმეს თავში, ვალდებული იყო განეკვრიტა ჩვენზე ნათლად და ჩვენზე შორს, დაენახა ყოველივე ეს, წინასწარ გაეთვალისწინებინა საშიშროება. მან კი არაფერი არ გააკეთა, ასე რომ, თავის ადგილზე არ იდგა, უბრალოდ სულელი იყო!" იცით კი, ძვირფასო მკითხველებო, რომ საზოგადო მოღვაწისათვის ასეთი სიტყვები სასიკვდილო განაჩენს უდრის?

ამგვარად, ვაკვირდები რა ცხოვრებას არა ეფემერული ფურცლების პრიზმიდან, არამედ მისი რეალური გამოვლენის მიხედვით, ვამჩნევ, რომ ჩვენი მიმართულება, რომელმაც, მართალია, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა და უდავოდ აქვს უფლება საბოლოო გამარჯვების იმედი იქონიოს, ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილი, რეალური, უცილობელი ზეიმისაგან... დააკვირდით თქვენ თვითონ ამ სინამდვილეს და დაინახავთ მთელ ფენებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს, რომლებიც სრულიად არ ეგუება ჩვენი იდეების ზეიმს. თქვენ კი იმდენად გულუბრყვილონი ხართ, რომ ფიქრობთ, თითქოს ეს ფენები შესაძლებლობას მოგვცემენ გაიმარჯვოს მათმა უარმყოფელმა ჩვენმა მიმართულებამ უბრძოლველად, წინააღმდეგობის გაუწევლად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ ჰყავთ ლიტერატურული ტალანტები, არ შეუძლიათ კალმის მოხმარა, არ შესწევთ უნარი აზრი აზრით დაამარცხონ? თუ ამის იმედი გაქვთ, ძალზე გულუბრყვილონი ყოფილხართ. ამგვარ იმედებში მე თქვენი ამხანაგი არა ვარ!

უნდა იცოდე სხვა ქვეყნების ლიტერატურის ისტორია, რათა გახსოვდეს, რომ ანალოგიური მდგომარეობა ყოველთვის შეიმჩნეოდა თითქმის ყველა ახლადფეხადგმულ ლიტერატურაში. ყოველთვის, როცა გაუტეხელ ყამირზე, რომელსაც არასოდეს არ უნახავს არავითარი სერიოზული ლიტერატურული გამოვლინებანი, უეცრად აღმოცენებულა საზოგადო მიზნების ამსახველი პრესა,—ასეთ პრესას ძალზე იოლად მიუღწევია „პრივილეგირებული მდგომარეობისათვის". ამგვარი მდგომარეობის ძირითადი წყარო კი ისაა, რომ გაუტეხელი ყამირის გამო მასში იგრძნობოდა ახალი იდეების ან მიმართულების წინააღმდეგ იდეებით ბრძოლის ნაკლებობა. ანტისაზოგადოებრივი ფენების ზნეჩვეულებები, ინტერესები და მისწრაფებები იგივე რჩებოდა, მაგრამ ეს ფენები ვერ პოულობდნენ თავიანთ წარმომადგენელს და დამცველს ლიტერატურაში. სამაგიეროდ, ამ ფენებში ყველგან და ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ახალი მიმართულების მოწინააღმდეგენი, რომელთაც გააჩნდათ ერთადერთი ხელმისაწვდომი და გამოსაყენებელი იარაღი მათ წინააღმდეგ. სწორედ ამ იარაღზე მინდა ვილაპარაკო ახლა.

ყველა ხალხის და ყველა საზოგადოების თვალში, რომლებიც ჯერ კიდევ არ მომწიფებულან გონებრივად, ყოველი მიმართულება და ყოველი აზრი, უპირველეს ყოვლისა, გაიგივებულია პიროვნებასთან, პიროვნებასთან, რომელიც რატომღაც შემთხვევით ამ აზრისა და ამ მიმართულების წარმომადგენლად ითვლება. გქონიათ შემთხვევა დაკვირვებოდით, თუ როგორ ასწავლიან მეცნიერებას ვაჟთა ან ქალთა სასწავლო დაწესებულებებში? პირველად ბავშვებს იდეა კი არ იტაცებთ, არამედ მასწავლებლის პიროვნება. ახალი იდეების გამო კი არ შეიყვარებენ ბავშვები მასწავლებელს, არამედ — მასწავლებლისადმი სიმპათიის გამო მის ახალ იდეებს ითვისებენ. ეს შენიშვნა, რომლის საფუძვლიანობაში, ჩემის აზრით, არავინ არ დაეჭვდება, ზედგამოჭრილია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც გონებრივი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. დაითვალეთ იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ იდეა პიროვნებისაგან გამოჰყონ, ადამიანებისა, რომელთაც უნარი შესწევთ, მას შემდეგ რაც გული გაუტყდებათ პიროვნებაზე. იდეებზეც არ აუცრუვდეთ გული და თქვენ დაინახავთ, რომ ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ ძალზე ცოტანი არიან იმათთან შედარებით, ვისაც. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი ამგვარი განსხვავებისა...

მეორე გარემოება: ყოველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ ხელუხლებელში, ზნეობაზე და ზნეობრივ მოვალეობაზე წარმოდგენა მხოლოდ რამდენიმე კაცს აქვს. უმრავლესობა კი, სა-

უბედუროდ, დღემდე შეუპყრია საკუთარი მადისა და მატერიალური ინტერესების ბატონობას. ამიტომ ამგვარი უმრავლესობა ყველას საკუთარი საზომით უდგება, ყველას მხოლოდ საკუთარ აზრებს მიაწერს და არა ისეთს, რომელიც მას არ ესმის და მისთვის უცნობია. გამოდიან რა აქედან, ანდა ემორჩილებიან რა ამ კანონს, რაც სინამდვილეში ერთი და იგივეა, ახალი მიმართულების მოწინააღმდეგენი მუდამ და ყველგან იარაღდებიან მოღვაწე-ნოვატორთა წინააღმდეგ წმინდა პიროვნული ხასიათის ბრალდებებით, რათა მოსპონ ან დაასუსტონ მიმართულება, მოკლან ან დააუძლურონ უმრავლესობის თვალში მისი შემთხვევითი წარმომადგენლები.

ამა წლის დასაწყისში მე უკვე ვუამბე „ობზორის“ მკითხველებს, თუ როგორი საუბარი მქონდა ბონაპარტისტების ერთ-ერთ აქტიურ აგიტატორთან გამბეტას შესახებ. რა თქმა უნდა, ადამიანებს, რომელთა მთელი გონებრივი მარაგი ნასესხებია „პეტერბურგსკი ლისტოკის“ [49] ქვედურა სტატიებიდან, შეუძლიათ ივარჯიშონ ნაქირავები გონებამახვილობით და ამტკიცონ, თითქოს მე თავი თბილისის გამბეტად მომაქვს, ზუსტად ისევე, როგორც ამავე ხალხმა, ბერნეს ერთ-ერთი მაგალითის მოყვანის გამო, პატივი დამდო და უკვე მეასედ „კავკასიის ბერნეს“ მიწოდებს. დავუტოვოთ მათ ეს უწყინარი თავშესაქცევი სათამაშო. საქმე ისაა, რომ აგიტატორმა, რომელზეც ახლა ვლაპარაკობ, უკიდურესი ცინიზმით განმიმარტა ამგვარი ფილოსოფიის არსი. და მე მგონი უინტერესო არ იქნება მისი მოგონების კვლავ განახლება მკითხველთა მეხსიერებაში. მხედველობაში მიიღეთ ისიც, რომ მე არა თუ არ ვეკუთვნი მ. გ. ჩერნიაევის თაყვანისმცემელთა რიცხვს, არამედ არა ერთხელ დამიწერია მის მოღვაწეობაზე მკვახე და გამკიცხავი სტატიები (იხ. „ობზორი“ № 3).

„ნოვოე ვრემიამ“ [35] „სოვრემენნაია იზვესტიასაგან“ [37] ისესხა მ. გ. ჩერნიაევის იმ საინტერესო წერილის ნაწყვეტები, რომელიც მან მისწერა „სოვრემენნაია იზვესტიას“ რედაქციას სერბია-თურქეთის ომისათვის გაღებული თანხების ხარჯვის შესახებ. წერილობითი ნაწყვეტები არ შეიცავს მთლიან ანგარიშს, და გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ იგი არც გვაინტერესებს. მხოლოდ საკუთარ პატიოსნებაში დაეჭვებულ პატარა ადამიანებს შეუძლიათ გაიფიქრონ, რომ კაცი, რომელსაც ბატ. ჩერნიაევისდარი საზოგადო მოღვაწის პრეტენზიები, პატივმოყვარეობა და იმედები აქვს, რაღაც ათასიოდე მანეთისათვის „ხელს გაისვრის“. ამ საბაბით, და დროულადაც, ნებას მივცემთ ჩვენს თავს ამ შემთხვევისათვის დამახასიათებელი ანეკდოტი მოვიყვანოთ:

„სამი წლის წინათ პარიზში საერთო ნაცნობის ოჯახში ბონაპარტისტული პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს შევხვდი შემთხვევით და როცა მისგან გამბეტას ტაქტისა და ხერხიანობის ქება მოვისმინე, ვკითხე: ბონაპარტისტული გაზეთები ბრალს რატომ სდებენ გამბეტას თითქოს თავისი დიქტატურის დროს ხაზინის ფულით სარგებლობდა, როცა მათ კარგად უნდა იცოდნენ, რომ მას ამგვარი რამ არ გაუკეთებია და არც გააკეთებდა.

ბონაპარტისტმა გადაიხარხარა მთელი თავისი ბურჟუაზიული მუცლით, და სიცილით მითხრა:

— სრულიად უბრალოდ: ჩვენ ჩვენ საზოგადოებას ვიცნობთ. ყოველი მკითხველი იფიქრებს: მე რომ გამბეტას ადგილზე ვყოფილიყავი, ალბათ, საკმაოდ ბევრს ავცანცლიდი. ამიტომ ადვილად დაიჯერებს იმასაც, რომ გამბეტამ ასცანცლა და ამ რწმენას ვერაფრით ამოუგდებ თავიდან და ჩვენც ვსარგებლობთ იოლი ხერხით მტრის დასასუსტებლად.

— კი მაგრამ, თუ ვისი დარწმუნებაც თქვენ გსურთ, ისინიც ასევე მოიქცეოდნენ, თქვენ რატომღა გგონიათ, რომ გამბეტას ზიზღის თვალით დაუწყებენ ყურებას?

— იმიტომ, რომ ადამიანის ბუნება ასეთია და ჩვენც ვსარგებლობთ ამით“.

ყოველი მიმართულებისა და ყოველი პარტიისათვის, რომელიც დაინტერესებულია ხალხის დაბრმავებით და ექსპლოატაციით, ბონაპარტისტის სიტყვები პრაქტიკული ბრძოლის სახარებაა. და თუ ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც „უმრავლესობის“ მდგომარეობა ასეთია, მაშინ როგორიღა უნდა იყოს იგი ჩვენში, კავკასიაში? მეორეს მხრივ, თუ ასეთი რამ შესაძლებელია მტკიცედ ძირგამდგარ პრესაში, რა გასაკვირია, რომ ახალ ფეხადგმულ პრესაში იგი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდეს?

მე მჭირდება ავტორიტეტული მაგალითი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მწერალი, რომელიც ბედმა ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა, ვალდებულია საკადრისი პასუხი გასცეს ხალხის გულუბრყვილობისა და საზოგადოებრივი მოუმწიფებლობის ექსპლოატატორებს. ასეთ მაგალითს ჩვენ გვაძლევს ლესინგის მოღვაწეობა (გაიხარეთ, უმწიფარნო, ხედავთ რა მდიდარი სიუჟეტია, ნიკოლაძე გენიალური ლესინგის მანტიაში ეხვევა!). ძალიან ვწუხვარ, რომ მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, თბილისში ვერ აღმოვაჩინე ნ. გ. ჩერნიშევსკის „ლესინგი, მისი დრო, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. ამ ნაწარმოებში, იმის თხრობის შემდეგ, თუ როგორ გაბედეს ლესინგის უბადრუკმა მოწინააღმდეგეებმა თავს დასხმოდნენ პრესაში

ამ უწმინდესსა და უკეთილშობილეს კაცს, როგორსაც ქვეყანაზე ოდესმე უვლია, დასწამეს შანტაჟი და ის, რომ მან თითქოს თავისი ლიტერატურული აზრები წვრილმან ანგარიშიანობას დაუქვემდებარა; და იმის თხრობის შემდეგ, თუ რა იღონა ლესინგმა თავის გასამართლებლად ამგვარი მდაბალი და უხამსი ბრალდებებისაგან, ნ. გ. ჩერნიშევსკი მკაცრად ლაპარაკობს, რომ ყოველი მწერალი წინ უნდა აღუდგეს საკუთარი ღირსების ხელყოფას და, საკუთარი იდეებისა და მიმართულების დაცვის ინტერესებისათვის, დაიცვას იგი მდაბალი ბრალდებებისაგან...

ვიმეორებ, უაზრობა იქნება იმაზე ოცნებაც კი, თითქოს ჩვენ დაცული ვიქნებით მსგავსი ელემენტარული ბრალდებებისაგან. პირად თავმოყვარეობას ჩვენ იმიტომ კი არ ვუფრთხილდებით, რომ ჩვენი ღირსების დალაქიანების გვეშინია, არა, ჩვენ მხოლოდ იმას ვერიდებით, რომ ამ ლაქამ ჩვენი მიმართულება არ დაასუსტოს და ჩვენი იდეების ზეიმს ხელი არ შეუშალოს. ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს პასუხი გავცეთ ყველას, ვინც მის დალაქიანებას ცდილობს. ცხადია, ჩვენ არავითარი შესაძლებლობა არ გვქონდა, მოგვეგერიებინა ჩვენი ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავი დარტყმები, რომელთაც კუთხეს მოფარებულები გვაყენებდნენ პირადული ცილისწამებებით. უხილავ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგრამ თუ კი პრესაში გამოჩნდებოდა რაიმე ცილისწამება ან ჭორი, ჩვენ ხარბად ვიჭერდით ამ შემთხვევას, ვიწვევდით მოწინააღმდეგეს, ეთქვა ყველაფერი, გაეფორმებინა ბრალდება, დაესახელებია ფაქტები. არასოდეს, არავითარი პასუხი, არავითარი მითითება არ მიგვიღია. ბატ. ა. ფურცელაძე (ქართულ ლიტერატურაში), ბატ. ღოღობერიძე. „ქუთაისელი“ და „ეს მე არ ვარ“ (ადგილობრივ რუსულ პრესაში) ყველა ჩვენ მოპატიჟებასა და გამოწვევას გაურბოდნენ და იმის მაგივრად, რომ გულახდილად აეხსნათ და განემარტათ ყველაფერი, უბადრუკი ცილისმწამებლების სახელს ურიგდებოდნენ და კიდევ უფრო უბადრუკ და უაზრო ქარაგმებს მიმართავდნენ. გუშინ ჩვენ დავინახეთ, როგორ მოიქცა ბატ. „ეს მე არ ვარ“. ესაა მსგავსი ბატონების ტაქტიკის ნიმუში...

ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ყველა ჩემი „პირადული განმარტება“, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, მიზნად ისახავდა ჩვენი მიმართულების განთავისუფლებას იმ ტვირთისაგან, რომელიც შეიძლებოდა ჩემს პიროვნებას შეექმნა, ზოგიერთმა, ალბათ, ჩემს პირად წვრილმანობასა და თავმოყვარეობას მიაწერა. მე მართლაც ვარ თავმოყვარე და მერე როგორი თავმოყვარე, პატივმოყვარეც კი. მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს, როგორ არ ესმით, რომ ჩე-

მი უსაზღვრო თავმოყვარეობა თვითონვე სპობს ჩემში ყოველგვარ წვრილმან, იაფფასიან პატივმოყვარეობას. სად, როდის, რომელ ადამიანს გაუიგივებია დიდ პატივმოყვარეობასთან, რაზეც, მე მგონი, ერთგვარი უფლება მაქვს (ხედავთ თუ არა, რა გულახდილად ვაღიარებ ჩემს ნაკლს!), ქინძისთავის ჩხვლეტისაგან გამოწვეული გაღიზიანება? სად გინახავთ, რომ ადამიანი, რომელსაც ჰგონია მომწიფებულ ხალხს მოვერევიო (საფუძვლიანია თუ არა, ეს სხვა საქმეა), ქონდრისკაცებთან ბრძოლას გაეტაცოს და თავისი თავმოყვარეობის მიზნად მათთან ბრძოლა მიეჩნიოს? მაშასადამე, თუ იგი, მისდაუნებურად, იძულებულია შეეხოს მას, ამას წვრილმანი თავმოყვარეობისა და თავის გამოჩენისათვის კი არ აკეთებს, არამედ რაღაც სხვა მიზეზების გამო! ნუთუ ეს გაუგებარია!

მეორეს მხრივ, თუ მართალია, რომ თითქოს მე ამგვარ პოლემიკაში მხოლოდ საკუთარი თავმოყვარეობის გამო ვებმები ხოლმე, მაშინ რით უნდა ავხსნათ ის ამბავი, რომ მე ჩემი ცხოვრების მანძილზე არა ნაკლები აღფრთოვანებითა და მონდომებით მიწარმოებია პოლემიკა მაშინაც, როცა ჩემი თავმოყვარეობა და პიროვნება განზე იდგა და საქმე იმ ადამიანთა ღირსებას ეხებოდა, რომლებიც ჩემთვის ძვირფას მიმართულებას იზიარებდნენ? განა მე პირადად შემეხნენ, როცა ბატ. ა. ფურცელაძისა და ბატ. გ. წერეთლის პოლემიკაში ჩავერიე? როცა მე „კრებულში“ თავგამოდებით ვიცავდი ჩემი თანამშრომლების პირად ღირსებას, რომელთაც ათასგვარი სისულელე და ჭორი დააბრალეს, განა მაშინ მე ნაკლებად ფიცხი და პირდაპირი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ, როცა მე „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე თითქმის დორბლმორეული ვიცავდი თავად ბებუთოვს, რომელსაც ბატ. ნესტეროვი და სტალინსკი შანტაჟს დებდნენ ბრალად?! განა მე მაშინ სხვაგვარად ვწერდი, ვიდრე ახლა ვწერ? შეადარეთ ჩემი მაშინდელი სტატიები ახლანდელს და დარწმუნდებით, რომ მაშინ მე კიდევ უფრო ძლიერი, ფიცხი და აღფრთოვანებული ვიყავი, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაზე ლაპარაკი, სხვისი დაცვა უფრო სასიამოვნო, ადვილი და მოხერხებულია, ვიდრე საკუთარ თავზე წერა და საკუთარი თავის დაცვა.

რატომ ვაწარმოებდი ასეთ პოლემიკას ყოველთვის ფიცხად და ხალისით, სულერთია ვისაც არ უნდა შეხებოდა იგი? ამ კითხვაზე სრულიად დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა ზემოთ მოყვანილი ახსნა-განმარტება. მაგრამ ამ კითხვის პასუხად შემიძლია კიდევ რამდენიმე საფუძვლიანი მოსაზრება წარმოგიდგინოთ.

გიფიქრიათ ოდესმე, მკითხველო, თუ რა მდგომარეობაშია მწე-

რალი ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში? დამიჯერეთ, საკმაოდ საინტერესო საკითხია.

არის ხოლმე ისეთი დრო და ისეთი ქვეყანა, სადაც მწერალი მხოლოდ მწერალია და მეტი არაფერი. ინგლისში, მაგალითად, ანდა საფრანგეთში, ლიტერატორი არარაა. იგი ქმნის გარკვეული რაოდენობის აზრებს, სტატიებს, წიგნებს და მისი ღირსება მხოლოდ მისი ნაწარმოებების ღირსებით იზომება. უმეტეს შემთხვევაში მის აზრებს, მის სტატიებს, წიგნებს საზოგადოებისათვის გარკვეული სარგებლიანობა მოაქვს და წარმატებისა და მარადიულობისაკენ თვითონ იკაფავს გზას, მწერალის პიროვნება კი მუდამ ჩრდილში რჩება, მას არავინ იცნობს, იგი არავის არ აინტერესებს. არც იქ ყოფილა ადრე ასე, როცა მწერლები იდგნენ თვალსაჩინო, პირველ პლანზე. ხოლო ასეთი ადგილი მწერლებს იმიტომ ეჭირათ, რომ იმდროინდელი საზოგადოების მოუმწიფებლობისას წარმოადგენდნენ ყველა საზოგადოებრივი საქმის, საკითხის და შემთხვევის უკანასკნელ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციას. როცა მთელი საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს კოლასის პროცესი აინტერესებდა და აღელვებდა, როცა სხვა არავითარი შესაძლებლობა არ იყო დაეკმაყოფილებიათ აღშფოთებული საზოგადოებრივი სინდისი, თუ არა ვოლტერის ცნობილი პამფლეტით, ასეთ შემთხვევაში .გასაგებია, რომ ვოლტერს და მის პამფლეტს მთელი საზოგადოების ყურადღება უნდა მიექცია. მაგრამ განა შეიძლება ასეთი რამ ახლაც მოხდეს და განმეორდეს? ამგვარი კაზუსი ახლა გამოიწვევდა „აღშფოთების გამომხატველ მიტინგებს", ოპოზიციის შეკითხვებს. რაც ადრე მწერალს პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა, ახლა ის მიტინგების ორატორებსა და სხვა საზოგადოებრივ საკრებულოებს დარჩათ. საერთო ყურადღება ახლა მათკენაა მიქცეული...

ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი მიტინგები ნაადრევი ან წარმოუდგენელია, მთავარი როლი ძალაუნებურად მწერლის ხვედრია. ყველას თვალი, იმედი მისკენაა მიმართული. საზოგადოება მასში ხშირად ეძებს თავის სულიერი ტკივილებისა და აზრების გამომხატველს, ხოლო ხელისუფლება მასში მეტად თუ ნაკლებად ხედავს „საზოგადოებრივი აზრის" ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს, რომლის წინაშე შეიძლება ბევრმა იყოყოჩოს, მაგრამ რომელსაც ყველამ უნდა უსმინოს და შეეგუოს. ასეთ ქვეყანაში მწერალი ხალხის ისეთივე რჩეულია, როგორც ყველა სხვა „რჩეულები". ჭკუის კოლოფიც რომ იყოთ, თუ თქვენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებთ, თუ არ უყვარხართ მას, არ გამოხატავთ მის მის-

წრაფებებს, მკითხველები არ გეყოლებათ და იძულებული იქნებით წერას თავი დაანებოთ. სხვათა შორის, ნ. ა. დობროლუბოვმა საკმაოდ გასაგებად დაამტკიცა ეს ანალოგია ლიტერატურული ნაწარმოების მკითხველთა და ამომრჩეველთა შორის, ხოლო საყოველთაოდ ცნობილი დებულებების განმეორება, ვფიქრობ, საჭირო არაა...

ამგვარად, ასეთ ქვეყანაში მწერალი არის და უნდა იყოს არა მარტო საკუთარი თავის წარმომადგენელი, არამედ მკითხველი საზოგადოებისაც, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია. მართლაც, რა ხშირია შემთხვევები, როცა მწერალს მისი მკითხველები მიმართავენ, როგორც მათი გაჭირვებისა და საჩივრების ერთადერთ გამომხატველს. შეიხედეთ ნებისმიერ რედაქციაში და მის კანტორებში თქვენ იპოვით უამრავ საჩივარს არა მხოლოდ ადგილობრივ თანამდებობის პირთა უსამართლობისა და ცალმხრივობის შესახებ, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებებზეც... მე არ ვამბობ, რომ ყველა საჩივარი სამართლიანი და საფუძვლიანია, მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, თუ რამდენი საჩივარი მოაქვთ ყოველდღე. და თუნდაც ეს ერთი ფაქტი ადასტურებს ჩვენში მწერლის როლის კომპლიკაციას.

თქვენ კი გინდათ, რომ ადამიანმა, რომელსაც. სულერთია, შემთხვევით იყო ეს თუ არა, თხუთმეტი წუთი მაინც მოუხდა ამ პოსტზე ყოფნა, არ შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა, ვერ გაიგოს თავისი მოვალეობა და ის მოთხოვნილებები, რომელთა წაყენება ყოველ ადამიანს შეუძლია მისთვის, რომ თავის მკითხველთა პატივისცემის, თავისი საქმისა და მდგომარეობის პატივისცემის გამო მან მოვალედ არ ჩათვალოს თავი ჩამოირეცხოს ის ტალახი, რომელსაც უხვად ესვრიან მას ყოველი მხრიდან. უდავოა, საბრალონი და უხამსნი არიან ისინი, რომელთაც არ ესმით რას აკეთებენ და საკუთარ თავს უფლებას აძლევენ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის ან შელახული ინტერესების გამო ტალახით გასვარონ ის ადამიანი, რომელსაც არაფრით არ დაუმსახურებია არაგულისხმიერი დამოკიდებულება... მაგრამ განა ეს ანთავისუფლებს მას მოვალეობისაგან — რადაც არ უნდა დაუჯდეს დარჩეს სუფთა.

დე, აბუჩად აიგდონ უმწიფრებმა ამ სურათის უკანა მხარე, რომელიც მართლაც იძლევა საბაბს ზერელე იუმორისა და ლაზღანდარობისათვის... და არა მარტო ჩვენი მკითხველები, არამედ მთელი მკითხველი საზოგადოების რამდენადმე წესიერი ნაწილიც კი აღიარებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამგვარი როლი და მდგომარეობა მწერალს საკმაოდ მძიმე მოვალეობას აკისრებს. მკითხველ საზოგადოებას კი შესაძლებლობას აძლევს შეადაროს ერთმანეთს თვითეული მწერლის მომზადება, სიტყვები, მოქმედე-

ბა, ხასიათი და ყოველი მათგანი მათი ღირსების მიხედვით დააფასოს. ხოლო თუ მე შევდექი ისეთ კვარცხლბეკზე, რომელიც ჩემთვის ძალზე მაღალია, ამით ხომ მევე ვაძლევ საზოგადოებას მასშტაბს კვარცხლბეკისა და ჩემი სიმაღლის შეუმცდარი გაზომვისათვის. მაშასადამე, მისთვის ადვილი იქნება ჩამომათრიოს შეუფერებელი კვარცხლბეკიდან.

აი, ის წადილი და მოსაზრებები, რომელმაც მაიძულეს მსვლელობა მიმეცა ჩვენი პოლემიკისათვის. და თუ ჩემს მკითხველებს მოეჩვენებათ, რომ ყოველივე ეს მცდარი და უსაფუძვლოა, მაშინ იმის იმედი მაინც მინდა ვიქონიოთ, რომ ჩემი ახსნა-განმარტებიდან ისინი ისეთ დასკვნას მაინც გამოიტანენ, რომ შეიძლება მე შევცდი, მაგრამ შევცდი არა უსაფუძვლოდ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველები ღირსეულად შეაფასებენ ჩემს მოსაზრებებს და მივლენ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ასე უნდა მოექცეულიყავი.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი პოლემიკა უკვე ამოიწურა. ჩვენ უკვე ვამჩნევთ, რომ ჩვენი ლიტერატურა თავის განვითარების ახალ ფაზაში შედის. აქამდე გაჩუმებული საზოგადოებრივი ფენები ახლა უკვე პოულობენ თავიანთ წარმომადგენლებს პრესაში. ბ-ნი ღამბაროვი, ჩემს თვალში, მომავალი გაზაფხულის პირველი მერცხალია, გაზაფხულისა, რომელსაც ღვართქაფები და ქარიშხლები მოაქვს. კაპიტალისტებმა, რომლებიც აქამდე უსიტყვოდ იტანდნენ ადგილობრივი პრესის დარტყმებს, მისი სახით თავიანთი სწავლული დამცველი იპოვეს. სხვებიც თანდათან გამოჩნდებიან. და იმედი მაქვს, რომ ამ ახალ მერცხლებთან და მოღვაწეებთან კამათში მთლიანად გამომჟღავნდება, მართლა დაგვყავს თუ არა ჩვენ ყოველი პოლემიკა კერძო საკითხებამდე და პირადი ანგარიშის გასწორებამდე.

54. საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ვაიძულოთ ხმოსნები კეთილსინდისიერნი იყვნენ

თბილისი, 26 სექტემბერი

თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთმა მიაქცია ყურადღება ჩვენი ქალაქის საბჭოს მომავალ არჩევნებს და საბჭოს ახლანდელ ხმოსანთა უმრავლესობის იმ ზღაპრულ გულგრილობას, რაც მათ ნებაყოფლობით მიღებული მოვალეობის მიმართ გამოიჩინეს. გაზეთი „დროება“ [22] ძირითადად ამ უკანასკნელ მხარეს ეხება, ხოლო „მშაკი“ [53] უფრო შორს მიდის და მომავალი არჩევნების მომზადების უკეთესი ხერხების შემუშავებას ცდილობს. „დროებამ“ ამ ცოტა ხნის წინათ მოწინავე სტატია მიუძღვნა იმ საკითხს, თუ როგორ ვაიძულოთ ხმოსნები წესიერად დაესწრონ საბჭოს სხდომებს. დღეს „ტიფლისკი ვესტნიკს“ [3] მოჰყავს შემდეგი ნაწყვეტი ამ სტატიიდან:

„ჩვენი ქალაქის საბჭო, ჩვეულებრივ, თვეში ოთხჯერ იკრიბება, მაგრამ სხდომას ორჯერაც კი ვერ ატარებს, რადგან ხმოსანთა საჭირო რაოდენობა არ ცხადდება.

„ჩვენს ხმოსნებზე არც ვედრება, არც მუქარა, არც საჩივრები და არც საყვედური არ მოქმედებს. ქალაქის საქმეები ადგილიდან არ იძვრის, რადგან ქალაქის წარმომადგენლებმა მოატყუეს თავიანთი ამომრჩევლები.

„უნდა გამოვნახოთ რაიმე საშუალება და ვიხსნათ ქალაქი ამგვარი მდგომარეობისაგან.

„დღეს „ტიფლისკი ვესტნიკში“ ვკითხულობთ, რომ ზოგიერთმა ხმოსანმა გადასწყვიტა სთხოვოს უმაღლეს ხელისუფლებას დართოს მათ ნება დაიწყონ საქალაქო მეურნეობის საკითხების განხილვა, სულერთია დაესწრება სხდომას ხმოსანთა კანონით გათვალისწინებული რაოდენობა თუ არა, ამასთან საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერად ჩათვალოს.

„ამის დაშვება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ ამგვარი მდგომარეობის მუდმივად დაკანონება სახიფათოა, რადგან საბ-

ჭოს 5 და 10 წევრს შეუძლია ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომლებიც ქალაქს დიდ ზიანს მოუტანს.

„კი მაგრამ, იკითხავთ თქვენ, რა ქნას საბჭომ? ჩემის აზრით, არის ერთი საშუალება, რომელიც ასეთი შემთხვევისათვის გამოდგება.

„მიიღონ წესად, რომ ყოველ წევრს, რომელიც თბილისში იყო და ხუთიდან უმიზეზოდ სამჯერ გამოსტოვა სხდომა, ჩამოერთვას ხმოსნის წოდება და ეს ამბავი ყველა ადგილობრივ გაზეთში გამოცხადდეს. ამავე დროს, მიეცეს უფლება საბჭოს, გადაყენებული წევრის ნაცვლად, სხდომებზე მოიწვიოს ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში სხვებზე მეტი ხმა მიიღო.

„ჩვენი აზრით, ესაა ერთადერთი საშუალება შევიყვანოთ ქალაქის საბჭოში ისეთი ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად შეასრულებენ საკუთარ მოვალეობას“.

სამწუხაროდ, მოვლენა, რომელიც გაზეთმა „დროებამ“ შენიშნა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ და აღმაშფოთებელ ბოროტებას წარმოადგენს. ქართული გაზეთის ზრუნვა აღმოფხვრას ამგვარი ბოროტება, სასახელო და დროულია. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეთივე საფუძვლიანი და გამოსადეგია პატივცემული გაზეთის მიერ წამოყენებული საშუალებები. რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნება მივბაძოთ პეტრე დიდის მაგალითს და „უწყებებში გამოწერით შევარცხვინოთ“ ის პირები, რომლებიც გულგრილად და არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს წმინდა პალიატური ღონისძიებაა, მეორეც, როცა ხმოსანთა უმრავლესობას ერთდროულად შევარცხვენთ, ისინი სირცხვილის გრძნობას დაკარგავენ, რადგან „ხალხის თვალწინ“ არა მარტო სიკვდილია ლამაზი, არამედ სირცხვილიც იოლი მოსანელებელია... მეორეს მხრივ, აღნიშნული ღონისძიება დიდი პატივისცემაა ხმოსნისათვის, რადგან ამით ჩვენ იმასაც ვამბობთ, რომ მათ მართლაც გააჩნიათ სირცხვილის გრძნობის გარკვეული დოზა. მათ რომ მართლაც გააჩნდეთ სირცხვილის გრძნობა, მაშინ, ალბათ, არც კი დაგვჭირდებოდა ამგვარ ღონისძიებებზე მსჯელობა. თუმცა, არსებითად, ჩვენ ამ ზომების გამოყენების წინააღმდეგი არა ვართ.

სულ სხვა საქმეა მეორე ღონისძიება, რომელსაც პატივცემული გაზეთი გვთავაზობს. კანონის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, ჩამოართვას ხმოსანს წოდება, რადგან ქალაქის საბჭოს ყოველ ამგვარ განაჩენს მაშინვე გაასაჩივრებდნენ და, როგორც უკანონოს, გააუქმებენ. კანონმა სრულიად სამართლიანად განსაზღვრა ხმოსნის შეცვლის დაუშვებლობა ვადის გასვლამდე. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში, დავიწყებას მიეცემოდა არჩეულის დამოუკიდებლობა და, ამავე დროს, არ ვიქნებოდით დაზღვეული უმრავლესობის თვითნებობისა და მიკერძოებითი მოქმედებისაგან. მიეცით საბჭოს ასეთი უფლება და დაინახავთ, რომ საბჭო არავითარ ზომებს არ მიიღებს საბჭოს წევრთა უმრავლესობის წინააღმდეგ, ანდა მათ საპატიო მიზეზებს გამოუნახავს, ხოლო ხმოსანთა უმცირესობას საპატიო მიზეზებსაც კი არაკანონიერად და არასაფუძვლიანად ჩაუთვლის. ხოლო თუ წარმომადგენლობითი დაწესებულებების კანონებისა და პრინციპების მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამგვარი უფლებები მიიღოს თვით დაწესებულებამ, მაშინ ისიც გასაგებია, რომ ასეთი უფლებები არ შეიძლება მიეცეს საბჭოს ან ადმინისტრაციას. ამგვარი სისტემის აღმაშფოთებელი უხერხულობა თავისთავად ცხადია...

ამგვარად, ღონისძიება, რომელსაც გაზეთი „დროება" გვთავაზობს, ფანტაზიის განუხორციელებელ სფეროს უნდა მივაკუთვნოთ: მადლობა ღმერთს, წარმომადგენლობითი დაწესებულების ჯანსაღი პრინციპები იმდენად განმტკიცდნენ, რომ წუთიერი უხერხულობისათვის მათი მსხვერპლად გაღება არ ღირს.

გვაკვირვებს რა ჩვენს პრესაში ამგვარი უსაფუძვლო შეხედულებებისა და მავნე რეკომენდაციების გამოჩენა, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ თუ პრესას სურს წმინდა პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებული თანამედროვე კანონმდებლობის გარდა განიხილოს, აგრეთვე, საკანონმდებლო ღონისძიებების საკითხებიც, რაც დაეხმარება საყოველთაო სიძნელის აღმოფხვრაში, მაშინ მიმართოს საზოგადოებრივ მეცნიერებას, სადაც უკვე ნაპოვნი და მითითებულია ამგვარი საკითხების გადასაჭრელი საშუალებები... იმის გამო, რომ მეცნიერების ეს მითითება ჩვენში საკმაოდ ცნობილი არაა, საჭიროდ მიგვაჩნია ამის შესახებ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა და წინასწარ ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან, ვინაიდან ტრუიზმებისა და ანბანური ჭეშმარიტებების განმეორება გვიხდება.

ყოველთვის, როცა წარმომადგენლობითი დაწესებულების საფუძველი ცენზია, ამ სისტემით შექმნილი საზოგადოებრივი საკრებულო საზოგადო საქმისადმი გულგრილობითა და აპატიით გამოირჩევა. და ეს გასაგებიცაა. ცენზის მიხედვით საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაიშვებიან უმთავრესად შეძლებული ადამიანები, რაც მდიდარ მესაკუთრეებს დიდ უპირატესობას აძლევთ წვრილ მესაკუთრეებთან შედარებით... ხოლო შეძლებული და მდიდარი ადამიანების დიდი ნაწილის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ უამრავი პირადი საზრუნავი და ინტერესები აქვთ, რაც, თუ ყოველ-

თვის არა, ხშირად მაინც, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საერთო საქმეს. ამიტომ, გასაკვირიც არაა, რომ ასეთი ხალხი საკუთარი საქმეებით არის დაკავებული და გულგრილად ეკიდება საზოგადო საქმეს... ასე იქცევიან უკეთესნი მათ შორის. ნაკლებ კეთილსინდისიერნი კი, როგორც აღვნიშნეთ, საერთო ინტერესებზე მაღლა აშკარად აყენებენ საკუთარს... აი, სადაა ჩვენი წარმომადგენლობითი დაწესებულების აღნიშნული გულგრილობის წყარო და ძირი. გაზეთებმა, რომელთაც ამ ბოროტების აღმოფხვრა სურთ, თავიანთი ძალა ამ წყაროს წინააღმდეგ უნდა მიმართონ...

ამ თვალსაზრისით, აპატიის აღმოფხვრა, რომელიც ასე მავნედ მოქმედებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ ინტერესებზე, შეიძლება მხოლოდ თვითმმართველობაში და არჩევნებში მთელი ხალხის ჩაბმით, ხოლო წარმომადგენლობაში იმ ფენების წარმომადგენელთა არჩევით, რომლებიც მეცნიერებაში და ისტორიაში ცნობილი არიან უნარიანთა სახელით (représentation des capacitées...)

ცხადია, ყოველივე ეს მშვიდ და მეცნიერულ განხილვას მოითხოვს და დროისა და მომავლის საქმეა... მომავალი არჩევნებისა და ქალაქის მიმდინარე საქმეების გადასაწყვეტად სულ სხვა ღონისძიებებია საჭირო. მე მგონი ამისთვის უფრო შესაფერისია ის საშუალება, რომელსაც გაზეთი „მშაკი“ გვთავაზობს. პატივცემული სომხური გაზეთი მოგვიწოდებს, რომ სახალხოდ ვიმსჯელოთ კანდიდატებზე. თავისთავად ცხადია, რომ ეს ღონისძიება გულისხმობს, რომ სახალხოდ განვიხილოთ არა მარტო ამა თუ იმ კანდიდატის ღირსება, არამედ — საარჩევნო წრეებისა და კრებების მოწყობაც. და თუ ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების მიზანდასახულად და გონივრულად მართვის ერთგული ოციოდე კაცი გულწრფელად და ცოცხლად მოკიდებს ხელს ასეთი წრეებისა და კრებების მოწყობას — არსებულ პირობებში უკეთესს და უფრო მარტივ ღონისძიებას საბჭოს შემადგენლობის გასაუმჯობესებლად ჩვენ ვერ გამოვძებნით. საბჭოს ახლანდელ შემადგენლობაზე ამ სამუშაოების დაწყებაც კი მოახდენს გავლენას. ექნებათ რა იმის შიში, რომ უარყოფენ, ან ამომრჩევლები არჩევნებამდე „გააშავებენ“ მათ კანდიდატურას, ხმოსნები ისეთ სახეს მიიღებენ, თითქოს სერიოზულად და გულმოდგინედ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ამიტომ, ზემოთგამოთქმულ მოსაზრებებს შორის სრული წარმატება უნდა ვუსურვოთ „მშაკის“ მიერ წამოყენებულ ღონისძიებას, ოღონდ იმ სახით, როგორც მოვხაზეთ...

ვუპასუხებთ რა კითხვაზე, რომელსაც ამ სტატიის სათაური გამოხატავს, ჩვენი რეზიუმე მთელი ამ სტატიის შესახებ ასეთი იქნება:

საუკეთესო საშუალებანი იმისა, რომ ვაიძულოთ ხმოსნები კეთილსინდისიერად მოეკიდონ თავიანთ საქმეს შემდეგია: საკანონმდებლო სფეროში — ცენზის გაუქმება, ხოლო პრაქტიკაში კი — კეთილსინდისიერი კანდიდატების არჩევა. ახლანდელ შემადგენლობაზე კი ჯობია ხელი ჩავიქნიოთ: არაკეთილსინდისიერ ადამიანს ვერავითარი ღონისძიებით ვერ გახდით კეთილსინდისიერად. კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს...

55. რომელ ენაზე ვიკამათოთ საბჭოში

თბილისი, 26 სექტემბერი

მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა ჩვენი სტატია თვითმმართველობის საქმეებისადმი ხმოსანთა გულგრილი დამოკიდებულების შესახებ, თბილისის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა პატივი დამდო და ამიხსნა იმის მიზეზი, თუ რატომაა რომ პირადად იგი და, მისი აზრით, რამდენიმე მისი ამხანაგი გულგრილად თუ არა, უხალისოდ არის განწყობილი საბჭოში წარმოებული კამათის, მსჯელობისა და საქმეებისადმი. ვინაიდან მის განმარტებაში ვხედავთ გაუგებრობას, ამასთან საკმაოდ სერიოზული ხასიათისას, საჭიროდ ვთვლით გავარკვიოთ იგი ბოლომდე, რათა აღმოიფხვრას აპატიის ის მოჩვენებითი „მიზეზი", რომელიც, ჩვენი აზრით, უბრალო მომიზეზება და უსაფუძვლო საბაბია.

ჩვენ ჯერ რეზიუმეს ვუკეთებთ ხმოსნის ახსნა-განმარტებას:

— „თქვენ იცით, რომ თბილისში „ორატორი" ცოტაა. სად უნდა გვესწავლა სახალხოდ ლაპარაკი, როცა უწინ კერძო საუბრისაც კი გვეშინოდა. ორი-სამი ვექილი და ამდენივე სუფრაზე მოლაყბე, აი, მთელი თბილისის ორატორები. თუმცა ხალხში მაშინაც კი ისმის სიცილი, როცა სიტყვას აღიარებული ორატორები წარმოსთქვამენ: ამბობენ, რუსულად ვერც ისინი ლაპარაკობენო მთლად დაწყობილად. დამეთანხმეთ, რომ როცა ვხედავთ, როგორ იღებენ პატენტიანი ორატორების სიტყვებს, ჩვენს, საქმიან ადამიანებს შორის, იშვიათად თუ გამოჩნდება ისეთი, რომ კამათში მონაწილეობა მიიღოს ან საკუთარი შენიშვნები გამოთქვას. გმირობას მხოლოდ ს. პ. ალადატოვი იჩენს და მაინც თავისას იმეორებს, მიუხედავად საერთო ხარხარისა, რასაც მისი გრამატიკული შეცდომები იწვევს. მაგრამ მას ხომ ექსცენტრიკოსის სახელი აქვს გავარდნილი, ხოლო თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ გაზეთმა „მშაკმა" ერთხელ დიდი უზრდელობა გამოიჩინა,—დაბეჭდა ერთ-ერთი მისი გამოსვლა და ხაზი გაუსვა ყველა მის არასწორ გამოთქმას... დამეთანხმეთ, რომ ხალხისა და საბჭოს წევრების ხარხარისა და ადგილობრივი პრესის ამგვარი დამოკიდებულე-

ბის გამო ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ბედავს ფეხზე ადგომას და საკუთარი აზრის გამოთქმას. დამეთანხმეთ იმაშიც, რომ არავის არ ეხალისება განუწყვეტლივ იაროს საბჭოში, როგორც უენო არსებამ, რომელიც მხოლოდ სურათის შესავსებად მოიყვანეს. მიხვალ საბჭოში, მოისმენ გრძელ სიტყვას, რომელსაც ვერ გაიგებ, ან გაიგებ მხოლოდ იმას, რომ საქმეს არ ეხება, მაგრამ საკუთარი გაოცებისა და შენიშვნების გამოთქმას ვერ ბედავ... გული არც ჩვენ გვაქვს ქვისა, თავმოყვარეობა ჩვენც გაგვაჩნია — ამიტომაც ადგები და ხელს ჩაიქნევ მთელ ამ თვითმმართველობაზე...

„ამავე დროს, — განაგრძობს საბჭოს წევრი, — ყოველ ჩვენთაგანს აქვს შესაძლებლობა გამოადგეს ქალაქს. სინამდვილეში საქალაქო მეურნეობა არც ისე დიდ სიბრძნეს მოითხოვს... უმეტესი საკითხების გადასაწყვეტად უბრალო საღი აზრია საჭირო, რაც, დამეთანხმეთ, ბევრ ჩვენგანს გააჩნია. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ ყველაზე მარტივი საკითხის გადაწყვეტაშიც კი, რადგან მუნჯები და ნაწილობრივ ყრუებიც კი ვართ. გაჭირვებით გვესმის ორატორებისა და მომხსენებლების სიტყვები, ჩვენ კი არც შეკამათება შეგვიძლიან და არც მათი შეცდომების გასწორება...

სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა ყოველ ჩვენგანს შესაძლებლობა რომ ქონდეს იმ ენაზე გამოსთქვას საკუთარი აზრი, რომელიც ყველაზე უკეთ იცის. გრძელ სიტყვებს ჩვენ არც მაშინ წარმოვსთქვამდით, მაგრამ პრაქტიკული, საღი შენიშვნებისა და ცნობების სიმრავლე წარმატებით შესცვლიდა ამ აუტანელ „გრძელ სიტყვებს“...

როცა მოვისმინეთ ეს ახსნა-განმარტება, მისი მნიშვნელობა მაშინვე უარვყავით პირად საუბარში. ზუსტად ისევე, როგორც ახლა „ობზორის“* მკითხველებს ვაწვდით ჩვენი უარყოფის არსს.

არ შეიძლება დავა იმ საფუძვლიანი აზრის წინააღმდეგ, რომ ჩვენს სახალხო კრებებზე ყველას უფლება აქვს ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც ყველაზე უკეთ იცის. გვინდა ვიცოდეთ, ვის და სად უფიქრია ან ფიქრობს სადავოდ გახადოს ეს აზრი? რადგან ჩვენმა კანონმდებლობამ არ სცნო საჭიროდ რაიმე დადგენილება გამოეტანა ამ საკითხის შესახებ და რადგან ჩვენს ადმინისტრაციას არ უფიქრია და არ ფიქრობს ამ საკითხის შესახებ რაიმე განკარგულება გასცეს, ამიტომ იმის გადაწყვეტა, თუ რომელ ენაზე ილაპარაკონ საბჭოში, იმ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც თვით საბჭოს ხელისუფლება წყვეტს, წყვეტს ისევე, როგორც ყველა სხვა საკითხს შინაური საქმეების მმართველობის შესახებ... ტყუილად ჰგონია თბილისის საბჭოს, რომ იგი ერთადერთი წარმომადგენლობითი

დაწესებულებაა ჩვენს მხარეში და არ ეკადრება გამოიყენოს ამიერკავკასიის სხვა საბჭოებისა და საკრებულოების პრაქტიკა. ხოლო ამ უკანასკნელთა პრაქტიკამ ამ საკითხის შესახებ უკვე გამოიმუშავა საკმაოდ მყარი საფუძველი, რომლის გამოყენება შეუძლია თბილისის საბჭოსაც.

ქუთაისის, გორისა და ახალციხის ქალაქის საბჭოებში, ისევე როგორც იმერეთის საზოგადოებრივ საკრებულოებში, საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ კამათობენ ხან რუსულად, ხანაც ქართულად, გააჩნია ვის როგორ ეხერხება. სხვაგვარად არც შეიძლება ხდებოდეს იმ ქვეყნებში, სადაც რუსული ენა კარგად საზოგადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა იცის... ამ კრებებმა, როგორც ხმოსნები, ასევე ამომრჩეველები თანდათან მიაჩვია რუსულ ენაზე ლაპარაკს და ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ყველა მათგანი თავიანთი აზრებისა და შენიშვნების გამოხატვას რუსულ ენაზე შესძლებს. მაგრამ მანამდე ჩვენ არ შეგვიძლია გადავდოთ თვითმმართველობისა და საზოგადო მეურნეობის რიგითი საკითხების გადაჭრა...

ახლა ვიკითხოთ, რა უფლება აქვთ თბილისის ქალაქის საბჭოს წევრებს გაამართლონ თავიანთი აპათია რუსული ენის უცოდინარობით? ვინ უშლის მათ ხელს ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელზედაც უნდათ, თუ მართლაც აქვთ იმის სურვილი და უნარი, რომ გაისარჯონ და საზოგადოებრივი საქმეები წარმართონ? თუ კი ამ წერილის ავტორმა, როცა სურდა გასაგები ყოფილიყო ქუთაისის საბჭოს ყველა ხმოსნისათვის, სხდომაზე ქართულადაც ილაპარაკა და რუსულადაც, და თუ ქუთაისის საბჭოს ის წევრები, რომელთაც ორივე ენა იცოდნენ მხოლოდ ქართულის ენის მცოდნე წევრთა სიტყვებს და მათ მიერ გამოთქმულ აზრებს უთარგმნიდნენ იმას, ვისაც ქართული არ ესმოდა, მაშინ საკითხავია, რატომ არ შეიძლება ამგვარი ჩვეეა თბილისის საბჭოშიც გამოვიყენოთ?

აქ, ალბათ, რაღაც გაუგებრობაა. მაგრამ ყოველი გაუგებრობის გამოსწორება შეიძლება, მითუმეტეს ასეთი უბრალოსი — ძალზე ადვილად. და თუ ეს საკითხი აქამდე არ გადაწყვიტეს თბილისის საბჭოს წევრებმა, ეს მხოლოდ მათი აპათიითა და მოდუნებით აიხსნება. მათ მხოლოდ მოეჩვენათ, რომ აუცილებლად რუსულად უნდა ილაპარაკონ. რატომ აუცილებლად რუსულად, რის საფუძველზე, ვინ მოითხოვს ამას მათგან? ამგვარი კითხვები, სიზარმაცის გამო, მათ თავიანთი თავისათვის არ დაუსვამთ. არსებული წესი მათ მიიღეს უდავო დოგმატად... განა ცოტაა ქვეყანაზე საკუთარი ფანტაზიის მიერ შექმნილი მოჩვენებებისადმი ბრმად მორჩილების მა-

გალითი! მაგრამ „სხვა“ საბჭოებისა და საკრებულოების მაგალითს რომ დავაკვირდეთ, გადმოვიღოთ სხვებისაგან, რაც მათ კარგი და მოსახერხებელი გააჩნიათ, — ღმერთმა დაგვიფაროს. — ამისათვის საჭიროა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა და ცრუ შეხედულებებისაგან განთავისუფლება. ეტყობა, თბილისის ხმოსნებს არ შეუძლიათ ასე დაიმცირონ თავი. არა, წარმოიდგინეთ: როგორ, თბილისმა, კავკასიის დედაქალაქმა, გორისა და ქუთაისისაგან აიღოს მაგალითი, განა ეს შეიძლება, განა ეს დასაშვებია, ღირსეულია? ამას სჯობია ყრუ-მუნჯნი ვიყოთ, ხელი ჩავიქნიოთ საზოგადო საქმეებზე, ქალაქი დანგრევამდე მივიყვანოთ... უპირველეს ყოვლისა სიამაყეა საჭირო!..

56. ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

თბილისი, 27 სექტემბერი

სატახტო ქალაქის პრესა თანდათან ამახვილებს ყურადღებას ჩვენი, კავკასიის ყოფის საკითხებზე. ხან აქ, ხან იქ, ან შენიშვნა გამოჩნდება, ან კორესპონდენცია, ზოგჯერ კი მოწინავე სტატიაც, რომელიც ჩვენს შინაურ საკითხებს და მათ გადაწყვეტას ეხება. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ შესაძლებლობა არ გვაქვს „ობზორის“ მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილ ამგვარ სტატიებზე. მაგრამ ამგვარი სტატიების უკვე გამოჩენაც კი სატახტო ქალაქის პრესაში, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ სატახტო ქალაქის პრესამ თითქმის არაფერი იცოდა, და არც უნდოდა სცოდნოდა რაიმე, კავკასიაზე და კავკასიის ხალხის ცხოვრებაზე... თითქმის მთელი რუსეთის საზოგადოებას მაშინ ისეთი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაზე, როგორიც შეიქმნა ოცდაათიან წლებში, მარლინსკის რომანების ზეგავლენით, როცა სიტყვა „კავკასიას“ უნებურად მოსდევდა სიტყვა „დამღუპველი“; როცა ყველა უდავო აქსიომად ღებულობდა იმ ცნობას, რომ მთელი კავკასია დასახლებულია ჩერქეზი ყაჩაღებით, რომლებიც იმდენად ველურნი არიან, რომ მათ მიმართ არ გამოდგება არავითარი რეფორმა, არავითარი წესები, გარდა სამხედრო ადმინისტრაციის უკონტროლო თვითნებობისა...

იმის გამო, რომ რუსეთის საზოგადოება არ იცნობდა კავკასიის ყოფაცხოვრებას, თვით ამ საზოგადოებასა და რუსეთის პრესაში თანდათან დამკვიდრდა გაზვიადებული შეხედულება რაღაც უცნობ „ადგილობრივ პირობებზე“, რომელიც თითქოს ხელს უშლის ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგებას და წარმართვას. ცხადია, ჩვენი „ადგილობრივი პირობები“ ზუსტად ისეთი არაა, როგორიც არხანგელსკის ან ვოლოგდის ოლქებისა, მაგრამ სწორედ ამიტომ იყო საჭირო, „ადგილობრივ პირობებზე“ გაუთავებელი ლაპარაკის ნაცვლად, ხელი მოეკიდათ ამ პირობების გამორკვევისა და შესწავლისათვის, რაც არავის არ გაუკეთებია... ხოლო მას შემდეგ, რაც სა-

ტახტო ქალაქის პრესა ამ საკითხს შეეხო, სულ უფრო მეტად ირკვევა, რომ ამ ყბადაღებული „ადგილობრივი პირობების“ ქვეშ სულ სხვა რამ იმალება, ვიდრე ამაზე ადრე ჰქონდათ ეჭვი... სატახტო ქალაქის გაზეთებმა დაინახეს, რომ ჩვენი მხარე ყაჩაღი ჩერქეზებით კი არაა დასახლებული, რომელთაც თითქოს ვერც დაელაპარაკები და ვერც შეეთვისები, ვერც გაუგებ და ვერც დააკმაყოფილებ, არამედ უბრალო და მშვიდობიანი მოკვდავებით, რომელთაც საკმაოდ შეზღუდული და სრულიად კანონიერი ინტერესები გააჩნიათ და მოთმინებით ელიან მათ დაკმაყოფილებას... თანდათან ირკვევა, რომ ჩვენი ქვეყნის ყბადაღებული „მრავალენიანობა“, დაბრკოლების ის ქვა, რომელზედაც იმსხვრევა ყველა ჩვენი მისწრაფება — ჩვენი საზოგადოებრივი წესრიგის სრულყოფისათვის სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოდ კავკასიისათვის დამახასიათებელ მოვლენას. მაგალითად, ყაზანის გუბერნიაში და ვოლგის ნაპირებზე დასახლებული ხალხის რწმენა, კილოკავი, ინტერესები და ურთიერთდამოკიდებულება ნაკლებად მოზაიკური არაა, ვიდრე ამიერკავკასიისა... მაგრამ იქაურ „ადგილობრივ პირობებზე“ არავინ არ ლაპარაკობს და არავინ არ მოითხოვს ამის საფუძველზე ჩამოერთვას ადგილობრივ მოსახლეობას თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სიკეთე.

მაგრამ ჩვენ გადავუხვიეთ დღევანდელი საუბრის თემიდან.

დღეს მიღებული „გოლოსის“ [27] ნომერში (№ 260) დაბეჭდილია მოწინავე სტატია — „საქართველოში გლეხთა საქმის შესახებ“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სტატია თითქმის სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი 1877 წ. გაზაფხულზე „ტიფლისკი ვესტნიკში“ [3] ამავე თემაზე დაბეჭდილი სტატიიდან, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში გამოსყიდვის ოპერაციების გაჭიანურებას ეხება. ჩვენ ამას იმიტომ კი არ აღვნიშნავთ, რომ სატახტო ქალაქის გაზეთები დავამცირეთ, პირიქით, ამაში ჩვენ უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს ვხედავთ და მხოლოდ ამ ნაბიჯის კონსტატირებისათვის შევეხეთ საქმის ამ მხარეს.

სატახტო ქალაქის გაზეთები პროვინციული გაზეთებიდან, ჩვეულებრივ, შიშველ, მშრალ ფაქტებს სესხულობენ. ისეთ არაჩვეულებრივ მოვლენებს, როგორიცაა: ხანძრის გაჩენა, მკვლელობა, დანაშაული. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც პოლიციის „შემთხვევათა დღიურში“ შეაქვთ. ასეთია ის მასალა, რასაც ძირითადად იყენებენ სატახტო ქალაქის გაზეთები. დაბეჭდეთ თუ გინდა მოგონილი ამბავი, რომ თბილისში ან ოზურგეთში სამთავიანი და ოცდარვა კუდიანი ხბო დაიბადა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობას

არავითარი საზოგადოებრივი ღირებულება არა აქვს, მაინც მთელ რუსულ პრესას მოივლის. ანდა ასეთი: თითქოს რომელიღაც გლეხის ქალმა შემთხვევით, და არა განზრახ, საკუთარი ბავშვი მოწამლა — ქინაქინის ნაცვლად დარიშხანი დაალევინა, და დაინახავთ, რომ ამ ცნობას ყველა გაზეთი გადაბეჭდავს. საერთოდ, ჩვენს გაზეთებს უყვართ ცხარე სანელებლები: საშინელი ამბები, არაჩვეულებრივი მოვლენები და ა. შ.

თუმცა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამგვარი მოვლენები არ ქმნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დამოკიდებულია მათზე... რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების ნამდვილ, ამჟამად არსებულ, მუდმივ მხარეებს—ამ საკითხებს რუსეთის პრესა აქამდე არ ეხებოდა. ეტყობა, ეს მხარე მათ ყურადღების ღირსად არ მიაჩნდათ. აი, რატომ ხდებოდა სატახტო ქალაქის პრესაში იგნორირება ჩვენი გაზეთების საუკეთესო სტატიებისა და ინფორმაციებისა, რომლებიც ადგილობრივი ყოფის რეალურ, ძირითად მხარეებს აშუქებდა. არავის არ ეხალისებოდა გრძელი მოწინავე სტატიების კითხვა და გრძელ კორესპონდენციებში აღძრულ საკითხებზე ფიქრი. გაცილებით ადვილი საქმეა აიღო მაკრატელი და ამოსჭრა ადგილობრივი გაზეთებიდან მოკლე ცნობები სამთავიან ხბოზე და შვილის მომწამვლელ დედაზე. რა ენაღვლება ჟურნალისტს, თუ რომ საზოგადოებას, რომელიც გაზეთებში კავკასიაზე ამგვარ „ცნობებს“ კითხულობს, მისდაუნებურად ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს მთელი კავკასია მკვლელებით, მახინჯებით და მომწამვლელებითაა დასახლებული...

ამიტომ გასაგებია, როცა ჩვენ ვხვდებით სატახტო ქალაქის პრესაში, როგორც დღევანდელ „გოლოსში“, ადგილობრივი პრესიდან ნასესხებ სტატიას, რომელიც ჩვენი ცხოვრების ყოფით მხარეებს ეხება — ჩვენ ასეთ სესხებას მადლობის გრძნობით ვეკიდებით და არ ვცდილობთ კრიჭაში ჩავუდგეთ იმის გამო, თუ საიდან აიღეს იგი.

რადგან „ტიფლისკი ვესტნიკის“ სტატიები ომის გამოცხადების წინა დღეებში დაიბეჭდა და თითქმის უკვალოდ ჩაიარა მათმა გამოქვეყნებამ, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადმოვბეჭდოთ „გოლოსიდან“ უკანასკნელი სტატიის რამდენიმე ნაწყვეტი. იმედი მაქვს გადმობეჭდილი ნაწყვეტები აიძულებს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ყოფის ძირითადი საკითხებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რამაც შეიძლება ამ საკითხის უკეთ დაყენება გამოიწვიოს:

„საქართველოში არსებულ ბატონყმურ წესწყობილებას არაფერი არ ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც ჩვენთან, რუსეთში ვხე-

დავდით. საქართველოში ბატონის უფლება და ყმის ვალდებულება მასთან ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად იყო განსაზღვრული, გამიჯნული და დადგენილი წესდებით, რომლის ძალითაც მთელ მიწას გლეხები ფლობდნენ, რის სანაცვლოდაც მემამულეს უხდიდნენ გარკვეულ გადასახადს. ამ პროგრამას ოდითგანვე წმინდათ იცავდა ორივე მხარე და პაპიდან შვილიშვილის შვილზე გადადიოდა. გლეხებს შეეძლო გაეზარდა ან შეემცირებია მამული, შესყიდვა-გაყიდვის გზით, მაგრამ ორივე შემთხვევაში პროგრამა იგივე რჩებოდა: ორივე შემთხვევაში ვალდებული იყო გადაეხადა იმდენი, რამდენიც შეწერილი ჰქონდა. მემამულეს არ ჰქონდა უფლება გაეზარდა გადასახადი, შემცირება კი შეეძლო, რასაც აკეთებდნენ კიდეც ქართველი მემამულეები ყმათა მიერ გაწეული სამსახურის გამო, უმთავრესად თურქეთთან და სპარსეთთან გაუთავებელი ომების დროს. აი, რატომ არ უხდიდა არაფერს ბევრი ქართველი გლეხი მემამულეს, თუმცა ამ მემამულის ყმად ითვლებოდა. საქართველოში იყო გლეხთა ბევრი ისეთი გვარი, რომლებიც პროგრამის მიხედვით მემამულეს არაფერს უხდიდნენ და მხოლოდ ზღაპრებს უყვებოდნენ ძილის წინ. მემამულეს სრული უფლება ჰქონდა გაეყიდა ყმა, მაგრამ მიწასთან ერთად. ახალ მემამულეს ისეთივე უფლება ჰქონდა ყმაზე, როგორიც ძველს. პროგრამაც იმავე ძალას ინარჩუნებდა, ე. ი., უბრალოდ რომ ვთქვათ, მემამულეს შეეძლო მხოლოდ ყმაზე თავის უფლების გადაცემა მეორე მემამულისათვის. ყმის ცალკე გაყიდვის უფლება არ ჰქონდა.

„გლეხთა რეფორმა კავკასიაში ცოტა სხვანაირად ჩატარდა, ვიდრე იმპერიის სხვა გუბერნიებში. გარდა საკარმიდამო ნაკვეთისა, რაშიც გლეხს, ვალების მთლიანად გასტუმრებამდე, სამი მანეთი უნდა გადაეხადა ყოველ წელს წინდაწინ, მთელი მიწა მემამულის საკუთრებად იქცა. თავისუფლების გამოცხადების დღიდან გლეხს უფლება ჰქონდა დარჩენილიყო იმავე მიწაზე ათი წლის განმავლობაში, ე. ი. თავის მიწაზე, რომელიც ახლა მემამულის კუთვნილება იყო. მაგრამ ამ უფლებისათვის მათ უნდა გადაეხადათ მემამულისათვის თავიანთი შემოსავლის მეოთხედი. ამ ათი წლის მანძილზე დროებით ვალდებულ გლეხს თვითონ უნდა გამოესყიდა მიწა მემამულესთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვა სიძნელეები. მაგალითისათვის ავიღოთ ქუთაისის გუბერნია. ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასი ჰარბობს იმ ნორმას, რომელიც განსაზღვრულია ბრძანებულებით—შესასყიდი ოპერაციები-

სათვის სახელმწიფოსაგან სესხის მიღების შესახებ. ალბათ ამიტომ არ უნდოდათ მემამულეებს მიეყიდათ მიწა გლეხებისათვის ბრძანებულებით გათვალისწინებული ნომინალური ფასის მიხედვით. ამიტომ გლეხები იძულებულნი იყვნენ გამოესყიდათ მიწა საკუთარი ფულით იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გლეხსა და მემამულეს შორის იდებოდა და, ამგვარად, გლეხი მიწას მთავრობის დაუხმარებლად იძენდა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გამოსყიდვა სწრაფად მიმდინარეობდა: გლეხებმა მიწის გამოსასყიდი ფული იშოვეს, მემამულეებმა ცოტა დაუთმეს და მათ შორის ხელშეკრულებები იდებოდა.

„1868 წლის 14 აგვისტოდან ასეთი ხელშეკრულება, კანონის მიხედვით, ორივე მხარეს მომრიგებელი შუამავლისათვის უნდა გადაეცა, ეს უკანასკნელი კი უგზავნიდა გუბერნიის გლეხთა საქმის სამმართველოს. სადაც მას ასწორებდნენ, ამტკიცებდნენ და საბუთების გასაფორმებლად გადასცემდნენ ნოტარიუსს, რომელიც, დამტკიცების შემდეგ, საბუთებს გლეხს უბრუნებდა. გუბერნიის გლეხთა საქმის სამმართველომ რამდენიმე ათასი ასეთი საქმე მიიღო, მიიღო აგრეთვე საკმაოდ ბევრი ოქმი, რომლებიც მომრიგებელმა შუამავალმა მას შემდეგ შეადგინა, როცა მემამულემ სცნო გლეხის უფლება იმ მიწაზე, რომელსაც ამუშავებს. გუბერნიის გლეხთა სამმართველოს ეს ოქმები უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ ისინი, ისევე როგორც ხელშეკრულებები, რატომღაც უძრავად იდო სამმართველოს რომელიღაც არქივში მთელი ათი წლის მანძილზე. 1876 წელს, როცა სამმართველოს მუშაკებმა დაიწყეს ამ ხელშეკრულებების გადასინჯვა, მათი დამტკიცების უფლება აღარ ჰქონდათ, რადგან იმ მიწას, რომელიც მიყიდეს ან დაუთმეს მემამულეებმა გლეხებს, უკვე კერძო ყადაღა ქონდა დადებული. ყადაღა მოჰყვა დაუდევარი მემამულეების მიერ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღებულ ვალებს იმ დროის მანძილზე, სანამ ეს ხელშეკრულებები უმოძრაოდ იყო სამმართველოს კანცელარიებში.

და აი, რა შედეგი მივიღეთ: „დებულების“ 69-ე, 70-ე, 71-ე მუხლები ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება მემამულისა და გლეხს შორის დადებული იმ ხელშეკრულებების გასაჩივრება, რომლებიც დამტკიცებულია არსებული წესის თანახმად მომრიგებელი შუამავლის მიერ, ე. ი. არც მემამულეს და არც გლეხს უფლება არა აქვს უარი თქვას იმ ვალდებულებაზე, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს იტვირთა. ქუთაისის გუბერნიაში ეს დადგენილება შემდეგნაირად ახსნეს: ყოველი მომრიგებელი შუამავლის მიერ დამტკიცე-

ბული ხელშეკრულება საბოლოოა და მისი შეცვლა აღარ შეიძლება, ხოლო სამმართველოს მიერ დამტკიცება და ნოტარიალურად გაფორმება მხოლოდ ფორმალური მხარეა. ამიტომ მოხდა, რომ გლეხები, რომელთაც მემამულეებთან ხელშეკრულება დასდეს, ფულს მთლიანად იხდიდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ყოველგვარი დავა და ურთიერთვალდებულება მათ შორის სამუდამოდ აღმოფხვრილია. ამიტომ მოხდა, რომ დახიეს შესყიდული მიწის საკუთრებაზე უფლების ყველა დამამტკიცებელი საბუთი, აიღეს ვალები უცხო პირთაგან და ვალების დასაფარავად მოვალეებს აძლევდნენ თამასუქებს შესყიდული მიწის დიდ ნაწილზე, ხოლო კრედიტორები არ ივიწყებდნენ მათ საუპირო გადასახადს. ზოგიერთმა გლეხმა ამ მიწის ნაწილი კრედიტორებს შინაური წესით მიჰყიდა, მიჰყიდა ისე, როგორც ეს მიღებულია ჩვენს მხარეში. და უეცრად აღმოჩნდა, რომ გლეხებს საკუთრება არ გააჩნიათ და ტყუილად გადაუხადეს ფული მემამულეებს, რასაც უკან ვერასოდეს მიიღებენ, რადგან მემამულეთა უმეტესობა გაღარიბდა და გლეხებს ვერაფერს მისცემს. გარდა ამისა, გლეხებმა, მათდაუნებურად, ჩაიდინეს სიყალბე, რადგან გაყიდეს და დააგირავეს ის მიწები, რომლებიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ არ ეკუთვნოდათ და რომელთაც კერძო პირთა ყადაღა ედო, ამასთანავე იკისრეს საუპირო გადასახადის გადახდა და ა. შ. ახლა ვიკითხოთ: ვინ გადაუხდის მათ ამ თანხას? მემამულეებს უფლება აქვთ განაცხადონ, რომ დიდი ხანია ანგარიში გაუსწორეს გლეხებს, მიწები მომრიგებელი შუამავლის თანდასწრებით გადასცეს და აღარაფერი აღარ ეკითხებათ, ხოლო რაც შეეხება ახალ კრედიტორებს — მათ ხომ პირობა არ დაუდვიათ, რაც არ უნდა გაუჭირდეთ, ფულს არ ისესხებენ! მომრიგებელ შუამავლებსაც შეუძლიათ თავის გასამართლებლად თქვან, რომ დაშვებული შეცდომები და ყალბისმქნელობა მათი ბრალი არაა: მათ, როგორც მცირე განათლების მქონე ადამიანებმა, ვერ გაიგეს „დებულების“ აზრი, გარდა ამისა, მემამულეებს მათ ფული მისცეს და როცა სამმართველოში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, მაშინ მათ მამულს ყადაღა არ ედო. ყადაღა მათ მიწებს რამდენიმე წლის შემდეგ დაადეს, ხოლო გლეხთა საქმის სამმართველოს რომ დროზე განეხილა ეს საქმეები, ამ უბედურებას ავცდებოდით. მომრიგებელი შუამავლები ნაწილობრივ მართალნი არიან, მაგრამ რით უნდა გაიმართლონ თავი გუბერნიის გლეხთა საქმის სამმართველოს მუშაკებმა? რას აკეთებდნენ და აკეთებენ ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში? ჩვენ

მხოლოდ ის ვიცით, რომ მოხელეთა უმრავლესობა სულ სხვა საქმეებითაა დაკავებული. ომის დროს სამმართველოს ბევრი მოხელე მოიჯარადრობას ეწეოდა და სარგებელსაც დიდს ნახულობდა. ერთია მხოლოდ — განყოფილებები უკმაყოფილო იყო მათი მუშაობით. ცალკე მემამულეები ჩიოდნენ, ცალკე გლეხები, ხოლო მათი ურთიერთდამოკიდებულება სულ უფრო იხლართებოდა და საკმაოდ დაძაბული ხდებოდა“.

საკვირაო საუბრები

ბედისაგან განებივრებულის დაცემა. — აზრები, რომლებიც ამ დაცემამ გაშოიწვია. — საზოგადოების დამოკიდებულება ამ კაცისადმი დაცემამდე და დაცემის შემდეგ. — წარსულის სურათები. — ბედისაგან განებივრებულის ეზო. — „ლიბერალების“ როლი მის სასტუმრო ოთახში. — სანამდე შეიძლება დავიდეს ადამიანის სიმდაბლე. — როგორ ექცეოდა იგი მლიქვნელებს. — როგორ ექცეოდნენ მას მეგობრები დაცემის შემდეგ. — ვინაა დამნაშავე? სად პოულობენ მოურიდებელი ადამიანები წარმატების წყაროს.

ის დაეცა... ჩამოვარდა ისეთი სიმაღლიდან, რომლის წარმოდგენაც ჩვეულებრივ მომაკვდავს გაუჭირდება და რომელზედაც ამაოდ და გამუდმებით ოცნებობენ პატივმოყვარეთა შორის უბედნიერესნიც კი. ბრმა ბედმა აკვნიდანვე დააჯილდოვა იგი უკლებლივ ყველა სიკეთით. წარმოშობით აზნაური, შეძლებით — მილიონერი, ნაცნობების სიმრავლით— მაგნატი, გარდა ყველა ამ სიკეთისა, ის დაჯილდოვებულია აგრეთვე ჭკუით, განათლებითა და პატივმოყვარეობით... ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ცოტა არაა, მაგრამ გულუხვმა ბედმა დამატებით მას უფროსების სიყვარული და ნდობა მოუპოვა... და იგი მიდიოდა, არა, კი არ მიდიოდა, არამედ მიფრინავდა მწვერვალისაკენ, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი, დაჯილდოვებული თუნდაც საკმაო ტალანტით, მოქმედების უნარითა და სარგებლობის მომტანი ნიჭით, ათი წლის ბეჯითი შრომით აღწევს. მისთვის ერთი ან ორი-სამი თვე კმაროდა... ყველას გაასწრო, ყველაზე მაღლა ავიდა და ერთი, ოცდაათ წელს ცოტათი გადაცილებული, მიუწვდენელ სიმაღლეზე გაჩერდა. სადაც თითქმის ყველას რეტი და თავბრუ ესხმის...

და უცებ იგი სწორედ ამ სიმაღლიდან ჩამოვარდა, როგორც მოცელილი თავთავი და არარაობის ღრმა უფსკრულში ჩაეშვა...

დაცემა, რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არაა. თუ კი დაეცა ისეთი სამეფო, როგორიც იყო რომი, რომელიც მთელ მსოფლიოს ფლობდა, მაშინ რა გასაკვირია იმ კაცის დაცემა, რომელიც ამაყად გაიძახოდა, რომ „სამ სამეფოს“ ჩემს ნებაზე ემართავო, თუმცა ამ სამ სამეფოში იგულისხმებოდეს ისეთები, როგორიცაა გურია ან სამეგრე-

ლო... თქვენ დიდ შეცდომას დაუშვებთ, მკითხველო, თუ იფიქრებთ, რომ დღევანდელ ფელეტონს ადამიანის დიდების წარმავლობას ეუძღვნი... არა, მე არ მაკვირვებს კაცის დაცემა, არაფერს არ ვხედავ მასში უჩვეულოს და ზებუნებრივს. მე სულ სხვა მხარეები მაინტერესებს, როგორც ყოველი დაცემის, ასევე აღზავებისა. მე სწორედ ამის შესახებ მინდა გესაუბროთ, რადგან ჩვენთვის ეს ახლა მეტისმეტად დროულია...

ყველა ჩვენს ღმერთსა და ხელისუფლებას ვემორჩილებით. ყოველი ცოდვილის აღზევებაც და დაცემაც, რასაკვირველია, მათ ხელშია... ჩვენ, ბედის მორჩილებმა, კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ალბათ რაიმე საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა ყოველი მოკვდავის აღზევებას თუ დაცემას. ამიტომ მე არამც თუ არ მმართებს და არ შემიძლია, არამედ არც მსურს შევეხო ამ მიზეზებს. არც-ერთ ჩვენგანს არ გააჩნია საკმარისი ცნობები და მონაცემები იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად იმსჯელოს ამ მიზეზებზე. ესაა მომავალი ისტორიის საქმე და ჩვენ წინასწარ ვერ გამოვუტანთ მას მიუკერძოებელ განაჩენს.

მაგრამ ამ საქმეს, — ბედისაგან განებივრებულის აღზევებისა და დაცემის საქმეს, — ერთი ღრმა ზნეობრივი მხარე აქვს, რომელიც ამ განებივრებასთან საზოგადოების დამოკიდებულებას ეხება. ჩემი ფელეტონის სიუჟეტად მე სწორედ ეს უწყინარი მხარე ავირჩიე.

მართლაც და რა უნდა იყოს უფრო უცნაური, ვიდრე არა მარტო ადგილობრივი და რუსეთის საზოგადოების, არამედ კაცობრიობის დამოკიდებულება წარმატებისა და წარუმატებლობისადმი?... როგორ იმცირებს ყოველი საზოგადოება თავს იმ კაცის წინაშე, რომელმაც სულერთია რა გზით, მაგრამ წარმატებას მიაღწია და რა ჩქარა, როგორი ზიზღით აქცევს ზურგს გუშინდელ კერპს, როცა იგი რაიმე მიზეზის გამო დაემხობა!.. დამეთანხმეთ, რომ ამგვარი სიუჟეტი დაფიქრების ღირსია...

იგი დაეცა... მაგრამ იცით კი თქვენ, რომ ქვეყანაზე არ ყოფილა კაცი, რომელიც ისეთი მონური თავდამცირებით გაენებივრებიოს ბრბოსაც და საზოგადოებასაც, როგორც ამ კაცს ანებივრებდნენ? მისი შეხედულებები კანონი იყო არა მარტო მისგან დამოკიდებულ მშრომელთა ბრბოსათვის—, არამედ სრულიად უზრუნველყოფილი, განათლებული, შეუცვლელი, დამოუკიდებელი საზოგადო მოღვაწეებისათვისაც. მისი, მისი ლაქიების, მისი ძაღლის წინაშეც კი უკანა თათებზე დგებოდნენ მეცნიერების, საზოგადოებისა და კაპიტალის წარმომადგენლები... საზოგადო მოღვაწეები იძულებულს ხდიდნენ მთელ საზოგადოებას ეგზავნათ მისთვის იუდას ამბორი ფარისეელუ-

რი დეპუტაციების მეშვეობით... ერთი მისი სიტყვა კმაროდა იმისათვის, რომ შეუცვლელი მოღვაწეების „მრწამსში“ თეთრი სწრაფად შეცვლილიყო შავით და პირიქით. ყველა, დაწყებული პატარა კაციდან დიდამდე, უსიტყვოდ ასრულებდა ამ ბედისაგან განებივრებულის სურვილს, პირდაპირ, უსირცხვილოდ, როგორც სპარსეთის სატრაპი, რომელიც ხმამაღლა გაჰყვირის: თქვენთვის ერთადერთი „კანონი — ეს მე ვარო“.

ჩემდა საუბედუროდ, მე დიდხანს ვიყავი ამ განებივრებულის ბრჭყალებში. მე აშკარად და პატიოსნად ვებრძოდი მას ყველა იმ პატიოსანი საშუალებებით, რომლებიც ჩემს განკარგულებაში იყო და ახლა, როცა იგი დაეცა, ტალახში არ ამოვთხუპნი. მაგრამ იცით თქვენ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა გავლენამ? გარწმუნებთ, მე არ მაშფოთებდა და არ შეურაცხმყოფდა მისი უკანონო ღონისძიებები, რასაც თავდაცვის მიზნით, ჩემს წინააღმდეგ იყენებდა. ამაზე უფრო მეტად არც მის მიერ ჩვენი მოსახლეობის ინტერესების შელახვა მაშფოთებდა... მე ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს დრო თავისას გაიტანდა... მაგრამ მე ყველაზე მეტად ჩვენი საზოგადოების, ეგრეთ წოდებული ჩვენი „ინტელიგენციის“ მისდამი დამოკიდებულება მაკვირვებდა, მაშფოთებდა და გულს მირევდა... მინდა გულახდილად ვაღიარო: როცა ყოველივე ამას ვხედავდი, იყო მომენტები, დაკარგული მქონდა იმედი რაიმე გაუმჯობესების შესაძლებლობაზე, სამართლიანობის გამარჯვებაზე შორეულ მომავალშიც კი...

ეს იყო მართლაც საშინელი მომენტები და მე ახლაც ვერ ვიგონებ მათ ისე, რომ ჟრუანტელმა არ დამიაროს მთელ ტანში. აბა დაფიქრდით: უსამართლობის ფაქტები შეიძლება ყველგან და ყოველთვის არსებობდეს. დროდადრო, ყველგან გამოჩნდებიან წარმატებებით იმდენად დაბრმავებული, იმდენად თავდაჯერებული პირები, რომ სამართლიანობის გათელვა არაფრად უღირთ... მაგრამ ყველგან და ყოველთვის ასეთი ბუნების ადამიანები ან გამონაკლისნი ანდა საზოგადოების წინააღმდეგ მებრძოლნი არიან. მაგრამ აქ, ქუთაისში, „ინტელიგენტური საზოგადოება“ არც კი დაფიქრებულა საკუთარ მოვალეობაზე ამგვარი მოვლენისადმი. პატენტიანი ლიბერალები ულოკავდნენ იმ ხელს, რომელიც მოურიდებლად სცემდა მათ სახეში... იხვეწებოდნენ და ძერებოდნენ იმ სასტუმრო ოთახში, სადაც პირადად მათ, მათ შეხედულებებსა და ყალბ „იდეალებს“ დასცინოდნენ და აფურთხებდნენ... ოფლი ასხამდათ, როცა მათ ზნეობრივ ხასიათზე ამფიტრიონის ზიზღნარევ აზრს ისმენდნენ, ხოლო ხელმეორედ მისვლის უფლება რომ მოეპოვებინათ, მიქონდათ

მასთან და მის მახლობლებთან ჭორები ყველაზე და ყველაფერზე... „ე-ე-ე, — მიიღეს მათ პასუხად, — თქვენ ასეთსავე ჭორებს ავრცელებთ ჩვენზედაც სხვებთან!“ და ისინიც იღიმებოდნენ, ქედს იხრიდნენ, იფიცებოდნენ, მიდი-მოდიოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო!..

ისინი მართლაც ავრცელებდნენ ჭორებს მასზე, იმ კაცზე, რომლის ყოველდღიური სტუმრებიც იყვნენ, რომლის წინაშეც თავს დაბლა ხრიდნენ, რომელსაც პირადად მათი და მათი ნათესავების სამსახურში დაწინაურებასა და მოწყალებას ეევედრებოდნენ... ამ მოწყალების გამო ისინი კანონის უფლებას და საერთო განვითარების ინტერესებს ივიწყებდნენ! ...და ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მათ მხოლოდ ერთადერთი საშუალება „ჭორების გავრცელება“ იპოვეს, რითაც მათ ბოროტების აღმოფხვრა კი არ სურდათ, არამედ — გარკვეულ წრეებში ლიბერალის რეპუტაციის შენარჩუნება...

გავიდა წლები და იგი დაეცა... და იცით დაცემის შემდეგ ვინ შეაქცია პირველად მას ზურგი? მან, ვინც ამ ნებიერს ხელს ულოკავდა, ვინც მისი ნასუფრალით იკვებებოდა, ვინც მფარველობას სთხოვდა, ვინც ერთგულებას ეფიცებოდა, ვინც არა მარტო სიმართლით, არამედ სიცრუითაც ემსახურებოდა...

მე მიამბეს ერთი სცენის შესახებ, რომელიც მისი დაცემის შემდეგ გათამაშდა. გუშინდელი სატრაპი შედის დარბაზში, სადაც მის ძველ მეგობრებს მოუყრიათ თავი, ყველა მას, ვინც ამ რამდენიმე დღის წინ პირფერულად შესცქეროდა თვალებში და მის ღიმილს იჭერდა... ახლა კი მას აღარავინ სცნობს. ყველა ზურგს აქცევს, თავის დაკერასაც კი არავინ იმეტებს... ო, რა აღშფოთება, რა ზიზღი დუღდა, ალბათ, იმ წუთს მის გულში! მაგრამ პირფერობას, რომელსაც მის მიმართ იყენებდნენ, სანამ იგი ძლიერი იყო, უნდა ესწავლებინა მისთვის ადამიანებისადმი ზიზღი და ამ ზიზღის მთელი ძალა სწორედ ამ მომენტში უნდა გამომჟღავნებულიყო...

მე ფსიქოლოგიურ ანალიზს არ ვაწარმოებ და ამიტომ განზე გადავდებ ბედისაგან ყველა განებივრებულის გრძნობებს და ჩემს სიუჟეტს დავუბრუნდები.

ვისაც უნდა მისაყვედუროს ბედისაგან ყოფილ განებივრებულს ეპირფერებიო, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ იგი ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე იმაში, რასაც სჩადიოდა. დამნაშავე ვართ ჩვენ, მე და თქვენ, ჩემო მეგობარო მკითხველო, ყველა ერთად, ვისგანაც საზოგადოება შედგება. ვიცი, თქვენ რომ ეს ამბავი გაკვირვებთ, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი.

ხელისუფლებისაკენ, გამარჯვებისაკენ სწრაფვა, არა მარტო ბუნებრივი, არამედ ღირსეული მისწრაფებაცაა ყველა წესიერი ადამიანისათვის, რომელსაც რაიმე მრწამსი გააჩნია და სურს, რომ საზოგადოება მისი მრწამსის მიხედვით ცხოვრობდეს. ყოველი წესიერი ადამიანის მოვალეობა ისაა, რომ მიაღწიოს ასეთ გამარჯვებას თავისთვის თუ არა, საკუთარი მიმართულებისათვის მაინც, ახლა თუ არა, მომავალი თაობისათვის მაინც. ამიტომ, ვერავის ვერ ვუსაყვედურებთ და ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ ხელისუფლებისაკენ და წარმატებისაკენ ისწრაფოდა. ამგვარი მისწრაფება ყოველი ადამიანის ბუნებაშია. მაგრამ ამ მისწრაფების გამოვლენის თვით მეთოდი დამოკიდებულია საზოგადოებაზე, რომელშიც იგი ვლინდება და არა იმ პირზე, რომელიც ამგვარ მისწრაფებას ამეღავნებს.

წარმოვიდგინოთ ზედმიწევნით განვითარებული საზოგადოება, რომელიც მკაცრად ეკიდება ყოველგვარ წარმატებას და იმათ წინაშე, ვინც „წარმატებას" აღწევს, ქედს არ იხრის. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი საზოგადოება, რომელიც მკაცრად ეკიდება იმ გზებს, რომელთაც წარმატებამდე და წარუმატებლობამდე მივყავართ, მუხლს არ იყრის უღირსი ტრიუმფატორების წინაშე. წარმოვიდგინოთ ასეთი იდეალური საზოგადოება და ვიკითხოთ: ბევრი აღმოჩნდება ასეთ საზოგადოებაში ისეთი პირი, რომელიც ყველა საშუალებით ეცდება წარმატების მიღწევას და ამისთვის სიკეთის ყველა პრინციპს გათელავს?

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ, და მთელი ჩვენი საზოგადოება ქედს ვიხრით ყოველგვარი წარმატების წინაშე, ვერ ვპოულობთ იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც შეგვეძლება კეთილსინდისიერად და გონივრულად მოვეკიდოთ საერთო სარგებლიანობასა და სამსახურს, არ შეგვიძლია და არცა გვაქვს სურვილი გავუძლოთ იმ ადამიანთა კონკურენციას, რომლებიც მხოლოდ პირად წარმატებას ეძებენ და ამისათვის არავითარ საშუალებას არ თაკილობენ. მოიჯარადრემ იცის, რომ რა გზითაც არ უნდა მოიპოვოს მილიონი, საზოგადოება მაინც ქედს მოიხრის მის წინაშე. ამიტომაც არ ერიდება მოსყიდვას და თაღლითობას... მოხელე დარწმუნებულია, რომ რა საშუალებებითაც არ უნდა დაწინაურდეს სამსახურში, როცა დაწინაურდება, მის წინაშე ყველა ქედს მოიხრის. სწორედ ამიტომ იგი ცდილობს იყალბოს, ასიამოვნოს უფროსებს. ამასვე ვხედავთ მოღვაწეობის ყველა სხვა დარგშიც. გასაგებია, რომ ზნეობრივად სუფთა ადამიანები, რომლებიც ზიზღით უყურებენ ყოველგვარ ბინძურ საშუალებებს, იძულე-

ბულნი არიან დაუთმონ იმათ, რომელთაც ამგვარი „ცრუ შეხედულებები“ არ გააჩნიათ.

ამგვარად, მკითხველო, ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე, რომ „აღზევებულნი“ ასე მოურიდებლად გვექცევიან... ჩვენ თვითონ ვისვამთ ბედისაგან განებივრებულთ თავზე, რადგან ველაქუცებით ყველა მათგანს და ზურგს ვაქცევთ ყველა დაცემულს... ისე როგორც ჩვენი პირფერობა ხელს უწყობს წარმატებისათვის ყველა საშუალების გამოყენებას, ასევე ჩვენი ლაქიური თავმომწონეობა დაცემულის მიმართ იძულებულს ხდის ყველას მაგრად იდგეს თავის ადგილზე...

როცა ვისწავლით წარმატებისა და წარუმატებლობის ღირსეულად შეფასებას, როცა ყურადღებას მივაქცევთ იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთაც ადამიანები ამა თუ იმ წარმატების მისაღწევად იყენებენ — მხოლოდ მაშინ მოგვეცემა შესაძლებლობა პატივი ვცეთ საკუთარ თავს... ხოლო მანამდე არა თუ იმის უფლება არა გვაქვს, რომ დავგმოთ დაცემული, ბედისაგან განებივრებული, არამედ ვალდებული ვართ გვახსოვდეს, რომ მის ქცევაში ყველაზე მეტად ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე...

58. ღირსების სამსჯავრო

„ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] დღევანდელ ნომერში (№ 217) დაბეჭდილია ბატ. ბ. ღოღობერიძის ასეთი წერილი:

„ობზორის“ [2] 251 ნომერში ბატ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა შენიშვნა, რომლის სათაურია „ღირსების სამსჯავრო“: ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევავსოთ ეს შენიშვნა დამატებითი მითითებებით, რაც რამდენადმე სხვაგვარად (?) გააშუქებს საქმის ვითარებას.

„29 ივლისს ჩვენ შევთანხმდით, რომ ბატ. ნიკოლაძე ჩემს რწმუნებულებს გამოუგზავნის თავის შენიშვნებს, რწმუნებულთა მიერ შედგენილი სამედიატორო ჩანაწერის უკანასკნელი პროექტის შესახებ. ამის შემდეგ ისინი ერთად განიხილავდნენ შენიშვნებს და, აზრთა სხვაობის შემთხვევაში, ჩამოაყალიბებდნენ იმ საკითხებს, რაშიც ვერ შეთანხმდნენ, შემდეგ კი წარუდგენდნენ არბიტრს პ. ა. პეშჩეროვს. ბატ. ნიკოლაძე დაგვპირდა შენიშვნებს ორ-სამ დღეში, გამოგიგზავნითო და ამგვარი პირობა შემდეგაც ბევრი მოუცია. ხუთი კვირის შემდეგ. როცა საქმე უმოძრაოდ იყო, 6 სექტემბერს ჩვენ ვთხოვეთ ბატ. ნიკოლაძეს კეთილინებოს და მისცეს საქმეს მსვლელობა.

„პასუხად მივიღეთ წერილი, სადაც ბატ. ნიკოლაძე გვიხსნიდა დაბრკოლების მიზეზებს და დაბეჯითებით მოითხოვდა სამედიატორო ჩანაწერის პროექტი, სადავო პუნქტების განსაზღვრის გარეშე, განსახილველად გადაგვეცა პ. ა. პეშჩეროვისათვის.

„ჩვენ უფრო სწორად და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რა მანამდე ჩამოგვეყალიბებინა სადავო საკითხები. სანამ გადასაწყვეტად არბიტრს გადავცემდით, ბატ. ნიკოლაძეს შევახსენეთ პირობა შეხვედროდა ჩვენს რწმუნებულებს და ვთხოვეთ არ დაერღვია იგი.

„სამწუხაროდ, ბატ. ნიკოლაძემ არ შეასრულა პირობა და დაბეჯითებით მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაგვეცა საქმე არბიტრისათვის. ამავე დროს ხელზე დაიხვია ჩვენი წერილი.

„ჩვენ დავემორჩილეთ ბატ. ნიკოლაძის სურვილს და 10 სექტემ-

ბერს სამედიატორო ჩანაწერის პროექტი და ჩვენი მიმოწერა ღირსების სამსჯავროს შესახებ პ. ა. პეშჩუროვს წარუდგინეთ.

შ. ღოღობერიძე

25 სექტემბერი, ქუთაისი

ჩვენ რომ პოლემიკაში ჩაბმა გვინდოდეს, ბატ. ღოღობერიძის წერილში ბევრ რამეს აღმოვაჩენდით ისეთს, რაც არაზუსტადაა გაშუქებული. მაგრამ იგი აცხადებს: 10 სექტემბერს ჩანაწერის პროექტი და მიმოწერა პ. ა. პეშჩუროვს გადავეცით და ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია უსარგებლო დავა. ეს ცნობა იმდენად სასიხარულო და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს თვალში ბატ. ღოღობერიძის წერილის ყველა წვრილმანს აქარწყლებს.

ჩვენ მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ჩვენ რომ 10 სექტემბრამდე გვცოდნოდა საბუთები პ. ა. პეშჩუროვთან იყო, მაშინ, ცხადია, 20 სექტემბერს აღარ დავბეჭდავდით „ობზორის“ 251-ე ნომერში გამოქვეყნებულ შენიშვნას. მე მგონი, ბატ. ღოღობერიძეს შეეძლო შეეტყობინებინა ჩვენთვის ეს ამბავი ისე, რომ არც თვითონ დაზარალებულიყო და ღირსების სამსჯავროც დაეჩქარებინა, შეეტყობინებინა თუნდაც იმავე „ტიფლისკი ვესტნიკის“ მეშვეობით, მაგრამ სჯობს გვიან ვიდრე არასდროსო, რისაც ჩვენ ყველაზე მეტად გვეშინოდა.

59. რა გააკეთა თბილისის საქალაქო საზოგადოებრივმა სამმართველომ 1877 წელს?

1

თბილისი, 1 ოქტომბერი

ჩვენს წინ დევს „თბილისის საქალაქო საბჭოს გამგეობის 1877 წლის ანგარიში". გამგეობამ, გამოიყენა ყველა ის შენიშვნა, რომელიც გამოსთქვა ადგილობრივმა პრესამ 1876 წლის ანგარიშის შესახებ და თავის ანგარიშს ამჯერად მისცა მეტი სისავსე და სისტემატურობა; მასში საკმაოდ ბევრი მონაცემებია დაჯგუფებული და თანაც ისე, რომ შესაძლებლობას გვაძლევს შეუცდომლად ვიმსჯელოთ გამგეობის მოღვაწეობაზე. როგორი იყო ეს მოღვაწეობა, რაში გამოიხატა იგი, მოუტანა თუ არა ქალაქს სარგებლობა? ვეცდებით ეს საკითხები რაც შეიძლება სრულად გავარკვიოთ ზუსტი და ფაქტიური მასალის საფუძველზე.

ამოცანას გვიადვილებს ანგარიშში მოტანილი უამრავი ფაქტიური მასალა, მით უმეტეს, რომ გამგეობა ბოროტად არ იყენებს ანგარიშის შემდგენელთა ჩვეულებრივ ხერხებს — საკუთარ მოღვაწეობას საკმეველი უკმიო იმ შემთხვევაშიც კი, როცა სხვადასხვა ეშმაკური ხრიკებით წარმოშობილ ნისლში აღმაშფოთებელი ფაქტები მოსჩანს. არა, გამგეობა გულწრფელია, იმდენად გულწრფელი, რომ ზოგჯერ ვაჟკაცურად აღიარებს საკუთარ უძლურებას და ამბობს, რომ ქალაქისათვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ მის გულწრფელობას, მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ასეთ სანაქებო თვისებასთან ერთად, არც ისე სურვილსაც ვატყობთ, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეალამაზონ ისეთი ფაქტები, რომლებიც გარეშე პირს შეიძლება არცთუ ვარდისფრად ეჩვენოს. მაგრამ გამგეობის ეს უწყინარი ცდა, გააშუქოს ფაქტები წინასწარ მოფიქრებული იდეის თანახმად, ცხადია, ვერავის შეიყვანს შეცდომაში, მით უმეტეს, რომ ბევრი საკითხი, რომელიც განიხილა ქალაქის საზოგადოებრივმა სამმართველომ 1877 წელს, არაერთხელ განუხილავს ყოველმხრივ ადგილობრივ პრესასაც და თანაც ისეთი თვალსაზრისით,

რომ არავითარ ეჭვს აღარ იწვევს არაპრაქტიკულობა და მიზანშეუწონლობა მათ მიერ მიღებული ღონისძიებებისა, რომელთაც თითქოს ქალაქის უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინა. ამ ღონისძიებებზე პრესის დაუხმარებლადაც ნათელი წარმოდგენა აქვს ყოველ მოქალაქეს, რადგან საკუთარ ტყავზე განიცდის და ყოველდღიურად და ყოველ ნაბიჯზე გრძნობს. თუ რა მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება. თემას რომ არ ავცდეთ და შორს არ გადავუხვიოთ, მივმართოთ ციფრებისა და ფაქტების ლოგიკას. ციფრებს მოვიყვანთ საბუღალტრო ანგარიშიდან, ფაქტებს კი იმ საქმეებიდან, რომლებიც გამგეობამ საანგარიშო წელს განიხილა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი საქმეები: მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის, მეეზოვეთა და ასასების, მოხეტიალე ძაღლების მოსპობის, წყალსადენის, ბნელ უბნებში გზების გახსნის, ქალაქის კეთილმოწყობის, კვების პროდუქტებით ვაჭრობის წესიერად წარმართვის, უღარიბესი მოსახლეობისათვის 10 ათასი ფუთი პურის დამზადების, სასმელებით დაქსაქსულად ვაჭრობის შეზღუდვის, სასაფლაოს, სააუქციონო კამერისა და, ბოლოს, ქალაქის კუთვნილი მიწების მითვისების შესახებ. სია საკმაოდ გრძელია. ამ სიაში არ შეგვიტანია მეორეხარისხოვანი და საერთო მნიშვნელობას მოკლებული საქმეები. მაგალითად, ვაჭრებზე საჩივლელად ვაჭრობის საპოლიციო ჯიხურებში საჩივრის წიგნების შემოღებისა, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, თათრის მოედანზე პურის საწყობისათვის პლატფორმის მოწყობისა და სხვ.

გამგეობა მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის შესახებ აცხადებს: სასწავლებლის წესდება, რომელიც რომელიღაც კომისიამ გამოიმუშავა და საბჭომ დაამტკიცა, დასკვნისათვის გადავუგზავნეთ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომელმაც წესდება განიხილა, რამდენიმე შენიშვნა შეიტანა და უკან დაგვიბრუნაო. გამგეობამ განიხილა ზემოხსენებული შენიშვნები და არ მიიღო. ამის შემდეგ საბჭოს ახალი მოხსენება წარუდგინეს და მანაც გამგეობის დასკვნა დაამტკიცა.

საბრალო წესდება! არ გამოსდით ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს — და ეს არის! გამოიმუშავეს, განიხილეს, ასწორეს, სახე უცვალეს შეავსეს, უამრავი კომისია და ქვეკომისია დაუნიშნეს და მაინც არაფერი გამოვიდა. ბოლოს ისიც კი მოახერხეს, რომ რამდენიმე ფურცელი ქაღალდი პარაგრაფებითა და მუხლებით გადააჭრელეს, წესდება დაარქვეს და დასამტკიცებლად უფროსებს გადაუგზავნეს, მაგრამ ამაოდ! უფროსებმა უარი თქვეს სანქცია მიეცათ

ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებებისათვის, მაგრამ საბჭოს ამისი არ შერცხვენია და „საკუთარი თვალსაზრისის ერთგული“ დარჩა, რადგან სურდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, პირმშო ეღიარებინა, იურისტების სიტყვით რომ ვთქვათ, სრული უფლება-უნარის მქონედ, მაგრამ პირმშო უდღეურზე უდღეური აღმოჩნდა და სწორედ ისეთი თვისებები აკლდა, რაც უფლება-უნარიანისათვის არის საჭირო.

წესდების არსისა და შინაარსის გაცნობის მსურველებს მივუთითებთ ბატ. ელიმირზოვის სტატიაზე თბილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1877 წელს გაზეთ „კავკაზის“ [19] 58-ე ნომერში. ჩვენ კი აი, რა გვინდა ვთქვათ: რაკი ამ საქმეს საფუძვლად კეთილი მიზანი უდევს — განათლება მისცეს ქალაქის უღარიბესი მოსახლეობის ბავშვებს, მიუხედავად ყველა ნაკლისა, შეიძლება შევურიგდეთ ამ წესდების არსებობას, თუ კი ახლავე გამოიყენებენ პრაქტიკულად. მაგრამ პრაქტიკულად გამოყენებამდე ჯერ კიდევ შორსაა და, თუ წარსულის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა წყლის ნაყვაში, ახალ-ახალი პროექტების უნაყოფოდ წერაში, დავაში და ა. შ. და ყველაფერი ეს საქმის საზიანოა, ქალაქის მოსახლეობის გადაუდებელი ინტერესების საზიანოა, ქალაქის მოსახლეობისა, რომელიც დიდი ხანია ელის და ვერ მოსწრებია გახსნას დაპირებული სასწავლებლისას, სადაც ღარიბთა კლასის ახალი თაობა რაღაც ისეთს შეითვისებს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ნაწილობრივ მაინც გაიგოს გარემო სინამდვილის სიუხეშე, უბადრუკობა და რაიმე უკეთესისათვის იზრუნოს. მაგრამ როდის დადგება ეს სასურველი დღე? როდის გვექნება მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი? ამ კითხვებზე ქალაქის სამმართველომ სასწავლებლის დაუყოვნებლივ გახსნით უნდა გასცეს პასუხი. მაგრამ, ჯერ ერთი, საკითხის ასე სწრაფად და გონივრულად გადაჭრა არ სჩვევია ჩვენი ქალაქის სამმართველოს, მეორეც, შეუძლიათ გვითხრან: „წესდება ჯერ დამტკიცებული არ არის“. პერსპექტივა საკმაოდ უიმედოა და ბევრ უნუგეშო აზრებსაც იწვევს. მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის ბედს განგებას ვანდობთ და „მეეზოვეებისა და ასასების“ საკითხზე გადავდიოართ.

სამწუხაროდ, არც ამ საქმეში გამოჩენილა ქალაქის ადმინისტრაციის ბრწყინვალე მხარეები. აი, არსებითად ის მოსაზრებები, რომლებიც გამოთქვა გამგეობამ თბილისში ღამის ყარაულების — ასასების დაწესების შესახებ. ასიოდე უბირმა პიროვნებამ, რომლებიც მხოლოდ ცოცხით არიან შეირაღებულნი, გამგეობის აზრით, ღაჭით

მოქალაქეები და მათი ქონება უნდა დაიცვან და, ამასთან ერთად, საღამოს ცხრა საათიდან დილის ხუთ საათამდე უნდა წმინდონ და ხვეტონ ქუჩები, ვერ დაისვენონ ვერც ზაფხულში და ვერც ზამთარში. ღამის ყარაულთა ზედამხედველობისათვის გათვალისწინებულია შეიქმნას მთელი ადმინისტრაციული პერსონალი მაღალი რანგის ასასებისაგან, პოლიციური ხელისუფლების ისეთი პრეროგატივებით, რომ ქალაქის საბჭომ სერიოზული შიში გამოსთქვა ქალაქში აუცილებლად და მნიშვნელოვნად გაიზრდება ძარცვა და ქურდობა წესიერებისა და მოქალაქეების მომავალ დამცველთა მოღვაწეობის გამოო.

ღამის ყარაულთა შესანახი ხარჯების დასაფარავად გათვალისწინებულ იქნეს საგანგებო გადასახადის (შეფასებითი № 2), დაწესება, ისეთ მკაცრ სამართლიან საწყისებზე, რომ ღარიბს უფრო მეტის გადახდა უწევდა, ვიდრე მდიდარს, დაახლოვებით ასეთი შეფარდებით: თუ მდიდარი ერთ მანეთს გადაიხდიდა, ღარიბს მოუწევდა ხუთი ან ათი მანეთის გადახდა. ამგვარი გონებამახვილური გადაწყვეტილების საფუძველი, ალბათ, ისაა, რომ თითქოსდა ღარიბს მეტი საფრთხე ელის ქურდებისაგან, ვიდრე მდიდარს.

არ გვინდა დავღალოთ მკითხველი მეეზოვეებისა და ასასების საკითხზე გამგეობის ასეთი კურიოზული მოსაზრებების ჩამოთვლით. ვფიქრობთ, რომ ზემოთ ნათქვამიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად არაპრაქტიკული და მიზანშეუწონელია ის ღონისძიებები, რომელთა მიზანი მოქალაქეებისა და მათი ქონების დაცვაა. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ღამის დარაჯთა საკითხი ღიად დარჩა, ალბათ, იმ დრომდე, სანამ ადამიანები ანგელოზებად არ გადაიქცევიან და ქვეყნად აღარც ქურდობა იქნება, აღარც ძარცვა და აღარც მკვლელობა.

თუკი გამგეობის ვარაუდი ღამის დარაჯების დაყენების შესახებ წარუმატებელი აღმოჩნდა, კიდევ უფრო წარუმატებლად დამთავრდა მოხეტიალე ძაღლების მოსასპობად ჩატარებული ღონისძიება. გამგეობა გაიტაცა ძაღლების სწორი მეთოდით მოსპობის წადილმა და მათი მოსპობა დაავალა ვიღაც ფრანგს, რომელმაც, გამგეობის თანხმობით, ნამდვილი სასაკლაო მოაწყო ქალაქის ფარგლებში, ნოვო-ტროიცკის უბანში, დროებითი სამხედრო ჰოსპიტალის მახლობლად. სასაკლაოსთან მეზობლობის გამო, უბედური დაჭრილები და ავადმყოფები ისეთი სუფთა და ჯანსაღი ჰაერით სუნთქავენ, რომ მათი ექიმები ერთხმად აყვირდნენ წინააღმდეგ ქალაქის გამგეობის მიერ მოგონილი გონებამახვილური ხერხისა — გაეწმინდათ ჰაერი სასაკლაოს მიაზმებით. ამგვარმა წმენდამ კი ისე კეთილად იმოქმედა

ახლომახლო მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე, რომ საჭირო გახდა ამ საქმეში გუბერნატორის ჩარევა, რათა შეწყვეტილიყო გაძლიერებული ზრუნვა ჰაერის გაჯანსაღებაზე სიმყრალისა და სასაკლაოს ყოველგვარი მიაზმების სისტემატური გავრცელების გზით. გუბერნატორის ბრძანებით, სასაკლაო გაუქმდა, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, კერძოდ კ. ნოვო-ტროიცკის მცხოვრებლებს. ამგვარად მოეღო ბოლო გამგეობის სანაქებო ცდას — მოესპო მოხეტიალე ძაღლები სწორი სისტემით.

გამგეობის მთელი ყურადღება არ მიუქცევია ჰაერის გაჯანსაღებისათვის ზრუნვას; იგი ფიქრობდა წყალსადენზეც, რადგან წყალს უშუალო კავშირი აქვს ჰაერთან, იმ თვალსაზრისით, რომ წყალიც ისევე აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის, როგორც ჰაერი. ფიქრობდა რა წყალსადენზე და განიცდიდა რა უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ მოსაზრებათა გავლენას, გამგეობამ მიაგნო ბედნიერ აზრს — თავისი ძალაუფლებით შეეჩერებია ჯერ კიდევ 1876 წელს მიღებული საბჭოს გადაწყვეტილება — რუსულ და საზღვარგარეთულ გაზეთებში განცხადებათა გამოქვეყნებით, მოეწვიათ ისეთი ხალხი, რომლებიც თავისთავზე აიღებდნენ თბილისის წყალსადენის მშენებლობას. ამ ბედნიერი იდეის წყალობით მწარმოებელთა მოწვევა, როგორც ნაადრევი, დიდი ხნით გადაიდო და, ომის პერიოდის სხვადასხვა გარემოებათა გამო, ისევ გაჭიანურდა!

ნუთუ არ შეიძლებოდა წინასწარ დავკავშირებოდით მწარმოებლებს, გავცნობოდით მათ მიერ წამოყენებულ პირობებს, გამოგვერკვია რამდენიმე არსებითი საკითხი, რაც წყალსადენის მშენებლობას ეხება. ერთი სიტყვით, საქმე იმდენად მოგვემზადებია, რომ ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო რომელიმე გარკვეული გადაწყვეტილების მიღება? მაგრამ, სამწუხაროდ, გამგეობას აწყობდა შეჭრილიყო მისთვის აკრძალულ, პოლიტიკურ სფეროში და, ამის გამო, დაევიწყებინა თავისი პირდაპირი მოვალეობა, რომელთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს საბჭოს ყველა კანონიერი დადგენილების გადაუდებელ შესრულებას. გამგეობას რომ თავის დროზე მიემართა მწარმოებელთათვის, მოლაპარაკება შეიძლება ახლა უკვე დამთავრებული ყოფილიყო და ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვექნებოდა წყალსადენის მშენებლობა დაგვეწყო. ამგვარად, წყალსადენის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ უნაყოფო და მრავალსიტყვიერ კამათში დაკარგულ ექვს წელს კიდევ ერთი მიემატება.

აუჩქარებლობა, რასაც გამგეობა საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტასა და აღსრულებაში იჩენს, მით უფრო სამწუხაროა,

რომ მან საბაბი მისცა სრულიად უცხო პირებს ჩარეულიყვნენ ქალაქის სამმართველოს საქმეებში. რომელიღაც კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ჩვენი მხარის უმაღლეს ხელისუფლებას უფლება, გადასცენ მის ადმინისტრაციას ქალაქის რამდენიმე ნაგებობისა და წყალსადენის მშენებლობა. თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ განცხადება არავითარ შედეგს არ გამოიღებს და ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა თვითმმართველობას არ დაიყვანენ ჩვეულებრივ პოლიციურ სამმართველომდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფაქტი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისათვის მომავალში.

რამდენიმე სიტყვა „ბნელ უბანში გზის გახსნის შესახებ". საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: „1876 წელს მიღებული კანონით დადგენილია, მოიხსნას ბნელი უბნის დასაკეტი კარები და ქალაქში მიმოსვლისათვის გაიხსნას გზა, რის შედეგადაც ამის შესახებ შეატყობინეს პოლიციას. გამგეობის განკარგულება გაასაჩივრა საბჭოში ზოგიერთმა დუქნის მფლობელმა და დამქირავებელმა, ხოლო ამის საფუძველზე გამგეობამ აწარმოა მოკვლევა, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არც ამ დუქნების პატრონებს და არც ამ უბნის ვაჭრებს არავითარი უფლება არა აქვთ დაკეტონ კარები, ვინაიდან ეს ავიწროებს ქალაქის მოსახლეობას. ამის შედეგად გამგეობამ, საჩივრის ნაცვლად, საბჭოს წარუდგინა მოხსენება, რომლის თანახმადაც დუქნების პატრონებს ევალებათ ყოველდღე, საღამოს ცხრა საათამდე კარები ღია დასტოვონ. ეს დადგენილება სისრულეშია მოყვანილი".

გამგეობის განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ ბნელ უბანში გასასვლელი არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ქალაქის გამგეობას ექვემდებარება. რატომ მიიღო ქალაქის სამმართველომ ამ გასასვლელის შესახებ ასეთი პალიატიური გადაწყვეტილება და არ იზრუნა იმისათვის, რომ გადაეცია იგი სამიმოსვლო ქუჩად, რაც მოხერხებული იქნებოდა არა მარტო ქალაქში მიმოსვლისათვის, არამედ უბედურ შემთხვევებისაც შეამცირებდა? რამდენი ეტლი დაიმტვრა, დამახინჯდა! რამდენი ხელი, ფეხი და თავი დაზიანდა ბნელი უბნის შესასვლელთან და ღვინის აღმართზე იმის გამო, რომ ამ ადგილას თავს იყრის უამრავი აქლემები, ფურგონები, ურმები და სხვ. ქუჩა იმდენადაა გადატვირთული, რომ ზოგიერთ ფეხით მოსიარულესაც ისე უხდება სიარული, თითქოს დაბრკოლებებიან დოღში მონაწილეობსო.

თუმცა ქალაქში და ქალაქისათვის ბევრი რამაა გასაკეთებელი, აი რას აცხადებს გამგეობა ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ: „საერ-

თოდ, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქალაქი სრულიად კეთილმოუწყობელია". მოკლედ და ნათლადაა ნათქვამი, მაგრამ ამასთანავე ცუდად, იმდენად ცუდად, რომ ქალაქის ადმინისტრაციის მთელი მოღვაწეობა ქალაქის კეთილმოწყობისათვის სრულიადაც არ გამოიყურება ვარდისფრად. მაგრამ ამ უღიმღამო სურათის ბნელ ფონზე მოსჩანს ერთი ნათელი წერტილი, რომელსაც სიამოვნებით აღვნიშნავთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ანგარიშზე დართული დაწვრილებითი ცნობები (დანართი ლიტ. ბ. გვ. 16), სადაც ჩამოთვლილია რა სამუშაოები ჩატარდა ქალაქის კეთილმოსაწყობად და რა დაჯდა მათი წარმოება. საანგარიშო მოხსენების ეს სიახლე მით უფრო სასიამოვნოა, რომ 1877 წლამდე ქალაქი ათი ათასობით მანეთს ხარჯავდა ქვაფენილების შესაკეთებლად, ქუჩების დასასუფთავებლად და ეს ფული სადღაც ვიღაცეების ქველმოქმედ ხელში გადადიოდა, რომლებიც უკონტროლოდ, გამგეობის მეთვალყურეობის გარეშე, ხარჯავდნენ მას და ყველაფერი ეს კანცელარიის მკაცრი საიდუმლოებით იყო ზოცული. ახლა კი, გამგეობის მეცადინეობის წყალობით, ყველა მსურველს შეუძლია საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი ციფრების მეშვეობით შეისწავლოს შესრულებული სამუშაოების ხასიათი, მოცულობა, ღირებულება და, ასევე, ქალაქის კეთილმოსაწყობად გაღებული ხარჯების მწარმოებლობის ხარისხი.

ჩვენთვის ძალზე სასიამოვნო იქნებოდა მიგვეთითებინა ასეთ დამამშვიდებელ ფაქტებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები საანგარიშო მოხსენებაში ისე ცოტაა, როგორც ოაზისები საჰარის უდაბნოში. რა ითქმის, მაგალითად, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ქალაქში კვების პროდუქტების ვაჭრობის მოსაწესრიგებლად? ამ ღონისძიებათა პრაქტიკული შედეგები ცნობილია მთელი ქალაქის მოსახლეობისათვის: საკვები პროდუქტების სიძვირე, რაც აქამდე გრძელდება, მძიმე ხარკად აწევს ყველას და ართულებს თითოეული ადამიანის ზრუნვას ლუკმა-პურისათვის.

კიდევ უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა გამგეობის ვარაუდი უზრუნველეყო საკვებით ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა და დაემზადებინა 10 ათასი ფუთი პური. გამგეობამ აღძრა „შუამდგომლობა გუბერნატორთან, რომ თბილისის სასურსათო მაღაზიაში მუდმივად ინახებოდეს 10 ათასი ფუთი პური ქალაქის უღარიბესი მოსახლეობისათვის, რადგან ომის დროს პურის ფასი შეიძლება მეტისმეტად გაიზარდოს. ამ მოთხოვნის შედეგად მთავარი სამმართველოს უფროსმა დანიშნა კომისია, მაგრამ კომისიის მოღვაწეობის შესახებ ოფიციალური ცნობები ჯერ არ მიგვიღია" (ანგ. გვ. 10).

რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირად არ განიცდის ქალაქში არსებული სიძვირის შედეგებს: ბევრია ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობს არც სიძვირე და არც სხვა საყოფაცხოვრებო უხერხულობა: მათ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად. მათი სტიქია — თავაშვებული ქეიფია, მათი ხელობა — უკანონო გზებით ფულის შოვნა. ამ კატეგორიის ხალხისათვის დუქანი ყველაფერია: დუქანში ცხოვრობენ და ლოთობენ, ეწევიან უხეშ გარყვნილებას, აქვე იგონებენ და აქვე მსჯელობენ ბოროტმზრახველობაზე, რომელთა მსხვერპლიც მოქალაქე ხდება. ამგვარი დუქანი ყაჩაღების, ქურდების და თაღლითების თავშესაფარია. ჩვენ ბევრად ადრე უნდა მიგვექცია ამ დუქნებისათვის სერიოზული ყურადღება. მათი რიცხვის შესამცირებლად და მათი საქმიანობისადმი უფრო მკაცრი ზედამხედველობის დასაწესებლად ღონისძიება უნდა მიგვეღო. ბოლოს, გუბერნატორის წინადადების წყალობით, ქალაქის სამმართველომ სასარგებლოდ ცნო, შეეზღუდა სასმელების დაქსაქსულად გაყიდვის პუნქტები, რაც აცნობა გუბერნატორს შემდგომი განკარგულების გასაცემად.

ამ საქმეში ჩვენ გვაკვირვებს ერთი გარემოება: რატომ ვერ მივიდა ქალაქის სამმართველო გუბერნატორის დაუხმარებლად იმ უბრალო აზრამდე, რომ სასმელების დაქსაქსულად გაყიდვის შეზღუდვა ქალაქის მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება? კანონის მიხედვით, სასმელებით მოვაჭრე დუქნების რაოდენობა, იმ ადგილების მითითება, სადაც ასეთი სავაჭრო უნდა გაიხსნას და მათი გახსნის ნებართვა — ქალაქის სამმართველოს პირდაპირი მოვალეობაა და, ამიტომ, სასმელებით მოვაჭრე დუქნების შემცირების ინიციატორიც ქალაქის სამმართველო უნდა ყოფილიყო, და არა გუბერნატორი. ნუთუ გახსენების, შეგონებისა და გარედან შემოტანილი წინადადებების გარეშე არაფერი ხეირიანის გაკეთება არ შეგვიძლია?

სასაფლაოს გადატანის საკითხიც ნაწილობრივ გუბერნატორის ინიციატივის წყალობით დაისვა. „სასაფლაოების საქმე, — ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში, — ჯერ კიდევ 1874 წელს დაიწყო გუბერნატორის წინადადებით, რასაც საფუძვლად დაედო მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადება — გადაეტანათ ევერიის სასაფლაო სხვაგან, რადგან იქ ადგილი აღარ იყო... გამგეობამ განიხილა რა ეს საკითხი, გადაწყვიტა დაეხურა ყველა არსებული სასაფლაო, რადგან დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარეობდა. სასაფლაოებისათვის გამგეობამ შეარჩია ნავთლუღის საქალაქო აგარაკი და ყველა სარწმუნოებას მიწის გარკვეული ნაკვეთი გამოუყო. 30 მაისს საბჭომ მოისმინა გამგეობის დასკვნა და დაად-

გინა, გადაეტანათ სასაფლაოები ქალაქგარეთ. ამგვარად, ეს საკითხი პრინციპში გადაწყვეტილია და ქალაქის მოსახლეობის ინტერესებისათვის სასურველია, სასაფლაოების გადატანა რაც შეიძლება მალე მოხდეს.

და ბოლოს, რომ მოვათავოთ ის საკითხები, რომლებიც განიხილა საბჭომ მიმდინარე წელს, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ საუქციონო კამერაზე. გამგეობამ ითხოვა, რომ „მოძრავი ქონების სახალხოდ გაყიდვა საუქციონო კამერის მეშვეობით ხდებოდეს“. არ ვიცი, დააკმაყოფილებენ ამ თხოვნას?

ზემოთ ნათქვამს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ გამგეობას არ გააჩნია არც ქალაქის ქონების აღწერილობა და არც ქალაქის გეგმა, რის გამოც მოსახლეობა ხშირად იტაცებს ქალაქის კუთვნილ მიწებს, მაშინ საკმარისი ფაქტები დაგროვდება იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისებები. ეს თვისებები კი ისე ნათლად ამჟღავნებენ თავიანთ ულაზათობას, რომ არ შეიძლება ყველას თვალში არ ეცეს. ასეთი სამწუხარო დასკვნები თავისთავად იბადებიან მანამდე, სანამ ჩვენი ამოცანის მეორე, ყველაზე სერიოზულ ნაწილს შევეხებოდეთ, — სანამ განვიხილავდეთ ქალაქის 1877 წ. ხარჯთაღრიცხვას.

2

საანგარიშო მოხსენების პირველი განყოფილება თუ მდიდარია ისეთი ფაქტებით, რომლებიც ამტკიცებენ ქალაქის საქმეების არარაციონალურ და უხეირო წარმოებას, მეორე, — საბუღალტრო განყოფილება კიდევ უფრო მდიდარია ისეთი ციფრებით, რომლებიც არა თუ ეწინააღმდეგებიან ამ ფაქტებს, არამედ გასაოცრად ადასტურებენ ქალაქის მეურნეობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

საბუღალტრო ანგარიში სავსეა ისეთი კურიოზებით, რომ აღარ იცი, რა გაიკვირვო: ის, რომ ანგარიშის შემდგენელთ საქმე არ ესმოდათ, თუ — ქალაქის საქმეების უთავბოლოდ წარმოება საერთოდ. შესანიშნავი კურიოზები ანგარიშის პირველივე გვერდიდან იწყება. ავიღოთ იქედან შემდეგი მონაცემები:

1. 1877 წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით:

ქალაქის შემოსავალი ნაანგარიშევია	414, 085 მან.
1877 წელს აღნიშნულ თანხას სხვადასხვა	
შემთხვევების გამო დაემატა	56.098 მან. 73½ კაპ.
ამგვარად, სულ უნდა შემოსულიყო	470.183 მან. 73½ კაპ.
სინამდვილეში შემოვიდა	483.169 მან. 61¼ კაპ.

ე. ი. ხარჯთაღრიცხვას გადააჭარბა 12.985 მან. 87³/₄ კაპ.

2. 1877 წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით:

უნდა დახარჯულიყო . 454. 654 მან.

ამ თანხას წლის მანძილზე მიმდინარე და
1876 წლის ხელშეკრულების თანახმად
ქალაქის კრედიტორების დასაკმაყოფილებელი
თანხის სახით დაემატა 39.373 მან. 50 კაპ.

ასე რომ, 1877 წელს უნდა დახარჯულიყო 494.027 მან. 50 კაპ.

სინამდვილეში დაიხარჯა 445.161 მან. 44 კაპ.

ამგვარად, არ დახარჯულა 48.866 მან. 6 კაპ.

მათ რიცხვში, 45.467 მან. 84¹/₂ კაპ. უნდა დახარჯულიყო, ხოლო 3.398 მან. 21¹/₂ კაპ. უნდა ჩამოეწერათ.

3. საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხარჯთაღრიცხვის აღსრულების შემდეგ დარჩა:

შემოსავალი, შემოსული და დარჩენილი
1877 წ. განაწილების შესრულებისას 45, 008 მან. 17¹/₄ კაპ.

დანახარჯი, ასრულებისათვის განკუთვნილი 38, 467 მან. 84¹/₂ კაპ.

ამრიგად, 1877 წ. არ შემოვიდა (დააკლდა) შემოსავალი,
ხარჯების დასაფარავად აუცილებელი რომ აღმოჩნდა,
არსებითად 7, 459 მან. 61¹/₄ კაპ.

ზემოთ მოყვანილ მონაცემებში ყოველი ციფრი ან შეცდომაა, ან ჭეშმარიტების დამახინჯება, ანდა — საოცარი დაუდევრობა. უწინარეს ყოვლისა, მიაქციეთ ყურადღება შემოსავლის შეფარდებას გასავალთან. ხარჯთაღრიცხვის თანახმად უნდა შემოსულიყო 414.085 მან.; უნდა დახარჯულიყო—454.654 მან. ამგვარად, 1877 წლის დეფიციტს უნდა შეედგინა 40.569 მან, რომელიც, როგორც საბუღალტრო დაწვრილებითი ანგარიშიდან (§ 9, სტ. 1) ჩანს, დაფარეს განსაკუთრებული სპეციალური წყაროებიდან. ჰქონდა რა მხედველობაში ეს დეფიციტი, ქალაქის სამმართველოს მთელი დამატებითი ხარჯები, რაც ხარჯთაღრიცხვაში არ შევიდა, უნდა მიეწერა ახალი სპეციალური რესურსებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში — მას მხოლოდ ფიქტიური მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან მათი მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მხოლოდ დანიშნულებითა და მისი დახარჯვის იმედი არ შეიძლება გვქონოდა. ეს უბრალო წესი ცნობილია ყველასა და თითოეულისათვის, დაწყებული ფინანსისტებიდან და გათავებული გიმნაზიის 1 კლასის მოწაფით, რომელთაც შესანიშნავად იციან, რომ როცა ჯიბეში გაქვს ერთი მანეთი, ათი მანეთის დახარჯვა არ შეიძლება. მაგრამ ქალაქის სამმართველომ შეუძლებელი შესძლო. შემოსავალი ნავარაუდები იყო: ხარჯთაღრიცხვით 414.085

მან., დამატებითი — 15.529 მან. 72½ კაპ. (და არა 56.098 მან. 72½ კაპ., როგორც ეს ნაჩვენებია საანგარიშო მოხსენებაში, სადაც 40.569 მან., გათვალისწინებული დეფიციტის დასაფარავად, არასწორად მიაწერეს შემოსავალს), სულ 429.614 მან. 72½ კაპ. გასავალი კი გათვალისწინებული იყო 494.027 მან. 50 კაპ. რაოდენობით. ამგვარად, გასავალი აჭარბებდა შემოსავალს, ანუ დეფიციტი შეადგენდა 64.412 მან. 77½ კაპ., რომლის ერთი ნაწილი, — 40.569 მან., როგორც ზემოთაა ნათქვამი, უზრუნველყოფილი იყო განსაკუთრებული სპეციალური რესურსებით, ხოლო მეორე, — 23. 843 მან. 77½ კაპ., ბედის ანაბარა მიატოვეს, ალბათ, იმის იმედით, რომ ამ ხარჯებისათვის საჭირო ფულს ზეციდან ჩამოუგდებდნენ. ღვთის იმედით ყოფნა ქალაქის სამმართველოსათვის მით უფრო უადგილო იყო, რომ მიუხედავად მიმდინარე ხარჯებისა, რაც ქალაქის სალაროში შემოსულ თანხას აღემატებოდა, არსებობდა კიდევ დაუფარავი ხარჯები 29.464 მან. 65½ კაპ. რაოდენობით: 5.090 მან. 53½ კაპ. 1875 წლისა (იხ. დამატება № 7) და 24.374 მან. 12 კაპ. 1876 წლისა (იხ. დამატება № 8), რომლებიც აგრეთვე არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან ყველა სპეციალური წყარო და დანაზოგი ამოწურეს.

ამგვარად, იმ თანხის რაოდენობა, რომელიც არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი, შეადგენდა მნიშვნელოვან ციფრს — 53.308 მან. 43 კაპ. ამგვარ პირობებში. როცა შემოსავლის არავითარი წყარო აღარ არსებობდა, დეფიციტის დასაფარავად მხოლოდ ერთი საშუალებაღა რჩებოდა—სესხის აღება. მაგრამ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები არ გაერკვნენ საქმის ვითარებაში, ვერ განსაზღვრეს არსებული ფინანსიური სიძნელეების მნიშვნელობა და ვალის აღება უადგილოდ და ზედმეტად ცნეს. და რადგან არ უნდოდათ გაეზარდათ ქალაქის ვალი, მათ საქებარი გულმოდგინეობა გამოიჩინეს და მოხერხებული კომბინაცია მოიგონეს: 53. 308 მან., როგორც საერთო საცხოვრებელში ამბობენ, „შერემეტიევის ანგარიშს“ მიაწერეს, რაც, ცხადია, მარტივი და ხელსაყრელია. თავისი უბრალოებით, დეფიციტის დაფარვის ასეთი გონებამახვილური ხერხი უკიდურესად ახალი და ორიგინალურია.

თუმცა შეუძლიათ გვიპასუხონ, რომ წლის მანძილზე, დამატებითი ხარჯების გამოყოფის დროს, ჩვენი თვითმმართველობის ორგანოები ითვალისწინებდნენ იმ თანხას, რაც სინამდვილეში შემოვიდოდა და არა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულს. მივმართოთ ციფრებს.

შემოვიდა: შემოსავალი ნარჩენებიანად — 442.600 მან. 61¼ კაპ. ხოლო სპეციალური თანხა დეფიციტის დასაფარავად — 40.569 მან.

სულ-483. 169 მან. 61¹/₄ კაპ. გასავალი, ანუ უნდა დახარჯულიყო— 490.628 მან. 27¹/₂ კაპ. ამგვარად, ნათქვამია მოხსენებაში, 1877 წლის შემოსავალმა ვერ დაფარა აუცილებლად საჭირო ხარჯები და დააკლდა 4.459 მან. 67¹/₄ კაპ. მოყვანილი მონაცემებიდან, სჩანს, რომ ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი, როცა მოულოდნელმა შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა და 12.985 მან. 87¹/₄ კაპ. მიაღწია, მაინც აღმოჩნდა 7.459 მან. 67¹/₄ კაპ., რომელიც არაფრით არაა უზრუნველყოფილი და ეს დამოუკიდებლად იმისა, რომ უკვე არსებობდა 29. 464 მან. 64¹/₂ კაპ. დაუფარავი ხარჯები, რომელიც აგრეთვე არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი. ეს უცნაური ფაქტი ცხადად გვიჩვენებს, რომ გასავალი ტყუილად, უთავბოლოდ იყო გათვალისწინებული, მხედველობაში არ მიიღეს წინასწარი უზრუნველყოფის შესაძლებლობა და წავიდნენ იმ უბრალო, ბავშვებისათვის გასაგები ჭეშმარიტების წინააღმდეგ, რომ გარკვეული ხარჯისათვის საჭიროა ასევე გარკვეული, შესაბამისი თანხა.

ამგვარი ფაქტების არსებობა სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო, რადგან საბჭოს წევრი ბანკირების, კომერსანტების, ბანკისა და სხვა საქმოსნებისათვის ძნელი არ იყო მიმხვდარიყვნენ, რომ ფულადი ოპერაციების წარმოებაში გამგეობა აჭარბებს და საქმის მოგვარებისათვის საჭიროა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება. მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა. ყველაფერი შემთხვევისა და ბედის ანაბარა შიაგდეს. ვბედავთ და ვფიქრობთ, რომ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობის სრულ შეუგნებლობას ნიშნავს.

გადავიდეთ საანგარიშო მოხსენების შემდგომ კურიოზებზე. ზემოთ უკვე შევეხეთ საანგარიშო მოხსენების იმ შესანიშნავ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ხარჯთაღრიცხვის საბოლოო შედეგებს: „1877 წლის აუცილებელი ხარჯებისათვის საჭირო თანხას დააკლდა 7.459 მან. 67¹/₄ კაპ., ანუ დეფიციტი უდრიდა — 7. 459 მან. 67¹/₄ კაპ. არც მეტს და არც ნაკლებს". ეს კი ძალზე ცუდია! ჯერ ერთი, შემოსული თანხა 12.985 მან. 87³/₄ კაპ-ით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. განა ამის შემდეგ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ შემოსავალს რაღაც 7.459 მან. 14 კაპ. დასაფარავი თანხა დააკლდა. ვისაც ეს არ ესმის, არ ესმის ყველაზე ელემენტარული ამბავი. და ბოლოს, რატომაა დეფიციტი ნაჩვენები 7.459 მან. 67¹/₄ კაპ-ის რაოდენობით,? თუ საერთო ხარჯს 490.629 მან. 28¹/₂ კაპ. გამოვაკლებთ შემოსულ თანხას — 442.600 მან. 61¹/₄ კაპ.,

მაშინ აღმოჩნდება, რომ 1877 წლის დეფიციტი უდრის 48.028 მან. 67¼ კაპ., რომლიდანაც 40. 569 მან., როგორც ზემოთაა ნათქვამი, დაფარეს სპეციალური ფონდებიდან, ხოლო დანარჩენი, 7.469 მან. 67 კაპ., ჰაერში ჰკიდია.

ადარებს რა 1875 და 1876 წლის ხარჯთაღრიცხვის შედეგებს 1877 წლისას, გამგეობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ პირველი ორი წელი უკანასკნელზე უფრო დამაკმაყოფილებელია შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

ჩვეულებრივი შემოსავალი:

1875 წელს	280.681 მან. 42½ კაპ.
1876 წელს	257.133 მან. 52¼ კაპ.
1877 წელს	309.971 მან. 92¾ კაპ.

ამგვარად, 1877 წელს ჩვეულებრივი შემოსავალი შემოვიდა 29.290 მან. 50¼ კაპ. მეტი, ვიდრე 1875 წელს და 52.838 მან. 40½ კაპ. მეტი, ვიდრე 1876 წელს.

გასავალი:

1875 წელს	258.967 მან. 2½ კაპ.
1876 წელს	281.601 მან. 92½ კაპ.
1877 წელს	412.396 მან. 18 კაპ.

1877 წელს 153.429 მან. 25½ კაპიკით მეტი დაიხარჯა, ვიდრე 1875 წელს და 130.794 მან. 35 კაპიკით მეტი, ვიდრე 1876 წელს.

მაგრამ ყველა ეს დასკვნა ვერ უძლებს კრიტიკას იმ აზრით, რომ მონაცემები, რომლებიც მათ საფუძვლად უდევთ, გამოხატავს მხოლოდ გასული სამი წლის შემოსავლის და გასავლის ნაწილს. მაშინ როცა იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენად უკეთესია ერთი ფინანსური წელი მეორეზე, აუცილებელია ერთი წლის მთელი შემოსავლის შედარება მეორე წლის ასეთსავე შემოსავალთან და გასავალთან. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა გამოვასწოროთ აღნიშნული დასკვნების უზუსტობანი, რადგან არ მოგვეპოვება საჭირო მონაცემები. მაგრამ რომ დავუშვათ კიდეც მათი სისწორე, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ 1877 წლის სასარგებლოდ ისინი არაფერს მეტყველებენ. მაგალითად, რაში გამოიხატება 1877 წლის უპირატესობა 1875 წელთან * შედარებით? ერთის მხრივ—შემოსავლის ზრდაში, ხოლო მეორეს მხრივ—ხარჯის გადიდებაში, ცხადია, თუ ამ უკანასკნელს უპირატესობად მივიჩნევთ, 1877 წლის შემოსავალი გაიზარდა ნარჩენების რამდენადმე გაძლიერებული შემოსავლით, რაც 1877 წლის იანვრისათვის შეადგენდა

* 1877 წელს იმიტომ ვადარებთ 1875 წელს, რომ თავისი მონაცემებით ყველაზე უფრო არადამაკმაყოფილებელი ქალაქისათვის 1876 წელი იყო.

210.103 მან. 73 კაპ. (იხ. ანგარიშის დამატება № 2). 1877 წელს ამ მოზრდილი თანხიდან შემოვიდა მხოლოდ 77.500 მან. 4 კაპ. (იხ. დამატება № 2), შემოსული თანხა შედარებით უმნიშვნელოა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ 1877 წელმა 1878 წელს მემკვიდრეობით დაუტოვა 200.706 მან. 35¹/₄ კაპ. (დამატება № 2), ე. ი. 18. 746 მან. 50 კაპიკით მეტი 1875 წელთან შედარებით, რადგან 1876 წლის იანვრისათვის მთელი ნარჩენი შეადგენდა 181. 960 მან. 84¹/₄ კაპ. (1876 წლის საანგარიშო მოხსენება, დამატება № 2). ნარჩენის ასე წარუმატებლად ამოღება და გადასახადების ყოველწლიური აუკრეფლობაა სწორედ იმის მიზეზი, რომ მოიშალა ქალაქის მეურნეობა, შეიქმნა მუდმივი, ქრონიკული დეფიციტი, რაც ისე მძიმედ დააწვა ქალაქს, რომ მისი წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ საკმაოდ გონებამახვილური ოინისათვის მიემართათ—გაითვალისწინო ხარჯი, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ არ აღასრულო. უდავოა, ხარჯის ასეთი დანიშვნა სრულ შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ იგი არა მარტო 153.425 მან. 25¹/₂ კაპიკით, არამედ უფრო მეტითაც და, ამავე დროს, არ გავწიოთ არავითარი რისკი. რაც შეეხება მათ მწარმოებლობას — ყოველივე ეს ეჭვს გარეშე იგრძნობა: 1877 წელს, 1875 წელთან შედარებით, 153 ათასი მანეთით მეტი დაიხარჯა, ქალაქმა კი მიიღო — 3-4 ჯიხური ბაზრის ათისთავებისათვის და 300 ბრმა ქუჩის ფანარი, რომელთა განათება 6 ათასი მანეთი დაჯდა. ვბედავ და ვფიქრობ, რომ ამგვარი შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ჩვენ დავამთავრეთ საერთო ხარჯთაღრიცხვის შედეგების განხილვა, ახლა კი განვიხილოთ იგი უფრო დეტალურად.

შემოსავალი ცალკეული მუხლების მიხედვით:

ქალაქის ქონების შემოსავალი და ღალა	55.685 მან. 98 კაპ.
უძრავი ქონების შეფასებითი გადასახადი	166.019 მან. 14 კაპ.
სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების გადასახადი	57.185 მან. 66 კაპ..
პროტესტების დამოწმების, ვალის ამოსაღებად სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენის, ასევე სასწორისა და საზომის დადაღვისა და აუქციონით გაყიდვის დროებითი შემოსავალი	8.849 მან. 13 კაპ.
სხვადასხვა შემოსავალი	21.341 მან. 76³/₄ კაპ.
სახაზინო და საერობო დახმარება	120.000 მან..
სამიმოქცეო შემოსავალი	890 მან. 25 კაპ..
საზეხარჯთაღრიცხვო შემოსავალი	12.628 მან. 68¹/₂ კაპ..
	სულ 442.600 მან. 61¹/₄ კაპ.

1877 წლის საბეგარო შემოსავლიდან აუღებელი დარჩა 68.184 მან. 57 კაპ. (დამატება № 2), მათ რიცხვში ღალა — 1.210 მან. 42 კაპ., შეფასებითი გადასახადი — 64. 611 მან. 65 კაპ., დუქნებისა და ფუნდუკების გადასახადი — 2.362 მან. 50 კაპ.

როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ნარჩენები წარმოშვა ისეთმა მუხლებმა, რომელთა მიხედვით გადასახადების წესიერად და დროულად აკრეფა მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს. მაგალითად, შემოსავალი ქალაქის ქონებისა და ღალის აღება გარანტირებულია ქალაქის არენდატორებისა და მოიჯარადრეების გირაოთი, ხოლო დუქნებისა და ფუნდუკების გადასახადი — სამეიტნოთა დებულებით, რომლის 32 და 33 მუხლებში ნათქვამია:

„ნახევარი წლის გადასახადი (აქციზი ქალაქის სასარგებლოდ) დუქნის პატრონებს შეაქვთ უშუალოდ საბჭოში ან მის შემცვლელ დაწესებულებაში წინასწარ, არა უგვიანეს 5 იანვრის და 5 ივლისისა. ამ ვადების გასვლის შემდეგ ქალაქის საბჭო, ანდა მისი შემცვლელი დაწესებულება ხურავს იმ დუქნებს, რომელთაც არ გადაიხადეს შეწერილი გადასახადი“.

ასეთ პირობებში, და ამ მუხლების მიხედვით, არ შეიძლებოდა სხვაგვარად წარმოშობილიყო ნარჩენი, თუ არა თვით გამგეობის უყაირათობით, თუმცა. მეორეს მხრივ, სამართლიანობა უნდა გამოვიჩინოთ და ვთქვათ, რომ გამგეობამ წარმატებით გადასცა მოიჯარადრეებს საიჯაროდ ზოგიერთი ისეთი დაწესებულება, რომელთა სამეურნეო ექსპლოატაცია 1876 წელს ძალზე არადამაკმაყოფილებელი იყო.

რაც შეეხება შეფასებით გადასახადს — მისი წარმატებით აკრეფა შეიძლება ერთგვარად დააბრკოლოს საშეღავათო ვადების ხანგრძლივობამ *, რომლის მანძილზე არ შეიძლება აიძულო მოვალე შეფასებითი გადასახადი გადაიხადოს. მაგრამ ეს უხერხულობა არც ისე სერიოზულია და არ შეუძლია ისეთი საკალალო მდგომარეობა შექმნას, როგორსაც სინამდვილეში ვხედავთ. 1877 წელს ბეგარის განაკვეთის 157.853 მან. 69 კაპიკიდან შემოვიდა მხოლოდ 93.242 მან. 4 კაპ. (შემოსული გადასახადი, § 3, გვ. 1); ე. ი. გათვალისწინებული თანხის ²/₃. გამგეობას რომ მოხერხებულად, დროულად ესარგებლა უფლებით მინიჭებული საშუალებებით ** და აეძულებია სახ-

---

* ბეგარის განაკვეთისათვის წლის პირველი ნახევრის საშეღავათო ვადა გრძელდება 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე, ხოლო მეორე ნახევრისა—1 აგვისტოდან 1 თებერვლამდე.

** ქალაქის მართვის დებულებათა 131 მუხლი: „თუ საურავი გადასახადის ნარ-

ლის პატრონები წესიერად გადაეხადათ შეფასებითი გადასახადი, მაშინ, ეჭვი არაა, რომ ამ გადასახადის შემოსავალი მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილ ციფრებს. მაგრამ არ გვინდა გავყვეთ უსაფუძვლო მტკიცებას და მოვიყვანთ სხვა უფრო თვალსაჩინო ფაქტს, რომელიც ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს. როგორც ზემოთაა ნათქვამი, 1876 წლის მთელი ნარჩენი შეადგენდა 210.103 მან. 73 კაპ. მათ რიცხვში მხოლოდ შეფასებითი გადასახადი უდრიდა 199.020 მან. 80¼ კაპ. (დამატება № 2). 1877 წელს ამ თანხიდან შემოვიდა მხოლოდ 72.777 მან. 10 კაპ., ე. ი. მოსალოდნელი თანხის ერთ მესამედზე ცოტა მეტი. უნდა ითქვას ისიც, რომ ნარჩენთა ამ თანხაში შედის ჯერ კიდევ ორმოციანი წლების უკმარნაკრეფი. ნუთუ მათი აკრეფის პროცედურა მართლაც ისე რთულია, როგორც გვარწმუნებს გამგეობა საანგარიშო მოხსენებაში (გვ. 21), თითქოს ოცი წლის მანძილზე ქალაქის სამმართველომ ვერაფრით გაართვა თავი ამ ამბავს? ნუთუ ყველაფერ ამაში დამნაშავეა მხოლოდ ქალაქის ყოფილი განმწესრიგებელი მმართველობა, იმაშიც კი, რომ აქამდე უცნობია ნარჩენის რა ნაწილია საიმედო, რა — არასაიმედო და რა — საეჭვო? ნუთუ მთელი ნარჩენი საიმედოა? და ბოლოს, ნუთუ კელავ განმაწესრიგებელი მმართველობაა დამნაშავე, რომ დღემდე გარკვეული არაა ნარჩენების რაოდენობა 1875 წლის ჩათვლით? საანგარიშო მოხსენებაში ნაჩვენებია მხოლოდ შეფასებითი გადასახადის ნარჩენი, რომელიც 1865 წლიდან დაგროვდა, იმ დროიდან, რაც თბილისში საქალაქო მმართველობა შემოიღეს. სადაა დანარჩენი თანხა, რომლის რაოდენობა, როგორც ამბობენ, 60 ათას მანეთამდე აღწევს? ამის შესახებ გამგეობა აცხადებს, რომ ცნობები ამ ნარჩენებზე არ შეუტანიათ საანგარიშო მოხსენებაში, რადგან მათი რაოდენობა გარკვეული არაა (საბუღალტრო ანგარიში, გვ. 8). ამგვარი განცხადება სტერეოტიპული გახდა და, დაწყებული 1875 წლიდან, საანგარიშო მოხსენებებში ყოველწლიურად მეორდება, მაშინ, როცა ამ ხნის განმ-

---

ჩენი შეაქვთ ეჭვსი თვის განმავლობაში საბჭოს მიერ დადგენილი ვადის შემდეგ, მაშინ მისი გადახდევინება ხდება პოლიციის დახმარებით, ყადაღა ედება გადასახად შეწერილ უძრავ ქონებას, ხოლო თუ ეს ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა, გაიყიდება მოვალის მოძრავი ქონება იმ ნივთების გამოკლებით, რომლებიც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 973 მუხლში და 974 მუხ. 4 პუნქტში, რაც მოვალეს უფლებას აძლევს დაასახელოს ის ნივთები, რომლებიც სხვებზე ადრე უნდა გაიყიდოს ვალის დასაფარავად. თუ მოძრავი ქონების გაყიდვის შედეგად ვალი არ დაიფარება, მაშინ იყიდება უძრავი ქონება იმ წესის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ამ ქონებიდან ხაზინის სასარგებლოდ გადასახადის ამოღებას".

მავლობაში შეიძლებოდა მილიონნიანი ანგარიშის გარკვევა, განხილვა და ზუსტად დადგენა. ამასთან, ქალაქის სალარო განა ისე მდიდარია, რომ 60.000 მან. მისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს?

როცა ქალაქის შემოსავალზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი უცნაური გარემოება: ქალაქის მიწების გაყიდვის შედეგად, 1877 წელს შემოვიდა 5.349 მან. 10 კაპ. (საანგარიშო მოხსენება, დამატება № 5, გვ. 7), რომელიც საბჭოს განკარგულებით სპეციალურ თანხას მიაწერეს. რით ხელმძღვანელობდა საბჭო, როცა ამ ფულის სპეციალიზაციას ახდენდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაფრით. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში საბჭო მოქმედებდა წუთიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით, ანდა საბჭოს რომელიმე ორატორის ბრწყინვალე სიტყვის ზემოქმედებით, წევრისა, რომელსაც საქმის არსი სრულიად არ ესმოდა. ჩვენს აზრს ყველაზე უკეთ ადასტურებს შემდეგი ფაქტი. 1877 წლამდე ქალაქს ჰქონდა რამდენადმე სპეციალური ხელუხლებელი კაპიტალი: საპენსიო, ქალაქის იმ სახლის გაყიდვის შედეგად შემოსული ფული, რომელშიც ცხოვრობდნენ კომენდანტი და სხვები (გადასახადის შემოსავალი, § 9, გვ. 1, ახსნა-განმარტება), რაც შეადგენდა საკმაოდ მოზრდილ თანხას 40 ათას მანეთზე მეტს. ერთ მშვენიერ საღამოს საბჭომ ეს ფული გაიღო მიმდინარე სახარჯთაღრიცხვო ხარჯების დასაფარავად და, ამავე დროს, არც 109 მან. 54 კაპ. დახარჯვისა შერცხვენია. მაგრამ დახარჯა რა ამგვარად წინა წლების დანაზოგი, საბჭო უეცრად გაიტაცა სპეციალური კაპიტალის შექმნის წადილმა და ამ გატაცებამ ისე იმოქმედა მასზე, რომ 5.349 მან. 10 კაპ. სპეციალურ ფონდში გადარიცხა. ეს თანხა მან წინასწარ ამოიღო 1877 წლის შემოსავლიდან. და ეს მაშინ, როცა გათვალისწინებულ ხარჯებს 37 ათასი მან. რაოდენობით არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ჰქონდა და მხოლოდ საბუღალტრო დავთრებს ამშვენებდა. ასეთი ხარჯის შემდეგ საღი აზრი მოითხოვდა გაეძლიერებიათ შემოსავალი ახალი რესურსებით, მაგრამ საბჭო პირიქით მოიქცა: შეამცირა შემოსავალი 5.349 მან. 10 კაპ. და ამ უკანასკნელს რაღაც უცნობი, სპეციალური დანიშნულება მისცა. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ საბჭოში სოლიდური ადამიანები კი არა, ფანტაზიორები სხედან!

3

აღვნიშნეთ რა გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებული ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მოღვაწეობის არსებითი მხარეები და არ შევხებივართ რა ბევრ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთა

განხილვა შორს წაგვიყვანდა, ახლა შევეხოთ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ხარჯებს.

ცალკეული მუხლების მიხედვით დაიხარჯა:

ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს	
შესანახად	72.349 მან. 83 კაპ.
პოლიციის შესანახად	72.939 მან. 23½ კაპ.
ქალაქის სამედიცინო მომსახურეობაზე	7.071 მან. 78 კაპ.
საგუბერნიო ციხის შესანახად	5.962 მან. 20 კაპ.
დამატებით ხელფასზე	9.080 მან. 12 კაპ.
ქალაქის საზოგადოებრივი ქონების შესანახად	399 მან. 28 კაპ.
ქალაქის კეთილმოწყობაზე	75.850 მან. 74 კაპ.
ჯარის სადგომებზე	138. 777 მან. 38 კაპ.
სხვადასხვა დაწესებულებების	
დასახმარებლად	.14.631 მან.
სხვადასხვა ხარჯი	7.316 მან.
მიმოქცევის ხარჯები	150 მან.
საზეხარჯთაღრიცხვო ხარჯები	32.765 მან.
	სულ: 490.629 მან. 28½ მან.

როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ყველაზე დიდი ხარჯი გაიღეს: ჯარის სადგომებზე, ქალაქის პოლიციაზე, ქალაქის კეთილმოწყობაზე და ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს შესანახად. პირველმა ორმა მუხლმა ქალაქის შემოსავლის თითქმის ნახევარი შთანთქა, ხოლო თითოეულმა დანარჩენმა თითქმის — 1/7.

ასი ათასი მანეთის დახმარება, რასაც საერობო უწევს ყოველწლიურად ქალაქს (გადასახადის შემოსავალი, § 7, გვ. 2) სამხედრო მოსამსახურეებს ბინის ქირით დასაკმაყოფილებლად, ქალაქს დიდად ეხმარება ჯარის სადგომების მოწყობაში. სამაგიეროდ პოლიციის შესანახი თანხა მთლიანად ქალაქის სალაროს აწევს და ეს მისთვის საგრძნობი ტვირთია, მით უფრო, რომ იგი ქალაქის დებულებით გაპირობებული არაა. ამ საკითხის შესახებ გამგეობა აცხადებს, რომ საბჭომ უკვე აღძრა შუამდგომლობა პოლიციის შესანახი, ციხეების გათბობის, განათებისა და ზოგიერთი სხვა სტატიით გათვალისწინებული ხარჯის შესამცირებლად, რომელთა გაღება გამართლებულია მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობით, რასაც სხვათა შორის, ქალაქის საბჭო არ ეთანხმება.

იმ ხარჯების შემცირებას, რომლებიც არამწარმოებლურად ნთქავს ქალაქის სახსრებს, ჯერ კიდევ სამი წლის წინათ უნდა მიქცეოდა ყურადღება, რაც შესაძლებლობას მისცემდა ქალაქს დაე-

ზოგა არა ერთი ასი ათასი მანეთი მოსახლეობის გადაუდებელი და საარსებო საჭიროებისათვის. მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", ამბობს ზარმაცებისა და დაუდევრებისათვის მოგონილი ანდაზა. დავიმშვიდოთ თავი ჩვენც, ჩვენ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ამ ანდაზის მეოხებით და იმედი ვიქონიოთ, რომ ასი ათასობით მანეთს ქარს არ გაატანენ, ყოველ შემთხვევაში, მომავალში მაინც.

ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს შესანახად იხარჯება თითქმის იმდენი, რამდენიც ქალაქის კეთილმოწყობაზე. ალბათ იმ ვარაუდით, რომ ასი ათასიანი ქალაქისა და სამმართველოს პირადი შემადგენლობის მოთხოვნილებები ზუსტად თანაბარია. ამ სამართლიანი ვარაუდის საფუძველზე დაამტკიცეს, ალბათ, ქალაქის სამმართველოს შტატი ათას მანეთიანი ჯამაგირებით. მაგრამ 1877 წელს გამგეობამ ესეც არ იკმარა, რადგან მოეჩვენა, რომ ქალაქის თავი ძალზე ცოტა ჯამაგირს ღებულობს, წელიწადში რაღაც 7.000 მან. და ამიტომ ამ თანხას დაამატეს კიდევ 20 კაპ. ახლა ქალაქის თავი 7.000 მან. და 20 კაპ. ღებულობს (ბუღალტრული ანგარიში, § 1, გვ. 1. ახსნა-განმარტება). მართალია, ეს წვრილმანია, მაგრამ ამგვარი წვრილმანები გვიჩვენებს, თუ რა სწორად ადგენს ფულად ანგარიშსწორებას გამგეობა.

რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, — ზოგიერთ მათგანს, უფრო სერიოზულს, ჩვენ შევეხებით შეუსრულებელი ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, რაც ნაჩვენებია საკრედიტო სიებში (დამატება № 1). ეს სია წარმოადგენს ორიგინალურ და მეტად საინტერესო დოკუმენტს. სხვა მონაცემები სულ რომ არ არსებობდეს, ეს ერთი დოკუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა იმის გასაგებად, თუ როგორ აწარმოებს საქმეს ქალაქის სამმართველო. დავიწყოთ აქედან: გამგეობას ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საკრედიტორო სიებზე, სადაც შეაქვთ გარკვეული წლის ხარჯები ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში. როცა ამ ხარჯის ყველა წვრილმანი ზუსტადაა ცნობილი, ე. ი. ვის რამდენი ერგება და რისთვის? მაგრამ მიუხედავად ამ საყოველთაოდ ცნობილი და მიზანშეწონილი წესისა, 1875 და 1876 წლების საკრედიტორო სიებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ თანხებს, რომლებიც არ უნდა გაცემულიყო; არც ისეთი კრედიტორების გვარებია ცოტა, რომელთაც არავითარი უფლება არ ჰქონდათ ფული მიეღოთ ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა ჩამოეწერათ ანგარიშიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა: მაგალითად, 1875 წლის შეუსრულებელი ხარჯებიდან 30.413 მან. 57 კაპ. (1876 წლის საანგარიშო მოხსენება, დამატება № 7) ჩამოწერილია 718 მან. 22½ კაპ. (და-

მატება № 7), ხოლო 1876 წლის ასეთივე ხარჯის 57. 068 მან. 26 კაპიკიდან — 6.226 მან. 5 კაპ. (დამატება № 8). ამგვარად, ორივე სიიდან ჩამოწერილია 6.944 მან. 27½ კაპ., როგორც ზედმეტად ნაჩვენები. ეს ფაქტები კი იმას ამტკიცებს, რომ 1875 და 1876 წლების ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს შეუსრულებელი ხარჯები არ იყო ზუსტად დადგენილი და შედგენილი ხარჯთაღრიცხვის კრედიტების ნარჩენები განურჩევლად შექონდათ ალბათ საკრედიტორო სიებში. თუ ანალოგიურ მსჯელობას გავყვებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1877 წელს საკრედიტორო სიებში ბევრი სავარაუდო ციფრი აღმოჩნდება, რომელთა უზუსტობა გამომჟღავნდება 1878 წელს და ცნობილი გახდება ამ წლის საანგარიშო მოხსენებიდან.

საკრედიტორო სიების შედგენის ამგვარი ხერხი გვართმევს ყოველგვარ შესაძლებლობას სასურველი სიზუსტით განვსაზღვროთ გარკვეული ფინანსიური წლის ბრუნვა. გარდა ამისა, ეს იწვევს ხარჯთაღრიცხვის დიდ არევ-დარევას. ამ საერთო ნაკლოვანებებისაგან დამოუკიდებლად, გამგეობის საკრედიტო სიებს ახასიათებს აგრეთვე ბევრი კერძო ნაკლოვანებაც, რაც ნათელს ჰფენს გამგეობის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს. ავიღოთ, მაგალითად, 1877 წლის საკრედიტო სია. ამ სიაში № 172-ით ნაჩვენებია შეუსრულებლად 6.000 მან., რომლითაც უნდა დაეფარათ შეუსრულებელი ხარჯები. ეს ისეთი მარგალიტია, რომლის მსგავსსაც ძნელად მონახავთ ყველა ჯურის საზოგადო და კერძო დაწესებულებებში. საქმე ისაა, რომ წინა, 1875 წლის მანძილზე შეუსრულებელი ხარჯები დაგროვდა 20.351 მან. 74¾ კაპ. რაოდენობით (1876 წლის ხარჯთაღრიცხვა, § 12, გვ. 7), რომლის დასაფარავად დაწყებული 1876 წლიდან ყოველწლიურად გამოჰყოფდნენ 6.000 მანეთს. მაგრამ, გამგეობის უყაირათობის გამო, ასეთ ასიგნებას არავითარი შედეგი არ გამოუღია: ორი წლის მანძილზე 12.000 მან. გამოყოფამ შეუსრულებელი ხარჯების დასაფარავად მხოლოდ ის პატივისცემა დაიმსახურა, რომ 1876 და 1877 წლების საკრედიტორო სიებს ამშვენებს 107 და 172 ნომრებით, შეუსრულებელი ხარჯების სახით.

საერთოდ, ქალაქის საქმეების წარმოებაში გამგეობამ ბევრი გონებამახვილობა გამოიჩინა. მაგალითად, იმავე 1877 წლის საკრედიტორო სიაში, 167 ნომრით, ნაჩვენებია შეუსრულებელი ხარჯები. 3.000 მან. რაოდენობით, რაც უნდა რგებოდა ქალთა კომიტეტს და დაჭრილებისათვის მზრუნველ საზოგადოებას, ე. ი. ქალაქმა დაჭრილების სასარგებლოდ გაიღო 3.000 მან., ხოლო გამგეობამ, იმის ნაცვლად, რომ გაეგზავნა იგი დანიშნულებისამებრ, დაჭრილებისათვის დამხმარე საზოგადოებისათვის, საჭიროდ ცნო შეეტანა საკრე-

დიტორო სიებში. ვერაფერს იტყვი, კარგი დახმარებაა! უნდა ვივარაუდოთ, რომ ზავის დადების შემდეგ და იმის გამო, რომ ბევრი დაჭრილი სამუდამოდ „განიკურნა“ მუდმივი სიმშვიდის საუფლოში, ხოლო სხვები, გამოჯანმრთელების შემდეგ, თავიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ, დანარჩენები კი სამშობლოში გაემგზავრნენ, გამგეობა ალბათ აუცილებლობად თვლის აღნიშნული 3.000 მან., არსებული წესის თანახმად, ჩამოწეროს, როგორც საჭიროებას მოკლებული. მარტივი და სანაქებოა!

მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს. იმავე საკრედიტორო სიაში 168—171 ნომრებით შეტანილი ციფრები იმას ნიშნავს, რომ ვადიანი და საპროცენტო ვალი არ გადაუხდიათ: ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყებისათვის: ერთი 757 მანეთის რაოდენობით, მეორე — 277 მან. რაოდენობით, მესამე — 1.801 მან. რაოდენობით. მთელი ვალი შეადგენს — 2.835 მანეთს; კავკასიის მეფისნაცვალისათვის არ გადაუხდია — 3. 343 მან., ეკლესიების საამშენებლო უწყებისათვის — 878 მან., მიხეილის სახელოსნო სასწავლებლისათვის — 270 მან. ვადიანი და საპროცენტო სესხი მთლიანად დაგროვდა 7.326 მანეთის რაოდენობით. ასეთივე ვითარებაა იმ ვადიანი ვალების გადახდის საქმეში, რომლებიც 1875 და 1876 წლებში უნდა დაეფარათ: 1875 წელს კავკასიის მეფისნაცვალს არ გადაუხადეს — 4.052 მან. 69½ კაპ. (დამატება № 7), 1876 წელს იმავე თანხიდან არ გადაუხდიათ 3.343 მან., ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყებისათვის არ გადაუხდიათ 757 მან., ეკლესიების საამშენებლო უწყებისათვის — 878 მან., მიხეილის სახელოსნო სასწავლებლისათვის — 270 მან. (დამატება, № 8 გვ. 102—104 და 106). სულ, სამი წლის განმავლობაში, ვადიანი და საპროცენტო ვალი გადაუხდელია 16.636 მან. 69½ კაპ. რაოდენობით, და თუ ამას დავუმატებთ ზემოთ აღნიშნულ 12.000 მანეთს, მაშინ ყველა გადაუხდელი ვადიანი ვალი შეადგენს 28.636 მან. 69½ კაპიკს, რაც ამჟამად ამშვენებს საკრედიტორო სიებს.

სამწუხაროა, რომ ასეთ ფაქტებს ვხვდებით. ვფიქრობთ საჭიროა მოვიყვანოთ ანგარიშიდან სიტყვები, ნათქვამი შეფასებითი გადასახადის არადამაკმაყოფილებელი აკრეფის შესახებ;

„შეფასებითი გადასახადის არადამაკმაყოფილებლად აკრეფის მიზეზი, გადასახადისა, რომელიც წარმოადგენს ქალაქის შემოსავლის ძირითად წყაროს, ისაა, რომ უძრავი ქონების მფლობელ მასას ჯერ კიდევ არ გააჩნია მოვალეობის გრძნობა, რომელიც ვალდებულს ხდის თითოეულს წესიერად შეიტანოს ის გადასახადი, რომელიც საერთო სარგებლიანობისათვის იხარჯება“.

დავუშვათ, რომ განუვითარებელი მასა, რომელსაც არ გააჩნია მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, ამა თუ იმ მიზეზით ყოფილიყო გამგეობის მოქალაქეობრივი მწუხარების საგანი, მაგრამ საკითხავია: ინტელიგენტურ გამგეობას აქვს კი შეგნებული საკუთარი ვალდებულება, რაც მოვალეს ხდის წესიერად გადაიხადოს ვალები? როგორც ჩანს, არა. ამავე დროს, ძალზე სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევაში ილახება არა ვინმეს კერძო ინტერესი, არამედ — მთელი ქალაქის. აღარაფერს ვამბობთ საქმის დასაგმობ მხარეებზე, მაგრამ საპროცენტო ვალების გადაუხდელობა კიდევ ერთ მნიშვნელოვან და საგრძნობ უხერხულობას უქმნის ქალაქის სალაროს: ვალზე ფულის გადაუხდელობას თან სდევს პროცენტებისა და ჯარიმის დარიცხვა. ნუთუ გამგეობა მხოლოდ იმ მიზნისაკენ ისწრაფვის, რომ გაზარდოს ქალაქის ვალი რადაც არ უნდა დაუჯდეს? ეს, ცხადია, არ უნდა დავუშვათ. გამგეობის ასეთი უცნაური მოქმედება ძალზე ადვილი ასახსნელია: მან არ იცის რას აკეთებს. ამ აზრის დასამტკიცებლად ჩვენ საკმაოდ ბევრი ფაქტი მოვიყვანეთ; მეტი დამაჯერებლობისათვის დავუმატებთ კიდევ ერთსა და უკანასკნელს.

საანგარიშო მოხსენებას დართული აქვს ცნობები, რომელშიც ასახულია, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქის ვალები სხვადასხვა დაწესებულებებისადმი (დამატება, № 11) და ნათქვამია: მთელი დაუფარავი ვალები შეადგენს 75.446 მან. 16 კაპიკს. ყველა, ვინც ხელში აიღებს ამ უწყისს და გადახედავს ჯამს, გაიფიქრებს, რომ ქალაქის ვადიანი ვალი სულ რაღაც 75.446 მან. 16 კაპ. შეადგენს და, იფიქრებს რა ასე, იგი სრულიად მართალი იქნება, რადგან საქმე აქვს ოფიციალური დაწესებულების ოფიციალურ დოკუმენტთან. მაგრამ ძალზე შეცდება თუ დაეყრდნობა დოკუმენტს, რომელიც თავიდან ბოლომდე სავსეა ფანტასტური ციფრებით. საერთოდ, ფანტასტური ელემენტი საანგარიშო მოხსენებაში ყველგან გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით მრავლადაა აღნიშნული ამ დოკუმენტში, რომელშიც ყველა ციფრი, გარდა ერთისა, მცდარია. დავიწყოთ თუნდაც აქედან: დაუფარავი ვალი შეადგენს არა 75.446 მან 16 კაპიკს, არამედ — 112.434 მან. 60 კაპიკს, რასაც გვაძლევს შემდეგი ციფრების ჯამი:

გამგეობის დავალიანების უწყისი გვიჩვენებს	75.446 მან. 16 კაპ.
გადაუხდელია სესხთა ვადიანი ვალი და ნაჩვენებია მხოლოდ საკრედიტორო სიებში	16.636 მან. 69½ კაპ.
არ გადაუხდიათ საინტენდანტოსთვის და ნაჩვენებია მხოლოდ საკრედიტორო სიებში	12.000 მან.

სრულიად არაა ნაჩვენები საანგარიშო მოხსენებაში საინტენდანტო პოლიციის დაბალი მოხელეებისათვის და სახანძრო რაზმისათვის გაცემული პროვიანტისათვის	8.351 მან. $74^{3}/_{4}$ კაპ.

სულ დაუფარავი ვალი შეადგენს: 112.424 მან. $60^{1}/_{4}$ კაპ.

ე. ი. გამგეობის მიერ ნაჩვენებ ციფრებზე 36.988 მან. $44^{1}/_{4}$ კაპიკით მეტია. ამგვარი სხვაობა გამოიწვია: ჯერ ერთი იმან, რომ გამგეობამ სრულიად არ შეიტანა მოხსენებაში საინტენდანტოს ვალი 8.351 მან. $74^{3}/_{4}$ კაპ. რაოდენობით; არია რა საკრედიტორო სიები ვადიანი და საპროცენტო სესხების ანგარიშთან, გამგეობამ წარმოიდგინა, რომ საკრედიტორო სიებში ვადიანი ვალების შეტანა იგივეა, რაც ვალების ნამდვილად გადახდა და ამიტომ დავალიანების უწყისში აღარ შეიტანა 28.636 მან. $69^{1}/_{2}$ კაპ. ამ მოსაზრებების შედეგად ისეთი ვალები აღმოჩნდა დაფარული, რომლებიც ჯერ კიდევ გადაუხდელია. მაგალითად, 2.000 მან. ნასესხები ამიერკავკასიის უწყებიდან სოლოლაკში თხრილების გასათხრელად და სხვა.

თუ ვადიან გადასახადს 112.434 მან. $60^{1}/_{4}$ კაპ. დაუმატებთ შეუსრულებელ ხარჯებს 46. 295 მან. $80^{1}/_{2}$ კაპ. რაოდენობით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ქალაქის ვალი შეადგენს 158.730 მან. $40^{3}/_{4}$ კაპიკს, რომლიდანაც 83.797 მან. $90^{3}/_{4}$ კაპ. უნდა დაიფაროს თანდათან, გარკვეულ ვადებში, ხოლო დანარჩენი 74.932 მან. 50 კაპ. უნდა დაიფაროს 1877 წლის ხარჯებს გადარჩენილი 38.008 მან. $17^{1}/_{4}$ კაპ. ნაღდი ფულით.

ამგვარად, თუმცა სხვა გზით, მაგრამ ჩვენ ისევ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ქალაქის სალაროს სრული დაცარიელებისა და იმის გამო, რომ დროზე არ მიიღეს საჭირო ღონისძიებები, გამგეობამ ვერ შესძლო გადაეხადა კრედიტორებისათვის 36.924 მან. $32^{3}/_{4}$ კაპ., მიუხედავად სპეციალური წყაროებიდან შემოსული განსაკუთრებული დახმარებისა 40.669 მან. რაოდენობით. აი, ასეთია 1877 წლის საბოლოო შედეგები.

დასასრულ გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ დამხმარე კაპიტალის შესახებ, რომელიც ეკუთვნის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელს. საანგარიშო მოხსენების მე-10 ნომერი გვატყობინებს, რომ „დამხმარე კაპიტალი გამგეობას გადასცა ყოფილმა საამშენებლო განყოფილებამ და ამ დროისათვის შეადგენდა: ნაღდი ფული — 7.705 მან. $14^{1}/_{2}$ კაპ., 74 მოვალისაგან: კაპიტალი — 124.463 მან. $97^{1}/_{4}$ კაპ., პროცენტი — 48.284 მან. $46^{1}/_{4}$ კაპ., დაზღვევის თანხა — 2.101 მან. 9 კაპ. სულ ვალი შეადგენდა 174.840 მან. $52^{1}/_{2}$ კაპ. წლის

მანძილზე ვალს დაემატა 600 მან. 80 კაპ. მოვალეებს სულ ემართათ 175. 450 მან. 32$^{1}/_{2}$ კაპ. ამის შემდეგ, 1877 წლის მთელი შემოსავლისა და გასავლისა, 1878 წლის იანვრისათვის დარჩა: ნაღდი ფული — 5.112 მან. 63$^{1}/_{4}$ კაპ., მოვალეებს ემართათ — 115.008 მან. 23 კაპ., პროცენტი — 44.005 მან. 5$^{3}/_{4}$ კაპ. და დაზღვევის თანხა — 2.086 მან. 96 კაპ., სულ მოვალეებს ემართათ — 161.100 მან. 24$^{3}/_{4}$ კაპ. და ბოლოს, დამხმარე კაპიტალს ვალად აწევს კავკასიის მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს 17.625 მან. 85$^{3}/_{4}$ კაპიკი, სამხედრო უწყების — 30.804 მან. 1$^{3}/_{4}$ კაპ., სულ — 48.429 მან. 87$^{1}/_{2}$ კაპიკი. აი, ყველა ცნობა დამხმარე კაპიტალის შესახებ.

ეს კაპიტალი წარმოადგენს მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის შესანახ ძირითად ფონდს და განკუთვნილია ქალაქის მოსახლეობის ისეთი საარსებო საჭიროებისათვის, რომ ჩვენ იმედი გვქონდა, გამგეობა მეტ ცნობებს მოგვაწვდიდა ამ თანხის შესახებ; გაგვაცნობდა ამ თანხის დაწვრილებით ისტორიას, რასაც ალბათ საბჭოც კი არ იცნობს, ხოლო საზოგადოება მით უმეტეს. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ დამხმარე კაპიტალზე დადის მთელი ლეგენდები, რომლებიც ჯერ კიდევ იმ დროს წარმოიშვა, როცა ის სულ სხვა დაწესებულებების განკარგულებაში იყო. ამ თანხის ისტორიის გადმოცემა კიდევ იმიტომ იყო საჭირო, რომ საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას დამხმარე კაპიტალის მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, საანგარიშო მოხსენების ჩვენებების თანახმად არ ჩანს, ვის ასესხეს 115.008 მან. 23 კაპ., რითაა უზრუნველყოფილი თითოეული მოვალის ვალი, რამდენია ვადიანი და რამდენი გადავადებული ვალი, რა ზომები მიიღეს გადავადებული ვალის ამოსაღებად? და ბოლოს, რატომ მართებს დამხმარე კაპიტალიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსი და სამხედრო უწყების — 48.429 მან. 87$^{1}/_{2}$ კაპ.? იქნებ ეს ვალი იმ დროს აიღეს, როცა ქალაქში კლასიკურ ქვაფენილს აგებდნენ? ამ შემთხვევაში უნდა შევსებულიყო ეს ვალი? და თუ უნდა შევსებულიყო, რა საშუალებით, რომელი წყაროდან? ყველა ეს კითხვა იმდენად სერიოზული და საინტერესოა, რომ შეუძლებელია დუმილით აუარო გვერდი.

ამით ვამთავრებთ 1877 წლის საანგარიშო მოხსენების განხილვას. ჩვენ არ შეეხებივართ საანგარიშო მოხსენების ბევრ კერძო და უსიამოვნო წვრილმანს. ვფიქრობთ, რომ ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს მოღვაწეობის ხასიათი მათ გარეშეც მეტად ცხადია, რის გამოც ვაისაქალაქო შეურნეობა მთლიანად მოიშალა. მაგრამ რა სამწუხაროც არ უნდა იყოს ამგვარი შედეგები, ჩვენ მაინც

იმედი გვაქვს, რომ ქ. თბილისის წარმომადგენლები გამოიყენებენ წარსულის გაკვეთილებს უკეთესი და უფრო ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მიუხედავად მათი შეცდომებისა, მარცხისა და სხვა, მათ მაინც ბევრი რამ გააკეთეს ქალაქისათვის გასული სამი წლის განმავლობაში. მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია. წინ ბევრი სამუშაო გველის, ხოლო ამ სამუშაოს რომ თავი გავართვათ, აუცილებელია ღირსეულად შევაფასოთ ქალაქის მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა და მტკიცედ გავატაროთ ის ღონისძიებები, რომელთაც მომავალში ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს წარმატებები უნდა უზრუნველყონ.

60. ქალაქის საბჭოს სხდომა

2 ოქტომბერს, სრულიად შემთხვევით, ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოვხვდი. ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველებს გავუზიარებ იმ შთაბეჭდილებებს, რაც ჩემზე მოახდინა ამ სხდომაზე დანახულმა და გაგონილმა. როგორც გაზეთებმა გამოაცხადეს, სწორედ ამ დროისათვის მე უკვე ვიყავი საბჭოში. ვწუხდი, მეგონა დამაგვიანდებოდა, მაგრამ გამოაცა იმან, რომ სანამ საბჭოს წევრთა საჭირო რაოდენობა მოიყრიდა თავს, კიდევ დიდხანს მომიხდა ლოდინი. აქ დამხვდა არა უმეტეს ხუთი კაცისა. ისინი ფიქრობდნენ, რომ სხდომა არ შედგება და, სანამ ამ ამბის გამოცხადებას ელოდნენ, სხვადასხვა საკითხებზე საუბრობდნენ. ერთი მათგანის გვარი იყო ელიმირზოვი. ეს უკანასკნელი, სხვათაშორის, ამბობდა, რომ რომელიღაც კანონის თანახმად, საბჭოს სხდომების მოწვევა წელიწადში მხოლოდ ორჯერაა სავალდებულო. ერთი — ხარჯთაღრიცხვისათვის, მეორე — საანგარიშო მოხსენებისათვის; რომ თბილისი განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს და სხდომას ყოველ კვირა იწვევს; რომ რუსეთში არც ერთი ქალაქი არ ეკიდება ამ საქმეს ისე სერიოზულად და გულმოდგინედ, როგორც თბილისი. ყველაფერი ეს მე გულწრფელად დავიჯერე და მოუთმენლად ველოდი იმ წუთს, როდის მომეცემოდა შესაძლებლობა, სასოებით დამეგდო ყური ამორჩეულთა მსჯელობისათვის ქალაქის საქმეების შესახებ. ცხრა საათისათვის საბჭოს წევრთა საჭირო რაოდენობა შეგროვდა და სხდომაც დაიწყო. გარეშე პირი ვიყავი მე და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთაგან ორი სასარგებლო აღმოჩნდა და კამათის დროს საბჭოს წევრებს ზოგი ცნობა მიაწოდეს. ასე რომ, მე უნებურად მომეჩვენა, თითქოს ისინი აქ თავიანთი სურვილით კი არ მოვიდნენ, არამედ საგანგებოდ მოიწვიეს. მე არაჩვეულებრივად გამიკვირდა, რომ ჩვენს საზოგადოებას ასე ნაკლებად აინტერესებს საზოგადოებრივი საქმე, ე. ი. თავისი საქმე. უწინ, როცა მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და გულწრფელად მწამდა საერთო ცხოვრების უმაღლესი პრინციპები, არ მეგონა, რომ ჩვენს საზოგადოებას მეტისმეტად მოურიდებლად ექცევიან და განგებ არ უშვებენ იმ დაწესებულებებში, სადაც მისი

ბედი წყდება, სადაც მის მიერ შეტანილ ფულს ამა თუ იმ მიმართულებას აძლევენ. ახლა, როცა დავბერდი, როცა ჭაღარა გამომერია, როცა მოხუცი კაცის ცხოვრების გამოცდილება მაწევს, სევდამ შემიპყრო იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ინერტიულობის გამო არ ესწრება იმ დაწესებულების სხდომებს, სადაც ხმამაღლა, სახალხოდ წყდება ქალაქის საქმეები, რაც თითოეული მათგანის კერძო ცხოვრებასთანაა დაკავშირებული; სადაც იხილავენ საკითხებს, რომლებიც პირადად ჩვენ გვეხება, სადაც ამორჩეულები განაგებენ ქალაქის საჭიროებისათვის განკუთვნილ საზოგადო კაპიტალს. ყველა ეს აზრი სწორედ იმ დროს მიტრიალებდა თავში, როცა ვინმე მოხსენებას აკეთებდა, ხოლო ხმოსნები ყურადღებით უსმენდნენ. ამ სიამოვნებას მხოლოდ ჩვენ, საბრალო უცხო პირები ვიყავით მოკლებულნი, რადგან ჩვენს მხარეს ფანჯარა ღია იყო და ეკიპაჟების ხმაური საშუალებას არ გვაძლევდა ყური დაგვეგდო ლექტორისათვის. ზოგჯერ ჩვენამდე მხოლოდ ცალკეული სიტყვები აღწევდა, ხოლო მთელი დანარჩენი დროის მანძილზე გაუგებარი ბგერები გვესმოდა. კამათი საკმაოდ ხმამაღლა მიმდინარეობდა, შემდეგ დახურეს ფანჯარა და ახლა ჩვენ უკვე ყველაფერი გვესმოდა. ე. ი. გვესმოდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ ადგენდნენ ხმოსნები ცნებებს — „მენარჩენე“ და „გადამხდელი“. რამდენადაც მე ვერ გავიგე, რა საკითხს ეხებოდა მოხსენება, იმდენად ვერც იმას მივხვდი, თუ რა საჭირო იყო ამ ბუნდოვანი სიტყვების აზრის დადგენა. ბატ. ელიმირზოვი ისეთ კაცად მომეჩვენა, რომელიც თითქოს მთელი თავისი არსებით შეერწყა საბჭოს დებულებათა პარაგრაფებს; მენარჩენეებისა და გადამხდელების საკითხს კანონმდებლის საფუძვლიანობით იხილავდა და გამუდმებით მოჰყავდა წესდების მუხლები. მისი აზრით, გადამხდელი ჰქვია იმ კაცს, რომელსაც გადასახადი დადგენილ ვადებში შეაქვს, ხოლო მენარჩენე იმას — რომელსაც საბჭო შეღავათს აძლევს და ვადას უგრძელებს. პირველი სარგებლობს ამომრჩეველთა უფლებებით, ხოლო მეორეს ჩამორთმეული აქვს ეს უფლებები. ამიტომ, ამ საკითხის ირგვლივ დიდხანს გრძელდებოდა მჭევრმეტყველება. ბატ. იოანისიანი მაგალითებით ამტკიცებდა იმ აზრს, რომ რაკი საბჭომ გამონაკლისი დაუშვა რომელიმე პირის მიმართ და გადასახდელად სხვა ვადა დაუნიშნა, მაშინ რატომ უნდა ეწოდოს ასეთ პირს მენარჩენე, როცა გადასახადის გადახდის დრო მისთვის ჯერ არ დამდგარა? იგი ისეთივე გადამხდელია, როგორც ის კაცი, რომელმაც დროზე შემოიტანა გადასახადი? ბატ. იოანისიანის აზრმა საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია: თუ ორივე თანაბარი გადამხდელებია, თუ ერთნა-

ირად ისარგებლებენ ამომრჩეველთა უფლებებით, მაშინ არავინ არ აჩქარდება დროზე გადაიხადოს გადასახადი და მთელი ქალაქი გამოუსწორებელ გადამხდელად გადაიქცევა. მაგრამ საწინააღმდეგო აზრი იმით უარყვეს, რომ საბჭო მხოლოდ მათ მისცემს შეღავათს, რომლებიც წარმოადგენენ საკმაოდ საპატიო მიზეზებს. რით გათავდა ეს დავა — ჩვენ ვერ გავიგეთ.

შემდეგ დაისვა საკითხი ფილანტროპიის შესახებ, ცხადია, კერძო შემთხვევასთან დაკავშირებით და არა თეორიული ფორმით. წინადადება შემოიტანეს — შესაძლო დახმარება გაუწიონ წვრილ მოხელეთა ოჯახებს, რომლებიც ომის დროს დაზარალდნენ. ერთი ხმოსანი ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ამ საქმეს „წმინდა“ უწოდა. მაგრამ ფილანტროპიული გატაცება დააცხრო მწარე შენიშვნამ იმის შესახებ, რომ საბჭოს წესდებაში არ არის ამგვარი პარაგრაფი; რომ საბჭო სცნობს ხარჯის მხოლოდ ორ კატეგორიას: აუცილებელსა და არა აუცილებელს; „წმინდათა“ კატეგორია საბჭოს საქმეებში სრულიად არაა მოხსენებული. „წმინდა“ მიაკუთვნეს არააუცილებელ ხარჯებს. დაიწყო კამათი და აღმოჩნდა, რომ ქალაქის საბჭოს არ გააჩნია არა აუცილებელი ხარჯების დასაფარავი სახსრები, ხოლო „წმინდა“ საქმეებისათვის ჯიბე თხელი აქვს. თუმცა, მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც აქ ითქვა, მაინც დაამტკიცეს მოხსენება რამდენიმე ათასი მანეთის შესახებ, რაც ჯარის გასამასპინძლებლად დაიხარჯა.

საბჭოს სხდომაზე ყველაზე საჭირბოროტო საკითხი იყო სასაკლაოს ქალაქში გადმოტანის პროექტი. ხორცის სიძვირეს ხსნიდნენ აწორედ იმით, რომ სასაკლაო ქალაქგარეთ მდებარეობს. განსაკუთრებით საქმიანად ლაპარაკობდა ერთ-ერთი ხმოსანი, რომლის გვარიც კერავინ მითხრა. მისი სიტყვები დაახლოებით ასე შეიძლება გადმოიცეს: „ბატონებო! ჩვენ საქმის არსს მსხვერპლად ვწირავთ კანონის ფორმას. ჩვენ ვეყრდნობით იმას, რომ რუსეთის დიდ ქალაქებში იცავენ კანონს სასაკლაოების ქალაქის გარეთ მოწყობის შესახებ და ამ კანონს თბილისზეც ვავრცელებთ. მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ ცხელ თბილისსა და რუსეთის ცივ ქალაქებს შორის დიდი სხვაობაა. რუსეთში ყასბები ერთი არშინი სისქის ყინულს ყრიან ბეღლებში. გაუყიდავი ხორცი გაფუჭებისაგან გარანტირებულია მეორე დღემდე; შეიძლება ხვალაც და მესამე დღესაც იმავე ფასად გაიყიდოს. ყასაბი ამის გამო დიდად არ წუხს, ჩვენთან კი სულ სხვაგვარადაა საქმე. ყასაბს ეშინია ხორცი დიდხანს გააჩეროს, ჭრის ძუნწად, მომჭირნედ. იმის გამო, რომ ჩვენში ხორცი განსაზღვრული რაოდენობითაა, ხოლო მოთხოვნილება დიდია, გაძვირდა და ჩვენ არ უნდა

გაგვიკვირდეს, თუ მეორე გაზაფხულამდე ერთი გირვანქა ხორცის ფასი 15-დან 20 კაპიკამდე აიწევს. ცხადია, მაშინ ჩვენ თბილისს პეტერბურგსა და მოსკოვს გავუტოლებთ არა მარტო სასაკლაოების შესახებ კანონის დაცვის საქმეში, არამედ ხორცის ფასითაც, მაგრამ რა სარგებლობას მოგვიტანს ამგვარი გატოლება? რა მოგებას ვნახავთ, იმით, თუ ბუნებრივი პროდუქტებით მდიდარ ქალაქს გამოფიტულ პეტერბურგს გავუტოლებთ? ყველა ჩვენგანს და სხვა შეძლებულ ადამიანებს შეუძლიათ თავი არ შეიწუხონ ამის გამო: ჩვენ ყოველთვის გვექნება უხვად ყველაზე ახალი ხორცი. მაგრამ რა უნდა ქნას ღარიბმა კაცმა, რომელიც დროდადრო ხორცის ჭამას მიეჩვია, როგორ დაიკმაყოფილოს ეს აუცილებელი მოთხოვნილება? ვღებულობ რა მხედველობაში ყველაფერს, რაც ვთქვი, მე დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ სასაკლაო აუცილებლად გადმოვიტანოთ ქალაქში, უწინდელ ადგილას და იმ პირობით, რომ განსაკუთრებულ სისუფთავეს დავიცავთ. აქამდეც ხომ ვუვლიდით ხოლმე კანონს გვერდს, უკიდურესი აუცილებლობის გამო ავუაროთ აწიც". ამის შემდეგ წამოაყენეს წინადადება: ვთხოვოთ დიდ მთავარს ნებართვა და ნუ ვაჭიანურებთ საქმეს პროექტებით და სხვა ფორმალობებითო. სამწუხაროდ, საბჭომ ვერ მიიღო ვერავითარი გარკვეული გადაწყვეტილება.

შემდეგ განიხილეს მიხეილის გზატკეცილის, კოლუჩაია ბალკის შეკეთების საკითხი და ა. შ. წამოაყენეს ბევრი გაბედული პროექტი, ბევრი ცრემლი დაღვარეს დაბა კოლუჩაია ბალკის ბედის გამო. ლაპარაკობდენ პათეტურად იმაზეც, რომ ახალმოსახლეები წვიმაში მოუკირწყლავ ქუჩებში დადიან. უბედური ახალმოსახლენი რომ სამუდამოდ დაემშვიდებინათ და დაეცვათ, თითქმის იქვე მდებარე სახლები რომ ნგრევისაგან გადაერჩინათ, წინადადება წამოაყენეს—აიგოს წყალსაშვები, რომელიც ქალაქს 80 ათასი მანეთი დაუჯდება; კიდევ რამდენიმე ათასი მანეთი გამოყვეს ქალაქის სხვა საარსებო საჭიროებისათვის.

ყველა ამ კეთილმომქმედი ღონისძიებების შემდეგ მე ისღა დამრჩენოდა, რომ გული ამჩუყებოდა, სიამოვნებისაგან ნერვებ ათრთოლებული დავბრუნებულიყავი სახლში, მეწამა. იმედი მქონოდა ყოველივე დიადისა. მე სიამოვნებას მანიჭებდა ის ამბავი, რომ საბჭო თავდაჯერებულად უცხადებდა თანაგრძნობას ქალაქის ტანჯულ მოსახლეობას, რომ ასე კარგად ესმის ქალაქის ნამდვილი და უმთავრესი მოთხოვნილებები, რომ ასეთ დიდ თანხას განაგებს და ქალაქის სასარგებლოდ იყენებს. ყველაფერმა ამან ძალა და ხალისი შემმატა. მო-

ხუცი კაცი გავახალგაზრდავდი და ამაყად გავსწორდი წელში. ერთი სიტყვით, ბედნიერების უმაღლეს წერტილზე ვიდექი.

მაგრამ როგორ გამიტყდა გული, როცა სხდომის დამთავრების შემდეგ ხმოსნები ერთმანეთთან საუბარში თვითონ დასცინოდნენ თავიანთ პროექტებს, უწოდებდნენ მას ცარიელ ლიბერალიზმში ვარჯიშს, თავიანთი ყოველკვირეული გართობის საგანს; როცა განაცხადეს, რომ საბჭო ფულადი კატარის უძლიერეს პაროქსიზმს განიცდის, იტანჯება ფინანსიური ჭლექით, ჯიბის მოშლით და სხვა ამგვარი დაავადებებით! რა დღეში ჩავვარდი მაღალი გრძნობებით აღვსილი, როცა გავიგონე, რა გესლიანად იხუმრა საბჭოს ერთმა წევრმა: „ვწუხვარ, წინადადება რომ არ შევიტანე მიხეილის ქუჩა საბჭოზე წარმოთქმული სიტყვებით მოეკირწყლათ!“.

61. საქალაქო არჩევნების ამოცანების შესახებ

თბილისი, 11 ოქტომბერი

თვითმმართველობა უცოდველი და მთლიანად დასრულებული სახით არსად ჩამოვარდნილა ციდან. დასაწყისში მას ყოველთვის ახლდა ნაკლი, მაგრამ ყველგან, სადაც საზოგადოება თვითმმართველობის ღირსი იყო, ეს ნაკლი თანდათან სწორდებოდა და თვითმმართველობის პრაქტიკა თვითონ მიუთითებდა აუცილებელ ცვლილებებზე, გაუმჯობესებასა ანდა გადასხვაფერებაზე, ხოლო გაუმჯობესებას აღწევენ თვითმმართველობის ორგანოებზე ყურადღებიანი კონტროლის დაწესებით, განსაკუთრებით კი, საზოგადოების წარმომადგენლების უფრო ფრთხილი არჩევით.

თუ ამ თვალსაზრისით ყურადღებას მივაქცევთ მომავალ არჩევნებს, საქმის არადამაკმაყოფილებლად წარმოების აღმნიშვნელ მიზეზებთან ერთად, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ სიძნელეების გამომწვევი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რაც ხელს გვიშლის საზოგადოებრივ საქმეთა მიზანდასახულად წარმოებაში.

ბევრს დიდი ხანია შეუნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადო საქმეების უყაირათოდ წარმოების მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი განვითარების მოყვრებისა და მტრების საქმისადმი არაერთნაირი გულმოდგინებით დამოკიდებულებას. ყველასთვის ცნობილია აპატია, რომელსაც იჩენენ საქმისადმი „პატიოსანი“ საზოგადო მოღვაწეები და როგორ იცავენ ისინი საზოგადოებრივ ინტერესებს. ცხადია, ყოველი საზოგადო მოღვაწის საუკეთესო თვისება ისაა, რომ საქმეს პირადი ინტერესით არ მიუდგეს და არ გამოიყენოს იგი პირადი სარგებლობისათვის. ამგვარი თვისება განსაკუთრებით დაფასებულია მაშინ, როცა მოღვაწე ისე ძლიერ ისწრაფვის სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, რომ მისი ენერგია აწონასწორებს იმ პირთა სიჯიუტესა და გამბედაობას, რომლებიც საქმეს პირადი სარგებლობისათვის იყენებენ. საუბედუროდ, ისეთი საზოგადო მოღვაწეების რიცხვი, რომლებსაც უნარი შესწევთ გულმოდგინედ და დაუღალავად იზრუნონ საზოგადო სიკეთისათვის და გაი-

ღონ ისეთივე მსხვერპლი, როგორსაც ეგოისტები პირადი სარგებლიანობისათვის იღებენ, ჩვენს საზოგადოებაში ძალზე ცოტაა. ჩვენი საზოგადოების პატიოსან მოღვაწეთა უმრავლესობა გულგრილადაა განწყობილი საქმისადმი, კმაყოფილდებიან უბრალო „უთანხმოებით", ანდა პროტესტით და მხოლოდ ფორმალურად იცავენ თავიანთ „სიფაქიზეს". ამასთანავე ამაყობენ იმ იაფფასიანი აზრით, რომ საზოგადოებრივ ქურდებზე და ექსპლოატატორებზე უკეთესნი არიან. არავინაა ასეთ მოღვაწეებზე უფრო უბადრუკი და უძლური: ისინი ეგუებიან ყოველგვარ უსამართლობას, ყოველგვარ ბოროტებას, ოღონდ არავინ არ სთქვას, რომ მათაც მიუძღვით ბრალი ბოროტებაში, რომ ისინიც მავნე არიან საზოგადოებისათვის... ხოლო დამნაშავენი რომ არ არიან, ამის თავდები, მათი აზრით, ისაა, რომ არა თუ არ „უსარგებლიათ", არამედ „უთანხმოებაც" კი გამოუცხადეს ამ უსამართლობას; ხოლო ექსპლოატატორებისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, მათთან დაუღალავ ბრძოლაზე, მათ ენერგიულ აღგვაზე არავინ არ ფიქრობს; რა ჩვენი ბრალია, თუ არ დაგვიჯერეს, თუ ჩვენმა აზრმა ვერ გაიმარჯვა.

ვიმეორებ, ასეთ ადამიანებს არ გააჩნიათ გატაცება, საერთო საქმის თავდავიწყებით ერთგულება, ზნეობრივი განვითარების ის დონე, როცა ადამიანი საზოგადოებრივი ინტერესების ყოველ შელახვას ისეთ დიდ პირად შეურაცხყოფად იღებს, თითქოს პირადად მას მიაყენეს; მათთვის კი „საზოგადოებრივი საქმე" ერთია, ხოლო „საკუთარი პერანგი" — მეორე. მართალია, ზნეობრივად ისინი ექსპლოატატორებზე ბევრად მაღლა დგანან, მაგრამ საკუთარ პერანგს არ სწირავენ მსხვერპლად საზოგადოებრივ ინტერესებს. ჯერ კიდევ არ მისულან იქამდე, რომ საზოგადოებრივ ინტერესებს ისევე ემსახურონ, როგორც საკუთარ პერანგს... აი რით აიხსნება მათი აპატია, რაც ყველამ შეამჩნია, და რომლითაც ეს „კარგი ადამიანები", „პატიოსანი მოღვაწეები", ლიბერალები და უანგარონი საზოგადოებრივ საქმეს უდგებიან.

სულ სხვანაირად უდგებიან ამ საქმეს ის ადამიანები, რომლებიც მასში პირადი გამდიდრების წყაროს ხედავენ. ძნელია უსაყვედურო მათ აპატია. ისინი ისეთ ენერგიას, ჟინსა და გამბედაობას იჩენენ, როგორიც საუკეთესო საქმეს ეკადრება. დღე და ღამ შრომობენ და უწევენ ექსპლოატაციას საზოგადოებრივ ძალებს, საკუთარი სარგებლობისათვის ისინი დაუღალავნი და მამაცნი არიან, რადგან გამდიდრება, პირადი ინტერესები ამოძრავებთ. მათ არც გაკიცხვისა ეშინიათ, არც მხილებისა და არც მითქმა-მოთქმისა.

ჩვენ აქ მარტო თბილისის საბჭოს კი არ ვეხებით, არამედ ჩვენი

მხარის ყველა ქალაქის საბჭოს. დაკვირვებულმა მაყურებლებმა ყველა ამ საბჭოში ერთნაირად შეამჩნიეს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ მორალური უპირატესობა იმ ადამიანებისა, რომლებიც საბჭოს ისე უყურებენ, როგორც პირადი სარგებლობის წყაროს. საბჭოში ყოველი საკითხის გადაწყვეტის დროს, რაც დაკავშირებულია ქალაქის კუთვნილი ფულის ხარჯვასთან, ეს ადამიანები ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიაღწიონ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც დააკმაყოფილებდა მათ პირად სარგებლიანობას. საჭირო კია ავირჩიოთ კანდიდატი რაიმე ისეთ თანამდებობაზე, სადაც ხელფასს უხდიან? „პატიოსანი მოღვაწეები" მორიდებით და შიშით გაურბიან ბრძოლას, რათა, ღმერთმა დაიფაროს, არავინ დასწამოს მათ, თითქოს პირადი ინტერესებისათვის იღწვიან. მაგრამ სხვები, ეგოისტი მოღვაწეები, არ თვლემენ: აგიტაციას ეწევიან და იმის წყალობით, რომ მათ წინააღმდეგ არც ერთი „პატიოსანი მოღვაწე" არ ილაშქრებს, ეგოისტების კანდიდატი ამომრჩეველთა ხმის თითქმის სამ მეოთხედს იღებს... ვთქვათ, საჭიროა გადაწყდეს რომელიმე ნაგებობის ან რომელიმე წარმოების მშენებლობის საკითხი. „პატიოსანი მოღვაწეები" მხოლოდ ორი-სამი სიტყვით კმაყოფილდებიან, სხვებს კი წინასწარ აქვთ საქმე მოგვარებული.

ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ იმის მოწმე, თუ როგორ გადაუწყვეტია ზოგიერთ საბჭოს ქალაქის მეურნეობის ყველაზე არსებითი საკითხები ამგვარ პირობებში...

და მართლაც, სხვა რით უნდა აიხსნას, მაგალითად, ჩვენს საქალაქო მეურნეობებში საიჯარო სისტემების ბატონობა? ქალაქის გამგეობის შენახვა ყველა ჩვენ ქალაქს შემოსავლის თითქმის ერთი მეხუთედი უჯდება (საშუალოდ). საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ასე ძვირად ღირებული გამგეობა შეუდგებოდა ქალაქის სამეურნეო საქმეების წარმოებას. თუ საჭირო იყო განათება, დასუფთავება, ქალაქის გაშენება, ჩვენი ვარაუდით, გამგეობას შეეძლო გაეკეთებინა ყველაფერი ეს ეკონომიურად, აზრიანად. მაგრამ ნურას უკაცრავად. ამგვარ ხარჯებს თითქმის ყველა ჩვენი საბჭო, მოიჯარადრეებს უდებს ჯიბეში. რისთვისღა გვჭირდება ამის შემდეგ გამგეობა, რა უნდა აკეთოს მან? შეუდგები იმის მტკიცებას. რომ მოიჯარადრე მუქთად არ შრომობს; რომ იგი სრულიად უმნიშვნელო იჯარის წყალობით ათასებს იძენს, რომ აჯობებდა ეს ათასები ქალაქის სალაროში დარჩენილიყო, მაგრამ ვერავის აკვირვებ, რადგან ეს ამბავი ყველამ კარგად იცის, ხოლო „პატიოსანი მოღვაწეები" მხოლოდ ცარიელ სურვილს გამოსთქვამენ და მხრების აჩეჩვით კმაყოფილდებიან...

ცხადია, ახლადფეხადგმული გამგეობა თავს ვერ დააღწევდა ამ-გვარ მტაცებლებს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გამოცდილებამ ხომ უნდა მოგვცეს რაღაც და აგვიხილოს თვალი. ამიტომ, თბილისის საბჭოს მომავალი (ამა წლის) არჩევნებისა და სხვა საბჭოების არ-ჩევნების (მომავალში) ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა — სისტემა-ტურად მოვხსნათ თანამდებობიდან ის ამორჩეულები, რომელთაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე მონაწილეობა მიუღიათ ქალაქის საიჯარო წარმოებაში. რაც უფრო ნაკლები იქნება ჩვენს საბჭოში ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთო სალაროს ექსპლოატაციას ეწევიან და ხმას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით აძლევენ, მით უფრო უკეთესად წარიმართება ქალაქის მეურნეობა და მით უფრო ახლო ვიქნებით თვითმართვის დაწესებულებათა ნამდვილ ტიპთან, რაც ითვალისწინებს თვით ქალაქის მიერ არჩეული ადამი-ანების მეშვეობით ქალაქის სამეურნეო მართვას და საერთო მოთ-ხოვნილების იაფი საშუალებით დაკმაყოფილებას...

სანამ ამას არ მივაღწევთ, არც უნდა გაგვიკვირდეს ჩვენი ქალა-ქების სალაროების სიცარიელე. ჩვენ გამგეობის შესანახად ათიათა-სობით მანეთს ვხარჯავთ, ხოლო სხვა ასეთივე ათასებს ვაძლევთ ისეთი სამუშაოს შემსრულებელ მოიჯარადრეებს, რაც სინამდვილე-ში გამგეობას უნდა ეწარმოებინა. ქალაქის შემოსავლის მწარმოებ-ლობის ზრდისათვის არავინ არ ზრუნავს, ხოლო მათ დასატაცებლად ბევრი იღწვის. ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა ზრუ-ნავდნენ იმ ქალაქის ინტერესების დასაცავად, რომლის წარმომად-გენლებიც არიან, სდუმან... ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ასეთ პირო-ბებში ჩვენი ქალაქები საბოლოოდ გაკოტრდებიან.

62. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 13 ოქტომბერი

უდავოა, ევროპა ახლა ოფიციალურად ტკბება ზავით, რადგან რუსების მიერ თურქეთში მცხოვრები ქრისტიანების გასათავისუფლებლად დაწყებული ომი ბერლინის ტრაქტატით[30] დამთავრდა, რამაც თითქოს მთელი ევროპის ინტერესები შეათანხმა. სინამდვილეში კი ომი წინანდებურად აპარტახებს ბალკანეთის ნახევარკუნძულს. ხოლო გაზეთები და ტელეგრაფები ყოველდღიურად გვატყობინებს, რომ პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება ყოველმხრივ შესაძლებელია, მაგრამ გაუმჯობესებას კი ნუ ველითო. ბრძოლის ველს მხოლოდ მტრები შეემატა, ხოლო ევროპული კონცერტის ბევრმა მომქმედმა წარმომადგენელმა როლები გაცვალა. პირველ რიგში ავსტრიამ, რომელმაც გულთბილად მიიღო თურქეთის მხეცობას გამოქცეული ბოსნიელები და ჰერცოგოვინელები, ბერლინის არეოპაგიტის ბრძანების თანახმად ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მშვიდობიანი ოკუპაციის დროს, სარაევოსა და ბრეჩკის აღებისას ისეთი მხეცობა ჩაიდინა, რომ მასთან შედარებით ის საშინელებანი, რაც თურქეთის ომში მას წინ უსწრებდა, გაუფერულდა. თურქებს, რომლებმაც დასჯის ყოველგვარი აღმაშფოთებელი საშუალება მოიგონეს, აზრად არ მოსვლიათ ღორების გასუქება ბავშვების ხორცით, რასაც ადასტურებს „ნოვოე ვრემიას“[31] კორესპონდენტი ბატ. მოლჩანოვი. გარდა ამისა, თურქები ყველა მხეცობას აბრალებდნენ ფანატიკურად განწყობილ ველურ მუსულმანურ მოსახლეობას და ბაშიბუზუკებს, რაშიც ნაწილობრივ მართალნიც იყვნენ. მათ რეგულარულ არმიას მაინც ბოჭავდა დისციპლინა და, სადაც შესაძლებელი იყო, წინააღმდეგობას უწევდა ფანატიზმით გაღიზიანებულ მოსახლეობას. ავსტრიის ოკუპაციის დროს საშინელებანი ჩაიდინა ქრისტიანულმა, ცივილიზირებულმა, მისი მოციქულებრივი უდიდებულესობის — მეფისა და იმპერატორის არმიამ. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ პორტა იძულებული გახდა უარი ეთქვა ავსტრია-უნგრეთთან შეთანხმებაზე და ევროპის ყველა კაბინეტს

გაუგზავნა ნოტა, რომელშიც პროტესტს აცხადებდა ავსტრიის არმიის მხეცური მოქმედებისა და ყველა საერთაშორისო კანონების დარღვევის წინააღმდეგ, გაუფრთხილებლად მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრის წინააღმდეგ. თურქების აზრით, ამგვარი ოკუპაცია იგივე ომის გამოცხადებაა, თუმცა თურქეთს ავსტრიისათვის ამის საბაბი არ მიუცია. და მართლაც, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ თვალსაზრისს საფუძველი არ გააჩნია. რა გამოდის? ავსტრიის მოქნილ პოლიტიკას, რომელიც დიდი ხანია ცნობილია გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით, იოლად აჯობა თურქეთის დიპლომატიამ — ავსტრიელებს ერთი სული ჰქონდათ ხელთ ეგდოთ თურქეთის ორი ნოყიერმიწიანი პროვინცია და ამას წესიერი ფორმაც კი ვერ მისცეს, ახლა კი საერთაშორისო კანონების დამრღვევლებისა და ველური ურდოების როლში გამოდიან და მთელს მოსახლეობას სპობენ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ადრე, ყველა მემუარულ და წინამემუარულ წყაროებში, ამ როლს თურქებს აწერდნენ. ახლა თურქეთმა ეს როლი ავსტრია-უნგრეთს გაუცვალა, თურქეთის პროვინციები იტანჯება ავსტრიელი ბაში-ბუზუკების გაშმაგებული თავაშვებულობისაგან. ავსტრია-უნგრეთი მძვინვარებს და არღვევს კანონებს, ხოლო თურქეთი ყოველივე ამას ითმენს, რადგან იტანჯება შინაგანი არეულობით, რაც ომამდე ავსტრია-უნგრეთის ქრონიკული დაავადება იყო.

კიდევ უფრო უცნაურია ინგლისის როლის შეცვლა. ისლამის დამცველმა ბრიტანეთმა, რომელმაც ბიკონსფილდის პირით განაცხადა, ინგლისი მუსულმანური სახელმწიფო უფროა, ვიდრე ქრისტიანულიო, მზადაა ძმათა სისხლისმღვრელი ომი გააჩაღოს ავღანისტანის მუსულმანი მფლობელის წინააღმდეგ. სად გაქრა ის დიდებული აზრი, რომლის მიხედვითაც უნდოდათ შეექმნათ აზიაში მუსულმანი ტომების კავშირი და დაეპირისპირებინათ იგი რუსეთის ისტორიული განვითარებისათვის? ვთქვათ, თავადმა ბისმარკმა შესძლო გერმანიის გაერთიანება სისხლითა და მახვილით; მაგრამ დამოუკიდებელი მუსულმანური სამფლობელოების დამორჩილება და მათგან ინგლისირებული მუსულმანობის შექმნა სულ სხვა ამოცანას წარმოადგენს და პრაქტიკულად თითქმის განუხორციელებელია. პირველი საკითხია, სადაა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მუსულმანები ინგლისის მთავრობის ერთგულნი არიან? ცხადია, ჩვენ მათ ვერ ვიპოვით ინდოეთის იმპერიაში, სადაც აჯანყებული სიპაების მთავარი დამცველი და აქტიურად მომქმედნი სწორედ მუსულმანები იყვნენ. იმის გამო, რომ ინდოელები კასტებად არიან დაყოფილნი, ინგლისის ძლიერებას მათგან არავითარი საფრთხე არ

ემუქრება. თეთრი და შავი კასტა არასოდეს არ გაერთიანდება არც პატრიოტიზმისა და არც პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის ზეგავლენით. ინგლისელებისათვის ყველაზე საშიში ძალა მუსულმანობაა, რომელმაც მართლმორწმუნეობის ძირითადი დოგმატის წყალობით აღმოფხვრა ყოველგვარი სხვაობა წინასწარმეტყველის სხვადასხვა მიმდევრებს შორის და ყოველთვის შეიძლება ამოქმედდეს სრულიად უმნიშვნელო საბაბის გამო. სიპაების აღსაშფოთებლად საკმარისი აღმოჩნდა იმის თქმა, რომ ვაზნები ღორის ქონითაა გაპოხილი. ცხადია, არავის არ შეუძლია იმის თავიდან აცილება, თითქოს მუსულმანთა ცრუმორწმუნეობა არ გამოიწვევს ინდოეთის მოსახლეობის ფანატიზმის გაღვივებას სხვა ასეთივე ხმების გავრცელების წყალობით, რათა ენერგიულმა და ინგლისის მთავრობით უკმაყოფილო ადამიანებმა სამოქმედოდ აღგზნებული მუსულმანთა ძალა ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენონ. ამიტომ ჩვენ თამამად გამოვთქვამთ იმ აზრს, რომ მუსულმანური მოსახლეობა არ შეიძლება ინგლისის დიდების დასაყრდენი იყოს, რა მეევრმეტყველურადაც არ უნდა წერდეს ამის შესახებ რომანებში მისტერ დიზრაელი და რასაც არ უნდა ლაპარაკობდეს თავის გამოსვლებში და დიპლომატიურ ნოტებში ლორდი ბიკონსფილდი. ასე რომ, რჩება მხოლოდ მეგობრული კავშირის დამყარება ინგლისსა და მუსულმანურ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ ინგლისელების წარმატებისათვის აქ კიდევ უფრო მერყევი ნიადაგია იმ მოვლენების შემდეგ, რომლებიც ბერლინის ტრაქტატის დადებით დამთავრდა. როგორც ცნობილია, ინგლისმა უანგარო მეგობრობა შესთავაზა თურქეთის სულთანს, რათა გადაერჩინა რუსეთის ვერაგული, დამპყრობლური გეგმებისაგან. ინგლისი ამ მეგობრობას ასევე უანგაროდ სწირავდა თავის ადმირალებს, გენერლებს, ოფიცრებსა და ინსტრუქტორებსაც კი, რათა დახმარებოდა თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ მეტად ძნელ ბრძოლაში, ბრძოლაში, რომელიც სპეციალურად გამოიწვია ინგლისის დიპლომატიურმა ხელოვნებამ. კიდევ უფრო უანგაროდ ამარაგებდა ინგლისი თურქეთის არმიას იარაღით, ქვემეხებით, ყუმბარებით, საკვებით და, ბოლოს, ისე გაიტაცა ამ საქმემ, რომ სულთანის დამოუკიდებლობის დასაცავად, თავის ფლოტს კონსტანტინოპოლთან მოუყარა თავი, ხოლო თავისი პრეტენზიების გასაძლიერებლად ინდოეთიდან ერთგული ჯარი გადმოიყვანა, რასაც ოსმანთა იმპერიის არსებობა უნდა უზრუნველეყო... მაგრამ ეს საქმე ისე არ დამთავრდა, როგორც ამას დიპლომატები მოელოდნენ. რუსეთმა დასძლია ყველა ფინანსიური და სტრატეგიული სიძნელე და მტკიცედ დადგა კონსტანტინოპოლის წინ. იმავე ინგლისმა ზავის დადება მო-

ახერხა. შემდეგ კი მიზნად დაისახა, ბერლინის კონგრესის მეშვეობით, მოესპო ის სამშვიდობო ტრაქტატი, რომელიც ზავს მოჰყვა. ბერლინის კონგრესზე ლორდ ბიკონსფილდის ბრწყინვალე გამარჯვებამ უზრუნველყო ინგლისის ინტერესები, სამაგიეროდ საბრალო თურქეთს, ინგლისის უანგარობის წყალობით, სრულიად არაადამიანური ანგარიში წარუდგინეს. მისგან თხოულობდნენ: კუნძულ კვიპროსსა და მცირე აზიის მთელი შინამმართველობის ფაქტიურ დამოკიდებულებას ინგლისზე, ე. ი. მთელს თურქეთს, ყველა შერჩენილი სამფლობელოთი. ეს ცხადია, თურქეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობას უდრის და ყველაფერი ეს კეთდება თითქოს ამავე დამოუკიდებლობის დასაცავად. ასეთი ვერაგობის მაგალითი ისტორიას არ ახსოვს. ინგლისმა სწორედ ისეთი პოზიცია დაიკავა თურქეთის მიმართ, როგორსაც რუსეთს აწერდა. როლების შეცვლა მოხდა და გამოიხატა თვალსაჩინო ფაქტებით. ყველას ეშინოდა, რომ თურქეთი უარს იტყვის — შეასრულოს ბერლინის ტრაქტატის ბრძანებები რუსეთის მიმართ და ოცნებობდნენ იმ სიძნელეებზე, რომლებიც იმ დღიდან ამ უკანასკნელისათვის წარმოიშობა. მაგრამ მოხდა პირიქით: ბერლინის ტრაქტატის ყველა დადგენილებებიდან შესრულდა სწორედ ის დადგენილებები, რომლებიც რუსეთს ეხებოდა. ხოლო ინგლისის მიმართ ნაკისრი მოვალეობა (გარდა კუნძულ კვიპროსის ავანსად დაკავებისა) აქამდე განუხორციელებელია და თუ ლორდ ბიკონსფილდის სამინისტრო სდუმს, მხოლოდ ინდოეთში მოსალოდნელი სიძნელეების გამო, რაც ევროპის კონტინენტის საქმეებისადმი ყურადღებას ანელებს. თურქეთი მეგობრულად დაემორჩილა ვერაგი მტრის ბრძანებას — დაეცალა ბათუმი, რაც თურქეთისათვის ყველაზე უხერხული იყო. ამავე მეგობრობის გამო კი ვერაგულად ამბობს უარს შეასრულოს ყველაზე უბრალო შეთანხმებები. რაც უფრო მეტ უნდობლობას უცხადებენ ინგლისს, მით უფრო მატულობს რუსეთისადმი ნდობა. მუსულმანური სამყაროს მეორე ბოლოში შირ-ალი დაუფარავად ქადაგებს ინგლისისადმი უნდობლობას და მიუხედავად ძალთა უთანაბრობისა, ბედავს, იარაღს მიანდოს საკუთარი ბედი. რაც გინდათ ის ქენით, გვატყობინებს ტელეგრაფით ავღანეთის ემირი — მომავალი ღვთის ხელშია! თუ აზიის მუსულმანური სამყაროს ორ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქვეყნებთან ინგლისის მეგობრული დამოკიდებულება ასეთია, მაშინ სადღაა ის მუსულმანური სახელმწიფოები, რომელთანაც ინგლისმა ურყევი მეგობრობა დაამყარა, რასაც თითქოს ინტერესების ურთიერთსარგებლიანობა განაპირობებს? ასეთ სახელმწიფოს ვერავინ დაასახელებს.

დავუშვათ, ინგლისმა იცოდა აზიური მეგობრობის ფასი და ცდი-

ლობდა, მთელი აღმოსავლეთისათვის თავი მოეწონებინა საკუთარი ძალის დემონსტრირებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც მცირე აზიის საქმეებში ჩარევას წარუმატებლობა მოჰყვა, მას შემდეგ, რაც თურქეთის დიპლომატია მსხვერპლად მიუტანეს ავსტრია-უნგრეთის ინტერესებს, ხოლო ტერიტორია ომით გააჩანაგეს, და, ბოლოს, მას შემდეგ, რაც შირ-ალი არ შეუშინდა ინგლისის გამოწვევას, სად და რაში უნდა ვეძებოთ პრესტიჟი, რითაც შეუძლია ინგლისს თავი მოიწონოს? ამგვარი პრესტიჟი მთელი მუსულმანური აზიის თვალში რუსეთმა დაიმსახურა, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა ომი, გაიმარჯვა მუსულმანებზე და ძალზე მცირე ჯილდო იკმარა. ჭეშმარიტი სიძლიერე არ იქმნის ხელოვნურად კვარცხლბეკს, არამედ დგას საკუთარ ფეხებზე და დარწმუნებულია, რომ მას გზას ვერ გადაუღობავენ ხელოვნური დეკორაციებით, როგორმა ოსტატებმაც არ უნდა მოკიდონ ამ საქმეს ხელი.

გავიხსენოთ საბერძნეთი, რომელსაც განუმზადეს კეთილშობილური როლი — სათავეში ჩასდგომოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ პროვინციების დამოუკიდებლობისათვის წმინდათაწმინდა ბრძოლას. ეს როლი საბერძნეთს უფლებას აძლევდა მოეპოვებინა დიდი ტერიტორია, თუნდაც სულთანის მიერ დამორჩილებული ბერძნული პროვინციები, რომლებიც ბუნებრივად შეუერთდებოდა დამოუკიდებელ საბერძნეთს, მაგრამ, ინგლისის აგენტებისა და დიპლომატების რჩევით, საბერძნეთი მანამდე ითმენდა, სანამ ამ მოთმინებამ ინგლისს კუნძული კვიპროსი არ ჩაუგდო ხელში და დრო არ მისცა თურქეთს საბერძნეთის საზღვარზე მნიშვნელოვანი ძალები გადაეყვანა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა საბერძნეთს არავითარ წარმატებას არ მოუტანდა. როლი, რომელიც საბერძნეთს უნდა ეთამაშა, ახლა სხვამ მიითვისა და აწი ბერძნები ვერასოდეს დაიბრუნებენ დაკარგულს.

რკინის კანცლერმა, რომელმაც ევროპის ბედის მომწყობი პატიოსანი მაკლერის როლი იკისრა, მთლიანად მოშალა თავისი ოჯახური მეურნეობა და ახლა არავინაა იმის თავმდები, რომ მშვიდობიანად განწყობილი გერმანია კლერიკალების, სოციალისტების, პარტიკულარისტების, პროგრესისტებისა და სხვათა საერთო ბრძოლის პირობებში, იძულებული არ გახდება — შინაგანი სიძნელეებიდან გამოსავალი საგარეო პოლიტიკაში ეძიოს.

ჩვენ შეგვიძლია ასევე განვიხილოთ ევროპის ყველა მსხვილი და წვრილი სახელმწიფო და ყველგან შევხვდებით ერთსა და იმავე ფაქტს: საქმე ისე არ წარიმართა, როგორც ეს წინასწარ მოამზადა სახელმწიფო მოღვაწეების სიბრძნემ და დიპლომატების ეშმაკობამ.

ამ ფაქტმა შეიძლება დაარწმუნოს ლორდ ბიკონსფილდიც, უდიდესი თანამედროვე მოღვაწე მთელი მსოფლიოს კეთილმოწყობის საქმეში, რომ, გარდა ადამიანების მოღვაწეობისა, არსებობს კიდევ ისტორიული მოვლენების მსვლელობა, რომელიც ყველა მოღვაწის ძალ-ღონისა და შრომის დახარჯვის შედეგიდან მხოლოდ იმას იტოვებს, რაც ემსახურება კაცობრიობის სიკეთესა და განვითარებას. ყველაფერი სხვა, რა მსხვერპლისა და სისხლის ფასადაც არ უნდა დაჯღეს, ქაფივით ამოტივტივდება საერთაშორისო ცხოვრების ზედაპირზე და დროთა დინება წაიღებს...

63. დიპლომატია

თბილისი, 14 ოქტომბერი

ამ ოცდაათი წლის წინათ არსებობდა რწმენა და სკოლებშიც ასწავლიდნენ, რომ საშინელი სახალხო ომების დრო წავიდა და მთავარ როლს ყველა საერთაშორისო უთანხმოებათა გადაწყვეტაში დიპლომატია თამაშობს. კალამს მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე იარაღს, — ამბობდა ყველა მას შემდეგ, რაც თოფის წამალი გამოიგონეს, ამასვე ქადაგებდნენ სკოლის მასწავლებლებიც; მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა მტრის შორიდან, ხელჩართული ბრძოლის გარეშე დამარცხება, ადამიანთა სისხლის მოყვარეობა არ შეიძლება განვითარდეს. ომები უფრო ადამიანური გახდა. როცა კაცმა არ იცის ვის კლავს, არ შეიძლება მივიდეს მხეცურ გააფთრებამდე. გატაცება ადამიანებს აღარ აკარგვინებს გონებას, იმ ელემენტს, რომელიც ადამიანებს ცხოველისაგან ანსხვავებს. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეომართა რიცხვს უკიდურესად ზღუდავს გაწვრთნის სიძნელე და რეგულარული ჯარის შენახვა. ახლა შეუძლებელია თემურ ლენგის, ატილასა და ჩინგის-ხანის გამოჩენა. ახლა აღარ შეიძლება, ადამიანთა მოდგმის ამ გამანადგურებელთა მსგავსად, წინ გაუძღვე მებრძოლთა მთელ ურდოებს, მათი მეშვეობით დაიპყრო ხალხები, გაზარდო საკუთარი ძალები, რომელიც თანდათან თოვლის გუნდასავით მატულობს და ამ ძალით ისეთი მძიმე დარტყმა მიაყენო ხალხებს, რაც ერთბაშად სპობს მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე შექმნილი ცივილიზაციის კვალს...

ცხადია, არ შეიძლება არ გეწამათ ეს.

ნაპოლეონ პირველის ომების შემდეგ, რომელმაც სცადა დიდი დამპყრობელი გამხდარიყო და, როცა იმონებდა რა ხალხს, როგორც მაღალფარდოვანი სიტყვებით ამბობენ, მათ ხარკად სისხლს სთხოვდა, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ატილებისა და ჩინგის-ხანების პოლიტიკას მისდევდა, გაიყოლია მთელი მოსახლეობა, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, რითაც საშუალება მოიპოვა შემდგომი დაპყრობითი ომებისათვის. ბოლოს კი მთელი ევროპის ძალები

ერთ არმიად გააერთიანა და რუსეთს ოც ენაზე მოლაპარაკე ჯარით შეესია. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე პირველის მტკიცე გადაწყვეტილების წყალობით — ებრძოლა მანამდე, სანამ რუსეთის მიწა-წყლიდან მტრის უკანასკნელ ჯარისკაცს არ განდევნიდა. შემოსევა ნაპოლეონისათვის ჯერ რუსეთიდან გაქცევით, ხოლო შემდეგ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებით დამთავრდა. ოცი წლის მანძილზე განუწყვეტელი ომით დაღლილ ევროპის ხალხებს მხოლოდ ერთი რამ ენატრებოდათ: მშვიდობა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ. ყველა ადრინდელ იდეალსა და მისწრაფებას ისინი ხალისით სწირავდნენ სიმშვიდეს ‘მსხვერპლად. დადგა „წმინდა კავშირისა“[76] და მეტერნიხული პოლიტიკის დრო, თუმცა ეს ორი საფუძველი ევროპის ბედის გადაწყვეტისა, დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. „წმინდა კავშირი“ კანონიერების მხოლოდ ერთ პრინციპს ცნობდა, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ უცნაური წინააღმდეგობის გამო, ამ მიზნის მისაღწევად, იგი ეყრდნობოდა მეტერნიხის პოლიტიკას, რომელიც უარყოფდა ყველა ზნეობრივ და იურიდიულ კანონს და, სამაგიეროდ, დიპლომატიის მთავარ პრინციპად მოტყუებას აცხადებდა. ხალხები აღარ არსებობდნენ ინდივიდუალურად, მათ მაგივრად წარმოიშვა რთული დიპლომატიური ფიქციები. სადაც სხვადასხვაგვარ ეთნოგრაფიულ ელემენტებს აერთიანებდნენ, ერთმანეთს უპირისპირებდნენ, სხვადასხვა ნორმების და პროპორციების მიხედვით ანაწევრებდნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ მონოგრაფიული ელემენტების არც ტოპოგრაფიულ პირობებს, არც მისწრაფებებსა და არც საჭიროებას. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა აბსტრაქტული წარმოდგენა სინამდვილეში არარსებულ როგორიღაც ევროპაზე. ამ მოგონილ ევროპას წონასწორობის, სიმშვიდისა და არსებობისათვის დასჭირდა ასეთივე გამოგონილი **a priori** პირობები, რომლის არსი შეთხზეს უსაიდუმლოეს ვითარებაში, დიპლომატიურ კანცელარიებში და, ამიტომ, ცნობილი იყო მხოლოდ იმათთვის, ვისაც იგი მიანდეს. რას იტყვიან დიპლომატები? ეს კითხვა იმ დროს სერიოზულად ითვლებოდა საერთაშორისო ცხოვრებაში რაიმე არევ-დარევის დროს. დიპლომატები კი, უმეტეს შემთხვევაში, არაფერს არ ამბობდნენ, ყველაფერს წერდნენ, ერთმანეთთან მიმოწერას აწარმოებდნენ და ვარჯიშობდნენ ძნელი ამოცანის გადაწყვეტაში: უნდა მიაღწიო შედეგს და არავის უთხრა, არავის აჩვენო რაში მდგომარეობს მისი არსი.

გასაგებია, ასეთი მიმართულების დროს, რაც უფრო მეტს მუშაობდნენ და ცდილობდნენ დიპლომატები, მით უფრო ნაკლებად ეგუებოდა მათი შრომები და გამონაგონი ხალხის ჭეშმარიტ ცხოვ-

რებას, რომელთა არსებობა დიპლომატებმა ბოლოს სრულიად დაივიწყეს. მაგრამ ამის გამო ხალხებს არსებობა არ შეუწყვეტიათ, პირიქით, შედარებით მშვიდობიანი დროის, უშიშროების, კანონიერების, ხალხის საჭიროებისათვის მთავრობათა ზრუნვისა და ეკონომიური თვალსაზრისით მათი სწორად დაკმაყოფილების წყალობით, ევროპის საერთო კეთილდღეობა ძლიერ განვითარდა. მოსახლეობამ ვაჭრობას, ხელობას, მეცნიერებას მოჰკიდა ხელი და, ტექნიკურ დარგში მომხდარ აღმოჩენებთანა და მიღწევებთან ერთად, არც სამხედრო საქმისადმი დარჩენილა უყურადღებო. გამოჩნდა კარაბინი მინიე, შემდეგ რევოლვერები, სავაზნე კოლოფები, შორსმსროლელი ქვემეხები და ა. შ. და ა. შ. ყველაფერმა ამან მთლიანად შესცვალა ომის ტაქტიკა და თავდაყირა დააყენა ძველი წარმოდგენა არმიის შენახვისა და მომარაგების შესახებ. გაუმჯობესებულმა იარაღმა მოითხოვა გონივრული დამოკიდებულება მისდამი. საჭირო გახდა მოაზროვნე საზარბაზნე ხორცი და თან ისეთი რაოდენობით, რომ ძველი რეცეპტით მისი მომზადება შეუძლებელი აღმოჩნდა. შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, ე. ი. ომის შემთხვევაში რომ ყველა მოქალაქეს შეძლებოდა იარაღის ხმარება. ახლა არმიას წარმოადგენს მთელი ქვეყნის მოსახლეობა, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია. თუმცა გაწვევა ერთბაშად კი არ ხდება, არამედ ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა სახელწოდებით. ასე რომ, ევროპის ყველა ხალხები მეომრები გახდნენ, უფრო სწორად, უნარი შესწეთ საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ საბრძოლო ძალები, ე. ი. ტექნიკის გაუმჯობესების წყალობით ჩვენ თურმე დავუბრუნდით იმ ეპოქას, როცა მთელი ხალხი ერთი კაცივით აღსდგებოდა და იარაღით ხელში იცავდა ყველა ძვირფას ნაციონალურ და ზნეობრივ ინტერესს. როცა სახელმწიფოს ინტერესების საკითხი ასე დადგა, მათი დამალვა დიპლომატიურ კანცელარიებში შეუძლებელი შეიქნა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი გახდა ხალხის საჭიროებისა და მისწრაფების შესწავლა ნაცვლად იმ სხვაგვარი გალიების დამზადებისა (როგორც უწინ ხდებოდა), რომელშიც ამწყვდევდნენ შემდეგ ხალხის საჭიროებას, და მისწრაფებას. დიპლომატიური არქივები და ტრაქტატების კრებულები, დიპლომატიისა და დიპლომატების დიდების ეს მონუმენტები, უსარგებლო შეიქნა, რადგან ყოველი სახელმწიფოს საერთაშორისო და შინაგანი ცხოვრება ისე გაიზარდა, რომ მთელი ამ ტრაქტატებისა და დიპლომატიური მზაკვრობის სამოსელი აღარ რგებს. დიპლომატებმა ვერ შეამჩნიეს ეს უბრალო ფაქტი, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი გამჭრიახობისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით შენიშნეს, რომ მათ მეცადინეო-

ბას მოულოდნელი ნაყოფი მოაქვს. მიაწერეს რა ყოველივე ეს სისტემის სიყალბეს და არ განიხილეს რა საკითხები ყოველმხრივ, დიპლომატებმა ისარგებლეს თანამედროვე რკინიგზებისა და გემების სიჩქარით და დაიწყეს ერთმანეთთან სტუმრად სიარული და ყველა გაუგებრობის მიზეზთა მოლაპარაკების მეშვეობით შესწავლა. ასეთი საქმიანობა მათ ისე მოეწონათ, რომ გადაწყვიტეს თავი მოეყარათ ამ საკითხით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის. ასეთ შესანიშნავ ყრილობას ამ ბოლო დროს წარმოადგენს: კონსტანტინოპოლის კონფერენცია [30] და ბერლინის კონგრესი [20].

ჩვენ არ დავღლით მკითხველს ამ დიპლომატიური ყრილობების აღწერით. გავიმეორებთ მხოლოდ იმ საერთო, ფაქტიურ შეხედულებას, რაშიც ყველა დარწმუნებულია: საერთაშორისო საჭიროებაზე დიპლომატიური საუბრები შეიძლება ძალზე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელიც იყოს, მაგრამ არავითარი სარგებლიანობა არ მოაქვს... ასე რომ დიპლომატია ჩამორჩა თანამედროვეობას, ვერ აკმაყოფილებს მას და ეს ხდება არა იმიტომ, რომ თვით დიპლომატია. ე. ი. საერთაშორისო ცხოვრების ცნობილი ხერხით მართვა, ზედმეტი აღმოჩნდა, არამედ იმიტომ, რომ დიპლომატიას პრაქტიკულად ისეთი ადამიანები ახორციელებენ, როგორიც ლორდ ბიკონსფილდი, ანდრაში და სხვებია, რომელთაც არ სურთ დააკმაყოფილონ თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების მოთხოვნილებები და ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ ეს ფანტაზიები პრაქტიკულად განახორციელონ.

* * *

ხივის ლაშქრობის დროს უზბოი-ურუნ-დარინის ექსპედიციამ დაამთავრა გამოკვლევა და შედეგები აცნობა გეოგრაფიულ საზოგადოებას, სადაც კვლავ დაისვა საკითხი კვლევითი სამუშაოების გაგრძელებისა, რაც მიზნად ისახავს წყლის გადაშვებას ამუ-დარიის ძველ კალაპოტში ისე, რომ არ შეილახოს ხივის, თურქესტანის და კასპიის იქეთა მხარის ინტერესები, რომლის მომავალი მთლიანად დამოკიდებულია უზბოის მიმართულებით წყლის გაყვანაზე. ამ შემთხვევაში უდაბნოდ ქცეული ველები გადაიქცეოდა ნოყიერ მიწებად, სადაც მოიყვანდნენ ბამბასა და აბრეშუმს, ე. ი. იმ ძირითად ნედლეულს, რომელიც აუცილებელია რუსეთის მანუფაქტურული მრეწველობის განვითარებისათვის. ეს მიწები ახლოსაა კასპიის ზღვის სანაპიროებიდან და რუსეთთან უტყუარი და იაფი გზითაა დაკავშირებული, ამიტომ რუსეთს დიდ სარგებლობას მიუტანდა და გაამდიდრებდა როგორც მიწის მფლობელებს, ასევე სახელმწიფოსაც. შუა აზიის ვერცერთი სხვა ქვეყანა ვერ გაუწევდა კონკურენ-

ციას კასპიის ზღვის იქეთა მხარეს, ამუ-დარიის ძველი კალაპოტის ირგვლივ მდებარე მიწები, თავისი ნაყოფიერებით, შუა აზიის სხვა მიტოვებულ მიწებზე უკეთესიც რომ არ იყოს, მათი სიახლოვე კასპიის ზღვასთან მაინც მისცემდა შესაძლებლობას აქაურ მიწის მფლობელებს იაფი სანაოსნო გზით უფრო სარგებლიანად გაყიღონ თავიანთი ნაწარმი რუსეთში და რუსეთიდანვე მიიღონ მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგის განვითარებისათვის საჭირო იარაღი და საშუალებები. შუა აზიის ქვეყნების მიმართ ასეთი საშინელი კონკურენცია ხელს შეუწყობდა ბამბის მეურნეობის განვითარებას, მაგრამ ხელსაყრელი არ იქნებოდა თურქესტანისა და შუა აზიის მკვიდრთა ინტერესებისათვის. შუა აზიის ვაჭრობის დიდი ნაწილი ბუნებრივად გადმოინაცვლებდა ამუ-დარიაზე, კასპის ზღვაში გასასველელად, ხოლო თურქესტანის ბევრი მოსახლე დარჩებოდა სარგებელის მომტანი და მომგებიანი საქმის გარეშე და იძულებული იქნებოდნენ ან ზარალი ენახათ, ანდა მიმართულება შეეცვალათ თავიანთი მოღვაწეობისათვის. აი რატომაა, რომ უზბოისაკენ წყლის გადაგდებამ, რაც რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას ასეთ ხელსაყრელ შედეგებს უქადის, არ შეიძლება თურქესტანელების თანაგრძნობა გამოიწვიოს. აი, რატომ უყურებენ თურქესტანში უნდობლად ამუ-დარიის ძველი კალაპოტის გაცოცხლებას. ამ მიმართულებას მხარი დაუჭირა ზოგიერთმა ჩვენმა სწავლულმა. მაგალითად, როცა გეოგრაფიულ საზოგადოებაში დაისვა საკითხი ამუ-დარიის ძველ კალაპოტში გადაგდების შესახებ, ბატ. ბოგდანოვმა განაცხადა, რომ ამუ-დარიის დინება შეწყდა გეოლოგიური ამოზნექის გამო და ეს ყველაზე მეტად მტკიცდება კასპიის და არალის ზღვის თევზების ფორმათა სხვაობით. ცხადია, ახლაც მოიძებნებიან ისეთი სწავლულები, რომლებიც შეუდგებიან მტკიცებას, რომ მდინარე ამუ-დარიის ძველი კალაპოტით გაშვება შეუძლებელია. თუმცა გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა უმრავლესობა თანაგრძნობით მოეკიდა საქმეს და მაშინვე გადაწყვიტა ამ საკითხის განსახილველად როგორც ამუ-დარიის ძველი კალაპოტის, ასევე მდინარის მთელი ახლანდელი დინების დაწვრილებითი მეცნიერული შესწავლისათვის გამოეყოთ განსაკუთრებული ექსპედიცია და გამოენახათ სახსრები ექსპედიციის აღსაჭურვად. მდინარის დინების შესწავლა საჭიროა სირ-დარიის განტოტებათა ამომშრალი კალაპოტის შესწავლასთან დაკავშირებით, რომელთაგან ყურადღებას მხოლოდ იან-დარია იქცევს, რადგან არსებობს სირ-დარიის ამ კალაპოტით გაშვების ვარაუდიც. მთავრობა თანაგრძნობით მოეკიდა ამ საკითხს და ექსპედიციას სუბსიდიაც დაუნიშნა. მაგრამ თურქესტანში მაშინვე აღ-

ძრეს კითხვა — შეიძლება კი უფლება მივცეთ ამ ექსპედიციას გამოიკვლიოს ამუ-დარიის მარცხენა ნაპირი ხივინის სახანოს ფარგლებში, რამაც შეიძლება გართულება და მღელვარებაც კი გამოიწვიოს ამ მხარეში? ამ საკითხზე ყველა მოსაზრებათა შედეგად ის მივიღეთ, რომ ამუ-დარიის ექსპედიციას დაევალა მხოლოდ მარჯვენა ნაპირის გამოკვლევა. მარცხენა ნაპირზე მას არავითარი კვლევითი სამუშაოების წარმოება არ შეეძლო. ასე რომ, ექსპედიციის მოქმედების სფერო განისაზღვრებოდა მხოლოდ ამუ-დარიის ახლანდელი დინების შესწავლითა და მარჯვენა ნაპირის გამოკვლევით. თუმცა, ამუ-დარიის ნიველირებამ მოგვცა რამდენიმე ისეთი მონაცემი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამუ-დარიის დახრილობა საკმარისია მისი ძველი კალაპოტით გაშვებისათვის. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამუ-დარიის ექსპედიციას შესანიშნავი პირობები შეუქმნეს, მის შემადგენლობაში შედიოდნენ საუკეთესო სწავლულები და საკმარისი ფულადი სახსრებიც გააჩნდა, შუა აზიის მთავარ საკითხს მაინც გვერდი აუარეს. ეს კიდევ არაფერი, ამუ-დარიის ძველი კალაპოტის საკითხი კიდევ რამდენიმე წლით გადაიდო. თუმცა ამ საკითხს გააჩნია ისეთი არსებითი მნიშვნელობა, რომ მიუხედავად წყლის გაშვების მოუხერხებლობისა კრასნოვოდსკის გზით რუსეთსა და შუა აზიას შორის ვაჭრობის განვითარების საკითხი დადგა მთელი თავისი აუცილებელი მნიშვნელობით და საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება ხივისაკენ სავაჭრო გზის როგორც უზრუნველსაყოფად. ისე მოსარწყავად. ამ საკითხზე კავკასიის მეფისნაცვალს, მის უდიდებულესობას — დიდ მთავარს მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს. მან კი ეს ბარათი მოიწონა და კავკასიიდან დაინიშნა ურუნ-დარინის კომისია, რომელმაც ამუ-დარიის ძველი კალაპოტის ნიველირება უნდა აწარმოოს და მეცნიერულად გადაწყვიტოს წყლის ძველ კალაპოტში გადაგდების შესაძლებლობა, რადგან კასპიის ზღვის იქით მდებარე მინდვრების მორწყვის საკითხი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანია. სავაჭრო ქარავნების მოძრაობა ამ გზაზე თანდათან იზრდება და თუ ვერ მიაღწია სათანადო მოცულობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წყალი არ კმარა და, რაც მთავარია, ველებიდან მუდმივი საფრთხე ემუქრება. უდავოა, რომ უზბოიში წყლის გამოჩენა ერთბაშად შეცვლიდა ამ ქვეყნის ფიზიონომიას. ყაჩაღები, რომლებიც უდაბნოში იმალებიან და რომელთა დევნა შეუძლებელია. ვერ შესძლებდნენ დამალვას, მკვიდრი მოსახლეობა რომ არსებობდეს. დასახლებული პუნქტების არსებობა შესაძლებლობას მოგვცემდა — რაზმები გაგვეგზავნა მათ შესაპყრობად. ექსპედიციას, აღჭურვასთან ერთად, დაევალა დაეკავებინა ად-

გილი სავაჭრო ფაქტორიისათვის ძველი კალაპოტის მიდამოებში, უშაკ-ბენტის მახლობლად, სადაც შეინახავდნენ როგორც ხივიდან, ასევე რუსეთიდან გადატანილ საქონელს და შეიმუშავებდნენ ყველა იმ ზომებსა და საშუალებებს, რაც აუცილებელი იქნებოდა კრასნოვოდსკის გზაზე სავაჭრო მიმოსვლის უზრუნველსაყოფად. ექსპედიციამ მიაღწია ძველ კალაპოტს და მართლაც შეარჩია ადგილი ფაქტორიისათვის უშაკ-ბენტის მახლობლად, მაგრამ ამის შემდეგ დაწყებულ მოლაპარაკებას და მიმოწერას, როგორც ამუ-დარიის განყოფილებასთან, ასევე ხივის ხანთან, ის შედეგი მოჰყვა, რომ ერთბაშად გაძნელდა ფაქტორიის დაარსება. ამავე დროს წარმოიშვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც — თითქოს ეს მიწები ხივის სახანოს ეკუთვნის. ექსპედიცია გვიან შემოდგომამდე დარჩა შუა აზიაში, შემდეგ კი კრასნოვოდსკში დაბრუნდა, სავაჭრო ფაქტორიის მოწყობის საკითხი კი, მოულოდნელად წარმოშობილი სიძნელეების და გაუგებრობის გამო, დიდი ხნით გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის განვითარებას ბევრი რამ აბრკოლებს და ქარავნების მიმოსვლა ბევრ უხერხულობასთანაა დაკავშირებული, ამ უკანასკნელთა მიმოსვლა მაინც ყოველ წლიურად იზრდება და ამით მტკიცდება ამ გზის საჭიროება ვაჭრობისათვის. თუ რამდენად ბრკოლდება ვაჭრობის განვითარება ამ გზის მეშვეობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ხივის ხანის გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც მიუხედავად რუსეთთან დადებული ხელშეკრულებისა, მაინც ართმევს საბაჟო გადასახადს ბუხარიდან და კრასნოვოდსკიდან ხივის გავლით მომავალ ქარავნებს, რის უფლებაც არავითარ შემთხვევაში არა აქვს. ამ საკითხის ირგვლივ დაწყებულ მიმოწერას ჯერ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და აქამდე არც ისაა ცნობილი, თუ რა მდგომარეობაშია. ალბათ წინ არც წაიწევს, რადგან უმრავლესობა არ მოისურვებს საქონელი ხივაზე გამავალი გზით გადაიტანოს და საბაჟო გადასახადი გადაიხადოს, როცა ორენბურგამდე მიტანისათვის არავითარი გადასახადი არაა საჭირო.

ამუ-დარიის გარღვევამ ბენტთან და წყლის დინებამ სარი-კამიშამდე და უფრო შორსაც, რაც ამას წინათ „ობზორის"[2] მეშვეობითაც გაუწყეთ, ჩემის აზრით, ყველა შემდგომი ეჭვი უნდა აღმოფხვრას. სირ-კამიშიდან კრასნოვოდსკამდე უზბოი ნიველირებულია. ასე რომ, ამუ-დარიის შემდგომი დინება საეჭვო აღარაა. ახლა მთელი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ მოვარდნილ წყალს რაც შეიძლება უკეთესი, მოკლე დინება მივცეთ. საჭიროა პრაქტიკული დახმარება, ისეთი შემთხვევითი დაბრკოლების აღმოფხვრა, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს ამუ-დარიის დინებას კასპიის ზღვისაკენ.

ამიტომ, რაც უფრო მეტ სწავლულთა კონგრესებს, მისიებს და კომისიებს შექმნიან ამჟამად, ახლა, როცა ამუ-დარიის მიერ გაკაფული კალაპოტის რაციონალური რეგულირებისათვის ნაცადი და საქმიანი დახმარებაა საჭირო, მით უფრო ნაკლებ დროს დავკარგავთ და მით უფრო ჩქარა და მტკიცედ მოვიკიდებთ ფეხს კასპიის ზღვის იქეთა მხარეში. და არა მარტო პოლიტიკური მიზნებისათვის, არამედ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესების საკეთილდღეოდაც, რუსეთისა, რომელმაც დროა ისარგებლოს იმ საუკუნოებრივი შრომისა და მრავალრიცხოვანი მსხვერპლგაღების ნაყოფით, რაც სახელმწიფო მიზნებით იყო განპირობებული.

64. ავსტრიის პასუხი თურქეთის ნოტაზე

თბილისი, 20 ოქტომბერი

გასაგებია ის აღშფოთება, რასაც დედაქალაქის გაზეთები იჩენენ, როცა იხილავენ ავსტრიის მინისტრის გრაფ ანდრაშის პასუხს თურქეთის უკანასკნელ ნოტაზე. და მართლაც, ცინიზმი, რომლითაც უარყოფენ ჭეშმარიტ ფაქტებს, ასეთ უმაგალითო უტიფრობამდე ჯერ არასოდეს მისულა. ავსტრია-უნგრეთის არმიის უცოდველობისა და სულგრძელობის დაცვისას გრაფი პირდაპირ აცხადებს:

— არ ყოფილა შემთხვევა ჩვენს ჯარებს ვინმე გაეძარცვოთ; პირიქით, მათ ხშირად უხდებოდათ ადგილობრივი მძარცველების ალაგმვა. ყველაფერს, რაც ამის შესახებ ოფიციალურ რელაციებში იყო ნათქვამი, ადასტურებენ როგორც სამხედრო, ასევე უცხოელი კორესპონდენტები.

ამგვარად, თურმე რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში დაბეჭდილი ყველა კორესპონდენცია, სარაევოს. ბალიანუკის, ბრეჩნისა და სხვა ქალაქებზე მიტანილი იერიშების აღწერა ავსტრიის ჯარების ქება ყოფილა, ჯარებისა, რომლებიც თურმე ძარცვას თრგუნავდა. ასეთი გამონაგონის უარყოფაც კი ამაოა. გრაფმა ანდრაშმა იცის, რომ დიპლომატიური ეთიკის მიხედვით პირდაპირი უარყოფა არ შეიძლება და ამიტომ მშვიდადაა; მან დაიცვა ავსტრია-უნგრეთის არმიის ღირსება. ხოლო თუ ისტორიაში სხვაგვარად ჩასწერენ, თუ იტყვიან, რომ ავსტრია-უნგრეთის არმია გაუგონარ სიმხეცეს იჩენდა, ვიღაცების დასმენის საფუძველზე ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ საქმის გაურჩევლად, ფორმალობის დაუცველადაც კი, გრაფ ანდრაშისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეტყობა, გრაფ ანდრაშის წყალობით, ევროპულმა დიპლომატიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ: მას აღარ აკმაყოფილებს უწინდებური რუტინა, — აღარ საჭიროებს ახსნა-განმარტებას. იგი იმ პრინციპზე შორს მიდის, რომლის დევიზია: არც არაფერი ვიცი, არც არაფერი გამიგონია; ამტკიცებს იმას, რაც ყველამ უარყო.

რუსული გაზეთები აღშფოთებული არიან გრაფ ანდრაშის პასუხის შემდეგი აბზაცით:

„ჩვენ რომ ყოველი სარწმუნოების პატივისცემის ნაცვლად ქრისტიანების განთავისუფლება დაგვეწყო, ჩვენს მიერ წამოყენებულ საქმეს ნაკლები მსხვერპლი დასჭირდებოდა; მაგრამ ეს იქნებოდა ნიშანი მუსულმანების მოსასპობად, სინამდვილეში კი ჩვენი მოვალეობა იყო თანაბარი მფარველობა გაგვეწია ქრისტიანებისა და მუსულმანებისთვისაც“.

აზრი ნათლადაა გამოხატული: ავსტრია-უნგრეთი, რომელიც სიმპათიურადაა განწყობილი თურქეთისადმი, არ შესდგომია ქრისტიანების განთავისუფლებას და აცხადებს: ავსტრიის ომი თურქეთის წინააღმდეგ ოტომანთა ხელისუფლებისადმი დახმარებაა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანებთან ბრძოლაში. ცხადია, ასეთი პოლიტიკა რუსეთის პოლიტიკის დიამეტრულად საწინააღმდეგოა და ამ შემთხვევაში მათ შორის არავითარი კომპრომისი არ შეიძლება არსებობდეს. რუსეთმა უზომო მსხვერპლი გაიღო ქრისტიანების გასათავისუფლებლად, ხოლო ავსტრია მზადაა ყველაფერზე წავიდეს, ოღონდ თურქებისადმი შეურიგებელი ქრისტიანები დათრგუნოს. იგი ერთგულია მეტერნიხის პოლიტიკისა და არავითარ ანგარიშს არ უწევს არც რელიგიას და არც ბოსნიელებისა და ჰერცოგოვინელების გრძნობას: ავსტრიას სჭირდება ეს ოლქები, ხოლო ვინ იცხოვრებს ამ ტერიტორიაზე და როგორ იქნებიან განწყობილი ახალი მთავრობისადმი — მისთვის სულერთია. ავსტრია თავისი ჯარების მეშვეობით ორივე პროვინციას დაიკავებს, შექმნის ავსტრიულ ადმინისტრაციას, აკრეფს გადასახადებს; გადასახადების მეშვეობით მთელ დოვლათს წაართმევს ხალხს, რათა ფიქტიურად მაინც შენიღბოს ქრონიკული დეფიციტი და ახალი ვალები. როცა სახელმწიფოს ასეთი მიზნები გააჩნია, რასაც ავსტრია თურქეთსაც კი არ უმალავს, რა ენაღვლება გრაფ ანდრაშს, თუ მისი პასუხი თურქეთის ნოტაზე არანაკლებ აღშფოთებას გამოიწვევს, ვიდრე ავსტრიის ჯარების დაუშვებელი მოქმედება ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში. ვისაც რა უნდა ის წეროს და ამტკიცოს, გრაფი ანდრაში დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში, დიდსულოვნებაში, პატიოსნებაში და ამას ისევე უბრალოდ შეიტანს დიპლომატიურ დოკუმენტებში, როგორც თავის პასუხში სამეფო-საიმპერატორო ჯარის სათნოებას ამტკიცებდა.

სამეფო-საიმპერატორო ჯარი, არწმუნებს ის თურქეთის მთავრობას, რომლისთვისაც დისციპლინა და სულგრძელობა მემკვიდრეობით სათნოებას წარმოადგენს, თავის მოვალეობად რაცხდა, მიუხედავად ბარბაროსული და ყველა სამხედრო წესის საწინააღმდეგო ფანდებისა, როგორიც მაგალითად „მაგლაის“ ფანდი იყო, შეესრულებინა თავისი მისია ევროპის რწმუნებულთა და ჩვენი დეკლარა-

ციის ყაიდაზე, იმ დეკლარაციისა, რომელიც წინ უსწრებდა მისი უდიდებულესობა იმპერატორის, მეფისა და ჩემი უავგუსტესი ხელმწიფის ჯართა შემოსვლას. ვერ შელახავს მათ ღირსებას, მაგრამ შეუძლებელია არ ააღელვოს ავსტრია-უნგრეთის საზოგადოების სინდისი. მე მოვალე ვიყავი უარმეყო ცილისწამება და მეთქვა პორტასათვის, თუ რა უსიამო შთაბეჭდილება მოახდინეს მათ აქ. გაისარჯეთ თქვენო აღმატებულებავ და გადაეცით ეს ტელეგრამა სავფეტფაშას, ხოლო თუ მოისურვებს, დაუტოვეთ მას ტელეგრამის ასლი.

ბინძური ცილისწამება, ე. ი. ავსტრიის ჯარების მოქმედების აღწერა ჩვენზე არ იმოქმედებსო, ამტკიცებს გრაფი ანდრაში, მაგრამ მას მაინც სწყინს, რადგან დარწმუნებულია, რომ ამგვარი ამბები აუცილებლად გამოიწვევს ავსტრია-უნგრეთის საზოგადოებრივი სინდისის აღშფოთებას. ჩვენის აზრით, სწორედ ეს სინანულია ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში გრაფ ანდრაშის პოლიტიკის სასიკვდილო განაჩენი. ამით ავსტრია-უნგრეთი ვერაფერს მოიგებს. რა ციინიკურადაც არ უნდა უდგებოდეს გრაფი ანდრაში თავის შემრიგებლურ მისიას. სულერთია, უაზრო სიმკაცრეს, სისხლის ღვრასა და ძარცვას, კოცობრიობის ისტორიის მანძილზე, ჯერ არცერთი სახელმწიფო არ გაუძლიერებია. თვით ინკვიზიციამ და იეზუიტებმა, რომლებიც თავიანთი მსხვერპლის რწმენასა და სინდისს წარმართავდნენ, ვერ დაიცვეს პრინციპი: ყველა გზა რომში მიდის. უსამართლობა, სიმკაცრის დანერგვა, ყოველთვის უსამართლობად რჩება. მძიმე სასჯელი და მხოლოდ სასჯელი ვერ განამტკიცებს ხალხებზე ბატონობას, როგორც არ უნდა დაამცირონ ისინი ზნეობრივად და მატერიალურად. გრაფ ანდრაშს უნდა ახსოვდეს, რას აკეთებდნენ თურქები ამ 400 წლის წინათ, შემდგომი 400 წლის მანძილზე და ბოლოს რუსეთ-თურქეთის ომში ქრისტიანი მოსახლეობის დასაშინებლად, რათა ისინი მუშა ძალად გადაექციათ და ამით თავიანთი ძლიერება გაეზარდათ. ხოლო თუ რა სახისაა ეს ძლიერება, ამის დამალვა ევროპიელ დიპლომატებსაც კი არ ძალუძთ, რომელთაც, მიუხედავად მტრული დამოკიდებულებისა ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოწყობის რუსული გეგმისადმი, ნახევრად მაინც გაუწიეს მფარველობა ქრისტიან ტომებს და შინაგანი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიანიჭეს. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ საწინააღმდეგო, რუმელია, სერბია, ბულგარეთი, ჩერნიგორია, ყველა ეს ქვეყანა, თურქეთს აღარ ეკუთვნის. ნუთუ ეს მაგალითი არ კმარა ჭკუის სასწავლებლად და ავსტრია-უნგრეთი de Facto ისწრაფვის მოახდინოს ოტომანთა იმპერიის დეზორგანიზაცია დაპყრობილი ხალხებისადმი ტრადიციული უნდობლობით, რაც გამოიწვია მთელმა

რიგმა შინაგანმა გაჩანაგებამ და გარეშე ომებმა? ნუთუ რუსეთი, რომელმაც იხსნა ბალკანეთის ქრისტიანები თურქეთის მხეცური დაუნდობლობისაგან, ადვილად დათანხმდება იმას, რომ ასევე მხეცურად მოექცეს ქრისტიანებს ავსტრია-უნგრეთი? რუსეთის პოლიტიკა ძალზე ნათლად გამოვლინდა უკანასკნელი დროის მოვლენებთან დაკავშირებით და არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილებას ველოდეთ.

65. კარგი საქმის ცუდი დამცველი

თბილისი, 22 ოქტომბერი

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ გაზეთმა „მშაკმა“ [55], რომელიც, როგორც ცნობილია, ცხარე ბრძოლას აწარმოებდა ოტომანთა წინააღმდეგ, რომელთაც. მისი აზრით, არავითარი კულტურისა და ცივილიზაციის შეთვისების უნარი არ შესწევთ, ბოლოს თავის მებრძოლი არმია სამშვიდობო მდგომარეობაში გადაიყვანა.

გაზეთი ფიქრობს, რომ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე იგი იმ მოგზაურს ჰგავდა, რომელმაც მიატოვა საკუთარი კერა და საზოგადოების სასარგებლო საქმისათვის გრძელ გზას გაუდგა... მთელი სომეხი საზოგადოება ამ დროის განმავლობაში მხოლოდ სომხეთის საკითხით იყო დაინტერესებული (გაზეთ „მშაკის“ აზრით, სომხეთის საკითხით დაინტერესება საკუთარი კერის მიტოვებას ნიშნავს)...

ახლა კი, განაგრძობს „მშაკი“, ჩვენ უნდა მივატოვოთ ასეთი გაცხარებული მოღვაწეობა და ხელი მოვკიდოთ „სომხეთის შინაგანი საკითხების“ განხილვას (მიაქციეთ ყურადღება ამ დაყოფას — საგარეო და საშინაო საკითხები).

იწყებს რა სომხეთის შინაგანი საკითხების გადაწყვეტას, „მშაკი“, ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ აზრი ებრაელებისა და სომხების ეროვნულ მსგავსებაზე მცდარია. სომხების შეურაცხყოფით აღშფოთებული გაზეთი გვარწმუნებს, რომ ებრაელები არასოდეს არ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ხოლო სომეხი ხალხი ძირითად მიწათმოქმედია და ასეთი იყო უძველესი დროიდან. ცნობილი დოქტორის, რედაქტორის და პუბლიცისტის ამგვარი კივილი სასაცილოა, რადგან განზე რომ დავტოვოთ არწრუნის აქამდე დაუმტკიცებელი ფართო ერუდიცია, ამგვარი საქციელი პირდაპირ უარყოფს იმ ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მან რაიმე იცოდეს ელემენტარული, ყოველი მოწაფისათვის ხელმისაწვდომი საკითხების შესახებ...

ებრაელი ხალხის თქმულებები და ლეგენდები, რომლებიც დღემდე შემოინახა იუდეაში ჩასახულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, ცხადად ამტკიცებს, რომ ამ ქვეყანაში დიდად განვითარებული მიწათმოქმედება იყო...

ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავშალოთ ბიბლია, ან ავიღოთ ქრისტეს რომელიმე იგავი, რომლის სიუჟეტიც აღებულია იმდროინდელი ხალხის ცხოვრებიდან და მასში რელიეფურადაა ასახული ებრაელი ხალხის ყოფითი მხარეები...

იუდეა, თავის გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობით, სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედი ქვეყანა. იუდეას, რომელიც მოწყვეტილი იყო ზღვებს და გარშემორტყმული იყო ისეთი ხალხებით, რომლებთანაც შეუძლებელი იყო წესიერი სავაჭრო ურთიერთობა, ბუნებრივია, წარმოების მხოლოდ ერთადერთი საშუალებისათვის, მიწათმოქმედებისათვის უნდა მოეკიდა ხელი... უფრო მეტი, არ არსებობს არც ერთი ებრაული თქმულება, სადაც ვაჭრობა გამოხატავდეს იუდეელების სპეციალურ საქმიანობას, ამავე დროს ისტორიამ შემოგვინახა ამავე რასის წარმომადგენელი ხალხის ტიპი, მაგრამ ვაჭარი ფინიკელებისა...

და ბოლოს, საინტერესოა ვიცოდეთ ის მოტივები, რომლებმაც ბატ. არწრუნი აიძულეს მსგავსება დაენახა ებრაელებსა და სომხებს შორის, გაბრაზებულიყო მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებულ ამ მსგავსებათა გამო და ლამანჩელი რაინდის მსგავსად დაეწყო ქარის წისქვილებთან ბრძოლა!

ეს ერთი. მეორეც, ბატ. არწრუნს შეუძლია ასეთივე საინტერესო ცნობები მოგვაწოდოს და გვითხრას, რა ნახა ებრაელ ხალხში ისეთი ცუდი, რომ ემიჯნება მას და იყენებს ზემოთ მოყვანილი შეხედულებების მსგავს ყალბ, გამოგონილ აზრებს?... დაგვანახოს ეს ცუდი მხარეები და ჩვენ, პატრიოტიზმის დიადი იდეის თანაგრძნობის გამო, ყურადღებას არ მივაქცევთ იმ ხერხებს, რომლებითაც პატივცემული ავტორი ცდილობს კანონიერ მიზანს მიაღწიოს — დაიცვას საკუთარი ერი დაუმსახურებელი საყვედურებისაგან... როცა მიზანი კარგია, ყველა საშუალება კარგია ხოლმე...

იქნება დიდად პატივცემული დოქტორი არ დაეთანხმება ამ აფორიზმს? თუ იგი ასე მოიქცევა დიდ შეცდომას დაუშვებს, რადგან უარის თქმით გააცამტვერებს იმ შესანიშნავ სიტყვებს, რომლებიც მისმა გაზეთმა დაბეჭდა. „მშაკი“ ამბობს: „ჩვენს (კავკასიელ) მუსულმანებს არ გააჩნიათ არც სახალხო სკოლები, არც გაზეთები და საერთოდ არავითარ აღზრდას არ ღებულობენ. თუ მათ არ შეუძ-

ლიათ იზრუნონ თავიანთ თავზე, მაშინ ეს მეზობლებმა, უფრო ცივილიზებულმა ხალხებმა უნდა იკისრონ. ვინც სხვისთვის ზრუნავს— ზრუნავს საკუთარი თავისთვისაც".

აქამდე ყველაფერი შესანიშნავად მიდის და საწინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვით გაზეთის მიერ გამოთქმული აზრის შესახებ, მაგრამ საეჭვოა ვინმემ თანხმობა განაცხადოს და მიიღოს ბატ. არწრუნის მიერ წამოყენებული წინადადება: „უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მუსულმანთა ბავშვები სომხურ სკოლებში მოვიზიდოთ". ჯერ ერთი, ეს აზრი ეწინააღმდეგება პედაგოგიკის მიერ გამომუშავებულ ყველა პრინციპს, სადაც ნათქვამია: ელემენტარული სწავლება უნდა იწყებოდეს მშობლიურ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია და ბავშვები ჩლუნგდებიან. მეორეც, იგივე ბატ. არწრუნი მუდამ ქადაგებდა თავისი გაზეთის ფურცლებზე — სომხებისათვის ელემენტარული სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდესო. რა დააშავეს საბრალო თათრების, ლეკებისა და სხვათა ბავშვებმა, როცა იგი შეგნებულად აჩლუნგებს მათ, — გზავნის სომხურ სკოლებში, სადაც ერთ სიტყვასაც კი ვერ გაიგებენ!

მე მგონი, იმ უბრალო ჭეშმარიტების ჰრავალმეტყველად მტკიცება, რომ მუსულმანთა ბავშვებისათვისაც ისაა აუცილებელი, რაც სომეხი ბავშვებისათვის — ეს ნიშნავს ამტკიცო $2 \times 2 = 4$. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ჩვენს მკითხველებს და არ შეგვიძლია ეჭვი შეიტანოთ იმაში, რომ მათ ეს ფორმულა იციან. ხოლო თუ ბატ. არწრუნი მართლაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სხვისთვის ზრუნვა — იგივე საკუთარი თავისთვის ზრუნვაა", მაშინ მან ზრუნვის შესახებ სხვა წინადადება უნდა წამოაყენოს. თუ ზრუნვაა—ზრუნვა იყოს, რატომ არ უნდა მივიდეს სწავლული დოქტორი ასეთ დასკვნამდე: თუ სომხებს სჭირდებათ — სომხური სკოლები, რუსებს — რუსული, მაშინ მუსულმანებისთვისაც — მუსულმანური სკოლებია საჭირო! ვფიქრობთ ამას დიდი სიბრძნე არ სჭირდება...

66. სასულიერო სემინარიის რევიზია

თბილისი, 23 ოქტომბერი

ამას წინათ ადგილობრივმა პრესამ გვაცნობა თბილისში რევიზორის ჩამოსვლა, რომელიც გამოგზავნა უწმინდესმა სინოდმა, აქაური მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიისა და ჩვენი ეგზარქატის ზოგიერთი სასულიერო-აღმზრდელობითი დაწესებულების შესამოწმებლად. ჩვენ არ ვიცით რა დასკვნამდე მივიდა რევიზია და სრულიად არ გვაინტერესებს სასწავლებელთა მეურნეობის ისეთი წვრილმანები, რომელთაც, ალბათ, იგი შეეხო... გაცილებით უფრო საინტერესოა ამ საქმის საერთო მხარე, რომელიც შეიძლება სრულიად არ წარმოადგენს რევიზორის მსჯელობის საგანს, მაგრამ რომელზედაც აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ, რადგან, თუნდაც შემთხვევით, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიქცეულია სემინარიისკენ, რომელმაც ამ ბოლო წლებში საერთო ყურადღება მიიქცია მთელი რიგი არანორმალური მოვლენებით, რაც ადგილობრივ პრესაშიც აღინიშნა.

ამა წლის დასაწყისში ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გაგვემახვილებინა „ობზორის"[2] მკითხველთა ყურადღება სემინარიის ინსპექტორის ბატ. კუვშინსკის უცნაურ როლზე და ამიტომ ამ საკითხს ახლა არ დავუბრუნდებით. როგორც ცნობილია, ჩვენ დავბეჭდეთ ბატ. კუვშინსკის უარყოფა, სადაც მან ყველაფერი სხვებს გადააბრალა და სემინარიის წესდებას ამოფარებული ამტკიცებდა, რომ თვითონ კი არა, არამედ მისი უშუალო უფროსები, ე. ი. რექტორი და სემინარიის მმართველობაა დამნაშავე აღნიშნულ ნაკლოვანებათა არსებობაში... თუ ძალ-ღონის დაძაბვის შედეგად ბატ. კუვშინსკიმ შესძლო სემინარიაში დიდი გავლენა მოეპოვებინა და ირგვლივ მორჩილი ადამიანები შემოეკრიფა, რომლებიც მხოლოდ მის ნებას ასრულებდნენ, ცხადია, ფორმალური თვალსაზრისით, ეს სრულიად არ ართმევს მას უფლებას ასეთი პასუხი გასცეს სემინარიის წესების მამხილებლებს: „მე ინსპექტორი გახლავართ, ხოლო აღნიშნული საქმე, სემინარიის წესდების მიხედვით, არ ექვემდებარება ინსპექ-

ტორს. დაემდურეთ გამგეობას, რექტორს". ასეთი აცილების შემდეგ სადავო აღარაფერია. მეორეს მხრივ, თუ სემინარიის საყოფაცხოვრებო პირობები შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკულად ავიცილოთ თავიდან სემინარიის კოლექტიურად მართვის ის გარანტიები, რომლებიც დადგენილია სემინარიის წესდებით, მაშინ ბატ. კუვშინსკი უკანა პლანზე გადადის და საინტერესო პიროვნებად წარმოგვიდგება, მაგრამ არა როგორც პრესის თავდასხმების ობიექტი, არამედ როგორც კანონმდებლის ბრძნული წინასწარდასახულობის გვერდის ავლის თვალსაჩინო მაგალითი... ამ თვალსაზრისით იგი წარმოადგენს ტიპიურ დასაბუთებას იმ აზრისა, რომ გარემოში, სადაც არ არსებობს კანონის აღმსრულებლობაზე მუდმივი და დამოუკიდებელი კონტროლი, მოხერხებულ ადამიანებს ყოველთვის შეუძლიათ იოლად, პრაქტიკულად დააბრკოლონ კანონის ისეთი უმთავრესი მხარეების განხორციელება, რომლებიც ამგვარ მოქმედებას ეხება...

საერთოდ, მეტად თუ ნაკლებად, თვითნებობა თვითეულ ჩვენგანს ახასიათებს ყველა საქმეში, სულერთია, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ და სადაც არ უნდა ვმოქმედებდეთ. გვიბოძეთ რა უმნიშვნელო როლიც გინდათ, შეზღუდეთ ჩვენი თვითნებობა როგორი გარანტიებითაც გინდათ, შეიტანეთ კანონებში თვითნებობისაკენ ჩვენი მიდრეკილების აღმომფხვრელი როგორი „კოლეგიალური" საშუალებებიც გინდათ, ჩვენი ვიწრო ბუნება მაინც თავისას გაიტანს, რაიმე საქმეში მაინც გამომჟღავნდება... ვიღაცას უთქვამს, რომ ყოველ ჩვენგანში ზის ხლესტაკოვი[78]. ხოლო უფრო საფუძვლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ თითოეული ჩვენგანის — მოხელის, საზოგადო მოღვაწის, ვაჭრის, ხელოსნის — ბუნებაში კიდევ უფრო ღრმად ზის პატარა დიონისე სირაკუზელი[79]... ეტყობა კანონმდებლის მთელი ძალ-ღონე უძლურია აღმოფხვრას ჩვენში ეს უცნაური თვისება. ჩვენ ყველა კანონს კი არ ვემსახურებით, არამედ თვითნებობის გამოჩენის სურვილს... უცნაური ამბავია: ეს შეიმჩნევა არა მარტო ჩვენი ნება-სურვილის გარეშე გამოცემული კანონების მიმართ, არამედ იმ ჩვევების მიმართაც, რომლებიც ჩვენ თვითონ გამოვიმუშავეთ. არავინ არ არღვევს ისე ხშირად, და უფრო მეტი მონდომებით, სხვადასხვა წესებსა და დადგენილებებს, ვიდრე ის ადამიანები, რომელთაც ეს წესები შეადგინეს და გამოსცეს. ჩვენ შორს არ წავალთ ამ შენიშვნის საფუძვლიანობის დამამტკიცებელი საბუთების საძებნელად: საკმარისია მოვიყვანოთ ჩვენი ბანკებისა და ქალაქის

საბჭოების მაგალითი, რომლებიც, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, გვერდს უვლიან და არღვევენ თავიანთ წესებს და დადგენილებებს...

ჩვენ შეგვეძლო ჩამოგვთვალა ათასი ხერხი, რითაც გვერდს უვლიან კოლეგიალური პრინციპით წარმოდგენილ გარანტიებს, მაგრამ ამგვარი მაგალითები ყველას ბევრი ახსოვს. ყველასათვის ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში კოლეგიებში ყველაფერს ერთეული-საქმოსნები წყვეტენ, ხოლო დანარჩენი წევრები აპატიურნი, მორჩილნი არიან და ნებაყოფლობით ან ანგარიშიანობით უბრალო პაიკების როლს თამაშობენ.

ამგვარ საერთო მოვლენას, ცხადია, საერთო მიზეზიც უნდა ჰქონდეს. ამ მიზეზის აღმოჩენას დიდი თავისმტვრევა არ სჭირდება. იგი მომდინარეობს იმ როლიდან, რომელსაც ასრულებენ პაიკი-წევრები, მორჩილი პიროვნებები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში, თვით საქმოსნები ირჩევენ... კაცი, თუ მცირეოდენი ნიჭი მაინც გააჩნია და თავის საქმეს სერიოზულად და „რწმენით“ ეკიდება, ცხადია, არ გაჩუმდება და არ გააკეთებს ყოველივე იმას, რაც პატარა ტირანს მოესურვება. ამიტომ, ეს უკანასკნელნი არ უშვებენ ასეთ ადამიანებს კოლეგიაში, ანდა, თუ „შეცდომით“ მაინც მოხვდა, ყველა საშუალებას ხმარობენ მის გამოსადევნად კოლეგიიდან ან დაწესებულებიდან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროა საქმის ამ მხარეს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ. დროა ვისწავლოთ და გულგრილად მოვეკიდოთ იმ ყალბ „მღელვარებას“, რაც თითქოსდა იმ ადამიანებმა გამოიწვიეს, რომლებიც მკაცრად ეკიდებიან საკუთარ მოვალეობას და საქმეს. დროა მივხვდეთ, რომ ასეთი ადამიანები არც სახელმწიფოს აწუხებენ, არც მთავრობას და არც საზოგადოებას, აწუხებენ მხოლოდ თვითნება პირებს და აწუხებენ სახელმწიფოს, მთავრობისა და საზოგადოების სასარგებლოდ. და თუ ამგვარი „მღელვარება“, იმის ნაცვლად, რომ მათი ავტორები უკითხავად ჩამოვაშოროთ საქმეს, მკაცრი ანალიზის ობიექტი გახდება და ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენას, მაშინ თვითნება ადამიანების როლი აუტანელი ან უსარგებლო აღმოჩნდება. და ჩვენ უფრო იშვიათად ვიქნებით მათ მიერ სიმართლისა და კანონის ძალის აბუჩად აგდების მოწმე...

ყველა ეს მოსაზრება სრულიად უნებურად მებადება ხოლმე, როცა ლაპარაკი ჩვენს სასულიერო სემინარიაზე ჩამოვარდება. მკითხველი შეამჩნევს, რომ ამ სემინარიის მიზეზით ჩვენ საერთო მოვლენას შევეხეთ, რაც შემჩნეულია არა მარტო ხელისუფლების ან ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებშიც. თუმცა საერთო მნიშვნელობის ბო-

როტების აღმოფხვრა საერთო ღონისძიებას მოითხოვს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ვისურვოთ, რომ სემინარიის რეეიზიამ ამ კერძო შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქმის ამ მხარეს, რათა დარწმუნდნენ სემინარიის ხელმძღვანელები, რომ უკონტროლო მოქმედებას საქმისათვის წარმატება არ მოაქვს და მიაქციონ ენერგიული ყურადღება სემინარიის წესდების არა მარტო ფორმალურ, არამედ მისი არსის დაცვას, რომლის მთელი ღირსება, როგორც ცნობილია, მდგომარეობს კოლეგიალური გარანტიების შემუშავების საფუძველზე წინანდელი თვითნებობისა და ძველი წესდების აღმოფხვრაში, რამაც ჩვენი სახელმწიფოს ყველა სასულიერო სემინარია ზნეობრივ და მატერიალურ დაცემამდე მიიყვანა...

საქმის მეორე, ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეზე საგანგებოდ ვილაპარაკებთ.

67. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი

თუმცა მე სასულიერო სასწავლებელზე, ერთგვარ წოდებრივ სასწავლო დაწესებულებაზე მექნება საუბარი, მაგრამ რადგან იგი ერთადერთია სამეგრელოში, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლასებითა და საგნების მოცულობით, რომელთაც ამ სასწავლებელში გადიან, უფლებებით, რომელთაც იგი აღზრდილებს ანიჭებს, და, ამასთან ერთად, ემსახურება არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ მთელს საზოგადოებას, ამიტომ იმედი მაქვს მკითხველები ამ საქმეს სერიოზულად და ყურადღებით მოეკიდებიან.

ქუთაისიდან და რკინიგზის სხვა სადგურებიდან 40 ვერსის დაშორებით, ლეჩხუმის მთების სიღრმეში, არის დიდი სოფელი მარტვილი, რომელიც 3-4 ვერსზეა გაჭიმული. სოფელი განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ტაძარს, ეპისკოპოს ჭყონდიდელის ყოფილ კათედრას, რომელიც თავის დროზე დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. სხვათაშორის, ტაძარი სოფელში კი არა დგას, არამედ ციცაბო მთის წვერზე, როგორც, საერთოდ, ძველი საქართველოს ყველა ეკლესია. ადგილმდებარეობის მიხედვით სოფელი მარტვილი წარმოადგენს მიწის ნაგლეჯს, რომელიც თითქმის სრულიად მოწყვეტილია მთელ მხარეს. ერთი მხრიდან მაღალი მთები აკრავს, ხოლო ორი სხვა მხრიდან — მთის მდინარეები აბაშა და ცხენისწყალი, რომელთა გამო მარტვილი დროდადრო მთლიანად იზოლირებულია. გაზაფხულზე, როცა მთებზე თოვლი დნება, რაც ივლისამდე გრძელდება, ეს მდინარეები, განსაკუთრებით კი ცხენისწყალი, დიდდება და ისე ფართოვდება, რომ მდინარეზე გადასვლა შეუძლებელია. ვთქვათ, სადღაც იქ არსებობს ხიდი, მაგრამ მისი საშუალებით რომ ხონში მოხვდე, უახლოეს სავაჭრო და საფოსტო ცენტრში, სადაც კორესპონდენციებს კვირაში ერთხელ ღებულობენ, 11 ვერსის მაგივრად 30-ის გავლაა საჭირო, ხოლო ქუთაისამდე 75 ვერსისა, პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი გზით. სხვათაშორის, ხონის პირდაპირ გზაზე არის ბორანი, რომელსაც შეუძლია ხიდის მაგივრობა გასწიოს, მაგრამ, საუბედუროდ, მდინარე სამ ტო-

ტად მოედინება, ბორანი კი მხოლოდ შუა ტოტზე მუშაობს; განაპირა დინებები ცხენით უნდა გაიარო, ხოლო როცა მდინარე ადიდებულია — ცურვით; ვისაც ეს მდინარე უნახავს, უნახავს მისი სწრაფი დინება, რომელიც უზარმაზარ ქვებს მოაგორებს, იგი ადვილად გაიგებს, თუ რა სახიფათოა ასეთ მდინარეში შესვლა.

ამ გარემოებათა გამო სოფელი მარტვილი თვეების მანძილზე მოწყვეტილია ქუთაისსა და საერთოდ ფოთი-თბილისის რკინიგზის მთელ ხაზს, ხოლო როცა საჭიროა სადმე გამგზავრება, ანდა ვინმეს გაგზავნა ხონში, გაგზავნილი იძულებულია იჯდეს მდინარის ნაპირას და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ელოდოს გამოდარებას. ზოგჯერ ხდება ასეც: გადალახავ მდინარეს, ჩახვალ ხონში, ამ დროს სადმე მთებში წამოვა წვიმა, ბრუნდები უკან და მდინარე ისე ადიდებული გხვდება, რომ მის გადალახვაზე ოცნებაც ზედმეტია.

ასეთნაირ სახალინზე, მთის ძირში, ხევში, სადაც ყოველი მხრიდან ჩამოდის წყალი, დგას ყავრით დახურული, თხელ, ერთმანეთს დაშორებულ ფიცრებიანი რვა ოთხად დაყოფილი ფარდული. თუმცა, როგორც ეტყობა, ამ ფარდულის შიდა და გარე კედლები შელესილი ყოფილა, მაგრამ ბათქაში არ შერჩენია და არც შეიძლებოდა შერჩენოდა, რადგან თუ ოთახში შეხვალ და გაივლი, იატაკი და კედლები ისე ირყევა, რომ არა თუ ბათქაშის, არამედ კედლების ჩამოქცევაც მოსალოდნელია. ერთ ოთახში კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ჭერი ჩამოწვა და დროზე რომ არ შეეყენებიათ დირე, ალბათ, ჩამოიქცეოდა და რაიმე უბედურებას გამოიწვევდა.

ფარდულს აქვს ფანჯრებიც. მაგრამ მშენებლის წინდაუხედაობის გამო ფანჯრები გაუქმებულია მოპირდაპირე კედლებში ერთმანეთის პირდაპირ ზუსტი პარალელით. ამ ფანჯრებისა და ასევე კარების ჩარჩოები ისე ოსტატურადაა გაკეთებული, რომ კარ-ფანჯრებსა და კედელს შორის შეგვიძლია ჩვეულებრივი სასკოლო სახაზავი გაატარო. ამის გამო ოთახებში მუდამ ცივა და გამჭოლავი ქარი თავისუფლად დანავარდობს. თუ ყოველივე ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ღუმელები მიშენებულია გარედან და ქუჩას უფრო ათბობს, ვიდრე შენობას; რომ ამ ღუმელების კვამლი თვალებს გვწვავს, მაშინ შეგექმნება დაახლოებითი წარმოდგენა ამ შენობის კომფორტაბელობის შესახებ.

ამ ფარდულში, რომელიც, არქიტექტორის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, „აშენებულია არქიტექტურული ხელოვნების, სახანძრო და ჰიგიენური ნორმების დაუცველად“, თავმოყრილია სამასამდე ბავშვი. მოწაფეები ამ ფარდულში, გარდა დღესასწაულებისა, ყოველდღე უნდა ისხდნენ 8-დან 2 საათამდე. კარგია, თუ გარეთ

ნათელი, მზიანი ამინდია, მაგრამ თუ წვიმს ან ნისლი დგას, ასეთი ამინდი კი, შავი ზღვის სიახლოვის გამო, ძალზე ხშირია, ხოლო შემოდგომიდან ზაფხულამდე თითქმის მუდამ ასეა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეშია ბავშვი, რომელიც აქ, უმნიშვნელო შესვენებების გამოკლებით, მთელი 6 საათი ზის. ცხადია, გულქვაობაა მოსთხოვო მათ გაიხადონ თბილი, ზედა ტანსაცმელი ან მოიძრონ თბილი ყელსახვევები, თუკი ვინმეს გააჩნია. მიუხედავად ამგვარი ჩაცმულობისა, მაინც გული გტკივა, როცა ხედავ მათ გალურჯებულ ტუჩებსა და ლოყებს, მათ გათოშილ კიდურებს...

ამ ფარდულს, ე. ი. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს, რომელსაც აქვს პროგიმნაზიის პროგრამა ორი კლასიკური ენითურთ, 4 ნორმალური და 3 მოსამზადებელი კლასი აქვს. მაგრამ როგორ შეიძლება მეცადინეობა ასეთ პირობებში? მკითხავთ თქვენ. აი, როგორ: თხელი კედლების წყალობით, ყველაფერი რაც ხდება, ანდა რასაც ლაპარაკობენ ერთ ოთახში, დაწყებული მასწავლებლის შეკითხვებით და გათავებული მოწაფეების პასუხით და დაფაზე წერით, ნათლად და გარკვევით ისმის მეორეში. თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს მასწავლებელი, განსაკუთრებით კი მოწაფე, და როგორ უნდა ადევნოს თვალყური მეცადინეობას, როცა ერთი მხრიდან ესმის ცარცის კაკუნი და არითმეტიკულ ამოცანაზე გაცემული პასუხი, ხოლო მეორე მხრიდან — „ევროპა ჩრდილოეთით ყინულოვან ოკეანეს ესაზღვრება“ და ა. შ., ამაზე თვით მკითხველმა იმსჯელოს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გაცილებით უარესი მდგომარეობაა, როცა რომელიმე კლასში საეკლესიო სიმღერის გაკვეთილია, რაც, წესდების მოთხოვნილების თანახმად, სადილობამდე უნდა ჩატარდეს. მოწაფე პასუხობს ბერძნულად ან ლათინურად. უნდა გამოიჩინოს დიდი მონდომება, დაძაბოს მთელი ყურადღება და უეცრად, როცა მისი ყურადღება უკიდურესად დაძაბულია, მეზობელ ოთახში 60 კაცი ბავშვური დისკანტით იწყებს N-me—xe py—bu და ა. შ. სასწავლებლის შეუღობავი ეზოდან კი ისმის საძოვარზე მიშვებული ცხენების ჭიხვინი, ბატების სისინი და ღორების ღრუტუნი, რომელთაც ამაოდ დევნის სასწავლებლის დარაჯი. თუმცა სად განდევნის, როცა პატრონი აქვე ცხოვრობს. ისინი თავიანთ ეზოში არიან და ამიტომ საკლასო ოთახებში თავისუფლად შესვლის უფლებაც კი აქვთ *.

---

* ღორებისა და ბატების გამო სასწავლებელს მუდმივი საზრუნავი აქვს. საქმე შემდეგშია: 1875 წელს ადგილობრივმა ეპარქიის მმართველმა მიაღწია იმას, რომ სასწავლებელი მარტვილში გადაეტანათ და მათვე აეგო ახლანდელი სასწავ-

ხოლო თუ მოწაფეების საცხოვრებლებში შევიხედავთ, კიდევ უფრო არასასიხარულო სურათს წავაწყდებით: ზემოთ მე უკვე ვთქვი, რომ მარტვილი 3-4 ვერსზეა გაშლილი. მოწაფეები ცხოვრობენ მთელ სოფელში, ან ადგილობრივი გლეხების სახლში, ანდა 3-4 კაცი ცალკე ქოხში და ხარჯიც ერთი აქვთ. თუ როგორ ცხოვრობს ჩვენი გლეხი — ცნობილია ყველა ადამიანისათვის, რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა საქართველოს სოფლებში, მაგრამ მეგრელი გლეხის ცხოვრების შესახებ აქედან დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. წარმოიდგინეთ ქოხი, რომელსაც არც სხვენი აქვს და არც იატაკი; ძველებურად ანთია შუაცეცხლი, სისუფთავე და სიღატაკე— ყოველივე ისეთი საქმეა, რაზედაც ზრუნვა არ ღირს; საკვებისა და კეთილმოწყობის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მეგრელი უკან მოიტოვებს აღმოსავლეთ საქართველოს ქართველს. აღმოსავლეთ საქართველოში სახლები უმეტეს შემთხვევაში ქვისაა და ვერსად ვერ ნახავთ გლეხი საქონელს იმავე სახლში ამწყვდევდეს, სადაც თვითონ ცხოვრობს. აქ კი ყველა სახლი ან ხისაა, ანდა მოღობილი. შინაური ცხოველები, განსაკუთრებით ზამთრობით, იმავე ჭერქვეშ ათევენ ღამეს, სადაც მათივე პატრონი. ნესტიანი ქარი, რაც ზღვის სიახლოვითაა გამოწვეული, ყოველ მხრივ დაჰქრის შენობაში ჭუჭრუტანებიდან და ძვალ-რბილში ატანს. ჭამს გლეხი მხოლოდ ღომს ან მჭადს, ხოლო იშვიათად, ძალზე იშვიათად, ქათამს. საქონლის ხორცს კი წლობით ვერ ხედავს.

აი, ასეთ გლეხებთან და ასეთ პირობებში ცხოვრობენ მოსწავლეები. თუ რა ღღეში არიან ისინი, შეგიძლიათ იმსჯელოთ ზემოთ ნათქვამის საფუძველზე. 7 საათზე, ზოგჯერ კი უფრო ადრეც, საბრალო მოსწავლე გამოდის სახლიდან და მუხლამდე ტალახში, განსაკუთრებით შემოდგომიდან გაზაფხულამდე, 3-4 ვერსს გადის. იღლება, წვალობს, ისვრება, სველდება და ისე ითოშება, რომ კბილები

ლებლის შენობა. შენობისათვის აირჩია ერთი გლეხის ეზო, რომელიც ამ მიწაზე დიდი ხანია ცხოვრობს. ამგვარად, გლეხის სახლიდან სასწავლებელი სულ რამდენიმე ნაბიჯითაა დაშორებული და ამიტომ ეზო საერთო აქვთ. 1877 წ. თბილისის სასულიერო სემინარიამ მარტვილში გაგზავნა ერთ-ერთი მასწავლებელი რევიზიის ჩასატარებლად. რევიზორს არ შეეძლო არ შეენიშნა, თუ რა უხერხულებას ქმნის სასწავლებლის ეზოში ბატებისა და ღორების სეირნობა, რაც აღნიშნა კიდეც საანგარიშო მოხსენებაში. ამის შედეგად ეპარქიის მმართველმა მიიღო მითითება გადაესახლებინა გლეხი სხვა ადგილას. ეს საქმე მასზე იყო დამოკიდებული, ვინაიდან ეს მიწა ერთგვარად მისი საკუთრებაა, მაგრამ აქამდე გრძელდება სიტყვების კორიანტელი იმ ცხოველების ღრუტუნთან ერთად, რომლებიც ამ კლასიკურ სახელს ატარებენ. შეიძლება თვალსაჩინოება კარგი საქმეა, მაგრამ დამეთანხმეთ იმაშიც, რომ ზოგჯერ უხერხულობასაც ქმნის.

უკაწკაწებს. ტანზე მხოლოდ ადგილობრივი შალისაგან შეკერილი ბლუზა აცვია, იშვიათია მოკლე ნაბადი, ხოლო კიდევ უფრო იშვიათია — პალტო. სწავლის დამთავრების შემდეგ იგივე ისტორია მეორდება. სახლში დაბრუნებული სახელდახელოდ საუზმობს, იღებს წიგნს და გაკვეთილებს ამზადებს, ანდა რვეული მუხლებზე * უდევს და სამად მოხრილი წერით დავალებას ასრულებს. ცდილობს ყველაფერი მოასწროს, დრო არ ყოფნის, საღამოს ვერ იმეცადინებს, რადგან საღამოს სანთელია საჭირო, ხოლო სანთელი ყველას როდი მოეპოვება...

ზნეობრივ სფეროზე, რომელშიც მოსწავლეს ცხოვრება უხდება, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბავშვი ვერაფერს ვერ ხედავს ირგვლივ ისეთს, რასაც შეუძლია კეთილი გავლენა მოახდინოს მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ზნეობაზე, მოვალეობის გრძნობის, სიმართლისა და სამართლიანობის დანერგვაზე. მე არ ვიცი, შეიძლება კი ასეთ პირობებში შთაუნერგო ბავშვებს ის გრძნობები და ცნებები, რაც არა მარტო მომავალ მღვდელს სჭირდება, არამედ ყველას...

როდესაც მე ზოგიერთებს მოვუყევი, თუ რა მდგომარეობაში არიან მოსწავლეები, ვაცნობე ბევრი ისეთი ფაქტიც, რაც მიუთითებდა, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე მთელი მათი გარემოცვა — მათ მიპასუხეს, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობას შეუძლია აღმოფხვრას ყველაფერი ეს ფხიზელი ზედამხედველობის, მოსწავლეთა ბინებზე ხშირი ინსპექციის, ჰიგიენის საკითხებზე რჩევა-დარიგების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ აზრს გამოსთქვამდნენ განათლებული და პატიოსანი ადამიანები, ამ შემთხვევაში მისი განხორციელება შეუძლებელია და სახეიროს არაფერს მოგვიტანს. სასწავლებელს ჰყავს ერთი ინსპექტორი, ორი ზედამხედველი და ერთი მეთვალყურე. მოწაფეთა ბინები ისეთ ჯურღმულებში და მიუვალ ადგილებშია მიმობნეული, რომ ტალახში ძალიან ძნელია მიაღწიო მათ ადგილსამყოფელს, დავუშვათ, რომ ამ პირებმა დაჰყვეს მოწაფეთა ბინები უბნებად და რიგრიგობით აკითხავენ მათ, თუმცა მეთვალყურეს ისედაც ბევრი მოვალეობა აწევს, ხოლო ინსპექტორი ამავე დროს სასწავლებლის საქმეთა მმართველიცაა, თითოეულს მოუწევს 25-30 ბინის შემოწმება. თუ ბი-

---

* მე გამახსენდა გამოკვლევა და სტატისტიკური მონაცემები ხერხემლის გამრუდების შესახებ, რასაც იმ მერხებისა და მაგიდების ცუდი აგებულება იწვევს, რომლებზედაც ბავშვებს მუშაობა უხდებათ. იმათ, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და სურვილი აქვთ დასკვნებისათვის მონაცემები ჰქონდეთ, შეუძლიათ თავიანთ გამოკვლევებში აღნიშნონ, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა ხერხემლის გამრუდება 80 და 90 პროცენტს აღწევს.

ნაზე წვევის ვადას განვსაზღვრავთ 4-6 საათამდე ან შვიდამდე. რადგან შეუძლებელია 3-4 ვერსის მანძილზე ღამით ჯურღმულებში ხეტიალი, ხოლო ერთი ბინიდან მეორემდე მისვლას 4-5 წუთი დასჭირდება, მაშინ ყოველ ბინაში შეიძლება დაყოვნდე არა უმეტეს 3 წუთისა, სამ დღეში კი — 10 წუთი. აბა მითხარით, რის გაკეთება შეიძლება ამ ხნის განმავლობაში? საერთოდ, თუნდაც ყოველდღიურად 20 წუთი დარჩეთ მოწაფის ბინაზე, სულერთია, თქვენი სტუმრობა ვერაფერს შეცვლის. მიხვედით, ნახეთ, რომ ბავშვი ცუდად ცხოვრობს, ცივა, შია, მისი ჯანმრთელობა საფრთხეშია. ამის შემდეგ როგორ მოგიბრუნდება ენა ურჩიო ჰიგიენურად, თბილად იცხოვროს და ა. შ. ეს ხომ მისი აბუჩად აგდება იქნება. ანდა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ უკითხავთ მას ლექციას მოვალეობის, ზნეობის, სხვისი საკუთრების პატივისცემის შესახებ... მაგრამ როგორც კი წამოხვალთ, იგი სახლის პატრონთან ერთად ენას გამოგიყოფთ, ნიშნის მოგებით. საქმეს არც მასწავლებლის კლასში დარიგება უშველის, და ეს შეუძლებელიც არის. მასწავლებელი მიჰყვება თავის საგნის პროგრამას და აუცილებლად უნდა გაიაროს ეს პროგრამა სასწავლო წლის მანძილზე, თუ არა და პასუხს სთხოვენ. თუ გავიხსენებთ იმ პირობებს, რომელშიც მას მეცადინეობის ჩატარება უხდება, მაშინ ადვილი გასაგებია, რომ მისთვის ძვირფასია ყოველი წუთი და დროს ვერ დახარჯავს ისეთ საქმეზე. რაც მისთვის ნაწილობრივ, ან, უფრო სწორედ, თითქმის სრულიად უცხოა...

რადგან დაახლოებით მაინც გაგაცანით სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა და მოსწავლეების მდგომარეობა, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა მასწავლებელზეც ვთქვა, მით უმეტეს, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ „ობზორში“ [2] დაიბეჭდა შენიშვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს მასწავლებლები აკლია, და ამის მიზეზი მათი ხელფასის სიმცირეა. შენიშვნის ავტორმა სწორი ცნობა მოგვაწოდა — სასწავლებელს მართლაც აკლია მასწავლებლები. მაგრამ აღნიშნული მიზეზის სამართლიანობაში ვერ დავეთანხმებით. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს ისეთივე ხელფასი აქვთ, როგორც თბილისის, გორის, თელავისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს. მაგრამ ამ სასწავლებელს მასწავლებლები მაინც აკლია და იქ წასვლის მსურველი ცოტაა, ხოლო თბილისის, ქუთაისის და სხვა სასწავლებლებში, გარდა ოზურგეთისა, მასწავლებლები ყოველთვის საკმაო რაოდენობითაა, ზოგჯერ კი ერთ საგანს რამდენიმე კონკურენტი ჰყავს. საჭიროა ითქვას ისიც, რომ სამეგრელოს სასწავლებლის მასწავლებელს შეუძლია მიიღოს, და ღებულობს კი-

დეც, სხვა სასწავლებლების მასწავლებლებზე მეტი, რადგანაც მათ უფლება აქვთ 12 გაკვეთილის შემდეგ იქონიონ ფასიანი დამატებითი გაკვეთილები. ასე რომ, არც ერთი მათგანი არ ღებულობს 48-50 მანეთზე ნაკლებს თვეში. სხვა სასწავლებლების სრულ შტატზე მყოფი მასწავლებლები კი 5 მანეთს ღებულობენ. ამგვარად, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლების ნაკლებობის მიზეზი ხელფასის სიმცირე კი არაა, არამედ სხვა გარემოება.

ეს გარემოება ორგვარია: პირველი და უმთავრესი — წმინდა ზნეობრივი მხარე, მეორე კი — მატერიალური.

რა ერთგულიც არ უნდა იყოს ადამიანი თავისი საქმის, როგორც არ უნდა უყვარდეს იგი, რა მსხვერპლის გასაღებადაც არ უნდა იყოს მზად, თუ საქმე მას უაღრესად ცუდ პირობებში აყენებს, იძულებულს ხდის გაჭირვებულად იცხოვროს, სპობს ყოველგვარ მის თვითმყოფობას, მას აუცილებლად გული გაუცივდება საქმეზე და ბოლოს მიატოვებს კიდეც. თუ იგი პატიოსანი ადამიანია, ვალდებულიცაა ასე მოიქცეს.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ხედავს, და არ შეუძლია არ დაინახოს, რომ სანამ საქმე ასეთ მდგომარეობაში იქნება, მიუხედავად მისი მძიმე შრომისა, მიუხედავად საქმისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა, ხელს შეუწყობს მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეთა გაზრდა-გამრავლებას, რომელთაც შერჩებათ მხოლოდ ის ცოდნა, რაც სასწავლებელში მიიღეს და ამ ცოდნას ცხოვრებაში მხოლოდ მოკეთის საზიანოდ და პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენებენ. შეიძლება ითქვას, რომ ზერელედ ნასწავლი კაცი, რომელსაც არ გააჩნია მტკიცე ზნეობრივი საფუძველი, უმეცარზე უარესია. ასეთ პირობებში სასწავლებელი ვერასოდეს ვერ შთაუნერგავს მოწაფეებს მისწრაფებას — გააგრძელოს და დაამთავროს სწავლა. დაარსების დღიდან, სამი წლის მანძილზე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელმა საშუალო სასწავლებლებში გაგზავნა მხოლოდ 4-5 მოწაფე. მასწავლებელს არ შეუძლია არ დაინახოს ის სიძნელეები და დაბრკოლებები, რადგან ყოველივე ამას თავის თავზე განიცდის, რაც ხელს უწყობს ასეთ უარყოფით შედეგებს, არ შეუძლია არ იფიქროს იმაზე, რომ თუ იგი სხვა საქმეში, მოღვაწეობის სხვა ასპარეზზე დახარჯავდა ამდენივე შრომას, შედეგები, როგორც ხარისხოვნად, ასევე რაოდენობრივად, უკეთესი იქნებოდა. თუ თავს დავანებებთ ამ საკითხისადმი ერთგვარ იდეალისტურ მიდგომას და საქმეს პრაქტიკული თვალსაზრისით განვიხილავთ, ე. ი. ავიღებთ მასწავლებელს, რომელიც თანახმაა იშრომოს, მაგრამ შრომაში თხოულობს იმას,

რაც ერგება ადამიანს, რომლისათვისაც მასწავლებლობა კაცობრიობის განმანათლებელი მიზანი კი არაა, არამედ უზრუნველყოფილი და მოხერხებული ცხოვრების საშუალება, მაშინ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სამსახურს მისთვის აზრი არა აქვს და თუ მსახურობს, მსახურობს მხოლოდ დროებით, მანამდე, სანამ შემთხვევა არ მიეცემა უკეთეს ადგილზე გადავიდეს. ხოლო უკეთესი ადგილის ძიება რომ დიდხანს არ დასჭირდება, ამაში მხოლოდ მაშინ დარწმუნდებით, როცა მის აწმყოს დაინახავთ. რას წარმოადგენს იგი მარტვილში? მოწყვეტილ ადამიანს მთელი ქვეყნიდან, რომლის ცხოვრებას იგი ასე თუ ისე მიეჩვია. ორი-სამი თვის განმავლობაში მას წარმოდგენა არ აქვს რა ხდება მარტვილს იქეთ, ცხენის-წყალს გაღმა. დიდი ნუგეში არც მდინარის გადალახვას მოაქვს, რადგან გაზეთებსა და წერილებს თბილისიდან 16 დღის დაგვიანებით ღებულობენ მაშინ, როცა მოსკოვიდან თბილისში ფოსტა 6 დღეში მოდის. არავის არ აინტერესებს იგი, არც მას არაფერი აკავშირებს არავისთან და არაფერთან. მე ისიც გამიგონია, თითქოს საქმისათვის უკეთესია, როცა მასწავლებელს არა აქვს საშუალება სხვა რამეზე დახარჯოს დრო, რომელიც საქმეს უნდა მოხმარდეს. ასეთი შეხედულება დიდი შეცდომაა! საქმე საქმედ უნდა დარჩეს, ხოლო გონებრივი ცხოვრება — გონებრივ ცხოვრებად. საქმის უკეთესად წარმართვისათვის ადამიანს ყოველთვის პირადი და გონებრივი ცხოვრება მატებს ძალას. მაგრამ მოვეშვათ ამას და შევხედოთ მის ყოველდღიურ ცხოვრებას. ბინის უქონლობის გამო იგი ისეთივე ქოხში ცხოვრობს, როგორშიც გლეხი, რადგან უკეთესს ვერსად პოულობს. სასწავლებელმა მათ „სახაზინო ბინა“ აუშენა, მაგრამ ამ ბინის შესახებ შეგიძლიათ იმსჯელოთ შემდეგი მონაცემებით: სახლის სიგრძე 3 საჟენია, განი ერთნახევარი, სიმაღლე — ერთი და დაყოფილია 6 ოთახად. თითო კაცს თითო ოთახს აძლევენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ გალიების სახურავიდან წვიმის დროს უმოწყალოდ ჩამოდის წყალი, რომელიც იატაკის ხვრელებშიც დგება, ზაფხულში კი მასწავლებელი ხშირად პოულობს საწოლზე ანკარას, ახლა თქვით, როგორ უნდა იცხოვროს ასეთ პირობებში ცოლშვილიანმა მასწავლებელმა? როცა საწოლს დადგამ, ნაბიჯის გადასადგმელი ადგილი აღარ რჩება; სკამს კი არა, ქვაბსაც კი ვერსად მოათავსებ... არ შეიძლება ყოველივე ამის სიტყვით გადმოცემა, კაცმა თვითონ უნდა ნახოს. მასწავლებელი იმასვე სჭამს, რასაც მარტვილის დანარჩენი მცხოვრებლები: მჭადს, ღომს და, საერთოდ, ყველაფერს, რაც სოფელში იშოვება. თუ ქუთაისში არ ჩავიდა, მთელი წელი გაივლის ისე, რომ საქონლის ერთ ნაჭერ ხორცს ვერ

იხილავს. პურის შოვნა შეიძლება, მაგრამ ადგილზე ერთი გირვანქა 10 კაპიკზე მეტი ჯდება, თუ არა და გამოიწერე ხონიდან ან ქუთაისიდან. თუ მასწავლებელს სერთუკი ან სხვა ტანსაცმელი გაეხა, უნდა ელოდოს არდადეგებს, რადგან სწავლის პერიოდში მას შვებულებას არ აძლევენ. ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ან დახეული ტანსაცმლით უნდა იაროს, ანდა თვითონ მიიკეროს ჯარისკაცივით. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ავადმყოფობაა. თუ რომელიმე მათგანი ავად გახდა — დაიღუპა კიდეც. თუ უშველის საკუთარი ბუნება — ხომ კარგი, თუ არა და რას იზამ! როცა 48 მან. ღებულობ, როგორ უნდა ბოიწვიო ექიმი ქუთაისიდან ან სენაკიდან, მარტვილს ხომ ექიმი შტატით არ ეკუთვნის... ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მასწავლებელი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს ისე უყურებს, როგორც დროებითი გადასახლების ადგილს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაუჩნდეს მას სასწავლებლისადმი სიყვარული, მისი მდგომარეობისადმი, მისი რეპუტაციისადმი ისეთი ზრუნვის გრძნობა, რომელიც საქმის უკეთესად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როცა მასწავლებელი სამსახურზე თანხმობას აცხადებს, მან იცის რაზეც მიდის; გადაწყვეტილი აქვს დროებით გაუძლოს იმ სივიწროვეს და უხერხულობას, რაც ელის; მაგრამ იგი რომ დიდხანს, ან სამუდამოდ დარჩეს აქ და კუბოს ფიცრამდე ითმინოს მთელი ეს უხერხულობა, ამაზე ფიქრიც ზედმეტია... ხოლო თუ რა დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელთა ხშირი ცვლა მოსწავლეების აღზრდაზე და სწავლაზე. შეუძლია განსაჯოს თითოეულმა, ამ საქმის არასპეციალისტმაც კი.

მე ვეცადე სწორი წარმოდგენა შემექმნა მკითხველისათვის სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელზე და სინამდვილეში არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ წარმოდგენა მხოლოდ დაახლოებითია და არა სრული. რომ გაიგო, ნათლად რომ წარმოიდგინო მათი მდგომარეობა, ამისათვის საჭიროა იცხოვრო აქ. გადაიტანო, განიცადო, საკუთარი თვალით ნახო ყოველივე ეს.

შემეკითხებიან, რამ მიიყვანა სასწავლებელი ამ მდგომარეობამდე? ნუთუ აღარაფერი ეშველება? თუ საქმე ამ მდგომარეობაში დარჩა, ყველაფერი დაიღუპება. ნუთუ ხელმძღვანელებს არაფრის გაკეთება, არ შეუძლიათ?

ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. განსაკუთრებით კი პირველზე, რადგან, თევზმა თქვა: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“, ამბობს ქართული ანდაზა. მაინც ვეცდები

მოვხაზო ის გზა, რომელმაც სასწავლებელი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ეს სასწავლებელი უწინ ორკლასიანი სამრევლო სკოლა იყო და იდგა მთაზე. მარტვილის გარეთ, ტაძართან, შემდეგ სკოლა ოთხ-კლასიან სასწავლებლად გადაკეთდა და 1867 წლის წესდების თანახმად, სხვა სასულიერო სასწავლებლებთან ერთად, გარდაიქმნა. მიუხედავად რეფორმისა, ადგილმდებარეობისა და მასწავლებელ-მოწაფეთა საყოფაცხოვრებო პირობების გამო, სასწავლებელს დიდი სარგებლობა არ მოუტანია და მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე უსწავლელები გაამრავლა ირგვლივ მდებარე სოფლებში. 1873 წელს სასწავლებლის შენობა დაიწვა და, რადგან მარტვილში არ აღმოჩნდა სასწავლებლისათვის დროებით გამოსადეგი შენობა, სასწავლებელი ქუთაისში გადაიტანეს. ქუთაისში გადატანის შემდეგ სასწავლებლის ხასიათი და ფიზიონომია, ისევე როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის მთელი მსვლელობა, მთლიანად შეიცვალა. მასწავლებლები საკმაო რაოდენობით მოგროვდნენ, სასწავლებლის დაქირავებულ შენობას არა უშავდა, მოსწავლეებისათვის საცხოვრებელი კორპუსი მოაწყვეს; ცარცის, მელნის, საშლელის საყიდლად 40 ვერსის გავლა აღარ უხდებოდათ; ავადმყოფობის შემთხვევაში იწვევდნენ ექიმს და, საერთოდ, სასწავლებელმა ნელ-ნელა წესიერი სახე მიიღო. მაგრამ ეს არ მოეწონათ ზოგიერთებს, რომელთაც ამ ამბავში სამეგრელოს დაღუპვა დაინახეს. დაიწყეს ზრუნვა სასწავლებლის ისევ მარტვილში გადასატანად *. როცა ყრილობას წინადადება მისცეს დაფიქრებულიყო, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება სასწავლებელი თუ მარტვილში გადაიტანენ, როგორ იცხოვრებენ იქ მოსწავლეები, სად მოაწყობენ საერთო საცხოვრებელს, სად იშოვნიან ექიმს და, ბოლოს, როგორ შეასრულებს სასწავლებელი მარტვილში სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდების იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც სულ სხვაა, ვიდრე სამრევლო სკოლისა, მაგრამ დეპუტატებს არაფრის გაგონება არ უნდოდათ... დეპუტატებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ, რომ სასწავ-

---

* მე ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გატანა იმ ოლქის გარეთ, რომელიც სასწავლებელს ინახავს, უკეთესი, ანდა უფრო სამართლიანი იქნებოდა. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სამეგრელოში მის ცენტრში უნდა იყოს, რადგან სასულიერო პირთათვის ასე უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვქონდა არა ეს, არამედ სულ სხვა, რაც ნათლად ჩანს იმ ამბიდან, რომ მარტვილი სამეგრელოს ცენტრში კი არ მდებარეობს, არამედ მის საზღვარზე...

ლებელს მიყრუებულ ადგილზე გადატანა დაღუპავს. წინადადება შეიტანეს სასწავლებლისათვის ისეთი ადგილი აერჩიათ, სადაც ყველა მოსალოდნელი ნაკლის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა. ზოგი სენაკს ასახელებდა, ზოგი ახალ სენაკს. დეპუტატები ხედავდნენ, რომ შეიძლება საქმე ჩაიშალოს და ამიტომ მსჯელობა აღარ დაუწყიათ. ჯობია დროებით გადავიტანოთ, შემდეგ კი ვიმსჯელებთ, გადაწყვიტეს მათ.

სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს, სანამ შენობის ასაგებად ადგილს აარჩევდნენ, სასწავლებელი მარტვილში გადაეტანათ. სამწუხაროდ, მარტვილში არ არსებობდა შენობა. მაშინ იმ პირმა, რომელიც ამ საქმეს სათავეში ედგა, განაცხადა, რომ 2 თვეში ააგებს შენობას და მართლაც ააშენა ფარდული, რომელშიც სასწავლებელი გადაიტანეს.

თუ რა გამოიწვია ამ ამბავმა, მკითხველმა უკვე დაინახა.

სასულიერო პირთა ერთი ნაწილი ხედავდა მთელ იმ მავნებლობას, და საფრთხეს, რასაც იწვევს არსებული მდგომარეობის გაგრძელება და როცა ამა წლის ივლისის ყრილობაზე იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა დეპუტატებს წინადადება მისცა — გამოენახათ სახსრები სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად, იმ გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის (დაახლოებით 40.000 მან.) მიხედვით, რომელიც სინოდმა დაამტკიცა, დეპუტატებმა განაცხადეს, რომ სამეგრელოში ასეთი შენობის აგება არ ღირს, რადგან სასწავლებლის მდგომარეობა ამით ოდნავადაც არ გაუმჯობესდება...

ასე რომ ეს საქმე უშედეგოდ დამთავრდა...

68. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 29 ოქტომბერი

გაზეთის მოწინავე სტატიები, კორესპონდენციები და ტელეგრამები გვაწვდის უამრავ ზუსტ და სწორ ცნობებს ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს ძალზე ძნელია გაერკვე, რა ხდება ახლა ევროპაში და რას უმზადებენ მომავალს ახლანდელი დიპლომატები და სახელმწიფო მოღვაწეები. უმთავრესი საკითხიც კი, რომლის გამო ამდენი სისხლი დაიღვარა და ამდენი მსხვერპლი გაიღეს, საკითხი იმის შესახებ, დამთავრდა თუ არა თურქეთთან ომი, ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არაა. თურქეთმა შეასრულა ბერლინის კონგრესზე ნაკისრი ვალდებულებანი რუსეთის მიმართ, მაგრამ ნამდვილი ხელშეკრულება ამ სახელმწიფოებს შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც ბერლინის კონგრესის [20] მსჯელობის საგანი არაა, ჯერ არ დადებულა. თავის მხრივ, რუსეთმაც შესანიშნავი სიზუსტით შეასრულა ბერლინის კონგრესის დადგენილებები და ყველაზე შარიანი დიპლომატიც კი ვერ აღმოაჩენს თურქეთისადმი მის დამოკიდებულებაში ბერლინის ტრაქტატის დადგენილებებიდან მცირედი გადახვევის შემთხვევას. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი. მეომარმა მხარეებმა ყველაფერი ისე შეასრულეს, როგორც საჭიროა. ამავე დროს ჩვენ ჯარებს დაკავებული აქვთ აღმოსავლეთ რუმელია და იძულებულნი არიან უფრო ადრე წაიწიონ წინ, ვიდრე დაიხიონ უკან. როგორც კი ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს დაკავებული ადგილები, მუსულმანებმა მაშინვე დაიწყეს ქრისტიანების ფანატიკური ხოცვა-ჟლეტა და ჯარი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ოტომანთა მთავრობა კი თავის მხრივ კვლავ აიარაღებს ჯარს და იმის მაგივრად, რომ რუსეთიდან დაბრუნებული ტყვეები სახლებში გაეშვა, საბერძნეთის საზღვარზე განლაგებულ არმიაში ჩარიცხა, ამ არმიის გასაძლიერებლად. ამგვარად, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ძალაში რჩება ყველა ის მიზეზი, რამაც განაპირობა თურქეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადება. მიუხედავად ავსტრიელებისაგან ბოსნიისა და ჰერცოგოვინის

ოკუპაციისა, ამ მიწაზე კვლავ იღვრება სისხლი, რასაც მხოლოდ სახე უცვალა ოდნავ ახალი მტრის გამოჩენამ. ჩერნოგორიელებმა ამდენხანს ვერ მოახერხეს თურქეთისათვის წართმეული მიწების დაბრუნება, თუნდაც ისეთი შეკვეცილი სახით, როგორც ეს ბერლინის ტრაქტატმა დაადგინა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს საბერძნეთმა არაფერი არ გააკეთა თავისი საზღვრების გასაფართოვებლად. ხოლო ომის შემდეგ ინგლისის დიპლომატიის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. საფრანგეთი და იტალია მაინც ცდილობენ განახორციელონ თავიანთი უაზრო იდეა—გააბერძნონ თურქეთის სლავიანური პროვინციები. ასე რომ, ვერც ომმა, ვერც ომის შემდგომ პერიოდში მთელი ევროპის დიპლომატების მეცადინეობამ — დაემშვიდებინათ ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობა, ჭეშმარიტ მშვიდობას ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა. საწვავი მასალის მთელი მარაგი, რომლის აფეთქება შეეძლო აღმოსავლეთის საკითხს, ჯერ კიდევ მზადაა ხანძრისათვის, თუმცა ხანძარი, რომლის ჩაქრობასაც სისხლით ფიქრობდნენ, იმავე ძალით გიზგიზებს. ასეთ პირობებში მშვიდობისათვის მზადება როგორღაც უცნაურია, თუმცა ახლა ყველა მშვიდობაზე ლაპარაკობს და მისი სიმტკიცის იმედი აქვს. კი, მაგრამ რა საფუძველზე? ეს აბეზარი კითხვა უნებურად უტრიალებს ყველას თავში...

აღმოსავლეთის საკითხმა სხვა ფორმა მიიღო, მაგრამ სინამდვილეში სრულიად არ შეცვლილა. თუ რუსეთ-თურქეთის ომამდე ეს საკითხი ევროპის სიმშვიდეს ემუქრებოდა, ახლა, როცა რუსეთს, ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთს, რომლებიც ადრე მემორანდუმებსა და ნოტებს უცვლიდნენ ერთმანეთს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჯარები ჰყავთ და მათი შეტაკებისათვის მცირედი გაუგებრობაც კი საკმარისია, ევროპის სიმშვიდეს ამით ბევრი არაფერი მოუგია. მიუხედავად დიპლომატების ფიცისა, თითქოს აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა ბერლინის ტრაქტატმა დააჩქარა, ჩემის აზრით, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. მაგრამ სად და როგორ გადაწყდება? ამ კითხვას თითქმის ვერავინ გასცემს პასუხს. ვარაუდი ბევრია, მაგრამ ყველაზე მართალი მათ შორის ისაა, რომ აღმოსავლეთის საკითხი ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მთელ აზიაზე გავრცელდა და მისი ნამდვილი მნიშვნელობა სწორედ აქ გამოირკვა. რუსეთის ძლევამოსილების გავრცელების წინააღმდეგ ინგლისის ჩუმი მეტოქეობა ახლა აშკარა მტრობად გადაიქცა და ლორდმა ბიკონსფილდმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეაჩეროს ეს მოძრაობა. მცირე აზიის რეფორმები, ე. ი. სულთანის გარდაქმნა ინდოეთის რაჯად, მიუხედავად ლეიარდის ენერგიისა და ოსტატობი-

სა, ჯერ კიდევ ვერ გასცდა დიპლომატიური მიმოწერის სფეროს, ამასობაში კი დიდი ბრიტანეთის დედოფლისა და ინდოეთის იმპერატორის დაუღალავმა პრემიერ-მინისტრმა ავღანისტანში ომი გამოიწვია. უკანასკნელი ტელეგრამა გვატყობინებს, რომ ჰაიბერის სამრეველოში სროლა ატყდაო. ცხადია, ინგლისელები ეცდებიან ეს ხმები უარყონ, რადგან სეზონი წინსვლის საშუალებას არ აძლევს ინგლისის ჯარს. ასე რომ, თუ ჰაიბერის სამრეველოში მართლაც ატყდა სროლა, მისი დაწყება შეეძლო მხოლოდ ემირს ანდა მის მორჩილ ტომებს. ეს უკვე ძალზე გაბედული ნაბიჯია, თვით მამაცი შირალისთვისაც კი, რომელიც არ შეუშინდა ინგლისის გამოწვევას; ყოველ შემთხვევაში, სამხედრო სამზადისმა ინდოეთის ჩრდილო საზღვრებთან უკვე მოუტანა დიდი სარგებლობა ევროპის სიმშვიდეს. ინდოეთის ჯარი, რომლის მეშვეობითაც ლორდ ბიკონსფილდი მზად იყო მთელს ევროპას შებრძოლებოდა, უკან დააბრუნეს. ინგლისს ვეღარ გადმოყავს მაშველი ძალები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რაც დიდი ხმაურით გვამცნო კონსტანტინოპოლმა, სადაც ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე მოამზადეს ყაზარმები და ინგლისის ჯარებისათვის მარაგი დაამზადეს (გაზეთის ცნობების მიხედვით), ინგლისს სჭირდებოდა მაშველი ძალები ინდოეთის არმიის გასაძლიერებლად, მაგრამ. ინგლისის არმიის დაკომპლექტების არსებული სისტემის გამო, მათი შექმნა და გაგზავნა ინგლისის მთავრობისათვის ადვილი ამოცანა როდია. ინგლისის სამინისტროს გაზეთები გვატყობინებენ, რომ ინდოეთის ბევრი ვასალი მთავარი ინგლისს ჯარსაც სთავაზობს და ფულსაც — ავღანისტანთან საომრად. ფულს, ცხადია, ინგლისი ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე აიღებს, მაგრამ ვასალთა ჯარების აღჭურვას, გაწრთვნასა და სწავლებას, ჯარებისა, რომელთაც აქამდე უფლებას არ აძლევდნენ თანამედროვე იარაღი ეტარებინათ, ვერ გაბედავს; ცხადია, ომის დროს ეს ჯარები მას ერთგვარ დახმარებას გაუწევენ, მაგრამ ომის შემდეგ შეუძლიათ ბევრი უსიამოვნება მიაყენონ, და საზრუნავი შემატონ ინგლისის მთავრობას. ამიტომ, ჩვენის აზრით, თუ ავღანისტანთან ომი დაიწყო, ამ ომში ინგლისი მხოლოდ თავის ჯარებს გამოიყენებს, და, რადგან საკმარისი რაოდენობით ჯარის თავმოყრა ინგლისს გაუჭირდება, ლორდ ბიკონსფილდს იმდენი საზრუნავი გაუჩნდება, რომ დრო აღარ ექნება საზეიმო სიტყვების წარმოსათქმელად და ნოტების დასაწერად — კონტინენტალურ სახელმწიფოებს შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით, რაც აქამდე ინგლისის პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა.

69. საკვირაო საუბრები

...დადგა შემოდგომა, რასაც თან მოჰყვა ჭყაპი და ბურუსი... სულს ტყვიის სიმძიმე აწევს. სევდა გიპყრობს, სუნთქვა გიჭირს... დაიარა-ვებულ კისერზე გირტყამენ და გირტყამენ, შენ კი დგეხარ და თავს იმით იმხნევებ, რომ წინ ზამთარია და საჭიროა ძალ-ღონის დაზოგ-ვა უფრო მძიმე განსაცდელისათვის.

ანდა ვინ მოიგონა ფელეტონების წერა შემოდგომაზე? ჩემთვის გასაგებია, როცა ფელეტონს გაზაფხულზე წერენ, როცა გული იმე-დითაა სავსე, როცა „არ იცი, რას იმღერებ, მაგრამ სიმღერა თავის-თავად მწიფდება“, როცა შენს ირგვლივ ყველაფერი მხიარულად გამოიყურება... ფელეტონის დაწერა ზაფხულშიც შეიძლება, როცა თვალნათლივ ხედავ გაზაფხულის იმედების ზრდას... მაგრამ შემოდ-გომაზე, როცა ფოთლები ცვივა, როცა ყველაფერს სინათლე აკლ-დება, როცა ყველას ცხვირი უგრძელდება... რისთვის და რაზე უნდა წერო? იქნებ „სამგლოვიარო მოტივებზე?“. მაგრამ ვისთვისაა ახა-ლი, სასურველი და სასიამოვნო ასეთი მოტივები? ...და მაინც დადგა შემოდგომა, როცა ყველაფერი, რაც ახალია, რაც ჰყვავის, რაც სი-ცოცხლითაა სავსე, ერთგვარ ანომალიას წარმოადგენს, რაღაც სი-მახინჯის მსგავსს. გამოერევა ზოგჯერ ჩვენში ისეთი წლები, როცა შემოდგომა იმდენად თბილი და ალერსიანია, რომ ხეები ხელახლა ჰყვავიან და იშლებიან, მეორედ იძლევიან ნაყოფს, მაგრამ ვინ არ იცის, რამდენად მახინჯი და უშნოა ბუნების ამგვარი გამოზაფხუ-ლება. და თუ ბუნებას, მსოფლიოს ამ უდიდეს მხატვარს, ბაძვით კარგი არაფერი გამოსდის, მაშინ ხომ ასჯერ უგვანო იქნება ის ვი-ღაც საწყალი ფელეტონისტი, რომელიც გაზაფხულს ბაძავს.

მიუხედავად ამისა, ფელეტონი მაინც უნდა დაიწეროს. ამას თხოულობს ჩვეულება. მაგრამ როგორ უნდა დაწერო ფელეტონი, როცა ვერავითარ საჭირბოროტო საკითხს ვერ შეეხები? გაზეთის ყველა სხვა განყოფილებაში ჟურნალისტს უფლება აქვს გადაღეჭი-ლი ღეჭოს, იყოს ბანალური, მაგრამ როცა ფელეტონს წერ, ვალდე-ბული ხარ თქვა „ახალი სიტყვა“, შეეხო ახალ მოვლენებს, იყო ორიგინალური, თავისებური, გამბედავი. ჩვენში კი ყველაფერ ახალს,

ყველაფერ ორიგინალურს გულცივად ხვდებიან, ყველგან უამრავ დაბრკოლებებს უქმნიან... მწერალმა რომ საკუთარი აზრი გაიტანოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაამტკიცოს, რომ ეს მისი აზრი არაა და არც ახალია, არამედ ყველა გამომცემლობის მიერ გადაღეჭილი. გაცვეთილი და გადაქექილია. მოძებნი საკუთარი აზრის სტროგატს რომელიმე ძველ გამოცემაში და საბუთად მოიყვან, მაგრამ გიპასუხებენ... „ძველად ბევრი რამ იწერებოდა, ახლა კი სხვა დროაო". დაიწყებ ძებნას და იპოვი საკუთარი აზრის მსგავს აზრს „გოლოსის"[27] ან „ნოვოე ვრემიას"[35] ფურცლებზე, მაგრამ ასეთ რამეს გიპასუხებენ: „სატახტო ქალაქის გაზეთებში ბევრ სისულელეს სწერენ, მათთვის ხომ კანონი არ არსებობსო!" გადაქექავ პროვინციულ გაზეთებს, იპოვი რამე შესაფერისს და ზეიმობ, ფიქრობ რომ გეშველა. მეტი უშიშროებისათვის გადააკეთებ კიდეც საკუთარ აზრს სხვისი შაბლონის მიხედვით... მაგრამ ამგვარი საშუალება ზოგჯერ გშველის, ზოგჯერ კი არა. აბა რას უნდა განიცდიდეს მწერალი. რომლისაგანაც ორიგინალურ აზრს კი არ მოითხოვენ, არამედ მიბაძვას; რომელიც იძულებულია ენერგიის დიდი ნაწილი იმის მტკიცებაში დახარჯოს, რომ ორჯერ ორი ოთხია, გადაღეჭილი გადაღეჭოს. სცადეთ და შეინარჩუნეთ ორიგინალობა და რიგიანი ფელეტონისტის სახე, როცა ასეთ შესანიშნავ მდგომარეობაში აღმოჩნდებით!...

ამგვარად, გვერდზე გადავდოთ ყველა ეს დაწყეველილი „ახალი" სიუჟეტი და ყველა ახალი აზრი. ისინი დამღუპველად მოქმედებენ ფელეტონებზე, ხოლო ფელეტონისტს ბოლოს უღებენ. ვიყოთ ბანალურნი ფელეტონის წერის დროსაც, ვღეპოთ გადაღეჭილი — ეს უფრო საიმედოა...

შევეხოთ ყოველდღიურ წვრილმანებს...

ამას წინათ ჩვენმა პედაგოგებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ი. მ. ნეველროვს. ცხადია, სადილზე ფელეტონისტი არ მიუწვევიათ. ზეიმს, სრულიად საფუძვლიანად, ოჯახური ხასიათი მისცეს, ე. ი. ხელქვეითნი უფროსს გაუმასპინძლდნენ. მოქეიფეთა სუფრა არ გაუზიარებია არც საზოგადოებას, რომლისათვისაც იღწვოდნენ პატივცემული თანამეინახენი და არც პრესას, რომელიც არსებითად იმავე აღმზრდელობით მუშაობას ეწევა... ამიტომ გასაგებია ისიც, რომ საზოგადოებამ და პრესამ ამ მოვლენის მიმართ ისეთივე გულგრილობა გამოიჩინა, როგორიც თვით ბატ. პედაგოგებმა მათ მიმართ...

მე არც განზრახვა მაქვს და არც ხალისი ამის გამო მკაცრად გავაანალიზო პატივცემული ი. მ. ნეველროვის მოღვაწეობა. მე არაფერი მესაქმება არც მასთან და არც მის მოღვაწეობასთან. სადილი მე

მხოლოდ ფელეტონისტის თვალსაზრისით მაინტერესებს. ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში იუბილარი იმდროინდელი რუსეთის საუკეთესო ადამიანებთან ამხანაგობდა და მეგობრობდა, რომ ბელინსკისა და სტანკევიჩის წრეში არც მთლად შეუმჩნეველი პიროვნება იყო... მე არ შევცდები, თუ ვიტყვი: პატივცემული იუბილარი მხოლოდ იმის წყალობით დაწინაურდა, რომ უფროსებს ახსოვდათ მისი ადრინდელი მეგობრობა გამოჩენილ ადამიანებთან. მახსოვს, ამ ორი წლის წინათ, როცა მე პრესაში მისი მოღვაწეობის წინააღმდეგ გავილაშქრე, ერთმა ქალმა, რომელიც ეკუთვნოდა ძლიერთა ამა ქვეყნისა, სერიოზული საყვედური მითხრა და განმიცხადა:

„ი. მ. ნეველოვი ხომ ბელინსკის მეგობარი იყო, როგორ შეიძლება მის წინააღმდეგ გალაშქრება?“.

ამავე დროს ძალზე უცნაური და სამწუხაროა, რომ ბელინსკის ამ „მეგობარსა და თანამშრომელს“ სადილი გაუმართა ისეთმა ხალხმა, რომელთაგან ნახევარს საერთო არაფერი ქონდა ბელინსკისთან, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც წმინდად ინახავენ და აგრძელებენ ბელინსკის ტრადიციებს, ბატონ ნეველოვს სადილებით კი არ გაუმასპინძლდნენ, არამედ...

აჩრდილთა გამოცხადება ჩვენს დროში აღარავის სწამს და ეს ამბავი სამწუხაროა. საინტერესო იქნებოდა სუდარაში გახვეული ბელინსკის ან სტანკევიჩის აჩრდილის გამოჩენა ამ პატივცემული სკიპერების ზურგს უკან, როცა ისინი დითირამბებს უმღეროდნენ ბატ. ნეველოვს! რას ეტყოდა ეს აჩრდილი ბატ. ნეველოვს ტკბილად მეტყველი სკიპერების სიტყვებს შორის... მოაგონებდა თუ არა იმ მოსწავლეთა გრძელ სიას, რომლებიც, მისი ჟინიანობის გამო, ბელინსკის მსგავსად, გარიცხეს მეცნიერების ტაძრიდან, როგორც „უნიჭონი“? ან იქნებ, უბრალოდ, თავიანთ ტრადიციებს შეახსენებდნენ: შეხედავდნენ და უსიტყვოდ ჰკითხავდნენ — რაა საერთო მათ და იმ კაცის მოღვაწეობას შორის, რომელსაც სკიპერები ხოტბას ასხამენ? ვინ იცის, კიდევ რას... მაგრამ სარწმუნო მხოლოდ ერთია: რომ გამოცხადდენ კიდეც სადილზე აჩრდილები, რომ თქვან კიდეც თავიანთი სიტყვა, დამხვდურთა და მოქეიფეთაგან მაინც ვერავინ შეიცნობდა და ვერავინ გაუგებდა მათ... თვით... პატივცემულ ი. მ. ნეველოვის სახეზედაც კი გაკვირვება აისახებოდა, ეს მართლაც მისი ყოფილი მეგობრის აჩრდილია თუ...

დროის დინება ადამიანს ცვლის და, როგორც გრანოვსკიმ სიკვდილის წინ თქვა, კარგი ქნა ბელინსკიმ, დროზე რომ მოკვდა...

მოხუცებულობაში ერთ ძველ ლიტერატორს არა ერთხელ უთქვამს თავისი ნაცნობებისათვის:

— ყველა ჩვენი მეგობარი შეიცვალა. ველარ იცნობ... ყველაფერი დაივიწყეს... საინტერესოა, რომ ეცოცხლა გაჰყვებოდა მათ კვალს გრანოვსკი თუ არა? ნუთუ იგიც ისეთივე ბნელეთის მოყვარული გახდებოდა, როგორც ყველა მისი ამხანაგი და მოწაფეა; ყველა ეს ჩიჩერინები [80], დმიტრიევები [81] და ასე შემდეგ?

ღმერთმა იცის, როგორ დაამთავრებდა ცხოვრებას გრანოვსკი „დროზე რომ არ მომკვდარიყო". მაგრამ ფაქტია, რომ ყველა, ვინც „დროზე არ მოკვდა" და დათმობებზე წავიდა, ჩიჩერინზე უარესები გახდნენ. დათმობას ყველგან და ყოველთვის ასეთი შედეგი მოსდევს. ადამიანები, რომლებიც უბადრუკ ოთახში ბელინსკისთან ერთად ლუკმა-პურს იყოფდნენ, ამთავრებენ იმით, რომ მდიდრულად მოწყობილ პალატებში მდიდრულ სადილს მიირთმევენ... ცხადია, გრიალებს სამხედრო მუსიკა, შამპანური წყალივით იღვრება და ოვაციებს ბოლო არ უჩანს... მაგრამ მე ბევრ ისეთ ადამიანსაც ვიცნობ, რომლებიც არა მარტო რამდენიმე ბოთლ შამპანურზე, არამედ ბატ. რიმარისა და ერვიეს მთელ მარანზედაც უარს იტყოდნენ, ოღონდ ჰქონოდათ ბედნიერება და ცხოვრება ისე დაეწყოთ, როგორც პატივცემულმა იუბილარმა დაიწყო, მაგრამ დასასრულის გამოკლებით.

* * *

ამ დღეებში მე გავეცანი ბატ. კერსკის საკმაოდ საინტერესო საანგარიშო მოხსენებას — 1873 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ჩატარებული რევიზიის შესახებ. ეს საანგარიშო მოხსენება საკმაოდ უცნაურ აზრს იწვევს ჩემში. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს დროში, კეთილმოქმედ რეფორმებსა და პროგრესზე ყვირილის შემდეგ, შეიძლება ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ წმინდა სისხლის მაგნიცკები? ამ საანგარიშო მოხსენებამ არაჩვეულების დროის სულისკვეთება გამახსენა. და თვალებს არ დავუჯერე, როცა საანგარიშო მოხსენებაში ასეთი რამ წავიკითხე: ამგვარი ამბები უწინაც ხდებოდა, მაგრამ მონდომებით მალავდნენ, ახლა კი ბეჭდავენ და ყველას აცნობენ... გულახდილობა, რა თქმა უნდა, კარგია, ისევე, როგორც საჯაროდ გამოტანა, მაგრამ იცით რა? ჯობია მაგნიცკებს ჩრდილში ვხედავდეთ, ვიდრე დღის სინათლეზე...

ბატ. კერსკის საანგარიშო მოხსენებაში ისეთი მარგალიტები და ბრილიანტები მოიპოვება, რომელთა მსგავსს ვერ ნახავთ ვიგელისა და მაგნიცკის ვერც ერთ მოხსენებაში. მაგალითად, „ნიჭის არა სწორი მიმართულებით განვითარებას" (არ დაგავიწყდეთ, სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის დაბალი კლასების მოსწავლეებისას)

იგი დანაშაულად თვლის და მოითხოვს „დამნაშავე დაისაჯოს“ (ნუთუ მოსწავლე!), მაგრამ მარტო დასჯა არ კმარა, ამბობს ბატ. კერსკი, უნდა გამოვიძიოთ ამ „ავადმყოფური მოვლენის“ მიზეზიც და ა. შ. „ავადმყოფური მოვლენის“ დანაშაულად გამოცხადებას, ალბათ, თვით ვიგელიც ვერ მოიფიქრებდა...

ბატ. კერსკის საანგარიშო მოხსენების ყველა წვრილმანზე შეჩერება არ ღირს: ამისთვის არ იკმარებდა „ობზორის“ [2] რამდენიმე ნომერი. მაგრამ მოხსენებიდან საერთო დასკვნის გამოტანა საჭიროა, მით უმეტეს, რომ ამ მოხსენებიდან იწყება მთელი ჩვენი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის ახალი პერიოდი და ურიგო არ იქნება გამოვარკვიოთ, ვინაა დამნაშავე ამ სასწავლებლებს რომ ახლა სამწუხარო ბედი ეწვია.

სემინარიაში მასწავლებლად მოხვდა რამდენიმე ზერელედ ნასწავლი და ჭკუათხელი ადამიანი. მასწავლებელთა მდგომარეობა სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში ისეთია, რომ განათლებული და ნიჭიერი კაცი ამ თანამდებობაზე იშვიათად წავა. ნება თქვენია, მაგრამ ყველას არ სიამოვნებს იცხოვროს მუდამ გაჭირვებაში, მუდამ ეჭვ ქვეშ და ვიღაცას ეპირფეროს. ამიტომ ეს თანამდებობები უნიჭოებს დარჩათ. და სწორედ ამ უნიჭოებმა, რომელთა შესახებაც ვლაპარაკობთ, დაიწყეს ადგილების დასაკუთრება. ისინი გრძნობდნენ, რომ ამ თანამდებობისათვის არ ვარგანან, ამიტომ შეუდგენ ისეთი გარეშე საშუალებების ძიებას, რაც მათ მდგომარეობას განამტკიცებდა. ყველა სუსტი მხოლოდ ერთ იარაღს იყენებს: ინტრიგას, დასმენას, დაბეზღებასა და ცილისწამებას. და აი დაიწყეს უნიჭოებმა ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგანობა, დასმენა... დასმენამ შედეგი გამოიღო. შეიქმნა ისტორია. ერთი მხარე პატრიოტიზმს ჩაებღაუპა, მეორემ, ცხადია, სეპარატიზმით უპასუხა. როგორც ასეთ შემთხვევებში მუდამ ხდება, კამათი ისეთ სფეროში გადაიტანეს, სადაც კამათი შეუძლებელია. იმის მაგივრად, რომ მშვიდად განეხილათ სწავლის ხარისხის მიზანშეწონილობა, ანდა გამოერკვიათ სამეურნეო დარგში მომუშავეთა კეთილსინდისიერება, დაიწყეს იმის ძიება, თუ ვინაა კეთილმზრახველი და ვინ საშიში... როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მოქმედებდნენ ბატისტვინა, უბადრუკი, მხდალი, მოუსაზრებელი ადამიანები... ხელმძღვანელები გაებნენ ინტრიგებისა და დასმენის ქსელში და დაამთავრეს იმით, რომ გადაჭრეს გორდიას კვანძი: ამგვარი შეხლა-შემოხლა რომ არ განმეორებულიყო, გარეკეს ერთნიც და მეორენიც, მაგრამ გადააჭარბეს და საანგარიშო მოხსენებაში რევიზორებს რჩევას აძლევენ — არ დაუშვან სემინარიაში ქართველები მასწავლებლებად...

ბატ. გოგებაშვილისა და K° მსგავსი ბრიყვები ყოველთვის ასეთ შედეგებს აღწევენ... მაგრამ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, განა სერიოზული და პატიოსანი ქართველები, რომელთაც სურთ გულწრფელად და ბნელი აზრების გარეშე ემსახურონ საკუთარი ქვეყნის განვითარებას, დამნაშავენი არიან ბატ. ტურიევის ან გოგებაშვილის სიბრიყვეში? თუ ეს უკანასკნელნი დამნაშავენი არიან რამეში და საქმე აქამდე მივიდა, დასაჯეთ ისინი. მაგრამ ბატ. კერსკი თვითონ წერს, რომ ბატ. გოგებაშვილი ნორმალური ადამიანი არაა, ხოლო ბატ. ტურიევი მხოლოდ უბადრუკი მატყუარაა. რატომ უნდა იტანჯებოდეს ასეთი ადამიანების გამო ყველა ქართველი, რა დააშავეს? ნუთუ იმის გამო, რომ ბატ. ტურიევი და გოგებაშვილი ჩუმად წერდნენ სიცრუით სავსე წერილებს, სადაც აბეზღებდნენ და ასმენდნენ სხვებს, ხელი უნდა ვკრათ და დავსაჯოთ მთელი ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც ამ უბადრუკ ადამიანებთან საერთო არაფერი ქონდათ? ბატ. კერსკი გარეშე კაცია. იგი ჩვენს მხარეს არ იცნობს. მას შეიძლება მართლაც მოსჩვენებოდა, რომ ინტრიგა და ცილისწამება ქართველებს ჩვევად გამოჰყვათ და სისხლში აქვთ, რომ ისინი ამ ბინძურ საქმიანობაში სეპარატიზმის გამო ვარჯიშობენ... მაგრამ ადამიანებმა, რომლებიც ახლო იცნობენ ჩვენს მხარეს, ხომ უნდა აღიმაღლონ ხმა სიმართლისა და სამართლიანობის დასაცავად. მათ უნდა შეაგნებინონ ბატ. კერსკის, რომ ამგვარი თვისებები სრულიად უცხოა ქართველებისათვის, რომელთა პატიოსნება და ერთგულება საუკუნეობით არის ნაცადი...

ამ საინტერესო თემას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით...

70. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 1 ნოემბერი

თუ ტელეგრაფი სწორად გადმოგვცემს ლორდ ბიკონსფილდის მიერ ჰილდჰოლში წარმოთქმული სიტყვის შინაარსს, მაშინ ეს უნდა იყოს დიდად პატივცემული პრემიერის ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში. ლორდ ბიკონსფილდი სახელგანთქმული დიპლომატია, სწამს დიპლომატიის ყოვლისშემძლეობა და ეკუთვნის იმ სკოლას, რომელიც ვარაუდობს, რომ ენა ადამიანს აზრების დასამალავად აქვსო ნაბოძები. ამიტომ ბუნებრივია, მან ისე სრულყოფილად მოამზადა ლონდონის საზოგადოებისათვის განკუთვნილი პოლიტიკური სიტყვა, რომ მისგან ვერაფერს გაიგებ, თავად უნდა მიხვდე და ამოხსნა.

ინდოეთში შეჭრა ფიზიკურად შეუძლებელია, ღაღადებს ბერლინის ტრიუმფატორი, მაგრამ მტერს შეუძლია უსიამოვნება მოგვაყენოს. კი მაგრამ როგორ—თუ კი მტრისათვის ინდოეთში შეჭრა ფიზიკურად შეუძლებელია? ანდა როგორ შევათანხმოთ ყოველივე ეს იმ იოლ საშუალებებთან, რომელთა მეშვეობითაც, დიდი ბრიტანეთის გაზეთების რწმუნებით, ინგლისი ავღანისტანის დაპყრობას აპირებს? ამისათვის ხომ საჭირო იქნება ხაიბერის გადასასვლელის გადალახვა, სადაც ჯარს მოძრაობა უჭირს, და მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა პეშავერასა და შიკარპურთან, ბოლანის გადასასვლელიდან კვეტაზე იერიშის შემთხვევაში? ინგლისს მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ერთი მტერი, რუსეთი, რომელსაც შეუძლია ინდოეთში შეჭრა; რუსეთი, ცხადია, მანამდე არ შეიჭრება ინდოეთში, სანამ ავღანეთის ემირთან კავშირს არ დასდებს. ასე რომ, თუ ინდოეთისაკენ დაიძრება, მას არ დასჭირდება ხაიბერის გადასასვლელის გადალახვა, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გზა პეშავერიდან ქაბულამდე იგივეა, რაც — ქაბულიდან პეშავერამდე, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი ინდოეთში შეჭრის დროს გაცილებით ნაკლებ დაბრკოლებას წააწყდება, ვიდრე ინგლისელები ავღანისტანში

შეჭრისას: ჯამადან ავღანისტანში გადასვლა, ბუხარის სამფლობელოებისა და მოკავშირე ემირის მიწების გავლით, მხედველობაში მისაღებიც არაა. ამიტომ, რუსეთის შეჭრა ინდოეთში ფიზიკურად შეუძლებელი არაა, ამასთან — ჩვენი ჯარების გამოჩენამ ავღანისტანში შეიძლება ინდოეთის იმპერიის ბევრი ნახევრადდამოუკიდებელი ვასალის აჯანყება გამოიწვიოს, რაც სრულიად გასაგებია. ამგვარმა მოვლენამ შეიძლება მართლაც დიდი უსიამოვნება მიაყენოს ინგლისს, მთელი მისი საზღვაო და სახმელეთო ძალების დარაზმვა მოითხოვოს და 240.000.000 ინდოელთა აჯანყების ჩასაქრობად კოლოსალური ხარჯები გამოიწვიოს. ასეთმა ვითარებამ შეიძლება მართლაც აიძულოს ლორდი ბიკონსფილდი მოუწოდოს მთელ ინგლისელ ხალხს — შეუნარჩუნონ დიდ ბრიტანეთს ინდოეთის იმპერია, და ეს იმიტომ კი არა, რომ ბერლინის ტრაქტატს [20] დაუჭირონ მხარი მთელი ენერგიით და ყველა საშუალებით, არამედ ინდოეთში თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად. ლორდ ბიკონსფილდს, ბოლოს და ბოლოს, არ შეუძლია დაუმალოს პარლამენტს, თუ რა კოლოსალური ხარჯებია საჭირო ინდოეთის დასაცავად ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებაში: მას მოუხდება აღიაროს პარლამენტის წინაშე, არა თავისი შეცდომა, არამედ იმ ვარაუდის სისწორე, თუ რა დიდადაა დამოკიდებული ინგლისის კეთილდღეობა კუნძულ კვიპროსის ხელში ჩაგდებაზე. კუნძული კვიპროსი, რომლის ხელში ჩაგდებამ ასე ნათლად გამოამჟღავნა ინგლისელები და ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკური გეგმების სიდიადე, ინდოეთში აჯანყების დაწყების შემთხვევაში, ინგლისელებისათვის მძიმე ტვირთი იქნება. ხოლო მცირე აზიაში ინგლისის ადმინისტრაციის დანიშვნა, მას შემდეგ, რაც მისი უდიდებულესობის მოხელეებს ინდოეთში საქმე აღარაფერი ექნებათ, არა მგონია მუსულმანურ სამყაროში ინგლისის პოლიტიკური პრესტიჟის დიდ წარმატებად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, შეიძლება არაფერი არ მოხდეს. როგორ შეიძლება რაიმე იწინასწარმეტყველო, როცა ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, მაგრამ საეჭვოა ლორდმა ბიკონსფილდმა თავი დააღწიოს ამ სიძნელეებს, თუ არ მოუწოდა ინგლისელ ხალხს მხარი დაუჭიროს მის პოლიტიკას და არ მოითხოვა დიდი ბრიტანეთის მთელი ენერგია და სახსრები მის განკარგულებაში გადავიდეს. მაგრამ ყველაფერი ეს ბერლინის ტრაქტატის მხარდაჭერის მიზნით არ მოხდება. საერთო აზრი იმ ქვეყნების წარმომადგენლებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ პოლიტიკური მონუმენტის აგებაში, საკმაოდ გამოირკვა. უკვე მომხდარი ფაქტები საბოლოოდ

ამტკიცებენ. რომ პრაქტიკულად შეუძლებელია საყოველთაო მშვიდობის თეორიის განხორციელება, როცა ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს ხალხთა ღირსების, არსებობისა და ძლიერებისათვის. უცხოეთის პრესა უკვე გვპირდება ახალ დიპლომატიურ კომბინაციებს, ეძებს ახალ კავშირს, იგონებს ევროპული სახელმწიფოების ახალ დაჯგუფებას, მაგრამ თუ რუსეთის და თურქეთის ურთიერთობა არ გაუმჯობესდება, ასეთი გართობა არავითარ შედეგს არ გამოიღებს. არსებულ პირობებში სხვადასხვა გონებამახვილური დიპლომატიური კავშირისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომელსაც შეუძლია განაპირობოს უდიდეს ევროპულ სახელმწიფოებს შორის ამგვარი კავშირი ურთიერთგაგებითა და ინტერესების სოლიდარობით. სიძულვილი რუსეთისადმი, სურვილი იმისა რომ შეაჩერონ მისი განვითარება, ყველაფერი ეს, საგარეო პოლიტიკის აბსტრაქტული იდეებია, რომლის გამოც ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და გერმანიას არ შეუძლიათ ერთდროულად დაესხან თავს რუსეთს. საფრანგეთს აქვს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ანგარიში გერმანიასთან; იტალიისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სახელმწიფოებრივი ზრდის ეპოქა, ხოლო საკუთარი სამფლობელოების შემდგომი ყოველგვარი გაზრდა მისთვის მხოლოდ ავსტრიის ხარჯზეა მოსახერხებელი. ინგლისი ყველგან წესრიგის, ევროპის სიმშვიდისა და წონასწორობის დამცველის როლში გამოდიოდა, მაგრამ ეს წონასწორობა მან დაარღვია თურქეთთან 1878 წლის 4 ივნისის კონვენციის დადებით, ხოლო წესრიგის დაცვა ინდოეთში ახლა უფრო მეტ ყურადღებას თხოულობს, ვიდრე ბერლინის სამშვიდობო ტრაქტატის სიწმინდის დაცვა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის უბედურმა ხალხებმა უკვე განაცხადეს პროტესტი ბერლინის ტრაქტატის დადგენილებების წინააღმდეგ, რამაც განთავისუფლებულ ადამიანებს საძულველი სამოთხე შეუქმნა. მათი პროტესტი გამოიხატა არა მარტო დიპლომატიური საბუთებით, არამედ მას დღემდე აცხადებენ იარაღის მეშვეობითაც, რასაც ყოველდღიურად დაღვრილი სისხლი ამძაფრებს, მაგრამ იმათთვის, ვინც კვდება ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში, ღირსების, არსებობისა და ქონების დასაცავად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვისი სისხლი იღვრება — თავაშვებული ბაშიბუზუკებისა, დისციპლინირებული ავსტრია-უნგრეთის ჯარისა თუ ორივესი ერთად. ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაშოშმინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ ნახევარკუნძულზე რუსეთის მიერ განთავისუფლებული ქრისტიანული კულტურის განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობებს შევქმნით, მაგრამ ამის

შესახებ არ უფიქრიათ ევროპელ დიპლომატებს ბერლინის კონგ-
რესსზე [20]. ამაზე არც ლორდ ბიკონსფილდი არ აპირებს ლაპარაკს
სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვებში. რაღა დარჩენია ამ უბედურ
დაბეჩავებულ ხალხს გარდა გააფთრებული ომისა, რაც ბერლინის
ტრაქტატის გამოცხადებისთანავე დაიწყო და უნდა დამთავრდეს
ისეთი ზავით, რომელიც ჯერ კიდევ წინაა და არა ისეთით, რომელიც
უკვე მოვლენათა უკან დარჩა.

71. ენების სწავლება ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში

თბილისი, 2 ნოემბერი

ჩვენ დაგპირდით, რომ დავუბრუნდებით სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში საქმის წარმოების ზოგიერთ გაუგებარ, უცნაურ მხარეებს. ახლა ვასრულებთ ამ დაპირებას და ვეხებით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს — ენების სწავლების საკითხს.

ცნობილია, რომ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების წესდებები და დებულებები უცვლელად და ადგილობრივ პირობებთან შეგუების გარეშე ვრცელდება საქართველოს ეგზარქატის ასეთივე სასწავლებლებზე. ამასთანავე, ყველა სხვა უწყება, რომელიც ამიერკავკასიაში იმპერიის საერთო კანონებსა და ღონისძიებებს ავრცელებენ, აუცილებლობად თვლიან ანგარიში გაუწიონ „ადგილობრივ პირობებს“ და, შესატყვისად ამისა, შესაფერისი „გამოყენება“ გამოუნახონ ამ კანონებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ მათ საყვედურიც კი ეთქმით ამ „ადგილობრივი“ პირობების მიმართ გადაჭარბებული სინაზისათვის. ჩვენი სასულიერო უწყება კი სრულიად არ უწევს მათ ანგარიშს... სასულიერო უწყებამ რატომღაც ჩვენი სასწავლებლები კოსტრომისა და ხარკოვის სასწავლებლების მიხედვით მოაწყო და გაკვეთილების ცხრილიც კი ამ სასწავლებლების ცხრილიდან გადმოიღო. მაგრამ შედეგებმა, რაც ასეთი გადმოღებისაგან გამომდინარეობს, უკვე თავი იჩინეს უკიდურესად უარყოფითი მხრით განათლების პროცესსა და დაწესებულებათა მოღვაწეობაზე...

მაგალითისათვის განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლება. ყველა დამეთანხმება, რომ ეკლესიის მომავალ მსახურთათვის, რომლებიც წარმოადგენენ ბუნებრივ რგოლს ხელისუფლებასა და ხალხს შორის, უაღრესად საჭიროა რუსული ენის ცოდნა. ამ ენის გარეშე მღვდელს სამსახური არ შეუძლია. კაცი, რომელმაც თავის ქვეყნის ოფიციალური ენა არ იცის, ნახევრად მუნჯია... მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ ჩვენი სასულიერო-

სასწავლებლების უწყებას, საჭიროა თუ არა, ყველგან თავი მოაქვს: იმით, თითქოს ყველაზე მაღლა რუსული ენის გავრცელების საკითხს აყენებს... თუ რამდენად უსაფუძვლოა ამგვარი განცხადება, თუ რამდენად არასწორია მტკიცება, თითქოს უწყება გულწრფელად მიისწრაფის ამ მიზნისაკენ ან უნარი შესწევს გონივრულად მიუახლოვდეს მას — დაგვანახებს იმ საკითხის განხილვა, თუ როგორ .ასწავლიან რუსულ ენას ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში.

თავისთავად ცხადია, რომ ამ ენის სწავლება კოსტრომის რომელიმე სემინარიაში საკმაოდ იოლია — ყველა იქაურმა მოწაფემ იცის დედაენა. მათ მხოლოდ გრამატიკა უნდა ასწავლო, ხოლო როცა ენა იცი, გრამატიკაც იოლი შესასწავლია, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს ყველა სხვა საგნის სწავლა დედაენაზე. აი, რატომ ვთვლით ჩვენ ბუნებრივად, როცა რუსულ სემინარიებში ან სასწავლებლებში რუსული ენის გაკვეთილების რაოდენობა შეზღუდულია. მაგრამ ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ახალმიღებულ მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ რუსულ ენაზე და სადაც ყველა საგანს გაუგებარ ენაზე, ზუთხივით სწავლობენ, უცნაურობაზე მეტიცაა რუსული ენის გაკვეთილების ისეთივე რაოდენობით დაწესება, როგორც მიღებულია კოსტრომის ან ტულის სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში. ჩვენში სწორედ ასეთ უცნაურ და დაუჯერებელ ფაქტს აქვს ადგილი...

მკითხველები ალბათ სიტყვიერად ამას არ დაგვიჯერებენ, მაგრამ ჩვენ უფრო შორს წავალთ და ვიტყვით, რომ რუსულ ენას სრულიად არ ასწავლიან ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ამ დაწესებულებათა გაკვეთილების ცხრილს.

რუსული ენის გაკვეთილების რაოდენობა ყოველკვირეულად:

I. სასულიერო სასწავლებლებში: პირველ კლასში — 1, მეორეში — 3, მესამეში — 3 და მეოთხეში — 1.

II. სემინარიებში რუსულ ენას სრულიად არ ასწავლიან; მის მაგივრად სწავლობენ ეგრეთ წოდებულ სიტყვიერებას, მაგრამ პირველ კლასში სიტყვიერების გაკვეთილი 3-ია, მეორეში — ასევე 3; ხოლო მესამე, მეოთხე, მეხუთესა და მეექვსეში ამ საგანს სრულიად არ ასწავლიან!

ვიღებთ რა მხედველობაში დღესასწაულებს, მასწავლებლებისა და მოწაფეების მიერ გაკვეთილების გაცდენას, ჩვენ ვსვამთ ასეთ კითხვას: აქვს კი ფიზიკური შესაძლებლობა ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში მოხვედრილ მეგრელ, კახელ ან ოს

ბავშვს ცოტათი მაინც შეისწავლოს რუსული ენა, როცა სასწავლებელში მიღებამდე წარმოდგენა არ ჰქონდა მასზე? ყველა დამეთანხმება, რომ ამგვარ სასწაულს არა თუ ამ ბავშვებიდან, არამედ ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი ბავშვებიდანაც არ უნდა მოველოდეთ...

რით უნდა აიხსნას ამგვარი დაუდევრობა? ნუთუ ვერ შეამჩნევდნენ ამგვარ უცნაურობას ბატ. კუვშინსკები და K°, რომლებიც ოფიციალურ მოხსენებებში „რუსეთის" სულის გამავრცელებელთა ხელსაყრელ როლში გამოდიან, თუკი ისინი მართლაც ზრუნავენ იმ საქმის ინტერესებისათვის, რომელსაც თითქოს „თავგანწირვით" ემსახურებიან? თუ დავუშვებთ, რომ ისინი გულწრფელად იღწვიან საქმისათვის, მაშინ, ცხადია, მათ უნარი არ შესწევთ ემსახურონ თავიანთ საქმეს, რადგან ხუთი წლის მანძილზე ვერ შეამჩნიეს ასეთი არანორმალური მოვლენა...

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ერთი შენიშვნა ამ საკითხზე საკმარისი იქნება იმისათვის, რომ სათანადო პირებმა ყურადღება მიაქციონ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის გაკვეთილების გაზრდის აუცილებლობას, — რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ხარისხზე. თუ არა და ჩვენ კვლავ გავხდებით ისეთი სკანდალის მოწმე, როგორიც ამას წინათ მოხდა ხარკოვის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს. თბილისის სასულიერო სემინარიის აღზრდილი, აწ გარდაცვლილი დედაბეროვი რუსულ ენაში ჩაიჭრა, მაგრამ მასწავლებლებს განუცხადა და დაამტკიცა კიდეც, რომ თბილისის სემინარიაში რუსულ ენას სრულიად არ ასწავლიან...

ასეთსავე პირველ პლანზე უნდა იდგეს ქართული ენის შესწავლაც, როგორზედაც ჩვენ რუსული ენის შესწავლა დავაყენეთ. ჩვენი მართლმადიდებლური სასულიერო-სასწავლო დაწესებულებები დაარსებულია იმისათვის, რომ ჩვენს მართლმადიდებლურ ქვეყანას მოემსახუროს და არა მუსულმანებსა და სხვებს. ამავე დროს, ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებლური მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი და ცხრა მეათედი პროცენტი, თუ მეტი არა, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს. თუკი მისიონერი, რომელმაც ჩინელები უნდა გაანათლოს, წინასწარ სწავლობს ჩინურ ენას, მაშინ მით უფრო ბუნებრივია, რომ მომავალმა ეკლესიის მსახურმა, რომელსაც სურს ქრისტეს მოძღვრებით ქართველების განათლება, საფუძვლიანად უნდა იცოდეს მომავალი სამწყსოს ერთადერთი ენა... ჩვენს დროში უკვე აღარავინ უდგება მღვდლის მოვალეობას იმ აზრით, თითქოს მისი საქმე მხოლოდ დაზეპირებული ლოცვების წარმოთქმაა... მღვდელი ჭკუას უნდა არიგებდეს სამწყსოს, მისი ზნეობრივი მას-

წავლებელი და ხელმძღვანელი უნდა იყოს. როგორღა მიაღწევს იგი ამას, თუ არ იცის ის ენა, რომელზედაც სამწყსო ლაპარაკობს? და ნუთუ ჩვენ სასჯელად გვადევს მუდმივად ვიყოთ იმ უცნაურობის მოწმე, რაც ბევრ ჩვენს მკითხველს არა ერთხელ უნახავს ეკლესიაში უკანასკნელი წლების მანძილზე, როცა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ჩვენი სემინარიის კურსი დაამთავრა, სამწყსოს ჩიქორთული ქართულით ელაპარაკებოდა და არიგებდა. ვინ არ იცის რომ ხალხი, მიუხედავად ქართველების ტრადიციული მოწიწებისა ღვთის ტაძრისადმი, ძლივს იკავებდა ღიმილს, რადგან ახალგაზრდა მღვდელი უმეცრების გამო ქართულ ენას ამახინჯებდა და ეკლესიის შესაფერისი გამოთქმების ნაცვლად ხმარობდა ორაზროვან სიტყვებს. უნდა დამეთანხმოთ, რომ ამგვარი მდგომარეობა გამოიწვევს უფრო სერიოზულ სკანდალს, ვიდრე ეს განსვენებული დედაბეროვის განცხადებამ გამოიწვია ხარკოვში.

ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის საფუძვლიანად სწავლების აუცილებლობის მტკიცება იმავე აზრის განმეორება იქნება, რომელიც მე დაწვრილებით განვავითარე ამ ხუთი წლის წინათ „ტიფლისკი ვესტნიკის"[3] ფურცლებზე [82]. დავსძენთ მხოლოდ, რომ აუცილებელია ქართულ ენას მეტი გაკვეთილები დაეთმოს, ვიდრე რუსულ ენას უთმობენ კომერციულ სასწავლებლებში, რადგან რუსული ენა რუსეთის ყველა ოლქისათვის ერთია, ხოლო იმერული, კახელი, გურული და თუში სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობს. სიტყვა, რომელსაც გურიაში ზედმიწევნით ზრდილობიანი მნიშვნელობა აქვს, ქართულში ზოგჯერ უზრდელობად ითვლება. კახეთისათვის ზრდილობიანი გამოთქმა სამეგრელოში ზეგჯერ მიუღებელია. საჭიროა სერიოზული მუშაობა ენის დასახვეწად და ეკლესიის მომავალ მსახურთ ისეთი ენა უნდა ვასწავლოთ, რომელიც თანაბრად გამოდგება საქართველოს ყველა კუთხეში და ზრდილობიანი ფორმა ექნება...

ვნახოთ ახლა ჩვენი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების ცხრილებში რამდენ გაკვეთილს უთმობენ ეკლესიის მსახურთათვის ასე საჭირო ენის შესწავლას.

სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას კვირაში დათმობილი აქვს: პირველ კლასში — 1 გაკვეთილი, მეორეში — 1, მესამეში — 2, მეოთხეში — 2.

სემინარიებში: პირველ და მეორე კლასში ქართულ ენას სრულიად არ ასწავლიან, ხოლო მესამე, მეოთხე, მეხუთესა და მეექვსეში — კვირაში ერთ გაკვეთილს უთმობენ. თუმცა ამ გაკვეთილზეც ენას კი არ ასწავლიან, არამედ წმინდა წიგნების კითხვას,

რომლებიც საეკლესიო შრიფტითაა დაბეჭდილი. ახლა კი თვითონ განსაჯეთ, ამგვარი სწავლების შემდეგ რამდენად უნდა ფლობდნენ ჩვენი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების აღზრდილები მომავალი სამწყსოს ენას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სასულიერო სასწავლებლები რუსულ ენას ხომ ვერა და ვერ ასწავლიან სასულიერო პირებს, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად უწყობენ ხელს მათ მომზადებას მომავალი სამსახურისათვის... ბატ. კუვშინსკებმა და K°-მ, როგორც ვხედავთ, საქმისა და იმ მისიის ინტერესები, რომლითაც თავი მოაქვთ, მსხვერპლად მიუტანეს ფორმალობას, საქმის გაუაზრებლად წარმართვას... ოღონდ ფორმა იყოს დაცული, ოღონდ წესდების ყველა მუხლი იყოს ზედმიწევნით გამართული, დანარჩენი ყველაფერი წყალს წაუღია. მაგრამ პედაგოგებისათვის ყველაზე ავტორიტეტული ინსტრუქცია, რომელიც ყოველთვის იარსებებს და ყოველთვის საფეძვლიანი იქნება, ამბობს, რომ წესდების სიტყვა-სიტყვით დაცვას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იგი მხოლოდ ცხედარია...

კურიოზი რომ ნათლად გამოჩნდეს, ჩვენ შევჩერდებით ბერძნული და ლათინური ენების გაკვეთილების რაოდენობაზე ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში.

ბერძნულ ენას კვირაში დათმობილი აქვს: I. სასულიერო სასწავლებლებში: პირველ კლასში — 0 მეორეში — 5, მესამეში — 7, მეოთხეში — 9;

II. სემინარიებში: პირველ კლასში — 5, მეორეში — 5, მესამეში — 5, მეოთხეში — 5, მეხუთეში — 2 და მეექვსეში — 2:

ლათინურ ენას კვირაში დათმობილი აქვს: I. სასულიერო სასწავლებლებში: პირველ კლასში — 9, მეორეში — 5, მესამეში — 5 და მეოთხეში — 4;

II. სემინარიებში: პირველ ოთხ კლასში ოთხ-ოთხი გაკვეთილი კვირაში, ხოლო ორ მომდევნო კლასში ამ ენას არ ასწავლიან.

უნდა ვაღიაროთ, რომ სიღნაღის ან ახალციხის მღვდლისათვის, რომელსაც არ შეუძლია სწორად წარმოთქვას ან დაწეროს ორიოდე სიტყვა რუსულად და უნარი არ შესწევს გამართულად წარმოთქვას ქართულ ენაზე მოკლე შეგონება, დიდად სასარგებლო და აუცილებელი არაა იულიუს ცეზარის კომენტარიებისა და ქსენოფონტეს თქმულებების თარგმნა...

რაც შეეხება ცოცხალი უცხო ენების სწავლებას — ჩვენ ამ საგანს განსაკუთრებული სერიოზულობით არ ვუდგებით და ამიტომ არც წვრილმანებზე შევჩერდებით. მაგრამ რადგან ბატ. კუვშინსკები და K° ყველაფერში წესდებას ეყრდნობიან, ჩვენ უნდა შევახსენოთ

მათ, რომ, როცა ეს მათ ჭირდებათ, მშვენივრად შეუძლიათ გვერდი აუარონ წესდებას. მაგალითად, ფრანგულ და გერმანულ ენებს სემინარიაში წრულიად არ ასწავლიან. ამ ენებს დღეს ერთი ასწავლის, ხვალ—მეორე. წესით, კვირაში ამ ენებს ორ-ორი გაკვეთილი უნდა დაუთმონ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში „ეძებენ“ ამ ენების მასწავლებლებს ორი-სამი თვის განმავლობაში, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მათ ასწავლის ან თვითონ კუვშინსკი, ან ვინმე სხვა მისი ამალიდან. ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თითქოს ეს ხდება ამ გაკვეთილებიდან ზედმეტი მანეთების საშოვნელად, თუმცა, ბატ. კერსკის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენ გვხვდებოდა ადგილები, სადაც თვით სემინარიის რექტორი აღიარებდა მსგავს ანგარიშს... მაგრამ ეს წვრილმანია. შემდეგ აჰყავთ ვინმე ამ ენების მასწავლებლად, უნიშნავენ ჯამაგირს „გაკვეთილების მიხედვით“. თუ გააცდენს მასწავლებელი გაკვეთილს, მით უკეთესი, ნაკლები ფული დაიხარჯება... წლეულს, მაგალითად, ორი თვის განმავლობაში საერთოდ არ ჰყავდათ ფრანგულისა და გერმანულის მასწავლებლები, ასწავლიდა ბატ. კუვშინსკი... რევიზორის ჩამოსვლის დროისათვის, სემინარიის შენობაში უცებ გამოჩნდნენ ფრაკებში გამოწყობილი ვიღაც „სპეციალისტები“ ფრანგულისა და გერმანული ენების მასწავლებელთა როლში! დავუმატოთ ისიც, რომ ამ ენათა საკლასო ოთახებად გამოყენებულია სხვა კლასების წინკარები... აი, როგორ შეუძლიათ წესდებისათვის გვერდის ავლა მის ცრუ თაყვანისმცემლებს, როცა ეს მათ ხელს აძლევს...

ასეთი სავალალო სურათი წარმოგვიდგა ჩვენ, საქმის მხოლოდ ერთი მხარის ახლოდან განხილვისას — კერძოდ, ენების სწავლების საკითხისა სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში. მაგრამ დროა შევწყვიტოთ სიტყვა, თორემ მსგავსი მიუწვდომელი უცნაურობებისაგან სულს მეტისმეტი სიმძიმე აწვება... ამოგვასუნთქეთ!..

72. საკვირაო საუბრები

ისევ პიროვნებაზე და პიროვნულ ანგარიშსწორებაზე. — მშურს ი. ი. რეშეტისა. — რატომ არ უყურებს ეკვის თვალით და ბრალს არ დებს ე. პ. სტარიცკი ი. ი. რეშეტს „პირადი ანგარიშსწორებისათვის". — უკმეხობა, როგორც სრულიად მისაღები ლიტერატურული ხერხი. — სხვაობა ჭკვიანსა და უგუნურ ადამიანებს შორის. — ახალი პასუხი ბატ. გოგებაშვილს. ჩემი წინასწარმეტყველება გოგებაშვილზე, დაბეჭდილი 1873 წელს. — იგი მე ბრალს მდებს, თითქოს მისი ლიტერატურული დიდება მივითვისე. — „შენი შენიანებიდან". — ლიტერატურულ მოგონებათა ნაწყვეტები. — იმის შესახებ თუ როგორ მუშაობდა დამჟავებული პატრიოტი რუსული გაზეთებისათვის და არ მუშაობდა ქართულისათვის. — ახალი ბანური ორი ენის შესახებ, რომელიც ხოტბას ასხამს „ივერიასა" და „ტიფლისკი ვესტნიკში" დაბეჭდილ თავის სტატიებს. მიმართვა დოქტორ კრუპოვისა და „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქტორისადმი.

მე უკვე არა ერთხელ დამიწერია, რომ ჩვენში თითქმის შეუძლებელია აწარმოო რამდენადმე რიგიანი პოლემიკა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებსა და მოვლენებზე. რაზედაც არ უნდა ილაპარაკოთ, როგორ აღმაშფოთებელ უსამართლობასაც არ უნდა შეეხოთ, როგორი საერთო საკითხებიც არ უნდა წამოაყენოთ, თქვენი მოწინააღმდეგეები ყველაფერ საერთოს და საზოგადოებრივს გვერდს აუვლიან, რათა კამათი დაიყვანონ უნაყოფო კინკლაობამდე პირადად მათი ან თქვენი პიროვნების ირგვლივ. მათ თვალში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს პიროვნული ინტერესებია და ეს ინტერესები ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული, ჩრდილავს ყოველივე დანარჩენს. და რადგან ყველა თავისთავის მიხედვით მსჯელობს სხვებზე, ამიტომ ყველა მოწინააღმდეგეს ჰგონია, რომ თქვენი სიტყვების სახელმძღვანელო მოტივები და საქციელი მხოლოდ პირადი ინტერესებითაა ნაკარნახევი...

ასჯერ უფრო ბედნიერნი არიან მწერლები, რომელთაც არ უხდებათ ამგვარი ნეხვის გადაქექვა და არ იხრჩობიან მის სიმყრალეში. მშურს მე ამ მწერლების, მაგალითისათვის, თუნდაც ი. ი. რეშეტისა. იგი ჩემზე რბილად და მორიდებულად არ წერს, უწყალოდ „ეხება" ყველას, ვიზედაც ლაპარაკობს: წაიკითხეთ თუნდაც მისი უკანასკნელი სტატია „ობზორის"[2] გუშინდელ ნომერში. პატივცე-

მული ე. პ. სტარიცკი მილიონჯერ მეტ პატივისცემას და მორიდებას იმსახურებს ყოველ მხრივ, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს ყველა გოგებაშვილი და ღოღობერიძე. მიუხედავად ამისა, ამ სტატიაში, თქვენ თვითონ იცით, როგორაა ის გამოყვანილი... ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ როგორც თვითონ ი. ი. რეშეტი, ასევე „ობზორის“ რედაქტორი, რომელმაც ეს სტატია დაბეჭდა, დიდად აფასებენ ე. პ. სტარიცკის ღვაწლს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, ძალზე მკვახედ გამოეთქვათ აზრი მასზე და მის ღვაწლზე. ი. ი. რეშეტი რომ ისეთივე უბედური ყოფილიყო, როგორიც მე ვარ, ე. პ. სტარიცკი იმ წამსვე აიღებდა ხელში მოოქრულ კალამს და გაზეთ „კავკაზში“ [19] გაგზავნიდა დაახლოებით ასეთი შინაარსის უარყოფას:

ბატ. რეშეტმა, ბოლოს და ბოლოს, იპოვა ხელსაყრელი შემთხვევა, გადმოენთხია ჩემს თავზე ბრაზისა და სიძულვილის ნაკადი. მე ამას ყოველთვის მოველოდი მისგან, რადგან იგი სრულიად არ მალავდა განზრახვას, გაველანძღე „ობზორის“ ფურცლებზე და იმუქრებოდა, რომ ამას ჯავრის ამოყრის მიზნით აკეთებს... თუ რამდენად სამარცხვინოა ბატ. რეშეტის ამგვარი საქციელი ყველაზე უკეთ იმ ადამიანებმა იციან, ვინც იცნობს ჩვენს პირად ურთიერთდამოკიდებულებას. ყველასათვის ცნობილია, რომ მე მისი უფროსი ვიყავი, როცა სასამართლო პალატის თავმჯდომარის თანამდებობა მეჭირა, იგი კი ჩემი ხელქვეითი იყო და მხოლოდ ამ პალატის წევრი. ბატ. რეშეტი ყოველთვის მელაქუცებოდა, სურდა ჩემთან დაახლოება. მთელმა თბილისმა იცის, რა ხშირად მეჩურჩულებოდა იგი, როცა ერთად ვისხედით პალატის სხდომაზე... მეუბნებოდა ქათინაურებს, თითქოს მე ყველაზე დამაჯერებლად და საქმიანად ვწერ განაჩენს და ბავშვური აღტაცებით აქებდა ყველასთან ჩემს შრომას — „Межевое положение“ არაერთხელ უთხოვია ჩემს თავზე ამეღო ნაწილი მისი შრომისა... მაგრამ მე არ ვენდობოდი მას და თავს ვარიდებდი. მას იმედი ჰქონდა ამგვარი ქცევით დაწინაურდებოდა და ეგონა, რომ მე დასაჯილდოებლად წარვადგენდი... მაგრამ როცა იმედები არ გაუმართლდა, ჩემზე სხვაგვარად აღარ ლაპარაკობდა, თუ არა დორბლმორეული... აი, ბატ. რეშეტის ზნეობა...“

საუბედუროდ, ბატ. სტარიცკი ძალზე ჭკვიანია და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოწმისა და დეტალის დასახელება შეუძლია, ამგვარ პასუხს მაინც არ დაწერს... მას შესანიშნავად ესმის. რომ კამათი ბატ. რეშეტის ზნეობრივ სახეს ან გულისწადილს კი არ ეხება, არამედ მიჯნების საქმის შესაძლო „გარდაქმნის“ ავ-კარგიანობას. ბატ. რეშეტი რომ არქიუზნეო ადამიანი, ან კორსიკელივით შურის-

მაძიებელი, ანდა სემინარიის საავადმყოფოსათვის მატყლის შესყიდვის შესახებ დაბეზღებასავით ცრუ იყოს, მისი შენიშვნები მიჯნების საქმის შესაძლო გარდაქმნის შესახებ მაინც ისეთ შენიშვნებად დარჩება, რომლებიც ყურადღებასა და უარყოფას მოითხოვს....
აი რატომ არ სწერს ბატ. სტარიცკი ცილისმწამებლურ წერილს. მან კარგად იცის რამდენად უსუსური იქნება ამგვარი წერილი. ამიტომ იგი საქმეს მოჰკიდებს ხელს და ეცდება ან უარყოს ბატ. რეშეტის შენიშვნები, ანდა მიიღოს მისი მითითებები...

ნაგრამ სად მოვძებნო ისეთი მოწინააღმდეგეები, როგორიც ბატ. სტარიცკია? მსგავსი ჭკვიანი და პატიოსანი ადამიანები იშვიათად აძლევენ მწერალს თავდასხმისა ან მათ წინააღმდეგ გალაშქრების საბაბს. მაშინაც კი, როცა ისინი ამის საბაბს იძლევიან, მათ ესმით, რომ თავდამსხმელს სიკეთის გრძნობა ამოძრავებს და ეს სრულებით არაა მისი ულირსობისა და სიბინძურის დამამტკიცებელი საბუთი, ესმით, რომ საქმე კამათის არსშია და არა ფორმაში... მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბატ. რეშეტის მკვახე ტონი გასაგები და მისაღებია ბატ. სტარიცკისათვის: იგი უთუოდ მიხვდება, რომ ბატ. რეშეტი იძულებული იყო უაღრესად მკვახე წერილი დაეწერა, რათა საზოგადოების ყურადღება მიექცია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისათვის. რომელიც ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. ძალზე ვწუხვარ, რომ ჩვენი პრესის პირობებმა შესაძლებლობა არ მოგვცა მეტი სიმკვახე გამოგვეჩინა, რადგან საქმე ამით მხოლოდ მოიგებდა...

მაგრამ სუსტი და შეზღუდული ადამიანები ასე არ ეკიდებიან კამათს, რაც ჟურნალისტისათვის აზრის გამოთქმის უმთავრესი საშუალებაა. საკმარისია მათზე რამე წამოგცდეს და მაშინვე კალამს ჰკიდებენ ხელს. უარყოფის მიზნით გზავნიან „ტიფლისკი ვესტნიკში“,[3] ზემოთ მოყვანილი შაბლონის მიხედვით, ხელაღებულ ცილისწამებებს...

ცხადია, არ ღირს პასუხის გაცემა ამგვარ სისულელეებზე, რადგან ამით თქვენ ამდაბლებთ პოლემიკას და ყველასათვის ხელსაყრელ და საინტერესო ამ საქმეს პირადი კინკლაობის საგნად აქცევთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ პირადად თქვენთვის არ სწერთ, და რომ მკითხველთა უმრავლესობისათვის ცილისმწამებლების მიმართ ასეთი აგდებული დამოკიდებულება იმის დამადასტურებელია, რომ მართალი არ იყავი, შენს მიერ წამოყენებული საკითხი შენ საგანგებოდ მნიშვნელოვნად გეჩვენება. მთელი სულით და გულით ინატრებდი, რომ შენმა თვალსაზრისმა გაიმარჯვოს, და გული გტკივა, როცა ეს თვალსაზრისი ტალახში ისვრება უგუნური ცილისწამებით. თუ შენთვის, მთელს შენს სე-

რიოზულობასა და გონიერებასთან ერთად, უსიამოა საყვარელი ქალის კაბაზე მცირედი მტვრის დანახვაც და ფრთხილად აცილებ ამ მტვერს. როგორიღა უნდა იყოს იმის ცქერა, რომ საყვარელ საქმეს, ძვირფას იდეას ნარეცხი წყალი ესხმება ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც საკუთარი უმეცრების გამო ფიქრობენ, რომ ტალახითა და ნეხვით შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მარცვალის დამარხვა?..

და აი, რადგან კარგად გესმის სიბრიყვე ყველა ამ ცილისწამებათა, იწყებ მათგან საყვარელი საქმის გასუფთავებას... და შენვე გადანაშაულებენ, თითქოს კამათს, რომლის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ცდილობდი და ცდილობ, პირადული ხასიათი მიეცი...

არავის არ სურს მხედველობაში მიიღოს ის ამბავი, რომ თუ ჩვენ „პიროვნებების" შეხების სურვილი გვქონდა, ჩვენი მოწინააღმდეგეების ასაგდებად და შესარცხვენად მასალა არ შემოგველეოდა, ჩვენთვის მოწინააღმდეგის პირადი ცხოვრება, პირადი საქმეები და პირადი გარემოება ყოველთვის აკრძალული სფეროა, რომელსაც არასოდეს შევხებივართ. ჩვენ რომ ამ სფეროს შევხებოდით, აღნიშნულ ბატონებს იმ ზომამდე მივიყვანდით, რომ ქუჩაში თავს ვერ გამოყოფდნენ იმდენი სასაცილო და უცნაურია მათ პირად ცხოვრებაში... მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მე ვამბობ „სასაცილო", „უცნაური" და არა „ცუდი", „სამარცხვინო" და ა. შ. ეს ხომ თვით მოწინააღმდეგეებმაც კარგად იციან. მაგალითად, რა ადვილია ჩემთვის საქვეყნოდ შევარცხვინო ერთ-ერთი ჩემი მოწინააღმდეგე. ამისათვის საკმარისია დავბეჭდო შიშველი ფაქტი, რომელზედაც მთელი ჩვენი მხარე ლაპარაკობდა. მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ, რადგან ეს ფაქტი ჩვენი მოწინააღმდეგის პირად ცხოვრებას ეხება და არა საზოგადოებრივ როლს. აბა დაიდეთ ხელი გულზე, პატივცემულო მოწინააღმდეგეებო, და თქვით: დაგაკავებდათ თქვენ ამგვარი მოსაზრება, მე რომ მსგავსი კაზუსი მომსვლოდა?

ყოველივე ეს მახსენდება დაკავშირებით ბატ. გოგებაშვილის ახალ პასუხთან ჩვენს უკანასკნელ შენიშვნაზე: „მეგობრები — მტრებზე უარესია". რასაკვირველია, პასუხში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი კამათის არსის შესახებ. არსებითის ახსნა-განმარტება ბატ. გოგებაშვილმა მეორედ მოსვლამდე გადასდო. სამაგიეროდ ხელახლა ღაღადებს ჩვენს სიბრაზეზე, სიძულვილზე, შურისძიებაზე და ა. შ. „მისთვის (ბატ. ნიკოლაძისათვის) უმთავრესი მიზანი ხდება არა საკითხის გარკვევა, არამედ ლანძღვა-გინება და პირადი შეურაცხყოფა", არწმუნებს ბატ. გოგებაშვილი „ტიფლისკი ვესტნიკის" მკითხველებს. ხოლო ამ ბედშავმა მკითხველებმა, რომელთათვისაც

არც გოგებაშვილს და არც „ტიფლისკი ვესტნიკს“ ერთი სიტყვითაც კი არ აუხსნიათ ჩემი სტატიების შინაარსი, ზეპირად უნდა დაუჯერონ ცნობილი ცილისმწამებლების ავტორს... შემდეგ ბატ. გოგებაშვილი არწმუნებს მკითხველებს, თითქოს მე მასთან, ცილისმწამებლური წერილების ავტორთან, დაახლოება მსურდა და მონდომებით ვცდილობდი იგი „ობზორის“ [2] თანამშრომლად მომეწვია, მაგრამ როცა მისგან უარი და ზიზღი მივიღე, შევიძულე და შურისძიება დავიწყე...

გახსოვთ გოგოლის „შეშლილის ჩანაწერებიდან“ ის ადგილი, სადაც ფერდინანდ VIII მკითხველებს არწმუნებს, დეპარტამენტის განყოფილების უფროსებმა იმიტომ შემიძულეს, რომ მისი უდიდებულესობის კაბინეტში კალმებს ვთლიდიო? მითხარით, რითაა გოგებაშვილის მიერ გამოთქმული აზრი გოგოლის ბედშავი გმირის სიტყვებზე უკეთესი ან უარესი: განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი ამას საავადმყოფოში წერდა, მეორე კი „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე აცხადებს.

მთელი ამ ცილისწამების უარსაყოფად ერთი სიტყვა კმარა: „ობზორი“ მაშინ არ არსებობდა, როცა მე, 1873 წელს, ე. ი. ზუსტად ხუთი წლის წინათ გამოვთქვი ჩემი აზრი გაზეთ „დროებაში“ ბატ. გოგებაშვილზე; სტატია ხელმოწერილი იყო. აიღეთ 1873 წლის 30 ნოემბრის (400) ნომერი და დაინახავთ, რა ზიზღით ვლაპარაკობდი მაშინ მასზე. აი მაგალითად ერთი ნაწყვეტი:

„იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენში ერთი რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებაა: გაიჭინთება კაცი, ვაი-ვაგლახით მოახერხებს პაწაწა საქმეს, გამოსცემს ერთ წიგნს, დასწერს ერთ-ორ სტატიას, და მერმე — ქებას რომ მოისმენს — გაიგუდება, გაჩერდება და დარწმუნდება „მართლაც დიდი რამ შევასრულეო“. წადით მერე და ჩაუწვეთეთ იმას ყურში, რომ გულ-ხელის დაკრეფა ადრეა, რომ მის შრომას ნაკლულევანება აქვს, რომ ეს მისი შრომა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა არ არის. ესეები რომ გააგონოთ, თავს მოიკლავს, კუდით ქვას გასროლინებს გაბრაზებით და დაჯერებით მაინც არ დაიჯერებს“.

ამას ჩვენ ვამბობდით ბატ. გოგებაშვილის „დიადი შრომის“ — „ბუნების კარის“ შესახებ დაწერილ რეცენზიაში. საინტერესოა მოვიყვანოთ აქ მაშინდელი ჩემი აზრი ამ ნაშრომზე:

„ეს წიგნი, თავიდან დაწყებული ბოლომდე, ძველი, სქოლასტიკური მეთოდით არის შედგენილი. რაც ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პედაგოგიკას სწავლის გარდასაცემი გაადვილებული საშუალებები გამოუძებნია, არც ერთს იმათგანს ადგილი არ უპოვია

„ბუნების კარში“. მთელი წიგნი მძიმე ენით, უხალისოდ, უშაგალითოდ, უსულოდ არის დაწერილი, მერმე ისე, რომ ყმაწვილს კი არა, ნასწავლსაც კი გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება. კაცს ჰგონია, სახელმძღვანელოს მაგიერ, დაუჯდომელს ვკითხულობო, ან ფილარეტის კატეხიზმოს ანდა მისვე „საუბრებს“. არც ერთ ალაგას არაა მოყვანილი ან სურათი, ან ჩვენებით სისტემაზე დაფუძნებული აღწერილობა, ან ხალისიანი მოთხრობა — ყველგან უძვლო და უსულო, უმარილო ღეჭვაა ისეთი ცნობებისა, რომელთაგან ნახევარი უსარგებლოა და ნახევარი — გაუგებარი ყმაწვილისათვის“.

ხოლო როცა წიგნიდან მისი შემდგენლის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გადავდივარ, მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომელზედაც პასუხს იძლევა რეცენზიის დასკვნითი სტრიქონები:

„რა ეთქმის კაცს — ჩვენს მდგომარეობაში — როცა ახალგაზრდები, რომელნიც ვითომ მთელ თავის სიცოცხლეს ყმაწვილების აღზრდას „სწირავენ“ და მარტო პედაგოგიურ წრეში ბრუნავენ — ამგვარ მაგალითებს წარმოგვიდგენენ და ალათ-ალათ ეპყრობიან მწერლობას და ყმაწვილების აღზრდას? ვინ იცის, კაცი რომ მათ მასწავლებლებს დაუკვირდეს, იქაც ამ გვარივე უგულღვიძლო და დამპალი დაუდევნელობა დახვდეს?

საბრალო ახალგაზრდობავ, საწყალო ქვეყანავ!“

აი ჩემი აზრი ბატ. გოგებაშვილზე. ამ აზრის საწინააღმდეგო რამ მე არასოდეს გამომითქვამს და რომ ეს აზრი სწორი და მიუკერძოებელია, ამის დამამტკიცებელი საბუთი ბატ. გოგებაშვილმა მიიღო წელს, როცა სახალხო მასწავლებელთა ყრილობამ გარკვეულად დაიწუნა მისი წიგნი, ხოლო ერთ-ერთმა გონიერმა პედაგოგმა, ამ ერთი თვის წინათ, „დროებაში“ განიხილა და ზუსტად ისეთივე აზრი გამოთქვა, როგორიც მე გამოვთქვი 1873 წელს.

ახლა საკითხავია, რა მნიშვნელობა აქვს ბატ. გოგებაშვილის მთელს ცილისწამებას, თითქოსდა მე ქათინაურებით ვამკობდი მის მოღვაწეობას? სინამდვილეში კი ბატ. გოგებაშვილმა (პირველმა) მთხოვა „ობზორში“ თანამშრომლობის უფლება და მე უარი არ მითქვამს, რადგან მე ვიწუნებ მხოლოდ სტატიებს, რომლებიც არ მომწონს და არა ავტორებს, თუნდაც დარწმუნებული ვიყო ხეირიანს ვერაფერს დაწერენ. ერთ მშვენიერ დღეს ბატ. გოგებაშვილი შემხვდა და მითხრა, რომ არ მოეწონა ბატ. ფრენკელიანის სტატია და ამიტომ ერთ სტრიქონსაც არ დაბეჭდავს „ობზორში“. მე გულიანად გამეცინა იმ კაცის პრეტენზიაზე, რომელსაც უკან მიაქვს ის, რაც არ მოუცია და ბატ. იზმაილოვს, „ტიფლისკი ვესტნიკის“ ახლანდელ მმართველს, უნდა ახსოვდეს, თუ რა მხიარულად ვუყვებოდი მე მა-

სა და ყველა ნაცნობს ამ სასაცილო ანეკდოტს... გაცილებით უფრო სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ბატ. გოგებაშვილის სიტყვები „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდილი მისი სტატიების შესახებ. რადგან მიღებულია ლიტერატურის ისტორიის ან ჟურნალისტიკის შესახებ დაწერილი და არასწორად გაშუქებული ფაქტებისა და შეხედულებების უარყოფა, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ამ საკითხს.

საქმე შემდეგში მდგომარეობს. როგორც ცნობილია, დედაენის სწავლების საკითხი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ადრე ამ საკითხზე ჩვენში ლაპარაკს რატომღაც აკრძალულად თუ არა, სახიფათოდ მაინც თვლიდნენ. ჩვენი „სათნო“, მაგრამ უუნარო პედაგოგები, თავიანთი გულის სიღრმეებსა და კუნჭულებში კიდეც განიცდიდნენ იმ საცოდავი როლის გამო, რომელიც ჩვენში ჰქონდა მიკუთვნებული დედაენას. ისინი ხედავდნენ, რომ პედაგოგიური თვალსაზრისით ქართული ენის სწავლება აუცილებელია, რომ უიმისობა არ იქნება, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ხოლო ბატონი ტაშკენტელები[63] იმის გამო, რომ საკუთარი გულმოდგინეობა დაემტკიცებინათ, საკუთარ ენას დევნიდნენ... საკითხი ყალბ ნიადაგზე იყო დაფუძნებული. საჭირო იყო მისი ადგილიდან დაძვრა და ახალი საფუძველის გამონახვა, რაც ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობას მოგვცემდა. ცხადია, ეს არაა დიდი დამსახურება, ამგვარი რამე ყოველდღიურად შეიძლება დაიმსახუროს ყოველმა ჟურნალისტმა. ჩვენ ამას საფუძველი ჩავუყარეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ ხუთი წლის წინ დაბეჭდილი სტატიით. რომელიც ციტირებული იყო ამ რამდენიმე დღის წინათ. ჩვენ არა ერთხელ გაგვივითარებია იგივე აზრი ამავე გაზეთის ფურცლებზე, პედაგოგიური სამყაროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ორი წლის წინ, როცა საჭირო იყო გამოგვენახა ბატ. ღოლობერიძის შემცვლელი თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორის თანამდებობაზე, ბატ. გოგებაშვილმა მთხოვა დამებეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკში“ შენიშვნა იმის თაობაზე, რომ დადის ხმები თითქოს ამ თანამდებობაზე ნიშნავენ ბატ. სტირელეცკის, საჭირო კია დაინიშნოს ქართული ენის მცოდნე კაცი. შენიშვნა მე არ დავბეჭდე „ტიფლისკი ვესტნიკში“, რადგან გავიგე რა მიზნითაც იყო ნაკარნახევი: ბატ. გოგებაშვილი იმისთვის იღწვოდა Pro domo sua[85] რომ ამ დროს დიდად ცდილობდნენ გაეყვანათ ამ ადგილზე თუ თვითონ ბატ. გოგებაშვილი არა, მისი მეგობარი მაინც, პიროვნება, რომელიც, ჩემის აზრით, შეუფერებელი იყო ამ თანამდებობისათვის. სამწუხაროდ, იგივე შენიშ-

ვნა, მიწოდებული ბებუთოვისადმი, დაიბეჭდა ბატ. ბებუთოვის გაზეთში და რადგან არ ვიცოდი საქმის ვითარება, შენიშვნაში მხოლოდ საერთო აზრის გამოხატულება დავინახე და უარი აღარ მითქვამს მის დაბეჭდვაზე. ამის შემდეგ კი მე დაბეჯითებით მოვითხოვდი გვერდზე გადაგვედო ასარჩევი პიროვნების საკითხი და შევხებოდით საკითხის საერთო, პრინციპულ მხარეს. ბატ. გოგებაშვილს კერძო საუბარში ვუთხარი, რომ დავბეჭდავ მის სტატიებს, თუ იგი ამა და ამ აზრს განავითარებს ...მაგრამ მან ეს არ გააკეთა. კორექტურის დროს მე გადავხედე მის პირველ სტატიებს და მომეწონა და ახლაც მომწონს, აზრისა და იდეის გამო. რაც შეეხება გადმოცემას, ამის შესახებ მე და თავ. ბებუთოვი ერთი აზრისა ვიყავით: კერძოდ, სტატიები გაჭიანურებულია, ავტორი იმეორებს, არ შეუძლია მკითხველთა ყურადღება მიიქციოს და ა. შ. ვწეხვარ, რომ კორექტურის დროს ვერ წავიკითხე ბატ. გოგებაშვილის უკანასკნელი სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა ჩემი თბილისში არყოფნის დროს. მაშინ სტატიებში არ დარჩებოდა ის მაამებლური ფრაზები, რომლებიც მეც მეჩოთირება და ბევრ მკითხველსაც...

დაინახა რა ბატ. გოგებაშვილმა, რომ სტატიები იბეჭდება, დაიწყო მათი გამოცხობა და ერთსა და იმავე საკითხის ცოხნა. თავ. ბებუთოვს არა ერთი საყვედური უთქვამს ამის გამო ჩემთვის და არაერთხელ. მე, თავ. ბებუთოვის თანდასწრებით, პირდაპირ განუცხადე ბატ. გოგებაშვილს: „კმარა, აწი ჩვენ სხვა სიუჟეტებზე გადავალთ, თორემ ეს ყველას მობეზრდა". ამის შემდეგ ბეჭდვა შეწყდა...

რადგან ბატ. გოგებაშვილი შეეხო ამგვარ ცრულიტერატურულ მოგონებებს, მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ დავამთავრო იგი ერთი დამახასიათებელი თვისების აღწერით.

ბატ. გოგებაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო „ტიფლისკი ვესტნიკში" წერა და თანაც უხვად, როცა გაიგო, რომ ჰონორარს სტრიქონების მიხედვით გადაუხდიდნენ. მას თავი მოაქვს ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის მზრუნველად და ამავე დროს ქართულ „დროებაში" აქამდე ერთი სტრიქონიც კი არ დაუბეჭდია ისეთი, რაც პირადად მას არ ეხებოდა. გამოაქვეყნებს. მაგალითად, თავის ანბანს და მაშინ გაახსენდება, რომ ქართული ლიტერატურა არსებობს და მისთვის წერაა საჭირო... და დასწერს კიდეც, მაგრამ იცით რას? რეცენზიას ბატ. მდივანის ანბანზე. რომელიც კონკურენციას უწევს მის წიგნს. ხოლო თუ სოფლის მასწავლებლები დაიწუნებენ მის წიგნს — მოჰკიდებს ხელს კალამს და „დროებაში" გალანძღავს მათ და ასე შემდეგ. მე მხოლოდ მისი ერთი სტატია ვნახე ამას წინათ დაბეჭდილი „დროებაში" ქართული სიმღერის

შესახებ, რომელიც პირადად მას არ აინტერესებს... და აი ამ კაცმა, რომელიც „დროებაში“ არაფერს ბეჭდავს, რადგან „დროება“ ჰონორარს არ უხდის, დაიწყო „ტიფლისკი ვესტნიკში“ ერთსა და იმავე თემაზე დაუსრულებელი ვარიაციების ბეჭდვა...

კიდევ ერთი თვისების შესახებ. ბატ. გოგებაშვილს შეუძლია გვიპასუხოს, რომ იგი „ივერიაშიც“[63] ბეჭდავდა სტატიებს. მაგრამ ადამიანური სიბრიყვის ისტორიისათვის, ჩემის აზრით, საინტერესოა ამგვარი ეპიზოდი. „ივერიაში“ იგი აქებდა „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდილ თავის სტატიებს, ხოლო „ტიფლისკი ვესტნიკში“— „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიებს უმღეროდა.

და ახლა ეს ვაჟბატონი გვარწმუნებს, რომ მე მჭირდებოდა მისი ლიტერატურული დიდება და ვითვისებდი მის კუთვნილ დიდებას *. სადა ხარ დოქტორო კრუპოვო[84], ან სადაა შენი ცივი წყლით სავსე დოქი? „ტიფლისკი ვესტნიკს“ იგი მეტისმეტად სჭირდება!

მაგრამ კმარა. მხოლოდ ავადმყოფურ წარმოდგენას შეუძლია გამოიგონოს ამგვარი ცილისწამება, მაგრამ მე უკვე მომბეზრდა მასზე ლაპარაკი. ამიტომ ჩვენ აღარ შევეხებით ბატ. გოგებაშვილს, რომელიც ყოველივე ამაზე პასუხს არ აგებს და მივმართავ „ტიფლისკი ვესტნიკს“.

მე უკვე განვაცხადე, რომ არ მოვერიდები რეპრესალიებს და, არსებითად, შემეძლო გამომეყენებინა ახლა. თუმცა ეს ახლა გულს მირევს. მაგრამ თუ აწი ერთხელ მაინც აღმოვაჩენ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რომელიმე განყოფილებაში თუნდაც ერთ სტრიქონს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად „ჩემს პირად ურთიერთობას“, ან, გარდა ჩემი დაბეჭდილი სტატიებისა, რამე სხვა ამდაგვარს ეხება (მსგავსად ბატ. გოგებაშვილის მტკიცებისა, თითქოს მე მისი დიდება მივითვისე, ანდა ესა და ეს ვუთხარი), მაშინ მე ხელებს გავინთავისუფლებ. თავს ძალას დავატან და შევეხები „ტიფლისკი ვესტნიკის“ ყველა

---

* საქმე ისაა, რომ ბატ. გოგებაშვილს ცეცხლივით ეშინოდა თავის ანონიმის გამომეღავნების. გვარწმუნებდა, რომ საგანმანათლებლო უწყება შურისძიების მიზნით მის სახელმძღვანელოს აკრძალავს. თავ. ბებუთოეს ეხვეწებოდა, არავისთვის ეთქვა მისი თანამშრომლობის შესახებ, მე კი მთხოვდა არ გადამეჯერებია ისინი, ვინც მე მის სტატიებს მაწერდა. ცხადია, მე უარვყოფდი და ვამბობდი, რომ ამ სტატიების შეთხზვაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა ბევრი არც მაწერდა მე ამ სტატიებს. ამგვარი ვარაუდის წინააღმდეგ სტილის მოუქნელობა მეტყველებდა. რატომ აღარ სწერს ბატ. გოგებაშვილი მას შემდეგ ისეთ სტატიებს, რომლებიც შეიძლება მე მომაწერონ?

თანამშრომელის პირად ცხოვრებას და მოღვაწეობას დაწყებული თავ. დ. ერისთავიდან და ბებუთოვიდან... ეტყობა, რეპრესალიები ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ შეაგნებინო ამ უმეცრებს, თუ რა განსხვავებაა, ერთი მხრივ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ სფეროებს, რომლის გაკრიტიკება შეიძლება, და მეორეს მხრივ, არა ლიტერატურულ და კერძო ცხოვრებას შორის, რასაც მწერლის სიკვდილამდე არ უნდა შეეხოს არავინ.

73. პატარა კატკოვი

თბილისი, 5 ნოემბერი

ჩვენ გარკვეულად ბედი გვწყალობს წინასწარმეტყველებაში. რამდენიმე თვის წინათ, როცა ადგილობრივი პრესის დანიშნულებაზე ცხარე კამათი მიმდინარეობდა, ჩვენ გაკვრით ვთქვით, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, რომ მოწინააღმდეგეები ბატ. კატკოვის კვალს მიჰყვებიან და ხედავენ მის „განსაკუთრებულობას", ემსახურებიან მის ჩინურ მოძღვრებას... ჩვენ არ გვეგონა, რომ ვერ მოვასწრებდით ერთი წყვილი ფეხსაცმელის გაცვეთას, სანამ ჩვენი მოწინააღმდეგეები დაამტკიცებდნენ ჩვენი აზრის სრულ საფუძვლიანობას უცილობელი ფაქტებით... ამჟამად ეს პატივცემულმა გაზეთმა „მშაკმა" [55] გააკეთა.

„ობზორის" [2] მკითხველებს ახსოვთ, რომ ერთ-ერთ სტატიაში [86] ჩვენ ვამტკიცებდით, თუ რამდენად უსაფუძვლოა „მშაკის" [55] მიერ გამოთქმული აზრი სომხურ სკოლებში მუსულმანი ახალგაზრდების მიზიდვის შესახებ. ამ საბაბით წარმოშობილ პოლემიკაში ყველაზე ნათლად ჩვენი ნაციონალ-ლიბერალების კატკოვისებური სახე უნდა გამოვლინებულიყო და ვარაუდმა არ გვიმტყუნა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „მშაკმა" გამოიყენა წარსულის გაკვეთილები და ამჯერად იგი იდეურად გვედავება ყოველგვარი გადახრებისა და „პირადი მოტივების" გარეშე, რაც ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა. თუმცა სტატიის დასკვნით ნაწილში „მშაკი" გესლს არ იშურებს და ჩვენს უსაზღვრო სიბრიყვეზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს სრულებით არ არღვევს ლიტერატურულ ზრდილობას, რადგან მწერლის ჭკუასა ან სიბრიყვეზე მსჯელობა კრიტიკოსის პირდაპირი მოვალეობაა. ასე რომ, გაზეთი „მშაკის" ეს პასუხი ისეთი ენითაა დაწერილი, რომელიც მთლიანად შეეფერება თავის თავის დამფასებელ პრესას და რადგან გვახარებს პოლემიკის ასეთი უჩვეულო წარმართვა, ჩვენ მთლიანად მოგვყავს გ. ა. არწრუნის ორგანოს პასუხი. აი ისიც:

„თბილისის გაზეთმა „ობზორმა" ამას წინათ დაბეჭდა სტატია,

სადაც უარყოფს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს ამიერკავკასიის მუსულმანების სომხურ სკოლებში მოზიდვის შესახებ.

„ობზორმა“ გამოსთქვა უდიდესი ჭეშმარიტება, კერძოდ, რუსებისათვის საჭიროა რუსული სკოლები, სომხებისათვის — სომხური, მუსულმანებისათვის კი — მუსულმანური.

ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ ყველა ერს და ტომს ორ კატეგორიად ვყოფთ: ერები და ტომები, რომელთაც დამოუკიდებლად განვითარების უნარი შესწევთ და რომელთაც არ შესწევთ.

რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალო სასწავლებლებზე, ხომ უნდა არსებობდეს იმის მიზეზი, რომ ჩვენმა მუსულმანებმა აქამდე ვერ შესძლეს თავიანთი ელემენტარული სკოლების შექმნა.

დიახ, მიზეზი სხვადასხვაა: ზნეობრივი და გონებრივი მოდუნება, რასაც ისლამი იწვევს, მუსულმანთა შორის ცოდნის გასავრცელებლად გამოყენებული ანბანის უვარგისობა და სხვა. აი, ის მიზეზები, რომელთა გამო ჩვენმა მუსულმანებმა ვერ შესძლეს და ალბათ ვერასოდეს ვერ შესძლებენ შემოიღონ თავიანთი დამოუკიდებელი და საერთო სასკოლო სისტემა.

სკოლა, სადაც საგნებს დედაენაზე ასწავლიან, ერის ისტორიასთან განუყრელად დაკავშირებული მოვლენაა, რომლის თავისებურებასაც ენა და ლიტერატურა წარმოადგენს. თუ ხალხს ეს არა აქვს. ხელოვნურად ასეთი ორგანული მოვლენის შექმნა შეუძლებელია.

და თუ ეს შეუძლებელია, ნუთუ ეს ერი სამუდამოდ უმეცარი უნდა დარჩეს?.. ელემენტარული სწავლა-განათლება დედაენაზე უნდა წარმოებდეს; მაგრამ რას იზამთ, როცა პედაგოგიკის ამ სამართლიანი მოთხოვნილების განხორციელება შეუძლებელია... ჩვენ რუსულ გაზეთს კი ისღა დარჩენია ასეთ დასკვნამდე მივიდეს: თუ ერს არ შესწევს უნარი შექმნას სკოლები თავის დედაენაზე, ჯობს უმეცარი დარჩეს, ვიდრე უცხო ენაზე მიიღოს განათლება.

მუსულმანებს არ შესწევთ უნარი შექმნან სკოლა, ლიტერატურული ენა, ჟურნალისტიკა... და რადგან პედაგოგიური მეცნიერება მოითხოვს სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას, ამიტომ მუსულმანები ვერასოდეს ვერ შესძლებენ გადააქციონ თავიანთი ენა ცივილიზაციის იარაღად. ამგვარად, ჯობს არაფერი არ ისწავლო, ვიდრე ისწავლო რამე უცხო ენაზე, რადგან ასეთი სწავლა, „ობზორის“ აზრით, მოსწავლეს აჩლუნგებს.

არიან ტომები, რომელთაც დამოუკიდებლად განვითარების უნა-

რი არ შესწევთ, ისევე, როგორც — ადამიანები, რომელთაც დამოუკიდებლად და ლოგიკურად აზროვნების უნარი არა აქვთ. მაგრამ ერი შეიძლება განათლდეს უცხო ცივილიზაციის მეშვეობით, გონებაჩლუნგ ადამიანებს კი ვერაფრით ვერ ასწავლი ლოგიკურ აზროვნებას".

ჩვენ გულმოდგინედ ვთხოვთ მკითხველებს ყურადღებით წაიკითხონ ამ შესანიშნავი სტატიის ყოველი სტრიქონი. მისი მნიშვნელობა რომ ღირსეულად შეაფასო, ამისთვის საჭიროა მისი ერთხელ კი არა, არამედ ორჯერ ან სამჯერ წაკითხვა.

დავიწყოთ იმით, რომ გამოუკლებლივ ყველა ამ სილოგიზმის წანამძღვარი მცდარია, როგორც ამას ყველგან და ყოველთვის კატკოვის სკოლის მიმდევრები აკეთებენ. მუსულმანურ სამყაროს აქვს საკუთარი ენა, საკუთარი ლიტერატურა, საკუთარი ჟურნალისტიკა და „მშაკის" პატივცემულმა გამგებელმა რომ სერიოზულად იცოდეს კაცობრიობის კულტურის ისტორია, მაშინ მას ისიც ეცოდინებოდა, რომ მუსულმანურმა სამყარომ კაცობრიობის განვითარებისათვის ათასჯერ მეტი გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა სომხებმა, ქართველებმა და რუსებმა. წაიკითხოს ბატ. არწრუნმა თუნდაც უეველის „ინდუქციურ მეცნიერებათა ისტორია" და იძულებული იქნება დაგვეთანხმოს. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ არაბული ცივილიზაციის უფრო საფუძვლიან მკვლევარებზე... სკოლებისა და დაწესებულებების არსებობა მუსულმანურ სამყაროს ისეთ კეთილმოუწყობელ ქვეყანაშიც კი, როგორიც თურქეთია, ნათლად ადასტურებს, რომ საკმაებით შესაძლებელია მუსულმანთა განათლება. ჩვენ აღარ ვასახელებთ ეგვიპტის სკოლებს, რომელთა დონიდან ძალზე შორს არიან სომხური და არა მარტო სომხური სკოლები... რომ აღარაფერი ვთქვათ ადრინდელი ლიტერატურის სიმდიდრეზე, მუსულმანურ ენაზე დაბეჭდილი წიგნები სომრავლითაც და ღირსებითაც ბევრად ჯობია ამჟამად სომხურ და ქართულ ენაზე გამომავალ წიგნებს. შორს წასელა რომ არ მოგვიხდეს, დავასახელებთ ბატ. სმირნოვის სტატიას, რომელიც დაიბეჭდა 1876 წელს ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი" [23]... ჟურნალისტიკის განვითარებაზე კი სასაცილოცაა ლაპარაკი: მიუხედავად თურქეთის ხელისუფლების თვითნებობისა და ყველა სხვა პირობების ერთგვარობისა, თურქეთის ჟურნალისტიკამ ბევრად გაუსწრო სომხურს...

ერთი სიტყვით, „მშაკის" მტკიცება თითქოს მუსულმანურ სამყაროში არ არსებობს ენის, განათლებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის საჭირო პირობები, მომაკვდინებელია მხოლოდ „მშაკისათვის". რადგან ყოველმხრივ მის უსაფუძვლობას ამტკიცებს...

მაგრამ „მშაკის“ ყოველი მტკიცება უცილობლად სწორიც რომ იყოს, დასკვნა მაინც მცდარია. ვთქვათ და ისტორიული პირობები მართლაც უშლიდა ხელს რომელიმე ერის გონებრივ ან ლიტერატურულ განვითარებას. მაგრამ თუ შეიცვლება ეს პირობები, შეიცვლება მდგომარეობაც. ადამიანი ყველგან ადამიანია, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს. ცოტად თუ ბევრად ყველას აქვს ტვინი, ყველა დაჯილდოებულია ცოდნისმოყვარეობით. როგორც ყველას სჭირდება ჭამა და ძილი, ასევე აუცილებელია ყველასათვის გონებრივი განვითარება. რაც გამოადგა ერთს, გამოადგება მეორესაც... ვთქვათ, რომელიმე ხალხი გონებრივად განუვითარებელია ისტორიული პირობების გამო. მაგრამ ეს ხომ ჩვენ ვალდებულს გვხდის ვიზრუნოთ მისი განვითარებისა და არა დაჩლუნგებისათვის. და რადგან ყოველ ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლია განვითარდეს გონებრივად, როცა სწავლა სწორადაა დაყენებული. აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: როცა თქვენ მუსულმანთა განათლებაზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი, ვალდებული იყავით იმავე საზომით მისდგომოდით მას, რომლითაც საკუთარი თავის გაზომვას ისურვებდით...

გაიგეთ, რას ამბობს სინამდვილეში კატკოვი: ქართველებს, სომხებს, თათრებს და ა. შ. არც ენა აქვთ, არც სკოლები, არც ლიტერატურა, არც ჟურნალისტიკა და ა. შ. ამიტომ, მათ უნდა რუსულად ვასწავლოთ, ვკვებოთ რუსული გაზეთებითო და ა. შ. მთელი თანამედროვე მეცნიერება კი, როგორც პედაგოგიური, ასევე ისტორიული, ამტკიცებს, რომ ეს აზრი მცდარია. მეცნიერება ამბობს: უცნობ ენაზე რაიმეს სწავლება ფიზიკურად შეუძლებელია. ფიზიკურად შეუძლებელია ამ გზით ხალხის კულტურული დონისა და ზნეობის ამაღლება. ამას თქვენვე ამბობთ, როცა სომხებს ეხებათ. მაგრამ როგორც კი ლაპარაკი მუსულმანებზე ჩამოვარდება, გავიწყდებათ ყველა ჭეშმარიტება და იმეორებთ კატკოვის უაზრო შეხედულებებს. აბა თქვით, განა ყოველივე ეს თქვენი უსამართლობის აღმაშფოთებელი ნიმუში არაა?

თქვენ რომ დაგეთანხმოთ, ანდა დაუშვათ, რომ ყველა თქვენი წანამძღვრები და დასკვნები საფუძვლიანია, მაშინ ჩვენც ხომ იმავე დასკვნამდე უნდა მივიდეთ, სადამდეც თქვენ მიხვედით, კერძოთ კი აი სადამდე:

„მუსულმანებს არა აქვთ სკოლები, არა აქვთ ლიტერატურა, არა აქვთ ჟურნალისტიკა, ანბანიც კი არა აქვთ. და რადგან მათ არა აქვთ ამგვარი რამ და არც შეიძლება გააჩნდეთ, ამიტომ ცოდვაა მა-

თი გაუნათლებლად დატოვება. ჯობს შევიყვანოთ ისინი რუსულ სკოლებში, ვასწავლოთ რუსულ ენაზე?“

დამეთანხმეთ, რომ ამგვარი დასკვნა გაცილებით უფრო სწორია, ვიდრე თქვენი: თქვენ ხომ ვერაფრით ვერ დაამტკიცებთ, რატომაა აუცილებელი მუსულმანებისათვის სომხურ სკოლებში სწავლა და არა ქართულში, რუსულში, ფრანგულსა ან გერმანულში? თუ კი სწავლა მშობლიურ ენაზე არ წარმოებს, მაშინ ხომ თანაბრად გამოსადეგია ყველა სხვა ენა და ყველა სხვა ხალხის სკოლები. და თქვენ მაშინ დარწმუნდებით, რომ ბევრი რუსულ და გერმანულ სკოლაში ამჯობინებს სწავლას და არა სომხურში.

აი, როგორ აბსურდამდე შეიძლება მივიდნენ ის ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ მტკიცე, სახელმძღვანელო პრინციპები, არ შეუძლიათ გადალახონ ჩინური კედელი, რომელიც ზღუდავს მათ გონებას და გრძნობებს... დროა, ბატონებო, გაიზარდოთ! დროა გონივრულად ემსახუროთ თქვენს საქმეს. თორემ აქამდე თქვენ მხოლოდ დანებს აგროვებთ და ეს დანები უთუოდ ყელს გამოსჭრის თქვენსავე საქმეს. შეიგნეთ ეს ბოლოს და ბოლოს!

74. სამხედრო სიბრძნის სიღრმე სამოქალაქო გაზეთში

თბილისი, 6 ნოემბერი

გაზეთი „გოლოსი“ [27], ცნობილი თავისი მჯღაბნელი ე. ი. ბიკოვით, რომელიც ხოტბას ასხამდა სამხედრო სამინისტროს საინტენდანტო და სხვა დარგების მოღვაწეობას მშვიდობიან პერიოდში, ამჟამად, როცა ომმა საბოლოოდ შეამოწმა ყველა ოცდაორი ათასი კომისიისა და კომიტეტის მუშაობა, კომისიებისა, რომლებიც იხილავდნენ უმაღლესი მეურნეობის ტიპებს, ნორმებსა და ნიმუშებს, მივიდა საკმაოდ არაკეთილსასურველ დასკვნამდე, თუ მისი 26 ოქტომბრის გაუგებარი მოწინავე სტატიის მიხედვით ვიმსჯელებთ. ჩვენ ჯერ ამის მსგავსი არაფერი წაგვიკითხავს დედაქალაქის გაზეთებში და გაკვირვებული ვარ, ვის სჭირდება საზოგადოებრივი აზრის ასე არაკეთილსინდისიერად მოტყუება?

რუსეთმა ეს-ესაა დაამთავრა ბრწყინვალე ომი, რომელშიც ჩვენი ჯარების გმირობამ არა მხოლოდ მოლოდინს, არამედ სურვილსაც გადააჭარბა. ყირიმის ომის შემდეგ ხელისუფლებამ მთელი ყურადღება სწორედ ამ არმიას მიაქცია და მის შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტის 1/3 ნაკლებს არ ხარჯავდა; მაგრამ, ამავე დროს, აღმოჩნდა რომ ჩვენი არმიის სამეურნეო დარგის ორგანიზაციას ბევრი ნაკლი ახასიათებს, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია. ხოლო რაც შეეხება იმ დაწესებულების პერსონალს, რომელიც არმიის მეურნეობას განაგებს, ბევრმა ბოროტად გამოიყენა თანამდებობა, რაც გვხვდებოდა და გვხვდება ყველგან და ყოველთვის, როცა ცალკეული პირები ხელს კიდებენ სახელმწიფო მომარაგებას, იწყებენ საქონლის დამზადებასა და მიწოდებას. ამის დაფარვა დანაშაული იქნებოდა, რადგან ამგვარი ბოროტების აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ გამოაშკარავებითა და საზოგადოებრივი აზრის კონტროლის დაწესებით და არა ოფიციალური შემოწმებით, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს დადგენილი ფორმალური საბუთებით და ვერაფერს ამბობს თაღლითობასა და მოტყუებაზე, რისი განხორციელებაც ადვილი და მოსახერხებელია, რადგან ადმინისტრაციული გზით

შეუძლებელია თვალყური ადევნო სახელმწიფო ფულის ბოიჯარადრეების ხელში გადასვლის მომენტს, რომელთაგანაც ყველაფერს ყიდულობენ. რა მჟავე პატივისცემითაც არ უნდა ვიყოთ განწყობილნი ადმინისტრაციული დაწესებულების ღირსებებისადმი, მაინც არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ქურდობის მოყვარული საინტენდანტოს დარაჯის ან ჰოსპიტალის ფერშლის კეთილი სახელი თვით დაწესებულების კეთილ სახელთან, რომელიც მათი მძარცველობისაკენ მისწრაფების დასაკმაყოფილებლად კი არაა შექმნილი, არამედ — გარკვეული ამოცანების შესასრულებლად, არმიის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. დაწესებულება ერთია, ხოლო ადამიანები, რომლებიც ამ დაწესებულებაში მოქმედებენ, მეორე. და თუ ომის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სამეურნეო დაწესებულების ცალკეულმა პირმა ვერ გაამართლა მთავრობის ნდობა, ამ დაწესებულების ღირსების აღსადგენად საჭიროა დამნაშავეთა არაკანონიერი მოქმედების დამტკიცება და მკაცრად დასჯა კანონის ძალით. ყველაფერი ეს საყოველთაოდ ცნობილია და სირცხვილიცაა ასეთ ანბანურ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი, მაგრამ დედაქალაქის მსხვილ გაზეთს „გოლოსს", რომელიც იცავს საერთო ზიზღით შერისხულ მოქმედებას და წესებს, ეს ჭეშმარიტებები ავიწყდება. ეურდნობა რა გოგოლის იურისკონსულტის პრინციპს [87], „გოლოსი" ცდილობს არივდარიოს ყველაფერი და სწორ გზას ააცდინოს ჩვენი ბრწყინვალე არმიის მომარაგებაში უწესრიგობის შემტანთა და თანამდებობის ბოროტად გამომყენებელთა დასჯის სამართლიანი მოთხოვნა, არმიისა, რომლის ჯარისკაცები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და პატიოსნად კვდებოდნენ. უსამართლო საქმეს ვერ გაამართლებ წესიერი საშუალებებით, ამიტომ სამოქალაქო გაზეთი სამხედრო სიბრძნეში ისეთ ღრმა განსწავლულობას იჩენს, რომ მასში თანაბრად იძირება რუსეთის ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირის საღი აზრი.

„ომის დამთავრების დროიდან, იუწყება ნევის პიფია, მთელ რიგ სტატიებში განხილული იყო ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის მრავალი ნაკლულევანება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა არამარტო გაურკვეველი, არამედ ხელუხლებელი. იმ საკითხების მიმართაც კი, რომლებიც განხილულია, აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ცალმხრივობა, რადგან ომის ყველა შედეგს მხოლოდ სამხედრო უწყების მოქმედებას აწერენ".

განა უცნაური არაა, რომ წმინდა სინოდს მონაწილეობა არ მიაღებინეს ჩვენი არმიის გაუმჯობესებული იარაღით მომარაგების საკითხის განხილვაში? ანდა, განათლების სამინისტროს გვერდი აუ-

არეს, როცა ჩვენი პრესა გაუთავებლად ლაპარაკობდა საყოველთაოდ ცნობილი ამხანაგობის — გრეგერის, კოგანისა და K°-სთან დადებულ კონტრაქტზე? მართლაცდა, რატომ არ მიმართეს ჩვენმა პუბლიცისტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს, როცა გაჰყვიროდნენ ბატ. მალკიელმა დამპალი ტყავისაგან შეკერილი ჩექმები მოგვაწოდაო; ანდა მაშინ, როცა სადგურ რაზდოლნაიაზე საინტენდანტო მოხელეების მეცადინეობის წყალობით თივა ქარს გაატანეს? რა საჭიროა ამგვარი ცალმხრივობა? რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ არმიის სამხედრო მეურნეობა, რომელსაც მხოლოდ სამინისტრო განაგებს, საინტენდანტო და საპროვიანტო უწყების ზოგიერთი პირის დაუდევრობის გამო არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, როცა სხვა უწყებებიც არსებობს? აი, როგორი მითითებებით ასწორებს ჩვენი პრესის ამგვარ ცალმხრივ შეხედულებას „გოლოსი“:

„თუმცა ერთი შეხედვით ბუნებრივია, მაგრამ სწორი არაა მივაწეროთ ომის ყველა თვალსაჩინო ფაქტი მომქმედი არმიის სამხედრო-საველე სამმართველოს მოღვაწეობას და განვიხილოთ ეს სამმართველო, როგორც სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამხედრო სამინისტროს უცვლელ დაწესებულებებთან. ამავე დროს არ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ მშვიდობიან დროს სამმართველოზე ვრცელდება სამხედრო სამინისტროს მოღვაწეობის შედეგები. ამიტომ სამართლიანი არ იქნება ომის შედეგები მივაწეროთ მხოლოდ სამხედრო-უწყების მოღვაწეობას და დავივიწყოთ სხვა უწყებების მონაწილეობა სამხედრო ორგანიზაციის შექმნასა და ომის წარმოებაში“.

გამჭრიახი გონება და ღრმა განსწავლულობაა საჭირო იმისათვის, რომ გავავლოთ პარალელი ერთის მხრივ მომქმედი არმიის მეურნეობასა და სამხედრო სამინისტროს უწყების სოლიდარობას შორის, რომელმაც შექმნა ეს მეურნეობა მშვიდობიან დროში, და ომის წინა წლებსა და ომის დროს ხელმძღვანელობდა ძირითად დამზადებასა და მომარაგებას, ხოლო მეორეს მხრივ — სამხედრო სამინისტროს მიერ სამხედრო ორგანიზაციის შექმნასა და ომის წარმოებას შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა უშუალოდ სამხედრო სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა უწყებები!

ისტორია ჩვენს წინაა: ჩვენ ვიცით, თუ რა გულმოდგინედ იცავს ყოველი უწყება თავის გავლენის სფეროს სხვა უწყებების შემოჭრისაგან, და ამგვარი ზრუნვა არსად არ ვლინდება ისე ძლიერ, როგორც სამხედრო სამინისტროში. მაგალითისათვის მოვიყვანოთ თუნდაც კეთილისმყოფელი-მამის — ოვსიანიკოვის ცნობილი საქმე, რომლის გასამართლების დროს სასამართლოს განზე უნდა გადაედო-

სამხედრო სამინისტროს ყველა აგენტის საქმიანობის საკითხი. მიუხედავად „გოლოსის“ ღრმააზროვანი თვალსაზრისისა, ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ღია, სასწრაფოდ მოწვეულ და მოწყალე სასამართლოს რომ არ დაეფარა სამხედრო სამინისტროს აგენტები, შეიძლება მაშინ ჩვენი სამხედრო მეურნეობის ნაკლოვანებანი ომის დაწყებამდე გამომჟღავნებულიყო და საინტენდანტოს გაწმენდნენ ისეთი პირებისაგან, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობდნენ სახაზინო ფულის ხარჯვას და ართულებდნენ ომის დროს არმიის ისედაც მძიმე მდგომარეობას. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ ეს არ მოხდა: სამხედრო სამინისტრომ უშუალოდ თავის თავზე აიღო ოვსიანიკოვის საქმეში დამნაშავეთა დასჯა და მოხსნა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ პასუხისმგებლობა მთავრობის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო სამინისტროს უნდა დაეკისროს იმ დანაშაულისათვის, რაც საინტენდანტო უწყების პერსონალის არადამაკმაყოფილებელმა საქმიანობამ გამოიწვია.

მაგრამ გავყვეთ დედაქალაქის გაზეთის მონაჩმახს, რომელსაც სურს ზნეობრივი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე:

„თუმცა ბრძოლის ველზე მტრის წინააღმდეგ მოქმედებს და იბრძვის არმია, რომელსაც განაგებს და რომლისთვისაც ზრუნავს სამხედრო სამინისტრო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ომს მარტო სამხედრო სამინისტრო აწარმოებს და არა მთელი სახელმწიფო სახალხო ძალების ყველა საშუალებებით, რომელთაც სხვადასხვა სამინისტროები განაგებს. სახელმწიფოს სიძლიერე, რასაც სახელმწიფო ძალების ურთიერთმოქმედება ქმნის, ომის დროს ვლინდება არმიაში, როგორც შეიარაღებული ძალების აქტიურ ელემენტში. საფუძვლიანია ის აზრი, რომ ომი სახელმწიფოს სიძლიერისა და წყობის შემოწმებაა“.

ომი რომ სახელმწიფოს სიძლიერისა და წყობის შემოწმებაა — ეს აზრი მართლაც საფუძვლიანია და ყველაზე ნათლად ამ აზრს რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი ამტკიცებს. წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოების აზრისა, დაწყებული ინგლისის ყველაზე შორსმჭვრეტელი მთავრობიდან, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა, თავის აგენტების მეშვეობით, მშვიდობიან პერიოდში საფუძვლიანად შეესწავლა ჩვენი სამხედრო სისტემის ნაკლოვანებანი, რუსეთის არმია არა თუ ვერ შეაჩერა თურქეთის ჯარმა და ფლოტმა, რაც ევროპას მილიარდები დაუჯდა, არამედ მან გაანადგურა თურქეთის მთელი ძალები და კონსტანტინოპოლის კედლებს მიადგა. ჩვენს დიდებულ არმიას ხელი ვერ შეუშალა ვერც ჩვენი სამხედრო-საოლქო სისტემის ნაკლოვანებებმა, ვერც საინტენდანტო უწყების მოხელეთა

და მომმარაგებელთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებამ, რათა პირნათლად შეესრულებინა მოვალეობა და მთელი ევროპისათვის დაენახვებინა რუსეთის წყობის შეურყეველობა და სიძლიერე... და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან, „გოლოსის" სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს სიძლიერე, რასაც ქმნის სახელმწიფო ძალების ურთიერთობა, ომის დროს არმიაში, როგორც შეიარაღებული ძალების აქტიურ ელემენტში ვლინდება. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო ძალა, რასაც სხვადასხვა სამინისტრო განაგებს, პასუხისმგებელია, თუ არმიამ, რომელზედაც მხოლოდ სამხედრო სამინისტრო ზრუნავს, ამ ზრუნვის გამოხატულება გრეგერის, კოგანისა და К° ვარშავსკის, პოლიაკოვის, ფალკენგაგენის. მალკიერის და სხვათა ამხანაგობის სახით დაინახა. „გოლოსი" კი პირიქით ფიქრობს, და თუ რატომ — ეს ცნობილია მხოლოდ იმისათვის, ვინც დაწერა და დაბეჭდა ეს უზნეო მოწინავე სტატია.

ჩვენ გამოვიყენეთ ზედსართავი სახელი „უზნეო", რაც ბევრს შეიძლება უხამს ან ზედმეტ ეპითეტად მოეჩვენოს. მაგრამ ჩვენ ეს გავაკეთეთ შეგნებულად და არა შეცდომით ან იმის გამო, რომ სიტყვები არ გვყოფნის. ჩვენის აზრით, ქურდობა უზნეობაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უზნეობაა ქურდების გამართლება. უბრალო რუსული ანდაზა ამას ასე გამოხატავს: ქურდიცა და მისი შემნახავიც ორივე ქურდიაო. უზნეობაა უპატიოსნოდ მოქცევა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უზნეობაა — საკუთარი უზნეობა სხვას გადააბრალო. უზნეობაა, ყოველივე ეს ახსნა იმით, რომ სხვები ამ საკითხზე ცოტას ფიქრობენ. „გოლოსმა" კი გადაწყვიტა ბრალი დასდოს ყველა სამინისტროს იმაში, რაც უშუალოდ მხოლოდ სამხედრო სამინისტროს ეხება. ასეთი უზნეო ცდა, რა თქმა უნდა, არავის არ სჭირდება, ყველაზე ნაკლებად კი თვით სამხედრო სამინისტროს, რომელსაც ფაქტები ხელთ აქვს და არ სჭირდება უბადრუკი სიტყვების გადასხვაფერება, თუნდაც ამას მრავალმეტყველი გაზეთი „გოლოსი" აკეთებდეს.

დაადგა რა ასეთ გზას, „გოლოსი" კიდევ უფრო შორს წავიდა და თავის ღრმაზროვან შეხედულებას ასე ამტკიცებს:

ზეგავლენის ასეთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ, ჯერ ერთი, ის ცვლილებები, რომლებიც შეიტანეს „სამხედრო ვალდებულებათა წესდების" პროექტში, სამხედრო სამინისტროს თავდაპირველი ვარაუდის მიხედვით რეკრუტთა რეზერვის არსებობის შესახებ, რის შედეგადაც წესდების საბოლოო რედაქციამ ისეთი ფორმა მიიღო, რომ პირველი თანრიგის ჯარისკაცთა გაწვევა მუდმივი არ-

მიის რიგების შესავსებად, თადარიგის ყველა საშუალებათა ამოწურვამდე, ე. ი. მანამ, სანამ, საერთო შეხედულების თანახმად, „საგანგებო ვითარება“ შეიქმნებოდა, მოსახლეობისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა; ხოლო მეორე მაგალითია ლაშქრის შესაქმნელად საჭირო კანონის შედგენისა და გამოქვეყნების საქმეში დაყოვნება, რომლის პროექტიც „სამხედრო ვალდებულებათა წესდების“ პროექტთან ერთად წარადგინეს.

დაუშვათ, რომ ბატ. კრაევსკისა და მის სატელიტებთან ერთად, ყველა სამინისტრო დამნაშავეა სამხედრო ვალდებულებათა წესდების პროექტის რედაქციის უხეირობასა და ლაშქრის შესაქმნელად საჭირო კანონის შედგენისა და გამოქვეყნების დაყოვნებაში. რაში გამოიხატა, უკანასკნელი ომის დროს, ამგვარ შეცდომათა ბოროტება? განა ვინმე ჩიოდა, რომ მომქმედი არმია დროზე არ შეავსეს? განა ლაშქრის მოგვიანებით თავმოყრის გამო სადმე იგრძნობოდა ცოცხალი ძალის ნაკლებობა? ამდაგვარი ჩვენ არაფერი წაგვიკითხავს არც ოფიციალურ ცნობებში და არც რუსეთისა და უცხოელი კორესპონდენტების ინფორმაციებში. მაგრამ ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვკითხულობდით საჩივრებს იმის შესახებ, რომ ჯარს დროულად არ ამარაგებენ პროვიანტით, ფურაჟით, საინტენდანტო და საარტილერიო მასალებით; ოფიციალურ ტელეგრამებშიც, მითუმეტეს კორესპონდენციებში, ბევრს და ძალზე ბევრს წერდნენ საკვებისა და ტანსაცმელის ნაკლებობაზე, რამაც ხელი შეუწყო ჯარისკაცების დაავადების გაძლიერებას; ხოლო ჰოსპიტალების არადამაკმაყოფილებელი მომარაგების გამო, ავადმყოფობას გაძლიერებული სიკვდილიანობა მოსდევდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ცხადია, ჩვენს ჯარებს ასე ძლიერ არ დასჭირდებოდა შევსება რეზერვის ან ლაშქრის ხარჯზე, ასე რომ, სამხედრო სამინისტროს საქმიანობის წყალობით, შეიძლება ზედმეტიც გამხდარიყო ახალი რეკრუტების ან ლაშქრის გაწვევა, ე. ი. გამოსწორდებოდა სხვა სამინისტროთა მონაწილეობის მთელი მავნე მნიშვნელობა. სხვანაირად, რა თქმა უნდა, არც შეიძლება ყოფილიყო. ფინანსიური სახსრები, ჩვენი არმიის ორგანიზაციის შენახვისა და გაუმჯობესებისათვის, ეძლეოდა უშუალოდ სამხედრო სამინისტროს და იხარჯებოდა მისი განკარგულების თანახმად, ყველა სხვა უწყების ჩარევის გარეშე. როგორც სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის ყოველწლიური შემოსავალი და გასავალი გვიჩვენებს, ეს თანხა მშვიდობიან დროშიც კი საკმაოდ დიდი იყო, რაზეც შეგიძლიათ იმსჯელოთ ქვემოთ მოყვანილი ოფიციალური და ზუსტი ციფრების მიხედვით:

წელი	არმიაზე გაწეული ხარჯები:
1856	233.154.000 მან.
1857	101.848.000
1858	89.154.000
1859	106.691.000
1860	106.653.000
1861	115.964.000
1862	114.184.000
1863	124.916.000
1864	151.987.000
1865	134.094.000
1866	129.687.000
1867	127.250.000
1868	136.700.000
1869	147.702.000
1870	140.788.000
1871	154.257.000
1872	165.624.000
1873	175.033.000
1874	172.479.000
1875	175.431.000
1876	180.267.000
1877	181.532.000
22 წლის განმავლობაში	3.170.689.000 მან.

აი, რა დაგვიჯდა ომი. ზუსტი ციფრები ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, მაგრამ ს.-სტეფანოს ზავის[64] დადების დროს, სამხედრო ხარჯები ერთნახევარ მილიარდად არის შეფასებული.

რა მონაწილეობა შეეძლოთ მიეღოთ ამ ფულის ხარჯვაში სხვა უწყებებს? ალბათ არავითარი, რადგან სამხედრო სამინისტრო ამ ფულს თავის აგენტების მეშვეობით ხარჯავდა... მთელი საყვედურიც სწორედ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგაა მიმართული. ხოლო ამ საქმეში არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ სხვა უწყებების ჩათრევაც — თითქოს ისინი თანაუგრძნობდნენ მტაცებელთა უკანონო მოქმედებას — ეს ისეთი ხერხია, რომელსაც არავითარი გამართლება არ მოეპოვება. მაგრამ რა ენაღვლება ს.-პეტერბურგის Times'y-ს! იგი ამთავრებს თავის მომაკვდინებელ სტატიას შემდეგი Coup de maître-ით:

— თუ ყურადღებით განვიხილავთ იმ ვითარებას, რომელშიც მოქმედება უხდებოდა სამხედრო სამინისტროს, რომელიც მშვიდობიან დროს თითქმის არავითარ ნაყოფიერ მოღვაწეობას არ ეწეოდა, თუმცა იყენებდა სახელმწიფოს მთელ ძალებს, შეუძლებელია არ ვაღიაროთ ის სიძნელეები, რომელთაც იგი ხვდებოდა. მართალია, ომის დროს სიძნელეები ქრება და ყველა უწყება ერთმანეთს ეჯიბრება — ხელი შეუწყონ სამხედრო სამინისტროს, მაგრამ ადრინდელი ურთიერთობის შედეგები მაინც იჩენს თავს.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ვის ამართლებს და ვის ამტყუნებს ნევის პიფია? ომის დროს თურმე ყველა სამინისტრო ერთმანეთს ეჯიბრებოდა ხელი შეეწყოთ სამხედრო სამინისტროსათვის, მაგრამ თვით სამხედრო სამინისტრომ მშვიდობიან დროს თითქმის ვერავითარი ნაყოფიერი მოღვაწეობა ვერ გამოიჩინა, თუმცა იყენებდა სახელმწიფოს მთელ ძალებს და, უნდა ვაღიაროთ, როცა მოქმედების დრო დადგა, სიძნელეებს წააწყდა...

რა თქმა უნდა! თუ კი „გოლოსი" სამხედრო სამინისტროს მშვიდობიანი დროის მოღვაწეობაში ვერავითარ ნაყოფიერს ვერ ნახულობს, ცხადია, ომის დროს სიძნელეების მეტი რა უნდა ყოფილიყო...

თუ კი ღრმააზროვან „გოლოსს" ასე ესმის სამხედრო სამინისტროს დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, მაშინ რაღა საჭირო იყო უბადრუკი მოწინავე სტატიის დაბეჭდვა?

75. თბილისის საბჭოს შესახებ

თბილისი, 7 ნოემბერი

6 ნოემბერს მომხდარი სკანდალი დიდხანს ემახსოვრება ჩვენი „თვითმმართველობის“ მატიანეს. ამბავი აღწერის ღირსია. აი, რამ გამოიწვია იგი.

30 ოქტომბერს, როცა იხილავდნენ რამდენიმე ხმოსნის ერთობლივ „წინადადებას“ მსხვილი მესაკუთრეების მიერ ქალაქის მიწების მითვისების შესახებ, საბჭოს ზოგიერთმა წევრმა 10-15-ჯერ გაიმეორა ერთი და იგივე „სიტყვა“. ქალაქის თავმა გადაწყვიტა, რომ ყველა მოწინააღმდეგე მხარემ საკმარისად გამოთქვა თავისი აზრი, საკითხი ბოლომდე ამოწურულია და წინადადება შეიტანა კენჭის ყრას შესდგომოდნენ. მაგრამ ერთ-ერთი ხმოსანი, ს. პ. ალადატოვი, განაგრძობდა დაწყებული სიტყვის განმეორებას. ქალაქის თავმა მას სიტყვა ჩამოართვა. ორატორი მაინც არ გაჩერდა. მაშინ ქალაქის თავმა გააფრთხილა იგი და განუცხადა, რომ თუ არ გაჩერდება, სხდომას დახურავს. როცა არც ამან გასჭრა, თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გუშინ ქალაქის თავმა, დაიმოწმა ქალაქის დებულება და წესი საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოქცევის შესახებ და წინადადება შეიტანა საბჭოში — განახორციელონ კანონის მოთხოვნილება და პასუხისგებაში მისცენ ბატ. ალადატოვი „თავმჯდომარის უფლებებისადმი წინააღმდეგობისათვის“. როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ საბჭოს, ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებას, უფლება აქვს დამნაშავეს საყვედური გამოუცხადოს ან კრებიდან გააძევოს, ანდა 3-დან 7 დღემდე არ დაუშვას კრებაზე. ქალაქის თავი მოითხოვდა ამ კანონის გამოყენებას.

ბატ. თავმჯდომარის ნაამბობი დაადასტურა ყველა ხმოსანმა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ამ ეპიზოდზე. მაგრამ, ამავე დროს, ყველა ორატორმა ილაპარაკა „შემამსუბუქებელ გარემოებაზე“. ჩვენზე სწორედ ორატორების ეს სიტყვები ახდენს მძიმე შთაბეჭდილებას, თუმცა ამგვარი რამ გუშინდელი სკანდალის სხვა დეტალებსაც ახასიათებს.

მაგალითად, ბატ. რეიგერი საკმაოდ ორიგინალური თვალსაზრისით ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ბატ. ალადატოვის შეცვლა, რადგან ორატორებმა, რომელთაც წინადადება შეიტანეს ქალაქის მიწების მითვისების შესახებ, თვითონ არ იცოდნენ რას ამბობდნენ და რისთვის ამბობდნენ. მათ არ ესმოდათ ერთმანეთის და ამიტომ ერთიდაიმავე სიტყვას რამდენჯერმე იმეორებდნენ... ბატ. ელიმირზოვი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან განაცხადა, რომ ამგვარი განმეორებები და ურჩობა ხდება ყოველთვის, როცა საბჭოს სხდომა მიმდინარეობს და ამგვარი დანაშაული გამოუკლებლივ საბჭოს ყველა წევრს აქვს ჩადენილი. ამავე საკითხს შეეხნენ ბატ. ევანგულოვი, ხარაზოვი და ა. შ.

ყველაფერი ეს „სრული სიმართლეა", მაგრამ რამდენად საჭიროა ამგვარი არეულობა მომავალშიც განმეორდეს, ეს ცხადია, მხოლოდ უმცირესობისთვისაა სადავო.

ჩვენ სხდომის სტენოგრაფიულ მოხსენებას კი არ ვწერთ, არამედ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს მის ხასიათზე. ამიტომ, რადგან იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნით, რომლებიც საგნებს თავიანთ სახელს არქმევენ, ჩვენ გულახდილად ვიტყვით ყველაფერს, რაც ამ სკანდალმა დაგვანახა.

უდავოა, რომ წესის დარღვევა და საბჭოს ღირსების შელახვა 30 ოქტომბრის სხდომაზე მოხდა. მაგრამ, რადგან ეს მოვლენა, როგორც ეს ბატ. ხმოსნენების სიტყვებიდან ჩანს, ჩვეულებრივი და ყოველდღიურია და მათ შეგნებული არა აქვთ ამგვარი დარღვევების მავნებლობა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ახლანდელი ქალაქის საბჭოს დღეები დათვლილია, ქალაქის თავი შესანიშნავად მოიქცეოდა, უყურადღებოდ რომ დაეტოვებინა წესისა და ზრდილობის დარღვევის ეს მეათასერთე შემთხვევა. თუ კი საბჭოს წევრები ოთხი წლის მანძილზე ტკეპნიდნენ ერთ ადგილს, არაფერი დაშავდება თუ ორ თვეს კიდევ დაატანენ ძალას ფეხებს. ჩვენ ასე ვფიქრობდით და ყველა დაგვეთანხმება, რომ ასე ფიქრი შეიძლებოდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დიდ ზიანს არავის მიაყენებდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობდით ჩვენ, თუ დ. ი. ყიფიანი ამ ეპიზოდს ანიჭებს ასეთ მნიშვნელობას, ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება. და ჩვენ გულით გვიხაროდა, რომ იგი ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ეპიზოდს, რადგან მასში მან იპოვა საბაბი და საშუალება ღირსეულად დააღწიოს თავი მძიმე, სამწუხარო მდგომარეობას.

განვმარტოთ!

დიდი ხანია ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი საბჭო და მის ბიერ არჩეული ქალაქის თავი ვერ ეწყობიან ერთმანეთს. დ. ი. ყი-

ფიანს ბევრი საფუძვლიანი მიზეზი აქვს, უკმაყოფილო იყოს ქალაქის საბჭოსი, მაგრამ, მეორეს მხრივ, საბჭოსაც აქვს უფლება გულაცრუებით უცქერდეს თავმჯდომარეს. ამგვარი უთანხმოება გამოიწვია ყოველმხრივ საინტერესო გაუგებრობამ: როცა ქალაქის თავს ირჩევდა საბჭო, როგორც ყველა ახალფეხადგმული საზოგადოება, კეთილდღეობას საკუთარი ენერგიისაგან კი არ მოელოდა, არამედ რომელიმე მხსნელის სასწაულებრივი მოქმედებისაგან და, ამიტომ, იმედი ჰქონდა, რომ დ. ი. ყიფიანი ქალაქის მეურნეობას ერთბაშად გადააქცევდა მაჰმადის სამოთხედ. მათ მხოლოდ იმ იმედით აირჩიეს დ. ი. ყიფიანი, რომ ამის შემდეგ მშვიდად დაძინებას შესძლებდნენ. ბატ. ყიფიანი კი, როგორც კანონმდებელი, როგორც კანონის სიტყვასიტყვით დაცვის დიდი მოტრფიალე, თავის თავსა და თავის მოვალეობას ძალზე ცალმხრივად უყურებდა. იგი შემოიფარგლა თავმჯდომარის ვიწრო ჩარჩოებით და შველას ხმოსნებისაგან ელოდა და აი, უკვე სამი წელია, რაც იგი ერთგულად და ყურადღებით, ეს კი უკეთესი ხვედრის ღირსია, უხმოდ შესცქერის ხმოსნებს და იმედოვნებს, რომ ისინი გამონახავენ ქალაქის მეურნეობის გადასარჩენად საჭირო საშუალებებს. ასე ელოდება ორივე მხარე შველას ერთმანეთისაგან...

შველა, ცხადია, არსაიდან ჩანს. სამაგიეროდ თავს იჩენს გაბრაზება და უკმაყოფილება... ქალაქის საქმეები უარესდება, ხელისუფლება უკმაყოფილოა, მოსახლეობა ჩივის, ხოლო ქალაქის თავი და საბჭო უსაქმურობას ერთმანეთს აბრალებენ. ცხადია, ამ ამბავში ორივე მხარეა დამნაშავე. საბჭომ მხოლოდ თავის თავის იმედი უნდა იქონიოს და დაიცვას ქალაქის ინტერესები. ქალაქის არეული საქმეების გამოსასწორებლად საბჭომ საკუთარ ცოდნაში და ენერგიაში უნდა ეძებოს ძალა და საშუალებები და, ამავე დროს, ქალაქის თავმაც უნდა იცოდეს, რომ ათეული წლები გავა მანამდე, სანამ ცხოვრების სინამდვილე თვითმმართველობის იმ წარმოდგენას გაუთანაბრდება, რაზედაც ქალაქის მართვის დებულებათა შემდგენლები ოცნებობდნენ... ახლა კი ქალაქის თავი გულგრილად და უხმოდ კი არ უნდა ისმენდეს საბჭოში გამართულ კამათს, არამედ ხმოსნებს უნდა აღაფრთოვანებდეს, ყოველი აუცილებელი მოთხოვნილების ინიციატორი, ყველა საქმის წამყვანი უნდა იყოს. ჩვენს საბჭოს სწორედ ისეთი ინიციატორი სჭირდება, რომელიც ყველას მაგიერ იფიქრებდა და იმუშავებდა, რომელიც უფლებას მისცემდა საბჭოს წევრებს ეთქვათ მშვიდად, რწმენით, რომ ყველაფერი კარგად მიდის და, მიუხედავად მათი აპატიისა, ქალაქის პროგრესის გზით სვლის მონაწილენი არიან...

აი, ამით ვხსნით ჩვენ, თუ რატომ აუცრუვდა გული ორივე მხარეს ერთმანეთზე. მართალია, ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო, წვრილმან, ცეცხლზე ნავთის დასხმის მსგავს კაზუსებსაც... მაგრამ იმ ძირითადი მიზეზის გარეშე, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, უმნიშვნელო კაზუსები კაზუსებადვე დარჩებოდა და ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

ჩვენ გვეგონა, რომ დ. ი. ყიფიანს ეს მდგომარეობა აწუხებდა და რადგან შეგნებული ჰქონდა, რომ გამოსწორება შეუძლებელია, უბრალოდ სურდა გამოეყენებინა ბატ. ალადატოვის თვითნებობის ეპიზოდი, რათა ღირსეულად გამოსულიყო მძიმე მდგომარეობიდან... ჩვენი აზრი რომ საკმაოდ საფუძვლიანია, ამას ამტკიცებს თითქმის მთელი საბჭოს საქციელი, რომელმაც, ცხადია, ეს ეპიზოდი ასევე გაიგო და თავი ისე ეჭირა, რომ საქმეს თავმჯდომარისათვის სასურველი ბოლო მოჰყოლოდა.

როცა საბჭომ თავმჯდომარის ახსნა-განმარტება მოისმინა, რამდენიმე ხმოსნის პირით დაიწყო დავა და მტკიცება, რომ ბატ. ალადატოვმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, თვით ღმერთიც რომ ვერ გვაუწყებს, მაგრამ, საკმარისია ისიც, რომ წინა სხდომა მის გამო ჩაიშალა და ა. შ. ხოლო რაც შეეხება საყვედურს და დამნაშავე ორატორის ხოხსნას—საბჭოს ამის გაგონებაც არ უნდოდა. ბატ. ევანგულოვმა შესთავაზა „მიმდინარე“ საკითხებზე მოტივირებული გადასვლის შესახებ შემდეგი შინაარსის წინადადება (მომყავს ზეპირად): „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ თავმჯდომარის დისკრეციული ხელისუფლების პატივისცემა აუცილებელია, და ასევე აუცილებელია ხმოსანთა სიტყვის თავისუფლება, ამიტომ გადავდივართ შემდეგ საკითხზე“. ამგვარი წინადადება მხოლოდ ოქროში ავლებდა აბს, რომელიც ქალაქის თავს მიართვეს, მაგრამ ეს იყო ყალბი ოქრო. ბატ. მატინოვმა სცადა წამოეყენებინა სხვა მოტივირებული წინადადება მორიგ საკითხებზე გადასასვლელად, როგორც მდგომარეობის გამოსასწორებელი საშუალება. მან საბჭოს შესთავაზა ამ ორი ერთმანეთის გამანეიტრალებელი ფრაზისათვის დაემატებინათ ჰესამე, სადაც გამოთქმული იქნებოდა სინანული იმის გამო, რომ ბატ. ალადატოვმა იძულებული გახადა თავმჯდომარე დაეხურა კრება... მაგრამ საბჭომ ყურად არ იღო თავისი ყოფილი ბენიამინის[88] რჩევა... ბატ. ევანგულოვის წინადადება — გადასულიყვნენ შემდეგ საკითხებზე — საბჭომ თითქმის ერთხმად მიიღო...

„აღსრულდა“! — ვფიქრობდით ჩვენ.

დ. ი. ყიფიანმა გადაჭრით განაცხადა: „მე პროტესტს ვაცხადებ თქვენი გადაწყვეტილების წინააღმდეგ“... ჩვენ გვეგონა დაუმატებდა:

„ამის შემდეგ ვტოვებ თანამდებობას“. მაგრამ მან წინდაუხედაობა გამოიჩინა და ეს არ განუცხადებია. ამის მაგიერ წარმოთქვა: „და ყოველივე ამას მოვახსენებ უფროსებს“.

უფროსები ასეთ შემთხვევაში ვერაფერს გააწყობენ. თუ საბჭო იმდენ პატივს არ სცემს საკუთარ თავს, რომ დროს წყლის ნაყვაში ხარჯავს, ამ საქმიანობაში მას ვერავითარი ხელისუფლება ვერ შეუშლის ხელს და უფროსების ვერავითარი ღონისძიება ვერ უშველის. ამ უბადრუკმა სიტყვებმა კიდევ უფრო გააღრმავა ანტაგონიზმი მათ შორის. თუ ბრძოლა მზადდება, ბრძოლისათვის ეს სიტყვები უსარგებლოა, შეიძლება მავნებელიც. ხოლო თუ მშვიდობას ეძებენ, მაშინ ქალაქის თავს ისინი ღრმა უფსკრულს უთხრიან. რა საჭირო იყო მათი წარმოთქმა?

ეს სიტყვები ალბათ იმ კანონის ძალით წარმოითქვა, რომ აგონია ყველაზე დამბლასავით მოქმედებს... ამ გარემოებამ მხოლოდ გააძლიერა სკანდალი. თუ საბჭოს განწყობილების მიხედვით ვიმსჯელებთ, დ. ი. ყიფიანი რომ გადამდგარიყო, ორი თვით მაინც დააჩქარებდა გარდუვალ დასასრულს... და რადგან დარჩა, ამით მან მხოლოდ უსიამო ხასიათი მისცა და გაამწვავა დასასრული...

76. კვლავ ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები

„ტიფლისკი ვესტნიკი“ [3] ნაწყენია ჩვენზე იმის გამო, რომ უკანასკნელ საკვირაო ფელეტონს მინაწერი დავურთეთ რეპრესალიების შესახებ, რასაც იძულებული ვიქნებით მივმართოთ. იგი უმთავრესად ნაწყენია ჩვენს შენიშვნებზე იმის შესახებ, რომ მისი მესვეურები არასაკმაოდ იცნობენ ლიტერატურულ ეთიკას. მაგრამ საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ამისა „ტიფლისკი ვესტნიკის“ უკანასკნელი შენიშვნაა. ამ გაზეთის ახლანდელი რედაქცია ალბათ ღრმად და სერიოზულადაა დარწმუნებული, რომ ლიტერატურულ პოლემიკაში შეიძლება ჰორების ანდა მწერლის მიერ ამა თუ იმ სტატიაზე, ამა თუ იმ მოქმედებაზე გამოთქმული კერძო, პრივატული აზრის შეტანა... სწორედ ესაა რედაქციის შეცდომა...

მწერალთან ლიტერატურული კამათის დროს მასალად შეიძლება გამოვიყენოთ მისი დაბეჭდილი ნაწარმოებები, ხოლო საზოგადო მოღვაწესთან კამათის დროს — მხოლოდ მისი მოქმედება არჩეულ ასპარეზზე. ეს ისეთი აქსიომაა, რომ მისი მტკიცება უხერხულიცაა. ამას წინათ მოვიტანეთ მჭევრმეტყველური ამონაწერი ნ. ა. დობროლუბოვის პასუხიდან, სადაც ჩამოთვლილია ის მიზეზები, თუ რატომ არ შეიძლება ლიტერატურული პოლემიკის დროს განიხილო სხვა მხარეები, გარდა მოწინააღმდეგის დაბეჭდილი სტატიებისა. თუ „ტიფლისკი ვესტნიკს“ მახსოვრობა ღალატობს, ჩვენ უფლება არა გვაქვს იგივე აზრი ვიქონიოთ „ობზორის“ [2] მკითხველებზე. ამიტომ, ხელმეორედ აღარ გადმოვბეჭდავთ დობროლუბოვის პასუხს; დავძენთ მხოლოდ, რომ ადამიანები, რომლებიც კამათის დროს მწერლის მარტო კერძო ხასიათის საუბრებსა და გამონათქვამს ეყრდნობიან, მკითხველებს საკმარის გარანტიას ვერ აძლევენ... ვინ იცის, რის გამო ლაპარაკობდა მწერალი, სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ხუმრობდა, იყო თუ არა მის სიტყვებში ირონია და სარკაზმი? თუ კი მოწინააღმდეგენი ყოველ ნაბიჯზე ამახინჯებენ მწერალთა დაბეჭდილ ნაწარმოებებში გამოთქმულ აზრებს, მაშინ სადაა იმის გარანტია, რომ კერძო საუბარში გამოთქმული აზრები საზოგადოებამდე იმ სახით მიდის, როგორც მწერალმა გაიაზრა? და, ბოლოს, სადაა იმის

გარანტია, რომ ყოველი მწერლის წინააღმდეგ არ შექმნიან პოლემიკის საკმაოდ მოხერხებულ სისტემას, ე. ი. მისი კერძო საუბრების შეთხზვით, ან დამახინჯებით არ შეეცდებიან უარყონ მწერლის დაბეჭდილი ნაწარმოებები...

დაგვისახელოს „ტიფლისკი ვესტნიკმა“ თუნდაც ერთი მაგალითი, რომელიმე სერიოზულად განვითარებული ლიტერატურიდან, სადაც პოლემიკას ასეთი ხერხებით აწარმოებენ და ჩვენ სახალხოდ ვაღიარებთ, რომ ვცდებოდით, როცა მის ხელმძღვანელებს ლიტერატურულ უმეცრებაში ვდებდით ბრალს.

ცხადია, პირადად ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამგვარ გადახრებს: ლიტერატურული რეპუტაცია ასეთი სისულელეებით არც იქმნება და არც ისპობა. რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ჩვენი, ანდა სხვა რომელიმე ადამიანის რეპუტაცია, მისი ზრდა ან შელახვა დამოკიდებულია გაცილებით მნიშვნელოვან ფაქტორებზე. და თუ ჩვენ გვაშფოთებს ლიტერატურული ზრდილობის ამგვარი დარღვევა და ჟურნალისტური ჩვევების შელანძღვა — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პროვინციულ, და განსაკუთრებით კი კავკასიის, პრესის განვითარებას და ღირსებას ვნებს. სამაგალითოდ მინდა მოვიყვანო ამას წინათ მომხდარი სკანდალი, რაც „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდილმა ბატ. ა. ფურცელაძის წერილმა გამოიწვია და მთელი რუსეთის პრესა მოიარა. „ნედელიამ“ [89] დაბეჭდა ნაწყვეტები ამ წერილიდან, ღირსეულად აღნიშნა მათი უხამსი ტონი და გესლიანად დაუმატა: თბილისელ ლიტერატორებს ასეთი ამბები პოლემიკად მიაჩნიათო! ამასთანავე, „ნედელიამ“ დაუშვა შეცდომა და ბატ. ა. ფურცელაძის წერილი „ტიფლისკი ვესტნიკს“ მიაწერა. მაგრამ სხვა გაზეთები „ნედელიაზე“ უფრო შორს წავიდნენ. მაგალითად, „სტრეკოზამ“ [90] ბატ. ფურცელაძესთან სოლიდარობა არა მარტო „ტიფლისკი ვესტნიკს“ დააბრალა, არამედ მთელი კავკასიის პრესასაც. მან ურჩია კავკასიელ მწერლებს ხელი მოჰკიდონ სპარსული ფხვნილით, ყაზანის საპნით ვაჭრობას და არა „ლიტერატურას“. ცხადია, ყველაფერი ეს სისულელეა, მაგრამ რატომ უნდა ვაძლევდეთ მათ ამის თქმის საბაბს, რატომ უნდა ვამცირებდეთ ჩვენ ჩვენსავე ღირსებას რუსი ხალხის წინაშე, რომელსაც „ტიფლისკი ვესტნიკი“ თვალითაც არ უნახავს და ამიტომ დაიჯერებს კიდეც „სტრეკოზას“ სიტყვებს, თითქოს ჩვენი გაზეთები ფურცელაძისეული სისულელეების ბეჭდვის მეტს არაფერს აკეთებს?

კარგი იქნებოდა, ამ ამბების ქადაგებასთან ერთად, უფლება რომ გვქონდეს ყური არ ვათხოვოთ ამგვარ რჩევას და გასაქანი მივცეთ ისეთ სტატიებს, როგორიც ბატ. ფურცელაძისაა. მაგრამ ჩვენ არა

ერთხელ განვაცხადეთ, რომ დავბეჭდავთ ჩვენი სტატიების ყველა უარყოფას. ბატ. ა. ფურცელაძის წერილი რომ „ობზორში“ დაბეჭ-დილიყო ამ ამბავში მკითხველები გარეშე პირის აზრის მეტს ვერა-ფერს დაინახავდნენ. ვერავინ ვერ აღმოაჩენდა მასში ლიტერატუ-რულ პოლემიკას ორ ბეჭდვით ორგანოს შორის. ბატ. ფურცელაძის წერილი მხოლოდ იმ კაცის ნაწარმოები იქნებოდა, ვინც ხელი მოა-წერა. მაგრამ წერილის დაბეჭდვამ „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაანახა ყველა ჩვენი ყოფის არმცოდნე ადამიანს, რომ „ტიფლისკი ვესტნი-კი“ აწარმოებს ლიტერატურულ პოლემიკას „ობზორის“ წინააღმდეგ და, ამავე დროს, „ტიფლისკი ვესტნიკი“ ხომ არ ანიჭებდა ამგვარ მნიშვნელობას ბატ. ა. ფურცელაძის წერილს!

იგივე უნდა ითქვას ბატ. გოგებაშვილის საპასუხო წერილებზეც. ჩვენ სიამოვნებით დავბეჭდავდით ამ პასუხებს და არავის არ ექნე-ბოდა უფლება დაენახა მათში სხვა რამ, გარდა ბატ. გოგებაშვილის პირადი აზრებისა. ახლა კი საზოგადოებაც და რუსეთის პრესაც მათ-ში მთელი ორგანოს, „ტიფლისკი ვესტნიკის“ აზრის გამოხატულებას დაინახავს. როდესაც ბეჭდავთ ისეთ სტატიას, რომელშიც შეიძლება ვინმემ მთელი ორგანოს აზრი დაინახოს, ვალდებული ხართ ეს სტა-ტია ლიტერატურული წესის მიხედვით გამართოთ.

რაც შეეხება რეპრესალიებს, ჩვენ მას გამოვიყენებთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ თვალსაჩინო მაგალითით დაგანახოთ თქვენც და მთელ საზოგადოებასაც რას ნიშნავს პიროვნება და პირადი ანგარიშსწო-რება. როგორც ყოველ მოკვდავს, ბატ. ნიკოლაძესაც უნდა გააჩნ-დეს პირადი სიმპათიები და ანტიპათიები. ამდენხანს იგი გულმოდგი-ნედ უფრთხილდებოდა კალამს და არ სურდა პირადი სიმპათიებით გაესვარა. მაგრამ ამით მაინც ვერ მოიცილა ბრალდება — თითქოს მოწინააღმდეგეებს პირად ანგარიშს უსწორებს. ამიტომ ახლა აცხადებს, რომ ერთ ორჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე იგი უფლებას მისცემს თავის თავს გაჩვენოთ ასეთი ანგარიშ-სწორების მაგალითი, რათა ამგვარი მაგალითის შემდეგ აღა-რავის მოუბრუნდეს ენა დააბრალოს მას პირადი ანგარიშსწო-რება უკვე დაწერილ თუ მომავალ სტატიებში. ჩვენთვის სულერთია ვინ გახდება ამ სამწუხარო მაგალითის მსხვერპლი. ბატ. ბებუთოვი, ერისთავი, გოგებაშვილი თუ ზაგურსკი. ჯავრს მასზე ვიყრით, ვინც ხელში მოგვხვდება. რა დროს იდეალური სამართლიანობის დაცვაა, როცა „მაგალითის ჩვენება“ გიხდება. ჩვენ ფარისეველნი არა ვართ, და თუ ბედმა იძულებული გაგვხადა დაუნდობელნი ვიყოთ, ჩვენ გვეყოფა იმის ვაჟკაცობა, რომ არა მარტო სისრულეში მოვიყვანოთ მუქარა, არამედ ყველაფერს თავის სახელი ვუწოდოთ, ყოველგვარი

სიყალბისა და თავის მართლების გარეშე. ჩვენ გვინდა ხალხს დავანახოთ, რომ მართლაც მიგვიყვანეს ამ სამწუხარო უკიდურესობამდე. დანარჩენს დაინახავთ თვითონ, ოღონდ სცადეთ და მცირეოდენი საბაბი მომეცით.

აი „ტიფლისკი ვესტნიკის“ შენიშვნა:

„ობზორის“ რედაქტორი რეპრესალიებით გვემუქრება. თუმცა იგი მაინც არ გვიხატავს სრულ სურათს, თუ რა ბედი გველის, მაგრამ ჩვენს შესაშინებლად და შესაძრწუნებლად მარტო მუქარაც კმარა, რადგან ვფიქრობთ იმ დრაგონადაზე, რაც თავს უნდა დაგვატეხოს ლიტერატურის საფუძვლების დამცველმა.

უვიცებმა და ბიჭ-ბუჭებმა, რომელთა ხელში მოექცა „ტიფლისკი ვესტნიკი“ გაბედა და შეეხო ბატ. ნიკოლაძის კერძო ცხოვრებას. ასე, მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ „ობზორის“ ახლანდელმა რედაქტორმა სთხოვა ბატ. გოგებაშვილს მის გაზეთში თანამშრომლობა — ეს თურმე კერძო ცხოვრებიდან აღებული ფაქტია; ანდა ასე, ნათქვამია, რომ ბატ. ნიკოლაძე გამოსთქვამდა ამა თუ იმ აზრს „ტიფლისკი ვესტნიკში“ დაბეჭდილ სტატიებზე — ესეც თურმე კერძო ცხოვრებიდან აღებული ფაქტია. ასევე, ნათქვამი იყო... განა ცოტა რამ იყო ნათქვამი ისეთი, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ლიტერატურული მოღვაწეობის შესაფასებლად? თუმცა ბატ. ნიკოლაძე თვითონ ამბობს — ამაზე ლაპარაკის დრო ჩემი სიკვდილის შემდეგ დადგებაო... მაგრამ ბატ. ნიკოლაძეს დაავიწყდა დაევალებინა ჩვენთვის, გვახსოვდეს იგი — როგორც ლიტერატორი — მას შემდეგაც, როცა ყურადღებას ვეღარ მიიქცევს ლიტერატურულ-პოლემიკური მარგალიტებით.

კიდევ ორიოდე სიტყვა. ბატ. ნიკოლაძე იმუქრება, რომ რეპრესალიებს, უპირველეს ყოვლისა, ბატ. ბებუთოვისა და ერისთავის წინააღმდეგ გამოიყენებს, ე. ი. დაიწყებს იმ პირებიდან, რომელთა აქ არყოფნის გამო „ტიფლისკი ვესტნიკს“ „ობზორის“ რედაქტორმა უმეცრების და ხელმოცარულთა ორგანო უწოდა. უმარტივესი ლოგიკაც კი იმას მოითხოვს, რომ რეპრესალიები სწორედ ამ ადამიანების წინააღმდეგ იყოს მიმართული და ჩვენ ველით სასჯელს, თუ კი ამის ღირსად გაგვხდიან“.

77. ადგილობრივი მიმოხილვა

ქართული ბეჭდვითი სიტყვა დაუღალავად უშვებს წიგნს წიგნზე და ამით, როგორც მას მოეპრიანება, ქართველ მკითხველ საზოგადოებას კითხვის დაუოკებელ წყურვილს უკლავს. ვერ მოასწრებ გადაათვალიერო ერთი ბროშურა და უკვე გამოდის მეორე. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია გავიმეოროთ არაერთხელ გამოთქმული აზრი, რომ სასურველია დასაბეჭდი ლიტერატურის უკეთ და უფრო გააზრებულად შერჩევა. სანამ ქართველი ინტელიგენცია ღრუბლებიდან საზოგადოების მოთხოვნილებათა სამსახურის ამ რეალურ ნიადაგზე არ დაშვებულა, და სანამ მას ემსახურებიან ამ საქმისათვის მოუმზადებელი ადამიანები, აზრი არა აქვს ჩივილსა და ამაო რჩევას. საჭიროა მხოლოდ, რომ დააკვირდე ლიტერატურული მოვლენების ბუნებრივ მსვლელობას და მოვლენათა ლოგიკური ძალისა და მომავალი თაობის იმედი იქონიო.

რა მოგვცა სინამდვილეში, ქართული ბეჭდვითი სიტყვის განვითარების ისტორიამ უკანასკნელი წლების მანძილზე? მაშინ, როცა ქართული ინტელიგენციის უმნიშვნელო, ძალზე უმნიშვნელო ნაწილი ცდილობდა ჭკუა ესწავლებინა, ლიტერატურის მეშვეობით, მათი მსგავსი ინტელიგენტებისათვის, ქართველი ხალხის უმრავლესობა, ეტყობა, „მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის“ აღქმისათვის მოუმზადებელი, თუმცა კითხვის დიდი მოყვარული, ლიტერატურული მოძრაობისაგან მაინც განზე დარჩა. ხალხისათვის ძნელი მოსანელებელი და გაუგებარი იყო „მნათობისა“ [91] და „ივერიის“ [63] მწერლების დოქტრინალური და უნიჭო ნაღეჭი, მნიშვნელოვან მატერიებზე, რაც განათლებულ ქართველებს დიდი ხანია დამუშავებულ და ამოწურულ სიუჟეტებზე ბავშვურ ვარჯიშად მიაჩნდათ და საფუძვლიანადაც. უმეტეს შემთხვევაში „დროება“ [22] და „კრებულიც“ [92] ისეთ საგნებსა და იდეებს ეხებოდნენ, რომელთაც ჯერ ქართველ ხალხში გამოძახილი ვერ ჰპოვეს. ასე რომ, მუჰამედი მთას უხმობდა, რომელიც ადგილიდან დაძვრაზე არ ფიქრობდა, მან კი ვერ მოიფიქრა თავათ მისულიყო მთასთან. ქართველ მწერლებს უნდოდათ ლიტერატურული განვითარების საქმე, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ბოლოდან დაეწყოთ, მიუხედავად

იმისა, რომ ყველა ლიტერატურული მოვლენა მათ პირდაპირ გზას უჩვენებდა. როგორც კი გამოჩნდებოდა ცოტათი მაინც ხეირიანი ბელეტრისტული ნაწარმოები, მაშინვე მთელ საქართველოს მოედებოდა და ქართველი საზოგადოების ყველა ფენა ხარბად კითხულობდა. გავიხსენოთ ბატ. არდაზიანის „მეჯღანუაშვილი“, ბატ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ი. გ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, გ. ე. წერეთლის „მგზავრის წიგნები“, ა. რ. წერეთლის მოთხრობები, ნარკვევები და ფელეტონები. ხალხი ხარბად ეწაფებოდა ამგვარ ნაწარმოებებს და ამით ჩვენი ლიტერატურის მოღვაწეებს სწორ გზას უჩვენებდა წარმატებისა და გავლენის მოსაპოვებლად, მაგრამ ჩვენი მწერლები განაგრძობდნენ ღეჭვას მოსწავლისათვის შესაფერ სტატიებზე, როგორიცაა „ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარება“... ანდა ჯონსტიუარტ მილის შეხედულებაზე...

ასეთი ვათარება იყო შექმნილი, როცა მოსაზრებულმა და თავიანმა ასოთამწყობებმა, დიახ, სტამბის უბრალო ასოთამწყობებმა დაიწყეს თავიანთ ხარჯზე ყველაფრის გამოცემა, რაც კი ხელში მოხვდებოდათ: ძველი პოემების, ლექსების, მოთხრობების, თარგმანების, მიბაძვების, კომედიებისა და ა. შ. და რადგან სახსრები არ გააჩნდათ, ბეჭდავდნენ პატარ-პატარა ბროშურებად და 5 ან 10 კაპიკად ჰყიდნენ. ასეთ გამოცემებს საფუძველი ბატ. ნ. ყიფიანმა ჩაუყარა, რომელმაც დაბეჭდა ხალხური ლექსი არსენაზე, ფასით 3 კაპ. როგორც კი დაინახეს ასოთამწყობებმა, რომ იაფი ბროშურები და ფურცლები სწრაფად და დიდი რაოდენობით გავრცელდა, გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. ერთ-ერთმა მათგანმა, ბატ. ხელაძემ თავის ტიპოგრაფიაც კი გახსნა, სადაც ოთხი წლის მანძილზე გამოსცა ან დაბეჭდა ასობით ამგვარი გამოცემა.

ეს ადამიანები არც მდიდრებია და არც ფანტაზიორები, რომ მათი გამოცემები მათ მიერ გაღებულ მსხვერპლად მივიჩნიოთ. თვით ეს უწყვეტი ჯაჭვი ამტკიცებს, რომ წიგნის გამოცემა სარფიანი საქმეა, დიდი რაოდენობით ვრცელდება, ხალხს სჭირდება. განა დრო არ არის ქართველმა ახალგაზრდობამ მიაქციოს ყურადღება ამ ამბავს და შინაარსით და ღირებულებით ყველასათვის ხელმისაწვდომი წიგნებისა და ბროშურების შედგენით და გამოცემით საკუთარი ხალხის განვითარებას ხელი შეუწყოს?

ყოველ შემთხვევაში, სპეციალურად უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქართველი მწერალი უკვე დაადგა ამ გზას. მაგალითად თავ. რ. დ. ერისთავმა, რომელმაც ამას წინათ გამოსცა საკუთარი მოთხრობა „ნიკო“, ახლა დაბეჭდა კრილოვის იგავ-არა-

კების თარგმანი. სულ თარგმნა 42 იგავ-არაკი. ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებობს ზოგიერთი იგავ-არაკის თარგმანი. თავ. მ. ბებუთოვმა ამას წინათ პატარა წიგნად გამოსცა კრილოვის იგავ-არაკების მთელი კოლექცია. მაგრამ მისი თარგმანები მშრალად, წიგნური ენით იყო დაწერილი, რამაც ზარალი მიაყენა ქართულ ლიტერატურას. თავ. რ. ერისთავის თარგმანები კი მოხდენილად, ყველასათვის მიღებული ენითაა დაწერილი (თუმცა ადგილ-ადგილ მთარგმნელმა რატომღაც შეინარჩუნა ძველი ორთოგრაფია) და მის უდავო პოეტურ ნიჭს ამჟღავნებს, რასაც, სხვათა შორის, კარგად იცნობს ყველა, ვინც ქართულ ლიტერატურას იცნობს.

მეორე ბროშურა, რომელიც აგრეთვე დღეს მივიღეთ, ეკუთვნის ბატ. აღალო თუთაევის კალამს. ესაა სამ მოქმედებიანი კომედია და ეწოდება — „რძალი, ცოლისდა და თაღლითები".

ორივე ბროშურა კარგადაა დაბეჭდილი, განსაკუთრებით პირველი, რომლის გამომცემლებია ბატ. ვაჩნაძე და ჩარკვიანი. იგავ-არაკები იყიდება თითო ეგზემპლარი 25 კაპიკად, ხოლო ბატ. თუთაევის კომედია 30 კაპიკად. ეჭვი არაა, რომ ორივე ბროშურა გაიყიდება.

78. ცოტაოდენი ლოგიკა

თბილისი, 11 ნოემბერი

გაზეთი „მშაკის“ [55] მორიგი სტატია, სათაურით „იაფფასიანი ლიბერალიზმი“, უარყოფს ჩვენს უკანასკნელ აზრს იმ საოცარ გამონაგონზე, რომელსაც იგი, თავმდაბლად, თავის „თეორიასა“ და „გეგმას“ უწოდებს.

„რუსულმა გაზეთმა „ობზორმა“ [*] ლიბერალობისათვის საკმაოდ მადლიანი თემა აირჩია: „მშაკი“ ცდილობს წაართვას ჩვენს მუსულმანურ მოსახლეობას საკუთარ ენაზე სწავლის უფლება... ტვინი ყველას ერთნაირად აქვს მოწყობილი... მუსულმანებიც ადამიანები არიან, ამიტომ, მათაც შეუძლიათ ცივილიზირება.

„მშაკი“ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როცა აღიარებს სომხების უფლებას ჰქონდეთ დედაენაზე სწავლის სურვილი და ართმევს მას მუსულმანებს... და ა. შ.

ასე შეიძლება არა თუ სტატიების, მთელი ტომების დაწერა. თუ ამას დავუმატებთ რამდენიმე საეჭვო (?) ისტორიულ ფაქტს და ვეცდებით გავაბუნდოვანოთ მკითხველის მსჯელობა ისტორიული ჭეშმარიტებების მოხერხებული გადასხვაფერებით (?!), — მივიღებთ, როგორც „ობზორშია“, ამგზნებ (?) სტატიებს, რომლებიც მარჯვნივ და მარცხნივ აფრქვევენ იაფფასიანი ლიბერალიზმის ბრწყინვალებას.

ისლამიზმს არ შეუძლია იყოს საკუთარ ენაზე ცივილიზაციის იარაღი, რადგან იგი უმოძრაოა. მუსულმანობის არსებობის პირობა სწორედ ეს უმოძრაობაა. ისლამი, როგორც კი რაიმე ახალს აღიქვამს, შეიცვლება ან წინ წავა, აღარ იქნება ისლამი. მაჰმადიანი, რომელიც არა თუ მოძღვრების წესებს დაარღვევს, არამედ ცოტათი მაინც შეიცვლის თავის ტანსაცმლის აქსესუარებს — ერეტიკოსია და ყურანის წინაშე სცოდავს. თუ ვინმე შეეცდება შემოიღოს მუსულმანთა ელემენტარულ სკოლებში არითმეტიკა, ანდა პედაგოგიკის მიერ გამომუშავებული ახალი თვალსაჩინო სწავლების მეთოდი, ქვით ჩაქოლავენ(?). რისთვის უნდა შემოიღონ სკოლებში სწავლების ახალი

მეთოდი, როცა ყურანში ყველაფერია მოცემული, როცა, მუსულმანის აზრით, ყურანი სიბრძნის ერთადერთი წყაროა, რასაც მოკლებულია მთელი არამაჰმადიანური სამყარო.

მაგრამ დავანებოთ თავი რელიგიასა და რჯულს, რაც, მართალია, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე, მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყოს ამგვარი ზემოქმედება, გავლენა მაინც უმნიშვნელოა იმ შემთხვევაში, თუ ერი, რომელმაც მიიღო რელიგია, უკულტურო და ეკუთვნის განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებს, ტომებს, რომელთაც არც ისტორია გააჩნიათ, არც თვითმყოფი ცივილიზაცია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ტომის ფიზიოლოგიურ ორგანიზმთან.

ადვილია მაჰმადიანების უპირატესობის დამტკიცება, თუ გავიხსენებთ არა მხოლოდ მონღოლებს, რომელთაც ცივილიზების უნარი არ შესწევთ, არამედ სემიტური წარმოშობის არაბებსაც.

ნუთუ „ობზორის" სწავლულ თანამშრომლებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ არაბების ყველაზე ნიჭიერი სემიტური ტომი, ისლამის მაგივრად ქრისტიანობას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მოსეს რჯულს თუ მიიღებდა — აქამდე განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგებოდა? ნამდვილად კი, ჩვენ ვხედავთ, რომ მათი დროებითი ბატონობა მსოფლიოში მახვილისა და ცოდნის მეშვეობით მოისპო და ისინი ისევ უდაბნოს ველურ მობინადრეებად გადაიქცნენ...

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ თურქულ ენას განვითარების უნარი არ შესწევს. არც არაბული ანბანის უვარგისობაზე ლაპარაკი მიგვაჩნია საჭიროდ, რომლის ხალხში გავრცელება იმიტომ ჭირს, რომ ხმოვანი ბგერები არ გააჩნია *.

იქნებ ჩვენ უკეთ ვიცით, ვიდრე „ობზორმა", რომ კონსტანტინოპოლში გამოდის რამდენიმე თურქული გაზეთი, მაგრამ ეს გაზეთები ხელმისაწვდომია მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრისათვის. სომხური ანბანით დაბეჭდილ თურქულ გაზეთებს თურქები მეტი ხალისით კითხულობენ, ვიდრე არაბული ანბანით დაბეჭდილს. სპარსეთშიც არსებობს ისეთი გაზეთი, რომლის წაკითხვა მასას არ შეუძლია.

რაც შეეხება რუსული გაზეთის აზრს, თითქოს სომხური სკოლების ნაცვლად მუსულმანებისათვის უკეთესი იქნებოდა ფრანგუ-

---

* არაბული ანბანით რომ კითხვა ისწავლო 10 წელზე მეტია საჭირო. თვით სწავლულ მოლასაც კი უჭირს არაბული ანბანით ახალი, მისთვის უცნობი სიტყვის წაკითხვა, რადგან იგი მხოლოდ თანხმოვნებს ხედავს, ამიტომ არ ესმის სიტყვის მნიშვნელობა და არ იცის რომელი ხმოვნები ჩასვას მათ შორის („მშაკის" შენიშვნა).

ლი და გერმანული სკოლები — ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს...

მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან მუსულმანები და სომხები თითქმის ყველგან ერთად ცხოვრობენ; სომხებს კი აქვთ სკოლები, რომელთაც შეეძლოთ არარსებული მუსულმანური სკოლების მაგვარობა გაეწიათ. და ბოლოს, მუსულმანთა დიდი ნაწილი, რომელიც სომხებთან ერთად ცხოვრობს, თავისუფლად ლაპარაკობს სომხურად(!!) — თუმცა სომხური წერა-კითხვა არ იცის; აი, რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი გეგმა უფრო პრაქტიკულია, ვიდრე „ობზორისა".

შეგინიშნავთ, მკითხველო, რომ არაფერი არ შეურაცხყოფს ხანში შესულ და ულამაზო ქალს ისე ძლიერ, როგორც მისი თანდასწრებით სხვა ქალის მშვენების ქება? კაცობრიობის შემადგენელი სხვადასხვა ხალხების გონებრივი მონაცემების სხვაობის იდეას ძირითადად ისეთი ადამიანები უარყოფენ, რომლებიც დიდი ჭკუით არ გამოირჩევიან...

„ობზორს" უყვარს წინასწარმეტყველება. ვეცდებით ჩვენც ვიწინასწარმეტყველოთ. რუსული გაზეთი ლაპარაკობს თურქეთის პროგრესზე უკანასკნელი წლების თუ საუკუნეების მანძილზე. მაგრამ ნუ ავიწყდება ამ პროგრესის მიზეზები. ცხადია, სახელმწიფო მოღვაწეები და თურქეთის მხედართმთავრები ამაგრებენ სახელმწიფოს და სწორედ ამ მაღალ საზოგადოებაში შეიმჩნევა პროგრესიც. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალი კლასები, მხედართმთავრები და სახელმწიფო მოღვაწეები მკვიდრი მონღოლები არ არიან: უმრავლესობა, დაწყებული სამინისტროდან, უბადრუკი ოფიცრით გათავებული, — ჰარემის შვილებია, ე. ი. ქრისტიანი და სხვადასხვა ტომის ქალების შვილები. ამგვარად, მათ დაკარგეს რასობრივი თავისებურება და ეს კი ჩვენს თეორიას ადასტურებს.

ასე რომ, თურქეთის მომავალი შეიძლება მხოლოდ ტომთა აღრევამ იხსნას, რადგან ისლამიზმისა და მონღოლების გარემოში არავითარი რეფორმების გატარება არ შეიძლება".

ამგვარი გამონაგონის თანმიმდევრულად უარყოფა იმას ნიშნავს, რომ სიზიფის[93] შრომა იტვირთო: მკითხველებისათვის საკითხი საკმაოდ ნათლადაა დასმული, რაც აადვილებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო რაც შეეხება „მშაკს", ჩვენ არაფრით არა ვართ დაცული, რომ იგი ადრე უარყოფილი და ახლახან უარყოფილი გამონაგონების ნაცვლად არ მოიგონებს კიდევ უფრო მოულოდნელ და გასაოცარ ამბებს. მაგრამ სწავლული ადამიანების დასახასიათებლად, რომელთაც ორი სახე აქვთ — ერთი — თავისთვის, მეორე კი — სხვებისთვის, აუცილებელია შევჩერდეთ ამ პასუ-

ხის რამდენიმე უცნაურ თავისებურებაზე. მეტად ადვილია, მაგრამ არც ისე საიშედო, დაიწყო იმით, რომ უარყო მოწინააღმდეგის მიერ მოყვანილი ფაქტები და ხმამაღლა უწოდო მათ „საეჭვო"; კიდევ უფრო მოსახერხებელია ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთების გარეშე ბრალი დასდო მას „ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯებაში". გაცილებით უფრო ძნელია დაიჭირო და გამოამჟღავნო ამგვარი დამახინჯებანი, რადგან ამისათვის საჭიროა ცოდნა, ერუდიცია. არა მგონია დაეჭვდე იმ გაზეთის ერუდიციაში, რომელმაც ასეთი აზრი, გამოსთქვა: „ისლამიზმს უნარი არ შესწევს თავის მშობლიურ ენაზე ცივილიზაციის იარაღი იყოს". როგორც ცნობილია, არის რელიგია, რომელიც სხვადასხვა ხალხმა და ტომმა მიიღო. ბოსნიის სლავ-ბეგებს, რომლებიც ისლამს აღიარებენ და აჭარლებს, რომლებიც გაამაჰმადიანეს, ისევ მშვენივრად შეუძლიათ ისარგებლონ დედაენით განათლების მისაღებად, როგორც მათ ქრისტიან თანამოძმეებს. იმის დასამტკიცებლად, რომ „მშაკს" არც საფუძვლიანი ცოდნა აქვს და არც ნათელი წარმოდგენა სადავო საკითხზე, საკმარისია მარტო ეს აღრევაც კი რელიგიისა ენასთან და ეროვნულობისა რელიგიასთან. ისლამიზმისა და რუტინერობის აღრევაც, რაც, მეტად თუ ნაკლებად, ყველა რელიგიაში და ეროვნებაში შეიმჩნევა, გაზეთ „მშაკის" მიერ ჯანმრთელი ისტორიული თვალსაზრისის შეთვისების სასარგებლოდ არაფერს ამბობს. ნოვატორებს ერეტიკოსებად მარტო მაჰმადიანები კი არ თვლიან, არამედ ცივილიზებული, ქრისტიანული ქვეყნებიც. „ტანსაცმლის აქსესუარების შეცვლა" პეტრეს დროს რუსეთში ისეთ ცოდვად ითვლებოდა „ჭეშმარიტი სარწმუნეობის" წინააღმდეგ. რომ ბევრი მხოლოდ სიკვდილითა და გადასახლებით გამოისყიდდა ხოლმე ამგვარ ცოდვას... სასწავლებლებში ახალი საგნების შემოღება მწვალებლობად ითვლება ყველა საზოგადოებაში, რომელიც აღარ ვითარდება. თუმცა რა საჭიროა ასე შორს წასვლა მაგალითისათვის, როცა თვით „მშაკის" პატივცემული რედაქტორი, როგორც არა ერთხელ უთქვამს მას, უმეცარ მოწინააღმდეგეებს ხშირად გამოუცხადებიათ ერეტიკოსად. ნუთუ ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ რუსებს ან სომხებს განვითარების უნარი არ შესწევთ და ამიტომ ხელოვნური საშუალებით გერმანელებად ან ინგლისელებად გადავაქციოთ? ნება თქვენია, მაგრამ ამგვარი გამონაგონის მოტანა თქვენი აზრის დასამტკიცებლად იმას ნიშნავს, რომ ან მეცნიერების არაფერი არ გესმით, ანდა ყოველგვარ სიბინძურეს იარაღად იყენებთ...

კიდევ უფრო უცნაურია ის ისტორიული განსწავლულობა, რასაც „მშაკი" ამჟღავნებს. სწავლული დოქტორის არწრუნის სწავლული

ორგანო არაბული ცივილიზაციის დაცემას ისლამიზმს აბრალებს; ამავე დროს ცნობილია, რომ ამ ცივილიზაციამ განვითარების უმაღლეს წერტილს სწორედ არაბებს შორის ისლამიზმის გავრცელების შემდეგ მიაღწია. ჩანს, „მშაკმა“ არ იცის, რომ თვით ისლამი არაბი ხალხის ქმნილებაა. შეგუებული მის ზნე-ჩვეულებებთან, ყოფასთან და ხასიათთან... ხომ არ შეიძლება მთელი ერი დაემსგავსოს დოქტორ არწრუნს, რომ თავისივე ხელით შექმნას საკუთარი დაცემისათვის საჭირო იარაღი... „ჩვენ ვხედავთ, რომ მათი (არაბების) დროებითი ბატონობა თითქმის მთელ მსოფლიოში იარაღისა და ცოდნის მეშვეობით, განადგურდა“, — დასძენს „მშაკი“ და ეს სიტყვები მოჰყავს, როგორც ისლამიზმის ხრწნის გასაოცარი არგუმენტი. მაგრამ ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ ასევე განადგურდა საბერძნეთისა და რომის დროებითი ბატონობაც თითქმის მთელ მსოფლიოში... ნუთუ შეიძლება ვინმესთვის ეს ამბავი იმის დამამტკიცებელი საბუთი იყოს, რომ ბერძნებსა და იტალიელებს განვითარების უნარი არ შესწევთ?

კიდევ უფრო უცნაურია „მშაკის“ ცოდნა თურქეთის პრესისა. „სომხური ანბანით დაბეჭდილ თურქულ გაზეთებს თურქები მეტი ხალისით კითხულობენ, ვიდრე არაბული ანბანით დაბეჭდილსო“,—ამტკიცებს „მშაკი“. რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს ამბავი სწავლული გაზეთის მგრძნობიარე გულისათვის, მაინც უნდა გავანათლოთ ამ საკითხში. ზოგიერთი თურქული გაზეთი კონსტანტინოპოლში თურქებისათვის კი არ იბეჭდება სომხური ანბანით, არამედ მხოლოდ იმ სომხებისათვის, რომელთაც ძლივძლივობით ისწავლეს სამრევლო სკოლებში სომხური წერა-კითხვა, მაგრამ ვერ შესძლეს წინაპართა დავიწყებული ენის შესწავლა და მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ. აი, სწორედ ამ სომხებისათვის უშვებენ სომეხი პუბლიცისტები სომხური ანბანით დაბეჭდილ თურქულ გაზეთებს და არა თურქები. დამახინჯებული ფაქტების ასეთსავე კატეგორიას ეკუთვნის პატივცემული გაზეთის მტკიცება, თითქოს სომხებთან ერთად მცხოვრები მუსულმანები „თავისუფლად ლაპარაკობენ სომხურად“. ეს ხომ წმინდა წყლის ილუზიაა. ჩვენ ბევრი სოფელი შემოგვივლია, სადაც თურქები და თათრები სომხებთან ერთად ცხოვრობენ, მაგრამ არასოდეს შეგვინიშნავს, რომ მათ შორის სომხური ენა ყოფილიყოს გავრცელებული.

რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს თურქი ხელისუფალნი „სახელმწიფოს ამაგრებენ“, — ეს აზრი ღირსია იმისა, რომ „მშაკის“ სხვა გამონაგონებთან ერთად ერთ დაფას ამშვენებდეს. თუ ერს თვითონ არ შესწევს უნარი შემდგომი განვითარებისა, მას ვერავითარი

ხელმძღვანელები ვერ უშველიან, თუნდაც ეს ხელმძღვანელები თურქეთის ჰარემებში კი არა, თბილისის ქარვასლებში იყვნენ დაბადებულნი. თურქეთის იმპერია იმ დროს შეიქმნა, როცა კონსტანტინოპოლის ჰარემებზე წარმოდგენაც არ ქონდათ. ახლაც კი ყველაზე ნიჭიერ მმართველთა კონტინგენტი თურქეთის უმაღლესი სფეროდან კი არ გამოდის, არამედ — ხალხის მასიდან, რომელმაც თურქეთს მისცა საერთოდ გამოჩენილ ადამიანთა მეტი წილი. რაც შეეხება ჩერქეზ, ქართველ და სომეხ ქალებს, როგორც ცნობილია, მათი ყიდვა არც ისე იაფად შეიძლება, რომ უბრალო ხალხმა იყოლიონ ისინი თავიანთ არარსებულ ჰარემებში...

სურათის დასრულების მიზნით, ჩვენ თავს ნებას მივცემთ და მივუთითებთ „მშაკის" სწავლულ თანამშრომლებს, რომ თურქები არ ეკუთვნიან მონღოლურ რასას. ჩვენ გვესმის, რომ „მშაკის" თანამშრომლებს შეუძლიათ არაფრად არ მიიჩნიონ „საეჭვო ისტორიული ფაქტები". მაგრამ ნუ თუ მათ არც ერთხელ არ უნახავთ არც ერთი თურქი და არც ერთი მონღოლი, რომ დარწმუნებულიყვნენ, თუ რა ცოტა მსგავსებაა მათ შორის?

აი, მეცნიერული მონაცემებისა და ჭეშმარიტების როგორ დამახინჯებამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, რომელიც ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაამტკიცოს მეცნიერების ძირითადი დებულებების საწინააღმდეგო აზრი... ვისაც უნდა პრინციპის მიმართ ეშმაკობა გამოიჩინოს, იგი საბედისწეროდაა განწირული ყველას და ყველაფრის დამამახინჯებელის როლისათვის... ხოლო შედეგი, როგორც ყოველთვის, საკუთარი თავისა და საკუთარი საქმის დისკრედიტაციაა...

დავუშვათ, რომ „მშაკის" ყველა დებულება საფუძვლიანია და უცილობელი. განა ყოველივე ამას შეუძლია უარყოს ის ჭეშმარიტება, რომ არ შეიძლება ხალხის განათლება მისთვის უცხო ენაზე? თუ ბატ. არწრუნს სურს უარყოს ჩვენი აზრი, მაშინ იგი ისლამის რელიგიის ან რასის წინააღმდეგ კი არ უნდა იბრძოდეს, არამედ პედაგოგიკის ამ ძირითადი საფუძვლის, ისტორიაში ამგვარი დასკვნების წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მას სურს ბოლომდე გაჰყვეს ლოგიკას, არ უნდა მოითხოვდეს მუსულმანების სომხურ სკოლებში სწავლებას, მათ მოქცევას სომხურ რჯულზე, მათ გასომხებას. თუ კი ისლამიზმი ერებს განვითარების საშუალებას არ აძლევს, რა შეუძლია გააკეთოს ამ შემთხვევაში სომხურ სკოლას, რომელსაც არც უფლება აქვს და არც შესაძლებლობა შეეხოს ბავშვის რელიგიურ მრწამსს? თუ კი მაჰმადიანის სისხლი, რასა, თავის თავში ატარებს უნაყოფობის და უმოძრაობის ელემენტებს, რის

გაკეთება შეუძლია ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ იმავე სომხურ სკოლას? ნუ თუ ბატ. არწრუნს სურს გადააქციოს ეს სკოლები სწორედ ისეთ რასობრივად აღრეულ ჰარემებად, რომელთაც მუსულმანური სამყარო უნდა იხსნან?...

და თუ „მშაკს“ ასეთი გეგმა აქვს, უნდა შევახსენოთ, რომ საჯალხო სკოლებში სწავლობენ 7-11 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც ჯერ მზად არ არიან ცივილიზატორული მისიისათვის, რასაც მათგან იგი მოითხოვს. ამგვარად, პატივცემული სომხური გაზეთი „მშაკი“ ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვარდება. მან ხელახლა უნდა მოძებნოს არგუმენტები და უარყოს დებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ უცხო ენა ერის განვითარებისათვის გამოუსადეგია. სანამ არ უარყოფს ამ დებულებას, გაზეთ „მშაკის“ ყველა გეგმა და თეორია მხოლოდ წყლის ნაყვა და პატივცემული გაზეთის უსაფუძვლობის თვალსაჩინო გამოფენა იქნება. ამიტომ ჩვენ გვაინტერესებს ვნახოთ, თუ როგორ უარყოფს „მშაკი“ ამ ძირითად დებულებებს. ვურჩევთ მას გასწიოს ეს ჭკუის სასწავლებელი შრომა, თუ რომ ასე ძლიერ სურს დასტკბეს უნაყოფო აზრით — სომხურ სკოლებში მუსულმანთა მიზიდვის შესახებ...

79. საკვირაო საუბრები

შირ-ალი ცეცხლის გამჩაღებელი.— აქლემები წაიჩხუბნენ, კოზაკი შუაში გაჰყლიტესო.—რა დაგვიჯდება დამატებით ავღანეთის ემირის ჭირვეულობა. — ბატონამბაროვის გაოცება. — ქათმის ჩიტილი. — შირ-ალი ადამიანებს შორის სოლიდარობას ქადაგებს. — მეშჩანური მორალი. — ველურები. — ჩვენი ხმოსნები საფრანგეთის პარლამენტს და მის ზნე-ჩვეულებებს იმოწმებენ. — კასანიაკი სომხური ბაზრიდან. — თუ გადმოღებაა, გადმოვიღოთ! — ველურის აზრი სიკეთეზე და ბოროტებაზე. — დოქტორ არწრუნის აზრი ამავე საგანზე. — განსხვავება მათ შორის. — ქალაქის თავის მომავალი არჩევნები. რატომაა მისი არჩევა ძნელი? — რა თვისებები მოეთხოვება კანდიდატს? ამ თვისებების გარჩევა. — დ. ი. ყიფიანი ლენტით, იორდანეზე. — მეინახე ვენერლები მოსკოვში. — რისთვის გეჭირდება მდიდარი ქალაქის თავი. — რას ნიშნავს „გამოცდილება“.

სანამ ღვთის კალთაგადაფარებული ჩვენი მხარე ლეღვის ხეებისა და ვენახების ჩრდილში ტკბება შეურყეველი მშვიდობით, რასაც ვერ არღვევს ჩვენს გაუბედურებულ პრესაში დროდადრო ამტყდარი ლიტერატურული „ბრძოლა“, სადღაც შორს, ძალზე შორს უკვე გაჰკრეს ასანთს, რამაც ადრე თუ გვიან ცეცხლის ალში უნდა გახვიოს მთელი ევროპა და შეიძლება მთელი ცივილიზებული სამყაროც. ცხადია, ჩვენ ვტკბებით მშვიდობითა და სიწყნარით. კიდევ უფრო უდავოა ის, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურს დავტკბეთ ამ სიკეთით... მაგრამ ჩვენს მხარეს, თითქმის სამყაროს შექმნის დღიდან, წილად ხვდა მწარე ბედი. სადაც არ უნდა ატყდეს ჩხუბი, ალბათ, მაინც ჩვენ გავიჭყლიტებით... ერთი შეხედვით, რა კავშირი აქვს ჩვენთან ვიღაც ავღანელი შირ-ალის უარს, ზრდილობიანი პასუხი გასცეს ოსტ-ინდოეთის მთავრობის ულტიმატუმს? განა ბევრ ჩვენგანს გაუგონია ავღანისტანის ან ოსტ-ინდოეთის არსებობა? მიუხედავად ამისა, ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ, რათა არ გავიჭყლიტოთ. ცხადია, ჯერ ნაადრევია „მოვლენათა განკვრეტა“ და იმის მტკიცება, რომ ომი უთუოდ ჩვენც შეგვეხება, მაგრამ რომ აგვცდეს კიდეც, ამ საძაგელი შირ-ალის ჭირვეულობის გამო ჩვენი ჯიბეები უეჭველად დაცარიელდება. ღმერთო გვაპატიე და რამ მოაფიქრა მას დაარღვიოს საყოველთაო მშვიდობა, რომელიც დაძაბული შრომით

გამოიმუშავეს ბერლინში მთელი ევროპის ამდენმა პატენტიანმა და აღიარებულმა ადამიანმა!?... რაღა ფასი აქვს ამის შემდეგ ან ევროპას და ან მთელ აბადაღებულ დიპლომატიას, თუ მათი მეცადინეობა და შრომა სათამაშო სახლივით ირღვევა უმეცარი ისლამიზმის ამ უმეცარი შვილის ერთი სულის შებერვით, კაცისა, რომელსაც დოქტორ არწრუნის „თეორიის" მიხედვით განვითარების უნარი არ შესწევს?...

ხოლო შირ-ალის უზრდელობის გამო რომ ჩვენი ჯიბეები დაცარიელდება — ეს ცხადზე ცხადია. ნახევარი იმპერიალი ჯერ კიდევ დიდხანს ეღირება რვა მანეთი. და ჩვენი სწავლული ფინანსისტების გულის მოსაკლავად, ვაჭრები ჯერ კიდევ დიდ ხანს გაჰყიდიან თავიანთ საქონელს 200 პროცენტით გაზრდილ ფასებში. ჩვენი ფინანსისტები, მიუხედავად მათი ფინანსიური სიბრძნისა, რასაც „ობზორმა" ² ასე უდიერად ემელუშკინის სიბრძნე უწოდა, ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მიხვდებიან, როგორ შეიძლება საქონლის ფასი 200 პროცენტით გაიზარდოს, როცა ფულის ერთეულის ფასი მხოლოდ 60 პროცენტით გაიზარდა... სიძვირე გააღატაკებს ათასობით და ათიათასობით ოჯახს და ზღაპრულად გაამდიდრებს ორ ათეულ მეწარმეს. რაც ხელს არ შეუშლის სწავლულ ფინანსისტებს ამტკიცონ, რომ მონოპოლისტები აქ არაფერ შუაშია, დამნაშავეა მხოლოდ ფულის ერთეული, ფულის კურსის დაცემა... და ჩვენ მაინც დაგვიცარიელდება ჯიბეები, რადგან ასეთია ჩვენი მწარე ხვედრი. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ძალზე მეტყველი და მრავალმნიშვნელოვანი ანდაზა, რომელიც ხალხურმა სიბრძრემ ქათამს ათქმევინა: „ხარი დაკლეს, მე დამაკლეს, ცხვარი დაკლეს, მე დამაკლეს, თხაი დაკლეს, მე დამაკლეს". მართლაც, და რა უბადრუკი და ნამდვილად ქათმის ხვედრი გვხვდა წილად — ვიყოთ ყოველთვის საკმაზი!...

ამგვარად, სადაც არ უნდა მოხდეს შეტაკება, ჩვენ ან ტყავი გაგვძვრება ანდა ჯიბე დაგვიცარიელდება. ნუთუ, ბატონებო, ყოველივე ეს ნათელს არ ჰფენს იმ ამბავს, რომ ქვეყნად არსებობს დაუძლეველი, ნამდვილი, რეალური ძალა, რასაც ადამიანთა სოლიდარობა ჰქვია? აბა მოსინჯეთ და ჩაიკეტეთ საკუთარ ნაუუჭში, მოწყდით მთელ ქვეყანას, დაიმშვიდეთ თავი იმით, რომ თქვენ სათნოებით სავსე ოჯახის კაცი და გადასახადების დროულად გადამხდელი ხართ და მთელი თქვენი საზოგადოებრივი მოვალეობა ამით შემოიფარგლება... ცხოვრობთ წყნარად, სათნოდ, არავის არ ჩაგრავთ, არავის არ უსტრვებთ ავს და გულუბრყვილოდ ფიქრობთ, რომ დაზღვეული ხართ ამ ქვეყნის ბრუნვისა და წუხილისაგან, ხოლო ამ დაზღვევის უმთავრესი საფუძველი ისაა, რომ ჰშობლების მიერ ბატოვებული

მემკვიდრეობა და სხვა ამდაგვარი პრივილეგიები საშუალებას გაძლევენ დატკბეთ ამ ცხოვრების სიკეთით. მაგრამ, სწორედ ამ დროს გამოჩნდება ვინმე შირ-ალი, რომელიც თქვენგან ცხრა მთას იქით ცხოვრობს და რომლის სახელი თქვენ არც კი გაგიგონიათ, შეურაცხყოფს თავის პასუხით კიდევ უფრო უცხო ინგლისელ რეზიდენტს, ან ელჩს და რამდენიმე თვის შემდეგ თქვენ უკვე თავს ვეღარ გაართმევთ ოჯახს, ჩაეფლობით ვალებში და იძულებული შეიქმნებით ყველაფერში შეავიწროვოთ თქვენი თავი და მთელი ოჯახი. მადლობა უნდა შესწიროთ ღმერთს, თუ გაჭირვებას დააღწევთ თავს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ომის ცეცხლი მოედოს თქვენს თავშესაფარს, მტრის ტყვია გაგეჩხიროთ ძვალში, ანდა სიცოცხლე გასწიროთ ურჩი შირ-ალის დასაცავად ან დასასჯელად!.. შემოიფარგლეთ, კეთილო ადამიანებო, უბედობისა და მეშჩანური მორალის მაღალი კედლით. ვერ გიხსნით თქვენ ეს კედელი იმ ძალებისაგან, რომელთაც არასოდეს არ სცნობთ, რომლებიც თქვენს ჯიბრზე და კაცობრიობის საკეთილდღეოდ ათ, თხუთმეტ წელიწადში ერთხელ ამტკიცებს, რომ ადამიანები, რა შორსაც არ უნდა ცხოვრობდენ ერთმანეთისაგან, ურთიერთდაკავშირებულნი არიან საერთო, განუყრელი ინტერესებით, რაც საერთო ზრუნვასა და საერთო მეცადინეობას მოითხოვს...

ჩვენ დავცინით შირ-ალის და ვწყევლით ომებს, რომელთაც ასეთი შორეული შეტაკებები იწვევს. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ იმაშიც, რომ ადამიანური სოლიდარობის იდეის განვითარებას ასეთ პატარა, ეგზოტიკურ ტირანს უფრო უნდა ვუმადლოდეთ, ვიდრე მათ წინააღმდეგ აჯანყებულ სან-პიერის მსგავს მეოცნებე ადამიანებს. მართლაც, ჩვენ ყველას გვაქვს მიდრეკილება ჩავიკეტოთ ჩვენს ნაჭუჭში და გულის სიღრმეში ვიმეორებდეთ ასეთ ანდაზას „უჩემოდ ქვა-ქვაზე არ დარჩენილა“. სანამდე მივიდოდა ჩვენი საზოგადოება, რომ პერიოდულად ცხვირში არ გვირტყამდეს ბატონ შირ-ალების მიერ გამოწვეული სკანდალი და არ გვახსენებდეს რომ, სათნო მეშჩანების მიერ ასე ძლიერ მოწონებული ცხოვრების გარდა, არსებობენ კიდევ სხვა ადამიანები, სხვა ინტერესები, სხვაგვარი წესები?..

მიუხედავად იმისა, რომ საჭირო შემთხვევაში ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს უყვართ უცხო წესების მაგალითად მოყვანა, ასეთ ამბებს მაინც არ შეგვახსენებდნენ. დიდი ხანია შემჩნეულია, და მგონი სპენსერის მიერ, რომ ველურები ჯერ ფუფუნებას, სამკაულებს, ელვარე და ყღარუნა ნივთებს ითვისებენ, შემდეგ კი აუცილებელ და საჭირო საგნებს. სანამ პერუსა და მექსიკის მკვიდრნი ევროპელთაგან საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავ ხელოვნებას შე-

ითვისებდნენ, ხარბად იძენდნენ მათგან რგოლებს ტუჩებისა და ცხვირის დასამშვენებლად... ზუსტად ასევეა ჩვენთანაც. იმის მაგვარად, რომ მიბაძონ ევროპის თვითმმართველობის მოღვაწეთა ცოდნასა და ენერგიას, გულმოდგინეობასა და კეთილსინდისიერებას, ჩვენმა ხმოსნებმა გასულ ორშაბათს საბჭოში აყალმაყალისა და არეულდარეულობის გასამართლებლად ფრანგი ორატორების სახელები დაიმოწმეს. „ზოგჯერ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებიც კი არ ემორჩილებიან ზარის რეკვასა და თავმჯდომარის შეგონებას“, თქვა ვიღაცამ შინგამოზრდილი კასანიაკის გასამართლებლად... საოცარი ამბავია. როგორც კი დაგვჭირდება რაიმე ნაკლის ან შეცდომის გამართლება, მაშინვე გავიხსენებთ ევროპიელებს და მათ მაგალითს მოვიყვანთ. მაგრამ როგორც კი ვიტყვით, რომ ევროპიელებს კარგი სკოლები აქვთ, ჩვენზე გონივრულად და უკეთესად ცხოვრობენ და საჭიროა მათგან ესა და ეს წესი შევითვისოთ, მაშინვე ვიფარგლებით და ვამტკიცებთ, რომ ისინი ევროპიელები არიან, ჩვენ კი — აზიელები; ჩვენ ჯერ კიდევ არ გავზრდილვართ იქამდე, რომ ევროპული წესები შევითვისოთ; ჩვენ ევროპიელების კვალს ვერ გავყვებით და ა. შ. და ა. შ. თუ ჩვენ უნარი არ შეგვწევს და არ უნდა შევითვისოთ ევროპიელებისაგან მათი კეთილსინდისიერი წამოწყებები, მაშინ რატომ უნდა მოგვყავდეს ისინი მაგალითად უწესო და უგუნური წესების გასამართლებლად? თუ კი ჩვენ უმნიშვნელო ან არაფრისმთქმელ შემთხვევაში უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს მივბაძოთ ევროპელებს, თუ, მსგავსად მათი, ვუკვეთავთ ტანსაცმელს და სადილს, ვმოგზაურობთ რკინიგზით, ვცეკვავთ მეჯლისებზე, ვუყურებთ წარმოდგენას, ვუსმენთ მუსიკას, დავდივართ დოღზე, ვტეხთ აყალმაყალს, ვსაუბრობთ თავაზიანად და ენავკვიმატობთ, მაშინ, ვკითხულობ, როცა სხვა ხალხის ცხოვრებიდან ამდენი რამ გადმოვიღეთ, რატომღა ვამბობთ ჯიუტად უარს, გადმოვიღოთ მათგან სხვა რამ ნამდვილად გონივრული, რაც ტელეგრაფსა და ლეკოკის უკანასკნელი აკორდების ბრახუნზე უფრო საოცარი და ძნელი არაა? მითხარით, რით უნდა აიხსნას ამგვარი უცნაურობა, თუ არა სპენსერის დაკვირვებით, რომ ველურებს ყველაზე ადრე ცხვირში გასაყრელი რგოლი მოეწონათ?..

ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ორიგინალური თვისება, — დამახინჯებულად შეითვისონ და ჩვენს ყოფაშიც გადმოიღონ ყველაფერი ის, რაც მათ მოსწონთ, ან მათ ჩვევებს უდგება, — მაგონებს ერთ საინტერესო ანეკდოტს, რომელიც ვაიცს მოჰყავს თავის ნაშრომში — „პირველყოფილი ხალხების ანტროპოლოგია“. წყნარი ოკეანის კუნძულზე დასახლებულმა რომელიღაც მისიონერმა, „მშა-

კის“ „გეგმისა“ და „თეორიის“ მიხედვით, დაიწყო კატეხიზირება უბადრუკი ადგილობრივი მოსახლეობისა, რომელთაც დამოუკიდებელი განვითარებისათვის დოქტორ არწრუნის მუსულმანებზე მეტი უნარი არ შესწევდათ. მისიონერი თვეების მანძილზე უხსნიდა ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს კეთილისა და ბოროტის განსხვავებას, უხსნიდა თუ რა დიდი სხვაობაა ამ ორ ცნებას შორის. ნუ დაგავიწყდებათ, მისიონერი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ წინასწარ შეისწავლა ადგილობრივ მკვიდრთა ენა და მოწაფეებთან გაჭირვებით ლაპარაკს ახერხებდა. სწავლების დროს იგი განმეორების სისტემას იყენებდა. ამიტომ, ფიქრობდა რა, რომ მან საკმაოდ აუხსნა მოსწავლეებს კეთილისა და ბოროტის მნიშვნელობა, ერთ-ერთ მოწაფეს სავსებით ბუნებრივი კითხვა მისცა: „შეგიძლია ამიხსნა შენი სიტყვებით რა განსხვავებაა ამ ორ ცნებას შორის?“

— რა თქმა უნდა, შემიძლია, — უპასუხა მას ადგილობრივმა მკვიდრმა ადამიანის უმეცრების შესატყვისი გამბედაობითა და სითამამით... ცხადია, როცა საქმე ცოდნას ეხება და არა სიკვდილის საფრთხეს... მათ შორის განსხვავება ასეთია: თუ მე მეზობელს ცოლი წავართვი, ეს იქნება კარგი, კეთილი საქმე, ხოლო თუ მან წამართვა — ცუდი, ბოროტი მოქმედება!

ხომ შესანიშნავად გაიგო ველურმა განსხვავება სახარებისეულ კეთილსა და ბოროტს შორის?

ჩვენ დავცინით საცოდავ ველურს, მაგრამ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, განა ბევრად გავუსწარით ჩვენ მას მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის პრინციპებისა და მონაცემების აღქმის თავისებურებით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განა ასევე არ იქცევა დოქტორი არწრუნი, როცა ამბობს:

— თუ მე წავართმევ შვილს მუსულმანს და უნაყოფოდ გავაწვალებ სომხურ სკოლაში, ეს იქნება კარგი, კეთილი საქმე. ხოლო თუ იგი წამართმევს და თურქულ მედრესეში მიაბარებს სასწავლებლად — ცუდი, ბოროტი მოქმედება...

მაგრამ იცით რა? ღმერთმანი, მე მეტი სიამოვნებით დავცინებ დოქტორ არწრუნს, ვიდრე პოლინეზიის კუნძულების ბედუკულმართ მოსახლეობას. პოლინეზიელს არც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში უსწავლია და არც გაზეთის რედაქტორი არ ყოფილა, თორემ ვინ იცის, იქნებ, მიუხედავად დოქტორ არწრუნის მტკიცებისა, რომ „უკულტურო რასებს“ განვითარების უნარი არ შესწევთ, იქნებ თბილისელ კულტურტრეგერზე უკეთ გარკვეულიყო, თუ რა განსხვავებაა კეთილსა და ბოროტს შორის...

* * *

ახლა სხვა საკითხებს შევეხოთ.

ქალაქის საბჭოს არჩევნების საბედისწერო ვადის მოახლოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით „6 ნოემბრის სკანდალის" შემდეგ, ჩვენ ხმოსნებს შორის, რომლებიც, სამწუხაროდ, დარწმუნებულნი არიან, და საფუძვლიანადაც, რომ მათ ხელახლა აირჩევენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებად, სერიოზულად დაისვა მნიშვნელოვანი საკითხი: „ვინ ავირჩიოთ ქალაქის თავად?".

არჩევნები ძნელი იქნება, რადგან შეზღუდულია. ასარჩევია ორი-სამი კანდიდატიდან ერთი...

— როგორ, შემეკითხებით თქვენ, ნუთუ თბილისში, ასეთ დიდ ქალაქში, ამიერკავკასიის სატახტოსა და ამდენი ერის გამაერთიანებელ ქალაქში, ევროპა-აზიის ვაჭრობის ცენტრში, ქალაქის თავად არჩევის ღირსი სულ ორი-სამი კაცია? საიდან ასეთი უკაცრიელობა? რაღა უნდა ვიფიქროთ ამის შემდეგ თბილისის მრავალეროვანი მოსახლეობის ნიჭზე, ცოდნაზე, პატიოსნებაზე და სხვა თვისებებზე?

მაგრამ მისამართი შეგეშალათ. ნიჭიერი ხალხი ჩვენში ბევრია, პატიოსანი ადამიანიც საკმაო რაოდენობით მოიძებნება. ბოლოს ისეთებიც კი გამოინახება, რომელთაც ნიჭიც აქვთ, პატიოსნებაც და ცოდნაც... მაგრამ ვის სჭირდება ასეთი თვისებების მქონე ქალაქის თავი? განა თქვენ არ იცით, რომ ქალაქის თავად წამოყენებული კანდიდატის შესაფერის ღირსებას ჩვენი ხმოსნები არსებითად შემდეგში ხედავენ:

1. კანდიდატი ან გენერალი უნდა იყოს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი (ამგვარი პირობა ძილს უფრთხობს და ცხადშიც აღელვებს ჩვენი საბჭოს ბევრ უბრალო სახელმწიფო მრჩეველს).

2. იგი აუცილებლად უნდა იყოს ჭაღარა, რაც გამოცდილებისა და კეთილგონიერების თვალსაჩინო საბუთია.

3. იგი უნდა იყოს მდიდარი, ე. ი. ხელფასის გარდა მისი პირადი წლიური შემოსავალი 10.000 მან. მაინც უნდა უდრიდეს.

მეტი არაფერია საჭირო.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ სამი თვისების მატარებელი ფენომენები თბილისში სულ სამი კაცია... და არ გინდათ აირჩიოთ რომელიმე მათგანი, როცა თითეულს ამ ფენომენთაგანს, საბჭოს წევრთა შორის, თითქმის თანაბარი რაოდენობით ჰყავს ნათესავები, მეგობრები და მომხრეები...

თქვენ, ალბათ, გაიკვირვებთ: რატომ ითხოვენ ჩვენი საბჭოს წევ-

რები ქალაქის თავისაგან სწორედ ამ თვისებებს და არა სხვა რომელიმეს? როგორ თუ რატომ? როგორც იცით, ჩვენი საბჭოს წევრები, უმეტეს შემთხვევაში, ან თვითონ ეკუთვნიან ვაჭართა ფენას, ანდა კავშირი აქვთ მათთან, ან მათზე არიან დამოკიდებულნი... ხოლო ვაჭართა შორის „უგენერლოდ" ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. უგენერლოდ არც ერთი ქორწილი არ გაიმართება და არცერთი დასაფლავება არ მოხდება. როგორც ცნობილია, მოსკოვში, სადაც ვაჭრებს ასეთი ნაცნობობა არ აქვთ, ზეიმის დროს ქირით მოჰყავთ გადამდგარი გენერლები, მაგრამ თუ გენერალი ვერ აღმოაჩინეს, იწვევენ პირველსავე გადამდგარ სახელმწიფო მრჩეველს... თუ კი მოსკოვში ასეთი წესია, როგორღა გასძლონ უგენერლოდ თბილისში?... საფუძვლიანი მოსაზრებაა, არა?

მე მახსოვს შესანიშნავი წამი, დ. ი. ყიფიანის პოპულარობის თაფლობის თვე, ქალაქის თავად არჩევის შემდეგ... როცა სამხრე ლენტით დამშვენებული, 1876 წლის 8 იანვარს, გაემართა ორივე ჩვენს იორდანეზე — მართლმადიდებლურსა და სომხურზე, ოხ, რა პოპულარული კაცი იყო იგი მაშინ! „ვა-ვა, — ჩურჩულებდნენ მაშინ მისი ამომრჩევლები და ამომრჩევლების ამომრჩევლები, — რა ქალაქის თავი გვყავს, რა ლენტი უკეთია, რა ვარსკვლავი უბრწყინავს!" საერთო აღტაცებას ბოლო არ უჩანდა... მაშინ არავის უკითხავს, რას გააკეთებს ახალი ქალაქის თავი, რას უნდა მოველოდეთ მისი უნარისა და ხასიათისაგან. ლენტმა დაჩრდილა ცხოვრების ყველა საკითხი, ყველა ადამიანის გული მოისყიდა. ქალაქის თავი წარმოსადგენი იყო და ეს ყველასათვის კმაროდა...

«Те дни прошли и минули давно!»

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი საბჭოს წევრები კვლავ ლენტს ეძებენ და არა ქალაქის თავს...

მეორე უცნაურობა.

— ჩვენ გვჭირდება ენერგიული მოღვაწე, — გაჰყვირიან საბჭოს წევრები ერთხმად, — ჩვენ გვჭირდება გაბედული მოთავე, რომელიც საკუთარი ძალ-ღონით გამოიყვანდა ქალაქის მეურნეობას ჯურღმულებიდან.

ხოლო ენერგიას, ინიციატივას და გამბედაობას ისინი ჭაღარამოსილ ადამიანში ეძებენ, რომელსაც სიფრთხილე, პუნქტუალობა და მრავალი სხვა სათნოება ახასიათებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში არავინ არ ეძებს ძალას, დაუცხრომლობას, გამჭრიახობასა და სიმამაცეს.

და, აი, ამიხსენით ახლა საიდან მომდინარეობს ასეთი უცნაურობა, ამგვარი სიბრმავე...

სწორედ ასეთი არეულდარეულობაა „მესამე პუნქტშიც“.

— ჩვენ გვჭირდება უანგარო მოღვაწე, რომელიც სულს არ დაიშურებს სამწყსოსათვის; რომელიც მუდამ ჩვენი ქალაქის ინტერესებისათვისა და კეთილდღეობისათვის იზრუნებს!... ამბობენ სხვადასხვა ყაიდაზე იგივე საბჭოს წევრები.

და ეს გულუბრყვილო ფანტაზიორები, რომელთაც, რატომღაც, „პრაქტიკულ მოღვაწეებს“ ეძახიან, უანგარობას, თავდაუზოგველობას, პირად სარგებლობაზე უარის თქმას მდიდარი კაცისაგან მოელიან, კაცისაგან, რომელიც ძილშიც კი უნდა ფიქრობდეს, როგორ დაიცვას უკეთესად საკუთარი სიმდიდრე; რომელიც მხოლოდ იმიტომ გამდიდრდა და შეინარჩუნა თავის სიმდიდრე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთ ღმერთს ემსახურებოდა — საკუთარ სარგებლიანობას, საკუთარ ინტერესებს, რაც საზოგადოებრივ ინტერესებთან შეუთავსებელია...

მაგრამ რა მოხდა, თუ არსებობს ძირეული, ბუნებრივი შეუთავსებლობა სიმდიდრესა და თავდაუზოგველობას ან საკუთარ სარგებლიანობის დავიწყებას შორის? სამაგიეროდ მდიდარ სადილებს გაგვიმართავს, საღამოებს მოაწყობს, ბანქოს სათამაშოდ დაგვიძახებს... ნუ თუ არც ესაა საფუძვლიანი მოსაზრება?

ხოლო თუ როგორია უკანასკნელი და ყველაზე გადამწყვეტი მოსაზრება — კარგად სჩანს ჩემი ნაცნობის სიტყვებიდან, რომელსაც საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განუმარტა, რომ ხმოსანთა საკმარისი რაოდენობით თავმოყრა შეუძლებელია ატმოსფერული მოვლენების — წვიმის, ქარისა და სხვათა გამო...

— უცნაური ამბავია, უპასუხა ჩემმა მეგობარმა. ჯერ არ მომხდარა, რომ წვიმის ან ქარის გამო ცირკის, თეატრის, კლუბის ან რომელიმე წრის კარები გამოეკეტოთ. მიუხედავად ატმოსფერული მოვლენებისა, ყველა ეს „დაწესებულება“ ხალხითაა სავსე. ხოლო ჩვენს საბჭოს სუსტი ზეფირიც კი ხელს უშლის...

ცხადია, ხელს უშლის და ხელს უშლის იმიტომ, რომ ქალაქის კეთილდღეობით დაინტერესება ჩვენს სასწორზე ვერ ძლევს კარტის თამაშის ანდა გულამოჭრილი კაბით მოცეკვავე ლამაზმანების ხილვის სურვილს... ამიტომ ჩვენი ქალაქის თავის მიერ მოწყობილი საღამოების პერსპექტივა გაცილებით უფრო დამაჯერებელია, ვიდრე სხვადასხვა მოსაზრებები რეფორმებზე და ენერგიაზე...

ერთი სიტყვით, ცრუ შეხედულებები და წვრილმანი მადა ჯერ კიდევ დიდ ხანს შეგვიშლის ხელს საზოგადო საქმეების წარმოებაში. იმის მაგივრად, რომ კანდიდატის წარსულში მისი მომავალი მოღვაწეობისა და საიმედოობის გარანტიას ვეძებდეთ, იმის

ძაგივრად რომ მისი ცოდნისა და ნიჭის იმედი გვქონდეს, ჩვენ კიდევ დიდ ხანს ვიდგებით ერთ ადგილზე და არ მოვეშვებით ზიზილ-პიპილოების და ლანდების ძიებას...

ყველაფერზე უარესი კი ისაა, რომ გამოცდილებამაც ვერაფერი გვასწავლა; წარსულის გაკვეთილებიც კი ვერ გვშველის თავი ავარიდოთ მათ განმეორებას. თუმცა, ჭკუის გარეშე, რის მაქნისია გამოცდილება? არ მახსოვს რომელმა მხედართმთავარმა თქვა, როცა მის წინაშე „გამოცდილ ადამიანებს“ აქებდნენ:

— ნუთუ მამაც და უნარიან ოფიცერს უნდა ვამჯობინო თუნდაც ის ჯორი, რომელსაც, საბარგულში შებმულს, ათჯერ მაინც გაუვლია ბრძოლის ველი?

ესეც თქვენი გამოცდილება...

80. მადლობა ღმერთს!...

დღეს ძლიერ გაგვახარა „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] რედაქციამ თავის ღირსეული დამოკიდებულებით ჩვენს მიერ წამოწყებული კამათისადმი, რომელიც პოლემიკაში არალიტერატურული ელემენტების შემოტანას ეხებოდა. ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მიმართული მისი შენიშვნა — „ენა ჩემი, მტერია ჩემი“ შეიძლება მივაკუთვნოთ იმ მცირერიცხოვან საუკეთესო პოლემიკურ სტატიებს, რომლებიც კი კავკასიის პრესაში შეგვხვედრია. სტატია ძლიერია არა მარტო სარკასტული ტონით, არამედ ფაქტობრივი მასალითაც, და კიდევ უფრო იმიტომ, რომ მასში ვერ შეხვდებით პირადულ გამოხდომებსა და არალიტერატურულ გადახვევებს. ამიტომაც მაგრად გვირტყამს. კერძოდ, ერთ პუნქტში მაინც ძლიერ გვანადგურებს. მიუხედავად ამისა, ამგვარი დამარცხება ბევრ გამარჯვებას გვირჩევნია. ჩვენ გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდით იმ უბადრუკი და უნაყოფო გამარჯვებების ნაცვლად, რასაც პირადი საკითხებისათვის ბრძოლაში ვაღწევდით, გონივრულ ლიტერატურულ პოლემიკაში რომ მუდმივი დამარცხება გვრგებოდა წილად, რადგან ლიტერატურა და საზოგადოება ჩვენი პირადი გამარჯვებებით კი არ მდიდრდება, არამედ ლიტერატურული ჩვევების გაუმჯობესებით.

„ტიფლისკი ვესტნიკს“ შეუძლია დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რა მომაკვდინებელიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის მისი სტატიები, თავიდანვე რომ ასეთი ტაქტით წარემართა საქმე. „ობზორისაგან“ [2] ერთ საყვედურსაც ვერ მოისმენდა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ადამიანები, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ ასეთი სტატიები წერონ „ტიფლისკი ვესტნიკში“ წელიწადში ერთხელ თუ დაბეჭდავენ რამეს; „ლიტერატურული ასპარეზი“ დათმობილი აქვთ ბედუკულმართ ლაზღანდარებს, რომლებიც სიცილში სიცილისათვის ვარჯიშობენ და საკმაოდ საეჭვო ოინებს მიმართავენ. მაგრამ დღეს არ ღირს ამ ნაკლულევანებათა გახსენება.

მართალია, ჩვენ „ტიფლისკი ვესტნიკის“ სტატიას ხოტბას ვასხამთ, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სავსებით ვეთანხმებით მას. ჩვენ გვსურს რამდენიმე პუნქტი უარვყოთ, მაგრამ „ობ-

ზორის“ მკითხველებს ჯერ „ტიფლისკი ვესტნიკის“ სტატიას გავაცნობთ.

„ე ნ ა ჩ ე მ ი — მ ტ ე რ ი ა ჩ ე მ ი“.

„ტიფლისკი ვესტნიკმა“ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა „ობზორთან“ კამათი. „ქუთაისელის“ პირველი წერილი ჩვენ მხოლოდ იმიტომ დავბეჭდეთ, რომ გვინდოდა სამართლიანობა გამოგვეჩინა და შესაძლებლობა მიგვეცა მოწინააღმდეგე მხარისათვის — ეთქვა ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა. ასეთ შემთხვევაში ასევე მოიქცეოდა „ობზორიც“. ჩვენ მხოლოდ ამ ბოლო დროს გავხდით იძულებული — პასუხი გაგვეცა ბატ. ნიკოლაძისათვის. თუმცა სითამამისათვის მაშინვე დავისაჯეთ. იმ წამსვე დაგვაბრალეს „ლიტერატურული ჩვევების არცოდნა“, მკაცრად განგვიმარტეს, რომ „არ შეიძლება ლიტერატურულ კამათში ჭორებისა და მწერლების კერძო საუბარში გამოთქმული აზრების შეტანა“, ჩვენ შთაგვაგონეს, რომ „მწერალთან ლიტერატურული კამათის დროს მასალად შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მისი დაბეჭდილი სტატიები, ხოლო საზოგადო მოღვაწესთან — მისი მოქმედება არჩეულ ასპარეზზე“. ამ უკანასკნელს აქსიომაც კი უწოდეს და დამამტკიცებელ საბუთად დობროლუბოვის აზრი მოიყვანეს (ნუ ახსენებთ მის სახელს ამაოდ, ბატ. ნიკოლაძე!). პირი, რომელსაც მწერლის კერძო საუბრები და აზრები მოყავს საბუთად, ისეთი კატეგორიის ადამიანებს მიაკუთვნეს, რომლებიც საზოგადოებას საკმარის გარანტიას არ აძლევს; „ვინ იცის, რის გამო ლაპარაკობდა მწერალი, ლაპარაკობდა სერიოზულად თუ ხუმრობდა, იყო მის სიტყვებში ირონია ან სარკაზმი თუ არა?“

შემდეგ ბატ. ნიკოლაძე გამარჯვებული კაცის ხმით აცხადებს:

„დაგვისახელოს „ტიფლისკი ვესტნიკმა“ თუნდაც ერთი მაგალითი, რომელიმე სერიოზულად განვითარებული ლიტერატურიდან, სადაც პოლემიკას ასეთი ხერხებით აწარმოებენ და ჩვენ სახალხოდ ვაღიარებთ, რომ ვცდებოდით, როცა მის ხელმძღვანელებს ლიტერატურულ უმეცრებაში ვდებდით ბრალს“.

ასეთმა განცხადებამ თავზარი დაგვცა. მოგვიხდა მთელი ღამეების გათენება ყველა ქვეყნის და ყველა საუკუნის დიდი მწერლების ნაწარმოებების კითხვაში, მაგრამ მართლაც ვერსად ვიპოვეთ ლიტერატურის ამგვარი წაბილწვა. მხოლოდ ერთ სერიოზულად განვითარებულ ლიტერატორის ნაწარმოებებში აღმოვაჩინეთ თავის გასამართლებელი ცოტაოდენი მასალა და ჩვენ ვამაყობთ აღმოჩენით, რადგან ეს ერთი ყველას ტოლია. ეს მწერალი „ობზორის“ რედაქტორი გახლავთ.

1873 წელს ქართულ პრესაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა ქუთაისის ბანკის შესახებ. ამ კამათის დროს ბატ. ნიკოლაძემ ლიტერატურის საგანძურს შემდეგი მარგალიტები შესძინა:

— „ბატ. ბ. ღოღობერიძეს ჩვენთან საუბარში არა ერთხელ უთქვამს, რომ მის მიერ შედგენილი საადგილმამულო ბანკის პროექტი ძალზე სუსტია...“

„თბილისიდან ქუთაისში დაბრუნებულმა გავიგე და გამიკვირდა, რომ პროექტი, რომელსაც იგი და მისი ბიძაშვილები უსუსურად თვლიდნენ (ასევე კერძო საუბარში?), დაამტკიცეს და მის დამტკიცებაში ბატ. ბ. ღოღობერიძემ, რომლის მონაწილეობა ბანკის საქმეებში, ჩვენი აზრით, მავნებელია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა; ამავე დროს ბატ. ბ. ღოღობერიძემ ჩვენ სიტყვა მოგვცა, (კერძო საუბარში), რომ მონაწილეობას არ მიიღებს ბანკის პროექტის განსახილველად შექმნილ კომისიაში...“

(„დროება“, 1873 წ. № 26)

„დროების“ 29-ე ნომერში ბატ. ბ. ღოღობერიძემ ყველაფერ ამას უხამსობა და ცილისწამება უწოდა, ხოლო 28-ე ნომერში ბატ. ნიკოლაძისათვის ჭკუის სასწავლებლად წინასწარ განსჭვრიტა ის ლიტერატურული წესები, რომელთაც ახლა „ობზორის“ მეშვეობით ბატ. ნიკოლაძე გვიქადაგებს.

„თავის ბინის ოთხ კედელში, თავის მეგობრებთან, ადამიანმა შეიძლება ბევრი რამ სთქვას ისეთი, რაზედაც შეუძლებელია ანგარიში და პასუხისმგებლობა მოსთხოვო,—წერდა მაშინ ბატ. ღოღობერიძე.— ხანგრძლივი საუბრის დროს უცხო კაცთანაც კი გამოსთქვამ ზოგჯერ ისეთ აზრებს, რომელთა სახალხოდ გამოტანა არ შეიძლება“.

ვინ იცის, — დავძენთ ჩვენ ბატ. ნიკოლაძის სიტყვებით, — ლაპარაკობდა იგი სერიოზულად თუ ხუმრობდა, იყო მის სიტყვებში ირონია ან სარკაზმი თუ არა? ხოლო ადამიანები, რომელთაც საბუთად მწერლის (ან საზოგადო მოღვაწის) კერძო საუბრები და აზრები მოაქვთ, საზოგადოებას საკმარის გარანტიას არ აძლევენ.

ანდრეევსკაიას პროცესის გამო „ობზორში“ დაიბეჭდა ხელმოუწერელი ფელეტონი, ე. ი. დაიბეჭდა იგი რედაქტორის პასუხისმგებლობით *. ამოვიღოთ ერთი მარგალიტი ამ ფელეტონიდან:

„... ცრუ ლიბერალი სწრაფად ჩამოვიდა თბილისში. მას ეგონა, საკმარისია თავის დოქტორალური ტონით დაიფიცოს, რომ ჩქოტუა

---

* როდესაც ბეჭდავ ისეთ სტატიას, რომელშიც შეიძლება ვინმემ თქვენი ორგანოს აზრი დაინახოს, მაშინ ვალდებული ბრძანდებით ამ სტატიას ლიტერატურული ზრდილობისათვის შესაფერისი სახე მისცეთ! (ბატ. ნიკოლაძის ჩვენდამი მომართული შთაგონებებიდან).

უდანაშაულოა და მთელი ეს საქმე დავიწყებას მიეცემა. და იგიც იფიცებოდა თბილისის, კოჯორისა და რკინიგზის ყველა სალონში... რატომ არ გამოსთქვა მან საკუთარი რწმენა სასამართლო პროცესზე? საინტერესოა ვიცოდეთ, სად ტყუოდა იგი სალონებში, თუ სასამართლო პროცესზე?..

(„ობზორი", № 75)

ვინ იცის, დავსძენთ ჩვენ ბატ. ნიკოლაძის სიტყვებით, ლაპარაკობდა იგი სერიოზულად თუ ხუმრობდა, იყო მის სიტყვებში ირონია ან სარკაზმი თუ არა? ხოლო ადამიანები, რომელთაც საბუთად კერძო საუბრები მოაქვთ, საზოგადოებას საკმარის გარანტიას არ აძლევენ.

„ობზორშივე" დაიბეჭდა ფელეტონი, სადაც, სხვათა შორის, რამდენიმე სიტყვას ქალბატ. ბლავატსკაიას წიგნს უძღვნიან. ამ საკითხის შესახებ ფელეტონის * ავტორი წერს: „მე პირადად ვიცნობდი ქალბატ. ბლავატსკაიას და ზედმეტი არ იქნება თუ მოვიგონებ ეპიზოდს ჩვენი შეხვედრებიდან, მის ახალ დიდებასთან დაკავშირებით.

„ყველაფერი ეს ხდებოდა ქ. ქუთაისში, 1863 წლის დასაწყისში. ქალბატონი ბლავატსკაია მაშინ მარტო ცხოვრობდა ქუთაისში და აბრიყვებდა ადგილობრივ მწერლებსა და „იუნკერებს". მეც წამათრიეს მასთან, რათა მთელი ეს ორომტრიალი გამკვირვებოდა. როცა გამაცნეს, მან კატეგორიულად უარი განაცხადა სასწაული მოეხდინა... მე ვპასუხობდი მას... მან განაცხადა, რომ ჩემი წარსულის ყველა საიდუმლოებას მიამბობდა... სამწუხაროდ, ყველა მისი ნათქვამი სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდა და დამსწრეთა ხითხითს იწვევდა".

(„ობზორი", № 20)

„ვინ იცის, დავსძენთ ჩვენ, ლაპარაკობდა იგი სერიოზულად თუ ხუმრობით, იყო მის სიტყვებში ირონია ან სარკაზმი თუ არა? იქნებ გაბრიყვებდათ ეს ქალი? ხოლო ისეთი ადამიანები, რომელთაც საბუთად მწერლის ან მწერალი ქალის კერძო საუბრები მოაქვთ, საზოგადოებას საკმარის გარანტიას არ აძლევენ".

ჩვენ შეგვეძლო დაუსრულებლად მოგვეყვანა ამგვარი მაგალითები, მაგრამ ესეც კმარა, ჩვენ იმითაც კმაყოფილნი ვართ, რომ სერიოზულად განვითარებული ლიტერატორის ნაწარმოებებში ჩვენი უსასრულო დანაშაულის გამამართლებელი მასალა ვიპოვეთ და ამის შემდეგ დამშვიდებული სინდისით ვატარებთ ლიტერატურული ჩვევების ზერელედ მცოდნეებისა და უმეცართა მეტსახელს.

* როცა ბეჭდავთ ისეთ სტატიას, რომელშიც... და სხვ. და სხვ.

(ბატ. ნიკოლაძის შთაგონებიდან, რომელიც ჩვენდამი-
იყო მომართული“)

ამგვარად, ჩვენს მიერ წამოყენებულ პრინციპებს არა თუ არ უარყოფს „ტიფლისკი ვესტნიკი“, არამედ იცავს კიდევაც თავს ჩვენგან, ამ პრინციპების დამრღვეველებისაგან. ესაა აღძრული პოლემიკის უმნიშვნელოვანესი შედეგი. რჩება ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რამდენად სცოდავდა ბატ. ნიკოლაძე იმ დოგმატების წინააღმდეგ, რომელთაც თვითონ ქადაგებს.

ვაღიარებთ გულახდილად, რომ ქალბატ. ბლავატსკაიასთან დაკავშირებით ბატ. ნიკოლაძე მთლიანად მხილებულია. იგი სრული განკიცხვის ღირსია თავისი ცოდვის გამო და „ტიფლისკი ვესტნიკის“ მთელი სარკაზმი სავსებით დროულია. ცხადია, არა ბატ. ნიკოლაძის გასამართლებლად და მისი დანაშაულის შესამსუბუქებლად, მაგრამ შეგვიძლია ამ უდავო შეცოდების ფაქტი ავხსნათ იმ გარემოებით, რომ ბატ. ნიკოლაძეს შეეძლო ქალბატ. ბლავატსკაიასათვის, რომელმაც დიდი ხანია მიატოვა ჩვენი ძველი ქვეყანა და გადასახლდა ახალ, უკეთეს სამყაროში, ეცქირა როგორც მიცვალებულისათვის. მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს ბატ. ნიკოლაძეს. ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში იგი ნამდვილად დამნაშავეა და საკადრისადაც დამარცხდა.

მაგრამ ბატ. ღოღობერიძეზე გამოთქმულ აზრებში იგი ამგვარი დამნაშავე არაა. ეს უკანასკნელი მწერალი არაა და ბატ. ნიკოლაძე მას შეეხო მხოლოდ როგორც მოწმეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ჩვენ ვთხოვთ „ტიფლისკი ვესტნიკს“ დაგვიჯეროს, როცა სადაოდ ვხდით მის შემდგომ თავდასხმას, საკუთარი თავის გამართლების სურვილი არ წარმართავს ჩვენს კალამს. თუ კი ჩვენ თავი დამნაშავედ ვცანით ქალბატ. ბლავატსკაიას მიმართ, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაკავებდა ასევე მოვქცეულიყავით ბატ. ღოღობერიძის წინაშე. ეს ასეა „დანაშაულის ერთობლიობის“ თეორიის მიხედვითაც, რადგან თუ დამტკიცდა ერთი დანაშაული, ყველა დანარჩენი მხოლოდ უმნიშვნელოდ ზრდის დამნაშავის სასჯელს. ამგვარად, ჩვენ ვედავებით „ტიფლისკი ვესტნიკს“ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრის შესახებ ბატ. ღოღობერიძეზე და ვედავებით მხოლოდ იმიტომ, რომ საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც პოლემიკის საზღვრების დასადგენად, ასევე ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ჩვევების გამოსასწორებლად.

რაც შეეხება ჩვენს აზრს ბატ. ღოღობერიძის ჩვენებების შესახებ სასამართლოზე („ობზორი“ № 20), ეს საკითხი არც ისე მნიშვნელოვანია. მაგრამ რადგან ვახსენეთ ბატ. ღოღობერიძე, როგორც-

მოწმე, ჩვენ სრული უფლება გვქონდა დაგვეპირისპირებინა მისი ოფიციალური ჩვენებები მის მიერ საზოგადოებაში გამოთქმული აზრებისათვის, მაგრამ საქმის გასაადვილებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ თავის გამართლებას არ ვცდილობთ, ჩვენ მზადა ვართ ამ ამბავშიც ვცნოთ თავი დამნაშავედ, თუმცა, გულახდილად რომ ითქვას, ჩვენ ამაში დარწმუნებული არა ვართ. ამას მხოლოდ მეორე ეპიზოდის მნიშვნელობის გამო ვაკეთებთ, იმ აზრის გამო, რომელიც 1873 წელს ბატ. ღოღობერიძის შესახებ გამოვთქვით. აქ ჩვენ უდაოდ მართალი ვართ და იმედი გვაქვს, როცა ჩვენ ჩვენს მოსაზრებებს მოვიყვანთ, „ტიფლისკი ვესტნიკი" ისევე გულახდილად ცნობს ჩვენს სიმართლეს, როგორც ჩვენ ვცანით თავი დამნაშავედ ქალბატ. ბლავატსკაიას მიმართ.

ქუთაისის ბანკის შესახებ ჩვენ ბატ. ღოღობერიძეს, როგორც მწერალს კი არ ვეკამათებოდით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ როგორც საზოგადო მოღვაწეს. ჩვენ კერძო საუბარი კი არ მოგვყავდა საბუთად, არამედ სერიოზული, თითქმის ჩვენს შორის დადებული ოფიციალური ხელშეკრულება. აი როგორ იყო საქმე: („ტიფლისკი ვესტნიკს" შეუძლია შეამოწმოს ჩვენი სიტყვები გაზეთ „დროებისა" და ამავე გაზეთში დაბეჭდილ თავ. კ. ლორთქიფანიძისა და ე. სიდამონ-ერისთავის ჩვენებების მიხედვით)... როდესაც ქუთაისის თავადაზნაურობას ბანკის საქმე უნდა გადაეწყვიტა, ჩვენ, გაზეთ „დროების" [22] მეშვეობითა და თავადაზნაურთა კრებებზე ვურჩევდით მათ წესდების შედგენა ბატ. ბ. ღოღობერიძისათვის მიენდოთ. ჩვენ იმედი გვქონდა, ჩვენსა და ბატ. ღოღობერიძეს შორის მოლაპარაკების საფუძველზე, რომ ბატ. ღოღობერიძემ წესდების შედგენის რწმუნება მიიღო, ჩვენი ახალგაზრდობის ყველა კომპეტენტური წარმომადგენელი დაეხმარება მას ამ წესდების შედგენაში. ჩვენის მხრივ ვვარაუდობდით, წესდების დამუშავების დროს შეგვეტანა მასში საასაწინდრო ოპერაციების შერწყმა გამოსასყიდ ოპერაციებთან. როდესაც ჩვენ ჩავატარეთ ბატ. ღოღობერიძის წარმატებისათვის საჭირო პროპაგანდა, მას ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის არაფერი უთქვამს და თავადაზნაურობას დასამტკიცებლად წარმოუდგინა წესდების შესადგენად გაცემული რწმუნების ოქმი კი არა, არამედ სასწრაფოდ გადმოწერილი ხერსონისა და ხარკოვის ბანკების წესდებების ნარევი. ამავე დროს როცა მან გვიჩვენა ჩვენ ეს წესდება, თვითონვე აღიარა მისი უვარგისობა, რასაც ახლა თვალნათლივ ამტკიცებს ქუთაისის ბანკის საქმეების მიმდინარეობა... როცა თავს დავესხით ბატ. ღოღობერიძეს მისი „ეშმაკობის" გამო, ჩვენ ამით გვინდოდა ბოდიში მოგვეხადა თავადაზნაურობის წინაშე, რო-

მელიც შეცდომაში შევიყვანეთ, რადგან რეკომენდაცია გავუწიეთ ბატ. ღოღობერიძეს. ამ საქმეში თავის გასამართლებლად ჩვენ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ დაუფიქრებლად კი არ გაგვიწევია რეკომენდაცია ბატ. ღოღობერიძისათვის, არამედ შეთანხმებული ვიყავით მასთან. საზოგადო მოღვაწეებს შორის ასეთ შეთანხმებას არ შეიძლება ეწოდოს კერძო საუბარი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ბატ. ღოღობერიძესთან მეგობრულად და დროის გასატარებლად კი არ დავდიოდით, არამედ გადაწყვეტილების მისაღებად, იმ დროინდელი ქართული პრესის ხელმძღვანელებთან ერთად. ჩვენ არც ისე ბოროტნი ვართ, რომ ვუსურვოთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ მესვეურებს — აღმოჩნდნენ ისეთ საზიზღარ მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ აღმოვჩნდით ქუთაისის საზოგადოების წინაშე, ბატ. ღოღობერიძის საქციელის გამო. ცხადია, მაშინ „ტიფლისკი ვესტნიკი“ გაიგებდა, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენ და სცნობდა ჩვენს უფლებას, მოგვეყვანა საბუთად საზოგადო მოღვაწეებს შორის დადებული შეთანხმება. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ ამგვარ კაზუსს უშუალო გამოცდის გარეშეც აღიარებს — ეს მაგალითი ჩვენს წინააღმდეგ არაფერს ამბობს.

ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარე სცნობს და აღიარებს, რომ ლიტერატურულ პოლემიკაში არ უნდა შევიტანოთ არავითარი არალიტერატურული ელემენტი.

არსებითად ხომ დასამტკიცებელიც სწორედ ეს იყო...

61. ჩვენი სასულიერო წოდების მომზადება

თბილისი, 13 ნოემბერი

ჩვენ გავაცანით „ობზორის“ მკითხველებს, თუ როგორ ასწავლიან ენებს ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში, ახლა კი გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ სხვა საგნების სწავლების შესახებ. მაგრამ სანამ ამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გამოვთქვათ რამდენიმე საერთო შენიშვნა.

ყოველი სწავლება და ყოველი აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილი უნდა იყოს. ეს ისეთი აქსიომაა, რომ მისი მტკიცება სასაცილოცაა. სანამ ხელს მოჰკიდებ ბავშვების განათლებისა და განვითარების საქმეს, სანამ დაადგენ მათი განათლებისათვის საჭირო ფარგლებსა და პროგრამას, ყოველმა მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს თავის თავს და გადასწყვიტოს: რა როლისათვის უნდა მოამზადოს ბავშვები, რა იქნება მათი დანიშნულება? როცა ასეთ კითხვებს აძლევენ საკუთარ თავს ის ადამიანები, რომლებიც იმუშავებენ გიმნაზიის საერთო განათლების ფარგლებსა და პროგრამას, მაშინ გასაგებია, რომ შეიძლება წარმოიშვას გაუგებრობანი და უთანხმოებანი, რადგან ღმერთმა იცის, მოღვაწეობის რომელ ასპარეზსა და რა სპეციალობას აირჩევს გიმნაზისტი, მის წინ ყველა გზა და ყველა ასპარეზი ხსნილია... დავა შეიძლება მაშინაც ატყდეს, როცა ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „საერთო განათლებაში“, რაც ყველა სპეციალისტისათვის სავალდებულოა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლება წარმოიშვეს, ანდა არ უნდა წარმოიშვეს იმ ადამიანთა გონებაში, რომლებიც იმუშავებენ სასულიერო-სასწავლო მოღვაწეობის საფუძვლებს. ყველასათვის დღის სინათლესავით ცხადია, რომ სადაც არ უნდა არსებობდეს, ყოველი სასულიერო-სასწავლო დაწესებულების განსაკუთრებული, ან უპირატესი დანიშნულებაა ხალხის სულიერი ხელმძღვანელების — მღვდლების მომზადება...

როდესაც ადარებენ ჩვენი მართლმადიდებელი სასულიერო წოდების მდგომარეობას, ხასიათსა და ღირსებას კათოლიკური და ლუთე-

რანული სარწმუნოების ასეთსავე მხარეებს, ყველა ჩვენი სასულიერო მწერალი და ყველა ამგვარი საკითხებით დაინტერესებული ავტორი ერთხმად ამტკიცებს, რომ ჩვენ ისევე შორსა ვართ იმ მდგომარეობიდან, რაც სასულიერო წოდებამ ევროპაში შეიქმნა, როგორც ვარსკვლავებიდან. სასაცილო იქნებოდა მოგვეყვანა იმ გავლენისა და მნიშვნელობის საოცარი მაგალითები, რაც სასულიერო წოდებამ მოიპოვა ევროპის მეტად განათლებულ ქვეყნებში, სადაც განათლების ძალას კი არ უნდა გაეზარდა, არამედ უნდა დაესუსტებინა კლერიკალური ელემენტების ძალა და მნიშვნელობა. ხოლო ყველა ჩვენი სასულიერო მწერალი ამ უცნაურობას მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით ხსნის, რომ ევროპის სასულიერო წოდების განვითარება ძალზე მაღალ საფეხურზე დგას; განათლების მხრივ ეს წოდება არა თუ თანამედროვე საზოგადოების დონეს უტოლდება, არამედ უსწრებს კიდეც. ეს წოდება შესანიშნავადაა მომზადებული და ამიტომ დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის როლს...

რაში მდგომარეობს ასეთი მომზადების საიდუმლოება?

არ შეიძლება დავეეჭვდეთ იმაში, რომ თუ გერმანიის ან საფრანგეთის, ინგლისის ან იტალიის სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი თითქმის განუსაზღვრელი ნდობით ეკიდება სასულიერო ხელმძღვანელების სიტყვასა და რჩევას, და თუ ამავე ქვეყნების საშუალო და მაღალი კლასები არანაკლები პატივისცემით ისმენენ მათ რჩევას, ყოველივე ამას ევროპის სასულიერო წოდება ტაციტისა და ჰეროდოტეს à livre ouvert-ის თარგმნის ხელოვნებას კი არ უნდა უმადლოდეს, არამედ საკუთარი მომზადების სხვა მხარეებს. თანამოქალაქეების გონებაზე რომ დიდი ზეგავლენა იქონიო ამისათვის არ კმარა დიპლომებისა და ჯილდოების მოპოვება. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სასარგებლო იყო მოქალაქეებისათვის. ხოლო თუ რიგიანად მომზადებული არა ხარ, ვერც სარგებლობას მოუტან მათ. როგორი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს თავის სამწყსოს სოფლის მღვდელმა? რა თქმა უნდა, საეკლესიო წესების წესიერად შესრულება მღვდლის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ყველა დამეთანხმება, რომ ეს მხოლოდ მისი დანიშნულების გარეგნული მხარეა. დანიშნულების არსებით მხარეს კი წარმოადგენს მუდმივი და დაუღალავი ზრუნვა საკუთარი სამწყსოს ზნეობრივ სიწმინდეზე; შეაგნებინოს მათ ღირსებისა და კეთილსინდისიერების დოგმატები, დანერგოს მათში სიმართლისადმი და სამართლიანობისადმი სიყვარული. მაგრამ ასეთი დიდებული ამბების შთაგონება და გავრცელება მარტო სიტყვებით შეუძლებელია. გულკეთილობაზე, თავდავიწყებაზე და საერთო სარგებლიანობისათ-

ვის სამსახურზე დაფუძნებული სწავლების ცოცხალი წარმომადგენელი მთელი ცხოვრების განმავლობაში ყოველ ნაბიჯზე წმინდად უნდა ანხორციელებდეს ღვთიურ სიტყვებს: „რამეთუ მწყემსი კეთილი სულს არ დაიშურებს ცხოვართათვის თვისთა". და როცა უბედური ცხვრები იქანცებიან ბუნებასთან უთანაბრო ბრძოლაში, რომელსაც მძიმე შრომით სტაცებენ „პურს ჩვენის არსობისა", ანდა როცა იბრძვიან იმ ადამიანთა უსამართლობის წინააღმდეგ, რომელთაც სურთ გაკრიჭონ ისინი და ზოგჯერ გაატყავონ კიდეც, მაშინ „კეთილი მწყემსი" ვალდებულია დაეხმაროს მათ ამგვარ ბრძოლაში. ევროპის სასულიერო წოდებამ შესანიშნავად გაიგო თავისი როლი. მართალია, ამ როლის შესრულების დროს იგი საკუთარი ინტერესების საფუძვლიანი შეგნებით უფრო ხელმძღვანელობს, ვიდრე ქრისტეს მოძღვრებით, მაგრამ ჩვენ მიზეზებთან საქმე არა გვაქვს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია შედეგი...

დასავლეთ ევროპაში მღვდელი მარტო სულიერი მამა კი არაა თავის სამწყსოსი, არამედ მოწყალების ძმაც, ექიმიც, დამცველიცა და მრჩეველიც პრაქტიკული ცხოვრების ყველა დარგში. მას ნდობით მიმართავს ავადმყოფი, მომჩივანი, მშრომელი და გაჭირვებით ან უსამართლობით დაჩაგრული. იგი ყველა მათგანს არა მარტო სულიერად აიმედებს, არამედ მატერიალურადაც ეხმარება. სემინარიამ, რომელსაც ოსტატურად ხელმძღვანელობენ, შესაძლებლობა მისცა მას — იყოს სახალხო ფერმალიც, კანონების მცოდნეც, ასე თუ ისე — აგრონომიც. ერთს ასწავლის როგორ გამოიყენოს უფრო ხელსაყრელად მიწა, მეორეს — როგორ დააღწიოს თავი თაღლითი მეზობლის უკანონო პრეტენზიებს, მესამეს მისცემს ან გამოუწერს წამალს, ხოლო ყველას ერთად შეასწავლის როგორ დააარსონ სალარო, სკოლა, საავადმყოფო... თუ ვინმეს თხოვნა აქვს დასაწერი — დაუწერს უფასოდ, თუ დასაცავია ვინმე მერის ან სუპრეფექტის წინაშე, თვით წავა სადაც საჭიროა და შეაწევს ორიოდე სიტყვას... და ამას აკეთებს ყველგან და ყოველთვის, რადგან ასწავლეს და იცის ყველაფერი ეს. მართალია, როცა რომელიმე გლეხი ცდილობს ჩაწვდეს არისტოტელეს ნაწარმოებების ან კატეგორიების აზრს, სოფლის მღვდელი იძულებულია აღიაროს, რომ კლასიკური განათლება არ მიუღია და უმეცარია... მაგრამ ამბობენ, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია. სამაგიეროდ ძალზე ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა მღვდელს ხალხისათვის პრაქტიკული და თვალსაჩინო სარგებლიანობა მოაქვს, რის გამოც მას დიდი გავლენა აქვს ხალხზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხალხის ცხოვრებაში, რაც ჩვენს მწერლებს ძალზე აკვირვებთ...

ეს გავლენა საშიში ძალაა, როცა იგი მიმართულია არასახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისაკენ. მაგალითად, რომის პაპის ხელში — კათოლიკური სასულიერო წოდება — მთელი დისციპლინირებული არმიაა, რომელიც ემსახურება რომის ინტერესებს და არა იმ სახელმწიფოსას, რომელშიც ცხოვრობს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენ სასულიერო წოდებას არ შეუძლია ემსახუროს ამგვარ მიზნებს, რადგან არ იზიარებს უქორწინობის პრინციპს, რის გამოც სასულიერო წოდება გარემოს სწყდება და რომის მბრძანებელის ბრმა იარაღი ხდება... ამიტომ, არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ვისურვოთ ან ვეცადოთ — სამღვდელოება გონებრივად და სულიერად დავასუსტოთ, თითქოსდა იმის შიშით, რომ ჩვენში კლერიკალიზმი განვითარდება, რაზედაც, სხვათა შორის, ჩვენში არავინ არ ფიქრობს...

აი მიზანი, რომლისაკენაც, ჩემის აზრით, ყველა ჩვენი სასულიერო-სასწავლო დაწესებულება უნდა ისწრაფოდეს. აი, ამოცანა, რომელიც უნდა დაისახოს ყველამ ჩვენი სასულიერო განათლების წესდებისა და პროგრამის შედგენის დროს...

თუ ჩვენ ამ საზომით მივუდგებით სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში სწავლების არსებულ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ეს საზომი არც უდგება მათ და არც იყენებენ სწავლების დროს. ადრე ჩვენ დავინახეთ, რომ ენების არსებული სწავლება ეკლესიის მომავალ მსახურს თითქმის უენოს ხდის სამწყსოს წინაშე. ახლა გადავდივართ სხვა საგნების სწავლების განხილვაზე და დავინახავთ, რომ გარდა სქოლასტიკისა და ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარი წვრილმანებისა, სასულიერო სასწავლებლები ახალგაზრდობას არაფერს ასწავლის...

სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ არ შევეხებით ისეთი საგნების სწავლებას, როგორიც „დოგმატიური ღვთისმეტყველებაა" და ა. შ. დავიწყოთ „აუცილებელი მეცნიერებებიდან". ჩვენს სემინარიაში, მაგალითად, ალგებრის მთელ კურსს მხოლოდ პირველ კლასში გადიან; მხოლოდ სახელისათვისაა მეორე კლასში გადატანილი რამდენიმე „თხზულება". გეომეტრიის მთელ კურსს გადიან მეორეში, ტრიგონომეტრიას—მესამეში, და ფიზიკის მთელ კურსს—მეოთხეში. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამავე მეოთხე კლასში, ფიზიკის გარდა, ასწავლიან არა მხოლოდ ძველ ენებს, ჩვენს მიერ ადრე აღნიშნული მოცულობით, არამედ ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, კოსმოგრაფიას და სხვა საგნებს. მთელი ფიზიკა მოსწავლეებმა ერთი წლის განმავლობაში უნდა გაიარონ და ამ საგანს კვირაში ოთხი საათი აქვს დათმობილი.

აი სრული და უნუგეშო სურათი ჩვენს სემინარიებში ყველა იმ საგნის სწავლებისა, რომელთაც უნდა მოამზადონ ხალხის მომავალი ხელმძღვანელები! განა ამის შემდეგ გასაკვირია, რომ სემინარია-დამთავრებული და მღვდლად ნაკურთხი კაცი, როცა თავის სოფელში ბრუნდება, ხალხში მხოლოდ გაოცებას იწვევს? მას არა თუ ორისამი წინადადების დალაგებულად თქმა არ შეუძლია საწმყოსათვის მისთვის გასაგებ ენაზე, არამედ ყოველ წუთს ანცვიფრებს ხალხს იმითაც, რომ არაფერი ესმის მათი ცხოვრების. უფრო პრაქტიკულ როლზე კი ლაპარაკიც ზედმეტია... რა იცის ამ უბეცარმა სამწყსომ, რომ მათი ახალი მღვდელი ყველა კლასიკოსს აჯობებს ბერძენი და რომაელი ავტორების à livre ouvert-ის თარგმანში?

82. კორესპონდენტები მოქმედ კორპუსში

(ლაშქრობისდროინდელი დაკვირვებებიდან)

„სამხედრო კორესპონდენტი“ — სრულიად ახალი მოვლენაა რუსეთის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, მშვიდობიანობის დროს ჩვენი პრესა იშვიათად ეხებოდა სამხედრო ყოფა-ცხოვრებას, რადგან „აკრძალულად“ თვლიდა... თითქმის არვის ჰქონდა იმედი, რომ ომი ამ მდგომარეობას შეცვლიდა. ხივინის ლაშქრობა, რომელმაც უხმოდ ჩაიარა, ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა... ამიტომ ყველა გაკვირვებული ფიქრობდა, ვინ და რა უნდა შეგვატყობინოს სამხედრო საქმეების შესახებ. ომის გამოცხადებამდე ეს საკითხი ძალზე აღელვებდა ჩვენს ჟურნალისტურ სამყაროს. არცერთი გაზეთი არ ამზადებდა კორესპონდენტებს და არავინ არ ემზადებოდა ამ როლისათვის...

ომის გამოცხადებამდე კარგა ხნით ადრე საომარ სამინისტრომ სავსებით გასაგები და კანონიერი განკარგულება გასცა, რომ საომარი მოქმედების დაწყებამდე პრესაში არ გამოექვეყნებინათ არავითარი ცნობა ომისათვის მზადებისა და ჯარების გადაყვანის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ პრესა, რომელიც პატივს სცემს თავის თავს და საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, თავად არ დაუშვებს ამგვარი ცნობების გამოქვეყნებას, მაგრამ ეს განკარგულება ბევრმა ისე გაიგო, როგორც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა... მიუხედავად ამისა, პრესაში მაინც გამოქვეყნდა *, ცენზურის ნებართვით, საკმაოდ საფუძვლიანი სტატიები სამეურნეო საკითხებზე, რომელთა სახალხო განხილვას არ შეეძლო ევნო სახელმწიფო საიდუმლოებისათვის, ხოლო სახელმწიფო ხაზინას დიდი სარგებლობა მოუტანა. ეს გარემოება კარგის მომასწავებლად მიიჩნიეს.

ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კორესპონდენტების დაშვების საკითხი პრინციპულად გადაწყდა და გადაწყდა და-

---

* იხ., მაგალითად, სტატია საიჯარო სისტემის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1876 წელს „ტიფლისკი ვესტნიკში“.

დებითად. ცხადია, ჟურნალისტების სიხარული უსაზღვრო იყო. თუმცა ჯერ კიდევ შიშით და გაოცებით შეჰყურებდნენ ყოველივე ამას... ნებართვა ყოველ კორესპონდენტს მთავარსარდლისაგან უნდა აეღო. ამავე დროს, წინასწარ იყო განსაზღვრული, რომ ნებას მხოლოდ იმ პირთ დართავდნენ, რომელთაც წარჩინებული ადამიანების რეკომენდაცია ექნებოდათ, ასეთი რეკომენდაცია შეიძლებოდა ტელეგრაფითაც გადაეცათ. სამხედრო კორესპონდენტების სტატიებისათვის შექმნეს სპეციალური სამხედრო ცენზურა ისეთ გამომცემლობებშიც კი, რომლებიც განთავისუფლებული იყო წინასწარი ცენზურისაგან. პეტერბურგში, ამ მიზნით, კომისია შეიქმნა მთავარ შტაბთან, ხოლო ოდესაში, კიევსა და თბილისში — ადგილობრივ სამხედრო ოლქების შტაბებთან. უცხოეთიდან მოსული ტელეგრამების და წერილების ცენზურაში გატარება დაევალა იმ რაზმების შტაბებს, რომელთანაც კორესპონდენტი იმყოფებოდა.

საერთო პრინციპის მიხედვით, სპეციალურ ცენზურას პრესაში არ უნდა დაეშვა ორი რამ: ცნობები ჩვენი ჯარების რაოდენობისა და ადგილსამყოფელის შესახებ და მათი მოქმედების გეგმების წინასწარ გამოქვეყნება. სხვა მხრივ კი კორესპონდენტებს უფლება ქონდათ ფართოდ აღეწერათ მომხდარი ფაქტები და ემსჯელათ მათ განხორციელებაზე, როგორც ეს არაერთხელ გამოგვიცხადეს ყველას. ამ მხრივ, გვეუბნებოდნენ ჩვენ, სპეციალური ცენზურა სრულ გასაქანს გაძლევთო...

ყველა კორესპონდენტს დაურიგეს კორესპონდენტის ნიშანი. ჩვენი ნიშანი სრულიად არ გავდა იმას, რომელიც დუნაის არმიის კორესპონდენტებს დაურიგეს. ჩვენი ნიშანი წარმოადგენს ვერცხლის რგოლს, რომელიც ძალზე ცოტათი ჰგავს გვირგვინს, ხოლო შუაში, გიორგის ლენტის ცენტრში ასო K-ა ჩასმული. დუნაის კორესპონდენტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ნიშანს სახელოზე იკეთებენ, ჩვენ მკერდზე ვიკეთებთ. ნიშნები ყველას უფასოდ დაგვირიგეს. სიმართლე რომ ითქვას, ნიშნები მაინცდამაინც დიდი ნახელავი არაა, თუმცა თბილისის ოსტატებს მეტს ვერც მოსთხოვ...

მოქმედი კორპუსის კორესპონდენტების ბრძოლის ველზე ჩამოსვლა შეიძლება ასეთი რიგით დავალაგოთ: პირველად ჩავედი მე, როგორც ჰავასის სააგენტოსა და „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] წარმომადგენელი. ეს მოხდა აპრილის უკანასკნელ რიცხვებში. 11 მაისს, როცა ჩვენ არდაგანიდან დავბრუნდით, ზაიმში ჩამოვიდა „ნოვოე ვრემიას“ [35] კორესპონდენტი ნ. ვ. სიმბორსკი, მაგრამ მთავარსარდლის ნებართვის გარეშე; ამიტომ უფლება არ ჰქონდა გაეგზავნა დეპეშები და კორესპონდენციები. 20 მაისს ზაიმში ჩამოვიდნენ „გო-

ლოსის“ [27] კორესპონდენტი და „რუსკოე ობოზრენიეს“ [94] რედაქტორი გ. კ. გრადოვსკი. 24 მაისს მაცრაში ჩამოვიდა „ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ [74] კორესპონდენტი ნ. ა. პოტეხინი. შემდეგ, 8 ივნისს, როცა ჩვენ სოღანლუღის ლაშქრობაში ვიღებდით მონაწილეობას, ჩამოვიდა პარიზის გაზეთის „Temps“-ის კორესპონდენტი შარლ დე კუტული. როდესაც ზივინიდან მაცრაში დავბრუნდით, აქ დაგვხვდა „Times“-ის ახალჩამოსული კორესპონდენტი ფორბსი და „New-York Herald“-ის კორესპონდენტები — ბატ. მიკი და უილერი. 10 ივლისს ჩამოვიდა კორესპონდენტი ს. ა. მუსინ-პუშკინი, ხოლო 5 აგვისტოს—„ნოვოე ვრემიას“[35] ახალი კორესპონდენტი პ. ა. იზმაილოვი და „Daily News“-ის კორესპონდენტი ვიქტორ იულიუსი. აგვისტოს ბოლოს ყარაიაზში ჩამოვიდა „ნოვოე ვრემიას“ უახლესი კორესპონდენტი ა. ი. პალმი. საჭიროა დავსძინოთ, რომ, სხვა კორესპონდენტების დაჟინებითი თხოვნის შედეგად, ივლისის პირველ რიცხვებში ბატ. სიმბორსკის ნება დართეს შეესრულებინა თავისი მოვალეობა.

ამათ გარდა, კორესპონდენტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე კორპუსის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანაშემწე, პორუჩიკი პ. პ. ვოლხოვსკი, რომელიც კორესპონდენციებს უგზავნიდა „მოსკოვსკიე ვედომოსტს [28]“-სა და „კავკაზს“[19].

მე მგონია, რომ სამხედრო კორესპონდენტების მდგომარეობა, პიროვნება და ხასიათი ისევე იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, როგორც ის ჩარჩოები, რომელთა შორისაც მათი მოღვაწეობაა მოქცეული. მკითხველი საზოგადოებისათვის არ უნდა იყოს სულერთი, ვინ წერს და ვის არმიაზე. მე გაკვრით შევეხები ამ საგანს, და როცა საფუძვლიანად გავეცნობი ჩემი კოლეგების ნაწარმოებებს, კვლავ დავუბრუნდები მას.

დავიწყოთ კორესპონდენტების მატერიალური მდგომარეობიდან.

ამ მხრივ თავისთავად იქმნება მკვეთრი ზღვარი რუს და უცხოელ კორესპონდენტებს შორის. ამ უკანასკნელთ „განუსაზღვრელი კრედიტი“ აქვთ გახსნილი და შეუძლიათ დახარჯონ რამდენიც მოესურვებათ. მათ შორის მხოლოდ ბატ. კუტული ღებულობს გარკვეულ თანხას — 4000 ფრანკს თვეში *. დანარჩენები კი ღებულობენ კუთვნილ თანხას და როგორც კი დახარჯავენ მას, ღებულობენ ისევ ამდენს და ასე უსასრულოდ. ბატ. ფორბსი, „Times“-ის კორესპონდენტი, ღებულობს 500 გირვანქა სტერლინგს **, ხოლო

---

* ახლანდელი კურსის მიხედვით, დაახლოებით, 1.600 მანეთს თვეში.

** ახლანდელი კურსის მიხედვით, დაახლოებით, 5.000 მანეთი.

„New-York Herald"-ის და „Daily News"-ის კორესპონდენტები 200 და 300 გირვანქა სტერლინგს*. თავისთავად ცხადია, რომ ამდენი სახსრები მათ შესაძლებლობას აძლევს წავიდნენ ყველგან, სადაც კი რამეა სანახავი; შესაძლებლობა აქვთ ისხდნენ გვარიან კარავში და წერონ სტატიები, რადგან არ უხდებათ სადილის, ვახშმის ან ცხენისათვის ქერის ძებნა და სამუშაოსაგან მოცდენა. ჰყავთ მთარგმნელები, რომლებმაც იციან ყველა ადგილობრივი ხალხის ენა და 100 და 120 მანეთათ თვეში ყველაფერს მზამზარეულად იღებენ. ჰყავთ მსახურები, საკუთარი ცხენები, როგორც საჯდომი, ასევე სასაპალნე; ზოგს აქვს საკუთარი ამერიკული კარვები, ოთხთვალები და სამზარეულოებიც. ერთი სიტყვით, როგორც ლაშქრობის დროს, ასევე ბანაკში, მათ აქვთ ყველა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთი და ისეთებიც კი, რომლებითაც ყველა რუსი კორესპონდენტი სახლშიც კი ვერ სარგებლობს.

რუს კორესპონდენტებს სხვადასხვა ხელფასი აქვთ. ზოგი ღებულობს გარკვეულ თანხას 100-დან 500 მანეთამდე თვეში. ზოგმა მიიღო გზის ფული, ხოლო ჰონორარს სტრიქონების მიხედვით უხდიან. ზოგი კი ღებულობს 30 მანეთს თვეში და 3 კაპიკს ყოველ სტრიქონში. ყველაზე მდიდარი დედაქალაქის გაზეთებიც კი არ იხდიან 500 მანეთზე მეტს თვეში. გარდა ამისა, ჩვენს კორესპონდენტებს კუთვნილ ფულს დროზე არ უხდიან. მე ბევრი ვნახე ისეთი, რომელიც თვეობით ელოდა ფულს. უცნაური ამბავია: ამერიკელები ახერხებენ ნიუ-იორკიდან მაცრაში ფულის გადმოგზავნას, ხოლო ჩვენ გამომცემლებს არ შეუძლიათ ფული გადმოგზავნონ თუნდაც ვოლგა-კამენსკის ბანკის მეშვეობით ან ფოსტით! წარმოიდგინეთ, როგორ უნდა მოქმედებდეს უცხო მხარეში, უცხო გარემოში მოხვედრილ დედაქალაქელ ჟურნალისტზე ის გარემოება, რომ კვირეებისა და თვეების მანძილზე არა თუ მგზავრობისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია, არამედ საარსებოც!..

გარდა ამისა, უმრავლესობა ჩამოვიდა „მსუბუქად" ჩაცმული თითქოს მცირე აზია ნევის პროსპექტის გაგრძელებაა. ისინი ლაშქრულ ცხოვრებას ალბათ იმ ჩვენი Attaché melitaire-ის თვალით უყურებდნენ, რომელიც, ყარსში სალაშქროდ მიმავალი, გზაში კითხულობდა: „y a-t-il des hôtels à Mazras?" როცა სამხრეთში მიემგზავრებოდნენ, მათ ეგონათ, რომ აქ საშინელი სიცხე იქნებოდა. მათ დაავიწყდათ, რომ სომხეთის მთელი ზეგანი ზღვის დონიდან 6.000 ფუტის სიმაღლეზეა! მაგრამ რა მძიმე მდგომარეობა-

---

* ახლანდელ კურსის მიხედვით 2.000, 3.000 მანეთი.

შიც არ უნდა იყოს საზაფხულო პიჯაკის ამარა დარჩენილი სიცივისაგან აკანკალებული ადამიანი, ეს მაინც არაფერია იმ საზრუნავთან შედარებით, რაც აქ რუს კორესპონდენტებს ხედათ წილად. ყოველ მათგანს დღეღამეში რამდენიმე საათი უნდა დაეკარგა (განსაკუთრებით ლაშქრობის დროს), რომ გაეშალა ან დაექირავებინა კარავი, ეშოვა დასალევი ან დასაბანი წყალი, ეჭმია ცხენისათვის და ა. შ. ზოგჯერ ადამიანი ისე იღლებოდა ამ უსარგებლო და უაზრო ფუსფუსში, რომ იგი არაფერზე არ ფიქრობდა გარდა იმისა, რომ გაგორებულიყო ნაბადზე და ნესტიან მიწაზე წმინდანის ძილს მისცემოდა...

სრულიად ვერ გამიგია, რით უნდა აიხსნას ჩვენი „მდიდარი" გაზეთების გამომცემელთა ამგვარი სიძუნწე. ომის დროს ამ ხარჯების ანაზღაურება ყოველთვის ადვილია, რადგან იზრდება გაზეთის გავრცელებისა და გაზიდვის შესაძლებლობა, მათი სახელის, რეპუტაციისა და ავტორიტეტის ზრდის მეშვეობით. ასეთ შემთხვევებში სიძუნწის გამოჩენა, საკუთარი ინტერესებისათვის ძირის გამოთხრაა. თუმცა ეს თვით ბატ. გამომცემლების საქმეა და მე არ უნდა ვასწავლიდე მათ ჭკუას. რაც უნდათ ის ქნან!..

გადავდივართ რა კორესპონდენტთა პიროვნების დახასიათებაზე, არ ვიცით, როგორი თანამიმდევრობა დავიცვათ რანგის მიხედვით.

დიდხანს რომ არ ვიმტვრიოთ თავი, აღვწერ მათ იმ რიგის მიხედვით, როგორც აქ ჩამოვიდნენ, ე. ი. „ნამსახურობის" მიხედვით.

1. ნ. ვ. სიმბორსკი

ნიკოლოზ ვასილის-ძე სიმბორსკი, რომელიც აქ „ნოვოე ვრემიას" რედაქციამ გამოგზავნა, ჩვენს ლიტერატურაში და ჟურნალისტიკაში ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა. იგი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა; ჩემის აზრით, 26 წელზე მეტის არ იქნება. დაბალი, ჩაფსკვნილი, ვოლგისპირეთის მცხოვრებთა ცნობილ ტიპს ჩამოგავს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მის ძარღვებში სლავიანური სისხლი შეერია თათრულს, მაგრამ დიდი ხნის წინათ. ჩვეულებრივ მისი გამოხედვა მეტ-ყველი არაა, მაგრამ ჩაფიქრების დროს ქვეშ-ქვეშ იყურება, რასაც თან ახლავს ღრმა ფიქრისა და რაღაცნაირი გაუგებარი გაბოროტების იერი. თითქოს უკმაყოფილოა, რომ ფიქრი უხდება... იმ წუთებში, როცა აღფრთოვანებულია ან წარმატებას აღწევს, მხიარულია, მაგრამ მხიარულია საზეიმოდ, თეატრალურად და მისტიკურა-

დაც კი. ყოველი წარუმატებლობა ისევე მოქმედებს მასზე, როგორც „რუსეთის ინტელიგენციის“ დიდ ნაწილზე: იგი პასიური ხდება, უარს ამბობს წინააღმდეგობაზე და თავდავიწყებას საკუთარი თავის ხელოვნურ გაღიზიანებაში ან ძილში ეძებს... საერთოდ ბუნებით იგი უფრო „გონებითმჭვრეტელია“, ვიდრე „დამკვირებელი“. მას არც დიდი ცნობისმოყვარეობა გააჩნია და არც სიახლე სწყურია. მისი გონება ხანგრძლივი რეფლექსით ცხოვრობს და პატრონს ძიების, გამოკითხვისა და მგზავრობისაკენ არ მოუწოდებს. ერთი სიტყვით, მას შეუძლია ყველაფერი იყოს, რაც უნდა, მხოლოდ არა სამხედრო კორესპონდენტი. გამომცემელს, რომელმაც აქ ამგვარი სელაპი * გამოგზავნა, ეტყობა სრულიად არ შეუძლია ადამიანების ცნობა და არავითარი „ალღო“ არ გააჩნია.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ ბატ. სიმბორსკი ნაკლებადაა ცნობილი ჩვენს ჟურნალისტიკაში. მას აქამდე არაფერი დაუწერია და არაფერი დაუბეჭდია, გარდა რამდენიმე მშვენიერი, რუსული ბილინების ყაიდაზე დაწერილი ლექსისა, რომლებიც დაიბეჭდა „ნედელიაში“ [89] და ბატ. გრადოვსკის „რუსკოე ობოზრენიეში“. პოეტური ნიჭის მიხედვით, ბატ. სიმბირსკი თამამად შეიძლება დავაყენოთ ჩვენი თანამედროვე საუკეთესო პოეტების გვერდით. მის ლექსებში დიდი ძალაა და სავსეა გრძნობითა და ხატოვანებით. ფორმის მხრივ მისი ლექსები წუნდაუდებელია, ხოლო შინაარსით — ღრმა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბატ. სიმბორსკი, „ნოვოე ვრემიას“ მუდმივი თანამშრომელიც კი არაა. მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას არც შეუძლია გამოიჩინოს თავი იმ ხალხში, რომლებიც თავიანთ წარმატებას ამყარებენ იაფფასიან ლიბერალიზმზე და მჟავე შოვინიზმის გაღვივებაზე, რომლის ნახევარი შეღებილია პროგრესისტული მანერით, ხოლო მეორე ნახევარი — მოსკოვურით. არ ვიცი, ბატ. სუვორინის მსგავსად, მივა თუ არა იგი იქამდე, რომ შესცვალოს „მსუბუქი ფორმით“ როგორც ტრადიციები, ასევე პრინციპები და საღი აზრიც კი. მაგრამ აქამდე მას ეს არ გაუკეთებია. როგორც გნებავდეთ, მაგრამ ჩვენს დროში ეს პატარა საქმე როდია...

სამხედრო საქმესა და მეცნიერებაზე ბატ. სიმბორსკის, რა თქმა უნდა, მცირედი წარმოდგენაც არ აქვს. მთელი ჩვენი ინტელიგენციის მსგავსად, მას ეს დარგი მიაჩნდა „ჩამორჩენილ სპეციალობად“, რომელსაც „განვითარებულმა ადამიანმა“ ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

---

* მას ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა პირველი შეტაკებისთანავე, რომელსაც იგი შეესწრო.

ადამიანები დაინტერესებულნი არიან სპირიტიზმით, გატაცებით ადევნებენ თვალყურს ძმები დავენპორტების წარმატებას, მთელ სიცოცხლეს სწირავენ წყალმცენარეების, ანდა მუცლის ჭიების შესწავლას და, ამავე დროს, უგულვებელყოფენ ისეთ დარგს, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს ხალხებისა და სახელმწიფოების ბედზე! დიახ, უცნაურობა ბევრია ქვეყანაზე!

ბატ. სიმბორსკი ბანაკში მარტო ზაფხულის ერთი პიჯაკის ამარა ჩამოვიდა. დიდ ხანს მას მართლაც უჭირდა. გასცეს განკარგულება გაეძევებინათ იგი რაზმიდან, რადგან თბილისიდან ზაიმში თვითნებურად ჩამოვიდა. მაგრამ გენერალ-ადიუტანტ მ. ტ. ლორის-მელიქოვის მხარდაჭერამ და თანამოძმეების ბეჯითმა თხოვნამ ააცილა თავიდან ამგვარი ხვედრი. ამავე დროს, ბატ. სუვორინი მას ტელეგრამას ტელეგრამაზე უგზავნიდა და სტატიებსა და ტელეგრამებს თხოვდა. მთელი ჩვენი ბანაკი სიცილით იგუდებოდა, როცა გაიგეს, თუმცა არ ვიცი საიდან, რომ ბატ. სუვორინი სთხოვს თავის კორესპონდენტს აცნობოს ტელეგრაფით „უმნიშვნელო ამბები". ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ასეთი რამ მოსალოდნელია ბატ. სუვორინისაგან. საჭიროა ითქვას, რომ აქაც, ისევ როგორც ჩვენს მხარეში, „ნოვოე ვრემიას" ცოტა პატივისმცემელი ჰყავს. დეპეშაში მართლაც აღყარსთან დარჩა. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, ზივინიდან დაბმოჩნდა ბედუკულმართი სიტყვები და სიცილმა, რა თქმა უნდა, ერთიორად იმატა.

ნებართვის მიღებამდე ბატ. სიმბორსკის არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მას ურჩევდნენ მომზადებულიყო და დაემზადებინა თუ წერილები არა, მასალა მაინც. მაგრამ მას არ შეეძლო მუშაობა: „ძალზე მძიმე მდგომარეობაა" — ეუბნებოდა იგი თავის მრჩევლებს... ბოლოს, როგორც იქნა, მიიღო ნებართვა. მაგრამ მას შემდეგ მე მას იშვიათად ვხედავდი: მე სოღანლუღში გავემგზავრე, იგი კი რუნებული, თბილისში გავემგზავრე და დავრჩი მანამდე, სანამ ჩვენი ჯარები უმოქმედოდ იდგნენ. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მან საქმეს მოკიდა ხელი და დაწერა პირველი ექვსი ფურცელი თავისი პირველი კორესპონდენციისა. ჩვენ ყველას გულით გვიხაროდა ეს ამბავი და იგიც გულახდილად გვიზიარებდა, თუ რა პროგრესს მიაღწია მუშაობაში. მაგრამ ბედი მას ყველგან სდევნიდა და უეცრად საძაგელი საქმე მოუვიდა. ბანაკს საშინელი ქარი მოაწყდა. კარვები ჰაერში აიტაცა, ჩარდახები საჰაერო ბურთებივით გაიბერა. ღმერთმა იცის საით გადაისროლა ნაბდები, ქუდები, კიტელები... მათთან ერთად გაიტაცა ბატ. სიმბირსკის ხელნაწერიც. მე გარეთ წვიმაში ვიდექი, ხელში საგზალი მეჭირა და ვხედავდი როგორ მი-

ქონდა ქარს „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენციები. ბატ. სიმბორსკი ჩემთან მოვიდა და გულწრფელი, გულისმომკვლელი მწუხარებით მითხრა: „თავს ძალა დავატანე და ისე დავწერე პირველი წერილი და ისიც, ხომ ხედავთ, ქარმა წაიღო“. შემდეგ გადააფურთხა და პიერშის ნაყარისაკენ წავიდა. მე ძალზე შემეცოდა იგი და რას არ მივცემდი, რომ ბედის ეს საძაგელი უსამართლობა გამომესწორებინა...

როცა თბილისიდან ბანაკში დავბრუნდი, ბატ. სიმბორსკი იქ აღარ დამხვდა. მიამბეს, რომ შეთხზა რამდენიმე „სატირული ლექსი“ ზივინის საქმეზე. ამის გამო გაძევებას უპირებდნენ, მაგრამ ბოლოს თავაზიანად სთხოვეს გადასულიყო რომელიმე სხვა რაზმში, მგონი ერევნისა, მაგრამ იგი არ წავიდა...

კურიოზი რომ თვალსაჩინო იყოს, მოვიყვან აქ ამ ლექსს. ლექსში ყველა ცხადად დაინახავს გაზვიადებას. თუ მხედველობაში მივიღებთ ომიანობის დროს და დაბალი წოდების პირთა დაბეჯითებით თხოვნას—„სამაგალითოდ დაისაჯოს“ ავტორი, მაშინ უნდა დამეთანხმოთ, რომ უმაღლესმა სამხედრო ხელისუფლებამ, რომელიც შემწყნარებლურად ექცეოდა ბატ. სიმბორსკის, მოწინავე შეხედულებები გამომაჟღავნა და ლექსში მხოლოდ „ხუმრობა“ დაინახა, რაც უადგილო იყო ამ დროისათვის, რადგან კავკასიის არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო აღმოეფხვრა წარუმატებლობის სამწუხარო შთაბეჭდილება... ახლა, ცხადია, ამ ლექსს მხოლოდ ანეკდოტური მნიშვნელობა აქვს. აი, ისიც:

Песнь о чертовой дюжине

Под трубный звук, под звон кимвалов
В кровавый бой, как на парад,
Пошли тринадцать генералов
И столько ж тысячей солдат.

Был день тринадцатый июня...
Отпор турецкий был не слаб...
О стену лбом мы бились втупе, —
Тринадцать раз напутал штаб...

Тринадцать раз, не зная страха,
Солдаты лезли на удар,
И славил столько раз Аллаха
За их начальников Мухтар

...Под трубный звук, под звон кимвалов
С челом сияющим, назад
Пришло тринадцать генералов
И чуть не столько же солдат...

ამ აზრის სიმკაცრე და გაზვიადება ყველასთვის ცხადია, ყველას თვალში ხვდება...

ივლისის ბოლოს ბატ. სიმბორსკი ალექსანდროპოლში გაემგზავრა, იქიდან კი—თბილისში. ამასობაში კი „ნოვოე ვრემიას“ რედაქციამ კორესპონდენტთა მთელი გუნდი გამოგზავნა. ივლისის ბოლოს ალექსანდროპოლიდან თბილისამდე ვმგზავრობდი ერთ-ერთ მათგანთან — პ. ა. იზმაილოვთან ერთად, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ბატ. სიმბორსკიმ, როგორც ამხანაგმა, ჩემზე ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა, მისი უაღრესი გულახდილობა, შეუფერავი გულთბილობა, თავის მოწონების სრული უგულებელყოფა, პრიმიტიული უბრალოება და მზადყოფნა — გაენაწილებინა მახლობელისათვის ლუკმა-პურიც — ძალაუნებურად მიზიდავდა. ჩემში კიდევ უფრო დიდ სიმპათიას იწვევდა იმის შეგნება, რომ იგი სინამდვილეში ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელსაც სხვა პირობებში, განსაკუთრებით კი სხვაგვარი მომზადების შემთხვევაში, შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა მშობლიური ლიტერატურისათვის... მე ხშირად ვფიქრობდი ამაზე. როცა მას ვუყურებდი. თუმცა, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რა საჭიროა სინანული, თუ შველა არ შეიძლება“, მაგრამ როგორც კი ბატ. სიმბორსკის სახე თვალწინ წარმომიდგება, ეს აზრი ახლაც არ მასვენებს.

2. გ. კ. გრადოვსკი

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე გრადოვსკი — „გოლოსის“ კორესპონდენტი, ამავე გაზეთის ყოფილი ფელეტონისტი (წერდა ფსევდონიმით „გამმა“), „გრაჟდანინის“ [95] ყოფილი რედაქტორ-გამომცემელი და „რუსკოე ობოზრენიეს“ ახლანდელი რედაქტორი — გაცილებით მეტადაა ცნობილი რუსულ ჟურნალისტიკაში. ისიც ახალგაზრდა, ოცდაათი წლის კაცია. გარეგნობა წარმოსადეგი აქვს. მაღალი, ტანადი და ლამაზია. აქვს სახის სწორი ნაკვთები, გარშემორტყმული ხშირი, წითური, ჯაგრისებრი თმებით და წვერით. პირველად მისი საუბარი საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს: იგი ზუსტად ისევე ჭიმავს და შაქრავს სიტყვებს, როგორც ამას აკეთებენ დედაქალაქელი „მონშერიკები“ და სალონის „ფატიშკები“. მე არ მესმის სად შეიძინა მან გამოთქმის ასეთი მანერა, რადგან სინამდვილეში იგი უაღრესად თავმდაბალი და ზრდილობიანი კაცია. მე მასთან ერთად საკმაოდ დიდხანს ვცხოვრობდი ისეთ პირობებში, სადაც ძნელია თავი არ მოიწონო, სხვისი სახე არ მიითვისო. მაგრამ

მე პრანშვისა და კოხტაობისა მასში არაფერი შემინიშნავს. იგი უკიდურესად თავაზიანია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ეს თავაზიანობა მიდის არა მარტო საკუთარი თავის შეზღუდვამდე, რომ სხვამ უკეთ იგრძნოს თავი, — რის უნარიც ძალზე ცოტას შესწევს ლაშქრობის დროს,—არამედ ტანჯვამდე, როცა აუცილებელია, რომ ვინმეს ღსიამო რამ უთხრას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბატ. გრადოვსკის სინიდისი იძულებულს ხდის გამოსთქვას საკუთარი აზრი, რომელიც მსმენელისათვის უსიამოა, იგი, ჩანს, თავის თავს ძალას ატანს, რადგან ხმას უწევს, თმის ძირამდე წითლდება და გაჭირვებით გამოთქვამს აზრს. ამავე დროს მისი თვალები მუდარას გამოხატავენ: თითქოს მსმენელს ბოდიშს უხდის იმისათვის, რომ ლაპარაკობს. ასეთ წუთებში ბატ. გრადოვსკი ძალზე ჰგავს ინსტიტუტელ ქალს, რომელიც იძულებულია უარის თქმით გული დასწყვიტოს საყვარელ ადამიანს.

ბატ. გრადოვსკის ტალანტი არაჩვეულებრივთა რიცხვს ეკუთვნის. მისი ფრაზა უბრალოა და თბილი... აშკარაა, რომ რუსულ ჟურნალისტიკაში, სადაც მან უკვე გზა გაიკაფა, მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელსაყრელ პირობებში იგი არა მარტო ჟურნალისტიკაში შეასრულებს როლს...

ჩემი აზრის გასარკვევად საჭიროა აქ მცირე რამ ჩავურთოთ. ჩვენში, ჩვეულებრივ, მწერლები ამა თუ იმ ლიტერატურულ წრეს ან ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნიან. ყოველი მათგანი მოქმედებს ძველი ტრადიციების სფეროში და ნაკლებად უცვლის სახეს ჩამოყალიბებულ აზრებსა და რწმენას. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შეუძლია, ანდა ბედავს, შეცვალოს... თანამედროვე ჟურნალისტიკაში ჩვენ ვხედავთ ასეთი სახეცვალებადობის ორ რელიეფურ მაგალითს. ერთია ბატ. სუვორინი, რომელიც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიოდა, როგორც ყოველგვარი და ყოველნაირი, არა ნაკლებ „პროგრესიული“ ფელეტონების ავტორი, ხოლო გასულ წელს ლიბერალიზმის დოგმატები თავიდან მოიშორა და ახლა ცდილობს ყველაზე რეტროგრადული მისწრაფებები ლიბერალური ფერებით შეღებოს... მეორეა, ბატ. გრადოვსკი, რომელმაც სამსახურებრივი კარიერა გენერალ ბეზაკთან დაიწყო კიევში, ხოლო ლიტერატურული მოღვაწეობა — „გრაჟდანინის“ ფურცლებზე, შემდეგ, „გოლოსის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ფელეტონებში, თანდათან ლიბერალიზმისაკენ გადაუხვია, ხოლო გასულ წელს, თავის „რუსკოე ობოზრენიეში“, პროგრესულ თვალსაზრისამდეც კი მივიდა. მაგრამ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი სრულიად

არ მალავს თავის სიმპათიებსა და მისწრაფებებს — თქვენ შეგიძ-ლიათ არ დაეთანხმოთ მას, მაგრამ ძნელია შეცდეთ ამ კაცის შე-ფასებაში. იგი დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია პროგრესულ პოლიტიკის გამოყენება არსებულ ურთიერთობათა დროს და მა-მორიგებისაკენ ისწრაფვის...

...განხორციელდება კი როდისმე მისი ვარაუდი? მე არ მინდა ამ საკითხს შევეხო. მაგრამ მე ეჭვი არ მეპარება, თუ როდისმე ეცდე-ბიან ამ მხრივ რამე გააკეთონ, ბატ. გრადოვსკიმ მონაწილეობა უნდა მიიღოს მის განხორციელებაში... აი, რატომ ვამბობდი ზემოთ, რომ ხელსაყრელ პირობებში ბატ. გრადოვსკი მნიშვნელოვან როლს ითა-მაშებს და არა მარტო ჟურნალისტიკაში... იგი ჯერ ახალგაზრდაა, სწამს ამ საქმისა და ნიჭითაც დაჯილდოებულია, ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ კი ყოველივე ამას შორიდან დავაკვირდებით...

და მე მაინც ამ როლს და ამ ამოცანებს ვარჩევ, ვიდრე სუვო-რინისას...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბატ. გრადოვსკიმ სამსახური დაიწყო კიევში, გენერალ ბეზაკთან. იგი იყო განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე და ეს ადგილი დაიკავა კიევის უნივერსიტეტის იურიდიუ-ლი ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. მერე გადავიდა პეტერ-ბურგში, სადაც არ ვიცი რა თანამდებობა მიიღო იუსტიციის სამი-ნისტროში. ამავე დროს გახდა თავად მეშჩერსკის „გრაჟდანინის“ ფაქტიური რედაქტორი და „გოლოსის“ ნამდვილი ფელეტონისტი. „გოლოსში“ დაბეჭდილმა მისმა სტატიებმა ყურადღება მიიქცია. ცხადია, მას მაშინვე შესთავაზეს... თქვენ გგონიათ, დაწინაურება? ო, არა, მას წინადადება მისცეს ან სამსახურისათვის დაენებებინა თა-ვი, ანდა ლიტერატურისათვის.

იგი სამსახურიდან გადადგა...

ბატ. გრადოვსკიმ ლიტერატურაში განსაკუთრებით 1876 წელს გაითქვა სახელი, როცა „გოლოსში“ თავს დაესხა მ. გ. ჩერნიაევს. ბატ. სუვორინმა, მისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობით, იმ წამსვე მოინდომა ბატ. გრადოვსკი თურქოფილად მოენათლა, რასაც მოგვიანებით თვით სუვორინისათვის ხელი არ შეუშლია „ნოვოე ვრემიაში“ გაცილებით უარესი დაწვრილებითი ცნობები დაებეჭდა ბატ. ჩერნიაევზე. ბატ. გრადოვსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ომის საკითხს ძალზე საქმიანად მიუდგა. რაც კი შეეძლო ეწი-ნააღმდეგებოდა შოვინიზმს, რომელიც ლიტერატურაში „ნოვოე ვრემიამ“ შემოიტანა და მთელი არსებით გამოხატავდა აღშფოთებას, როცა ჩვენი შოვინისტები შარლატანურ, ცრუ ხერხებს იყენებდნენ. ბატ. დროგომონოვთან ერთად, მან პირველმა შეუძახა მთელ რუ-

სეთს, რომ კეთილსინდისიერი საქმე კეთილსინდისიერ ხერხებს მოითხოვს და მოიგონა, რომ რუსეთს შინაც ბევრი მოვალეობა აწევს და ბევრი საზრუნავი აქვს. ამგვარი განცხადება პოპულარობის დაკარგვას, საზოგადოების სიმპათიების წინააღმდეგ წასვლას, დინების საპირისპიროდ ცურვას ნიშნავდა. ბატ. სუვორინი მიხვდა ამას და ცილისწამების მეშვეობით ადვილად დაამარცხა ბატ. გრადოვსკი. ნაწილობრივ ჩვენ უკვე ვხედავთ, ვინ იყო მათ შორის მართალი. ვნახოთ, რას გვეტყვის მომავალი...

მე არ შემიძლია გადავწყვიტო, რამდენად დამოუკიდებლად მოქმედებდა ბატ. გრადოვსკი ბატ. ჩერნიაევზე თავდასხმის დროს, ე. ი. არ ვიცი, რა ინიციატივა გამოიჩინა ამ საქმეში მან და რა — „გოლოსის“ რედაქციამ. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაირკვევა ეს საკითხი, რადგან თვით „გოლოსის“ რედაქცია ბევრ რამეს სხვების „შთაგონებას“ აწერს... არ ვიცი, მართალია ეს თუ არა, მაგრამ საჭიროა სიმართლე ითქვას. სულერთია ნებაყოფლობით თამაშობდა თუ არა „გოლოსი“ წმინდა ოფიციოზურ როლს სლავიანურ ომში, იგი მაინც უფრო საღად მიუდგა ჩვენს ძალებსა და სიძნელეებს, ვიდრე ჩვენი, დამოუკიდებელი გაზეთები. შეიძლება იყო დამოუკიდებელი, გულწრფელი, მოუსყიდავი ჟურნალისტი და მხარი დაუჭირო „გოლოსის“ პოლიტიკას, დაეხმარო მას მთელი ენერგიით. მე არ ვიცი, მართლა ასეთი იყო ბატ. გრადოვსკის როლი, თუ ზემოდან შთაგონებით მოქმედებდა და იზიარებდა მათ საფუძვლიანობას... მაგრამ რამდენადაც მე ვიცნობ ბატ. გრადოვსკის, ვფიქრობ, რომ საკითხი პირველი თვალსაზრისის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბატ. გრადოვსკის, რომელსაც ერთი წუთით დავშორდით.

ძალზე ვწუხვარ, მაგრამ მე შევამჩნიე, რომ მის გონებრივ განკითარებაში, რითაც იგი ჩვეულებრივ დონეზე მაღლა დგას, არის ისეთი ხარვეზები, რაც არ ეპატიება კაცს, რომელიც ბატ. გრადოვსკის როლს თამაშობს. როგორც ეტყობა, მას არ შეუსწავლია ფუნდამენტალურად ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორია, არ გასცნობია იმ დიდი მწერლების მოღვაწეობას, რომელთაც განავითარეს ჩვენი პრესა და საუკეთესო აზრები და მისწრაფებები შემოიტანეს. მხოლოდ ორი-სამი მწერლის ნაწარმოებთა კრებულებში ვერ იპოვი ადრინდელი მოღვაწეების იმ პატიოსნურ მეცადინეობას, რომლითაც ყოველთვის იამაყებს რუსული ლიტერატურა, რა ბრწყინვალეც არ უნდა იყოს მისი შემდგომი ბედი. სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებად ეცნობიან ძველ, ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი, ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების ჟურნალისტებსაც კი. მას მხოლოდ ზოგიერ-

თი ეცნობა და ისიც ცალმხრივად, ეძებს მხოლოდ მარგალიტებს და ავიწყდება, რომ საჭიროა იმ მიმართულებების შესწავლაც, რომელთაც ებრძოდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები, მაგრამ რაც ჩვეულებრივ მკითხველს ეპატიება, სრულიად არ ეპატიება ისეთ ჟურნალისტს, როგორიც ბატ. გრადოვსკია. იგი რომ საფუძვლიანად გასცნობოდა ჩვენი ლიტერატურის წინა პერიოდებს, ცხადად დაინახავდა, რომ ბევრი საკითხი, რომლებზედაც სასაცილოდ იმტვრევენ თავს ჩვენი ლიტერატურის პიგმეები, დიდი ხანია გადაწყვიტეს უგონიერესმა ადამიანებმა... გარდა ამისა, იგი დაინახავდა, რომ დიდ ნაწილს იმ ყალბი არგუმენტებიდან, რომელთაც ბატ. კატკოვები, სუვორინები და მათი მსგავსნი ხახაში აჩრიან ჩვენს უმეცარ ლიბერალებს, ძველი დროის რეტროგრადებიც იყენებდნენ, მაგრამ ეაშინ ამგვარ არგუმენტებს იმ წამსვე აბათილებდნენ... ძალზე ვწუხვარ, რომ თანამედროვე ინტელიგენტები რატომღაც დარწმუნებულნი არიან, თითქოს სამყარო მხოლოდ იმ დღეს შეიქმნა, როცა მათ ულვაშები ამოუვიდათ.

საჭიროა კი იმის თქმა, რომ ბატ. გრადოვსკისთან საუბარი ისევე სასიამოვნოა, როგორც ყველა ჭკვიან კაცთან? რომ შეტაკებებისა და ბრძოლების დროს იგი კეთილსინდისიერად მიიჩქარის იქეთკენ, სადაც შეიძლება რაიმე საინტერესო ნახოს, მაგრამ სადაც, ტყვიებისა და ყუმბარების სახით, „სიკვდილი დაჰქრის". ბედმა, რომელმაც მე ასეთ წუთებში ოდნავ გაფითრების უნარი მომანიჭა, უხვად დააჯილდოვა ბატ. გრადოვსკი შესაშური ბედნიერებით, რადგან როცა საფრთხე ელის, იგი წითლდება. ეს მას ძალზე უხდება. ამ დროს მას სიცოცხლე ემატება, უფრო მოძრავი და ნერვიული ხდება. ხოლო კეთილ თვალებში აღფრთოვანება უბრწყინავს. ზივინის ბრძოლაში იგი ბატ. კოლაკუტსკის ბატარეას ესტუმრა და არტილერიისა და თოფების საშინელ ცეცხლში მოხვდა. მას სურდა ცეცხლში „მონათლულიყო" და აღისრულა კიდეც სურვილი. მაგრამ, შტაბის მიტოვების გამო, ბევრი წააგო, რადგან იქ ამ ხნის განმავლობაში, უამრავი საინტერესო რამ მოხდა... ცეცხლში მოხვედრილი ბატ. გრადოვსკი თავის განცდებს უბრალოდ, გულახდილად გვიყვება და, ამავე დროს, გულკეთილად დასცინის საკუთარ თავს და შიშის გრძნობას. თუმცა, ლაშქრობაში მე ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ამგვარ ამბებით ბაქიობდეს, წლობით ბრძოლებში ნაცადი და მთელ კორპუსში ვაუკაცობით სახელგანთქმული უმამაცესი მეომრები გულახდილად გვიამბობენ იმ გულის დამამძიმებელ გრძნობაზე, რასაც საფრთხის დროს განიცდიან, მაგრამ რომელსაც ნებისყოფის დაძაბვით და თავდაჭერილობით სძლევენ. ამას წინათ

ბატ. კომაროვი (არდაგანელი), ცნობილი უმამაცესი მეომარი, გვეუბნებოდა, რომ „ცხოველად“ თვლის იმ ადამიანს, რომელიც არ განიცდის ამ გულისდამამძიმებელ გრძნობას, როცა მისი სიცოცხლე საფრთხეშია და რომ სიმამაცე სწორედ ამ გრძნობის დაძლევაა...

საჭიროა დავსძინოთ, რომ ბატ. გრადოვსკიმ ცოლი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს შეირთო და ახლა ცოლ-შვილი პეტერბურგში ჰყავს... ეს ამბავი ძალზე შეაწუხებს ბევრ ჩემს მშვენიერ მკითხველს, რომელთაგან ზოგიერთს, ალბათ, უკვე შეუყვარდა ჩემს მიერ აღწერილი ბატ. გრადოვსკი, მაგრამ რას იზამ, სიმართლე უპირველეს ყოვლისა.

ვ. ნ. ა. პოტეხინი

ნიკოლოზ ანტიპოს-ძე პოტეხინი — „ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ [74] კორესპონდენტი, დრამატული მწერალი, ავტორი „საჭირბოროტო სადღეისო საკითხების“, „მკვდარი მარყუჟის“, „ოსტატმა ოსტატი იპოვა“ და სხვ. ნაწარმოებებისა. ჩვენს შორის დარჩეს და იგი შეიძლება ჩაითვალოს doyen d' age. ბატ. პოტეხინი ორმოც წელსაა გადაცილებული. მე მას ვხვდებოდი, როცა ჯერ კიდევ თითქმის ბავშვი ვიყავი, „ისკრის“ [96] განსვენებული რედაქტორის ვ. ს. კუროჩკინის წრეში, 1863 წელს, მაშინ ბატ. პოტეხინი მოხდენილი გარეგნობის მქონე ახალგაზრდა კაცი იყო და, ალბათ, განებივრებული, მსახიობ ქალებსა და კამელიებს შორის მოპოვებული წარმატებებით; ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათ შორის ძალზე ძნელია წარმატების მოპოება, თუ არ შეგიძლია ძვირფასი საჩუქარი მიართვა. მაშინ იგი ახალი დაბრუნებული იყო უცხოეთიდან და გაუმლო რვათვიან კარანტინს... ისე მახსოვს, თითქოს ახლა ხდებოდეს. იგი იდგა ვ. ს. კუროჩკინის ფართო კაბინეტში ზურგით ღუმელს მიყრდნობილი, პარიზიდან ჩამოტანილი უნაკლოდ შეკერილ კოსტუმში გამოწყობილი. შეკრებილნი, როგორც ყოველთვის, შეზარხოშებულნი იყვნენ. დ. დ. მინაევი ყურადღებით უცქერდა ცარიელ ბოთლების ბატარეას; ი. ი. დმიტრიევი ჰმუშნიდა „მოსკოვსკიე ვედომოსტებს“ [28], კუროჩკინი ხარხარებდა და მღეროდა თავის „Бы'ышни тгая—я—я—я“-ს, ხოლო ვ. ბურენინი ვიღაცას უკითხავდა უკანასკნელ კუპლეტებს იმ დროისათვის თავის ძალზე გრივუაზული მუზის ნაყოფს *, რომელიც აკრძალა ცენზურამ „თავადის ქალი ნელის“ უწესო ნაწყვეტების გამო... ნ. ა. პოტეხინიც

---

*. ახლა კი ეს ბატონები „ნოვოე ვრემიაში“ ბრალად მდებენ „უხამსობას“, გაცილებით ნაკლებ გრივუაზული ქარაგმების გამო.

შეზარხოშებული იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ, მიუხედავად ამისა, იგი თავის თავს სხვებზე მაღლა აყენებდა: წარმოიდგინეთ, იგი საზღვარგარეთ იყო, ნახა იქაურობა, ელაპარაკა იქაურებს, იჯდა მათთან ერთად: ბატ. პოტეხინის პოზაში ძალზე ბევრი თეატრალობა და არაბუნებრიობა იყო. მაშინ მე ძალზე მწყინდა, რომ ამგვარმა არაბუნებრიობამ წაახდინა ის კარგი შთაბეჭდილება, რაც მისმა გარეგნობამ მოახდინა ჩემზე. მისი მაღალი შუბლის სითეთრეს მკვეთრად გამოჰყოფდა ხშირი, მუქი, გრძელი, მოდაზე უკან გადავარცხნილი თმა, à la Herzen ულვაშები მის სახეს ვაჟკაცურ იერს აძლევდა, ხოლო მუქი, სწორად დავარცხნილი და შეღებილი წვერი სიმკვეთრეს მატებდა. ცოცხალ, ღია ცისფერ თვალებში ხშირად შეიმჩნეოდა ის მორჩილი სევდიანი ჩაფიქრება, რაც ძალზე სიმპათიურ გამომეტყველებას აძლევს მისი ძმის ა. ა. პოტეხინის, „მთხრობელი პოტეხინის“ თვალებს.

მას შემდეგ მე არსად შევხვედრივარ ნ. ა. პოტეხინს მაცრაში ჩამოსვლამდე. 1863 წლის პოტეხინის გარეგნობა ჯერ კიდევ ცოცხლობდა ჩემს მეხსიერებაში, როცა ჩვენთან მოვიდა საშუალო ტანის, შუახნის ბატონი, თხელი წვერით და გამოხუნებული მზერით. მე თვალებს არ დავუჯერე, როცა გ. კ. გრადოვსკიმ გამაცნო იგი და მითხრა, ეს ნ. ა. პოტეხინიაო. იგი დაღლილი იყო ფოსტის ცხენებით მგზავრობით, მე ეს მივიღე მხედველობაში, მაგრამ ცვლილებამ მაინც გამაკვირვა. მას უკვე დასიებოდა თვალის ქუთუთოები, რაც გადაჭარბებული, ხანგრძლივი დროსტარების აუცილებელი შედეგია და სახეს აღრენილ, წუწუნა, აპათიურ და მძინარა გამომეტყველებას აძლევს. ლოყებზე და შუბლზე უკვე გასჩენია ნაოჭები, ხოლო ღია ცისფერ თვალებს gris perle ფერი მიუღია. დაუმატეთ კიდევ ამას, ასე ვთქვათ, რევმატიული, არამყარი სიარული და თქვენ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გექნებათ ბატ. პოტეხინის გარეგნობაზე. ეოგვიანებით იგი ცოტათი გაახალგაზრდავდა და გამოჯანსაღდა მთის ჰაერის წყალობით.

ნ. ა. პოტეხინის ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ოცი წლის წინათ, თითქმის მაშინვე, როგორც კი მოსკოვის უნივერსიტეტის კურსი დაამთავრა. 1858 წელს იგი ახლდა გენერალ ს. ა. ხრულევს ყირიმში, კავკასიასა და სპარსეთში. ამ მგზავრობის შედეგად ბატ. ჩიჟოვისა და ბაბსტის ჟურნალში (მგონი „პრომიშლენოსტ“) დაიბეჭდა მისი სტატიები შემახიის გუბერნიაში მეაბრეშუმეობასა და ნავთის მრეწველობის შესახებ. შემდეგ მან იმოგზაურა ვოლგაზე და კალმიკეთის ველებზე, რომლის აღწერა დაბეჭდა „სევერნაია პჩელაში“ [97], რომელმაც მაშინ განაახლა გამოსვლა ბატ.

უსოვის რედაქტორობით, და ერთ დროს, ბატ. ლესკოვ-სტებნიცკის უმაგალითო გმირობამდე, საზოგადოებას აკვირვებდა თავისი ლიბერალიზმით... ამის შემდეგ მალე მან დაიწყო „ისკრაში" მთელი რიგი ნიჭიერად დაწერილი ზნეობის ამსახველი სცენების ბეჭდვა: „Наши в Париже", „Фигуры откупной колоды" და ა. შ. რაც 1864 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა და ჰქონდა საერთო სათაური „Наши безобразники". ამ სცენაში აღწერილი იყო მოიჯარადრეთა და სხვა ტუზების ნამდვილი თავნებობა, უსაქციელობა და ამ სცენებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. განზოგადოებისა და გაფილტვრის გარეშე თანამედროვე ფინანსიური სამყაროს წარმომადგენლების ზნეობრივი გახრწნის ნამდვილი სურათების სცენაზე გადატანის ამგვარი მანერა ნ. ა. პოტეხინმა შემდეგში საფუძვლად დაუდო თავის დრამატურგიულ მოღვაწეობას.

ამავე პერიოდს (1861) ეკუთვნის მისი პირველი დრამატიული ნაწარმოებები—„Дока на доку наше" და „Быль молодцу не укор", რომლებითაც დებიუტანტმა-დრამატურგმა ერთბაშად მიიქცია თუ კრიტიკის არა, თეატრალური საზოგადოების ყურადღება. ორივე ნაწარმოები დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში", ზუსტად ისევე როგორც „Доля-Горе" დაწერილი 1862 წელს. ყველა დრამა იმავე წელს დაიდგა დედაქალაქისა და პროვინციულ სცენებზე, სადაც კარგა ხანს შერჩა. კარანტინიდან განთავისუფლების შემდეგ. იგი კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგა თეატრალურსა და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ კარანტინში ყოფნის დროს მან დასწერა „Родительская Суббота", დიდი ნარკვევი, რომელიც დაიბეჭდა „რუსკოე სლოვოში" [98], ხოლო 1863 წელს „ეპოხაში" [99] დაბეჭდა კომედია „Врач — специалист", რომელიც აკრძალა თეატრალურმა ცენზურამ რუსულ სცენაზე დასადგმელად. ამ კომედიაში იგი აკრიტიკებდა „ქალთა მკურნალებს", რომლებიც გზას მეცნიერების შესწავლითა და გამოყენებით კი არ იკაფავენ, არამედ ბუდუარში გაწეული სამსახურითა და თავაზიანობით...

1863 წელს წყდება ბატ. პოტეხინის ლიტერატურული მოღვაწეობა. მას უნდოდა, რაც შეიძლება ახლოს გასცნობოდა სცენას, მთლიანად ამ საქმეს მიეცა და გაემგზავრა ვილნოში, სადაც დაიწყო მსახიობობა და რეჟისორობა რუსულ თეატრში, რის გამოც დიდი სკანდალი ატყდა მაშინდელ პრესაში. ვილნოდან იგი გადავიდა კიევში, სადაც რეჟისორი და დირექტორ-ანტრეპრენიორი იყო. ამ დროიდან მოყოლებული, 1872 წლამდე, იგი რეჟისორობდა და თამაშობდა ოდესაში, ელისატგრადში, დონის-როსტოვში, ხარკოვში,

ქერჩში, ჰელსინგსა და რიგაში. უკანასკნელ ოთხ ქალაქში იგი ამასთან ერთად დირექტორიც იყო, ხოლო რიგასა და ჰელსინგში რუსული თეატრი დააარსა...

1872 წელს ბატ. პოტეხინი კვლავ დაუბრუნდა ლიტერატურას. ერთი წლის მანძილზე მან თავის სოფელში დაწერა დიდი ხნის ჩანაფიქრი დრამა — „Злоба дня“, სადაც სცენაზე გამოიყვანა კონცესიორობისა და სარკინიგზო ძარცვის ერთ-ერთი გმირი, თუმცა არ შეხებია ამ სისტემის საერთო მიზეზებსა და საფუძვლებს. კონცესიონერი-ვაჭრის და კონცესიონერი-ბატონის სახეები აღწერილია ნატურიდან, ყველასთვის ცნობილი მსხვილი „მოღვაწეების“ მიხედვით. თუმცა ამ და შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებზე ვრცლად ლაპარაკი არ ღირს: ჩემს მკითხველთაგან ვის არ უნახავს ისინი სცენაზე? 1875 წელს ჩვენმა ავტორმა დადგა სცენაზე „მკვდარი მარყუჟი“, რომელიც ეძღვნება „განქორწინების საკითხებს“, ხოლო წელს დასწერა კომედია „საუკუნის რაინდი“, რომელიც როგორც ამბობენ ბატ. ვექილებს ეძღვნება.

მე აქ ბატ. ნ. ა. პოტეხინის დრამატიულ ნაწარმოებებზე კრიტიკულ სტატიას კი არ ვწერ, არამედ მხოლოდ მშრალად ჩამოვთვლი ფაქტებს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ავტორის დასახასიათებლად საჭიროა ითქვას, რომ თანამედროვე დრამატურგ-მწერლებს შორის ნ. ა. პოტეხინს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს და, ყოველ შემთხვევაში, აქვს ორიგინალური, მხოლოდ თავისი საკუთარი სახე. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ ვერ იტყვის უარს იმაზე, რომ მისი ნაწარმოებები მაყურებლებში კითხვებსა და ეჭვებს იწვევს. მე არ ვიცი, რამდენად ზოგადი და სიცოცხლის უნარიანი იქნებიან ბატ. პოტეხინის სახეები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათი ბედის მქონე ადამიანები ხშირად გვხვდება ცხოვრებაში... მაგრამ ნუ შეუდგებით კრიტიკულ განხილვას. ჩემი წერილი ისედაც გრძელი გამოდის, სათქმელი კი წინ ბევრია.

როგორც სამხედრო კორესპონდენტი, ბატ. პოტეხინი წერს „მხატვრულ-დაწვრილებით“ და საფუძვლიან სტატიებსა და ნარკვევებს. ჩვენს ადგილობრივ პრესასა და „გოლოსში“ დაიბეჭდა რამდენიმე ფიცხი მხილება, ბატ. პოტეხინის მიერ ვლადიკავკაზის ბულვარისა და საქართველოს სამხედრო გზის აღწერისას დაშვებული უზუსტობების შესახებ. ყველა ეს მხილება დამთავრდა ამგვარი წამოძახილით: „კარგი რამ იქნება ამ ვაჟბატონის სამხედრო კორესპონდენციები!“. ჩემის აზრით, წვრილმანების გამო დიდი ხმაური ატეხეს. ბატ. პოტეხინის სამხედრო კორესპონდენციები გამოირჩევა განსაკუთრებული, თითქმის წვრილმანებამდე დასული საფუძვ-

ლიანობით. იგი სრულიად არ იცნობს სამხედრო საქმეს და კეთილ-სინდისიერად ცდილობს ცნობები სარწმუნო წყაროებიდან მიიღოს. ბატ. პოტეხინი სწავლობს გეგმებსა და რუკებს, კითხულობს ჟურნალებს, აწარმოებს ბრძოლების მონაწილეთა და სპეციალისტების დაწვრილებით გამოკითხვას და ადგენს საკმაოდ კარგ და დაწვრილებით ანგარიშს. რა თქმა უნდა, წვრილმან შეცდომებს ვერ გაექცევი, მაგრამ ამისგან სპეციალისტებიც კი არ არიან დაზღვეულნი? საერთოდ კი ბატ. პოტეხინის მოთხრობა, ჩემის აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ აგვიანებს, რაც იმის შედეგია, რომ როცა მას სურს ზუსტად და სრულად გააშუქოს რომელიმე საკითხი, „პიროვნებათა მთელი მასის“ გამოკითხვა უხდება. ისიც შესაძლებელია, რომ ადგილობრივი პრესის თავდასხმამ ბატ. პოტეხინი ფრთხილი და საკუთარი თავისადმი უნდო გახადა. თუ ეს ასეა, პრესას მადლობა ეთქმის. მაგრამ ეს ამბავი ბატ. პოტეხინის სასარგებლოდაც ლაპარაკობს, რადგან გაკვეთილი გამოიყენა.

კერძო ცხოვრებაში ბატ. პოტეხინი პატრიარქალურია. მისი უბრალოება ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ კარგად ჩანს, როგორ შეეჩვია კულისებსა თუ სოფელში თავისუფალ ცხოვრებას... ზოგჯერ მასში მცირე ხნით იელვებს ძველი, ახალგაზრდული ჩვევა „გამოჩნდეს“ ლაყბობით, ბაქიობით მიიქციოს ყურადღება... საერთოდ კი იგი თუ ცხოვრებადამთავრებული არა, ცხოვრებაგანვლილი კაცი მაინცაა, რომელსაც ბევრი რამ უნახავს. ასეთ კაცს ფრანგები უწოდებენ „blase“-ს... რამდენადაც მე შევამჩნიე, ბატ. პოტეხინს ბევრი უკითხავს. განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში. გონებრივი მონაცემებით იგი არ გამოირჩევა, მაგრამ მისი აზრები და ცოდნა ცხოვრებაზე და ადამიანებზე უშუალო დაკვირვებების შედეგადაა გამომუშავებული. ეტყობა, ბევრი რამ გადაიტანა, ბევრი რამ განიცადა და კამელიებისა და გამყიდველი ვექილების წყალობით შეიცნო იმ დიდი მორევის მცირე ნაწილი, რასაც ადამიანის გული ჰქვია. მაგრამ მე არ ვიცი ამ მორევში რამდენად ღრმად ჩახედვის შესაძლებლობა მისცა მას მისმა გულჩვილობამ *.

4. შ. დე-კუტული

პარიზის გაზეთის „Le Temps“ -ის კორესპონდენტი შარლ დე-კუტული ახალგაზრდა კაცია, ოცდაათი წლისა, ჭრგვალი, ჩასუქებუ-

---

* ამას წინათ „ვსემირნაია ილუსტრაციამ“ დაბეჭდა ნ. ა. პოტეხინის ბიოგრაფია და გაამდიდრა იგი მისი ძმის, — ა. ა. პოტეხინის პორტრეტით. ვთხოვ ჩემს მკითხველებს, რომლებიც მოისურვებენ შეადარონ ჩემი ნარკვევი ამ პორტრეტს, მხედველობაში მიიღონ ეს შეცდომა.

ლი, პომადაწაცხებული, შეღებილი, პატარა წითური წვერით, ცოცხალი, კეთილი და მავედრებელი გამოხედვით. როგორც უკვე ვწერდი „ტიფლისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე, იგი შვეიცარიელ ან ელზასელ გერმანელს უფრო ჰგავს, ვიდრე ფრანგს. სინამდვილეში იგი ვანდეელია და როგორც ყველა ვანდეელი, გულმოდგინე და მშრომელი. ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა შტუტჰარტში, სადაც მიიღო წმინდა გერმანული აღზრდა, ბურჟუაზიული, ზომიერი და აკურატული აღზრდა. იგი ფრანგთა იმ უმნიშვნელო რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც უცხო ენები იციან. გერმანული ენა ისე იცის, როგორც მშობლიური, კითხულობს ინგლისურად და სწავლობს რუსულს. მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ უცხო ენების ცოდნა, რასაც თან ერთვის უცხო ლიტერატურის ცოდნაც, ფრანგულ ჟურნალისტიკაში მისი მომავალი წარმატების მთავარი საფუძველი იქნება.

შარლ დე-კუტული უმცროსი ძმაა იმ ნიჭიერი სამხედრო კორესპონდენტისა, რომელმაც ასე ბრწყინვალედ აღწერა „Le Temps“-ში ესპანეთის შინა ომი და უელსის პრინცის მოგზაურობა ინდოეთში. თავად მან კი, 1870 წლის ომის შემდეგ, რომელშიც კაპრალის ჩინით მონაწილეობდა, „Avenir National“ -ში დაბეჭდა ნარკვევი ცნობილი გერმანული პატრიოტული კავშირის „Tugendlund“-ის ორგანიზაციის შესახებ. იმ დროს გერმანიის შესწავლა საფრანგეთში მოდაში იყო. „Le Temps“-ის რედაქციამ, რომელიც უმთავრესად ელზასელებისაგან შესდგებოდა, ახალგაზრდა კუტული მაშინვე გაგზავნა ბერლინში საკუთარ კორესპონდენტად. მან აქ მიატოვა კორესპონდენტთა ძველი გზა, რაც ჭორებისა და ინტრიგების შეგროვებასა და დიპლომატების ჩანაფიქრების და მოქმედების ამოხსნაში მდგომარეობდა და ფრანგებს აცნობდა პრუსიის ლიტერატურას, ჩვეულებს და ეკონომიურ მდგომარეობას. მის წერილებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ, ოღონდ მკითხველთა ძალზე მცირე წრე. პირადად მე მისი სტატიები ყოველთვის მომწონდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათში არ იყო არავითარი ფრანგული დამყაყებულობა და იმის სურვილი, რომ ეკბინა, ემხილებინა გამარჯვებული; პირიქით, მათში მჟღავნდებოდა სერიოზული მისწრაფება — შეესწავლა რაში მდგომარეობს გამარჯვებულების ძალა და საიდუმლოება, რა უნდა გადაიღონ მათგან, რათა ხელახლა დადგნენ მათზე მაღლა. თუმცა სეის სკოლის იდეალები და შულცე-დელიჩის მიმართულების თვალსაზრისი ჩინური კედელივით აღუდგა მათ წინ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ... მისი ეტიუდები თანამედროვე გერმანულ დრამატულ

ლიტერატურაზე, პრუსიის აღმოსავლეთ ხაჭილის სახალხო ყოფაზე და ა. შ. თავის დროზე შეამჩნია ჟურნალებისა და გაზეთების ყველა სერიოზულმა მკითხველმა. გასულ წელს ბატ. კუტული იყო „Le Temps"-ის სამხედრო კორესპონდენტი სერბიაში, შემდეგ ამავე გაზეთში წერდა ყოველდღიურ პოლიტიკურ მიმოხილვებს (Bulletin), ხოლო წელს ამავე გაზეთმა ჩვენთან გამოგზავნა სამხედრო კორესპონდენტად.

როცა იგი ჩამოვიდა, პირველი რაც ვკითხე დაახლოებით ამგვარ ცნობილ ფრაზას გავდა:

— ნება მომეცით გავიგო, ვის ველაპარაკები, თქვენ თუ თქვენ ძმას? ე. ი. ვკითხე: „ესპანელ" თუ „გერმანელ" კუტულისთან მაქვს საქმე.

— სამწუხაროდ, ჩემი ძმა — მე ვარ, — მიპასუხა მან სიცილით.

მე მართლა გული დამწყდა, რადგან მისი ძმა მომწონდა, როგორც იმ ხალხთა ზნე-ჩვეულებების, მდგომარეობისა და ყოფის ბრწყინვალე აღმწერი, რომელთა შორისაც უმოგზაურია.

მიუხედავად შეხედულებების, რწმენისა და ხასიათის დიდი სხვაობისა, ჩვენ მაინც ჩქარა დავახლოვდით. იგი მაცრაში მაშინ ჩამოვიდა, როცა ჩვენ სოღანლუღში მივემგზავრებოდით. მე ვიცოდი, რა მიზნით ეწყობოდა ლაშქრობა და რა საფრთხე იყო მოსალოდნელი, მაგრამ უფლება არ მქონდა ვინმესთვის გამემხილა და ამიტომ პირდაპირ ვუთხარი მას: „რაც არ უნდა მოხდეს, წამოდით ჩვენთან, კმაყოფილი დარჩებით". მან დამიჯერა და მართლაც კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ზავინის ბრძოლას დაესწრო. ამ უბრალო გარემოებამ და რუსული ენის უცოდინარობამ იგი კეთილად განაწყო ჩემდამი. სოღანლუღის მთელი ლაშქრობის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს არ მივცილებივართ და ერთი და იმავე კარავში ვიძინებდით. დაღლილ-დაქანცულნი, ნახევრად მშიერნი, დავეყრებოდით ხოლმე შიშველ მიწაზე დაგებულ საწოლზე, მაგრამ გაგვახსენდებოდა ხოლმე რომელიმე უადგილო ფრაზა სხვადასხვა ხალხებისა და ეპოქების მწერლის, ფილოსოფოსის, გენერლის, ორატორის ან მსახიობის შესახებ და ვიწყებდით კამათს. ჩვენ ხშირად დაგვთენებია თავზე კამათში გართულებს, ანდა ცხოვრებისა და აზრის რთული საკითხების პარადოქსალური გადაწყვეტის დროს. ვისაც რამდენიმე წელი უცხოვრია იმ ადამიანებთან, რომლებიც მხოლოდ სასამართლო წესდებებს იცნობენ, ანდა მხოლოდ სამსახურში დაწინაურებით არიან დაინტერესებულნი, ადამიანებთან, რომელთა შორის უკეთესებს მხოლოდ უფერული გაზეთების ფელეტონები აინტერესებთ, იგი მიხვდება, რა ხარბად ვეწაფებოდი მე ამ-

გვარ კამათს და რა ძლიერ მივეჩვიე ადამიანს, რომელმაც მეცნიერების, ცოდნისა და აზრის საყვარელ სამყაროში გადამიყვანა. მე გამოვცოცხლდი, ფრთები შემესხა, ათი წლით გავახალგაზრდავდი. რა მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ ჩემთვის იმ ამბავს, რომ ბატ. კუტული ბურჟუაზიული მწერლების — სეის, ტენის, პრევო-პარადოლის და სხვათა მოძველებულ შეხედულებებს იზიარებდა? რა მესაქმებოდა, თუ მას „აშინებდა“ ჩემი თვალსაზრისი! საკმარისი იყო ისიც, რომ ჩვენს შორის გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც არა მარტო მშობლიურ ჟურნალისტიკაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, არამედ საერთოდ ლიტერატურაზე, როგორც წარსული, ასევე თანამედროვე განვითარების თვალსაზრისით. მე მთელი არსებით მივეცი ამ ნეტარებას და ხშირად ჩემი პირდაპირი მოვალეობაც კი მავიწყდებოდა.

ბატ. კუტულის სამხედრო კორესპონდენციები და მისი „ამიერკავკასიული წერილები“ მე გაცილებით ნაკლებად მომეწონა, ვიდრე მისი განათლება. წერს ადვილად, მაგრამ მან სტილის სიმსუბუქე და გამომხატველობა, ჩემის აზრით, უფრო მეტად ფრანგული ენის განვითარებულ ტექნიკას უნდა უმადლოს, ვიდრე საკუთარი ნიჭის ორიგინალობასა და ძალას. მეორეს მხრივ — იგი ჩამოვიდა ქვეყანაში, რომლის ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ენაზე და ჩვეულებზე წარმოდგენაც არა აქვს. ყოველივე ამის შესწავლა ძნელია და ბევრ დროს მოითხოვს, ხოლო კორესპონდენციების წერა აუცილებელია: ტყუილად ხომ არ უხდის რედაქცია 4.000 ფრანკს თვეში. ამიტომ უხდებოდა ბატ. კუტულის სხვისი ნათქვამის გამოყენება, არასწორი ცნობების მიწოდება, ამიტომ ცდებოდა. „დროებამ“ [62], „ივერიამ“ [63] და ნაწილობრივ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ ამის გამო ცოტათი შეახურეს იგი. მაგრამ ეს გაზეთები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წუთიერ კორესპონდენციებს. ასეთ ნაწარმოებებს ისევე ადვილად ივიწყებენ, როგორც წერენ. დიდხანს რჩება მხოლოდ ისეთი აზრები, რომლებიც საფუძვლად უდევს ფაქტებით გამაგრებულ/ მკაცრ კრიტიკულ ხედვას.

მგონი მე უკვე ყველაფერი ვთქვი ბატ. კუტულზე. ამას დაუმატეთ ისიც, რომ იგი გულდაგულ მიიწევს ბრძოლებში, თავს არ ზოგავს, ისეთივე თავაზიანი და მორიდებულია, როგორც ყველა ფრანგი; საკუთარ გაზეთში თავგამოდებით იცავს რუსეთს და რატომღაც ჰგონია, რომ რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთის ბუნებრივი მოკავშირეა. ამის შემდეგ, მე მგონია, თქვენ ბატ. კუტულზე საკმაოდ სწორი, ყოველ შემთხვევაში, საკმარისი წარმოდგენა შეგექმნებათ...

5. ჯორჯ ფორბესი

ჯორჯ ფორბესი (Forbes) — „Times“ -ის კორესპონდენტი, ჩვენს კორესპონდენტებს შორის ყველაზე სერიოზული და განათლებული კორესპონდენტია. იგი დაახლოებით ორმოცი წლის იქნება. ტანად მაღალი, ძარღვიანი და გამხდარი; წითური როგორც ყველი შოტლანდიელი, თვალები გამომცდელი აქვს, სახე კი — ძალზე აზრიანი. მოგრძო, გაპარსული მისი სახე მუდამ ატარებს ფიქრისა და აზრის სერიოზული მუშაობის კვალს, ყოველგვარი ყალბი სერიოზულობის გარეშე, რაც საზიზღარ გამომეტყველებას აძლევს დასრულებულ იდიოტებს... დრო და დრო, როცა საუბარი საინტერესოა, მის სახეს ამშვენებს გულკეთილი ღიმილი, რაც ძალზე მომხიბვლელს ხდის მას.

ბატ. ფორბესი შემთხვევითი კაცი არაა. იგი შვილია სახელგანთქმული ფიზიკოსის, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, რომელიც ავტორია ბევრი აღმოჩენისა და დაკვირვების. თავად მან კი უკვე დაიმკვიდრა საპატიო სახელი მეცნიერულ ლიტერატურაში და გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორია. 1875 წელს ინგლისის მთავრობამ იგი გაგზავნა წყნარ ოკეანეში, რათა დაკვირვებები მოეხდინა ვენერაზე, როცა მზის დისკოს გაუვლიდა. მან არ ისურვა იმავე გზით დაბრუნებულიყო უკან, რომლითაც დასახულ პუნქტამდე მიაღწია. ამიტომ პეკინიდან სახმელეთო გზით, კიახტასა და ციმბირის გავლით, პეტერბურგში ჩამოვიდა. როგორც თვითონ ამბობს, ამ მგზავრობამ მას კარგი შთაბეჭდილება შეუქმნა რუსეთზე და ყველა ფენის რუს ადამიანებზე. „ეს სასიამოვნო შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად შეიცვალა ახლა, როცა რუსებთან საქმიანი ურთიერთობა მაქვსო“, — მითხრა მან. მართლაც, პირველი ნაბიჯების გადადგმა მას გაუჭირდა. სანამ კორესპონდენტად დაშვების ნებართვას მიიღებდა, იგი ექვსი კვირის მანძილზე თბილისში იჯდა. როგორც ინგლისელს, მას ეჭვის თვალით უყურებდნენ და თითქმის თურქეთის ჯაშუშად თვლიდნენ. ეს კი შეურაცხყოფდა მის თავმოყვარეობას. როცა ჩვენ ზივინიდან დაბრუნდით, მას ყველა ეჭვის თვალით უყურებდა. ორ ნაბიჯს ვერ გადადგამდა ისე, რომ მეთვალყურის გამომცდელი მზერა არ ეგრძნო ზურგს უკან. როცა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე გასცა განკარგულება შეეცვალათ მისდამი დამოკიდებულება. ამის შემდეგ ბატ. ფორბესმა თავისუფლად ამოისუნთქა და გესლი, რაც ადრე ყოველ მის სიტყვაში იგრძნობოდა, ცივმა მსჯელობამ შესცვალა. ცხადია, იგი რუსეთის თაყვანისმცემელი არაა, მაგრამ შემიძლია დავარწმუნო მკითხველი,

იგი არც სისტემატური მტერია რუსეთისა... ყოველ შემთხვევაში, რა უსიამოც არ უნდა იყოს ჩვენთვის მისი აზრები, ჩემის აზრით, ერთი ასეთი კორესპონდენტი ასჯერ ჯობს ათეულ უტვინო პანეგირისტს.

ბოლო დროს ხელისუფალთა დამოკიდებულება ბატ. ფორბესისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მე მითხრეს, რომ თავადმა დ. ი. სვიატოპოლს-კმირსკიმ ჩვენი ლონდონელი ელჩის — გრაფ შუვალოვისაგან მიიღო სარეკომენდაციო წერილი, სადაც მას ისევე ახასიათებენ, როგორც ჩვენ დავახასიათეთ ზემოთ.

აგვისტოს დასაწყისში მე გავედი ზაიმიდან ბატ. ფორბესთან და კუტულისთან ერთად. ფორბესი რიონისა და ენგურის რაზმებთან აპირებდა შეერთებას, მე და კუტული კი — ერევანის რაზმთან. ალექსანდროპოლში ჩვენ ერთმანეთს დავცილდით. მე ვაღარ შევძელი ბაიაზეთში წასვლა, უფრო იმიტომ, რომ ამ დროისათვის ჩვენებმა იგი დატოვეს. მაგრამ ბატ. კუტული იყო იგდირში, ერევანსა და ეჩმიაძინში. ბატ. ფორბესი და მე თბილისში თითქმის ერთდროულად ჩამოვედით, მაგრამ იგი ზუგდიდის, ოქუმისა და აფხაზეთის დასათვალიერებლად გაემგზავრა. შემდეგ, თბილისის გაელით, კიურუკ-დარში დაბრუნდა და იქიდან გაემგზავრა ერევნის რაზმის ბანაკში, სადაც ტერ-გუკასოვისა და იზმაილ-ფაშას მოლაპარაკებას უნდა დასწრებოდა; მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა და ისევ ჩვენთან დაბრუნდა. უცხოელ კორესპონდენტებს ისე დიდ თანხას უხდიან რედაქციები, რომ მათთვის ესოდენ ძვირად ღირებული მიმოსვლა არაფერს არ წარმოადგენს. ამის შემდეგ კი ჩვენი დედაქალაქის გამომცემლებს უკვირთ, თუ რატომ ვერ ჯობნიან რუსი კორესპონდენტები უცხოელ კორესპონდენტებს.

6. ბატ. მიკა და ბატ. უილერი

ბატ. მიკას (Meikor) და უილერის (Wheeler) შესახებ ცოტა რამ შემიძლია გაცნობოთ. მათი წარსული ჩემთვის სრულიად უცნობია. ვიცი მხოლოდ, რომ ერთ მშვენიერ დღეს „New-York Herald"-ის გამომცემლობა ჯემს-გორდონ-ბენეტმა (უმცროსმა), რომელიც მუდმივად ცხოვრობს პარიზში საკუთარ სასახლეში, ნიუ-იორკში ლაკონური დეპეშა გაგზავნა: „ჩამოვიდეს მიკა"! მიკა ჩამოვიდა. როდესაც მიკა ახალგაზრდა პატრონთან გამოცხადდა, მისგან ასეთი სიტყვები მოისმინა: „ჩახვალ მიუნხენში, წაიყვანთ უილერს. ოდესაში მიიღებთ ნებართვას და გაემგზავრებით მცირე აზიაში". ბატ. მიკა ჩავიდა მიუნხენში, წამოიყვანა ბატ. უილერი („New-York Herald"-ის

მუსიკალური კორესპონდენტი) და ოდესის გავლით ჩამოვიდნენ ჩვენთან ბაცრაში. ბატ. მიკა არ ლაპარაკობს არც ერთი ადამიანისათვის გასაგებ ენაზე. ინგლისელ ფორბესსაც კი არ ესმის მისი. ამერიკულ კილოს, რაც ინგლისელებს ძლივს ესმით, მან თავის მხრივ დაუმატა კიდევ საოცრად დამახინჯებული ცხვირისმიერი გამოთქმა! ბატ. უილერი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ცოტას მაინც ლაპარაკობს ფრანგულად და გერმანულად, ამ ორი ენისაგან ძალზე ორიგინალურ მასედუანს ქმნის. მაგრამ იგი ინსტიტუტელი ქალივით ახალგაზრდა და უცოდველია; მე მგონი ჩვენი სტუდენტი ქალები დასცინებდნენ კიდევაც მის გულუბრყვილობას.

პარიზში მე საკმაოდ გულმოდგინედ ვკითხულობდი „New-York Herald"-ს. ეს გაზეთი, რომელიც მოცულობით „Times"-ს არ ჩამოუვარდება, შეიცავს რვა და მეტ უზარმაზარ ფურცელს, დაბეჭდილს წვრილი თითქმის მიკროსკოპიული შრიფტით. მთელი გაზეთი სავსეა განცხადებებით. გამონაკლისს წარმოადგენს ის ადგილი, რომელიც განკუთვნილია მოკლე მოწინავე სტატიებისა და კერძო განცხადებებისათვის. ამერიკული გაზეთები, განსაკუთრებით დიდი გაზეთები, არ ეწევიან შეხედულებათა პროპაგანდას, ვერ იტანენ პოლემიკასა და მსჯელობას. მათი აზრით, ყოველი ამერიკელი არც ისე სულელია, რომ თავისი შეხედულება გამოიმუშაოს: მას მხოლოდ შიშველი ფაქტები ჭირდება. „ფაქტები, ფაქტები და რაც შეიძლება მეტი ფაქტები" — აი, მათი დევიზი, რაც მათ დიკენსის მძიმე დროიდან ისესხეს. და მართლაც, ამ გაზეთებში თქვენ აღმოაჩენთ უამრავ, უთვალავ ფაქტებს, ე. ი. ნედლ მასალას. თუ შეგიძლიათ დაამუშავეთ ეს მასალა თქვენ თვითონ, თუ არადა, მით უარესი თქვენთვის. სხვებს იმის დრო არა აქვთ, რომ აზრები დაგიღეჭონ.

ამიტომ ბატ. მიკა და უილერი სრულიად არ წერენ კორესპონდენციებს: ისინი ტელეგრაფით „შიშველ ფაქტებს" გადასცემენ. დეპეშების გაგზავნაში გულუხვნი არიან, ხოლო ზოგჯერ ამგვარი დეპეშა ბევრ კორესპონდენციაზე უფრო გრძელი გამოდის. არა მგონია, რომ ეს დეპეშები ზუსტი ან მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, რომ მათი შედგენა, და განსაკუთრებით გაგზავნა, „New-York Herald"-ის კორესპონდენტებისაგან გაცილებით მეტ შრომასა და მეცადინეობას მოითხოვს, ვიდრე მათმა თანამშრომელმა სტენლიმ ლივინგსტონის აღმოსაჩენად დახარჯა.

კორესპონდენტებმა მაცრაში ჩამოსვლისთანავე ერთმანეთს ცხარე ომი გამოუცხადეს... საკორესპონდენტო ტახტისათვის. ბატ. მიკა ამტკიცებდა, რომ ნამდვილი კორესპონდენტი იგია, ხოლო უილერი

მხოლოდ მისი თარჯიმანია და მეტი არაფერი. ეს ცხადად ჩანსო ჯემს გორდონ-ბენეტ junior-ის უაღრესად ლაკონიური დეპეშიდან:

— „წაიყვანეთ უილერი". ბატ. უილერს კი, თავის მხრივ, საბუთად მიუნხენში გაცემული „New-York Herald"-ის მუსიკალური კორესპონდენტის დიპლომი მოქონდა და ამტკიცებდა, რომ პატივცემული ჯემს-გორდონ-ბენეტ- junior -ს არ შეეძლო მისი გადაყვანა „რწმუნებით აღჭურვილი კორესპონდენტის" მაღალი თანამდებობიდან დაბალი თანრიგის თანამდებობაზე. საბედნიეროდ, საქმე სისხლის ღვრამდე არ მისულა, მაგრამ მათი მეზობლები, ბატ. ფორბსი, კუტული და მე დიდხანს ვიყავით მათი გაცხარებული და გაუთავებელი ბრძოლის მსხვერპლნი: დილიდან შუაღამემდე მსჯელობდნენ ისინი ჯემს-გორდონ-ბენეტ- junior-ის აპოკალიპსური სიტყვების შესახებ. ალბათ, ასეთი რწმენით ეკლესიის მამებიც კი არ დაობდნენ იოანე ღვთისმეტყველის რომელიმე გაუგებარი ნათქვამის განსამარტავად... ამერიკელი კორესპონდენტები იქამდეც კი მივიდნენ, რომ გადაწყვიტეს, შეექმნათ ჩვენგან რაღაც ვატიკანის საეკლესიო კრების მაგვარი სამსჯავრო. ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადეთ. ბატ. უილერი დარდისაგან დუქნებს აღარ შორდებოდა, ბატ. მიკა კი იმით სჯიდა უილერის ცხენს, რომ საკვებს არ აძლევდა. მათ მსახურს, უკბილო ყარანაფახს, რომელსაც ისინი საოცარი მოძრაობით ელაპარაკებოდნენ, მოეწონა ამგვარი მაგალითი და ორივე ცხენი, რომელთაც ამავე დროს „ლოყკებს" ეძახდა, საბოლოოდ შეაჩვია შიმშილს. ბოლოს ამერიკელებმა მოიფიქრეს შეკითხოდნენ თავიანთი პატრონის მდივანს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს მათ შორის. მდივანმა მგონი აცნობა მათ, რომ ჯემს-გორდონ-ბენეტი- junior-ის განკარგულებით ბატ. მიკა ითვლება უფროს კორესპონდენტად (თანამდებობის მიხედვით მე-8 კლასის წოდება აქვს, ხოლო მუნდირზე დაკერებული ნიშნის მიხედვით—მე-7 კლასის), ბატ. უილერი კი—უმცროს კორესპონდენტად (აქვს მე-9 კლასის წოდება, მუნდირზე ნიშანს არ ატარებს), მაგრამ 1876 წლის 17 მარტს უფროსობა მიიღო. ამან გადაწყვიტა მათი დავა. ბატ. უილერი ამ განკარგულების საფუძველზე გაემგზავრა ერევნის რაზმთან შესაერთებლად, რათა ეგემა დამოუკიდებლობა, ხოლო ბატ. მიკა ჩვენთან დარჩა.

ბატ. უილერი არაფრით არ განირჩევა ახალგაზრდა, გონებაშეზღუდული გერმანელი სტუდენტისაგან და თავი სწორედ ისე უჭირავს, როგორც იმ გერმანელ სტუდენტს, რომელიც პირველად მოხვდა ფილისტერთა წრეში, იმ ადამიანებს შორის, რომლებზედაც მისი

კარიერა და მატერიალური მდგომარეობაა დამოკიდებული. იგი ძალზე თავაზიანია და თითქმის მუდამ იღიმება. განურჩევლად ულიმის ყველას და ყოველს. ბევრი ვეცადე გამეგო, როგორ უყურებს იგი ზოგად საკაცობრიო საკითხებს, მაგრამ არაფერი გამომივიდა, რადგან მუდამ სტერეოტიპულად მიღიმოდა. მხოლოდ ერთხელ აღფრთოვანდა და ალაპარაკდა. ეს მოხდა მაშინ, როცა მე და კუტული ვსაუბრობდით იმ პარალელზე, რომელიც მე ოფენბახსა და ვაგნერს შორის გავავლე.

ბატ. მიკა, მისდაუნებურად, მუნჯია. ახლა მე მას ხშირად ვესაუბრები, მაგრამ ვაწერინებ ინგლისურად ყველაფერს, რისი თქმაც უნდა. საბრალოს მთელი ბროშურების შეთხზვა უხდება. ამ ხნის განმავლობაში მე მის შესახებ აი რა შევიტყვე:

იგი ერთ-ერთი იმ ამერიკელთაგანია, რომელმაც, მიუხედავად არაწესიერი განათლებისა, მაინც გზა გაიკაფა. იგი მუშაობდა „New-York Herald"-ის სტამბაში ასოთამწყობად, შემდეგ — კორექტორად, მერე რეპორტიორი გახდა და ამ ასპარეზზე თავი გამოიჩინა: ფოტოგრაფიის მეშვეობით ამხილა ჩრდილოეთ-ამერიკელი მეზღვაურების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ამ საქმეზე მე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს. მაგრამ ამბობენ, თითქოს გემების კაპიტნებს მთავრობამ დაავალა დაერიგებინათ ველურებისათვის უფასოდ სხვადასხვა წვრილმანი საქონელი, რათა შეჩვეოდნენ კომფორტსა და ცივილიზაციას. კაპიტნები კი შედიოდნენ სავაჭრო ნავსადგურებში და ამ საქონელს ევროპელებს მიჰყიდდნენ ხოლმე, მთავრობას კი აუწყებდნენ ველურებს დავურიგეთო. „New-York Herald" -მა როგორღაც იყნოსა ეს ამბავი და დაიწყო ამ საქმის ფორმალური გამოძიება. ბატ. მიკა, კორესპონდენტი-გამომძიებელი, განსაკუთრებული გემით ავსტრალიაში გაემგზავრა და სახელმწიფო გემებს კვალდაკვალ მიჰყვა. ბოლოს გადაიღო ყველა სავაჭრო პუნქტების დუქნები, კაპიტნების სურათები, როცა ისინი ევროპელ-შემსყიდველებს ევაჭრებოდნენ. მამხილებელი საბუთების უარყოფა შეუძლებელი იყო და, ამბობენ, ბატ. მიკამ ამერიკაში ისეთივე დიდება მოიპოვა, როგორც მისმა თანამემამულემ სტენლიმ — ევროპაში. ვიმეორებ, ამ საქმის შესახებ მე სრულიად არაფერი არ ვიცი. მე გიყვებით იმას, რაც მე აქ ბატ. ფორბსმა და კუტულიმ გადმომცეს.

ბატ. მიკას გამომგონებლობას საზღვარი არა აქვს. ტიტუს მსგავსად, იგიც დაკარგულად თვლის იმ დღეს, როცა რაიმეს ვერ გამოიგონებს ბუზების წინააღმდეგ, რომელთა რაოდენობა აქ მილიარდებია და მოსვენება არა გვაქვს, მან უკვე გამოიგონა თავზე ჩამო-

საცმელი ბადე, გამოიგონა ერთი მანქანა ორცხობილის დასამტვრევად, მეორე—ცეცხლის სწრაფად და არაფრისაგან გასაჩენად და მის ეკონომიურად შენახად და ა. შ. გარდა ამისა, აქვს შესანიშნავი არტისტული ნიჭი. საოცრად ბაძავს ენავილს კატებისას, რომელთაც კუდით ეწევიან, და კატასა და ძაღლს შორის გამართულ დიალოგს. ამასთანავე, ბატების სისინს, ქათმების კაკანს, ძროხების ბღავილს, ვირის ყროყინს. მის მიერ გამართული კონცერტები ჩვენთვის დროის გატარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მე არ ვიცი, გზავნის კი მათ შესახებ დეპეშებს მისი თანამოძმე, მუსიკალური კრიტიკოსი, მაგრამ, ჩემის აზრით, ღირს ამ კონცერტების შესახებ მუსიკალურ-ფიზიოლოგიური რეცენზიის დაწერა!

უნდა ნახოთ ბატ. მიკას გამომეტყველება იმ მომენტში, როცა პოდპოლკოვნიკი ვოინოვი, ჩვენი დეპეშების ცენზორი, დროის უქონლობის გამო ბატ. მიკას დეპეშებს „ხვალისათვის“ გადასდებს. ბატ. მიკას მწუხარება, სასოწარკვეთილება და სიშმაგე ასეთ წუთებში უსაზღვროა.

— „ხვალ“! „ხვალ“!—იმეორებს იგი რუსულად სხვადასხვა ვარიაციებში და ამავე დროს აკრაჭუნებს კბილებს, არაბუნებრივად იგრიხება და კუმშავს მუშტებს. „ვოინოვი“ — „ხვალ“, მწუხარებით უჩურჩულებს იგი ყველას, ხოლო როცა ჩვენს კარავში შემოდის ცხვირში წარმოთქვამს აღმაფრთოვანებელ, ცხარე, გრძელ სიტყვას. ალბათ, სურს დაგვარწმუნოს, რომ „დრო-ფულია“, რომ დეპეშის გადადება არ შეიძლება და ა. შ. ბატ. მიკასათვის ვოინოვი, უბრალოდ, კოშმარია. ზის იგი ჩემს კარავში, ლაპარაკობს ან მისმენს, ანდა ჩაის სვამს. უეცრად აიღებს ქაღალდის ნაგლეჯს, დახატავს აწკეპილ ულვაშებიან, თავდახრილ ფიზიონომიას, წააწერს — „ვოინოვი“ და გვაჩვენებს როგორც ხელმოწერას, ასევე სურათს, შემდეგ გამწარებით ღეჭავს ქაღალდს... ასე სჯის იგი მას enebbigie-ს მსგავსად დღეში რამდენჯერმე... ბატ. ვოინოვი საკმაოდ მშვერმეტყველურად უხსნის მას რუსულად, რომ ბევრი სამსახურებრივი მოვალეობა აწევს. იგია კორპუსის ისტორიოგრაფი, უნდა შეადგინოს სამხედრო მოქმედების ჟურნალი. ყოველივე ეს იოლი საქმე არაა, რადგან ერთმანეთის საწინააღმდეგო გემოვნების მქონე ადამიანების გული უნდა მოიგოს და ისეთ მოვლენებშიც კი უნდა აღმოაჩინოს აზრი და გეგმა, რომელთაც არც აზრი ჰქონდათ და არც გეგმა. ცენზორის მოვალეობა კი მას სხვათა შორის დააკისრეს. მან კი ინგლისური ენა არ იცის და უნდა ელოდოს როდის განთავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობისაგან რომელიმე ინგლისური ენის მცოდნე ოფიცერი... მაგრამ ბატ. მიკას, რომელმაც რუსულ სიტყვებიდან

მხოლოდ „ზავტრა“ და „კარაშო“ იცის, ცხადია, არ ესმის მისი სიტ-ყვები და მას თვლის ყველა უბედურების წყაროდ...

7. ს. ა. მუსინ-პუშკინი

სიმონ ალექსანდრეს-ძე მუსინ პუშკინი — ახალგაზრდა კორეს-პონდენტი, კიდევ უფრო ახალგაზრდა „სობესედნიკისა“ [100] 19-20 წლის ყმაწვილია, რომელსაც ისეთი სახე აქვს, როგორსაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ხატავდნენ მედალიონებზე, გრეზას უხეირო მიმ-ბაძველები. მისი უწვერ-ულვაშო სახე საკმაოდ მიმზიდველია... მა-ღალ, ტანად ყმაწვილს, ყველა ახალბედა შეყვარებულის მსგავსად, „გამარჯვება და დიდება სწყურია“. წერს ლექსებს და, როგორც ზნეობრივად, ასევე ფიზიკურად, „გარდატეხის“ კრიტიკულ ასაკშია. მისგან შეიძლება კარგი ადამიანიც დადგეს და ცუდიც; მიუხედავად იმისა, რომ დედის ნებიერია, ნიჭი და გულმოდგინეობა არ აკლია. მაგრამ ჯერჯერობით მასზე არაფრის თქმა არ შეიძლება გარკვევით. გვარიანი ჟურნალისტი რომ დადგეს ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშა-ოს და ისწავლოს. მე მგონია, მას ცოტა უკითხავს და ცუდად იც-ნობს ცხოვრებას, თუმცა ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ სერიო-ზული განათლება მიიღოს. ღმერთს მისთვის არც ნიჭი დაუკლია და არც ქონება. და თუ იგი მაინც ზერელედ განათლებული ადამიანი დარჩება — ამაში მის გარდა არავინ იქნება დამნაშავე. მაგრამ, ვი-მეორებ, ამ მიმართულებით მან ჯერჯერობით ცოტა რამ ვააკეთა. ვიმედოვნებთ, რომ წინ ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვს.

8. ვ. იულიუსი

ლონდონის გაზეთის „Daily News“ -ის კორესპონდენტი ვიქტორ იულიუსი 50 წლის პრუსიელია, რომელსაც ბევრი ბრძოლა გადაუტანია და ბევრი ქარცეცხლი გამოუცდია. როგორც ნამდვილი გერმანელი-ყასაბი, იგი მსუქანი, მოუხეშავი, გაბღენძილი და ქონით გატენილია. სახით იგი ჩამოგავს ბაკენ-ბარდებ მოპარსულ რასპლიუ-ევს, რომელიც კრივის დაწყებას ელოდება. მან მითხრა, რომ პრო-ფესიით ინჟინერია, მაგრამ თურქეთის არმიაში ინსტრუქტორად მსა-ხურობდა; შემდეგ იყო კორესპონდენტად რუშჩუკში, მაგრამ რუსე-თისადმი უანგარო სიყვარულისა და „სიმართლის გამო დაისაჯა“, თურქეთმა იგი გააძევა. „Daily Telegraph“-ის რედაქციამ მას შეს-თავაზა ემუშავა კორესპონდენტად თურქეთში, საიდანაც იგი გააძ-ვეს, მაგრამ რუსეთისადმი სიყვარულის გამო მან უარი განაცხადა და ჩვენთან ჩამოვიდა *.

* როცა გენერალი ნ. ნ. ობრუჩევი ბანაკში ჩამოვიდა და გაიგო, რომ კო-რესპონდენტთა შორის პრუსიელი იულიუსიც იყო, მოითხოვა მისი სწრაფად გა-

ახლა ბატ. იულიუსს ვერ გაუგია, რატომ არ აფასებენ ჯეროვნად მის სიყვარულს რუსეთისადმი: მას ჯერჯერობით არც კარავი მისცეს, არც სადილი, არც მსახური მიუჩინეს და არც კაზაკი... თუმცა მისთვის ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მიუხედავად რუსეთისადმი უანგარო და თავდაუზოგავი სიყვარულისა, საძულველი მტრების, თურქების ბანაკში გადავა, რადგან მას არ უყვარს უხერხულობა და არ იყიდის იმას, რაც რუსეთისადმი სიყვარულისათვის უნდა მისცენ. იგი არ თხოულობს, რომ სიყვარულისათვის ბევრი ფული გადაუხადონ, მაგრამ დალახვროს ეშმაკმა, მას უფლება აქვს მოითხოვოს კარავი, მსახური, სადილი, მოხერხებული პირობები და კომფორტი!

ბატ. იულიუსი ალექსანდროპოლიდან კურიუკ-დარში ცხენით ჩამოვიდა, ბარგი კი გზად მომავალ ოთხთვალას გამოატანა; ოთხთვალამ და მსახურმა დაიგვიანეს. ბატ. იულიუსი დარწმუნებული იყო, რომ გაძარცვეს და მაშინვე პოლკოვნიკ ჩერნიაევთან იჩივლა, რომელმაც, ცხადია, ტელეგრაფით გასცა განკარგულება მოეძებნათ ბარგი და მსახური. ბატ. იულიუსი შედეგს არ დაელოდა და მეორე დილით თვითონ გაემგზავრა ალექსანდროპოლში. ამასობაში მისი მოსამსახურე ჩამოვიდა ბანაკში. ბატ. იულიუსი ჩვენთან დაბრუნდა და თითქმის ცრემლმორეულმა განუცხადა უფროსებს, რომ მსახურმა ჩემოდნიდან, რომელშიც ძვირფასი ნივთები ელაგა (ბატ. იულიუსის სიტყვით 1500 მანეთად ღირებული) ფლანელის საბანი მოიპარა... მსახური დააპატიმრეს და მანამდე ჰყავდათ დამწყვდეული, სანამ ბატ. იულიუსს ფლანელის საბნის საფასური 12 მან. 50 კაპ. არ გადაუხადა. მე რომ მოპარვა მდომებოდა, შემეძლო რამე უფრო ძვირფასი მომეპარა, ამბობდა მსახური... და ამის შემდეგ, ბატ. იულიუსი კიდევ იმას ჩივის, რომ ხელისუფლება ჯეროვნად არ აფასებს მის სიყვარულს რუსეთისადმი!..

ბატ. იულიუსი არ კმაყოფილდებოდა მარტო „Daily News"-სათვის კორესპონდენციების მიწოდებით, იგი აგრეთვე კვირაში ორჯერ უგზავნიდა წერილებს ბერლინის „National Zeitung"-ს და ჰაუგსბურგის „Allgemeine—Zeitung"-ს. მე ხელში ჩამივარდა ამ გაზეთების რამდენიმე ნომერი და წავიკითხე „Daily News"-ის ორი-სამი კორესპონდენცია. ვფიცავ, უფრო უსინდისოდ დაწერილი სტატიები არასოდეს წამიკითხავს: ამ სტატიების დამახასიათებე-

---

ძევება ბანაკიდან, რადგან იულიუსმა თურქებთან სამსახურის დროს, თურქეთის მთავრობას დუნაის სიმაგრეების გეგმები და პროფილები მიპყიდა და დიდი ფული აიღო...

ლი თვისება მლიქვნელობით შეკაზმული წმინდა სუზდალური სიცრუეა...

0. პ. ა. იზმაილოვი

პავლე ალექსანდრეს-ძე იზმაილოვი — „ნოვოე ვრემიას“ ახალი კორესპონდენტი და თბილისის საბჭოს მდივანი, — 26 წლის ახალგაზრდა კაცია. მე მას უკვე შვიდი წელია ვიცნობ. ვიცნობდი თბილისშიც, შვეიცარიაშიც და პარიზშიც. წარსულში ბევრი საერთო საქმე წამოგვიწყია. ერთად დავაარსეთ ივანოვის ბიბლიოთეკა, ერთად ვთანამშრომლობდით „ტიფლისკიე ვესტკინკში“ და იმ დღეებში, როცა მე იმედი მქონდა ნებას დამრთავდნენ გაზეთი გამომეშვა, ერთად ვოცნებობდით გამოცემაზე... ერთი სიტყვით, ყოველთვის დიდი მგგობრები ვიყავით და ყოველთვის დიდ იმედებს ვამყარებდი მასზე... ახლაც კი იგი ჩემს კარავში წევს და მის ჩვევას — თუ მეტი არა, ოცდაოთხი საათი საინც იძინოს დღე-ღამეში—მოთმინებიდან გამოვყავარ. ღმერთმა იცის საიდან, მაგრამ მას ევროპული, ასე გასინჯეთ, ებრაული სახის ნაკვთები აქვს, თუმცა არავინ იცის რატომ, მაგრამ თავის თავს სომეხად თვლის; რადგან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას ქმედითი როლის თამაში მოუწევს, მე საჭიროდ მიმაჩნია მასზე მეტი და მეტი სიმკაცრით ვილაპარაკო.

არის წუთები, როცა მე, რომელსაც თითქმის აროდეს არავისი არაფერი შემშურებია, მშურს ბატ. იზმაილოვისა. მაგრამ როცა რეფლექსი დაცხრება, მადლობას ვწირავ გამჩენს იმისათვის, რომ მან მე ბატ. იზმაილოვის თვისებები და ბედი არ მომანიჭა. აი, რის გამო ხდება ყოველივე ეს: ქვეყანაზე არაა კაცი, ბატ. იზმაილოვს რომ ემდუროდეს. უფრო მეტიც, არაა კაცი ბატ. იზმაილოვს, რომ აღტაცებაში არ მოჰყავდეს. იგი თანაბრად უყვართ ექსპლოატატორებსაც და ექსპლოატირებულებსაც. უფრო მეტიც, იგი თანაბარი თავაზიანობით ექცევა ერთსაც და მეორესაც... მისგან არავის მოუსმენია არა მარტო მკვახე აზრი ან განაჩენი, არამედ მტკიცედ ფორმულირებული თვალსაზრისიც კი, თუნდაც ეს თვალსაზრისი უცხო ადამიანს ან საგანს ეხებოდეს. კამათისა და საუბრის დროს იგი თავაზიანად, გონივრულად იღიმება და ყველა აზრისა და მიმართულების წარმომადგენელს უფლება აქვს იფიქროს, რომ იგი მის აზრებს იზიარებს. არ ვიცი, რაა ამის მიზეზი, რბილი ხასიათი, თუ არამყარი შეხედულებები? არ შემიძლია გადავჭრა ეს საკითხი. ადრე, როცა იგი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო, ამ თვისებას მე საკუთარი ძალებისადმი უნდობლობას ვაწერდი, რაც ყველა ტალანტს ახასიათებს. ვაწერდი აგრეთვე თავმდაბლობას, იმის სურვილს, რომ

ჯერ თვითონ ჩამოყალიბებულიყო მთლიანად და შემდეგ გამოეთქვა საკუთარი აზრი. მაგრამ ახლა უკვე აღარ ვიცი, რით ავხსნა მისი ხასიათის ამგვარი თვისება.

ბატ. იზმაილოვი ცხოვრებაში ყველაფერს იოლად, გაუჭირვებლად, უბრძოლველად აღწევს. ბედი მას თან დაჰყვა: რაც სხვებისაგან წლობით გულმოდგინე შრომას მოითხოვს, მას პირველი სურვილისთანავე ემლევა. კორესპონდენტობის უფლებაც კი მან ერთ დღეში მოიპოვა, როცა სხვები ამ უფლებას გულგაწვრილებულნი ელოდებიან კვირაობით და თვეობით... მაგრამ ასეთმა იოლმა წარმატებებმა უცნაურად იმოქმედა მასზე. იგი უაღრესად ნიჭიერია და მცირეოდენი შრომაც რომ დაეხარჯა, ადვილად გახდებოდა გამოჩენილი კაცი, მაგრამ საკუთარი ბედის იმედით მსუბუქად „დასრიალებდა“ გონებრივი სამუშაოს ზედაპირზე. საუკეთესო წლები დაკარგა პარიზში და უმიზნო გაკვეთილებისა და თარგმანების ნაცვლად, რაც მას დიდად არ ჭირდებოდა, შეეძლო საფუძვლიანი განათლება მიეღო. მთელ კვირეებს ხარჯავდა იმისათვის, რომ მეგზურობა გაეწია პარიზში ჩვენი კომერსანტებისათვის. და ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე გასეირნებაში ხარჯავდა იმ ფულს, რასაც ამ ქალაქის სხვადასხვა უბანში გაკვეთილებით შოულობდა. ასე გადიოდა თვეები, წლები, და იმის მაგივრად, რომ სერიოზულად მომზადებულიყო ცხოვრების ასპარეზზე საბრძოლველად, მას მხოლოდ განუვითარდა უნარი — იყოს ყველასთვის სასიამოვნო... მე ძალზე მაწუხებდა ეს ამბავი და ახლა მხოლოდ იმიტომ ვწერ, რომ ბატ. იზმაილოვს უკან მიხედვისა და ანაზღაურების დრო ჯერ კიდევ აქვს.

მე არ ვიცი, რა კორესპონდენციებს გაუგზავნის იგი „ნოვოე ვრემიას“ *, მაგრამ დამეთანხმებით, რომ დიდი და გავრცელებული გაზეთის კორესპონდენტობა ბრძოლის ველზე — შესაძლებლობას იძლევა ერთბაშად გამოავლინო საკუთარი ნიჭი და მოიპოვო სახელი ლიტერატურაში, ცხადია, თუ ამისათვის მცირეოდენი მონაცემები მაინც გაქვს. ესეც ერთგვარი „ბედია“, რაც ყველას როდი ერგო წილად...

პირად ურთიერთობაში ბატ. იზმაილოვი თავაზიანობის და დაუზარებლობის ნიმუშია. იგი მზადაა მეტად ძნელი შრომა გასწიოს ოღონდ დაეხმაროს, ანდა სამსახური გაუწიოს მეგობარს და ნაცნობს. მას ესმის სხვისი გულის წადილი და ქცევა, შეუძლია შეცდომების პატიება, შეუძლია გულგრილად უცქიროს ბევრ ისეთ რამეს, რაც სხვებს აღელვებს და აღიზიანებს. ამასთანავე, თუმცა

* მას გაზეთისთვის არაფერი გაუგზავნია (დაგვიანებული შენიშვნა).

ძალიან ზარმაცობს, მაგრამ თუ დასჭირდა, შეუძლია გულმოდგინედ იმუშაოს. ასეთი სურვილი მას დრო და დრო, შუალედებში უჩნდება... მას უნარი შესწევს ჩასწვდეს აზრის არსს, შეუძლია განასხვაოს მნიშვნელოვანი უმნიშვნელო საკითხისაგან. ერთი სიტყვით, საკმარისია მოინდომოს და სასარგებლო შეიქნება საზოგადოებისათვის... მაგრამ მოინდომებს კი? *

10. პ. პ. ვოლხოვსკოი

მოქმედი კორპუსის კორესპონდენტთა ოჯახს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ბატ. ვოლხოვსკოი, რომელიც, თუმცა კორპუსის შტაბში მსახურობს, მაგრამ კორესპონდენციების წერაში არ ჩამორჩება არც ერთ თავგამოდებულ ლიტერატორს.

პავლე პეტრეს ძე ვოლხოვსკოი — კორპუსის შტაბის უფროსი ადიუტანტის მოადგილე და „მოსკოვსკიე ვედომოსტისა“ და „კავკაზის“ [19] კორესპონდენტი, 42 წლისაა. ტანად პატარაა, ნაყვავილარი, სასიამოვნო სახეს ჭაღარაშერეული წვერი უმშვენებს, წვრილი, ცოცხალი თვალები ეშმაკურად და აზრიანად უთამაშებს. წარმოშობით იგი უკრაინელია; სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში, როცა ნიკოლოზ I-მა მოსწავლე ახალგაზრდობას პატრიოტიზმისაკენ მოუწოდა, მან უნივერსიტეტს თავი დაანება და სამხედრო სამსახურში შევიდა. სამსახურში შესვლისთანავე პორუჩიკის ჩინი მისცეს, რასაც აქამდე უბიწოდ ატარებს**. ერევნის პოლკში, სადაც იგი ადრე მსახურობდა, ასეთი ლექსი გამოუთქვეს:

«Господь, во гневе рек
Пусть Волховской весь век
Как он себе не тужит,
Поручиком прослужит!»

და მსახურობს მთელი სიცოცხლე ღვთის მორჩილი ბატ. ვოლხოვსკოი პორუჩიკის ჩინით, თუმცა მისი უდიდებულესობის 1854 წლის ბრძანების თანახმად, რის გამოც მან უნივერსიტეტი მიატოვა, შეეძლო ესარგებლა იმ უფლებებით და უპირატესობით, რომლითაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სარგებლობენ. „მაგრამ ჩვენ დროს, — მითხრა მან, — ახალგაზრდები ესთეტები იყვნენ და უფლებების და უპირატესობათა მოპოვებაზე ზრუნვა არ უსწავლიათ!“

---

* არაფერი შემიძლია ვთქვა „ნოვოე ვრემიას“ ახალი კორესპონდენტის ა. ი. პალმას შესახებ, რადგან რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა ბანაკში.

** ახლა შტაბს-კაპიტანის ჩინი უბოძეს.

1854 წელს იგი ფინეთში გაგზავნეს, სადაც განათლებული მეზღვაურების შემოსევას ელოდნენ. ფინეთში იგი ომის დამთავრებამდე დარჩა. ხოლო როცა ზავი დაიდო, იგი გადადგა. 1858-1867 წლებში შამილის წინააღმდეგ იბრძოდა. ამავე წლებში კავკასიის არმიის შტაბში, მილიუტინთან მსახურობდა. ეს იყო დრო, როცა ყოფის ყველა შთაბეჭდილებები ჩვენთვის ახალი იყო და როცა თვითონ გვიხდებოდა გადახალისება... 1861 წელს, ბატ. მილიუტინის წასვლასთან ერთად, ბატ. ვოლხოვსკოიც გადაიყვანეს პეტერბურგში, სადაც, ახალი სამხედრო მინისტრის რეკომენდაციის წყალობით, რუსეთის რკინიგზების მთავარი საზოგადოების სამმართველოში უმცროსი თარჯიმანის ადგილი იშოვა... ამ თანამდებობაზე იგი ოთხი წელი დარჩა. შემდეგ, ნედელის რეცეპტის თანახმად, თავისთან „სოფელში" გაემგზავრა და მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი. ოთხი წლის უკან ექიმებმა იგი თბილისში გამოისტუმრეს, რადგან ფილტვები აქვს სუსტი. თბილისში ცხოვრობდა კერძო გაკვეთილებით, თარგმანებით, კორექტურაზე მუშაობით და ა. შ. ცოლი მან ოცი წლის წინათ შეირთო და ჰყავს ქალიშვილი, რომელიც მისი მეუღლე მეგონა... მიმდინარე წლის კომპანიის დაწყებამდე, ცნობისმოყვარეობითა და შთაბეჭდილებათა განცდის სურვილით გატაცებულმა, ისევ დაიწყო სამსახური იმავე პორუჩიკის ჩინით.

როგორც კი კომპანია დაიწყო, ბატ. კატკოვმა, რომელიც მიჩვეულია იმას, რომ ამა ქვეყნის ყველა ძლიერმა ხელი შეუწყოს მისი გაზეთის წარმატებას, მოწიწებით სთხოვა კორპუსის სარდალს დაენიშნა შტაბის რომელიმე მოხელე „მოსკოვსკიე ვედომოსტის" კორესპონდენტად. მ. ტ. ლორის-მელიქოვი იყო ისე თავაზიანი და ამავე დროს ისე ბედნიერი, რომ კორესპონდენტად დანიშნა ბატ. ვოლხოვსკოი. ბატ. ვოლხოვსკოის მართლაც უჭრის კალამი, აქვს საკუთარი შეხედულებები და გამსჭვალულია ცოცხალი, ფაქიზი, თბილი გრძნობით. როგორც არ უნდა დასცინოდეს ჩვენი და შემდგომი თაობა „ესთეტებს", მათ აქვთ ერთი რამ, რაშიც ვერავინ შეედრება მათ და, ალბათ, ვერც მომავალში გაუტოლდება ვინმე... ესაა სიკვდილამდე უმწიკვლოების ახალგაზრდული გრძნობისა და რწმენის შენარჩუნება, იმ ერთადერთი სილამაზისა, რაც ახალგაზრდობაში მხოლოდ რამდენიმე კვირით ეძლევა ყველა ახალ და შეურყვნელ გულს, მაგრამ რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე რჩეული ბუნების კაცი ინარჩუნებს. ეგოიზმისა და სიბინძურის მორევში ყელამდე ჩაძირულმა „ესთეტებმაც" კი შეინარჩუნეს თუნდაც ნაწილი, თუნდაც გარეგნული სახე ამ სილამაზისა, და არ დაივიწყეს თუნდაც ფრაზები თავისი მშვენიერებისა. აბა, დააკვირდით ჩვენი

თაობის „დაცემულებს“. მათში ცინიზმის მეტს ვერაფერს იპოვით. ამბობენ, ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლაა და სრულიად ბუნებრივია თუ ძლიერი დაამარცხებს სუსტს, — ესაა ფაქტების ლოგიკაო!... მაგრამ დამეთანხმებით, მაინც სასიამოვნოა, როცა ხავერდის ხელთათმანით შემოსილი ხელი გატყავებთ და არა შიშველი მუშტი...

ბატ. ვოლხოვსკოის სტატიებში გვხვდება ისეთი ბუნებრივი თბილი გრძნობით გამსჭვალული სტრიქონები, რომ მათი კითხვის დროს მეც კი მომადგა ცრემლი თვალზე, მე, საკმაოდ გრძნობადაჩლუნგებულ კაცს...

წაიკითხეთ „კავკაზში“ როგორ აღწერს იგი ზივინთან დაღუპულთა დასაფლავებას და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ... ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ბატ. ვოლხოვსკოის სახე, მისი მზერა, მისი გლოვა და რისხვა, მისი სიტყვები, მისი ხმის ყღერადობა, რის მოწმეც გავხდი იმ საღამოს, როცა ზივინის უბედურება მოხდა... ასეთ გრძნობებს არც ჩინებისა და ჯილდოებისაკენ სწრაფვა კვებავს და წარმართავს და არც 20 რიცხვისადმი სიყვარული... ახლა იუმორი, მის გულკეთილი მალოროსიული იუმორი, რომლის მადლსაც გოგოლი ჩასწვდა და რომლის საიდუმლოებაც ესოდენ სიცოცხლის უნარიანია მალოროსიელთა შორის, იუმორი დაცინვის, პრანჭვა-გრეხისა და ძალდატანების გარეშე, მით უფრო ღრმად რომ იჭრება გონებაში, მარტო ეს იუმორი რად ღირს!

სამწუხაროდ, ბატ. ვოლხოვსკოის, როგორც „ესთეტს“ ჯერ კიდევ ბევრი ილუზიები, იმედები და სიმპათიები შემორჩა. საჭირო იყო „ბედისწერის“ მკაცრი გაკვეთილები, რომ მისი გონება მიჩვეოდა ისეთ კრიტიკულ ანალიზს, როგორიც ჩვენმა თაობამ დედის რძესთან ერთად შეითვისა. განსაკუთრებით არ წყალობს ბედი წინასწარმეტყველებაში. მეორეს მხრივ კი მისი მდგომარეობა და იმ ორგანოს ხასიათი, რომელშიც იგი თანამშრომლობს, მას ვალდებულს ხდის საკუთარი იუმორი მხოლოდ იშვიათად და წვრილმანებში გამოამჟღავნოს... ეს კი სამწუხაროა. მის ტალანტს და დაკვირვების უნარს უფრო ფართო ასპარეზი სჭირდება...

როგორც ესთეტი, ბატ. ვოლხოვსკოი ცუდად არ ხატავს კალმით, პროზაში თუ შტრიხებში.

ამას წინათ ამას უსიამოვნება შეემთხვა. „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა სტატია ჩვენი გენერალური (ანდა, როგორც აქ ამბობენ, „გეხიალური“, რადგან ახალი პარიზული მოდის მიხედვით „რ“-ს კვეცავენ) შტაბის ერთ-ერთ მოხელეზე. სტატია გამომწვევი და ბოროტი ხასიათისა იყო. არავის არ უცდია გაეგო, ვინ იყო მისი ავტორი. ბატ. ვოლხოვსკოის თავს დაატყდა სერიოზული უსიამოვნე-

ბა, მაგრამ ამ თავდასხმაში შეურაცხყოფილ მოხელეს მონაწილეობა არ მიუღია. არ დაკმაყოფილდნენ რა გოგოლის მიერ აღიარებული „დატუქსვით", მათ უნდოდათ „დაებრუნებინათ იგი „პირველყოფილ მდგომარეობაში", ე. ი. საკვებად ისევ კორექტურა მიეჩინათ. მაგრამ აღმოუჩნდნენ გავლენიანი მფარველებიც და მ. ტ. ლორის-მელიქოვმა საქმე მიაფუჩეჩა, რისთვისაც საკმაოდ გონებამახვილური და საზრიანი გამოსავალი მონახა. ბედუკუღმართი პორუჩიკი, მის ხელქვეითთა რისხვისაგან რომ დაეცვა, „მოსკოვსკიე ვედომოსტში" დაბეჭდილი სტატია მე მომაწერა. ეს ამბავი ყველა განაწყენებულმა ხელქვეითმა დაიჯერა. საკმარისია ჩვენში ითქვას, რომ ნიკოლაძემ კალიფორნიის გაზეთში ესპანურ ენაზე იაპონიის მიკადო „გალანძღაო" და ამ ამბავში ეჭვი არავის შეეპარება. გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ფიცით დაიწყებენ მტკიცებას, რომ თვითონ მნახეს, როგორ ვასწორებდი კორექტურას. როცა მე აქ პირველად მიმახვედრეს, თითქოს „მოსკოვსკიე ვედომოსტის" სტატია ჩემი დაწერილია, შეურაცხმყოფელი კინაღამ დუელში გავიწვიე, რადგან როგორ გაბედა და გაიფიქრა, რომ მე შემიძლია კატკოვთან თანამშრომლობამეთქი, მაგრამ შემდეგ გაჩუმდი. დე მომაწერონ სხვისი „ლანძღვაგინება", სამაგიეროდ მოეშვებიან მწერალს, რომელიც უკუღმართმა ბედმა ისეთ ადამიანებს დაუმორჩილა, რომელთაც არ უნდათ გაიგონ, რომ საკუთარი მოვალეობის პატიოსნად და ბეჯითად შემსრულებელ მოხელეს სამსახურის გარეთ უფლება აქვს თქვას და გააკეთოს რაც უნდა, გარდა ოფიციალური საიდუმლოების გამჟღავნებისა?

კორესპონდენტების ცალ-ცალკე დახასიათება მოვათავე. საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას საერთოდ ყველაზე. მათ წესიერებაზე ყველაზე მეტად მეტყველებს კეთილი ამხანაგური დამოკიდებულება, რაც კორესპონდენტებს შორის სწრაფად მყარდება. მათ შორის არც მეტოქეობას ჰქონია ადგილი, არც ინტრიგებს, არც გულჩათხრობილობას და არც უთანხმოებას; განსაკუთრებით რუს კორესპონდენტებს შორის. ყველას ესმოდა, რომ სამუშაო ბევრია, რომ აქ ისინი ცელკეულ გაზეთს, ამა თუ იმ მიმართულებას კი არ ემსახურებიან, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებას. საერთოდ, კორესპონდენტთა უმრავლესობას შეგნებული ქონდა, რომ აქ ისინი მხოლოდ ფელეტონების დასაწერად და „მხიარული პეიზაჟების" აღსაწერად კი არ იმყოფებიან, არამედ ჩვენი საზოგადოება მათი თვალებით უყურებს ჩვენს ჯარს და ისინი არმიაში, ასე თუ ისე, ამ საზოგადოების წარმომადგენლები არიან...

ეს სტატია მე დავიწყე ამგვარი სიტყვებით: სამხედრო კორეს-

პონდენტი სრულიად ახალი მოვლენაა რუსეთის ცხოვრებაში. თავისთავად ცხადია, რომ ამ კორესპონდენტების პირველი ნაბიჯები არ შეიძლება მტკიცე და უცოდველი ყოფილიყო. საზღვარგარეთაც კი, სადაც ბრძოლის ველიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, ჩვეულებრივი მოვლენაა, რიგიანი კორესპონდენტები თითებზე ჩამოსათვლელია. როსელი, მაკ-გახანი, კუტული (ესპანელი) — სულ ესაა რაც წარმოშვა ევროპულმა პრესამ, რომელიც კარგად მოწყობილი, განუსაზღვრელად თავისუფალი და ძალზე მდიდარია. ხოლო ჩვენს ახალგამომცხვარ, თითქმის უსახსროდ დარჩენილ კორესპონდენტებისაგან რომ იგივე მოითხოვო — ეს იმას ნიშნავს, რომ ან სულ არ გესმის რაზე ლაპარაკობ, ანდა არაკეთილსინდისიერ მოთხოვნებს აყენებ. მოგვეცით დრო, აცალეთ კორესპონდენტებს გაეცნონ ახალ საქმეს, სცადონ სხვადასხვა სტილით წერა, აირჩიონ შესაფერისი სტილი და, შემწყნარებლობისა და თავისუფლების განვითარებასთან ერთად, ჩვენშიც გამოჩნდება სამხედრო კორესპონდენტი. მაგრამ ისეთი სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი კი არა, რომელიც ახრჩობს მკითხველს ტექნიკური ტერმინებით, არამედ სამოქალაქო პირი, რომელმაც სამხედრო საქმის შესახებ ყველაფერი იცის, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს და რითაც შეიძლება და უნდა დაინტერესდეს კიდეც იგი.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთში სამხედრო კორესპონდენტის გამოჩენა, რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯის დამადასტურებელი ფაქტია. ვუსურვოთ მას, რაც შეიძლება ხშირად გადადგას ასეთი ნაბიჯი და დავამთავროთ ჩვენი გრძელი ნარკვევი. მინდოდა შევხებოდი აგრეთვე ცენზურის დამოკიდებულებას კორესპონდენტებისადმი, მაგრამ ბოლო დროს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ცოტა ნაადრევია...

83. კვლავ ბატ. ი. გოგებაშვილის შესახებ

მარადსახსოვარი ცილისწამების ავტორი, სემინარიის საავადმყოფოსათვის მატყლის შესყიდვის შესახებ, კვლავ გამოჩნდა „ტიფლისკი ვესტნიკის“ [3] ფურცლებზე ახალი ცილისწამებებით და ამბებით. ბატ. გოგებაშვილის ცილისწამებისათვის ძალზე ნაყოფიერი ფანტაზიის ყველა გამონაგონის ცალ-ცალკე უარყოფა ფიზიკურად შეუძლებელია. მისი წრთობის ადამიანები მრავალთავიანი ურჩხულის ყველა თვისებით ხასიათდებიან. ვერ მოასწრებ თავი მოჭკვეთოთ ერთ მის ცილისწამებას და მოკვეთილის მაგივრად ორი კიდევ უფრო დიდი ცილისწამება იზრდება. მაგალითად, ბატ. გოგებაშვილი „ტიფლისკი ვესტნიკის“ მკითხველებს არწმუნებდა, ბატ. ნიკოლაძის „ბრაზის და სიძულვილის“ მიზეზი თითქოს ისაა, რომ მან უარი განაცხადა „ობზორში“ [2] თანამშრომლობაზე. ეს იყო ცილისწამება. ჩვენ დავასახელეთ ხუთი წლის წინათ გაზეთ „დროებაში“ [22] დაბეჭდილი ჩვენი სტატია და დავამტკიცეთ, რომ ასეთივე ცუდი აზრისა ვიყავით ბატ. გოგებაშვილზე „ობზორის“ დაარსებამდეც. გვეგონა, ადამიანს, რომელიც ასე ცხადად ამხილეს ცილისწამებაში, სირცხვილი შეაწუხებდა. თქვენც არ მომიკვდეთ. იგი იღებს კალამს და „ტიფლისკი ვესტნიკში“ ახალ ცილისწამებას წერს:

„ნიკოლაძე არწმუნებს მკითხველებს, თითქოს მის სტატიებში ჩემს შესახებ გამოთქმული აზრები პირადი ანგარიშსწორებით არ იყოს გაპირობებული. მე შემიძლია ადვილად დავამტკიცო მათი სიცრუე და, სხვათა შორის, მოვიყვანო ფაქტი, რომელიც ცნობილია ქართველ ინტელიგენტთა მთელი წრისათვის. ბატ. ნიკოლაძე 1869 წელს, უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, ძალზე დადებითად ლაპარაკობდა ჩემი საბავშვო ქრესტომათიის „ბუნების კარის“ შესახებ და ამასთანავე მირჩევდა თავი დამენებებინა ყველა სხვა საქმისათვის და მხოლოდ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენისათვის მომეკიდა ხელი. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის განხეთქილება მოხდა, მან ისარგებლა ჩემი ავადმყოფობით, უძლურებით და ჩემზე და ჩემს წიგნზე პასკვილი დასწერა, საიდანაც მოიყვანა ნაწყვეტი საკვირაო ფელეტონში. მაგრამ ამგვარ მხილებას მე არ ვღებულობ, რადგან პირადული ხასიათისაა“.

სამწუხაროდ, 1873 წელზე ხუთი წლით ადრე ჩვენ ბატ. გოგებაშვილზე აზრი არ გამოგვითქვამს. მაგრამ რომ გამოგვეთქვა კიდეც და ხელახლა დაგვემტკიცებინა ამ ცილისწამების სიცრუე, ბატ. გოგებაშვილი კვლავ იტყოდა, რომ ჩვენი ეს არსებული შეფასებაც ასევე „პირადი განხეთქილებით“ იყო ნაკარნახევი და ასევე მოიყვანდა მოწმედ ქართველ ინტელიგენტთა წრეს, რომელსაც ასახელებს მატყლის შესახებ ცილისწამების ავტორი იმ გამოგონილი უაზრობის დასამტკიცებლად, თითქოსდა რიშარმა ყოველი ფუთი მატყლი 9 მანეთად კი არ იყიდა ბითუმად, არამედ 5 მანეთად და ისიც ნაწილნაწილ...

ცილისწამებათა მოგონება, ამბების შეთხზვა, და ამ გზით მოწინააღმდეგისათვის ვნების მიყენება, ბატ. გოგებაშვილისა და მისი მსგავსი ბატონების სპეციალობაა. ისინი ამავე ხერხს იყენებდნენ, როცა სხვებს სასულიერო უწყებათა ხელმძღვანელებთან აბეზღებდნენ, და ჰგონიათ — ლიტერატურულ პოლემიკაშიც გამოადგებათ ამგვარი ხერხი. მაგრამ ნურას უკაცრავად! ერთია ჩუმად დაბეზღება, რამაც შეიძლება შემთხვევით გიშველოს კიდეც, და მეორეა — სახალხო ცილისწამება, რის უარყოფაც სახალხოდ შეიძლება, თუნდაც 1873 წლის სტატიის გადმობეჭდვით.

ძნელი არაა მიხვდე, რომ ადამიანი, რომელიც პრესის მეშვეობით საზოგადოებას ერთიდაიმავე ფაქტის ასახსნელად ორ საწინააღმდეგო აზრს სთავაზობს, ერთ-ერთ შემთხვევაში მაინც მატყუარა გამოდის მის თვალში. ორში ერთი: ბატ. გოგებაშვილი ან მაშინ ცრუობდა, როცა ხალხს არწმუნებდა ბატ. ნიკოლაძეს იმიტომ ვძულვარ, რომ უარი განვაცხადე „ობზორში“ თანამშრომლობაზეო, ანდა ცრუობს ახლა, როცა ამტკიცებს, რომ ბატ. ნიკოლაძეს სძულს იგი „პირადი შეჯახების“ (?!) გამო, რაც 1873 წლამდე მოხდა. თუ ხუთი წლის წინათ მართლაც მოხდა „პირადი შეჯახება“, მაშინ რატომ თავიდან არ მოიყვანა ეს შემთხვევა საბუთად ბატ. გოგებაშვილმა ბატ. ნიკოლაძის „სიბრაზისა და სიძულვილის“ ასახსნელად და რატომ არწმუნებდა საზოგადოებას, რომ ბრაზი და სიძულვილი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა „ობზორში“ თანამშრომლობაზე?

შევაჩეროთ მკითხველთა ყურადღება იმ ბრწყინვალე მარგალიტზე, რომლითაც ჩვენს მიერ ამოწერილი ტირადა მთავრდება: კაცმა მოახდინა ყველაფრის ინსინუაცია, რისიც კი შეეძლო, ცილი დამწამა და ამის შემდეგ ყოფნის თავხედობა არწმუნებდეს მკითხველს: „ამგვარ მხილებას მე არ ვღებულობ, რადგან „პირადული ხასიათისაა“.

ვიმეორებთ, რომ ყველა მისი ცილისწამების უარყოფა ადამიანს არ შეუძლია... თუ რამდენად სიმართლის მოყვარულია ბატ. გოგებაშვილი თუნდაც ისეთ საკითხებში, როგორიც ნაბეჭდი დოკუმენტებია, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს. ახლა იგი გვარწმუნებს, რომ „ივერიაში“ [63] არავის არ უქია მისი სტატიები“. და ეს მაშინ, როცა „ივერიაში“ მის სტატიებზე დაიბეჭდა მისივე ხელმოწერელი სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამ სტატიებმა ისეთი დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას, როგორიც კი ოდესმე გაუწევია პრესას. ბატ. გოგებაშვილის აზრით, ეს, რა თქმა, უნდა, ქება არაა. იგი სერიოზულადაა დარწმუნებული, რომ გალმერთების ღირსია ამ სტატიებისათვის. მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ამაზე მეტი ქება შეუძლებელია და, აი, ასეთი ადამიანები, რომლებიც ასე მოურიდებლად ცრუობენ ლიტერატურული, დოკუმენტალური ფაქტების წინაშე, ფიქრობენ, რომ ვინმე დაიჯერებს მათ სიტყვას შემთხვევითი საუბრების შესახებ *.

---

* ასევე მოურიდებლად ექცევა ბატ. გოგებაშვილი ლიტერატურასაც. საიდანაც მაგალითები მოჰყავს. მაგალითად, იგი უარყოფს ჩვენდამი მტრულად და მისდამი მოყვრულად განწყობილი გაზეთის „დროების“ განცხადებას, რომ მისი სახელმძღვანელო სახალხო მასწავლებელთა ყრილობამ დაიწუნა. ეს აზრი ჩვენ „დროებისაგან“ ვისესხეთ. ამავე დროს, იგი გვითითებს „კავკაზის“ საანგარიშო მოხსენებაზე და ამბობს, ამ აზრისა მხოლოდ ერთი მასწავლებელი იყოო. „კავკაზის“ საანგარიშო მოხსენებაში შეტანილია ორატორის მოსაზრებები, რომელთა წინააღმდეგ არავინ წასულა და ყრილობის დადგენილება — მიიღონ სახელმძღვანელო, სანამ უკეთესი გამოჩნდებოდეს, ბატ. გოგებაშვილს მისთვის სასარგებლო მოვლენად მიაჩნია. ამის შემდეგ ბატ. გოგებაშვილი ასახელებს ამასთან ერთად გამოგზავნილ რომელიღაც თავის კორესპონდენციას, რომელშიც ჯერ კიდევ 1874 წ. ანვითარებდა აზრს — მშობლიური ენის პედაგოგიური მნიშვნელობის შესახებ. ამავე დროს, მას ავიწყდება საბუთად მოიყვანოს 1873 წელს დაწერილი ჩვენი სტატია. და ბოლოს, იგი ამხელს ჩვენი აზრის „სიცრუესა და უსამართლობას“ მასწავლებელთა ყრილობაზე მისი თავდასხმის მოტივების შესახებ. ასეთი კლასიკური ფრაზით: „როდესაც მე ყრილობის შესახებ წერილს (სტატიას) ვწერდი, არა თუ არაფერი არ ვიცოდი იმ კამათზე, რაც ქართული ენის პროგრამის შედგენის დროს გაიმართა, არამედ არც შემეძლო მცოდნოდა, რადგან, მართალია წერილი 30 სექტემბერსაა დაბეჭდილი, მაგრამ იმ თვის შუა რიცხვებში დავწერე და თბილისში გამოვგზავნე, ბატ. გოგებაშვილმა თუმცა არაფერი იცოდა კამათის შესახებ, მაგრამ მთელ ყრილობაზე მსჯელობდა! თუმცა ბატ. გოგებაშვილის მოტივებზე მე კი არ გამომითქვამს აზრი, არამედ — გაზეთმა „დროებამ“, სადაც გამოქვეყნებული იყო პედაგოგის აზრი ბატ. გოგებაშვილზე. ჩვენს წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში ბატ. გოგებაშვილი ასახელებს... სამ სტატიას, რომლებიც უანგაროდ დაბეჭდა ათი წლის განმავლობაში გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. ჩვენ ეს სტატიები არ წაგვიკითხავს, ხოლო რაც შეეხება ცილისწამებებს, თითქოს ჩვენ „გადაკვრით“ ელაპარაკობთ ბატ. გოგებაშვილის სიმპათიებზე, — „ობზორის“ მკითხველებისთვის ცნობილია, თუ რამდენად ყალბია

როგორ ვერ შეუგნიათ ამგვარ ადამიანებს ერთი უბრალო ჭეშმარიტება? ვთქვათ, ბატ. ნიკოლაძე მართლაც გაბრაზებულია და სძულხართ თქვენ იმის გამო, რომ უარი განაცხადეთ „ობზორში" * თანამშრომლობაზე. ვთქვათ, თქვენი სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა. შესანიშნავია. შერცხვეს ბატ. ნიკოლაძე და დამნაშავეს თავს დაატყდეს ღვთის რისხვა. მაგრამ საქმე ისაა, რომ საკითხი ბატ. ნიკოლაძეს კი არ ეხება, არამედ თქვენ, ე. ი. საზოგადოებრივი საქმეების წარმოების თქვენ სისტემას. განა თქვენი და თქვენი ცილისმწამებლობის, ინტრიგების და უყაირათობის გამო არ დაეხშო გზა სემინარიისაკენ ქართველ ახალგაზრდობას? დაამტკიცეთ, რომ ბატ. ნიკოლაძე მართალი არ იყო, როცა თქვენ და თქვენ მეგობრებს ბრალს გდებდათ ამ ამბავში და ამით უფრო მალე დაამარცხებთ მას. თქვენი სრული გამართლება ამ საქმეში ხალხს დაანახვებს, რომ ბატ. ნიკოლაძე ცილისმწამებელია და საზოგადოების თვალში ამით იგი მილიონჯერ მეტს დაკარგავს, ვიდრე იმ სტატიების დასახელებით, რომლებიც თითქოს „ობზორს" დაპირდით ან „ტიფლისკი ვესტნიკს" გადაეცით. ყველა ეს წვრილმანი თქვენ შეიძლება უსასრულოდ გაინტერესებდეთ, მაგრამ ხალხისათვის ჩირადაც არ ღირს. ხალხს მხოლოდ ის აინტერესებს, თუ ვის უნდა უმადლონ, „სემინარიის ისტორია" რომ ასე უაზროდ დამთავრდა. დაწერეთ ამის შესახებ და თუ თქვენ შესძლებთ თავი გაიმართლოთ, ეს სრულიად საკმარისი იქნება თქვენი ღირსებისათვის და ბატ. ნიკოლაძის შესარცხვენად; მაგ-

---

ბედუკუღმართი ცილისმწამებელის ფანტაზიის ნაყოფი. ჩვენ არ გვჩევია „გადაკვრით" ლაპარაკი, საუბარს ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, და ასეთი არასოდეს არაფერი გვითქვამს. ჩვენ არა თუ თავს არ დავსხმივართ ბატ. გოგებაშვილის კეთილ ვანზრახვას, არამედ დავიცავით მისი კეთილი განზრახვა მოხერხებული მოწინააღმდეგეებისაგან. ჩვენ მხოლოდ სიბრიყვით ვხსნით მის შეცდომებს და მარცხს, რაც სხვებს დანაშაულად მიაჩნიათ...

რ ე დ.

* ამგვარი ადამიანები რომ ცილისწამებას გადაეჩვიონ, ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებთ, რომ თბილისში რეპორტიორების და მჯღაბნელების ნაკლებობამ იძულებული გაგვხადა სხვადასხვა საანგარიშო მოხსენებების შედგენა არა მარტო ბატ. გოგებაშვილისათვის, არამედ ბატ. სობესევსკისთვისაც კი დაგვევალებინა. სწორედ ამ უკანასკნელმა შეადგინა ანდრეევსკაიას საქმეზე სასამართლო სხდომების საანგარიშო მოხსენება. რედაქტორის ფანქარი, რომელიც ამგვარი „თანამშრომლების" წერილებს ასწორებდა, მთლიანად უზრუნველყოფდა „ობზორის" მკითხველებსა და მის რედაქციას ყოველგვარი გადახვევებისაგან, ჩვენს მიერ არჩეული გზიდან. დე, პირველად თბილისის იმ რედაქტორებმა გვესროლონ ქვა, რომლებიც აქაურ უდაბურობას იძულებული არ გაუხდია დამორჩილებოდა ამგვარ აუცილებლობას.

რ ე დ.

რამ ამ საკითხს თქვენ არ ეხებით, მოწიწებით უვლით გვერდს და მუდამ რაღაც პირად შეჯახებებსა და პატივისცემაზე ლაპარაკობთ. კამათის არსის ახსნა-განმარტებისათვის სისტემატური გვერდის ახვევა და ერთი უსარგებლო ჭორიდან კიდევ უფრო უსარგებლო მეორე ჭორზე გადასვლა ამტკიცებს, რომ თქვენ საზოგადოებას თვალს უხვევთ. ინებეთ და დაუბრუნდით ამ საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცრუე თქვენი საუბრების, სტატიების და შეჯახებების შესახებ ვერ გიხსნით იმ კაპიტალური ბრალდებისაგან, რაც ბატ. ნიკოლაძის სიტყვების შედეგად კისრად გაწევთ.

84. საკვირაო საუბრები

ორი პროცესი. — გლეხთა არეულობა და თავადების განკარგულებები.

— ჩვენი დღეების გმირი ვ. დ. სპასოვიჩი. — მისი მნიშვნელობა. — მისი საუნივერსიტეტო პოპულარობა. — როგორ გადავწყვიტეთ, რომ იგი ჩამორჩენილია? — ვინ იყო მაშინ მართალი? — ბატ. სპასოვიჩი, როგორც ორატორი. — რატომ არა აქვს მას ფრთები. — როგორი საქმეებისათვის უნდა მოეკიდა ხელი? — გამბეტა და ბატ. რეიტერი ან ბატ. დანილოვი. — რა შეეძლო ეფიქრა ბატ. სპასოვიჩს, როცა ჩვენს პალატაში შემოდიოდა? — ტალანტი და ოქრო. — რატომ იცავს ბატ. სპასოვიჩი ბატ. ჩქოტუას? — რა გზით გარდაიქმნება ჩვენში „მთავარი როლები“ „utilite“-დ? — რად უნდა გარდაიქმნეს მაშინ საშუალო როლები?

გახმაურებული და მნიშვნელოვანი პროცესების კვირაა. სამხედრო სასამართლოებს ჯერ არ დაუმთავრებიათ ქ. სიღნაღში გლეხთა მღელვარებით გამოწვეული საქმე და თბილისის სამოქალაქო სასამართლო შეუდგა თავადების მღელვარებით გამოწვეული არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმის განხილვას. მართალია, მიზეზები ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ ორივე საქმე თანაბრად აინტერესებდა და აინტერესებს ადგილობრივ საზოგადოებას. უფრო მეტიც, ორივე საქმე ღირსია იმ ყურადღებისა, რასაც ხალხი მათდამი იჩენს მთელი ამ ხნის განმავლობაში... მაგრამ ამ საქმეებზე პრესაში ლაპარაკი, ისიც ადგილობრივ პრესაში, და თანაც გულახდილად, ჯერ კიდევ ძალზე ადრეა... უნდა „ვაცალოთ საქმის გამორკვევას“, საჭირო არაა „წინასწარ განვმარტოთ მოვლენები“... რა გაეწყობა, ჩვენ შეგვიძლია დაველოდოთ... ეს ხომ სამოქალაქო პროცესი არაა, რომ საერობო ან პოლიციური ხანდაზმულობის გამო კრიტიკასა და ისტორიას უფლება წაართვას, ანდა შეარბილოს პრესის მომავალი განაჩენის ძალა, „განაჩენებს განაჩენებზე“...

და რადგან გვერდზე გადავდეთ საქმის არსებითი მხარე, შევუდგეთ მეორეხარისხოვანი საქმეების განხილვას. მივბაძოთ ჩვენც იმ მგრძნობიარე ქალბატონების მაგალითს, რომლებიც ამჟამად ყველაზე მეტად სახელგანთქმული დამცველის ვ. დ. სპასოვიჩის ფიზიონომია აინტერესებთ და არა ბრალდებულთა პიროვნება.

ჩვენი დღეების გმირი ნამდვილად იმსახურებს საყოველთაო ყუ-

რადღებას. ცხადია, მაყურებელთა ხარბი მზერა და მაყურებელი ქალების ვნებიანი გამოხედვა, რაც ერთი საათის შემდეგ პალატაში ვ. დ. სპასოვიჩისაკენ იქნება მიმართული, უკეთეს ობიექტს ვერ აირჩევდა. ჩვენი სასამართლო რეფორმის მიერ დაწინაურებული ვექილების ბრბოში მხოლოდ იგი აღმოჩნდა ღირსი მაღალი კვარცხლბეკისა, რომელზე ასვლასაც ცდილობდნენ ასობით და ათასობით მეტად თუ ნაკლებად ნიჭიერი და მომზადებული ადამიანები. მაგრამ ათასთა შორის იგი ერთია... თქვენ გგონიათ ამით ცოტაა ნათქვამი? ჭკუით, ნიჭით, თავდაჭერილობითა და ხასიათით იგი იყო და არის რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო ვექილი. ორმოცი მილიონი ადამიანით დასახლებულ ქვეყანაში თორმეტი წლის მანძილზე რომ ასეთ სიმაღლეზე იდგე, ნება თქვენია, მაგრამ ამისთვის დიდი ძალა და მონაცემებია საჭირო... ამ ბოლო დროს მხოლოდ ბატ. ალექსანდროვი უწევს მას სერიოზულ მეტოქეობას...

რუს ვექილთა შორის მხოლოდ ბატ. სპასევიჩმა გაიგო შედარებით ღირსეულად ადვოკატურის მაღალი დანიშნულება. მაშინ, როცა ბატ. პლევაკოებმა, პოტეხინებმა და tuti quanti -მ ადვოკატურის დანიშნულება გაიგეს, როგორც იმ უბედურ ადამიანთა გამოსათაყვანებელი და ძარცვის საშუალება, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ საქმე აქვთ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან, ბატ. სპასევიჩს არ დავიწყებია, რომ მარტო ფული არაა პური ჩვენი არსობისა... თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც მიხვდა იგი, და მარტო იგი, რომ ქვეყანაში, სადაც არც ბეჭდვის თავისუფლებაა და არც საერობოს საქმეებს იხილავენ სახალხოდ, ახალი, ღია სასამართლო ვექილს მოვალედ ხდის იტვირთოს სახალხო-საზოგადო მოღვაწის ყველა როლი... მე არ ვამბობ, რომ იგი ყოველთვის ერთგული იყო ამ როლების, ყოველთვის განუხრელად ასრულებდა მათ. ო, არა. მაგრამ მას ყველაზე მეტად ახსოვდა მათი არსებობა...

უნივერსიტეტში მე მისი მოწაფე ვიყავი. იმ შესანიშნავ დროს, როცა მამა-პაპეულ სარდაფებში აღზრდილნი პირველად „ვიხუთებოდით“ სუფთა ჰაერით, მას უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა ახალგაზრდა პროფესორების პლეადაში, რომელმაც ჩვენ ახალი ჰორიზონტები დაგვანახა და, ამავე დროს, კალთაზე გვექაჩებოდა, რათა მეტისმეტად წინ არ გავარდნილიყავით... უცნაური ბედი ეწია ამ შესანიშნავ პლეადას, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში პოპულარობის უმაღლეს მწვერვალზე იდგა და უეცრად პედესტალიდან ჩამოაგდეს. ბატ. კოსტომაროვი, სტასიულევიჩი, პავლოვი, სპასოვიჩი და სხვები დიდ ხანს არ დამტკბარან თაფლობის თვით. რატომ დაეცა ყველა? იქნებ იმიტომ, რომ იმედი ჩაუსახეს ახალგაზრ-

დებს და აღარ ისურვეს ამ იმედების გამართლება, ან იქნებ იმიტომ, რომ სხვა ეპოქის შვილები იყვნენ და არ შეეძლოთ ამგვარი იმედების გამართლება, რადგან მათ იდეებს, მისწრაფებებსა და ხასიათს მთლიანობა არ გააჩნდა?

პირველი დარტყმა ბატ. სპასოვიჩის პოპულარობას ჩვენმა სტუდენტობამ მაშინ მიაყენა, როცა 1861 წელს ეს ლიბერალი პროფესორი პრესაში გამოვიდა თეორიით, რომლითაც ამტკიცებდა, რომ რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღება ჯერ ადრეაო. ღმერთო ჩემო, რა ხმაური ატყდა მაშინ ჩვენს შორის! თქვენ არ იცით, რა აბსოლუტური, რა შეუწყნარებელია ადამიანი ჩვიდმეტი წლის ასაკში. არაფერს არ უწევს ანგარიშს, არავითარ მოსაზრებებს არ ღებულობს მხედველობაში... ურთულესი საკითხების გადაწყვეტა 5 წუთში, ერთი ფრაზით ხდება. ჩვენ იმ წამსვე, და არა თუ „წინასწარი შეთანხმების", არამედ „წინასწარ მოფიქრებული განზრახვის" გარეშე, ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ „სპასოვიჩი ჩამორჩა". იმ დროს ეს მკაცრი სიტყვა იყო და ჩვენ წესი ავუგეთ ჯერ კიდევ გუშინ საყვარელ ადამიანს და არ დავფიქრებულვართ, როგორ მოხდა, რომ ერთი ღამის განმავლობაში ადამიანი „ჩამორჩა".

სინამდვილეში ჩვენ მაინც მართალი ვიყავით, თუმცა არ გვესმოდა რატომ... უკვე 12 წელია, რაც რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს. ცხადია, შეცდომებიც იყო დაშვებული, მაგრამ რას ნიშნავს „საზოგადოებრივი სინდისის სასამართლოს" ორისამი შეცდომა უწინდელი სასამართლოს ათასობით შეცდომასთან შედარებით? და აი, ახლა, როცა ვიგონებთ ვ. დ. სპასოვიჩის მაშინდელ თვალსაზრისს, თითქოს ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ნაადრევია, ჩვენ ყველას გვაკვირვებს რამ აიძულა იგი 1861 წელს განემტკიცებინა თავისი მეცნიერული ავტორიტეტით მაშინდელი რეტროგრადების აზრი... ახალგაზრდებს ინსტინქტმა უკარნახა მაშინ, რომ ბატ. სპასოვიჩი მართალი არაა, სცდება. ამიტომ გულში ჩვენ იგი მკაცრად დავსაჯეთ. ჩვენ „მხედველობაში უნდა მიგვეღო ის გარემოება", რომ ორმოციანი წლების ადამიანს, რომელმაც განიზრახა ცხოვრებაში განეხორციელებინა თავისი იდეები და თეორიები, მისდაუნებურად და ფატალურად უკან უნდა დაეხია...

მას შემდეგ მე იშვიათად ვხვდებოდი ბატ. სპასოვიჩს, ვისმენდი მის ბრწყინვალე ლექციებს „თავისუფალ მსმენელთა უნივერსიტეტში", რომელიც ქალაქის საბჭოს შენობაში მოვაწყვეთ. 1864 წელს დავესწარი მის კიდევ უფრო ბრწყინვალე სადოქტორო დისპუტს, მაგრამ უცნაური ამბავი მოხდა; მას შემდეგ ორმოციანი

წლების დიალექტიკოსი ჩემს თვალში ყოველთვის ჩრდილავდა სამოციანი წლების ტრიბუნს...

ბატ. სპასოვიჩმა, 1866 წელს, პროფესურა მიატოვა და როგორც კი ახალი სასამართლოები გაიხსნა, „ნაფიცი ვექილი“ გახდა. მე ყურადღებით წავიკითხე მისი შესანიშნავი სიტყვების დიდი ნაწილი, რომლებიც შემდეგ შეკრიბეს და ერთ დიდ ტომად გამოსცეს („მრავალი წლის განმავლობაში“, 1872). წაიკითხეთ ეს სიტყვები და გაგაკვირვებთ ორატორის ძლიერი გონება, მისი ოსტატური და მოქნილი დიალექტიკა, მისი ნაკითხობა, განათლება, ერთი სიტყვით, ყველაფერი. თქვენ დაინახავთ, რომ ეს კაცი არც კანონების პედანტურად დამცველია, არც იმის მომხრე, რომ „დაიცვას, რადაც არ უნდა დაუჯდეს“, და არც სოფისტი. იგი ჭკვიანი, საქმიანი, აზრიანი ორატორია და ესმის ორატორობის მაღალი დანიშნულება... მაგრამ ორატორის ფრთებს თქვენ მას ვერ შეამჩნევთ. მას ესმის ორატორობის დანიშნულება, მაგრამ გარემო ზღუდავს და არ ყოფნის ძალა გაშალოს ძლიერი ფრთები, ავიდეს თავისი იდეების სიმაღლეზე, რათა აიძულოს უბადრუკი გარემო — დაემორჩილოს გენიის ძალას... ორმოციანი წლების ადამიანთა ბედი მასაც ტვირთად აწევს. რაც უფრო მაღალია მათი იდეალები, რაც უფრო აბსოლუტურია მათი თეორიები, მით უფრო ცდილობენ ისინი წავიდნენ დათმობაზე, რაც ატავის სჭირდება და რასაც არავინ მოითხოვს მათგან, და ამით მოიპოვონ უფლება იქონიონ სულის სიღრმეში ორიგინალური აზრები. ბრალი მათთვის არავის დაუდვია, მაგრამ ისინი თვითონ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გრძნობენ თავს დამნაშავედ იმაში, რომ სულ სხვაგვარად ფიქრობენ და ოცნებობენ, ვიდრე სხვა მოკვდავნი. მათი აზრით, საჭიროა „დანაშაული“ გამოისყიდონ, ხოლო გამოსყიდვა ნიშნავს „მამა-პაპათა წესის მიხედვით“ ცხოვრებასა და მოქმედებას...

ჩემი აზრი რომ უკეთ განვმარტო, მინდა წარმოვიდგინო ადამიანი, რომელსაც ბატ. სპასოვიჩის ძალა, ცოდნა და გონება აქვს და ცხოვრობს რომელიმე სხვა ეპოქაში ან სხვა ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში, ჩვენს ეპოქაშიც კი, იგი არც ისე შორს იქნებოდა გამბეტასაგან: ბატ. სპასოვიჩი დაიწყებდა სასამართლოში საქმეების დაცვას, ან რატომ არ უნდა დაეწყო? მაგრამ იცით როგორ საქმეებს მოჰკიდებდა ხელს? ვერავითარი მილიონები ვერ აიძულებდა მას დაეცვა... თუნდაც ბატ. კრონენბერგი, რომელსაც ბრალად ედებოდა ქალიშვილის მიმართ სასტიკი მოპყრობა და ბატ. სპასოვიჩმა იხსნა იგი. ალბათ, არც თავ. ჩქოტუას დაიცავდა. ჩვენი დროის საფრანგეთში მას ძალზე კარგად ეცოდინებოდა, რომ მისი ტალანტით, გონებით, ოცნებებით და მდგომარეობით დაჯილდოებულმა ვექილმა

მხოლოდ ისეთი საქმეების დაცვას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომელიც საზოგადო ინტერესებს ემსახურება... საქმეებს, რომლებიც ვექილს კი არ ასაზრდოებს, არამედ ორატორსა და ტრიბუნს. გამბეტას რომ თავისი ტალანტი ქურდობაში დაჭერილი ყველა მდიდრებისა და ყველა შერცხვენილი დიდი კაცების დასაცავად გამოეყენებინა, მილიონებს შეიძენდა. მაგრამ მას ესმის, რომ ეს არაა საზოგადო მოღვაწის საქმე, ამისათვის მამა და შვილი ლაშოები არსებობენ... იგი დაიცავს მუშას, რომელსაც უკანონო გაფიცვაში დებენ ბრალს, ანდა ჟურნალისტს, რომელიც იმიტომ დასვეს საბრალდებულო სკამზე, რომ პრესის კანონები დაარღვია. მათი დაცვა გამბეტას არაფერს მისცემს, მაგრამ საზოგადოების განვითარების საქმეს დიდ სამსახურს გაუწევს და მისთვის ეს საკმარისია. მართალია, იგი ღარიბია, იღებს დღიურ სამუშაოს ჟურნალებიდან, პალატაში „République française"-ს რედაქციაში მთელი წლის მანძილზე მუშაობისათვის თითქმის იმდენსაევე ღებულობს, რამდენსაც ჩვენში ერთი თვის მანძილზე ღებულობენ ბატ. რეიტერი ან დანილოვი... მაგრამ თქვენ ვის მდგომარეობას არჩევდით მკითხველო?!..

ბატ. სპასოვიჩი რომ სხვა ეპოქის ადამიანი იყოს, იგი არ გამოვიდოდა თბილისში ბატ. ჩქოტუას დასაცავად, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვექილს არ ეკადრება მისი საქმის დაცვა, არა. მე სულ სხვას ვამბობ: ბატ. სპასოვიჩის ჭკუითა და ნიჭით დაჯილდოებული ვექილი, რომელიც ემზადება გამოვიდეს თბილისის პალატაში 1878 წლის ნოემბრის ბოლოს, ასეთ სიტყვას წარმოთქვამდა საკუთარი თავის წინაშე:

— ერთი კვირის წინათ სიღნაღში გაასამართლეს 20 გლეხი, გაასამართლა სამხედრო სასამართლომ, ომის დროის კანონების მიხედვით. მათ ბრალად დასდო „კანონით დამყარებული ხელისუფლების განკარგულებებისადმი წინააღმდეგობა" და „ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა სასტიკი ცემა". ამგვარად, ამ ოცი კაცის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მათ სასიკვდილო განაჩენი ემუქრებოდა. რა თქმა უნდა, ოცი კაცის სიცოცხლეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, არ იმსახურებს იმას,რომ სერიოზული და საქმიანი ორატორი, რომელიც ბატ. სპასოვიჩის მდგომარეობით და ავტორიტეტით სარგებლობს, ამისთვის პეტერბურგიდან სიღნაღში ჩამოვიდეს. მაგრამ სიღნაღელი გლეხების პროცესის დროს შეეხენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს. გლეხების ეკონომიური მდგომარეობა აქ მთელი სიშიშვლით გამოვლინდა... გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა გამოაშკარავდა მთელი სიმძაფრით... სოფლის ხგლისუფალთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება გამოჩნდა

ცხადად... აქ შეიძლებოდა დროულად დასმულიყო ხალხის ცხოვრების ყველა საკითხი. ჩვენში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პროცესი, რომელსაც უფრო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონოდა და უფრო ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა სერიოზული ორატორისათვის, ვიდრე სიღნაღის პროცესია... და მე., ერთადერთი ან თითქმის ერთადერთი ვექილი რუს ვექილებს შორის, რომელსაც მესმის ორატორის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება, არ ჩამოვედი სიღნაღში, არ მოვკიდე ხელი გლეხების საქმეს, არ ვისარგებლე შემთხვევით, ახლა კი მინდა... რა?

დავიცვა ბატ. ჩქოტუა, რომელსაც ბრალად ედება უბედური ქალიშვილის ანდრეევსკაიას მკვლელობა. რა უნდა მოვუხერხო ამ საქმეს? რა საზოგადოებრივი საკითხები გამომდინარეობს ამ საქმიდან ანდა წყდება მით? როგორი წესებისა და უწესობის გამომჟღავნება შემიძლია მე, თუ ამ საქმეს დავეყრდნობი? ხოლო თუ ამ საქმეს გაეჩნია საზოგადო მხარეები — ეს მხარეები პროკურორისათვისაა ხელსაყრელი და არა დამცველისათვის... რატომ ვკიდებ ხელს ამ საქმეს? რატომ ვახურდავებ ჩემს ტალანტს და ორატორისა და ტრიბუნის როლს, რატომ ვუწევ კონკურენციას იმ უბადრუკ ვექილებს, რომელთაც ხელს აძლევს მდიდარი დამნაშავეების დაცვა, რადგან რამდენიმე ასეულ სოფისტურ სიტყვაში რამდენიმე ათას მანეთს იღებენ?...

დიდია ორატორული ხელოვნების ძალა და დიდია ორატორისა და ტრიბუნის დანიშნულება იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ფართოდ ვითარდება. მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ ცხოვრების ერთადერთი სიკეთე, რომელიც ყველაზე დამოუკიდებლად ეღობება წინ კაპიტალის ძალას, ჩვენში სწორედ მას ემსახურება... ამდენ ხანს ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა, დაწყებული თანამდებობიდან სილამაზითა და უმანკოებით გათავებული, ყველაფრის, გარდა ტალანტისა. მხოლოდ ტალანტს ეჭირა ამაყად დამოუკიდებლობის დროშა ოქროს კერპის თვალწინ, რომლის წინაშე ბრმად იხრიდა ქედს ყველა სხვა ძალა. ნუთუ წილად გვხვდა ვიხილოთ, როგორ მიატოვებს ტალანტი თავის პავილიონს, რათა გაამრავლოს ვაალის მსახურთა რიცხვი? განა ცოტა იტანჯება ჩვენს ციხეებში ისეთი ადამიანი, რომელიც დახმარებისა და თანაგრძნობის ღირსი არის და, ამავე დროს, მოკლებულია ყოველგვარ თანაგრძნობას და არავისგან არ ელის დახმარებას? რატომ ხდება, რომ ჩვენი ორატორები და ტრიბუნები ასეთი ხალხის დაცვას უცნობ და უძლურ ადამიანებს, — ბატ. ტატიევებსა და გამრეკელებს უთმობენ, ხოლო ისეთი ადამიანების დაცვას, როგორიც კრონენბერგი და ჩქოტუაა თვი-

თონ ჰკიდებენ ხელს? რატომ გვეზარება მგზავრობა და რატომ ვართ სიტყვაძუნწი, როცა საქმე ეხება ათეული ადამიანების სიცოცხლის დაცვას და უამრავი საზოგადოებრივი საკითხების გამორკვევას, და ასე გულუხვნი—როცა გვთხოვენ ჩვეულებრივი მკვლელი დავიცვათ?

მე არ ვფიქრობ, რომ ბატ. სპასოვიჩი მარტო ფულის გამო აკეთებს ამას. მართლაცდა, რა უნდა მისცეს მას ბატ. ჩქოტუამ? ცნობილია, რომ დამნაშავე თავ. შარვაშიძის მოურავი იყო. ცხადია, მას რომ საკუთარი თავის დასაცავად ათი ათასობით მანეთის გაღება შეეძლოს, მოურავად კი არ დადგებოდა, არამედ დამოუკიდებელ საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ასე რომ, ბატ. სპასოვიჩმა ბატ. ჩქოტუას საქმეს ფულის გამო არ მოჰკიდა ხელი... მე ვუშვებ, რომ ბატ. სპასოვიჩი მას უანგაროდ იცავს, მაგრამ მაინც ვეკითხები, რატომ ვლინდება მისი უანგარობა სწორედ მაშინ, როცა ბატ. ჩქოტუაა დასაცავი და არა მაშინ, როცა საჭიროა თუნდაც ათიოდე გლეხის სიცოცხლის გადარჩენა, რომელთა სრული უდანაშაულობა იმით დამტკიცდა, რომ ეს გლეხები სამხედრო სასამართლომაც კი გაამართლა. აი, საინტერესო საკითხი...

მე, ცხადია, ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ ბატ. ჩქოტუას გამო, რომელიც მოურავი იყო და ამიტომ არ შეიძლება მდიდარი ყოფილიყო, ბატ. სპასოვიჩი ვინმემ ოქროში ჩასვას. ჩვენს დროში ისეთი უანგარო კეთილისმყოფელები, რომლებიც ადამიანს გაჭირვებაში ეხმარებიან, არსად ჩანან... მაშინ რით უნდა ავხსნათ ამგვარი უცნაურობა?

არაფრით, მკითხველო. ყოველივე ამის ასახსნელად საკმარისია ერთი ფრაზა: „ორმოციანი წლების ადამიანებს არ გააჩნიათ მთლიანობა და აკლიათ სიმტკიცე“.

მათ დედის რძესთან ერთად შეითვისეს მანკიერი ჩვევა — დაუთმონ გარკვეულ წრეებს, სულერთია, საჭიროა ეს თუ არა, სასარგებლოა თუ უსარგებლო. მათ გონიათ, რომ, ამ დათმობის გარეშე, „გარემო მათ გასრესს, შთანთქავს“. დათმობებმა ისინი მიაჩვია გულგრილად მიუდგნენ ყოველ საქმეს. თავიანთი მაღალი დანიშნულება თანდათან ავიწყდებათ. ერთხელ დამცველად მეგობრის თხოვნით გამოხვალ, რათა არ აწყენინო, მეორეჯერ — ფულისათვის, რათა ბედზე არ იყო დამოკიდებული, მესამეჯერ — გავლენიანი პირის რეკომენდაციით, რათა მტრები არ შეიძინო და ასე უსასრულოდ! აი, როგორ ეცლებათ თანდათან ფეხქვეშ საზოგადოებრივი ნიადაგი და

როგორ დადიან თანდათან ნაფიც და ბანალურ დამცველებამდე ის ადამიანები, რომელთაც ყველა მონაცემი ჰქონდათ იმისათვის, რომ თავიანთი დროისა და საზოგადოების წინამძღოლები ყოფილიყვნენ...

აბა დაფიქრდით, თუ ასე წვრილად ხურდავდება რუსეთის საუკეთესო ძალები, რა გამოყენება უნდა ჰპოვონ ჩვეულებრივმა, საშუალო ძალებმა?

85. ფოთისა და ბათუმის შედარებითი მნიშვნელობა

თბილისი, 26 ნოემბერი

სატახტო ქალაქის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ბათუმი არ აკმაყოფილებს დიდი ნავსადგურის მოთხოვნილებებს და ამიტომ ნავარაუდევია გაძლიერდეს ფოთის ნავსადგურის სამშენებლო სამუშაოები.

რადგან ამ ცნობას ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მე საჭიროდ ვთვლი კიდევ ერთხელ განვმარტო ბათუმისა და ფოთის მნიშვნელობა.

სიძნელეებმა, რაც ჩვენმა ჯარებმა ბათუმისაკენ მოძრაობის დროს განიცადეს, ამ ქალაქის თურქებისაგან გაწმენდის ხანგრძლივობამ ბერლინის ტრაქტატის [20] შემდეგ და, ბოლოს, იმ მნიშვნელობამ, რაც ამ ქალაქს ბერლინის კონგრესზე მიანიჭეს — ბათუმი საყოველთაოდ ცნობილი გახადა რუსეთში. ესაა იმის მიზეზი, რომ ახლა მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და ზრუნავს ამ ქალაქისათვის, რადგან, ბოლოს და ბოლოს, იგი რუსეთს დარჩა და საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალ ნავსადგურადაა გამოცხადებული, რაც ნიადაგს ჰქმნის ბევრი ადმინისტრაციული ცდების, პროექტების, ვარაუდებისა და მოსაზრებების განსახორციელებლად. ყველაფერი ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ მედალის უკანა მხარესაც უნდა შევხედოთ: ბათუმი, როგორც არ უნდა აზვიადებდნენ მის მნიშვნელობას, მაინც რჩება შავი ზღვის სანაპირო ზოლის ერთ-ერთ ჩვეულებრივ პუნქტად, რომლის მეშვეობითაც უნდა წარმოებდეს რუსეთის ვაჭრობა, და როგორც არ უნდა განვითარდეს ეს ქალაქი, სახელმწიფო ადამიანების თვალში ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ 80 მილიონიანი რუსეთის მოსახლეობას ვერ დააკმაყოფილებს მხოლოდ ბათუმის მეშვეობით ვაჭრობა. თურქეთის საზღვართან მდებარე რუსეთის ცენტრიდან ყველაზე მეტად დაცილებული პუნქტის (მცირე აზიის მხარეს) მეშვეობით ვაჭრობა ვერ გაამდიდრებს რუსეთის მოსახლეობას, რომელიც ახლომახლო არ ცხოვრობს და ბათუმის ირგვლივ

მდებარე ტერიტორიის ექსპლოატაციის დროს წააწყდება უცხოეთის სავაჭრო დაწესებულებების, კაპიტალისტებისა და მეწარმეების კონკურენციას. ეს მეწარმეები ქვეყნის ექსპლოატაციის დროს პორტოფრანკოს წყალობით თავიანთი ოპერაციებისათვის მყარ ნიადაგს იპოვიან აუცილებელი კრედიტებისა და ევროპული ტექნიკის დახმარებით. ყველაფერი ეს რუსებისათვის, ალბათ, არ იქნება ხელმისაწვდომი, რადგან ბათუმში ჩამოსულთ არც სავაჭრო კავშირი ექნებათ ვინმესთან, არც კრედიტი, არც კაპიტალი და იძულებული შეიქმნებიან ყველაფერი უცხოელებს სთხოვონ.

ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ, ვაჭრობის თვალსაზრისით, ბათუმის განვითარება, მის დიდ სავაჭრო ქალაქად გადაქცევა, ყველაზე ნაკლებ რუსეთისათვისაა ხელსაყრელი. ისინი უცხოელებს ვერც ამ მხარის ექსპლოატაციაში გაუწევენ წინააღმდეგობას და ვერც რუსეთის საქონლის შეზიდვის ინტენსიურობით, რადგან უცხოელები უმოწყალოდ შემოზიდავენ საქონელს. ასე რომ, რასაც რუსეთი ბათუმის ხელოვნურად განვითარებისათვის გააკეთებს—ყველაფერი ეს უცხოელებისათვის იქნება გაკეთებული, ე. ი. უცხოეთის ვაჭრობისათვის და არა რუსეთისა და რუსებისათვის.

რუსეთისათვის ბათუმს უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სავაჭრო. ამ ქალაქის შემოერთება თურქეთს ხელიდან აცლის სასაზღვრო სიმაგრეს და საზღვაო ნავსადგურს, სადაც სამხედრო ფლოტი მტკიცე საყრდენს პოულობდა, როგორც ჩვენი სანაპირო ზოლის გაჩანაგების დროს, ასევე კრიზისებისა და ამიერკავკასიის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმის შემთხვევაშიც. 1000 ვერსის მანძილზე, ანატოლიის ნაპირის გაყოლებით, კონსტანტინოპოლამდე არაფერი არ მოიძებნება ბათუმის მსგავსი, და არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ საზღვაო თვალსაზრისითაც. თურქეთმა რომ კვლავ დაიბრუნოს სტრატეგიული უპირატესობა რუსეთის მიმართ, მან სადმე ახლოს ხელოვნური ნავსადგური უნდა ააშენოს. ადგილობრივი პირობების გამო კი ეს ამოცანა ძნელი შესასრულებელია და თურქეთს ამის ძალა არ შესწევს. ასეთი ვნება მიაყენა თურქეთს ბათუმის დაკარგვამ.

ამ შენაძენით რუსეთმა ისეთი სარგებელი ნახა, რაც მხოლოდ თურქეთის დანაკარგით არ ამოიწურება. რადგან ვფლობთ ყარსს, ოლთასა და ბათუმს, ჩვენ გვაქვს სამხედრო თვალსაზრისით ძალზე უზრუნველყოფილი საზღვარი და ამიერკავკასიის საზღვრების დასაცავად არ გვჭირდება თურქეთის პროვინციებში შეჭრა, რაც საზღვრის ადრინდელი მოხაზულობის დროს ყოველთვის იმის საფრთხეს ქმნიდა, რომ თურქები საზღვრის ერთ-ერთი კუთხიდან, არდაგანის

ვხრიდან, თბილისს დაესხმიან თავს. ახლა ჩვენ შესაძლებლობა ვვაქვს შევუტიოთ სოღანლუღისა და ჭოროხის მიმართულებით, და თუ ჯარი ევროპის საზღვრებზე დაგვჭირდა, ვინარჩუნებთ იმ უპირატესობას, რომ თურქეთთან ომის შემთხვევაში შეგვიძლია თავდაცვაზე გადასვლა. ბათუმი ჩვენი საუკეთესო საყრდენი პუნქტია შავ ზღვაზე, სამხედრო კრეისერების ნავსადგური, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისარგებლოთ შავი ზღვით იმდენად მაინც, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვენი მარჯვენა ფლანგის, თურქეთის საზღვარზე სტრატეგიული თავდაცვის ხაზის გასამაგრებლად.

ჩვენ არ შევეხებით იმ მიზეზებსა და მოტივებს, რამაც ბათუმის საბაჟო გადასახადებიდან თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება გამოიწვია, მაგრამ რომელიმე პუნქტის კომერციულ ან თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება ვაჭრობას ვერ შექმნის, თუ ირგვლივ მდებარე ტერიტორია საკმარის საქონელს არ იძლევა. საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებამ ოდესა მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქად გადააქცია, მაგრამ ეს მოხდა იმიტომ, რომ ოდესა იყო ცენტრალური და ერთადერთი ნავსადგური (ნიკოლაევი, ხერსონი და სევასტოპოლი დახურული იყო რუსული პურის გასაღებისათვის ბესარაბიის, პოდოლსკის, კიევის, ხერსონის და თავრიდის შავმიწიანი გუბერნიებიდან). ამ გუბერნიების ყველა მემამულე ხორბალში აღებული ფულით ყიდულობდა უბაჟო საქონელს და, მიუხედავად იმისა, რომ ოდესის ირგვლივ საბაჟო კორდონი არსებობდა, მათი მეშვეობით ქალაქი უცხოური საქონლის კოლოსალურ ბრუნვას აწარმოებდა. ამიტომ გამდიდრდა ოდესა სწრაფად. მაგრამ ბათუმის ეკონომიური მდგომარეობა ასეთი არაა. ამ ნავსადგურიდან ოცდაათი ვერსის დაშორებით სამხრეთისაკენ თურქეთის საზღვარი გადის. ყარსის ნაყოფიერი ზეგანისაგან, რომელიც ამიერკავკასიის ბეღელი უნდა იყოს, ბათუმს ჰყოფს მრავალრიცხოვანი მაღალი კლდოვანი ქედები და მათ შორის არ არსებობს არავითარი გზა. ბათუმიდან 60 ვერსის დაშორებით ჩრდილოეთისაკენ მიედინება მდინარე რიონი და მდებარეობს რიონის ხეობა, რომელიც ჯერ დაუმუშავებელია და შესაძლებლობა არა აქვს გაიტანოს საქონელი უახლოესი ნავსადგურიდან — ფოთიდან. ესაა ნახევრად ველური მხარე, რომლის მოთხოვნილება ძალზე მცირეა, ხოლო მწარმოებლობა — სრულიად უმნიშვნელო. ასე რომ, ადგილზე, ბათუმის ირგვლივ, არ არსებობს ისეთი ელემენტები, რომელთა ჯამი გამოიწვევდა დიდ სავაჭრო ბრუნვას და ამიტომ ასეთი რამ ხელოვნურად უნდა შეიქმნას. მაგრამ ამის მისაღწევად რუსეთმა დიდი მსხვერპლი უნდა გაიღოს უცხო ქვეყნების ვაჭრობის სასარგებლოდ და დაუშვას კონტრაბან-

დის შემოტანა ამიერკავკასიაში, რაც გამოიწვევს იაფი, საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი საქონლის მოძალებას სპარსეთისა და შუა აზიის ბაზრებზე, სადაც რუსეთის ვაჭრობისათვის ადგილი აღარ დარჩება. რუსეთმა, ამ მიზნით, სამტრედიიდან ბათუმამდე ძვირად ღირებული რკინიგზა უნდა გაიყვანოს და ამის შედეგად შეწყვიტოს საქონლის გადატანა ფოთში, რაც ამ ნავსადგურის გაუქმებას გამოიწვევს. შემდეგ საჭირო იქნება გზის გაყვანა ბათუმიდან ყარსამდე, ართვინის გავლით, რის გამოც ამიერკავკასიას ასცდება პურის პროდუქტების გადასაზიდი გზა, ხოლო კავკასიის არმიამ ძველებურად უნდა დაამზადოს საინტენდანტო მარაგი დონის-როსტოვში და ასტრახანში, საიდანაც ყოველი ფუთის გადმოზიდვა მანეთი და ზოგჯერ მეტიც უჯდება. ეს უსარგებლო მრავალმილიონიანი ხარჯი მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. ეჭვი არაა, რომ ამ ორი გზის გაყვანით ბათუმამდე შეიძლება შევქმნათ სავაჭრო მოძრაობა, მაგრამ ეს ვნებას მოუტანს, როგორც ამიერკავკასიის ინტერესებს, ასევე სახელმწიფო ხაზინის ინტერესებსაც. უნდა გადავიხადოთ და დავფაროთ სესხი რკინიგზის უზრუნველსაყოფად; ყოველწლიურად რამდენჯერმე მეტი თანხა უნდა გამოვყოთ საინტენდანტო იჯარებისათვის 200.000-იანი კავკასიის არმიის მოსამარაგებლად და სამაგიეროდ მივიღოთ სავაჭრო მოძრაობა, რომელშიც რუსები კი არ მიიღებენ მონაწილეობას, არამედ რუსეთის მეტოქე უცხოელები — არა მგონია ეს შეესაბამებოდეს ეკონომიურ და სახელმწიფო სარგებლიანობის ინტერესებს. მოხერხებული და იაფი გზის მშენებლობა პურის მარაგის შესამცირებლად ამიერკავკასიაში, სადაც ისედაც ძვირია უპირველესი მოთხოვნილების საქონელი, და სპარსეთისა და შუა აზიის ბაზრებზე ისედაც იაფი უცხო საქონლის გაიაფება, ხელს არ უნდა უწყობდეს რუსეთის მანუფაქტურული მრეწველობის აყვავება-განვითარებას და სახელმწიფო ხაზინის რესურსების ზრდას, რომლის შემოსავლის ძირითადი წყარო გადასახადის გადამხდელთა ფენაა, და თუ ქარხნების შემოსავალი შემცირდა, ამით ხაზინა დაკარგავს გადასახადის აკრეფის მთავარ წყაროს.

ასეთია ფაქტები, რომლებიც უნებურად წამოიჭრება ყოველი სახელმწიფო მოღვაწის წინაშე, როცა იგი დაიწყებს ბათუმში ვაჭრობის ხელოვნურად გაცხოველების საკითხებზე ფიქრს. მაგრამ უხერხულობა იმდენად რელიეფურია, რომ უნებურად დგება საკითხი: რომელი პრინციპის ან მოტივის გამო უნდა მოშალოს რუსეთმა საკუთარი კეთილდღეობა?

ამ კითხვაზე ყველა ერთსა და იმავე პასუხს იძლევა: მთელს აღმოსავლეთ სანაპიროზე ბათუმი ერთადერთი ბუნებრივი, შესანიშნავი ნავსადგურია და, ამავე დროს, სავსებით მზადაა ვაჭრობის საწარმოებლად, ხოლო ყველა სხვა ადგილას, როგორც ფოთში, მილიონები უნდა გადავყაროთ ზღვაში და ამაოდ ვებრძოლოთ ბუნებას.

მაგრამ, საბედნიეროდ, ამგვარი პასუხი თავიდან ბოლომდე მცდარია, რასაც შემდეგ სტატიაში განვიხილავთ.

86. ადგილობრივი მიმოხილვა

გაზეთმა „დროებამ“[82] ყური მოჰკრა, რომ რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა გადასწყვიტა გამოსცეს თბილისში ქართული ჟურნალი. გაზეთი მომავალი ჟურნალის სახელწოდებასაც კი ასახელებს — ჟურნალს ერქმევა „იმედი“ [101]. ხმები სასიხარულოა, მაგრამ ქართული გაზეთის რედაქტორის დამოკიდებულება ამ ჟურნალისადმი ძალზე სამწუხაროა. იმის მაგივრად, რომ სიხარულით შეხვედროდა ახალი ჟურნალის ჩასახვას, ენუგეშებინა „ახალგაზრდა“ წამომწყებლები, როგორც თვითონ რედაქტორი ამბობს, — ბატ. მესხი ზიზღით ეკიდება ამ ამბავს და აცხადებს, ან, უკეთ, საკუთარი ჭკუით, ფანტაზიით და გამოცდილებით მიუთითებს იმ სიძნელეებზე, შეუძლებლობაზე, და ეკლიან გზაზე, რომელიც უნდა გაიაროს ყველა ბედკრულმა ჟურნალმა ჩვენს ბედკრულ ლიტერატურაში. ეს გარდუვალი კანონია, ამბობს ბატ. მესხი, და საბუთად ისტორიული ფაქტები მოჰყავს,—არსებობდა მრავალი ჟურნალი მაგრამ დაიხურა; ჩვენთვის ბედმა მხოლოდ ერთი გაზეთი „დროება“ და ერთი ჟურნალი—მომავალი „ივერია“[63] გაიმეტა, ხოლო სხვა ყველა—ეშმაკეულისაა. „ქართული ჟურნალისტიკის ბურჯების, ჩემსა და ილია ჭავჭავაძის გარდა, ყველამ ხელი მოჰკიდეთ საკითხავი წიგნების შედგენასა და გამოცემას, სახალხო სიმღერების შეკრებას, სიმღერებისა, რომელთაც თბილისის ძველმანის ბაზარზე მღერიან“ და მშობლიური ლიტერატურა გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ. თუმცა, თუ ახალი ჟურნალი დაარსდა, ქართული გაზეთის რედაქტორი მას ისე უყურებს, როგორც ქართული წიგნების რაოდენობის გაზრდის საშუალებას, ქართული წიგნები მეტი იქნებაო, აცხადებს იგი.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა გადავწყვიტოთ ერთი საკითხი: როგორ გამოუმუშავდა ქართული გაზეთის რედაქტორს ასეთი შეხედულება პერიოდულ გამოცემებზე? რატომ არ შეუძლია ჩვენს საზოგადოებას შეინახოს ორი ჟურნალი? ვინ ან რაა იმის მიზეზი, რომ „ივერიას“, „დროებას“, და საერთოდ ქართულ ენაზე დროებით გამომავალ გამოცემებს, უხდებათ საკუთარი, ზოგჯერ არც ისე თხელი ჯიბიდან დაამატონ საჭირო თანხა და სხვანაირად არ შეუძლიათ

არსებობა? ვინ რას წერს ამ გამოცემებში და რატომ შთაუნერგეს ქართულ საზოგადოებას ასეთი ნაღვლიანი დამოკიდებულება მათდამი? სხვანაირად როგორ იმოქმედებს ბატ. მესხი ქართველ ინტელიგენციაზე და შექმნის ქართულ ლიტერატურას, რომელსაც ამას წინათ იცავდა? იცნობთ, ბატ. მესხო, აფრიკის ქვეყანას — ლიბერიას, რომელსაც გააჩნია ჩვენს „ივერიაზე“ და „დროებაზე“ უკეთესი „ივერია“? განა მართლები არ არიან ის „სწავლულები“, რომელთაც გამოიგონეს ბრძოლა ჯიბისათვის და არა „არსებობისათვის“, რაც სინამდვილეში ერთი და იგივეა?

87. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 29 ნოემბერი

როცა სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა, გარდა ინგლისისა, შეიარაღებული მშვიდობიანობით გამოწვეული წინააღმდეგობების გამო თითქოსდა დაივიწყეს აღმოსავლეთის საკითხი, მთელი რუსეთი, მიუხედავად გაღებული მსხვერპლისა და ბრწყინვალე გამარჯვებისა, მაინც განსაკუთრებული დაძაბულობით ადევნებს თვალყურს მის განვითარებას. ახლა აღარავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის ამბავი, რომ აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებულები არიან უშუალოდ რუსეთი და ინგლისი. და რომ ესაა პოლიტიკურად გაბატონების საკითხი. ავსტრია-უნგრეთმა, რომელიც ომის დაწყებამდე აცხადებდა, რომ იგი ყველაზე მეტადაა დაინტერესებული იმით, თუ რა ხდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბერლინის ტრაქტატით[20] უფლება მოიპოვა უშუალო მონაწილეობა მიეღო ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმეებში; მაგრამ მთელმა რიგმა სიძნელეებმა, რომლებმაც ბოლომდე გამოამჟღავნა გრაფ-ფონ-ბეისტის ორჭოფული პოლიტიკური პროექტის უაზრობა, დაამტკიცა, რომ ავსტრია-უნგრეთი ტყუილად ჩაება ორი მოქიშპე სახელმწიფოს გრანდიოზულ ბრძოლაში და თუმცა მან გააფართოვა საკუთარი ტერიტორია ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შემოერთებით, მაგრამ ამით კიდევ უფრო გაართულა შინაგანი განხეთქილება სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ელემენტებს შორის, რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ახლა კი იგი იძულებულია ეძებოს ხსნა გერმანიის შეუთანხმებელი სამსახოვანი სისტემის ინტერესებში, რადგან ყველა ევროპულმა სახელმწიფომ, შინაგანი სიძნელეების გამო, განზე გადასდო ბერლინის ტრაქტატის დადგენილება განხორციელებაზე ზრუნვა და ახლა მოვლენები თავის მხრით ვითარდება, თითქოსდა, როგორც დიპლომატიური, ასევე ბრძოლაში გამარჯვება არავის მოუპოვებია. კრასნიცის მოსახლეობის მთლიანი ამოწყვეტა

არაფრით არ ჩამოუვარდება ბატაკაში მოწყობილ მხეცურ ხოცვა-ჟლეტას, რამაც ძალზე ააღელვა მთელი ევროპა, ინგლისში კი ისეთი დემონსტრაციები გამოიწვია, რომ წვრილფეხა პოლიტიკოსებს ეშინოდათ ლორდ ბიკონსფილდის მთავრობა არ დაცემულიყო. ახლა კი კრასნიცაში ჩადენილი მხეცობა არ აწუხებს ევროპას და არ აღელვებს ინგლისს. ესაა ბერლინის კონგრესზე ლორდ ბიკონსფილდის უსისხლო გამარჯვების შედეგი, რისთვისაც ინგლისელმა ხალხმა მას მეფური შეხვედრა მოუწყო. ინგლისელებს აღარ აწუხებთ ბულგარელების უბედურება. ახლა მათ ამისთვის არ ცალიათ. ინგლისისადმი უპატივცემლობამ, რაც ავღანეთის ემირმა გამოიჩინა, მეტისმეტად შეურაცხყო ინგლისის სიამაყე, ხოლო მოულოდნელი წარმატებებით ავღანისტანში — გაამართლეს ინგლისის კაბინეტის მთელი უკანონო მოქმედება. შირ-ალი, რომელსაც ძლიერი მეზობლის იმედი ჰქონდა, დარწმუნდა ინგლისის სიძლიერეში და იცის, რომ ინგლისი აღკვეთს ინდოეთის იმპერატორის ინტერესებისადმი ყოველგვარ მტრულ განზრახვას. მუსულმანურ სამყაროში ბატონობის ფანტასტიურმა გეგმამ სწორედ იქ იპოვა საყრდენი წერტილი, სადაც, დიპლომატების აზრით, ინგლისის ძლიერებისათვის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. ლორდ ბიკონსფილდის ასეთი დაუჯერებელი წარმატებების შემდეგ, რას უნდა ელოდეს რუსეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოვლენათა შემდგომი განვითარებისაგან? დიდად პატივცემულმა პრემიერმა ბერლინის კონგრესზე გამოთქვა უღრმესი სიძულვილი რუსეთისადმი და არანაკლებ მტკიცე განზრახვა — შეაჩეროს რუსეთის ისტორიული განვითარება. ავღანისტანში მოპოვებული გამარჯვება არ დააკმაყოფილებს მას და მთელ ძალებსა და სახსრებს გამოიყენებს ასე ბედნიერად დაწყებული გეგმის ბოლომდე განსახორციელებლად. ოპოზიციის ვერავითარი ხრიკები ვერ შეაჩერებს სამინისტროს მოღვაწეობის ფაქტიურ ზეიმს და ყოველი ჩვენი სამშვიდობო წინადადება მხოლოდ გააძლიერებს პრეტენზიებს ინგლისისას, რომელიც ახლა იმდენად ძლიერად თვლის თავის თავს, რომ არ ფარავს საკუთარ ზრახვებს.

ამ ზრახვათა ნიმუშად მოვიყვანთ შემდეგ ამონაწერს გაზეთ „გოლოსის“ [27] სტატიიდან:

ლონდონის სერიოზულმა გაზეთმა „Times“-მა, სრულიად მოულოდნელად, მიბაძა სახუმარო „Punch“-ს. ამ დღეებში ინგლისის მთავრობის მიერ ავღანეთის საკითხებზე ინგლის-რუსეთის მიმოწერის გამოქვეყნების გამო „Times“ გვთავაზობს საქმის მოგვარების

ისეთ საშუალებას, როგორიც შეიძლება მოეფიქრებინათ იუმორისტული გაზეთის „Punch"-ის თანამშრომლებს, რადგან უყვართ ბიკონსფილდ-სალისბიურის კონსერვატული სამინისტროს გაღიზიანება; ლონდონის სიტის ორგანო კომიკური სერიოზულობით აცხადებს, რომ დასაწყისი იმ საქმის დამაკმაყოფილებლად მოგვარებისა, რომელიც რუსეთს ინგლისის მოვალედ ხდის, შეიძლება იყოს გენერალ კაუფმანის გაწვევა მის მიერ დაკავებული პოსტიდან!

თუ ასეთია „დასაწყისი", როგორიღა უნდა იყოს „ბოლო?" ალბათ, მოგვთხოვენ, რომ გავგზავნოთ ბანაკში რუსეთის ელჩი და დავავალოთ მას საჯაროდ მოუხადოს ბოდიში ლორდ ლიტონს თურქესტანიდან გამოწვეული გენერალ-გუბერნატორის მოქმედების გამო? თუ მოთხოვნაა, მოთხოვნა იყოს! ცერემონია ზედმეტია, ხოლო ზომიერება, ასეთ შემთხვევაში, სრულიად უადგილოა.

გაზეთ „Times"-ის ამ გამოსვლის იუმორისტული ხასიათი მეტისმეტად ცხადია. იგი დასცინის ბიკონსფილდის სამინისტროს პრეტენზიებს და უნდა დაგვანახოს, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ინგლისის მთავრობა იმის ცდამ, რომ დაარწმუნოს ინგლისელი ხალხი, თითქოს მთელი პასუხისმგებლობა ავღანეთში, ახლახან დაწყებული ომის გამო, რუსეთს ეკისრება! ამ კომიკური გამოსვლის სხვაგვარად ახსნა შეუძლებელია.

ამ ცოტა ხნის წინათ იგივე გაზეთი რუსეთისადმი აშკარა მტრობით გაჟღენთილ სტატიებში პატიოსნად აღიარებდა, რომ რუსეთის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა ბერლინის კონგრესის ეპოქაში დაეძრა ჯარები ავღანისტანის ჩრდილოეთი საზღვრებისაკენ და გაეგზავნა ქაბულში ელჩი. შემდეგ გაზეთი დასძენდა, რომ ინგლისის მთავრობა ვალდებული იქნებოდა ზუსტად ასევე მოქცეულიყო, თუ რუსეთის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მე მგონი, სრულიად უაზრო იქნებოდა, რომ ამგვარი აღიარების შემდეგ ლონდონის სიტის ორგანოს სერიოზულად ეთქვა, რუსეთი ვალდებულია ინგლისის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ჩვენ რომ ვფიქრობდეთ, რომ გაზეთ „Times" -ის საქციელი ნამდვილად სერიოზულია, ჩვენი პასუხი მასზე შემდეგი სტრიქონებით განისაზღვრებოდა:

„გრაფ ბიკონსფილდის გადაყენება და ლორდ ლიტონის გამოწვევა მხოლოდ ნაწილი თუ იქნება იმისა, რაც ინგლისმა უნდა გადა-

უხადოს რუსეთს იმ შეთანხმების დარღვევის გამო, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა“.

თუ ამგვარ მოთხოვნებს სერიოზულად გვიყენებენ, სხვაგვარი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

მაგრამ, ჩვენ არ ვიზიარებთ ამ აზრს და ვფიქრობთ, რომ, გარდა ამ პასუხებისა, შეიძლება ბევრი სხვა და უფრო ნამდვილი პასუხის გაცემა.

შენიშვნები

*

კომენტარები

*

სახელთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. ერთხელ კიდევ ქალბატონ ბლავატსკაიაზე (Еще о г-же Блаватской) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (6. VI, № 150).

2. კალმის ჭირვეულობანი (Капризы пера) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (18. VI, № 160).

3. პასუხი გამოწვევაზე (Ответ на вызов) — დაიბეჭდა 1878 წელს გაზეთ „Обзор"-ში (25. VI, № 167).

4. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (25. VI, № 167).

5. პასუხი გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტის" (Ответ „Биржевым Ведомостям") — დაიბეჭდა 1878 წელს გაზეთ „Обзор"-ში (30. VI, № 172).

6. ადგილობრივი მიმოხილვა (Местный обзор) — დაიბეჭდა 1878 წელს გაზეთ „Обзор"-ში (30. VI, № 172).

7. მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს! (Мир во что бы то ни стало) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (2. VII, № 174).

8. ბათუმის საკითხისათვის (К вопросу о Батуме) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (2. VII, № 174).

9. ადგილობრივი მიმოხილვა (Местный обзор) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (3. VII, № 175).

10. შავი ზღვის მნიშვნელობა რუსეთისათვის და ბათუმის ფლობისა — შავი ზღვისათვის (Значение Черного моря для России и владение Батумом для Черного моря) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (4. VII, № 176; 5. VII, № 177; 6. VII, № 178).

11. სანავსადგურო ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობა (Экономическое значение портовых городов) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (7. VII, № 179).

12. გემთმშენებლობა და შავი ზღვის კოლონიზაცია (Судострое-

ние и колонизация на Черном море) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (8. VII, № 180).

13. **საზღვაო კანონმდებლობა, სკოლები და სუბსიდიები** (Морское законодательство, школы и субсидии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (9. VII, № 181).

14. **ბიბლიოგრაფია** (Библиография) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (9. VII, № 181).

15. **ზღვაოსნობის მოთხოვნები** (Потребности мореходства) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (10. VII, № 182; 11. VII, № 183).

16. **ადგილობრივი მიმოხილვა. ღირსების სამსჯავრო** (Местный обзор. Суд чести) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (12. VII, № 182).

17. **ჩვენი საადგილმამულო კრედიტის მომავალი** (Будущность нашего земельного кредита) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (14. VII. № 186; 18. VII, № 190).

18. **ბერლინის ტრაქტატი** (Берлинский трактат) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (16. VII, № 188).

19. **ღირსების სამსჯავრო** (Суд чести) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (18. VII. № 190).

20. **პასკევიჩი ჩვენი ზღვაოსნობის შესახებ** (Паскевич о нашем мореходстве) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (19. VII, № 191).

21. **პოლიტიკური მდგომარეობა** (Политическое положение) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (25. VII, № 197).

22. **კულტურული ბრძოლა აზიაში** (Культурная борьба в Азии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (26. VII, № 198).

23. **ინგლისთან კავშირი** (Союз с Англией) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (29. VII, № 201; 1. VIII, № 204; 2. VIII, № 205).

24. **ომის გაკვეთილებიდან** (Из уроков войны) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (30. VII, № 202).

25. **„გოლოსი“ ქართული ენის შესახებ** („Голос“ о грузинском языке) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (30. VII, № 202).

26. **ინგლისთან ბრძოლა** (Борьба с Англией) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор“-ში 1878 წელს (3. VIII, № 206).

27. **საიდუმლოება საადგილმამულო ბანკში** (Тайна в земельных

банках) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (4. VIII, № 207).

28. ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი (Наши литературные нравы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (5. VIII, № 208).

29. ბერლინის ტრაქტატი მცირე აზიის შესახებ (Берлинский трактат о Малой Азии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (5. VIII, № 208).

30. ინგლისთან ომი (Война с Англией) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (6. VIII, № 209).

31. ადგილობრივ თავადაზნაურთა სამსახური (Служба местного дворянства) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (8. VIII, № 210).

32. „გადახალისების" საჭიროება (Потребность „обновления")—დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (9. VIII, № 211; 10. VIII, № 212; 11. VIII, № 213).

33. ბათუმის შემოერთება (Присоединение Батума) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (12. VIII, № 214).

34. პოლიტიკური მიმოხილვა (Политический обзор) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (13. VIII, № 215).

35. ინგლისთან ომის შემთხვევაში (На случай войны с Англией)—დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (15. VIII, № 217).

36. ბათუმი და ფოთი (Батум и Поти)—დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (20. VIII, № 221).

37. ექსტრა-ლიტერატურული კამათი (Экстра-литературные прения) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (26. VIII, № 227).

38. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები (Народные школы Кутаисской губернии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (26. VIII, № 227).

39. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (3. IX, № 234).

40. ემელუშკინის სიბრძნე (Емелюшкина премудрость) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (7. IX, № 238; 8. IX, № 239).

41. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები (Народные школы Кутаисской губернии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (9. IX, № 240).

42. რუსული ნაკეთობა უცხოური პლომბით (Русская работа

с иностранной пломбой) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (13. IX, № 244).

43. **პოლიტიკური ვითარება** (Политическое положение) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (14. IX, № 245).

44. **საქალაქო არჩევნები თბილისში** (Городские выборы в Тифлисе) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (15. IX, № 246).

45. **შუა აზიის სიძნელეები** (Среднеазиатские затруднения) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (16. IX, № 247).

46. **გერმანიის რაიხსტაგში სოციალიზმის შესახებ კამათის გამო** (По поводу прений о социализме в германском рейхстаге) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (17. IX, № 248). სტატიის დასასრულს მითითებულია, რომ გაგრძელება შემდეგ დაიბეჭდებოდა, მაგრამ აღარ დაბეჭდილა. როგორც ჩანს, იგი ცენზურამ აკრძალა.

47. **საკვირაო საუბრები** (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (17. IX, № 248).

48. **ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები** (Уроки литературных приличий) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (18. XI, № 249).

49. **სადღეისო საკითხები** (Вопросы дня) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (20. IX, № 251).

50. **კუდის ლიტერატურული ქიცინი** (Литературное виляние хвостом) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (23. IX, № 254).

51. **პასუხი ბატონ ღამბაროვს** (Ответ г. Гамбарову) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (23. IX, № 254).

52. **პოლიტიკური მდგომარეობა** (Политическое положение) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (24. IX, № 255).

53. **საკვირაო საუბრები** (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (24. IX, № 255).

54. **საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ვაიძულოთ ხმოსნები კეთილსინდისიერნი იყვნენ** (Лучший способ заставить гласных быть добросовестными) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (25. IX, № 256).

55. **რომელ ენაზე ვიკამათოთ საბჭოში** (Об языке думских прений) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (27. IX, № 258).

56. **გლეხთა საქმე** (Крестьянское дело)—დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (28. IX, № 259).

57. **საკვირაო საუბრები** (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (1. X, № 262).

58. ღირსების სამსჯავრო (Суд чести) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (1. X, № 262).

59. რა გააკეთა თბილისის საქალაქო საზოგადოებრივმა სამმართველომ 1877 წელს? (Что сделано Тифлисским городским общественным управлением в 1877 году?) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (5. X, № 265; 6. X, № 266; 7. X, № 267).

60. ქალაქის საბჭოს სხდომა (Заседание Городской думы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში (8. X, № 268).

61. საქალაქო არჩევნების ამოცანების შესახებ (К задачам городских выборов) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (12. X. № 272).

62. პოლიტიკური მდგომარეობა (Политическое положение)— დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (14. X, № 274).

63. დიპლომატია (Дипломатия) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (15. X, № 275).

64. ავსტრიის პასუხი თურქეთის ნოტაზე (Австрийский ответ на турецкую ноту) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (21. X, № 281).

65. კარგი საქმის ცუდი დამცველი (Плохой защитник хорошего дела) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (23. X, № 283).

66. სასულიერო სემინარიის რევიზია (Ревизия духовной семинарии) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (24. X, № 284).

67. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი (Мингрельское духовное училище) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (26. X, № 286).

68. პოლიტიკური მდგომარეობა (Политическое положение)— დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (30. X, № 290).

69. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (31. X, № 291).

70. პოლიტიკური მდგომარეობა (Политическое положение)— დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (2. XI № 293).

71. ენების სწავლება ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში (Преподавание языков в наших духовно-учебных заведениях) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (3. XI, № 294).

72. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (5. XI, № 296).

73. **პატარა კატკოვი** (Маленький Катков) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (6. XI, №297).

74. **სამხედრო სიბრძნის სიღრმე სამოქალაქო გაზეთში** (Глубина военной премудрости у статской газеты) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (7. XI, № 298).

75. **თბილისის საბჭოს შესახებ** (О Тифлисской думе) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (8. XI, № 299).

76. **კვლავ ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები** (Еще уроки литературных приличий) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (9. XI, № 300).

77. **ადგილობრივი მიმოხილვა** (Местный обзор) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (11. XI, № 302).

78. **ცოტაოდენი ლოღიკა** (Немного логики)—დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (12. XI, № 303).

79. **საკვირაო საუბრები** (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (12. XI, № 303).

80. **მადლობა ღმერთს** (Слава богу!..) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (13. XI, № 304).

81. **ჩვენი სასულიერო წოდების მომზადება** (Подготовка нашего духовенства) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (14. XI, № 305).

82. **კორესპონდენტები მოქმედ კორპუსში** (Корреспонденты в действующем корпусе) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (16, 17, 18, 20, 21, 22 — XI, №№ 307, 308, 309, 311, 312, 313). როგორც ავტორის შენიშვნიდან ჩანს, წერილები დაწერილია 1877 წლის შემოდგომაზე ყარაიალის ბანაკში.

83. **კვლავ ბატ. ი. გოგებაშვილის შესახებ** (Местный обзор. Снова о г. Гогебашвили) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (17. XI, № 308).

84. **საკვირაო საუბრები** (Воскресные беседы) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (26. XI, № 317).

85. **ფოთისა და ბათუმის შედარებითი მნიშვნელობა** (Сравнительное значение Поти и Батума) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (27. XI, № 318).

86. **ადგილობრივი მიმოხილვა** (Местный обзор) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (29. XI, № 320).

87. **პოლიტიკური მდგომარეობა** (Политическое положение) — დაიბეჭდა გაზეთ „Обзор"-ში 1878 წელს (30. XI, № 321).

კომენტარები

1. მხედველობაში აქვს სტატია — „Воскресные беседы“, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ობზორში“ (22. I, № 20).

2. „ო ბ ზ ო რ“ („Обзор“) — პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. „ობზორის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1878 წლის პირველ იანვარს. მართალია, გაზეთმა ოფიციალურად 1883 წლამდე იარსება, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მისი გამოსვლა, ცენზურის მიზეზით, არაერთხელ ყოფილა შეჩერებული. მაგალითად, „ობზორი“ არ გამოდიოდა 1879 წლის თებერვლიდან 1880 წლამდე, 1880 წელს კი მხოლოდ აგვისტომდე გამოდიოდა. 1881, 1882 და 1883 წლებში „ობზორი“ თითო ნომერი გამოვიდა (№№ 560, 561, 562), რათა გამოცემის უფლება შეენარჩუნებინათ (დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეხუთე ტომზე დართულ ჩვენს კომენტარებში, გვ. 637-645).

3. „ტიფლისსკი ვესტნიკ“ („Тифлисский Вестник“) — პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1873—1882 წლებში. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი იყო კ. ა. ბებუთოვი. „ტიფლისსკი ვესტნიკის“ დაარსებასა და მის შემდგომ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც მხოლოდ 1877 წლიდან გაწყვიტა მასთან კავშირი.

4. მხედველობაში აქვს ვერა ჟელიხოვსკაიას წერილი „Письмо к редактору“, რომელიც დაიბეჭდა „ტიფლისსკი ვესტნიკში“ (1878, № 21).

5. „ს ა უ კ უ ნ ი ს დ ე ვ გ მ ი რ ი“ („Богатырь века“) — არის ნ. ა. პოტეხინის ოთხმოქმედებიანი დრამა.

6. „მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ე ლ ე ნ ე“ („Прекрасная Елена“) — არის გამოჩენილი კომპოზიტორის, ოფენბახის (1819—1880) ოპერეტა.

7. მხედველობაში აქვს გოგოლის ცნობილი კომედია „რევიზორი“.

8. მხედველობაში აქვს ნ. გ. ჩერნიშევსკის ცნობილი ნაშრომი — „Эстетические отношения искусства к действительности". ვინაიდან ნ. გ. ჩერნიშევსკი ამ დროს კატორღაშია და მისი სახელის ხსენება აკრძალულია, ნ. ნიკოლაძე მას ამ ცნობილ ნაშრომზე მითითებით აგონებს ხოლმე მკითხველს.

9. „რ უ ს ს კ ი ა რ ხ ი ვ" („Русский архив") — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1863—1917 წლებში, დამაარსებელი და რედაქტორი (1912 წლამდე) იყო ისტორიკოსი პ. ი. ბარტენევი.

10. „რ უ ს ს კ ა ი ა ს ტ ა რ ი ნ ა" („Русская старина") — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1870 — 1918 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი (1892 წლამდე) — ისტორიკოსი მ. ი. სემევსკი (გარკვეული წლების მანძილზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, ხელს აწერდა სხვა).

11. „დ რ ე ვ ნ ი ა ი ა ი ნ ო ვ ა ი ა რ ო ს ს ი ა" („Древняя и Новая Россия") — ყოველთვიური ილუსტრირებული ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1875—1881 წლებში, გამომცემელი — ვ. ი. გრაციანსკი, რედაქტორი — ს. ნ. შუბინსკი (1879 წლამდე).

12. S'il vous plaît! — გეთაყვათ!

13 Chacun pour soi — ყველა თავისათვის.

14. „კ რ ე ჩ ი ნ ს კ ი ს ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა" („Свадьба Кречинского") — დრამატურგ ა. ვ. სუხოვო-კობილინის პიესა, წარმოდგენილ იქნა პირველად 1856 წელს. ამ დროიდან იგი მტკიცედ დამკვიდრდა რუსული თეატრების რეპერტუარებში.

15. „მ წ ვ ა ნ ე კ უ ნ ძ უ ლ ი" („Зеленый остров") — არის შარლ ლეკოკის (1832—1918) ოპერეტა.

16. „ფ ა უ ს ტ ი უ კ უ ღ მ ა" („Фауст на изнанку") — უნდა გულისხმობდეს ფ. ერვეს ოპერეტას „Маленький Фауст", რომელიც წარმოადგენს პაროდიას გუნოს ოპერეტაზე — „ფაუსტი".

17. „ჟ ი რ ო ფ ლ ე" („Жирофле-Жирофля") — შარლ ლეკოკის (1832—1918) ოპერეტა.

18. „მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი ჩ ი ტ ე ბ ი" („Птички певчие") — ასეთი სახელწოდებით იდგმებოდა იმ დროს რუსეთში ოფენბახის ცნობილი ოპერეტა — „პერიკოლა".

19. „კ ა ვ კ ა ზ" („Кавказ") — რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846—1918 წლებში, პირველად — როგორც კერძო გამოცემა, ხოლო შემდეგ — როგორც ოფიციოზი.

20. 1878 წლის 13 ივნისს ბერლინში მოწვეული იქნა საერთა-

შორისო კონგრესი, რომელმაც მუშაობა დაასრულა იმავე წლის 13 ივლისს. კონგრესი მოწვეული იყო ავსტრია-უნგრეთისა და ინგლისის მოთხოვნით, რომელსაც ფარულად მხარს უჭერდა გერმანიაც. კონგრესს ისინი მიზნად უსახავდნენ სან-სტეფანოს 1878 წლის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას რუსეთისა და სხვა სლავიანური ქვეყნების ინტერესთა საზიანოდ. ახალი ომის საფრთხის გამო, რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო კონგრესის მოწვევას.

კონგრესის გახსნამდე ინგლისმა თურქეთთან დასდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც იგი დაეპატრონა უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზას — კიპროსის კუნძულს. ინგლისმა, ამავე დროს, ხელშეკრულება დასდო ავსტრიასთან კონგრესზე რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

ბერლინის კონგრესზე რუსეთის ინტერესებს იცავდნენ — კანცლერი გორჩაკოვი, რუსეთის ელჩი ინგლისში პ. შუვალოვი და რუსეთის ელჩი გერმანიაში უბრი. კონგრესს თავმჯდომარეობდა ბისმარკი, რომელიც აშკარად მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი. მთავარი დავა მიმდინარეობდა ბულგარეთის საზღვრების, სერბიისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობისა და ამიერკავკასიაში რუსეთის საზღვრების შესახებ.

კონგრესი დამთავრდა ტრაქტატის ხელმოწერით, რომელმაც სერიოზული ცვლილებები შეიტანა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში რუსეთისა და სლავიანური ქვეყნების საზიანოდ.

სრუტეების რეჟიმი დარჩა უცვლელად. რუსეთს მიეკუთვნა ყარსი და არდაგანი თავიანთი ოლქებით, ასევე — ბათუმი, რომელიც გამოცხადდა თავისუფალ ნავსადგურად (პორტო-ფრანკოდ).

ბერლინის ტრაქტატი ძალაში დარჩა 1914—18 წლებამდე, თუმცა მისმა ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ ადრევე დაკარგა თავისი მნიშვნელობა: 1885 წელს ბულგარეთთან გაერთიანდა აღმოსავლეთ რუმელია, 1886 წელს გაუქმდა პორტო-ფრანკო ბათუმში და სხვ.

21. მხედველობაში აქვს სცენა-ფანტაზია — „ჯანდაბა", რომელიც მან გაზეთ „დროებაში" დაბეჭდა 1873 წელს (№ 37). იხ. ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მესამე ტომი, გვ. 498—504.

22. „დ რ ო ე ბ ა" — პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გაპოდიოდა 1866—1885 წლებში; 1866—1874 წლებში — კვირაში ერთხელ, 1875—1876 წლებში — კვირაში სამჯერ, 1877—1885 წლებში — ყოველდღიურად.

გაზეთს რედაქტორობდნენ: გ. წერეთელი (1866—1869 წ. 10 აპრ.), ს. მესხი (IV, 1869—X, 1873), კ. ლორთქიფანიძე (X, 1873—X,

1874), ს. მესხი (X, 1874—1880 წწ.), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—81 წწ.), ს. მესხი (1882 წ.), ივ. მაჩაბელი (1883—1885 წწ.).

23. პარიზის საზავო ხელშეკრულება — ე. წ. პარიზის მესამე საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა ყირიმის კომპანია 1856 წელს. ხელშეკრულება დაიდო, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, ინგლისს, საფრანგეთს, სარდინიას და თურქეთს შორის.

24. მოლოტოვი — იგულისხმება ნ. გ. პომიალოვსკის რომანების „მოლოტოვის" და „მეშჩანური ბედნიერების" გმირი, რაზნოჩინელი.

25. „ბირჟევიია ვედომოსტი" („Биржевыя ведомости") — ბურჟუაზიული მიმართულების პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც დაარსდა „კომერციული გაზეთის" („Комерч. газета") და „აქციონერთა ჟურნალის" („Журнал для акционеров") გაერთიანების საფუძველზე 1861 წელს; გამოდიოდა პეტერბურგში. მისი პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო კ. ვ. ტრუშნიკოვი. გაზეთმა გამოსვლა შეწყვიტა 1917 წლის ოქტომბრიდან.

26. „ვესტნიკ ევროპი" („Вестник Европы") — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც 1866 წელს დააარსა პროფ. მ. სტასიულევიჩმა. ჟურნალი ლიბერალური პოზიციებიდან აშუქებდა რუსეთის ისტორიისა და პოლიტიკის საკითხებს. მასში თანამშრომლობდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების მოღვაწეები: კ. კაველინი, ვ. სპასოვიჩი, კ. არსენიევი და სხვ. ჟურნალში ქვეყნდებოდა, აგრეთვე, ი. ტურგენევის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის თხზულებანი, ა. პიპინის, დ. ოვსიანიკოვ-კულიკოვსკის სტატიები, კ. ტიმირიაზევის, ი. სეჩენოვის, ი. მეჩნიკოვის და სხვათა შრომები. 1918 წლის დასაწყისში ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა.

27. „გოლოს" („Голос") — პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863 — 1884 წლებში, გამომცემელი და რედაქტორი — ა. კრაევსკი. პირველ ხანებში გაზეთი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ წრეებთან და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა; შემდეგში ის ზომიერი ლიბერალური მიმართულების ორგანო გახდა, მასში თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი პუბლიცისტებიც.

28. „მოსკოვსკიე ვედომოსტი" („Московские Ведомости") — გამოდიოდა 1756—1917 წლებში. მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე გაზეთს უშვებდა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგრამ 60-იანი წლებიდან იგი გადადის რეაქციონერი გამომცემლების

ხელში (მ. ნ. კატკოვი—1863—1877 წწ.) და ხდება მონარქისტულ-ნაციონალისტურ ორგანოდ, რომელიც ქადაგებდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს. 1905 წლიდან ეს გაზეთი შავრაზმელთა ორგანოა.

29. პარიზის ტრაქტატი — 1856 წლის 30 მარტს დადებული საზავო ხელშეკრულება რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს, სარდინიასა და თურქეთს შორის.

30. კონსტანტინოპოლის კონფერენცია — მოწვეულ იქნა 1878 წლის დეკემბერში ინგლისის წინადადებით, რათა მშვიდობიანად მოეწესრიგებინათ ბალკანეთში დაწყებული მღელვარება და უწესრიგობა. კონფერენციას ინგლისის მხრიდან ესწრებოდნენ მარკიზი სალისბერი და სერ ჰენრი ელიოტი, საფრანგეთიდან — გრაფი ბურგოენი და შოდორდი, გერმანიიდან — ბარონი ვერტერი, რუსეთიდან — გრაფი ნ. პ. იგნატიევი. კონფერენციამ თურქეთს წაუყენა საერთო ულტიმატუმი, მაგრამ მან იგი არ მიიღო, ვინაიდან, რუსეთთან ომის შემთხვევაში, მოელოდა ინგლისისა და ავსტრიის მხარდაჭერას. ასეთმა ტაქტიკამ, რომელიც შთაგონებული იყო კონფერენციის ინიციატორთა—ინგლისის წარმომადგენელთა—მიერ, გამოიწვია რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომი.

31. Vouloir c'est pouvoir — მონდომება უდრის შეძლებას.

32. Raison d'être — არსებობის აზრი.

33. მხედველობაში აქვს კრილოვის ცნობილი იგავ-არაკი — „Воспитание льва", რომელშიც იგი დასცინის საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების უცოდინართ. თავის იგავ-არაკს კრილოვი ამთავრებს იმაზე მითითებით, რომ მეფეთათვის ყველაზე დიდი მეცნიერებაა „знать свойство своего народа и выгоды земли своей".

34. A vaincre sans péril on triomphe sans gloire — „უხიფათო გამარჯვებას დიდების გარეშე ზეიმობენ" (კორნელი).

35. „ნოვოე ვრემია" („Новое время") — ყოველდღიური რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა 1868—1917 წლებში; თავდაპირველად წარმოადგენდა ზომიერ ლიბერალურ გამოცემას, ხოლო 1876 წლიდან, როცა იგი ა. სუვორინის ხელში გადაეიდა, გახდა რეაქციული ორგანო, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელი. დაიხურა 1917 წლის 26 ოქტომბერს.

36. „ბაკინსკიე იზვესტია" („Бакинские известия") — რუსული გაზეთი, გამოდიოდა ბაქოში 1876—1887 წლებში, თავდაპირველად — კვირაში ერთხელ, 1877 წლიდან — კვირაში ორჯერ.

37. „სოვრემენნიე იზვესტია" („Современные известия") — პოლიტიკური, საზოგადოებრივი, საეკლესიო, სამეცნიერო

და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1867 წლის 1 დეკემბრიდან 1887 წლის 21 ოქტომბრამდე, რედაქტორობდა ნ. პ. გილიაროვა-პლატონოვა, რომელიც გაზეთის ორ განყოფილებას (შინაურ და საზღვარგარეთის ამბებს) მხოლოდ თვითონ ადგენდა.

38. 1859 წლის ციურიხის ტრაქტატი — იგულისხმება საფრანგეთის, სარდინიის და ავსტრიის წარმომადგენელთა მიერ 1859 წლის 10 ნოემბერს ხელმოწერილი სამი ხელშეკრულება: პირველი — საერთო, მეორე — საფრანგეთისა და ავსტრიის, მესამე — საფრანგეთისა და სარდინიის.

39. La Russie se récueille — რუსეთი ფიქრობს.

40. Conditio sine qua non — პირობა ურომლისოდაც არაფერი შეიძლება.

41. ამიერკავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ — 1866—1904 წლებში გამოსცა მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივის დოკუმენტები (1762—1862 წწ.) 12 ტომად. პირველი ათი ტომი გამოვიდა ა. ბერჟეს რედაქციით, მე-11—დ. კობიაკოვის რედაქციით, ხოლო მე-12—ე. დ. ფელიცინის რედაქციით.

42. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება დაიდო 1829 წლის 2(14) სექტემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის, როცა რუსეთის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1828—29 წლების ომი. ადრიანოპოლის აღებისა და კონსტანტინოპოლზე გალაშქრების შემდეგ სულთანი მახმუდ II თანახმა გახდა ზავისათვის მიეღწია ყოველგვარი დათმობის ფასად.

43. რუსეთ-ინგლისის 1811 წლის ტრაქტატი — ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს ინგლის-რუსეთის 1812 წლის 16 ივლისის ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა ერებროში (თარიღს ზუსტად ვერ ასახელებს). აღნიშნული ხელშეკრულება შედეგი იყო ინგლის-რუსეთის 1807—12 წწ. ომისა, რომლის შედეგად ძალიან გაუარესდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა.

44. მხედველობაში ჰყავს პრინცი ალფრედი, სამეფო ფლოტის ადმირალი, რომელმაც 1874 წელს ცოლად შეირთო იმპერატორ ალექსანდრე მეორის ასული — მარიამი.

45. „Oriental Star“ — „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“.

46. 1878 წლის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება — დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლითაც დასრულდა 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 3 მარტს სან-სტეფანოში (კონსტანტინოპოლის

მახლობლად). ხელშეკრულების ძალით, ჩერნოგორიამ, რუმინეთმა და სერბიამ მიიღეს დამოუკიდებლობა; თურქეთის ჯარები გაყვანილ იქნა ბულგარეთიდან. ბულგარეთის ტერიტორიაზე რჩებოდა მხოლოდ რუსეთის ჯარი (ორი წლით). თურქეთს დაეკისრა რუსეთის სასარგებლოდ გადაეხადა 310 მილიონი მან. სან-სტეფანოს ხელშეკრულება ქმნიდა შესაძლებლობას სლავური სახელმწიფოების დამოუკიდებელი განვითარებისათვის და ზრდიდა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე. მაგრამ ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა ომის მუქარით აიძულეს რუსეთი დათანხმებულიყო სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას, რაც განხორციელდა ბერლინის კონგრესზე (1878 წ.).

47. En maitre — მბრძანებლურად, გადაჭრით.

48. „ტ ე ლ ე გ რ ა ფ“ („Телеграф“) — ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1878 — 1880 წლებში. გამომცემელი და რედაქტორი — კ. ვ. ტრუბნიკოვი.

49. „პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს კ ი ლ ი ს ტ ო კ“ („Петербургский листок“) — ყოველდღიური გაზეთი. რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქის ცხოვრებისა და ლიტერატურული საკითხების გაშუქებას. გამოვიდა 1864 წელს. რედაქტორი და გამომცემელი — ა. ს. აფანასევ-ჩუჟბინსკი. იმავე წლის დასასრულს გაზეთის გამომცემელნი გახდნენ ნ. და ა. ზარუდნები. რედაქტორი — ვ. მ. სიკევიჩი. რომელიც მალე შეცვალა ი. ა. არსენიევმა. 1877—1884 წლებში გაზეთს სცემენ ა. ვ. ვლადიმირსკი და ა. სოკოლოვი.

50. Bon mot — მოსწრებული სიტყვა.

51. il n'a pas raison — არ არის მართალი.

52. „რ უ ს ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ“ („Русский Вестник“) — ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა 1856—1906 წლებში. 1867 წლამდე გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ. შემდეგ — ყოველთვიურად; 1856—1887 წლებში გამოდიოდა მოსკოვში მ. ნ. კატკოვის რედაქტორობით, 1887 — 1896 წლებში — პეტერბურგში ფ. ბერგის რედაქტორობით. 1896—1902 წლებში — მოსკოვში მ. ნ. კატკოვის რედაქტორობით. 1902—1906 წლებში — კვლავ პეტერბურგში ვ. კომაროვის რედაქტორობით. თავის დროზე იგი იცავდა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ საწინააღმდეგოდ. „რუსსკი ვესტნიკი“ ქადაგებდა მემამულურ-ბატონყმურ იდეოლოგიას, იდეალიზმს და იბრძოდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების წინააღმდეგ.

53. „ს ვ ი ს ტ ო კ“ („Свисток“) — ჟურნალ „სოვრემენნიკის“

ნატირული განყოფილება, რომელიც შექმნა ნ. ა. დობროლუბოვმა; გამოვიდა 9 ნომერი. ნ. დობროლუბოვს გარდა, მასში თანამშრომლობდნენ: ნ. ჩერნიშევსკი, ნ. ნეკრასოვი, გ. ელისეევი, ი. პანაევი და სხვ.

54. ათანასე ივანიჩი — ნ. ვ. გოგოლის მოთხრობის „ძველი დროის მემამულეების" („Старосветские помещики") მთავარი პერსონაჟი, რომლის ინტერესები არ სცილდებოდა სმა-ჭამისა და საკუთარი ეზოს ფარგლებს; ტიპიური წარმომადგენელი პრიმიტიული, დრომოჭმული ბატონყმური ყოფისა.

55. „მშაკი" (მშრომელი) სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1872—1920 წლებში, დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1872—1892 წწ.) — გრ. არწრუნი.

56. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ" („Правительственный Вестник") — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1869—1917 წლებში და გამოხატავდა მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს.

57. tête de ligne — სამეთაურო სადგური.

58. მხედველობაში აქვს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში" გამოქვეყნებული სტატიები — „ჩვენი თავადაზნაურული პროლეტარიატი" (1874 წ., № 12; 1876 წ., № 184).

59. აღნიშნული სტროფი მოტანილია ა. ს. პუშკინის ცნობილი ლექსიდან — „Клеветникам России", მაგრამ გარკვეული ცვლილებით. ა. პუშკინის ლექსში აღნიშნული სტროფი ასე იკითხება:

«Иль мало нас? Или от Перми до Тавриды,
От финских холодных скал до пламенной Колхиды,

От потрясенного Кремля
До стен недвижного Китая,
Стальной щетиною сверкая,
Не встанет русская земля?..»

60. ინდოეთის 1857—59 წლების ეროვნული აჯანყება — მიმართული იყო ინგლისის კოლონიალური ბატონობის წინააღმდეგ; აჯანყებულ გლეხობასა და ხელოსნებს მხარი დაუჭირა ინდოელმა ჯარისკაცებმა, რომელთა რიცხვი 230 ათასს აღწევდა. აჯანყებას სათავეში ედგნენ ძირითადად ფეოდალები (ნანა სახიბი, ლაკშმი-ბაი და სხვ.), მაგრამ ვინაიდან აჯანყება ანტიფეოდალურ ხასიათს იღებდა ამ ხელმძღვანელებსაც თანდათან საშიშროება ელოდათ, ინგლისელმა კოლონიზატორებმა ისარგებლეს ამ ვითარებით და

დაიწყეს ფეოდალთა გადაბირება, თანაც გაამწვავეს რელიგიური შუღლი სხვადასხვა ტომებს შორის. მათ მიმართეს ყველა საშუალებას აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ კოლონიზატორთა პოზიცია მაინც შეირყა აზიაში და 15—20 წლით გადაიდო მათი აგრესიული გეგმების განხორციელება ავღანისტანსა და შუა აზიაში.

61. „ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი კ“ („Современник“) — ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა. ს. პუშკინი; 1838—1846 წლებში მას რედაქტორობდა პლეტნევი, 1847 წლიდან ჟურნალი გადავიდა ნეკრასოვისა და პანაევის ხელში. 1854 წელს მასში თანამშრომლობა დაიწყო ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს — ნ. ა. დობროლუბოვმ. რევოლუციური სიტუაციის წლებში (1859—1861 წწ.) ჟურნალი გახდა რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოდ. „სოვრემენნიკი“ იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკისათვის, ილაშქრებდა იდეალისტური თეორიებისა და „წმინდა ხელოვნების“ მომხრეთა წინააღმდეგ.

„სოვრემენნიკის“ რედაქციასთან და მის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს. მათ შორის ნ. ნიკოლაძეს, რომელიც კიდეეაც თანამშრომლობდა ჟურნალში.

62. „Э т о н е я“ („ეს მე არ ვარ“) — პ. ა. იზმაილოვის ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმით იგი წერილებს აქვეყნებდა გაზეთ „ტიფლისსკი ვედომოსტში“.

63. „ი ვ ე რ ი ა“ — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1877 — 1906 წლებში: 1877—1878 წწ. — კვირაში ერთხელ. 1879 წელს — როგორც ყოველთვიური ჟურნალი. 1880 წ.— როგორც სამთვიური ჟურნალი. 1884—1885 წწ. — როგორც ყოველთვიური ჟურნალი. 1886—1906 წწ. — როგორც ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიის“ დამაარსებელი და რედაქტორი 1901 წლამდე იყო ილია ჭავჭავაძე. რომელთან ერთად. 1881 წელს. ჟურნალს რედაქტორობდა ს. მესხი, ხოლო 1882—84 წწ. — ი. მაჩაბელი. 1901 წლის დეკემბრიდან 1903 წლის ივლისამდე გაზეთს რედაქტორობდა ალ. სარაჯიშვილი, 1903 წლის ივლისიდან 1905 წლამდე — გრ. ყიფშიძე. ხოლო 1905—1906 წლებში — ფ. გოგიჩაიშვილი.

64. A la guerre comme à la guerre! (ფრანგ.) — (ომში, როგორც ომს შეფერის). საჭიროა გარემოებას შეეგუო!

65. 1864 წ ლ ი ს ჟ ე ნ ე ვ ი ს კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა — მრავალმხრი-

ვი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავდა მოქმედი არმიის დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებისადმი თანაგრძნობისა და დახმარების გაძლიერებას. აღნიშნული კონვენცია გადასინჯულ იქნა 1906, 1929 და 1949 წლებში. 1929 წლის კონვენციას შეუერთდა საბჭოთა კავშირიც 1931 წელს. კონვენცია ითვალისწინებს ჰუმანურ დამოკიდებულებას დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო მომსახურეთადმი, რომლებიც მოწინააღმდეგის ხელში მოხვდნენ.

66. 1875 წლის ბრიუსელის კონგრესი ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს ბრიუსელის 1874 წლის კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა რუსეთის ინიციატივით ომის უფლებებისა და მეთოდების ზუსტი მოწესრიგების მიზნით. მასში მონაწილეობდა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა. კონფერენციის ოქმები გამოქვეყნდა 1875 წელს.

67. La forêt leur empêche de voir les arbres — ტყე ხელს უშლით ხეების დანახვაში.

68. Laisser faire, laisser passer — ნების დართვა, დათმობა (გზის მიცემა).

69. მხედველობაში აქვს სტატია — „ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები", რომელიც დაიბეჭდა „ობზორში" 1878 წელს (№ 227).

70. მხედველობაში აქვს გაზ. „ობზორის" 1878 წლის მეშვიდე ნომერში (რუბრიკით — „Вопросы дня") დაბეჭდილი შემდეგი ცნობა:

«Сегодня «Тифл. Вестн.» сделал нам честь посвятить «Обзору» свой воскресный фельетон. Наряду с весьма прозрачными нападками, он изобилует массою каких-то темных намеков, которых даже мы не смогли понять.

В течение нескольких лет мы находили в «Тифл. Вестнике» радужное, чисто кавказское гостеприимство. Не принадлежала к числу лиц, способных пользоваться прошлою дружбою в интересах будущей вражды, и черпать в интимном знакомстве с когда-то дружескою семьею материалы для ее вернейшего опозорения, мы их уважения к себе самим и к своим читателям никогда не будем полемизировать с «Тифл. Вестником». Надеемся, что этого никто не объяснит каким-либо иным чувством. Были люди посильнее кн. Бебутова, с которыми мы не побоялись вступить в борьбу, и их столкновения, с которыми мы вышли с честью.

Правда, в одном только случае служение общественным интересам обязывало бы нас пожертвовать своею личною щепетильностью. Каковы бы ни были наши прошлые отношения, не они б воспрепятствовали нам бороться против лица,

деятельность которого станет вредною для общества. Но мы не думаем, чтоб таково было положение кн. Бебутова. Насколько мы знакомы с его влиянием на умы его читателей, мы можем предоставить ему полную свободу действий. Подобно тому, как не всякий может быть полезным, не всякий в силах быть и вредным... В настоящем же положении дел, направление, которому он волею-неволею отдал на служение свою газету и самые размеры его сил застраховывают его от всяких нападений с нашей стороны.

На этих основаниях мы с уверенностью можем повторить: кн в какую полемику с «Тифлисским Вестником» мы никогда не вступим. Поэтому мы предоставляем ему печатать о нас и об «Обзоре» все, что ему заблагорассудится».

71. 1857 წლის აჯანყება — იგულისხმება ინდოეთის 1857—59 წლების ეროვნული აჯანყება (იხ. წინამდებარე ტომის კომენტარები, № 60).

72. მხედველობაში უნდა ჰყავდეს გ. ა. ბაკუნინი. რომლის ზეგავლენითაც დაწერა ა. სერნო-სოლოვიოვიჩმა ბროშურა „ნიკოლაპუბლიცისტი".

73. აღნიშნული სტატიის („ემელუშკინის სიბრძნე") ავტორი ნამდვილად ნ. ნიკოლაძე იყო.

74. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი" („Санкт-Петербургские Ведомости") — მეფის მთავრობის ოფიციალური გაზეთი, რომელიც წარმოადგენდა გაზეთ „ვედომოსტის" გაგრძელებას: 1748—1765 წლებში რედაქციას განაგებდა მ. ვ. ლომონოსოვი. ყველაზე მეტი ხელისმომწერი გაზეთს ჰყავდა 1863—1874 წლებში, როცა მას რედაქტორობდა ლიბერალური მოღვაწე ვ. ფ. კორში, რომელსაც პირადად იცნობდა ნ. ნიკოლაძე. 70-იანი წლებიდან გაზეთი შედარებით მარცხნივ გადაიხარა.

75. „რუსსკაია გაზეტა" („Русская газета") — ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1858 წლის ნოემბრიდან. რედაქცია ცდილობდა ხელმისაწვდომი და პოპულარული გაეხადა გაზეთი, რომელიც ზომიერი ლიბერალური პოზიციებიდან აშუქებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ საკითხებს.

76. „წმინდა კავშირი"— ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის რეაქციული კავშირი. რომელიც დაიდო პარიზში 1815 წლის 26 სექტემბერს. იმავე წლის ნოემბერში მას შეუერთდა საფრანგეთი, შემდეგ კი — ევროპის ბევრი სხვა ქვეყანა. კავშირის მიზანი იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობათა ჩახშობა.

77. იგულისხმება იმპერატორ ვილჰელმ პირველზე (1797—1888)

ორჯერ თავდასხმა 1878 წელს, რაც კანცლერმა ბისმარკმა სოციალისტთა წინააღმდეგ საგანგებო კანონის გამოსაცემად გამოიყენა.

78. ხ ლ ე ს ტ ა კ ო ვ ი — გოგოლის ცნობილი კომედიის „რევიზორის“ მთავარი პერსონაჟი. — ქარაფშუტა, ტრაბახა. მოლაყბე და მექრთამე.

79. დ ი ო ნ ი ს ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი — დიონისე I (431—367 წწ. ჩ. წ. ა.), გეიანდელი ტირანიის ტიპიური წარმომადგენელი, უპრინციპო პოლიტიკოსი, რომელიც თავისი მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა.

80. ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი — იგულისხმება იურისტი და ფილოსოფოსი ბორის ნიკოლოზის ძე ჩიჩერინი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდეგში მოსკოვის ქალაქის თავი.

81. დ მ ი ტ რ ი ე ვ ი — იგულისხმება რუსული სამართლის ისტორიკოსი თეოდორე მიხეილის ძე დმიტრიევი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდეგში სახელმწიფო მოხელე.

82. მხედველობაში აქვს სტატია — „Тифлис, 30-го июля 1873 г.“ („Обзор“, 1878, № 80). რომელიც ნ. ნიკოლაძის თხზულებათა ჩვენი გამოცემის მესამე ტომში შესულია სათაურით — „გონივრული ღონისძიება“.

83. ბ ა ტ ო ნ ი ტ ა შ კ ე ნ ტ ე ლ ე ბ ი — იგულისხმება სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოების „ბატონი ტაშკენტელების“ პერსონაჟები, რომლებიც გამოირჩევიან თანამდებობათა ბოროტად გამოყენებით, მექრთამეობითა და თაღლითობით.

84. დ ო ქ ტ ო რ ი კ რ უ პ ო ვ ი — იგულისხმება გერცენის ამავე სახელწოდების ნაწარმოების გმირი, ფსიქიატრი, რომელიც თითქმის ყველა ადამიანში სულით ავადმყოფს ხედავდა.

85. Pro domo sua (ლათ.) — საკუთარი თავის (პიროვნების) შესახებ.

86. მხედველობაში აქვს სტატია — „Плохой защитник хорошего дела“ („Обзор“, 1878, № 283), რომელიც შეტანილია წინამდებარე ტომში (იხ. „კარგი საქმის ცუდი დამცველი“).

87. გ ო გ ო ლ ი ს ი უ რ ი ს-კ ო ნ ს უ ლ ტ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი სამწუხაროდ, ვერ დავაზუსტეთ გოგოლის რომელი პერსონაჟი ჰყავს ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში.

88. ბ ე ნ ი ა მ ი ნ ი — იგულისხმება ბიბლიის გმირის პატრიარქ იაკობის უმცროსი და ყველაზე საყვარელი შვილი.

89. „ნ ე დ ე ლ ი ა“ („Неделя“) — ყოველკვირეული ლიბერალურ ხალხოსნური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამო-

დიოდა პეტერბურგში 1866—1901 წლებში. 1876 წელს გაზეთი გადაეიდა ლიბერალი ხალხსნის გაიდებუროვის ხელში.

90. „ს ტ რ ე კ ო ზ ა“ („Стрекоза“) — მხატვრულ-იუმორისტული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში კვირაში ერთხელ 1875—1908 წლებში, რედაქტორი — ნ. ა. ბოგდანოვი, 1879 წლიდან — ი. ფ. ვასილევსკი. ჟურნალი გაურბოდა აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე მსჯელობას.

91. „მ ნ ა თ ო ბ ი“ — სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, გამოდიოდა 1869—1872 წლებში, რედაქტორი — ნ. ავალიშვილი, გამომცემელი — ივ. ელიოზიშვილი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: მ. ჭიქოძე, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, გ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ანტ. ფურცელაძე, ნ. ინაშვილი და სხვ.

„მნათობთან“ ცხარე პოლემიკას აწარმოებდა „დროება“ — „კრებული“, კერძოდ ნ. ნიკოლაძე.

92. „კ რ ე ბ უ ლ ი“ სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1871—73 წლებში, ოფიციალური რედაქტორი — გ. წერეთელი, ფაქტიურად კი მას რედაქტორობდა და მიმართულებას აძლევდა ნ. ნიკოლაძე. მასვე ეკუთვნის ჟურნალის საპროგრამო სტატიაც („კრებულის დანიშნულებაზე“); გამოვიდა 18 ნომერი.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, დ. ერისთავი, ბ. ჯაფარიძე და სხვ. პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა და მდიდარი შინაარსის გამო, ჟურნალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მკითხველთა შორის.

93. ს ი ზ ი ფ ი — ძველი საბერძნეთის ლეგენდარული მეფე; სიზიფის შრომა — დაუმთავრებელი და უნაყოფო შრომის სინონიმი.

94. „რ უ ს ს კ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე“ („Русское обозрение“) — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1876—78 წლებში კვირაში ერთხელ. რედაქტორ-გამომცემელი — გ. კ. გრადოვსკი; დაიხურა ალექსანდრე მეორის განკარგულებით გ. კ. გრადოვსკის ფელეტონის გამო, რომელიც ეხებოდა ვერა ზასულიჩის პროცესს.

95. „გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ“ („Гражданин“) — ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი-ჟურნალი, რუს მემამულეთა უკიდურეს რეაქციონერთა წრეების ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1872—78 წლებში. 1873 წელს მას რედაქტორობდა თ. მ. დოსტოევსკი.

96. „ი ს კ რ ა“ („Искра“) — სატირული ჟურნალი კარიკატურებით, რევოლუციურ-დემოკრატული მიმართულების ორგანო, გა-

მოდიოდა პეტერბურგში 1859—73 წლებში პოეტ ვ. ს. კუროჩკინის რედაქტორობით.

97. „ს ე ვ ე რ ნ ა ი ა პ ჩ ე ლ ა“ („Северная пчела“) — რეაქციული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1825—64 წლებში. რედაქტორები: ფ. ბულგარინი (1825—31 წწ.), ფ. ბულგარინი და ნ. გრეჩი (1831—60 წწ.), პ. უსოვი. (1860—64 წწ.); დაიხურა ხელისმომწერთა სიმცირის გამო. 1869 წელს გაზეთი აღადგინა ა. ვ. სტარჩევსკიმ. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დაიხურა.

98. „რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო“ („Русское слово“) ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1859—66 წლებში. ჟურნალი დაიხურა მთავრობის განკარგულებით, კარაკოზოვის თავდასხმის შემდეგ.

99. „ე პ ო ხ ა“ („Эпоха“) — ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1864—65 წლებში, რედაქტორი — თ. მ. დოსტოევსკი. ჟურნალი პოლემიკას აწარმოებდა „სოვრემენნიკთან“. მიუხედავად ცნობილი მწერლების თანამშრომლობისა, ჟურნალს მაინც არ ჰქონია წარმატება.

100. „ს ო ბ ე ს ე დ ნ ი კ“ („Собеседник“) — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1877 წელს, გამომცემელ-რედაქტორი — ვ. კლიუშნიკოვი, შემდეგ — ი. მ. ბოგუშევიჩი.

101. „ი მ ე დ ი“ — ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1881—83 წლებში, რედაქტორი — მიხ. გურგენიძე. ჟურნალის თანამშრომელთა უმეტესობა იყო ხალხოსნური მიმართულების წარმომადგენლები: ანტ. ფურცელაძე, სტ. ჭრელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ხიზანიშვილი. დ. აბდუშელიშვილი და სხვ.

102. 1815 წ ლ ი ს ვ ე ნ ი ს კ ო ნ გ რ ე ს ი — კონგრესი, რომელმაც დაასრულა ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის ომი ნაპოლეონ პირველის იმპერიასთან. კონგრესი შეიკრიბა 1814 წლის სექტემბერში და მუშაობა დაამთავრა 1845 წლის ივნისში. კონგრესში წამყვან როლს ასრულებდა რუსეთი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნაპოლეონის იმპერიის განადგურებაში. კონგრესს ესწრებოდა თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

103. ყ ი რ ი მ ი ს ო მ ი — 1853—56 წლების ომი რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთ-თურქეთ-სარდინიის კოალიციას შორის. რაც გამოწვეული იყო ახლო აღმოსავლეთში მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების შეჯახებით. ომი უმთავრესად ყირიმსა და

შავ ზღვაზე მიმდინარეობდა. პირველივე შეჯახებაში აშკარა გახდა თურქეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტე; 30 ნოემბერს რუსეთის ექსპედიციამ, ადმირალ პ. ს. ნახიმოვის მეთაურობით, გაანადგურა თურქეთის ფლოტის მთავარი ძალები. მაგრამ რუსეთს ბრძოლა მოუხდა არა მხოლოდ თურქეთთან. 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

ყირიმის ომი დამთავრდა 1856 წლის 30 მარტს პარიზის საზავო ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც რუსეთს წაერთვა უფლება შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლისა. ამასთან ერთად, ყარსი დაუბრუნდა თურქეთს.

სახელთა საძიებელი

ა

აბარინოვა, ა. ი. (1842—1901)—რუსული ოპერისა და დრამის მსახიობი. —20.

აბდულ-აზიზი (1830—1876) — თურქეთის სულთანი. — 154.

აბდულ-გამიდი (აბდულ-ჰამიდი, 1842—1918) — თურქეთის სულთანი, რომელსაც სისხლიან სულთანს უწოდებენ, ვ. ი. ლენინმა კი „თურქი ნიკოლოზ მეორე" უწოდა. — 154.

აბულაძე, ვ. ნ. — 23, 27.

ადლერბერგი. — თბილისელი მოხელე, ფინანსისტი. — 113.

ალადატოვი, ს. პ. — თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 348, 479, 482.

ალექსანდრე I (1777—1825) — რუსეთის იმპერატორი 1801—1825 წწ. — 47, 290, 408.

ალექსანდროვი, პეტრე აკიმის ძე (1838—1893) — რევოლუციამდელი რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი იერისტი, ლიბერალი. — 561.

ანდრაში, დიულა (1823—1890) — ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწე. უნგრეთის 1848 — 49 წწ. ბურჟუაზიული რევოლუციის მონაწილე. უნგრეთის პირველი საკონსტიტუციო მთავრობის პრემიერი (1867 წლიდან). 1871—1879 წწ. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანიასთან კავშირის მომხრე. —30, 31, 48, 165, 410, 415—417.

ანდრეევსკაია, ნინო. — მ. ვორონცოვის პირადი ექიმის ქალიშვილი, რომელიც მტკვარში დაიხრჩო. — 509.

ანდრეევსკი, ერასტი. — მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის პირადი ექიმი. — 18.

ანდრონიკაშვილი, ი. ა. — გამოჩენილი ქართველი თავადი, მსახურობდა თბილისის სამოსამართლო პალატაში. — 23, 27.

ანენკოვი, პაველ ვასილის ძე (1812—1887) — რუსი კრიტიკოსი, ლიბერალი. — 13.

არაკჩეევი, ალექსი ანდრიას ძე (1769—1834)—გრაფი, რუსული რეაქციულ-პოლიციური დესპოტიზმის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი. — 443.

არდაზიანი, ლ. პ. (1816 — 1870) — ცნობილი ქართველი ბელეტრისტი.— 489.

არისტოტელე (384—322 ჩ. წ. ა.)—დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. — 516.

არჩ, ჯოზეფ. — ინგლისის სოფლის მეშათა კავშირების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი. — 291.

არწრუნი, გრიგოლ (1845—1892) — სომეხი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი. — 419-421. 466, 468, 494—497, 499, 502.

ატილა. — ჰუნების მხედართმთავარი (გარდ. 453). — 407.

ბაბსტი, ივანე კონდრატის ძე (1824 — 1881) — პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი მოსკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტებში. — 533.

ბასტია, ფრედერიკ (1801—1850) — ფრანგი ეკონომისტი, ვულგარული სოციოლოგიის წარმომადგენელი. 295. 302.

ბებუთოვი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. — გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის" რედაქტორი. — 110, 189, 190, 232, 233, 284, 304, 306, 463—465. 486, 487.

ბებუთოვი, მ. — თავადი, კრილოვის იგავ-არაკების მთარგმნელი ქართულად. — 490.

ბეზაკი, ალექსანდრე პავლეს ძე (1800—1868) — გენერალ-ადიუტანტი. —528. 529.

ბეზნოსიკოვი. — გენერალი, შუა აზიის ისტორიის სპეციალისტი. — 273.

ბეკერი, ოსკარ (1839—1868) — რესპუბლიკანელი, 1861 წელს თავს დაესხა პრუსიის მეფე ვილჰელმ პირველს.— 293.

ბეკერ-ფაშა (ვალენტინ ბეკერ). — ინგლისელი გენერალი, ცნობილი მოგზაურის სამუელ უიატ ბეკერის ძმა.—330.

ბელიკოვი. — თბილისის პოლიციის მოხელე, პოლკოვნიკი. — 239.

ბელინსკი, ბ. გ. (1811—1848) — დიდი რუსი კრიტიკოსი და რევოლუციონერი-დემოკრატი. — 22. 442, 443.

ბენეტი, ჯემს-გორდონ. — ამერიკელი ჟურნალისტი, „ნიუ-იორკ ჰერალდის" გამომცემელი. — 541, 543.

ბენტამი, ჯორჯ (1800—1884) — ინგლისელი ბუნებისმეტყველი. — 290.

ბერნე, ლიუდვიგ (1786—1837) — ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი და მწერალი. — 217, 246, 253, 315, 336.

ბერუე, ა. პ. — კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე, ისტორიკოსი. — 137.

ბიკოვი, ე. ი. — ჟურნალისტი. — 471.

ბიკონსფილდი, ბენჯამინ-დიზრაელი (1804—1881) — ინგლისის რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატორების ლიდერი. პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874—80 წწ.: ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად თვლიდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას და ეწეოდა დაპყრობით პოლიტიკას.—30—32. 48, 49, 52, 57, 63, 64, 104, 105, 144. 149. 151. 154—162, 165, 177—179. 195, 228, 230, 276—279, 286, 324, 331, 402—406, 410. 438. 439. 446 — 449. 576, 577.

ბისმარკი. ოტო-ფონ-შენჰაუზენ (1815—1898) — პრუსიისა და გერმანიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი, კანცლერი. 29, 30. 32, 287, 293, 402.

ბლავატსკაია, ელენე პეტრეს ასული (1831—1891) — რუსი მწერალი, მისტიკოსი. — 11, 12, 510—512.

ბლინდი, კარლ. — გერმანელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. — 293.

ბლინდი, ფერდინანდ. — კარლ ბლინდის შვილობილი, რომელიც 1866 წლის 7 მაისს თავს დაესხა ბისმარკს; იმავე დღეს მან თავი მოიკლა. — 293.

ბლიოხი, ივანე სტანისლავის ძე (1836—1901) —პოლონელი ფაბრიკანტის შვილი, ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 90, 92, 101, 105, 107, 167, 275.

ბლუნჩლი, იოჰან-კასპარ (1808—1881) — შვეიცარიელი იურისტი; სახელმწიფო საერთაშორისო სამართლისა და სამართლის ისტორიის სპეციალისტი.— —251.

ბოგდანოვი, ანატოლ პეტრეს ძე (1834—1896) — რუსი ანთროპოლოგი და ზოოლოგი, რუსული ანთროპოლოგიის ფუძემდებელი. —411.

ბუშინი. — რუსი სახელმწიფო მოხელე, შუა აზიის ისტორიის მცოდნე.—273.

გაბრიელი. — ეპისკოპოსი. — 241. 242.

გამბეტა. ლეონ-მიშელ (1838—1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელთა ლიდერი. —337. 563. 564.

გამრეკელი. — თბილისელი ადვოკატი.— 565.

გარიბალდი, ჯუზეპე (1807—1882)—იტალიის ეროვნული განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, დემოკრატი, მხედართმთავარი; დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. — 158.

გერსევანოვი, გ. ნ. — რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარე.—111, 112.

გერცენი, ალექსანდრე ივანეს ძე (1812—1870) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, პუბლიცისტი. — 180.

გილიაროვ-პლატონოვი, ნიკიტა პეტრეს ძე (1824—1887) — პუბლიცისტი, 1856—1863 წლებში მოსკოვის ცენზურის კომიტეტის წევრი, 1862—63 წწ. განათლების სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა ჩინოვნიკი, გაზეთ „სოვრემენნიე იზვესტიას“ გამომცემელი, ჟურნალ „რადუგას“ რედაქტორი. — 175.

გლადსტონი. უილიამ-იჯარტი (1809—1898 წწ.) — ინგლისელი რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ლიდერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1864—74; 1880—85: 1886 და 1892—94 წლებში. — 154, 155, 158.

გობართ-ფაშა (1822—1886) — თურქი ადმირალი, მსახურობდა ინგლისის ფლოტში; 1867 წელს შევიდა თურქეთის სამსახურში. 1874 წელს ისევ დაბრუნდა ინგლისში, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომში (1877 წ.) ხელმძღვანელობდა თურქეთის ფლოტს შავ ზღვაზე. — 195.

გოგებაშვილი, იაკობ სიმონის ძე (1840.—1912) — დიდი ქართველი პედაგოგი და მწერალი. — 96. 445, 456—464. 486, 487, 555—558.

გოგოლი, ნიკოლოზ ვასილის ძე (1809—1852) — დიდი რუსი მწერალი, „ნატურალისტური სკოლის“ მეთაური. —22, 322, 460, 552, 553.

გოგოცკი, სილვესტრ სილვესტრის ძე (1813—1889) — რუსი ფილოსოფოსი, ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი. — 30.

გოლიცინი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე —საფოსტო დეპარტამენტის მთავარმართებელი, შემდეგში განათლების მინისტრი. — 140.

გორვიცი. — რუსი ფინანსისტი, საქმოსანი. — 90, 92, 107.

გორჩაკოვი, ალექსანდრე მიხეილის ძე (1798—1883) — დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი. — 30, 127.

გრადოვსკი, გ. კ.—რუსი ჟურნალისტი, გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78).— 521, 524. 527—533.

გრანოვსკი, ტიმოთე ნიკოლოზის ძე (1813—1855)—ცნობილი იურისტი, პროფესორი. — 442, 443.

გრეგრი. — რუსი ფინანსისტი. საქმოსანი. — 32. 473, 475.

გრეიგი, სამუელ კარლოს ძე (1736—1788) — ცნობილი რუსი ადმირალი. — 63, 88.

გრიბოედოვი, ალექსანდრე სერგის ძე (1795—1829) — დიდი რუსი პოეტი, დრამატურგი, დიპლომატი. — 273.

გრიგოროვიჩი. დიმიტრი ვასილის ძე (1822—1899) — რუსი მწერალი. 50-იანი წლების რუსული რეალიზმის წარმომადგენელი; 60-იან წლებში. ტურგენევთან და ტოლსტოისთან ერ-

თად, კავშირი გაწყვიტა ჟურნალ „სოვრემენნიკთან“ და არ გაცილებია ზომიერ ლიბერალურ მიმართულებას. — 14.

გუდიმ-ლევკოვიჩი. — თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 29, 34, 37.

დ

დავენპორტი. — 525.

დალი, ელადიმერ ივანეს ძე (1801 — 1872) — გამოჩენილი რუსი მეცნიერი, მწერალი. — 66, 90.

დამიენი, რობერტ-ფრანც (1715—1757) —პოლიტიკური ფანატიკოსი, 1757 წელს თავს დაესხა ლუდოვიკ XV-ს. — 293.

დანილოვი. — თბილისელი ადვოკატი (70-იანი წლები). — 560, 564.

დიზრაელი, ბენჯამინ (1804—1881) — ინგლისელი რეაქციონერი სახელმწიფო მოღვაწე. მწერალი, კონსერვატორების ლიდერი, პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874—80 წლებში. — 154, 155, 325, 328, 329, 403.

დიკენსი, ჩარლზ (1812—1870) — ცნობილი ინგლისელი მწერალი. — 542

დიმიტრიევი, ი. ი. (1840—1867) — მწერალი და ჟურნალისტი, სატირულ-იუმორისტული გამოცემების თანამშრომელი. — 532.

დიმიტრიევი, ივანე სერგის ძე.— რუსი გენერალი, გემთმშენებელი ინჟინერი. — 88.

დობროლუბოვი, ნ. ა. (1836—1861) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, გამოჩენილი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი. — 22. 180. 234, 235, 340, 484.

დრაგომანოვი, მიხეილ პეტრეს ძე (1841 —1895) — უკრაინელი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი. — 234, 235. 529.

დუდიშკინი, სტეფანე სემენის ძე (1820 —1866) — რუსი ჟურნალისტი. — 13.

ე

ევანგულოვი, გ. გ. — თბილისის ქალაქის საბჭოს წევრი 70-იან წლებში. —23. 27, 480. 482.

ეკატერინე II (1729—1796) — რუსეთის იმპერატორი-ქალი 1762—1796 წლებში. — 47, 50, 63, 66, 80. 149.

ელიმირზოვი, ლ. კ.—თბილისის ქალაქისთავის მოვალეობის აღმსრულებელი 70-იან წლებში. — 369, 392, 393, 480.

ელიოტი. — ინგლისის ელჩი თურქეთში რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდში. — 154.

ერვიე. — ფრანგი მეღვინე. — 443.

ერისთავი, დ. გ. (1847—1890) — ცნობილი ქართველი დრამატურგი და ჟურნალისტი. — 190, 236, 238. 248, 304. 465, 486, 487.

ერისთავი, რაფიელ დავითის ძე (1824 — 1901) ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — 489, 490.

ერინოვი, ალექსანდრე დავითის ძე. — ჟურნალისტი, გაზ. „კავკაზის“ თანამშრომელი, ჟურნალ „კავკაზსკაია სტარინას“ რედაქტორი. — 190.

ერმოლოვი, ალექსი პეტრეს ძე (1772 — 1861) — რუსი გენერალი და ცნობილი მხედართმთავარი, მთავარმართებელი კავკასიაში (1817—1827 წწ.). —66.

ვაგნერი, რიჰარდ (1813—83)—ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი. — 544
ვადინგტონი, უილიამ-ჰენრი (1826—1894) — ფრანგი ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, არქეოლოგი, — 30, 31.
ვაიცი, გიორგი (1813—1886) — გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე. — 501.
ვამბერი, არმინი (1832—1913) — უნგრელი ენათმეცნიერი, თურქოლოგი, ეთნოგრაფი. — 165.
ვაჩნაძე. — წიგნის გამომცემელი. —490.
ველიამინოვი, ალექსანდრეს ძე (1785—1838) — რუსი სამხედრო მოღვაწე, 1831 წ. დაინიშნა კავკასიის ხაზზე მყოფი ჯარების უფროსად, 1831—1838 წლებში ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს მთიელების წინააღმდეგ. — 66.
ველინგტონი, არტურ (1769—1852) — გამოჩენილი ინგლისელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. — 63.
ვეიდენბაუმი, ევგენი გუსტაევის ძე (1845—1918) — ცნობილი კავკასიათმცოდნე, 1877 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. — 23, 27.
ვენიუკოვი, მიხეილ ივანეს ძე (1832—1901) — რუსი გეოგრაფი, მოგზაური და ეთნოგრაფი. — 273.
ვიგელი, ფილიპე ფილიპეს ძე (1786—1856) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე. — 443.
ვილიამსი, ფენვიკ (1800—1883) — ინგლისელი სამსედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. — 199.
ვილჰელმ, ფრიდრიხ (1797—1888) — გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე. 293.
ვინოგრადოვი. — რუსი მსახიობი (გასული საუკუნის 70-იანი წლები).—21.
ვიხოცკი. — პოლკოვნიკი, აქციონერი, ცნობილია საბანკო საქმეების სახალხოდ გამოტანის მოთხოვნით. — 180, 181.
ვობანი, სებასტიან ლე პრეტრ (1633—1707) — ფრანგი სამხედრო ინჟინერი და ეკონომისტი, 1703 წელს მიიღო საფრანგეთის მარშლის წოდება. — 290.
ვოინოვი. — პოდპოლკოვნიკი, სამხედრო ცენზორი რუსეთის არმიაში რუსეთ-თურქეთის ომის (1877—78 წწ.) დროს. — 545.
ვოლდემარი, ქრისტიან (1825—1892) — ლატვიელი საზოგადო მოღვაწე და მწერალი. 60-იან წლებში შეყვანილი იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილ კომისიაში, რომელიც სწავლობდა რუსეთში საზღვაოსნო განათლების საკითხს. — 66, 89, 93, 102.
ვოლტერი, ფრანსუა მარი (1694—1778) — დიდი ფრანგი განმანათლებელი, მწერალი. — 340.
ვოლხოვსკოი, პ. პ. — რუსეთ-თურქეთის ომის (1877—78 წწ.) მონაწილე, პორუჩიკი, სამხედრო კორესპონდენტი. — 521, 550—552.
ვორონცოვი, მიხეილ სიმონის ძე (1782—1856) — ცნობილი რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მეფისნაცვალი კავკასიაში (1845—1854 წწ.). —101.
ვორონოვი, ნ. ი. — გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი. — 23, 27.

ზ

ზაგურსკი. — თბილისელი ჟურნალისტი, „ტიფლისსკი ვესტნიკის“ თანამშრომელი. — 486.

თ

თემურლენგი (1336 — 1405) — შუა აზიელი ერთი უდიდესი დამპყრობელთაგანი. — 407.

თუთაევი, აღალო. — ქართველი კომედიოგრაფი. — 490.

ი

იაზიკოვი, დიმიტრი დიმიტრის ძე. რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი და ბიბლიოგრაფი, „მოსკოვსკე ვედომოსტის“ თანამშრომელი. 13.

იაკუბოვიჩი. — რუსი მსახიობი (გასული საუკუნის 70-იანი წლები). — 13.

იანიცკი. — ინჟინერი. — 274.

იანსონი, იული ედუარდის ძე (1835 1892) — რუსი პროფესორი, ცნობილი სტატისტიკოსი. — 117.

იგნატიევი, ნიკოლოზ პაველეს ძე (1832—1908) — გრაფი, რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. რუსეთის ელჩი თურქეთში, 1881 წლის მაისიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. — 153.

იზმაილოვი, პ. ა. (1852 1895) — ჟურნალისტი. „ტიფლისსკი ვესტნიკის“ თანამშრომელი. თბილისის ქალაქის საბჭოს მდივანი 70-იან წლებში. — 461. 591. 527. 548. 549.

იზმაილ-ფაშა. — არზრუმის ვალი. — 541.

ილოვაისკი, გრიგოლ ივანეს ძე (1839 — 1871) რუსი მსახიობი. — 20.

იოანესიანი, აბგარ. — თბილისური სოხნური გაზეთის „პორძა“-ს რედაქტორი 70-იან წლებში. — 393.

იულიუსი, ვიქტორ. — გაზეთ „დელი ნიუსის“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—1878 წწ.). —521. 546. 547.

იცეკი. — რუსი ფინანსისტი და კვლევანი — 106.

კ

კაიდანოვი. — თბილისში მომუშავე ფინანსისტი. — 27.

კამერონი. — ინგლისის ვიცე-კონსული ფოთში. — 153.

კანკრინი, იგორ (1774—1845) — გრაფი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის ფინანსთა მინისტრი (1823—1844 წწ.). — 137.

კარაჯიჩი, ვოლკ სტეფანეს ძე (1787 — 1864) — ახალი სერბიული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი, ცნობილი ფოლკლორისტი. — 96. 97.

კასანიაკი (გრანიე დე კასანიაკ), ადოლფ (1808—1880) — ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ბონაპარტისტი. — 501.

კატკოვი. მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818 —1887) — ცნობილი რუსი რეაქციონერი ჟურნალისტი. — 13. 446. 551. 553.

კაულბარსი. ალექსანდრე ვასილის ძე. — გენერალური შტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თურქეთში, სადაც გაატარა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი; განახორციელა სხვადასხვა გეოგრაფიული გამოკვლევები; 1869 წელს პირველმა ნახა მდ. სირ-დარიის სათავე;

1870 წ. მოიარა რუსეთ-ჩინეთის საზღვრები და გამოარკვია ახალი გადასასვლელები ტიან-შანზე. — 273.

კაუფმანი. კონსტანტინე პეტრეს ძე (1818—1882) — გენერალ-ადიუტანტი. 1844 წელს მსახურობდა კავკასიაში. 1853—1856 წწ. მონაწილეობდა ყირიმის აღებაში. 1877-78 წწ. ოსეთ-თურქეთის ომში. — 577.

კემბელი (1792—1863) ბრიტანელი ფელდმარშალი. — 330.

კერსკი. სახელმწიფო მოხელე. ომელმაც 1873 წელს რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. — 443 — 445. 455.

კიუშევალ-კლარინი. — ფრანგი ჟურნალისტი და ფინანსისტი. — 12.

კოგანი. — რუსი ფინანსისტი. საქმოსანი. —30. 90. 107, 473. 475.

კოკორევი. ვასილ აღექსანდრეს ძე (1817—1899) — რუსი კაპიტალისტი, კომერსიონერი და კონცესიონერი. თანამშრომლობდა პრესაშიც. — 90, 111, 112. 167. 180.

კოლაკუტსკი. — სამხედრო პირი. რუსეთ-თურქეთის ომის (1877—78 წწ.) მონაწილე. 531.

კოლინიონი შარლ-ედუარდ. — ფრანგი მათემატიკოსი და ინჟინერი. მონაწილეობდა რკინიგზის მშენებლობებში ოსეთში. — 274. 275.

კორტი, ლუიჯი (1823—1888) — გრაფი, იტალიელი დიპლომატი. იტალიის წარმომადგენელი ბერლინის კონგრესზე 1878 წ. — 29, 31.

კოსტომაროვი, ნიკოლოზ ივანეს ძე (181—1885) — პროფესორი, რუსი ისტორიკოსი და მწერალი. — 561.

კოტარი. — ინჟინერი. ლესეპსის კომპანიის (საფრ.) წარმომადგენელი. 273—275.

კრაევსკი, ანდრია აღექსანდრეს ძე (181—1889) — რუსი ჟურნალისტი და გამომცემელი. — 476.

კრილოვი, ივანე ანდრიას ძე (1769—1844—გამოჩენილი რუსი პოეტი. მეიგავარაკე. — 32. 88. 489. 490.

კრონენბერგი. — 563. 565.

კრუფენოვსკი. — რუსი მომღერალ (70-იან წლებში). — 13.

კუვშინსკი. — თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი. — 422, 423 452, 454, 455.

კულმანი. — რელიგიური ფანატიკოსი რომელიც თავს დაესხა ბისმარკს 187 წლის 16 ივლისს და დაჭრა ხელში. — 293.

კუროჩკინი, ვ. ს. (1831—1875) — რუსი სატირიკოსი პოეტი, ბერანჟეს ცნობილი მთარგმნელი, სატირული ჟურნალის „ისკრას“ დამაარსებელი. — 184. 532.

კუტული, შარლ დე. — პარიზის გაზეთ „ლე ტემპს“-ის კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წ. წ.). — 536—539, 541, 544.

კუჩაევი, მ. ნ. — კავკასიის სტატისტიკური კომისიის თავმჯდომარე. — 27.

ლ

ლაზარევი, მიხეილ პეტრეს ძე (1788—1851) — ცნობილი რუსი ადმირალი. — 63, 68.

ლაშო. — ფრანგი ადვოკატი. — 564.

ლეიარდი. — ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 157, 438.

ლეკოკი, შარლ (1832—1918) — ფრანგი კომპოზიტორი, ფრანგული კლასიკური ოპერეტის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 501.

ლერმონტოვი, მიხეილ იურის ძე (1814—1841) — დიდი რუსი პოეტი. — 261.

ლესეპსი, ფერდინანდ (1805—1894) — ცნობილი ფრანგი დიპლომატი და

საქმოსანი. — 273—275.

ლესინგი, გოტჰოლდ-ეფრაიმ (1729—1781) — დიდი გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი; გერმანული ბურჟუაზიული განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენელი. — 332, 337, 338.

ლესკოვ-სტებნიცკი, ნიკოლოზ სიმონის ძე (1831—1895) — გამოჩენილი რუსი მწერალი. — 534.

ლიტონი. — ლორდი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. — 577.

ლობანოვ-როსტოვსკი, ა. ბ. — თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. — 277.

ლორის-მელიქოვი, მიხეილ ტარიელის ძე (1825—1888) — გრაფი, მეფის რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 42, 525, 540, 551, 553.

მ

მაგნიცკი, მიხეილ ლეონტის ძე (1778—1855)— ალექსანდრე I სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთი წარმომადგენელი. 1819 წ. გაიგზავნა უაზანში რევიზორად. მის მიერ წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ უნივერსიტეტმა გაფლანგა სახელმწიფო ფული; მიუთითებდა სწავლის არასწორ მიმართულებაზე და წინადადებას იძლეოდა, დაენგრიათ თვით შენობაც. — 443.

მაევი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1835—1896) — შეაბიელი მოღვაწე, „ტურკესტანსკი ვედომოსტის" რედაქტორი. შეა აზიის გეოგრაფიის კარგი მცოდნე. — 273.

მაკ-გახანი. — ამერიკის სამხედრო კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877 — 78 წწ.). — 165, 554.

მალკიელი. — ფინანსისტი. საქმოსანი. — 90, 473, 475.

მარკოვი, ევგენი ლვოვის ძე (1835—1903) რუსი მწერალი, კრიტიკოსი და ეთნოგრაფი. — 13.

მარლინსკი (1797—1837) — ცნობილი რუსი მწერალი, დეკაბრისტ ა. ა. ბესტუჟევის ფსევდონიმი. — 332.

მატინოვი, ა. ს. თბილისის ქალაქის საბჭოს მოხელე, ქალაქის თავი 1879 წლიდან. 482.

მდივანი, სერგეი — მწიგნობარი, ქართული ანბანის სახელმძღვანელოსა და კალენდრის შემდგენელი. — 463.

მელიეგი, გ. ნ. — თბილისელი მოხელე (70-იანი წლები). — 23, 27.

მელიქ-კარაკოზოვი, — თბილისელი მოხელე (70-იანი წლები).—23, 27, 128.

მეხი, სერგი სიმონის ძე (1844—1883) —ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „დროების" რედაქტორი. — 41, 53—56, 573, 574.

მეტერნიხი, კლიმენტ-ვენცელ (1773—1859) —ავსტრიელი დიპლომატი და მინისტრი, „წმინდა კავშირის" ინიციატორი-აგანი. — 179, 408, 416.

მეშჩერსკი, ვლადიმერ პეტრეს ძე (1839—1914) — თავადი, რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი და პელეტრისტი, გაზეთ „გრაჟდანინის" რედაქტორი. —529.

მიკა. — „ნიუ-იორკ ჰერალდის" კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის (1877—78 წწ.) ომში. — 521, 541—545.

მილერი, ო. თ. (1833—1889) — რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი. — 175.

მილი, ჯონ-სტეარტ (1806—1873) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პოზიტივისტი. — 489.

მილიუტინი, დიმიტრი ალექსის ძე (1816—1912) — ფელდმარშალი, სამხედრო მინისტრი 60-იან წლებში. — 551.

მინაევი, დიმიტრი დიმიტრის ძე (1835—1889) — ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი. — 532.

მირზოევი, გაბრიელ მინას ძე. — თბილისის მიტკლის საქსოვი ფაბრიკის მეპატრონე. 90. 111. 112.

მიხაილოვსკი, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1842—1904) — ცნობილი რუსი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და სოციოლოგი. — 13.

მოლიერი, ჟან-ბატისტ (1622—1673) — დიდი ფრანგი კომედიოგრაფი. —259.

მოლჩანოვი. „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—1878 წწ.). — 401.

მორი, თომას (1478—1535) — ინგლისელი ისტორიკოსი, ჰუმანისტი, მწერალი. სახელმწიფო მოღვაწე. — 290.

მურად მეხუთე. — თურქეთის სულთანი 1876 წლის 30 მაისიდან 1876 წლის 31 აგვისტომდე; აბდულ-მეჯიდის შვილი. — 154.

მუსინ-პუშკინი, ს. ა. — გაზეთ „სობესედნიკის“ სამხედრო კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.). — 521. 546.

მუხტარ-ფაშა. — თურქი გენერალი, თურქეთის ჯარების მთავარსარდალი, რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.), სულთან აბდულ-აზიზის შვილი. — 186. 208.

ნ

ნაპოლეონ I (1769—1821) — დიდი ფრანგი მხედართმთავარი და იმპერატორი. 325, 326. 407. 408.

ნაპოლეონ III (1808 — 1873) — საფრანგეთის პრეზიდენტი (1851 წ.). შემდეგ იმპერატორი (1852—1870 წ. წ.). — 50.

ნევეროვი, ი. (1830—1893) — პედაგოგი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1867—1878 წწ — 441. 442.

ნესტეროვი. — თბილისელი ჟურნალისტი (70-იანი წლები). — 253. 339.

ნილსკი, ა. (1841—1899) — ალექსანდრინის თეატრის მსახიობი; თბილისში ჩამოიყვანა იაბლოჩკინმა 1873 წელს. — 21.

ნიკოლოზ I (1796—1855) — რუსეთის იმპერატორი 1825—55 წწ. — 147.

ნობელი, ლუდვიგ ემანუილის ძე (1831—1888 — განთქმული ნავთის მრეწველი. — 111, 112.

ნოვოსელსკი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1823—1901) — „ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ დამაარსებელი, კავკასიის წიაღისეული სიმდიდრით დაინტერესებული საქმოსანი, ოდესის ქალაქის თავი. — 101. 107.

ნუროვი — პროპორშჩიკი. — 43.

ო

ობრუჩევი, ნ. ნ. რუსი გენერალი. რუსეთ-თურქეთის ომის (1877—78 წწ.) მონაწილე. — 546.

ოდესსონი. — რუსი რეაქციონერი ჟურნალისტი და კრიტიკოსი. — 13.

ოკარინი. რუსი მსახიობი (70-იანი წლები). — 13.

ოკუნევი, ბ. ბ. — რუსი გემთმშენებელი. 86, 88.

ორბელიანი, ი. — თავადი. სიღნაღში მომუშავე სამხედრო პირი (70-იანი წლები). — 29, 34.

ორბელიანი, საბა-სულხან (1658—1725)— ცნობილი ქართველი მწერალი, მეიგავარაკე. — 94.

ორლოვსკი, კონსტანტინე ივანეს ძე. — თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 60-იან წლებში. — 239, 240.

ოსმანი (ნური-გაზი) — ცნობილი თურქი გენერალი და სამხედრო მინისტრი, რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.) სახელი გაითქვა თავდადებით პლევნის დაცვაში. — 203.
ოსტროვსკი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1823—1886) — გამოჩენილი რუსი დრამატურგი. — 22.
ოუენი, რობერტ (1771—1858) — ცნობილი უტოპისტ-სოციალისტი. — 290.
ოფენბახი, ჟაკ (1819—1880) — ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი. — 21, 186, 544.

პ

პავლე I (1754—1801) — რუსეთის იმპერატორი, მოკლული იქნა შეთქმულთა მიერ. — 176.
პავლოვი, პლატონ ვასილის ძე (1823—1895) — ისტორიკოსი, პროფესორი. —561.
პალმ, ა. ი. — მწერალი, დრამატურგი, ანტრეპრენიორი, „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—1878). — 20, 521, 550.
პალმერსტონი, ჰენრი-ჯონ-ტემპლი (1784—1865) — ლორდი, ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. — — 178. 179.
პანკრატოვი. — გენერალ-ადიუტანტი, მთავარმართებელ პასკევიჩის თანამშრომელი. — 140.
პასკევიჩი, ივანე თევდორეს ძე (1782—1856) — გენერალ-ფელდმარშალი, ცნობილი რუსი მხედართმთავარი, მთავარმართებელი კავკასიაში (1827—1831). — 198, 138—141.
პეტრე I (1672—1725) — რუსეთის სახელგანთქმული მეფე და პირველი იმპერატორი (1683—1725).—46, 47, 59, 63, 66, 80, 149. 344. 434.
პეშჩეროვი, პ. ა. — თბილისელი მოხელე (70-იანი წლები). — 365, 366.
პლევაკო, თევდორე ნიკიფორეს ძე (1843—1908)—რუსი იურისტი, ცნობილი სასამართლო ორატორი, მონაწილეობდა დიდ პროცესებში. — 561.
პოლეტიკა, ვასილ აპოლონის ძე. — რუსი ჟურნალისტი. — 46—50, 66, 104, 167.
პოლიაკოვი, ს. ს. (1837—1888) — სარკინიგზო საქმის ცნობილი მცოდნე, ფინანსისტი, საქმოსანი. — 90, 92, 101, 105, 275, 475.
პოლტორაცკი, ი.—ი. ჭაეპაეაძის მეგობარი, ჟურნალისტი. — 252.
პოტეხინი, ალექსი ანტიპოს ძე (1829—1908) — რუსი დრამატურგი და ბელეტრისტი. — 14, 533.
პოტეხინი, ნიკოლოზ ანტიპოს ძე. — რუსი ჟურნალისტი. „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.) — 521, 532—536.
პოტიომკინი, გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1739—1791) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე. გენერალ-ფელდმარშალი. — 63, 66.
პრავდინი, ოსიპ ანდრიას ძე (1846—1921) — ცნობილი მსახიობი, რომელიც 1873—1875 წლებში მუშაობდა თბილისის თეატრში, 1878 წლიდან მოღვაწეობდა მოსკოვის მცირე თეატრში. — 20.
პრევო-პარადოლი, ლუსიენ-ანატოლ (1829—1870) — ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. — 539.
პრუტკოვი, კოზმა. — ლიტერატურული ფსევდონიმი, რომლითაც გამოდიოდნენ პოეტები ა. კ. ტოლსტოი და ძმები ჟემჩუჟნიკოვები. — 22.
პუშკინი, ა. ს. (1799—1837) — დიდი რუსი პოეტი. — 22.

ჟ

ჟელიხოვსკაია. ვერა პეტრეს ასული (1835—1878) — მწერალი ქალის ე. პ. ბლავატსკაიას და. — 11.

რ

რაევსკი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1771—1829) — რუსი გენერალი, პირველი სამამულო ომის გმირი. — 66.

რაველიაკი, ფრანსუა (1578—1610) — ფანატიკი-კათოლიკი, რომელმაც 1610 წლის 14 მაისს მოკლა საფრანგეთის მეფე ჰენრიხ IV. — 293.

რეიგერი. — თბილისის საბჭოს ხმოსანი (70-იანი წლები).— 480.

რეიტერი. — თბილისელი ადვოკატი (70-იანი წლები). — 564.

რეშეტი, ი. ი. — თბილისში მოღვაწე იურისტი და ჟურნალისტი. — 456—458.

რიშარი. — ფრანგი მეღვინე. 443, 556.

როზენტალი. — ფინანსისტი და საქმოსანი. — 90.

ს

სავფეტ-ფაშა. — თურქი საზოგადო მოღვაწე. — 417.

სალისბიური, რობერტ-არტურ. —მესამე მარკიზი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. — 153, 329—331.

სეი, ჟან-ბატისტ (1767—1832)— ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი. — 537, 539.

სენ-სიმონი, ანრი-კლოდ (1760—1825) — გამოჩენილი ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი. — 290.

სერნო-სოლოვიევიჩი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი. — 295, 296.

სერნო-სოლოვიევიჩი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1834—1866) — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი. — 295.

სვიატოპოლ-მორსკი, დიმიტრი ივანეს ძე (1825—1899) — ინფანტერიის გენერალი. — 216, 541.

სიგუნოვი, ნ. ნ. — თბილისელი მოხელე (70-იანი წლები). — 128, 136.

სიმბორსკი, ნ. ვ. (1849—1881) — მწერალი, გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.), შემდეგში გაზეთ „ობზორის“ თანამშრომელი. — 520, 521, 523—527.

სიპიაგინი, ნიკოლოზ მარტინის ძე (1785—1828) — გენერალ-მაიორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი. — 137, 138, 141.

სკაბიჩევსკი, ალექსანდრე მიხეილის ძე (1838—1910) — რუსი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი.—13.

სმირნოვი, ვასილ დიმიტრის ძე (1846—1922) — ორიენტალისტი, თურქული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. — 468.

სოკოლოვი, ლეონიდ ილიას ძე. — საიმპერატორო თეატრის მსახიობი, 1867—1874 წლებში მუშაობდა თბილისის თეატრში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. — 20, 21.

სოლეიმანი (სულეიმან-ფაშა, 1838—1883) —თურქი გენერალი. — 208.

სპასოვიჩი, ვლადიმერ დანიელის ძე (1829—1906) — პროფესორი. ცნობილი რუსი იურისტი და პუბლიცისტი. — 560—564, 566.

სპენსერი, გერბერტ (1820—1903) —რეაქციონერი ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. — 500.

სტალინსკი. ევგენი. — ჟურნალისტი. 1872—77 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზს“, 1877 წ. რედაქტორობდა გაზეთ „ხარკოვს“, 1882—1883 წწ. ცემდა მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალ „მოსკოვს“. — 191, 339.

სტანკევიჩი, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (1813—1840) — რუსი ფილოსოფოსი-იდეალისტი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა 30-იან წლებში ე. წ. „სტანკევიჩის წრეში“. — 442.

სტარიცკი, იგორ პაველს ძე (1825—1899) —იურისტი, თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე. — 27, 456—458.

სტასიულევიჩი, მიხეილ მათეს ძე (1826—1911) — ცნობილი რუსი ისტორიკოსი. პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. — 561.

სტეპანოვი, ა. ვ. — თბილისელი ადვოკატი. — 284.

სტოლეტოვი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე (1834—1912) — ინფანტერიის გენერალი, 1878 წ. დიპლომატიური მისიით გაგზავნილი იყო ავღანისტანში. 328.

სტრუსბერგი, ბეტელ-ჰენრი (1823—1884) — საქმოსანი სარკინიგზო მშენებლობაში. — 105.

სუვორინი, ალექსი სერგის ძე (1834—1912) — რუსი რეაქციონერი ჟურნალისტი და გამომცემელი. — 20, 126, 175, 524—531.

სუვოროვი, ალექსანდრე ვასილის ძე (1730—1800) — ცნობილი რუსი მხედართმთავარი. — 14. 63. 66. 104.

სუშევი. — ფინანსისტი. საქმოსანი. — 90, 101, 105, 107.

სცეპურა. — თბილისში მომუშავე ექიმი (70-იანი წლები). — 233. 253, 315.

ტ

ტატიევი. — თბილისელი ადვოკატი (70-იანი წლები). — 565.

ტაციტი (55—120) — ცნობილი რომაელი ისტორიკოსი და მწერალი. —515.

ტენი, იპოლიტე-ადოლფ (1828—1893) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და კრიტიკოსი. — 539.

ტერ-აბრამიანი. — გაზეთ „დონსკაია პჩელას“ რედაქტორი. — 42.

ტერ-გუკასოვი, არზას არტემის ძე (1819—1881) — გენერალ-ლეიტენანტი, ერევნის რაზმის მეთაური რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.). — 541.

ტვედლი. — ამერიკელი კონცესიონერი. —110—112.

ტურგენევი, ივანე სერგის ძე (1808—1883) — დიდი რუსი მწერალი. —14.

ტურიევი. — თბილისელი პედაგოგი (70-იანი წლები). — 445.

უ

უბრი, პაველ პეტრეს ძე (1820—1904) — გრაფი, დიპლომატი. — 30, 31.

უეველი, ვილიამ (1794—1866) — გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. — 468.

უილერი (ულერი)—„ნიუ-იორკ ჰერალდის“ მუსიკალური კორესპონდენტი. — 521, 541—543.

უკმიკაშვილი, პეტრე იოსების ძე (1838—1904) — ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. — 96, 97.

უსოვი, პაველ სტეფანეს ძე (1828—1889) —რუსი პუბლიცისტი. გაზეთ „ბირჟის“ რედაქტორი (1872—77 წწ.). — 534.

უტინი, ევგენი ისაკის ძე (1843—1894)— ცნობილი რუსი პუბლიცისტი. — 13.

ფ

ფალკენგანგენი. — ფინანსისტი. საქმოსანი. — 29, 32, 33, 107, 475.

ფაუსეტი. ინგლისელი დიპლომატი. რომელიც საგანგებოდ სწავლობდა რუსეთის ჯარების „დანაშაულს" რუსეთ-თურქეთის ომში (1877-78 წწ.). —277.

ფარლეი. ჯეიმს ლუისი (1823 –1885) — ინგლისელი მწერალი. მსახურობდა კონსტანტინოპოლში, წერდა კორესპონდენციებსა და სტატიებს ინგლისურადასცემდა ჟურნალებში. —154.

ფილარეტი (ბორისკაცობაში თეოდორე გიორგის ძე ამფითეატროვი, 1779—1857) — ღვთისმეტყველების დოქტორი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი. — 461.

ფორბესი, არჩიბალდ-ჯორჯ (1830—190 —ინგლისელი პოლიტიკური მწერალი და ჟურნალისტი. — 521, 540-544.

ფრანც-იოსებ I. — ავსტრიის იმპერატორი. — 30.

ფრენკელი, ა. ს. — გაზ. „ობზორის" თ ნამშრომელი; 1887—88 წწ. რედაქტორობდა „კავკასსკიე ობზორ ნიეს". — 461.

ფურიე, შარლ (1772—1837) —ცნობილ ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი. – 290.

ფურცელაძე, ანტონ ნიკოლოზის ძ (1839—1913) — ცნობილი ქართველ მწერალი და პუბლიცისტი. — 5 236, 240, 315. 332, 338. 339, 48 486.

ქ

ქსენოფონტე (434—359) — გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. — 454.

ღ

ღამბაროვი, ბ. ს. — ეკონომისტი, ფინანსისტი, მეცნიერების დოქტორი. — 255—266, 295—299, 301, 302, 315, 318—322. 332, 341.

ღოღობერიძე. ბესარიონ ლევარსის ძე (1832—1879) — ერთ-ერთი თერვდალელთაგანი, პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის აჯეულობის მონაწილე, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. — 23—28, 108 109, 118, 128—136. 180, 190, 248 315, 316, 338. 366, 457, 462, 509 511, 513.

ყ

ყიფიანი. დიმიტრი ივანეს ძე (1814 — 1887) — მწერალი, მთარგმნელი, დიდი საზოგადო მოღვაწე. — 23, 27, 480—483. 498. 504.

ყიფიანი, ნიკ. — გამომცემელი. — 489.

შ

შავროვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე 1826—1899) — ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. — 112, 234, 249 250.

შამილი (1798—1871). — დაღესტნელთა ცნობილი იმამი. — 551.
შახტახტინსკი, ი. — ჟურნალისტი, „ტიფლისსკი ვესტნიკის“ და სხვა რუსული თბილისური გაზეთების თანამშრომელი. — 114.
შერვაშიძე, მიხეილი. — აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. — 566.
შილერი, ფრიდრიხ (1759—1805) — დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი. — 37.
შირ-ალი (1825—1879) — ავღანისტანის ემირი. — 288, 404, 405, 500, 576.
შლემოკი.—ფინანსისტი, საქმოსანი.—105.
შმულე. — ფინანსისტი, საქმოსანი.—105.
შტეიმანი. — ინჟინერი. — 111.
შტურმი. — პრუსიის სამხედრო აგენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877—78 წწ.). — 165.
შუვალოვი, პეტრე ანდრიას ძე (1827—1889) — გრაფი. რუსეთის ელჩი ინგლისში, რუსეთის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი ბერლინის კონგრესზე. — 32, 152, 541.
შულცე-დელიჩი, ჰერმან (1808—1883) — გერმანელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე. — 537.
შჩედრინი (მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვი: 1826—1889) — გამოჩენილი რუსი მწერალი, — სატირიკოსი. — —22, 250, 323, 333.

ჩ

ჩარკვიანი, გრ. — წიგნის გამომცემელი — 490.
ჩემბერლენი, ჯოზეფი (1836—1914) — ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, იმპერიალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგთაგანი. —328.
ჩერნიაევი, მიხეილ გრიგოლის ძე (1828—1898) — ცნობილი რუსი გენერალი, 1873 წელს შეიძინა გაზეთი „რუსსკი მირ“ და ხელი მოჰკიდა ჟურნალისტურ საქმიანობას. — 207, 336, 529.
ჩერნიშევსკი, ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1828—1889) — დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. — 119, 332, 337, 338, 547.
ჩიბურინა. — რუსი მსახიობი, 70-იან წლებში მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ გასტროლებშიც. — 13.
ჩინგის-ხანი (1155—1227) — ცნობილი მონღოლი დამპყრობი. — 407.
ჩიჟოვი, თევდორე ვასილის ძე (1811—1877) — მსხვილი მეწარმე, ფინანსისტი და მწერალი; 1858 წელს, ბაბსტისთან ერთად, დაიწყო ჟურნალ „ვესტნიკ პრომიშლენნოსტის“ გამოშვება. ჟურნალს თან ახლდა, როგორც დამატება, სამრეწველო და საავაკრო გაზეთი „აუქციონი“. — 533.
ჩიქოვანი, გ. ა. — ქართველი თაოადი, სამხედრო პირი. — 240.
ჩიხაჩევი, ნიკოლოზ მათეს ძე. — გენერალ-ადიუტანტი, ადმირალი. — 101, 107.
ჩხოტუა, დავით. — გაზეთების „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ თანამშრომელი; 1876 წელს მიუსაჯეს კატორღა ნ. ანდრეევსკიას მოკვლის დაბრალების გამო. — 248, 509, 560, 563, 565, 566.

ც

ცაგარელი, ალექსანდრე (1844—1920) — ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი. 94, 96, 98, 99.
ცეზარი, იულიუს-გაიუს (100—44) — ცნობილი უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. — 454.

ციციანოვი, პაველ დიმიტრის ძე (1754—1806) — ინფანტერიის გენერალი, 1802 წ. დაინიშნა მთავარსარდლად საქართველოში. — 66, 78.

წ

წერეთელი, აკაკი როსტომის ძე (1840—1915) — დიდი ქართველი პოეტი. — 489.

წერეთელი, გიორგი ექვთიმეს ძე (1842—1900) — გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. — 339, 489.

ჭ

ჭავჭავაძე, ილია გრიგოლის ძე (1837—1907) — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. — 97. 113, 182, 284, 573.

ჭავჭავაძე, ი. ნ. — ქართველი თავადი— 240.

ჭონქაძე, დ. გ. (1830—1860) — ცნობილი ქართველი მწერალი. — 489.

ხ

ხარისჩაროვი. — კათოლიკე პატრი, რომელმაც კონსტანტინოპოლში დააარსა ქართული სტამბა. — 170.

ხელაძე. ექვთიმე (1845—1905) — სტამბის მეპატრონე, გამომცემელი. —489.

ხრულიევი, ს. ა. (1807—1870) — გამოჩენილი რუსი გენერალი, 1856 წელს დაინიშნა კავკასიის მეორე არმიის კორპუსის მეთაურად. — 533.

ჯ

ჯორჯაძე, დ. დ. (1822—1883) — ქართველი თავადი, სახელმწიფო მოხელე, სამოქალაქო საქმეთა მმართველი დაღესტანში (1854—1872 წწ.). — 27.

ჰ

ჰაინე, ჰაინრიხ (1797—1856) — დიდი გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი. —35, 217, 290. 312. 313.

ჰედელი. — გერმანიის სოციალისტური პარტიის წევრი. რომელიც თავს დაესხა იმპერატორს. — 292. 293.

ჰელვეციუსი, კლოდ-ადრიან (1715—1771) —ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი. განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 246, 250.

ჰეიმანი, ვასილ ალექსანდრეს ძე (1823—1878) — გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-თურქეთის 1877—78 წწ. ომში მეთაურობდა რაზმს, რომელმაც დაიპყრო არდაგანი. — 238.

ჰეროდოტე (485—425) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ბერძნული და საერთოდ ისტორიის მამამთავარი. — 515.

ჰუგო, პროკი (1583—1645) — ცნობილი ჰოლანდიელი იურისტი. სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი. — 251.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 7

1878 წელი

1. ერთხელ კიდევ ქალბატონ ბლავატსკაიაზე 11
2. კალმის ჭირვეულობანი 13
3. პასუხი გამოწვევაზე 23
4. საკვირაო საუბარი 29
5. პასუხი გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტის“ 38
6. ადგილობრივი მიმოხილვა 41
7. მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს 45
8. ბათუმის საკითხისათვის 51
9 ადგილობრივი მიმოხილვა 53
10. შავი ზღვის მნიშვნელობა რუსეთისათვის და ბათუმის ფლობისა —შავი ზღვისათვის 57
11. სანაესადგურო ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობა 73
12. გემთმშენებლობა და შავი ზღვის კოლონიზაცია 79
13. საზღვაო კანონმდებლობა. სკოლები და სუბსიდიები 86
14. ბიბლიოგრაფია 94
15. ზღვაოსნობის მოთხოვნები 100
16. ადგილობრივი მიმოხილვა 108
17. ჩვენი საადგილმამულო კრედიტის მომავალი 113
18. ბერლინის ტრაქტატი 122
19. ღირსების სამსჯავრო 128
20. პასკევიჩი ჩვენი ზღვაოსნობის შესახებ 137
21. პოლიტიკური მდგომარეობა 142
22 კულტურული ბრძოლა აზიაში 147
23. ინგლისთან კავშირი 151
24. ომის გაკვეთილებიდან 163
25. „გოლოსი“ ქართული ენის შესახებ 170
26. ინგლისთან ბრძოლა 176
27. საიდუმლოება საადგილმამულო ბანკებში 180
28. ჩვენი ლიტერატურული ზნე-ჩვეულებანი 185
29. ბერლინის ტრაქტატი მცირე აზიის შესახებ 192
30. ინგლისთან ომში 196
31. ადგილობრივ თავადაზნაურთა სამსახური 202
32. „გადახალისების“ საჭიროება 206
33. ბათუმის შემოერთება 216

34. პოლიტიკური მიმოხილვა 219
35. ინგლისთან ომის შემთხვევაში 222
36. ბათუმი და ფოთი 227
37. ექსტრა-ლიტერატურული კამათი 232
38. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები 241
39. საკვირაო საუბრები 246
40. ემანუელ შკონის სიბრძნე 255
41. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლები 268
42. რუსული ნაკეთობა უცხოური პლომბით 272
43. პოლიტიკური ვითარება 276
44. საქალაქო არჩევნები თბილისში 281
45. შუა აზიის სიძნელეები 286
46. გერმანიის რაიხსტაგში სოციალიზმის შესახებ კამათის გამო 289
47. საკვირაო საუბრები 295
48. ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები 304
49. სადღეისო საკითხები 308
50. კედის ლიტერატურული ქიცინი 312
51. პასუხი ბატონ ღამბაროვს 320
52. პოლიტიკური მდგომარეობა 324
53. საკვირაო საუბრები 332
54. საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ვაიძულოთ ხმოსნები კეთილსინდისიერნი იყვნენ 343
55. რომელ ენაზე ვიკამათოთ საბჭოში 348
56. გლეხთა საქმე 352
57. საკვირაო საუბრები 359
58. ლირსების სამსჯაერო 365
59. რა გაკეთა თბილისის საქალაქო საზოგადოებრივმა სამმართველომ 1877 წელს? 367
60. ქალაქის საბჭოს სხდომა 392
61. საქალაქო არჩევნების ამოცანების შესახებ 397
62. პოლიტიკური მდგომარეობა 401
63. დიპლომატია 407
64. ავსტრიის პასუხი თურქეთის ნოტაზე 415
65. კარგი საქმის ცუდი დამცველი 419
66. სასულიერო სემინარიის რევიზია 422
67. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი 426
68. პოლიტიკური მდგომარეობა 437
69. საკვირაო საუბრები 440
70. პოლიტიკური მდგომარეობა 446
71. ენების სწავლება ჩვენს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში 450
72. საკვირაო საუბრები 456
73. პატარა კატკოვი 466
74. სამხედრო სიბრძნის სიღრმე სამოქალაქო გაზეთში 471
75. თბილისის საბჭოს შესახებ 479
76. კვლავ ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები 484
77. ადგილობრივი მიმოხილვა 488

78. ცოტაოდენი ლოგიკა 491
79. საკვირაო საუბრები 498
80. მადლობა ღმერთს 507
81. ჩვენი სასულიერო წოდების მომზადება 514
82. კორესპონდენტები მოქმედ კორპუსში 519
83. კელაე ბატ. ი. გოგებაშვილის შესახებ 555
84. საკვირაო საუბრები 560
85. ფოთისა და ბათუმის შედარებითი მნიშვნელობა 568
86. ადგილობრივი მიმოხილვა 573
87. პოლიტიკური მდგომარეობა 575
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 581
კომენტარები 587
სახელთა ხაძიებელი 602

Николай Яковлевич Николадзе

СОЧИНЕНИЯ. Т. VI

(на грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კოორექტორი მ. ვანეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. VI. 70
ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 38.75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 31,54
შეკვეთა 965 უე 10783 ტირაჟი 3000

ფასი 2 მან. 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14

7—2—2